

საერთაშორისო
კონფერენცია

2018

INTERNATIONAL
CONFERENCE



თბილისი 2019 TBILISI

სარედაქციო ჯგუფი:
თეონა იაშვილი
ქეთევან ასათიანი
ნინო ბადაშვილი
თამთა შონვაძე
დimitრი სილაქაძე

კორექტორი: მარიამ ჯანიკაშვილი

დიზაინერი: კახა მახარაშვილი

კრებულში წარმოდგენილი მასალის გამოყენება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ წყაროს მითითებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს სარედაქციო ჯგუფის შეხედულებებს.

© ყველა უფლება დაცულია
All rights reserved

მაგრა მჭარლიძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი

კაზრისზიკუდი ეგზეგეზიკა კოპოკს წყაკო წმინდა წაიკის ქაკთუდი თაკგმანეზისათვის

ბერძნულენოვან წმინდა მამათა თხზულებების ძველ ქართულ თარგმანებზე გვიანდელი კომენტარების გავლენის შესახებ ცნობილია¹. ჩვენი ინტერესის საგანი ამჟღად ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში ეგზეგეტთა კომენტარების ასახვაა. როგორც კვლევა გვიჩვენებს, წმინდა წერილის ქართულ ვერსიებში² ამა თუ იმ სიტყვის, გამოთქმისა თუ ფრაზის ვარიანტები, რომელთა დედნის მოძიება ხშირად არ ხერხდება ხოლმე, შეიძლება აიხსნას მთარგმნელის მიერ სწორედ პატრისტიკული ეგზეგეტიკური ნაშრომების გათვალისწინებით. წინამდებარე სტატიაში ამგვარი თარგმანის რამდენიმე შემთხვევას განვიხილავთ.

„გონებისა სათნო-ყოფა დმრთისა“ და „გონებისა კეთილისა ტრფი ალებ ა დმრთისა მიმართ“ (1 პეტ. 3:21)

პეტრე მოციქულის პირველ ეპისტოლეში თარგმანის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა ერთი ადგილი, რომელშიც ნათლობა განსაზღვრულია, როგორც „... **συνειδήσεως ἀγαθῆς ἐπερώτημα εἰς θεόν**“ (1 Pet. 3:21). ამ ფრაზის თარგმანი გიორგი ათონელისეულ (მე-11 ს) ტექსტში არის „... გონებისა კეთილისა ტრფი ალებ ა დმრთისა მიმართ“, ხოლო უფრო ადრინდელ ვერსიაში — „... გონებისა სათნო-ყოფა დმრთისა“. თუკი ძველი თარგმანი შეიძლება სათარგმნე ერთეულად ფრაზის ალებით აიხსნას, გიორგისეული რედაქციის სიტყვასიტყვით თარგმანში მოულოდნელი გვეჩვენება სიტყვა „ტრფიალება“ ბერძნული ორიგინალის **ἐπερώτημα**-ს შესაბამისად. მართალია, ახალი აღთქმის წიგნებში ეს **ἐπερώτημα**-ს გამოყენების ერთადერთი შემთხვევაა, მაგრამ ზმნა **ἐπερωτᾶν**, საიდანაც იგი არის ნაწარმოები, საკმაოდ ხშირად გვხვდება და ქართულად იგი უმთავრესად თარგმნილია, როგორც „კითხვა“; რამდენჯერმე სხვა სიტყვებიც გამოიყენება: „ჭრქუა“ (მრ. 8:29), „ეტყოდეს“ (მ. 16:1), „ვევდრებოდა“ (მრ. 10:17), თუმცა ყველა ამ შემთხვევაში მათ შეიძლება „ჰკითხა“, „ეკითხებოდა“ ჩაენაცვლოს. საერთოდაც, არც ზმნა **ἐπερωτᾶν**-ს და არც მის **-ματ** სუფიქსიან დერივატს, რომელიც მოქმედების შედეგს აღნიშნავს, ბერძნულში „ტრფიალების“ შესაბამისი მნიშვნელობა არ აქვს.

ძველბერძნული ლექსიკონების მიხედვით ზმნა **ἐπερωτᾶν** ნიშნავს: „კითხულობ“, „ვეკითხები“ (რამეს ვინმეს³, მათ შორის: დმრთს, სამისნოს), ასევე ნიშნავს: „ჩავეკითხები“, „ჩავეძიები“. მოგვიანებით იგი გამოყენებულია კალკად რომაული სამართლის ტერმინისა **stipulator**, რომელიც თავდაპირველად გულისხმობდა ფორმალური შეკითხვის დასმას შეთანხმების (**stipulatio**) დადებისას, შემდეგ კი — „ვალდებულების ალებას“, „გარანტიის მიცემას“, „თავდებობას“. შესაბამისად, **ἐπερωτᾶν**-ს დერივატ **ἐπερώτημα**-ს მნიშვნელობებია: „შეკითხვა“; „პასუხისგება“ (**answer to inquiry**); ის გადმოსცემს ასევე ლათ. **stipulatio**-ს, რომელიც აღნიშნავს „შეთანხმებას“ და „შეთანხმების პირობას“. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ ლექსიკონში 1 პეტ. 3:21-ის **ἐπερώτημα** გაგებულია, როგორც **pledge** („პირობა“, „აღთქმა“, „თავის ვალდებულად ცნობა“, „წინდი“) [Liddell-Scott, 1996:618]. იგივე მნიშვნელობებია მითითებული **ἐπερωτᾶν**-სა და

¹ მაგალითად, გრიგოლ ლვისმეტყველის ჰომილიების ექვთიმე ათონელისეულ და ეფრემ მცირის თარგმანებზე ბასილი მინიმუსის კომენტარების გავლენა შესწავლილი აქვს თამარ ოთხმეზურს [ოთხმეზური, 1995:150–163; ოთხმეზური, 2011:75–94]. ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდის მახასიათებელზე — ეგზეგეტიკური კომენტარების გააზრებით სათარგმნე ორიგინალის ადეკვატური ახალი ტექსტის შედგენაზე — ყურადღება იყო გამახვილებული ჩვენს მოხსენებებში: თსუ-ს საუნივერსიტეტო კონფერენციაზე 2011 წელს, საერთაშორისო კონფერენციებზე მარტვილსა [ჭყედიძე 2013:80–81] და თბილისში 2015 წელს.

² შევნიშნავთ, რომ ტერმინ „ვერსიის“ გამოყენება შუა საუკუნეების თარგმანების აღსანიშნავად უკვე დამკვიდრებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

³ **ἐπερωτᾶν** „ვეკითხები“ აკუბატიკუსს ითხოვს იმისთვისაც, რის შესახებაც კითხვას ვსვამ და იმისთვისაც, ვისაც კითხვით მივმართავ, თუმცა ამ უკანასკნელისთვის სეპტუაგინტაში შეიძლება მიცემითი ბრუნვაც შეგვხვდეს, ხოლო ის, რის შესახებაც ვკითხულობ, **εἰς**-წინდებულაინი ფორმით იქნეს გადმოცემული. სწორედ ეს კონსტრუქცია გვაქვს 1 პეტ. 3:21-ში **ἐπερωτᾶν**-ს დერივატთან: **ἐπερώτημα εἰς θεόν**.

ἐπερώτημα-სთვის და იგივენაირად არის გაგებული 1 პეტ. 3:21 პატრისტიკის ლექსიკონსა [Lampe, 1961:515] და შუა საუკუნეების ბერძნულის ლექსიკონშიც [Sophocles 1992:496]. განსხვავება ჩვენ ვნახეთ მხოლოდ ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელშიც 1 პეტ. 3:21-ის **ἐπερώτημα** ინტერპრეტირებულია, როგორც „ნდობა“, „რწმენა“ [Δημητρακου 1953:2720].

ასე რომ, „ტრფილების“ შესაბამისი მნიშვნელობა **ἐπερώτημα**-სთვის ლექსიკონებში არ ჩანს. რა თქმა უნდა, ჩვენ ახლა უშუალოდ პეტრე მოციქულის პირველი ეპისტოლეს თარგმანებს ვნახავთ და სხვადასხვა მთარგმნელის მიერ 1 პეტ. 3:21-ის გაგებას გავცნობთ, მაგრამ მანამდე, სანამ მათ წარმოვადგენდეთ და ძველ ქართულ თარგმანებს შევადარებდეთ, გავიხსენოთ ტერმინის სრული კონტექსტი: მოციქული მოგვიწოდებს, ჩვენს გულებში უფლის წმინდად დაცვისკენ (1 პეტ. 3:15), რათა შეგვეძლოს საკუთარი რწმენის გამართლება მათ წინაშე, ვინც კითხვებს გვისვამს (15–16); მოგვიწოდებს კ ე თ ი ლ ი ს ი ნ დ ი ს ი ს (**συνειδησιον...ἀγαθῶν**) ქონისა და ქრისტესმიერი ცხოვრების წესით ცხოვრებისკენ (16), რათა ქრისტემ, რომელიც, თავად მართალი, ჩვენი ცოდვების გამო მოკვდა ხორციით, მაგრამ გაცოცხლდა სულით, ჩვენ წარგვადგინოს ღმერთის წინაშე (18–19); ნოეს კიდობანში მყოფ სულთა ხსნა წყლისგან (20) არის სახე ხსნისა წყალში ჩაძირვით (ნათლისღებით) — და ეს არის არა ხორცის ჭუჭყის მოშორება, არამედ კ ე თ ი ლ ი ს ი ნ დ ი ს ი ს (**συνειδήσεως ἀγαθῆς**) „ეპეროტემა“ ღვთის მიმართ ქრისტეს აღდგომის წყალობით (21), რომელიც ზეცაში მის ხელმარჯვნივსა და რომელსაც ემორჩილება ზეციური ძალები (22)⁴.

ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ფრაზისა და, შესაბამისად, ტერმინის კონტექსტი სრულიად ნათელია: ქრისტეს აღდგომის წყალობით ჩვენ გვეძლევა ღმერთთან ურთიერთობის დამყარების საშუალება ნათლობის გზით. მაგრამ რა ურთიერთობაზეა საუბარი კონკრეტულად? გიორგი მთაწმინდელის თარგმანით, როგორც ვთქვით, ეს არის ღვთისადმი გონების ‘ტრფილება’. ძველ ქართულ თარგმანებში ‘ტრფილება’, როგორც ვიცით, გადმოსცემს სიყვარულს (**ἐρῶν**) ან სწრაფვას (**ἐφίεμαι, ὀρέγομαι**).

ახლა კი შევადაროთ 1 პეტ. 3:21-ის გიორგისეული თარგმანი სხვა ქართულ ვერსიებს და ვნახოთ ასევე რამდენიმე თარგმანი სხვა ენებზეც⁵:

1Pet. 3:21 [Aland...1994:393-394]	გიორგი მთაწმინდლის ვერსია [ლორთქიფანიძე, შანიძე 1956:62]	ადრეული ვერსია [ლორთქიფანიძე, შანიძე 1956: 021, 7, 22–23]
ὁ και ἡμᾶς ἀντίτυπον νῦν σώζει βάπτισμα οὐ σαρκὸς ἀπόθεσις ῥύπου ἀλλὰ συνειδήσεως ἀγαθῆς ἐπερώτημα εἰς θεόν δι’ ἀναστάσεως Ἰησοῦ Χριστοῦ...	რომლისა სახედ აწ თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებად, არა ჳორცთაგან განშორებად მწინკულისად, არამედ გონებისა კეთილისა ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ა დ ღმრთისა მიმართ აღდგომითა იესუ ქრისტესითა...	რომლისა სახედ აწ თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებად, არა ჳორცთაგან განშორებად მწიკულისად, არამედ გონებისა ს ა თ ნ ო -ყ ო ფ ა დ ღმრთისა...

საპატრიარქოს რედაქცია [ბიბლია, 1989:1110]	ზ.კიკნაძისა და მ. სონღულაშვილის თარგმანი [ახალი აღთქმა, 1992:307]	ბ. ბრეგვაძის თარგმანი [ახალი აღთქმა, 2004:320]	ბიბლიის თარგმნის ჯგუფი [ახალი აღთქმა, 2016:356]
ეს იყო ხატება ნათლისღებისა, რაიც ამჟამად გვიხსნის ჩვენ (არა ჭუჭყის ჩამორეცხვა ხორცისგან, არამედ წრფელი სინიდისით ს ი ე ვ ა რ უ ლ ი ღმრთის მიმართ) იესო ქრისტეს აღდგომით...	რაც იყო ხატება ნათლისღებისა, რომელიც ამჟამად თქვენ გიხსნით (იგი ხორციელი ჭუჭყის ჩამორეცხვა კი არ არის, არამედ კეთილი სინიდისის ღვთისათვის შ ე პ ი რ ე ბ ა) იესო ქრისტეს აღდგომით...	ეს იყო ხატება ნათლისღებისა, რაც ამჟამად გიხსნით (არა ჭუჭყის ჩამორეცხვა ხორციდან, არამედ წრფელი სინიდისის ს წ რ ა ფ ვ ა ღვთის მიმართ) იესო ქრისტეს მკვდრებით აღდგომის წყალობით...	რომლის მსგავსადაც თქვენ ახლა გაცხოვნებთ ნათლისღება — არა ხორცთაგან მწიკვლის მოშორება, არამედ კეთილი სინიდისით ღვთისკენ ს წ რ ა ფ ვ ა აღდგომით იესო ქრისტესი...

⁴ აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პასაჟის გიორგი მთაწმინდლისეული ვერსია [ახალი აღთქმა, 2003:258] მისდევს იმ ბერძნულ ტექსტს, რომელიც ვ. ალანდის გამოცემის კრიტიკულ აპარატში განეკუთვნება ე.წ. ბიზანტიურ ტიპს, კერძოდ კი — L ლიტერით აღნიშნულს [Aland... 1994:792–794].

⁵ შენიშვნის სახით ვიტყვით, რომ ჩვენ ვიზიარებთ აზრს 1 პეტ. 3:21-ში „ეპეროტემას“ ლათინური იურიდიული ტერმინის — „სტიპულაციოსთან“ დაკავშირების შესახებ. ამდენად, ჩვენი აზრით, 1 პეტ. 3:21 უნდა გავიგოთ, როგორც ღმერთთან შეთანხმების დადება წრფელი სინიდისის ქონის პირობით, რაც მოეთხოვება სწორედ ქრისტესიან პასაჟის კონტექსტის მიხედვით (შდრ. 1 პეტ. 3:16). ღმერთამდე მისვლა, მასთან ამ აღთქმის, შეთანხმების დადება შესაძლებელი ხდება სწორედ ქრისტეს მიერ ჩვენი ცოდვების გამოსყიდვის, მისი აღდგომისა და მამის ხელმარჯვნივ დამკვიდრების წყალობით. თუკი „ღიათეკს“ (**Ἰαθῆκη**) შემთხვევაში ღმერთი დებს შეთანხმებას ადამიანთან, „ეპეროტემის“ შემთხვევაში შეთანხმების სურვილს ადამიანი იჩენს, რასაც იგი მონათვლით ადასტურებს: ემორჩილება ღვთის ნებას, მოიცილებს სულიერ ბიწს და დებს კეთილი სინიდისის აღთქმას, პირობას.

⁶ 1 პეტ. 3:21-ის სხვა ენებზე თარგმანები (ვულგატა, სლავური, რუსული სინოდალური, New King James Version, ფრანგული Louis Segond-ისა) მოგვყავს მართლმადიდებლური ინტერნეტპორტალიდან [მის.:<https://azbyka.ru/biblia/?1Pet.3>].

ლათინური ვერსია, ვულგატა	სლავური ვერსია	რუსული თარგმანი, სინოდალური	ინგლისური თარგმანი, NKJV	ფრანგული თარგმანი, LSG
Cuius antitypum, baptismam, et vos nunc salvos facit, non carnis depositio sordium sed conscientiae bonae rogatio ⁷ in Deum, per resurrectionem Iesu Christi,	Его же воображѣніе нынѣ и насъ спасаетъ крещеніе, не плотскія отложѣніе сквѣрны, но совѣсти бл҃ги в о п р о ш е н і е ⁸ у Бѣга, воскресѣніемъ Исусъ Христѣвымъ,	Так и нас ныне подобное сему образу крещение, не плотской нечистоты омытие, но о б е щ а н и е ⁹ Богу доброй совести, спасает воскресением Иисуса Христа,	There is also an antitype which now saves us baptism (not the removal of the filth of the flesh, but the answer ¹⁰ of a good conscience toward God), through the resurrection of Jesus Christ,	Cette eau était une figure du baptême, qui n'est pas la purification des souillures du corps, mais l'engagement ¹¹ d'une bonne conscience envers Dieu, et qui maintenant vous sauve, vous aussi, par la résurrection de Jésus Christ,

როგორც ვხედავთ, გიორგისეული რედაქციის გარდა, **ἐπερώτημα**-ს „ტრფიალებად“ გაგებას ვერც უშუალოდ წმ. პეტრეს ეპისტოლეს სხვა თარგმანებში ვპოულობთ. ცხადია, ახალი აღთქმის ყველა არსებული თარგმანის ნახვა შეუძლებელია, თუმცა წარმოდგენილი მაგალითები საერთო სურათის შესახებ მაინც უნდა გვაძლევდეს გარკვეულ ინფორმაციას. მაგალითად, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ თარგმანების ერთ ნაწილში **συνειδήσεως ἀγαθῆς** გაგებულია, როგორც სუბიექტის ნათესაობითი (კეთილი სინდისის ტრფიალება ან სწრაფვა ღმრთისადმი), ხოლო მეორე ნაწილში — როგორც ობიექტის ნათესაობითი (ღმრთის მიმართ კეთილი სინდისის თხოვნა, ან შეპირება, ან მისთვის სათნო-ყოფა). სამწუხაროდ, ჩვენი კომპეტენცია სირიული ვერსიის გათვალისწინების საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ, ვფიქრობთ, ისევე როგორც სხვა ძველ თარგმანებს, მასაც უნდა ეძებნებოდეს პარალელი ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში. დიმიტრაკოსის ლექსიკონში მოცემული მნიშვნელობაც **ἐπερώτημα**-სი („რწმენა“), რომელმაც ზემოთ მივუთითეთ, როგორც ჩანს, ასევე ეგზეგეტიკური ლიტერატურის გათვალისწინების შედეგია. სავარაუდო წყაროდ შეიძლება დავასახელოთ კირილე ალექსანდრიელი, რომელიც 1პეტ. 3:20-თან დაკავშირებით სვამს კითხვას: **Καὶ τί δὴ τοῦτο ἐστὶ τὸ ἐκ συνειδήσεως ἀγαθῆς εἰς θεὸν ἐπερώτημα;** და იქვე უპასუხებს, რომ აქ იგულისხმება ქრისტეს რწმენის აღსარება¹².

აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, გიორგისეული ვერსიაც, მიუხედავად ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი თარგმანისგან განსხვავებისა, ასახული იყოს ავტორიტეტულ მამათა ეგზეგეტიკურ ნაშრომებში. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება ეფრემ მცირის თარგმანი სამოციქულოს განმარტებისა (წმინდა მამათა ნაწერებიდან გამოკრებილი), რომელშიც 1პეტ. 3:21 სწორედ გიორგისეული რედაქციით არის ციტირებული¹³ და შესაბამისი განმარტებაც აქვს დართული:

„გარნა ესე საძიებელ არს მორწმუნეთა მათჳს ნათელღებულთა, რადთა არა ჳორცთა განბანისა ნივთად ი ჳუმონ წყალი იგი ნათლისღებისაჲ, არამედ გონებისა კეთილისა შემატებითა უფროჲს აღმორძინებელ ყონ იგი ს უ რ ვ ი ლ ს ა და ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ა ს ა თჳსსა ღმრთისა მიმართ“ [კოჭლამაზაშვილი, 2011:500].

მაგრამ საკითხავია, ეს განმარტება ეფრემის ტექსტში გიორგისეული თარგმანით არის შთაგონებული თუ, პირიქით, გიორგის თარგმანი იმ წყაროს გათვალისწინების შედეგი, რომლითაც ასევე სარგებლობს ეფრემი. სამწუხაროდ, ეფრემ მცირის ნაშრომში 1პეტ. 3:21-თან დაკავშირებული პასაჟის უშუალო წყაროს ბერძნულენოვან ლიტერატურაში ვერ მივაკვლიეთ, თუმცა ზოგიერთი ტექსტი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს გიორგისეული ინტერპრეტაციის საფუძვლად. მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, პეტრეს პირველი ეპისტოლეს განმარტება თეოფილაქტე ბულგარელის მიერ (მე—11 ს.), რომლისთვისაც, როგორც ვიცით, დამახასიათებელია მთელი პატრისტიკული ეგზეგეტიკის თავის კომენტარებში მაქსიმალურად სრულად გათვალისწინება.

უნდა ითქვას, რომ თეოფილაქტეს განმარტებები ძველი ქართული ვერსიის („გონებისა ს ა თ ნ ო -ყ ო ფ ა ო ღმრთისა“) წარმომავლობასაც ჰყენს ნათელს. 1პეტ.3:15—22-ის კომენტარებისას თეოფილაქტე ლაპარაკობს ღვთის კეთილგანწყობის მოპოვების შესახებ, როდესაც, თანახმად ესაიასი (ეს. 8, 13), ჩვენს გულეებში წმინდად გვეყოლება უფალი, ანუ უზნეობ-

⁷ rogatio — „კითხვა“ „თხოვნა“, ასევე „საკითხის დაყენება“ (იურიდიული გაგებით); საეკლესიო ლათინურში აღნიშნავს „ვედრებას“.

⁸ вопрошѣніе — „კითხვა“, „ვედრება“.

⁹ обещание — „შეპირება“, „აღთქმა“.

¹⁰ answer — აქ: „შეპირება“, „ვალდებულებად ცნობა“.

¹¹ engagement — „შეპირება“, „ვალდებულება“.

¹² Cyr. Alex., *Omil. Pasch.*, in PG 77:976 C. სირიულ თარგმანში, როგორც დოქტ. ვიქტორია ჯუღელმა გვითხრა, **ἐπερώτημα**-ს შესაბამისი სიტყვა აღნიშნავს სწორედ „აღსარებას“, „რწმენას“.

¹³ გიორგისეული თარგმანის რედაქტირებისას ეფრემს ამ ადგილას მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ჩასწორება აქვს გაკეთებული [ლორთქიფანიძე/მანიძე, 1956:62].

ისა და წარმართობის ჭეჭყს მოვიშორებთ და ყველასთვის თვალსაჩინო სამართლიანი ცხოვრებით ვიცხოვრებთ. კერძოდ კი, მისი თქმით,

„თუკი ღმერთი მოწყალე გვეყოლება და შემსმენი ჩვენი ლოცვებისა, ბოროტი ვერაფერს დაგვიშავებს; სარწმუნოების გამო განსაცდელი ცუდი რომ იყოს, სიკეთეთა საუნჯეთმპყრობელი არ მოგვივლენდა მას ჩვენ, ვინც მისთვის საყვარელი ვართ (τούς ἀγαπημένους).“¹⁴

გარდა იმისა, რომ თავისთავადაც ზმნა ἀγαπάω თავისი მნიშვნელობით ძალიან ახლოს არის „სათნოდ მიჩნევასთან“, მთელი პასაჟი სწორედ ღვთისთვის სათნოდ ყოფნის სიკეთეს გვისაბუთებს. ჩვენ სწორედ სათნონი ვართ მისთვის, ვისთვისაც საყვარელი ვართ, ვინც ჩვენ მიმართ მოწყალეა და ჩვენი შემსმენი.

აქვე თეოფილაქტე გვისხსნის, რომ, როდესაც შეურაცხყოფელთ ღირსეულად გავცემთ პასუხს, თავადვე ვირწმუნებთ ჩვენს კეთილსინდისიერებას (τότε ἑαυτοὺς συνειδῆναι πιστῶσθε ἀγαθὰ). მისი განმარტებით, პეტრე მოგვიწოდებს, მზად ვიყოთ სწავლებისთვის, რადგან შემსმენი (σύνεισις გულისხმისყოფისა) და ძიებნი (ἐξέτασις) გარეშე რამის ცოდნა შეუძლებელია. თანაც, რაკი ქრისტიანებს ბევრ უკანონობას აბრალევენ და მათ სასოებას ფუჭად წარმოაჩენენ, ამას მოფიქრებული პასუხები უნდა შეაგებონ საყოველთაოდ ქებული (συνέπαινον) ცხოვრების წესის მქონეებმა, რასაც, თეოფილაქტეს თქმით, მოციქული ასევე შეგნებას, სინდისიერებას (συνειδησιον) უწოდებს¹⁵. იგი ამბობს:

„... წყალი ჭეჭყს რეცხავს ხორცისაგან, ხოლო ნათლობის წყალი სიმბოლურად სულს აცილებს ბიწიერებას, რაც არის თითქოსდა საწინდარი ღმერთის მიმართ კეთილი სინდისისა (τῆς πρὸς Θεὸν ἀγαθῆς συνειδήσεως)“¹⁶.

თეოფილაქტე აქ კვლავ იმეორებს სიტყვა „ძიებას“: იგი განმარტავს, რომ συνειδήσεως ἀγαθῆς τῆς εἰς θεὸν ἐπερώτημα აღნიშნავს სწორედ ძიებას (ἦτοι ἐξήτησις)¹⁷, რადგან ისინი, რომელთაც უწყიან თავიანთი სიკეთე, ანუ, ვინც უმწიკვლო ცხოვრებას მისდევენ, სწორედ ისინი ელტვიან (προστρέχουσι) წმინდა ნათლობას¹⁸.

ἐπερώτημα-ს და ἐξήτησις-ის დაკავშირებისას თეოფილაქტეს განმარტება უთუოდ ითვალისწინებს პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეს იმ პასაჟს, რომელშიც ასევე ესაიაზე მითითებით თითქოს პეტრეს საპირისპირო რამ არის ნათქვამი: „ხოლო ესაია იკადრებს და იტყვს: ვებოვე მათ, რომელნი მე არა მეძიებდეს (μὴ ζητοῦσιν), და განვეცხადე მათ, რომელნი მე არა მიკითხვიდეს (μὴ ἐπερωτῶσιν)“ (რომ. 10:20). რა თქმა უნდა, მოციქულთა გამონათქვამები ერთმანეთს უკავშირდება და ავსებს: რომაელებს პავლე ელაპარაკება ღვთის გამოცხადებაზე წარმართებთან (რომლებიც მას არ ეძიებდნენ), ხოლო პეტრესთან საუბარია, ზოგადად ადამიანის მიერ ღმერთის ძიების აუცილებლობაზე ქრისტეს გამოცხადებისა და აღდგომის შემდეგ.

ამრიგად, თეოფილაქტე „ეპეროტემას“ განმარტავს, როგორც „ძიებას“, რაც კეთილსინდისიერი ადამიანების ნათლობისკენ ლტოლვით ვლინდება. ეს კი თავის მხრივ, ცხადია, ღვთისკენ ლტოლვას გულისხმობს. ვფიქრობ, გიორგისეული „ტრფიალება“, გავიგებთ მას სიყვარულად თუ სწრაფვად, პეტრეს პირველი ეპისტოლეს 3:21 მუხლთან დაკავშირებული სწორედ ამ ტიპის ეგზეგეტიკური ლიტერატურის გათვალისწინების შედეგი უნდა იყოს¹⁹.

„იგივე საბურველი საკითხავსა მას ზედა ძუელისა მჯულისასა ჰკიეს აღუძრცუელად“ (2 კორ. 3:14)

წყაროს თვალსაზრისით ასევე საინტერესოა პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ მე-2 ეპისტოლეს ერთი პასაჟის ძველი ქართული თარგმანი, რომელშიც ἐπι τῆ ἀναγνώσει („კითხვისას“) გადმოტანილია როგორც „საკითხავი“ (2 კორ. 3:14).

ვნახოთ 2 კორ. 3:14-ის სხვადასხვა თარგმანი²⁰:

¹⁴ Theophyl. Bulg., In 1 Pet., in PG 125:1228 B–C.
¹⁵ Theophyl. Bulg., In 1 Pet., in PG 125:1128 D-1229 C.
¹⁶ Theophyl. Bulg., In 1 Pet., in PG 125:1133 A-C
¹⁷ V.I. ἐξέτασις, ἐκλήτησις [PG 125:1133].
¹⁸ Theophyl. Bulg., In 1 Pet., in PG 125: 1133 C-D.

¹⁹ შევნიშნავთ, რომ საკითხის შემდგომმა კვლევამ სრულიად შესაძლებელია უფრო ზუსტი წყაროც გამოავლინოს, თუნდაც სირიულენოვან ეგზეგეტიკაში.

²⁰ 2 კორ. 3:14-ის სხვა ენებზე თარგმანები (ვულგატა, სლავური, რუსული სინოდალური, New King James Version, ფრანგული Louis Segond-ისა) მოგვყავს მართლმადიდებლური ინტერნეტპორტალიდან [მის.:<https://azbyka.ru/biblia/?2Cor.3>].

2Cor. 3:14 [Aland...1994:616-617]	გიორგი მთაწმიდლის რედაქცია [ძონიძე, და-ნელია, შანიძე 1974:177]	საპატრიარქოს თარგმანი [ბიბლია, 1989:1149]	ზ. კიკნაძისა და მ. სონ-ღლაშვილის თარგმანი [ახალი აღთქმა, 1992:388]	ბ. ბრეგვაძის თარგმანი [ახალი აღთქმა, 2004:399]
ἀλλὰ ἐπάρῳθῃ τὰ νοήματα αὐτῶν ἄχρι γὰρ τῆς σήμερον ἡμέρας τὸ αὐτὸ κάλυμμα ἐπὶ τῆ ἄν-α γ ν ὠ σ ε ι τῆς παλαιᾶς διαθήκης μένει μὴ ἀνακαλυπτόμενον ὅτι ἐν Χριστῷ καταργεῖται.	არამედ დაბრმეს გონე-ბანი მათნი, რამეთუ ვიდ-რე დღენდელად დღედ-მდე იგივე საბურველი ს ა კ ი თ ხ ა ვ ს ა მას ძუ-ელისა შჯულისასა ჰვიეს ალუქრცუელად, რამეთუ ქრისტეს მიერ განქარ-დების.	მაგრამ დაბრმავდა მათი გონება: რადგან იგივე საბურველი, ძველი აღთქმის კ ი თ ხ ვ ი ს ა ს დღემდე ჩამოუსნეული რჩება, ვინაიდან ის იხ-სნება ქრისტეს მიერ.	არამედ დაჩლუნგდა მათი გონება, ვინაიდან ძვე-ლი აღთქმის კ ი თ ხ ვ ი ს ა ს დღემდე რჩება იგივე მოუსნეული რიდე, რად-გან იგი ქრისტეში გადა-იხლება.	მაგრამ დაჩლუნგდა მათი გონება, რადგანაც იგივე რიდე, ძველი აღთქმის კ ი თ ხ ვ ი ს ა ს, დღემდე ჩამოუსნეული რჩება, ვინაიდან მხოლოდ ქრისტე-ში იხსნება იგი.

ლათინური ვერსია, ვულგატა	სლავური ვერსია	რუსული თარგმანი, სინოდალური	ინგლისური თარგმანი, NKJV	ფრანგული თარგმანი, LSG
Sed obtusi sunt sensus eorum. Usque in hodiernum enim diem idipsum velamen in l e c t i o n e Veteris Testamenti manet non revelatum, quoniam in Christo evacuatur;	Но ослѣпѣишася помышлѣнія ѱхъ: дѣже бо до сегд днѣ тѣжде покрывало во ч т ѣ н и и вѣтхаго завѣта пребываеѣт не откровѣно, занѣ о Христѣ престаеѣт.,	Но умы их ослеплены: ибо то же самое покрывало донныне остается неснятым при ч т е н и и Ветхого Завета, потому что оно снимается Христом.,	But their minds were blinded. For until this day the same veil remains unlifted in the r e a d i n g of the Old Testament, because the veil is taken away in Christ.	Mais ils sont devenus durs d'entendement. Car jusqu'à ce jour le même voile demeure quand, ils f o n t l a l e c t u r e de l'An-cien Testament, et il ne se lève pas, parce que c'est en Christ qu'il disparaît.

როგორც ვხედავთ, სხვა ენებზე, ასევე თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმანებში ἀνάγκωσις-ს შეესაბამება „კითხვა“. რატომ გადაწყვიტა ძველმა ქართველმა მთარგმნელმა (რაც გიორგი მთაწმინდელმაც გაიზიარა) ამ სიტყვის გადმოტანა როგორც „საკითხავის“? უნდა ითქვას, რომ ἀνάγκωσις-ს აქვს ასევე საკითხავის სპეციალური მნიშვნელობა იმ ტექსტების აღსანიშნავად, რომლებიც ლიტურგიის დროს იკითხება, მაგრამ პავლეს ეპისტოლეში საუბარია პროცესზე, კითხვაზე, თუნდაც აქ ებრაელების მიერ კონკრეტულად სინაგოგაში ძველი აღთქმის წიგნების კითხვა იგულისხმებოდა.

გავიხსენოთ პავლეს ეპისტოლეს ციტირებული მუხლის კონტექსტი: მოციქული მთელ ამ თავში განასხვავებს იმას, რაც წერია რამე საგანზე, იმისგან, რაც ადამიანის გულზე იწერება. ნათლობისას ცოცხალი სულით მონიჭებული ჭეშმარიტება უშუალოდ გულის ფიცარზე აღიბეჭდება და არა — ქვაზე მელნით გამოყვანილ ასოებში. და, რაკი ნაწერი აკვლინებს, სული კი აცოცხლებს, უნდა ვემსახუროთ აღთქმის არა ნაწერს, არამედ სულს (2 კორ 3:1-11). მოციქულები პირდაპირ, ღიად ლაპარაკობენ და არა — როგორც მოსე, რომელიც საბურველით ფარავდა დიდების ქრობას²¹ (12-13). გაქვავებული ამროვნებისთვის დღემდე რჩება მოუსნეული ძველი აღთქმის ეს საბურველი, რომელიც ქრისტეს მიერ უქმდება კითხვისას (ἐν ἡ τῆ ἀναγκωσι); დღემდე, როდესაც მოსე იკითხება ἀναγκωσικηται, საბურველი დევს მათ გულზე, რომელიც უფლისკენ მოქცევისას მოიძარცვება (14-16).

ამგვარად, პავლე მოციქულის მიხედვით, ებრაელები ვერ ხედავენ, რომ ძველი აღთქმის დიდება განქარვდა ქრისტეს მოსვლით, ისინი ასოებს არიან მიჯაჭვულნი და ვერ იგებენ წმინდა წერილის სულს. ქრისტიანულ ჰერმენევტიკაში პავლეს ეს პასაჟი გაიგება, როგორც მიმართება ნაწერსა და მის სულიერ გავებას შორის. თუმცა გარკვეული განსხვავებები მამების ინტერპრეტაციაში მაინც შეინიშნება. იოანე ოქროპირის განმარტებით, საბურველი არ უნდა გავიგოთ, როგორც რჯულის არასიცხადე, არამედ როგორც იუდეველთა გულის სიუხეზე, რომელიც ვერ ხედავს, რომ რჯულის დიდება ქრისტეს დიდებისკენ არის მიქცეული, რომ იგი უქმდება ქრისტეს მიერ. იოანე გვიხსნის:

„პავლემ ის კი არ თქვა, საბურველი ასოებზე არისო, არამედ — მისი კითხვისას არისო, კითხვა კი მკითხველზეა დამოკიდებული; ასევე თქვა: როდესაც მოსე იკითხებოდა“²².

მაგრამ ორიგენე, რომელიც საკუთარ ჰერმენევტიკულ თეორიას სწორედ გამ. 34:29-35-ზე დაყრდნობით და კორინთელთა მიმართ პავლეს მე-2 ეპისტოლეს გათვალისწინებით განსაზღვრავდა, თავის „საწყისებში“ ძველი და ახალი აღთქმის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას წერდა:

²¹ შდრ. გამ. 34:29-35. შეშინებული ებრაელების წინაშე მოსე საბურველს იფარებდა პირისახეზე, რომელიც ღმერთთან სიახლოვის შედეგად უჩვეულოდ ჰქონდა განათებული, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ელვარება ქრებოდა.

²² Jo. Chrys., Hom. in 2 Cor., in PG 61:444-446.

„ნათელი, რომელიც მოსეს სჯულს გააჩნდა, მაგრამ დაფარული იყო მასში საბურველით, ქრისტეს მოსვლასთან ერთად აელვარდა, როცა საბურველი ჩამოიხსნა და თანდათანობით ხილული გახდა ის სიკეთეები, რომლის ჩრდილსაც ინახავდა წერილი“²³.

ორიგენესთან საბურველი (**κάλυμμα**) მეტაფორულად ძველი აღთქმის ტექსტად გაიგება, რომელიც ამდენად ალევ-ორიულ განმარტებას ექვემდებარება. 2 კორ. 3:16-ის ამგვარი ინტერპრეტაცია ქრისტიანული ჰერმენევტიკისთვის მისა-ღები აღმოჩნდა. ჰერმენევტის მიზანი სწორედ ამ ტექსტის მიღმა სულიერი საზრისის დანახვა და გამოვლენაა. გრიგოლ ნოსელი „ქებათა ქების განმარტების“ შესავალში ამბობს, რომ ხორციელთაგან გონით საწვდომთაგან გადასვლას მოცი-ქული უფლის მიმართ მოქცევას უწოდებს და საბურველის მოცილებას²⁴.

ბასილი დიდთან „საბურველის“ ორივე გაგებას ვხვდებით: იგი აღნიშნავს იმასაც, რაც, ებრაელების გულს გადაფარე-ბული ჭეშმარიტების დანახვას აბრკოლებს²⁵ და ასევე აღნიშნავს თავად ნაწერის დაფარულობასაც. „სულიწმიდის შესა-ხებ“ ტრაქტატში ბასილს მოჰყავს 2 კორ. 3:14–17 და ამგვარ კომენტარს ურთავს:

„... ვინც შეძლო რჯულის საზრისის სიღრმეში შეჭრა და ასოს არასიცხადის, როგორც რაღაც კრეტსაბმელის გახსნით, გამოუთქმელთა შიგნით აღმოჩენა, მან მიჰბაძა მოსეს, რომელიც ღმერთთან საუბრისას იხსნიდა საბურველს და თავად მიიქცეოდა ასოდან სულისაკენ. ასე რომ, მოსეს პირისახეზე საბურველის ანალოგიურია სჯულისმიერ სწავლებათა არასიცხადე, ხოლო უფლისაკენ მიქცევის [ანალოგიურია] სულიერის ჭვრეტა. ამგვარად, ვინც სჯულის კითხვისას უკუაგდებს ასოს, ის მიიქცევა უფლისაკენ — უფალი აქ სულიწმიდაზე ითქმის — და მსგავსი ხდება მოსესი, რომელსაც ღვთის გამოვლინების გამო პირისახე ჰქონდა განდიდებ-ული...“²⁶

მიუხედავად იმისა, რომ 2 კორ. 3:14-ის **ἐπὶ τῇ ἀναγνώσει** საზოგადოდ გაიგება როგორც „კითხვა“, ქართულ ვერსი-აში მისი თარგმანა როგორც „საკითხავისა“, ჩვენი აზრით, მთლიანობაში პასაჟის პატრისტიკული ეგზეგეტიკის გათვალის-წინების შედეგი უნდა იყოს. კერძოდ, იგი მიგვიბრუნებს მოსეს (ანუ საკითხავის) კითხვისას ჭეშმარიტების საწვდომად ქრისტესაკენ მიქცევის აუცილებლობაზე და, მეორე მხრივ, მიგვანიშნებს თავად ძველი აღთქმის ტექსტის (საკითხავის) მიღმა სულიერი საზრისის ძიების აუცილებლობაზე.

„დღე ერთი“ (დაბ. 1:5)

ეგზეგეტიკური ნაშრომის მიხედვით წმინდა წერილის თარგმანის ტექსტის გასწორების უაღრესად საინტერესო შემ-თხვევას ვხვდებით ბასილი დიდის „ექვსთა დღეთას“ ძველ ქართულ ანონიმურ თარგმანში²⁷.

დაბ. 1:5 სეპტუაგინტა [Wevers, 1974: 76]	სინური ლექციონარი [მელიქიშვილი 1974] ²⁸	მცხეთური ბიბლია [დოჩანაშვილი, 1981]
καὶ ἐκάλεισεν ὁ θεὸς τὸ φῶς ἡμέραν καὶ τὸ σκοτός ἐκάλεισεν νύκτα καὶ ἐγένετο ἑσπέρα καὶ ἐγένετο πρῶν ἡμέρα μία.	და უწოდა ღმერთმან ნათელსა მას დღეს და ბნელსა მას უწოდა ღამეს. და იყო მწუხრი და იყო განთიად დღეს იგი <i>ერთი</i> <i>ღელი</i> .	და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი.

დაბადების ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემის (Wevers, 1974: 76) აპარატის მიხედვით, **ἡμέρα πρώτη** („დღე პირველი“) სეპტუაგინტას რედაქციებს შორის არ დასტურდება, მაგრამ დასტურდება აკვილას თარგმანში. სა-კითხი, თუ საიდან აღმოჩნდა ეს ვარიანტი ბიბლიის ჩვენთვის ცნობილ ყველაზე ადრეულ ქართულ თარგმანში, ცალკე შესწავლას მოითხოვს. ჩვენ ამჯერად მხოლოდ დაბადების ამ მუხლის ახალი რედაქციის ჩამოყალიბებაზე ვაგვამახვი-ლებთ ყურადღებას.

²³ Orig., *De Pr.* 4, 1, 6, p. 282Crouzel/Simonetti.

²⁴ Gr. Nyss. *In Cant.*, Prol, 6,6,11 (1.100, 17-19 Dünzl).

²⁵ Bas., *Adv. Eun.* 2, in PG 29: 609 E.

²⁶ Bas., *De Spir.* 21, 52, p. 208–209 Pruche.

²⁷ ტექსტი გამოცემულია ილია აბულაძის მიერ იერუსალიმის კოლეჯში არსებული ორი ხელნაწერის მიხედვით: №44 და №74 [აბულაძე, 1964: 11]. მისი წარმომავლობა პრობლემატურია, თუმცა წმინდა წერილის ციტაციების ტექსტი ახლოს არის ბასილის ამავე თხზულების გიორგი მთაწმინდლისეულ თარგმანში გამოყენებულ რედაქციასთან.

²⁸ წარმოდგენილი ტექსტი შესულია ასევე პარიზის ლექციონარის გამოცემაში [დანელია ... 1987].

დაბ. 1:5-ის დასკვნითი ნაწილის ἡμέρα μία, არსებითად, ერთი რედაქციით — „დღე ერთი“ — არის წარმოდგენილი ბიბლიის ყველა ქართულ ხელნაწერში; „დღე იგი პირველი“ მხოლოდ და მხოლოდ ლექციონარებში დასტურდება. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ბასილი დიდის თხზულებაში დაბადების ამ მუხლის ციტირებისას ყველა შემთხვევაში გვაქვს „დღე ერთი“. რაც შეეხება ძველ ანონიმ მთარგმნელს, მასთან თავდაპირველად მოტანილია ლექციონარების ვერსია — „დღე პირველი“, ხოლო შემდეგ იგი შეცვლილია ახალი თარგმანით — „დღე ერთი“. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? საქმე ის არის, რომ ეგზეგეტი ბასილი დიდი საგანგებოდ მსჯელობს იმაზე, თუ რატომ არის ნათქვამი წმინდა წერილში შესაქმის პირველ დღე-ღამეზე მარტივად „დღე“ და ასევე „ერთი“ და არა — „პირველი“. კერძოდ, მისი აზრით, 'ერთი' მიგვიჩვენებს დღე-ღამის ზომამზე (რომელიც უცვლელია) და, ამასთანავე, მარადიულობასაც ასახავს, რაკი ერთი დღე შვიდეულის აღვსებისას ისევ საკუთარ თავს უბრუნდება და, ამგვარად, დროის უსასრულო წრებრუნვას განაპირობებს (**Bas. Hex. 1, 8: 177-182 Giet**). სამწუხაროდ, ამ პასაჟის ძველი ანონიმური ქართული თარგმანი ნაკლულია, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას მანიც გვაწვდის. ვნახოთ ქართველი მთარგმნელის ვერსია:

„და იყო მწუხრი და იყო განთიადი დღე იგი პირველი“ (დაბ. 1:5). [...] ²⁹ დღესა მას ერთსა ღამითურთ მისით უწოდა დღე, და არა უწოდა დღე და ღამე, არამედ მისცა სახელის-დებად მძლესა მას. და ესე ჩუელებად იბოვების ყოველთა შინა წიგნთა რაცხვასა შინა ჟამთასა, რამეთუ აღირაცხვიან დღენი და არა თუ ღამენი დღეთა თანა. ვითარცა იგი იტყვს ფსალმუნთა შინა, ვითარმედ: *დღენი წელიწადთა ჩუენთანი* (ფს. 29:10). და კუალად იაკობ იტყვს: *დღენი ცხორებისა ჩუენისანი არიან მცირე და უნდო* (დაბ. 47: 9). და კუალად, ვითარმედ: *ყოველნი დღენი ცხორებისა ჩუენისანი* (ფს. 22:6). და ყოველი რომელი მოვსენებულ არს წიგნთა სიტყუასა შინა ამასვე სახესა ზედა. „და იყო მწუხრი და იყო განთიადი დღე იგი ერთი“ (დაბ. 1:5). რაფსათვს არა თქუა. „იყო დღე იგი პირველი“, არამედ თქუა: „იყო დღე იგი ერთი?“ და შეჰგავს მისა, რომელი-იგი იტყოდის ... ³⁰ [აბულაძე 1964: 38–39].

მიუხედავად ტექსტის ხარვეზისა, ჩვენ კარგად ვხედავთ, რა საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე: მთარგმნელი დაბ. 1:5-ის პირველად ციტირებისას, სავარაუდოდ, სარგებლობს ბიბლიის მის ხელთ არსებული ქართული თარგმანით (და იყო მწუხრი და იყო განთიადი დღე იგი პირველი), ³¹ შემდეგ კი, როდესაც იმ პასაჟის გადმოღებას იწყებს, რომელშიც ბასილი დიდი ხსნის, თუ რატომ ეწოდა პირველ დღეს „ერთი“, ამავე მუხლის ახალი თარგმანი მოაქვს (და იყო მწუხრი და იყო განთიადი დღე იგი ერთი). შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ წინაშე ავტორიტეტული ეგზეგეტიკური ნაშრომის გათვალისწინებით დაბ. 1:5-ის ახალი რედაქციის ჩამოყალიბების მომენტი.

ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე შემთხვევა წმინდა წერილის თარგმანისა, რომლებიც, ჩვენი დასკვნით, პატრისტიკული ეგზეგეტიკური ლიტერატურის გათვალისწინებით უნდა იყოს შესრულებული. ვფიქრობთ, წმინდა წერილის ქართული ტექსტების ამ კუთხით კვლევა კიდევ უფრო უკეთ დაგვანახებს ქართველ მთარგმნელთა მეთოდებსა და წმინდა წერილის ქართული რედაქციების ჩამოყალიბების პროცესს.

²⁹ ამ ადგილას ჩვენ გამოვტოვეთ ტექსტის ნაწილი.

³⁰ ამ ადგილას ტექსტი ნაკლულია თავად ხელნაწერში.

³¹ ბასილი დიდის „ექვსთა დღეთას“ ქართულ თარგმანებში გიორგი მთაწმინდელისა და ძველი მთარგმნელის მიერ მოტანილი ციტატები ძალიან ახლოს არის ლექციონარებში შესულ „დაბადების“ პირველი თავის ტექსტთან, რომელიც ომკური ტიპისად მიიჩნევა (მოსეს ხუთწიგნეულის ქართული რედაქციების შესახებ იხ.: გიგინეიშვილი, 1989: 9 და 40). თავად ომკის ბიბლის დასაწყისი, როგორც ვიცით, დაკარგულია.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ილია (გამომცემელი), 1964, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთასა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, X–XIII სს–ის ხელნაწერთა მიხედვით, თბილისი.
2. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი (მე–3 გამ.), 2003, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი.
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992, გადამუშავებული გამოცემა, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი.
4. ახალი აღთქმა, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი ძველი ბერძნულიდან, 2004, თბილისი.
5. გიგინეიშვილი ბაქარ, კიკვიძე ცოტნე (გამომცემლები), 1989, წიგნი ქუელისა აღთქმისანი, 1, შესაქმისა, გამოსვლათა, შესავალი ბ. გიგინეიშვილისა, თბილისი.
6. დანელია კორნელი, ჩხენკელი სტეფანე, შავიშვილი ბედისა (გამომცემლები), 1987, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ. 1, ნაწ. 1, ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები, გამოკვლევა კორნელი დანელიასი, თბილისი.
7. დოჩანაშვილი ელენე (გამომცემელი), 1981, მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), თბილისი.
8. კოჭლამაზაშვილი ექვთიმე (გამომცემელი), 2011, სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, 1, თბილისი.
9. ლორთქიფანიძე ქეთევან, აკაკი შანიძე (გამომცემლები), 1956, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X–XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, სერია: ძველი ქართული ენის ძეგლები, 9, თბილისი.
10. კახაძე მიხეილ (გამომცემელი), 1947, ბასილი დიდი, „ექუსთა დღეთა“, თბილისი.
11. მელიქიშვილი ნინო, 1974, ხუთწიგნეული ძველი ქართული ლექციონარების მიხედვით (ტექსტი და გამოკვლევა), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
12. მჭედლიძე მაგდა (2013), გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-40 ჰომილიაში სამი შობის შესახებ მსჯელობა, მისი ძველი ქართული თარგმანები და მიქაელ ფსელოსის კომენტარი თეზისების კრებულში: სერგი დანელიას დაბადებიდან 125 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი | საერთაშორისო კონფერენცია. მარტვილი ბანძა. რედ.: ივორ კეკელია (გვ. 80–81), ქუთაისი.
13. ოთხმეზური თამარ (1995), კომენტართა გავლენა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებზე, ჟურნალში: ფილოლოგიური ძიებანი, 2, რედაქტორი ელენე მეტრეველი (150–163), თბილისი.
14. ოთხმეზური თამარ (2011), კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები, თბილისი.
15. Aland Kurt, Barbara Aland et alii. 1994. The Greek New Testament (4th ed.). Stuttgart.
16. Cyrillus Alexandrinus. 1859. *Homiliae Paschale*. In Jacques Paul Migne (editor), *Patrologiae cursus completus. Series graeca*. T. 77 (cols. 391-981). Paris.
17. Basilius Caesariensis. 1886. *Contra Eunomium*. In Jacques Paul Migne (editor), *Patrologiae cursus completus. Series graeca*. T. 29. Paris.
1. Pruche Benoit (editor). 1945. Basile de Césarée, *Traité du Saint-Esprit*. Paris : le Cerf.
2. Stanislas Giet (editor). 1949. Basil de Césarée. *Homélie sur l'Hexaéméron*. Paris: Le Cerf.
3. Dünzl Franz (editor, traductor). 1994. Gregor von Nyssa, In *canticum canticorum homiliae* (3 vol.; Freiburg: Herder.
18. Δημητράκος Δημητριος Β. 1953. Μεγα λεξικον ολης της Ελληνικης γλωσσης, 6. Αθηναι.

19. Joannes Chrysostomus. 1862. *Homiliae in Epistolam secundam ad Corinthios*. In Jacques Paul Migne (editor): *Patrologiae cursus completus. Series graeca*. T. 61 (cols. 381-610).
20. Lampe Geoffrey William Hugo. 1961. *A Patristic Greek Lexicon*. Oxford.
21. Liddell Henry George, Scott Robert, 1996 *A Greek-English Lexicon*, Clarendon Press: Oxford
22. Crouzel Henri, Simonetti Manilio (editores, traductores). 1980. *Origène, Traité des Principes, t. III, Livre III et IV (SC 268)*. Paris.
23. Sophocles Evangelinus Apostolides. 1992. *Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods*. Hildesheim, Zürich, New York.
24. Theophylactus Bulgarus. 1864. *Expositio in epistolam 1 S. Petri*. In Jacques Paul Migne (editor): *Patrologiae cursus completus. Series graeca*. T. 125 (cols. 1191-1253).
25. Wevers John William (editor). 1974. *Septuaginta. Vetus Testamentum Graecum Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, 1, Genesis*. Göttingen: Vandenhoeck and Ruprecht.

MAGDA MTCHEDLIDZE

Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PATRISTIC EXEGETICS AS A SOURCE FOR GEORGIAN TRANSLATIONS OF THE HOLY SCRIPTURE

SUMMARY

Georgian translations of the Holy Scripture include some original versions of the terms or phrases found in the source texts, the provenance of which are difficult to establish. The research shows, that in certain cases the Georgian translators must have been guided by the interpretations of the Holy Scripture offered in Patristic exegetics. This article focuses on some examples of such versions: **1.** George the Hagiorite uses the word “ტრფიალება” (“love”, “desire”) for **ἐπερώτημα** in 1Pet. **3:21** (where baptism is defined as “...συνειδήσεως αγαθῆς ἐπερώτημα εἰς θεόν”). **None of the recensions of the Holy Scripture or the surviving translations offer this version.** **2.** In Old Georgian translations, **ἐπὶ τῇ ἀναγνώσει** from 2 Cor. **3:14** is rendered as “reading matter” (“τὸ αὐτὸ κάλυμμα ἐπὶ τῇ ἀναγνώσει τῆς παλαιᾶς διαθήκης μένει μὴ ἀνακαλυπτόμενον”), which cannot be found either in any Greek recension or the translations. **3.** In early Georgian translations of the Holy Scripture that are included in the Old lectionaries, **ἡμέρα μία** from Gen. **1:5** is rendered as „დღე იგი პირველი“ (“the first day”), while all later translations consistently offer a different version — „დღე ერთი“ (“one day”). **In this regard, it is interesting to examine the origin of the earlier version (ἡμέρα πρώτη, “the first day”, can only be found in the Aquila’s version), as well as the causes and the history of the subsequent revision.** Exegetic literature provides a key to all of the mentioned cases.

დედა შატიკიშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გეგმანიაში დატული ქართული ხელნაწერები

ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურიდან ევროპული კვლევის არეალში ყველაზე გვიან ქართული მოხვდა. დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი სირიული, ქრისტიანულ-არაბული, კოპტური ლიტერატურის შესახებ. უდავოდ, გაკვირვებას იწვევს ეს ფაქტი, რადგან ევროპას მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. ქართულმა ხელნაწერებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თავი მოიყარა საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე სამწიგნობრო-საგანმანათლებლო კერებიდან. შუა საუკუნეების ამროვნების ისტორიისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ცენტრები იყო: ეგვიპტეში - სინის მთა, პალესტინაში - იერუსალიმი, სირიაში - შავი მთა - ანტიოქია, ბიზანტიაში - ათონის მთა, პეტრიწონი. აღნიშნულ კერებში საუკუნეების განმავლობაში ქართველების მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდა ქართული ხელნაწერების კოლექციები, საიდანაც XVII-XIX სს.-ში გაედინებოდა უმნიშვნელოვანესი ნიმუშები ან მათი ფრაგმენტები.

საზღვარგარეთ დაცულ ქართულ ხელნაწერთაგან რამდენიმე ათეული ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ევროპაში სწორედ მათით დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა ფრანგმა მეცნიერმა მარი ფელისიტე ბროსემ. თანდათან ქართული ხელნაწერები საერთაშორისო კვლევის ობიექტად იქცა, რასაც ხელი შეუწყო სხვადასხვა პერიოდში უცხოეთის დიდ სამეცნიერო-საუნივერსიტეტო ცენტრებში მოღვაწე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა (პ. შუპარდტი, პ. პეეტერსი, ჯ. ბერძოლი, რ. ბლეიკი, ჟ. გარიტი, მ. ვან ესბროკი, ბ. უტიე, შ. რენუ, ა. ცაგარელი, ნ. მარი, მ. თამარაშვილი, მ. თარხნიშვილი, გრ. ფერაძე, ვ. ჯობაძე, ნ. და ვ. სალიები) ნაშრომებმა.

მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერებისა და მათი კვლევის შედეგების შესახებ კრიტიკული და შეკრებული ინფორმაციის მოპოვება ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ქართულ, რუსულ ენებზე არსებული კატალოგები, სამეცნიერო პუბლიკაციები და მათში ასახული კვლევის შედეგები იყო მოძველებული, საჭიროებდა კორექციას. სწორედ საზღვარგარეთ დაცული ქართული ხელნაწერების კვლევას ითვალისწინებდა 2015-2018 წწ.-ში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“, რომლის ფარგლებში პროექტის წევრებს მიეცა საშუალება ემუშავათ ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერებზე. ლაიფციგის უნივერსიტეტში მუშაობა ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქართულ ორიგინლებზე მუშაობის თხოვნით მიმართა მას საქართველოს მაშინდელმა ელჩმა გერმანიაში ბატონმა ლადო ჭანტურიაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ.

როგორც გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგიზაციის ისტორიამ აჩვენა, XIX—XX სს.-ების მიჯნაზე არცთუ ბევრი ქართული ხელნაწერი და ფრაგმენტი არსებობდა ბერლინის ყოფილი პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. მანქანაზე ნაბეჭდი ქართული ხელნაწერების სია, რ. მეკელაინის (ქართულ-გერმანული ლექსიკონის ავტორი (ბერლინი 1928) შედგენილი, იყო სულ ერთი გვერდი და შინაარსობრივად არადაძაგმაყოფილებელი. ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის K.Vollers-ის კატალოგში აღნუსხული იყო 5 ქართული ხელნაწერის მწირი აღწერილობა. ხელნაწერები იყო დაცული მარბურგსა და ტიუბინგენშიც. მოგვიანებით W.Voight-მა მარბურგიდან ხელნაწერები ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდს შეუერთა, ამავე ფონდს შეემატა ქართული ხელნაწერებიც ტიუბინგენიდან.

1963 წელს იულიუს ასფალგმა გერმანულ ენაზე გამოსცა იმ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, რომლებიც დაცულია გერმანიის საჯარო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში. მას კატალოგზე მუშაობისას თანადგომას უწევდნენ და დამატებითი ცნობებს აწვდიდნენ ჟ. გარიტი (ლიუვენი) და ფ. ჰალკინი (ბრიუსელი). მათ დაადგინეს ზოგიერთი ლიტურგიკული ფრაგმენტის რაობა. აღმწერლის სიტყვებით, ქართული ფილოლოგიის უხუცესმა აკაკი შანიძემ უპასუხა გამომცემლის არაერთ შეკითხვას, ხოლო ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ილია აბულაძემ ფასდაუდებ-

ელი დახმარება გაუწია: აწვდიდა ლიტერატურას და კატალოგის გასაუმჯობესებლად არაერთი სასარგებლო რჩევაც მისცა; დაეხმარა ზოგიერთი ტექსტის იდენტიფიკაციაში, რომელთა შესახებაც გერმანულ ქართველოლოგს არ ჰქონდა ცნობები; ასევე დაეხმარა პალეოგრაფიულ საკითხებში. ქართველოლოგმა ი. მოლითორმა (ბამბერგი) წიაკითხა კორექტურა. ასფალგისეული აღწერილობით გახდა ცნობილი გერმანიაში დაცული 15 ქართული ხელნაწერი, რომელთაგან 8 ბერლინში იყო დაცული, 5 ლაიფციგში, თითო-თითო გეტინგენსა და ჰალეში [Assfalg 1963(a): IX]. ნუსხა დღესაც ივსება.

ბერლინის ბიბლიოთეკაში XX ს-შიც შევიდა 3 ხელნაწერი და ამჟამად 11 ქართული ხელნაწერია აქ დაცული. ლაიფციგის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ინახება კვლავ 5 ხელნაწერი და ფრაგმენტი, თითო-თითო კი - გეტინგენის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და გერმანული ევროპული საზოგადოების ბიბლიოთეკაში ჰალეში. ბოლო მონაცემის საფუძველზე, გერმანიაში 18 ხელნაწერია დაცული. აღსანიშნავია ასევე ბერლინისა და ლაიფციგის კოლექციებში ხელნაწერების განაწილების ერთი თავისებურებაც. ერთი და იმავე დასახელების რამდენიმე კრებული ან სასულიერო მწერლობის ერთი და იმავე დარგის თხზულებათა რამდენიმე დამოუკიდებელი ფრაგმენტი გაერთიანებულია ერთ ნომრად, რის გამოც ზოგჯერ ერთი საფონდო შიფრის ქვეშ 4-5 ერთეული გვხვდება. ასე რომ, რეალურად, ქართული ხელნაწერების რაოდენობა მეტია და მათი რიცხვი 31-ს აღწევს.

ქართული წერილობითი სიძველეები გერმანიაში სხვადასხვა გზით მოხვედრილა. დაზუსტებული ცნობები უმეტესად არ არსებობს. ქართული ხელნაწერი წიგნის პირველი ცალები XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა, ხოლო ბოლო - XXI საუკუნეში. ამ ხელნაწერთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტების მოხვედრის ისტორია უკავშირდება ალექსანდრე ვონ ტიშენდორფის (1815-1874), გერმანელი თეოლოგის, უძველესი ენებისა და ქრისტიანული მწერლობის ისტორიის მკვლევრის, სახელს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ადრეული ქრისტიანული ძეგლებისა და ბიბლიის პალეოგრაფიის განვითარებაში. იგი სამგზის იმყოფებოდა სინის მთაზე, ასევე იერუსალიმში. ამ ადგილებიდან მოპოვებული წერილობითი სიძველეები, მათ შორის ქართულიც, დღეს დაცულია პეტერბურგში რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ლაიფციგის ქართული ხელნაწერების ფრაგმენტთა უმეტესობა სინური კოლექციიდან არის მოხვედრილი აქ.

ტიშენდორფის კოლექცია, რომელიც ლაიფციგშია დაცული, შედგება ქართული ხელნაწერების ერთეული ფურცლებისაგან, რომლებიც 4 შეკვრად არის აკინძული. კოლექციაში გვხვდება იოანე ზოსიმეს ხელით გადაწერილი ფრაგმენტები; ნაწყვეტი პეტრეს ეპისტოლიდან რომაელთა მიმართ; ასომთავრულით დაწერილი ფრაგმენტები კითხვა-მიგებისა; „მრავალთავის“ რამდენიმე ფურცელი, რომლებშიც წარმოდგენილია წმინდანთა ცხოვრებანი. ლიტურგიკული შრომებიდან ლაიფციგურ ხელნაწერებს შორის განსაკუთრებულია ფრაგმენტები „თენის“, „მარხვანის“ და სხვ. მაგალითად, ერთ-ერთი ერთეული შეიცავს X-XI სს.-ის 4 ფრაგმენტს, რომელთაგან ერთ-ერთი ტექსტი არის დასდებულნი ადგომისა და საშაბათონი. X ს. 4 ფ. (4r-v, 5r-v, 6r-v, 7r-v) ¹; პალიმფსესტი; ზედა ფენა ქართულია, ნუსხურითა და შავი მელნით ნაწერი; სათაურები სინგურითა და ასომთავრულით; გადამწერია იოანე-ზოსიმე. ფრაგმენტი არის Sin.O.Geo 34-ის ნაწილი და შესწავლილია აღნიშნულ კრებულთან ერთად [ხევსურიანი 1978: 88-122]. ქვედა ბერძნული ფენა არ არის იდენტიფიცირებული. ამავე ნომრის მეორე ფრაგმენტი კი წარმოადგენს კითხვა-მიგებას. X-XI სს. 3 ფ. (8r-v, 9r-v, 10r-v), ასომთავრულითა და შავი მელნითაა შესრულებული; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; ფურცლების ქვედა ნაწილში ტექსტის გარჩევა ვერ ხერხდება. უკანასკნელი ნაწყვეტი კითხვა-მიგებისა თანხვდება ანასტასი სინელის კითხვა-მიგების ტექსტს.

ლაიფციგშივე ინახება ალაპები იერუსალიმის ჯვრის მონატრის სვინაქსარიდან, XII-XVII [1620 წ.] სს., 4 ფ., (ფფ. 12, 13, 14, 15). შესრულებულია ეტრატზე, არის ფრაგმენტი, ნაწერია ცალ სვეტად, ნუსხურით, სხვადასხვა ხელით. ადგილ-ადგილ ზოგიერთი ასო ამოფხევილია ტექსტებიდან. ფრაგმენტში დაცულია იმ გარდაცვლილთა ხსენების დღეების სია, რომელიც აღველინებოდა ჯვრის მონასტერში, სავარაუდოდ, მე-13 საუკუნეში; ცნობილი პირების სახელები შესრულებულია სინგურით, ნუსხურით. ასევე გვხვდება სხვადასხვა ხელით შესრულებული მინაწერები.

პირველი ცნობა ზემოხსენებულ ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის შესახებ გამოაქვეყნა გრიგოლ ფერაქემ თავის წერილში. ის წერდა, რომ ლაიფციგის უნივერსიტეტში, ტიშენდორფისეული კოლექციის ქართულ ხელნაწერთა შორის არის ეტრატის 4 ფურცელი, რომლებიც შეიცავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპთა ტექსტებს და უფრო ძველია, ვიდრე ნ. მარის გამოცემული ალაპთა ტექსტის დედანი. გრ. ფერაქის ცნობას პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა მიაქცია ყურადღება. ს. ჯანაშიას მუზეუმმა 1954 წელს საქართველოს საგარეო სამინისტროს მეშვეობით მიიღო ამ ხელნაწერის მიკროფირი.

¹ ი. ასფალგს ქართული ფრაგმენტები ერთეულის საერთო სათვალავით აქვს აღწერილი [იხ.: Assfalg 1963(a):42-48].

ტიშენდორფისეული ნუსხა შეიცავს 102 ალაპს და ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი მოიცავს 1r-2r-ს და დაწერილია ერთი ხელითა და ერთი პრინციპით და წარმოადგენს მარხვისა და ზატიკის კვირებზე განწესებულ ალაპთა ნუსხას. მეორე ნაწილი წარმოადგენს არა ნუსხას, არამედ თვით ალაპებსა და მოსახსენებელს, დაწერილს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ. II ნაწილი მოიცავს სულ 74 ალაპს და პირველ ნაწილს არ უკავშირდება; მათი უმრავლესობა XV საუკუნეშია დაწერილი. ყველაზე გვიანდელია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მამობის დროს შედგენილი ალაპები. უკანასკნელი ალაპი 1620 წლით თარიღდება. ჯვრის მონასტრის ალაპები ყველა არსებული ნუსხით შესწავლილი და გამოცემულია [Mapp 1914; მეტრეველი 1962: 72-78].

გერმანიაში დაცულ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველია გეტინგენის პალიმფსესტის ფრაგმენტი, რომლის ქვედა ფენა შეიცავს სირიულ ტექსტს, ზედა ქართული ფენა კი იოანე-ზოსიმეს ხელითაა ნაწერი. ეს ფრაგმენტები ახლოს დგანან ლა-იფციგის უნივერსიტეტის ტიშენდორფისეულ ხელნაწერებთან ასაკითაც და მნიშვნელობითაც.

გეტინგენის ხელნაწერის ფრაგმენტებზე დაცულია ალექსანდრე კვპრელის „ჯვრის პოვნის საკითხავი“ და კირილე იერუსალიმელის „გამოჩინება პატიოსნისა ჯუარისა“ ქართული თარგმანი. X ს. ეტრატი; პალიმფსესტი; ნუსხური; შავი მელანი. ფრაგმენტი არის Sin.N.Geo. 20-ის ნაწილი. ფრაგმენტთა პირვანდელი ზომა აღდგენილია Sin.N.Geo. 20-ის მიხედვით. გადამწერი იოვანე-ზოსიმე. ქვედა ფენა სირიულია. პალიმფსესტი, ი. ასფალგის თანახმად, დაცულია გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სირიულ ფონდში 84, 86, 88, 89, 90, 91 და 92 ნომრებით [Assfalg 1963 (b): 34]. ქართული ტექსტი ნაკლულია (Assfalg 1963(a):29-35). ხელნაწერის ფრაგმენტები, გეტინგენის გარდა, არის დაცული ბირმინგემში [Garritte 1967: 557], პრინსტონსა და ახალ სინურ კოლექციაში Sin.N.Geo.20. ეს ნაწყვეტები ერთმანეთს აკვსებს [შანიძე, 1999: 113; აღმოჩენები 2005: 266-267].

ბერლინის 11 ხელნაწერს შორისაა ეტრატის რამდენიმე გრაგნილი. ასეთია, მაგალითად, იოანე ოქროპირის ჟამისწირვის გრაგნილი XV-XVI სს.-ისა. იგი შედგება 5 კეფისაგან; ნაწერია ნუსხურითა და ყავისფერი მელნით; ნაკლული; ხელნაწერი შექმნილია ქაიროში კონსულ ბრუგის მიერ. ტექსტი XI ს. გავრცელებული რედაქციაა. ფრაგმენტები შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში (Assfalg 1963: 2-3). ბერლინში დაცულია კიდევ ერთი ერთეული იოვანე ოქროპირის ჟამისწირვისა, რომელიც 4 თავნაკლულ გრაგნილს შეიცავს. ყველა თარიღდება XV ს.-ით, ყველა ეტრატზეა ნუსხურით შესრულებული. ერთ-ერთი შედგება სამი კეფისაგან და გამორჩეულია მხატვრულ-დეკორატიული გაფორმებით: კეფის წინა მხარე შემკულია ცხოველთა ფერადი გამოსახულებებით. გრაგნილს აქვს მინაწერები ორივე მხარეს; ჟამისწირვის მეორე გრაგნილი გვიანდელი რედაქციისაა, შედგება სხვადასხვა ზომის სამი კეფისაგან, კეფის ორივე მხარეს ერთვის გაუწაფავი ხელით შესრულებული მინაწერები. მესამე გრაგნილი დამაგრებულია კონდაკზე. ზურგის ნაწილი უკავია მინაწერებს; სათაურები და საზედაო ასოები ტექსტში შესრულებულია სინგურით. ადგილ-ადგილ ასოები გამოტოვებულია და სტრიქონები ძნელად იკითხება. IV გრაგნილი გამორჩეულია და სხვაობს დანარჩენებისაგან იმით, რომ ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. განთავსებულია მხოლოდ წინა მხარეს. საზედაო ასოები და სათაურები სინგურით, ერთეულში შესული სამი გრაგნილის მსგავსად. ფრაგმენტები შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში [Assfalg 1963 (a):3-7].

ბერლინში დაცული დანარჩენი ხელნაწერები მნიშვნელოვნად გვიანდელი პერიოდისაა და ნაწერია მხედრულით. მათგან რამდენიმე ქართული ხელნაწერი კავკასიაში მოგზაურობის დროს საჩუქრად მიუღიათ ბარონ როზენსა და კოხს.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გერმანელი ბოტანიკოს-დენდროლოგი, მოგზაური კოხი (1809-79) იყო კავკასიაში, ხუთჯერ ეწვია თბილისს. თავისი მოგზაურობის შედეგები გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნად. ერთ-ერთი წიგნია „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში“, რომელიც გერმანულად გამოქვეყნდა 1842-43 წწ.-ში. წიგნის ერთი თავი მთლიანად ეძღვნება თბილისს, რომლის შესახებაც კოხი წერს: „მე არ ვიცი სხვა ადგილი, რომელსაც ჩემზე ასეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინოს იმიტომ, რომ აქ, თბილისში, აღმოსავლური ხასიათი ევროპულის გვერდით საკმაოდ წმინდად არის შემონახული... ყველაზე ლამაზად მაინც მტკვრის ნაპირას მდებარე, ჩამწკრივებული სახლები გამოიყურება, განსაკუთრებით საღამო ჟამს, როდესაც მდინარეში ათასფერადი ნათურების სინათლე ირეკლება ხოლმე... თბილისში დიდი ხანია არსებობს გიმნაზია...“ [მამაცაშვილი 1981:120-140]. სწორედ მისთვის უჩუქებიათ საქართველოში კათოლიციზმის ისტორიისათვის საინტერესო ხელნაწერი „ლოცვანი“ 1778 წ.-ისა, რომელიც ამჟამად ბერლინში ინახება. წიგნი შედგება 74 ფურცლისაგან, ნაწერია ქაღალდზე მხედრულით, აქვს XVIII საუკუნის ტვიფრული ტყავის ყდა. ტექსტი ნაკლულია. ხელნაწერი გაფორმებულია ტექსტის მელნით შესრულებული გაფერადებული ნახატებით, რომლებიც შეიცავს ეპიზოდებს იესოს ქრისტეს ცხოვრებიდან. ერთ მინიატურას აქვს ქართულად განმარტებითი წარწერა. ქვემო ნაწილში 2 იარუსად გამოსახული არიან წმინდანები. კრებულში შესულია: „წმიდა წირვის მოსმენის საიდუმლოებანი“; „ლითანია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმართ“. ლოცვები თარგმნილი უნდა იყოს ლათინურიდან და ლათინური მინაწერები მექანიკურად

არის გადატანილი ტექსტში. მინაწერების უმეტესობა აღარ იკითხება. ფრაგმენტები შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში [Assfalg 1963 (a):13-16].

ბარონი როზენისაგანაა მიღებული ერთ-ერთი კრებული. წიგნი კონვოლუტია, შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი 1838 წელსაა გადაწერილი, მეორე — XIX ს.-ში. შეიცავს 85ფ.-ს; მელანი ყავისფერია; მესამე თავის სათაური ნაწერია წითლით; ჩასმულია ტყავის ყდაში. კრებულში შესულია რამდენიმე თხზულება: 1. სოლომონ ლიონისძის „შემოკრებული ისტორია ქართლისა მეორე ირაკლისა მეფისა“ თხზულებაში მიმოხილულია 1781 წლამდე სამეფოსა და აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. გადამწერი: სოლომონ კონსტანტინესძე. 2. ანდერძი იესუ ქრისტეს ჯვარცმისა, XIX ს. გადამწერი: სტეფანე ლომოუვი; 3. ქადაგებანი, ტექსტი შეიცავს ანონიმი ავტორის ცხრა ქადაგება; IV. სოლომონ ლიონისძის „ერეკლე II-ის დატირება“ 1838 წ., გადამწერი: სოლომონ კონსტანტინესძე. ბოლო ტექსტს ერთვის გადამწერის ანდერძი, რომელის თანახმადაც I და IV ტექსტები გადაწერილია სოლომონ ლიონისძის თხზულების დედნიდან. II და III ნაწილები შემდგომ უნდა შესულიყო ხელნაწერში. კრებული შეუსწავლელია. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა ტუბინგენში [Assfalg 1963(a): 21-25].

ბერლინშივეა დაცული ავგაროზის ტექსტი, XIX ს.-ში გადაწერილი ქალაქის გრაგნილზე, შედგება 3 კეფისაგან, მაგრამ კეფები დაშლილია, ნაწერია მხედრულით, გაფორმებულია: ჩვილედი ღვთისმშობელის, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების, ვედრების, წმინდა სამების, წმ. გიორგის, წმ.მარინეს, მახარებელთა და ქერუბიმის გამოსახულებებით. გრაგნილი არის XVIII-XIX სს-ის ტიპური ავგაროზი, ანუ თილისმა, რომელშიც შესულია კურნებასთან დაკავშირებული ლოცვები და სახარების ცალკეული მუხლები: მათე 1,1, 20-28; 8, 5-9; 8, 9-13, მარკოზი 1, 1-2; იოვანე 1,1,14-17. ამ პერიოდის ავგაროზები შესწავლილია [ჩხიკვაძე 2007: 154-162]. დასახელებული ერთეული ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკამდე ინახებოდა მარბურგში [Assfalg 1963 (a):16-19].

მრავალმხრივ აღსანიშნავია ნუსხა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილმა 1836 წელს გერმანიაში, ბერლინში, ვიბიტისას აჩუქა პრუსიის მეფეს. მან კი წიგნი, თავის მხრივ, უბოძა ალექსანდრე ჰუმბოლდტს, რომელმაც ის გადასცა პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ბერლინში. წიგნი 342 ქალაქის ფურცლებზეა ნაწერი შავი მელნით; სათაურები შესრულებულია წითლით; ჩასმულია XIX-ის I ნახევარის შავი ტყავის ტვიფრულ ყდაში, ტყავის ორი საკეტი; გადამწერია: დავით ბოდბელი ეპისკოპოსი. ხელნაწერში შედის ლექსიკონის ტრადიციული თავები და დანართები: ანბანი სასწავლო ყრმათათვის; ანდერძნამაგი ამის მუშაკისა; ევფონეტიკურ და ლექსიკონში გამოყენებულ ნიშანთა განმარტებანი; „ლექსიკონი ქართული“ ასევე შეიცავს იესო ქრისტეს 72 მოწაფის სახელთა ჩამონათვალს; ვახტანგ მეფისაგან თქმულ ქართულ სამოხელეო სახელებს; ქრონიკალურ ცნობებს. ამ ცნობების გარდა, ხელნაწერის ზედა ყდის მხარეს იკითხება ბოდბელ მიტროპოლიტ დავითის 1728-1764 წწ. ბიოგრაფიული მონაცემები [Assfalg 1963(a): 25-29].

ამ ხელნაწერებს ემატება კიდევ სამი წიგნი: სახარება, ფსალმუნი და ზღაპარი, რომლებიც გასული საუკუნის 70-იან წლებში უნდა მოხვედრილიყო გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შორის. ამის გამო ი. ასფალგის წიგნში ეს ხელნაწერები ვერ მოხვდა. ამ წიგნებიდან პირველი და მესამე ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის სხვა ფონდებიდან შემოუერთეს ქართულ ხელნაწერებს, მეორის შემოსულობის შესახებ ცნობები არ არსებობს.

სახარება გადაწერილია 1729 წ. შეიცავს 325 ფ., არის მომცრო ზომისა 4,0x4.9, ქალაქდზე შესრულებული, ჩასმულია XIX ს.-ის ვერცხლის ყდაში. საცავ ფურცლად გამოყენებულია ორმილიმეტრიანი ხის დაფა, რომელზეც დაკრულია თხელი აბრეშუმის ბაცი იასამნისფერი გახუნებული ქსოვილი. ზედა ფრთის ქსოვილს აწერია: Holscho 281. შესაძლებელია, ეს იყოს ძველი ნომერი. შავი მელანი, საზედაო ასოები სინგურით. არშიებზე გატანილია მუხლობრივი დაყოფა ნუსხურით, რვეულებრივი პაგინაცია ნუსხურით. ახალი ციფრობრივი პაგინაცია ხელნაწერს არ აქვს². გაფორმებულია ერთადერთი მინიატიურით, რომელზედაც ლუკა მახარებელია გამოსახული ხარის სიმბოლოთი (ით (19) რვეულის 3r). მინიატიურა მე-19 საუკუნისა უნდა იყოს, შესრულებულია ტექსტისაგან განსხვავებულ ქალაქდზე და ინიციალები აწერია კირილიცათი. სახარება გადაწერია დავით მდდელს. 1r-სა და ბოლო ფურცლის v-ზე არტყია ერთნაირი წითელი ბეჭედი. ხელნაწერი რუსეთში უნდა მოხვედრილიყო, იქ გაუკეთეს მას ყდა, იქვე ჩაკინძეს ტექსტში ლუკა მახარებლის მინიატიურა ყდით შემოსვის წინ. სავარაუდოდ, რუსულ ხელნაწერებთან ერთად შევიდა ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდში, საიდანაც შეუერთეს ქართულ ხელნაწერებს. სახარება სრულ ტექსტს შეიცავს და ერთვის სათვეო ნაწილი. გადამწერის ხელით შესრულებული ოთხი ანდერძიდან ერთ-ერთი იუწყება თარიღს: „ქრისტეს აქეთ ჩლკთ (1729 წ.). ვინცა შენდობა ბრძანოს

¹საკითხავებს მიუვითიებთ მხოლოდ რვეულებრივი პაგინაციით.

ჩემთვის და დედ-მამათა ჩემთათვის, ღმერთთან თქვენ მოგაგოს სიტყვებზე პატრონისა დღეთა სიგრძესა წელთა სიმრავლეს“ (320rb).

ზღაპარი XIX ს-ის ხელნაწერია. შეიცავს 51ფ.-ს; ნაწერია ქალაქდღე ყავისფერი მელნით; შემოსილია XIX-XX სს-ის ყავისფერ ქალაქდღეაქრული მუყაოს ყდით; გადამწერი: მელანია გედევანცის ასული: „ქ. დასრულდა ქალი და ვაჟის ბასი (!) ძალისა მღვთისათა. აღწერა მელანია გედევანცის ასულმან სრულებით“ (50v).

ფსალმუნი 1795 წ.-ით არის დათარიღებული. არ აქვს ფურცლობრივი სათვალავი; ნაწერია ქალაქდღე მხედრულით, შავი მელნით, მუხლების პირველი ასოები შესრულებულია წითლით. ხელნაწერი უყდოა, მაგრამ ყუაზე შემორჩენილია ტყავის მცირე ფრაგმენტი. წიგნი პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი უნდა იყოს.

ჰალეში ერთი ქართული ხელნაწერი „ყარამანიანი“ დაცული. წიგნი XIX ს.-ისაა, შეიცავს 37 ქალაქდღის ფურცელს; ნაწერია მხედრულით; ტექსტი თავბოლონაკულია; თხზულების მთარგმნელია დავით ორბელიანი. წიგნი გაფორმებულია ორი ნახატი. იგი ინახება გერმანიის ამიის ბიბლიოთეკაში, რომელიც 150 წლის ისტორიას ითვლის. არსებობს 150-წლიანი ისტორიის განმავლობაში მისი ფონდები ივსებოდა ბერლინის, მიუნხენისა და სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიებთან, გეტინგენის მეცნიერებათა სამეფო საზოგადოებასა და სააზიო საზოგადოებებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

ამრიგად, გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერები განეკუთვნებიან სხვადასხვა დროსა და ეპოქაში საქართველოსა და საზღვარგარეთ შექმნილ ნიმუშებს და გვაწვდიან საქართველოს სულიერი განვითარების შესახებ ცნობებს X-XIX საუკუნეებში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. **აღმოჩენები 2005:** ახალი აღმოჩენები სინის მთაზე, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მზე-ქალა შანიძემ, ლილი ხევსურიანმა და მიხეილ ქავთარიამ, ათენი 2005.
2. **მამაცაშვილი 1981:** კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმ. თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბილისი., 1981.
3. **მეტრეველი 1962:** მ. მასალევი იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVIII სს.), თბილისი, 1962.
4. **შანიძე 1999:** შანიძე მზ., ერთი სინური ხელნაწერის კვლადაკვალ, „მწიგნობარი“, თბილისი, 1999.
5. **ჩხიკვაძე 2007:** ჩხიკვაძე ნესტან, ავგაროზის ეპისტოლის ძველი ქართული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნესტან ჩხიკვაძემ, თბილისი, 2007.
6. **ხევსურიანი 1978:** ხევსურიანი ლ., Sin.34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთავი, VI, თბილისი, 1978.
7. **Assfalg 1963 (a):** Georgische Handschriften, beschreiben von Juilius Assfalg. Verzeichniss der orientalischen Handschriften in Deutschland. Band III. Wisbaden, 1963.
8. **Assfalg 1963 (b):** Syriish Handschriften, beschreiben von Juilius Assfalg. Verzeichniss der orientalischen Handschriften in Deutschland. Band V. Wisbaden, 1963.
9. **Garitte 1967:** Garitte G., Aventires et mesaventures d'un manuscrit georgien (Le cod. Garett.24, Princeton): Bedi Kartlisa, Revu de kartvelologie, v. XXIII-XXIV, Pariz, 1967.
10. **Март 1914:** Синодикон Крестного Монастыря в Иерусалиме, издал Н. Март, Bibliotheca Armeno-Georgica, III, СПб., 1914.

²სავარაუდოდ, ბასი უნდა გულისხმობდეს სიტყვას ბასი, ანუ საუბარი.

LELA SHATIRISHVILI

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

GEORGIAN MANUSCRIPTS PRESERVED IN GERMANY**SUMMARY**

In the literature of Christian east, Georgian was the last one that occurred in the area of European researchers. Syrian, Christian Arabic, Coptic literature was known much earlier. Studying of maintained Georgian manuscripts, Georgian language and literature in the Europe was commenced by French scientist Marie-Felicite Brosset. In the last 50 years of 20th century Georgian studies were decisively promoted. In 1963, J. Asfalg published in German language description of Georgian manuscripts preserved in Germany, university and public libraries of Berlin, Leipzig, Gottingen, Halle. Among them the oldest one is palimpsest fragment of Gottingen. Its lower layer contains Syrian text and the upper, Georgian layer is written by Ioane Zosime. These fragments are close, with respect of age and significance, to the manuscripts of Leipzig University brought by Tischendorf from Sinai and Jerusalem.

Tischendorf's collection preserved in Leipzig contains, together with the manuscripts in the other languages, few pages of Georgian manuscripts. In the collection there are the fragments rewritten by Ioane Zosime; extract of Peter's epistle to the Romans; fragments of the "Questions and Answers" written in Asomtavruli; several pages of Mravaltavi (Polycephalon) (ancient Georgian liturgical collection). Among liturgical works of Leipzig manuscripts the most outstanding is "Menaion" etc.

Among Berlin manuscripts, there are the parchment scrolls of 11th-15th centuries. The other items are of much later period and are written with Mkhedruli. For the history of Catholicism in Georgia the most interesting are: "Prayer-Book" of 1778; Sulkhan-Saba Orbeliani Dictionary etc.

Three more books should be added to the above manuscripts: Gospel date by 1729, "Psalms" and "Tale" rewritten in 18th-19th centuries.

Georgian manuscripts preserved in Germany are the specimens created in Georgia and abroad in different epochs and provide information about spiritual growth of Georgia in 10th – 19th centuries.

ქათეპან მაქასახლისი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

საკაპიონ თმუისელის „მაკარი მეგვიპტელის ცხოვრება“ და ქართული აპოკრიფიკური კახუნი

ასკეტიზმი რელიგიური ცხოვრების წესია, რომლის მიზანია ადამიანის ცხოვება. სამართლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტიანობა ასკეტური რელიგიაა, რადგან მისი მიმდევრობა სულიერ მოღვაწეობას გულისხმობს. ქრისტიანული ასკეტიზმის ნიმუშები თავად მაცხოვარი და მისი მოწაფეები არიან. თუმცა მონაზვნობა, როგორც ასკეტური მოღვაწეობის ფორმა, მესამე საუკუნის ბოლოს ეგვიპტეში წარმოიშვა. აქ დაიწყო მოსაგრეობა პირველმა ანატორეტმა მამებმა: პავლე თებელმა და ანტონი დიდმა. მათი სულიერი გამოცდილება იმეგვიდრა მაკარი მეგვიპტელმა. წმინდანის ცხოვრების თანახმად, როცა ის ნიტრიის უდაბნოში პირველად მივიდა, ამ მხარეში, ამ დიდი მამების გარდა, არავინ მოსაგრეობდა. გადმოცემის მიხედვით, მან დააარსა მამათა ოთხი მონასტერი, კასიანე რომაელის თანახმად, მაკარი მეგვიპტელმა თავდაპირველად განდევნილ მოღვაწეობას საფუძველი სკიტის მკაცრ უდაბნოში ჩაუყარა. ანტონის გარდაცვალების შემდეგ კი ძმობა გარშემო შემოიკრიბა.

მრავალი ადრეული საეკლესიო ავტორი გვაწვდის საინტერესო ცნობებს ღირსი მაკარის შესახებ. ეს ცნობები, ძირითადად, ეხება სხვადასხვა სასწაულს, რომლებიც წმინდანმა აღასრულა და ნაკლებ ინფორმაციას შეიცავს მისი ცხოვრების შესახებ.

მაკარი დიდის ცხოვრებისეული დეტალები, მისი შეგონებები, დიალოგები, წმინდანის მიერ აღსრულებული სასწაულები ფართოდ იკიდებს ფეხს შუა საუკუნეების საქართველოში. მის შესახებ მოგვითხრობს მისი ბიოგრაფის – სერაპიონ თმუისელის – თხზულების ძველი ქართული თარგმანი, ქართული აპოკრიფიკატა კრებული [შუა საუკუნეთა ... 1974: 119-138], პალატი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეული თარგმანი [წმინდა პალატი ჰელენოპოლელი ... 2010: 51-56; 223-227], თეოფილე ხუცესმონაზონის „მამათა სწავლანი და თხრობანი“ [თეოფილე ხუცესმონაზონი ... 2014], მაკარი მეგვიპტელის ასკეტური მოღვაწეობა განდიდებული წმ. გიორგი მთაწმინდელის იანვრის თთუნში [თთუნე, იანვარი 2004: 361-368].

წმ. მაკარი მეგვიპტელის მოღვაწეობაზე განსაკუთრებით დაწვრილებით მოგვითხრობს წმ. სერაპიონ თმუისელი. როგორც ცნობილია, სერაპიონი თავადაც ანტონი დიდის მოწაფე იყო. აქედან გამომდინარე, მას უშუალოდ თუ არა, თავისი მოძღვრისგან კარგად ეცოდინებოდა მაკარის პიროვნების, მისი ასკეტური მოღვაწეობის შესახებ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს თხზულება შემორჩენილია მოგვიანო ხანის კომპილაციური ნაშრომის სახით, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. მიუხედავად გვიანდლობისა, იგი ძალზე მნიშვნელოვანი ძეგლია და უდავოდ შეიცავს მრავალ საინტერესო ცნობას ძველი გადმოცემებიდან ამ წმ. მამაზე. აღნიშნული თხზულება შემორჩენილია მრავალ ენაზე, კერძოდ, კობტურ, ბერძნულ, სირიულ, არაბულ, ქართულ და სლავურ ენებზე.

სერაპიონ თმუისელის „მაკარი მეგვიპტელის ცხოვრების“ დღემდე შეუსწავლელი ძველი ქართული თარგმანი განეკუთვნება კიმენურ რედაქციას. ჩვენ არ ვიცით, ვინ თარგმნა ან რომელ სამწიგნობრო სკოლაში შეიქმნა იგი, თუმცა გარკვეულ ნათესაობას ამუღავნებს იმ ძეგლებთან, რომლებშიც ღირსი მამის ცხოვრებისეული ეპიზოდებია გადმოცემული რომლებიც ზემოთ უკვე მოვისხენით.

„მაკარი დიდის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი მიჰყვება აგიოგრაფიული მწერლობის სქემას და გადმოგვცემს წმინდანის ცხოვრების გზას დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ნიშანდობლივია ისიც, რომ თხრობის მნიშვნელოვანი მონაკვეთი დათმობილი აქვს წმინდანის მშობლების (ბიბლიური აბრაამისა და სარას თანამოსახელების) გამორჩეულობაზე საუბარს. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აპოკრიფიკატა კრებული არ მოგვითხრობს წმინდანის ამქვეყნიური ცხოვრების დეტალებზე.

„მაკარი დიდის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი დაცულია რამდენიმე ნუსხაში. ამათგან ორი: A79 [ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ... I, 1974: 266-270] და A129 [ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ... I(2), 1976: 130-137] XII-XIII საუკუნეების კრებულებია. ეს ნუსხები, ცალკეული ორთოგრაფიული სხვაობების გარდა, ერთმანეთის იდენტურია. A79 ნუსხა, გრამატიკული ნორმების თვალსაზრისით, უფრო გამართულია, ვიდრე A129, რაც გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ის უფრო ადრინდელია. A129 ნუსხის დასაწყისი ფურცლები ხშირად დაზიანებულია. რამდენიმე ადგილას გვხვდება რედაქციული სხვაობაც. A79 ნუსხის არშიაზე გვხვდება ნუსხურად და მხედრულად შესრულებული მინაწერებიც. წმ. მაკარი დიდის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი დაცულია კიდევ ერთ ნუსხაში: იერ...17 (XII-XVI). ამ ნუსხაში წმინდანის ცხოვრება ბოლომდე არ არის გადმოცემული, თხზულების თითქმის მესამედი არ არის მოღწეული. თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი, ცალკეული ლაფსუსების გარდა, მთლიანად მიჰყვება დანარჩენ ორ ნუსხას.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მოგვიანო ხანის ნუსხა A176 (1820 წ.). აღწერილობის თანახმად, იგი „მაკარი მეგვიპტელის ცხოვრების“ პერიფრაზული რედაქციაა. თუმცა ტექსტის დეტალურმა გაცნობამ აბსოლუტურად განსხვავებული სურათი მოგვცა. აღნიშნულ ნუსხაში წარმოდგენილია დიალოგი, რომელიც იმართება მაკარი მეგვიპტელსა და უფლის მიერ მოვლენილ ანგელოზს შორის¹. ტექსტის დასაწყისში მოთხრობილია, თუ როგორ გამოეცხადება უდაბნოში მიმავალ მაკარის უფლის ანგელოზი და როგორ სთხოვს ღირსი მამა, აუწყოს, თუ როგორ ცნობენ ერთმანეთს ახლობელი ადამიანების სულები გარდაცვალების შემდეგ, ასევე თუ როგორ შეეწევა ამ სოფლიდან გასულს კეთილი საქმეები. ეს დიალოგი არ გვხვდება არც ერთ ქართულ თუ ჩვენ მიერ მოძიებულ უცხოურ წყაროებში, მათ შორის, არც წმ. მაკარი დიდის ორიგინალურ ნაშრომებში [ფსევდომაკარის თხზულებათა ... 1982]. რადგან აღნიშნული ნუსხა გვიანდელია, სავსებით შესაძლებელია, იგი იმ ეპოქის ძეგლია, რომელიც ან ზეპირ გადმოცემას ეფუძნება, დროთა განმავლობაში აბსოლუტურად განსხვავებული სახე რომ მიიღო, ანდა ჩვენს ხელთაა ფსევდოხასიათის ტექსტი.

წყაროების თანახმად, ღირსი მაკარი დიდის მოღვაწეობა 300-390 წლებით თარიღდება. იმისათვის რომ ზუსტად განვსაზღვროთ წმინდანის ამქვეყნიური ცხოვრების წლები, უნდა გავითვალისწინოთ პალადი ჰელენეპოლელის „ლავსაიკონის“ ძვ. ქართული თარგმანი. ავტორის უწყებით, მაკარი მეგვიპტელმა 90 წელი იცოცხლა, აქედან 60 წელი უდაბნოში იღვაწა, როცა პალადი უდაბნოში მივიდა, ღირსი მაკარი ერთი წლის გარდაცვლილი დახვდა. ნიშანდობლივია, რომ წმინდანის ბიოგრაფის, სერაპიონის, კომპილაციური შრომა ღირსი მამის ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ განსხვავებულ თარიღს გვთავაზობს: „დაეყვნეს დღენი ცხოვრებისა მისისანი ოთხმოცდაათშვიდმეტნი...“ ამგვარი სხვაობა, შესაძლებელია, მისი გვიანდლობით ავხსნათ.

განსხვავებული ცნობებია ასევე შემორჩენილი მაკარი დიდის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ჩვენს ხელთ არსებული თითქმის ყველა წყაროს მიხედვით, მაკარი დიდი იყო ეგვიპტელი, კერძოდ, კოპტი. სოკრატე სქოლასტიკოსის თანახმად, ის ზემო ეგვიპტეში დაიბადა. ამ ცნობას არ ეთანხმება „მაკარი მეგვიპტელის ცხოვრების“ ძვ. ქართული თარგმანი, რომლის მიხედვითაც ზემო ეგვიპტეში წმინდანის მშობლები მაკარი დიდის დაბადებამდე ცხოვრობდნენ, თავად მაკარი კი მშობლების ქვემო ეგვიპტეში გადმოსახლების შემდეგ დაიბადა.

ღირსი მაკარის შესახებ საინტერესო გადმოცემაა დაცული ქართულ აპოფთეგმათა კრებულში [შუა საუკუნეთა ... II, 1974: 119-138]. აქ თხრობა ზოგჯერ პირველ პირში მიმდინარეობს, რასაც წინ წამძღვარებული აქვს ანონიმი ავტორის ფრაზა: „გვთხრობდა თავისა თვისსათუს მამად მაკარი და თქუა“, ანდა თხრობა მესამე პირშია და მას თავისი ავტორი (ამ შემთხვევაში მაკარის მოწაფე) ჰყავს: „გვთხრობდა მამად სისოა“ და მისთ. ზოგჯერ მთხრობელი უცნობია: „ბერმან ვინმე წარმოგვთხრა მაკარისთუს“ და სხვ. ზოგადად, ეს აპოფთეგმური კრებული იწყება არსენის და მთავრდება კომის თხრობით.

„მაკარი მეგვიპტელის ცხოვრებაში“ დიდი მონაკვეთი აქვს დათმობილი მაკარი დიდის კეთილმსახურ მშობლებზე თხრობას. ავტორის უწყებით, მისი მამა მღვდელი იყო და უფლის გამორჩეული მსახური. ის თავის მეუღლესთან ერთად მრავალ გაჭირვებულს შეეწეოდა, სულის ხსნისათვის ზრუნავდა. ღვთის განგებით ოჯახზე მოწეული განსაცდელის შემდეგ ცოლ-ქმარი ქვემო ეგვიპტეში, ერთ დაბაში, გადასახლდა. მაკარის მამამ მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი. ჯერ კიდევ ზემო ეგვიპტეში ყოფნის დროს მას ძველი აღთქმის პატრიარქი აბრაამი გამოეცხადა და აუწყა, რომ მათ ვაჟი შეეძინებოდათ. ეს ამბავი არ არის მოთხრობილი ქართულ აპოფთეგმათა კრებულში, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ამგვარი კრებულის სპეციფიკა არ ითვალისწინებს წმინდანის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების დაწვრილებით გადმოცემას.

„ცხოვრება“ ასევე მოგვითხრობს მაკარი დიდის იძულებითი ქორწინების შესახებ. ღირსი მამა დიდ პატივს სცემდა თავის მშობლებს, ამიტომაც ვერ გაუწია წინააღმდეგობა მათ სურვილს და დაოჯახდა, თუმცა ისე მიიცვალა მისი ცოლი, რომ არც კი შეხებია მას. აღნიშნული ეპიზოდიც უცნობია აპოფთეგმათა კრებულისათვის, რაც ზემოთ დასახელებული მიზეზით შეგვიძლია ავხსნათ.

¹ მოთხრობა ჩუენებისათვის უდაბნოსა შინა ღირსისა მამისა მაკარის მიერ მეგვიპტელისა ხილულისა ანგელოზისა უფლისა.

წმინდანის „ცხოვრებაში“ მოთხრობილია ასევე, როგორ გაემგზავრა მაკარი თანასოფლელებთან ერთად ნიტრიაში და როგორ აუწყა უფალმა ამ ადგილის ახლოს, რომ მრავალი სულიერი შვილის მშობელი შეიქმნებოდა. უკან დაბრუნებულს მეუღლე გარდაცვლილი დახვდა. შესაბამისად, იგი თავისუფალი აღმოჩნდა და შეეძლო ღვთის ნებას მიჰყოლოდა. არც ამ უწყებას იცნობს ახოფთევმათა კრებული.

მაკარი დიდი დაახლოებით 30 წლის იყო, როდესაც სამონაზვნო ცხოვრებას შეუდგა. იგი თავისი სულიერი მოძღვრის, ანტონი დიდის, მსგავსად მოღვაწეობას მშობლიური ადგილების სიახლოვეს იწყებს. ამის შესახებ მიაწინებს №1 ბერძნული ახოფთევმა. „ლავსაიკონის“ თანახმად, წმ. მამა ორ მოწაფესთან ერთად სკიტის უმინაგანეს უდაბნოში მივიდა. ანტონი დიდის მოწაფედ მოიხსენიებს მაკარი მეგვიპტელს რუფინუსიც [А. И. Сидоров 2014: 401-402].

ქართულ ახოფთევმათა კრებულის თანახმად, მაკარი დიდს, როდესაც ანტონი დიდის სანახავად მივიდა და მისი სენაკის კარზე დააკაკუნა, ბერძნულენოვანი ცხოვრების მესაძირკველემ ჰკითხა, თუ ვინ იყო. როცა პასუხი შეიტყო, კარი მიუხურა, სენაკში შევიდა და კარგა ხანი ხმა არ გასცა. ამ გზით მისი მოთმინება გამოსცადა. ბოლოს კი კარი გაუღო და უთხრა: „მაკარი, რადენით ჟამით მინდა ხილვად შენი, რამეთუ მესმის შენთვის. და სიყუარულით შეიწყნარა იგი“ [შუა საუკუნეთა ... II, 1974: 119-138]. იგივე ცნობა მეორედ ბერძნულ ახოფთევმა №4-ში. აღნიშნული ცნობა, როგორც ჩანს, ადგილობრივ ღირსი მაკარის და ანტონი დიდის პირველ შეხვედრას. დიალოგიდან იკვეთება, რომ მაკარი დიდს იმ დროისთვის უკვე კარგად იცნობდნენ ბერ-მონაზონთა წრეში.

ნიშანდობლივია, რომ, „მაკარი დიდის ცხოვრების“ მიხედვით, წმ. მამამ სამი წელი მარტო იღვაწა. ამის შემდეგ გადაწყვიტა, ანტონი დიდთან მისულიყო და მას დამოწაფებოდა. იგი გაემართა ფარანის მთისკენ, სადაც მამა ანტონი იყო დამკვიდრებული. წმ. მაკარი რამდენიმე ხანი მასთან დარჩა, მისგან სულიერი მოღვაწეობის წესი ისწავლა და კვლავ უკან დაბრუნდა. ამავე „ცხოვრებაში“ მოთხრობილია მაკარის მეორე სტუმრობის შესახებ ანტონი დიდთან. ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა. გამომშვიდობებისას მოძღვარმა მას აუწყა, რომ მოახლოებული იყო მისი ამ სოფლიდან განსვლის ჟამი და სთხოვა, მისი წმინდა ნაწილები მიეზარებინა მიწისთვის. მასვე აჩუქა ანტონი დიდმა თავისი კვერთხი, სიმბოლო სულიერი მწყემსობისა. აქვე მოთხრობილია, როგორი პატივით დაკრძალა მაკარი წმინდანის გვამი. ამის შემდეგ კი უკვე მის გარშემო იწყეს გამრავლება სულიერმა ძმებმა.

წმინდანის ბიოგრაფიაც და ახოფთევმათა კრებულებიც მოგვითხრობს, თუ როგორ არიგებდა მამა მაკარი მასთან რჩევის სათხოვნელად მისულ ადამიანებს. ასევე ორივეგან გვხვდება უწყება, თუ როგორ გამოარჩიეს მაკარი დიდი სოფლის მოძღვრად. არც ერთ თხზულებაში არ გვხვდება ცნობა, თუ სად მიიღო განათლება ღირსმა მამამ, მაგრამ ის სულიერი რჩევა-დარიგებები, რომელთაც ნეტარი მამა მოწაფეთა წინაშე ზეპირად წარმოთქვამს, მის განსწავლულობაზე მიუთითებს. ამავეს მიგვანიშნებს ჭაბუკი მაკარის მღვდლად გამორჩევა. ეს ამბავი მოთხრობილია ასევე ერთ ბერძნულ ახოფთევმათა კრებულშიც და თეოფილე ხუცესმონაზონის შრომაშიც. ეს უკანასკნელი თითქმის იმეორებს ქართულ ახოფთევმათა კრებულში გადმოცემულ ამბებს. „მაკარი დიდის ცხოვრების“ დასასრულს გადმოცემულია, თუ როგორ მოძღვრავდა ჭილბე მჯდომი მოძღვარი შვიდი დღის განმავლობაში თავის მოწაფეებს. ეს ამბავიც მის სიბრძნეზე მეტყველებს.

„მაკარი დიდის ცხოვრებასა“ და ახოფთევმათა კრებულში არის ისეთი ადგილები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა. არის ისეთი ეპიზოდებიც წმინდანის ცხოვრებიდან, რომელთა შესახებ მისი ბიოგრაფი დუმს. ასე, მაგალითად: ცხენად ქცეული ქალის განკურნების ისტორიას მოგვითხრობს ახოფთევმათა ქართულ კრებულში. ეს ამბავი შეკუმშულადაა გადმოცემული. იგივე ამბავი განვრცობილად „ლავსაიკონშია“ გადმოცემული. მისი ავტორი იქვე შენიშნავს, ცხენად ქცეულს განსაცდელი იმის გამო შეემთხვა, რომ 5 კვირა არ ეზიარა წმინდა საიდუმლოს [საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. 14, 2010: 51-56; 223-227]. ორივეგან ცოდვის მიზეზი ტრფიალებია, თუმცა ახოფთევმათა კრებული განსხვავებულ ვარიანტს გვაუწყებს - აქ მოჯადოებული ქალი მშობლებს მიჰყავთ მაკარი დიდთან, „ლავსაიკონში“ კი - მეუღლეს. „ცხოვრებაში“ ასევე გამოტოვებულია ისეთი ეპიზოდები წმინდანის ცხოვრებიდან, როგორებიცაა: ორი ძმის სტუმრობა და მათი მიცვალების ამბავი, აფთრის ბრმადშობილი ლეკვების განკურნება და სხვ.

წმინდანის მიერ აღსრულებული სასწაულებიც, რომელთა შესახებ ორივე ძეგლი გვაუწყებს, ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, მისი ცხოვრების ბიოგრაფი მოგვითხრობს, თუ როგორ დაიხსნა მაკარი დიდმა მეძავი ქალისგან თავისი ერთი სულიერი შვილი, რომელიც მონასტრიდან შორს იმყოფებოდა, ანდა როგორ უწინასწარმეტყველა მოძღვარმა თავის ერთ მოწაფეს, სახელად აბრაამს, რომ, თუ ვერცხლისმოყვარეობის ვნებას არ მოიკვებდა, საშინლად დაავადდებოდა. გვხვდება პირიქითაც: წმინდანის „ცხოვრება“ არ იცნობს მაკარი დიდის შეგონებებს მდიდარ და გლახაკ მეგობრებზე და სხვ.

ერთი და იგივე მოთხრობა, რომელიც რედაქციულად ერთმანეთისგან განსხვავდება, ორივე ძეგლში არაერთგზის გვხვდება, მაგ. ამბავს, თუ როგორ დასწამა შეცდენილმა ქალწულმა წმინდანს ცილი, წმინდანის „ცხოვრებაში“ ძალიან ვრცელი მონაკვეთი აქვს დათმობილი. ახოფთევმათა კრებული კი ამ ამბავს შეკუმშულად გადმოგვცემს.

წმ. მაკარის მიერ აღსრულებული სასწაულებიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია გარდაცვლილი ადამიანის მკვდრეთით აღდგენის ამბავი. ეს სასწაული გამორჩეულად აღვიღს იკავებს ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში, რადგან მისი აღსრულებით მაკარი დიდი ყველაზე მეტად გამოკვეთს მსგავსებას თავად განკაცებული უფლის ძალმოსილებასთან. ამ ეპიზოდზე „ლაესაიკონის“ ავტორი გაკვრით მიუთითებს: იმასაც ამბობენ, რომ მან მკვდარი აღადგინაო, - გვეუბნება პალადი. დანარჩენი ორი ძველი დაწვრილებით გადმოგცემს, თუ რა გახდა ამ სასწაულის აღსრულების მიზეზი. ორივე მოგვითხრობს ერთ მოღვაწეზე, რომელიც გაამპარტავნდა, ჭეშმარიტების გზიდან გადადგა, უარყო სულის უკვდავება და 5000 მიმდევარიც გაიჩინა. ადგილობრივი ეპისკოპოსის მხურვალე თხოვნის შემდეგ მაკარი დიდმა ჯერ შეცთომილებს უქადაგა, მაგრამ, როცა მათ სიტყვით ვერაფერი შეასმინა, მკვდარი აღადგინა.

ნიშანდობლივია მაკარი დიდის დიალოგი იარიკელთა სექტის მიმდევრებთან, რომლებიც უარყოფდნენ სულის უკვდავებას. ამ მონაკვეთს დაწვრილებით მოგვითხრობს როგორც აპოფთეგმათა კრებული, ასევე წმინდანის „ცხოვრება“. ორივე შემთხვევაში მათი ცრუსწავლება საბუთდება ჯერ სიტყვიერად, ბოლოს კი - მკვდრის აღდგინებით.

№ 23 აპოფთეგმატური კრებულის ანალოგიური ამბის მოხრობელი აკონკრეტებს ამ კაცის მსოფლმხედველობის არსს: „შეიყვანა იგი წვალეხასა მას, რომელსა ჰრქვიან იარიკელთაჲ, რომელნი იტყვიან: მაცხოვარმან კაცობრივნი ჯორცნი არა შეისხნაო და არცა აღდგომად ყოფად არს ჩუენთა ამათ ჯორცთაჲ, რომელ გუმოსიანო. რამეთუ სამნი არიან დასაბამნიო: ღმერთი და ნივთი და სიბოროტეჲ...“. მაკარი დიდის ბიოგრაფი, მართალია, არ აკონკრეტებს ამ მწვალელობის სახელწოდებას, მაგრამ კარგად გამოჰკვეთს მის არსს: „შეცდომილის თქმით, „შეუძლებელ არს შემდგომად ჯორცთა განხრწნისა კულად აღდგომად“. ავტორის უწყებით, ეს ადამიანი „ქორწინებასა სიძვად ქადაგებდა“. აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ მწვალელობაზე, კერძოდ, იერაქველებზე, საუბრობს წმ. იოანე დამასკელი. მისი თქმით, იგი მომდინარეობს იერაქესგან, ვინც მოძღვრისგან, რომელიც ეგვიპტის ქალაქ ლეონტოპოლისიდან იყო. ისინი, სხვა მწვალელებთან მსგავსად, უარყოფდნენ სხეულის მკვდრეთით აღდგომას, ასევე - ქორწინებას. მათი აზრით, თუ ყრმა გარდაიცვლებოდა, ვერ ცხოვნიდა, რადგან მას არ ეღვაწა სულის ხსნისთვის. ანალოგიური განმარტება აქვს წმ. ეპიფანე კვიპრელსაც თავის ცნობილ შრომაში „ოთხმოცთა წვალეხათათჳს“; განსხვავება ისაა, რომ ამ შრომის ავტორი მას იერაკიტელთა სახელით მოიხსენიებს [წმინდა ეპიფანე კვიპრელი ... 2012: 136-137].

როგორც ცნობილია, პირველ მეუდაბნოე მამათა ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ზოგს მძოვრები ეწოდა, ზოგს - მღუმარენი და ა. შ. „მაკარი დიდის ცხოვრებასა“ და ქართულ აპოფთეგმათა კრებულში მოთხრობილია ორი მოღვაწის შესახებ, რომლებიც წმ. მამას უდაბნოს სიღრმეში, ჭაობიან ადგილას, შეხვდნენ. ისინი არ იყვნენ შემოსილნი და მაკარი დიდს თავდაპირველად ბოროტი სულები ეგონა. „ცხოვრებაში“ დიალოგიური ფორმით გადმოცემულია ამ მამათა მოღვაწეობის არსი. ნათქვამია, რატომ დატოვეს მათ ეს სოფელი, რატომ გავიდნენ უდაბნოში და დღედაღამ როგორ ადიდებდნენ უფალს. აპოფთეგმათა კრებულის თანახმად, ეს მამები თავდაპირველად მონასტერში იყვნენ, გარკვეული ხნის შემდეგ იქაურთა მიატოვეს და მოღვაწეობის ასეთი ფორმა აირჩიეს. „მაკარი დიდის ცხოვრების“ მიხედვით კი, ისინი არასოდეს ყოფილან მონასტერში, არც სამოსი შეუქმოსავთ, არამედ ზამთარ-ზაფხულ ასე, შიშველნი, დაიარებოდნენ და ადიდებდნენ უფალს. ისინი ეკითხებიან მაკარს სოფელში მყოფთა, კერძოდ, ქრისტიანთა შესახებ. ნეტარი მამა ღმერთს მადლობას სწირავს მათი ხილვისთვის. ერთმანეთს ლოცვით მოიკითხავენ და ლოცვითვე ემშვიდობებიან.

კ. კეკელიძის თანახმად, ამ თავისებური საზოგადოების წევრები არაერთ საეკლესიო თუ არასაეკლესიო თხზულებაში გვხვდება. მათ მოიხსენიებენ, როგორც გიმნოსოფისტებს (შიშველ-ბრძენნი), ბრაჰმანებს, რექაბიტებს, ნეტარნი და სხვ. ქართულ მწერლობაში საკუთრივ მათ შესახებ ცნობებია დაცული „მოსიმეს მიმოსვლაში“, რომელიც, საეკლესიო კანონების თანახმად, აკრძალულ წიგნთა რიცხვშია შეტანილი, პანსოფი ალექსანდრიელის წამებასა და ფსევდობასილის თხრობაში - „ეგბოლის მიმართ მოძღვრისა“. კ. კეკელიძის თანახმად, შიშველ-მართლებს მოგვაგონებენ ძველი ებრაული სექტები: ესელნი და თერაპეუტნი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, საესებით შესაძლებელია, რომ მათ დაუდეს საფუძველი ქრისტიანულ ასკეტურ ცხოვრებას [კ. კეკელიძე ... ტ. 2, 1945: 118].

თხზულებაში გამოკვეთილია ასკეტური მოღვაწეობის ორი ფორმა: ანაქორეტიზმი და კინობიტიზმი. ნაჩვენებია, თუ როგორ წარმოიშვა ბერმონაზვნური ძმობა მარტომყოფობის წიაღში. ავტორის თანახმად, წმ. მაკარმა მონასტრული ცხოვრების წესი ანტონი დიდისგან ისწავლა და მისგანვე მიიღო კურთხევა „მრავალ სულთა მწყემსობისა“.

„მაკარი დიდის ცხოვრების“ მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს თხრობას, თუ როგორ განემზადება წმინდანის სული ამ სოფლიდან გასასვლელად. ანალოგიური რამ აპოფთეგმატურ კრებულში არ გვხვდება.

საინტერესოა წმინდანის ცხოვრებასა და აპოფთეგმატურ კრებულში დაცული წმ. წერილისეული სასწაულებისა თუ ციტატების გამოყენების შემთხვევები. ისინი ზოგჯერ პერიფრაზის სახითაა გადმოცემული, ზოგჯერ მათი იდენტურია...

„ცხოვრებაში“ გვხვდება ანალოგიები ბიბლიურ პერსონაჟებთან. წმინდანის მშობლები ედარებიან ბიბლიურ აბრაამსა და სარას. წმინდანის მამა ასევე შედარებულია აარონსა და ზაქარიასთან. ერთ ადგილას მეორდება ბიბლიური სასწაულიც: წმ. მაკარის მოსე წინასწარმეტყველისა და ღვთის რჩეული ერის მსგავსად წინ მიუძღვის ცეცხლოვანი სვეტი.

წმინდანის მიერ აღსრულებული სასწაულები ძალზე ჩამოჰგავს სახარებისეულ თხრობას, მაგ., ეშმაკულის განკურნების ამბავი, რომელსაც ორივე ძველი იცნობს. მაკარის მიერ გარდაცვლილი ადამიანის მკვდრეთით აღდგინება კი შედარებულია მაცხოვრის მიერ თოხი დღის მკვდარი ლაზარეს გაცოცხლებასთან. ამგვარი პარალელებით ნაჩვენებია, როგორ ასხამს თავისი ცხოვრების წესით ხორცს ეს დიდი მამა სახარებისეულ სწავლებას: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მთ. 5.48).

ამდენად, წმინდანის ცხოვრებასა და აპოფთეგმატურ კრებულში მოთხრობილი ერთი და იგივე ამბები რედაქციულად სხვაობს ერთმანეთისგან. აპოფთეგმატა კრებულში დაცულია ისეთი მონაკვეთები მაკარი დიდის მოღვაწეობიდან, რომლებსაც მისი „ცხოვრების“ ქართული თარგმანი არ იცნობს. ესენია ძირითადად დარიგებები, რომლებიც ამგვარი კრებულებისთვისაა დამახასიათებელი.

სავსებით შესაძლებელია, „მაკარი დიდის ცხოვრების“ ქართველი მთარგმნელის ერთ-ერთი წყარო სწორედ აღნიშნული კრებული იყო და შესაბამისად, მისი მოღვაწეობის არეალი ათონის მთას უკავშირდება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. თეოფილე ხუცესმონაზონი. 2014. *მამათა სწავლანი და თხრობანი*. ტ. 3. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს მანანა დვალმა და დალი ჩიტუნაშვილმა. თბილისი.
2. თთუენი, იანვარი. 2004. ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერი. გამოსაცემად მოამზადა მონაზონმა რაქილმა (ბუაძე), თბილისი.
3. კორნელი კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. 1945. ტ. 2, თბილისი.
4. ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია. 1982. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ. თბილისი.
5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. 1974. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, ტომი I. თბილისი.
6. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. 1976. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ. ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ ელ. მეტრეველის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“. ტომი I (2). თბილისი.
7. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები: ანბანურ-ანონიმური პატერიკები: II 1974. II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალმა; რედაქტორი: ელ. მეტრეველი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი.
8. წმინდა ეპიფანე კვიპრელი, *ოთხმოცთა წვალებათათჳს*. 2012. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო სოსო მახარაშვილმა. თბილისი.
9. წმინდა პალადი ჰელენოპოლისის „ლავსაიკონის“ *ეფრემ მცირისეული თარგმანი*. 2010. კრიტიკული ტექსტი დაადგინა, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, შესავალი, შენიშვნები, სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა. წიგნი: საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. 14. თბილისი.
10. Сидоров А. И. 2014. *Святоотеческое наследие и церковные древности*. т. 4. Москва.

KETEVAN MAMASAKHLISI

Tbilisi Theological Academy and Seminary (TSAS)

**“THE LIFE OF ST. MACARIUS THE EGYPTIAN” BY ST. SERAPION
OF THMUIS AND GEORGIAN APOPHATIC COLLECTION****SUMMARY**

“The Life of St. Macarius the Egyptian” by St. Serapion of Thmuis offers interesting information regarding the first origins of the ascetic Christian life. The emergence of a complex of four monasteries is connected to the name of this holy father, in which a large brotherhood fought their spiritual battles.

Many ecclesiastical writers have provided narratives about blessed Macarius the Great: St. Palladius of Helenopolis, St. Serapion of Thmuis, Socrates Scholasticus, Rufinus, Sozomen, St. Isaac the Assyrian, Blessed Cassianus the Roman, and other ecclesiastical historians focus especially on the miracles performed by the saint, but there are scant details regarding his life.

The Old Georgian translation of the Apophthegmata collection also tells about St. Macarius. Spiritual advice stated by the saint becomes the focus of the reader’s attention.

St. Serapion of Thmuis, a disciple of Anthony the Great, provides an especially rich corpus regarding the life and ascetic labors of the blessed Macarius. His work has survived to the present day in the form of a 7th-century compilation.

According to the sources, Blessed Macarius had lived during the years 300-390. He had lived for ninety years even according to the *Lausiatic History*, with sixty years spent in the desert. When Palladius went to the desert, he encountered Macarius the Great already reposed.

The work by St. Serapion has survived today in the form of many translations, specifically in Coptic, Greek, Syriac, Arabic, Georgian, and Slavonic.

A keimenic edition of the saint’s life has survived in Georgian, with the author being anonymous. This monument is still in need of study, although the Old Georgian translation of the writings of St. Macarius have been studied and published.

Blessed Macarius is especially noteworthy from a literary viewpoint. He had gathered together the spiritual experience of the Desert Fathers in his work and laid the foundation for ascetic theology.

The Old Georgian translation of the Life of Macarius the Great has survived in the form of a few manuscript copies. Two of them: A79 and A129 are kept in collections from the 12th-13th centuries. These texts are identical to each other, although some orthographic discrepancies can be distinguished between them. The text of A79 is more correct than A129 from the standpoint of grammatical conventions, providing the basis of a proof that it is from an earlier period. The initial pages of the A129 text are frequently damaged. These damaged spots have been reconstructed using the text of A79. Editorial discrepancies are also encountered in few places. A comparison of these texts helps in establishing a critical text. The Old Georgian translation of the life of St. Macarius the Great is kept in two more manuscripts from a later period, with one of these being a periphrastic text.

There is a detailed narrative regarding the saint’s parents in the “Life” of Blessed Macarius, who have been compared to the biblical Abraham and Sarah. Analogies to biblical characters appear many times throughout the work. Particularly, the spiritual labors of Macarius the Great’s father have been compared to Aaron, Zachariah, and others. A biblical miracle is also reiterated in one part of the text: St. Macarius is guided ahead by a pillar of fire like the Prophet Moses and God’s chosen people.

Like the main characters of hagiographic literature, St. Macarius stood out from his peers when he was still yet a child. He “grew and excelled through grace and the accompanying stature.” His industriousness has also been denoted here. The same fact is reiterated in the third Coptic Apophthegmata.

The saint’s biographer divulges nothing about where and how the blessed father received an education, but the spiritual advice that the blessed father says before his disciples emphasizes his erudition.

Two forms of ascetic labor have been well-defined within the work: anchorism and cenobitism. The emergence of the monastic brotherhood within the realm of the eremitic life has been shown. According to the author, St. Macarius had learned the monastic typicon from Anthony the Great and also received the blessing to be a shepherd of many souls from him as well.

Many miracles performed by Blessed Macarius have been included in the “Life”. The story of raising a dead man is one of the most remarkable. The miracle and in general, the discussion of St. Macarius regarding the mystery of the Resurrection are indicative of his profound theological education.

Such places are encountered in the “The Life of St. Macarius the Egyptian” which either correspond to the appropriate segments in the *Lausiac History* and the Georgian apophthegmatic collections or are divergent from them. Sometimes certain identical stories in the “Life” have been narrated more extensively or on the contrary. There is one detail of his life in the *Lausiac History*, which is not known within his “Life”, specifically how the saint weakens youthful desires through physical labor.

The relation of the “Life” with places in the Old Georgian texts corresponding to the Holy Scriptures is quite interesting. They have sometimes been conveyed in periphrastic form, are sometimes identical, or have been conveyed in a slightly different form.

Certain episodes of the saint’s life, advice, or dialogues preserved in the work need to be taken into account in order to fully study his work as a scholar and to draw parallels with the corpus of his works.

მაკიაშ გუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილორის წმინდა გიორგის სახელობის ჯაძის ეპიგრაფიკა

ილორის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი მდებარეობს აფხაზეთში, სოფელ ილორში. იგი აიგო XI საუკუნის I მეოთხედში და მუდამ წარმოდგენდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს და უმნიშვნელოვანეს სალოცავს. მას არაერთი რწმენა-წარმოდგენა და რიტუალი უკავშირდება. სწორედ ამ ეკლესიაში ინახებოდა ისეთი სიწმინდეები, როგორცაა ბედიის ბარძიმი, რომელიც ბაგრატ III და მის დედას, დედოფალ გურანდუხტს შეუწირავთ მათ მიერვე 999 წელს აგებული ბედიის ტაძრისათვის, ილორის წმ. გიორგის ხატი და ამჟამად უკვე დაკარგული ილორის ბარძიმი.

ეკლესიაზე ცნობები გვხვდება კათოლიკე მისიონერთა ცნობებში. იგი დატანილია არქანჯელო ლამბერტის 1654 წლის რუკაზე. ასევე, ჩვენამდე მოაღწია ქრისტეფორე დე კასტელის მიერ შესრულებულმა ილორის ეკლესიის ჩანახატებმა. ძველი მონახულებს ისეთმა მოღვაწეებმა, როგორებიც არიან: ჟან შარდენი, დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე და სხვა. მას თავის ჩანაწერებში იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც: „ზღვისა კიდებედ, ამ წყლის (იგულისხმება წყაროებში არაერთხელ ნახსენები ეგრისის წყალი, სავარაუდოდ, ენგური, ღალიძგა ან ოხოჯა) დასავლეთ კიდებედ არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგის... უგუმბათო, მდიდარი და შემკული“

არქიტექტურული თვალსაზრისით, ილორის ეკლესია წარმოდგენს დარბაზული ტიპის ნაგებობას, რომელსაც ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს გააჩნია მინაშენები. შესასვლელი დასავლეთითა და სამხრეთითაა გაჭრილი, ხოლო შიდა სივრცე განათებულია ექვსი სარკმლით. ნაგებობის ფასადზე ამოკვეთილი იყო რამდენიმე წარწერა, რომელთა განხილვასაც ემსახურება ჩემი დღევანდელი მოხსენება. შიდა სივრცე, სავარაუდოდ, შემკული იყო ფრესკული მოხატულობებით, რომლებიც 1736 წელს თურქთა შემოსევებისა და მათ მიერ ეკლესიის დაწვის შედეგად განადგურდა. აი, როგორ აღწერს ვახუშტი ამ მოვლენას: „მოვიდნენ ოსმალონი ილორს. არამედ ხატნი, ჯუარნი და სავმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ, შეუდვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპეს დახატულობანი“.

ყველაზე დიდი უბედურება მოცემულ ძეგლს XXI საუკუნეში დაატყდა თავს - 2010 წელს მას სრულიად ეცვალა სახე: იგი გადაღებეს, დაადგეს რუსული „ხახვისებრი“ გუმბათი და, ფაქტობრივად, დაუკარგეს პირვანდელი სახე. წარიხოცა ეკლესიაზე არსებული, პალეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ლაპიდარული წარწერებიც.

ამ ეკლესიის ქტიტორთა ვინაობას სწორედ წარწერებიდან ვიგებდით. როგორც ჩანს, ისინი მაშინდელი მსხვილი საეკლესიო და სასულიერო პირები იყვნენ: ადგილობრივი წარჩინებული ფეოდალი გიორგი გურგენისძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი (სავარაუდოდ, იგულისხმება მოქველი ან ბედიელი მთავარეპისკოპოსი), მღვდელი გიორგი ქორილავა, რომლის გვარი უთუოდ „ქორილავა“ უნდა იყოს, მაგრამ ძველ ქართულში მიღებული სიტყვათა კვეცის მიხედვით წარწერებში წარმოდგენილია, როგორც „ქორილვა“. ასევე, ტაძრის მშენებელთა შორის დასახელებულია გალატოზი გიორგი და საერო პირი მიქაელი, რომელიც შესაძლოა მშენებელიც იყო.

თავდაპირველად, ფასადზე მოცემული იყო სულ ორ წარწერა, მაგრამ უკვე იმ დროისათვის, როდესაც ა. კაციამ გადაიღო ლაპიდარული წარწერების ფოტოპირები, ხოლო თ. ბარნაველი მათ გამოფრვას შეუდგა, ერთ-ერთი მათგანი იმდენად დაზიანებული იყო, რომ მისი გარჩევა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდა. 70-იან წლებში ილორის წარწერებზე მუშაობდა ვ. სილოგავა, რომელმაც ისინი „ქართული წარწერების კორპუსის“ II ტომში გამოაქვეყნა. გამოქვეყნებული ხუთი წარწერიდან ფოტოს სახით მხოლოდ ე.წ. გიორგი ქორილავას წარწერა მოგვეპოვება, რომელსაც შემდგომში სლaidზეც ვიხილავთ. ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, ექვსივე წარწერა მოთავსებული გახლდათ ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ ქვის ფილებზე შემდეგნაირი განლაგებით:

- პირველ ორ ქვაზე ორ-ორი ერთსტრიქონიანი წარწერა (ჯამში ოთხი);
- მესამე ქვაზე მხოლოდ ერთი წარწერა;
- მეოთხე ქვაზე სამსტრიქონიანი წარწერა, რომლის გაშიფრვა მისი დაზიანებული მდგომარეობის გამო თავიდანვე ვერ მოხერხდა.

შევუდგეთ მოცემული წარწერების უფრო დეტალურ განხილას. სამწუხაროდ, მათი პალეოგრაფიული თავისებურებების შესახებ მსჯელობა (ერთი გამონაკლისის გარდა) მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებში არსებული ტრანსკრიპციის მიხედვით შეგვიძლია.

1. ე.წ. გალატომის წარწერა:

„წ(მიდა)ო გ(იორგ)ი ილორ(ი)საო [შ](ეიწყალ)ე გ(ა)ლ[ატომი]“

გ. სილოგავას აღწერილობით, წარწერის ფრაგმენტი ნუსხურითაა შესრულებული. მას არ ახლავს განკვეთის ნიშნები, ხოლო ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი ხაზი. წარწერის ბოლო ნაწილი დაზიანებულია ფილის გადარეცხვის შედეგად და, შესაბამისად, არ იკითხება. იგი XI საუკუნის I მეოთხედით უნდა დავათარილოთ.

2. გიორგი მთავარეპისკოპოსის წარწერა:

წ(მიდაო) გ(იორგ)ი შეიწყ(ა)ლე მ(თავა)რ(ეპისკოპო)ში გ(იორგ)ი

ეს მეორე წარწერა შესრულებულია მხედრულით. შუა და ბოლო ნაწილი შედარებით დაზიანებულია, ამიტომაც მისი ამოკითხვის რამდენიმე ვერსია არსებობს. საყურადღებოა, რომ ისიც თარიღდება XI საუკუნის I მეოთხედით ანუ ემთხვევა ეკლესიის აგების პერიოდს.

3. მეორე ქვაზე არსებული წარწერის ფრაგმენტი:

[წ(მიდაო) გიორგი ილ[ორისაო]...ძე თ... [შეიწყალე]

მეორე ქვაზე არსებული ამ სამსტრიქონიანი წარწერის გარჩევა ჭირს, რადგან იგი შესწავლის პერიოდშივე იყო ნაწილობრივ გადაშლილი. ამან განაპირობა ის ფაქტორი, რომ გ. სილოგავა წარწერაში ვინმე მიქაელის არსებობას ვარაუდობს. განსაკუთრებული ამ წარწერაში ის გახლავთ, რომ იგი ასომთავრულწარწერის ნუსხურით იყო შესრულებული – ბოლო ანუ მესამე სტრიქონში მოცემული იყო ასომთავრული სიმბოლოები.

4. გიორგი გურგენის ძის წარწერა:

[წ(მიდაო) გ(იორგ)ი
[ილო]რის(ა)ო [შ(ეიწყალ)ე]
გ(იორგ)ი გურგენ[ის] ძე

ეს სამსტრიქონიანი წარწერა ასომთავრულადაა შესრულებული. განიჩრევა კიდურწერტილოვანებისკენ მიდრეკილება. ერთმნიშვნელოვნად ზუსტად წარწერის შინაარსი არაა აღდგენილი, რადგან ისიც მეტად დაზიანებული სახით არსებობდა, ამჟამად კი უკვე მთლიანად შელესილია.

5. გიორგი ქოჩოლავას წარწერა:

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი ქო
ხო[ლ]ვაძ მდ[ე]ლი
წ(მიდა)ო გ(იორგ[ი] მფარ(ვე)ლ მექ
მენ : დიდს
ამას დღესა

ეს ერთადერთი წარწერაა, რომლის ფოტობირიც მოგვეპოვება. იგი სულ ხუთსტრიქონიანია და ასომთავრულითაა შესრულებული, თუმცა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ იგი აშკარად ავლენს ნუსხურისკენ მიდრეკილებას [ახალაძე, 2005:101]. გ. სილოგავას აზრით, აქ სულაც ნუსხური კალიგრაფიის მაგალითია, რადგან ირღვევა ასომთავრულისთვის

დამახასიათებელი ორხაზოვანი საწერი ბადე და უპირატესობა ოთხხაზოვანს ენიჭება, რაც უფრო სახასიათოა ნუსხური-სათვის. მეექვსე გაუშიფრავი წარწერაც, სავარაუდოდ, ნუსხური იყო.

აღნიშნული წარწერების შემსრულებლად ერთი ადამიანი უნდა ვივარაუდოდ, რადგან მისი ხელწერა ყველგან ერთნაირია - ამაზე მიუთითებს იგივე დაქარაგმების ერთსა და იმავე წესით გადმოცემის მანერა (იყენებს სწორ განივ ხაზს). პალეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოსტატი არ იფარგლება დამწერლობის ერთი კონკრეტული ტიპით - იგი მეტად თამამად რთავს ნუსხურში ასომთავრულს. გამონაკლისი მხოლოდ მხედრულით შესრულებული წარწერაა, რომელშიც გიორგი მთავარეპისკოპოსი იხსენიება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველა წარწერა ერთსა და იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა (XI საუკუნე) და ეკლესიის აგებისთანავე უნდა იყოს დატანილი [ახალაძე, 2005:103]. ამგვარად, ვიღებთ ძეგლს, რომელზეც ქართული დამწერლობის განვითარების ამსახველი მეტად საინტერესო სურათია მოცემული - წარმოდგენილია ე.წ. გარდამავალი პერიოდი, როდესაც სამივე სახის კალიგრაფია, ასომთავრული, ნუსხური და მხედრული თანაარსებობდა.

ილორის ეკლესიის წარწერებს უაღრესად დიდი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება გააჩნია. ახლა კი, როდესაც საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე, აფხაზეთი, ოკუპირებულია, ილორის ეკლესიას ამგვარი ბედი ხვდა წილად, ხოლო მოცემული წარწერები უკვე აღარც კი არსებობს, ამ ძეგლის ხელახლა გახსენება და, ერთი შეხედვით, მწირი, მაგრამ მანაც მეტად ინფორმატიული წყაროების განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ლიტერატურა:

1. ახალაძე ლია. 2005 *აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო* [რედ.: ვალერი სილოგავა] ; თსუ. თბილისი : [ლევა]
2. 3. როგავა გივი. 2009 *ეკლესია-მონასტრები აფხაზეთში* : ილორი. აფხაზეთის ისტორიის საკითხები / გივი როგავა. თბილისი.
3. *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი = Культурное наследие Грузии Абхазия = Georgian cultural heritage Abkheti*: [ალბომი] / საქ. კულტ., ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინ., აფხაზეთის განათლ. და კულტ. სამინისტრო ; [პროექტის ავტ. და რედ. სალომე კაპანაძე] თბილისი: [2007]-2009.
4. Кацья А.К. (Анатолий Константинович). *Илори : (Памятник XI века) [на Юго-востоке Абх. АССР]* / А.К. Кацья ; Ред. В.В. Беридзе ; АН Груз. ССР ; Абх. ин-т языка, лит-ры и истории им. Д.И. Гулиа. Сухуми : Изд-во АН Груз. ССР, 1963 (тип. им. Ленина)

MARIAM GUNIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

EPIGRAPHY OF ILORY ST. GEORGE CATHEDRAL**SUMMARY**

Ilory St. George cathedral is located in village Ilory, Abkhazia. The cathedral was built in the first part of XI century and never ceased to be one of the most powerful and important places to pray in west Georgia. Ilory cathedral is the place connected with a number of orthodox rituals and church- performances. It is the place which kept such important holy objects as Bedia Chalice, Ilory St. George icon and currently lost Ilory Chalice. We come across the mentioning of this cathedral in Catholic missionaries' notes. Ilory cathedral was marked on Archangelo Lambert map of 1654. It was visited by such prominent people like: Jean Chardin, Dubois de Montpereux, Marie Brosset, etc.

Architecturally Ilory cathedral represents hall church type completed with an apse from the east part of it. The cathedral is one nave with the transepts from the north and the south sides. The entrance is cut from the west and south parts and the inside space is lit with six church windows. In 2010, it was completely transformed: it was painted over, the original dome was changed into 'onion-type' Russian one and thus the cathedral completely lost its original image. The cathedral also lost its highly important existing writings from paleographic point of view.

The above-mentioned writings inform us about the sponsors of Ilory cathedral building. As it turns out, they were the powerful religious and church figures of that time: local prominent noble Giorgi Gurgenidze, Archbishop Giorgi (supposedly the Archbishop of either Bedia or Moqvi), Priest Giorgi Qocholava, whose surname must have definitely been 'Qocholava' but according to old Georgian way of elision of words, in cathedral writings the priest's surname is represented as "Qocholvai". Apart from them, Michael, who could have been the actual builder of the cathedral, is named as one of the sponsors of cathedral building. Ilory cathedral writings are of utmost historic - Importance for the development of writing in Abkhazia region as well as the source of research into the history of Ilory cathedral itself. From paleographic point of view, it's noteworthy that on the existing six writings on the cathedral façade all three stages of the development of Georgian script is presented: Asomtavruli, Nuskhuri and Mkhedruli. This can undoubtedly be claimed to be an extremely rare occasion, considering the fact that all three calligraphic design (Used in the façade writings) belong to the same period of XI century, which allows us to assume that in the given period in Georgia all three Georgian scripts coexisted.

ია ლაღუა

გიორგი ლეონიძის სახელობის

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

ლიზიაკაჭუკის მუზეუმში ღაცული ათონური სახაკაბა

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ხელნაწერი, საინვენტარო ნომრით სსლმ - 12854-ბ, რომელიც შეიცავს სახარების ტექსტს და საინტერესოა როგორც კოდიკოლოგიური თვალსაზრისით, ისე თავისი თავგადასავლით. მოგეხსენებათ, უცხოეთში შექმნილი თუ გადაწერილი ხელნაწერი სანამ საქართველოში დაივანებს, გადის გზას, რომელიც არ არის უბრალოდ ლოკაციისა თუ მასშტაბის ცვლა. ეს არის ხელნაწერის თავგადასავალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბევრ ისტორიას აცოცხლებს და სხვაგვარად წარმოაჩენს.

რაც შეეხება ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ხელნაწერს, ის საქართველოში ჩამოუტანია მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას. მღვდელმონაზონი ილია სამსონის ძე ფანცულაია ერთ-ერთი უკანასკნელი ქართველი ბერი იყო ათონზე. 1920 წელს მას, სხვა ქართველ ბერებთან ერთად, ათონის დატოვება მოუწია.¹ ილია ფანცულაიამ ათონიდან ჩამოიტანა ხუთი ხელნაწერი, რომელთაგან ოთხი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი რომ ნამდვილად ილია ფანცულაიას მიერაა ჩამოტანილი, ამას ადასტურებს მისივე წერილი ს. კაკაბაძისადმი, დათარიღებული 1929 წლის 4 იანვრით:

„ს. კაკაბაძეს. ამასთანავე გაახლებთ ტყავზე ნაწერ პატარა სახარებას, რომელიც მე მოტანილი მაქვს ძველ ათონიდან. რადგანაც ძალიანი გაჭირვებაში ვარ, გთხოვთ მომიხერხოთ ამ სახარების განაღდება რომელიმე დაწესებულებაზე. მღვდელმონაზონი ილია ფანცულაია“.

ეს წერილიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში, საინვენტარო ნომრით 12861-ბ.

1944 წლის ოქტომბერში სარგის კაკაბაძემ ლიტერატურის მუზეუმის იმდროინდელ დირექტორს, გიორგი ლეონიძეს, შესთავაზა ამ ხელნაწერის შესყიდვა და მას შემდეგ ის ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება.

სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციას მიეკუთვნება. სახარების გიორგი მთაწმინდელისეულმა რედაქციამ დღემდე ხელნაწერთა საკმაო რაოდენობით მოაღწია, თუმცა, ლიტერატურის მუზეუმში არსებული ამ ხელნაწერის შესახებ ნაკლებადაა ცნობილი. პირველად მისი მოკლე ანოტაცია შემოგვთავაზა ივანე ლოლაშვილმა 1949 წელს ლიტერატურის მუზეუმის პერიოდული გამოცემის „ლიტერატურის მათიანის“ მე-5 ტომში. 2016 წელს ხელნაწერი ჩვენ მიერ აღიწერა და გამოიცა ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის პირველ წიგნში; ხოლო 2018 წელს ის შევიდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ ილუსტრირებულ კატალოგში „უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში“ [კეკელია... 2018:84].

ხელნაწერი მცირე ზომისაა - 6.5 X 9 სმ.; ეგრეთ წოდებული უბის სახარებაა. 244 ფურცელს შეიცავს. ეტრადი, ჩასმულია ტყავადაკრულ ტვიფრულ ყდაში. შესრულებულია კლასიკური ნუსხურით, ორ სვეტად, 21-23-26 სტრიქონებად. სათაურები და საწყისი ასოები ოქრომელნიანი სინგურითაა; ზოგიერთი თავი გამშვენებულია ოქრომელნიანი თავკაბმულობით. ოქრომელნიანია შესრულებული საზედაო ასოები, რომლებიც უმეტესად ზომორფული გრაფემების სახითაა მოცემული.

¹ ილია ფანცულაია დახვრიტეს 1937 წელს.

შეინიშნება განკანონების ხაზები და წერტილები. გადამწერი არ იხსენიება. შესაბამისად, ტექსტს არ ახლავს ანდერძი და არც მინაწერთა სიხშირით გამოირჩევა.

ახლავს ოთხივე მახარებლის ქალაქებში შესრულებული ფერადი მინიატურა - 7r, 77r, 115r, 180r, რომლებიც ხელნაწერის შექმნის შემდეგ პერიოდში, სავარაუდოდ რესტავრაციის დროს, დაახლოებით მე-18 საუკუნეშია ჩართული. სამწუხაროდ, ამ კუთხით ხელნაწერი არავის უკვლევია და შესაბამისად, დაბეჯითებითაც ვერაფერს ვიტყვით.

რაც შეეხება სახარების შექმნის სავარაუდო თარიღს: სარგის კაკაბაძე თვლის, რომ ხელნაწერი მე-13 საუკუნეს განეკუთვნება და „თავისი ტექსტით ის უდგება ეგრეთ წოდებულ ჯრუჭისეულ მე-10 ს-ნის ხელნაწერს“ (ს. კაკაბაძის წერილი გ. ლეონიძისადმი, 12861-ბ). ივ. ლოლაშვილის მოსაზრებით კი ხელნაწერი XII საუკუნეს განეკუთვნება.

ხელნაწერის დათარიღებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მასში რამდენიმე გადამწერი შეინიშნება. ყოველ შემთხვევაში, ორი ხელწერა ცხადად ჩანს. კერძოდ, 50r-დან განსხვავებული კალიგრაფია და ჩვენი აზრით, სწორედ ეს მონაკვეთი, 50r-244v, არის თავდაპირველი, ადრინდელი ნაწილი, რომელიც დაკარგული იყო და შემდეგ შეივსო სხვა გადამწერის მიერ. ამას გვაფიქრებინებს სამი გარემოება:

1. ფურცელთა სხვადასხვაგვარობა აშკარაა და შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი შესამჩნევია, რომ 50r-დან ტყავის ფურცლები უფრო ძველია, თხელი და გამჭვირვალეა და მოყვითალო ფერს გადაიკრავს, წინა ფურცლები კი შედარებით სქელია და უფრო თეთრი ფერისაა;

2. 49v და 50r შეიცავს მათეს სახარების ტექსტს. 49v-ზე დაწერილია მხოლოდ ერთი სვეტის 10 სტრიქონი. გვერდის დაწარჩენი ნაწილი ცარიელია. ამ გვერდზე მოთავსებული ტექსტი: “ხოლო გეტყვ თქვენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა და არა იცნეს იგი არამედ”... აქ წყდება და წინადადება გრძელდება 50r-ზე: “უყვეს მას რაოდენი უნდა და ეგრეთვე ძესაცა კაცისასა ეგულების...” როგორც ჩანს, ხელნაწერს აკლდა დასაწყისი, დაიწყეს მისი შევსება, გადამწერმა ვერ ჩასვა ტექსტი ისეთი სიზუსტით, რომ წინადადება ამგვარად არ გაყოფილიყო და გამოვიდა ისე, რომ ნაკლები ნაწილის ბოლო წინადადება დასრულდა 49v-ს მე-10 სტრიქონზე;

3. რვეულებრივი პაგინაცია: აშკარად არეულია რვეულებრივი პაგინაცია პირველ ნაწილში, რომელიც ჩვენ გვიანდელ ნაწილად მიგვაჩნია (1r-49v). აქ გვხვდება დაუსრულებელი 8 (ჰ) რვეული (თითოეული 6 ფურცლისგან შემდგარი, მხოლოდ პირველი (ა) რვეულია 9-ფურცლიანი; რაც შეეხება ბოლო, 3 რვეულს, ის იწყება 48 r-დან, ხოლო რვეულის დასრულება მითითებული აქვს 48 v-ზე; 49r-ზე კი თ (9) არის მითითებული რვეულის პაგინაცია). ასე რომ, რვეულებრივი პაგინაციის ასეთი დარღვევა აშკარად მიუთითებს, ის შედარებით გვიანდელი ნაწილია. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესოა ადრინდელი, ხელნაწერის მეორე ნაწილი, რომელიც იწყება 50r-დან. რვეულებრივი პაგინაცია ამ ნაწილში იწყება ე-დან, რომელსაც აკლია 1 ფურცელი, რადგან მხოლოდ ე რვეულია 7-ფურცლიანი, დანარჩენი, ჩვეულებისამებრ, 8-ფურცლიანია. სულ გვაქვს კჰ (28) რვეული.

220v-ზე გარკვევით ჩანს პაგინაცია - კდ. ამის შემდეგ არ ჩანს მითითება 236v-მდე, რომლის ბოლოს მითითებულია კე (ანუ, არ ჩანს კდ რვეულის დასასრულისა და კე რვეულის დასაწყისი აღნიშვნები). შესაძლოა, ამ გვერდებზე პაგინაციის ნიშანი მოიჭრა ხელნაწერის რესტავრაციის დროს. ჩვენი ვარაუდით, მისი ზომა ცოტათი დიდი იქნებოდა. რესტავრაციის ან სხვა მიზეზის გამო ფურცლების ნაწილი მოიკვეთა და სავსებით შესაძლებელია, ზემოაღნიშნულ გვერდებზე პაგინაციის აღნიშვნაც ამიტომაც არ გვაქვს.

საბოლოოდ კი, ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელნაწერი თავდაპირველად შედგებოდა 28 რვეულისგან. ადრინდელ ნაწილში (რომელიც 50r-დან იწყება) შემორჩენილია 24 რვეული (აკლია 1 ფურცელი), ესე იგი დაკარგულია პირველი ნაწილი, რომელიც შედგებოდა 4 რვეულისგან (32 ფურცელი). თუკი ამას ე (მე-5) რვეულის დაკარგულ პირველ ფურცელსაც დავუმატებთ, გამოდის, რომ ხელნაწერის თავდაპირველი ვარიანტიდან დაკარგულია 33 ფურცელი, რომელიც მოგვიანებით შეივსო, მაგრამ ვერ შეივსო იმ სიზუსტით, როგორც იყო პირვანდელი ვარიანტი.

ასე რომ, რვეულებრივი პაგინაციის პირველ ნაწილში არევა, მეორე ნაწილში ზუსტი თანმიმდევრობა, შეუსაბამობა პირველსა და მეორე ნაწილებს შორის ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ ხელნაწერი არ არის თავდაპირველი სახით მოღწეული, აღდგენილია და იგი პირველი 49 ფურცლით მოგვიანებითაა შევსებული. ეს კი უნდა გავითვალისწინოთ ხელნაწერის დათარიღებისას.

ხელნაწერის ტექსტი შეიცავს:


1. ევსების ეპისტოლე კარპიანეს მიმართ: „ევსები კარპიანეს საყუარელსა ძმასა უფლისა მიერ გიკითხავ. ამმონოს ალექსანდრიელმან დიდი შრომად და გულსმოდგინებად შორის შემოიღო...“ - 1v — 3v;
- ოთხთავის ტექსტების თავებად და მუხლებად დაყოფა და მუხლების აღნიშვნა რიცხვის შესაბამისი ასოებით მიეწერება ამონიოს ალექსანდრიელს, რომლის საფუძველზე ევსები კესარიელს შეუდგენია თავისი ცნობილი ათი კანონი. გვიანდელ შუა საუკუნეებამდე თითქმის ყველა სახარებას ახლავს ევსების ეპისტოლე კარპიანეს მიმართ და 10 კანონი, რომლებიც ძირითადად კამარებშია ჩასმული (ალავერდის სახარება, ვანის სახარება...). თუმცა, სახარების ამ ხელნაწერს მხოლოდ ევსების ეპისტოლე აქვს წამძღვარებული და არ ახლავს კანონები. ვფიქრობთ, ესეც გასათვალისწინებელი ფაქტია. შესაძლებელია, ხელნაწერის დასაწყისის ადრინდელ ვარიანტში იყო კიდევ ევსებიოსის კანონები.
2. „ესე თავები მათეს სახარებისა“ - 3r — 6r;
3. სახარება მათესი: „წიგნი შობისა იესუ ქრისტესი...“ - 8r — 73v;
4. „ესე თავები არს მარკოზის სახარებისა“ - 74r-v;
5. სახარება მარკოზისი: „დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტესი ძისა...“ - 78v — 113r;
6. სახარებად ლუკას თავი: „ვინადთგან უკუშ მრავლითა ხელყვეს აღწერად...“ - 116v — 179v;
7. ესე თავები არს იოვანეს სახარებისა - 179v-r;
8. სახარება იოვანეს თავი: „პირველითგან იყო სიტყუა...“ _ 181v — 227r;
9. გიორგი მთაწმინდელის ანდერძი: „ესე საცნაურ იყუნენ ყოველთა...“ - 228r;
10. ზანდუკი სახარებისა საძიებელისა დაწელიწდო: - 229r — 244v;

ხელნაწერი მეტატექსტების სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ გვხვდება მინაწერები შემდეგ გვერდებზე: 3r (ადრინდელი: მუნთქუესვე გზითა კანონი წარწერა ნ რავედნთა...), 8r, 49r (სასუწნი), 63v, 92r (ადრინდელი, მკრთალად ჩანს) 135r (სასუწნი) 161v (ადრინდელი, მკრთალად ჩანს), 239v (გვერდის მთელ სიგრძეზე, ადრინდელი, მკრთალად ჩანს, სინგურით გამოყოფილი ასოებით), 244v (მხედრულად მინაწერი: 246 ფურცელი).

სანამ უშუალოდ გიორგი მთაწმინდელის ცნობილ ანდერძზე ვისაუბრებდეთ, გვინდა აღვნიშნოთ საინტერესეო მინაწერე 8r-ზე: „ხ(ა)ხ(უ)ლისა ღ(მრთ)ისმშო(ბელ)ო შ(ეიწყალე)ნ ბ(ა)ტონისშვ(ი)ლი



12854-ბ. ათონური ოთხთავი, XII საუკუნე



ათონური სახარება

თეკლა ა(მი)ნ. უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო მფარველ ექმენ ორსავე შ(ინ)ა ცხოვრებასა“. წარწერა შესრულებულია ოქროვარა-ყით და მოთავსებულია ფერადი კამარის ქვეშ, მათეს სახარების დასაწყისის ზემოთ. დაზუსტებით ვერ ვიტყვით, რომელ თეკლა ბატონიშვილზეა საუბარი, სავარაუდოდ, ერეკლეს ქალიშვილზე, თუმცა, როგორ მოხვდა ეს მინაწერი ხელნაწერში, ვფიქრობთ, საინტერესოა და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხელნაწერი ათონიდან საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში მოხვდა, მინაწერი თეკლა ბატონიშვილის შესახებ უნდა გაკეთებულიყო მანამ, სანამ ხელნაწერი ათონის მონასტრის ბიბლიოთეკის კუთვნილება იყო. ან გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ვარაუდი - ხახულის ღვთისმშობლის ხატის მოხსენიება ხომ არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ, შესაძლოა, ხელნაწერი არც შექმნილა ათონზე. იქნებ ჩვენი ხელნაწერი ტაო-კლარჯული წარმოშობისაა და გვიან მოხვდა ათონზე. ამ ეტაპზე დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი ხელნაწერი უდავოდ საინტერესოა და შემდგომ კვლევას საჭიროებს.²

ასევე მნიშვნელოვანია 63v-ს კოლოფონი, რომელიც მოთავსებულია მარცხენა აშიაზე, მათეს სახარების ტექსტის გასწვრივ: „არცა ძემან: ესე სიტყუად სამთა სახარებათა არა ეწერა და არცა მე დავწერე“. მინაწერი განმარტავს იმ მონაკვეთს, რომლის გასწვრივაცაა მიწერილი: „ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა გარნა მამამან მხოლომან“ (მთ. 24, 36). ეს მინაწერი დამახასიათებელი ყოფილა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის სახარებისთვის. როგორც ივ. იმნაიშვილი აღნიშნავს, „[„ცისათა] + „არცა ძემან“ K.H I³-ში ამ სიტყვის გასწვრივ მარჯვენა არშიაზე ტექსტის ხელით წერია: „არცა ძემან“ - ესე სიტყუად სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა და არცა მე დავწერე“ [იმნაიშვილი, 1979:344]. ჩვენი სახარების მინაწერი განსხვავებას იძლევა ერთ სიტყვაში - აქ არ გვხვდება სიტყვა „ბერძულთა“. ვფიქრობთ, ესეც საინტერესოა. სხვათაშორის, ეს მონაკვეთი ასევე იკითხება 1709 წლის პირველი ნაბეჭდი სახარების ვახტანგისეულ გამოცემაშიც: „ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არა ვინ იცის. არცა ანგელოზთა ცისათა გარნა მამამან ჩემმან მხოლომან“ (სახარება 1709:ნდ). როგორც ვხედავთ, განსხვავებას იძლევა კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემმან“, რომელიც მიემართება მამას: „მამამან ჩემმან“.

რაც შეეხება გიორგი მთაწმინდელის ცნობილ ანდერძს, რომელშიც იხსენიებს სახარების ძველ თარგმანებს და ითხოვს მისი თარგმანის ზუსტ დაცვას, ათონური რედაქციის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობას ერთვის.⁴ სახარების ჩვენეული ნუსხა იმეორებს მას: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი **ახლად გვთარგმნია** ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადთა და ბერძულთა სახარებათადა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულიღვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ ვითა აქა ჰპოთთ ვგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერგინდეს დაწერად, ღმრთისათვის სიტყუათა ნუ სცვალეთ. ვითა აქა სწერია, ვგრე დაწერეთ. და თუ არა რადმე გაშუნდეს ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნი არიან და კეთილად: ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა მუნით დაწერეთ. და ღმრთისათვის ერთმანერთსა ნუ გაპრევთ. და გლახაკისა გეორგისთვის **რომელმან ესე ღიღითა ღუაწლითა ვთარგმნე**, ლოცვა ყავთ“.

როგორც ცნობილია, ამ ანდერძის ორი რედაქცია არსებობს [შანიძე, 1945:282-283] - A და B, რომლის ნაირწაკითხვები განსხვავებას იძლევა ორ სიტყვაში: A რედაქციის ანდერძში იკითხება: „ესე წმიდად ოთხთავი ჩუენ ახლად გვთარგმნია“; B-ში კი ეს ადგილი ასე იკითხება: „ესე წმიდად ოთხთავი არა ახლად გვთარგმნია“. ასევე, A რედაქციაში B-სთან შედარებით უფრო ხშირად გვხვდება ფრაზა ანდერძის ბოლო წინადადებიდან: „რომელმან ესე ვთარგმნე“.

დარეკან თვალთვადის აზრით, სწორედ ამ ადგილის წაკითხვა მოგვცემდა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ აფასებდა გიორგი მთაწმინდელი თავის საქმიანობას - ახალ თარგმნად მიიჩნევდა თავის ტექსტს თუ ძველი თარგმანის ახალ, გადაამუშავებულ ვერსიად [თვალთვაძე, 2015]. კალიპოსის ოთხთავის (ქუთ. 76) ანდერძების ანალიზისა და შედარების მიხედვით

² მაძლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსს ქეთევან ასათიანს დახმარებისთვის. სწორედ მან მიგვანიშნა რვეულებრივ პაგინაციისა და ხელნაწერის ტაო-კლარჯული წარმოშობის იდეის შესახებ.

³ K - გელათის ოთხთავი; H - ვანის ოთხთავი, I - ეჩმიადინის ოთხთავი.

⁴ ეს ანდერძი არ ერთვის ალავერდის სახარებას (A-484), მაგრამ მას ერთვის სვიმეონ გადამწერის ხელით შესრულებული გიორგი მთაწმინდელის სხვა ანდერძი (A-484, 10r), რომლის მიხედვითაც გიორგი მთაწმინდელს თავისი თარგმანი „სახარებათადა შემწიწამებია ბერძულსა ორჯერ და ქართულსა...“

დარეჯან თვალთვაძე თვლის, რომ გიორგი მთაწმინდელი თავს არა მთარგმნელად, არამედ რედაქტორად მიიჩნევს. თუმცა, ეს ცალკე კვლევის საკითხია და ამ დროს, ვფიქრობთ, ჩვენი ხელნაწერიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიტერატურის მუზეუმში არსებული ხელნაწერი უდავოდ გიორგი მთაწმინდელის სახარების რედაქციათა ნუსხას მიეკუთვნება და მისი მინაწერიც საინტერესო მასალას წარმოადგენს. თუმცა ხელნაწერის შესახებ ცნობები ნაკლებად გვაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში და ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა შეივსოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დარეჯან თვალთვაძე (2015), *ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი*. ჟურნალში: “სპეკალი“, მეცხრე ნომერი. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი.
2. იმნაიშვილი ივანე. 1979. *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. ვლ. კეკელია, ნ. მიროტაძე, თ. ოთხმეზური, დ. ჩიტუნაშვილი. 2018. *უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში, ილუსტრირებული კატალოგი*. თბილისი.
4. სახარება. 1709. თბილისი.
5. შანიძე აკაკი. 1945. *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973)*. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

IA GHADUA

Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

ATHOS GOSPEL PRESERVED AT THE MUSEUM OF GEORGIAN LITERATURE**SUMMARY**

The Georgian manuscript containing the text of the Gospel is preserved in Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature. Ilia Pantsulaia, a monk, brought it to Georgia. The manuscript is small – 6.5 x 9; it represents the so-called pocket gospel. It is written on thin leather sheets and is leather-bound. It is performed in classical Nuskhuri, in two columns, 21-23-26 lines. The titles and the first letters are in golden cinnabar; the copyist is not mentioned.

Sargis Kakabadze believes that the manuscript belongs to the XIII century; according to Iv. Lolashvili, the manuscript belongs to the XII century. When dating the manuscript, it is important to note that there were two copyists. In particular, a different calligraphy begins from 50r and in our opinion, namely this section, 50r-244v, is the original, that is, the previous part which was lost and then filled in by another copyist. The manuscript does not feature a lot of metatexts but colophons of the manuscripts are undoubtedly worth noting. As for Giorgi Mtatsmindeli's famous will, in which he remembers the old translations of the Gospel and asks for the accurate maintaining of its translation, it is included in the majority of manuscripts of Athos edition and our list of Gospel repeats it as well.

The manuscript in the Museum of Literature is undoubtedly a list of the editions of Gospel of Giorgi Mtatsmindeli. Nevertheless, we do not have information in scientific literature and this shortcoming should be corrected by all means. The coding analysis of the manuscript and the study of the will, which accompanies it, are of utmost interest.

პლატიმეჩი კეკელიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

შენზე მანდაგუათუხუცესის ღაპიღაჰლი წაჩეჩა აკთიკში

მხარგრძელთა საგვარეულოს წამომადგენლების მიერ საქართველოს სამეფო კარზე სამოხელეო სახელოების ფლობის საკითხის შესასწავლად განჩინების – ისტორიული დოკუმენტის ფუნქციის მქონე ლაპიდარულ წარწერებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სომხეთში, შირაკის მხარეში, ქალაქ ართიკში მდებარე VII საუკუნის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა.




@ Liveon001 © Travis K. Witt -
собственная работа, CC BY-SA 3.0, <https://commons.wikimedia.org/w/index.php?curid=13614496>

@ ვიქსიონი ჯანა ვიქსიონიძის, ირაქლი,
წარწერის სომხური ტექსტი იხ.: [წარწერის სომხური ტექსტი იხ.: 66]

წარწერას თარიღიანია – 1222 წელი¹.

¹ წარწერის სომხური ტექსტი იხ.: [წარწერის სომხური ტექსტი იხ.: 66]



@ რეალური ჯანსაღი ფინანსებისთვის, გრუპი X,
ხეობის უმცირესი, ყანაში უ. გ. მონაწილეობისთვის ხეობაში, 2017.

ჩოქრა :ი.ჯ. (1222) / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში

დასამსახურებელი... / ყანაში უმცირესი, ყანაში უმცირესი, ყანაში უმცირესი
აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში / ჩოქრაში აქო ხაკო აჭაქიორის ხეობაში

„წელსა ოპა (1222) დევივიკურთხეული მეფისა და დედოფალთა დედოფლის თამარის დროს: მე მისმა ერთგულმა მსახურმა, იშხანაც იშხან ამირსპასალარ მხარგრძელ ზაქარიას ძემ, მანდატურთუხუცესმა მეფის ამირა შანშემ, ამოვკვეთე ჩემი დღეგრძელობისთვის და შვილთა ჩემთა და ჩემი ძმა ავაგისათვის განვაწესე მეთელი...“

სახეზე გვაქვს შანშე | მხარგრძელის იურიდიული შინაარსის ტექსტი, რომელიც ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში შანშე მხარგრძელი მხოლოდ მანდატურთუხუცესის სახელით მოიხსენიება. მის განჩინებას მეტი ლეგიტიმაციისათვის დასაწყისში თამარის, როგორც მეფისა და დედოფალთა დედოფლის ხსენება უძღვის². თანადროული სომხური წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან, რომელთა ინტერპრეტაციაზე დაცრდობითაც საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები შანშე | მხარგრძელის მიერ სამოხელეო სახელოების ფლობასთან დაკავშირებით.

პირველ ყოვლისა საინტერესოა ანისის მხითარის კომპის 1215 წლის წარწერა.

² ანალოგიურად თამარ მეფე ნახსენებია პალატის 1221 წლის წარწერაშიც [დარჩიშვილი 2010: 161-162]



როგორც ვხედავთ, წარწერაში შანშე/შაჰინშაჰი დასახელებულია მხოლოდ ამირსპასალარ და მანდატურთუხუცეს ბაქარიას ძედ, ყოველგვარი სახელობის გარეშე. მოტანილი ორი წარწერიდან უპირატესობა უკანასკნელს უნდა მიენიჭოს.

შანშე I მიერ სამოხელეო სახელოს ფლობასთან დაკავშირებულ შემდეგი ცნობა 1218-1219 წლებზე მოდის. სომხური ხელნაწერი წიგნის — სადღესასწაულოს ანდერძი, გვამცნობს: „სომეხთა წელთაღრიცხვის „ოკმ“-ს ჰალბატის წმიდა მონასტერში მშვიდი და მხნე უფალ ჰოვანესის მამამთავრობისას, სომეხებსა და ქართველებზე ივანესა და ყრმა შაჰინშაჰის მხედართმთავრობისას...“ [აბდალაძე 2005: 51]. ანდერძ-მინაწერში ივანე I და შანშე I საქართველოს მხედართმთავრებად, ანუ ამირსპასალარებად ერთად არიან დასახელებული, რასაც ოფიციალურად ცხადია ადგილი ვერ ექნებოდა. ამ შემთხვევაში ანდერძ-მინაწერის ავტორი ზოგად პოლიტიკურ განწყობებს გადმოგვცემს და ცხადია აღნიშნული ცნობის საფუძვლიანი პროსოპოგრაფიული დასკვნებისათვის გამოყენება მიზანშეუწონელია.

ქრონოლოგიურად, შემდეგი წყარო, ჩვენს მიერ უკვე ზემოთ მოტანილი ართივის წარწერაა, რომლის თანახმადაც შანშე I მხოლოდ მანდატურთუხუცესია. ამას გარდა არსებობს კიდევ ერთი ცნობა, სახელდობრ ნორავანქის 1223 წლით დათარიღებული ე.წ. წარწერა, რომელშიც შანშე მხარგრძელი სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარად იწოდება: „თამარის ძის ლაშას მეფობაში. ამირსპასალარობასა სომეხთა და ქართველთა შაჰინშაჰისა და ათაბეგობასა ივანესი, მისი ბიძისა. მე, ცოდვილი მონა ქრისტესი, ბუპაკ იშხანთა იშხანი, მოვედი ნორავანის წმინდა ეკლესიის დღესასწაულზე ჩვენ ნეტარ მამამთავარ უფალ სარგისთან და ვუძღვენი ჩემი ალალი მამულებიდან...“ [დარჩიაშვილი 2010: 161-162].

ამ ცნობაში რატომღაც შანშე უკვე მანდატურთუხუცესი აღარ არის. გარდა ამ წინააღმდეგობისა, ცნობისადმი ეჭვს აღძრავს ის გარემოებაც, რომ ნორავანქის წარწერა ფიზიკურად არ არსებობს და არც არასდროს არსებულა. ე.წ. წარწერის ტექსტი შემონახულია დოკუმენტური ცნობის სახით, რომელიც დაცულია სტეფანოს ორბელიანის სისაკანის სახლის ისტორიაში. აღნიშნულ ე.წ. წარწერას წინ შემდეგი სახის ტექსტი უძღვის:

რსუ ნაჰსიკიყიანს სტრ-სარაღი ჯორხესა ენო მნდ ლიყარქიტი სისანსინ მჩარან მნდაქასათასკ აქსათასიოქ ნს ანჯაფი ბაქიქიქ უჩინსუ ყყლესესკაყარმარ ნსლესესინ ჰ სორაქანსუ. ნს აოარითნს ცნა ანა 7 იოქ ჯორასიოქ, ჰ ჟიოსკანსინ ჯაიოგ 672. ნს მნდახანსუქა ძიოქიქიქ ნაჰსიკიყიოქ,

ქართაყეთო, გახაყოიქა ხქუასთო, აგათოქ ლი თანითოქოქო ათინსნ სიასქათი სრქო თადარქინ. რსო ჟროდ ზრ ლი მსტ ხქუასთნ რიოაქ ჟრ ლი რსბაქ სოიქრ ლი სოიასქერო ქოიარანქინ ხიოიოგ ხაქალ არიქანსგ ლი ხაქინსნსაგ აქითოქოქო რიოიარახაიასოთ გაგარასქნ სიქრქი ხიოიოქ სახმანსიქნ, ჟრარქი ლი ანჟოქი ქაქიოქო, მსტ ბოიოქინ ჟრ რქმადოიო ქოიქი, ლი რქნსაგ სახმანსიქნ მქსჯ ხ რქნსასქინ ჟრ ჰაქინსაგთ სოიქი ქოიქი: ლი ზრამაქე გრქლ ქქიო არქანქი ანქაქითი აქაქმანასი ლი ხასითასქლ ხქსქანსი ხქვათასქ ჰამქნს თარქი ათინსლ თასანს აქათარაქ მსოიოქოქო. ლი ასანსიქ გაქაქი ხ ბქინს სქათინსი სარქინსი აქაქაქ: [ორქლქანსი 1911: 356-357]

„ეპისკოპოსმა ტერ სარგისმა დიდ ლიბარითან ერთად განიბრაბა დიდი შრომითა და აურაცხელი ხარჯით ბრწყინვალე ეკლესიის აგება ნორავანქში. განასრულეს შვიდი წლის შემდეგ, რვა საკურთხევლით, სომხური წელთაღრიცხვით 672 წელს [1223]. ეკურთხა ეს წმინდა ტაძარი, რომელსაც ესწრებოდნენ საზღვიმოდ შეკრებილი ეპისკოპოსები, ვარდაპეტები, დიდი იშხანები, აზატები და ტანუტერები. მონაწილეთა შორის იყო ბუპაკ იშხანი, რომელმაც ცოტა ხნის წინ აგებულ წმინდა ეკლესიას შესწირა თავისი კანონიერი (ალალი) შემოსავალი და ქონება, მამული აღბერისი, მისი საზღვრებით, სარწყავი და ურწყავი ადგილებით; თმადორად წოდებული ვრცელი ხევი, გნჯელთა საზღვრით, განძაკამდე, რომელიც ჰაირეაცელთა საზღვრად იწოდება. [ბუპაკმა] ბრძანა, რომ მის სახსოვრად ტაძარზე დაეწერათ ურყევი განკარგულება, დედამისისთვის დააწესა ყოვეწლიურად ათი წირვა. ამის შესრულება დაეკალა ტერ სარგისს. გადაწყვეტილება შემდეგი იყო:“

ამას უკვე მოსდევს ზემოთ მოტანილი ე.წ. ლაპიდარული წარწერის ტექსტი. ცხადია ამ დოკუმენტურ ცნობაში ფიქსირებული რეალიების — ნორავანქის მონასტრისათვის ბუპაკ იშხანის შეწირულობის რაობისა და რაოდენობის ფაქტი შეიძლება ეჭვს არ იწვევდეს, მაგრამ სტეფანოს ორბელიანის (XIII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორის) ცნობის სიმუსტე 1223 წელს შანშე | მხარგრძელის მიერ ამირსპასალარის სახელოს ფლობასთან დაკავშირებით საეჭვოა, მაშინ როდესაც 1222 წლის პალიდარულ წარწერაში განსხვავებული რეალობაა ასახული — შანშე | მხარგრძელი მოხსენიებულია როგორც მანდატურთუხუცესი.

ჩვენს აზრით შანშე | მხარგრძელი ფლობდა მხოლოდ მანდატურთუხუცესის სახელოს, მას საქართველოს ამირსპასალარის სახელოს არასდროს ჰქონია⁴. ჩვენ მოსამზრებას ამყარებს მარმაშენის 1225 წლის [Орбели 1963: 443], და შირაკავანის 1228 და 1231 წლების წარწერების ცნობები [Саарқиұстаң 1864: 170-171], რომელთა თანახმადაც შანშე | მხოლოდ მანდატურთუხუცესის სახელოს ფლობდა.

გამოყენებული ღიბეკაბუკა:

1. აბდალაძე ალექსანდრე. 2005. *სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ*. თბილისი.
2. დარჩიაშვილი შანშე. 2010. *ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან, სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში*. თბილისი.
3. Мурадьян Паруйр (1987). *Проблема конфессиональной ориентации церкви Оненца (Критический анализ источников и литературы)*. Кавказ и Византия, 5.
4. Բարխուդարյան Ս. 2017. *Դիվան հայ վիճագրության, X, Շիրակի մարզ*. Երևական.
5. Саарқиұстаң Ысрает (1864). *Стеղագրության хи Фнрр ლი хи სტდ ჰაქი*. Կნსნსიქს.
6. Орълქ ჰიქსსიქ. 1966. *Դიվან ჰაქი Կիճագրության, I*. Եრևական.
7. Орбели Иосиф. 1963. *Надписи Мармашена*. Избранные труды. Ереван.
8. Оръლქანსი სიქსიანსიოქი. 1911. *Պատմության სահանգին სიხასქანსი*. Թիქიქი.

⁴ შანშე | მხარგრძელის მიერ ამირსპასალარის სახელოს ფლობას ვარაუდობს პ. მურადიანი [Мурадьян 1987: 46].

VLADIMER KEKELIA

Korneli Kekelidze Georgian National Centre of manuscripts

SHANCHE MANDATURTUKHUTSESI LAPIDARY INSCRIPTION IN ARTHIC

In the article is presented the Georgian translation and Analysis of armenian lapidary inscription of medieval Georgian official, the Palace Governance member Shanshe Mkhargrdzeli. Inscription is located in Armenia, in the Shirak Province, on the VII century St. Georges Church.

The inscription is a important document to research about which position had in the Palace Governance Shanshe Mkhargrdzeli. According inscription Shanshe held the only one position of Mandaturtukhutsesi – charge of the state post office and road communications, also head of the police and economic services. Mandaturtukhutsesi kept order in the Palace, supervised the solemn ceremonials and etiquette.

He never held office Amirspasalari – Palace Governance member, the military commander, supervised the execution of military duties. The amirspasalari was authorized to resolve the issues, connected with the donation of state lands; this right was also connected to his duty to lead military forces.

თამაზ გომორაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

XII-XIII საუკუნეების ახალგაზრდა ქართული მოღვაწის ასომთავრული წარწერა ეკისტავთ-ეკისტავ გამგებლის მეუღლის, დიოზადთ დიოზად ვანენისა და მისი ვაჟის მოხსენიებით¹

(წარწერის ტექსტის დაზუსტება; წარწერის დათარიღების საკითხი; წარწერაში მოხსენიებული დიოზადთ დიოზად ვანენის აბუსერიძეთა სახლთან იდენტიფიკაციის მართებულობა; წარწერის საეკლესიო კუთვნილება)

თავი I. წარწერის ტექსტის დაზუსტება

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ლაპიდარიუმში ეკლესიის მოდელი (საინვენტარო ნომერი 696) ინახება. საინვენტარო დავთრის მიხედვით, 1968 წელს ეკლესიის მაკეტი უნახავთ სოფელ ახალდაბაში (ბორჯომის რაიონი) აბანოს მშენებლობისას მიწის სამუშაოების დროს ადგილობრივი მკვიდრის გიორგი გელაშვილის სახლის გვერდით. 1969 წელს იმავე გიორგი გელაშვილმა გადასცა ეკლესიის მოდელი მუზეუმს და დღემდე მუზეუმის ლაპიდარიუმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ექსპონატს წარმოადგენს.

ახალდაბის ეკლესიის მოდელი და მასზე ამოღებული ასომთავრული წარწერა ისტორიკოსმა ვალერი სილოგავამ შესწავლა, რომელმაც თავისი კვლევის შედეგები მოხსენებისა [სილოგავა ვალერი, 1993: 52] და სამეცნიერო ნაშრომის სახით გაცნო სამეცნიერო საზოგადოებას [სილოგავა ვალერი, 2000: 67-81].

მეცნიერი დეტალურად აღწერს ეკლესიის მოდელს და, მათ შორის, მის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედელზე სინგურით ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერას. ისტორიკოსს მოჰყავს წარწერის გადმონაწერი და მისეული წაკითხვა. ვალერი სილოგავას მიხედვით წარწერა შემდეგი სახით იკითხება:


„ქ. უ(ფალ)ო ი(ეს)უ/ქ(რისტ)ე, დ(მერთ)ო, /რ(ომელმა)ნ აღ(ა)მ(ა)ლ(ლე) რქაჲ | წ(მი)დათა | ეკლესიათ(ა)მ(ა)ლ(ა)ლ(ა)დ, | შ(ენ)ც(ა) ც(ა)[თ(ა) შ(ი)ნა] | აღ(ა)მ(ა)ლ(ლე) ძ(ი)თურთ დ(ეო)ფ(ა)ლთ(ა) | დ(ეო)ფ(ა)ლი ვ(ა)ნ(ე)ნი; | ე(რისტავთა) ე(რისტავი)სა ვ(ა)მრ(ე)ვ(ე)ლისა ცოლ(ყოფი)ლისათ(უი)ს, ლ(ო)ც(ვა) ყ(ა)ვთ“.

მეცნიერი წარწერის ტექსტის მოყვანის შემდეგ ცდილობს მის მიერ ამოკითხული გრამატიკის მართებულობის დადასტურებას. წარწერის გრამატიკაზე უმეტესობას დეტალურად განიხილავს და, შესაბამისად, მათ წაკითხვებსაც გვთავაზობს. მკვლევარი საგანგებოდ ეხება დიოზადთ დიოზად ვანენის მოხსენიების ფორმას. მისი წაკითხვით, იგი ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის ცოლყოფილი იყო. ეს ტერმინი მას ცოტა უცნაურად ეჩვენება და, მისივე თქმით, „ძველ წერილობით ძეგლებში, თითქოს არ დასტურდება. იგი ნიშნავს „ვისიმე ცოლად ნამყოფს“. ცოლ-ყოფა კიდევ, ილ. აბულაძის განმარტებით, საპირისპირო ცნებას გადმოსცემს და ნიშნავს „ცოლად მოყვანას“. მართალია, „ცოლყოფილი“ არ დასტურდება, მაგრამ ცოლისაგან ნაწარმოები სხვა ტერმინი ცნობილია ქართულ წერილობით ძეგლებში“. ამის მაგალითად მოჰ-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო (YS-2016-11)“ ფარგლებში. აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და გულითად მადლობას მოვასხენებთ წინამდებარე პროექტის მენტორს — ისტორიის დოქტორს, თემო ჯოჯუას სტატიანზე მუშაობისას გაწეული კონსულტაციისათვის.

ყავს 1187 წლის თამარ მეფის (1184–1210) სიგელი გელათის მონასტრისადმი, რომელშიც ტერმინი „ცოლეული“ ორგზის იხსენიება. აღნიშნული მაგალითის მოყვანის შემდეგ შეჯამების სახით ამბობს, რომ „ამრიგად, ახალდაბის წარწერაში „ცოლ[ყოფ]ილის“ აღდგენა სავსებით შესაძლებელი ჩანს და ვანენიც გამრეკელისათვის ასეთი ყოფილა“ [სილოგავა ვა-ლერი, 2000: 78].

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყაროს“ ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა ამ აუღრესად საინტერესო მხარის წარწერების შესწავლასა და კურპუსის სახით გამოცემას, 2017 წლის 4 აპრილს ვეწვიეთ სიმონ ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმის ლაბიდარიუმს ახალდაბის ეკლესიის მოდელზე ამოკვეთილი წარწერის შესწავლის მიზნით. თავდაპირველად წავიკითხეთ წარწერის ტექსტი, განათების საშუალებით დავაზუსტეთ მისი ბოლო ნაწილი, დავამზადეთ წარწერის პალეოგრაფიული პირი და გადავიღეთ მაღალი გარჩევადობის ფოტოები. გთავაზობთ წარწერის გადმონაწერს, მის პალეოგრაფიულ პირსა და ჩვენეულ წაკითხვას:



1. ქ ოო ႁႁ
2. ქუ: ႁ"ო
3. ხ"ნ: ა ႁმ"ႁ
4. დე ჩუა
5. ნ"დათა
6. ეკლესია>თა> ||

7. მ(ლ)- -
8. <მნც ც- - - -
9. აღმ"ლ{დ(ე ძ(ი)-
10. უაჩთ დფ"დთ
11. დფ"დ: ვ"ნნი
12. ეესა გმჩკდისა ცოდ
13. - - - - <ე>კ>დისა ნი>- - - -

„ქ. უ(ფალ)ო ი(ეს)ჯ|ქ(რისტ)ე, დ(მერთ)ო, |რ(ომელმა)ნ აღ(ა)მ(ა)ლ(ლე რქა)მ|წ(მი)დათა|ეკლესიათ(ა)მ|მ(ა)ლ(ა)დ, |შ(ენც)ა|ც(ა)თ(ა) შ(ინა)|აღ(ა)მ(ა)ლ(ლე ძ(ი)თურთ დ(ი)ფ(ა)ლთ(ა)|დ(ი)ფ(ა)ლი ვ(ა)ნ(ე)ნი, |ე(რისთავთა) ე(რისთავი)სა<დ> გ(ა)მრ(ე)კ(ე)ლისა ცოლ[ყოფ]ილისათ(უ)ის, ლ(ო)ც(ვა ყ(ა)ვთ“.

მართალია, წარწერის ჩვენეული წაკითხვა ძირეულად არ ცვლის წარწერის შინაარსს, თუმცა გარკვეული კორექტივი შეაქვს მის ბოლო ნაწილში. სახელდობრ, როგორც ვნახეთ, ვალერი სილოგავას მიხედვით წარწერა სრულდება შემდეგი სახით — „ე(რისთავთა) ე(რისთავი)სა გ(ა)მრ(ე)კ(ე)ლისა ცოლ[ყოფ]ილისათ(უ)ის, ლ(ო)ც(ვა ყ(ა)ვთ“. ჩვენეული წაკითხვა აჩვენებს, რომ გამრეკელ ერისთავის გარდაცვლილი თანამეცხედრის, დიოფალთ დიოფალ ვანენისათვის ეკლესიაში წირვა უნდა ჩატარებინათ „ე(რისთავთა) ე(რისთავი)სა გ(ა)მრ(ე)კ(ე)ლისა ცოლ[ისათუის] ეკლ(ეს)ი(ა)სა წი(რვიდეთ)“. ამ წაკითხვით საბოლოოდ მოიხსნა ის ბუნდოვანება წარწერის ბოლო ნაწილში როგორც იყო დიოფალთ დიოფალ ვანენის ცოლყოფილობის საკითხი, რაც ცოტა უცნაურად მოეჩვენა კიდევ ჩვენს წინამორბედ მკვლევარს. აღნიშვნის ღირსია, რომ წარწერას აქვს განკვეთილობის ნიშნები — სამწერტილი მესამე სტრიქონის პირველი სიტყვის „ქ(რისტ)ე“-ს შემდგომ, ორწერტილი მესამე და მეთერთმეტე სტრიქონების დასაწყისი სიტყვების შემდგომ - „რ(ომელმა)ნ“ „დ(ი)ფ(ა)ლი“,

რაც წარწერის წინა გამომცემელს მხედველობიდან გამორჩა და აქედან გამომდინარე, აღნიშნავს, რომ წარწერას არ აქვს განკვეთილობის ნიშნები.

თავი II. წარწერის დათარიღების საკითხი

ახალდაბის წარწერის ტექსტის დაზუსტების შემდეგ საგანგებოდ შევეხებით წარწერის ვალერი სილოგავასეულ დათარიღების საკითხს. მკვლევარი ცდილობს, წარწერის პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე განსაზღვროს მისი თარიღი. თავდაპირველად მეცნიერი თავის მოხსენების თეზისებში ახალდაბის წარწერას XII საუკუნის II ნახევრით ათარიღებდა. 2000 წელს კი ისტორიკოსმა ახალდაბის წარწერის ცალკეულ გრაფემების მოხაზულობიდან გამომდინარე, წარწერის ქრონოლოგია კიდევ უფრო დაავიწროვა და წარწერის ქრონოლოგია XII საუკუნის 80-90-იანი წლებით განსაზღვრა.

მეცნიერის აზრით, წარწერის დასაწყისი ანუ საღვთისმეტყველო ნაწილი - ძლისპირის ნაწყვეტი („რომელმან აღამალღე რქაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ“) ტექსტობრივად უფრო ახლოს დგას XII საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტის, იოვანე შავთელის სტრიქონებთან „ეკლესიისაჲ რქაჲ ამალღა“, რაც მათი თანადროულობის (XII ს.) ერთ-ერთ საბუთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს.

მეცნიერი ითვალისწინებს რა წარწერის გრაფემათა მოხაზულობას (XII საუკუნის 80-90-იან წლებს), წარწერის აღმოჩენის ადგილსა და საისტორიო წყაროების მონაცემებს, ახალდაბის წარწერაში მოხსენიებულ ერისთავთ-ერისთავ გამრეკელს - XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე თამარ მეფის დროის ამირსპასალარ, გამრეკელ თორელთან აიგივებს. უფრო მეტიც, იგი ცდილობს წარწერის ქრონოლოგიის კიდევ უფრო დაავიწროვებას. ამ შემთხვევაში მისი ამოსავალი წერტილია ახალდაბის წარწერაში ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის ამირსპასალარის საპატიო სახელოს გარეშე მოხსენიება. როგორც ცნობილია, გამრეკელ თორელი ამ თანამდებობაზე მხოლოდ 1191 წელს იმყოფებოდა. ამის გათვალისწინებით, მკვლევარმა დაასკვნა, რომ წარწერა შესრულებულია გამრეკელის გაამირსპასალარამდე, ანუ 1191 წლამდე. მარტივად რომ ვთქვათ, გამრეკელ თორელის მეუღლე ვანენი გარდაცვლილა მის გაამირსპასალარებამდე.

მეცნიერს ამის შემდგომ მოჰყავს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ლევან მუსხელიშვილი, ნოდარ შოშიაშვილი) გამოთქმული მოსაზრებები გამრეკელ თორელის მეუღლის შესახებ.

მეცნიერთა ერთი ნაწილმა (ლევან მუსხელიშვილი) ჰამამლუს (დმანისის რაიონი) წარწერაში მოხსენიებული თამარ დედოფლისა და კახა ერისთავის სავედრებელი წარწერის ქვეშ განთავსებულ კიდევ ერთ სავედრებელ ტექსტში ნახსენები სახელი კრავაი თამარ მეფის მიერ ყუთლუ-არსლანის დასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილ ერთ-ერთ დიოფალ კრავაისთან გააგივა, რომელიც წყაროში იხსენიება როგორც „დედა აწ მყოფთა სამძივართა“, რაც მეცნიერისათვის სავედრებით საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა, რომ ჰამამლუს წარწერაში მოხსენიებული კრავაი კახა ერისთავის დედად და ამირსპასალარ გამრეკელ თორელის მეუღლედ გამოეცხადებინა [მუსხელიშვილი ლევან, 1940: 27-29].

ლევან მუსხელიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება ნოდარ შოშიაშვილმა სამართლიანად უარყო. იგი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით სავედრებით ლოგიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამძივართა და თორელთა ფეოდალური ოჯახები ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობდნენ. აქედან გამომდინარე, ისტორიკოსი, ლევან მუსხელიშვილისაგან განსხვავებით, სამძივარში სრულიად არ გულისხმობს თორელს, რადგან წყაროებში თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები თორელად მოიხსენიებიან და არა სამძივრად. ამგვარად, მას სამძივართა დედის კრავაის გაიგივება თორელთა ფეოდალურ სახლთან სრულიად მიუღებლად მიაჩნია. თუმცა, ისტორიკოსმა გამრეკელ თორელის თანამეცხედრის საკითხი ღიად დატოვა [ნოდარ შოშიაშვილი, 1966: 29].

ვალერი სილოგავამ ახალდაბის წარწერის ტექსტის შესწავლის საფუძველზე გადაჭრა ეს პრობლემა და გაარკვია, რომ ამირსპასალარ გამრეკელ თორელის მეუღლის სახელი ყოფილა ვანენი.

ქართულ ეპიგრაფიკაში საკვლევი წარწერის ამა თუ იმ ცნობილ თარიღიან წარწერებთან ცალკეული გრაფემების შედარება მისი დათარიღების მიზნით ერთ-ერთი აპრობირებული და მიღებული მეთოდია. თუმცა ამ მეთოდის გამოყენებისას ჩნდება დიდი ცდუნება, ესა თუ ის წარწერა ჩვენთვის მისაღები პერიოდით დავათარილოთ. ამიტომაც მარტო პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება წარწერის დათარიღებისას მთლად მტკიცე არგუმენტს არ წარმოადგენს. მეტი დამაჯერებლობისათვის სასურველია წარწერის ტექსტში მოხსენიებული პირების შესახებ არსებული ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამოყენება და მოცემულ ისტორიულ კონტექსტთან მათი შესაბამისობის დადგენა.

ვალერი სილოგავას მიერ ჩვენთვის საინტერესო წარწერიდან გამოყოფილი გრაფემები დიდ მსგავსებას იჩენს როგორც XII საუკუნის 80-90-იანი წლების ცნობილ წარწერებთან, ასევე XIII საუკუნის წარწერათა ცალკეულ გრაფემებთან. მაგალითისათვის მოვიხმობთ, XIII საუკუნის ახალაქალაქის ცნობილ სააღმშენებლო წარწერას გამრეკელის მოხსენიებით [ვალერი სილოგავა, ლია ახალაძე, მერაბ ბერიძე, ნესტან სულავა, როინ ყავრელიშვილი, 2012: 33],² რომელშიც სახელი

² თუმცა ტექსნიკური შეცდომის გამო კორპუსში ჩვენთვის საინტერესო წარწერა XII საუკუნითაა დათარიღებული, მაშინ როცა მასში XIII საუკუნის ცნობილი ისტორიული პირები — საქართველოს მეფე დავით VII (1247-1270), ამირსპასალარ ავაგ მხარგრძელი და გამრეკელ თორელი იხსენიებიან.

გამრეკელის მოხაზულობა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ჩვენთვის საინტერესო წარწერის სიტყვა გამრეკელის გრაფიკებთან; 1190-1202/1203 წწ. შალვა მეჭურჭლეთუხუცესის წარწერის „ცანი“ იდენტურია ახალდაბის წარწერაში ამოკვეთილ ამავვე გრაფიკასთან [ოთხმეზური გიორგი, 1981: 100] და სხვ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ახალდაბის წარწერის ქრონოლოგია კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და, შესაბამისად, აქ ნახსენები „ერისთავთა-ერისთავი გამრეკელი“ საძიებელია XII-XIII საუკუნეში თორელთა ფეოდალურის ოჯახის ამ სახელის მატარებელ პიროვნებასთან.

ქართული წერილობითი წყაროები XII-XIII საუკუნეებში თორელთა ფეოდალური სახლში ასეთი სახელის („გამრეკელის“) მქონე სამ ისტორიულ პირს იცნობს.

I გამრეკელი გახლავთ XII საუკუნის II ნახევრის თამარ მეფის დროის ცნობილი ისტორიული პირი, ამილახორი (1185-1187 წწ.) და შემდგომში ამირსპასალარი (1191 წ.), ახალქალაქის ერისთავი - გამრეკელ თორელი.

II გამრეკელ თორელი არის XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწე ახალქალაქის ერისთავი, მეჭურჭლეთუხუცესი გამრეკელ თორელი.

III გამრეკელი გახლავთ XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწე — გამრეკელ თორელი.

ვნახოთ, ამ პერიოდის საისტორიო წყაროებსა და ქართულ დიპლომატიკურ ძეგლებში რა ინფორმაცია მოგვეპოვება აქ ჩამოთვლილი თორელთა ფეოდალური საგვარეულოს ამ სამი პიროვნების („გამრეკელის“) შესახებ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი ყუთლუ არსლანის გამოსვლის შემდეგ მოგვითხრობს, რომ თამარ მეფემ საპატიო სახელოები თავის ერთგულ ფეოდალებს უბოძა და, მათ შორის, გამრეკელ თორელიც ამილახორის საპატიო სახელოთი დააჯილდოვა. წყაროში ვკითხულობთ: „უბოძა ამილახობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირსპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მკარგრძელისა“ [ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 408]

ამავე წყაროს მიხედვით საქართველოში, კერძოდ ძაღლისხევსა და პალაკაციოსში შემოჭრილ თურქთა ლაშქრის წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო ოპერაციას ქართული ლაშქარი გამრეკელ თორელის მხედართმთავრობით წარმატებულად ატარებს, ილაშრებს მტრის წინააღმდეგ და ამარცხებს კიდევ მათ. წყაროში ვკითხულობთ: „.....მოვიდეს ლაშქარი არანისა და გელაქუნისა თურქთანი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის ჳევად წოდებულსა. მომრბეველთა ზედა გამრეკელი კახას ძე მიუკდა; და სუსაგან თამარ უძღველისა მცირეთაგან დიდნი იძლივნეს. გაეცივნეს, ამოსწყუნეს და მოიღეს არმაღანი წინაშე თუთმპყრობელისა“ [ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 412].

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოგვითხრობს რა 1191 წელს გიორგი რუსის საქართველოში შემოსვლას, ასევე მისი და მისი მოხმრეების მიერ ქართლის, ჯავახეთისა და თრიალეთის მოხრების ამბავს, იქვე დასძენს: „მაშინ უბრძანა (იგულისხმება თამარ მეფე — თ. გ.) ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა მკარგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთ, წასლვა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა...“ [ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 424]

ამის შემდგომ მოთხრობილია გიორგი რუსის მოხმრეებსა და მეფის ერთგულ მხედრობას შორის მომხდარ ბრძოლისა და ამ შეტაკებაში მეფის ლაშქრის გამარჯვების ამბავს.

აღნიშნული ამბოხების შემდეგ, მემატინანს აღწერილი აქვს თამარის მიერ ურჩი ფეოდალების შეწყნარების ამბავი და ასევე გიორგი რუსის საქართველოდან წასლვა. ყოველივე ამის შემდეგ კი აღნიშნავს, რომ „და ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგუსაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა“ [ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008: 427].

თამარის მეორე მემატინანე — ბასილი ეზოსმოდვარი აღნიშნავს რა ქართლის კათალიკოსისა და ჳყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის, მიქაელ მირიანის ძის გარდაცვალებასა და მისადმი არსებულ სიძულვილს, ხაზს უსვამს, რომ „არავინ შეწუნხნა მისთჳს, არცა დიდი, არცა მცირე“ [ბასილი ეზოსმოდვარი, 2008: 488]. ისტორიკოსს მიქაელ მირიანიძისაგან განსხვავებით დიდ ტრაგედიად მიაჩნია ამირსპასალარ გამრეკელ თორელის გარდაცვალება და ამ ფაქტს საგენგებოდ აღნიშნავს: „მოკუდა ამირსპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოეს“ [ბასილი ეზოსმოდვარი, 2008: 488].

ეხლა მოვიტანთ წერილობით წყაროებს XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწე გამრეკელ თორელის შესახებ.

პირველი ცნობა მის შესახებ ჟამთააღმწერელთან მოგვეპოვება. მემატინანე აღწერს რა მონღოლთა მიერ თბილისის დაპყრობას, ასევე დამპყრობელთა მიერ ქართლისა, სამცხის, ჯავახეთისა და კახეთ-ჳერეთის მოხმრების ამბებს, მოგვითხრობს, რომ „ამათ ულხინებელთა ჳირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მიენდვნენ თათართა ჳერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის...“ [ჟამთააღმწერელი, 2008: 550].

იგივე ისტორიკოსი აღწერს რა მონღოლების მიერ საქართველოს დუმნებად დაყოფას, ჩამოთვლის დუმნის თავებად ქართველ მთავრებს: კახეთ-ჳერეთის დუმნის თავად ეგარსლან ბაკურციხელს, შანშეს მისი და ავაგის მამულის თავად;

ვარამი სომხითის სამხედრო-ადმინისტრაციული ტერიტორიის მმართველად; გრიგოლ სურამელს ქართლის დუმნის თავად, ამის შემდეგ კი დასძენს, რომ „*გამრეკელს თორელსა, მსგავსავე ევარსლანისა საჭაბუკოთა შინა, ჳელთ-უღვა ჳავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე...*“ [ქამთააღმწერელი, 2008: 561].

გამრეკელ თორელი საქართველოს სხვა ერისთავებთან ერთად კობცასთავის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა, რაც ცხადია იმდროინდელ მემკვიდრეს არ გამოჰპარავია მხედველობიდან. სწორედ ამიტომ შეთქმულ მონაწილეთა შორის დასახელებულია „*თორელ-გამრეკელი*“.

ევარსლან ბაკურციხელის მთავრობით უკმაყოფილო სხვა დიდებულებთან ერთად ის გახლავთ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მომხრე დავით ლაშას ძის გამეფებისა საქართველოში, რომლის საქართველოს მეფედ დანიშვნისა და საქართველოში მოსვლის დროს დიდი პატივით „...*მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, შანშე და ძე მისა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული, ყუარყუარე ჳაყელი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, ორბელინი, გამრეკელი, შოთა კუპარი, და ყოველნი მთავარნი, თ ნიერ ევარსლანისა*“ [ქამთააღმწერელი, 2008: 566].

დავით VII-ის მეფობის დროს გამრეკელ თორელს უკავია ისეთი მნიშვნელოვანი სახელი, როგორც გახლდათ შუა საუკუნეების საქართველოში მეჭურჭლეთუხუცესის საპატიო თანამდებობა. ამის დამადასტურებელია [1241 წ.] ქართლის კათალიკოსის მიქაელის დაწერილი ვაჩე გუარამისძისადმი და [1241/1242 წწ.] არსენ ჳყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ მგელა აბულახტარისათვის მიცემულ დაწერილზე დართული დამტკიცებები: I საბუთის გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის დამტკიცება: „*ქ. ესე, ვითა ე(ართლისა) კ(ათალიკო)მსა დაუწქერია ვაჩე გუარამისძისადა და ღ(მრთი)სა სწორთა მათითა ჳქელითა დაუმტკიცებია, მე, გამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესისცა, მოწამე ვარ*“. [თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, ნ. შოშიაშვილი, 1984: 117]. II საბუთის გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის დამტკიცება: „*ქ. ამის ღ(მრთი)სა სწორთა ბრძანებისაი მოწამე ვარ მე, მიწაი გამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესი*“ [თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, ნ. შოშიაშვილი, 1984: 120].

XIII საუკუნისა და XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწე გამრეკელ თორელი, რომლისათვისაც საქართველოს მეფე დავით VIII-სა (1293-1311) და ილხანთა მმართველის - ყაზან ყაენის (1295-1304) მმართველობის დროს ოსთა მთავარს ბაყათარს ძამის ციხე წაურთმევია. წყაროში ვკითხულობთ: „...*მაშინ ბაყათარ წარულო გამრეკელსა, კახას ძესა, ციხე ძამისა*“ [ქამთააღმწერელი, 2008: 647]. აქედან გამომდინარე, მისი პიროვნება უნდა განვიხილოთ ჩვენ წარწერაში მოხსენიებულ ერისთავ-ერისთავის გამრეკელთან გასაიგივებლად.

მას შემდეგ, რაც მოვიტანეთ ქართული წერილობითი ძეგლების ცნობები XII-XIII საუკუნეში მოღვაწე სამივე გამრეკელის შესახებ, ჩვენი მთავარი ამოცანაა: გავარკვიოთ თუ რომელი გამრეკელ თორელი შეიძლება ვიგუხსნოთ ახალდაბის წარწერაში მოხსენიებული „ერისთავთ-ერისთავის გამრეკელის“ ქვეშ.

თუ გავითვალისწინებთ წარწერის აღმოჩენის ადგილს - სოფელ ახალდაბას, რომელიც თორელთა აღმავლობის პერიოდში ისტორიული თორის შემადგენლობაში შედიოდა, XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწე გამრეკელი უნდა გამოირიცხოს ზემოთდასახელებული სამი გამრეკელიდან, რადგან ამ დროისათვის ქამთააღმწერლის მიხედვით ვიგებთ, რომ ვრცელი ტერიტორია - ტაშისკარიდან ვიდრე სპერამდე ბექა I ჳაყელმა საგამგებო ტერიტორიას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ამ მხარეზე თორელებს XIII საუკუნის მიწურულისათვის ხელი უკვე აღარ მიუწვდებათ. უფრო მეტიც, ისინი ჳაყელთაგან შევიწროვებული შიდა ქართლში გადმოდიან. თუმცა აქაც თავდაპირველად ვერ იკიდებენ ფეხს. ამის შესანიშნავი მაგალითია, ოსთა მთავრის - ბაყათარის მიერ კახა თორელის ძის გამრეკელისათვის ძამის ციხის წართმევა და ბექა ჳაყელის დამხარებით მისი ისევ გამრეკელისათვის დაბრუნება. ზემოთმოხმობილი ორი წყარო ცალსახად უჩვენებს, რომ XIII საუკუნის II ნახევარში თორელებს ხელი აღარ მიუწვდებათ მათ კუთვნილ ტერიტორიაზე და, შესაბამისად, ჩვენი წარწერის აღმოჩენის ადგილ — სოფელ ახალდაბაზეც.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და ეს ასეც ჩანს, მაშინ გვრჩება XII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე გამრეკელ თორელი (ამილახორი; ამირსპასალარი) და XIII საუკუნის მოღვაწე გამრეკელ თორელი (მეჭურჭლეთუხუცესი).

როგორც ვხედავთ, XII საუკუნის II ნახევრის გამრეკელ თორელი ფლობდა ამილახორისა და შემდგომ ამირსპასალარის საპატიო სახელოებს. გარდა ამისა, იგი წყაროში ერთგან იხსენიება როგორც კახას ძედ. თუმცა წყაროებში არსად ერისთავად არ იხსენიება. ამას ემეტება „ისტორიანი და ამმანის“ ცნობა თამარის დროის საერისთავოებზე და ერისთავებზე, სადაც ისტორიკოსი ჩამოთვლის თამარ მეფის დროს მოღვაწე ერისთავებს: „*და ერისთავნი მის ჳამისანი იყვნეს: ბარამ ვარდანის ძე — სუანთა ერისთავი, კახაბერი — რაჭისა და თაყურისა ერისთავად, და ოთალო შარვაშეს ძე — ცხუმის ერისთავად, ამანელის ძე — არგუეთის ერისთავად. და ოდიშის ერისთავად — ბაკურ ყმა ძავანი ძე, და ჳერეთის ერისთავად — გრიგოლის ძე ასათ ...და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჳაყელი. და სხუანი ელისუფალნი ტაძრისა და საყდრისა სამეუფოსა წინაშემდგომელნი განაჩინნეს წესისაებრ სახლისა*“ [ისტორიანი და ამმანი შარავანდედთანი, 2008: 408].

როგორც ვხედავთ, მემკვიდრე თამარის დროის ერისთავების შორის გამრეკელ თორელს არ იხსენიებს. გიორგი ოთხმეზური თვლის, რომ „ეს არის სრული სია საქართველოში არსებული საერისთავოებისა და ერისთავებისა და თუკი მოგვეპოვება ცნობა ამ სიაში მოუხსენიებულ საერისთავოებზე (მაგ. ახალქალაქის ერისთავი კახა — ჳამამლუს წარწერა-

ში), ეს უნდა იყოს მცირე საერისთავო, რომელიც შედიოდა დიდ საერისთავოში“ [ოთხმეზური გიორგი, 1981: 63]. თუმცა ნოდარ შოშიაშვილის მოსაზრება უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ახალქალაქის ერისთავები XII საუკუნის II ნახევარში 1191 წლამდე (გულისხმობს ამირსპასალარ გამრეკელ თორელის გარდაცვალებამდე პერიოდს - თ.გ.) თორელთა ძირითადი შტოს წარმომადგენლები იყვნენ [შოშიაშვილი ნოდარ, 1966: 48]. ამირსპასალარ გამრეკელ თორელის ერისთავობის საკითხის შესახებ უფრო ვრცლად მსჯელობს მიხეილ ბახტაძე, რომლის მიხედვით, „მართალია გამრეკელი წყაროებში არ მოიხსენიება ერისთავთერისთავობით, მაგრამ ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ გამრეკელი მოიხსენიება უფრო მაღალი თანამდებობებით. იმის გათვალისწინებით, რომ XI-XIII საუკუნეების მანძილზე ახალქალაქის ერისთავობა თორელების ხელშია, სავსებით შესაძლებელია, თავის ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე გამრეკელი ყოფილიყო ახალქალაქის ერისთავიც. მას შემდეგ რაც 1187 წელს გამრეკელი გახდა ამირსპასალარი მან შეიძლება ერისთავობა თავის ძეს, კახას დაუთმო. თუმცა გამორიცხული არ არის რომ გამრეკელი ითავსებდა ორ ჯელს“ [ბახტაძე მიხეილ, 2003: 257-258].

აქედან გამომდინარე, გამრეკელ თორელის ქართულ ნარატიულ წყაროებში მოუხსენიებლობა ერისთავთ-ერისთავის სახელოს გარეშე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის არ იყო ერისთავთ-ერისთავი. მაგალითისათვის მოვიხმობთ გუჯარეთის ხეობაში (ბორჯომის რაიონი) მდებარე ტომოთესუნის სავედრებელი წარწერას. წარწერა გვამცნობს: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დე შ(ა)ლ(ვა) ე(რისთავთ)-ე(რისთავი) სულ[ითა, ა(მე)ნ]“ [გოგოლაძე თამაზ, 2019: 91]. სავსებით სამართლიანად ნიკო ბერძენიშვილმა აქ მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი შალვა XII-XIII საუკუნეების მოღვაწე ცნობის ისტორიულ პირთან — შალვა ახალციხელთან გააგივა. აღნიშნული წარწერის გამოვლენამდე, შალვა ახალციხელი გამრეკელ თორელის მსგავსად ერისთავთ-ერისთავობის გარეშე მოიხსენიებოდა ქართულ წყაროებსა (წყაროებში იხსენიება თორელად, ახალციხელად ან უბრალოდ სახელით შალვად) და ეპიგრაფიკულ ძეგლებში (განძანის წარწერები იგი იხსენიება მეჭურჭლეთუხუცესად და მანდატურთუხუცესად). ასე, რომ ეს მაგალითიც ნათლად აჩვენებს, რომ წყაროებში ესა თუ ის ფეოდალური სახლის წარმომადგენლის მოუხსენიებლობა ერისთავთ-ერისთავობით ან სხვა საპატიო სახელოთი a priori არ ნიშნავს, რომ ის არ არის ერისთავთ-ერისთავი.

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიზიარებთ მეცნიერთა იმ ჯგუფის მოსაზრებას (ნოდარ შოშიაშვილი, მიხეილ ბახტაძე), რომელთა მიხედვითაც XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე გამრეკელი გახლდათ ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავი.

XIII საუკუნის მოღვაწე გამრეკელ თორელი ამირსპასალარ გამრეკელის მსგავსად არც ნარატიულ წყაროებსა და არც საისტორიო საბუთებში არსად ერისთავთ-ერისთავად არ იხსენიება. თუმცა, წყაროებში იგი ქართველ მთავრებსა და წარჩინებულ პირებს შორის გვხვდება, რაც საკმარისს არგუმენტად უნდა მივიჩნიოთ მისი ერისთავთ-ერისმთავრობისა. ამასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მონღოლთა მიერ მისთვის ისეთი ვრცელი სამხედრო-ადმინისტრაციული ტერიტორიის ჩაბარებას, რომელიც გადაჭიმული იყო ტაშისკარიდან ვიდრე კარნუქალაქამდე და მის მეჭურჭლეთუხუცესის საპატიო სახელოს ფლობას, სავსებით ლოგიკურია, ჩვენ წინამორბედ მკვლევართა მსგავსად (ნოდარ შოშიაშვილი, მიხეილ ბახტაძე) იგიც ერისთავთ-ერისთავად მივიჩნიოთ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია თანაბარი წარმატებით გავაიგივოთ XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწე მეჭურჭლეთუხუცესი გამრეკელი ახალდაბის წარწერაში მოხსენიებულ ერისთავთ-ერისთავ გამრეკელ თორელთან და წარწერის ქრონოლოგიაც XIII საუკუნის I ნახევრით განვსაზღვროთ.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული მასალის გათვალისწინებით ახალდაბის წარწერის ქრონოლოგიას XII საუკუნის II ნახევრის, უფრო ზუსტად 1191 წლამდე პერიოდის ნაცვლად, უფრო ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოთი — XII-XIII საუკუნეებით განვსაზღვრავთ და შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი გამრეკელი თანაბარი წარმატებით შეიძლება გაიგივდეს როგორც XII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ამილახორ და ამირსპასალარ გამრეკელთან, ასევე XIII საუკუნის მეჭურჭლეთუხუცესს გამრეკელ თორელთანაც და არა მინცადამინც ამირსპასალარ გამრეკელ თორელთან, როგორც ამას ჩვენი წინამორბედი მეცნიერი — ვალერი სილოგავა ფიქრობდა.

თავი III. წარწერაში მოხსენიებული დიოფალთ დიოფალ ვანენის აბუსერიძეთა სახლთან იდენტიფიკაციის მართებულობა

როგორც ახალდაბის წარწერიდან ვიგებთ, მემორიალური ძეგლი შესრულებულია დიოფალთ დიოფალ ვანენის სახელზე. ვალერი სილოგავამ XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე ვანენი/ვანელის მატარებელი პირების ჩამოთვლისას ყურადღება გაამახვილა ტბელ აბუსერიძის თხზულებაში „ბოლოც-ბასილის მშენებლობისათვის“ ივანე აბუსერიძის ასულის ვანენის დიოფალთ დიოფლად მოხსენიების ფაქტსა და ამასთან ერთად თხზულებაში დიოფალთ დიოფალი ვანენის მიერ იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესიის აგების ამბავზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მან ამირსპასალარ გამრეკელ თორელის ცოლყოფილად ივანე ერისთავთა ერისთავის ასული და ტბელ აბუსერიძის და — დიოფალთა დიოფალი ვანენი მიიჩნია.

ამის შემდეგ საინტერესოა – რამდენად შეესაბამება რეალობას ახალდაბის წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავის მეუღლის – დიოფალთა დიოფალის ვანენის ვალერი სოლოგავასეული გაიგივება ტბელ აბუსერიძის და – დიოფალთა დიოფალ ვანენტან?

ისტორიკოსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება მისივე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სახელწოდებით „აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერების პუბლიკაცია)“, რომელიც ავტორს თავის ნაშრომში მოხმობილი აქვს სახელი „ვანენის“ მატარებელი ისტორიული პირების დასადასტურებლად. ავტორი განიხილავს ცალ-ცალკე აჭარის მუზეუმში დაცულ წარწერებს და მათ შორის XII-XIII საუკუნეების თხინვალის (ხულოს რაიონი) ეკლესიის არქიტრავის წარწერას ერისთავთ-ერისთავ აბუსერის, მისი მეუღლის დიოფალთა დიოფალის ვანენისა და მათი შვილების მოხსენიებით. ვალერი სოლოგავა წარწერის გადმონაწერისა და მისეული წაკითხვის შემდეგ განიხილავს რა წარწერის შინაარსს, იქვე დასძენს, რომ „წარწერაში მოხსენიებული პირები – ერისთავთ-ერისთავი აბუსერი, დიოფალთა დიოფალი ვანენი და ძე მათი ბაქარია აბუსერიძეთა გვარის ცნობილი წარმომადგენლები არიან. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აბუსერი (III)-სა, ვანენისა და ბაქარიას ნათესაობრივი დამოკიდებულება, წარმოდგენილი ჩვენი წარწერის (გულისხმობს თხინვალის წარწერას – თ.გ.) მიხედვით, წინააღმდეგობაშია აბუსერიძეთა საგვარეულო ტაბულის შესაბამის ადგილებთან, რომელიც ლევან მუსხელიშვილმა შეადგინა ტბელ აბუსერიძის თხზულებაზე დაყრდნობით. ამ ტაბულის მიხედვით აბუსერი და ვანენი და-ძმია, ხოლო ბაქარია აბუსერის ძმის (ვარდანის) შვილია; მეორე მხრივ, წარწერის დასაწყისში მიმართვა იოვანე მახარებლისადმი კარგად ეთანხმება დიოფალთა დიოფალ ვანენის მიერ იოვანე მახარებლის სახელზე ეკლესიის აშენების შესახებ ტბელ აბუსერიძის თხზულებაში დაცულ ცნობას.

იური სიხარულიძის ვარაუდით, აბუსერს (III), ტბელის მიერ თავისი თხზულების დაწერის შემდეგ, შეურთავს მესამე ცოლი – დიოფალთა დიოფალი ვანენი, რომლისაგანაც შეძენია შვილი ბაქარია.

ამით აღნიშნული წინააღმდეგობა არ აიხსნება, ტბელ აბუსერიძეს დაბეჯითებით უწერია, რომ მოიხსენებდეთ სულსა „დიოფალთა დიოფლისა, დისავე ჩუენისა, ვანენისა, რომელმან ეკლესიაჲ აღაშენა წმიდისა იოვანე მახარებლისაჲ და ღმრთისმეტყუელისაჲ, სამკვიდრებელი ჩუენი და აღავსო საწყაული კეთილი“ [სოლოგავა ვალერი, 1969: 23-25].

უფრო მეტიც, მეცნიერს მხედველობიდან გამორჩა ქრისტინე შარაშიძის ნაშრომი სახელწოდებით „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს)“, რომელშიც მეცნიერი განიხილავს სამხრეთ საქართველოდან გამოსულ ხელნაწერებს, სულთა მათიანებს და მათ შორის ალის მონასტრის (ფოცხოვის ხეობაში მდებარე ეკლესია) სვინაქსარს (S-1245 ხელნაწერი). მკვლევარი ხელნაწერში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის საკითხისა და ინტერესდა აღნიშნული ხელნაწერის ანდერძსა და მინაწერებში მოხსენიებული დიოფალთა დიოფალ ვანენის პიროვნებით. მან გაითვალისწინა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ იგი ხელნაწერის რამოდენიმე მინაწერში იხსენიება როგორც შალვას დედად, ასევე ყურადღება მიაქცია, რომ ამავე შალვას მამაა რუსუდან მეფის (1223-1245) დროის ცნობილი მოღვაწე, 1226/1227 წლის თბილისის ალყის დროს ერთ-ერთი აქტიური სამხედრო პირი და დამცველი – ბოცო ჯაყელი, რომელიც თავის ძმა მემნასთან ერთად შეუპოვრად ებრძოდა შემოჭრილ დამპყრობლებს თბილისის დაცვის მიზნით და ყოველივე აქედან გამომდინარე, ბოცო და დიოფალთა დიოფალი ვანენი სავსებით სამართლიანად ცოლ-ქმრად მიიჩნია. გარდა ამისა, ისტორიკოსს ხელნაწერში სიქველთა და ღმრთისმოსაობით დიოფალთა დიოფალ ვანენის მოხსენიების ხაზგასმამ მოაგონა 1233 წლის აბუსერიძე ტბელის ანდერძში დასახელებული თავისი ერთ-ერთი და – დიოფალთა დიოფალი ვანენი. მისი აზრით, „ტბელის ანდერძის დაწერის დროს, 1233 წ., ვანენი ცოცხალია და, როგორც ჩანს, გათხოვილია დიდგვარიან პირზე: იგი, მსგავსად ალის მონასტრის სვინაქსარის ანდერძის ვანენისა, დიოფალთა დიოფალია. ამ ორ სხვადასხვა ძეგლში მოხსენიებული „ვანენების“ მსგავსება დიოფალთა დიოფლობით არ განისაზღვრება, აბუსერიძე ტბელის დაიც ცნობილია ქველმოქმედებით ისევე, როგორც სვინაქსარის ანდერძის ვანენი.

ამავე ვანენის-დიოფალთა დიოფლის, ნისიმეს სახელით შემონახვებულს ვიცნობთ აგრეთვე H კოლექციის „არწერილობის“ IV ტომის №1673 ანდერძიდან. აქ მას სამონაზვნო სახელთან – ნისიმესთან ერთად, მწერალი „დიოფალთა დიოფალად“ და „პატრონად“ იხსენიებს. ჩვენი ვარაუდით, ამ ხელნაწერის რედაქტორი მონაზონი ნისიმე იგივე დიოფალთა დიოფალი, აბუსერიძის ასული, ბოცო ბოცოს ძის ჩუხჩარების მეუღლე და შალვა ბოცოს ძის დედა უნდა იყოს. მნიშვნელოვანია ბოცო ბოცოს ძის ცხოვრებისა და დიოფალთა დიოფლის ვანენის ცხოვრების წლების დამთხვევა: 1233 წ. აბუსერიძის ასული ვანენი არა თუ გათხოვილი, არამედ „ღვთისმსახურებითა და ქველმოქმედებით“ სახელმოხვეჭილი ჩანს. ეს წელი დიდად უახლოვდება ბოცო ბოცოს ძის სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობის წლებს (1226-27)“ (შარაშიძე ქრისტინე, 1982: 20-21).

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ქრისტინე შარაშიძე ალის მონასტრის სვინაქსარის (S-1245) ანდერძ-მინაწერებში, H-1673 წლის ანდერძსა და ტბელ აბუსერიძის თხზულებაში ნახსენებ დიოფალთა დიოფალ ვანენს ერთი და იგივე პიროვნებად მიიჩნევს და შესაბამისად, იგი XIII საუკუნის I ნახევრის ცნობილ სამხედრო პირს – ბოცო ჯაყელის მეუღლედ აცხადებს, რომელთაც ჰყოლიათ ერთი ვაჟი სახელად – შალვა. ტბელ აბუსერიძის და – დიოფალთა დიოფალი ვანენი თავისი მეუღლის, ბოცო ჯაყელის გარდაცვალების შემდეგ შემონახვებულა ნისიმეს სახელით. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ქრისტინე შარა-

შიდის მოსაზრებას ტბელს აბუსერიძის დის — დიოფალთ-დიოფალ ვანენის ბოცო ჯაყელის მეუღლედ გამოცხადების შესახებ. ქრისტინე შარაშიძის არგუმენტებით გამყარებული შეხედულება ავტომატურად აბათილებს ვალერი სილოგავას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ახალდაბის წარწერაში მოხსენიებული დიოფალ დიოფალ ვანენის ტბელ აბუსერიძის და — დიოფალ დიოფალ ვანენთან გაიგივების შესახებ.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ წარწერა პალეოგრაფიული მონაცემებისა და ისტორიული რეალიების გათვალისწინებით XII-XIII საუკუნეებით დავათარილეთ და აქ მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავ გამრეკელს ვაიგივებთ როგორც XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე — ამილახორ და ამისრბასალარ გამრეკელ თორელთან, ასევე XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწე მეჭურჭლეთუხუცესს გამრეკელთანაც, დიოფალ დიოფალ ვანენის საგვარეულო კუთვნილება საძიებელია XII საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის I ნახევრის საქართველოში არსებულ ფეოდალურ სახლებში. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენთ ხელთ არსებული საისტორიო მასალა არ გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ თუ რომელი ფეოდალური სახლიდან იყო გამოსული ჩვენთვის საინტერესო წარწერაში მოხსენიებული — დიოფალ დიოფალი ვანენი. ასე, რომ მისი ვინაობა გასარკვევია, რასაც მომავალი კვლევის საქმედ მივიჩნევთ.

თავი IV. წარწერის საეკლესიო კუთვნილება

სულ ბოლოს, მეცნიერი მსჯელობს აღნიშნული მოდელის დანიშნულების შესახებ. მისი თქმით, ეკლესიის მოდელები გვხვდება როგორც ეკლესიათა კეხებზე, ასევე საფლავის ქვებზეც. აქედან გამომდინარე, ის ამ შემთხვევაში გადაჭრით არაფერს ამბობს, თუმცა ახალდაბის მოდელის ქვემოდან მომრგვალებული ღრმულის არსებობის გათვალისწინებით იხრება იმ აზრისაკენ, რომ აღნიშნული მოდელი ეკლესიის სახურავის კეხზე იქნებოდა თავის დროზე დადგმული. ამ შემთხვევაში, ჩვენ სრულად ვიზიარებთ მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ახალდაბის ეკლესიის მოდელი თავის დროზე ეკლესიის კეხზე იყო დადგმული. თუმცა მეცნიერს ნაშრომში არ დაუსვამს ეკლესიის საეკლესიო კუთვნილების საკითხი — თუ ახალდაბის რომელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა აღნიშნული მოდელი?

როგორც ცნობილია, სოფელ ახალდაბის სიახლოვეს ლოკალიზდება ისეთი ცნობილი ტაძრები, როგორებიცაა IX საუკუნის 40-იან წლებში გრიგოლ ხანცთელის მოწაფის, ქრისტეფორეს მიერ აგებული ნეძვის ეკლესია და ფოთოლეთის სახელით ცნობილი IX-X საუკუნეების ბაზილიკა. თავდაპირველად გავიჩინდა მოსაზრება: ხომ არ წარმოადგენდა აღნიშნული ეკლესიის მოდელი ამ ორი უძველესი ტაძრიდან ერთ-ერთის საკუთრებას, მარტივად, რომ ვთქვათ, ხომ არ იყო აღნიშნული ეკლესიის მოდელი ერთ დროს (XII-XIII საუკუნეებში) ამ ორი უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრული ძეგლიდან ერთ-ერთი ტაძრის კეხზე დადგმული?! თუ გავითვალისწინებთ იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ფოთოლეთის ეკლესია სოფელ ახალდაბიდან სამხრეთით 5 კილომეტრის მოცილებით მდებარეობს, ხოლო ნეძვის ეკლესია 12 კილომეტრის დაცილებით, ნაკლებ სარწმუნოდ მივიჩნიეთ სოფელ ახალდაბაში აღმოჩენილი ეკლესიის მოდელი ამ ორი ტაძრიდან ერთ-ერთის საკუთრებად გვევარაუდა.

აქედან გამომდინარე, დავინტერესდით თუ რომელი ეკლესიის სახურავის კეხზე იყო დადგმული ეკლესიის მოდელი ახალდაბიდან. წინამდებარე პროექტის ფარგლებში 2017 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ორგზის მოვინახულეთ სოფელი ახალდაბა და იქ განთავსებული ხუროთმოძღვრული ძეგლები. აქვე დავძენთ, რომ ჩვენ მხედველობაში მივიღეთ სიმონ ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმში შედგენილი პასპორტი (ნომერი 696), რომლის მიხედვითაც ეკლესიის მოდელი გიორგი გელაშვილის სახლის გვერდით აბანოს მშენებლობისას უპოვიათ. აღნიშნული სოფლის მონახულებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია სოფლის ცენტრში, სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე ტაძრებმა. სასაფლაოს ცენტრში დგას საქართველოში რუსეთის მმართველობის დროს გადაკეთებული ტაძარი, ცოტა უკან ღმრთისმშობლის ეკლესიის სახელობის ძველი ბაზილიკა, რომლისგანაც მოშორებით, შემალღებულ გორაკზე დგას კიდევ ერთი წმიდა გიორგის ეკლესია, რომელსაც არ აქვს შემორჩენილი ძველი სახურავი და, როგორც ჩანს, შემდგომ ადგილობრივებს საკუთარი სახსრებით გადაუხურავთ. ამ დათვალიერების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო წმიდა გიორგი ტაძრის მდებარეობამ. მისი აღმოსავლეთ ფასადის დათვალიერების დროს გადავიხედეთ გორაკიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და ქვემოთ დავინახეთ რაღაც გაურკვეველი შენობა და, შესაბამისად, დავინტერესდით ამ შენობის დანიშნულებით და როგორც ადგილობრივებთან საუბარში გაირკვა და შემდგომში თავდაცვ მოვინახულეთ, ეს გახლავთ გოგირდის აბანო, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. აქვე გავგახსენდა ახალდაბის ეკლესიის მოდელის შესახებ შედგენილი პასპორტის ინფორმაცია, რომ 1968 წელს ეკლესიის მოდელი უნახავთ აბანოს მშენებლობისას წარმოებული სამუშაოების დროს გიორგი გელაშვილის სახლის გვერდით. ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვისას დადასტურდა ახალდაბის ეკლესიის მოდელის პასპორტის ინფორმაცია, რომ ეს გოგირდის აბანოს შენობა მართლაც 1968 წელს აუგიათ.

ახალდაბის წმიდა გიორგი მდებარეობა და ეკლესიის მოდელის პასპორტის მონაცემების დამთხვევა აბანოს აშენების წელთან ეჭვს არ იწვევს, რომ თამამად განვაცხადოთ XII-XIII საუკუნეებში ახალდაბის ეკლესიის მოდელი წმიდა გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ კეხზე იყო ჩადგმული, რომელიც სახურავის ჩამოშლის შემდგომ ჩამოვარდა და აბანოს ადგილას

ჩაგორდა. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში იგი მიწით დაიფარა და სწორედ 1968 წელს აბანოს მშენებლობისას წარმოებულ მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა და აქედან კი, გიორგი გელაშვილის მეშვეობით გადაეცა თბილისის სახელმწიფო მუზეუმს. აქვე შევნიშნავთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ახალდაბის წმიდა გიორგის ეკლესია სამხრეთის მხრიდან თითქმის სარკმლამდე დაფარულია მიწით და საჭიროებს გაწმენდას. ამასთან დაკავშირებით დავძენთ, რომ 2017 წლის შემოდგომაზე ტაძრის მონახულებისას მის სამხრეთით სრულიად შემთხვევით მივაკვლიეთ დამუშავებულ ქვას. ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა იყოს ამ ტაძრის ეკლესიის ლორფინის ქვის ფრაგმენტი. თუ სპეციალისტების მხრიდან მოჰყვება დროული გამოხმაურება წინამდებარე ნაშრომს, ვინ იცის, იქნებ გაწმენდითი სამუშაოების დროს აღმოჩნდეს ჩვენთვის უცნობი წარწერა ან წარწერები, რომლებიც გასცემს პასუხს ახალდაბის ეკლესიის მოდელის კედლებზე შესრულებული წარწერის გარშემო არსებულ ყველა გაუცემელ კითხვას.

ამგვარად, ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან ეჭვს არ იწვევს, რომ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ეკლესიის მოდელი და, შესაბამისად, მის კედლებზე ამოღებული ასომთავრული წარწერა ერისთავთ-ერისთავ გამრეკელის მეუღლის დიოფალთ დიოფალ ვანენისა და მისი ვაჟის მოხსენიებით XII-XIII საუკუნეებში სოფელ ახალდაბის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე წმიდა გიორგის ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბასილი ეზოსმოდღარი, 2008. „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა თამარისი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი. მერიდიანი. არტანუჯი.
2. ბახტაძე მიხეილ, 2003. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი. არტანუჯი.
3. გიორგი ოთხმეური, 1981. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი. მეცნიერება.
4. ვალერი სილოგავა, 1969. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერების პუბლიკაცია)“, სტუდენტთა სამეცნიერო სესია სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების IV კომპლექსური ექსპედიციების მასალების მიხედვით, მუშაობის გეგმა, მოხსენებათა თემისები და ანოტაციები, 26-28. II, თბილისი.
5. ვალერი სილოგავა, 1993. თორელთა ფეოდალური სახლის ერთი მემორიალური ძეგლი (ახალდაბის წარწერა), თსუ ახალციხის ფილიალის I სამეცნიერო სესია, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თემისები, ახალციხე.
6. ვალერი სილოგავა, 2000. ეკლესიის მოდელი ახალდაბიდან და მის კედლებზე ამოკვეთილი წარწერა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, შრომების კრებული, II, ახალციხე.
7. † ვალერი სილოგავა, ლია ახალაძე, მერაბ ბერიძე, ნესტან სულავა, როინ ყავრელიშვილი, 2012. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევები დაურთეს: † ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა, თბილისი.
8. თამაზ გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი. Tamaz Gogoladze, The Epigraphic Corpus of the Tori Gorge as a Historical Source, Tbilisi.
9. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 2008. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გურამ კარტოზიამ და ცოტნე კიკვიძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი. მერიდიანი. არტანუჯი.
10. ლევან მუსხელიშვილი, 1940. თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X-B, ტფილისი.
11. ნოდარ შოშიაშვილი, 1966. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი. მეცნიერება.
12. თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, ნ. შოშიაშვილი, 1984. ქართული ისტორიული საბუთები (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი. მეცნიერება.
13. ჟამთააღმწერელი, 2008. „ასწლოვანი მატანე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიული ალსანიამ, ქართლის ცხოვრება, თბილისი. მერიდიანი. არტანუჯი.
14. შარაშიძე ქრისტინე, 1982. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, რედაქტორი დარეჯან მეგრელაძე, თბილისი. მეცნიერება.

TAMAZ GOGOLADZE

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

AN INSCRIPTION IN ASOMTAVRULI SCRIPT, EXECUTED ON THE AKHALDABA CHURCH MODEL OF THE XII-XIII CENTURIES, WITH MENTIONING OF THE QUEEN OF QUEENS VANENI, SPOUSE OF ERISTAVI GAMREKELI, AND HER SON

(Revising the reading of the inscription and dating it; defining correctness of identification of the Queen of Queens Vaneni with the Feudal House of the Abuseridzes; establishing a church to which the inscription belonged)

(SUMMARY)

The paper studies Georgian inscription in asomtavruli script executed on the Akhaldaba church from Borjomi region. The inscription mentions Eristavt-Eristavi Gamrekeli, his spouse Vaneni and their son. In the process of the study, the text of the final fragment of the inscription was defined and dated to the 12th - 13th cc., instead of the second half of the 12th c. (1191) as suggested by a Georgian scientist. Correspondingly, we identified Eristavt-Eristavi Gamrekeli mentioned in the inscription either with Amirspasalari Gamrekeli Toreli (second half of the 12th century) as it was suggested earlier, or as Mechurchletukhutsesi Gamrekeli Toreli (1230-40). The question of dynastic belonging of the Queen of Queens Vaneni, the spouse of Eristavt-Eristavi Gamrekeli, to the Feudal House of the Abuseridzes remains open. Finally, it is concluded that the church maquette with the inscription belonged to the St. George Church, erected on the Akhaldaba cemetery ground.

იკაქი გელაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

XVI-XVII საუკუნეების სამი ახლად გამოვლენილი ნაწილი რუისის უკვე აღმოჩენილი გაქვირება¹

რუისის ფერისცვალების ტაძარი უძველესი სამღვდელთმთავრო კათედრა, რომელიც მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ქარელის რაიონში. სატაძრო კომპლექსში შედის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, კოშკ-სამრეკლო და ვალავანი. ეპარქიის ტერიტორიაზე ქრისტიანული ცხოვრების დასაწყისი ქართველთა განმანათლებლის - წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. ტაძრის აგება და ეპარქიის დაარსება, გადმოცემის მიხედვით, დაკავშირებულია ვახტანგ გორგასლის სახელთან, თუმცა იმდროინდელ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. ეკლესიაზე განიხილვა რამდენიმე სამშენებლო ფენა, რომელთაგან უძველესი VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. უკანასკნელად ტაძრის რესტავრაცია 1950-1953 წლებში განხორციელდა.

რუისის ფერისცვალების სახელობის სატაძრო კომპლექსთან დაკავშირებულია მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ისტორიიდან. სწორედ აქ, ღმრთისმშობლის ეკლესიაში, მეფედ ეკურთხა გიორგი II (1072-1089) [ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 148]. დავით აღმაშენებლის ბრძანებით რუისისა და ურბნისის სანახებში გაიმართა დიდი საეკლესიო კრება XII საუკუნის დასაწყისში. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული ეკლესიის ისტორიაში [ვახუშტი ბატონიშვილი, 1978: 184]. XI საუკუნეში რუისის საეპისკოპოსო კათედრას სათავეში ედგა ცნობილი ისტორიკოსი და აგიოგრაფი ლეონტი მროველი, რომლის საისტორიო თხზულებაც შესულია ქართლის ცხოვრების კრებულში. იგი იხსენიება ასევე იმავე რეგიონში, კერძოდ, თრეხვის ქვაბების 1066 წლის ცნობილ სააღმშენებლო წარწერაში, რომელიც ქართული ეპიგრაფიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს [გაფრინდაშვილი გიორგი, 1961: 239-257].

აქედან გამომდინარე, რუისის ფერისცვალების სახელობის ტაძარი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ძეგლია. იგი განსაკუთრებით საინტერესოა ეპიგრაფიკის თვალსაზრისით. ტაძრის კედლებზე მრავლად არის როგორც ლაპიდარული, ისე ნაკაწრი წარწერები, რომლებიც უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხების საკვლევად.

წარწერები მოთავსებულია ეკლესიის ფასადებზე და ინტერიერში. წარმოდგენილია დამწერლობის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული, რომელთა ქრონოლოგია XI-XIX საუკუნეებს მოიცავს. შინაარსის მიხედვით იქ წარმოდგენილია როგორც სააღმშენებლო და პილიგრამული წარწერები, ისე საღვთისმეტყველო ტექსტები. ხშირ შემთხვევაში წარწერები ერთმანეთზეა გადაწერილი, რის გამოც წარმოდგენილია ტექსტების რამდენიმე - ოთხი-ხუთი - ფენა, ამიტომ მათი გარჩევა, ამოკითხვა და გაშიფვრა საკმაოდ რთულია.

რუისის ფერისცვალების სახელობის სატაძრო კომპლექსის წარწერებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ წარწერების დიდი უმრავლესობა უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისთვის, ხოლო უკვე ცნობილი და გამოცემული წარწერები დაზუსტებას საჭიროებს. რუისის ფერისცვალების ტაძრის კომპლექსის წარწერები შეისწავლეს და გამოაქვეყნეს ისეთ ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა, როგორებიც იყვნენ: მარი ბროსე [Brosset, 1851], ექვთიმე თაყაიშვილი [თაყაიშვილი, 1907], გიორგი ჩუბინაშვილი [ჩუბინაშვილი, 1940], ვახტანგ ბერიძე [ბერიძე, 1994] და სხვ. მათი ნაშრომების მიხედვით, ამჟამად სამეცნიერო საზოგადოებისთვის რუისის ფერისცვალების ტაძრის მხოლოდ 15 ლაპიდარული წარწერაა ცნობილი, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, წარწერების საერო რაოდენობა ერთ ასეულს აღემატება. დღესდღეობით გადმოღებული გვაქვს 60 წარწერის პალეოგრაფიული პირი და ვიკვლევთ მათ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით თვალსაზრისით.

¹ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (№ PHDF-18-820, რუისის ფერისცვალების ტაძრის ეპიგრაფიკა (ტექსტების პუბლიკაცია და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი). This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) (№ PHDF-18-820, Epigraphy of the Ruisi Transfiguration Church (Publication of Texts; Historical and Source Study Analysis)).

ამჟერად ქვემოთ წარმოვადგენ ჩემ მიერ გამოვლენილ სამ უცნობ წარწერას, მათ ტექნიკურ აღწერილობას, ტექსტების გადმონაწერებს დედნისეული შრიფტის დაცვით, ტექსტების წაკითხვებს, წარწერების ფოტოებსა და პალეოგრაფიულ პირებს. წარწერები საინტერესოა როგორც პალეოგრაფიული, ისე ონომასტიკური და გენეალოგიური თვალსაზრისით. წარწერებს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVI-XVII საუკუნეებით ვათარილებთ.

1. დავით დღობისძის წარწერა [XVI-XVII]

წარწერა ამოკაწრულია ტაძრის ჩრდილოეთ ეკვდერის დასავლეთ კედელზე, სარკმლის მარჯვენა მხარეს, მოყვითალო ქვის ფილაზე, რომელზეც შეინიშნება მხატვრობის კვალი; წარწერის ფართობი: 28,5X3.0 სმ.; ერთი სტრიქონი; ნუსხურნარევი ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე - 2,5 სმ. (მეოთხე სიტყვის III გრაფემა ს (ს)); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე - 0,3 სმ. (პირველი სიტყვის III გრაფემა I (ლ)). წარწერა წარმოდგენილია განკვეთილობის ნიშნების გარეშე; სიტყვები დაქარაგმებულია, თუმცა ქარაგმის ნიშანი არ ახლავს. წარწერა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული.




საქონს: შიასუს ძის: შონს: სუჩ იჩ

„სულსა დღობის ძი[ისა] დ[ავი]თ[ისა] შ[ეუნდვე]ნ ღ[მერთმა]ნ“

წარწერა მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან ერთადერთი წყაროა, რომელშიც დაფიქსირებულია გვარი დღობისძე. მოვიძიეთ ინფორმაცია ისტორიულ დოკუმენტებსა და წყაროებში, თუმცა ამ ფორმით აღნიშნულ საგვარეულოს ვერსად მივაკვლიეთ. ჩვენი აზრით, იგი უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა სადღობელს, რომლიდანაც წარმოდგარია ასევე გვარი სადღობელაშვილი.

2. დავით თვალთაშვილის წარწერა [XVI-XVII]

წარწერა ამოკაწრულია ტაძრის ჩრდილოეთ ეკვდერის დასავლეთ კედელზე, სარკმლის მარცხენა მხარეს, მოყვითალო ქვის ფილაზე, მარცხენა ქვედა კუთხეში; წარწერის ფართობი: 15,8X2,8 სმ.; ორი სტრიქონი; მხედრული; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე - 1,4 სმ. (მეორე სტრიქონის, მეორე სიტყვის II გრაფემა ვ); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე - 0,2 სმ. (მეორე სტრიქონის, პირველი სიტყვის III გრაფემა ლ). წარწერა წარმოდგენილია განკვეთილობის ნიშნების გარეშე; სიტყვები დაქარაგმებულია, თუმცა ქარაგმის ნიშანი არ ახლავს. წარწერა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული.



ღმერთო გუმრჯვე | დვითსა თვლიშვილს
„ღმერთო გ[ა]უმ[არ]ჯვე დ[ავი]თსა თვ[ა]ლი[ა]შვილს“

გვარი თვალთაშვილი ისტორიულ დოკუმენტებში XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიება. 1527-1556 წლებით დათარიღებულ საბუთში, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შიფრით Qd-345, მოხსენიებულია გოჩა თვალთაშვილი, რომლის კუთვნილი მამულები, კერძო და მეხედური, ლუარსაბ მეფემ შესწირა რუისის ტაძარს.


XVII ს. პირველ მეოთხედში პაპუნა თვალთვალის რუისში ფლობს სასახლეს, ვენახს და გლეხ ფარეიდეს. 1626 წელს გაცემული საბუთის მიხედვით, პაპუნა თვალთვალის ნაქონი ვენახი, სასახლე და გლეხი ფარეიდე მამულით თეიმურაზ მეფემ უწყალობა პაპუნა მამაცაშვილს (საქართველოს ცენტრალური არქივი, 1449-1104).

მოგვიანებით თვალთვალის მამულზე რობამ(?) მამაცაშვილს შეეცილნენ იოსებ თბილელი და მისი ძმები, გიორგი და შიომ სააკაძეები. მამული დარჩა მამაცაშვილს ([1676-1688წწ.] საქართველოს ცენტრალური არქივი 1450-48/28).

თვალთვალის ნაქონ მამულზე გიორგი სააკაძეს ასევე ცილობა აქვს ფარეიდესთან. შემდგომში ამავე მიწას იჩემებდა ბერუკა რევაზისშვილი, სასამართლომ თვალთვალისეული მამული საბოლოოდ დაუტოვა სააკაძეს (1680წ. XII. 18. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ad-1017).

3. როსაფ ფრანგისშვილის წარწერა [XVI-XVII]

წარწერა ამოკაწრულია ტაძრის ჩრდილოეთ ეკვდერის შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს, მწვანე ფერის ქვის ფილაზე; წარწერის ფართობი - 33,0x22,0 სმ.; სამი სტრიქონი; მხედრული; ყველაზე დიდი გრაფემის სიმაღლე - 4,4 სმ. (პირველი სტრიქონის მეორე სიტყვის III გრაფემა რ); ყველაზე პატარა გრაფემის სიმაღლე - 0,1 სმ. (პირველი სტრიქონის, პირველი სიტყვის IV გრაფემა თ). წარწერა წარმოდგენილია განკვეთილობის ნიშნებისა და ქარგმის გარეშე. ტექსტის დასაწყისში დასმულია დიდი ზომის ქანწილი, რომელიც გაფორმებულია ხვეული მარყუხებით. წარწერა არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული (სურ. 3).



ქ. ხატო ფერისცვალებისათ შეიწყალე მონა შენი ფრანგის შვილი როსაფაი ამინ უფალო.

„ქ. ხატო ფერისცვალებისათ შეიწყალე მონა შენი ფრანგიშვილი როსაფაი ამინ უფალო.“

ისტორიულ დოკუმენტებში ფრანგიშვილები XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან იხსენიებიან. ისინი იყვნენ ციციშვილთა აზნაურები. Hd-14534-ა საბუთის მიხედვით, ციცი ციციშვილის ყმათა ნუსხაში აღნიშნულია, რომ სენხია და გოდერძი ფრანგიშვილებს ჰყავდათ სამი კომლი ყმა ოვთეთში (1658-1676 წწ.).

მღვდელი, ხუცესი დავით ფრანგიშვილი, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს მამულით ერგო ედიშერს ([1688-1703წ.] Hd -1636).

ამრიგად, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს ჩვენ მიერ გამოვლენილი XVII საუკუნის სამი უცნობი წარწერა რუისის ფერისცვალების სატაძრო კომპლექსიდან. წარწერებში დაფიქსირებული სამი გვარიდან ორი - თვალისმომჩინებელი და ფრანგიშვილები - ცნობილია სამეცნიერო საზოგადოებისთვის და სხვა ისტორიული წყაროებითაც ფიქსირდება მათი მოღვაწეობა აღნიშნულ რეგიონში, ხოლო მესამე გვარი — დღობისძეები ჩემთვის ცნობილ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული არ არის. ამდენად, ჩვენ მიერ გამოვლენილი დავით დღობისძის წარწერა ჯერჯერობით ერთადერთი წყაროა, რომელიც გვაუწყებს XVI-XVII საუკუნეებში ამ გვარის არსებობას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბერიძე ვახტანგ, 1994, XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბილისი, „კანდელი“.
2. გაბიაშვილი ენრიკო, 1978, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა: ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა, თბილისი, „მეცნიერება“.
3. გაფრინდაშვილი გივი (1961), *ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან*. ჟურნალი „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, 1(239-257), თბილისი.
4. გელაშვილი ირაკლი (2015), *დღემდე უცნობი წარწერა რუისის ტაძრიდან*, ჟურნალი „ისტორიანი“, 11 (59), ნომბერი (36-41), თბილისი.
5. გელაშვილი ირაკლი (2018), *გიორგი გალატომთა ზედა დამდევის უცნობი წარწერა რუისის ღმრთისმშობლის ტაძრიდან, კრებულში ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV-XV (346-352)*, თბილისი.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.
7. ზაქარაია პარმენ, 1973, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბილისი, „მეცნიერება“.
8. ზაქარაია პარმენ, 1965, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, „მეცნიერება“.
9. თაყაიშვილი ექვთიმე, 1907, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.
10. კლდიაშვილი დარეჯან, სხირტლაძე ზაზა, 1999, გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I., ნაკვეთი პირველი, თბილისი.
11. ლეონტი მროველი, 2008, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბილისი, „მერიდიანი“, „არტანუჯი“.
12. სილოგავა ვალერი, ახალაძე ლია, ბერიძე მერაბ, 2012, ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, თბილისი, „ნეკერი“.
13. ჩუბინაშვილი გიორგი, 1940 *რუისის ტაძრის ისტორიისათვის*, ჟურნალი „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“, V-VI (427-468), თბილისი.
14. Меписашвили Русудан. Цинцадзе Вахтанг. 1975. Архитектура на горной части – исторической провинции Грузии – Шида Картли. Тбилиси, Мецниереба.
15. M. Brosset. 1851. Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, execute en 1847-1848. (sixieme rapport). Petersbourg.

IRAKLI GELASHVILI

St. Andrew the First-Called Georgian University
Of the Patriarchate of Georgia

**THREE NEWLY REVEALED INSCRIPTIONS (XVI-XVII CC.)
FROM THE RUISI TRANSFIGURATION CHURCH****SUMMARY**

Transfiguration monastic complex of Ruisi lies in historical Shida Kartli, Kareli region. It is of special interest for its inscriptions. Both lapidary and graffiti inscriptions from the monastery are the significant source for history and culture of Georgia.

Our preliminary study shows that the total number of inscriptions in Ruisi exceeds one hundred units, whereas no more fifteen inscriptions have been published until now.

I got interested in the epigraphy of Ruisi Church in 2014, when I revealed several unknown lapidary and graffiti inscriptions. By now, I have read some 60 inscriptions. Only three inscriptions out of the 60 were known earlier. By now I have made paleographic copies of all these 60 inscriptions and have studied them.

The present article concerns three Newly Revealed inscriptions from the Ruisi Church, which is first time introduced into the scientific circulation. I date these inscriptions to the 16-17cc.

The paleographic copy of these inscriptions is first time published. The text is equipped with exhaustive apparatus criticus - archaeological and paleographic descriptions.

ნიკოლოზ ქაჯანი

**კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

წამოს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის შკანსკუდ წაწმინდის მოხსენიებული გამგებების ირანდინიკატივისათვის

2010 წლის დეკემბერში მეგობრებთან ერთად მდ. ტანის ხეობის მონახულებისას აღმოვჩნდით წეროსხევის მონასტერში ღმრთისმშობლის სახელობის მთავარ ტაძარში შესვლისთანავე ყურადღება მიიქცია სამხრეთ კედელზე შავი საღებავით ნუსხურად შესრულებულმა მობრდილმა წარწერამ. უკეთ დაკვირვების შემდეგ კი ტაძრის ინტერიერში შემორჩენილ შელესილობაზე კიდევ გამოვავლინეთ მეღნიტა და საღებავით შესრულებული რამდენიმე მხედრული, ნუსხური და მთავრული წარწერა. ეს წარწერები ადგილობრივ ამოვიკითხე და გადავიღე ციფრული ფოტოები. თბილისში დაბრუნების შემდეგ დავიწყე წეროსხევთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ იგივე წარწერები უნახავს და ამოუკითხავს აწ განსვენებულ მეცნიერს - ვალერი სილოგავას. 2011 წლის 28 იანვარს ქ. გორში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმიდა მღვდელმთავარმა კირიონ II-ის გორის მესამე სამეცნიერო კონფერენციაზე მან ასევე წაიკითხა მოხსენება სათაურით „უცნობი წარწერები წეროს ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრიდან“. ამის გამო მე აღარ გამიგრძელებია იგივე თემატიკის კვლევა. თუმცა, სამწუხაროდ, მოხსენების გამოქვეყნება ცნობილ მეცნიერს არ დასცალდა. არც მის პირად არქივში მოიძებნა მოხსენება, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა შეიძინა. ყოველივე ამის გამო საჭიროდ ჩავთვალე წეროსხევის წარწერების ტექსტების თავიდან შესწავლა და გამოცემა.

ამ მიზნით 2012-სა და 2014 წლის ნოემბერში კიდევ ერთხელ ვეწვიეთ წეროსხევის მონასტერს. მთავარი ეკლესიის შელესილობაზე გამოვავლინეთ 20-მდე სხვადასხვა ფერის მეღნიტით შესრულებული წარწერა, გადავიღეთ მაღალი ხარისხის ციფრული სურათები და გადმოვიღეთ პალეოგრაფიული პირები¹.

წარწერების პუბლიკაციისა და ანალიზისას ვითვალისწინებ ვ. სილოგავასთან საუბრისას დამახსოვრებულ დეტალებს, ასევე - მისი მოხსენების ძირითად დებულებებს, რომლებიც ჩაიწერა და მომაწოდა ისტორიკოსმა მაია შაორშაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

წეროსხევის სამონასტრო კომპლექსის და მისი წარწერების კვლევის ისტორია

სამონასტრო კომპლექსი მდ. ტანის ხეობაში ე. წ. „წეროს ხევში“, ატენის სიონიდან ხეობის აყლებზე, დაახლ. 5-6 კმ-თა დაშორებული და შემადლებულ კლდოვან მასივზეა აგებული². კომპლექსი შედგება ღმრთისმშობლის სახელობე აგებული ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიისგან³, მისგან ჩრდილოეთით წმ. გიორგის სალოცავია, ხოლო სამხრეთით - მინაშენი. იქვე ახლოს, ეკლესიიდან დასავლეთით, ხელოვნური ტერასები და ქვით მოპირკეთებული წყალსაცავია.

¹ სამუშაო პროცესში დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით თენგიზ მანძულაშვილსა და ნინო ხარშილაძეს.

² ძველის კოორდინატებია: 41.907025°, 44.032619°.

³ იხ. სურათი №1 - წეროსხევის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია, ხედი ჩრდ-დას-დან.

ეკლესია სავალალო მდგომარეობაშია: ჩამოშლილია ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი და გუმბათის მესამედი. შელესილობის ნაწილს კი, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო წარწერები შემოგვინახა, ჩამოშლა ემუქრება და საჭიროებს გამარტებას⁴.

ცნობები წეროსხევის მონასტრის შესახებ ჩემთვის ცნობილწერილობით საისტორიო წყაროებში არ გვხვდება⁵. სამეცნიერო ლიტერატურაც საკმაოდ ცუდად იცნობს ამ მონასტერს.

წეროსხევისპირველად იხსენიებს ს. მაკალათია თავის 1957 წ-ის ნაშრომში „ატენის ხეობა“. მეცნიერი ძალიან ზოგადად აღწერს ხევს, ეკლესიას და იხსენიებს მხოლოდ ერთ - სამხრეთ კედელზე შესრულებულ ყველაზე დიდ და შესამჩნევ, როსტევიანის მოსახსენიებელ ნუსხურ წარწერას და მის წაკითხვასაც გვთავაზობს [მაკალათია, 1957: 26].

ლ. ფრუიძისა და თ. ფურცვანიძის პოპულარულ სტატიაში მოცემულია მხოლოდ ტაძრის ტიპის ზოგადი აღწერა, ხოლო როსტევიანის წარწერა ავტორებს დამოწმებული აქვთ ს. მაკალათიას წაკითხვის მიხედვით [ფრუიძე... 1989: 8].

თ. ქარუმიძეც ზოგადად აღწერს კომპლექსს, ხოლო როსტევიანის ნუსხურ წარწერას ეხება მხოლოდ მასში მოხსენიებული პირის შესახებ გამოთქმული ვარაუდით [ქარუმიძე, 1990: 46-47].

წეროსხევის ეკლესია შეისწავლა და დაათარიღა ხელოვნებათმცოდნე მაია შავიშვილმა. მისი დასკვნით, ეკლესია უნდა დათარიღდეს X ს-ის II ნახ. — XI ს-ის დასაწყისით [შავიშვილი, 1997/8: 17]. მკვლევარი ასევე ეხება როსტევიანის ნუსხურ წარწერას და ტექსტსაც გვთავაზობს [შავიშვილი, 1997/8: 13].



სურათი №1. წეროს ხევის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია. ხედი ჩრდ-დას-დან

⁴ 2018 წ-ს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის (ფონდი „ქართუ“) დაფინანსებით შესრულდა გორის მუნიციპალიტეტის წეროსხევის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი. პირველ ეტაპზე განისაზღვრა ტაძრის გუმბათისა და თაღების, სვეტებისა და რიგელების სასწრაფო წესით აღდგენა. უმკაცრესი უსაფრთხოების ზომების დაცვისა და საავტორო ზედამხედველობის პირობებში შესრულდა სვეტის, ტრომპების გუმბათის ყელისა და თვით გუმბათის ყალიბების არმატურის კონსტრუქციებისა და ბეტონის ეტაპობრივად მოწყობის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ხარჯზე გაკეთდა საძირკველი, ცოკოლი და კედლის გამაგრებითი სამუშაოებიც. აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ რეაბილიტაციის პროცესში არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ მოძიებულ და დახარისხებულ იქნა ჩამოყრილი ქვები, რომელიც გამოყენებული იქნება პერანგის შემოსვის დროს. ამ ეტაპისთვის დაწყებულია ტაძრის პერანგის შემოსვა არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ მოძიებული ქვებითა და ადგილზე მოპოვებული ბუნებრივი ქვით. ფიზიკური სამუშაოები შპს „აბა ჯგუფმა“ შეასრულა, სარესტავრაციო სამუშაოების მეორე ეტაპი 2019 წელს გაგრძელდება (ინფორმაცია აღებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს Facebook გვერდიდან).

⁵ წეროს, როგორც დასახლებული პუნქტის შესახებ ამ ეტაპზე გამოვლინდა მხოლოდ ერთი საისტორიო საბუთი: კ. კვეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVII-XVIII სს-ის მიჯნის საბუთი [ხევ, Hd-2997], რომლის ძალითაც უცნობმა პირმა (სამეფო სახლის წევრმა?) ფარსადან ციციშვილს უწყალობა აღხაზ თურმანიძის კუთვნილი წეროს მამული. საბუთის ტექსტი: „ქ. ჩვენი ბძანება არის წედისის მამასახლისო და წედელეობ, მერმე ციცისშვილს წ ფარსადანს სეფხან სარდლის ნ/თალიდა წ ქონდა აღხაზ თურმანიძის მამული წ წეროსი ფარსადანისათვის მიეცა და ჩვეწნც ისევ ფარსადანს მივეცი თქვენ წ წეროსი ცხენის ხარდში (?) ჩავიგდიათ წ წეროსი ფარსადანზე არის რაც წერწოსელებისათვის ცხენის ფასი გამოგერთმითო¹⁰სთ ისევ მიეცი და თუ რამ ფარსადანთ¹¹ნ სიტყვა გქონდესთ ფარსადან რომ ა¹²ქ ჩამოვიდეს, თქვენც ჩამოდი და ერთა¹³თ ილაპარაკეთ, თუ არადა მაგის გლუხთან ხელი¹⁴ნუ გაქვსთ, თორემ ვიწყენთ.“ როგორც ვხედავთ, ეს საბუთიც ეხება არა უშუალოდ წეროს მონასტერს, არამედ ზოგადად წეროს ხევი არსებულ მამულებს. მართალია, ნაშრომის მთავარი ამოცანისთვის (გამრეკელის იდენტიფიკაციისთვის) ეს საბუთი უმნიშვნელოა, თუმცა საბუთი საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა წეროს მონასტრის მოგვიანო პერიოდის წარწერებისა და ზოგადად წეროს ხევის ისტორიის საკვლევად (წეროს ეკლესიის სხვა მოგვიანო პერიოდის წარწერებისა და ამ საბუთის შესახებ მოხსენება წავიკითხე 2018 წ-ის ნოემბერში, ახალგაზრდა მეცნიერთა II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში [ქლენტი, 2018: 28]). წეროს, როგორც დაბა „წეროსი“, დატანილი აქვს ასევე თავის 1745 წ-ის რუკაზე ვახუშტი ბატონიშვილს [ბაგრატიონი, 1997: 30-33, 75].

საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკისა და ხელნაწერთა მინაწერების სექციის მიერ ფრესკული წარწერების გამოვლენისა და ფიქსაციის მუდმივმოქმედი ექსპედიციების ფარგლებში, როდესაც გროვებოდა მასალები ქართული წარწერების მესამე კორპუსის (ფრესკული წარწერების) გამოსაცემად, გადმოღებულ იქნა წვეროს⁶ წარწერებიც [აბრამიშვილი... 1989: 5]. ბატონი ზაზა ალექსიძის ინფორმაციით, ამჟამად ამ წარწერების ასლები დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

როგორც ზემოთაღნიშნულში, 2011 წლის იანვარში წეროს ეკლესიის წარწერები მოინახულა და შეისწავლა ვ. სილოგავამ, რის შესახებ მოხსენებაც წაიკითხა, თუმცა, სამწუხაროდ, მოხსენება არ გამოქვეყნდა.


გამრეკელის მოსახსენებელი წარწერა

ეს ნაშრომი ეძღვნება წეროს ღმრთისმშობლის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერას.


ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერაშესრულებულია სამხრეთ კედლის შელესილობაზე, იატაკიდან 125 სმ სიმაღლეზე, სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან 257 სმ-ში. თაბაშირის გახუნების, ბზარებისა და დაშლის გამო ოდნავ დაზიანებულია, თუმცა ტექსტი სრულად იკითხება. შესრულებულია შავი მელნით. ზომები: ყველაზე დიდი, მე-ნ გრაფემა 3-ანი - 2,2 სმ; ყველაზე პატარა, მე-2 გრაფემა 1-ანი - 0,4სმ. ქარაგმის ნიშნად ბოლო სიტყვაში გამოყენებულია გრძელი სწორი ხაზი. განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება. ასოები გადაბმულია ერთმანეთზე⁷. ტექსტი:

გამრეკ(ელ)ს შეუნდვინ ღ(მერ)თ[მ](ა)[ნ]

წარწერაში სულ 20 გრაფემაა (არ ვთვლი ქარაგმის გახსნის შედეგად აღდგენილ და გამოტოვებულ გრაფემებს), რომელთაგან 5 ასო იდენტურია და შესაბამისად საქმე გვაქვს 15 ერთმანეთისგან განსხვავებულ გრაფემასთან. პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად, რომელიც გულისხმობს პარალელურ მასალასთან (ძირითადად ისტორიული საბუთები, ხელნაწერი წიგნები, ფრესკული წარწერები - შესრულების ტექნიკის გამო) შედარებას, დადგინდა, რომ წარწერის გრაფემათა მოხაზულობა ემთხვევა XII ს-ის მეორე ნახევრიდან XIV ს-ის შუა პერიოდის ასოთა მოხაზულობას. თარიღის დასავიწ-



სურათი №2. გამრეკელის შესანდობარი წარწერა



სურათი №3. გამრეკელის შესანდობარი წარწერის პალეოგრაფიული პირი

⁶ ამ სახელით არის მოხსენიებული ეკლესია გამოცემაში.

⁷ იხ. სურათები № 2, 3 - გამრეკელის შესანდობარი წარწერა და პალეოგრაფიული პირი.

როგებლად განსაკუთრებული დაკვირვება მოვახდინე წარწერის რამდენიმე გრაფემაზე, რომელთა ცვალებადობა ქრონოლოგიურად ყველაზე შესამჩნევი იყო. ესენია: მე-6 გრაფემა **კ**-ანი, მე-14 გრაფემა **დ**-ონი და მე-15 გრაფემა **ვ**-ინი. განსაკუთრებულ მსგავსებას კი ამ წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები ავლენს XIII ს-ის მხედრული დამწერლობის ნიმუშებთან⁸.

ახლა კი საჭიროა დაისვას საკითხი წარწერაში მოხსენიებული გამრეკელის ვინაობის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ ეს სახელი XII-XIV სს-ში მეორდება მხოლოდ ერთ საგვარეულოში - თორელთა ფეოდალურ სახლში [შოშიაშვილი, 1966: 23], მოგვიანებით კი თორელთა საგვარეულოს განშტოებებში - ჯავახიშვილთა, ღობიართა და ქვეშელთა ფეოდალურ სახლებში [შოშიაშვილი, 1966: 47-50]. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ცნობილია შემდეგი გამრეკელები:

გამრეკელ დიდი თორელი, კახას ძე, ამირსპასალარი. XII ს-ის II ნახევარი.

გამრეკელ თორელი, მეჭურჭლეთუხუცესი. გამრეკელ დიდის შვილიშვილი, კახას ძე. XIII ს-ის შუა პერიოდი.

გამრეკელ თორელი, კახას ძე. XIII ს-ის II ნახევარი - XIV ს-ის I ნახევარი.

რადგანაც წარწერის ტექსტი არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას წარწერის ავტორის შესახებ (მის გვაროვნულ კუთვნილებას, თანამდებობას...), ამ გამრეკელის თორელეთანიდებიფიკაციისთვის დამატებითი არგუმენტურობა იყოს თორელთა საგვარეულოსა და ატენის ხეობის ურთიერთმიმართება.

რა პერიოდში და რა სახით ჩანანთორელებიატენის ხეობაში?

წერილობით წყაროებში პირდაპირი ცნობები ამ საკითხის შესახებ არ მოგვეპოვება⁹.

ატენის სიონის დასავლეთ ფასადზე, ცოკლიდან მესამე წყებაში, პერანგის ერთ-ერთქვაზე შემორჩენილია ძალზედ დაზიანებული ძველი ქართული წარწერა, რომელიც შესრულებულია ქართული დამწერლობის სამივე სახეობის - მთავ-


⁸ წეროს აღნიშნული წარწერის გრაფემები პალეოგრაფიულ მსგავსებას ავლენს შემდეგი საისტორიო საბუთებისა და წარწერების გრაფემების მოზახულობასთან: 1170 წ-ის სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი (გ, რ, კ, ვ) [ენუქიძე... 1984: 295-302]; 1187 წ-ის სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი (გ, რ, კ) [ენუქიძე... 1984: 307-311]; XII-XIII სს-ის გრიგოლის ნაკაწრი წარწერა კალას ლავურის ეკლესიაში (კ), ასევე იმავე პერიოდის გიორგი მუშკუდიანის, იოანეს, იოვანე ალბაგინის და გიორგის წარწერა იმავე ეკლესიაში (კ) [სილოგავა, 1988: 281, 285]; 1241 წ. დაწერილი მიქაელ ქართლის კათალიკოსისა ვაჩე გურამისძისადმი (გ, კ, ვ) [ენუქიძე... 1984: 344-347]; 1241-2 წწ. დაწერილი არსენ ჭყონდიდელ-შიგნობართუხუცესისა მგელა აბულახტარისადმი (გ, კ, ვ) [ენუქიძე... 1984: 352-353]; 1247-1250 წწ. დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი (კ, ვ, [ენუქიძე... 1984: 357-358]; 1247-1260 წლების ბეგა სურამელის დაწერილთან ტოტიბაიშვილებისადმი (გ, კ, ვ, დ) [ენუქიძე... 1984: 366-368]; 1281-1282 წწ. დაწერილი ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოსისა არვანბეგ საბაისძისადმი (გ, კ, ვ, დ) [ენუქიძე... 1984: 382-385]; 1297-1298 წწ. სიგელი დავით მეფისა ჭარმაულ გრიგოლ ჭაჭნიაშვილისადმი (გ, კ, ვ, დ) [ენუქიძე... 1984: 393-398]; XIII ს-ის ნაკაწრი წარწერა დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის კედელზე (კ) [კლდიაშვილი... 1999: 98]; XIII ს-ის II მეოთხედის წარწერა დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის ძველ სატრაპეზოში, გესამანიელი ძმების გრაფიტი ავგა ათაბაგის მოხსენიებით (გ, კ, დ, ვ) [კლდიაშვილი... 1999: 307]; იქვე, XIII ს-ის I ნახევრის უდაბნოს დეკანოზ პავლეს წარწერა (კ, ვ) [კლდიაშვილი... 1999: 312]; იქვე, XIII ს-ის წარწერის ფრაგმენტი (კ) [კლდიაშვილი... 1999: 317]; იქვე, XIII ს-ის წარწერის ფრაგმენტი (რ, კ, ვ) [კლდიაშვილი... 1999: 320]; იქვე, XIII ს-ის ნაკაწრი ნახატის განმარტებითი წარწერა (ვ) [კლდიაშვილი... 1999: 324]; XIII ს-ის ნაკაწრი ანბანი აცის თარინგელის ტაძარში (კ, ვ) [სილოგავა, 1988: 243]; XIII-XIV სს-ის ბასილის ნაკაწრი წარწერა ჭყონდიდის ტაძარში (კ, დ, ვ) [სილოგავა, 2004: 141]; 1339 წ-ის სიგელი გიორგი მეფისა შალვა მეაბჯრეთუხუცესისადმი (ვ, კ-ს მოხაზულობა უკვე შეცვლილია) [ენუქიძე... 2013: 289]; 1345 წ-ის ბრძანება გიორგი მეფისა გამრეკელ ჯავახიშვილისადმი (კ, ვ-ს მოხაზულობა უკვე შეცვლილია) [ენუქიძე... 2013: 251]. აღნიშნულ ძეგლებთან წეროს ხევის ეკლესიის გამრეკელის შესანდობარი წარწერის პალეოგრაფიულმა შედარებამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად მსგავსი მოხაზულობის ასოები გვხვდება XIII ს-ის ნიმუშებში, შედარებით ნაკლებად კი - XII და XIV საუკუნეების ნიმუშებში.

⁹ შოშიაშვილი, იოვანისწინებდა რა თორელთა საგვარეულოში გავრცელებულ სახელ „კახას“, არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ ატენის სიონის ცნობილ 853 წ-ის წარწერაში მოხსენიებული კახა, აგიოგრაფიული თხზულებიდან ცნობილი იგივეკოსტანტი-კახი ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ყოფილიყო, თუმცა წყაროების სიმციროს გამო თავს იკავებდა რაიმეს მტკიცებისგან [შოშიაშვილი, 1966: 18]. აღსანიშნავია, რომ აგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელიც ეძღვნება სწორედ კოსტანტი-კახის წამებას, ვკითხულობთ: „მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი, რომელსა ეწოდა კახად სახელად მამულისა მის ქუეყანისა“ [ჭაგიოგრაფიული... 2008: 288]. (მითითებისთვის მადლობას ვუხდით ქ-ნ ქეთევან მამასახლისს). სწორედ ამ ფრაზის გამო მიჩნეულია, რომ კოსტანტი წარმოშობით კახეთიდან იყო და კახად ამის გამო ეწოდა („სახელად მამულისა მის ქუეყანისა“). თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ნ. შოშიაშვილის ფრთხილი ვარაუდი კოსტანტი-კახის თორელთა საგვარეულოს მიკუთვნების შესახებ მცდარი უნდა იყოს.



სურათი №4. ატენის სიონის დას. ფასადის X-XI სს. წარწერა გამრეკელის მოსახსენებლით

სურათი №5. ატენის სიონის დას. ფასადის X-XI სს. წარწერა გამრეკელის მოსახსენებლით (პალეოგრაფიული პირი)



კვლევის ამ ეტაპზე ამ წარწერას შემდეგი სახით ვკითხულობ:

ქრისტიანე . . . ფ .
 ემისა ე მკ სა თა
 ემისაძეოჲ ზ
 ასძისაან

ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ბ(ა)[გ](რა)[ტ] [მე][ფ][ე]...(?)[ჩ]
 ემისა (?) [ბ](?)მე[სუ]ლდ (?)
 გ(ა)მრ(ეკე)ლ და ე(რისთავთ)-ე(რისთავ)დ [კ][ახა]
 დს ძისაჲ. ამინ.

რული, ნუსხური და მხედრული გრაფემებით¹⁰. წარწერა გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთხელ თ. ბარნაველის მიერ. ქვემოთ მოყვანილია წარწერის თ. ბარნაველისეული წაკითხვა:

**ქრისტე, შეიწყალე ბაგრატ... ფ...(?)
 ემის აღმეს... ლ დ (?)
 გმრლ და...ე დ
 დს ძისაჲ. ამინ.**

თ. ბარნაველი წარწერას არ უთითებს თარიღს.

წარწერას კვლევის ამ ეტაპზე, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ზოგადად X-XI სს-ით ვათარილებ. რაც შეეხება ტექსტს, როგორც ჩანს, თ. ბარნაველის კვლევის პერიოდში ის უკეთეს მდგომარეობაში იყო, რადგან დღეს I სტრიქონში ამოკითხული სახელი „ბაგრატ“ და გრაფემა ფ-არი სრულად აღარ იკითხება. განიხილვა მხოლოდ პირველი ასო ბ-ანი, ხოლო შემდეგ სამი ვერტიკალური ხაზი, რაც შეიძლება თ. ბარნაველის ამოკითხულ გ-ანის, ტ-არისადაფ-არის ქვედა ნაწილად მივიჩნიოთ. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ნაწილი კი წარწერის III სტრიქონის პირველი სიტყვა უნდა იყოს. თ. ბარნაველს ალბათ გამოორჩა, რომ ამ III სტრიქონის პირველი 4 გრაფემის თავზე ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია ორი სწორი საშუალო ზომის ხაზი. ჩემი აზრით, ორმაგად დაქარაგმებული გრაფემები „გ~მრ~ლ“ სხვა არაფერია, თუ არა სახელი „გამრეკელი“¹¹.

¹⁰ იხ. სურათები №4, 5 - ატენის სიონის დას. ფასადის X-XI სს. წარწერა გამრეკელის მოსახსენებლით და წარწერის პალეოგრაფიული პირი.

¹¹ ერთი სახელის ან სიტყვის ორი ან მეტი ქარაგმის ნიშნით შემოკლება ხშირად გვხვდება სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც, მაგალითად: მემო ყარაბულახის ეკლესიის XI ს-ის ვინმე შარიაქას მოსახსენებელ წარწერაში [დმანისი... 2017; 115]; აგანის ბასილი აკნელის VI-VII სს-ის წარწერაში [სილოგავა... 2012: 26-27]; ბაგრას X ს-ის სოფრონის წარწერაში [სილოგავა... 2012: 34-35]; გომანის 1223-1245 წწ-ის რუსუდან მეფის ჯელის წარწერაში [სილოგავა... 2012:42-43] და სხვ.

წარწერაზე მუშაობა ჯერჯერობით არ დამისრულებია და ამ ეტაპზე რაიმეს გადაჭრით მტკიცებისგან თავს შევიკავებ. თუმცა, თუ წარწერის წაკითხვის ჩემი ვერსიასწორია, შემდეგდასკვნამდე მივდივართ:

როგორც აღვნიშნე, სახელი გამრეკელი მხოლოდ თორელთა ფეოდალური სახლის ან მისი მოგვიანო განშტოებების (ჯავახიშვილების, ლობიარებისა და ქვეშელების) წევრების შემთხვევაში გვხვდება. თორელთა გენეალოგიაში ხშირია ასევე სახელი კახა. გამოდის, რომ წარწერაში მოხსენიებული გამრეკელი სავარაუდოდ აქამდე უცნობი¹² გამრეკელ თორელი უნდა იყოს, ასევე აქამდე უცნობი ერისთავთ-ერისთავის - კახა თორელის ძე, რომლებიც ბაგრატ III-ის ან ბაგრატ IV-ის თანამედროვეები უნდა ყოფილიყვნენ. ამ წარწერის მიხედვით, როგორც ითქვას, გააჩნდათ თუ არა თორელებს გარკვეული უფლებები, სამოხელეო თუ სამამულო მიწათმფლობელობა ატენის ხეობაში უკვე X-XI სს-ში, თუმცა, ფაქტია, იმ პერიოდში თორელთა ფეოდალური სახლის წევრებს უფლება ჰქონდათ ატენის სიონზე შეესრულებინათ საკუთარი მოსახსენებელი წარწერა ბაგრატ მეფის გვერდით.

თორელებზე, როგორც ატენის ხეობის ძლიერ ფეოდალებზე, მეტყველებს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი XIII-XIV სს-ის ფრესკული წარწერა, რომელიც შესრულებულია ატენის სიონის დასავლეთ აფსიდის სამხრეთ კალთაზე. წარწერაში იხსენიება ლიპარიტ თორელის ძე გრიგოლი, რომელმაც უზრუნველყო დასავლეთ კედლის მოხატულობა [აბრამიშვილი... 1989: 164-166]¹³. საისტორიო წყაროებიდან გრიგოლი ლიპარიტ თორელის ძე უცნობია, თუმცა, საბედნიეროდ, ცნობილია თვითონ ლიპარიტი. XIII-XIV სს-ში ცნობილია მხოლოდ ერთი ლიპარიტ თორელი, იგივე ლიპარიტ დევისყურა. 1259 წ-ს იგი დაეხმარა მონღოლთაგან დევნილ და თორში ჩასულ დავით ნარინს, უბოძა ცხენი, შესამოსელი და თან გაჰყვა მას დასავლეთ საქართველოში [აბრამიშვილი, 1969: 36-37].

ზემოაღნიშნული ფრესკული წარწერა ატენის სიონის გამრეკელის წარწერისგან განსხვავებით უფრო მეტს მეტყველებს ატენის ხეობის ფეოდალური კუთვნილების კუთხით. ბუნებრივია, ატენის სიონის დასავლეთ კედლის მოხატვა იმ ფეოდალის პრეროგატივა იქნებოდა, ვისაც ატენში დიდი უფლებები ჰქონდა. შესაბამისად, ეს წარწერა ადასტურებს თორელების უფლებებს ატენის ხეობაში XIII-XIV სს-ში.

ამგვარად, თორელები ატენის ხეობაში X-XI სს-ში უკვე ჩანან, XIII-XIV სს-ში კი ატენის ძლიერ ფეოდალებად გვევლინებიან. ამგვარად, წეროსხევის წარწერაში მოხსენიებული გამრეკელის წარწერაც ქრონოლოგიურად ემთხვევა თორელთა მიწათმფლობელობის პერიოდს ატენის ხეობაში და, შესაბამისად, წეროს წარწერაში მოხსენიებული გამრეკელიც ასევე თორელთა საგვარეულოს წევრი უნდა ყოფილიყო.

ახლა კი საჭიროა დადგინდეს, XII-XIV სს-ში მოღვაწე ზემოთ ჩამოთვლილი გამრეკელებიდან კონკრეტულად რომელი გამრეკელ თორელი უნდა იყოს მოხსენიებული წეროს წარწერაში.

არც ნარატიული და არც დოკუმენტური წყაროები არ მეტყველებს ამ გამრეკელების რაიმე სახის კავშირზე ატენის ხეობასთან. მათი თანამდებობები (ახალქალაქის ერისთავები, ძამის ციხის მფლობელი, მეჭურჭლეთუხუცესი) არ გამოირიცხავს, რომ მათ ჰქონოდათ სამამულო მიწათმფლობელობა იმ ადგილებში, რომლებიც არ შედიოდა მათ საგამგებლოში¹⁴, მათ შორის ატენის ხეობაში.

ამგვარად, ჩემი აზრით, ამ კანდიდატებიდან ყველაზე რეალურის გამოსავლენად მთავარი ყურადღება წარწერის ტექსტოლოგიურ ნიშნებს უნდა დავუთმოთ. ამ კუთხით კი ყველაზე რეალური კანდიდატი, ვინც შეიძლება გავივივოთ წეროს წარწერაში მოხსენიებულ გამრეკელთან, XIII სს-ის შუა პერიოდში მოღვაწე გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესია.

გამრეკელ თორელი, მეჭურჭლეთუხუცესი

მონღოლების ბატონობის დროს გამრეკელი სხვა ქართველ თავადებთან ერთად მორჩილებას უცხადებს მონღოლებს. XIII სს-ის 40-იან წლებში მონღოლები მას ნიშნავენ სამხრეთ საქართველოს დუმანის თავად. იგი მონაწილეობას იღებს კოხტასთავის შეთქმულებაში. ემხრობა დავით ლაშას ძის მეფობის კანდიდატურას და ეგვება მას დაბრუნებისას [ყაუხჩიშვილი, 1959: 191, 208, 215-220]. დაახლოებით იმავე პერიოდში იგი იხსენიება მეჭურჭლეთუხუცესად¹⁵. 1250-60-იან

¹² ჯერჯერობით ეს გამრეკელი არ გაიგივებულა 990 წ-ს მოხსენიებულ დავით კურაპალატის სარდალ გამრეკელთან და არც ასოლიკთან 998 წ-ის ამბებში მოხსენიებულ ძმებ გამრეკელებთან და არც ქართლის ცხოვრებაში, 1065 წ-ის ამბების აღწერისას მოხსენიებულ ვარაზ-ბაკურ გამრეკელთან [შოშიაშვილი, 1966: 8-11].

¹³ აღსანიშნავია, რომ სახელი „ლიპარიტის“ გამო თ. მესხი წარწერაში მოხსენიებულ პირებს X სს-ში მოღვაწე ბაღვაშებთან აიგივებს [მესხი, 2010: გვ. 55-58].

¹⁴ ამის მაგალითია ქვემო ქართლის ძველი სოფ. ვარძაგარა (თანამედროვე ჰამამლუ), რომელიც თამარის თანამედროვე ახალქალაქის ერისთავის - კახა თორელის - საკუთრება იყო [მუსხელიშვილი, 1940: 23-47; ბერძენიშვილი, 2014: 155-156]. თორელებს ასევე ეკუთვნოდათ სოფ. აძიკვი ქვემო ქართლში [შოშიაშვილი, 1966: 23-24].

¹⁵ გამრეკელი რომ მეჭურჭლეთუხუცესის სახელსაც ფლობდა ვიცით 1241 წ-ს მიქაელ ქართლის კათალიკოსის ვაჩე გუარამისძისადმი გაცემული საბუთისა და 1241/1242 წწ-ის არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მგელა აბულახტარისადმი გაცემული საბუთის დამტკიცებების მიხედვით, რომლებიც 1247-1250 წწ-ს უნდა ეკუთვნოდეს [შოშიაშვილი, 1954: 120-126].

წლებში ახალქალაქის ერისთავად უკვე მისი ძე, კახა თორელი, ასევე მეჭურჭლეთუხუცესი იხსენიება. ბუნებრივია, ამ დროს გამრეკელი უკვე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო.

როგორც აღვნიშნე, ჩვენთვის საინტერესო წარწერა XII ს-ის მეორე ნახევრიდან XIV ს-ის შუა პერიოდით თარიღდება, ხოლო განსაკუთრებულ მსგავსებას წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები ავლენს XIII ს-ის ანალოგებთან¹⁶. გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესი სწორედ ამ პერიოდის მოღვაწეა. ხოლო იმის შესაძლებლობას, რომ წეროსხევის წარწერაში სწორედ ეს გამრეკელი იხსენიებოდეს, ემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება.


გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესი მოწმის სახით ამტკიცებს ორ საბუთს:

1241 წ-ს მიქაელ ქართლის კათალიკოსის დაწერილს ვაჩე გუარამაიძისადმი [ენუქიძე... 1984: 117];

1241/1242 წწ-ის არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დაწერილს მგელა აბულახტარისადმი [ენუქიძე... 1984: 120]¹⁷.

ამ საბუთებს ხელრთვა ახლავს ბოლო კეფებზე. ორივე საბუთის შემთხვევაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს კეფები მოგვიანებითაა მიკერებული [შოშიაშვილი, 1954: 120-126], თუმცა ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანამ ორმა საბუთმა შემოგვინახა გამრეკელ თორელი მეჭურჭლეთუხუცესის ორი ავტოგრაფი-ხელრთვა. ხოლო თუ დავუშვებთ, რომ წეროსხევის წარწერაში სწორედ ეს გამრეკელი იხსენიება, გამოდის, ჩვენამდე მოაღწია გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის ხელით შესრულებულმა სამმა ავტოგრაფმა, სადაც იგი საკუთარ სახელს იხსენიებს. მოდით შევადაროთ სამივე წარწერის ტექსტის¹⁸ ის ნაწილი, რომელშიც იხსენიება გამრეკელი:

სურათი №6. წეროს ხევის ეკლესიაში შესრულებული წარწერისა და გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის ხელრთვების მონაკვეთი მსგავსი ტექსტოლოგიური ნიშნებით



წეროსხევის ეკლესიის წარწერა	დაწერილი მიქაელ ქართლის კათალიკოსისა ვაჩე გუარამაიძისადმი, 1241 წ.	დაწერილი არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა მგელა აბულახტარისადმი, 1241-1242 წწ.
გამრეკელს შეუნდვინდ(მერთ)მ[ა][ნ].	...მე, გამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესისა, მოწამე ვარ.	...მე, მიწაი გამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესისა.

სამივე შემთხვევაში სახელ გამრეკელს აქვს მსგავსი ტექსტოლოგიური ნიშნები: ტექსტის ავტორი საკუთარ სახელში ტოვებს რიგით მე-7 გრაფემას ე-ნს, მესამე შემთხვევაში კი ორივე ასო ე-ნი ამოგდებულია. ამასთანავე, სახელს არ ახლავს ქარაგმის ნიშანი. ხელრთვებში იდენტურადაა შემოკლებული ასევე მისი თანამდებობა - გამოტოვებულია მე-4, მე-7 და

¹⁶ აღსანიშნავია, რომ ვ. სილოგავა წარწერას, ჩემთან პირად საუბარში, გ-ანის მოხაზულობის გათვალისწინებით, ასევე XIII ს-ით ათარიღებდა და წარწერის ავტორად ორი გამრეკელიდან - გამრეკელ დიდსა ან გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესს შორის ერთ-ერთს მოიაზრებდა.

¹⁷ აღსანიშნავია, რომ ამ საბუთის ყველა გამომცემელი, სახელ „გამრეკელი“ -ს შეცდომით კითხულობს როგორც „მმრჩაი/მამურჩაი/მამურჩაი“ [კაკაბაძე, 1925: 123, 133; **Какабадзе**, 1928: 78; დოლიძე, 1970: 160; ენუქიძე... 1984: 120]. მეტიც, ნ. შოშიაშვილი ამ მამურჩას, სახელის მიხედვით, ჯაყელად თვლიდა [შოშიაშვილი, 1966: 46]. როგორც ჩემთვისაც ცნობილი, მართებული დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ხელრთვაში იკითხება გამრეკელის სახელი და არა მმრჩაი/მამურჩაი, რაულ ჩაგანავას ეკუთვნის.

¹⁸ ამ შემთხვევაში ვადარებ ამ სამი ავტოგრაფის კონკრეტული ნაწილის (სახელი „გამრეკელის“ მონაკვეთის) მხოლოდ ტექსტოლოგიურ ნიშნებს და არა ზოგად პალეოგრაფიულ ნიშნებს, რადგან: 1. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამი ავტოგრაფიდან ორის ავტორი (საბუთების ხელრთვების) ნამდვილად ერთი პიროვნება - გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესისა, მათ შორისაც კი შეიმჩნევა აშკარა პალეოგრაფიული (გრაფემების მოხაზულობის) განსხვავებები (იხ. სურათი №6 - წეროს ხევის ეკლესიაში შესრულებული წარწერისა და გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის ხელრთვების მონაკვეთი მსგავსი ტექსტოლოგიური ნიშნებით); 2. წეროს ეკლესიის სავედრებელი წარწერა განკუთვნილი იყო სხვა მომლოცველებისთვის, რათა მათ ამოეკითხათ ტექსტი და ლოცვაში მოეხსენებინათ გამრეკელი. იურიდიულ აქტზე შესრულებულ ხელრთვას კი სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. ის უნდა შესრულებინათ რთული მოხაზულობით, ხელ ჩართულად, რათა არ მომხდარიყო ხელმოწერის გაყალბება (მინიშნებისთვის მაღლობა ბ-ნ თემო ჯოჯუას). ამგვარად, ერთი პირის მიერ სასულიერო და იურიდიული დანიშნულებით შესრულებულ სხვადასხვა წარწერას შორის პალეოგრაფიული განსხვავებები ბუნებრივი მოვლენაა და ამ შემთხვევაში პალეოგრაფიის ვერ გამოვიყენებთ წეროს წარწერაში მოხსენიებული გამრეკელისა და საბუთების ხელის მოწერი გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის ერთი და იმავე პიროვნებად აღსაქმელად.

მე-14 გრაფემები. როგორც ჩანს, წერისასეთი წესიკონკრეტული პიროვნების - XIII ს-ის შუახანებში მოღვაწე მეჭურჭლეთუხუცეს გამრეკელის - სტილი იყო.

სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია წეროსხევის წარწერაში მოხსენიებული გამრეკელის სხვა ზემოჩამოთვლილი კანდიდატურების ავტორგრაფები, სადაც საკუთარ სახელს დაწერდნენ, თუმცა, საეჭვოდ მიმაჩნია, გამრეკელის სამივე კანდიდატურა საკუთარ სახელს იმ თავისებურებით წერდეს (მე-7 გრაფემის გამოტოვებით), როგორითაც ამას მეჭურჭლეთუხუცესი გამრეკელი აკეთებდა.

ამგვარად, საკუთარი სახელის წერისას სამივე შემთხვევაში მსგავსი თავისებურებით შესრულება უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ წეროსხევის ეკლესიის ინტერიერში შესრულებულ წარწერაში მოხსენიებული გამრეკელი არის XIII ს-ში მოღვაწე გამრეკელ თორელი კახას ძე - ახალქალაქის ერისთავი - სამხრეთ საქართველოს დუმანის თავი და მეჭურჭლეთუხუცესი ამავე საუკუნის შუა პერიოდში.

რაც შეეხება უშუალოდ წარწერის თარიღს: როგორც ვხედავთ, გამრეკელი არ იხსენიებს არც მის გვაროვნულ კუთვნილებას და არც თანამდებობას¹⁹. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ წეროს ეკლესიაში მოსახსენიებელი წარწერის შესრულებისას გამრეკელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მინიჭებული მეჭურჭლეთუხუცესის და ერისთავის თანამდებობა. ლოგიკურად წარწერა XIII ს-ის პირველი ნახევრით (გამრეკელის მამის - კახას - გარდაცვალების წლამდე) უნდა დათარიღდეს²⁰.

ბოლოს კი საჭიროდ მივიჩნევ ზოგადად მიმოვიხილო ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ატენის ხეობის პოლიტიკური ისტორია, რათა დადგინდეს, რა სტატუსი ჰქონდა გამრეკელ თორელს წეროს ეკლესიაში სავედრებელი წარწერის შესრულების მომენტში.

ფეოდალური საქართველოს პერიოდში ატენის ხეობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალს წარმოადგენდა. ატენის ხეობა საქართველოს ცენტრალურ რეგიონს სამხრეთ საქართველოსთან აკავშირებდა. ამ ისტორიულ-გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ატენის ხეობას ფეოდალური საქართველოს მთელი პერიოდის განმავლობაში გამორჩეული ადგილი ეჭირა ქვეყნის ისტორიაში. იმავე მიზეზით ატენის ხეობის ფლობა დიდ ძალაუფლებასთან და ქონებასთან ასოცირდებოდა. საუკუნეების განმავლობაში ატენის ხეობამ რამდენიმე ფეოდალური საგვარეულოს მფლობელობა გაიარა. ატენის ხეობას სხვადასხვა დროს ფლობდნენ თვით ბაგრატიონები, ბაღვაშები, კახაბერისძეები, ციციშვილები, ჯავახიშვილები და სხვა ძლიერი ფეოდალური საგვარეულოები.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საისტორიო წერილობითი ძეგლების მიხედვით, პირდაპირი ცნობა, თუ რა სახით იყვნენ წარმოდგენილი თორელები ატენის ხეობაში - სახელოთუხამამულომფლობელობით - არ გვაქვს. გაურკვეველია ასევე ატენის ხეობის პოლიტიკური მდგომარეობა XIII ს-ის I ნახევარშიც, რა პერიოდსაც უნდა ეკუთვნოდეს წეროს მთავარ ეკლესიაში შესრულებული გამრეკელის შესანდობარი წარწერა. საინტერესოა, რომ ატენის შესახებ უფრო მეტი ცნობა გვაქვს ჟამთააღმწერელთან XIII ს-ის II ნახევრის ამბების მოთხრობისას, სადაც შეიძლება გარკვეული მინიშნებები ვნახოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გამოსარკვევად.

ჟამთააღმწერელის საისტორიო თხზულებაში, 1260-იანი წლების ბოლოს აღწერისას, მოთხრობილია, რომ „ყაენმან აბალა მრავალნი ნიჭნი და ძლუენი წარავლინა მეფესა დავითს წინა, და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცნა“ [ყაუხჩიშვილი, 1959: 267].

იგივე მემატინე მოგვითხრობს, რომ 1270-იან წლებში რაჭის ერისთავი კახაბერი განუდგა მეფე დავით ნარინს, რის გამოც მეფემ იგი იმერეთიდან გააძევა. გაძევებული კახაბერი „...იყო ქართლს, და აქუნდა ქუყყანა ატენისა“ [ყაუხჩიშვილი, 1959: 275]. ორგულობის გამო მას არც დემეტრე მეფე და არც ყაენი სწყალობდნენ. მან პატიება სთხოვა მეფეს, რის შედეგადაც მას დაუბრუნეს მამული რაჭაში. გარკვეული პერიოდის შემდეგ, 1280-იან წლებში, კახაბერმა კვლავ მეფის დალატი განიზრახა, თუმცა მისი გეგმა ცნობილი გახდა, კახაბერი დააბრმავეს, მოჰკვეთეს ცალი ხელი და ფეხი, ხოლო მისი ორი შვილი კოსტანტინეპოლში გააძევეს. „ხოლო კახაბერი, მცირე ცხოვრებული, განვიდა და მოკუდა, და მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბალუაშთა კახაბერის-ძეთა, არა დაშთა, და აღიჯოცა ნათესავი მისი და საჭსენებელი მათი“ [ყაუხჩიშვილი, 1959: 275].

როგორც ცნობილია, ბაღვაშთა საგვარეულო კლდეკარის ერისთავობის დროსაც ფლობდა ატენის ხეობას [ბაქრაძე, 1959: 66-77], ამავე დროს, მათი მამულები იყო არგვეთში (ზემო იმერეთი - ქვემო რაჭა). როგორც ჩანს, ატენის ხეობაში უფლებები მათ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში - XIII ს-ის II ნახევარშიც ჰქონდათ. ჟამთააღმწერელი არ აზუსტებს კონ-

¹⁹ როგორც ზემოთაც ვნახეთ, იგი იყო ახალქალაქის, იმავე ჯავახეთის ერისთავი, სამხრეთ საქართველოს, იმავე სამცხე-ჯავახეთის დუმანის თავი და მეჭურჭლეთუხუცესი.

²⁰ მართალია, წეროში გამრეკელმა წარწერა, სავარაუდოდ, მეჭურჭლეთუხუცესობის თანამდებობის მიღებამდე შესრულა, მაინც მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჭურჭლის ერთ-ერთი საცავი სწორედ ატენში იყო [აბულაძე... 2017: 29, 225] და შეუძლებელია გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესს ამ მხრივაც არ ჰქონოდა შეხება ატენის ხეობასთან.

კრეტულად, რა სახის უფლებები ჰქონდათ მათ ატენში, თუმცა პირდაპირ მიუთითებს, რომ კახაბერს „აქენდა ქუეყანა ატენისა“. ამ პერიოდში ერისთავთა „გამთავრების“ პროცესის გამო ჟამთააღმწერელთან ისედაც რთულია ტერმინების გარჩევა. თუმცა ფაქტია, რომ XIII ს-ის 80-იანი წლების ჩათვლით, ანუ ვიდრე ჟამთააღმწერელის მიხედვით არ ამოწყდა კახაბერისძეთა საგვარეულო, ისინი ფლობენ ატენის „ქუეყანას“.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ატენის ხეობა გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესს წეროს ტაძარში წარწერის შესრულებისას, ვერ ექნებოდა სახელო ქვეყნის კონტექსტში. მისი სახელო ქვეყანა იყო ჯავახეთიდა თრიალეთი, რადგან იგი იყო ახალქალაქის ერისთავი, ხოლო მოგვიანებით – სამხრეთ საქართველოს დუმანის თავი. გამრეკელს ატენში, სავარაუდოდ, წეროსხევის სახით უნდა ჰქონოდა სამამულო მიწები, ისევე, როგორც – სხვა თორელებს სამამულო მიწები ატენის მეზობელ – თეძმისა და ძამის – ხეობებში²¹, ასევე ქვემო ქართლში(იხ. ზემოთ). შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ თორელთა ერთ-ერთი განაყოფი საგვარეულო – ჯავახიშვილები, რომლის ფუძემდებელი ჯავახი სწორედაც გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის პირდაპირი შთამომავალი იყო [შოშიაშვილი, 1966: 74], მოგვიანებით სწორედ ატენის ხეობაში მკვიდრდებიან და ატენის მოურაობასაც ვიღებენ მეფისგან [ენუქიძე... 2014: გვ. 174]. როგორც ჩანს, თორელების ეს განაყოფი (ჯავახიშვილები) ატენშიდასამკვიდრებლად სწორედ თავიანთი წინაპრების სამამულო სამფლობელოსი-ყენებენ საფუძვლად.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. წეროსხევი, ღმრთისმშობლის ეკლესიაში, შესრულებულ შესანდობარ წარწერაში მოხსენიებული გამრეკელი თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი იყო.
2. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, წარწერის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ XIII ს-ის მეორე ნახევრიდან XIV ს-ის შუა პერიოდი შეიძლება ჩათვალოს. თუმცა ყველაზე მეტი პარალელი ამ წარწერის გრაფემებს მოეძებნებათ ძირითადად XIII ს-ის წერილობით ძეგლებთან.
3. წეროს წარწერისა და გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის ხელრთვებში სახელო „გამრეკელის“ ტექსტოლოგიური მსგავსებების გამო XII-XIV სს-ში მოღვაწე გამრეკელ თორელებს შორის ყველაზე დიდი ალბათობით წეროს სავედრებელი წარწერის ავტორი უნდა იყოს XIII ს-ში მოღვაწე ახალქალაქის ერისთავი, სამხრეთ-საქართველოს დუმანის თავი და მეჭურჭლეთუხუცესი გამრეკელი, რომელიც წარწერის შესრულების დროს, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ არ ფლობდა ამ თანამდებობებს.
4. თორელთა ფეოდალური სახლისა და მისი მოგვიანო განშტოებების სამამულო მიწათმფლობელობის გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით დიდი ალბათობით XIII ს-ის I ნახევარში მაინც ატენის ხეობაში მდებარე წეროსხევი გამრეკელ თორელის სამამულო სამფლობელო უნდა ყოფილიყო²².

²¹ აღსანიშნავია, რომ თეძმის ხეობაში სოფ. საორბისის (ფიცვის) ტაძარი 1152 წ-ს ავგო გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის დიდმა პაპამ – კახა ერისთავთ-ერისთავმან [ანდლუბაძე, 1990: 110-111]. იმავე ხეობაში რკონის მიდამოების მფლობელი სწორედ გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის ვაჟი კახა თორელი, ახალქალაქის ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესია [ენუქიძე... 1984: 145-160], ხოლო ძამის ციხის პატრონი გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესი შვილიშვილი და კახა მეჭურჭლეთუხუცესის შვილი გამრეკელია [შოშიაშვილი, 1966: გვ. 47]. ამგვარად, თორელთა ამ შტოსთვის გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის წინა და მომდევნო პერიოდში ატენის ხეობის დასავლეთით მოსაზღვრე ძამის ხეობაში და აღმოსავლეთით მოსაზღვრე თეძმის ხეობაში სამამულო მიწათმფლობელობა არ ყოფილა უცხო მოვლენა. აღსანიშნავია, რომ ე. წ. „რკონის დაწერილი“, გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის შვილი — კახა მეჭურჭლეთუხუცესი – ზოგადად აღნიშნავს, რომ მამამისმა მას დიდი მამული დაუტოვა [ენუქიძე... 1984: 146]. ამავე საბუთს ამტკიცებს გრიგოლ სურამელი, რომელიც ქართლის ერისთავი და მეფის მსახურთუხუცესი იყო [ენუქიძე... 1984: 154]. ეს იმითაა მნიშვნელოვანი, რომ რკონი ამ შემთხვევაში იყო მისი საერისთავოს (მისი სახელო ქვეყნის) ტერიტორიაზე არსებული მონასტერი, სადაც გარკვეულ სამამულო უფლებებს ფლობდა ახალქალაქის ერისთავი კახა მეჭურჭლეთუხუცესი, გამრეკელის ძე, რომლის დაწერილ იურიდიულ აქტს ესაჭიროებოდა ადგილობრივი მმართველის დამტკიცება. ეს კარგი მაგალითი და საინტერესო ანალოგია ახალქალაქისა და ქართლის ერისთავებს შორის სამამულო და სამხელო მიწათმფლობელობის გამიჯვნის და ურთიერთმიმართების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, რასაც ადგილი ექნებოდა ასევე წეროს ხევის შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი მართლაც თორელთა სამამულო მფლობელობაში იქნებოდა.

²² როგორც ვნახეთ, გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის ბიძის (?) ლიპარიტ „დევისყურა“ თორელის ვაჟმა – გრიგოლმა – უბრუნველყო ატენის სიონის დასავლეთ კედლის მოხატულობა, რაც ატენში მის დიდ უფლებებზე მეტყველებს. თუმცა უცნობია ეს პატივი, როგორც ატენის ძლიერმა ფეოდალმა, გრიგოლმა მამისგან მიიღო მეკვიდრეობით თუ თვითონ მოიპოვა. იმ შემთხვევაში თუ ეს მეკვიდრეობით მიღებული პოზიცია იყო, გამოდის, ატენის ხეობაში სამამულო (?) მიწათმფლობელობა არა მხოლოდ თორელთა გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის შტოს, არამედ მისი ბიძისა და ბიძაშვილის შტოსაც ჰქონდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე თამარ, აბულაძე ცისანა, ბაინდურაშვილი ხათუნა, კეკელია ვლადიმერ, კლდიაშვილი დარეჯან, სურგულაძე მზია, ცაგარეიშვილი ელენე. 2017. *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში*. თბილისი.
2. აბრამიშვილი გურამ (1969), *ატენის სიონის საეტიტორო წარწერა*. ჟურნალი: „*ძეგლის მეგობარი*“, №19. რედაქტორები: ირაკლი აბაშიძე და სხვები (გვ. 30-37). თბილისი.
3. *ქართული წარწერების კორპუსი* (1989). №III, *ფრესკული წარწერები*, №I, *ატენის სიონი*. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ. რედაქტორი: გურამ აბრამიშვილი. თბილისი.
4. ანდლულაძე ნ., მამაიაშვილი ი., შევიაკოვა ტ. (1990). *საორბისის წმ. გიორგის ეკლესია*. წიგნი: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 5, (გვ. 110-111), რედაქტორები: ვახტანგ დოლიძე და სხვები.
5. ბაგრატიონი ვახუშტი. 1997. *საქართველოს ატლასი (XVIII ს.)*. რედაქტორები: ზურაბ ტატაშიძე და სხვები. თბილისი.
6. ბაქრაძე ანა (1959), *თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო*. ჟურნალი: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ., XX-B, (გვ. 55-78), რედაქტორი: შოთა ხანთაძე, თბილისი.
7. ბერძენიშვილი დევი. 2014. *ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან*. რედაქტორები: დავით მუსხელიშვილი, გიორგი ჭეიშვილი. თბილისი.
8. დოლიძე ისიდორე. 1970. *ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)*, III. რედაქტორი: ისიდორე დოლიძე. თბილისი.
9. *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, I, დმანისის რაიონი, V-XVIII სს.* 2017. ავტორ-შემდგენლები: ალექსანდრე ბოშიშვილი, შოთა მათითაშვილი, ირინა მირიჯანაშვილი, გიორგი ოთხმეზური, ნიკოლოზ ჟღენტი, დიმიტრი ცუცქერიძე, ელზა ხაინდრავა. რედაქტორი: გიორგი ოთხმეზური. თბილისი.
10. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს.* 1984. შეადგინეს: თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. რედაქტორი: მზია სურგულაძე. თბილისი.
11. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. II. ქართული ისტორიული საბუთები, XIV-XV სს.* 2013. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინა ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ. რედაქტორი: მზია სურგულაძე. თბილისი.
12. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, ქართული ისტორიული საბუთები, XV ს-ის მეორე ნახევარი*, 2014. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინა ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ. რედაქტორი: მზია სურგულაძე. თბილისი.
13. კაკაბაძე სარგის (1925), *არსენი ჭყონდიდელის ახლად მოპოებული სიგელი 1210 წლ. ახლო დროის*. ჟურნალი: *საისტორიო მოამბე*. წ., II, რედაქტორი: სარგის კაკაბაძე, (გვ. 123-135), ტფილისი.
14. კლდიაშვილი დარეჯან, სხირტლაძე ზაზა. 1999. *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, ნაკვეთი პირველი, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.)*. რედაქტორი: ზაზა ალექსიძე. თბილისი.
15. მაკალათია სერგი. 1957. *ატენის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი*, თბილისი.
16. მესხი თამარ. 2010. *ბერძნული ელემენტი ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი*, თბილისი.
17. მუსხელიშვილი ლევან (1940), *თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით*. ჟურნალი: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. X-B, რედაქტორი: ლ. ჭანტურია (გვ. 23-47), თბილისი.
18. ჟღენტი ნიკოლოზ (2018), *წეროს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები (პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)*, ახალგაზრდა მეცნიერთა II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (თეზისები), (გვ. 28), თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. სილოგავა ვალერი. 1988. *სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები*. რედაქტორები: გ. ჯიბლაძე და სხვები. თბილისი.
20. სილოგავა ვალერი. 2004. *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*. თბილისი. სილოგავა ვალერი, ახალაძე ლია, ბერიძე მერაბ, სულავა ნესტან, ყავრელიშვილი როინ. 2012. *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები*. რედაქტორი: ზაზა ალექსიძე. თბილისი.
21. ფრუიძე ლევან, ფურცვანიძე თ. (1989), *ატენის ხეობის პრობლემები*. ჟურნალი: „*საბჭოთა ხელოვნება*“, №4. რედაქტორი: ნოდარ გურაბანიძე (გვ. 2-17), თბილისი.

22. ქარუმიძე თ. (1990), *წეროს ეკლესიის კომპლექსი*. წიგნი: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, № 5. რედაქტორები: ვახტანგ დოლიძე და სხვები (გვ. 46-47), თბილისი.
23. ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატეანე*. წიგნი: ქართლის ცხოვრება, ტ., II, 1959. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
24. შავიშვილი მაია (1997-1998), *წეროსხევის ღვთისმშობლის ეკლესია*. კრებული: *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, სამეცნიერო შრომების წელიწადუფი, №3*, (გვ. 11-17), რედაქტორი: მერაბ ბოჭორძე. თბილისი.
25. შოშიაშვილი ნოდარ (1954), *XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (XIII ს-ის 40-იანი წლების კათალიკოსთა რიგი)*. კრებული: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XVIII-Б., (გვ. 113-129), რედაქტორი: ალექსანდრე ჯავახიშვილი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
26. შოშიაშვილი ნოდარ (1966), *თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი*. კრებული: „*შოთა რუსთაველი*“, *ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი* (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). (გვ. 7-77), თბილისი, გამომცემლობა: მეცნიერება.
27. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული ხელნაწერი დოკუმენტების Hd კოლექცია, საბუთი №2997.
28. ცხორებად და წამებად წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისად, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ, 2008. წიგნი: *ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები*, ტ. III. რედაქტორი: ლევან აბაშიძე. თბილისი.
29. **Какабадзе Саргис. (1928). Грамота Арсения Чкондидского архиепископа ок. 1240 г.** (გვ. 71-80). წიგნი: *საისტორიო კრებული*, II. რედაქტორი: სარგის კაკაბაძე, ტფილისი, პილიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.

NIKOLAZ ZHENTI

Korneli Kekelidze Georgian
National Centre of Manuscripts

FOR IDENTIFICATION OF GAMREKELI, MENTIONED IN THE FRESCO INSCRIPTION OF TSERO CHURCH OF ST. VIRGIN

Tsero Monastery is located in the river Tana valley, in the place called Tseros Khevi (Crane's ravine).

The monument is dated with the 2nd half of 10th c. – 11th c.

About 20 medieval lapidar inscriptions have been revealed on the plaster of the interior walls since 2010.

This article is dedicated to one of them – the commemorative inscription of Gamrekeli. This one line inscription is written in Mkhedruli script and contains three words – God forgive Gamrekeli.

After analyzing the paleographic and textologic issues, also the historic sources and scientific literature, I came to the conclusion. that:

Gamrekeli – the author of this commemorative inscription – belonged to a famous aristocratic ancestral of medieval Georgia – Toreli feudal house.

According to the inscription's paleographic signs, it is similar with the samples of Mkhedruli script of 2nd half of 12th c. – middle part of 14th c., and especially with many samples of 13th c.

According to the textological similarities between this inscription of Tsero church and two survived signatures of historic person of 13th c. Gamrekeli Toreli (the minister of finances, the duke of the dukes of Akhalkalaki (Javakheti region) and the head of South Georgia region “Dumani” during the Mongolian period), this person should be also considered as the author of the commemorative inscription of Tsero, made in the 1st half of 13th c. (before he got his titles).

The Tsero Monastery, as the ravine itself, should be considered as the part of the Toreli family landownership in Tana valley.

ნიმუ კობაკი

კორნელი კეკელიძის სახელობის

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ბაკრატიონთა ჩვიდმეტიანი ქუთაისში

ბაკრატიონთა დინასტია საქართველოს რვა საუკუნე განაგებდა. ასწლეულების განმავლობაში მათ მიერ მრავალი სასახლე იქნა აგებული, თუმცა ამ ფაქტების ამსახველი ცნობები წერილობით წყაროებში მცირეა, დღემდე შემორჩენილ სასახლეთა თუ ნასასახლევათა კვალიც მწირია, კველვები - არქეოლოგიური და სამეცნიერო გვხვდება მხოლოდ რამდენიმე სასახლის შესახებ. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მეფეთა სასახლეებისა და მათ გარშემო განვითარებული ფაქტების გამოვლენა, ფიზიკურად არსებობის დადასტურება, რაც ასევე მრავალმხრივ კვლევას მოითხოვს, არამედ მათი არსებობისა და ისტორიული ფაქტების ფონზე სასახლეთა განლაგების ტენდენციების, სტრატეგიისა და ფუნქციური მნიშვნელობის განსაზღვრა.

დასავლეთ საქართველოში საქართველოს ერთიანი სამეფოსა და შემდგომში იმერეთის მეფეთა რეზიდენციები ფუნქციონირებდა - ქუთაისი თავისი ორი სამეფო უბნით, სადაც ფიზიკურად არსებული სასახლეების გარდა სამეფო კარებიც იშლებოდა, გეგუთი, სკანდა, ვარციხე, კახნიაური, შაორი, ამბროლაური, აბჟაყუა, ცხუმი.

საქართველოს ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბებისას დედაქალაქი იყო ქუთაისი, შესაბამისად, მეფის - ბაგრატ III - ის მთავარი სასახლე ქუთაისში უნდა ყოფილიყო, თუმცა წერილობით წყაროებში ქუთაისში ბაგრატ III - ის ყოფნის ფაქტი ფიქსირდება მხოლოდ ბაგრატის ტაძრის კურთხევის შესახებ თხრობისას, მაგრამ, ამავე წყაროში, „მატიანე ქართლისაჲ“-ში ბაგრატ III -ის მემკვიდრეების გიორგი I-ის და ბაგრატ IV-ის ქუთაისში სასახლეში ყოფნა აშკარაა - უფლისწული ბაგრატის ბიზანტიიდან დაბრუნებისას მემატიაზე წერს: „მოიწია წინაშე მამისა თვისისა, გიორგი მეფისა, სახლად მათდა ქუთათისს“. (მატიანე ქართლისაჲ, 2008: 278) შეგვიძლია ვთქვათ, რომ წყაროებში ქუთაისის სასახლის ხსენების ეს პირველი შემთხვევაა. ანუ გიორგი I - ის დროს სასახლე ნამდვილად ფუნქციონირებს. ბაგრატ IV-ის დროსაც ფუნქციურია სასახლე, ამის შესახებ წყაროში არაერთი მინიშნება გვხვდება, თუმცა გიორგი II-ის მეფობის მეორე წელსვე, „მატიანე ქართლისაჲ“ ცნობით, ამბობებულმა დიდებულმა ნიანია ქუაბლიანისძემ: „წარულო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა“, (მატიანე ქართლისაჲ, 2008: 297), ხოლო დავითის ისტორიკოსის ცნობით დიდი თურქობის დროს ქუთაისი გადაწვეს თურქმანებმა. წყაროებში ქუთაისში გვხვდება დავით აღმაშენებელიც, ხოლო მომდევნო მეფეები რუსუდანამდე ქუთაისში აღარ მოიხსენიებიან, თუმცა ვახუშტი ბატონშვილის ცნობით, გიორგი რუსი, აჯანყების დროს, მისმა მომხრეებმა ქუთაისში დასვეს, ეს მოვლენა თამარის თანამედროვე ისტორიკოსის ისტორიანი და აზმანის ავტორს გეგუთში აქვს აღწერილი, ხოლო ბასილი ებოსმოძღვარი ადგილს საერთოდ არ უთითებს, რა წყაროს ეყრდნობოდა გვიანდელი ავტორი ვახუშტი უცნობია.

ქუთაისში კონკრეტულად სად მდებარეობდა მეფეთა პალატები? ამ კითხვამაც არც ერთი წერილობითი წყარო არ საუბრობს. მინიშნება სასახლის ფუნქციონირების შესახებ მხოლოდ XVII საუკუნის რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იველიევის აღწერაში გვხვდება.

რა ინფორმაცია გვაქვს არქეოლოგიური კუთხით? XX საუკუნის II ნახევარში ქუთაისში არქეოლოგიური გათხრებისას სასახლეთა ისტორიისათვის საინტერესო მასალა გამოვლინდა. მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე,

კლდოვან ბორცვზე აღმართულ ქალაქის ციტადელში აღმოჩნდა სასახლე, რომელიც თარიღდება IV საუკუნით, VIII-X საუკუნეებით თარიღდება კიდევ ერთი, ეგრეთ წოდებული, აგურის სასახლე, რომელსაც X საუკუნეში საძირკვლამდე ანგრევდნ და მის ადგილზე ახალ ქვითკირის სასახლეს აშენებენ, რომელიც XIII საუკუნეში განუახლებიათ და გაუდიდებიათ, მას XVI საუკუნემდე მრავალჯერ განუცდია გადაკეთება, იმერეთის მეფეები ამ ადგილზე ახალ ციტადელს აშენებენ და სასახლის კედლებს სამეურნეო დანიშნულებისაგან იყენებენ, XVII საუკუნეში ამ ადგილზე სრულიად ახალი დარბაზები შენდება. [ლორთქიფანიძე... 1990: 45-53], [კრებული: ქუთაისი უძველესი დროიდან XIII ს-მდე, 1994: 132-144]

შევეცდებით არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ცნობები შევაჯეროთ პოლიტიკურ ისტორიასთან და აღვადგინოთ სურათი, საიდანაც სასახლის ფაქტობრივი, ფუნქციური და სტერტეგიული არსებობა და დანიშნულება გამოიკვეთება.

არქეოლოგიურად გამოვლენილი VIII-X სს. აგურის სასახლე, აფხაზეთის სამეფოს მეფეთა კუთვნილება უნდა ყოფილიყო, X საუკუნეში აგებული ქვითკირის სასახლის მშენებლობა კი ბაგრატ III - ის სახელს უნდა დაუკავშიროთ. დიდი და ახალი ქართული სახელმწიფოს - გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III არ მკვიდრდება მის სამეფოში გაერთიანებული აფხაზეთის სამეფოს მეფეების რეზიდენციაში, ის მას საძირკვლამდე ანგრევს და აშენებს ახალ სამეფო რეზიდენციას, ამავდროულად შენდება ბაგრატის ტაძარი, ამ გრძლიობული მშენებლობებით ხაზი ესმება ახლადშექმნილი სამეფოს ძალასა და მნიშვნელობას. ერთიანი სამეფოს დედაქალაქში მთავარი რელიგიური და ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა მყარ და ანგრიშგასაწევ სამეფო სტატუსს უსვამს ხაზს.

არქეოლოგიური მონაცემებით სასახლის შემდგომი განახლება XIII საუკუნეში მომხდარა. ამ საუკუნის რომელი მეფის სახელს შეიძლება დაუკავშიროთ ეს მოვლენა? როგორც ვნახეთ, წერილობით წყაროთა მონაცემებით სასახლეში ბაგრატ III - დან დავით აღმაშენებლის ჩათვლით ყველა მეფე მკვიდრობს. გიორგი II-ის დროს სასახლის ნგრევა ჩანს არ მომხდარა, თუმცა, რომ არ დაზიანებულიყო შეუძლებელია, მისი განახლება მოხდებოდა დავით აღმაშენებლის მეფობისას. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა და იქ, ჩვენი მოსაზრებით რეზიდენციის მშენებლობაც დაიწყო, ქუთაისში სამეფოს მთავარი რეზიდენციის საჭიროება აღარ იყო, თუმცა ეს მხოლოდ დავითის მეფობის ბოლო წლებიდან, მის დროს ქვეყანაში მიმდინარე განახლებისა და აღშენების პროცესში ცხადია ქუთაისის ციხე და სასახლე ვერ იქნებოდა დაზიანებული, წყაროებში ცნობები არ გვაქვს, თუმცა მას შემდგომი მეფეებიც იყენებდნ და მცირედიტაც ანახლებდნ სხვგვარად შეუძლებელია რუსუდანს იქ საცხოვრებელი გარემო დახვედროდა. მონღოლების შემოსევის დროს, რუსუდანი თბილისს ტოვებს, გადადის ქუთაისში, ამ დროს თბილისის სასახლე იწვეება, ამის შემდეგ რუსუდანის ძირითადი სამყოფელი ქუთაისია. რუსუდანის შემდგომ - ორმეფობის პერიოდში, დასავლეთ საქართველოში მეფედ გვევლინება დავით ნარინი და ცხადია მისი სამეფოს მთავარი რეზიდენცია ქუთაისია, ჟამთააღმწერლის მიხედვით აბაღა ყანის ბრძანებით დავით ნარინზე მოხდა თავდასხმა: „გარდავლეს მთა ლიხისა და ზედა დაესხნეს ქუთათისს აბანოსა შინა მყოფსა მეფესა“ [ჟამთააღმწერელი, 1959: 269]. მეფის აბანო ცხადია რეზიდენციაში ან მის სიახლოვეს იქნებოდა. დავითი მტერს დაუსხლტა, სამაგიეროდ ქალაქი მოაოხრეს: „ხოლო თათართა მოაოჳრეს ეკლესიანი, და მრავალი სული ქრისტიანე მოიკლა | და ტყუე იქმნა“ [ჟამთააღმწერელი, 1959: 269]. მართალია წყაროში სასახლის შესახებ არ გვაქვს ცნობა, თუმცა შეუძლებელია ამ ვითარებაში ის არ დაზიანებულიყო. ზემოთმოყვანილი ფაქტი XIII საუკუნის 70-იან წლებით თარიღდება, შემდგომი თითქმის 20 წლის მანძილზე დავით ნარინი კვლავ მეფეა, ამიტომ თუკი სასახლე დაზიანდა შეუძლებელია არ განახლებულიყო მის მიერვე, ანუ XIII საუკუნეში არქეოლოგიურად გამოვლენილი განახლებული სასახლე დავით ნარინის სახელს შეიძლება დაუკავშიროთ. გიორგი ბრწყინვალის დროიდან XV საუკუნემდე საქართველო კვლავ ერთიანი სამეფოა და მეფეთა მთავარ რეზიდენციას დედაქალაქის, თბილისის სასახლე წარმოადგენს, თუმცა ამ პერიოდში კვლავ ფუნქციურია ქუთაისში სასახლე.

როგორც არქეოლოგიური მასალა მოწმობს XVI საუკუნემდე სამეფო სასახლეს ემჩნევა მრავალი გადაკეთების კვალი, ხოლო XVII საუკუნეში ამ ადგილზე ახალი დარბაზები შენდება. რა ინფორმაცია გვაქვს ამ პერიოდის წერილობითი წყაროების მიხედვით? პირველი წერილობითი ცნობა რიონის მარჯვენა ნაპირის სასახლის შესახებ მხოლოდ XVII საუკუნის რუსი ელჩების ა. ივლიევისა და ნ. ტოლოჩანოვის ჩანაწერებში გვხვდება. აღნიშნულ წყაროში ამ ტერიტორიაზე აღწერილია ციხე-გალავანი, ზარბაზნები, „ ქვის პალატები “ , რომლებიც

მოხატული იყო, პალატებში მოიხსენიებენ მეფის სალაროს, ხაზინას, ბელელს. გვხვდება ასეთი ფაქტიც: „ გვიან სალამოს, მეფე ალექსანდრე, სადაც ცხოვრობდა, იმ სასახლიდან გადავიდა, ქვემო ქუთაისიდან, რიონს გაღმა დიდ ქუთაისში“ [ტოლოჩანოვი, 1970:134]. ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სასახლეს ამ დროს თავდაცვითი და სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა, სადაც ბუნებრივია მეფეთა საცხოვრებელიც იყო, რადგან გვიან სალამოს რიონის მარცხენა ნაპირის სასახლიდან ალექსანდრე III გადავიდა იქ სადაც ოდიდგანვე სასახლე ფუნქციონირებდა და შესაბამისად იგულისხმება, რომ იმ ხანადაც ფუნქციური იყო. ანუ ამ პერიოდში ქალაქში ორი რეზიდენცია თანაარსებობს. XVII საუკუნის რომელ მეფეს შეიძებოდა აეგო ამ ადგილას არქეოლოგიურად გამოვლენილი დარბაზები? ამავე ელჩების ცნობებში რიონის მარცხენა ნაპირას არსებული სასახლის ერთ-ერთი დარბაზის მაშენებლად გიორგი III – ა [ტოლოჩანოვი, 1970:109], ხოლო ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერის მიხედვით იქ ალექსანდრე III- საც აუშენებია ქვის ახალი პალატი [დ. მეღვინეთუხუცესი, №15]. 1669 წლიდან ქუთაისის ციხეებს ოსმალური ჯარები იკავებენ თითქმის ასი წლის მანძილზე, და შესაბამისად იმერეთის მომდევნო მეფეები იქ სასახლეს ვერ ააგებდნენ, არქეოლოგიურად გამოვლენილი ახალი დარბაზების მაშენებლად XVII საუკუნეში გიორგი III ან ალექსანდრე III შეიძლება მოვიაზროთ.

1770 წელს სოლომონ I-მა ქუთაისის ციხე გადააწვევინა, რადგან იქ თურქული ჯარების ხელახალი გამაგრების საშიშროება აეცილებინა. არქეოლოგიურ ფენებშიც ჩანს გადაწვის კვალი. მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე სასახლე აღარ აღდგენილა. XVIII საუკუნეში, ეს მიდამოები, როდესაც გიულდენშტედტმა მოინახულა, აღნიშნა, რომ იქ ჯერ კიდევ იყო მეფის რეზიდენციის ნანგრევები [რეინეგსი, 2009: 126].

სამეფო უბანი ქუთაისში მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის გარდა, მარცხენა ნაპირზეც იყო. ეს მიდამოები არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის. წერილობითი წყაროები კი მოლოდ XV საუკუნიდან მოგვითითებენ ამ ადგილას სასახლეთა არსებობის შესახებ. პირველი ცნობა ეკუთვნის კონტარინს 1473 წელს ის ამბობს, რომ სასახლე არის საქართველოს მეფის ბაგრატის: ”მცირე გორაზე არის ციხე სულ ქვითკირისა შიგ ციხეში ეკლესია არის, როგორც ეტყობა ძლიერ ძველი. გავიარეთ ხიდი, რომელიც დაგებული იყო საკმაოდ დიდ მდინარეზე და მივედით პატარა მინდორზე, აქ დგას სასახლე, საქართველოს მეფის ბაგრატის, რომელსაც ეკუთვნის ეს ციხე ქალაქი“ [იტალიელი მოგზაურები, 1894:51]. ამ დროს საქართველო უკვე დაყოფილია სამეფო-სამთავროებად, ბაგრატ II (IV) იმერეთის პირველი მეფეა 1466 წლიდან. იყო თუ არა ეს დრო (ბაგრატ II (IV))1466-1473 წწ. საკმარისი იმისთვის, რომ უკვე დედაქალაქის ანუ ძირითადი სასახლის რეზიდენციისთვის ადგილი შეეცვლილიყო? აქვე ყურადსაღებია ერთი გარემოება, წყარო სასახლეს ასახელებს მდინარის გადაღმა პატარა მინდორზე. მოგვიანო პერიოდის წყაროებში მეფის სასახლის ახლო-მახლო მიდამოები სრულად ათვისებულია და არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასახლე მინდორზეა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქალაქში სამეფო სასახლის არსებობა განაპირობებდა გარშემო დასახლების წარმოშობას, XVII საუკუნეში კი იქ ნამდვილად ჩანს დასახლება და არა მინდორი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ XV საუკუნეში სასახლე ნამდვილად ახალი დამკვიდრებულია, თუმცა ამ არგუმენტით არ მტკიცდება. XV საუკუნის კიდევ ერთი იტალიელი მოგზაური ჯოსაფატ ბარბარო აღწერს: „ ქუთაისი, მეფე ბაგრატის ციხე-სიმაგრე, რომელსაც აქვს ქალაქი ერთ პატარა ბორცვზე, მის წინ მიედინება მდინარე, რომელსაც ქვია ფასო, ახლა ფაზისად წოდებული, რომელიც მიედინება საკმაოდ დიდი ხიდის ქვეშ“ [XV საუკუნის იტალიელი მოგზაურები, 1981: 62]. აღნიშნული ცნობაც ადასტურებს, რომ ქალაქი ჯერ კიდევ მარჯვენა სანაპიროზეა, თუმცა რიონზე დიდი ხიდი მიუთითებს იმასაც, რომ მარცხენა სანაპიროც უკვე კავშირშია ქალაქთან. სამწუხაროდ XVI საუკუნის არც ერთი წყარო არ გვაქვს, რომელიც ქუთაისის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიდეს ქალაქის გაშენების დინამიკისათვის რომ მიგვედევნებინა თვალი.

მეფის რეზიდენციის გადანაცვლება ციხის ტერიტორიიდან მდინარის პირას გაშლილ სივრცეში ან სტრატეგიულ ნაბიჯს უნდა ნიშნავდეს, ან ამ პროცესს ქვეყნის სტაბილური პოლიტიკური გარემო და მშვიდობა უნდა უწყობდეს ხელს, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ფაქტის შესახებ არანაირი ცნობა არ გვაქვს რთულია გავიზიაროთ რომელიმე მოსაზრების უპირატესობა. საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება სასახლის დედაციხიდან გაშლილ სივრცეში, მდინარის პირას გადატანა და ქალაქის მამულების გაზრდა, შესაძლებელია გიორგი ბრწყინვალის დროს მომხდარიყო, მაშინ როდესაც დავით ნარინის მემკვიდრეები დაიმორჩილა და აღადგინა ქვეყნის ერთიანობა, ამით ხაზი გაესმებოდა ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცესა და ძალაუფლებას.

შარდენი ქუთაისის რიონის მარცხენა ნაპირზე იხსენიებს სასახლეს და ამბობს: „ აქ ახლა მხოლოდ ორასი სახლია ბატონების სახლები და მეფის სასახლე, არც სიმაგრეები აქვს და არც კედლები“ [შარდენი, 1935:19],

თუმცა ქართული წყაროების ცნობით ლევან II დადიანის თავდასხმებისაგან შეწუხებულმა ალექსანდრე III –მ (1639-1660 წწ.) ქუთაისს გალაგანი შემოავლო [ბერი ეგნატაშვილი, 1959: 428]. რუსი ელჩების აღწერით (1650-1652 წწ.) ქუთაისში ორი ციხე გალაგანია: „ქუთაისის დიდი ციხე-გალაგანის გარშემო წრე ვერსტ-ნახევარი იქნება, დიდი ციხე-გალაგანის და თვით ციხე-სასახლის გარშემო მდ. რიონის ზემო ნაწილთან თხრილია გაკეთებული ქვემოთ მომავალი ქუთაისის ქვემო ციხემდე“ [რუსი და უცხოელი ავტორები, 1971: 15] ციხე გალაგანი სხვა წყაროებში და ქუთაისის XVIII-XIX სს. გეგმასა და რუკაზეც ფიქსირდება [Rt IV №1].

უნიკალურ ცნობებს გვაწვდის ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, რომელიც 1651 წლით თარიღდება. ის მოგვითხრობს ლევან II დადიანის ბრძოლებზე ალექსანდრე III -ის წინააღმდეგ: „ ჯებირებს გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველთაგან ნაშენები...სასახლეს ზარბაზნები ვერ მივუტანეთ, მისათანი ალაგი არ ჰქონდა, ჩამოვედით დაბლა რიონის პირს დავსდევით, სასახლის ქვის სახლებს დავუწუეთ სროლა და ცემა და დავამტკრიეთ ის ახალი ქვის პალატი, თვით ალექსანდრე მეფისაგან აშენებული“ [დ. მეღვინეთუხუცესი, №15]. წარწერის საერთო შინაარსის მიხედვით ლევან დადიანი გამარჯვებულია და სასახლეც დანგრეული, თუმცა არქანჯელო ლამბერტი, რომელიც თითქმის იმავე პერიოდში იმყოფებოდა ქუთაისში საპირისპიროს გადმოგვცემს, აღნიშნავს, რომ დადიანმა ქუთაისის ციხეს ბევრი ყუმბარა ესროლა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. [ლამბერტი, 1991:98-99]. დონ ჯუბეპე ჯუდიჩე მილანელი გადმოგვცემს, რომ სასახლე დადიანმა ნაწილობრივ დააზიანა და ალექსანდრემ აღადგინა.წარწერაში საინტერესოა სხვა დეტალებიც. სასახლის სიახლოვეს მოხსენიებულია რიონი და სოფლის ტაძრი [ჯუდიჩე მილანელი, 1964: 78-79], ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა არა დედაციხეზე არსებულ სასახლის მიდამოებში, არამედ მდინარის მარცხენა ნაპირის სასახლესთან, სოფლის ტაძარი სასახლის სიახლოვეს კასტელთანაც ფიქსირდება, თუმცა ხატის წარწერაზე დაყრდნობით შ. მესხია სასახლის ლოკალიზებას დედაციხეზე ახდენს და ასკვნის, რომ მეფის საჯდომი XVII ს-ის შუა წლებში რიონის მარჯვენა ნაპირზეა და არა მარცხენაზე, როგორც ეს XVIII საუკუნის 30-40 იანი წლების მასალებიდან ირკვევაო [მესხია, 1986: 358]. ხატის წარწერაში საინტერესოა, ის დეტალი, რომ სასახლე ძველთაგან ნაშენებად მოიხსენიება, თუმცა რამდენად ძველი არ ჩანს, ასევე საინტერესოა სასახლის რამდენიმე დარბაზის ხსენება, რადგან ეს მიუთითებს მშენებლობის სხვადასხვა ეტაპებზე დ მშენებელ რამდენიმე მეფეზე.

მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე არსებული სამეფო სასახლეთა კომპლექსი, წყაროთა ცნობების შეჯერების საფუძველზე ასე გამოიყურება — მცირე სახლი ის რიონზე იყო გადამდგარი, შენობა ორსართულიანი იყო. რუსი ელჩების მიხედვით ის გიორგი III - ის აშენებული იყო. დიდი სახლი — აგრეთვე ორსართულიანი იყო, ზურგით გალაგანის სამხრეთ კედელს ებჯინებოდა. სასადილო პალატი იყო ერთსართულიანი, მდინარის ნაპირს გასწვრივ ღია პავილიონი. დარბაზები ქვის გალაგნით იყო შემოზღუდული. მას ერთი ალაყაფის კარები ჰქონდა აღმოსავლეთით ორი მაღალი კოშკი იყო აღმართული, რომლებშიც მცირე ყალიბიანი ზარბაზნები იდგა სასახლის კომპლექსში შედიოდა წმ. გიორგის სახელობის კარის ეკლესია და სამრეკლო. დღეს ამ კომპლექსიდან შემორჩენილია სასადილო პალატი ე. წ. ოქროს ჩარდახი. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში ფუნქციონირებდნენ იყო, წყაროებში გვხვდება ცნობები, როდესაც ალექსანდრე III რიონის მარცხენა ნაპირის ქალაქში, სასახლესთან ახლოს გაშლილ კარვებში ცხოვრობს.

XVIII საუკუნეში სოლომონ I ის დროს სასახლე იმდენად დაზიანებულია, რომ გიულდენშტედტი ამბობს: „ მგონია ეს უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ბანაკი (სადგომი)“ -ო [გიულდენშტედტი, 1962:23], ხოლო რეინეგსი აღნიშნავს, რომ „მეფე ცხოვრობს ქვის ნახევრადდანგრეულ ქოხში“ [რეინეგსი, 2002:130]. სასახლის ასეთი მდგომარეობა იმ დროისთვის ბუნებრივია, რადგან XVI საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან თითქმის ერთი საუკუნე ოსმალური გარნიზონი იდგა ქუთაისში. გლინესაროვი ქუთაისის აღწერისას ოქროს ჩარდახზე აღნიშნავს: „არაფერ ღირშესანიშნავს არ წარმოადგენს, მაგრამ მნიშვნელოვანია იმით, რომ უკანასკნელი მეფის სოლომონის სასახლე იყო“, აღნიშნავს, რომ მეფეს ჰქონდა ორი სასახლე. ოქროს ჩარდახი არ იყო საცხოვრებელი დარბაზი, მეფე იქ „ მიდიოდა ნასადილევს დასასვენებლად, შემდეგ გალერეაში სვამდა საჯავახოს ცივ ღვინოს და საუბრობდა დაახლოებულ პირებთან, ის სასახლე კი, რომელშიც მეფე ცხოვრობდა ახლა მთლიანად დანგრეულია“ [რუსი და უცხოელი ავტორები, 1971:38].

სად სახლობდნენ იმერეთის მეფეები, მაშინ როდესაც ქუთაისს მტერი უტევდა და სამეფოს მთავარი სასახლე ზიანდებოდა? იმერეთის მეფეებს დედაქალაქის რეზიდენციის გარდა ჰქონდათ სემონური და თავდაცვითი დანიშნულების სასახლეები. სასახლეები გვხვდება რაჭაში - ამბროლაურსა და შაორში, ასევე იმერეთში გეგუ-

თი, სკანდა და ვარციხე, კახნიაური. როგორც აღვნიშნეთ რაინეგსი აღწერს, რომ მეფე სოლომონ I ქუთაისის ნახევრადდანგრეულ სასახლეში ცხოვრობს, მისივე აღწერაში გვხვდება ცნობა სოლომონ I-ის მიერ აშენებული ვარციხის „გასართობი“ სასახლის შესახებ, რომლის მიდამოებში მეფეთა სანადირო და სათევზაო ადგილები იყო. ანუ დედაქალაქის სასახლე დანგრეულია, მეფეს კი სეზონური სასახლის აშენებაზე უზრუნია. თუმცა სკანდა, სადაც მეფეები, წყაროთა ცნობების მიხედვით, დასასვენებლად და ქუთაისში ძლიერი სიციხეების გამო მიდიოდნენ, მრავალჯერ ჩანს, როგორც მეფეთა თავშესაფარი. საქართველოს გეოგრაფიული გარემო იძლეოდა იმის ფუფუნებას, რომ მეფეებს აშენებინათ სასახლეები სეზონურ და თავდაცვითი ადგილების შერჩევით, ისე რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი სტრატეგიული მნიშვნელობით სხვადასხვა საჭირებისამებრ გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთელავა. ილია. 1990. *ლევან II დადიანი*. რედ. რუსუდან ლოლაძე. თბილისი. მერანი.
2. ახვლედიანი ნ. 1971. *რუსი და უცხოელი ავტორები ქუთაისის შესახებ*. ქუთაისი.
3. ბასილი ეზოსმოდლუარი. ცხორებაი მეფეთ-მეფისა თამარისი. 1955. ტ. 1. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. - თბილისი. სახელგამი
4. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, *ქართლის ცხოვრება*. 1959. ტ. 2. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი
5. ბერიძე ვახტანგ. 1983. *XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება*. ტ. 1 თბილისი.
6. ბოცვაძე, ს. ნიკოლეიშვილი, მ. ვაჭრიძე, პ. 1960. *ქუთაისი: გზამკვლევი / საქ. სსრ კულტ. სამინისტროს კულტ. საგან. დაწესებ. საქმეთა სამმართველო, ქუთაისის სახელმწიფო ისტ. ეთნ. მუზეუმი*. ქუთაისი.
7. ბოჭორიძე ვიორგი. 1995. *იმერეთის ისტორიული ძეგლები*. თბილისი. მეცნიერება.
8. ბოჭორიძე, ვიორგი. 1994. *რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*. თბილისი. მეცნიერება.
9. გაბუნია გურამ. 1996. *ქუთაისი და „ქუთათისის ქვეყანა“ („შიდა ეგრისი“)*. ქუთაისი. ს/ს „სტამბის“ საგამომც. ცენტრი, („სტამბა“).
10. გამბა ჟაკ ფრანსუა. 1987. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში*. თბილისი. განათლება.
11. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. 1962. ტ. 1. გერმ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა.
12. გონიკიშვილი მიხეილ. 1979. *იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე*. თბილისი. მეცნიერება.
13. დიმიტრი მეღვინეთუხუცესის ფონდი № 15. ხეც.
14. ვახუშტი ბატონიშვილი. 1973. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*, IV ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
15. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. 1955. ტ. 1. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. - თბილისი. სახელგამი
16. იტალიელი მოგზაურები საქართველოში. მოამბე. (1894). № 11. რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია. გვ. 51-53. თბილისი.
17. ლამბერტი არქანჯელო. 1991. *სამეგრელოს აღწერა*. [იტალ. თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ; რედ.: ნუგზარ ანთელავა]. - თბილისი.
18. ლორთქიფანიშვილი ოთარ, ლენჩავა ომარ. (1990.) *ქუთაისის ისტორიის პრობლემები ახალი არეოლოგიური აღმოჩენების შუქზე*. დავით აღმაშენებელი: სტატიების კრებული. რედ.: როინ მეტრეველი. გვ. 45-53. თბილისი. მეცნიერება.

19. მათიანე ქართლისაჲ. 1955. ტ. 1. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. - თბილისი. სახელგამი
20. მესხია შოთა. 1986. *საისტორიო ძიებანი*. ტ. 3. საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი. თბილისი.
21. ნიკოლეიშვილი მიხეილ. (1970). *ოქროს ჩარდახი. ძეგლის მეგობარი* №22. რედ.: ანდრია აფაქიძე და სხვები. გვ. 49-51. თბილისი. (საქ. თეატრალ. საზ-ბის სტ.).
22. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მათიანე. *ქართლის ცხოვრება*. 1959. ტ. 2. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. - თბილისი
23. რაინდგისი იაკობ. 2002. *მოგზაურობა საქართველოში*. გერმ. თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი. არტანუჯი.
24. რაინდგისი იაკობ. 2002. *მოგზაურობა საქართველოში*. თბილისი
25. რუსი და უცხოელი ავტორები ქუთაისის შესახებ. 1971. ქუთაისი
26. *საისტორიო მასალა. მწყემსი*. (1889). №10 რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. ღამბაშიძე. გვ. 10-13. ყვირილა.
27. *საისტორიო მასალა. მწყემსი*. (1889). №12 რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. ღამბაშიძე. გვ. 9-12. ყვირილა.
28. *საისტორიო მასალა. მწყემსი*. (1889). №19 რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. ღამბაშიძე. გვ. 8-10. ყვირილა.
29. *ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა*. 1650-1652 წ. წ. 1970. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბილისი. მეცნიერება.
30. უორდრობი ოლივერ. 2001. *საქართველოს სამეფო*. ინგლ. თარგმნა მერაბ ურუშაძემ. თბილისი.
31. ურუშაძე აკაკი. 1993. *ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში*. თბილისი. უნ-ტის გამ-ბა.
32. *ქართლის ცხოვრება*. 2008 საქ. მეცნ. ეროვნ. აკად., საქ. ისტორ. წყაროების კომისია, საქ. ისტორიკოსთა ეროვნ. კომ-ტი ; მთ. რედ. როინ მეტრეველი. . თბილისი : მერიდიანი : არტანუჯი.
33. *ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე*. 1994. ქუთაისი : ქუთათისი.
34. *ქუთაისის სემინარია და ქუთაისის ციხის ნანგრევები*. 1894. კვალი № 39. რედაქტორ-გამომცემლები ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. გვ. 1-2. ტფილისი.
35. შარდენი, ჟან. 1935. *მოგზაურობა საქართველოში*. თარგმნ. ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ ; წინასიტყვ. ავტ.: ავ. გაწერელია ; რედ.: შ. რადიანი. ტფ. სახელგამი.
36. ჩაკვეტაძე ვ. 1960. *ქუთაისის ისტორიიდან*. - თბ. : საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, (საქმთავარბოლიგრაფიკამომც. სტ. ქ. ქუთაისში).
37. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. 1955. ტ. 1. *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. - თბილისი. სახელგამი
38. ჭეიშვილი იოსებ. 1924. *დარეჯან დედოფლის სახლი ქუთაისში. საისტორიო მოამბე*. ტ. 1. რედაქტორი სარგის კაკაბაძე. გვ. 227-232. თბილისი.
39. ჯაოშვილი ვახტანგ. 1989. *ქუთაისი*. თბილისი. საქ. სსრ მეცნ. აკად., გეოგრაფიის ინ-ტი.
40. ჯუდიჩე მილანელი დონ ჯუზეპე. 1964. *წერილები საქართველოზე* : XVII საუკ. იტალ. ტექსტი თარგმნა, წინასიტყვ. და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ. - თბილისი. საბჭ. საქართველო.
41. Rt IV №1 ხეც.
42. *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ*. 1981. იტალ. თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა. - თბილისი. მეცნიერება.

NINO KOBAURI

Korneli Kekelidze Georgian National
Center of Manuscripts

BAGRATIONI RESIDENCES IN KUTAISI**SUMMARY**

Bagrationi dynasty ruled Georgia for eight centuries. For these centuries they have built many palaces though there are very little data about these facts in the written sources and the traces of the palaces maintained up to present are very scarce as well. Available archeological and scientific studies are about only few of them. It is significant not only finding of these palaces and revealing the facts related to them, confirmation of their existence, requiring thorough researches but also identification of the palaces locating trends, strategies, regarding the background of the historical facts and determination of their functional significance.

The residences, in addition to their function as the homes for the royals, ensuring comfort for them and demonstrating their status, had to correspond to the strategic foals. Actually, there were: capital city residences, seasonal palaces, temporary accommodations, palaces for strategic purposes.

In Western Georgia there were functioning the palaces, initially of the kings of whole Georgia and later of Imereti Kingdom. In addition to the residences in the capital cities they had the palaces for seasonal and defense purposes. Bagrationi palaces were located in Racha – Ambrolauri and Shaori; in Imereti – Geguti, Skanda, Vartsikhe, Kakhniauri; in Abkhazia – Tskhumi, Abzhakua. In Kutaisi the royal palaces were located on the right and left sides of Rioni River. On the right side, in the citadel a new palace was built by the first Bagrationi, king of unified Georgia - Bagrat III and it functioned up to 18th century. On the right side both royal areas coexisted in the 15th century. The citadel palace had economic and defense functions.

თოკნიკე ღიასაშიკე

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნების შესწავლის ისტორია

ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნების შესწავლის ისტორია¹

ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ქრისტიანული ქვეყნების შესწავლა დაახლოებით ორას წელზე მეტია მიმდინარეობს, მიუხედავად ამისა, არც ერთი ქვეყნის სათანადოდ არ არის შესწავლილი, რადგან ყველა დროს ქვეყნების შესწავლა სხვადასხვაგვარი იყო.

ჩრდილოეთ კავკასია მრავალენოვანი რეგიონია. ქრისტიანული ქვეყნები შემორჩენილია დაღესტანში, ინგუშეთში, ჩრდილოეთ ოსეთში (ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე), ბალყარეთსა და ჩერქეზეთში. რამდენიმე ქვეყნის დაფიქსირებულია კრასნოდარის მხარეში.

ქრისტიანული ქვეყნების მშენებლობა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა VII — XV საუკუნეებში, თუმცა გვაქვს XVII საუკუნის რამდენიმე ქვეყნიშობის აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ თითოეული ეს ქრისტიანული ნაგებობა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით შენდებოდა, პირველ ეტაპზე ბიზანტიის გავლენით, ხოლო უკვე VIII საუკუნიდან ჯერ ქართული სამეფო-სამთავროების ინიციატივით, ხოლო შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ხელშეწყობით.

ქვეყნებს სხვადასხვა დროს სწავლობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები. XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ოლქში არსებული ქვეყნებით დაინტერესდა რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელსაც გარკვეული მიზნები ამოძრავებდა მათ შესასწავლად.

ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანული ქვეყნები შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია (ბალყარეთი, ჩერქეზეთი, კრასნოდარის მხარე) და ჩრდილო-დასავლეთ კავკასია (დაღესტანი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი - დვალეთი).

ბალყარეთის, ჩერქეზეთისა და კრასნოდარის მხარეში გვხვდება რამდენიმე ეკლესია - როგორც ბაზილიკის ტიპის, ასევე გუმბათოვანი ნაგებობები; ესენია: შოანა, სენტი, არხიზი და კრასნოდარში ილიჩევსკის ნაქალაქარის რამდენიმე ქვეყნის.

დაღესტანში, ინგუშეთსა და დვალეთში გვხვდება შემდეგი ქრისტიანული ეკლესიები: დაღესტანი - სოფელ დათუნას ეკლესია და ხუნძახში, აკაროს მთაზე, შემორჩენილი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ინგუშეთში - ტყობა ერდი, მაგ ერდი, ვალ ერდი, ალბი ერდი და დელიტე. დვალეთში - ხობიტა მაირამი, სოფელ თლის ეკლესია, ნუზალის სამლოცველო, ზრუგის ეკლესია, ნარ-ჯუარი, ძილეს-ჯუარი და ხუცაუ ჯუარი.

ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში არსებული ქრისტიანული ქვეყნების განხილვა ქართული ქრისტიანული არქიტექტურის კონტექსტში, მათი კავშირი ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურასთან, რა მსგავსება და რა განსხვავება გვხვდება და როგორ იყო განხილული ეს საკითხი ჩვენამდე არსებულ სხვა კვლევებში. ჩვენი კვლევისთვის სიახლეა ამ ქვეყნების დანახვა თანამედროვე გადასახედიდან (სიტუაციიდან), როგორაა შემორჩენილი ისინი დღეს და რა კავშირშია ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურასთან.

¹ ეს პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი, PhD_F_17_128). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს საქართველოს სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

უცხოელ მკვლევართა ნაწილი დუმს ძეგლების ქართულ წარმომავლობაზე (შოანა, სენტი, არხიზი) და ცდილობს ისინი დაუკავშიროს ბიზანტიურ არქიტექტურას, რითაც გარკვეულწილად ცდილობენ ქართული კვალის წაშლას ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში. გარდა ამისა, მკვლევრები არ განიხილავენ ძეგლებს არქიტექტურულ ჭრილში და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ წერილობითი წყაროებით მსჯელობენ მათზე. ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს კი სწორედ ძეგლების არქიტექტურული ანალიზი წარმოადგენს.

პირველი ცნობები მოგვეპოვება ინგუშეთის ძეგლებზე. XVIII საუკუნეში ინგუშეთის ძეგლების, კერძოდ, ტყობა ერდის შესახებ ცნობებს გვაწვდის რუსეთის არმიის კვარტირმეისტერი შტედერი, რომელმაც 1781 წელს აზომა და აღწერა ძეგლი. 1811 წელს იმავე ეკლესიას გაეცნო და ცნობები მის შესახებ შტედერის მასალებთან ერთად გამოაქვეყნა გერმანელმა გეოლოგმა მორიც ფონ ენგელგარტმა [Штедер, 1967: 47-53].

XIX საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ძეგლებით ქართველი საზოგადოებაც დაინტერესდა. უნდა აღინიშნოს დიმიტრი ბაქრაძის, მოსე ჯანაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის მოგზაურობა და მათი შრომები, ისინი იქ არსებულ ძეგლებს საქართველოსთან აკავშირებდნენ და იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას აცნობდნენ მათ შესახებ ინფორმაციას [ჯანაშვილი, 1895: 4. ჭიჭინაძე, 1905: 120].

ინგუშეთის ძეგლების შემდეგი ეტაპის სრულ აღწერას გვაძლევს მილერი, რომელმაც 1888 წელს შეისწავლა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ეკლესიები. განსაკუთრებულ ყურადღებას მილერი ამხვილებს ტყობა ერდის ტაძარზე, მისი დაკვირვებით ტაძარმა რამდენიმე რეკონსტრუქცია განიცადა. ტაძრის შესწავლისას მეცნიერმა აღმოაჩინა ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები, წარწერების წაკითხვისას მილერი ვერდნობა დიმიტრი ბაქრაძის გამოკვლევებს და ტაძრის პირველ ფენას IX საუკუნით ათარიღებს [МАК, I. 1888: 35].

მილერის მოსაზრებას ტაძრების თარიღთან დაკავშირებით იმეორებს კიდევ ერთი მეცნიერი კრუპნოვი, რომელმაც გამოაქვეყნა ნაშრომი ტყობა ერდის ტაძართან დაკავშირებით [Крупнов, 1947: 67].

გასული საუკუნის 40-იან წლებში ინგუშეთის ძეგლები შეისწავლა და გამოიკვლია გიორგი ჩუბინაშვილმა, რომელმაც 1941 წელს გამოაქვეყნა სტატია ტყობა ერდის ტაძარზე. მეცნიერი გამოყოფს მშენებლობის სამ პერიოდს: VII-IX სს, X-XI სს და XV-XVI საუკუნეები. [Чубинашвили, 2002: 23]

ინგუშეთის ძეგლების შესწავლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო 1969 წელი. ამ წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის კულტურის სამინისტროს თხოვნით ზაფხულში დაიწყო ტყობა ერდის სარესტავრაციო სამუშაოები, რომელთაც ახორციელებდა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო არქიტექტორ ლევან ხიმშიაშვილის პროექტით. გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად მიიწვიეს არქეოლოგები: რეზო რამიშვილი და გივი ღამბაშიძე.

ექსპედიციის დროს ეკლესიის შიგნით აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები, რელიეფური წარწერები და სხვა ინვენტარი. არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული შესწავლით დადგინდა ტაძრის მშენებლობის ერთი ეტაპი X-XI საუკუნე [ღამბაშიძე, 1969: 106. ხიმშიაშვილი, 1971: 68].

გასულ საუკუნეში სხვადასხვა დროს ინგუშეთის ძეგლების შესწავლით დაინტერესდნენ რუსი მეცნიერები, რომლებიც ძირითადად მილერის გამოკვლევას მიჰყვებოდნენ. გარდა ტყობა ერდისა, ისინი ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ქრისტიანულ ტაძრებსაც შეისწავლიდნენ და მათ ქართული ქრისტიანული გავლენის ფარგლებში აქცევდნენ [ВИНОГРАДОВ, 1966: 35. Марковин, 1969: 96. Мужухоев, 1977: 67].

სხვადასხვა დროს ინგუშეთის ტაძრებზე წერდნენ ქართველი მეცნიერები, რომლებმაც არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნეს როგორც ტყობა ერდის, ასევე გალ ერდის, მაგ ერდის, ალბი ერდის ტაძრებზე [ღამბაშიძე, 1969: 107. ქალდანი... 1983: 97].

ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლების შესწავლის მომდევნო ეტაპი იყო დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე ისტორიული ავარების ტაძრები, რომელთაგან სრული სახით შემორჩა მხოლოდ ერთი, სოფელ დათუნაში არსებული დარბაზული ეკლესია, იგი „დათუნას ეკლესიის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

დაღესტნის ძეგლების პირველი შესწავლა უკავშირდება მილერს, რომელიც ინგუშეთის ძეგლების პარალელურად დაინტერესდა ამ ძეგლებით [МАК, I. 1988: 75].

მეოცე საუკუნეში დაღესტნის ძეგლების შესწავლით დაინტერესდნენ როგორც ქართველი, ასევე რუსი მეცნიერები; ქართველ მეცნიერთაგან აღსანიშნავია რენე შმერლინგი და გივი ღამბაშიძე, რომლებმაც იქ არსებულ ძეგლებს არაერთი

სტატია მიუძღვნეს [Шмерлинг, 1968: 212. ლამბაშიძე, 1977: 47]. მეცნიერები დათუნას ეკლესიას განიხილავენ, როგორც ქართული კულტურის კვალს ავარეთის ტერიტორიაზე.

საინტერესოა რუსი მეცნიერების გამოკვლევები დაღესტანში არსებულ ქრისტიანულ ძეგლებზე, რომელთაც არაერთი მონოგრაფია და სტატია მიუძღვნეს [Атаев, 1959: 127. Тахнаева, 2003: 87]. საინტერესოა ფატიმა ტახნაევის მონოგრაფია „ХРИСТИАНСКАЯ КУЛЬТУРА СРЕДНЕВЕКОВОЙ АВАРИИ (VII-XVI ВВ.) В КОНТЕКСТЕ РЕКОНСТРУКЦИИ ПОЛИТИЧЕСКОЙ ИСТОРИИ“, რომელშიც მკვლევარი სამასამდე ნაეკლესიარს გამოპყოფს ისტორიული ავარეთის ტერიტორიაზე.

ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანობის ისტორიის კვლევისას საინტერესოა კიდევ ერთი რეგიონი, რომელიც დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიის შემადგენლობაშია და ისტორიული დვალეთის სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ რეგიონში არაერთი ქრისტიანული ეკლესიაა დაფიქსირებული და შესწავლილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერის მიერ. დვალეთის შესახებ წერდნენ როგორც ქართველი, ასევე რუსი მეცნიერები.

დვალეთის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებზე არაერთი სტატია გამოქვეყნდა ქართველი მეცნიერების მიერ, მათ შორის აღსანიშნავია გამრეკელის გამოკვლევები დვალეთსა და დვალეთის შესახებ [გამრეკელი, 1963: 5]. ვახტანგ დოლიძემ შეისწავლა ხობიტა მაირამისა და სოფელ თლის ეკლესიები [დოლიძე, 1954: 120].

ისტორიული დვალეთის ძეგლებს შეისწავლიდნენ რუსი მეცნიერებიც, მნიშვნელოვანია ეკლესიებში არსებული მოხატულობა, რომელსაც დიდი ადგილი ეთმობა მათ კვლევებში [ВИНОГРАДОВ, 1983: 83 Кузнецов, 1974: 134 Белецкий, 2004: 46].

ამრიგად, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ქრისტიანობის ისტორიის შესწავლას უკვე ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საკითხი ბოლომდე გამოკვლეული და შესწავლილია. დროთა განმავლობაში იკვეთებოდა ახალი მასალები და ახლებური ხედვა იქ არსებული ქრისტიანული ეკლესიების შესახებ. დღეისთვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქ არსებული ეკლესიების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი არ ყოფილა ჩატარებული და არ დაუდასტურებიათ (?)მათი კავშირი ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურასთან, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შედარებით მნიშვნელოვან ძეგლს. მთლიანობაში ეს საკითხი ძირეულად შესასწავლია და სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ დაწყებული კვლევა, რომლის ლიტერატურული მიმოხილვა ამ საკითხის მხოლოდ საწყისი ნაწილია, წინ კიდევ მნიშვნელოვანი სამუშაოებია გასატარებელი.

ჩვენი კვლევის ცალკე საკითხია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ქრისტიანული არქიტექტურა, რომლის მეცნიერული შესწავლაც XIX საუკუნიდან იწყება. პირველი ცნობებს ჩერქეზეთსა და ბალყარეთში არსებულ ძეგლებზე გვაწვდის XVIII საუკუნის გერმანელი ექიმი და მოგზაური რეინეგსი, რომელმაც იმოგზაურა ჩერქეზეთში [გელაშვილი, 2002: 167].

XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის დავალებით ბალყარეთისა და ჩერქეზეთის ტერიტორიაზე იმოგზაურა გერმანელმა არქიტექტორმა ბერნარდაცმა, რომელმაც 1829 წელს აღწერა და შეისწავლა ჩერქეზეთში არსებული ორი ქრისტიანული ძეგლი - სენტი და შუანა [Бернардацци, 1830: 186]. ბერნარდაცი მათ ბიზანტიურ წარმომავლობაზე მიუთითებს, თუმცა თანამედროვე გამოკვლევებით დგინდება მათი კავშირი ქართულ, კერძოდ კი აფხაზურ არქიტექტურასთან.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩერქეზეთის ძეგლები შეისწავლა სისოევამ, რომელმაც აღწერა და გამოაქვეყნა თავისი კვლევა ზელენჩუკის, სენტისა და შოანას ტაძრებზე [МАК, VII, 1898: 116]. აღსანიშნავია, რომ ჩერქეზეთისა და ბალყარეთის ქრისტიანულ არქიტექტურას მეცნიერთა ნაწილი ბიზანტიას უკავშირებს, ნაწილი კი აფხაზურ არქიტექტურასთან პოულობს პარალელს.

1898 წელს სენტის ეკლესია შეისწავლა და მასალები გამოაქვეყნა დიაჩკოვა ტარასოვამ, რომელიც სენტს ქართულ სვეტს - სვეტიცხოველს - უკავშირებს [Дьячкова-Тарасова, 1898: 8].

XX საუკუნის დასაწყისიდან ინტენსიურად დაიწყო ბალყარეთსა და ჩერქეზეთში არსებული ძეგლების შესწავლა. (მასალათა სიმწირის გამო??) მეცნიერებს უამრავი მოსაზრება აქვთ გამოთქმული იქ არსებული ქრისტიანული ძეგლების წარმომავლობასთან დაკავშირებით, ქართველი მეცნიერები მათ საქართველოს, კერძოდ კი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს უკავშირებენ [მიხეუანი, 1983: 63. გუჯეჯიანი, 2007: 78].

ბალყარეთსა და ჩერქეზეთში არსებულ ძეგლებზე საინტერესოა გამოკვლევები აქვთ რუს მეცნიერებს, მათი კვლევები ორ ნაწილად იყოფა: ერთნი უკავშირებენ ბიზანტიურ არქიტექტურას და საერთოდ გამორიცხავენ მათ კავშირს საქარ-

თველოსთან [Кузнецов, 2002: 136], ხოლო მეორე ნაწილი ასევე ბიზანტიასთან აკავშირებს, მაგრამ არ გამოიციხავს ქართული, ეგრის-აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სამეფოს გავლენას [Виноградов, 2005: 67].

ბოლო პერიოდის კვლევებისას გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებშიც ჩერქეზეთის და ბალყარეთის ძეგლები არქიტექტურულად აფხაზეთის სამეფოსთან არის დაკავშირებული [Чачхалия, 2016: 14]. თუმცა აქაც საკითხის კვლევას უარყოფითი კონტექსტი აქვს: აფხაზეთის არქიტექტურა განიხილება როგორც ცალკე მდგომი კულტურა და უარყოფილია მისი კავშირი ქართულ არქიტექტურასთან, მაშინ როცა არაერთი გამოკვლევით დასტურდება აფხაზური არქიტექტურის პირდაპირი კავშირი ქართულ არქიტექტურასთან [ბერიძე, 2014: 45. რჩელიშვილი, 1988: 63].

ამრიგად, ბალყარეთისა და ჩერქეზეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების შესწავლის ისტორია გრძელდება, ვერ კიდევ საკვლევი და მოსაძიებელია ბევრი მასალა მათ საბოლოო შესასწავლად. ძეგლები ძირითადად X-XI საუკუნეებით თარიღდება, ეს კი კავკასიის ისტორიაში ის ეტაპია, როდესაც საქართველოს სამეფო სამთავროები ერთიანდება ძლიერ ქართულ სამეფოდ. შესაბამისად იმ პერიოდში კავკასიაში მიმდინარე ისეთი მნიშვნელოვანი მშენებლობები როგორებიც გვხვდება ჩერქეზეთისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე, საქართველოს ერთიანი სამეფოს გვერდის ავლით ვერ განხორციელდებოდა. შემდეგი ეტაპი სწორედ ტაძრების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზია, რომლის შემდეგაც გამოჩნდება აქვს თუ არა ამ ძეგლებს კავშირი როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ არქიტექტურასთან.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა რეგიონის ეკლესიები ერთნაირად არ არის შესწავლილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ეკლესიები უფრო საფუძვლიანად არის შესწავლილი, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეკლესიები. ინგუშეთის, დვალეთისა და დაღესტნის ეკლესიებზე უფრო მეტი გამოკვლევა არსებობს, ვიდრე ბალყარეთისა და ჩერქეზეთის ეკლესიებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ბალყარეთისა და ჩერქეზეთის ეკლესიებზე არ არსებობს კვლევები, რომელთაც ახორციელებდნენ ქართველი მეცნიერები, ფაქტობრივად ქართველ მეცნიერებს არ აქვთ მხატვრულ-არქიტექტურული მასალა და მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ცნობებს ეყრდნობიან იქ არსებული ეკლესიების საქართველოსთან დასაკავშირებლად, მაშინ, როდესაც რუსი მეცნიერები ამ ეკლესიებს არქიტექტურულად სწავლობდნენ, ისინი ფაქტობრივად ტენდენციურად განიხილავდნენ მათ და აქცევდნენ ბიზანტიური არქიტექტურის ჩარჩოში; და მაინც, ბოლო წლებში გამოიკვეთა ტენდენცია როდესაც ხდება ბალყარეთისა და ჩერქეზეთის ეკლესიების განხილვა აფხაზური არქიტექტურის კონტექსტში, მაგრამ აქაც ვხვდებით მიკერძოებულ დამოკიდებულებას და ის ავტორები, რომლებიც სენტსა და შოანას აღიარებენ აფხაზური არქიტექტურის ძეგლებად, მათ განიხილავენ როგორც არა ქართულ ეკლესიებს, არამედ ბიზანტიურ-აფხაზური არქიტექტურის გავლენით შექმნილ ძეგლებს; არადა ჩვენ გვაქვს არაერთი ქართველი ხელოვნებათმცოდნის საფუძვლიანი კვლევა, რომლებშიც აფხაზური არქიტექტურა განიხილება როგორც ქართული არქიტექტურის ნაწილი, ასეთად შეგვიძლია მოვიშველიოთ ლეო რჩელიშვილის ნაშრომი(გამოკვლევა) აფხაზურ არქიტექტურასთან დაკავშირებით.

ამრიგად, ჩვენი კვლევის კიდევ ერთი უმთავრესი მიზანია სწორედ ბალყარეთისა და ჩერქეზეთის ძეგლების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი და მათი კავშირის დადგენა ქართულ არქიტექტურასთან.

ბოლოს ცალკე თემად შეგვიძლია გამოვყოთ ჩრდილო კავკასიაში არსებული ქართული წარწერები, რომლებიც გვხვდება დაღესტნის, ინგუშეთისა და დვალეთის ძეგლებზე, აქაც, სამწუხაროდ, ვერაფერს ვამბობთ ბალყარეთისა და ჩერქეზეთის ძეგლებზე, რადგან იქ ქართულ ექსპედიციას არასოდეს უმუშავია და შესაბამისად ცნობები არ გვაქვს, ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ ძეგლებს, იქ ჩვენ გვაქვს აშკარად ქართული ენის გავლენა, მაგალითები, ქართული ასომთავრულით შესრულებული ადგილობრივ ენაზე არსებული წარწერები, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩრდილო კავკასიაში ქართული იყო ერთ-ერთი სამწერლობო ენა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის არსია:

1. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ქრისტიანული ძეგლების დღევანდელი მდგომარეობის დაფიქსირება.
2. მათი მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზით ქართულ არქიტექტურასთან დაკავშირება, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ძეგლების მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი და პირველი ქართული კვლევა იმის დასადგენად, თუ რა კავშირი ჰქონდა მათ ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურასთან.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე ვახტანგ, 2014, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I-II, თბილისი.
2. გელაშვილი გიორგი, 2002, იაკობ რაინეგსი საქართველოს შესახებ, თბილისი.
3. გუჯეჯიანი როზეტა, 2007, ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. X, თბილისი.
4. მიხუანი თეიმურაზ, 1983, ქართული ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში, ძეგლის მეგობარი, N36, თბილისი.
5. ღამბაშიძე გივი, 1971, ინგუშეთის ქრისტიანულ ეკლესიებში (თხაბა-ერდიდა ალბი-ერდი) ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბილისი.
6. ღამბაშიძე გივი, 1976, ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში, საბჭოთა ხელოვნება, N3, თბილისი.
7. ღამბაშიძე გივი, 1977, საუკუნეთა ძახილი, კომუნისტი, თბილისი.
8. ღამბაშიძე გივი, 1977, ქართული კულტურის ძეგლები დაღესტანში, სამშობლო, N18, თბილისი.
9. ჭიჭინაძე ზაქარია, 1905, კათოლიკეთა ეკლესია, სამცხე - საათაბაგო, ტფილისი.
10. ჯანაშვილი მოსე, 1895, შესანიშნავი ნაშთი, N 132, თბილისი.
11. ხიმშიაშვილი ლევან, 1971, ტყობა-ერდის სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები, „ძეგლის მეგობარი“, კრ.26., თბილისი.
12. Белецкий Д. В. Заметки о нузальском храме, Историко филологический архив, Вл. 2004
13. Бернадацци И., Христианская древности за кубанью. Журналъ министерства внутренних делъ часть III, С.-пб. 1830
14. ВИНОГРАДОВ В. Б. Новое о периодизации и характере Грузино-Северокавказских историко-культурных связей (до начала XX в), ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმბოზიუმი, თბ. 1983
15. Виноградов А., Фрески Сентинского храма и проблема истории Аланского христианства X в. Российская археология, N1, 2005.
16. Дьячкова-Тарасова АК., Сентинский храм и его фрески. 1898
17. Крупнов Е.И. - Грузинский храм Тхаба-Ерды на Северном Кавказе, Краткие сообщения Института истории материальной культуры им. Н.Я.Марра, вып.XV, 1947, стр.116-125
18. Кузнецов В. А., Нузальская церковь и ее фрески. Тезисы докладов IV «Крупновских чтений» по археологии Кавказа, Орджоникидзе, 1974
19. Кузнецов В., христианство на северном кавказе до XV в, Владикавказ, 2002
20. Материалы по археологии кавказа, выпуск I, м. 1888
21. Материалы по археологии кавказа, выпуск VII, м. 1898
22. Чачхалиа Д. К. Композиция храмов средневековой Абхазии и ее влияние на архитектуру памятников Алании, Руси и Трапезунда, М. 2016
23. Чубинашвили Г., Ткоба - иерди: (К вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), Вопросы истории искусства: Исследования и заметки: Т.2, Тбилиси, 2002
24. Шмерлинг Р.О. Церковь в с. Датуна в Дагестане. მაცნე, 1968, N2
25. Штедер Л. Ф. Дневник путешествия, из пограничной крепости Моздок во внутренние местности Кавказа, предпринятого в 1781 году, Текст воспроизведен по изданию: Осетины глазами русских и иностранных путешественников (XIII - XIX вв.), Ордж. 1967

TORNIKE DIASAMIDZE

The Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

**HISTORY OF STUDYING THE CHRISTIAN MONUMENTS
OF THE NORTH CAUCASUS ASDD****SUMMARY**

The study of Christian monuments in the North Caucasus has been conducted for more than two centuries, however, none of the monuments have been studied properly, and the research of monuments has been in different ways.

The study of monuments was carried out at different times as both, Georgian and foreign scientists. Starting from the beginning of the XIX century, Russian Imperial door were interested in monuments in different districts of the North Caucasus, which had some goals to study them.

The main goal of the research is to consider Christian monuments in the North Caucasus regions in the context of Georgian Christian architecture. Their connection with Georgian architecture, what are the similarities and differences and how was it discussed in other researches before us. The novelty of our research is to see these monuments from the modern situation.

It is noteworthy that all the churches of the region have not been studied simultaneously. Northeast Caucasian churches are more thoroughly studied than North West Caucasian churches. There is more information about Ingushetia, Dvaleti and Dagestan churches than Balkarian and Circassian Churches. It is noteworthy that there are no studies in the Balkarian and Circassian churches which were carried out by Georgian scientists, in fact, Georgian scientists do not have artistic architectural material and there are only historical ethnographic references to regard those churches as Georgian monuments, while the Russian scholars have done an architectural study of these churches, they tendently considered them and turned them into the Byzantine architecture framework, although in recent years the tendency was revealed when the Balkans and Circassian churches were discussed in the context of the Abkhazian architecture, but here we encounter a biased attitude too. And those authors, who considered Senta and Shana as part of the Abkhazian architecture, think that they are not Georgian churches and those monuments have the influence of Byzantine-Abkhazian architecture. Though we have a thorough research of many Georgian art scientists, where Abkhazian architecture is considered part of the Georgian architecture, such as The Research of Abkhazian architecture by Leo Rcheulishvili.

კუსუდენ ტუუიიუიი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

სამუსიკო განათლება მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების საქართველოში

2018 წლის კონფერენცია საქართველოს დამოუკიდებლობიდან 100 წლისთავს უკავშირდება და სწორედ ამან განაპირობა მოხსენების თემის შერჩევა - „სამუსიკო განათლება მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების საქართველოში“. 10-20-იანი წლები დამოუკიდებელი საქართველოს სამწლიან პერიოდს მოიცავს და ეს სამწლიანი მონაკვეთი ერთგვარ ოაზისად, წარმატებული მოვლენების თავმოყრად წარმოგვიდგება როგორც, საზოგადოდ, ქვეყნის ცხოვრებაში, ასევე, კონკრეტულად, მუსიკის სფეროშიც.

გამორჩეული ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ დიმიტრი თუმანიშვილის სიტყვებით: „პირველი მსოფლიო ომისთვის ქართული საზოგადოება უკვე ჩამოყალიბდა იმ საზოგადოებად, რომელმაც მოახერხა, უნივერსიტეტი შეექმნა. ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა როცა მოვიდა, ქვეყანას ყველა იდეა უკვე ჰქონდა“ (<http://sainteresoadamianebi.itv.ge/?id=48> ინტერვიუ ...}. როგორც დიმიტრი თუმანიშვილი აღნიშნავს, აღმავლობის პროცესი არ დაწყებულა უშუალოდ დამოუკიდებლობის პერიოდში, ის მომწიფებული იყო საზოგადოების ცნობიერებაში, ქართველი ერი წინასწარ იყო მომზადებული ამ მოვლენისათვის, რასაც საფუძველი, თავის მხრივ, თერგდალეულთა მოღვაწეობამ შეუქმნა.

დ. თუმანიშვილს მოჰყავს შემთხვევა, რომელიც მისი პედაგოგისგან, პროფესორ ლეო რჩულიშვილისგან მოუსმენია: „ბატონი ივანე ჯავახიშვილი და მისი ორი ძმა; ისინი ჯერ კიდევ გიმნაზიელები არიან, მაგრამ უკვე მაღალ კლასებში გადავიდნენ. მათი მამა იყო სასწავლებელთა ინსპექტორი. უკვე გადამდგარია. ხოვლეში არიან ბაფხულში, არდადეგებზე და ერთხელაც დაუძახა მთელ თავის ოჯახს - ცოლს და შვილებს, დასხა მაგიდასთან და ეუბნება: საქართველოში აუცილებლად შეიქმნება უნივერსიტეტი. ახლა ვიფიქროთ, თქვენგან რომელი რა დარგს შეიძლება, რომ შეუდგეს და რომელი დარგები დასჭირდება ამ უნივერსიტეტს, პირველ ყოვლისა. აი, იმ მაგიდასთან მათ გადაწყვიტეს, რომ ბატონი ივანე იქნება ისტორიკოსი, გიორგი იქნება ბიოლოგი...“, „ეს არის დამოკიდებული იმაზე, როგორ ზრდიდნენ მამის ბავშვებს“. ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები, როგორცაა საქართველოს დამოუკიდებლობა, უნივერსიტეტის დაარსება, თერგდალეულთა მოღვაწეობისა და ამ იდეებით აღზრდილი საზოგადოების მიერაა მოპოვებული.

იმის გათვალისწინებით, რომ გარდამტეხი ისტორიული მოვლენები ერთბაშად, მოულოდნელად არ ხდება და მათ გასახორციელებლად დიდი, მიზანმიმართული სამუშაოს გაწევია აუცილებელი, 10-20-იანი წლების მუსიკალური განათლების მდგომარეობის მიმოხილვაც ადრინდელი პერიოდიდან უნდა დავიწყეთ. ვინაიდან ისინი მომზადებული და განპირობებული იყო იქამდე არსებული სამუსიკო სასწავლებლისა და სხვა კერების მუშაობით. ამ დროს ქართული მუსიკალური საზოგადოების წინაშე რამდენიმე პრობლემა იდგა:

- ქართული სიმღერა-გალობის ხსნა
- ევროპული მუსიკის მიღწევების ათვისება
- ქართული პროფესიული მუსიკის შექმნა.

განვიხილოთ, როგორ მოახერხა ქართულმა საზოგადოებამ ამ პრობლემებთან გამკლავება.

რუსეთთან შეერთების შემდეგ „IV საუკუნიდან დაწყებული საერო და სასულიერო მუსიკის სტილურობის ერთიანობის იშვიათი ფენომენი შესუსტდა მე-19 ს-ში“, წერს ო. თაქთაქიშვილი [საბჭოთა...1980:9]. 1811 წ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებით სერიოზული საფრთხე შეექმნა ქართულ გალობასაც - ეკლესიებსა და სასულიერო სასწავლებლებში ქართული გალობის აკრძალვას სლავური გალობის დანერგვა მოჰყვა. ამ პროცესს XIX ს. II ნახევრიდან წინ აღუდგა საზოგადოების მოწინავე ნაწილი. შეიქმნა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტე-

ტი“ და ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადაიტანეს ხალხური სიმღერები და საგალობლები. XIX საუკუნეში რომ არა ქართველ კომპოზიტორთა და მოღვაწეთა — დ. არაყიშვილის, ა. ბენაშვილის, ზ. ჩხიკვაძის, ი. კარგარეთელის, ზ. ფალიაშვილის, ე. კერესელიძის, გ., ბ. და ვ. კარბელაშვილების, რ. ხუნდაძის, ფ. ქორიძის და სხვათა ღვაწლი და შრომა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიმღერებისა და საგალობლების უმეტეს ნაწილს დაკარგვა ემუქრებოდა. აქვე აღვნიშნავთ ამ საქმეში უცხოელების — მ. იპოლიტოვ-ივანოვის, ნ. კლენოვსკის (მუსიკალური სასწავლებლის დირექტორების), ქ. გროზდოვის ღვაწლს. გარდა ამისა, ცხადი იყო, რომ სიმღერებს, საგალობლებს ჩაწერის გარდა, შესწავლა, აწლერება გადაარჩენდა. ამ მიზნით 1862 წ. ბოდბის მონასტერში საზეიმოდ გაიხსნა ქართული გალობის სასწავლებელი. 80-იან წლებში — “მართლმადიდებელთა ძმობის კაბინეტი”, სადაც გალობის შემსწავლელთა წრე არსებობდა. “საგალობელი კაბინეტი” შეიქმნა ოზურგეთშიც. დიდი ქართველი მოღვაწე, იაკობ გოგებაშვილი “დედა ენის” განმეორებით გამოცემას ქართულ ხალხურ სიმღერებს ურთავს. თანაც თავის მოქმედებას სიტყვიერადაც ამტკიცებს: “შენიშნულია, რომ სიმღერისმოყვარე და მცოდნე ბავშვები ცხადად ერკვევიან თავის ტოლებში სასიამოვნო, მიმზიდავი, სიმპატიური ხასიათითა და თვისებებითა. ამით კიდევ არ თავდება სიმღერის მნიშვნელობა. მას სკოლის შრომაში შეაქვს სიხარულის ელფერი, აღვიძებს და აცოცხლებს სკოლის ცხოვრებას” [გოგებაშვილი...1977:382]. გარდა იმისა, რაზეც თავად ი. გოგებაშვილი მიანიშნებს, ამ ფაქტის მნიშვნელობა, ცხადია, ბევრად უფრო ფართოა — ქართული სიმღერის სკოლის პროგრამაში შეტანილი იგი პოპულარიზაციას უწევდა ხალხურ სიმღერას და ეროვნულ კულტურას აზიარებდა მოსწავლეებს.

რაც შეეხება ევროპულ პროფესიული მუსიკას, ინტერესი მის მიმართ XIX საუკუნის II ნახევრიდან გაძლიერდა, რის ერთ-ერთ დასტურადაც თბილისში 1851 წ. გაიხსნა საოპერო თეატრი. ცნობილია, რომ ევროპაში დადგმული ახალი საოპერო თხზულებების დიდი ნაწილი ერთი ან ორი წლის შემდეგ უკვე თბილისის ოპერის სცენაზე იდგმებოდა. ოპერა ორგანულად ჩაეწერა თბილისის ყოფაში და საყვარელი სანახაობა გახდა საზოგადოების ყველა ფენისათვის. ცნობილია ისიც, რომ მოტივები საოპერო სპექტაკლებიდან მეორე დღესვე ვრცელდებოდა არა მარტო მაღალი, არამედ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის, მთელ თბილისში და ნებისმიერ ადგილას, თულუხჩებისა და მემწვანილეების შესრულებითაც შეიძლებოდა მოგესმინათ. როგორც წესი, ევროპაში შექმნილ მაღალმხატვრულ საოპერო თხზულებათა დიდი ნაწილი მალევე თბილისის ოპერის სცენაზე იდგმებოდა. ოპერა თბილისში სახალხო სანახაობად იქცა. ამასთან დაკავშირებით მუსიკისმცოდნე მ. ახმეტელი წერს, რომ ევროპული მუსიკალური კულტურის ასე ბუნებრივად, ადვილად მიღება იმდროინდელი ქართული საზოგადოების მუსიკალური ყოფის მაღალმა დონემ განაპირობა, რასაც, თავის მხრივ, ხალხის მუსიკალურმა კულტურამ, ხალხური სიმღერის ფართო გავრცელებამ მოუზღადა ნიადაგი [საბჭოთა...1987: 78].

საზოგადოების ინტერესს პროფესიული მუსიკისადმი იმიტაც ვხვდებით, რომ, მართალია, ტარდებოდა კერძო გაკვეთილები მუსიკაში, არსებობდა სპეციალური მუსიკალური სასწავლებლის გახსნის სურვილიც, რასაც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მოთხოვნებიც ადასტურებს და ასეთი სასწავლებლის გახსნის ცალკეული მცდელობებიც. ამავე დროს, მუსიკა საკმაოდ სერიოზულად ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, როგორც იყო წმინდა ნინოს სასწავლებელი, ვაჟთა კლასიკური გიმნაზია... ვფიქრობთ, საკმარისია დავასახელოთ, რომ სხვადასხვა დროს ამ სასწავლებლებში პედაგოგებად ისეთი გამოჩენილი მუსიკოსები მუშაობდნენ, როგორც იყვნენ მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ზ. ჩხიკვაძე, ი. კარგარეთელი, ა. ყარაშვილი... 1874 წ. კი მუსიკოსებისა და პედაგოგების — ბ. სავანელის, ა. მიზანდარის (თავისი დროის გამოჩენილი პიანისტის), ვ. ალიხანოვის თაოსნობით დაარსდა სამუსიკო სკოლა, რომელმაც მთელ შემდგომ ქართულ პროფესიულ მუსიკალურ განათლებას ჩაუყარა საფუძველი. 1883 წ. სკოლა რუსეთის მუსიკალური საზოგადოების (PMO) “ტფილისის სამუსიკო კლასებად”, 1886 წ. კი ამავე საზოგადოების სასწავლებლად ჩამოყალიბდა. ეს კერა ერთგვარ მუსიკალურ-კულტურულ ცენტრად იქცა, სადაც პროფესიული მუსიკის პოპულარიზაცია ხდებოდა. შეიქმნა სტუდენტური ორკესტრი, გუნდი; ტარდებოდა კონცერტები; იდგმებოდა საოპერო სპექტაკლების ფრაგმენტები. სასწავლებელმა მოიზიდა ქართველი და უცხოელი მუსიკოსები. ამ კერამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური პედაგოგიური სკოლის ჩამოყალიბებისათვის: შეიქმნა საფორტეპიანო, ვოკალური, შემდგომ სავიოლინო და თეორიული კლასები, სადაც ასწავლიდნენ უცხოეთში განათლებული მუსიკოსები. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი შემსრულებლები და პედაგოგები — კ. იგუმნოვი, ჰ. ნეიჰაუზი, ვ. ვილშაუ, ბ. ზარუნაია, ე. რიადნოვი, ზ. ფალიაშვილი...

როგორც ცნობილია, თბილისში გაიარა ვოკალური სკოლა ფ. შალიაპინმაც ცნობილ პედაგოგ ნ. უსატოვთან და სწორედ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე შედგა მისი დებიუტი. 1915 წ., უკვე აღიარებული მომღერალი, თბილისის სამუსიკო სასწავლებლის მოწვევით, შალიაპინი დაესწრო მის პატივსაცემად მოწყობილ კონცერტს და ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა ამ კერას. მისმა შექმნამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა იმის გამოც, რომ სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება მცდელობა სასწავლებლის კონსერვატორიად გარდაქმნის თაობაზე¹.

¹ ცნობილია შალიაპინის სიტყვები: „მე ორჯერ ვარ დაბადებული: ცხოვრებისათვის - ყაზანში, სიმღერისათვის — თბილისში“.

1917 წლის 1 მაისს ამერიკა-კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია გაიხსნა. ეს განაპირობა, ერთი მხრივ, იმ პერიოდში არსებული სამუსიკო განათლების მაღალმა დონემ და მთავარი საგანმანათლებლო დაწესებულების - თბილისის სამუსიკო სასწავლებლის კარგად ორგანიზებულმა სტრუქტურამ, მაღალკვალიფიციური კადრებით, გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლებით დაკომპლექტებულმა პედაგოგიურმა კოლექტივმა, რომელიც გარკვეულად, განსაზღვრავდა აქტიურ და საინტერესო მუსიკალურ ცხოვრებას, მეორე მხრივ, ქართული საზოგადოების მზობამ და ინტერესმა პროფესიული სამუსიკო განათლების მიმართ.

აქვე ვიტყვით, რომ სამუსიკო სასწავლებლისთვის კონსერვატორიის სტატუსის მინიჭება გაცილებით ადრე იყო მომწიფებული. ამას ადასტურებდა რუსეთის სამუსიკო საზოგადოების მიერ მოვლინებული დირექტორებისა და ინსპექტორების რეკომენდაციები და არაერთი მცდელობა, რაც არ იყო ყურადღებული იმავე PMO-ის მიერ. კონსერვატორიის დაარსება იმპერიის პროვინციაში ამ პროვინციის ერთგვარი წახალისება და გარკვეული აღიარება იქნებოდა თუნდაც ერთ სფეროში და პოლიტიკურად გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა. ამის განხორციელება მხოლოდ 1917 წ. თებერვალში, რუსეთში მომხდარი რევოლუციის შედეგად გახდა შესაძლებელი. ქართულმა საზოგადოებამ, სასწავლებლის შესწავრებამ გამოიყენეს შექმნილი ვითარება, ის ერთგვარი თავისუფლება, რომელიც ამ მოვლენას მოჰყვა თუნდაც რუსეთის სამუსიკო საზოგადოების იურისდიქციის სფეროში და რუსეთში მომხდარი პირველივე ძვრების შემდეგ სასწავლებელს კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა. თუმცა, როგორც ითქვა, ის ბევრად უფრო ადრე იყო მომზადებული ამ გარდაქმნისათვის.

თვალი გავადევნოთ პროფესიული მუსიკალური განათლების მეორე შტოს, რომელიც 1908 წლიდან პარალელურად არსებობს თბილისში. 1905 წ. დაარსებული “ქართული ფილარმონიული საზოგადოება” (1918 წლიდან ქართული სამუსიკო საზოგადოება) სამი წლის შემდეგ (1908 წ.) სსსრ სამუსიკო სკოლას, რომელიც დაბალი ფენების მუსიკალურ განათლებას ისახავს მიზნად. 1919 წ. იგი უკვე ქართული სამუსიკო საზოგადოების სასწავლებლად და ბოლოს, 1921 წ. მეორე კონსერვატორიად ყალიბდება. მის მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობა და არაყიშვილის მეთაურობით. ამრიგად, ერთხანს (1921-1924 წწ.) თბილისში ორი კონსერვატორიაც კი არსებობს. მათი რეორგანიზაციისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო საგანგებო კომისიას ქმნის. ქართული საზოგადოებისთვის ამ ფაქტის მნიშვნელობას ისეთი მოღვაწეების მონაწილეობაც ამტკიცებს, როგორცაა ა. შანიძე, მ. ზანდუკელი, შ. ნუსუბიძე, ი. ჯავახიშვილი. 1924 წელს ორი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი ერთიანდება და სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსს იღებს.



თბილისის სამუსიკო სასწავლებელი - კონსერვატორია 1917 წ.

ამ შენობისათვის სახსრების შეგროვება 1891 წელს ანტონ რუბინშტეინის საქველმოქმედო კონცერტით დაიწყო. შეგროვილი თანხით და შემოწირულობებით, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ძმებს სტეფანე, ლევან და იაკობ ზუბალაშვილებს, არქიტექტორ ალ. შიმკვეიჩის პროექტით აიგო სასწავლებლის შენობა.

თავიდან კონსერვატორიაში ოთხი ფაკულტეტი არსებობდა - საფორტეპიანო, ვოკალური, საორკესტრო და თეორიული. მნიშვნელოვანია, რომ დამატებით გაიხსნა პედაგოგიური ფაკულტეტიც. ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ ამ დროისათვის ჩამოყალიბებულია ქართული მუსიკალური პედაგოგიური სკოლა, ტრადიცია, კონსერვატორიის პირველ პედაგოგებს შორის იყვნენ ლისტის, ვენიავსკის, მარმონტელის, ჩაიკოვსკის, მოშელესის, კულაუს მოწაფეები, ჯული-არდის სკოლის დამაარსებლები რ. და ი. ლევიჩინები, გ. ნეიჰაუზი, ფ. კესნერი, ე. ვრონსკი, თ. ბახუტაშვილი-შულგინა, პეტერბურგის და მოსკოვის კონსერვატორიების პროფესორ-მასწავლებლების მიერ აღზრდილი ქართველი მუსიკოსები.

1924-25 წწ. კონსერვატორიასთან შეიქმნა I და II მუსიკა, რომლებსაც გ. თაქთაქიშვილი და ლ. ფალიაშვილი ხელმძღვანელობდნენ. მუსიკა მოიცავდა ლენინისა და სამგორის რაიონებს და მის მიზანს წარმოადგენდა მუშა და გლეხი

ახალგაზრდობის მიზიდვა მუსიკალური განათლების მისაღებად. ამ ფაკულტეტის დამსახურებაა გამორჩენილი ქართველი მუსიკოსების - დ. გამრეკელი, ვ. ფალიაშვილი. თ. გოგოლაშვილი, გ. ბარნაბიშვილი, გ. ლომიძე, ძმები შანიძეები - აღმოჩენა და მიზიდვა კონსერვატორიაში. 1932 წ. ორი მუშფაკი გაერთიანდა².

თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა საჯარო, სახალხო გამოსვლებს 1924 წლიდან რეგულარული ხასიათი ჰქონდა, 1928 წელს მას საწარმოო-საკონცერტო განყოფილების სახე მიეცა. ამავე დროს, 20-იან წლებში თბილისის კონსერვატორიის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსების საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა მუსიკალური კლასიკისა და ფოლკლორის პოპულარიზაციას მთელ საქართველოში, რასაც კონცერტებისა და შეხვედრების გზით ახორციელებდნენ. სოლისტების გარდა, საზოგადოებას ჰყავდა სიმებიანი კვარტეტი, სიმფონიური ორკესტრი, რომელთა შორის იყვნენ გამორჩენილი მუსიკოსები - შ. ამბიფარაშვილი, დ. ანდლულაძე, გ. და შ. თაქთაქიშვილები. ი. გოკიელი, შ. ასლანიშვილი, გ. კლაძე. ნ. ჩიგოგიძე. ე. მიქელაძე, ი. ტუსკია, დ. ჩხიკვაძე, ლ. შიუკაშვილი და სხვები. ამ საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე სრულდებოდა თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რაც დიდ სტიმულს წარმოადგენდა მათთვის.

რაც შეეხება ქართული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებას, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი მართლაც გამორჩეული და შთამბეჭდავია ამ მხრივ. ამ დროს საქართველოში მოღვაწეობს ხუთივე კლასიკოსი კომპოზიტორი: მელიტონ ბალანჩივაძე, ნიკო სულხანიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ვიქტორ დოლიძე. ახალი სკოლის, ასევე სხვა ქართველ კომპოზიტორთა ცალკეული ნაწარმოებები, ძირითადად, რომანსები, ინსტრუმენტული პიესები, ფრაგმენტები ოპერებიდან ცნობილი იყო საკონცერტო გამოსვლებიდან, თუმცა საზოგადოება განსაკუთრებით მოელოდა ქართული ოპერის შექმნას და აი, 1919 წელს თბილისის ოპერის თეატრში სამი ქართული ოპერა დაიდგა:

- 5 თებერვალი - დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“
- 21 თებერვალი - ზაქარია ფალიაშვილის „ახესალომ და ეთერი“
- 11 დეკემბერი - ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“.

რეაქციამ ამ ნაწარმოებებზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქართული საზოგადოება სრულიად მოიცვა ოპერის გარშემო დატრიალებულმა მოვლენებმა³.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნით ადრე, 1918 წ. 21 მაისს ქართულ კლუბში, ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით დაიდგა რ. გოგიაშვილის ოპერა „ქრისტიანე“, რასაც უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. აქვე ვიტყვი, რომ 1918 წ. 9 ივნისს იმავე ქართულ კლუბსა და 1918 წ. 20 ივნისს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა „ქალვაჟუთა გუნდის“ კონცერტი ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით. გუნდმა, სადაც მღეროდნენ ქართველი საოპერო მომღერლები ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი და სხვები, შეასრულა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ნ. სულხანიშვილის, ე. ჯაბაღარის, მ. ბალაჩივაძის ნაწარმოებები.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული პერიოდი, 10-20-იანი წლები, ძალიან დატვირთული, მძაფრია მუსიკალურ-შემოქმედებითი ცხოვრების, ასევე მუსიკალური განათლების სფეროშიც და კარგ კონტექსტს წარმოადგენს დამოუკიდებლობის პერიოდის მუსიკალური „აფეთქებისათვის“, რომელიც ამ მუსიკალურ-საგანმანათლებლო მოძრაობის ერთგვარ კვინტესენციად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამავე დროს, მისი განხილვა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმ ისტორიული წინაპირობების გარეშე, რომლებმაც საფუძველი მოუმაზღეს მას. ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში წარმოდგენილი დ. თუმანიშვილის დასკვნა ძალიან აქტუალურად მეჩვენება დღევანდელ კონტექსტშიც: „თერგდალეულების მიღწევა, სინამდვილეში, ... ის იყო, რომ მათ აიღეს და ქართულ ტრადიციას ახალი კალაპოტი მისცეს. ერთი ფინჩხა არაფერი დაუთმიათ - არც „ვეფხისტყაოსანი“ გადაუგდიათ, არც ეკლესიები დაუნგრევიათ და არც მხატვრობები ჩამოუფხვკიათ. რამეზე უარი თქვეს, რაც ძველ საქართველოში იყო? თუ ისტორიაზე თქვეს უარი? ეს ხომ არ მომხდარა? უბრალოდ, ტრადიცია მოაქციეს იმ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმებში, რომლებიც ახალ დროს შეეფერებოდა. ამან ნაყოფი მოიტანა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან. და პირველი მსოფლიო ომისთვის ქართული საზოგადოება უკვე ჩამოყალიბდა იმ საზოგადოებად, რომელმაც მოახერხა, უნივერსიტეტი შეექმნა.“

როგორც თერგდალეულთა მოძრაობას მოჰყვა დამოუკიდებლობა და უნივერსიტეტის გახსნა, ასევე აქ განხილული მიზანმიმართული მუსიკალურ-საგანმანათლებლო მოძრაობა იყო კონსერვატორიისა და ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის შექმნის საფუძველი.

თუ იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის უნივერსიტეტის დაარსება იყო განათლების, საქართველოში აკადემიური აზრის დამკვიდრების, ქვეყნის ხსნის სიმბოლო, იგივე მნიშვნელობა ჰქონდა კონსერვატორიას ქვეყნის შემოქმედებითი ცხოვრების, ესთეტიკური, მაღალ-მხატვრული იდეალების, კულტურის გავრცელების მხრივ.

² თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის არქივში ვხვდებით ჩანაწერს, რომ „მუშფაკმა მადლობა გადაუხადა სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკის წარმატებით გავლისათვის“, ასევე საყვედურებს საწარმოო პრაქტიკის გაცდენისათვის.

³ ამავე 1919 წელს ნიკო სულხანიშვილი წერს თავის უკანასკნელ ნაწარმოებს „ღმერთო, ღმერთო“.

ბიბლიოგრაფია:

1. ანდრიაძე მანანა (1998). *ქართული საეკლესიო გალობა*. კრებულში: *ქართული საეკლესიო გალობის მდგომარეობა XIX საუკუნეში*. №1. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო
2. ახმეტელი მანანა (1987) *მუსიკალური განმანათლებლობა და მისი საყრდენები*. №11, თბილისი: საბჭოთა ხელოვნება
3. გოგებაშვილი იაკობ (1977) *ვინ და როგორ გადაიტანა ნოტებზე ქართული სიმღერები სახალხო სკოლებისათვის. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
4. თაქთაქიშვილი ოთარ (1980). *ეროვნული მუსიკა — მუსიკალური აღზრდის საფუძველი*. №9. თბილისი: საბჭოთა ხელოვნება
5. *თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 1917- 2017*. 2017. ავტორ- შემდგენლები: ნანა ლორია, მარინა ქავთარაძე. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
6. მშველიძე არჩილ. 1976. *სამუსიკო განათლება საქართველოში*. თბილისი: ხელოვნება
7. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი (2018)* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
8. ძიძაძე ელენე. 1970 *ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია*. თბილისი: საბჭოთა საქართველო
9. წულუკიძე ანტონ. 1971. *ქართული საბჭოთა მუსიკა*. თბილისი: ხელოვნება
10. წურწუშია რუსუდან. 2005. *მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა. თვითმყოფადობა და ღირებულებებითი ორიენტაციები*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
11. www.conservatoire.edu.ge თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვებგვერდი: ისტორია
12. www.opera.ge
13. <http://sainteresoadamianebi.itv.ge/?id=48> ინტერვიუ დიმიტრი თუმანიშვილთან

RUSUDAN TAKAISHVILI

National Center for Teacher Professional Development
Tbilisi State Conservatoire

MUSICAL EDUCATION IN GEORGIA IN THE 10-20S OF THE 20TH CENTURY**SUMMARY**

The article discusses the condition of music education in the 10th-20th centuries of 20th century, which had a quintessence in the form of the three years of Independence. At the same time, the prerequisites, which have been laid out from the second half of the 19th century, have led to the rise of musical life of the given period. It is shown how the Georgian society has resisted the threat of destroying folk song and chanting tradition, which arised as a problem in the 19th century after joining Russia. Here also is a description in the establishment and development of music songs that were later prepared by the first higher education institution - the Tbilisi State Conservatoire. It also tells about the popularity of the opera genre and its popularity in Georgian society. The introductory and busy musical life of 1918-1921 is considered. The report concludes that as the Tergdaleuli Movement was the basis for Georgia's independence and opening of the University, apart from this, deliberate musical-educational movement was the basis for creating Conservatoire and composing school.

თეატრული მუსიკის

თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანება

ახალი ქართული მუსიკის ქმნალობის პროცესი და ქართული კომპოზიციების მედიუმთა ბაზანტიზაციის, დიმიტრი პეტროვიჩის, ზაქარია ჭავჭავაძის მოღვაწეობა

დღემდე ისმევა კითხვა, თუ როგორ მოხდა, რომ ისეთი ძლიერი მუსიკალური პოტენციალისა და უძველესი მუსიკალური კულტურის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველო, ასე გვიან დაიბადა კლასიკური მუსიკის ჟანრები? – ამავდროულად ამგვარი პასუხი არსებობს: – საქართველო საუკუნეების მანძილზე იბრძოდა თვითგადარჩენისათვის, იბრძოდა დიდი ერების წინააღმდეგ, რომლებიც მის დაპყრობას ლაშობდნენ. ამიტომაც გაჩნდა დიდი ნაპრაალი მე-8, მე-10 საუკუნეებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც იქმნებოდა სასულიერო და ხალხური მუსიკის სფეროში უმაღლესი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებები.

ისტორიის თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ ქართული საზოგადოების ცნობიერების მომზადება ახალი ქართული პროფესიული მუსიკის საფუძვლების ჩასაყრელად ხდება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, პრაქტიკული ნაბიჯები იდგმება ამავდროულად 80-იან წლებში და კონკრეტული შედეგების მიღწევა კი ხდება მე-20 საუკუნის დასაწყისში – 1918-21 წლებში. დასახელებული თარიღები წარმოადგენს ზოგადად ქართული ცნობიერების გამოვლიძების, გამოფხიზლების, ქართული კულტურის აღმავლობის ხანას. უპირველესად ეს ეხება პირველ პერიოდს, თერგდალეულების მოღვაწეობის დროს, როდესაც საქართველო სრულიად ახალ გზას დაადგა. მაშინ, როდესაც ეროვნული იდენტობის წინა პლანზე წამოწევა იყო თერგდალეულებისა და მათი წინაძღოლის – ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ერთი მხრივ კულტურის სფეროში ეროვნული პოლიტიკის გატარება მიმართული იყო ზოგადად საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოსახდენად, მეორე მხრივ ეს მენტალობა მიიჩნეოდა მათ ეროვნული კულტურის სფეროში სიახლეების მომხდენი ახალი ტალღის ბიძგად. ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგებს, მუსიკასაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი დაეკისრა ამ პროცესში. ის მოვლენები, რომლებიც მუსიკის მეშვეობით ეხმაურებოდა ამ მოძრაობას, საბოლოოდ მიმართული იყო ახალი ქართული პროფესიული მუსიკის საძირკვლის ჩაყრისაკენ.

და რა მოვლენებს უნდა მოემზადებინა ქართული პროფესიული მუსიკის საძირკვლის ჩაყრა? ეს იყო ეროვნულ მუსიკალურ საუნჯესთან ზიარება, ეროვნული ფოლკლორის (საერო თუ სასულიერო) ნიმუშების მოპოვება, გამომწვევება და მეორე მხრივ ევროპულ მუსიკალურ ხელოვნებასთან შეხება, აქედან გამომდინარე, მუსიკალური განათლების დანერგვა. სწორედ საამისოდ 60-იან წლებში კონკრეტული ნაბიჯებიც იქნა გადადგმული: ამ დროს გაამახვილეს პირველად ყურადღება ქართული გალობისა და სიმღერის მნიშვნელობაზე. ეს მოდიოდა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისგან, რომელმაც 1861 წელს აღძრა საკითხი ქართული გალობის, სიმღერისა და ლილინის როლისა და მისი შენარჩუნების შესახებ, 1864 წელს ჟურნალ ციკარში იბეჭდება დავით მაჩაბლის ნარკვევი „ქართველთა ზნება“ (გალობა), რომელიც ეძღვნება ქართული სიმღერა-გალობის საკითხებს. მუსიკის მეშვეობით ეროვნული იდენტობის გამოსახატავად პირველი საბრძოლო ნაბიჯები საქართველოს ეკლესიის მხრიდანაც იქნა გადადგმული: 1860 შეიქმნა „ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“, რომლის ქმედებაც თავდაპირველად ფაქტობრივად მხოლოდ კონკრეტული საკითხების დასმაში გამოიხატა. რაც შეეხება მათ განხორციელებას, ეს უკვე შემდგომში, 80-იან წლებში (1884 წ. ქუთაისი) გახდა შესაძლებელი.

ამგვარად, თუკი მუსიკის სფეროში 60-იან წლებში დასმული საკითხების რეალიზება იწყება ამავდროულად 80-იანი წლებიდან, აქ კი უკვე აღიძრება სხვა კითხვაც: როგორ ხდებოდა ამ დიდი ეროვნული საქმეების განხორციელება მაშინ, როდესაც ქვეყანას რუსიფიკატორული პოლიტიკის განსაკუთრებული შემოტევის ჟამი ედგა? მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც არათუ ქართული ენა გამოცხადდა კანონგარეშე ენად, არათუ ქართული საგალობელი განიდევნა

ქართული ტაძრიდან, არამედ სიტყვა „საქართველოს“ ხმარებაც აკრძალულ იქნა. ზემოთხამთვლილი ქმედებები, რონელიც ერთი მხრივ საქართველოში მუსიკის საშუალებით ეროვნული ცნობიერების გაღვივებისკენ და მეორე მხრივ ახალი პროფესიული მუსიკის საფუძვლების ჩაყრისკენ იყო მიმართული, გახლდათ შედეგი თერგდალეულების დიდი ძალისხმევის, მათგან წამოსული იმპულსების, რაც აიტაცეს ცალკეულმა გამორჩეულმა პიროვნებებმა, რომელთა ძალისხმევამ, თავდადებად, პროფესიონალიზმმა, ალტრუიზმმა განსაზღვრა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის აღმავლობის გზები, ამიტომ ისტორიული პროცესების გააზრებისას მათი როლი განსაკუთრებულ გამოყოფას მოითხოვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოთ ხსენებული ხსენებული მიზნების განხორციელების მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი და შედეგიანი ხანა აღმოჩნდა - 1918-21 წწ. - საქართველოს დამოუკიდებლობის მცირე პერიოდი. იმ ტენდენციას, რაც მანამდე იყო მიმართული ქართული პროფესიული მუსიკის დაბადებისაკენ, სწორედ ამ პერიოდში შეექმნა საუკეთესო ასპარეზი. ყველაზე მეტად ამ დროს გამოჩნდებოდა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის შემქმნელთა პირველი თაობის წარმომადგენელების - დიმიტრი არაყიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, ზაქარია ფალიაშვილის ნიკო სულხანიშვილის, ვიქტორ დოლიძის შემოქმედებით.

ამ მიზნის განხორციელებას კი, რასაც ეროვნული საკომპოზიტორო ხელოვნების ჩამოყალიბება მოითხოვდა- ეროვნული საწყისისა და ევროპულ მუსიკალური სისტემის შერწყმას - შესაბამისი პირობები და მთელი რიგი ამოცანების შესრულება ესაჭიროებოდა.

ამ პროცესებში სხვა პროგრესულად შემართულ ქართველ მუსიკოსებთან ერთად დიდი როლი შეასრულეს ქართველმა კომპოზიტორებმა, სახელდობრ, **დიმიტრი არაყიშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ, ზაქარია ფალიაშვილმა**. უნდა აღინიშნოს, რომ მათი სახელები ფიგურირებს მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან და ამდენად ისინი შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ ორი ეპოქის ერთგვარ დამაკავშირებელ პიროვნებებად. მაგალითად, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ხდება ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე პირველი გადატანა და ეს უკავშირდება მელიტონ ბალანჩივაძის სახელს (მანამდე დაიბეჭდა ქართული მუსიკალური თხზულების პირველი ნიმუში - დავით ერისთავის „პოპური ფორტეპიანოსათვის“ (1873 წ.), მიხეილ მაჭავარიანის მიერ გამოცემული კრებული „ჩემი სამშობლოს ხმები“, მაგრამ ორივე მათგანი უკავშირდებოდა ქალაქურ ფოლკლორს., გლეხური ფოლკლორის ნიმუშები კი პირველად მ. ბალანჩივაძემ გამოამბეურა. მან 1882 წელს ნოტებზე გადაიტანა ჩვიდმეტი ხალხური სიმღერა. პირველმა ქართულმა მცირერიცხოვანმა გუნდმა კი, რომელიც შექმნა ხარლამპი სავანელმა 1873 წელს, (მისი კონცერტი გაიმართა 1874 წლის 24 აპრილ) მისცა ბიძგი მელიტონ ბალანჩივაძეს თავადაც 1882 წელს დაეარსებინა თორმეტკაციანი გუნდი და 1883 წელს თბილისის არწრუნის თეატრში წარსდგა საზოგადოების წინაშე, სადაც შესრულდა სწორედ მისი ჩაწერილი ჩვიდმეტი ხალხური სიმღერა. მელიტონის გარდა მონაწილეობდნენ ზაქარია ჩხიკვაძე, ლეო ცისკარიშვილი, ილია კიკნაველიძე. კონცერტს დაესწრნენ ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვები.

ზემოთ ვახსენეთ ქართული პროფესიული მუსიკის „ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“, რომლის არსებობაც თავდაპირველად (60-იან წლებში) ფაქტობრივად მხოლოდ კონკრეტული საკითხების დასამაში გამოიხატა. რაც შეეხება მათ განხორციელებას, ეს უკვე შემდგომში, 80-იან წლებში (1884 წ. ქუთაისი) გახდა შესაძლებელი და ხაზგასასმელია, რომ აქაც უკვე ფიგურირებს მელიტონ ბალანჩივაძის სახელი. მაშინ „ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“ მიზნად დაისახა ქართული საგალობლების პატრონობა და დასავლეთ საქართველოს ნიმუშების ჩაწერა თხოვა ფილიმონ ქორიძეს, რომლის როლი და დამსახურება ქართული სასულიერო მუსიკის სფეროში დღეს საქვეყნოდ ცნობილია. თავდაპირველად, როდესაც ფ. ქორიძე შეუდგა ამ უდიდეს საქმეს - საგალობლების ნოტებზე გადატანას, მას გვერდით ედგა მელიტონ ბალანჩივაძე. მეტიც, თვით ფ. ქორიძის სიტყვებით, მელიტონი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც მასზე გავლენა მოახდინა მაშინ, როდესაც ის ყოყმანობდა, დასდგომოდა თუ არა ამ მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას: „თუკი მე ბოლოსდაბოლოს მოვეკიდე ამ საქმეს ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშების შეგროვებასა და დამუშავებას, დიდი წვლილი ამაში მიუძღვით ჩემს მეგობრებს: მელიტონ ბალანჩივაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს.

...მათ რჩევამ და დაუჩინებლმა თხოვნამ გამოიღო ეს ნაყოფი, ამ თამამი ნაბიჯის შეფასება კი მომავლის საქმეა „[ხუჭუა, 1950: 11]. ამ სიტყვებით ამავე დროს დასტურდება მელიტონის უშუალო კავშირიც თერგდალეულებთან, მაგრამ, რაც მთავარია, მისი როლი ამ საქმეში განსაკუთრებულია. რომ არა მ. ბალანჩივაძე, შეიძლება ფ. ქორიძეს არც გაეხედია ამ საქმეზე ფიქრი. მან არამხოლოდ რჩევითვის, არამედ დახმარებისთვისაც მიმართა მელიტონს. ამ მიზნით ფ. ქორიძე და მ. ბალანჩივაძე 1883 წელს ერთად გაემგზავრნენ ქუთაისს. აქ ჩამოაყალიბეს მცირერიცხოვანი გუნდი, რომელიც ხალხური საერო და სასულიერო მუსიკის ნიმუშების ჩინებული მცოდნეებისაგან შედგებოდა. სამი წლის განმავლობაში მელი-

ტონი მუშაობდა გუნდთან, ფილიმონი კი მეუღლესთან, პიანისტ ზ. ვორობეცთან ერთად იწერდა გუნდის მიერ მომზადებული სიმღერებს.

ზემოთაღნიშნული ორი ეპოქის დამაკავშირებელ, ერთ-ერთ გადამწყვეტ მოვლენას წარმოადგენდა ლადო აღნიაშვილის გუნდის „ქართული ხოროს“ დაარსება. ესეც მოხდა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში. ამ დროს უკვე მომწიფდა ნიადაგი მუდმივი ეთნოგრაფიული გუნდის ჩამოყალიბებისათვის და ესეც კონკრეტულმა პიროვნებამ, ამ შემთხვევაში დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ლადო აღნიაშვილმა ითავა. ეროვნული გუნდის დაარსება ტირანიისა და დესპოტიზმის ხანაში მისი დიდ გაბედულების, რუდენებისა და ძალისხმევის შედეგი გახლდათ. ლადო აღნიაშვილმა სვანგებოდ ჩეარჩია და თავის ხარჯით ჩამოიყვანა თბილისში მომღერლები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან იმისათვის, რომ გუნდს მრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონოდა. მან ლობტარად მოიწვია ჩეხი მომღერალი რატილი. აღნიაშვილის პოლიტიკა გამიზნული იყო იქითკენ, რომ მშობლიური მუსიკალური ფოლკლორი ერთიან მხატვრულ მოვლენად ყოფილიყო აღქმული.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ხოროს“ გარშემო ამ სამი კომპოზიტორის - მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის სახელი ტრიალებს, თუმცა სხვადასხვანაირად.

„ქართული ხოროს“ შექმნის წინაპირობასა უკავშირებენ მელიტონ ბალანჩივაძს სახელს. საქმე ეხება ზემოთხსენებულ 1883 წელს მელიტონ ბალანჩივაძს მიერ შედგენილი თორმეტკაციანი გუნდის კონცერტს, რომელსაც დაესწრნენ ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვები. როგორც პავლე ხუჭუა წერს “ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ეროვნული მუსიკის აღორძინება ქართველი ხალხის ამ მოწინავე წარმომადგენლებს უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდათ. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა ეროვნული კულტურის დიდმა მოტრფიალემ, ჭეშმარიტმა პატრიოტმა ლადო აღნიაშვილმა, როდესაც 1885 წელს საკმაოდ მოზრდილი ეთნოგრაფიული გუნდი ჩამოაყალიბა“ [ხუჭუა, 1974: 47}. შემდგომში მელიტონ ბალანჩივაძეს თავადაც მოუწია ამ გუნდის ლობტარობა. მოხდა ისე, რომ 1888 წელს რატილი აღნიაშვილის გუნდს ჩამოსცილებია. ამას შემდეგნიად ხსნიან: „რატილის ჩამოცილება აღნიაშვილის გუნდისაგან თავადაზნაურობის ინტრიგების შედეგად მომხდარა, რადგან იგი არაქართველი იყო. ამან „ხოროს“ საქმიანობით დაინტერესებულ პირებში სინანული და გულისწყრომაც კი გამოიწვია, რასაც ერთგვარი პოლემიკა მოჰყვა პრესაში“ [ბერიძე, 2010: 177] და ამ დროს უდგება ამ გუნდს სათავეში მელიტონ ბალანჩივაძე.

„ქართულ ხოროს“ კონცერტზე მიღებული შთაბეჭდილება გადამწყვეტი აღმოჩნდა ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისეული გზის წარმართვაში. 1887 წელს ქუთაისიდან თბილისში ჩამოსული ძმები ივანე და ზაქარია ფალიაშვილები დასწრნენ „ქართული ხოროს“ კონცერტს, რამაც იმდენად დიდი შთაბეჭდილება დატოვა, რომ სურვილი გაუჩნდათ აუცილებლად გამხდარიყვნენ მისი წევრები. ზაქარია, ფაქტობრივად, მთელ ეროვნულ ფოლკლორს გაეცნო. აქ გაუჩნდა მას ხალხური სიმღერების შეგროვების,

შესწავლისა და დამუშავების სურვილი. რაც მთავარია, ის ეროვნული იდენტობის შეგრძნება, რაც არსებითი გახდა მთელ მის შემოქმედებით გზაზე.

17 წლის იყო დიმიტრი არაყიშვილი, როდესაც ქალაქ არმავირში, სადაც ის ცხოვრობდა, ჩამოვიდა აღნიაშვილის გუნდი. ის ძმასთან ერთად დაესწრო კონცერტს, რამაც მის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. როგორც თავად ამბობდა: „როცა გუნდმა ქართული სიმღერები წამოიწყო, გულწრფელ აღტაცებაში მოვედი. დამებადა სურვილი თვითონაც შემეთხზა. ამრიგად, ამ გუნდის კონცერტი იყო პირველი ბიძგის მომცემი ჩენი შემოქმედებითი მუშაობის დაწყებისათვის,“ [ბეგიჯანოვი, 1955: 10}.

ამგვარად, აღნიაშვილის გუნდთან არის დაკავშირებული ამ კომპოზიტორების პირველი შეხება ეროვნულ მუსიკალურ ფოლკლორთან, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდება არამხოლოდ მათ ცხოვრებაში, არამედ საერთოდ, ახალი ქართული პროფესიული მუსიკის მომავლისათვის.

ისტორიისათვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუნდის პირველი კონცერტი, რომელიც ჩატარდა 1886 წლის 15 ნოემბერს და გამომხატურება, რომელიც მას მოჰყვა. ამ გამომხატურებათა შორის მეტად ფასეულია და იმთავითვე საგულისხმოდ იქნა მიჩნეული ილია ჭავჭავაძის წერილები გაზეთ „ივერიაში“ (18 ნოემბერი, 250, 19 ნოემბერი, 251). აღსანიშნავია „ივერიის“ კორესპონდენტის მიხეილ ყიფიანის (სპირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით) სიტყვები: „მე იმ კონცერტზედ ქართული ოპერის სუნი მომედინა: ვინ იცის რამდენმა სხვადასხვანაირმა ფიქრმა და ოცნებამ გაირბინა ჩემს ტვინში, როდესაც ყურს ვუგდებდი რატილის ხოროს სიმღერებს. იქნებ დადგეს ის დრო, რომ ქართულ ენაზეც დაიწეროს ოპერის მსგავსი რამ ჩვენის ძველმატიანეთაგან...“ [ხუჭუა, 1974 : 47, 48}. ეს დრო კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადგა სა-

ქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად. ამ დროს დასმული საკითხების განხორციელების მონაწილეც ხდება ზემოთ დასახელებული სამი კომპოზიტორი.

მაგრამ რა გზას გადის ქართული მუსიკა - ეროვნული ოპერის დაბადებამდე? საქართველოში კლასიკური მუსიკის განვითარებამ, საერთოდ, ევროპულ და რუსულ მუსიკალურ კულტურასთან ზიარებამ დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგიც გამოიღო. საზოგადოების დიდ ნაწილში გაჩნდა ნიჰილიზმი. ევროპული მუსიკით ატაცებულებისთვის მიუღებელი გახდა არათუ მხოლოდ ეროვნული ჰანგები, არამედ ქართული თეატრისადმიც კი აიცრუეს გული. აქედან გამომდინარე, შეიქმნა ბრძოლა საზოგადოებრივ ცნობიერებასთან, მას აჩაღებენ პიროვნებები... ეს ბრძოლაც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. აკაკი წერეთელმა მთელი რიგი წერილებით გაილაშქრა ამ ტენდენციის წინააღმდეგ, როგორც ის წერდა “უმეტესობას ზურნა-ჭიანური ურჩევნია, ფორტეპიანოსა და შოპენის მელოდიებზე უბრალო „ტიპტი-პიტო“ უფრო მოსწონს, მაგრამ ვერ ბედავს გამხელას, არ შევრცხვეთ და სხვების აყლით, აქებს და ადიდებს იმას, რაც არც იცის და ვერც შეიგნებს. - აბა დაუკარით და მოასმენინეთ ვაგნერის მუსიკა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ უთხარით: ‘ეს უბრალო ვისმეს შეთხზულიაო’ - თუ მაშინვე არ დაიწუნოს“ (ი. ბახტაძე, გვ. 68). ამ პერიოდში აღექვსანდრე ცაგარელი წერდა: „ამისთანა ქართველს ინი-ბინიც არ ეყურებოდეს, არც მუზიკის კილოსი, არც გალობის და არც იტალიური ენისა... ერთი ჰკითხოს კაცმა ზოგიერთ ჭკვიან ქართველს: ქართული წარმოდგენის დროს ფეხებზედ ინას რას იდებენ და ოპერისათვის კი ავათაც რომ იყვნენ... გასწევნ ტუსტუსით... ქართული წარმოდგენის უკადრისობა ქართულისაგან არის თავის თავის მასხრად აგდება“ [ბახტაძე, 1980: 67]. ეს ბრძოლა გრძელდება ათწლეულები. ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეული იყო ქართველი მუსიკოსებისთვის, ვისი მოღვაწეობის ძირითადი მიზანი ქართული პროფესიული მუსიკის საფუძვლების შექმნა იყო, რისთვისაც აუცილებელი იყო სინთეზი - ევროპულისა და ეროვნული მუსიკის ელემენტების. ბრძოლას განაგრძობენ პიროვნებები, ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ამ ბრძოლის ია კარგარეთელთან, ფილიმონ ქორიძესთან, მელიტონ ბალანჩივაძესთან, ზაქარია ფალიაშვილთან, მოგვიანებით კოტე ფოცხვერაშვილთან ერთად არის იმ დროისათვის რუსეთში მცხოვრები დიმიტრი არაყიშვილი, რომელიც 1898 წელს წერდა: „უმთავრესი უბედურება კი ის არის, რომ ვერდის გარდა ჩვენში ძალიან გავრცელებულია უმსგავსი და სალახანური მუსიკა; განსაკუთრებით ქალბატონ გიტარისტებისა და მუსიკალურ გემოვნება მოკლებული ყმაწვილკაცების წყალობით“ [ხუჭუა, 1974:66]. რაც შეეხება კონკრეტულ ქმედებებს, სწორედ პიროვნებები იღებენ გადაწყვეტილებას, რომ შეიქმნას ორგანიზაცია, მსგავსი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, რომელიც მიმართული იქნებოდა მუსიკის სფეროში ეროვნული მიზნების გასატარებლად. ეს არის „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, რომლის დამაარსებლები და მესვეურები არიან სწორედ ის პიროვნებები, რომელთა თავდადებითა და ძალისხმევით შეიქმნა წინაპირობა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის დაბადების, ქართული პროფესიული მუსიკის ჟანრების წარმოქმნის. ეს პიროვნებები არიან: ზაქარია ჩხიკვაძე, ია კარგარეთელი, გიორგი ნატრაძე, მათთან ერთად იყო ზაქარია ფალიაშვილი. „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენდა: ქართული ხალხური სიმღერების შეკრება, ჩაწერა, გამოცემა, ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის პროპაგანდა, ქართული სამუსიკო სკოლის დაარსება, ქართულ ენაზე ოპერების გამართვა.

მაშინ, როდესაც „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ წევრები ეროვნული მუსიკალური იდენტობის დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ, მომავალი კლასიკოსი კომპოზიტორები - მელიტონ ბალანჩივაძე და დიმიტრი არაყიშვილი ასევე ეროვნული იდეებით დამუხტულები იღვწოდნენ, ოღონდ საქართველოს გარეთ.

ზემოთ აღვნიშნეთ მელიტონ ბალანჩივაძის წვლილის შესახებ ეროვნული მუსიკალური ხელოვნების ქმნადობის პროცესში. ეს ეხებოდა მის რუსეთში წასვლამდე პერიოდს. უნდა ითქვას, რომ მელიტონ ბალანჩივაძე რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების დროსაც აგრძელებდა მოღვაწეობას ქართული სამუსიკო ხელოვნების სასარგებლოდ, ხოლო საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას იგი ახდენდა სწორედ „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ მეშვეობით.

თავისთავად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი მესაძირკვლის დიმიტრი არაყიშვილის ფენომენი იმდენად, რამდენადაც საქართველოს გარეთ დაბადებული და გაზრდილი, იმგვარი მენტალობითა და სულისკვეთებით აღიჭურვა, რომ იმთავითვე მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარ სამზისად ქართული მუსიკის, ქართული კულტურის ინტერესები იქცა.

დიმიტრი არაყიშვილის მოსკოვში ხანგრძლივი ცხოვრებისას მისი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშების მოპოვება და კვლევა. 1901 წელს მოსკოვის ფილარმონიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ ის ინტენსიურად იწყებს ჩამოსვლას საქართველოში ექსპედიციების მოსაწყობად. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამ ექსპედიციების შედეგად მან შეკრიბა და ჩაწერა 500-მდე სიმღერა, მაგრამ მაინც ყველაზე მთავარი ის არის, რომ დ. არაყიშვილი პირველი სვამს ქართული მუსიკალური ფოლკლორის უნიკალურობის, მისი კვლევისა და შესწავლის საკითხს.

აღსანიშნავია დიმიტრი არაყიშვილის მოღვაწეობის კიდევ ერთი მიმართულება: მოსკოვში ცხოვრების პერიოდი მის ერთ-ერთ ძირითად მოწოდებად იქცა საგანმანათლებლო საქმიანობა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვის სახალხო კონსერვატორიის დაარსებაში (ს. ტანევეთან, ბ. იავორსკისთან, კ. ივუნოვთან, ა. გოლდენვეიზერთან ერთად). თუკი დ. არაყიშვილს, როგორც ხალხური მუსიკის მოამაგესა და მკვლევარს ჰქონდა საშუალება მანძილიდანაც ეღვაწა ქართული ფოლკლორული მუსიკის სასიკეთოდ, განათლების სფეროში ამ პირობებში ის, ცხადია, ვერ შესძლებდა თავისი ძალები მიემართა საქართველოში სამუსიკო განათლების გასანვითარებლად. საამისოდ აუცილებელი იქნებოდა ფიზიკურად მისი საქართველოში ყოფნა. საერთოდ, მისი საქართველოში ყოფნა იყო საჭირო, რომ მთელი თავისი რესურსი ეროვნული მუსიკის ასაღორძნებლად მიემართა.

ამ პერიოდში (საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებამდე) ამ სამი კომპოზიტორიდან ზაქარია ფალიაშვილი იღვწოდა საქართველოში, ის გახლდათ „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ძალზე აქტიური წევრი. მისი საზოგადო მორვაწილობრივი მხარე დიდწილად სწორედ ამ ორგანიზაციას უკავშირდება. ის საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად აყალიბებს და სათავეში უდგება ფილარმონიული საზოგადოების გუნდს, ასევე სათავეში უდგება ამავე საზოგადოების სამუსიკო სკოლას, ამ საზოგადოების ხელშეწყობით ახერხებს საქართველოს კუთხეებში მოგზაურობას ხალხური სიმღერების ნიმუშების ჩასაწერად, იპოლიტოვ-ივანოვის ჩაწერილი საგალობლების გაცნობას. როგორც შალვა კაშმაძე წერდა - ფალიაშვილის მიუხედავად დიდი დატვირთულობისა, დიდ მუშაობას ეწეოდა ფილარმონიული საზოგადოების ახლად გაჩაღებულ საქმიანობაში და სრულიად უანგაროდ! ამდენად ფალიაშვილი თავად წარმოადგენს იმ პერიოდის საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში ეროვნული იდეების გამტარებელი ორგანიზაციის ერთ-ერთ სახეს.

დიმიტრი არაყიშვილს, ისევე როგორც მელიტონ ბალანჩივაძეს, რუსეთში მოღვაწეობის პერიოდშიც ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან და ამ კავშირის კოორდინირებას ახდენდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“. საზოგადოების წევრთაგან მაინც ზაქარია ფალიაშვილს ჰქონდა მათთან ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა. ზაქარია მიმართავდა მათ რჩევებისთვის, სთხოვდა თავიანთ ნაწარმოებებს დასაბეჭდად. საქმის კურსში იყო მათი საქართველოში დროებით ვიზიტებთან დაკავშირებით.

მელიტონ ბალანჩივაძესა და დიმიტრი არაყიშვილის საბოლოო ჩამოსვლა საქართველოში კი ხდება მაშინ, როდესაც პოლიტიკური პროცესები საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებით გვირგვინდება. მაგრამ საგულისხმოა მანამდე მიმდინარე მოვლენები: 1913 წელს „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“ პირველად წარმოადგენს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“, ფრაგმენტებს. ამავე 1913 წელს დიმიტრი არაყიშვილი ორჯერ ჩამოდის საქართველოში, კითხულობს ლექციებს ქართული ხალხური მუსიკის თემაზე, საზოგადოება ეცნობა მის ნაწარმოებებს, - რომანსებს, საორკესტრო ქმნილებებს, რაც მთავარია, ამ დროს სრულდება პირველად ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ფრაგმენტები“. აღსანიშნავია, რომ საორკესტრო ნაწარმოებების შესასრულებლად იკრიბება სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობა, ამგვარად, დიმიტრი არაყიშვილის საორკესტრო ნაწარმოებების შესრულებით საფუძველი ეყრება ქვეყანაში ეროვნული სიმფონიური ორკესტრის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ 1914 წელს დ. არაყიშვილი თბილისის სახაზინო თეატრს წარმოუდგენს თავისი ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დასრულებულ ვერსიას, მაგრამ პასუხად სრულ უგულებელყოფას აწყდება და ეს გრძელდება იქმდე, სანამ არ იცვლება ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება.

საერთოდ, მელიტონ ბალანჩივაძეც და დიმიტრი არაყიშვილიც საქართველოს გარეთ იმყოფებიან ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შეცვლამდე. ორივე მათგანის საქართველოში ჩამოსვლის ორგანიზებას კი ახდენს „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“. მიზანმიმართულად წამართავს ეს საზოგადოება პროცესებს, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იკვეთება ზაქარია ფალიაშვილის ორგანიზატორული როლიც.

ზაქარია ფალიაშვილი 1914 წელს „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ სხდომაზე სვამს საკითხს ქუთაისში მუსიკალური სკოლა-სასწავლებლის გახსნის შესახებ. 1917 წელს მელიტონ ბალანჩივაძე ჩამოდის საქართველოში, რათა „ფილარმონიული საზოგადოების“ კრებაზე წარმოადგინოს ქუთაისის სკოლა-სასწავლებლის პროექტი. 1918 წლის შემოდგომაზე კი მელიტონ ბალანჩივაძე მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტ, პიანისტ ლარისა ქუთათელაძესთან ჩადის ქუთაისში, სკოლა-სასწავლებლის დასაარსებლად. სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა მ. ბალანჩივაძე, მოადგილე დ. ქუთათელაძე. მოკლე ხანში აქ ჩამოყალიბდა სიმფონიური ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, ვოკალური კვარტეტი, აგრეთვე პედაგოგთა სიმებიანი კვარტეტი. 1919 წლის 2 თებერვალს პირველი საჩვენებელი კონცერტი გაიმართა, სადაც ამავე დროს სასწავლებლის გახსნა გამოხცადა. (ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სასწავლებელი, 2000, 9-11).

ამ დროს, სწორედ 1918 წელს პოლიტიკური პროცესების ფონზე ხდება „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ რეორგანიზება „ქართულ მუსიკალურ საზოგადოებად“ და მის ბაზაზე არსებული სკოლის დირექტორი ზაქარია ფალიაშვილი გადააწყავთ ახლადდაარსებული თბილისის კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო მის ადგილას იწვევენ დიმიტრი არაყიშვილს. ფაქტობრივად, ამ გზით, საგანმანათლებლო ხაზით, „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ ინიციატივით. ბრუნდება და მკვიდრდება დიმიტრი არაყიშვილი საქართველოში.

ზაქარია ფალიაშვილი კი კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შესრულებას იწყებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების წელს – 1918 წელს. ამ დროს მას ეძლევა საშუალება ღიად გამოაცხადოს დასახული ამოცანები, რაც მიმართული იქნება ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის შესაქმნელად. მისი მიზანია შეიქმნას ბაზა ევროპული საკომპოზიტორო სისტემის დასაფუძვლად, ამავე დროს ეროვნული საწყისის გასათავისებლად. ის სვამს საკითხს ამ უმაღლეს სასწავლებელში ეროვნული პოლიტიკის გატარების შესახებ.

ამავე, 1918 წელს ნიკო სულხანიშვილის ხელმძღვანელობით იმართება ქართული სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდის კონცერტი. ეს არის პირველი კონცერტი, რომლის პროგრამაც მთლიანად ქართული ნაწარმოებებისგან შედგება.

1918 წელს (21 მაისს) ქართული კლუბის სცენაზე იმართება ქართული ოპერის პრემიერა, ეს არის რევაზ გოგინიაშვილის „ქრისტინე“. ერთ თვეში, 17 ივნისს მას უკვე ოპერის თეატრში წარმოადგენენ. ეს არის, ფაქტობრივად, პირველი ქართული ოპერის პრემიერა. თუმცა ქართული ოპერის დაბადების წლად მომდევნო – 1919 წელი იქცევა, როდესაც თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე იმართება სამი ქართული ოპერის პრემიერა: 5 თებერვალს – დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 21 თებერვალს მ. ფალიაშვილის „ახსალთ და ეთერი“, 11 დეკემბერს ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“.

საყურადღებოა, რომ ზემოთ წარმოდგენილ ოპერებს შორის არ არის მელიტონ ბალანჩივადის ქმნილება, მაშინ, როდესაც მისი ოპერის „თამარ ცხივირის“ ფრაგმენტები 1897 წელს იქნა შესრულებული პეტერბურგში და ეს იყო პირველი განაცხადი, ერთგვარი ანონსი პირველი ქართული ოპერის. მას შემდეგ კომპოზიტორს ნაწარმოებზე მუშაობა გაუჭიანურდა. საყურადღებოა, რომ მელიტონ ბალანჩივადის პირად არქივში, რომელიც ინახება თბილისის თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში, არსებობს ლიბრეტოს ავტორის კოტე ფოცხვერაშვილის წერილი ლექსის სახით, სადაც იგი კომპოზიტორს თხოვს დანაპირების შესრულებას, ანუ ოპერის დამთავრებას. საგულისხმოა, რომ ეს წერილი თარიღდება 1919 წლის 15 მარტით, ე. ი. კომპოზიტორს სწორედ ამ დროისთვის აჩქარებენ, თხოვენ ოპერის დასრულებას. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ კოტე ფოცხვერაშვილიც მოიპოვებდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ წევრად. ამდენად, ამ წერილით, შეიძლება ითქვას, ხაზი ესმევა ისევე ამ ორგანიზაციის მიზანმიმართულ მუშაობას ქართული საოპერო ნიმუშების შესაქმნელად, გამოსამზებლად სწორედ ამ დროს – საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ 1918-19 წლებში დიდი ძალისხმევით გადგება საჭირო მიზნის მისაღწევად. ოპერის თეატრის სათავეებთან მოსულ კომისიის თანამდებობაზე მყოფ რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას და ანტონოვიჩი-ერ სერგო ევლახიშვილს იმდენად კრიზისული სიტუაცია დახვდათ, რომ საკითხი იდგა თეატრის საერთოდ დახურვაზე. ამის შემდეგ კი მდგომარეობა ისე შემოტრიალდა, რომ სწორედ მომდევნო – 1919 წელი იქცა ქართული ოპერის ყველაზე დიდ გამარჯვების წლად.

1919 წელს სამი ქართული ოპერის დადგმა კი იყო დაგვირგვინება ეროვნული პროგრესული ძალების, „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“, ჩვენი კომპოზიტორების ხანგრძლივი მიზანდასახული მუშაობის მოღვაწეობრივი თუ შემოქმედებითი მიმართულებით, ეროვნული მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად და საზოგადოების წინაშე წარსადგენად.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ქართული და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების კულტურის, ხელოვნების დარგების კვლევა იდეოლოგიურ პრიზმაში. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის აღნიშვნამ მოახდინა ინსპირაცია კვლევის კონკრეტულად 1918-21 წლებთან მიმართებაში – თუ რა მდგომარეობაში იყო საქართველოში ხელოვნების ესა თუ ის სფერო დამოუკიდებლობის მიღებამდე, დამოუკიდებლობის პერიოდში, როგორ წარიმართა პროცესები უკვე საბჭოთა ანექსიის შემდეგ და რა გზა შეიძლება დაჰყოფიდა დამოუკიდებლობის შენარჩუნების შემთხვევაში. ფაქტია, რომ ამ მცირე პერიოდში გარდატეხა მოხდა საქართველოს მუსიკალური ცხოვრებაში, მას გამოკვეთილად ეროვნული მიმართულება მიეცა. თუმცა შემდგომში იდეოლოგიურმა სისტემამ კიდევ შეაფერხა, შეიძლება მიმართულებაც შეუცვალა ქართულ პროფესიულ მუსიკას, მაგრამ ისევე 1918-21 წლის შედეგები აღმოჩნდა მყარი ნიადაგი ყველა დროის ქართული პროფესიული მუსიკისათვის. მისი საფუძვლების შექმნაში კი გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართველმა კლასიკოსმა კომპოზიტორებმა: მელიტონ ბალანჩივადიმ, დიმიტრი არაყიშვილმა, ზაქარია ფალიაშვილმა.

დამონებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე ინგა, 1980, „ქართული მუსიკალურ-ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“, თბილისი
2. ბეგიჯანოვი არჩილი, 1955, „დimitრი არარყიშვილი“, თბილისი, „ხელოვნება“
3. ბერიძე ციური, 2010, „ვლადიმერ(ლადო) აღნიაშვილი“, თბილისი, „საქართველოს მაცნე“
4. დონაძე ვლადიმერი... 1990, ქართული მუსიკის ისტორია, თბილისი, „განათლება“
5. კაშმაძე შალვა, 1948, „ზაქარია ფალიაშვილი“, თბილისი, „ხელოვნება“
6. გუბელაძე მარინა და სხვები, 2000, „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სასწავლებელი“
7. წულუკიძე ანტონი, 1971, „ქართული საბჭოთა მუსიკა“, თბილისი
8. ხუჭუა პავლე, 1950, „მელიტონ ბალანჩივაძე“, თბილისი
9. ხუჭუა პავლე, 1974, „ზაქარია ფალიაშვილი“, თბილისი, „ხელოვნება“

TAMAR TSULUKIDZE

The Union of the Museums Tbilisi City Hall

THE PROCESS OF CREATING THE NEW GEORGIAN PROFESSIONAL MUSIC. THE WORK OF GEORGIAN COMPOSERS M. BALANCHIVADZE, D. ARAKISHVILI, Z. PALIASHVILI

SUMMARY

The Question of how the country of so much musical potential and ancient musical culture as Georgia gave birth to the genres of classical music so late? The answers are following: For a long time, Georgia fought for survival, enduring the attacks of larger nations. That is why a huge gap between centuries has been created since priceless works were created in the fields of folk and spiritual music.

The question of creation of the new Georgian music is created in the 1860's and the practical steps are made in the 80's of the same century, whilst concrete achievements are made in the beginning of the 20th century – from 1918 to 1921.

The main goal from the very start was the creation of the national compositional art, which required merging the national foundations with European musical system.

The prolonged work of the national progressive forces, “Georgian Philharmonic Society” and of Georgian composers in creative terms has been finalized in 1919, when three operas were staged at the Tbilisi Opera Theatre.

Moreover, the achievements made from 1918 to 1921 turned out to be a strong foundation for Georgian professional music in each of the following decades.

The work deals with the role of the national progressive forces represented by the Georgian Composers – **Dimitri Arakishvili, Meliton Balanchivadze, Zakaria Paliashvili**- in the processes mentioned above.

ნორჯი თოთაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის პოლიტიკა 1918-1921 წწ. (სააკიპო ლუკაშვილის მიხედვით)

2018 წელს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან ასი წელი შესრულდა. სხვადასხვა კვლევის საგანთან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორი პოლიტიკა ტარდებოდა კულტურაში იმ დროის საქართველოში;

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის პოლიტიკა, კულტურისა და ხელოვნების საკითხები 1918-1921 წლებში. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს 1918-1921 წლებში საქართველოში კულტურისა და ხელოვნების სფეროში არსებული საკითხები; გამოკვეთოს სახელმწიფო პოლიტიკა, მიდგომები, ასევე ამ სფეროში მოღვაწეთა იდეები; წარმოადგინოს ის ძირითადი რეფორმები, ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც გატარდა ახლად შექმნილ სახელმწიფოში კულტურული ნიადაგის გასაძლიერებლად; ნაშრომში გვსურს გაარკვიოთ, რამდენად ემყარებოდა სახელმწიფო პოლიტიკა ტრადიციულ ქართულ კულტურასა და მისი განვითარების როგორი ხედვა არსებობდა იმ პერიოდში;

ამისთვის შევისწავლეთ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესაბამისი ფონდები; გამოვავლინეთ კულტურასა და ხელოვნებასთან დაკავშირებული სახელმწიფო დოკუმენტები, აქტები, დეკრეტები, დადგენილებები; წარმოვადგინეთ შესაბამის სფეროში მოღვაწეთა მოსაზრებები; განვიხილეთ კულტურის პოლიტიკის თეორიული მიდგომები და შესაბამისობა საკვლევ პერიოდთან;

კულტურის მეცნიერული განსაზღვრა სხვადასხვაგვარია. მათგან ყველაზე ზოგადი და ყველასათვის მისაღები დეფინიცია გულისხმობს კულტურის ისტორიულ მემკვიდრეობითობასთან, ტრადიციებთან, ღირებულებებთან დაკავშირებულ სისტემებს. მაგალითად, ალფრედ კრიობერი განმარტავს: „კულტურა ეს არის აღქმისა და რეაგირების სქემატიზებული და ეტალონური წესი, რომელიც იქმნება და გადაეცემა უმთავრესად სიმბოლოების მეშვეობით. კულტურის ბირთვს შეადგენს ტრადიციული (ისტორიულად შერჩეული და გადაცემული) იდეები და ამ იდეებთან დაკავშირებული ფასეულობები“ (20). ქართული კულტურა მარკირებულია ტოლერანტული ფასეულობებითა და ამავდროულად ძლიერი ეროვნულობის განცდით, რის შედეგადაც საუკუნეთა განმავლობაში ამ კულტურის მატარებელი ხალხი წარმატებით ებრძოდა სხვადასხვა დამპყრობელს და ახერხებდა ასიმილაციისგან თავის დაღწევას.

ამგვარ ასიმილაციას რუსეთის იმპერიის მხრიდან საქართველომ თავი დროებით 1918 წელს დააღწია. დაახლოებით ასწლიანი ზემოქმედების მიუხედავად, საქართველომ ისარგებლა შექმნილი პოლიტიკური პროცესებით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს ფაქტი, გარდა პოლიტიკური ნაბიჯისა, უდავოდ იყო ერის კულტურული მისწრაფებების გამოვლინება. ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ თვითორგანიზებისა და რეგენერაციის უნარის მქონე ხალხთან გვაქვს საქმე. გასათვალისწინებელია ავალიშვილის მოსაზრება: „მიუხედავად რუსიფიკატორული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ენერჯისა და გარეგნული წარმატებისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსათვის საკვებით შეუძლებელი იყო თავისი ეროვნული ცხოვრების მოგვარება, რუსეთთან შერწყმა მაინც არ მომხდარა“ [ავალიშვილი, 1990:14].

1918 წლისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა მძიმედ გამოიყურებოდა: დანგრეული იყო ეკლესია-მონასტრები, არ ფუნქციონებდა სხვადასხვა მუზეუმი, არ მიმდინარეობდა კულტურის მიმართულებით სათანადო კვლევები; მძიმე მდგომარეობაში იყვნენ თეატრისა და მუსიკის სფეროს მოღვაწენი. უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ამგვარი დაწესებულებების რუსული პროგრამებისგან განთავისუფლება და ეროვნული მიმართულების განსაზღვრა. შემდგომ უნდა დაწესებულიყო მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის აღნუსხვა, თავმოყრა, განახლება და განვითარება, ასევე

სამეცნიერო შესწავლა. ფინანსების სიმწირის მიუხედავად, ხელისუფლებამ ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა, თუმცა საბოლოოდ ვერ დასრულდა კულტურის პოლიტიკის დოკუმენტა შემუშავება და იმ გზის განსაზღვრა, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ახალი სახელმწიფო. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანას არც კონსტიტუციური მმართველობის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ კულტურული პრიორიტეტები აქაც გაითვალისწინეს.

იმ პერიოდში შექმნილი კონსტიტუციის უდავო მონაპოვრად უნდა ჩათვალოს საპარლამენტო მმართველობის შემოღება, ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრება, სიკვდილით დასჯის გაუქმება, სიტყვისა და რწმენის თავისუფლების, საყოველთაო საარჩევნო უფლების დაცვა (ქალთა და მამაკაცთა საარჩევნო თანასწორობა), ნაფიც მსაჯულთა და „ჰაბეას კორპუსის“ (habeas corpus) ინსტიტუტის შემოღება და სხვა. 1919 წელს მთავრობა ამგვარად აყალიბებდა თავის მიზანს: „მთავრობა მიზნად ისახავს, შექმნას პირობები ყველა ერის კულტურულ-ეროვნულ უფლებათა სრული უზრუნველყოფისა და მათი განვითარებისთვის. ჩვენს მდგომარეობას არ შეეფერება მართვა-გამგეობის ის რთული სისტემა, რომელიც „გვიანდერბა“ რუსეთის იმპერიამ“ [4,2].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ განსაზღვრა სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების პრინციპი და სეკულარიზმს მიანიჭა უპირატესობა. 142-ე მუხლი: „სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან“ (3). ასევე 143-ე მუხლი: „არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა“ (3). ამ პოლიტიკის გამოვლინებაა 1918 წლის 26 ნოემბრის კანონით სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვა. ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული პარტია შეეცადა სახელმწიფოს გამოყოფას ეკლესიის გავლენისგან და მისი დემოკრატიული პრინციპებით მოწყობას. რესპუბლიკის მეთაურები კარგად იაზრებდნენ ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმი საზოგადოების ინტერესებსა და მნიშვნელობას სახელმწიფოს შენების გზაზე: „მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ კუთხეების შემოერთება და კულტურული აღორძინება აუცილებელი პირობაა ჩვენი რესპუბლიკის ნორმალური განვითარებისა და თვით არსებობისა“ [4,2].

მთავრობის დეკლარირებულ პრინციპთაგანია დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერება. კონსტიტუციის 98-ე მუხლი განმარტებულია: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის ამავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ-განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში“ (3). კონსტიტუცია განმარტავდა, „ყველას აქვს უფლება წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე“ (129-ე მუხლი), სახელმწიფო კი ეროვნულ უმცირესობებს დაეხმარება ფინანსურად.

სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდაა მიჩნეული მმართველი ძალის - სოციალ-დემოკრატიული პარტიის - ეროვნული კულტურის ნიადაგზე სუვერენული სახელმწიფოს შექმნის თავდაპირველი სურვილი. ზემოაღნიშნული კონსტიტუციის მუხლები განსაკუთრებით არ გამოარჩევდა ქართულ კულტურას და ზოგადადც ორიენტირებული იყო მეტად სოციალურ საკითხებზე; ასევე ფაქტია ისიც, რომ იმ პერიოდის მწერლობის, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების პრიორიტეტი იყო ეროვნული სულის, მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ისტორიული ტრადიციების აღდგენა-განვითარება, რაც ამ დარგებში მოღვაწე ადამიანების დამსახურებად მიგვაჩნია. განსაკუთრებით დიდია სახელმწიფო პოლიტიკის ვექტორების განსაზღვრაში უნივერსიტეტის როლი. მათი მთავარი საზრუნავი ეროვნული საკითხის გადაწყვეტისას იყო ილია ჭავჭავაძის დევიზი — მამული, ენა, სარწმუნოება [ლილეუაშვილი, 2006:97]. სოციალ-დემოკრატების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არა მარტო მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურის სფეროს მოღვაწეებთან, არამედ მათ მოთხოვნებსაც ხშირად იზიარებდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებისთანავე დაიწყო კულტურული მნიშვნელობის ობიექტების დაარსება, აღდგენა და განახლება. განათლების სამინისტროდან ნ. ცინცაძემ წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც ითხოვდა ხაზინიდან 1.000.000 მანეთს ძვირფასი ნივთების შესაძენად. ამავდროულად გამოიცა დეკრეტი ძველი სახუროთმოძღვრო ძეგლების შეკეთება-დაცვისთვის 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ [5,539]. ხელოვნების კომისია განმარტავდა, რომ ინგრევა ჯვარის მონასტერი, მცხეთის სობორო, ჯრუჭის მონასტერი, ბეთანია, ფიტარეთი, წულრულა-შენი, ბოლნისი და სხვა მრავალი. კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ კულტურას და წარმოადგენს ზემოაღნიშნულ დეკრეტს [6,2].

1920 წლის მარტში, ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენების შემდეგ, ხელოვნების კომისიამ ისტორიულ-არქეოლოგიური და ხელოვნური მნიშვნელობის ძეგლების შეგროვება და თავმოყრა გადაწყვიტა [8,158-159]. 1920 წლის 21 მაისის მოხსენებაში ექვთიმე აღწერს შემოქმედის მონასტრის ავაზაკების მიერ გაძარცვას. გადარჩენილი და გაფუჭებული ნივთები ოზურგეთის ხაზინაში გადაუტანიათ.

1919 წლის ნოემბერში მიიღეს დეკრეტი დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისთვის წიგნების შესაძენად 1.000.000 მან. გადადების შესახებ [8,255,257]. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ნიკო ნიკოლაძის ბიბლიოთეკის შექმნა. ამავე დროს, გამოიცა დეკრეტი სასახლის შესაკეთებლად 9 მილიონი მანეთის გადადების შესახებ [5,546]; ასევე სახელმწიფოსგან 1919 წელს გამოყოფილი 100.000 მანეთით ხელოვნების კომისიამ შეიძინა ძვირფასი ნივთები და თავი მოუყარა დიდუბის (ხომ?) ტაძარში. კომისიამ ქართველ ხელოვანთა გარდა, შეიძინა სომეხ და რუს ხელოვანთა სურათებიც [9,147].

1919 წელს გადაწყდა აბასთუმნის კურორტის განახლება. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი აღნიშნავს: “როგორც ეს არა ერთხელ მომხსენებია მთავრობისათვის, ჩვენი ახლანდელი ფინანსური მდგომარეობის გამო, ჩვენ იძულებული ვართ ბევრ ისეთ ხარჯზე უარი ვთქვათ, რომელიც შეიძლება საზოგადოებრივ მიზანშეწონილი იყოს, მაგრამ აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდეს“ [10,12].

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ხელოვნების კომისიის ბრუნვაზე ქალაქის არქიტექტურული სტილის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ამ მიზნით საჭირო იყო ქალაქის ციხისა და ძველი სახლების შეკეთება-დაცვა, აგრეთვე ახალი შენობებისთვის ეროვნული სტილის გეგმის შემუშავება. გასათვალისწინებელია პეტ. გელიევიშვილის მოსაზრებაც: “ჩვენ ციხის სახეს ვერ დავიცავთ, ვერ შევინარჩუნებთ, ვერ შევინახავთ ვერც სხვა ასეთებს. ეს კი აუცილებლად საჭიროა, რომ ქალაქმა შეადგინოს ერთგვარი წრე არქიტექტორებისა და მათი საშუალებით შეიმუშაოს ერთგვარი ქართული სტილი გეგმებისა და მერმე ვაიძულოთ მდიდარი მოქალაქენი ამგვარ შენობების ასაშენებლად. ყველა ერს როგორათაც ფრანგებს, იტალიელებს, ფინებს და სხვებს უკვე აქვთ თავიანთი სტილი და ჩვენც მათ მივბაძოთ“ [11,32].

ახლად შექმნილ რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი, რაც დაარსდა, იყო სამხატვრო გალერეა და სამხატვრო სკოლა. მის გახსნასთან დაკავშირებით აქტიურობდა ხელოვანთა საზოგადოება და მისი ხელმძღვანელი დ. შევარდნაძე. ხელოვნების გალერეას უნდა შეეგროვებინა ხელოვნების ნიმუშთა (ხელოვნური ხასიათის) გაბნეული ნაშთები, რომლებიც წარმოდგენილი იყო კავკასიის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმებში, სასახლესა და სხვა დაწესებულებებში. ამ მიზნით მთავრობამ ასევე შეიძინა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მხატვართა სურათები (120.000 მანეთად ღირებული) და გადასცა ქართველ მხატვართა საზოგადოებას. სამხატვრო სკოლისთვის ხელოვანთა საზოგადოებასთან ერთად არქიტექტორმა პინცენბერგმა ეროვნული ქუჩაზე არსებული ყოფილი საჯინბოს შენობა შეარჩია და შეიმუშავა მისი გადაკეთების გეგმა.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების კომისია ბრუნავდა ახალგაზრდა მხატვრებზე. ამ მიზნით კომისიამ მთავრობის სტიპენდიით საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა მხატვრები. დიმიტრი შევარდნაძის მოხსენებაში ასევე საუბარია, რომ სიიდან ამოიღეს ირაკლი თოიძე, რადგან ის მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო იმ დროს და მისთვის განათლების შეწყვეტა საზიანოდ მიიჩნეოდა. მიუხედავად ამისა, დაადგინეს, რომ სტიპენდია მაინც მიეცათ სკოლის დამთავრებამდე, რადგანაც ხელ(მომჭირნე)მოკლე ოჯახიდან იყო.

მძიმე მდგომარეობაში იყო თეატრი და იქ მოღვაწე ხელოვანნი. 1919 წლის 26 აპრილის მსახიობთა კავშირის მიმართვიდან ჩანს, რომ 40 მსახიობი დარჩა უმუშევრად. მსახიობთა კავშირი ასევე მიმართავდა ფრაქციებს დახმარების თხოვნით; მსახიობები აღნიშნავდნენ, რომ უსამართლოდ მიანდნათ მათი წარმოდგენის აკრძალვა. 1919 წელს ვალერიან გუნია დასის შექმნას ცდილობდა. ფინანსურ პრობლემებთან ერთად აშკარა იყო თვისებრივი განახლების საჭიროებაც. არსებობდა დრამატული საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული თეატრის აღდგენა და სახელმწიფო სამსახურში ჩაყენება. იგი 1920 წლის 29 აპრილს შუამდგომლობით მიმართავს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას და ხელოვნების კომისია ერთვება თეატრის საქმეების მოგვარებაში. მისი ინიციატივით მოიწვიეს მცოდნე და დაინტერესებული სპეციალისტები, ასევე საზოგადო მოღვაწეები. კრებაზე ხელოვნების კომისიის წევრის ივანე გომართელისა და აკაკი ფალავას მოხსენებების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება ქართული თეატრის აღდგენის, განახლებისა და მისი გასახელმწიფოებრიობის შესახებ. ამ კომისიამ ხელოვანებთან ერთად შეკრიბა პიესები და გადაარჩია დასადგმელად [12,63].

არსებობდა მუსიკის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის წესდება შედგენილია მელიტონ ბალანჩივაძისა და შალვა დადიანის მიერ [13,248]; ასევე - ქართული სამუსიკო საზოგადოება, რომლის ეროვნულ საბჭოსაც ვ. მაჩაბელი ხელმძღვანელობდა. სამუსიკო საზოგადოება თავისი მცირეხანი არსებობის განმავლობაში ცდილობდა მუსიკოსთა და ხელოვანთა დახმარებას [13,174]. საზოგადოების 1919-1920 სასწავლო წლის გეგმაში წარმოდგენილია მისი ეროვნული ხასიათი, ხოლო ხარჯთაღრიცხვაში ჩანს ის მცირე რესურსები, რომლებითაც უწევდა მას შესჭიდებოდა ამ რთულ საქმეს [13,204]. 1919 წელს საზოგადოება ხელოვნების კომისიას მიმართავდა და აღნიშნავდა მის ღვაწლს: „ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ თავისი არსებობის წარსულ წლებში (1905-1918 წ.) მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, შეძლო საძირკვლის ჩაყრა ეროვნულ-კულტურული ტაძრისათვის, რომელშიდაც მთელი თავისი სიძლიერით შემუშავდება და გაიფურჩქნება ქართველი ერის ნიჭი მუსიკალურ დარგში“ [13,201].

1920 წლის 25 თებერვალს შედგა სხდომა, რომელზეც მომხსენებლები იყვნენ კ. ანდრონიკაშვილი, გ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი და სხვა. სხდომამ მხარი დაუჭირა უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის გახსნას [12,254]. ამავდროულად რუსული კონსერვატორია გააუქმეს და ქართული სამუსიკო კოლეგიის პროფესორებს შეუერთეს.

უმაღლესი და საშუალო სკოლები სახელმწიფოდ გამოცხადდა. ცნობილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი კონსერვატორიის გასახელმწიფოებრიობას ქვეყნისთვის მძიმე ტვირთად მიიჩნევდა. იგი აღნიშნავდა, რომ რუსული კონსერვატორია ქართველთა დაარსებულია, მაგრამ შემდგომ იქ ქართველები თითქმის აღარ სწავლობდნენ, ამიტომ უმჯობესია ქართველების კვლავ აღდგენა და ამ გზით გაქართულება [11,5].

როგორც ჩანს, ქართული ხალხური მუსიკის განახლების პროცესი მისი გავერობელების გზითაც უნდა მომხდარიყო: „ქართულ ხალხურ სიმღერა გალობას უნდა მივმართოთ, გადმოვწეროთ ქალაქში, გაუხსნათ მათ წიალი და ამით საშუალება მივსცეთ ევროპიულად გადანათლებულ მუსიკოს-ხელოვანთ, უპირველესად ყოვლისა, შეისწავლონ იგი ჰანგები და მის საფუძველზე იმეტყველოს ქართულ სამუსიკო ხელოვნებაში თანახმად ევროპის თანამედროვე მეცნიერ მუსიკოსთა მიერ შემუშავებულ პრინციპებისა“ [12,40].

1919 წელს გადაწყდა კავკასიის მუზეუმის რეორგანიზაცია და მის ნაცვლად საქართველოს მუზეუმის დაარსება. სახელოვნებო ცენტრის თავმჯდომარე ე. მაყაშვილი ხელოვნების კომისიისადმი მიმართვაში განსაზღვრავს მუზეუმის მთავარ მიზნებს: „მუზეუმი უნდა შეიქმნას მეცნიერების იმ ტაძრად, სადაც საქართველოს მოზარდ თაობამ უნდა ისწავლოს და მიიღოს შთავგონება თვის შემოქმედებაში. ამიტომ შენობის ასეთ დანიშნულებათან შეუძლებელია, რომ იგი აშენდეს ერის სულის და მის კულტურულ წარსულის სრულ შეუფერებლობით. თვითეული თვალსაჩინო შენობა ყოველს ქვეყანაში ყოფილა და არის მაჩვენებელი ერის იმ კულტურული სიმაღლისა, რომელზედაც სდგას იგი შენობის აგების დროს“ [12,58]. საქ. მუზ. დირექტორი მუზეუმის სამომავლო ვექტორებს ასევე ევროპისაკენ მიმართავდა: „ევროპიული კვლევა-ძიების გზაზე შემდგარი საქართველოს მუზეუმი, მიუხედავად, იმისა, რომ მისი ტექნიკური პერსონალი მცირეა, ადვილად შესძლებს დასახულ სამეცნიერო გეგმის განხორციელებას და იმ ნაკლის გამოსწორებას, რომელიც დღემდის ასე ემჩნევა მუზეუმს“ [14,5].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში დაგროვდა მნიშვნელოვანი საარქივო მასალები, რომელიც სისტემატიზაციასა და შესწავლას საჭიროებდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც საკითხი ხელისუფლებასთან წამოჭრა, იყო ექვთიმე თაყაიშვილი. იგი 1920 წლის 12 იანვრის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ხშირად მიმართავს სხვადასხვა დაწესებულება და ადგილობრივი მართვა-გამგეობის ორგანოები, რათა მათ მიიღონ შესაბამისად ადგილობრივი (საეროზო, სამაზრო და სხვ.) არქივები. იმ დროისთვის ამ საზოგადოებას არ ჰქონდა მათი დაბინავების შესაძლებლობა და არც გამართლებული იქნებოდა. ამდენად საზოგადოება მთავრობას სთხოვდა - დაეარსებინათ ცენტრალური არქივი [15,3].

ამის შემდეგ, 1920 წლის 12 თებერვლის სხდომაზე, დაადგინეს სამეცნიერო არქივის დაარსების საჭიროება. კომისიის პროექტისა და განათლების მინისტრის მოხსენების საფუძველზე 1 მარტიდან დაარსდა საქართველოს ცენტრალური არქივი, რომელსაც ყოველწლიურად განესაზღვრა 988.800 მანეთი. არქივი სამ მიმართულებად დაიყო: სამხედრო, სამოქალაქო და საეკლესიო ან სასულიერო [15,11].

კულტურული მნიშვნელობის ძეგლების რეაბილიტაცია, განახლება, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტის დაარსება, სახელმწიფო მნიშვნელობის ნივთების შექმნა და სხვა კულტურული აქტივობები სწორედ ხელოვნების კომისიის ეფექტიანი მუშაობის შედეგი იყო. კომისია მაქსიმალურად ცდილობდა ხელოვნებისა და კულტურის ყველა მიმართულების ინტერესები გაეთვალისწინებინა და დახმარებოდა მათ. ამ მიზნით ხელისუფლებას ხშირად მიმართავდა რეკომენდაციებითა და თხოვნებით.

ხელოვნების კომისიის კარგ მუშაობაზე მეტყველებს მისი არაერთი თხოვნა და განცხადება პრეზიდიუმისადმი. კომისია აქტიურად ცდილობდა ხელოვნების სფეროში მოღვაწეთა დახმარებას და კულტურული ობიექტებისთვის მატერიალურ დახმარებას. ამასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს 1919 წლის 6 ივნისის თხოვნა რესპუბლიკის მთავრობისადმი მწერლების დასახმარებლად. ტექსტში აღნიშნულია: „ჩვენი მწერლები და მხატვრები განიცდიან უკიდურეს მატერიალურ მდგომარეობას. მათ არ აქვთ საშუალება თავისი პროფესიონალური შრომით ირჩინონ თავი. მატერიალური სიღატაკის გამო ბევრი მათგანი დაუძლურებულია და დაავადმყოფებული. საჭიროა, რომ ასეთ პირებს სახელმწიფომ შეძლებისდაგვარი დახმარება გაუწიოს“ [12,183]. პრობლემის მოსაგვარებლად კომისია სახელმწიფოს სთხოვს დაუთმოს ავადმყოფ და დაუძლურებულ ხელოვანთ ერთ-ერთი სააგარაკო სახლი რომელიმე სააგარაკო ადგილას, რომ ამ მხრივ მაინც გაუმჯობესდეს მათი ცხოვრების მძიმე პირობები.

მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, სახელმწიფო ზრუნავდა ერის სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მისი კულტურული ღირებულებების წინ წაწევასა და დაფასებაზე. ამ მიზნით მოეწყო რამდენიმე საიუბილეო ღონისძიება კულტურის დამსახურებულ (კულტურულ) მოღვაწეთა შესახებ. ერთ-ერთი მათგანი იყო ვიქტორ გამყრელიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე, რომელიც მსახიობთა კავშირის გადაწყვეტილებით ჩატარდა [16,6]. მსახიობ ნინო ჩხეიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით კი 1919 წლის 28 მაისს იუბილე გაიმართა ხელოვნების კომისიის თხოვნის საფუძველზე. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ივ. პურადაშვილი სამართლიანად აღნიშნავდა თეატრის დამსახურების შესახებ ერის წინაშე: „არ იყო არც ერთი დარგი ჩვენი ცხოვრებისა, რომელსაც არ განეცადა საშინელება ამ უცხო ერის ბატონობისა, რასაც აშკარად მიყავდა მთელი ქართველი ერი გადაგვარებისკენ და უქადდა მას მთლიან განადგურებას. ამ განსაცდელის დროს ქართული თეატრი იყო ერთი თაზისი, სადაც ჩქეფდა ერის სული და გაისმოდა მისი საუკეთესო მისწრაფებათა სურვილები“ [9,73-75].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განსაკუთრებით აქტიურად ემზადებოდა 1919 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის 1 წლისთავთან დაკავშირებით სახალხო ზემოთ მოსაწყოებად. დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას დაევალა საერთო ხელმძღვანელობა 26 მაისის ზემოთთვის, რომელიც უმთავრესად დედაქალაქში უნდა ჩატარებულიყო. თბილისის თვითმმართველობას უნდა ეკისრა დღესასწაულის ტექნიკური მოწყობა. დღესასწაულის მოსაწყობად ხელოვნების კომისიას გამოეყო 100.000 მანათი, მუშაობა დანაწილდა სექციებს შორის; შეიქმნა მუსიკალური, სამხატვრო, სათეატრო, სალიტერატურო და საგიმნასტო სექციები. ყველა სექცია მუშაობდა ხელოვნების კომისიასთან და მისი ხელმძღვანელობით [17,2-3].

ხელოვნების კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სახელმწიფო სიმბოლიკას 26 მაისის ღონისძიებისთვის: 4 ათასი მანათი ვ. არაშიძეს გადაეცა დროშა-ნიშნითა და მზადებისთვის; ს. დოლიძეს - 2 ათასი ნიშნების ქინძისთავების შესაძენად. ხელოვნების კომისიამ 16 მაისს რესპუბლიკის მთავრობას სთხოვა გაცეცა სათანადო განკარგულება, რომ 26 მაისს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სავაჭრო და სხვა დაწესებულებებს, აგრეთვე სახლის პატრონებს გამოეფინათ სახელმწიფო დროშები; ასევე დამფუძნებელი კრების კანცელარიის ხაზინადარს სთხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის 3090 პირის დასამზადებლად სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციისთვის 4635 მანეთის მიცემას [12, 92,109,125,12,131-132]. რაც შეეხება ეროვნულ ჰიმნს, ვ. ფოცხვერაშვილის მოთხოვნით, დადგინდა „დიდების“ შესრულება.

ღონისძიების სახალხოობასა და ეროვნულ მიზნებზე მეტყველებდა ვ. ბარნოვის სიტყვები: „დღესასწაული უნდა ემსახურებოდეს საქართველოს, თავის არსებობის ერთი წლის შესრულების იდეას. ეს აზრი მთელ საქართველოს უნდა გადასწვდეს“ [18,2]. მართლაც, ამ ღონისძიებამ დიდი გამოხმაურება პოვა ქართველ ხალხში. მთავრობის მიერ 26 მაისისთვის 1-დღიანი გაზეთის დაბეჭდვასთან დაკავშირებით სარედაქციო კოლეგიამ მიიღო დიდი რაოდენობით პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი ლექსები, პოემები და წერილები.

26 მაისის ღონისძიებამ კიდევ უფრო გამოაცოცხლა ქვეყანაში პატრიოტული ძალები და აამაღლა სახელმწიფოებრივი შეგნება. კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაიშალა კულტურული მოღვაწეობა. დღესასწაული აღინიშნა მომდევნო წელსაც, თუმცა 1921 წელს ეს ვედარ მოხერხდა საქართველოს ხელახალი დაპყრობის გამო. აღსანიშნავია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძოლა ემიგრაციაში, მათ შორის კულტურის მიმართულებით. 1922 წელს გამოიცა მიმოხილვა „დაპყრობილ საქართველოში ქართველი ერის მწუხარება და ბრძოლა“, რომლის ერთ-ერთი თავის სათაურია „როგორ იდღესასწაულეს 1921 წლის 26 მაისი“, რომელშიც აღნიშნულია: „1919,1920 წლ. დღესასწაულებში თუ იყო ქართველი ერის სიხარული და დიადი გაერთიანების უდიდესი ისტორიული დღეები ტფილისში, 1921 წელს კი ეს დღე იყო ტანჯვის, დამცირების, მონობის, ქართველი ერის მწუხარების და დღესასწაული რუსის ჯარის, საქართველოს დაპყრობის აღსანიშნავათ“ [19,26]. მომდევნო თავი კი ეხება მწერლობისა და ხელოვნების ბედს დაპყრობილ საქართველოში. მიმოხილვაში შეფასებულია 1918-1921 წლების მდგომარეობა, რაც მეტ-ნაკლებად გასაზიარებელია: „ყველგან დაიწყო ქართულმა თანამედროვე კულტურამ აყვავება. ხალხი დაეწაფა თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის მიღებას, მუშა მწერლები, მუშა ლექტორები, მუშა არტისტები ამეტყველდნენ, სამეცნიერო, სოციალისტური, პოლიტიკური, ეკონომიური ლექციები იმართებოდა ქალაქებში და სოფლებში, სალიტერატურო საღამოები, წარმოდგენები, ოპერები მუშათა უბნებში, სოფლებში, სალიტერატურო საღამოები, წარმოდგენები, ოპერები მუშათა უბნებში, სოფლებში მასიურ მოვლენებად იქცა“ [19,4]. პროგრესი ნამდვილად შესამჩნევი იყო, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწეთა მისწრაფებები და ორიენტაციები აშკარად გამოიკვეთა, თუმცა მათ უხდებოდათ დიდი შრომა ხელისუფლებასთან გადაწყვეტილებების შეთანხმებაში. ამ არასრული 3 წლის განმავლობაში კულტურისა და მეცნიერების სფეროში მოღვაწეთაგან განსხვავებით რთულია ხელისუფლების კულტურის პოლიტიკაზე საუბარი.

დასკვნა

ნაშრომი შექმნილია საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით და მათი გაანალიზებით გამოტანილია შემდეგი დასკვნები: 1. 1918-1921 წწ. სახელმწიფო პოლიტიკა გამოიხატა კულტურის და ხელოვნების სფეროს ნაციონალიზაციით. 2. სახელმწიფოს ბიუჯეტი მიმართული იყო კულტურული მნიშვნელობის ობიექტების განახლება-აღდგენისკენ, სახელოვნებო და კულტურული მნიშვნელობის დაწესებულებების დაარსებისკენ. 3. სახელმწიფო პოლიტიკაზე დიდი გავლენა ჰქონდათ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს. ისინი ჩართულნი იყვნენ ქვეყნის მართვაში და ხელისუფლება უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებდა მათ მოსაზრებებს. 4. სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკა ბოლომდე არ ყოფილა გამოკვეთილი და რთულია თქმა, რამდენიმე წლის შემდეგ როგორ განვითარდებოდა.

1918-1921 წწ. იყო ქართული კულტურული ტრადიციების აღდგენისა და განახლების პერიოდი. იმპერიისგან თავდასხნილ სახელმწიფოში ეროვნულ ნიადაგზე შემუშავდა პროგრამები და ამოქმედდა კულტურული და სახელოვნებო მნიშვნელობის დაწესებულებები. მიუხედავად მწირი ეკონომიკური რესურსებისა, ხელისუფლება შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად ცდილობდა კულტურული ვექტორების განსაზღვრასა და განვითარებას.

ნაშრომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის საკითხების კვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. აქედან გამომდინარე წარმოვადგენთ რეკომენდაციებს შემდგომი კვლევებისთვის:

1. შესასწავლია, თუ როგორ აისახა პრესაში 1918-1920 წლების კულტურული პოლიტიკა საქართველოში.
2. გასაკეთებელია სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებთან შედარებითი ანალიზი.

ბიბლიოგრაფია

1. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990 წ.
2. ლილუაშვილი ე., ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში, თბ., 2006 წ.
3. პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, ბათუმი, 2013 წ.
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 2.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 34.
6. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 1000.
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1861, ანაწ., 3, საქმე 29.
8. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 25.
9. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 60.
10. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 588.
11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 1001.
12. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 1006.
13. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 1007.
14. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 8A.
15. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1935, ანაწ., 1, საქმე 866.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწ., 1, საქმე 212.
17. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 423.
18. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1833, ანაწ., 1, საქმე 425.
19. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1861, ანაწ., 3, საქმე 131.
20. <http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/kultura.shtml>

NODAR TOTADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CULTURE POLICY OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA IN 1918-1921 (ACCORDING TO THE ARCHIEVAL DOCUMENTS)

The main object of the survey is culture policy of the Democratic Republic of Georgia in 1918-1921. The aim of the work is exploring the state policy, reforms and other activities which take place in the newly established republic to strengthen the culture. The article discussed archival funds related to the democratic republic of Georgia which is reserved in the national archives of Georgia.

The Georgian cultural heritage had difficult challenges in 1918 year. There were destroyed churches, didn't functioning many museums, suspended culture studies, theaters, arts and etc. The main goal of the government was release different institutions from the Russian programs and create national directions. After this they wanted to collect and renew material and spiritual heritage. Also, development of scientist activities.

The conclusions are based on the archival documents and scientific works: 1. State policy in 1918-1921 was nationalization of the culture and art. 2. Most of the state budget was spent on renewal and establishment of culture objects. 3. Artists and scientists had a great influence on the state policy. They were involved in the management of the country. In 1918-1921 years occurred the restoration of the Georgian traditional culture and introduced democratic standards in governance.

ანგონ ვაჭარაქე, დეჰან აჰალიშვილი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI)

სახელმწიფო აქტივების ღიაობა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში - კვლევა

შესავალი

2018 წელს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) „ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის“ (OSI) ხელშეწყობით განხორციელა საერთაშორისო პროექტი – „სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში“, რომლის მთავარი მიზანი იყო სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასება 10 ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში: საქართველოში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, უკრაინაში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, სომხეთსა და რუსეთში. პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი თითოეულ ამ ქვეყანაში დაუკავშირდა პარტნიორ ორგანიზაციებს და მკვლევრებს, რის შედეგადაც შედგა მკვლევართა ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასების მეთოდოლოგია. პროექტის დასკვნით ეტაპზე მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასდა 20 სახელმწიფო არქივის ღიაობა ზემოხსენებულ ქვეყნებში.

სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასებამ გამოავლინა, რომ:

- საარქივო ღიაობის კუთხით ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო, საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე ცვლილებებს მეტი ღიაობის უზრუნველსაყოფად;
- არქივებში, რომლებმაც უფრო მაღალი შედეგი აჩვენეს, არ განსხვავდება მკვლევრებთან ურთიერთობის პირობები მოქალაქეობის მიხედვით;
- ღია არქივები შესაბამის კანონმდებლობაზე დაყრდნობით წერილობით განმარტავს დარბაზში დაუშვებლობის ან დოკუმენტების გაცემაზე უარის შემთხვევებს, ნაკლებად ღია არქივები ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლება;
- ძალოვანი ან ყოფილი ძალოვანი სტრუქტურების არქივების უმეტესობას არ აქვს ვებგვერდი და სამკითხველო დარბაზი, შესაბამისად, მათი ღიაობის პროცენტი საკმაოდ დაბალია. გამონაკლისია უკრაინა და საქართველო, რომელთა მსგავს არქივებს ღიაობით მოწინავე პოზიციები უკავია;
- 20-იდან მხოლოდ 2 არქივის სამკითხველო დარბაზებშია შესაძლებელი საკუთარი ფოტოაპარატის საშუალებით საარქივო დოკუმენტების გადაღება.

კვლევა და მისი მეთოდოლოგია


პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასება განხორციელდა IDFI-ისა და მისი პარტნიორების მიერ 10 პოსტსაბჭოთა ქვეყანაში (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი).

შეფასება ემყარება IDFI-ისა და პროექტის მონაწილე პარტნიორების მიერ ერთობლივად შეიმუშავებულ მეთოდოლოგიას, რომლის მიზანია სრულყოფილად მოიცვას არქივების ღიაობის ძირითადი როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული ასპექტები. მეთოდოლოგია 5 კომპონენტისგან შედგება:

- **საარქივო კანონმდებლობა** - რამდენად არის საარქივო კანონმდებლობით გარანტირებული სახელმწიფო არქივების ღიაობა და მათთან წვდომა;
- **არქივებთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობა¹** - რამდენად არის გარანტირებული სახელმწიფო არქივების ღიაობა და მათთან წვდომა ქვეყნის სხვა ძირითადი კანონებით;
- **საარქივო სერვისები** - რამდენად გამართული და ხელმისაწვდომია საარქივო სერვისების მიწოდება;
- **არქივის ვებგვერდი** - უბასუხებს თუ არა ვებგვერდი თანამედროვე გამოწვევებს და რამდენად გამოსადეგია მომხმარებლებისთვის;
- **მკვლევართა დარბაზი** - როგორია არქივის სამკითხველო დარბაზში მუშაობის პრაქტიკა და შიდა რეგულაციები;


თითოეულ ქვეყანაში შეფასდა ორი არქივი: ერთი — ქვეყნის ძირითადი არქივი (მაგ: საისტორიო, ეროვნული ან სხვა მსგავსი არქივები), ხოლო მეორე — „სარეჟიმო არქივი“, რომელშიც ინახება რეპრესიების განმახორციელებელი სახელმწიფო უწყების საარქივო ფონდები, ისეთი არქივები, როგორებიცაა, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ძალოვანი სტრუქტურების არქივი, ყოფილი კვბ/უშიშროების ან შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივები. ამერბაიჯანსა და უზბეკეთში მკვლევრებმა მსგავსი არქივი ვერ შეაფასეს, ვინაიდან უარი უთხრეს დაშვებაზე. ამ ქვეყნებში ასეთ არქივებს საარქივო და არქივთან დაკავშირებულ სხვა კანონმდებლობის ნაწილში მიენიჭა იგივე შეფასება, რაც ქვეყნებში შეფასებულ ძირითად არქივს, ხოლო მეთოდოლოგიის დანარჩენ ნაწილებში - საარქივო სერვისები, არქივის ვებგვერდი და სამკითხველო დარბაზი - არქივი შეფასდა 0%-ით.

ამრიგად, პროექტის ფარგლებში, მთლიანობაში, 10 ქვეყანაში განხორციელდა 20 არქივის შეფასება, რომელთა შედეგებიც მოცემულია შესაბამის ცხრილებში.




¹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონი და ა.შ.


ცხრილი N2: შეფასებული არქივების საერთო რეიტინგი



ცხრილი N3: ეროვნული არქივების რეიტინგი



ცხრილი N4: "სარეჟიმო" არქივების რეიტინგი



შედეგების ზოგადი ანალიზი

საერთო შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა უკრაინამ (70.11%), რომლის ორ არქივსაც (ქალაქ კიევის ცენტრალური საისტორიო არქივი და უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურის არქივი) სხვადასხვა კომპონენტში ყველაზე მაღალი შეფასება დაუკრძვდათ. უკრაინას მოსდევს საქართველო (68.37%) და ყაზახეთი (68.36%) ცალკეულ კომპონენტში მაღალი შეფასებით. ყველაზე დახურული ქვეყნები საარქივო ღიაობის კუთხით ამერბაიჯანი (41.85%), ბელარუსი (39.54%), ყირგიზეთი (38.9%) და უზბეკეთი (30.45%), რომლებშიც საარქივო ღიაობა როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე მინიმუმამდეა დასული (იხ. ცხრილი №1). ოთხივე ამ ქვეყნის შემთხვევაში უკეთესი მდგომარეობა ეროვნულ არქივებში, ხოლო ამ ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების არქივები უკიდურესად დახურული ორგანიზაციები და მათგან ინფორმაციის გამოთხოვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

საარქივო კანონმდებლობა — 10 პოსტსაბჭოთა ქვეყანას შორის ყველაზე გამართული საარქივო კანონმდებლობა უკრაინას (81.99%) აქვს. მეორე ადგილზე მოლდოვა (81.6%), ხოლო მესამე ადგილზე რუსეთის ფედერაცია (79%). აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ კანონმდებლობის აღსრულება ცალკე საკითხია. ჩვენმა პარტნიორმა რუსეთიდან აღნიშნა, რომ, კანონმდებლობის გამართულობის მიუხედავად, მისი აღსრულება ყოველთვის არ ხდება.

არქივებთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობა — საქართველო ლიდერობს (81.25%) არქივების ღიაობის არაპირდაპირ ხელშეწყობის კანონმდებლობის (სახელმწიფო საიდუმლოების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონები) გამართულობით. მეორე ადგილზე უკრაინაა (76.05%), რომელსაც ამ მხრივ ასევე გამართული კანონმდებლობა აქვს. ამ მხრივ ყველაზე მძიმე ვითარებაა ბელარუსში (8.33%). აქაც აღვნიშნავთ, რომ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა არ მოხდეს კანონის აღსრულება: მკვლევრები აპელირებენ, რომ ხდება „პერსონალური ინფორმაციის“ ცნების ინტერპრეტაცია, არქივების ხელმძღვანელობის მიერ მისი საკუთარი საჭიროებისამებრ გამოყენება [იხ.: Open Access to ..., 2017].


საარქივო სერვისები — სერვისების მხრივ საარქივო ცნობების გაცემის კუთხით გამორჩევა მოლდოვა, ყაზახეთი, სომხეთი და უკრაინა, რომლებმაც ამ კომპონენტში 75%-ზე მაღალი შედეგი აჩვენეს. ყველაზე დაბალი შედეგის მქონეა უზბეკეთი (28.27%), რომლის სახელმწიფო არქივიდან სერვისის მიღება უკიდურესად რთულია და ამ მხრივ ჩამორჩება სხვა ქვეყნების ძალოვანი სარეჟიმო არქივებსაც კი.

არქივის ვებგვერდი — შეფასების მიხედვით, სახელმწიფო არქივების ვებგვერდებს შორის საუკეთესო საქართველოს შსს-ს არქივია — იგი კრიტერიუმების 70%-ს აკმაყოფილებს. ამ მხრივ საქართველო საერთო ჯამშიც პირველ ადგილზეა (65.36%); მას მოსდევს ყაზახეთი (51.43%), ხოლო ბოლო ადგილზეა ყირგიზეთი (11.54%). ვებგვერდი საერთოდ არ აქვთ შემდეგ არქივებს: ბელარუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივს, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის არქივს, სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის არქივს, ყირგიზეთის შსს-ს არქივს, ამერბაიჯანის, ბელარუსისა და უზბეკეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არქივებს.

სამკითხველო დარბაზი — სამკითხველო დარბაზში მუშაობის პრაქტიკა და შიდა რეგულაციები ყველაზე გამართულია უკრაინისა და ყაზახეთის არქივებში. მხოლოდ უკრაინის უშიშროების არქივსა და ყაზახეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებშია დასაშვები სამკითხველო დარბაზში საკუთარი ფოტოაპარატის გამოყენება, რაც საგრძნობლად ამარტივებს მკვლევრების მუშაობას. სხვა 18 არქივში საკუთარი ფოტოაპარატით გადაღება დაუშვებელია.

სამკითხველო დარბაზში აღწერილობები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ძებნა, მხოლოდ 2 არქივს აქვს, ასეთებია: უკრაინის უშიშროების სამსახურის არქივი და ბელარუსის ეროვნული არქივი. დანარჩენი არქივებიდან ზოგიერთში ხელმისაწვდომია აღწერილობების სკანირებული ვერსიები ძიების ფუნქციის გარეშე, რაც მკვლევრებს დიდ პრაქტიკულ დახმარებას ვერ უწევს. 5 ქვეყნის სარეჟიმო არქივს სამკითხველო დარბაზი საერთოდ არ აქვს.

საქართველოს არქივების ღიაობა, გამოვლენილი ხარვეზები და რეკომენდაციები



საარქივო და არქივებთან დაკავშირებული კანონმდებლობა

10 პოსტსაბჭოთა ქვეყანას შორის საქართველოს საარქივო კანონმდებლობამ მესამე ადგილი დაიკავა. ეს შედეგი მნიშვნელოვნად განპირობებულია კანონში არსებული შემდეგი დადებითი ჩანაწერებით:

- არქივიდან ინფორმაციის მიღება თანაბარი უფლებებით შეუძლიათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
- არ არსებობს შეზღუდვა დაშვებაზე ნასამართლობის მიხედვით;
- დაშვების პირობები თანაბარია ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისთვის;
- არქივს არ აქვს დახურული ან საიდუმლო აღწერილობები.

თუმცა არსებობს მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, რომელთა გამოსწორება აუცილებელია არქივების ღიაობისა და ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გასაზრდელად. ესენია:

- კანონის მიხედვით, არქივში დაშვებაზე, დოკუმენტის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში არქივი განმარტავს მხოლოდ ზეპირი ფორმით და არა წერილობით. **რეკომენდაცია:** ეს იძლევა მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას; წერილობითი განმარტების გაცემა კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.
- კანონში არ გვხვდება ჩანაწერი, რომ შეუძლებელია იმ საარქივო დოკუმენტების განადგურება, რომელთა განსაიდუმლოებაც მოხდა (საარქივო დოკუმენტების, რომელთაც გაუვიდა საიდუმლოების ვადა. მსგავსი კარგი პრაქტიკა არსებობს უკრაინის უშიშროების სამსახურის არქივში). **რეკომენდაცია:** ასეთი ჩანაწერი საარქივო სფეროს საუკეთესო პრაქტიკაა და მისი დამატება ქართულ კანონმდებლობაშიც საჭიროა.

- კანონი არ კრძალავს საბჭოთა პერიოდის რეპრესიული ორგანოების საარქივო მასალების გასაიდუმლოებას და მათზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის გავრცელებას. **რეკომენდაცია:** ბევრ ქვეყანაში ეს ნორმები არსებობს. საქართველოში შსს-ს მინისტრის ბრძანებით, რეპრესიული ორგანოების ფონდები განსაიდუმლოვდა, თუმცა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ნორმები მათზე შეიძლება გავრცელდეს.
- პერსონალური ინფორმაციის უკანონოდ გამოყენების შემთხვევაში კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ პასუხისმგებლობას აკისრებს გამცემ ორგანიზაციას (ან ფიზიკურ პირს), ვინც ეს ინფორმაცია დაამუშავა, რაც არქივს (და არქივისტს) ყოველთვის დაუტოვებს სურვილს, რომ (შეეცადოს,) არ გასცეს რაიმე სახის საარქივო დოკუმენტი. **რეკომენდაცია:** საარქივო მასალასთან მიმართებაში საუკეთესო პრაქტიკაა პასუხისმგებლობა დაეკისროს მას, ვინც უშუალოდ დაამუშავა ინფორმაცია.

საქართველოს ეროვნული და შსს-ს არქივების შედარება საარქივო სერვისების, ვებგვერდისა და სამკითხველო დარბაზის კუთხით

საარქივო სერვისების მხრივ (ძირითადად საარქივო ცნობების გაცემა) საქართველოში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. ამ კომპონენტში ქვეყანა მეხუთე ადგილს (72.32%) იკავებს. თუ ეროვნულ არქივში მოქნილი მომსახურებაა — საარქივო ცნობების გამოთხოვა და მიღება იუსტიციის სახლების მეშვეობით ხდება, ამასთან ზუსტად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, ვისაც ეკუთვნის შეღავათები, შსს-ს არქივში მდგომარეობა საპირისპიროა — ფიზიკურად მომსახურება შესაძლებელია ქალაქის ცენტრისგან მოშორებულ ადგილას და არ არის განსაზღვრული შეღავათები.

მომსახურებაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მისი (სერვისების) ფასი: სტანდარტულ ვადაში სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობის გაცემის საფასური ქვეყანაში საშუალო ხელფასის 1%-ს შეადგენს, ხოლო ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ცნობის — 5%. დაჩქარებული ვადების შემთხვევაში საფასური იზრდება.

საარქივო ვებგვერდების მხრივ საქართველომ 10 ქვეყანაში პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრ შეფასებულ ქვეყანაში ძალოვანი სტრუქტურის არქივებს ვებგვერდი საერთოდ არ გააჩნიათ, ხოლო საქართველოს შსს-ს არქივის ვებგვერდმა შინაარსისა და სასარგებლო ინფორმაციის შემცველობით 20 შეფასებულ არქივს შორის პირველი ადგილი დაიკავა. ეროვნულმა არქივმა ამ მხრივ 20 არქივს შორის მე-5 შედეგი აჩვენა.

ცხრილი N6 – საქართველოს ეროვნული და შსს არქივების ვებგვერდების დადებითი და უარყოფითი მხარეები	
<p>საქართველოს შსს არქივი – 70%</p> <p><u>დადებითი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ვებგვერდი ორენოვანია (ქართული და ინგლისური); • ვებგვერდზე ზუსტადაა განმარტებული პროცედურები და აქვს კითხვა-პასუხის განყოფილება; • ვებგვერდზე განთავსებულია აღწერილობების უმეტესობა, სხვა შემთხვევაში არსებობს აღწერილობების ელექტრონულად გამოთხოვის საშუალება; • დოკუმენტების მოთხოვნა და გაცემა ხდება ელექტრონულად. <p><u>უარყოფითი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ვებგვერდზე არაა განთავსებული კანონმდებლობა. 	<p>საქართველოს ეროვნული არქივი – 60.7%</p> <p><u>დადებითი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ვებგვერდი ორენოვანია (ქართული და ინგლისური); • ვებგვერდზე მოიძიებთ კანონმდებლობას, ზუსტადაა განმარტებული პროცედურები და აქვს კითხვა-პასუხის განყოფილება. <p><u>უარყოფითი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ვებგვერდზე არ არის განთავსებული საარქივო საქმეების აღწერილობები, ასევე შეუძლებელია მათი ელექტრონულად მოთხოვნა; • ვებგვერდის საშუალებით არ არის შესაძლებელი ცნობების გამოთხოვა და მიღება; • შეუძლებელია ვებგვერდის საშუალებით სკანირებული მასალის გამოთხოვა და მიღება ან მათი სკანირების მოთხოვნა შესაბამისი საფასურით.

ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული არქივის ვებგვერდი ტექნიკურად (ვიზუალურად და პროგრამულად) გამართულია. თუმცა, მეორე მხრივ, ის ნაკლებადაა ორიენტირებული მკვლევრის საჭიროებებზე. შსს-ს არქივის ვებგვერდი მკვლევრებისთვის უფრო მეტი ინფორმაციის მიმცემი და გამოსადეგია, რადგან საიტის საშუალებით შესაძლებელია ელექტრონულად საარქივო დოკუმენტების აღწერილობების მოძიება, მოთხოვნა და მიღება. **რეკომენდაცია:** IDFI ფიქრობს, რომ ეროვნულ არქივს დასახვეწი აქვს საძიებო სისტემა. აგრეთვე სასურველია თუ არქივები ვებგვერდზე განათავსებს უკვე სკანირებული დოკუმენტების ბაზას. თუ საარქივო დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ, ეს ძლიერ გაუმარტივებს მკვლევრებს მუშაობას და არქივების პრაქტიკა კიდევ უფრო დაუახლოვდება მსოფლიო არქივების საუკეთესო პრაქტიკას. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ეს სიახლე წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს საარქივო კანონთან, დაშვების პროცედურებთან და სხვა ნორმებთან, შესაბამისად, ვფიქრობთ, საკანონმდებლო ცვლილებები ამ მიმართულებით აუცილებელია.

სამკითხველო (მკვლევართა) დარბაზები საქართველოს არქივებში

სამკითხველოა დარბაზების მხრივაც საქართველოში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. შსს-ს არქივის სამკითხველო დარბაზები სათანადოდ არაა აღჭურვილი, მაშინ, როდესაც ეროვნულ არქივს აქვს თანამედროვე, კარგად მოწყობილი და ტექნიკურად აღჭურვილი მკვლევართა დარბაზი. მთლიანობაში, 10 პოსტსაბჭოთა ქვეყანას შორის საქართველოს მკვლევართა დარბაზები მესამე ადგილს (59.28%) იკავებს.

ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2017 წლის 30 ნოემბრის ბრძანებით, დამტკიცებულია სსიპ – საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობის წესები. მიუხედავად გაწერილი წესისა და დადებითი ზოგადი შედეგისა, საქართველოს ეროვნული არქივის სამკითხველო დარბაზში მანც გამოვლინდა რიგი პრობლემები:

- განცხადების შეტანის მოცდის დრო საკმაოდ დიდია — 5 სამუშაო დღე. ეს რეგულაცია საგრძნობლად ურთულებს მდგომარეობას მკვლევრებს, განსაკუთრებით მათ, ვინც არ ცხოვრობს საქართველოში. **რეკომენდაცია:** არქივმა უნდა შეამციროს მოცდის დრო.
- არქივი დაშვებას გასცემს 3 თვის ვადით, რის შემდეგაც მკვლევარმა ხელახლა უნდა მიმართოს არქივს განცხადებით ახალი სამთვიანი პერიოდით დაშვებისთვის. არქივში მოქმედი პრაქტიკაა, რომ ისინი აფრთხილებენ მკვლევრებს ვადის გასვლის მოახლოებისას რამდენიმე დღით ადრე, შესაბამისად, მკვლევარს შეუძლია ამ პერიოდში დაწეროს განცხადება და არ გაუცდეს 5 სამუშაო დღე. **რეკომენდაცია:** არქივმა უნდა გაზარდოს დაშვების ვადა, მიგვაჩნია, რომ ეს რეგულაცია მდგომარეობას ურთულებს როგორც მკვლევარს, ისე არქივს - ხარჯავს რესურსს.
- საარქივო დოკუმენტებთან დაშვების არსებულ ვებგვერდზე განმარტებულ პროცედურაში არის ბუნდოვანება², (გამონაკლისს) რის გამოც ხელმძღვანელ პირს ეძლევა შესაძლებლობა ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება მკვლევრის საარქივო დოკუმენტთან დაშვებაზე. **რეკომენდაცია:** ეროვნულ არქივს უნდა შეეზღუდოს ხელმძღვანელი პირების ნება-სურვილით გადაწყვეტილების მიღების საშუალება.
- მკვლევარმა უნდა მიუთითოს სამუშაო თემა და ზუსტი წლები. იმ შემთხვევაში, თუ მას იმავე თემაზე სხვა წელი დასჭირდა — ხელახლა უნდა დაწეროს განცხადება. **რეკომენდაცია:** ეს წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დოკუმენტებთან დაშვებაზე უარის სათქმელად, ამიტომ აუცილებელია უფრო მოქნილი სისტემის შემოღება.
- დარბაზში ხელმისაწვდომია სკანირებული აღწერები, თუმცა ფაქტობრივად არ არსებობს საძიებო სისტემა. **რეკომენდაცია:** აუცილებელია თანამედროვე სტანდარტების საძიებო სისტემა და აღწერილობები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება ძიება სახელობითი, გეოგრაფიული ან თემატური კატალოგის მიხედვით.
- ვინაიდან დაშვების პროცედურა მკვლევარს არ აძლევს კონკრეტული თემის მიღმა მუშაობის უფლებას, მას არ შეუძლია გამოიყენოს უკვე სკანირებული დოკუმენტების ბაზა. **რეკომენდაცია:** ნებისმიერ მკვლევარს უნდა ჰქონდეს წვდომა უკვე სკანირებული დოკუმენტების ბაზასთან.

² „გამონაკლისს შემთხვევებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან დაშვება შესაძლებელია სამუშაო ან სასწავლო მიზნების მითითების გარეშე, თუ წერილობით მომართვაში მითითებული გარემოებები ადასტურებს დანტერესებული პირის მიერ სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა მიზნებიდან გამომდინარე ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გაცნობის ან/და დოკუმენტთან ამონაწერის გაკეთების საჭიროებას“. წყარო: <http://www.archives.gov.ge/ge/mkvlevarta-momsakhureba>

- შეკვეთის შემდეგ მკვლევარი საქმეს იღებს მეორე დღეს. ამავე დროს, მას არ შეუძლია ელექტრონულად შეუკვეთოს საქმე წინა დღეს; ამისთვის იგი ადგილზე უნდა მივიდეს. **რეკომენდაცია:** აუცილებელია ელექტრონული შეკვეთის სისტემის დანერგვა და საქმის წინასწარ მოთხოვნის შესაძლებლობა.
- მკვლევრისთვის ხელმისაწვდომი არაა „დაზიანებული“ ან „რესტავრაციაზე გადაცემული“ საქმეების სია. **რეკომენდაცია:** ასეთი სიის გასაჯაროება აუცილებელია, რათა არქივმა ვერ შეძლოს საქმის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის თქმა.
- ერთ დღეში მკვლევარს შეუძლია შეუკვეთოს მხოლოდ 10 საქმე. **რეკომენდაცია:** IDFI-ის აზრით, საჭიროა ამ რაოდენობის გაზრდა, თუ არსებობს ამის ტექნიკური საშუალება.
- არ არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, დარბაზი მე-2 სართულზეა. **რეკომენდაცია:** არქივთან წვდომა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.
- დარბაზში შეუსაბამოდ მაღალია საფასურის განაკვეთები (მოქმედებს 50%-იანი შეღავათი აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის და სხვა კატეგორიების მიხედვითაც):
IX-XVIII საუკუნის დოკუმენტის 1 გვერდი — 6 ლარი
XIX საუკუნის დოკუმენტის 1 გვერდი — 4 ლარი
XX საუკუნის დოკუმენტის 1 გვერდი — 1 ლარი
ფოტო — 1 ფოტო საშუალოდ 11 ლარი (7 — პოზიტივიდან, 15 — ნეგატივიდან)
- **რეკომენდაცია:** ისევე როგორც წამყვანი დასავლური ქვეყნების არქივებში, ჩვენი რეკომენდაციაა დაუშვან ეროვნული არქივის სამკითხველო დარბაზში ფოტოაპარატის გამოყენების უფლება, რაც ძლიერ გააადვილებს მკვლევრების მუშაობას.
- შსს არქივის სამკითხველო დარბაზები სათანადოდ არაა აღჭურვილი. ყოფილი უშიშროების არქივის შემთხვევაში მკვლევარს უწევს სამუშაო ოთახში, არქივის თანამშრომლების გვერდით მუშაობა. ყოფილი პარტიული არქივი (საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივი), რომელიც სხვა შენობაშია, უფრო მეტადაა ადაპტირებული და აქვს სამკითხველო დარბაზი. სხვა მხრივ შსს-ს არქივი უკეთაა მკვლევარზე ორიენტირებული, ვიდრე ეროვნული არქივი: დაშვების პროცედურების, დარბაზში დოკუმენტების აღწერილობების და სკანირებული მასალის ხელმისაწვდომობის მხრივ.

დასკვნა

პოსტსაბჭოთა ქვეყნების არქივთა გამოვლენილ მთავარ პრობლემებს შორისაა კანონმდებლობის დონეზე არსებული ზოგადი პრინციპები, რომლებიც მიმართულია მოქალაქეებისთვის უფრო მეტი დაბრკოლების შესაქმნელად, ვიდრე დასახმარებლად. ეს ვითარება გამომდინარეობს საბჭოთა წარსულითა და ინსტიტუციური მემკვიდრეობით, რადგან იმხანად არქივები სწორედ ინფორმაციის „დამალვისკენ“ უფრო იყო მიმართული, ვიდრე ღიაობისკენ.

სარეჯიმო ძალოვანი სტრუქტურების არქივები პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ყველაზე დახურული უწყებებია, რაც აფერხებს ამ ქვეყნებში ისტორიული მემკვიდრეობის გააზრების, კანონის უზენაესობის დამკვიდრებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პროცესს. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია საქართველოს და უკრაინის ძალოვანი სტრუქტურების არქივები, რომლებიც ყველაზე გახსნილ საარქივო დაწესებულებებად ითვლება და სამაგალითო უნდა იყოს მთელი რეგიონისთვის.

საქართველოში საარქივო ღიაობით ბევრი გამოწვევა რჩება, კერძოდ, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ქვეყანას უფრო მეტად დაახლოებს დასავლურ საარქივო კანონმდებლობასთან და საერთაშორისო საარქივო ორგანიზაციების შემუშავებულ სტანდარტებსა და ნორმებთან.

საჭიროა არქივთან მიმართებაში პერსონალური და საიდუმლო ინფორმაციების ზუსტი განმარტება და მათი საისტორიო, სტატისტიკური, აგრეთვე სხვა მსგავსი მეთოდებით გამოყენებისთვის გამიჯვნა. გარდა ამისა, ვფიქრობთ, „პერსონალური ინფორმაციის“ ცნება არ უნდა ვრცელდებოდეს საბჭოთა კავშირში მოქმედი სახელმწიფო რეპრესიის ორგანოების საარქივო დოკუმენტაციაზე.

XXI საუკუნის გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია ელექტრონული დისტანციური მომსახურების მაქსიმალური დახვეწა და მკვლევრებისთვის მისადაგება.

ყველა ამ შედეგის მისაღწევად საჭიროა საარქივო ღიაობისკენ მზაობა საარქივო მენეჯმენტში, მაკონტროლებელ ორგანოსა და ასევე საკანონმდებლო დონეზე.

პოსტსაბჭოთა სივრცეში საარქივო ღიაობის მხრივ სამაგალითოა უკრაინა, სადაც ცვლილებები დაიწყო 2014-2015 წლებიდან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით. ამ ყველაფერთან მიმართებაში მთავრობამ და პარლამენტმა გადადგა შემხვედრი ნაბიჯები და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად უკრაინის საარქივო სფერო ერთ-ერთი ყველაზე დახურულიდან ერთ-ერთ ყველაზე ღია სივრცედ იქცა.

სამომავლოდ IDFI ამ მიმართულებით გეგმავს კანონმდებლობის უფრო დეტალურ ანალიზს და მკვლევარების დახმარებით რეკომენდაციებით მიმართავს თითოეულ საარქივო დაწესებულებას, რათა გაითვალისწინონ შეფასების შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები და იმუშაონ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და გამოსწორებაზე. თავის მხრივ IDFI შეეცდება საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებით, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესწავლით, არქივების შესახებ მოსახლეობაში ცნობადობის ამაღლებისა და ადვოკატირების საშუალებებით უზრუნველყოს საქართველოს საარქივო დაწესებულებების მაქსიმალური ღიაობა საქართველოს და უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Open Access to the KGB Archives in the Eastern Partnership ('Georgia'), Kyiv, 2017.

ონლაინ რესურსები:

<http://open-archives.org/en>

<http://archives.gov.ge/uploads/other/3/3478.pdf>

ANTON VATCHARADZE, LEVAN AVALISHVILI

The Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

OPENNESS OF STATE ARCHIVES IN FORMER SOVIET REPUBLICS - RESEARCH

SUMMARY

In 2017, the Institute for Development of Freedom of Information (IDFI), together with an international network of archive experts, developed a methodology and evaluated 20 state archives 10 post-Soviet countries. Two archives were evaluated in each country: the main archive of the country (e.g., national, historical or other similar archive), and the archive of former repressive state bodies, such as the former KGB and Ministry of Internal Affairs. According to overall results, Ukraine (70.11%) has the most open and accessible archives among the evaluated 10 former Soviet countries, followed by Georgia (68.37%) and Kazakhstan (68.36%). Countries with the least open archives are Azerbaijan (41.85%), Belarus (39.54%), Kyrgyzstan (38.9%) and Uzbekistan (30.45%). All four of these countries have security service archives that are completely closed.

Detailed information about the research and its methodology, evaluation results analysis with special focus on Georgian archives, shortcomings and recommendations are indicated in our article.

კაა ჭყონიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის ბეჭდები 1917-1921 წლებში

ქართველების ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი იმ თემათაგანია, რომლებიც საკმაოდ კარგად არის დამუშავებული ქართველი მკვლევრების მიერ. ყველა ეპოქის ყველა ასპექტი მეტ-ნაკლებად შესწავლილია. გამონაკლისი არც საქართველოში ბერძნების დასახლების ისტორიაა. ცნობილია, რომ 1775-1884 წლების ინტერვალში დაახლ. 300-350 ათასია იმ ბერძნების რიცხვი, რომლებმაც ოსმალეთის იმპერიის დატოვება და რუსეთში დასახლება გადაწყვიტეს¹ [Ayrçidiz, 2001: 82]. თუმცა 1897 წლის იანვრის აღწერისას მხოლოდ 207,536 ბერძენი დაფიქსირდა². ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც სახელდება, რომ ამ აღწერისას ეროვნულობის განმსაზღვრელად რუსეთის მმართველობამ ენობრივი ფაქტორი მიიჩნია. შესაბამისად, ბერძნები, რომლებიც თურქულად ან სომხურად მეტყველებდნენ, ამ სიაში ვერ მოხვდნენ, როგორც ბერძნები.

რუსეთის იმპერიაში წამოსული ბერძნების საკმაოდ დიდი ნაწილი კავკასიაში და უფრო კონკრეტულად, საქართველოში დასახლდა (თუმცა არა მხოლოდ აქ). მათი ზუსტი რიცხვის განსაზღვრა ჭირს. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ბერძნების რიცხვი მთლიანად კავკასიის რეგიონში აღწევდა 180.123, მათგან თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა 50.306 და ქუთაისისაში 27.564; ბაქოში 1.500 და ერევანში 2.210; დანარჩენები გადანაწილებულნი იყვნენ ძირითადად ყარსის, ყუბანისა და სტავროპოლის ოლქებში. ისინი ძირითადად პონტოური წარმომავლობის ბერძნები იყვნენ [Ayrçidiz, 2001: 83-84]. ეს საკმაოდ საინტერესო ციფრია, რადგან ამ პერიოდში საკუთრივ პონტოს რეგიონში (რომელიც ადმინისტრაციულად ორი ვილაიეთისგან შედგებოდა: ტრაბიზონისა და სებასტიის, ხოლო ეკლესიურად ნ მიტროპოლია იყო) ბერძნების რიცხვი 400.586-ია [Πόντος, 55]. ეს იმას ნიშნავს, რომ პონტოში დარჩენილი ბერძნების თითქმის 50% ცხოვრობდა კავკასიის რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ბერძნები პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-კულტურული აქტიურობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საქართველოს საზღვაო ზოლში. ეს ბუნებრივიცაა და სულაც არ იწვევს გაოცებას. ზღვა ბერძნების ცხოვრებაში მთელი მათი არსებობის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. შესაბამისად, კოლონიებსაც სწორედ ამ ნიშნით არჩევენ და ხმელეთთან შედარებით სწორედ საზღვაო რეგიონებს ანიჭებენ უპირატესობას, როცა, ცხადია, მათ ამ არჩევნის შესაძლებლობა აქვთ. საქართველოშიც სწორედ ორ ასეთ რეგიონს მიენიჭა უპირატესობა ბერძნებისგან: აფხაზეთი (ძირითადად სოხუმი) და აჭარა³ (ძირითადად ბათუმი). ამ ორ რეგიონში მცირე არ არის იმ ბერძნების რიცხვი, რომლებიც საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ და მათ შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ამ თვალსაზრისით ბათუმელი ბერძენი ფილიპოს/ფილიპე ფილიპიდისი (Φίλιπος Φιλιππίδης) უნდა გამოვყოთ. მე-20 საუკუნის დასაწყისში მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ტრაპი-

¹ აღსანიშნავია, რომ ბათუმში დასახლებული მწერალი იოანე კალფოღლუ, რომელმაც ბერძნების კავკასიაში დამკვიდრებას რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა, ბერძნების ამ ეტაპის გადმოსახლებას რეგიონში ცალკე გამოყოფს და „ახალი ახალშენების“ პერიოდად მიიჩნევს (სპეციალური ქვეთავი წიგნში Κάλφογλου, 1907). დეტალები ამ ავტორზე ქვემოთ.

² საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ბერძნების ზუსტი რაოდენობა დაწვრილებით აქვს გადმოცემული ი. კალფოღლუს რეგიონების მიხედვით, პირველ ადგილზე ბათუმის ოლქია [Κάλφογλου, 1907: 111]; ბერძნული მოსახლეობის დინამიკა 1871-1914 წწ. იხ. პონტოელი ... 2017: 27.

³ მცირე ამის ბერძენთა შავი ზღვისპირეთის სხვადასხვა რეგიონში დასახლების თვალსაზრისით აჭარას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქ ბერძნების გადმოსახლება მე-15 საუკუნიდან დაიწყო, ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნები აჭარის ზღვისპირა ზონის სოფლებში დასახლდნენ [დემუროვა, 1987: 65].

ზონელ ბერძნებთან (განსაკუთრებით მდიდარ მეწარმეებთან) და ერთ-ერთი მათგანთან, სტავროს ლალინოსთანაც (**Σταύρου Γαλιού**), დაამყარა საქმიანი ურთიერთობა. მისი დაფინანსებით სხვადასხვა აქტივობა განახორციელდა ბერძნების კულტურული განვითარების მიზნით [**Φωτιάδης**, 2010: 223].

რევოლუციამდელი ბერძნების კულტურული აქტივობებიდან ასევე უნდა გამოვყოთ სოხუმის ბერძნული სახელმწიფო თეატრი (**Ελληνικό Κρατικό Θέατρο του Σοχούμ**), რომელშიც 1910 წელს მოღვაწეობა დაიწყო ცნობილმა მსახიობმა ნ. სპანიდისმა (**Ν. Σπανίδης**). მან პირველი როლი შეასრულა კრეტელი ანონიმი ავტორის (1580-1669) ეპოსის — „მწყემსი ქალის“ — (**„Βοσκοπούλα“**) მიხედვით დადგმულ სპექტაკლში. აქ ის მთავარ, ანუ მწყემსი ქალის სატროფოს როლს ასრულებდა. გასაბჭოების შემდეგ ის უკვე საბერძნეთში მოღვაწეობს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პონტოური თეატრის⁴ აღორძინების საქმეში [**Φωτιάδης**, 2010: 228]. სოხუმის ბერძნულ თეატრს ძალიან ფართო სამოღვაწეო არეალი ჰქონდა და ხშირად დადიოდა გასტროლებზე შავი ზღვისპირეთის სხვა რეგიონებშიც [**Φωτιάδης**, 2010: 229].

ბერძნული დიასპორის მე-20 საუკუნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ბერძნული სათვისტომოების ტაგანროკის ყრილობა (**Συνέδριο Ελληνικών Κοινοτήτων του Ταϊγανίου**)⁵, რომელიც გაიმართა 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან რამდენიმე თვეში, კერძოდ 29 ივნისს. ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას წინ უძღოდა ამიერკავკასიის ბერძნების შეხვედრა (იმავე წლის მაისში თბილისში⁶). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თბილისის ეს შეხვედრა იყო ბერძნული დიასპორის პირველი ორგანიზებული ყრილობა [**Αγτζίδης**, 2001: 105], რომელმაც ნიადაგი მოამზადა ბერძნების უფრო მასშტაბური შეხვედრისთვის ტაგანროკში. რუსეთის იმპერიის სამხრეთი ნაწილის ყველა ბერძნულმა სათვისტომომ თავი მოიყარა ბერძნებით დასახლებული ამოვის ზღვის ამ უმნიშვნელოვანეს საპორტო ქალაქში. მთავარი განსახილველი საკითხი იყო ბერძნების, როგორც რუსეთის იმპერიის უმცირესობის, შემდგომი განვითარების ბევრი დეტალი. კრებას ხელმძღვანელობდა ვისილიოს სიფნეოსი (**Βασίλειος Σιφναίος**), რომელიც თავის მხრივ ტაგანროკის ბერძენთა სათვისტომოს პრეზიდენტი იყო. მონაწილეობა მიიღეს რუსეთის იმპერიის შემდეგი ქალაქების — ოდესა, სევასტოპოლი, იალტა, ეკატერინოდარი, ტაგანროგი, როსტოვი, ანაპა, თბილისი (ორი წარმომადგენელი: ნ. პოლიტოვი **Ν. Πολίτωφ**, ქ. სინგარევსი **Χ. Συγγαρεύς**), ბათუმს წარმომადგენდა ზემოთ მოხსენიებული ი. კალფოლუ (**Ι. Κάλφογλου**) — ბერძნული სათვისტომოების წარმომადგენლებმა [**Καρδάσης**, 255-256]. ტაგანროკის ყრილობაზე განხილულ საკითხებში მთავარი იყო ენის საკითხი, კერძოდ სათვისტომოების საგანმანათლებლო პროგრამები და ბერძნული ენის სახელმძღვანელოები. იმპერიაში მცხოვრები ბერძნების რიცხვი უკვე ნახევარ მილიონს აღემატებოდა და მათგან ნახევარმა არ იცოდა ბერძნული [**Αγτζίδης**, 2001: 580]. შესაბამისად, ეს მდგომარეობა სასწრაფო ზომებს მოითხოვდა. დაისახა სტრატეგია ბერძნული სკოლების გახსნის მიმართულებით. განსახილველ საკითხებს შორის იყო ასევე რუსეთში არსებული ბერძნული ეკლესიების ავტონომიის⁷ და თანამემამულეთა დახმარებით ბერძნული ბანკის შექმნის საკითხები. ყრილობაში ჩაერია საბერძნეთის საკონსულო სანქტ-პეტერბურგში, რომელმაც სპეციალური რწმუნებული წარგზავნა, გვარად სტელაკისი. მისი რეკომენდაციებით, მონაწილეებმა თავი შეიკავეს რუსეთის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე აზრი გამოეხატათ, რაც ავნებდა საბერძნეთის სახელმწიფოს მიზნებს მთელ რიგ საკითხებში [**Αγτζίδης**, 2001: 107-108]. ყრილობის ფარგლებში 12 სხდომა გაიმართა და 9 მნიშვნელოვან საკითხზე მიაღწიეს შეთანხმებას [დეტალები **Αγτζίδης**, 2001: 108].

⁴ პონტოური თეატრი (**Ποντιακό θέατρο**) დიდი ტრადიციების და ისტორიის მქონეა და განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ბიზანტიურ ეპოქაში და გაგრძელდა ტრაპიზონის იმპერიაშიც. ხელახლა აღორძინდა მე-19 საუკუნეში და საკუთრივ პონტოს ქალაქების გარდა (ტრაპიზონი, კერასუნტა, სინოპი) ერთგვარი ფილიალები ჰქონდა რუსეთის იმპერიის ქალაქებშიც, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე: თბილისში, ბათუმსა და სოხუმში (**Μουρατίδη**, 12/12/1999). მცირე აზიის კატასტროფის შემდეგ (1922) არსებობა განაგრძო საკუთრივ საბერძნეთში.

⁵ აღსანიშნავია, რომ ამ ყრილობის გამართვის ინიციატივა ბათუმის ბერძნულ სათვისტომოს ეკუთვნოდა [**Αγτζίδης**, 2001: 107].

⁶ ამ პერიოდში კავკასიის ბერძნების განსაკუთრებული აქტიურობა და ძალიან კოორდინირებული ქმედებები არაერთხელ და საგანგებოდ არის აღნიშნული შესაბამის ლიტერატურაში (**Αγτζίδης**, 2001: 106).

⁷ იოანე კალფოლუ (**Ιωάννης Κάλφογλου** (1871-1931), მწერალი და ჟურნალისტი, დაიბადა პონტოს ქალაქ ქრისოპოლიში და აქტიურად მონაწილეობდა პონტოს ბერძნების ბრძოლაში. მე-19 საუკუნის ბოლოს ტოვებს პონტოს და სახლდება ბათუმში; უცნობია რატომ. 1921 წელს, სავარაუდოდ გასაბჭოების მერე, დამკვიდრდა კონსტანტინეპოლში [**Εγκυκλοπαίδεια 4** (2007): 204]. მანამდე ბათუმში გამომავალ გაზეთთან თანამშრომლობდა. 1905 წელს დაწერა ბათუმის ისტორია რუსულად [**Εγκυκλοπαίδεια 4** (2007), 205].

⁸ მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთის იმპერიაში ექვსი ბერძნული საეპისკოპოსოს შექმნის თაობაზე და მათგან საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე ორის: 1. ახტალა და წალკა (გააერთიანებდა თბილისისა და ბაქოს გუბერნიის ბერძნებს; და 2. ბათუმის (სოტერიუპოლისის) (გააერთიანებდა ბათუმის, სოხუმის და მთელი ქუთაისის გუბერნიის ბერძნებს) (დეტალები **Αγτζίδης**, 2001: 112-114).

გარდა ამისა, შეიქმნა სპეციალური კომისია (რვაკაცანი), რომლის ცენტრიც იქნებოდა დონის როსტოვში [Αγτζίδης, 2001: 580]. კომისიის წევრებს დაევალიათ განეხილათ შეკრებაზე დასმული ყველა საკითხი და შესაბამისი წინადადებები თუ მოთხოვნები წარედგინათ რუსეთის ხელისუფლებისთვის. ეს ყრილობა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთში მცხოვრები ბერძნული დიასპორისთვის, მაგრამ კომისიამ, რომელსაც შესაბამისი საკითხების განხილვა დაევა, მუშაობა ვერ მოასწრო. იმავე წლის ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში და მათ შორის ბერძნებისთვისაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა და მთლიანად შეცვალა მათი (და არა მხოლოდ მათი) ბედი [Καρδάσης, 2010: 256].

ნაკლებად შეუსწავლელ მოვლენათა რიცხვს უდავოდ განეკუთვნება პონტოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში საქართველოში მცხოვრები ბერძნების წვლილი. წინამდებარე ნაშრომში, ცხადია, ამ საკითხის ძირფესვიანად განხილვას ვერც შევძლებთ და არც შევეცდებით, მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს მიმოვიხილავთ. ოსმალეთის იმპერიაში შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ბერძნების მცდელობა — გამოეცხადებინათ პონტოს ავტონომიური რესპუბლიკა — ბუნებრივია, ოფიციალური თურქეთისგან ურეაქციოდ ვერ ჩაივლიდა. რეგიონში ბერძნების გააქტიურებას თავის მხრივ ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი, რაზეც ამჯერად ყურადღებას არ გავამახვილებთ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთი ფაქტორი იყო აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო უილსონის (Woodrow Wilson (1856-1924), პრეზიდენტი 1913-1921 წწ.) განცხადება ოსმალეთში მცხოვრები ერების თვითგამორკვევის მხარდასაჭერად⁹ [Φωτιάδης, 2010: 174]. ამ მცდელობის გასაძლიერებლად განუმოძეოდა საზღვარგარეთის ბერძნების როლი და წვლილი. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ: მარსელში მცხოვრები შეძლებული მეწარმე კონსტანტინე კონსტანტინიდის (Κωνσταντίνος Κωνσταντίνιδης), ორი ბერძენი კრასნოდარიდან (ლეონიდას იასონიდის Λεωνίδας Ιασωνίδης და ფილონ კტენიდის Φίλων Κτενίδης), ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთოსი (Χρύσανθος) და ამასიის მიტროპოლიტი გერმანოს კარავანგელისი (Γερμανός Καραβαγγέλης). საინტერესოა ის ფაქტი, რომ პონტოს რესპუბლიკის აქტივისტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საქართველოში მცხოვრები ბერძნები: ვასილი იოანიდის (Βασίλειος Ιωαννίδης) და თეოფილაქტოს თეოფილაქტოსი (Θεοφύλακτος Θεοφύλακτος (1884-1961))¹⁰ ბათუმიდან და იოანის პასალიდის/ფაშალიდის (Ιωάννης Πασαλίδης) სოხუმიდან [Φωτιάδης, 2010: 174]. ეს პროცესი დაიწყო 1916 წლის აპრილში, როცა ტრაპიზონის თურქმა მმართველმა მეჰმედ ჯემალ აზმი (Cemal Azmi, ხანდახან იხსენიება როგორც Jemal Azmi (1868-1922), ტრაპიზონის მმართველი 1914-1922 წლებში) ქალაქი გადასცა მიტროპოლიტ ქრისანთოსს¹¹, ანუ ქალაქის და რეგიონის მმართველობა გადავიდა მაშინდელი მსოფლიოს მიერ კანონიერად აღიარებული „ტრაპიზონის დროებითი მთავრობის“ ხელში [Αγτζίδης, 2001: 100-101]. ორი წელი რეგიონში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, რადგან რუსეთის ჯარმა დატოვა ტრაპიზონი (1917 წლის ნოემბრიდან მომდევნო წლის იანვრამდე) და ქალაქი ისევ მოექცა თურქების ხელში 1918 წლის თებერვლიდან¹². ამის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბერძნების არაერთი

⁹ უილსონმა 1917 წლის 4 დეკემბერს თავის მეხუთე წლიურ გამოსვლაში აღნიშნა: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უზრუნველვყოფთ ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და თურქული იმპერიის ხალხების უფლებასა და შესაძლებლობას, რომ თვითონ აქციონ თავიანთი ცხოვრება უფრო უსაფრთხოდ; მათი ბედი კი უფრო დაცული იყოს ზეწოლისა და უსამართლობისგან ან უცხო ქვეყნების სასამართლოების თუ პარტიების დიქტატისგან“ (We shall hope to secure for the peoples of the Balkan peninsula and for the people of the Turkish Empire the right and opportunity to make their own lives safe, their own fortunes secure against oppression or injustice and from the dictation of foreign courts or parties). December 4, 1917: Fifth Annual Message, <https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/december-4-1917-fifth-annual-message>.

¹⁰ მასზე ქვემოთაც ვისაუბრებთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ იყო ცნობილი ექიმი, ერთი გაზეთისა და ჟურნალის გამომცემელი და პონტოს დამოუკიდებლობისთვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი. პონტოში, ქალდიის პატარა სოფელში, დაიბადა. სამედიცინო ფაკულტეტი პარიზში დაამთავრა [Εγκυκλοπαίδεια 3 (2007): 433]. 1914 წელს, რათა თავი აერიდებინა თურქულ ჯარში სავალდებულო სამსახურისთვის, ბათუმს მიაშურა ოჯახთან ერთად. ერთი წლის შემდეგ გახდა კავკასიის რუსული საავადმყოფოს დირექტორი. 1916 წელს დაბრუნდა ტრაპიზონში. ორ წელიწადში, ანუ ტრაპიზონიდან რუსული ჯარის წასვლის შემდეგ, ისევ ბათუმს მიაშურა. სწორედ ბათუმში აარსებს პონტოს ეროვნულ საბჭოს 1919 წელს და ამ ყველაფერს დეტალურად აღწერს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩაუქრობელი ცეცხლის ირგვლივ“ («Γύρω στην άσβεστη φλόγα»). 1920 წელს დატოვა საქართველო. ჯერ დასახლდა ათენში, ხოლო ორი წლის შემდეგ გადავიდა თესალონიკში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა [Εγκυκλοπαίδεια 3 (2007): 434-435].

¹¹ ეს თავის მხრივ განაპირობა პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმიის მიერ ქალაქის დაკავებამ.

¹² ამ პროცესებს ვრცლად აღწერს ცნობილი ბერძენი ჟურნალისტი, მწერალი და დრამატურგი დიმიტრის ფსაფასი (Δημήτρης Ψαθάς, 1907-1979), რომელიც ტრაპიზონში დაიბადა და გაიზარდა. პონტოში განვითარებულ მოვლენებს სპეციალური, დაახლ. 500-გვერდიანი ქრონიკა/მოვლენები უძღვნა 1966 წელს სათაურით „პონტოს მიწა“ (Γη του Πόντου). მაშინ, როცა რუსების რაოდენობა მცირდებოდა ტრაპიზონში, ძალიან ბევრი მისი თანამემამულე ბერძენი ემზადებოდა ბათუმში ან ქერჩში წასასვლელად, რადგან ყირიმი მათთვის ლამის გადაღმა იყო და კავკასიაც ძალიან ახლოს [Ψαθάς, 1999: 70]. ის ასევე

შეკრება გაიმართა ე. წ. პონტოს/პონტოური საკითხის განსახილველად¹³. იმავე პერიოდში, ანუ 1918-1920 წწ., ანატოლიდ-ან გადმოსახლებულ ბერძნებს მათთვის სასიკეთოდ შემობრუნებული საერთაშორისო ვითარების შედეგად მიეცათ სამშობლოში დაბრუნების უფლება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 1920-დან 1922 წლამდე განსაკუთრებით აჭარის რეგიონში ბერძნული მოსახლეობის კლების ტენდენცია იკვეთება [იხ. დეტალები პონტოელი ... 2017: 31]. თუმცა საქართველოში დარჩენილი ბერძნების რაოდენობა ცოტა არ იყო [გარაყანიძე, 1990: 67-68]. ისინი აქტიურ როლს თამაშობდნენ როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისითაც¹⁴. შემთხვევითი არ არის, რომ განსაკუთრებით ცარიისტული რეჟიმის დამხობის შემდეგ (1917-1919 წწ.) რამდენიმე პანელინური კონფერენცია, რომლებიც ეხებოდა არა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძნების საკითხს, არამედ პონტოს რეგიონში განვითარებულ მოვლენებსაც, გაიმართა თბილისსა და ბათუმში. ბათუმის პონტოელთა კავშირი (**Σύνδεσμος Ποντίων Βατούμ**) ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ბერძნული ორგანიზაცია იყო საბერძნეთის გარეთ [**Ψαθάς**, 1999: 297]. ბათუმში მეორე ბერძნული ორგანიზაციაც არსებობდა, უფრო მეტად ბოლშევიკების გავლენის ქვეშ და შედარებით ნაკლებად ხასიათდებოდა ეროვნული მისწრაფებებით. ის 1917 წლის მაისში დაარსდა და ძირითადად ბათუმის ბერძენ მუშათა და მოხელეთა ჯგუფს წარმოადგენდა. მისი დაარსებაში ლომის წილი უძღოდა ტრაპიზონელ ნიკოლაოს ანასტასიადისს. ეს ჯგუფი იმდენად გააქტიურდა, რომ ერთ წელიწადში, 1918 წლის პირველ მაისს, საკუთარი გამეთის გამოცემაც კი დაიწყო (**Αγτζίδης**, 2001: 104).

1919 წლის 25 მარტს ბათუმში, რომელსაც ამ დროს ბრიტანელები ფლობენ, გაიმართა პონტოს ბერძნების მეორე ყრილობა. ფსაფასი ამბობს, რომ პონტოს დამოუკიდებლობა¹⁵ სწორედ ბათუმში გამოცხადდა ამ დღეს, რა დროსაც ყველა ბერძნული ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიკრიბა [**Ψαθάς**, 1999: 297]. ვასილი იოანიდისი აირჩიეს მთავრობის თავმჯდომარედ, ხოლო თეოფილაქტოსი — მის მოადგილედ. „პონტოელთა ეროვნული შეკრება ბათუმში“ — ამ სახელითაა ცნობილი ეს შეკრება (**Εθνοσυνέλευση των Ποντίων στο Βατούμ**) [**Φωτιάδης**, 2010: 176-177]. ამას მოჰყვა კიდევ ერთი სხდომა იმავე წლის 14 დეკემბერს იმავე ქალაქში. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვებთან ერთად ცნობილი პოლიტოლოგი და ჟურნალისტი ნიკოს ლეონტიდისი (**Νίκος Λεοντίδης** (1881-1942) [**Εγκυκλοπαίδεια** 3 (2007): 184]. 1920 წლის 23-25 ივლისს კვლავ ბათუმში გაიმართა პონტოს ბერძნების გენერალური ყრილობა (**Γενικό Συνέδριο των Ελλήνων του Πόντου**), რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად გადაწყვიტა პონტოს რეგიონის საბერძნეთთან მიერთების საკითხი [**Εγκυκλοπαίδεια** 3 (2007): 184-185].

საბერძნეთის 1919 წლის მონაცემები საქართველოში მცხოვრები ბერძნების რაოდენობის შესახებ ასეთია: სულ 112,850 (მათ შორის წალკის 60 სოფელში ცხოვრობს 35 ათასი, ბათუმსა და მის შემოგარენ 5 სოფელში 20 ათასი, სოხუმსა და მის ახლომახლო 40 სოფელში 45 ათასი; დანარჩენები ცხოვრობენ თბილისში, ფოთში, ვაგრაში, გუდაუთასა და სოჭში (**Αγτζίδης**, 2001: 87). უნდა აღვნიშნოთ, რომ დიმიტრის ფსაფასის მიხედვით საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა (რომელსაც საქართველოს ადგილობრივ მთავრობად მოიხსენიებს (**Τοπική Κυβέρνηση της Γεωργίας**) ძალიან კეთილგანწყობით უყურებდა და ეხმარებოდა კიდევ პონტოელებს საჯარისო ქვეყანოფილებების შექმნაშიც [**Ψαθάς**, 1999: 298].

აღწერს, თუ როგორ იწვალეს მან და მისმა ოჯახმა რამენაირად ბათუმში ჩაეღწიათ, მაგრამ ძლიერი ღელვის გამო გემმა ვერ შეძლო პორტში შესვლა. მერე ეცადნენ ფოთში შესულიყვნენ [**Ψαθάς**, 1999: 265-269]. ლტოლვილთა დიდი რაოდენობა იყო თავმოყრილი, ბათუმის გარდა, თბილისსა და ფოთში [**Ψαθάς**, 1999: 270]. რუსეთის იმპერიის სამხრეთში ბერძნების დიდმა რაოდენობამ ყარსიდან მოიყარა თავი, მათ შორის საქართველოს ქალაქებშიც (თბილისი, ბათუმი, სოხუმი) [**Γρηγοριάδης**, 1957: 45]. ზოგადად, ამ პერიოდის ბათუმში ჩასული ბერძნების დიდ რაოდენობაზე არაერთ პუბლიკაციაშია ხაზგასმული (**Γρηγοριάδης**, 1957: 43]. ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ Reynolds 2011, იხილეთ უფრო კონკრეტულად 163-165.

¹³ მათ შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს 21/01/1918 წელს ქ. მარსელში გამართული პონტოელთა კონფერენცია (**Ποντιακό Συνέδριο**) ზემოთ მოხსენიებული კონსტანტინე კონსტანტინიდიდისის თაოსნობით [**Ψαθάς**, 1999: 291]. დიმიტრის ფსაფასი მიიჩნევს, რომ კავკასიის პონტოელები რაოდენობრივად აღემატებოდნენ სხვა რეგიონებში მცხოვრებ ბერძნებს და ყველაზე უფრო შეკრულები იყვნენ [**Ψαθάς**, 1999: 296].

¹⁴ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში საქართველოში მცხოვრები ცალკეული ბერძნების შესახებ იხ. ჩეპიდი, 1990: 194.

¹⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მათგანი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ პონტოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად სადმე გამოცხადდა. მიიჩნევენ, რომ მხოლოდ პონტოს ეროვნული საბჭო იქნა არჩეული, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია პონტოს დამოუკიდებლობის სახით დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფოს არსებობას [**Αγτζίδης**, 2001:176]. როგორი ინტერპრეტაციაც უნდა მივცეთ ამ შეკრებების გადაწყვეტილებებს, ფაქტია, რომ პონტოს რეგიონის და პონტოელი ბერძნებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე შეკრებები და მსჯელობა საქართველოს ტერიტორიაზე იმართება. ხშირ შემთხვევაში ეს ხდება ბათუმში და ხანდახან თბილისშიც.

პირველი რესპუბლიკის პერიოდში ბერძნებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვისაუბროთ არაერთხელ მოხსენიებულ ივანე ზაშალიდიძე (Ιωάννης Πασαλίδης). ის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერთა შორისაა¹⁶ და ერთადერთი ბერძენია, რომელმაც 1919 წლის საყოველთაო არჩევნებში სოციალ-დემოკრატების სიით იყარა კენჭი. ეს მაშინ, როცა ამ არჩევნებში მე-15 ნომრით (ანუ ბოლო ადგილზე) „ელინთა დემოკრატიული პარტია“ (Ελληνικό Δημοκρατικό Κόμμα ზუსტი თარგმანი: ბერძნული დემოკრატიული პარტია) იღებდა მონაწილეობას საქართველოს სხვა უმცირესობებთან ერთად, კერძოდ: სომხებთან და ამერბაიჯანელებთან (№4 სომეხთა რევოლუციური პარტია, № 6 საქართველოს მუსლიმანთა ეროვნული საბჭო, № 12 ბორჩალოს მაზრის მუსლიმანების საკანდიდატო სია)¹⁷. ბერძენთა პარტიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინა 10-კაციანი საკანდიდატო სია, რომელშიც პირველი ნომერი იყო ეროვნული საბჭოს წევრი, ეთნიკური უმცირესობის კვოტით შეყვანილი დეპუტატი, ექიმი ალექსანდრე მიხაილოვი [პირველი ..., 2017: 63; ათივეს სახელები ქართულად და რუსულად იხ. იქვე]. პარტიამ თბილისის მაზრიდან 26695 კანონიერად ცნობილი ხმიდან მხოლოდ 3 აიღო [პირველი..., 2017: 87], საკუთრივ ქალაქ თბილისში 11 ხმა [იქვე, 89], ხოლო ბორჩალოს მაზრაში 522 [იქვე, 92]. არჩევნების შედეგად მანდატების მიღება მხოლოდ ექვსმა პარტიამ შეძლო [დეტალები იქვე, 93]. ცხადია, ბერძენების პარტია ამ ექვსეულში ვერ მოხვდა. ბერძენთა დემოკრატიული პარტიის არჩევნებში მოპოვებული მცირე ხმები იმის შედეგად იყო, რომ ბათუმი (მათი პარტიის „სამშობლო“) იმ დროს ბრიტანელების ხელშია¹⁸ და არ მონაწილეობდა არჩევნებში. ამ პარტიას დაარსებისას (1917 წ.) ერქვა „ბერძნული ეროვნული დემოკრატიული პარტია“ (Ελληνικό Εθνικό Δημοκρατικό Κόμμα). მისი პროგრამის თანახმად, პარტიის მთავარი პრინციპი იყო: „ფართო პოლიტიკური თანასწორობა“. პირველ პუნქტში აღიარებდა რუსეთის იმპერიის მთლიანობას, თუმცა სამომავლოდ მისთვის იდეალური მმართველობა დემოკრატია იქნებოდა. პარტია აღიარებდა იმპერიის შიგნით სხვადასხვა ერის უფლებას თვითგამორკვევისა და ავტონომიური მმართველობის შესაქმნელად. მაგრამ იქვე მოითხოვდა ეროვნულ უმცირესობებს ჰქონოდათ ეროვნულ-საგანმანათლებლო საკითხებში თვითმმართველობის უფლება. საინტერესოა პროგრამის მე-5 პუნქტი: „[პარტია] ითხოვს სრულ უპირობო და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ქალების პოლიტიკური უფლებების გაფართოებას“ [ბერძნული; სრული ინფორმაცია აღნიშნულ დოკუმენტზე¹⁹ [Αυτζίδης, 2001: 106-107, განსაკუთრებით შენიშვნა 208].

ზემონახსენებ იოანე ზაშალიდიძის ბერძენთა დემოკრატიულ პარტიაში არყოფნას თავისი მიზეზები ჰქონდა. 1917 წლამდე სოხუმში არსებობდა „ბერძენების ეროვნული ორგანიზაცია“. რევოლუციის შემდეგ ეს დაჯგუფება შეუერთდა მენშევიკებს და გახდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერძნული განყოფილება. მას სათავეში ფაშალიდისთან ერთად ჩაუდგა ვინმე ცაცასი [Αυτζίδης, 2001: 128]. ფაშალიდისის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული აქტივობის მიუხედავად, მის ბიოგრაფიაში ბევრი ასპექტი მოითხოვს დაზუსტებას. ცხადია, მოცემულ სტატიაში არ ვაპირებთ მისი ბიოგრაფიის ნაკლოვანებების შევსებას ან გამოსწორებას²⁰, მაგრამ აუცილებლად მივანიშნებთ ერთ საგულისხმო ხარვეზზე. ფაშალიდისის ბიოგრაფია მონაცემთა რამდენიმე ბაზაშია ხელმისაწვდომი²¹. მათში აღნიშნულია, რომ „1885 წელს ის დაიბადა ოსმალეთის იმპერიის ამასიის პროვინციაში“ და რომ „1896 წლიდან სწავლობდა ტფილისის რუსულ გიმნაზიაში“. ცოტა გაუგებარია ოსმალეთში დაბადებული ბიჭუნა და მისი ოჯახის წევრები უცებ როგორ აღმოჩნდნენ თბილისში, ან როგორ შეძლო 11 წლისამ სწავლა რუსულ გიმნაზიაში (ოსმალეთში რუსული საიდან ან როგორ უნდა ესწავლა?). ბერძნულად გამოცემული „პონტოელი ბერძენების ენციკლოპედიაში“ კი აღნიშნულია, რომ ივანე ფაშალიდი დაიბადა ქუთაისში. მისი მშობლები 1878 წლის შემდეგ გადმოსახლებულან საქართველოში [Εγκυκλοπαίδεια 8 (2007): 121]. ეს ინფორმაცია უფრო ახლოსაა სიმართლესთან, რადგან 1878 წელს ოსმალეთის იმპერიიდან საქართველოში გადმოსახლება აბსოლუტურად რეალურია, ისევე როგორც რეალურია 11 წლის ბიჭუნას ქუთაისიდან თბილისში

¹⁶ სხვათა შორის, ხელს ბერძნულად აწერს.

¹⁷ იხ. 15-ვე პარტიის დასახელება ქართულად და ინგლისურად; ასევე მოკლე მონაცემები მათზე პირველი ..., 2017: 34-63.

¹⁸ ბათუმი დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ძალებმა დაიკავეს 1918 წლის დეკემბრის დამლევის, მას შემდეგ ეს ქალაქი იქცა ანტანტის მთავარ ქვეყნებს შორის უთანხმოების ობიექტად [სიორიძე, 2011: 113]. დიდი ბრიტანეთის მთავრობის კაბინეტმა ბათუმიდან ჯარების ევაკუაციისა და მისი საქართველოსთვის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო 1920 წლის 11 ივნისს. 28 ივნისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. 9 ივლისს ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ძალებმა დატოვეს ბათუმი [სიორიძე, 2008: 488-489].

¹⁹ დიდ მადლობას ვუხდით თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორს, ვლასის აღიძისს (Βλάχης Αυτζίδης), ამ დოკუმენტის მოწოდებისა და სტატიასთან დაკავშირებულ ბევრ ბუნდოვან საკითხზე თავისი კომპეტენტური ამრის გამიარებისთვის.

²⁰ ამას სჭირდება საგანგებო კვლევა, საბერძნეთში სპეციალური ლიტერატურის მოძიება და მის შთამომავლებთან კონტაქტის დამყარება, რაც მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება.

²¹ <http://firstrepublic.ge/ka/biography/188>; ხვადაგიანი, 28.04.2017.

სასწავლებლად ჩამოსვლა (ალბათ მშობლებთან ერთად, მაგრამ ეს დეტალი დაკონკრეტებული არც ამ ენციკლოპედი-აშია). ასევე საინტერესოა, როგორ გაიცნო ფაშალიდიმ თავისი მეუღლე, ტრაპიზონელი მარია სპირანტი, სავარაუდოდ მოსკოვში სწავლისას [Εγκυκλοπαίδεια 8 (2007): 122], სადაც იმყოფებოდა ვიდრე სოხუმში დასახლებულა 1910-იან წლებში. სოხუმში ცხოვრებისას ის აქტიურად ცდილობდა იქ მცხოვრები ბერძენებისთვის აეხსნა მარქსიზმის არსი [Αγτζίδης, 2001: 130]. სოხუმსა და მის შემოგარენში ბერძნებს რევოლუციური იდეებით გამსჭვალული, მენშევიკების მხარდამჭერი შეიარაღებული დაჯგუფებაც კი ჰქონდათ²², მას ხელმძღვანელობდა ძალიან ცნობილი აბრაგი ხარალამბოს (ხაბოს) პაპანდოპულოსი. მას ფინანსურად ეხმარებოდნენ სოხუმელი თამბაქოს ბიზნესის მფლობელი 4 ბერძენი და ორიც ძალიან მდიდარი გემების მფლობელი ასევე სოხუმიდან. მენშევიკების მხრიდან ამ დაჯგუფების ერთგვარი წახალისება დიდწილად სწორედ ფაშალიდის შუამდგომლობის დამსახურება იყო²³ [Αγτζίδης, 2001: 133].

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან და ანალიზიდან აშკარაა, რომ საქართველოში მცხოვრები ბერძენების (ძირითადად ბათუმსა და სოხუმში და ნაწილობრივ თბილისშიც) პოლიტიკური აქტივობა განსაკუთრებით თვალში საცემია რევოლუციის პერიოდში და გრძელდება პირველი რესპუბლიკის წლებშიც. მათი მოღვაწეობა სცილდება საკუთრივ საქართველოს ტერიტორიას და მოიცავს (და გამოხატავს) ზოგადად რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძენების ინტერესებს. არცთუ იშვიათად პონტოს რეგიონის ბერძენების პოლიტიკურ პრობლემებს არათუ ეხმარებიან საქართველოში მცხოვრები ბერძენები, მათ გადასაჭრელად არაერთ ღონისძიებასაც კი მიმართავენ. კვლევამ აჩვენა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში პონტოს რეგიონიდან სხვადასხვა აქტივისტი ბათუმს ირჩევს საცხოვრებელ ადგილად და საქართველოს ამ უმსხვილესი საპორტო ქალაქიდან განაგრძობს პონტოს დამოუკიდებლობისთვის აქტიურ ბრძოლას. ამ ბრძოლაში მათ ეხმარებიან როგორც ადგილობრივი მდიდარი ბერძენი მეწარმეები, ისე ტრაპიზონელებიც. ყველა ეს საკითხი, რის აღნიშვნაც მოხერხდა წინამდებარე სტატიაში, სამომავლოდ იმსახურებს საგანგებო და კომპლექსურ კვლევას. ასეთი ნაშრომი ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს საბერძენეთის უახლესი ისტორიის, ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდისა და საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის უკეთ გააზრება-გაანალიზებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემუროვა დ., 1987, ქალის მდგომარეობა რევოლუციამდელ ბერძნულ ოჯახში, კრებულში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბილისი: მეცნიერება.
2. გარაყანიძე ირინა, 1990, საქართველოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია მე-18-20 სს., კრებულში: ბერძენები საქართველოში, თსუ-ის გამომცემლობა.
3. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბილისი, 2017.
4. პონტოელი ბერძენები საქართველოში - წარსული და თანამედროვეობა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბათუმი, 2017.
5. სიორიძე მალხაზ, 2008, ბათუმის საკითხის ინტერნაციონალიზაცია 1919-1920 წწ., კრებულში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, აჭარა, ტ. 3 (ბათუმის ოლქი 1877-1920 წწ.), ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. სიორიძე მალხაზ, 2011, ბათუმი ანტანტის სახელმწიფოების გეგმებში პარიზის საზავო კონფერენციის პირობებში, კრებულში: სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, თბილისი: უნივერსალი.
7. ჩეპიდი ი., 1990, რესპუბლიკის ბერძნული მოსახლეობა 1917 წლიდან დღემდე, კრებულში: ბერძენები საქართველოში, თსუ-ის გამომცემლობა.
8. ხვადაგიანი ირაკლი, იოანის ფაშალიდის - მემარცხენეობის ხმა და სინდისი, <http://archive.ge/ka/blog/8>, გამოქვეყნების თარიღი: 2017-04-28.
9. Αγτζίδης Βλᾶσης. 2001. Παρευξείνιος Διασπορά, Οι ελληνικές εγκαταστάσεις στις βορειοανατολικές περιοχές του Ευξείνου Πόντου, Θεσσαλονίκη: Εκδοτικός Οίκος Αδελφών Κυριακίδη.

²² აერთიანებდა დაახლოებით 200 კაცს [Αγτζίδης, 2001: 134].

²³ ერთი მხრივ, სოხუმში და, მეორე მხრივ, ბათუმში მცხოვრები ბერძენების მიერ რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერა ცალკე განხილვის საგანია და უთუოდ იმსახურებს როდესმე გახდეს სპეციალური კვლევის ობიექტი.

10. *Εγκυκλοπαίδεια του Ποντιακού Ελληνισμού (Ιστορία-Λαογραφία-Πολιτισμός)*, τ. 1-12 (2007), Θεσσαλονίκη: Εκδόσεις Μαλλιάρης – Παιδεία.
11. Ελληνικό Εθνικό Δημοκρατικό Κόμμα (ბერძნული ეროვნული დემოკრატიული პარტია. პროგრამა) (გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, პირადი არქივი)
12. Κάλφογλου Ιωάννης. 1908. *Οι Έλληνες εν Καυκάσω* (Ιστορικών Δοκίμιον), εν Αθήναις: Τυπογραφείο «Αυγής» Αθανασίου Παπασπύρου.
13. Καρδάσης Βασίλης. *Ο Ελληνισμός του Εύξεινου Πόντου*, Αθήνα: Εκδόσεις Μίλητος.
14. Μουρατίδης Ερμής. 12/12/1999. *Το Ποντιακό Θέατρο εκείθεν και εντεύθεν του Αιγαίου*, გაზეთი რიზოსპასტის (ΡΙζοσπάστης), <https://www.rizospastis.gr/story.do?id=26491>
15. *Πόντος των Ελλήνων* (δίγλωσση έκδοση. Τίτλος στα αγγλικά The Pontos of the Hellenes), Αθήνα: Εκδόσεις Έφεσος.
16. Michael A. Reynolds, *Shuttering Empires, The Clash and Collapse of the Ottoman and Russian Empires, 1908–1918*, Cambridge University Press Reynolds 2011
17. Φωτιάδης Κωνσταντίνος. 2010. *Πόντος Δικαίωμα στη Μνήμη*, Θεσσαλονίκη Εκδόσεις Ζήτρος.
18. Φωτιάδης Κ. - Μιχαηλίδης Ι., *Πόντος – Ο Ποντιακός Ελληνισμός*, Ιστορικό Λεύκωμα , National Geographic
19. Ψαθάς Δημήτρης. 1999. *Γη του Πόντου*, Αθήνα: Εκδόσεις Μαρία Δ. Ψαθά.
20. Wilson Woodrow. December 4, 1917: *Fifth Annual Message*, <https://millercenter.org/the-presidency/presidential-speeches/december-4-1917-fifth-annual-message>

EKA TCHKOIDZE

PhD, Associate Professor Ilia State University (Tbilisi, Georgia)

THE GREEKS ON THE BLACK SEA COAST AND THE CAUCASUS (1917-1921)

SUMMARY

Migration of Anatolian Greeks to the territories of historical Georgia started since the 16th century. Although, it became more intensive in the 19th c., due to the Russo-Turkish wars. It is logical that they preferred mainly coast-line regions of Georgia (e. g. eastern shores of the Black sea: Apkhazia and Adjara) but they settled also in hinterland of the country, such as the capital city Tiflis (Tbilisi) and Tsalka district.

Some cases of the Greeks who lived in Georgia are well-known, especially their contribution in both political and cultural life of the country. Although, some issues still remain little-investigated. In the current article an attempt was made to single out a few of those cases. One of them is the immense role played by the Pontic Greeks, very active and acute supporters of Pontos independence, who preferred to move to Batoum (Batumi) at the end of the 19th c. and beginning of the 20th c. in order to continue their struggle. They even issued newspapers in Greek. Another part of Greek minority, the descendant of immigrants who moved from Anatolia to Batumi before 1878, managed to establish the “Greeks’ Democratic Party” in Batumi in 1917. The Greeks of Georgia participated also actively in all congresses and conferences of Greek diaspora organized in the Russian empire (especially that of Tbilisi in May 1917 and in Taganrog on 29.06.1917).

In the article some aspects of the life of John (Ioannis) Passalides/Pashalides (1885-1968) was discussed. As a very active member of Georgian Social-Democratic party, he signed the Declaration of Independence of Georgia on May 26, 1918 and was elected in the Constituent Assembly of Independent Georgia in 1919, after the first universal democratic elections.

ჯედიეზა გაბოძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ემიგრანტული პრესა ქართულ კლასიკოსთა შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების ასი წლისთავზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შვეიცარიაში ქართველი ემიგრანტების მეშვეობით, რომელიც საკმაოდ მდიდარია ჟანრობრივად და ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანმოკლე ეპოქის შესახებ. ქართველი ემიგრანტები მოღვაწეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და გარდა პოლიტიკური ბრძოლისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის წინსვლაში. ბეჭდავდნენ მონოგრაფიებს, წიგნებს, თარგმნიდნენ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს ევროპულ ენებზე, გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს, სამეცნიერო კრებულებს. ამ მხრივ სრულიად გამორჩეულია ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა, რომელიც ფუნდამენტურ კვლევას საჭიროებს. როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გამოდიოდა რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთი ქართულ და უცხოურ ენებზე საფრანგეთში, პოლონეთში, ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებშიც. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: „ქართველი ერი“ (რედ. ვიქტორ ნოზაძე); „ბედი ქართლისა“ (რედ. კონსტანტინე სალია), „მამულიშვილი“ (რედ. რევაზ გაბაშვილი), „მამული“ (რედ. ვიქტორ ნოზაძე), „კრებული“ (რედ. გივი კობახიძე), „ერის დიდება“ (რედ. ალ. მანველიშვილი); „სამშობლოსათვის“ (რედ. სპირიდონ კეღია), „კავკასიონი“ (რედ. ვიქტორ ნოზაძე), „სამშობლო“ (რედ. ალ. ასათიანი); „თეთრი გიორგი“ (რედ. ლეო კერესელიძე); „საქართველო“ (რედ. გიორგი გვაზავა) და მრავალი სხვა.

ქართველ ემიგრანტთა პირველი თაობისთვის პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის საუკეთესო საშუალება სწორედ რომ პერიოდული პრესა აღმოჩნდა, ეს იყო შესაძლებლობა, ევროპის ქვეყნებისთვის ეცნობებინათ ბოლშევიკების მიერ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამხობის შესახებ. სამშობლოში მიმდინარე პოლიტიკურ და სხვა საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენების მიმართ მუდმივი ინტერესი კი ცხადყოფდა, რომ ქართველი ემიგრანტები არ იფიქრებდნენ საკუთარ ქვეყანას, მეტიც, ისინი მასთან შეხვედრის მზადყოფნით ცხოვრობდნენ. ალბათ, ამითაც აიხსნება ქართულ ენაზე პერიოდული გამოცემების ასეთი სიჭარბე; ამიტომაც სავსეა ემიგრანტული პრესა თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი მასალით.

ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი უცნობი პირველხარისხოვანი მეცნიერული გამოკვლევა (თუნდაც ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომები („კავკასიონი“, 1929, №1-2), საინტერესო ნაშრომები ქართული ლიტერატურის შესახებ. მაგალითად, ნოე ჟორდანიას „ვეფხისტყაოსნის საკითხები“, ალ. მანველიშვილის მონოგრაფია „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა“, გიორგი გვაზავას „რუსთაველი და მისი შემოქმედება“, ვიქტორ ნოზაძის „დანტე-რუსთაველი“ და შალვა ამირეჯიბის, გიორგი ჟურულის, ალ. ცომაიას, სამსონ ფირცხალავას წერილები ქართველ კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და მრავალი სხვა.

ამ ნაშრომებში მოცემულია ქართველ მწერალთა შემოქმედების საინტერესო ორიგინალური შეფასებანი. გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება გავიზიაროთ ან არა, მაგრამ, ფაქტია, მათ გვერდს ვერ აუვლის ქართული ლიტერატურის დღევანდელი მკვლევარი. მეტიც, ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე ემიგრანტ მოღვაწეთა ნააზრევმა შესაძლოა ბევრი ისეთი საკითხი წამოჭრას, რომლებიც ვერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი ან საბჭოთა კონიუნქტურის გამო ჩვენთან საკმაოდ გვიან მოხდა ამ ტექსტების სწორი კრიტიკული ანალიზი. მაგალითად, ემიგრანტული პრესა საკმაოდ აქტიურად გამოეხმაურა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“. ვლადიმერ ბაქრაძის ვრცელ კრიტიკულ წერილში „ჯაყოს ხიზნები“ – რომანი მიხეილ ჯავახიშვილისა“, შეიძლება ითქვას, მოცემულია ჯაყოს პერსონაჟის პირველი სწორი იდეური შეფასება: „ჯაყო მეტია, ვიდრე მხატვრული ტიპი, ის სიმბოლოა, მხატვრული სიმბოლო ეპოქისა, ის, ასე ვთქვათ, მხატვრული კვინტესენციაა ბოლშევიზმის... მომავალი ისტორიკოსისთვის საკმარისი იქნება ჯაყოს გაცნობა, რომ გაიცნოს მთელი ეპოქა ბოლშევიკური ტირანიისა: მისი პსიქოლოგია, ზნე-ჩვეულება, მორალი, მისი კულტურა, ფილოსოფია, ხელოვნება და სხვ.“ („კავკასიონი“, 1929, №2:). თუმცა ვლ. ბაქრაძე სრულიად ხელოვნურ ტიპებად მიიჩნევს თეიმურაზისა და მარგოს სახეებს.

საყურადღებოა, რომ ამ კრიტიკულ წერილს „კავკასიონის“ მესამე ნომერშივე გამოეხმაურა ვიკტორ ნოზაძე თამარ ვარდანიძის ფსევდონიმით წერილში „თათქარიძის მოდგმა – თეიმურაზ ხევისთავი – „ჯაცოს ხიზნების“ გამო“. იგი განიხილავს თეიმურაზის სახეს და ასკვნის: „ვის ეკუთვნის თეიმურაზი? უსათუოდ ქართულ ინტელიგენციას, და თვითონ თეიმურაზი კი არის წარმომადგენელი ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილისა. ეს ინტელიგენცია არის, ლუარსაბ თათქარიძის მოდგმას რომ ეკუთვნის, არა წოდებრივად, არამედ ფსიქოლოგიურად“ („კავკასიონი“ 1929 №3). როგორც ჩანს, თემა მეტად მტკივნეული აღმოჩნდა და პოლემიკა გაზეთის მეხუთე ნომერშიც გაგრძელდა ისიღორე მანჭავას წერილით: „ქართველი ინტელიგენცია და გუმინდელი ტრადედია“ („კავკასიონი“, 1929, №5). შესაძლოა არ დავეთანხმებით ავტორს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა რეალობას და ქართული კრიტიკის დამოკიდებულებას ამ ნაწარმოების მიმართ, უდავოდ დავრწმუნდებით, რაოდენ საინტერესოა ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისთვის ამ ტიპის წერილები.

ა. პაპავას (ფსევდონიმით ვ. თუთბერიძე) შშენიერ ნარკვევში „ბესიკი და მისი ანა“ („კავკასიონი“, 1929, №7) მეტად საგულისხმო ცნობაა ბესიკის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. საყურადღებოა ლიტერატურის კრიტიკისთვის მიხეილ წულუკიძის წერილები: „ილია და აკაკი“ („კავკასიონი“, 1929, №3), ნარკვევი - „ესკიზები თანამედროვე ლიტერატურიდან“ - ვალაკტიონ ტაბიძე („კავკასიონი“, 1929, №1-2, 63-72 გვ.). ისიღორე მანჭავა პუბლიკაციაში „ქართული ლიტერატურა“ („კავკასიონი“, 1929, №1:2) საკმაოდ საინტერესოდ ხსნის ქართველი რომანტიკოსების იდეურ კავშირს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ დღე მცდელობასთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია შალვა ამირეჯიბის წერილი „თავადი ალ. ჭავჭავაძე“ („კავკასიონი“, 1929, №8) და მრავალი სხვ.

ემიგრანტთა მემუარები ხშირად ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს მკვლევართათვის, განსაკუთრებით მათ მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკისა და მშობლიური ლიტერატურის შესახებ. მათი მოგონებები სანდო წყაროა ამა თუ იმ ნაწარმოების დასათარიღებლად თუ ტექსტის დასადგენად. მაგალითად, გაზეთ „ქართველ ერში“ დაბეჭდილი გრიგოლ დიასამიძის წერილის („ყალბი თარიღი - ყალბი დასკვნა“) მიხედვით შესაძლებელი ხდება აკაკის ცნობილი ლექსის „ხანჯლის“ დაწერის თარიღის დაზუსტება. წერილის ავტორი კრიტიკულად განიხილავს აკაკი წერეთლის საიუბილეო გამოცემას (წერეთელი, 1940, 719), რომელშიც ლექსი დათარიღებულია 1905 წლით და მიჩნეულია რევოლუციურ ლექსად. ეს მოსაზრება მას მცდარი ჰგონია და წერს, რომ ლექსი სავარაუდოდ 1881 წლის შემდეგ არის დაწერილი. გრიგოლ დიასამიძე იმ მოსაზრებასაც ავითარებს, რომ ლექსი შესაძლოა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობას ეძღვნებოდა; ასევე გრ. დიასამიძე იმოწმებს 1889 წლის კალენდრის იმ გვერდს, რომელზეც მისივე ხელითაა მიწერილი ლექსის ერთი სტროფი. მაშასადამე, ლექსი 1905 წელს ვერ შეიქმნებოდა. სხვათა შორის, გ. აბზიანიძე მას 80-იანი წლებით ათარიღებს (წერეთელი 2011:442). საგულისხმოა ისიც, რომ გრიგოლ დიასამიძე ასწორებს ლექსის ცალკეულ სიტყვებს, რომლებიც დამახინჯებულადაა შეტანილი საიუბილეო გამოცემაში. ცხადია, ამგვარი ინფორმაცია საიმედო წყაროა ავთენტური ტექსტის დასადგენად.

გრიგოლ დიასამიძე იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწის ნიკო დიასამიძის შვილი. ნიკო აკაკისთან დაახლოებული პირი იყო. გრიგოლი კი წლების განმავლობაში რედაქტორობდა გაზ. „თემს“ და და ისიც მეგობრობდა აკაკისთან. პოეტი ხშირად ბეჭდავდა მის გაზეთში თავის ნაწერებს, გიგო დიასამიძე იყო ასევე აკაკის ანდერძის ერთ-ერთი აღმსრულებელი. ამდენად მისი შენიშვნები სანდოა და მეტად ყურადსაღები. საგულისხმოა, რომ ლექსის თარიღი შემდგომ გამოცემაში გასწორდა, თუმცა, არ ვიცით, საბჭოთა რეჟიმის პირობებში რამდენად ხელმისაწვდომი იყო პ. ინგოროყვასთვის ეს ინფორმაცია. გრ. დიასამიძის ეს ცნობა ამყარებს ჩვენი კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რის მიხედვითაც აკაკის ახალ აკადემიურ გამოცემაში ლექსის ძირითად წყაროდ ავიღეთ „ორი ქართველის...“ ის ტექსტი, რომელიც 1882 წლითაა დათარიღებული. კვლევით დადგინდა, რომ ეს კრებული, რომელშიც სხვა ლექსებთან ერთად შეტანილია დასახელებული ლექსიც, გამოხატავს აკაკის ბოლო შემოქმედებით ნებას, იგი გადახედილია ან შედგენილია აკაკის მიერ და ნაწარმოებზე მისივე ნებითაა დასმული თარიღი 1882 წ. (გაბაძე, 2009, 246), შესაბამისად, გრ. დიასამიძის მოსაზრებაც ემთხვევა ლექსის შექმნის სავარაუდო თარიღს.

გრიგოლ დიასამიძის წერილიდან („ქართველი ერი“ 1943 №5 :13) ვიგებთ, როგორ ჩაიწერა აკაკის ხმა და ვეცნობით ამ მოვლენის ამსახველ უნიკალურ ფოტოებს, რომლებიც ვახტანგ ღამბაშიძეს ალუბეჭდავს ფირზე. ეს აკაკის ხმის ის ცნობილი ჩანაწერია, რომელიც ინახება ოქროს ფონდში, თუმცა მხოლოდ გრიგოლ დიასამიძის ამ მოგონების მიხედვით გახდა შესაძლებელი ჩანაწერის ისტორიისა და მისი ამსახველი დოკუმენტური მასალის გაცნობაც. სურათები გადაღებულია ვახტანგ ღამბაშიძის მიერ; ასევე ჩანაწერში ისმის ვახტანგის ხმა: „ქართველი მგოსანი აკაკი წაიკითხავს ლექსს“. აი, რას წერს გრ. დიასამიძე ხმის ჩაწერის ამ ისტორიის შესახებ: „ამას წინათ, ივნისში, პარიზში ყოფნის დროს (სავარაუდოდ, 1943 წელს, რადგან ვახტანგ ღამბაშიძის ალბომში¹ დაცული გრ. დიასამიძის ჩანაწერი ამ წლით თარიღდება ჯ. გ.) ჩემმა ძველმა მეგობარმა განსაცვიფრებელი ნობათი მაგემა. გამახსენა ის ძვირფასი წუთები, როცა ჩვენმა ბრწყინვალე მგო-

¹ იგულისხმება ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიუმ „პატარა ცემის“ ჩანაწერების ალბომი (1904-1946), რომლის პარიზული პერიოდის ჩანაწერებში არის გრიგოლ დიასამიძის ეს ჩანაწერი. (წიგნი მზადაა გამოსაცემად)

სანმა აკაკიმ თანხმობა გამოგვიცხადა და გავცევა გრამაფონის საზოგადოებაში. თანაც ვახტანგმა გადმომცა სამი მის მიერ გადაღებული სურათი მრავალნაირად საგულისხმო“. როგორც ვ. დიასამიძე წერს, დიდხანს ეძებდნენ ის და ალექსი (აკაკის ვაჟი ჯ.გ.) თურმე ამ ხმის ჩანაწერს გამოსაქვეყნებლად და ბოლოს, აკაკის 100 წლის იუბილეზე, საქართველოში ამეტყველეს ეს ხმა. გაზეთში მოთავსებულია სურათები ვახტანგ ლამბაშიძის წარწერით. პირველ სურათზე აღწერილია აკაკის გამგზავრება სასტუმრო „სევერადან“ ხმის ჩანაწერად. როგორც ვახტანგ ლამბაშიძე წერს, ის და გიგო დიასამიძე დიდხანს არწმუნებდნენ აკაკის, რომ ჩაუწერა თავისი ლექსები. მეორე სურათში აღბეჭდილია აკაკი, რომელიც გრძნობით წარმოთქვამს თავის ერთ-ერთ ლექსს. მესამე სურათი კი იმ ეპიზოდს ასახავს, როდესაც აღელვებული აკაკი გარეთ გამოვიყვანეს და ეტლს უცდის, იქვე დგას გრივოლ დიასამიძე და ცრემლს იწმენდს. დღეისათვის ამ სურათების ბედი გაურკვეველია, შესაძლოა, ისინი ჟურნალის რედაქციაში დარჩა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ლევან თაქთაქიშვილმა გვითხრა, ვ. დიასამიძის არქივში, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ეს სურათები არაა. სამწუხაროდ, სურათები ვერ ვნახეთ ვერც ვახტანგ ლამბაშიძის არქივში, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში. ემიგრანტული მემკვიდრეობის ბიბლიოგრაფიის საერთო ბაზის არსებობის შემთხვევაში კი ასეთი კითხვები პასუხგაუცემელი არ იქნებოდა.

საგულისხმოა ვ. დიასამიძის შენიშვნაც აკაკის „განთიადის“ დაწერის თარიღთან დაკავშირებით. „ლექსს სხვა სათაური ჰქონდა, „მგოსანი“, დაწერილია აკაკის მიერ ხარკოვიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც ჩვენმა მგოსანმა გადაიტანა დიდი ავადმყოფობა“, - იგონებს იგი. ლექსს თარიღი უზის 1893 წ. 2 იანვარი. აქ კი ვ. დიასამიძე აშკარად ცდება, ლექსი გამოქვეყნდა 1893 წლის „კვალის“ პირველ ნომერში, სამ იანვარს, თუმცა მისი ცნობა ამყარებს ინფორმაციას, რომ ლექსი დაიწერა 1892 წელს. ჩვენი კვლევითაც სწორედ ეს თარიღი დასტურდება (გაბობქ, 2009, 118).

მეტად საინტერესოა გივი კობახიძის წერილი „ხმა დასახვრეტთა საკნიდან“, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის უკანასკნელი დღეების ქრონიკას აღწერს და ხერგაისძის ფსევდონიმით გამოქვეყნდა (კრებული...1957).

ამრიგად, ემიგრანტული პრესა ძალიან ბევრ საგულისხმო პუბლიკაციას შეიცავს საქართველოს ისტორიის, კულტურის შესახებ. ამ საკითხის შესახებ აღარ გავაგრძელებთ საუბარს, თუმცა ორიოდე სიტყვით გვსურს შევხებით იმ საინტერესო ბლიც-ინფორმაციებს, რომლებიც ამ ჟურნალ-გაზეთების გვერდებზეა ხოლმე წარმოდგენილი: მაგ., ჟურნალის „ერის დიდების“ (პარიზი, 1953 წლის, №2) ბოლო გვერდზე გვხვდება ინფორმაცია, რომ 18 ოქტომბერს მონრეალის (კანადა) თეატრში ჩვენმა ახალგაზრდა თანამემამულემ ალ. ჯაბადარმა დადგა შექსპირის პიესა „სიმბარი ზაფხულის ღამისა“ გერმანულად. ის თავადაც თამაშობდა სპექტაკლში. მონრეალის პრესა აღფრთოვანებული შეხვდა სპექტაკლს და თეატრის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, მათ სპექტაკლებს დაუთმოს ყოველი შაბათ-კვირა. ალ. ჯაბადარი იყო ცნობილი რეჟისორის - გიორგი ჯაბადარის - შვილი.

5 ნოემბერს ლუქსემბურგში ალ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით წარმოუდგენიათ ქართული ბალეტი; 14 ნოემბერს პარიზში ქართული კულტურის წრემ მოაწყო თავისი პირველი გამოსვლა. აქვე არის ცნობა, რომ მოხსენება „ქართული ლიტერატურის მთავარი მიღწევები“ წაიკითხა პავლე სარჯველაძემ და სხვ.

ცხადია, ამგვარი ინფორმაციები მეტად საჭირო და საგულისხმოა ქართული თეატრალური, სამუსიკო და საბალეტო ხელოვნების ისტორიის მკვლევართათვის. უაღრესად მნიშვნელოვანია ემიგრანტული მემკვიდრეობის სრულყოფილი შესწავლა. საბედნიეროდ, ამ მიმართულებით დიდია მეცნიერთა ინტერესი. როგორც ცნობილია, გურამ შარაძის სახელს უკავშირდება ემიგრანტული მემკვიდრეობის დიდი ნაწილის მოპოვება და მისი სამშობლოში ჩამოტანა. მასვე ეკუთვნის ფუნდამენტური კვლევები ემიგრანტული მემკვიდრეობის შესახებ. „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ რეკონსტრუქციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი ქართული ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთები; პუბლიკაციათა ჟანრობრივ-თემატური ანალიზი, ვრცელი ინფორმაციები რედაქტორ-გამომცემელთა და თანამშრომელთა შესახებ. სამწუხაროდ, მეცნიერს აღარ დასცალდა ამ დიდი შრომის ბოლომდე მიყვანა და დასახელებულ ტომებში მხოლოდ ომის პერიოდამდე არსებული პერიოდული პრესაა განხილული. ფუნდამენტურად შესასწავლია შემდგომი პერიოდის ემიგრანტული პერიოდული გამოცემები.

აუცილებელი და საშურია ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის სრულყოფილი შესწავლა და ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოქვეყნება. უნდა მომზადდეს ანოტირებული საძიებლები და მოძიებულ იქნას ინფორმაციები ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელთა შესახებ. საჭიროა ფსევდონიმების გახსნა. ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობის კვლევა დღეს ძალიან აქტიურად მიმდინარეობს, საკმაოდ ბევრი მეცნიერი და მკვლევარია ჩართული ამ საქმეში, ისტორიკოსები, ფილოლოგები, დიპლომატიური სფეროს წარმომადგენლები. იწერება წიგნები, ნაშრომები, დისერტაციები, ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები; გამოდის ბეჭდური და ელექტრონული ჟურნალები. ბოლო წლებში დაიწყო ემიგრანტული მწერლობის კვლევა ახალი და განსხვავებული რაკურსით, კერძოდ, ინტერდისციპლინური კვლევებისა და ტექსტების გაანალიზების საფუძველზე გამოიყო ქართული ლიტერატურის ინტერკულტურული მოდელი, რომელიც მოიცავს მე-20 საუკუნის ემიგრანტულ მწერლობას და თანამედროვე ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობას. შეიქმნა თეორიული ნაშრომი „ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენ-

ტობის პრობლემა“ (ავტორთა ჯგუფი: ალ. კარტოზია, ნ. ჩიტაური, შ. შამანაძე, ნ. პოპიაშვილი და სხვ); ასევე ძალიან საინტერესოდ და ნაყოფიერად მოღვაწეობენ მეცნიერები ემიგრაციის ისტორიის კვლევის მიმართულებით, დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: რუსუდან დაუშვილის, ოთარ ჯანელიძის, პაატა ნაცვლიშვილის, რუსუდან ნიშნიანიძის, რუსუდან კობახიძის, გელა საითიძის, დოდო ჭუმბურიძის, მანანა კვატაიასა და სხვათა შრომები მეტად მნიშვნელოვანია და საჭირო ამ მიმართულებით.

დასკვნისთვის ვიტყვით, რომ ქართული ემიგრანტული პრესა ძალზე მნიშვნელოვანი წყაროა ქართული პოლიტიკის, კულტურის, ხელოვნების, ისტორიის, ქართული მწერლობისა და კრიტიკის ისტორიის შესასწავლად. ამისთვის კი საშურობა ემიგრანტული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა. დღეისათვის ემიგრანტული მემკვიდრეობა საქართველოს რამდენიმე არქივსა და მუზეუმში ინახება: ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში, რომელიც უახლოეს ხანში შეუერთდება პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დეპარტამენტს, ემიგრანტული მემკვიდრეობა დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში; კერძო კოლექციებში. მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ამ მასალის საერთო ციფრული ბაზა, რომელშიც გაერთიანებული იქნება ამ ცენტრებში დაცული მასალის აღწერილობა; არ არსებობს ელექტრონული გვერდი, საიდანაც შესაძლებელი იქნება სრული ინფორმაციის მოპოვება. თუმცა, დაგვეთანხმებით, რომ ემიგრაციული მემკვიდრეობის სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფია და საძიებლების საერთო ბაზის შექმნა, სწორედ რომ საჩუქარი იქნება მკვლევართათვის და მომავალი ფუნდამენტური კვლევების საფუძვლადაც იქცევა. ეს არაა გადასადები საქმე.

ჩვენ ემიგრანტული მემკვიდრეობის მომავლის არქივები ასე წარმოგვიდგენია:

უნდა შეიქმნას ემიგრანტული მემკვიდრეობის საერთო ვებგვერდი, რომელზეც განთავსდება ერთიანი საინფორმაციო-სამეცნიერო ბაზა; ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მომზადდეს:

1. ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობის სრულყოფილი ბიბლიოგრაფია;
2. საარქივო ხელნაწერი და ნაბეჭდი დოკუმენტების აღწერილობა;
3. ემიგრანტული პერიოდიკის აღწერილობა და ანოტირებული საძიებლები;
4. ემიგრანტთა პირადი არქივების აღწერილობა;
5. იკონოგრაფიული მასალის სრული ბიბლიოგრაფია;
6. სანოტო და მუსიკალური ჩანაწერების სრული ბიბლიოგრაფია და პირთა ანოტირებული საძიებლები;
7. უცხოეთში დარჩენილი ჩვენი ემიგრანტების არქივების დაზუსტებული საერთო სია, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს მომავალ თაობას იზრუნოს ამ მასალის მოძიებასა და მის დაბრუნება-შენახვაზე.

ცხადია, ეს მრავალწლიანი და უდიდესი სამუშაოა, რომელსაც, როგორც ვთქვით, დიდი სამეცნიერო და ფინანსური რესურსი ესაჭიროება, ამიტომ ამ საქმეს უდავოდ სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება სხვაგვარად მომავლის არქივების წარმოდგენა შეუძლებელია.

ლიტერატურის სია:

1. „ბედი ქართლისა“, პარიზი (რედაქტორი - კონსტანტინე სალია).
2. გაბობე ჯულიეტა „აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემები“, თბ., 2009.
3. „ერის დიდება“ (პარიზი), 1953 წლის №2.
4. „კავკასიონი“, 1929 № 1-2; პარიზი, ექვთიმე თაყაიშვილი, „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, გვ. 85-106.
5. „კავკასიონი“, 1929 წ., პარიზი, № 1-2. მიხეილ წულუკიძე, ესკიზები თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან - გალაკტიონ ტაბიძე, გვ. 63-72.
6. „კავკასიონი“, 1929 წ., №2, პარიზი, ვლადიმერ ბაქრაძე, „კრიტიკული შენიშვნები „ჯაყოს ხიზნები“ რომანი მიხეილ ჯავახიშვილის“.
7. „კავკასიონი“, 1929 წ., №3; პარიზი, მიხეილ წულუკიძე „ილია და აკაკი“ (პროფილი), გვ. 77-95.
8. „კავკასიონი“, 1929 წ., №3, პარიზი, თამარ ვარდანიძე (ვიკტორ ნოზაძე) „თათქარიძის მოდგმა - თეიმურაზ ხევისთავი — „ჯაყოს ხიზნების გამო“.
9. „კავკასიონი“, 1929 №5, პარიზი ისიდორე მანჭავა, „ქართველი ინტელიგენცია და გუმინდელი ტრაგედია“.
10. „კავკასიონი“, 1929 წ., №7, პარიზი, კ. თუთბერიძე (აკაკი პაპავა) „ბესიკი და ანა“.
11. „კავკასიონი“, 1929 წ., №8, პარიზი, კ. თუთბერიძე (აკაკი პაპავა), 1832 წლის შეთქმულება და ქართული რომანტიკული მწერლობა.

12. „კავკასიონი“, 1929 წ., №2, პარიზი, ვერიკო სოსანი (ვიქტორ ნოზაძე), „ ძველი ქართული მწერლობა“, გვ. 64-79.
13. კარტოზია, ალ. ჩიტაური, ნ. შამანაძე შ... „ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2016.
14. „კრებული“, 1957, ნიუ-იორკი, ხერგაისძე (გივი კობახიძე) „ხმა დასახვრეტა საკნიდან“.
15. „ქართველი ერი“, 1943, №5, ბერლინი, დიასამიძე გრიგოლ, „უკვდავი ხმა“, გვ.13.
„ქართველი ერი“, 1943, №6/7, ბერლინი, დიასამიძე გრიგოლ, „ყალბი თარიღი - ყალბი დასკვნა“, გვ.21.
16. „ქართველი ერი“, 1944, №6/7, ბერლინი, ისიდორე მანჭკავა „ვაჟა ფშაველა და ქართული კულტურა“, გვ. 23-37.
17. წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული, I ტომი, ა. აბაშელისა და პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბილისი, 1940.
18. წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, II ტომი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
19. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი I-VIII; თბილისი, 2001-2005.

JULIETA GABODZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

EMIGRANT PERIODICALS ABOUT GEORGIAN CLASSIC WRITERS

SUMMARY

After a hundred years since the announcement of Georgia's state independence, it is even more important to study Georgian emigrants' cultural, scientific, and literary heritage, which is quite rich in the genre and contains invaluable information on the short period of independence.

Georgian immigrants worked in different parts of the world and besides political struggle, contributed to the development of world science and culture. They printed monographs, books, translated Georgian literary monuments into European languages, issued magazines and newspapers, scholarly works. In this regard, Georgian emigrant journalism is outstanding.

As it is known, in the first half of the 20th century, several dozen magazines and newspapers were published in Georgian and foreign languages in France, Poland, England, Germany, America, Argentina...

Emigrant press often contains priceless information for researchers. Especially noteworthy are the published critical letters regarding Georgia's politics and literature of the time. Their memoirs are also a good source to date different literary works or to identify texts. For example, based on the letter by Grigol Diasamidze, published in the newspaper 'Kartveli Eri' (Georgian Nation), it is possible to specify the date for Akaki Tsereteli's famous poems 'Gantiadi' and 'Khanjali'. From the same letter, we understand how Akaki's voice was recorded and are introduced to the unique photographs of this event, taken by Vakhtang Gambashidze. Greatly noteworthy is the chronicle of last days of Mikheil Javakhishvili, which was published in 'Krebuli' (Collection) by Givi Kobakhidze under the pseudonym Khergaidze.

Studies on emigrant journalism have a long history. In recent years, this research developed into new and different direction. Namely, based on the interdisciplinary studies and analysis of texts, an intercultural model of Georgian literature was developed, which includes 20th-century emigrant literary works and modern Georgian intercultural-emigrant works.

To study Georgian emigrant journalism comprehensively, it is crucial creating an electronic database: prepare a complete description of immigrant cultural heritage, create online catalogues for archives and regularly updated web-page.

ანგონ ვაჭარაძე

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროექტი“

იკანში რუსეთის საიმპერატორო მისიის საქმიანობა საქართველო-იმერეთის სინოდის კანცოლის სააქტივო მესაღვინის მიხედვით

შესავალი

რუსეთ-ირანის ურთიერთობა XIX საუკუნეში უახლესი ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელია. ამ ურთიერთობებმა განსაზღვრა მსოფლიო გეოპოლიტიკის მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებიც დღესაც აქტუალურია. ეს პერიოდი მრავალი ისტორიკოსის დაინტერესების საგანია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან XIX საუკუნეში ქვეყანა (უფრო ზუსტად კი რუსეთის იმპერიის მიერ თავის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული თბილისის გუბერნია) ორი დიდი იმპერიის საზღვარზე აღმოჩნდა, შესაბამისად უამრავი პროცესი სწორედ ჩვენს ქვეყანასთან ახლოს განვითარდა და მრავალი ცვლილების მომტანი გახდა.

1828 წელს დაიდო თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც საბოლოოდ დადგინდა რუსეთის იმპერიის სამხრეთის საზღვრები და ამ მოვლენის შემდეგ რუსეთ-ირანს შორის ომი აღარ მომხდარა, ურთიერთობები კი დასტაბილურდა. ქვეყნებმა ერთმანეთთან დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა, ირანში დაარსდა რუსული წარმომადგენლობა, გაჩნდა ახალი საჭიროებები, მათ შორის ირანში მართლმადიდებლური მრევლის მომსახურების საკითხიც. 1864 წელს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, ბრძანებით, რუსეთის საიმპერატორო მისიასთან დაინიშნა მუდმივმოქმედი მღვდელი.

რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთაც, მართლმადიდებელი მრევლი მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდს და მის სტრუქტურას ექვემდებარებოდა. 1867 წლიდან ირანის მისიის მართლმადიდებელი ეკლესია და მრევლი საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას დაექვემდებარა და მის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1811 წელს გააუქმა და საქართველოს ეკლესია საეგზარქოსოდ გადააკეთა, საქმეთა მმართველად კი ეგზარქოსი დანიშნა. მცირე ხანში, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით, 1814 წლის 30 აგვისტოს, ჩამოყალიბდა საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობის უმაღლესი ორგანო - საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა. ორგანო ოფიციალურად თბილისში 1815 წლის 8 მაისს გაიხსნა. ღონისძიება შედგა სინოდის საკათედრო ტაძარში ეგზარქოს ვარლამის (ერისთავი) თავსწიებით, რომელმაც გადაიხადა პარაკლისი და ღმერთს შესთხოვა იმპერატორის და მისი ოჯახის ჯანმრთელობა. ამ მოვლენამდე საქართველოს საეგზარქოსო იმართებოდა როგორც დიკასტერია, რომელსაც სათავეში ედგა ეგზარქოსი, ხოლო სინოდის კანტორად გადაკეთებამ მისი სტატუსი უფრო მაღლა ასწია. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეში იდგა ყველაზე მძლავრი მოსკოვის სინოდის კანტორა, რომელსაც მიტროპოლიტი მართავდა, ხოლო დანარჩენი სინოდის კანტორები იერარქიულად მასზე დაბლა იმყოფებოდა. აღსანიშნავი ფაქტია, რომ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა თავის მოქმედებაში დამოუკიდებელი იყო, ფართო უფლებამოსილებები ჰქონდა და მასში შემავალ ყველა ეპარქიას ერთპიროვნულად განაგებდა. სწორედ დამოუკიდებლობის ხარისხის გამო რუსეთის იმპერია აქ ყოველთვის ერთგულ ეთნიკურად რუს ეგზარქოსს ნიშნავდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ პირველი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი (1911-1917). ვარლამის შემდეგ, 100 წლის განმავლობაში, ქართულ ეკლესიას 18 ეთნიკურად რუსი ეგზარქოსი მართავდა და სიტუაციას წმინდა სინოდის დავალებებით აკონტროლებდა.

საქართველოს ეგზარქოსი ამავდროულად ითვლებოდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის მეთაურად და მისი ტიტულატურა იყო „მცხეთის, თბილისისა და ქართლის მიტროპოლიტი“. თავდაპირველად კანტორის წევრები ასევე იყვნენ თელავის და საქართველო-კავკასიის ეპისკოპოსი, 2 არქიმანდრიტი და 2 პროტოიერეი. ეს პირები, კანტორის წევრები, ინიშნებოდნენ ეგზარქოსის წარდგენითა და წმინდა სინოდის განჩინებით. დროდადრო კანტორის წევრთა რიცხოვნობა და რანჟირება იცვლებოდა ხოლმე. სინოდის კანტორასთან ფუნქციონირებდა სინოდის ობერ-პროკურატურა და მასზე დაქვემდებარებული კანცელარია, რომელიც თავისთავად ექვემდებარებოდა ეგზარქოსსაც და წმინდა სინოდის ობერპროკურორსაც. ობერ-პროკურორზე დაბალი რანგის იერარქი ვახლდათ კონსისტორიის მდივანი. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა ისეთი პირი, რომელმაც ქართული და რუსული ენები ზედმიწევნით კარგად იცოდა. კანცელარიის შტატში ირიცხებოდა 3 ობეროფიცირი (გორში, თელავსა და ქუთაისში), რომლებიც ძირითადად საეკლესიო ქონების განკარგვას ადევნებდნენ თვალყურს. გარდა ამისა, ინიშნებოდა პროკურორის ორი თანამშემწე, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე საქმეებზე პერიოდულ მოხსენებებს აკეთებდნენ. ისევე როგორც სინოდის წევრების შემთხვევაში, სხვა სამტატო ერთეულებიც და დასაქმებულთა რაოდენობაც დროდადრო იცვლებოდა.

ვინაიდან საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა წმინდა სინოდის პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ორგანოს ევალეზობა განუხრელად შეესრულებინა მისი მითითებები და ბრძანებები, ასევე წარედგინა სინოდში წლიური ანგარიშები და საქართველოს საეგზარქოსოში მიმდინარე საქმეების მდგომარეობა. ძირითადი საქმეები, რომელთაც სინოდის კანტორა წყვეტდა, იყო არასასურველი ქორწინებების შეწყვეტა, რაზეც საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ფონდის მტკიცებულებს, მასში დოკუმენტების ნახევარზე მეტი განქორწინებების შესახებაა; ასევე კანტორის მეშვეობით შესაძლებელი იყო ცენტრისთვის (წმინდა სინოდისთვის) განცხადებებით მიმართვა. სინოდის კანტორას უფლება ჰქონდა განეხილა სასულიერო და სამოქალაქო პირთა კანონიკური დანაშაულებები და გაესამართლებინა მასში მონაწილეები. კანტორა ფლობდა და განაგებდა მონასტრების მიწებს, იერარქების სახლებს და საეგზარქოსოს სხვა დაწესებულებებსა თუ ქონებას. კანტორა უფლებამოსილი იყო ვაკანტურ ადგილებზე აერჩია სასულიერო პირები, ასევე გადაედგინებინა ისინი ეპარქიებს შორის. თავად ეპარქიებში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდნენ ეპისკოპოსები, თუმცა ვალდებულები იყვნენ, ეცნობებინათ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისთვის. ეპარქიის შიდა საკითხების გადაწყვეტაში კანტორა დიდად არ ერეოდა.

1867 წელს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წინაშე დადგა მნიშვნელოვანი ამოცანა, შეერჩია თეირანში მართლმადიდებლური მისიის წევრები, სასულიერო პირები და ოფიციალურად დაენიშნა ისინი. 1886 წელს რუსეთის საიმპერატორო მისიამ თეირანში ააშენა პირველი პატარა ეკლესია, ხოლო 1895 წელს მისიასთან არსებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია გაიხსნა. 1898 წელს სპარსეთში ჩამოყალიბდა ურმიის სასულიერო მისია, რომელიც ასევე საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას დაექვემდებარა. 1900-იანი წლების დასაწყისში სპარსულმა მისიამ შეიცვალა სუბორდინაცია, გავიდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის შემადგენლობიდან და უშუალოდ დაექვემდებარა წმინდა სინოდს. ამის მიზეზი გახდა XX საუკუნის დასაწყისში ქართველ სასულიერო პირთა შორის ავტოკეფალიისკენ სწრაფვა და რუსეთის ეკლესიიდან გამოყოფის სულ უფრო მზარდი სურვილი. რა თქმა უნდა, ძირითადად არაქართველებით დაკომპლექტებული მოსკოვიდან მართული ეგზარქატი ამას ვერ ეგუებოდა, ამიტომ ყველანაირად ცდილობდა მოძრაობის ჩახშობას. თავის მხრივ ქართველი სასულიერო პირები ეგზარქოსს რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ, ასევე არამდგრადი იყო ზოგადი სიტუაცია სასულიერო პირებს შორისაც.

1917 წლის 12 მარტს ქართველ ეპისკოპოსთა ჯგუფმა, რომელიც მცხეთაში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, ლეონიდე ოქროპირიძის, თათსნობით შეიკრიბა, გამოაცხადა საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის აღდგენა (ეს გადაწყვეტილება და საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთის საპატრიარქომ მხოლოდ 1943 წელს ცნო). საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოს პლატონ როჟდენსტენს, განუცხადეს, რომ ის გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. აქვე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გაუქმების თაობაზე.

კვლევის არსებული მდგომარეობა

პროექტის დაწყებამდე სამეცნიერო წრეებში ცნობილი იყო ერთადერთი წყარო, რომელიც ირანის მართლმადიდებელი მრევლის და თეირანის ეკლესიის შესახებ არსებობდა — ილუმენ ალექსანდრ ბარკეშევის წიგნი „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სპარსეთში — ირანში (1597-2001)“. წიგნი არასამეცნიეროა და ამ საკითხს ეხება, იგი უმეტესწილად ეყრდნობა ზეპირ გადმოცემებსა და მეორად წყაროებს. ამ წიგნში ავტორი ზოგადად მიმოიხილავს (რის)ოთხასწლიან ისტორიას და მასში სასაფლაოს, იქ დაკრძალულებს მხოლოდ გაკვრით ეხება. წიგნში ერთი პარაგრაფი ეთმობა ირანის მრევლის საქმიანობას საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის შემადგენლობაში. იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული პერიოდის საარქივო მონაცემების გასამდიდრებლად სურდა საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში მუშაობა, თუმცა ამის საშუალება არ მიეცა, ამასთან დარწმუნებით დასძენს, რომ ქართულ არქივებში უამრავი მასალაა ამ პერიოდზე.

თეირანის დულაბის სასაფლაოს კვლევის ფარგლებში ქართულ არქივებში მოვიძიეთ საარქივო მასალა სასაფლაოზე დასაფლავებული პიროვნებების შესახებ და ცნობები ეკლესიაზე. საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის მასალები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში და მის ერთ-ერთ უდიდეს ფონდს (N489) წარმოადგენს. ჩვენი კვლევის ფარგლებში საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივის საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ფონდში (N489) დავამუშავეთ 36 აღწერის წიგნი (წიგნები N41-76, დაახლოებით 28.000 საქმე), რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავდა 1867 წლიდან პერიოდს. არქივში აღმოჩნდა 5 საქმე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდა თეირანის დულაბის ეკლესიას, სხვა 10-მდე საქმე კი — ზოგადად ირანში მართლმადიდებლურ მრევლსა და ეკლესიას.

ფონდ N489 გარდა, ჩვენ მასალები მოვიძიეთ საისტორიო ცენტრალური არქივის საქართველოს ეგზარქოსის კანტორის ფონდშიც (N488), რომელშიც საარქივო დოკუმენტები თეირანის მრევლის შესახებ არ აღმოჩნდა; ასევე მასალა მოვიძიეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივსა და საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივშიც. შსს-ს არქივების 80% თბილისის სამოქალაქო ომის დროს განადგურდა და დღესდღეობით სრულად მხოლოდ კომპარტიის საქმეებია შემორჩენილი, ხოლო უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული ფონდები საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფი ქართველების შესახებ დოკუმენტებს არ ინახავს. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც გამოვიკვლიეთ ორივე არქივი, მათ შორის სახელობით კატალოგებიც, თუმცა, როგორც ვვარაუდობდით, მასალები ამ მიმართულებით არ აღმოჩნდა, ისევე როგორც - მასალა სასაფლაოზე დაკრძალული ადამიანების შესახებ.

პროექტის მიმდინარეობისას თეირანში აღმოჩნდა კიდევ ერთი სასაფლაო ქართული წარწერით, რომელიც იოსებ კოპანიონისაა. დადგინდა, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ქუთაისში ცხოვრობდნენ, შესაბამისად, ჩვენი არქივების გეოგრაფია გაიზარდა და მასალების მოძიება საჭირო გახდა ქუთაისის არქივში, სადაც იოსებ კოპანიონის ოჯახის შესახებ რამდენიმე დოკუმენტი აღმოჩნდა.

საქმეები ირანში მართლმადიდებელი მრევლისა და თეირანის ეკლესიის შესახებ

საქმეები, რომლებიც საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ფონდში პირდაპირ ეხება დულაბის ეკლესიას, ძირითადად მმართველობითი ხასიათისაა და სხვადასხვა სასულიერო პირის დანიშვნის, განთავისუფლების, ასევე მათი ნამსახურობის ნუსხებს წარმოადგენს. დოკუმენტებში მოხსენიებულ პირებს შორის ვხვდებით მრავალ ცნობილ პიროვნებას, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ეგზარქოს ნიკონს, სპარსეთის მართლმადიდებელი მისიის არქიმანდრიტებს: ნიკოლაისა და ხარლამპის და სხვებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარქივო საქმე (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N63559), რომელიც ეხება არქიმანდრიტ ხარლამპის ნამსახურობის ნუსხას: ეს სასულიერო მოღვაწე მაღალი იერარქიის წარმომადგენელი გახლდათ და სხვადასხვა დროს დიდი მთავრების, სერგეი ალექსანდრეს ძისა და მარია თევდორეს ასული რომანოვების, კარის მღვდლად მსახურობდა, რაც აღნიშნულია მისი ნამსახურობის ნუსხაში. 1890 წელს ის გადმოიყვანეს სოხუმის ოლქის დრანდის მონასტრის წინამძღვრად, იმავდროულად ხარლამპი გაწევრიანდა სოხუმის ეპარქიის ალექსანდრე ნეველის სახელობის საძმომოცი. 1891 წელს კი აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში, ხოლო შემდგომ ირანში გაამწესეს.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში დულაბის ეკლესიის მღვდელმსახურთა შორის მხოლოდ საწყის ეტაპზე ვხვდებით ქართველებს და 1891 წლის ნამსახურობის ნუსხაში მისიის შემადგენლობაში 2 პიროვნებაა ქართველი. 1891 წლის საარქივო საქმე (საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N63277) არქიმანდრიტ ევსევის (ვაბაძე) და დიაკვან სპირიდონ უთმელიძის ნამსახურობის ნუსხებია:

ეპსკოპი სპაპძე:

- **სახელი, გვარი და თანამდებობა** — თეირანში მისი უდიდებულესობის საიმპერატორო მისიის საუწყებო ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ევსევი.
- **ასაკი** — 53 წლის.
- **წარმომავლობა** — მღვდლის შვილი.
- **განათლება** — თბილისის სასულიერო სემინარიაში დაამთავრა სრული კურსი.
- **მოღვაწეობა** — 1861 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, დაინიშნა სიონის ეკლესიის კათედრის მეფსალმუნედ.
1862 წელს დაინიშნა ამავე ტაძრის დიაკვნად.
1863 წელს თხოვნის თანახმად გადაიყვანეს ჯვრის მონასტერში, იერომონაზვნის ვაკანტურ თანამდებობაზე.
1871 წელს ეგზარქოსის ბრძანებით დაინიშნა წმინდა ანტონ მარტყოფელის სახანის წინამძღვრად.
1873 წელს გადაიყვანეს ქ.გორის წმინდა სტეფანეს მონასტერში.
1876 წელს გადაიყვანეს ჯვრის მონასტერში.

- 1880 წელს დაინიშნა თეირანში მისი უდიდებულესობის სამიპერატორო მისიის საუწყებო ეკლესიის წინამძღვრად.
 1881 — კავკასიაში ქრისტიანობის გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის ეგზარქოსის ბრძანებით მიენიჭა წმინდა ნინოს ნიშნის ტარების უფლება.
 1889 - დაჯილდოებულია წმინდა ანას სახელობის მე-2 ხარისხის ორდენით.

საკირილო უთმედიძე:

- **სახელი, გვარი და თანამდებობა** — დიაკვანი სპირიდონ დავითის ძე უთმედიძე, მეფსალმუნის მოვალეობის შემსრულებელი.
- **ასაკი** — 36 წლის.
- **წარმომავლობა** — საქართველოდან, მღვდლის შვილიშვილი.
- **განათლება** — სასწავლებლებში არ უსწავლია.
- **მოღვაწეობა** — 1882 წელს დაინიშნა ჯვრის მონასტრის მეფსალმუნედ.
 1885 წელს გადაიყვანეს თეირანის მისიაში.
 1888 წელს იმპერატორის წარგზავნილის, ნიკოლაი სერგის ძის წარდგენითა და შაჰის ბრძანებით დაჯილდოვდა „ლომისა და მზის“ მე-5 ხარისხის ორდენით.
- **ოჯახური მდგომარეობა** - დაქორწინებული, ჰყავს 2 ქალიშვილი და ვაჟი: ეკატერინა 5 წლის, დავითი 3 წლის და ნინა 10 წლის.

როგორც ვხედავთ, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში თეირანში ეკლესიას ქართველები განაგებდნენ და ორი სასულიერო პირი იქ მუდმივად იმყოფებოდა. ევსევი ცაბაძის შესახებ საინტერესო ცნობა მოვიძიეთ 1898 წლის 16 სექტემბრის გაზეთ „ცნობის ფურცლის“ (N630) სტატიიდან — „არქიმანდრიტი ევსევი (ცაბაძე)“, რომელიც სასულიერო პირის ნეკროლოგი აღმოჩნდა. სტატიის თანახმად, არქიმანდრიტი ევსევი საქართველოში ხანმოკლე ვიზიტების დროს ცდილობდა საზოგადო საქმიანობაში მონაწილეობას, მაგალითად, ერთხელ შეხვდა იაკობ გოგებაშვილს და 100 მანეთი გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ სპარსეთში ყოფნისას არქიმანდრიტი ევსევი დაუახლოვდა იქ XVII საუკუნის შემდეგ გადასახლებულ ქართველებს და რუსეთის ელჩთანაც დააყენა შუამდგომლობა მათი უკან, საქართველოში, გადმოსახლების თაობაზე. საბოლოოდ დაბრუნებაზე უარი თავად ამ ქართველებმა თქვეს, ეშინოდათ შაჰის რისხვისა და რეპრესიების. სტატიის ავტორი წერდა, რომ ევსევი ამის შემდგომაც არ აკლებდა ყურადღებას ამ საკითხს და აქვეყნებდა წერილებს სპარსეთში ქართველთა მდგომარეობის შესახებ. სტატიის ავტორია ზ.ჭ., სავარაუდოდ, ინიციალები ეკუთვნის ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ზაქარია ჭიჭინაძეს.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული სხვა საქმეებიდან რამდენიმე საინტერესო თავისი შინაარსით. საისტორიო ცენტრალური არქივის საქმე (ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N49463) წარმოადგენს ცნობას ეკლესიის ძარცვის შესახებ: არქიმანდრიტი ნიკოლაის ცნობით, ძარცვაში მონაწილეობდნენ შაჰის ერთ-ერთი საცხენოსნო ქვედანაყოფის სამხედროები, რომლებიც 3 ივლისს ქუჩაში რევოლუციონერებთან საბრძოლველად იყვნენ გამოსულნი. მძარცველებმა გაიტაცეს 2.780 მანეთი. ამის თაობაზე სინოდის კანტორა საკუთარ ობერპროკურორს ავალებს დაუკავშირდეს საგარეო საქმეთა მინისტრს საქმის სრულად გამოსაძიებლად. სამწუხაროდ, გამოძიების საბოლოო შედეგების ცნობები და ინფორმაცია, დაუბრუნდა თუ არა ეკლესიას თავისი ქონება, საქმეში არ ფიგურირებს.

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეების და ეკლესიასა და მრევლზე ცნობების შეგროვების გარდა, ქართული არქივები მწირ ინფორმაციას ინახავს ცალკეულ დასაფლავებულებთან დაკავშირებით. საისტორიო ცენტრალური არქივის კატალოგით დადგინდა, რომ ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, იოსებ ცალქელამანიძე, 1907 წელს მუშაობდა საქართველოს რკინიგზაზე მემანქანის თანაშემწედ (საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N279, აღწერა N1, საქმე N2534). ინფორმაცია სხვა დასაფლავებულთა შესახებ არქივში არ მოიძებნა.

თეირანის დუღაბის სასაფლაოზე დაკრძალული სტეფანე კომპანიონის და საქართველოში კომპანიონების საგვარეულოს ვკლავა თბილისისა და ქუთაისის (დაცული) საარქივო მასალების მიხედვით

თეირანში, მართლმადიდებლურ სასაფლაოზე, საველე სამუშაოების პერიოდში მკვლევართა ჯგუფმა კიდევ ერთ – 1882 წელს დაბადებულ სტეფანე ანტონის ძე კომპანიონის - საფლავს მიაგნო, რომელზეც გვარი ქართული და ლათინური ანბანით ეწერა.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში ძიებისას აღმოჩნდა, რომ ფრანგი ეროვნების კომპანიონის გვარის წარმომადგენლები ქალაქ ქუთაისში ცხოვრობდნენ. 1883 წელს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ჩანაწერით, დგინდება, რომ სტეფანე ანტონის ძე კომპანიონი დაიბადა 1882 წელს; მისი ძმა, იოსებ-კონსტანტინ ანტონის

ქე კომპანიონი, დაიბადა 1884 წელს; კლემენტ ფრანც ევგენი ანტონის ქე კომპანიონი დაიბადა 1887 წელს; ივან (სტანის-ლავე) ანტონის ქე კომპანიონი კი 1893 წელს. დაცულია ინფორმაცია შემდგომი თაობის კომპანიონებზეც, რომელთა შორის ორი თეირანის დულაბის სასაფლაოზე დაკრძალული სტეფანეს შვილია: გენრიეტა-ვენერა სტეფანეს ასული კომპანიონი, დედა – შუშანა ზუბიევა, დაბადებული 1906 წლის 28 ოქტომბერს; ლუდვიგ-ნაპოლეონ სტეფანეს ქე კომპანიონი, დედა – შუშანა ზუბიევა, დაბადებული 1909 წლის 6 დეკემბერს; ტერეზა-ლუიზა ივანის ასული კომპანიონი, დაბადებული 1916 წელს; ვარვარა იოსიფის ასული კომპანიონი, დაბადებული 1918 წელს.

ქუთაისში კომპანიონები ცხოვრობდნენ პოლიციის ქუჩაზე, რასაც ადასტურებს სანოტარო რეესტრში დაფიქსირებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ქუთაისში პოლიციის ქუჩაზე მდებარე სახლი ძმებ კანუხოვებისგან სივრცით 12 საჟენი და არშინი, სივანე 7 საჟენი და 1 არშინი, ორსართულიანი სახლი, ზედა სართული 4 ოთახი ხის, ქვედა სართული 3 ოთახი ქვის, იყიდა, სავარაუდოდ, სტეფანეს მამამ ანტონ ფრანცისკეს ქე კომპანიონი. ამავე რეესტრში დაფიქსირებულია კიდევ ერთი ადამიანი, სავარაუდოდ, ანტონ კომპანიონის მეუღლე — კომპანიონი მავა ივანეს ას., დაბადებით ხითაროვა, რომელმაც სახლის ნახევარი წილი მიიღო. 1919 წელს სტეფანე კომპანიონი საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა სიაში იქნება და მის საცხოვრებელ ადგილად პოლიციის ქუჩაა მითითებული.

ქუთაისის არქივის საარქივო საქმეებში ვხვდებით მასალას, რომელიც კომპანიონების ქალაქ ბათუმში მოღვაწეობას ეხება: 1891 წლის 9 აპრილს ბათუმის ნოტარიუსმა მარკ ოსიპის ქე გერენშტეინმა დადო შემდეგი გარიგება: ძმებმა, ნაილი ზადე ჰაჯი მაჰმუდ ეფენდიმ და ჰაჯი აჰმედ ეფენდიმ, მიჰყიდეს საფრანგეთის მოქალაქე ანტუან ფრანცისკეს ქე კომპანიონსა და საბერძნეთის ქვეშევრდომ გრიგორი სემიონის ქე ვაკალოპულოს ბათუმში მდებარე 3000 რუბლის ღირებულების მიწის ნაკვეთი. სხვა საარქივო საქმით დასტურდება, რომ მოგვიანებით ეს ნაკვეთი ანტუან კომპანიონმა დააგირავა და ვინმე გოკიელისგან ისესხა ფული — 1500 რუბლი ვერცხლის მონეტებით.

საინტერესო ცნობებს კომპანიონთა შესახებ გვაწვდის საარქივო საქმე, რომელშიც შემდეგია მოცემული: ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ოქმი, განცხადებები, მიმოწერა და სხვა ქუთაისის რომის კათოლიკეთა საეკლესიო საბჭოს საზოგადოების დაარსების შესახებ. (?) 1923-1924 წლები. საქმეში ვხვდებით ინფორმაციას ერთბაშად სამ კომპანიონზე, რომლებიც ქუთაისის კათოლიკეთა შორის ირიცხებიან:

კომპანიონი სუზანა გრიგორის ასული, 35 წლის, მცხოვრები ჯაფარიძის 19 ნომერში, დიასახლისი, ქონებრივი მდგომარეობა — მამულის პატრონი.

კომპანიონი ივანე ანტონის ქე, 30 წლის, მცხოვრები გოგებაშვილის 4 ნომერში, ფარმაცევტი, ქონების არმქონე.

კომპანიონი ანტონ სტეფანეს ქე, 18 წლის, მცხოვრები პოლიციის ქუჩაზე, სტუდენტი, ქონების არმქონე, ბავშვობიდან კათოლიკედ მონათლული.

ამრიგად, საარქივო კვლევის შედეგად დავადგინეთ სტეფანესა და მისი სამი ძმის, მისი შშობლების და შვილის ვინაობა. ამ საქმეების გარდა, კომპანიონებთან დაკავშირებული სხვა ცნობები, რომ გაგვერკვია, რამ გამოიწვია მათი ირანში ემიგრაცია, ქართულ არქივებში არ აღმოჩნდა.

დასკვნა

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირანის მართლმადიდებელი მრევლის და თეირანის ეკლესიის შესახებ არსებული წყაროებიდან ილუმენ ალექსანდრ ზარკეშევის წიგნი „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სპარსეთში — ირანში (1597-2001)“ კვლავ უმთავრეს რესურსად რჩება ამ მიმართულებით. წიგნში გამოთქმული მოსაზრება, რომ საქართველოს არქივები მრავალი ახალი ცნობით შეავსებს ეკლესიისა და მრევლის ისტორიას, გამართლდა, რადგან საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში რამდენიმე მართლმადიდებელი მნიშვნელოვანი დოკუმენტი ინახება ეკლესიის ისტორიისთვის.

ეკლესიის ისტორიას ავსებს მათი წინამძღვრების და სხვა პირების ნამსახურობის ნუსხები. ამ ნუსხებს შორის საყურადღებოა, რომ 1880-1891 წლებში ეკლესიას ქართველები განაგებდნენ არქიმანდრიტ ევსევი ცაბაძისა და დიაკვან სპირიდონ უთმელიძის ხელმძღვანელობით, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობა გაძლიერდა, ასევე ქვეყანაში წამოიწია ავტოკეფალიის საკითხი, თეირანის მისიის მოსამსახურეთა ეთნიკური შემადგენლობა შეიცვალა და იქ უკვე მხოლოდ რუსები იგზავნებოდნენ.

დასტურდება საკითხის მკვლევართა მოსაზრება, რომ სინოდის კანტორა ეპარქიის საქმეებში არ ერეოდა და მათ მქონდა დამოუკიდებლობა აძლევდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1880-1891 წლებში სხვა საარქივო საქმეები თეირანში მართლმადიდებლური მისიის თაობაზე საქართველოს არქივებში არ ინახება, სავარაუდოდ, მიმოწერა წარმოებდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც მუდმივად შესანახ ერთეულებად არ ითვლებოდა და ფონდში ამის გამო არ აღმოჩნდა.

გამოყენებული წყაროები:

1. Игумен Александр (Заркешев), Русская православная церковь в Персии – Иране (1597 – 2001 гг.).
2. АКВАК 1870. Т. 4; Из восп. прокурора Грузино-Имеретинской синод. конторы Ф. Ф. Измайлова // Странник. 1883. № 1. С. 68-85; № 2. С. 260-284; № 4. С. 701-723; № 5. С. 69-84; № 6. С. 231-247; № 7. С. 448-461.
3. Сб. действующих и руководственных церк. и церковно-гражданских постановлений по ведомству правосл. исповедания / Сост.: Т. В. Барсов. СПб., 1885. Т. 1. С. 70-80.
4. Кирион (Садзаглишвили), еп. Кр. очерк истории Груз. Церкви и экзархата за XIX ст. Тифлис, 1901.
5. ნიკოლაძე ევ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918.
6. პავლიაშვილი კ., საქართველოს საეგზარქოსო: 1900-1917, თბილისი, 1995.
7. „ცნობის ფურცელი“, 1898 წლის 16 სექტემბერი, (N630).
8. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N279, აღწერა N1, საქმე N2534.
9. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N49085.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N49463.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N49479.
12. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N50511.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N50923.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N63277.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N1, საქმე N63559.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N45, საქმე N591.
17. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი N489, აღწერა N45, საქმე N592.
18. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N12, აღწერა N1, საქმე N41.
19. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N12, აღწერა N1, საქმე N64.
20. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N12, აღწერა N1, საქმე N175.
21. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N23, აღწერა N1, საქმე N2994.
22. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N40, აღწერა N1, საქმე N89.
23. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი N296, აღწერა N1, საქმე N176.

ANTON VATCHARADZE

The Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

ACTIVITIES OF THE CHURCH OF THE RUSSIAN EMPERORS MISSION IN IRAN ACCORDING TO THE ARCHIVAL MATERIALS OF THE SAKARTVELO (GEORGIAN) - IMERETI SYNODAL OFFICE

SUMMARY

The Russian-Iranian relationship is one of the most interesting pieces of XIX century history. These relations had shaped a number of important factors in world geopolitics, which are still relevant today. This period is a subject of interest of Georgian historiography, because in the nineteenth century the country (or rather Tbilisi governorship, Russian administrative unit established on Georgian land) lay near the border of two great empires, subsequently vibrant processes developed here and brought many changes.

In late 1820's Russian diplomatic representation in Iran was established. In 1864 the Russian Emperor Alexander II appointed permanent priest of the Russian Imperial Mission. Since 1867, the Orthodox Church of Iran and the parish were subordinated to the Georgian-Imereti synodal office and became part of it.

In our paper we will review archival materials kept in Georgian archives about the activities of Orthodox Church in Iran and politics from the Center. Also paper reviews personalities buried in the "Dulab" cemetery of Tehran that was under supervision of the orthodox church in Iran.

ნათია ჯიჟია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კარიკატურა, როგორც საინფორმაციო წყარო საქართველოს შესახებ ბრიტანული კარიკატურების მაგალითზე

კარიკატურა, რომელიც შარჟის ნაირსახეობაა, ვიზუალური წყაროებიდან შედარებით ახალია. ის პირველად დასავლურ ცივილიზაციაში რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქაში გამოიყენეს. შარჟის, როგორც ისტორიული წყაროს, შესწავლის ისტორიაც შედარებით მოკლე ხანს ითვლის. ემპირიული მასალის საფუძველზე შარჟს ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან სწავლობდნენ. ადრეული ნაშრომებიდან აღსანიშნავია ედნა ჰაინსის (Edna Hines) „Cartoons As a means of Social Control“ (1933), იზაბელ სიმერალ ჯონსონის (Isabel Simeral Johnson) „Cartoons“ (1937), ემორი ბოგარდუსის (Emory S. Bogardus) „Sociology of the Cartoon“ (1945) და სხვ.

ადრეულ ნაშრომებში მეთოდის დამუშავებას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას. 60-იან წლებში ჟურნალ „Comparative Studies in Society and History“ ფურცლებზე გაიმართა ფართო პოლემიკა შარჟის, როგორც ისტორიული წყაროს, შესწავლის მეთოდისკასთან დაკავშირებით. იმ დროისთვის არსებობდა ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე დაწერილი რამდენიმე ნაშრომი, თუმცა მეთოდის ნაკლებად იყო დახვეწილი. ამ ჟურნალში გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაციის წყალობით ეს ხარვეზი შეივსო.

1965 წელს ლოურენს შტრაიხერმა (Lawrence H. Streicher) გამოაქვეყნა ნაშრომი „David Low and the Sociology of Caricature“, რომელშიც ემპირიული მასალის საფუძველზე დევიდ ლოუს მიერ გამოყენებულ ერთ მეთოდზე, სინექდოკულ ალევორიანზე, იყო საუბარი, კერძოდ, ერთი პერსონაჟის, პოლკოვნიკ ბლიმპის, როგორც წინააღმდეგობრივი ხასიათის ინგლისელის სიმბოლოზე. შტრაიხერი აღნიშნავს, რომ ეს პერსონაჟი მოგვიანებით (1942 წ.) გაზეთ „პრავდის“ კარიკატურისტმა, ბორის ეფიმიშვილმა, გამოიყენა. 1967 წელს შტრაიხერმა მეთოდური სტატია გამოაქვეყნა „On a Theory of Political Caricature“. მან ვიქტორ ალბას (Victor alba) ნაშრომი „The Mexican revolution and the Cartoon“ (1967) გააკრიტიკა თეორიის ნაკლებად ჩამოყალიბებისთვის და პასუხად თავის სტატიაში კარიკატურის შესწავლის თეორიული მიდგომები წარმოადგინა, კერძოდ: მან გამოხატვის მეთოდები გამოყო, როგორც დამოკიდებული ცვლადები, მიუთითა, რომ შესწავლისთვის საჭიროა ემპირიული მასალის თემატურად დაყოფა; ასევე აღნიშნა, რომ ანალიტიკოსებისთვის აუცილებელია სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის შეკრება კარიკატურისტის განათლების, სამუშაო გარემოს, სამიზნე აუდიტორიისა და ჟურნალის საგამომცემლო პოლიტიკის შესახებ (Streicher 1967). 1969 წელს მას იმავე ჟურნალის ფურცლებზე გამოეხმაურა ვ.ა. კუპე (W.A. Coupe) სტატიით „Observations on a Theory of Political Caricature“, რომელშიც ავტორმა დამატებითი რეკომენდაციები შეიმუშავა მეთოდისკასთან დაკავშირებით და აღნიშნა: დ. ლოუს შეფასება, რომ „პირველ მსოფლიოს ომის მის გარეშე ვერ მოიგებდნენ“, მცირედ გადაჭარბებულია, რადგან ზუსტად იმის დადგენა, თუ რამდენად გავლენიანია ესა თუ ის კარიკატურისტი, პრაქტიკულად შეუძლებელია (Coupe 1969). 1973 თომას მილტონ კემნიცმა (Thomas Milton Kemnitz) გამოაქვეყნა მეთოდური ნაშრომი „The Cartoon As a Historical Source“, რომელშიც აღნიშნა, რომ ამ კუთხით ჯერ კიდევ არსებობდა პრობლემები. მან ორი ტიპის შარჟი გამოყო: „**მოსაზრების გამომხატველი**“ და „**სახუმარო**“. მოსაზრების გამომხატველი შარჟის ფუნქციად ვითარების შეჯამება დაასახელა, ხოლო სახუმაროს ფუნქციად, თავისთავად ცხადია - ვითარების გამასხრება და იუმორი. „სახუმარო შარჟის“ ჩვენი დროის „შვილებად“ კი დაასახელა კომიკური სტრიპი (სვეტი) და კომიკური წიგნი (კომიქსები). „მოსაზრების გამომხატველ შარჟებში“ კემნიცმა გამოყო სამი ჯგუფი: საშინაო პოლიტიკის, სოციალური თემებისა და საგარეო საქმეების ამსახველი შარჟები და აღნიშნა, რომ ეს დაყოფა იმდენად თემატური არ არის, რამდენადაც გამომხატვის ტექნიკის ამსახველი: პოლიტიკურ შარჟებში კარიკატურისტის ინდივიდუალურ ცოდნასა და შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო სტეროტიპებს - ნაკლები, მაშინ როდესაც სოციალური პრობლემების ამსახველ კარიკატურებში სტეროტიპები უფრო მნიშვნელოვანია. სა-

კითხის შესწავლით დაინტერესებულ პირებს ემპირიულ მასალაზე მუშაობისას მეცნიერმა ურჩია კვლევის ექვსი არეალი დაემუშავებინათ: ხელოვანი (კარიკატურისტი), შარჟის აუდიტორიამდე მიღწევის მეთოდი, ენა და სიმბოლოები, კომუნიკაციის სხვა საშუალებებთან კავშირი, გამიზნული ფუნქცია და აუდიტორია (Kemnitz 1973).

საქართველოში შარჟის შესწავლას ასევე გარკვეული ისტორია აქვს. რ. მიშველაძემ გამოაქვეყნა „ქართული სატირული ჟურნალისტიკა“ (1971), გიზო ნიშნიანიძემ – „სიცილის არქივიდან: სატირა რევოლუციის სამსახურში“ (1971), გრ. კიკნაძემ – „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ (1972). ამ საკითხის შესწავლას საქართველოში, შეიძლება ითქვას, პერიოდული აღმასვლა ახასიათებს. შარჟი მეთოდის დამუშავების თვალსაზრისით 60-70-იან წლებში იყო პოპულარული მსოფლიო ისტორიოგრაფიაში და საქართველოშიც ზუსტად ამ პერიოდში სწავლობდნენ. დღეს საქართველოში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ბ. კუპატაძის ხელმძღვანელობით ამ საკითხზე უახლოეს წლებში რამდენიმე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი შესრულდა, თუმცა სტუდენტების ყველა ნაშრომი ემპირიული მასალის შესწავლას ისახავდა მიზნად და მეთოდური მიდგომებიც ნაკლებად იყო განხილული. ჩვენი ნაშრომი მეთოდურ საკითხსაც განიხილავს კონკრეტულ ემპირიულ მასალასთან დაკავშირებით, კერძოდ, საქართველოს შესახებ ბრიტანული კარიკატურების მაგალითზე.

ბრიტანული კარიკატურების კატალოგი შექმნა კენტის უნივერსიტეტმა და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://archive.cartoons.ac.uk/Default.aspx?> მასზე მოცემულია ყველა კარიკატურის პასპორტი: მითითებულია ავტორი, სათაური, გამომცემელი, შარჟის ტექსტი, გამოსახული პიროვნებები, დაკავშირებული ტექსტი (მაგ. სერიალი ან სიმღერა), სუბიექტები და საავტორო უფლება. ჩვენს ნაშრომში კონკრეტული კარიკატურები დამოწმებულია და მათი მოძიება შესაძლებელია სწორედ ბრიტანული კარიკატურების ელექტრონული არქივის ნომრებით.

ბრიტანულ პრესაში ქართულმა თემატიკამ რამდენჯერმე მიიქცია ყურადღება. არქივში წარმოდგენილია სულ 25 შარჟი, რომლებიც თარიღდება 1956, 1988-91, 1998, 2005, 2008, 2014 წლებით. ამ მასალის საფუძველზე შეიძლება დამოუკიდებელი ცვლადის გამოყოფა ბრიტანულ კარიკატურებში ქართულ თემატიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, ბრიტანულ პრესაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, უფრო ნაკლებად, აშშ-საქართველოს ურთიერთობა. დამოკიდებული ცვლადია კონკრეტული საკითხი – რაც უფრო აქტუალური იყო თემა, მით უფრო მეტი კარიკატურა მიეძღვნა მას.

შარჟების უმეტესობა, კემნიცის განსაზღვრებით, „მოსაზრების გამოხატველია“, მხოლოდ მცირედი ნაწილია სახუმარო. მათი ფუნქცია პოლიტიკური თვალთახედვის წარმოდგენაა და, შესაბამისად, პოლიტიკური კარიკატურის ხასიათიდან გამომდინარე, ნაკლებად სახალისოა.

ყველა ხელოვანი ბრიტანელია და, შესაბამისად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით – მეტ-ნაკლებად ობიექტური, ისინი დასავლეთის იმდროინდელ პოზიციას გამოხატავს კონკრეტულ საკითხზე. შარჟის აუდიტორიამდე მიღწევის გზა ყველა შემთხვევაში გაზეთია, რომელიც ფართო ტირაჟით ვრცელდება, კერძოდ, ეს გამოცემებია: New Statesman (1956), Evening Standard (1988), The Independent (1989-90), Daily Star (1991), Daily Telegraph (1991-1992, 2008), The Times (1998, 2005, 2008), Daily Mail (1998), Sunday Telegraph (1998), Sunday Express (2008), The Guardian (2008), The Independent (2008), Observer (2014).

სინექდოკულ ალევორიად გამოყენებულია დათვი, როგორც რუსეთის სიმბოლო. სხვა სიმბოლოები ერთჯერად ხასიათს ატარებს, მაგალითად, საქართველო, როგორც დათვის სათამაშო ბურთი. ამ კარიკატურების ფუნქცია იყო ბრიტანული აუდიტორიის ინფორმირება, ზუსტად ამ მიზნით მათი უმეტესობა არ არის სახუმარო ხასიათის, უფრო მოსაზრებას გამოხატავს, ხშირად ნაკლებმწვავედ. კონკრეტული პოლიტიკის კრიტიკა ჩანს მხოლოდ 1998 წლის შარჟებში, რომლებიც ბირთვული საწვავის ტრანსპორტირებას ეხება. ამ შემთხვევაში სიმწვავე თავად ბრიტანელების აქტიურმა ჩართვამ განაპირობა. ბრიტანელები საქართველოდან ტრანსპორტირებული საწვავის შოტლანდიაში გადატანას ფიქრობდნენ, თუმცა, სავარაუდოდ, ბრიტანული საზოგადოების წინხის ფონზე, თავადვე თქვეს უარი და ორი წლით გადაიდო შეთანხმების შესრულება.

პირველად ბრიტანულ შარჟებში საქართველო 1956 წელს (№ VY0580) გამოჩნდა. ერთი შეხედვით, მხოლოდ მოგზაურის სახელმძღვანელოდ გამოქვეყნებულ პოსტერს ახლავს წარწერა: „ულამაზესი საქართველო, ეწვიეთ თბილისსა და გორს, სადაც დაიბადა ბიჭი, რომელმაც ცუდი საქმეები ჩაიდინა...“ საინტერესოა, რომ ეს პოსტერი ხრუმჩოვის ე.წ. „საიდუმლო სიტყვის“ წარმოთქმიდან ერთ თვეშია შექმნილი. დასავლეთში ამ ტექსტის შესახებ მხოლოდ 1956 წლის 5 ივნისს გაიგეს, როდესაც New York Times-მა გამოაქვეყნა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ბრიტანელი ავტორის დამოკიდებულებაზე გავლენა იქონია არა საბჭოთა კავშირში დაწყებულმა სტალინის კრიტიკამ, არამედ თავად დასავლეთში სტალინისადმი ისედაც უკვე არსებულმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ.

შვიდი კარიკატურა მიეძღვნა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში საქართველოს საკითხს. ერთ-ერთზე (№49328) ასახულია საბჭოთა ლიდერების საუბარი 1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნისას ტერიტორიული გადანაწილების შესახებ და ირონიით მითითებულია: „1922 წელს სომხეთს რაღაც წაართვეს? ბოლოს და ბოლოს, ულსტერი ხომ არ არის?“

უღსტერი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია ირლანდიაში, ცნობილი იმით, რომ ინგლისის ინდუსტრიალიზაციის ადრეულ ეტაპზე „კოტეჯების ინდუსტრიაში“ (Cottage industry, იგივე Putting-out system) ჩართული იყო მისი მოსახლეობის ერთი მეოთხედი (Kishlansky... 2008:623), რაც იმ დროისთვის მაღალი მაჩვენებელი იყო. როგორც ჩანს, ამით კარიკატურისტს იმის თქმა სურდა, რომ სომხეთის ტერიტორიული დანაკარგი ბევრს არაფერს წარმოადგენდა. საქართველოსთან ეს კარიკატურა მხოლოდ იმით უკავშირდება, რომ რუკაზე, რომელიც კარიკატურაზე გამოსახული, საქართველოცაა მითითებული. ნიკოლას გარლანდის 1989 წლის 14 სექტემბერს „The Independent“-ში გამოქვეყნებულ (№NG4011) შარჟში წარმოდგენილია დათვი, როგორც რუსეთის სინექდოკური ალევორია. დათვი დაბმულია თოკებით და მის გარშემო წარწერებია: უნგრეთი, საქართველო, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ყაზახეთი (სრულად არ ჩანს). გარლანდი მიანიშნებს საბჭოთა რუსეთის უძღურებას, შეაკავოს როგორც სოციალისტური ბლოკის, ისე საკუთრივ საბჭოთა კავშირის ქვეყნები. 1990 წლის 23 იანვარს ასევე გარლანდის მიერ იმავე ჟურნალში გამოქვეყნებულ კარიკატურაზე (№NG4089) გამოსახულია მიხეილ გორბაჩოვი, რომლისკენაც ხელს იშვერს რამდენიმე ადამიანი. კარიკატურაზე მხოლოდ გამვერძილი ხელები ჩანს და მათ აწერია: რადიკალები (Radicals), ქართველები (Georgians), ნაციონალისტები (Nationalists), სომხები (Armenians), კონსერვატორები (Conservators), აზერები (Azeris), ბალტიელები (Balts). გამოხატვის ფორმად არჩეულია ალუბია დრეიფუსის სკანდალზე, კერძოდ, კარიკატურის ქვეშ წარწერაა ფრანგულად: „J'accuse“, ემილ ზოლას ცნობილი წერილი ჟურნალ „Aurore“-ში დრეიფუსის დასაცავად სწორედ ამ სათაურით გამოქვეყნდა. შესაძლოა, გარლანდს ამით იმის თქმა სურდა, რომ მხოლოდ გორბაჩოვი არ არის დამნაშავე და მათი თავდასხმის ობიექტი ასე მწვავედ ის არ უნდა იყოს, ან უფრო შესაძლებელია, რომ ფრაზა(თუ სიტყვა?) „J'accuse“ მან მხოლოდ ერთი მიზნით გამოიყენა: იგი დაკავშირებულია პოლიტიკურ სკანდალთან და ამ შემთხვევაშიც შარჟის მიზანი აქტუალური, სკანდალური პოლიტიკური მოვლენის გამსახარავებაა. გარლანდის კიდევ ერთი კარიკატურა გორბაჩოვზე გვაფიქრებინებს, რომ მას გორბაჩოვის მიმართ სიმბათია არ ჰქონია, კერძოდ, რამდენიმე დღით ადრე, 16 იანვარს, იმავე ჟურნალში მან გამოაქვეყნა კარიკატურა (№ NG4084), რომელზეც გამოსახულია ცალთვალა ველოსიპედით ბურთებით მოთამაშე გორბაჩოვი. ბურთებზე წარწერებია: უკრაინა, ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, საქართველო. ბურთების გარდა, კიდევ ერთი ნივთით თამაშობს - თავის ქალით, რომელსაც აზერბაიჯანი აწერია. საინტერესოა, რომ 16 იანვარს აზერბაიჯანში ჯერ არ მომხდარა სისხლიანი ანგარიშსწორება, მაგრამ 15 იანვარს საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში უკვე გამოცხადებული იყო და გარლანდის სატირა წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: 19-20 იანვარს ხალხი დაარბიეს. გარლანდის ერთ-ერთი შარჟი (№NG4789) ზვიად გამსახურდიას არჩევნებში გამარჯვებას მიეძღვნა. შარჟზე გამოსახულია სკოლა (იხ. ქვემოთ), რომელსაც ჰქვია „საბჭოთა კავშირი“, სკოლის ფანჯრებიდან ჩანს ოთხი ადამიანის ფიგურა, ერთს აწერია საქართველო, მეორეს - ბალტიის ქვეყნები, მესამეზე წარწერა გაურკვეველია, ხოლო მეოთხე გორბაჩოვია. ორი ადამიანი სკოლასთან ჩაივლის და აკვირდება მდგომარეობას. შარჟს ქვემოთ აქვს წარწერა: Pindown. ამ წარწერის მეშვეობით იხსნება შარჟის გზავნილი. Pindown 1980-იანი წლების ინგლისში, კერძოდ, სტაფორდშირის ერთ-ერთ სკოლაში გამოყენებული ბიპევიორული მენჯემენტის ფორმა იყო: თავნება და დაუმორჩილებელ მოსწავლეებს იზოლაციაში ამყოფებდნენ რამდენიმე კვირით და ზოგჯერ მეტი ხნითაც, რითაც ისინი ზოგჯერ სუიციდის ზღვარზე მიყვდათ (Levy... 1991). კარიკატურაზე გორბაჩოვი პირველ სართულზეა, რაც მიგვანიშნებს, რომ ის სკოლის ადმინისტრატორია, ხოლო ზედა სართულების ფანჯრებიდან დამწყვდეული „ცუდი ყოფაცხვის ბავშვები“ - საბჭოთა კავშირში შემავალი აჯანყებული რუსუბელიკები - ჩანან. კარიკატურისტმა საკმაოდ საინტერესო მეთოდი შეარჩია სათქმელის გადმოსაცემად და აქვე შევნიშნავთ, რომ ეს არის იმის კარგი მაგალითი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმ ისტორიული კონტექსტის კვლევა, რომელშიც კარიკატურისტი მოღვაწეობდა. გარლანდის კიდევ ერთი შარჟი (№NG4907) ამ თემაზე გამოქვეყნდა „Daily Telegraph“-ში 1992 წლის 4 იანვარს. მასზე გამოსახულია დენთით სავსე კასრი, რომელიც რუსეთთან ახლოს მდებარეობს, იქვე წარწერებით მინიშნებულია უკრაინა და ოდნავ მოშორებით - საქართველო. საქართველოსთან იარაღით ხელში დგას კავკასიური გარეგნობის მამაკაცი, რომელიც მზად არის დენთის კვალს ცეცხლი მოუკიდოს და კასრი ააფეთქოს. ამ შარჟის გზავნილით საქართველო ცეცხლის მთავარი გამჩენია, რომელმაც რუსეთის „აფეთქება“ გამოიწვია. საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს მიეძღვნა ბილი კოლდველის ერთი კარიკატურა (№49475), რომელიც 1991 წლის 6 მარტს „Daily Star“-ში გამოქვეყნდა. კარიკატურაზე გამოსახული არიან ბრიტანეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ჯონ მეიჯორი და მიხეილ გორბაჩოვი. ისინი აივნიდან ესალმებიან ხალხს, რომელიც მანიფესტაციას მართავს სხვადასხვა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნით. აივნის მაღლა წარწერაა გამოკრული: „საბჭოთა კავშირი ესალმება ჯონ მეიჯორს“, ხოლო მანიფესტანტების პლაკატებზე ჩანს წარწერები: „თავისუფლება საქართველოს“, „თავისუფლება ლიტვას“, „თავისუფლება ლატვიას“ და ა.შ. შარჟის ქვემოთ ვკითხულობთ მეიჯორის მიმართვას გორბაჩოვისადმი: „არ მეგონა, თუ ასეთი თავისუფლება გქონდათ [დაშვებული(?)], ბატონო გორბაჩოვ“. ეს შარჟი მოსაზრების გამოხატველია, თუმცა რთულია გადაჭრით თქმა, რა იყო კოლდველის გზავნილი: გორბაჩოვმა გამოიყენა საბჭოთა კავშირში არსებული ვითარება და მეიჯორთან შეეცადა წარმოეჩინა, რომ საბჭოთა კავშირში სიტყვის თავისუფლება, თუ ავტორი ხაზს უსვამს მეიჯორის უუნარობას, დაინახოს სიმართლე ფასადს მიღმა, კერძოდ ის, რომ გორბაჩოვი სინამდვილეში ბოლომდე არ არის სიტყვის თავისუფლების მხარდამჭერი.

საინტერესოა 1998 წლის აპრილში გამოქვეყნებული სამი კარიკატურა ბირთვული საწვავის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნეთ, აქ უფრო მეტად საკუთარი პოლიტიკის კრიტიკაა მოცემული, ვიდრე მხოლოდ ფაქტების ასახვა. ამ შემთხვევაში მოსაზრება, შეიძლება ითქვას, უფრო მკვეთრად და დაფიქსირებული.

ერთი კარიკატურა (№71499) „The Times“-მა მიუძღვნა ჯორჯ ბუშის ვიზიტს საქართველოში, კარიკატურაზე გამოსახულია ჯორჯ ბუში უმცროსი, რომელიც ხელს ართმევს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და თან ეუბნება: „ბიჭო, შენ ამას არ უნდა ფლობდე“ (უთითებს რუკაზე საქართველოს).

თემატურად ყველაზე მეტი შარჟი აგვისტოს ომს მიუძღვნა. პირველი კარიკატურა 10 აგვისტოს „Sunday Express“-ში გამოაქვეყნა დევიდ ჰოლდეინმა (№91180). მასში გაშარჟებულია კრემლის დაუსრულებელი ფიქრები საქართველოს შესახებ. კარიკატურაზე გამოსახულია ორი მამაკაცი, რომელთაგან ერთი მეორეს ეუბნება: „I've got Georgia on my mind“ (საქართველოზე ფიქრები არ მასვენებს). ქვემოთ წარწერაა „კრემლი“. კარიკატურაში გამოყენებულია ციტატა ცნობილი სიმღერიდან „Georgia on my mind“.

სხვა ავტორმა, სკოტ კლისოლდმა, იმავე დღეს იმავე ჟურნალში საზოგადოება ახალი ცივი ომის დასაწყისზე გააფრთხილა (№77832), ამ შემთხვევაში გამოხატვის ფორმად პუტინის კარიკატურაა არჩეული – რუსეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ოლიგოპური ცეცხლით გარბის და ჩირაღდანი მიაქვს დანიშნულების ადგილას, რომელსაც აწერია „ახალი ცივი ომი“, ჩირაღდანს კი – „საქართველო“. ესეც ალუზიაა 2007 წლის ივლისის საერთაშორისო ოლიგოპური კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, რომ ზამთრის ოლიგოპური თამაშები 2014 წელს ჩატარდეს რუსეთში. ამით კარიკატურისტი გვაფრთხილებს, რომ რუსეთი მსოფლიოს ეთამაშება და ყველას ცდის საქართველოში ომის დაწყებით. 11 აგვისტოს „Daily Telegraph“-მა და „The Times“-მა ერთდროულად გამოაქვეყნა შარჟები (№77836 და 77838), რომლებშიც სინექდოკური ალევორიაა – დათვი რუსეთის სიმბოლოდ. პირველ მათგანზე დათვს პუტინის სახე აქვს, რითაც პირდაპირ რუსეთის პრემიერ-მინისტრს აგრესორად ასახელებს. 12 აგვისტოს „The Guardian“-ში სტივენ ბელმა ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გააშარჟა და საქართველოს პრეზიდენტი უფრო ვაჟაკურად წარმოადგინა (№77844). კარიკატურაზე ჯორჯ ბუში უმცროსი თავს იფხანს, თითი პირში აქვს ძუძუმწოვარა ბავშვივით და უყურებს, როგორ გამოდის მანიფესტაციაზე პრეზიდენტი სააკაშვილი მარტო. სააკაშვილს ხელში უჭირავს ტრანსპარანტები წარწერებით: „ხელები შორს მებრძოლი საქართველოსგან“, „ხელები შორს სამხრეთ ოსეთისგან“, „ჯორჯ, ამას ბევრი ფიქრი არ უნდა“. 13 აგვისტოს „Daily Telegraph“-ის კარიკატურისტმა, ქრისტიან ადამსმა, ნატოს უნარობას გაუსვა ხაზი (№77849), კერძოდ, კვარცხლბეკზე პირველ ადგილზე მდგომად წარმოაჩინა რუსეთი, მეორეზე – საქართველო, ხოლო მესამეზე – ნატო. 15 აგვისტოს „The Times“-ის ყურადღების ცენტრში კონდოლიზა რაისის თბილისში ვიზიტი მოექცა – კარიკატურაზე გამოსახულია, როგორ მოფრინავს კონდოლიზა რაისი ჰუმანიტარული დახმარების ყუთზე ამხედრებული, ქვეშ კი წარწერაა: „ვაგზავნი ნათელ გზავნილს“. ამით კარიკატურისტმა აღნიშნა, რომ კონდოლიზა რაისის ვიზიტი საქართველოს მხარდაჭერის ნიშანი იყო. 17 აგვისტოს ჰოლდეინმა გამოაქვეყნა შარჟი, რომელზეც გამოსახულია რუსული ტანკი გზის მაჩვენებელი წარწერით „საქართველო“ და რუსი ჯარისკაცები სიტყვებით „უკანდასახე გზას ვერასდროს (ვერ) ვპოულობთ, როცა მაჩვენებელი ამას უთითებს“ (№91185). 18 აგვისტოს „The Guardian“-ის ყურადღების ცენტრში საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი მოექცა (№77874), 23 აგვისტოს დეივ ბრაუნმა „The Independent“-ში რუსული აგრესია გააკრიტიკა (№77898), კარიკატურაზე გამოსახულია დათვზე ამხედრებული პუტინი, რომელიც ამბობს: „ჩვენ მშვიდობას ვიცავთ“, ხოლო დათვი ჯიუტად ზის ერთგან და ამბობს: „მშვიდობას აქ“. კონკრეტულ შემთხვევაში ივლისისმება ტერიტორია საქართველო-რუსეთის საზღვარზე. და ბოლოს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის თემაზე ნიკოლას გარლანდმა 9 სექტემბერს „Daily Telegraph“-ის ფურცლებზე ნიკოლა სარკოზისა და ვლადიმერ პუტინის კარიკატურა გამოაქვეყნა სატირით, სარკოზი უკოფინებს ვლადიმერ პუტინს: „გამარჯობა, ეი, ვლადიმერ, შეგიძლია ბურთი დაგვიბრუნო?“, ხოლო პუტინი აფრთხილებს დათვს, თითს უქნევს მას, დათვი კი თამაშობს ბურთით, რომელსაც აწერია „საქართველო“ (№77978).

საქართველო ბრიტანულ კარიკატურებში ჩანს 2014 წელსაც, ამჯერად უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით. ორი შარჟი გამოაქვეყნა „Observer“-მა. ერთზე (№100410) გამოსახულია რუსეთი დათვის სახით, რომელიც კატეგორიულად აცხადებს: „საქართველო არც ახსენოთ“, რითაც მიუთითებს რუსეთის აგრესიულ დამოკიდებულებაზე, როდესაც უკრაინის კონფლიქტისას იხსენებენ საქართველო-რუსეთის კონფლიქტს, როგორც პროცესის დასაწყისს და მის გაგრძელებას, ხოლო მეორეში ალუზიაა ცნობილ სერიალზე „Game of Thrones“ და ცნობილი ფრაზა ამ სერიალიდან „ზამთარი მოდის“ ცინიკურად ჟღერს ვლადიმერ პუტინისგან, რადგან პარალელურად მას ხელი უდევს უკრაინის გამსაღდენის ღილაკზე. ამით კარიკატურისტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პუტინი აშანტაჟებს უკრაინას გაზის გადაკვეთით, გარდა ამისა, რადგან სერიალში ეს ფრაზა დაკავშირებულია მიცვალებულთა არმიის და მათი მეფის მოსვლასთან, როგორც ჩანს, პუტინი კარიკატურისტმა სწორედ ამ მეფესთან გააიგივა.

ამგვარად, ბრიტანული კარიკატურები საქართველოს ისტორიისთვის საინტერესო საკითხს წარმოაჩენს და ვიმედოვნებთ, ჩვენი ნაშრომი კარიკატურის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის მეთოდური თვალსაზრისითაც საინტერესო აღმოჩნდება.

გამოყენებული ღიზიარებები:

1. Coupe, W.A. "Observations on a Theory of Political Caricature". *Comparative Studies in Society and History* 11(01). 1969
2. Kemnitz, Thomas Milton, *The Cartoon As a Historical Source*, *The Journal of Interdisciplinary History* Vol. 4, No. 1, *The Historian and the Arts* (Summer, 1973)
3. Kishlansky, M., Geary P., O'Brien, P. *Civilization in the West*. Pearson Education. 2008
4. Levy, Allan., Kahan, Barbara. *The Pindown Experience and the Protection of Children*. Staffordshire County Council. 1991
5. Streicher, Lawrence "On a Theory of Political Caricature". *Comparative Studies in Society and History* 9(04). 1967
6. *British Cartoon Archive*, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://archive.cartoons.ac.uk/Default.aspx?ბლოგნახვა:17/02/2019>

NATIA PHIPHIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**CARICATURE AS A HISTORICAL SOURCE ABOUT GEORGIA
ON THE EXAMPLE OF BRITISH CARICATURES****SUMMARY**

Study of a caricature as a historical source needs its specific approach. Our paper will pay attention to some aspects of methodology and discussion will be based on empirical British material about Georgia. British cartoon archive was created by University of Kent and material for the study is taken from it. Georgia captures caricaturists' attention in British press several times. 25 cartoons are stored herein total. They are dated back to 1956, 1988-91, 1998, 2005, 2008 and 2014. Independent variable concerning Georgian topic may be established, namely international relations, mostly Russian-Georgian relationships and the USA-Georgian relationships. Specific topic is a dependent variable – the urgent topic is the more cartoons are dedicated to it. Majority of cartoons belong to the 'cartoons of opinion'. Only few of them are joke cartoons. Their function is to represent political attitude and opinion therefore they are less funny which is quite characteristic to political cartoons. All artists are British and as a result more or less objective concerning Russian-Georgian relationships. They represent the attitude of the west at a specific time concerning the specific topic. Bear is used as synecdochical allegory and a symbol of Russia. Other symbols have random characters, for example playing ball as a symbol of Georgia. Intended function of these cartoons was to inform the British, transfer opinion, therefore they must seem less funny and less witty. August war was the most urgent topic for British cartoonists. Thus, all cartoons related to Georgia are discussed in the paper.

MARIA LUISA RUSSO

University of Hamburg

LIBRARIES, ARCHIVES, BOOKS AND DOCUMENTS: WRITTEN CULTURAL HERITAGE IN AN INTEGRATED PERSPECTIVE

The presentation has focused, through the analysis of a number of case-studies, on the management, preservation and promotion of specific fonds preserved in archives and libraries.

It has included the Islamic manuscripts collections preserved in Mali, and projects devoted to their preservation and promotion: since 2013 the University of Hamburg (Germany), Centre for the Study of Manuscript Cultures, has coordinated projects aimed at the preservation of Malian manuscripts collections and at research in cooperation with local institutions. The development of these projects has been illustrated in the presentation, from emergency measures to research on written evidence of local languages in the Arabic script (Ajami manuscripts); the research project funded by the German Research Foundation (DFG) has also been presented, highlighting the integration of different professionals working on the collections.

Documents of archival typology are often to be found within these collections, which are usually the heritage of individual families. Two other case studies, both from Turin (Italy), have allowed perspectives to be compared when dealing with “special” collections: the fonds owned by the German orientalist Paul Kahle (1875-1964), and that of the bibliographer Marino Parenti (1900-1963).

Such fonds, often including quite a wide range of documentary typologies – documents, books, objects – , usually need specific processing in terms of handlists and catalogues, and therefore dedicated teams. Specific needs normally entail higher costs, and allocating special resources to these collections, which represent only a small percentage of the collections of the institution, can be an issue since such collections are small, usually of very specialistic interest, and require seemingly disproportionate investment in terms of economic and human resources. Some cases have been discussed where the project-oriented management, along with the high research component, has enabled specific fonds to be rearranged and made available to the public, thanks to a fund-raising policy that has focused not only on the archival side of the project, but also on specialistic research and the synergic approach involving different professionals.

The Third Mission topic has also been addressed: the above-mentioned collections are mainly interesting for academic research, and thus accessibility is focused above all on this kind of target. But an attempt has to be made to render such fonds also more accessible to society in general, thus integrating them into the Third Mission policy of the institutions that preserve them. Examples of specific documents in personal fonds that have become the object of wider promotion have been presented, such as the documents related to the Shadow Play studies in the Paul Kahle Fonds. Engaging with a wider public is also possible and required for Malian manuscripts, where the linguistic component is likely to be of interest to a larger audience, beyond the academic community.

ქეთევან კავლიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავაკომპუკი ეკდესიის ისტორიის კვდვის მახასიათებლები საბჭოთა და კონსტაბჭოთა სეკდესიო ისტორიოგრაფიეში

ყოველ ისტორიკოსს თავისი ხედვა გააჩნია ისტორიულ პროცესებზე. ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის ისტორიკოსის მეცნიერული კონცეფცია, უმეტეს შემთხვევაში, განპირობებულია მისი კონფესიით, გამომდინარე იქიდან, რომელი აღმსარებლობის მატარებელია ის, რომ არაფერი ითქვას სახელმწიფო იდეოლოგიაზე. ასეთ დროს ისტორიკოსთა უმეტესობა მიდის არამართებულ მეცნიერულ დებულებამდე. ზემოაღნიშნულს განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, თუ ისტორიკოსი სასულიერო პირია. გამომდინარე აქედან, სამეცნიერო-ისტორიული ხასიათის ნაშრომები, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიზირებულ-იდეოლოგიზირებულია. მათ გააჩნიათ „საკუთარი“ კონცეფციის გამართლებისა და სხვისის „მცდარად“ წარმოდგენის ხასიათი. ასეთ ნაშრომებში გაშუქებული საეკლესიო პრობლემები ურთიერთგანსხვავებულია: ერთნი მოვლენებს პოზიტიურად, ხოლო მეორენი ნეგატიურად აფასებენ. თვით ის ისტორიკოსებიც კი, რომლებიც კვლევებში კონფესიონალიზმით არ არიან შებოჭილნი, უჭირთ დაიცვან ობიექტურობა და ტენდენციურად არ მიუდგნენ საკვლევ ობიექტს. მაგალითად, ბრესტის უნიის ისტორიას განსხვავებულად აფასებენ: კათოლიკენი, უნიატები, უნიისაკენ გადახრილი ორთოდოქსი ქრისტიანები და მართლმადიდებელი ისტორიკოსები, რომლებიც უნიის კატეგორიულად მოწინააღმდეგენი არიან [პავლიაშვილი, 2011:12-29].

საისტორიო მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ რაც უფრო შორეული ისტორიის კუთვნილებაა სადაო მეცნიერული პრობლემა, მით უფრო სიღრმისეულად და ობიექტურად იკვლევს მას ეკლესიის ისტორიკოსი და ასეთ დროს უფრო ადვილია კონფესიურობისაგან თავის დაღწევა. სხვა შემთხვევაში, ისტორიკოსი ისტორიულ პროცესს ძირითადად ხედავს იმ სახით, როგორადაც მას სურს ის დაინახოს. ამგვარი მიდგომა მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგიისათვის კატეგორიულად მიუღებელია [პავლიაშვილი, 2011:47-57]; სწორედ ასეთი მეთოდის კვლევის შედეგები გვაქვს სახეზე საბჭოთა პერიოდის საეკლესიო ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ გამოირჩევიან ეკლესიის შემდეგი ისტორიკოსები: პოლსკი, სნიჩევი, რეგელსონი, სიმანსკი, პოსპელოვსკი, ციბინი, ორლოვსკი და სხვ. ამ მეცნიერთა სახასიათო თავისებურებაა „საწინააღმდეგო“ ეკლესიის დამცრობა და მისი დამამცირებელი ტერმინებით მოხსენიება; მაგალითად, „საბჭოთა ეკლესია“, „კარლოვალური ეკლესია“, „კარლოვალური დაჯგუფება“, „კარლოვალური განხეთქილება“. ამგვარი მიდგომა მიუთითებს ნაშრომის მდარე მეცნიერულ ხასიათზე [Гордиенко, 1975:279-280].

ცნობილია, რომ საისტორიო წყაროების კვლევა-პუბლიკაცია, მეცნიერის მხრიდან დიდ პასუხისმგებლობას ითხოვს; დანაშაულებრივია მკვლევარის ტენდენციური, ცალსახა მიდგომა საკვლევ ობიექტისადმი, უნებლიე იქნება ის, თუ მიზანმიმართული ქმედება. ობიექტური მეცნიერული კვლევები კოლევიალობის დაცვას ითხოვს, ერთმანეთის მეცნიერული დასკვნების კრიტიკულ ანალიზს, კულტურული დიალოგის სახეს. გამომდინარე საბჭოური იდეოლოგიიდან, ანტი-საეკლესიო სახელმწიფო პოლიტიკური კურსიდან, სახელმწიფო ცენზურიდან, მეცნიერთა შორის დიალოგის მთავარი თემა ყოველთვის იყო „საბჭოთა ეკლესიის“ სახელმწიფოში მსახურება, ხოლო საკამათო კი ანტისაბჭოთა სასულიერო დასის მოღვაწეობა [Боголемов, 1958:76-89; Попов, 2000:124-126].

დღეს, თანამედროვე ეკლესიის ისტორიკოსთა წინაშე რთული ამოცანა დგას ყოველმხრივ და ობიექტურად იქნეს შესწავლილი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში ეკლესიის როლი და ფუნქცია. ამ მიმართულებით საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ბევრი გაკეთდა, თუმც კვლევებს უფრო მონოლოგის ხასიათი აქვს, ვიდრე დიალოგის; ნიშანდობლივია, რომ არც შიდასაეკლესიო დაჯგუფებების თემატიკაა სათანადოდ შესწავლილი და დღემდე პოლემიკის საკითხია საეკლესიო პოლიტიკის შედეგებიც.

კატაკომბური ეკლესიის ისტორიის კვლევებს საბჭოეთის ეკლესიის ისტორიკოსებმა სოლიდური ხასიათის ნაშრომები უძღვნეს, მაგრამ სახელმწიფო ცენზურით განპირობებულობის გამო, ისინი არ გამოქვეყნებულა. XX საუკუნის 20-30-იანი წლების საეკლესიო ცხოვრებას აღწერს მიტროპოლიტი იოანე სნიჩევი თავის ნაშრომში „საეკლესიო განხეთქილებები რუსეთის ეკლესიაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში - გრიგორიანული, იაროსლავური, ვიქტორიანული და სხვა ერესები, მათი თავისებურებანი და ისტორია“ (1966 წ.). მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი ათწლეულების წინ დაიწერა, ის დღემდე ერთადერთი ისტორიული კვლევაა, რომელიც „მემარჯვენე“ საეკლესიო ობოზიციის ისტორიის კომპლექსურად კვლევის მცდელობას წარმოადგენს. მონოგრაფიის მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მასში გამოყენებულია შესაბამისი ეპოქის დიდი რაოდენობის საეკლესიო დოკუმენტაცია [Волков, 2000:89-93].

პოსტსაბჭოთა ეპოქაში საეკლესიო ისტორიოგრაფია შესამჩნევ აღმავლობას განიცდის; გაიზარდა ინტერესი „მემარჯვენე“ საეკლესიო ობოზიციის ისტორიისადმი; ეკლესიის ისტორიკოსთა კვლევებში ნაკლებ შემჩნევა მათი წინამორბედების მსგავსი შეცდომები. ისტორიკოსებს საშუალება მიეცათ ეკლესიის ისტორია იკვლიონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაუთვალისწინებლობით. საეკლესიო ისტორიოგრაფიას შეემატა ობიექტური კვლევის შედეგებით მიღებული ნაშრომები. ამ მხრივ განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს რუსმა ეკლესიის მკვლევარებმა, რომელთა ნაშრომები სრულად ეყრდნობა გამოქვეყნებულ საარქივო მონაცემებს [პავლიაშვილი, 2010:786-793; Невагинский, 1929:58-65].

თუ საბჭოთა პერიოდის კვლევების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ დოკუმენტების გამოცემა მკაცრ ცენზურას განიცდიდა და, შესაბამისად, მათი გამოქვეყნება იზღუდებოდა, საზღვარგარეთ ამგვარ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია; სამაგიეროდ, უცხოეთში დაცული საარქივო მასალა საბჭოთა მკვლევართათვის ფაქტობრივად ხელმიწვდომელი იყო. ასეთი მასალა, ძირითადად, საბჭოთა სამეცნიერო წრეებში გადაწერილი სახით ვრცელდებოდა, რადგან ეს მასალა ანტისაბჭოური ხასიათის იყო, შესაბამისად, მათი გადაწერა, შეგროვება, გამრავლება, შენახვა და, მით უფრო, გამოქვეყნება უკიდურესად საფრთხის შემცველი იყო და მკაცრად დასჯადიც.

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის ნეგატიურ მხარედ მოიზრება კატაკომბური ეკლესიის ისტორიული მემკვიდრეობის მიზანმიმართული დამახინჯება. თუ ადრე მკვლევარები საბჭოთა იდეოლოგიის გათვალისწინებით ცდილობდნენ უერპყეთ საბჭოთა სახელმწიფოში კატაკომბური ეკლესიის არსებობა, ამჯერად, მათ ძველი იდეოლოგია განსხვავებული ტაქტიკით შეცვალეს - ცდილობენ დანერგონ იდეა, რომ კატაკომბური ეკლესია ოფიციალური ეკლესიის ნაწილია, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე არალეგალურად მოქმედებდა. პარალელურად, ისტორიის ფალსიფიკატორი მეცნიერები კვლავინდებურად კატაკომბური ეკლესიის დისკრედიტაციას ეწევიან, ამტკიცებენ, რომ მისი თემები ერთმანეთთან დაპირისპირებული მცირერიცხოვანი მარგინალური ჯგუფებია, სექტანტურობის კვალიფიკაციით [Андреев, 2000:301-325].

საბჭოთა ეპოქის მონოგრაფიები საბჭოური იდეოლოგიის რუბორებია: ავტორთა რიტორიკა და ტერმინოლოგია საბჭოთა დროის „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ და „ათეისტური ლექსიკონის“ ტერმინებისა და გამოთქმების ანალიზურია. ნაშრომთა მანერლობა მდგომარეობს იმაში, რომ აკადემიურ ღონეზე „სამეცნიერო სისტემური ანალიზის საფუძველზე“ ხდებოდა კორექტივების შეტანა ისტორიოგრაფიაში: კატაკომბური ეკლესიის ისტორია დაპროგრამებული იყო უარყოფითი ნიშნის იდეოლოგიით. გამოთქმა „კატაკომბები“ ეკლესიის ისტორიკოსთა იდეოლოგიური პოლემიკის იარაღი იყო და მას პოლიტიკური მიმართულება ჰქონდა.

საბჭოთა პერიოდის საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ვხვდებით ე.წ. „საეკლესიო დისიდენტურ“ მიმართულებას, რომლის ნიმუშია ლევ რეგელსონის მონოგრაფია - „რუსული ეკლესიის ტერაგედია“ (1985 წ.). ნაშრომი ლიბერალურ-დისიდენტური პოზიციიდან კრიტიკული ხასიათისაა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ფართოდ გავრცელდა პოსტსაბჭოთა ეპოქის მართლმადიდებელ საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში. აღნიშნულის მიზეზი საძიებელია იმ დროის დისიდენტური მოძრაობის განსაკუთრებულად გააქტიურებაში. ფაქტობრივად, ამ მიმართულების მკვლევარები იმავე პოზიციით გამოდიან სამეცნიერო ასპარეზზე, როგორც საბჭოთა ეპოქის აპოლოგეტები [Забывтые страницы, 2001:246-249].

ამრიგად, კატაკომბური ეკლესიის ისტორიის კვლევების ტენდენცია საბჭოურ სივრცეში ოფიციალური სახელმწიფო ათეისტური პოლიტიკის ფარგლებში XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დაიწყო და ის რამდენიმე ეტაპად იყოფა. ამ კვლევების ადრეულ ეტაპზე კატაკომბელების შემოქმედება კონტრევოლუციურ ძალად ხასიათდებოდა. საბჭოთა მეცნიერ-ათეისტებისათვის ტერმინები „კატაკომბელები“ და „კატაკომბური ეკლესია“, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ის იხსენიებოდა „ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიად“ და ამგვარივე სახელწოდების ნიშნით იდენტიფიცირდებოდა სახელმწიფო პოლიტიკური პოზიციიდან.

ბაზმუყენებუღი ღიფიკაფუკა ღა წყაიოები

1. პავლიაშვილი ქ. 2010. *ქრისტიანობის ისტორია*. თბილისი.
2. პავლიაშვილი ქ. 2011. *ქრისტიანობის ისტორიის მეთოდოლოგია და საეკლესიო ისტორიოგრაფია*. თბილისი.
3. Андреев И. А., 2000. *Заметки о катакомбной церкви в СССР*. Москва.
4. Боголемов А. А. 1958. *Церковь под властью коммунизма*. Мюнхен.
5. Волков С. А. 2000. *Возле монастырских стен. Мемуары. Дневники. Письма*. Москва.
6. Гордиенко Н. С. и др. 1975. *Политиканы от религии. Правда о русской зарубежной церкви*. Москва.
7. *Забывтые страницы русского имяславия*. 2001. Сборник документов и публикаций по Афонским событиям 1910-1918 гг. Москва.
8. Невагинский С. 1929. *Церковное подполье*. Воронеж.
9. Попов А. В. 2002. *История русского православного зарубежья в зарубежных исследованиях*. Москва.

KETEVAN PAVLIASHVILI

Ivane Jvaakhishvili Tbilisi State University

THE CHARACTERISTICS OF CATACOMB CHURCH HISTORICAL STUDIES IN SOVIET AND POST-SOVIET CHURCH HISTORIOGRAPHY

SUMMARY

In state atheist political space of Soviet Country, Catacomb Church historical studies began in the 20-30-th years of XX century and it departed in some stages. In the early stage of these studies, Catacomb Church and it's monks works, were contrrevolution force. For Soviet atheist scientists there wasn't terms as "Catacombs", "Catacombists", "Catacomb Church". It was mentioned as "True Orthodox Church and for such name was persecuted.

The peculiarity of Soviet period studies was in the hard control from the Soviet State. Soviet scientist was diminished acquaintance of historical monographies, which were edited in aboard. Such scientific literature was spreading in Soviet Union by copy.

Post-Soviet historiography's negative side is object distortion of Catacomb Church historical heritage.

ნაკვიზ ახვლედიანი

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი**

ღავით ჩიქოვანის წაჩიღები ოსმალეთის ქართვად მაჰმადიანთა სოფლებიშ შესახებ „წაჩიღები სჯამბოლის ქართული სავანიღან“ კვადღაკვად

მცირე აზიის ჩრდილოეთი მხარე — შავი ზღვის პირას მდებარე - მრავლად არის დასახლებული ქართველთა მოდ-გმით. იგი ერთ დროს დიდებული პონტოს სამეფო იყო, რომელიც დღეს მარტო ტრაპეზონის ვილაიეთისაგან (გუბერნიის-აგან) შედგება. ამათში შემონახულია ქართული დიალექტი , სახე , მრავალი ადათი , სასმელ-საჭმელი , ტანისამოსი და სხვა - წერდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი დავით ჩიქოვანი (22.11.1917-25.02.1921, „სახალხო გაზეთში“ 1912 წელი N 612) ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში [წერილები ... 2017:308-310].

გამარჯვებულმა სულთან მეჰმედ მე-2-მ 1453 წელს აიღო კონსტანტინოპოლი, რასაც მალე ტრაპეზონის იმპერიის დაპყრობაც მოჰყვა; სწორედ ამის შემდეგ გაამაჰმადიანეს მთელი ჭანეთი, ბათუმის მხარე და ძველი ზემო ქართლის ზო-გიერთი პროვინცია [იქვე, 312-314].

დავით ჩიქოვანი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917-1925 წლებში) მოგვითხრობს ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებზე, იქაურ მოსახლეობაზე და ადათ-წესებზე. მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ჩაიბარა 1878 წლი-დან სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთმა ბათუმი, თუ როგორ აიყარა საკუთარი მიწა-წყლიდან ბათუმის ოლქში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანნი და ოსმალეთში გადაიხვეწა. ისტორიას ვინც ივიწყებს, ის კიდევ განწირულია მის გა-სამეორებლად.

მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოდან თურქეთში საცხოვრებლად გადასახლებულ ქართველთა აღსა-ნიშნავად ტერმინი „მუჰაჯირი“ მკვიდრდება. მუჰაჯირობა ქართველი ხალხის ისტორიაში იყო ერთ-ერთი უძიძესი ტრა-გედია. ქართველი ინტელიგენცია კი თავგამოდებით იბრძოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. სწორედ ერთ-ერთი მათგანი გახლდათ დავით ჩიქოვანი, რომელმაც მუჰაჯირ ქართველთა სოფლებში იმოგზაურა.

... სამწუხაროდ, ახლად გადმოსახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრება, არამც თუ არ არის აღწერილ-შესწავლილი, არამედ არც კი ვიცით, სად და რამდენი ცხოვრობს?! საჭიროა მათი სოციალურად და ეკონომიურად შესწავლა, მცხოვ-რებთა რაოდენობის გამოკვლევა და რუკის შედგენა ქართველთა სოფლებისა... ესაა ამონარიდი მონასტერში დაცული სტატიისა, რომელიც დაიბეჭდა 1912 წელს გაზეთ „სახალხო გაზეთ“-ის 608-ე ნომერში. ხელნაწერი მანქანაზეა გადაბეჭ-დილი [იქვე, 313].

წერილებში დავით ჩიქოვანი იმედოვნებს, რომ მოსალოდნელია მალე გვეჩინდეს „ოსმალეთის ქართველთა შორის გა-ნათლების გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება განათლების გავრცელება სოფლად. და-ვით ჩიქოვანი შალვა ვარდიძესთან ერთად მოგზაურობდა მუჰაჯირთა სოფლებში (შალვა ვარდიძე კათოლიკე მღვდელი და საზოგადო მოღვაწე, მის სახელს უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავის თარგმნა ფრანგულ ენაზე. ფრან-გული ენიდან თარგმნა იტალიელი მწერლისა და დიპლომატის ევგენიო დალეჯიო დალეჯიოს ნაშრომი: „ქართველები კონსტანტინეპოლში“, ითარგმნა აგრეთვე ბეირუთში დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი „დიდი საქართველოს პატ-რონი“, რომელიც ბეირუთშივე გამოქვეყნდა).

პირველი პუნქტი, სადაც მოგზაურები გაჩერდნენ „საბანჯა“ იყო. დაბა საბანჯა და მისი მიმდებარე სოფლები ვაკე-ფერ-დოვანი ლამაზი ადგილი ყოფილა, სადაც ბლომად იყვნენ ქართველები - იგონებს ავტორი, „... იგი მოგვავაგონებს იმერეთ-ის სოფელს, განიერის გზითა და დიდის და დაშორებულის ეზოებით, სუფთა და გვარიანი სახლებით, უმეტეს წილად აგურისა, კრამიტით დახურული“. ამ სოფელში მეგზური იყო პოლიცემისტერი ახმედ-ეფენდი მემიძე, რომელმაც არქივში იპოვა წიგნი სახელწოდებით „დიარ-ბექირი“, წიგნი ეხებოდა ქართველთა უძველეს მოსახლეობას და გამაჰმადიანება—

გადმოსახლებას (300 გვერდი) და სულთან სელიმის მეუღლის ქართველი ქალისაგან იყო დაწერილი (1566-1574 წწ.) სამწუხაროდ, წიგნს რამდენიმე ათეული ფურცელი აკლია. ნაშრომში დაფიქსირებულია აგრეთვე გეოგრაფიული სახელწოდებები იქ მცხოვრებ კომლთა რაოდენობის მითითებით. ასე მაგალითად, საბანჯა-160, ჩუბულკი-80, აჰმედო-60, აბაზქეი-20, დერბენდი-50, შირინსულხია-60, შეისულიე-80, ჩეფენე-100.

საინტერესოა ეს წერილები იმითაც, რომ მასში მოცემულია გეოგრაფიული სახელების ჩამონათვალი კერძოდ: „გულდიბი“, „ბადკაია“, „ბიჩქიდირე“, „ფერადიე“, „იჯადიე“ და სხვა, რომლებიც შემდგომი კვლევა - ძიების შთაგონებას იძლევა.

შემდეგი პუნქტი გახლდა სოფელი „ბალაბა“. ეს სოფელი კიდევ უფრო უკეთესი გამოდგა: „კარგი სახლები, ლამაზი გაშენებული ეზოები, წყაროები, წისქვილები“. შემდეგი სოფელი ისმითი იყო (თანამედროვე იზმითი მდებარეობს 100 მეტრზე ზღვის დონიდან. მისი ისტორიული სახელია ნიკომედია). 25 000 მცხოვრებით, სადაც ქართველები მრავლად ყოფილან: „თურმენ სამსე ყოფილა ქართველებით“. მოგზაურები რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ კაზიკლიში ჩასულან, შემდეგ ფათარქეიში და ბოლოს ბორჩხაში. ბორჩხა მაღლობ ადგილზე მდებარეობს (ჰამიდიე) და მშვენიერი გადასახედი ყოფილა. მოსახლეობა ყველა ქართველების მსგავსია, ლამაზი გარეგნობით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ: „ჭამა-სმა იმერული აქვთ: მჭადი და მსგავსი შეჭამადები, ღვინობეც არ არიან მწყრალად. აქ მეზობლობენ ჩერქეზები და აფხაზები, როგორც კავკასიიდან მოსულები და განსაკუთრებული სიახლოვე აქვთ) (ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში, დაიბეჭდა 1912 წელს „სახალხო გაზეთ“-ში. ავტორი ყველგან მიგვანიშნებს ერთ საჭირობოროტო საკითხზე: „დროს თავისი მოაქვს! სადაც ლიტერატურა და სკოლა არ არის, იქ ენა ვერ შეინახება! ჯერ კი არ ითქმის, რომ ჩვენს მაჰმადიანებში ენა დაკარგულიყოს, მაგრამ ვადა აქვს უნდა დავცემარნეთ დროზე!“ [წერილები...2017:315].

აქაურთა ჩაცმულობაზე შემდეგ ცნობებს ვხვდებით: „ხშირად ხურავთ ყაბალახი და შალვარიც ჩაქურულ-ჭანური აქვსთ, დანარჩენი ევროპული შემოულიათ“. ადათ-წესებში მრავალი ქრისტიანულია. მრავალცოლიანობა არ არის, უშვილობა მათთვის დიდი ცოდვაა [იქვე, 316].

თურქებისათვის ნათესაობა შორს არ მიდის: „დედ-მამა და დები, დანარჩენი ნათესაობათ არ ითვლება. ჩვენებში კი არამც თუ ბიძაშვილი, ბევრგან „სახლის კაცობაც“ კი შეუნახავთ.

დასასრულს კი მოვიყვანთ ილია ჭავჭავაძის სიტყვებს, რომელსაც ჯერაც არ გასვლია ყავლი: „ამის შემდეგ ნულარა ჰკვირობთ, რომ დღეს მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდან აყრისა და გადახვეწისა... დე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს. ჩვენ კი გულისტკივილით შევნიშნოთ ჩვენს მათიანეში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2017, თბილისი, გამომცემლობა: „სამშობლო“.

NARGIZ AKHVLEDIANI

Niko Berdzenishvili Institute of the Batumi State University

DAVID CHIKOVANI LETTERS ABOUT THE OTTOMAN GEORGIAN MUSLIMS VILLAGES IN OTTOMAN TURKEY (FOLLOWING TO THE “THE LETTERS FROM GEORGIAN RESIDENCE IN ISTANBUL”)

SUMMARY

In presented article considered the dialects, mode of life, gastronomy, garment and geographical naming which were preserved at the area of Black Sea coast, north from the Asia Minor in the splendid Pontus Kingdom, particularly in Trabzon. For example “Guldibi”, “Badkaia”, “Bichkidire”, “Peradie”, “Ijadie” and etc. Here is described villages, courtyard, house and its surrounding, springs, mills ancient Georgians tragic history of the resettled Muhajirs.

გაია ნინიძე

თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ავტორების იდენტიფიკაცია და თხზულების ავტორის იდენტიფიკაცია

საქართველოსთვის, როგორც ძველი და მდიდარი წერილობითი კულტურის მქონე ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაწერთა კვლევის მეთოდებისა და ტექნოლოგიების დახვეწა-განვითარება. ამის ერთ-ერთი ეფექტური ხერხია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე არსებული გამოცდილების გაზიარება და მოდიფიცირება საკუთარი მიზანდასახულობის მიხედვით. დღეს ხელნაწერთმცოდნეობის აღმავლობა მსოფლიოში ძირითადად ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას უკავშირდება, მაგრამ არანაკლებ წარმატებულია მეთოდოლოგიური ძიებანიც.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ტექსტოლოგებისთვის არ შექმნილა არცერთი იმის მსგავსი საგანგებო ციფრული პროგრამა, როგორცაც უკვე წლების განმავლობაში იყენებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, უმარტივესი საოფისე პროგრამების გამოყენებითაც კი ჩვენ ვახერხებთ გარკვეული სიახლეების დანერგვას და დარგის შემდგომ განვითარებას. მართალია, არ გვაქვს სტილმეტრიული კვლევის პროგრამები, როგორებიც არის, მაგალითად: The Signature Stylometric System, Java Graphical Authorship Attribution Program და სხვ. მაგრამ ჩვენ მიერ შემუშავებული ტექნოლოგიები და ჩვენ მიერვე შექმნილი ციფრული ბაზების გამოყენებით ვაწარმოებთ ატრიბუციულ კვლევებს [ნინიძე 2016: 96-128], ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შევძელით მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა სამასზე მეტი ტექსტის დათარიღება [ნინიძე, 2016: 179-224] და შევიშუშავეთ ხელნაწერთა ამოკითხვის ეფექტური მეთოდი [ნინიძე... 2018: 76-83], რომელიც სხვადასხვა ავტორთა არაერთი შავი ხელნაწერის ამოკითხვაში დაგვეხმარა.

ტექსტოლოგის სამუშაო ისეთია, რომ ყოველი ახალი მასალის კვლევისას ახალ-ახალ სირთულეებს აწყდება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა, კვლევის მეთოდების ზუსტი შერჩევა და მისადაგება დასახული ამოცანებისათვის. მაგალითად, იმისათვის, რომ გავგერკვია, ვინ იბრუნა ჟურნალ „ცისკარში“ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ გამოქვეყნებაზე 1860 წელს, ჩვენ გამოვიყენეთ იმ დროისათვის სხვადასხვა პირთა მფლობელობაში არსებული ავტორგრაფებისა და ნაბეჭდი პუბლიკაციის შედარებით ტექსტოლოგიური ანალიზი ანუ მეთოდი, რომელსაც სულ სხვა მიზნებისთვის იყენებენ ხოლმე მეცნიერები. როდესაც გავეცანით გერდ მინკის კოპირენტილობაზე დამყარებულ გენეალოგიური კვლევის მეთოდს, რომელიც უცხოეთში ძველი ხელნაწერების შესასწავლად გამოიყენება [Gurry, 2017], გავიჩინა სურვილი, რომ ამ მეთოდის ცალკეული ცნებები და პრინციპები მე-19-20 საუკუნის ქართველ ავტორთა ტექსტების შემოქმედებითი ისტორიის კვლევებისთვისაც მიგვესადაგებინა. ამ ცნებათაგან უპირველეს ყოვლისა გვინდა გამოვყოთ „მოწმის“ ანუ „ტექსტური მოწმის“ ცნება, რომელიც არსებითად განსხვავდება „წყაროს“, „დოკუმენტისა“ და სხვა მომიჯნავე ცნებებისაგან.


ტექსტური მოწმე, ინგლისურად „witness“ არის ტექსტის განვითარების სტადია, რომელიც დოკუმენტშია წარმოდგენილი. თუ ძველი ტექსტების კვლევისას ეს ცნება მეცნიერებს ეხმარება სხვადასხვა ხელნაწერებს შორის არსებული გენეტიკური კავშირების დადგენაში, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ავტორის მიერ ტექსტზე მუშაობის შემოქმედებითი პროცესის სურათის აღსადგენად.

შავ ავტორგრაფულ ხელნაწერებში ხშირად შეიმჩნევა ტექსტზე მუშაობის რამდენიმე არათანადროული შრე. ზოგჯერ ეს ძალზე თვალსაჩინოა, რადგან სწორებები სხვადასხვა ფერის კალმით არის შეტანილი, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, თუ ავტორი ხელნაწერს გარკვეული დროის შემდეგ მიუბრუნდა, ამ შრეების გამოყოფა ხელწერაზე დაკვირვებით ან სხვა საშუალებებითაც შეიძლება. თუ შრეების არსებობა დასტურდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორგრაფი ერთზე მეტ ტექსტურ მოწმეს შეიცავს. ავტორმა ტექსტზე მუშაობა შეიძლება განაახლოს იმავე დღესვე ან წლების შემდეგ, როგორც ეს გააკეთა ილია ჭავჭავაძემ „არწილზე“ და „გლახის ნაამბობზე“ მუშაობისას. ტექსტური მოწმის იდენტიფიცირება დაგვეხმარება,

რომ ერთმანეთისგან გაემიჯნოთ ადრეული და გვიანდელი შრეები და დავაკვირდეთ ტექსტზე მუშაობის პროცესს, მთავარია, შემორჩენილი იყოს ამ ეტაპის ამსახველი ავტოგრაფები. სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია იმ ავტოგრაფებმა, რომლებიც ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებული ორი თხზულების ძველ ვერსიებთან წლების შემდეგ მიბრუნების და მათი ფუნდამენტური გადაკეთების პროცესს ასახავდა. გვაქვს მხოლოდ უფრო ადრეულები და უფრო გვიანდლები. როგორც ძველი, ისე ახალი ტექსტების კვლევისას მთავარ პრობლემას სწორედ ასეთი ჩავარდნები წარმოადგენს, მაგრამ ამ ხარვეზს ნაწილობრივ მანაც ავსებს იმ ხელნაწერთა ტექსტური მოწმეების საფუძვლიანი ანალიზი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია.

როგორი სწორებები ქმნის ახალ ტექსტურ მოწმეს? ძირითადად ის სწორებები, რომლებიც არის ტექსტის სიბრტყის გარეთ და გაკეთებულია გარკვეული დროის შემდეგ. თუ სწორებები ტექსტის სიბრტყეშია, სიტყვა გადაშლილია და მისი შემცვლელი გვერდზევე აქვს მიწერილი, ეს აშკარად წერის პროცესშია გაკეთებული და ჩვეულებრივი გენეტიკური კვლევებისთვის ახალი ტექსტური მოწმის შექმნის საფუძველს არ იძლევა, მაგრამ ესეც კი საინტერესოა საავტორო ტექსტების შემოქმედებითი ისტორიების კვლევისთვის.

როგორ გამოვყოთ ტექსტური მოწმე? მარტივად რომ ვთქვათ, მომდევნო ტექსტური მოწმე არის წინა მოწმის ტექსტური კორპუსი, იმ ცვლილებებით, რაც მომდევნო შრეში იქნა შეტანილი, ანუ ახალ ტექსტურ მოწმეში უცვლელად გადმოდის ძველის ის ნაწილი, რომელსაც ცვლილებები არ განუცდია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შეტანილმა ცვლილებებმა დანარჩენი, უცვლელად გადმოტანილი ტექსტსაც შეიძლება სულ სხვა ელფერი შესძინოს.



მაგალითად, არ შეიძლება გამოუცალკევებლად, ერთ მთლიანობად გავაანალიზოთ ილია ჭავჭავაძის ლექსის „კანკოელი“ ავტოგრაფი (N108, გვ. 32), რომელშიც ავტორმა მოგვიანებით, მართალია, სულ რამდენიმე სიტყვა გადახაზა და შეცვალა, მაგრამ ამით სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა და მისაღები გახადა ცენზურისათვის. ლექსი ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნის დროს არის დაწერილი, როდესაც ის ხშირად ხედავდა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც დამპყრობელი ქვეყნის არმიის მსახურობდნენ. სათაურში გადახაზულია სიტყვა „კანკოელი“, რომელიც აშკარად მიანიშნებდა რუსეთის

ნის არმიის მსახურობდნენ. სათაურში გადახაზულია სიტყვა „კანკოელი“, რომელიც აშკარად მიანიშნებდა რუსეთის ჯარზე, ზემოდან აწერია „ინიხარი“, რომ ყურადღება გადაეტანა თურქეთის ჯარზე. ასევე ტექსტის შიგნით გადახაზულია ფრაზა: „შენით ბნელსა ჩრდილოეთსა“ და წერია „შენს დამლუპველ ოსმალებსა“.




ეს არ არის ლექსის წერის დროს გაკეთებული სწორებები. ისინი ცალსახად უფრო გვიანდელია და გვაძლევს საშუალებას, რომ ავტოგრაფიდან გამოვყოთ ორი ერთმანეთისაგან კონცეპტუალურად განსხვავებული ტექსტური მოწმე. ეს დაახლოებით იმავე ღირებულებისაა, ავტორს ამ სიტყვების გადაშლისა და ზემოდან ახლების დაწერის ნაცვლად ლექსი ხელახლა რომ გადაეწერა, იმ ცვლილებებით, რომლებიც განიზრახა. ასეთ ავტოგრაფებს რეალურად ორი წყაროს ფასი აქვს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის ამ ავტოგრაფში წარმოდგენილია ერთი ლექსის არა ორი ვარიანტი, არამედ ორი რედაქცია. ტექსტური მოწმეები შეიძლება დროის უფრო დიდი ინტერვალითაც კი იყოს დაშორებული ერთმანეთისგან, ვიდრე ავტოგრაფები. დღემდე თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიის კვლევისას ამ ფაქტორს ყურადღება არ ექცეოდა და ერთი ავტოგრაფული წყარო ერთ სიბრტყეზე ანალიზდებოდა.

მსგავს ცვლილებასთან გვაქვს საქმე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის - „ომი საქართველოს თავადბნაურ-გლეხთა პირისპირ დაღესტნისა და ჩეჩნელთა, წელს 1844-სა, მძღვანელობასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“ ერთი ავტოგრაფის შემთხვევაშიც (16398.1). აქ ერთადერთი, მაგრამ საყურადღებო სწორებაა ბოლო სტროფის პირველ ტექსტურ მოწმეში იკითხება:

„ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა მეფესა თავი შესწირეთ ვაგლახი ეცით წარმართთა“.


მეორე ტაეპი გადახაზულია და ზემოდან აწერია:



„იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა“.


„იმპერატორის“ შემოტანა „მეფის“ ნაცვლად ხაზს უსვამს იმ სავალალო ფაქტს, რომ ქართველები უკვე არა ქართველ მეფეს, არამედ რუსეთის იმპერატორს ეწირებიან მსხვერპლად.

გარდა იმისა, რომ ამ სწორების მელანი ოდნავ უფრო მუქია, თავად ხელწერა იმდენად განსხვავებულია, რომ თავდაპირველად გვეგონა, სხვისი ნასწორები იყო. მწერლის ხელწერისთვის დამახასიათებელი თითოეული გრაფემის მოხაზულობის დეტალურმა ანალიზმა ეს ვერსია გამოგვარიცხინა, მაგრამ იმ დასკვნამდე კი მივედით, რომ პირველი და მეორე ტექსტური მოწმეები ერთ დროს არ უნდა იყოს შექმნილი და მათ შორის დროის მნიშვნელოვანი შუალედი უნდა მოვიპოვოთ.



ილია ჭავჭავაძე ეპიკურ თხზულებებს თავდაპირველად პირობითი სათაურით ქმნიდა და საბოლოოს მხოლოდ ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ არჩევდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ პოემა „განდევლის“ თავდაპირველი სათაური „მეუდაბნოე“ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ავტოგრაფის (№128) ტექსტზე მუშაობის დასაწყისშია გაკეთებული, დანარჩენი ორი - „ბეთლემი“ და „განდევლი“ კი ამ ტექსტურ მოწმეზე მუშაობის დასრულების შემდეგ. ავტოგრაფში პირველი ორი სათაური გადახაზულია და ზემოდან აწერია „განდევლი“.

ტექსტური მოწმეების იდენტიფიცირება და დათარიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ერთი წყაროს ზოგი ტექსტური მოწმე მეორე წყაროს ტექსტურ მოწმეებზე ადრეულია, ზოგი კი - გვიანდელი. ასეთ შემთხვევაში ტექსტური მოწმეების იდენტიფიცირებისა და თანმიმდევრობის დადგენის გარეშე თხზულების შემოქმედებით ისტორიას სწორი სახით ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღვადგენთ. მაგალითად, გალაკტიონის ლექსს „ასპინძა“ აქვს სამი ავტოგრაფული წყარო, რომლებშიც იკვეთება 9 ტექსტური მოწმე. ამათგან პირველი ავტოგრაფის 4 ტექსტური მოწმე ერთმანეთის მიყოლებით არის შექმნილი, მაგრამ მეორე ავტოგრაფის ქვედა შრეს მოსდევს მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი, შემდეგ არის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტში ხელით შეტანილი სწორებები და ბოლოს მეორე ავტოგრაფში შეტანილი სწორებების ორი ფენა. შედარებითი ანალიზი დაგვჩვენებს ტექსტურ მოწმეთა თანმიმდევრობის დადგენაში, პერიტექსტული და ეპიტექსტური კვლევები კი - თითოეული შრის მიახლოებით დათარიღებაში. განსახილველ ლექსთან დაკავშირებით საინტერესო გამოდგა დაკვირვება წყაროებში ხელნაწერებთან მიწერილ ციფრებზე და



ლექსის შესახებ არქივში არსებულ ჩანაწერებზე.

გალაკტიონის ავტოგრაფულ წყაროზე №862/2, რომელშიც ლექსის ყველაზე ადრეული მოწმეებია წარმოდგენილი, მიწერილია რამდენიმე არაბული ციფრი: სათაურის ზე-

მთ ლურჯი ფანქრით - „25“, ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში - წითელი ფანქრით დაწერილი და ლურჯი ფანქრით შემოხაზული „59“ და ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში - მელნით მიწერილი და ამავე მელნით ირიბად ხაზგასმული „36“.

ამ ციფრების დანიშნულების გარკვევაში დიდი დახმარება გავიწიხა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ მომზადებულმა გალაკტიონის ციფრულმა არქივმა, რომელმაც საშუალება მოგვცა რამდენიმე დღეში გადაგვეთვალიერებინა თითოეული საარქივო ფურცელი, რასაც სხვა პირობებში თვეები დასჭირდებოდა. თავდაპირველად გავარკვიეთ წითელი ფანქრით მიწერილი და ლურჯი ფანქრით სამკუთხედში ჩასმული „59“-ის მნიშვნელობა. არქივში ასეთი სახით გაფორმებული ციფრები სხვა ხელნაწერებზეც შეგვხვდა. აღმოვაჩინეთ, რომ ეს ციფრები ემთხვევა იმ ნომრებს, რომლებიც ამავე ლექსებს აქვთ თხზულებათა მეცხრე ტომისთვის გალაკტიონის მიერ 1956 წლის 1 ავგისტოს შედგენილ ნუსხაში (დღიური 360, გვ. 11). ავტოგრაფების თვალყურებით მალე დავრწმუნდით, რომ, ჩვენი ხელნაწერის მსგავსად, სამკუთხედში ჩასმულის გარდა დამატებითი ციფრები სხვა არტეფაქტებზეც არის აღბეჭდილი. როგორც გავარკვიეთ, ლექსები ამ ნომრით წარმოდგენილია ამავე, მეცხრე ტომისთვის ცოტა უფრო ადრე, სავარაუდოდ, 1956 წლის 9 ივლისის შემდეგ შედგენილ ნუსხაში. გადამოწმების შედეგად დავრწმუნდით, რომ ჩვენ მიერ განსახილველი ლექსის სათაურის ზემოთ ლურჯი ფანქრით მიწერილი „25“-ც ამავე ნუსხაში წარმოდგენილ მის ნომერს ემთხვევა (დღიური 360, გვ. 3).

ამ ლექსთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მესამე არაბული ციფრის „36“ ფუნქციის გარკვევა, რადგან ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში იგი თარიღზე მინიშნებად მოიაზრებოდა. ასეთი ირიბად ხაზგასმული ციფრები ბევრ სხვა ავტოგრაფზე ძირითადი ტექსტისგან განსხვავებული მელნით არის ნაწერი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ლექსზე მუშაობის პროცესისაგან დამოუკიდებლად, თხზულებათა ერთგვარი სისტემატიზაციის დროს არის მიწერილი. გალაკტიონს ჰქონდა სხვადასხვა დროს შექმნილი ძალიან ბევრი ლექსი, მათ შორის უმეტესობა უსათაურო, ამგვარი ნუმერაციით კი მათ აღნუსხვასთან ერთად იდენტიფიცირებასაც ახდენდა.

საინტერესოა პირველ ავტოგრაფზე ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში მიწერილი რომაული ციფრი II. გალაკტიონის არქივში ასე ცალკე მდგარი რომაული ციფრები ტომის აღნიშვნას ემსახურება. რამდენადაც ჩვენ მიერ განსახილველი ლექსის პირველ ავტოგრაფს რომაული ციფრი მიწერილი აქვს იმავე მელნით, რომლითაც მასში შეტანილია მესამე ტექ-

სტური მოწმის სწორებები, ეს ცვლილებებიც და მეორე ტომის აღმნიშვნელი რომაული ციფრის მიწერაც უნდა მომხდარიყო II ტომის გამომცემლობისთვის გადაცემამდე, 1934 წლის 20 ნოემბრამდე.

როდესაც ხერხდება ტექსტურ მოწმეთა დათარიღება ხელწერით, შინაარსით, მინაწერების ანალიზით ან სხვა საშუალებებით, ეს შეიძლება დაგვეხმაროს იმ ცვლილებების ასხნაში, რომლებიც შედიოდა სხვადასხვა ტექსტურ მოწმეებში. მაგალითად, თუ გაირკვა, რომ პირველი ტექსტური მოწმის სახით ავტორმა ტექსტის გამოქვეყნება ვერ შეძლო, ამით შეიძლება განპირობებული იყოს ის ცვლილებები, რაც შემდგომ შევიდა ტექსტში.

რომელიმე ტექსტური მოწმის სხვადასხვაგვარ დათარიღებას შეიძლება მივყავდეთ ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისკენ. მაგალითად, გალაკტიონის ამ ლექსთან დაკავშირებით გამოთქმული იყო ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები. ერთის მიხედვით იგი თავდაპირველად მერი შერვაშიძეს ეძღვნებოდა [ხინთიბიძე, 2003:46], მეორის მიხედვით - მწერლის მეუღლეს - ოლია ოკუჯავას [გაბოძე, 204: 273], მაგრამ ტექსტურ მოწმეთა ანალიზით და მათი დათარიღებით გაირკვა, რომ ასეთი ვერსიები, რომლებიც ეყრდნობოდა ავტოგრაფში შემოტანილ სიტყვებს „გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“ და „ეს განშორება“, სწორი არ უნდა იყოს [ნინიძე 1998], რადგან ისინი ტექსტში გაჩნდა მესამე და მეშვიდე ტექსტურ მოწმეებში, ლექსის უფრო ადრეულ ტექსტურ მოწმეებში კი უკვე იყო ისეთი სიტყვები, რომლებიც ცალსახად სამშობლოს თემას უკავშირდება და არა ქალისას: „თვით ცხარე ომში“, „საქართველოს რომ ეკადრება“. „საუკუნით რომ ლალი ვიყო“ და „ეს ტკივილები ჩემს ყოფნაში ძველის ძველია“. შესაბამისად, ტექსტურ მოწმეთა ანალიზს შეუძლია დიდი დახმარება გაგვიწიოს თხზულების მხატვრულ-ესთეტიკურ ანალიზსა და მის ინტერპრეტაციაშიც.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ როგორც ძველ, ისე ახალ ტექსტოლოგიაში, ტექსტურ მოწმეთა ანალიზს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ერთიანი ხელნაწერისას. შესაბამისად, ვფიქრობ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ აკადემიური გამოცემების ვარიორუმში (ვარიანტულ სხვაობათა ნუსხაში) ლიტერებით ან სიგლებით წარმოდგენილი იქნებოდა არა ხელნაწერი წყაროების, არამედ მათში დაცული ტექსტური მოწმეების მონაცემები. ეს უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ტექსტის ჩამოყალიბების პროცესზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბოძე ჯული, 2004, „ასპინძა“ და „ელეგია განშორებისა“, *გალაკტიონოლოგია III*, თბილისი.
2. ნინიძე მაია, 1998, *სამშობლო ჩემო! რა გადაგხდა რა გზით ვინ იცის ...* (გალაკტიონის ლექსის „ასპინძა“ ტექსტოლოგიური ანალიზი), *ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული*, თბილისი.
3. ნინიძე მაია (რედ), 2016, *ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატანისათვის*, თბილისი.
4. ნინიძე მაია, გიგაშვილი ქეთევან, 2018, *ტექსტოლოგია - სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის*, თბილისი.
5. ხინთიბიძე აკაკი, 2003, *გალაკტიონი. 15 ლექსი და ერთი პოემა*, თბილისი.
6. Gurry Peter J., 2017, *A Critical Examination of the Coherence-based Genealogical Method in New Testament Textual Criticism*, BRILL, Leiden, Boston.

MAIA NINIDZE

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ANALYSIS OF TEXTUAL WITNESSES AND THE CREATIVE HISTORY OF THE WRITTEN WORK

SUMMARY

Development of new technologies has introduced a number of new concepts and methods in textual scholarship. One of them is the concept of “witness” used in the coherence based genealogical method. The concept and the method are generally applied in genetic studies of the old manuscripts but we decided to adapt the method to the study of the creative history of the XIX-XX century authorial texts. We used the concept and the methodological principle to analyze some works by the famous Georgian poets: Nikolas Baratashvili, Iliia Chavchavadze and Galaktion Tabidze and came to the conclusion that the study of creative histories of the texts should be based on the analysis of each textual witness.

ქართული და სომეხი მამაკაცის საშუალო სიმაღლე XX საუკუნის დასაწყისში ქანდაკების ბაზის მიხედვით

თბილისის ჟანდარმერიის ფონდში დაცულ ბარათებზე¹ მუშაობისას შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასი წლის წინ მცხოვრები ადამიანები საშუალო სიმაღლისანი ან კიდევ დაბლები იყვნენ. მართლაც მათი სიმაღლე იშვიათად აღემატებოდა 180 სანტიმეტრს, 3466 ბარათში სადაც ადამიანის სიმაღლეა დაფიქსირებული მხოლოდ ერთი ადამიანის სიმაღლე აღწევს 190 სანტიმეტრს, ხოლო უმეტესი მათგანი კი საერთოდ 170 სანტიმეტრზე დაბალია. თუმცა სიდიდე არ არის აბსოლუტური მოცემულობა და ადამიანების სიმაღლე საუკუნეების და ათასწლეულების განმავლობაში იცვლებოდა, სწორედ ამ პროცესთან გვაქვს საქმე უკანასკნელ საუკუნეშიც როდესაც ადამიანების სიმაღლე მსოფლიოს მასშტაბით საშუალოდ 10 სანტიმეტრით გაიზარდა, ამიტომ თანამედროვე საზომებით ერთი საუკუნის წინ მცხოვრები ადამიანების ფიზიკური მონაცემების განსაზღვრა სწორი არ იქნება ამიტომ ყველა ეპოქას თავისი საზომებით უნდა მივუდეთ. ამ კვლევას ანთროპოლოგიური ხასიათის კვლევის პრეტენზია არ აქვს, ჩემი მიზანია ჟანდარმერიის ბარათებში არსებული მონაცემები შევაჯამო და შევადარო იმავე პერიოდში ჩატარებული სხვა კვლევების მონაცემებს, ასევე საზოგადოებისათვის ცნობილი გავხადოთ მეოცე პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი და სომეხი პოლიტიკოსების, რევოლუციონერების, მწერლების სიმაღლეები.

ბაზისის საეტიკა

ფონდში სულ დაცულია 5413 ბარათი, თუმცა აქედან მხოლოდ 3466 ბარათშია შევსებული პიროვნების სიმაღლის მონაცემი, აქედან 3279 კაცია და 187 ქალი. ბარათები შევსებულია 1904-1917 წლებში, საიდანაც დიდი უმეტესობა - 2702 ბარათი 1908-1914 წლებშია შევსებული, 92- 1904-1907 წლებში, ხოლო ხოლო 69 კი 1915-1917 წლებში, 603 ბარათის შევსების ზუსტი თარიღი დაუდგენელია. სიმაღლე უმეტეს შემთხვევაში სანტიმეტრებში, ხოლო ძალზე იშვიათად არშინებსა და ვერშოკებშია მოცემული, რისი გადაყვანაც ისევ სანტიმეტრებში მომიწია. ზოგიერთ შემთხვევაში სიმაღლე დაფიქსირებულია მილიმეტრული სიზუსტით მაგალითად 166.5სმ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი მხოლოდ სანტიმეტრული სიზუსტით მაგალითად -165ს. ფონდში ძირითადად თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ბარათებია, თუმცა აქვე არის ბაქოს, ქუთაისის, ერევნის და კავკასიის სხვა ქალაქების ჟანდარმერიის ბარათებიც. ბარათებში შესულია სხვადასხვა ეთნოსის ხალხი: ქართველები, სომხები, რუსები, უკრაინელები, თურქები, თათრები, ირანელები, გერმანელები, ოსები, პოლონელები, ჩეჩნები, ლეკები და ა.შ. თუმცა კვლევისათვის ყველაზე ოპტიმალური რაოდენობა ქართველი და სომეხი ეროვნების კაცებისაა, შესაბამისად 1089 და 1013 ერთეული. მასალაზე მუშაობის პროცესში გარკვეულ პრობლემას გვიქმნიდა ის გარემოება, რომ ბარათებში პირდაპირ არ არის დაფიქსირებული ადამიანის ეროვნება, ამიტომ ეროვნების განსაზღვრა გვიწევდა მშობლიური ენის, რწმენის, გვარისა და დაბადების ადგილის მიხედვით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ ყველა ბარათში ეს ოთხი მონაცემი ერთდროულად არ არის ხოლმე მოცემული, ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში პიროვნების რომელიმე ეთნოსისათვის მიკუთვნება გავიჭირდა და რადგანაც ასეთების რაოდენობა ძალზე მცირე იყო, საერთოდ თავი შევიკავეთ მათი შეყვანისაგან საკვლევი რაოდენობაში. რაც შეეხება ასაკობრივ ჩარჩოებს, ეს ჩარჩოები ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ 1900-1910-იან წლებში ჩატარებული კვლევების მაგალითზე განსაზღვრეთ 17-70 წლამდე. ასევე საკვლევი სიაში არ შევიტანეთ 11 ჯუჯა, თუმცა მათზე ცალკე ვისაუბრებთ. მასალისა და კვლევის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განსხვავებით იმავე პერიოდში ჩატარებული სხვა კვლევებისგან, ჩვენ გავიჭირდა ქართველებისა და სომხების საშუალო სიმაღლე განგვესაზღვრა სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფებისა და მამრების მიხედვით. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მთლიანი ეთნოსის საშუალო სიმაღლე შეგვიძლია გამოვთვალოთ რადგანაც ბარათებში დაბადების ადგილის შესახებ მონაცემები ზოგჯერ არ არის დაფიქსირებული. ამავდროულად რადგანაც ჟან-

¹ ბარათები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის, ცენტრალური საისტორიო არქივის, თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს ფონდში. ფონდი N153

დარმერიაში ადამიანებს ანთროპოლოგიური ხასიათის კვლევებისათვის არ ზომავდნენ, რიგ შემთხვევებში შესაძლოა ცდომილებები იყოს დაშვებული, ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში როდესაც ერთი პიროვნების ორი სხვადასხვა პერიოდში შევსებული ბარათი გვაქვს, სიმაღლეში გარკვეული სხვაობაა ორი ბარათის მონაცემს შორის, თუმცა ასეთი შემთხვევები ბევრი არ არის.

პანტიუხოვის, ჯავახიშვილისა და პინინგაის კვლევების მონაცემები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში და მათ შორის რუსეთის იმპერიაში ძალიან პოპულარული გახდა ანთროპოლოგიური ხასიათის კვლევები, რითაც ცდილობდნენ ხალხების ტიპოლოგიას სხვადასხვა ნიშნით, იქნებოდა ეს სხეულის ზომა, კანის ფერი, თმის პირველადი თუ მეორეული საფარი, თვალის ფერი, თავის ფორმა, ზომა და ა.შ. მსგავსი ხასიათის კვლევები ქართველების, სომხებისა და კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებზეც ტარდებოდა მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან. აღნიშნული კვლევებიდან ავტორთა მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ადამიანთა შესწავლისა და ქრონოლოგიური პერიოდის გამო, რაც მეტეკნაკლებად ემთხვევა ჟანდარმერიის ბარათების ქრონოლოგიურ ჩარჩოს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სამი მათგანი. პირველი ნაშრომი ეს არის კავკასიის სამხედრო ოლქის სამედიცინო ინსპექტორის ივან პანტიუხოვის 1893 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი - „კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპები“.² პანტიუხოვა შეაჯამა 5926 ქართველი და 2930 სომეხი ეროვნების 21-23 წლამდე მამაკაცის მონაცემი. მის კვლევაში ქართველები, იმერლები, მეგრელები, სვანები და სამურზაყანოელები არა როგორც ერთი ხალხი, არამედ ცალ-ცალკე არიან დაფიქსირებულნი მამრების მიხედვით, ასევე მოცემულია კვლევაში გამოყენებული თითოეული მამრში მცხოვრებთა რიცხვი და საშუალო სიმაღლე. პანტიუხოვის მიერ გამოკვლეული 5926 ქართველის სიმაღლე (ქართველები, იმერლები, მეგრელები, სვანები და სამურზაყანოელები) 165.3 სანტიმეტრს შეადგენს.³ ცალ-ცალკე კი ქართველების სიმაღლე მისი კვლევის მიხედვით შემდეგია: გორი მამრა -163.9სმ; თბილისის მამრა -164.2სმ; სიღნაღის მამრა -165.2სმ; თიანეთის მამრა -166.5სმ (მამრაში მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფებიდან: ხევსურები-169სმ; ფშაველები-166.8სმ და თუშები-166სმ, სხვა ქართველები -165სმ); ქუთაისის მამრა -165.3სმ; შორაპნის მამრა -165.8სმ; რაჭის მამრა -166.1სმ; სენაკის მამრა -164.2სმ; ზუგდიდის მამრა -164.7სმ; სოხუმის ოლქი -164.7სმ; ენგურის სვანები -165.8სმ; ცხენისწყლის სვანები -162.5სმ.⁴ რაც შეეხება სომხებს, პანტიუხოვის მიერ გამოკვლეული 2630 სომეხი მამაკაცის საშუალო სიმაღლე -163.1 სანტიმეტრს შეადგენს.⁵ ცალკეული მამრების მიხედვით კი მათი სიმაღლე შემდეგია: ნახიჭევანის მამრა-162სმ; შარირო-დარალის მამრა- 162.6სმ; ზანგებურის მამრა -163სმ; ახალქალაქის მამრა -163სმ; ჯებრაილის მამრა -164სმ; ელიზავეტოპოლის მამრა-164.8სმ; თბილისის მამრა -165.2სმ.⁶ პანტიუხოვს ქართველებთან და სომხებთან ერთად კავკასიაში მცხოვრები სხვა ეთნოსების საშუალო სიმაღლეც გამოიკვლია. **ებრაელები:** ყუბის მამრის -161.8სმ; ქუთაისის მამრის-163სმ; თაბასარანის მამრა-164.4სმ; **აფხაზები** -165.1სმ; **ოსები:** გორის მამრის -167სმ; თერგის ოლქის-169.5სმ; კავკასიაში მცხოვრები **რუსები:** მართლმადიდებლები- 168.8სმ; „სექტანტები“ -168სმ; თბილისის და ელისავეტოპოლის მამრის **გერმანელები** -168.4სმ; თბილისის მამრის **ბერძნები**- 164.5სმ.⁷ საინტერესოა, რომ პანტიუხოვსკის მიერ გამოკვლეული 10 000-მდე კავკასიელი 21-23 წლამდელ ახალგაზრდების წონის ვარიაცია 50-84 კილოგრამებს შორის მერყეობდა, საიდანაც მაგალითად თბილისის მამრის ახალგაზრდების საშუალო წონა -63კგ, ხოლო ქუთაისის მამრის ახალგაზრდების კი წონა კი 62 კილოგრამი იყო.⁸

მეორე ნაშრომის ავტორი არის ქართველი გეოგრაფი და ანთროპოლოგი ალექსანდრე ჯავახიშვილი, მან 1908-1914 წლებში გამოსცა საქართველოს ანთროპოლოგიის ორტომეული. ამ ნაშრომს ჩვენი კვლევისთვის ერთი ნაკლი აქვს, რადგანაც ეხება მხოლოდ ქართველებს. ალექსანდრე ჯავახიშვილმა შეკრიბა 17-70 წლამდე ასაკის 700 ქართველი მამაკაცის მონაცემი (300 ქართლელი; 100 კახელი; 100 იმერელი, 100 გურული და 100 რაჭველი). მისი მიერ გამოკვლეული 700 ქართველის საშუალო სიმაღლე -165.3 სანტიმეტრია, ისევე როგორც პანტიუხოვის კვლევის შემთხვევაში. სიმაღლის ვარიაცია ჯავახიშვილის მიხედვით 146.5-184.5-ს შორის მერყეობს, კუთხების მიხედვით კი ქართველების სიმაღლე შემდე-

² Иван. И. Пантюхов . Антропологические Типы Кавказа. СПб 1893. აღებულია წიგნიდან -Русская Расовая Теория до 1917 года. Выпуск №2. Сборник оригинальных работ русских классиков под редакцией В. Б. Андреева.Москва. 2004

³ პანტიუხოვს არ აქვს მთლიანობაში მათი მონაცემები შეკრებილი, თუმცა ცალკეული მამრის ქართველების რაოდენობისა და მათი საშუალო სიმაღლის დაჯამებით მივიღეთ აღნიშნული მონაცემები.

⁴ Иван. И. Пантюхов . Антропологические Типы Кавказа. Стр.377-378

⁵ პანტიუხოვს არ აქვს მთლიანობაში მათი მონაცემები შეკრებილი, თუმცა ცალკეული მამრის სომხების რაოდენობისა და მათი საშუალო სიმაღლის დაჯამებით მივიღეთ აღნიშნული მონაცემები.

⁶ Иван. И. Пантюхов . Антропологические Типы Кавказа. Стр.377

⁷ Иван. И. Пантюхов . Антропологические Типы Кавказа. Стр.377-378

⁸ Иван. И. Пантюхов . Антропологические Типы Кавказа. Стр.381

გი იყო: ქართლები -164.9სმ; კახელები-164.6სმ; ხოლო დასავლეთ საქართველოს ქართველების სამი ეთნოგრაფიული ჯგუფის საერთო საშუალო სიმაღლე -166სმ.⁹

მესამე ავტორი არის იოსებ ვენინგერი, რომელმაც ვენაში 1951,¹⁰ 1955¹¹ და 1959¹² წელს კი მარგარეტ ვენინგერთან ერთად გამოსცა სამი ნაშრომი სომხების, მეგრელებისა და ქართველების ანთროპოლოგიის შესახებ. მართალია ნაშრომი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოიცა, მაგრამ ის ეყრდნობა პირველ მსოფლიო ომში (1914-1918წწ) ტყვედ ჩავარდნილი 188 კავკასიელი სომხებისა და 799 ქართველის (მათ შორის მეგრელების) მონაცემს და შესაბამისად ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჯდება. ვენინგერის მიხედვით ქართველების საშუალო სიმაღლე 164.3 სანტიმეტრი გამოდის.¹³ აქედან მეგრელების საშუალო სიმაღლე - 164.82სმ; ვარიაცია 151.9-178სმ;¹⁴ გურულები -164, 64 + -0.54; ვარიაცია - 154.1-176სმ; კახელები - 164.68±0.48სმ; ვარიაცია-152.5-177.7სმ; იმერლები -164.26+ _0.28სმ; ვარიაცია-152.3-178.5სმ და ქართლები-163.77±0,45სმ; ვარიაცია -153.3-176.6სმ.¹⁵ სომხების საშუალო სიმაღლე ვენინგერის მიხედვით -163.7 სანტიმეტრს შეადგენს, ხოლო ვარიაცია კი -151.3-181.8 სანტიმეტრამდე მერყეობს.¹⁶ ავტორს იქვე აქვს მოყვანილი ალბანელი, სერგი და მონტენეგროელი ტყვეების საშუალო მონაცემიც: ალბანელები - 166.2სმ; ვარიაცია -150.3-181.8სმ; სერბები -169.6სმ; ვარიაცია -151.4-195სმ და მონტენეგროელები -171.7სმ; ვარიაცია -156.5-185.1 სმ.¹⁷

ქანდაკეების ბარათების კვლევის შედეგები

ქართველი მამაკაცის 1089 მონაცემის შეჯამების შედეგად, მათი საშუალო სიმაღლე 166.3 სანტიმეტრი გამოვიდა. ვარიაცია 43 სანტიმეტრი. ყველაზე დაბალი 147, ხოლო ყველაზე მაღალი კი 190 სანტიმეტრი. ბარათებში დაფიქსირებულ მამაკაცთა საშუალო სიმაღლე 1 სანტიმეტრით აღემატება პანტიუხოვისა და ჯავახიშვილის კვლევის შედეგს (165.3სმ) -, და 2 სანტიმეტრით აღემატება ვენინგერის მონაცემს -(164.3სმ).

კლასიფიკაცია რ. მარტინის სქემის მიხედვით

ძალიან დაბალი 130,0 - 149,9სმ - 1 - 0.091 %

დაბალი 150,0 - 159,9სმ - 114 - 10.468 %

საშუალო ზე დაბალი 160,0 - 163,9სმ - 179 - 16.437 %

საშუალო 164,0 - 166,9სმ - 214 - 19.651 %

საშუალოზე მაღალი 167,0 - 169,9სმ - 190 - 17.447 %

მაღალი 170,0 - 179,9სმ - 367 - 33.700 %

ძალიან მაღალი 180,0 - 199,9სმ - 24 - 2.203 %

როგორც ვხედავთ ეპოქის საზომებით, ქართველი მამაკაცის საშუალო სიმაღლე მეოცე საუკუნის დასაწყისში მყარად საშუალო გახლდათ, ამას ადასტურებს როგორც ჟანდარმერიის ბარათების მონაცემები, ასევე ზემოთ დასახელებული სამი კვლევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟანდარმერიის ბარათების მონაცემებით მამაკაცთა 33.7% მაღალი, ხოლო 2.2 % კი ძალიან მამაკაცის კატეგორიის მიეკუთვნებოდა, ხოლო 10.468 % კი დაბალი იყო.

სომეხი მამაკაცის 1013 მონაცემის შეჯამების შედეგად, მათი საშუალო სიმაღლე 165.8 სანტიმეტრი გამოვიდა. ვარიაცია 41 სანტიმეტრი. ყველაზე დაბალი 148, ხოლო ყველაზე მაღალი კი 189სანტიმეტრი .ეს მონაცემი 2.1 სანტიმეტრით აღემატება ვენინგერის კვლევის შედეგს (163.7) და 2.7 სანტიმეტრით აღემატება პანტიუხოვის მონაცემს (163.1)

კლასიფიკაცია რ.მარტინის სქემის მიხედვით

ძალიან დაბალი 130,0 - 149,9სმ - 1 - 0.09%

დაბალი 150,0 - 159,9სმ - 137 - 13.524%

⁹ Александр Н. Джавахов. Антропология Грузии Т. I Грузини Карталинии и Кахетии. Москва .1908 Стр.110-111; Александр Н. Джавахов. Антропология Грузии Т. II Грузини Имеретии, Гурии и Рачи. Москва 1914 Стр.35

¹⁰ Won Josef Weninger. Armenier. Ein Beitrag zur Anthropologie der kaukasusvolker. Wien 1951

¹¹ Won Josef Weninger. Die Mingrelier aus dem Kaukasus in ihrer anthropologischchen Stellung. Wien 1955

¹² Won Josef und Margarete Weninger. Anthropologischche Beobachtungen an Georgien (Transkaukasien). Wien 1959

¹³ ვენინგერს ერთად არ აქვს გამოთვლილი ქართველების საშუალო სიმაღლე, მას გამოთვლილი აქვს ცალ-ცალკე სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების სიმაღლე, ამიტომ მათი დაჯამებით გამოვთვალეთ პირველ მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილ იმ ქართველთა საშუალო სიმაღლის მონაცემი, რომლითაც ვენინგერმა ისარგებლა

¹⁴ Won Josef Weninger. Die Mingrelier aus dem Kaukasus in ihrer anthropologischchen Stellung. P.40

¹⁵ Won Josef und Margarete Weninger. Anthropologischche Beobachtungen an Georgien (Transkaukasien). P.36

¹⁶ Won Josef Weninger. Armenier. P.42

¹⁷ Won Josef Weninger. Armenier. P.42

- საშუალო ზე დაბალი 160,0 - 163,9სმ - 193-19.052%
- საშუალო 164,0 - 166,9სმ - 208-20.533%
- საშუალოზე მაღალი 167,0 - 169,9სმ - 179 - 17.670%
- მაღალი 170,0 - 179,9სმ - 279 - 27.541%
- ძალიან მაღალი 180,0 - 199,9სმ - 16 - 1.579%

როგორც ვხედავთ ეპოქის საზომებით, სომეხი მამაკაცის საშუალო სიმაღლე მეოცე საუკუნის დასაწყისში საშუალო ან საშუალოზე ოდნავ დაბალი გახლდათ. ჟანდარმერიის ბარათების მონაცემებით სომეხ მამაკაცთა 27.5% მაღალი, ხოლო 1.5 % კი ძალიან მამაკაცის კატეგორიის მიეკუთვნებოდა, ხოლო 13.5 % კი დაბალი იყო.

ქართული და სომეხი ქალების საშუალო სიმაღლე

მართალია ბარათებში ქალების სიმცირე არ გვაძლევს ქალის საშუალო სიმაღლის მაღალი სიზუსტით გამოთვლის საშუალებას, მაგრამ მაინც საინტერესოა თუ რა სურათი გვაქვს, თუნდაც არსებული მასალებით. ქართველი ქალების 56 ბარათიდან მათი საშუალო სიმაღლე 157.3 სანტიმეტრი გამოდის. ვარიაცია 30 სანტიმეტრი. ყველაზე დაბალი ქალი 145სმ, ხოლო ყველაზე მაღალი კი 175 სმ. აღნიშნული საშუალო სიმაღლით (157.3სმ), ეპოქის საზომებით ქართველი ქალები საშუალოზე მაღლები (156-158.9სმ) იყვნენ.

სომეხი ქალების 31 ბარათიდან, მათი საშუალო სიმაღლე 156.8 სანტიმეტრია. ვარიაცია 24 სანტიმეტრი, ყველაზე დაბალი ქალი 143სმ, ხოლო ყველაზე მაღალი კი 167. ეპოქის საზომებით სომეხი ქალებიც საშუალოზე მაღლები იყვნენ, თუმცა მასალის სიმცირის გამო ამის გადაჭრით მტკიცება როგორც ქართველი, ისე სომეხი ქალების შემთხვევაში მთლად სწორი არ იქნება.



ყველაზე მაღალი ქართველი. ტარას ახვლედიანი - 190სმ

ყველაზე მაღლები, დაბლები და ჯუჯები

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით კი საუკუნის პირველ დეკადებში კაცი რომელიც 180 სანტიმეტრს აღემატებოდა ის ძალიან მაღლად ითვლებოდა. როგორც ზემოთ ვნახეთ ვენინგერის მიერ გამოკვლეულ პირველ მსოფლიო ომში დატყვევებულ 849 ქართველს შორის არცერთი არ იყო 180სმ ან მეტი სიმაღლის, ხოლო 189 სომეხიდან კი მხოლოდ 1 იყო ასეთი. ჟანდარმერიის ბარათებში შერჩეულ 1087 ქართველში კი 24 კაცი იყო 180სმ ან უფრო მაღალი ანუ 2.2%, 1013 სომეხში კი 16, მთელის 1.57%. საინტერესოა თუ ვინ იყვნენ მათ შორის ყველაზე მაღლები. 1908 წელს შევსებული ბარათის მიხედვით, ქართველთა შორის ყველაზე მაღალი იყო 1876 წელს ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის სოფელი ვანში დაბადებული ტარას ნესტორის-ძე ახვლედიანი, რომლის სიმაღლე 190 სანტიმეტრი იყო.¹⁸ სომეხებს შორის კი 1908 წელს შევსებული ბარათის მიხედვით, ყველაზე მაღალი იყო 1888 წელს ერევნის გუბერნიის, ნოვობაიაზეთის მაზრის სოფელ თუტმაშენში დაბადებული ალექსანდრე ოსიპის-ძე ვართანიანი, მისი სიმაღლე 189 სანტიმეტრს შეადგენდა.¹⁹ 1909 წელს შევსებული ბარათის მიხედვით ქართველთა შორის ყველაზე დაბალი იყო ქუთაისში დაბადებული იოსებ ანდრიას-ძე მერკვილაძე, მისი დაბადების წელი ბარათში არ არის დაფიქსირებული, მაგრამ გარეგნობის მიხედვით მისი ასაკი 25-28 წლითაა განსაზღვრული, სიმაღლე კი 147 სანტიმეტრია. ამავავე საქმეში ინახები 1913 წლის ბარათი სადაც მისი სიმაღლე უკვე 151 სანტიმეტრია.²⁰ სომეხთა შორის 1909 წელს შევსებული ბარათის მიხედვით ყველაზე დაბალია სურენ ხაჩატურის-ძე მინასიანი, მისი სიმაღლე 148 სანტიმეტრი იყო, მისი დაბადების წელი და ადგილი უცნობია, გარეგნობის მიხედვით მისი ასაკი 22-25 წლამდე შეაფასეს.²¹



ყველაზე მაღალი სომეხი მამაკაცი ალექსანდრე ვართანიანი -189სმ

¹⁸ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N441

¹⁹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N851

²⁰ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3116

²¹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3175

თბილისის ჟანდარმერიის ბარათებში არის 11 სომეხი ეროვნების ჯუჯა კაცის მონაცემიც, ყველა მათგანის ბარათი შევსებულია 1911 წლის 10 სექტემბრის, ისინი იყვნენ სომხური დამწავლუთუნის პარტიის წევრები და ყველანი იყვნენ ელიზავეტობლის გუბერნიის სოფელ ზაგლივიდან: აკოვ ოპანესის-ძე აზარიანცი - 116სმ;²² ვართაბარ სტეფანეს-ძე აზარიანცი - 120სმ;²³ კარაპეტ ავეტისის-ძე აზარიანცი - 123სმ;²⁴ მარტიროს მარტიროსის-ძე აზარიანცი - 119სმ,²⁵ სააკ მანასეს-ძე აზარიანცი - 120სმ;²⁶ კარაპეტ პოდოსის-ძე გულუმიანცი - 121სმ;²⁷ სარქის ოპანესის-ძე მანველიანცი - 121სმ;²⁸ კარაპეტ ეფრემის-ძე ტერ აბრამიანცი - 114სმ;²⁹ არისტაკეს ვოსკანის-ძე ხოჯიანცი - 115სმ;³⁰ სარქის ვოსკანის-ძე ხოჯიანცი - 123სმ;³¹ ტერ-ოპანეს ვოსკანის-ძე ხოჯიანცი - 126სმ.³²

Тифлисское Губернское Жандармское Управление.

Примечание: прежде чѣмъ наклеивать изготовленные фотографии, слѣдуетъ провѣрить, удовлетворяють-ли снимки указаннымъ ниже основнымъ требов. суд.-полци. фотографіи.

1) **откъ**
фильд

Фотопграфія въ 1/4 натур. величины.

2) **Взрѣст** роста стоя въ 1/2 въ

Вѣ. 11. 3. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100.

3) **Взрѣст** роста стоя въ 1/2 въ

Брѣжності.

1. Лобъ.	Возрастъ, по нар. виду 35, 36 ростъ 1 метр. 14	свѣт.	Раса (если изъ тюркоязыч.)	
	Полбр. дг. ср.	(Переносъ (глуб.) Керидор	(Выс. прх. губ. дел.	{ «Вѣдч. М.
2. Носъ.	Накл. М.	Стинка гор. Осов.	Выст. ср.	{ «Особ.»
	Высота ср.	Высота М. Выст. дел.	Борнюр. Мал.	{ Накл. ср.
3. Губы.	Ширина М.	Особ.	Толщина ср.	{ Высота М.
	Особ.		Особ.	{ «Особ.
4. Подошвы.	Бордюръ: Нач. ср. Верх. Шуц. Низ. Узк. Особ.		Подошва дел.	{ Лоби. нос. ч.
	Мошка: Очерт. ср. Приростъ: Поверхи. М. Высота М. Особ.		Выпеч. дел. Разм. М. Особ.	{ Нижн. ч. лиц.
5. Брови.	Противокос.: Накл. М. Проф. М. Выпеч. М. Разм. М. Особ.		Особ.	{ Выс. череп.
	Вн. складка: Накл. М. Верх. М. Форм. уха М. Оттопыр. дел. Равов. ос.		Особ.	{ «Особ.
6. Брови.	Располож. дел.	Гориз. М.	11. Глазницы:	{ Окраска
	Напр. дел.	Отвѣсно	12. Раств. между глаз.	{ «Особ.»
7. Глаза.	Форма дел.	Верх. М.	13. Морщ. Лоби. дел.	{ «Особ.»
	Развѣрж. дел.	Особ.	14. Выраженіе М.	{ «Особ.»
8. Цвѣтъ.	Выступ. дел.	Особ.	15. Шейн. Форм. гол. спер.	{ Шейн: Дл. 5,1 Шир. 3,5 Особ.
	Особ.		16. Шейн: Накл. М. Шир. М.	{ Цвѣт. дел. Особ.
9. Цвѣтъ.	Особ.		17. Шейн: Накл. М. Шир. М.	{ «Особ.»
			18. Цвѣт. дел.	{ «Особ.»

ДАКТИЛОСКОПИЯ.

Правой руки.

большой.

указательный.

средній.

безымянный.

мизинецъ.

კარაპეტ ტერ-აბრამიანცი - 114სმ

²² სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N138
²³ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N141
²⁴ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N142
²⁵ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N143
²⁶ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N373
²⁷ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1329
²⁸ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N2832
²⁹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4510
³⁰ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4930
³¹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4931
³² სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4933

ცნობილი პიროვნებები

ჟანდარმერიის ბარათებში საკმაოდ ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი თუ სხვა პროფესიის მქონე პიროვნება მოხვდა, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება მათი მონაცემების გაცნობაც. მართალია ეპოქით დაინტერესებულ პირთათვის და მკვლევართათვის ბარათებში დაფიქსირებული პიროვნებების დიდი ნაწილი ცნობილი ადამიანია, მაგრამ ჩვენ აქ მათ შორის საზოგადოების ფართო მასებისათვის ცნობილი პირები შევარჩიეთ, ის ცნობილი ადამიანები რომელთა ბარათებშიც სიმაღლის მონაცემი დაფიქსირებულია. პიროვნებათა სია დალაგებულია ბარათების ნომრების მიხედვით.

ავეტის აპარონიანი (1866–1948) – სომეხი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი და მწერალი, იყო დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრი და სომხეთის პირველი რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე. სიმაღლე – **166სმ.**³³

შალვა ამირეჯიბი (1887–1943) – ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი და პუბლიცისტი. სოციალ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. სიმაღლე – **178სმ.**³⁴

რაჟდენ არსენიძე (1880–1965) – ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი და პუბლიცისტი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1919 წლიდან იუსტიციის მინისტრი. სიმაღლე – 1910 წელს შევსებული ბარათის მიხედვით – **172სმ**, ხოლო 1913 წელს შევსებული ბარათის მიხედვით – **170.2სმ.**³⁴

ილია ბადრიძე (1878–1937) – ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი – **171სმ.**³⁶

არმენაკ ბორიანი (1886–1918) – სომეხი რევოლუციონერი და პუბლიცისტი. ერთ-ერთი 26 ბაქოელ კომისარტაგანი. სიმაღლე – **166.3სმ**³⁷

პეტრე გელიშვილი (1870–1938) – ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პუბლიცისტი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. სიმაღლე – **174სმ.**³⁸

გრიგოლ გიორგაძე (1879–1937) – ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. ამიერკავკასიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი 1918-1919წლებში. სიმაღლე – **168სმ.**³⁹

ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872–1950) – ქართველი ეკონომისტი, პუბლიცისტი, მწერალი, რევოლუციონერი, ექიმი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელწიფო კონტროლის სამსახურის უფროსი. სიმაღლე – **170სმ.**⁴⁰

სეით დევდარიანი (1978–1937) – ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. სიმაღლე – **166სმ.**⁴¹

გიორგი დეკანოზიშვილი (1868–1910) – ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-ფედერალისტი. სიმაღლე – **158სმ.**⁴²

მიხეილ ჯავახიშვილი (1880–193) – ცნობილი ქართველი მწერალი. სიმაღლე – **170სმ.**⁴³

³³ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N114

³⁴ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N251

³⁵ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N333

³⁶ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N514

³⁷ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N752

³⁸ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1116

³⁹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1145

⁴⁰ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1202

⁴¹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1420

⁴² სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1428

⁴³ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1463



მიხეილ ჯავახიშვილი - 170სმ

არჩილ ჯავახიშვილი (1885-1937) - ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, მწერალი. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. სიმაღლე - 168სმ.⁴⁴

ნოე ჟორდანიას (1868-1953) - ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი. ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 1908 წელს შეესხმული ბარათის მიხედვით - 179სმ; ხოლო 1910 წელს შეესხმული ბარათის მიხედვით - 175სმ.⁴⁵

იოსებ იმედაშვილი (1876-1952) - ქართველი მწერალი, რევოლუციონერი, რედაქტორი. სიმაღლე - 171სმ.⁴⁶

იოსებ ირემიშვილი (1879-1944) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პუბლიცისტი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე - 170სმ.⁴⁷

ავეტიქ ისააკიანი (1875-1957) - ცნობილი სომეხი პოეტი. სიმაღლე - 163სმ.⁴⁸

⁴⁴ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1470

⁴⁵ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1704

⁴⁶ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1836

⁴⁷ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1864

⁴⁸ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N1868



ნოე ჯორდანიანი - 1796

პოვანეს კანაზნი (1868-1938) - სომეხი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. დაშნაკუთიუნის პარტიის წევრი. სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. სიმაღლე -166.⁴⁹

გიორგი ლასხიშვილი (1865-1931) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პუბლიცისტი. სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი 1918-1919წლებში. სიმაღლე - 179სმ.⁵⁰

გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937) - ქართველი პოლიტიკოსი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. სხვადასხვა პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო და განათლების მინისტრი. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. სიმაღლე -164სმ.⁵¹

ალექსანდრე მაისურაძე (1883-1918) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, სამხედრო მოღვაწე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი შტაბის წევრი. სიმაღლე - 173სმ.⁵²

იოსებ მაჭავარიანი (1873-1937) - ქართველი პოლიტიკოსი, იურისტი, პუბლიცისტი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე -172სმ.⁵³

⁴⁹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N2127

⁵⁰ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N2588

⁵¹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N2692

⁵² სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N2739

⁵³ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N2966

ვლასა მგელაძე (1871-1943) - ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული-საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე 1910 წელს შევსებული ბარათის მიხედვით - **176.8სმ**; ხოლო 1913 წელს შევსებული ბარათის მიხედვით - **177სმ**.⁵⁴

სიმონ მდივანი (1876-1937) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე - **173სმ**.⁵⁵

ალექსანდრე მელიქ-კაზარიანცი (1845-1923) - თბილისელი სომეხი ეროვნების „ბიზნესმენი“, პირველი გილდიის ვაჭარი, მეცენატი. სიმაღლე - **179სმ**.⁵⁶



ალექსანდრე მელიქ კაზარიანცი 179 სმ

კირილე ნინიძე (1878-1937) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პუბლიცისტი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე - **173.4სმ**.⁵⁷

გიორგი ფაღავა (1895-1924) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. სიმაღლე - **179.4სმ**.⁵⁸

⁵⁴ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3021

⁵⁵ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3026

⁵⁶ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3056

⁵⁷ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3473

⁵⁸ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3649

სამსონ ფირცხალაია (1872-1952) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პუბლიცისტი. სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე -172სმ.⁵⁹
ანა სოლოლაშვილი (1882-1937) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე -150სმ.⁶⁰



ანა სოლოლაშვილი 150სმ.

პეტრე სურგულაძე (1873-1931) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პუბლიცისტი. სოციალ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე -168სმ.⁶¹
ჰოვანეს თუმანიანი (1869-1923) - სომეხი ეროვნების ცნობილი თბილისელი პოეტი. სიმაღლე -170სმ.⁶²
სიმონ ტერ-პეტროსიანი „კამო“ (1882-1922) - სომეხი ეროვნების თბილისელი რევოლუციონერი, ტერორისტი. ბოლშევიკი. სიმაღლე - 170სმ.⁶³

⁵⁹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N3794
⁶⁰ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4308
⁶¹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4396
⁶² სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4595
⁶³ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4656

გრიგოლ ურატაძე (1878-1959) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. სიმაღლე-167სმ.⁶⁴

ნოე ხომერიკი (1883-1924) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი, პუბლიცისტი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწადმოქმედების მინისტრი. სიმაღლე -166სმ.⁶⁵

მიხეილს (მიხაკო) წერეთელი (1878-1964) - ქართველი მეცნიერი, ორიენტალისტი, ფილოლოგი, პოლიტიკოსი. ქართველი ანარქისტი, სოციალ-ფედერალისტურ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებთან დაახლოებული პირი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატი. სიმაღლე -174სმ.⁶⁶

ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე (1873-1921) - ქართველი პოლიტიკოსი, ექიმი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. სამხედრო მინისტრი 1920-1921 წლებში. სიმაღლე -174სმ.⁶⁷

ზაქარია ჭიჭინაძე (1853-1931) - ქართველი გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი. სიმაღლე -160სმ.⁶⁸

გიორგი ერაძე (1882-1971) - ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიმაღლე -169სმ.⁶⁹



ჭოვანეს თუმანიანი 170სმ.

⁶⁴ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4743

⁶⁵ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N4938

⁶⁶ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N5018

⁶⁷ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N5156

⁶⁸ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N5156ა

⁶⁹ სცსა. ფონდი N153. აღწერა.3. ბარათი N5310

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 153. აღწერაპ. 5413 ერთეული ჟანდარმერიის ბარათი
2. Александр Н. Джаавахов. Антропология Грузии Т. I Грузини Карталинии и Кахетии. Москва. 1908
3. Александр Н. Джаавахов. Антропология Грузии Т. II Грузини Имеретии, Гурии и Рачи. Москва 1914
4. Иван. И. Пантюхов . Антропологические Типы Кавказа. СПб 1893.
5. ალექსანდრე ვიგნინიან -Русская Расовая Теория до 1917 года. Выпуск №2.
6. Сборник оригинальных работ русских классиков под редакцией В. Б. Андреева. Москва. 2004
7. Von Josef Weninger. Armenier. Ein beitrag zur Antropologie der kaukasusvolker. Wien 1951
8. Von Josef Weninger. Die Mingrelier aus dem Kaukasus in ihrer anthropologischen Stellung. Wien 1955
9. Von Josef und Margarete Weninger. Anthropologische Beobachtungen an Georgien (Transkaukasien). Wien 1959

DIMITRI SILAKADZE

National archives of Georgia

**AVERAGE HEIGHT OF GEORGIAN AND ARMENIAN MAN AT
THE BEGINNING OF THE 20TH CENTURY
ACCORDING TO THE GENDARMERIE CARDS****SUMMARY**

The Fond of Tbilisi Gendarmerie Department of the National Archives of Georgia contains 5413 cards completed in Tbilisi and other cities of Caucasus. These cards are filled in during 1904-1917. They contain information about person's height and also some other materials. An analysis of the data enables us to calculate the average height of Georgian and Armenian man at the beginning of the 20th c. and compare it to the results of anthropological researches of that period. After summing up the results of 1089 Georgian man, their average height was equal to 166,3 cm, the difference was between 147-190 cm. The average height shown in these notes is 1 cm more to those unveiled in the researches of Ivan Pantiukhov and Alexander Javakhishvili (165,3 cm) and 2 cm more to the results of Joseph Wenninger (164,3). After assuming the data of 1013 Armenian men their average height was equal to 165,8 cm. the difference was between 148-189 cm. This result exceeds the result of Wenninger's research by 2,1 cm and by 2,7 cm the result of Pantiukhov (163,1). Despite the lack of data this article also unveils the average height of Georgian (56 cards) and Armenian (31 cards) women – appropriately 157,3 and 156,8 cm. The article also discloses information regarding the heights of renowned Georgian and Armenian politicians, writers and public activists.

ბენიკ ჯაჭვიანი

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სემინარიის ისტორიიდან

შესავალი

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ წლებში საქართველოში, კონკრეტულად კი ქართლ-კახეთში უდრედს პოლიტიკურ, თუ სოციალურ ძვრებს ჰქონდა ადგილი, ქვეყნის მართვის სადავეები კი უცხო ერისა და მისი იმპერატორის ხელში მოექცა, ამდენად საჭირო გახდა ქართველების ცნობიერების ახალ ჩარჩოში მოქცევა და მისთვის იმ მიმართულების მიცემა, რომელიც ქვეყნის ახალ მმართველებს გაუადვილებდა მცირე ერის სრულ ასიმილირებასა და არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ გონებრივ და სულიერ ანექსიას.

თუ ჩრდილოეთ კავკასიაში იდეოლოგიური მუშაობა სირთულეებს აწყდებოდა, რაც განსხვავებული რწმენით იყო განპირობებული, რუსეთის იმპერიას ამ მიზეზს საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი დახვდა ქართლ-კახეთში მართლმადიდებელი მოსახლეობის სახით. საჭირო გახდა უკვე არსებული სასულიერო სასწავლებლების ახალ რეალობაზე მორგება, პირველ რიგში კი რუსული განათლების სისტემის დანერგვა. ქართული სასწავლებლები 1817 წლამდე ეტაპობრივად გადაწყვედათ რუსულენოვან სწავლებასა და რუსულ ადმინისტრაციულ მოწყობაზე, ნიადაგის მომზადების შემდეგ კი 1817 წლის 1 ოქტომბერს თბილისში სასულიერო სემინარია გაიხსნა, რითაც საბოლოოდ განმტკიცდა რუსული განათლების რეფორმა, რადგან ყველა სასულიერო სასწავლებელი, მიუხედავად არსებული თვითმმართველობისა, ადმინისტრაციულად სემინარიას დაექვემდებარა [საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 1].

სასულიერო სემინარიის დაარსებიდან მესამე დღეს 1817 წლის 3 ოქტომბრიდან ოფიციალურად დაიწყო სასულიერო სასწავლებლების საქმისწარმოება. ჩვენი ნაშრომი ეხება 1817-1823 წლებში, სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში არსებულ მდგომარეობას, ადმინისტრაციულ მოწყობას, პედაგოგებს, მოსწავლეებს, სასწავლო კურსს და საეგზარქოსოს განათლების პოლიტიკას.

სასწავლებლების დაარსება

ქართლ-კახეთში 1817 წლამდეც ფუნქციონირებდა თბილისისა და თელავის სასულიერო სასწავლებლები, მაგრამ სიტუაცია უკვე საკმარისად იყო მომწიფებული ცენტრალური ბირთვის შესაქმნელად, სწორედ ამიტომ 1817 წლის ზაფხულში საეგზარქოსომ ეტაპობრივად დაიწყო ფინანსებისა და სასწავლებლისთვის საჭირო ნივთების მოძიება. საქართველოს ეგზარქოსმა, თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821) ამავე წლის 19 სექტემბერს, „ოსეთის კომისიის“ ზედამხედველს, არქიმანდრიტ ათანასეს და სასულიერო სემინარიის რექტორად წინასწარ დანიშნულ არქიმანდრიტ ვიტალის (1817-1819) ერთდროულად მისწერა წერილი ოსეთის კომისიის¹ ქონების თბილისის სასულიერო სემინარიის ბალანსზე გადასვლის შესახებ. ოსეთის კომისიის ქონება მოიცავდა სახელმძღვანელოებს, საეკლესიო და საყოფაცხოვრებო ნივთებს, ავეჯს და ა.შ. [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 1].

¹ ოსეთის სასულიერო კომისია - სამისიონერო ორგანიზაცია, რომელიც 1744-1792 წლებში ფუნქციონირებდა. 1815 წელს კომისია აღადგინეს და მას სათავეში დოსითეოს ფიცხელაური ჩაუდგა.

1817 წლის 12 ოქტომბერს არქიმანდრიტმა ათანასემ ოფიციალურად გადასცა ოსეთის კომისიის ქონება სემინარიის რექტორს, ხოლო 25 ოქტომბერს კი ეგზარქოსმა რექტორს უბრძანა ქონების ნაწილის თბილისის სიონის წინამძღვრისთვის, გაბრიელისთვის გადაცემა. 5 ნოემბერს ოსეთის კომისიის ქონების ნაწილი ოფიციალურად გადავიდა სიონის ტაძრის ბალანსზე.

ეროვნულ არქივში, სამწუხაროდ, არ ინახება 1818 წელს მიმდინარე საქმისწარმოების ოქმები, რაპორტები, ბრძანებები და მიმოწერები, გარკვეულწილად უცნაურიც კია, რადგან 1817 წელს არსებული საქმისწარმოების ფორმა ზუსტ თანხვედრაში მოდის 1819 წლიდან არსებულ საქმისწარმოების ფორმასთან. ერთი მხრივ, ფორმათა ასეთი თანხვედრა, მეორე მხრივ კი ისეთი რთული ადმინისტრაციული ერთეულების მართვის სირთულე, როგორცაა სემინარია და მასზე დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლები, სრულიად გამორიცხავს იმ ვარაუდის არსებობასაც, რომ ამ წლებში საქმისწარმოება არ მიმდინარეობდა. ამას ადასტურებს ეროვნული არქივში 440-ე ფონდში დაცული N1 ანაწერის N2 და N3 წიგნების არსებობაც. N2 წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი 1817-1832 წლებში სასულიერო სემინარიისთვის და შემდეგ სემინარიის მიერ სასულიერო სასწავლებლებისთვის გადაცემული სახელმძღვანელოების სახელწოდებები და რაოდენობა. N3 წიგნში, თავის მხრივ, მოკლედ არის აღწერილი 1817-1863 წლებში მიმდინარე საქმისწარმოებანი, რომლებშიც რა თქმა უნდა არ არის გამოტოვებული 1818 წელიც. N3 წიგნში მოცემულია 1818 წელს მიმდინარე საქმისწარმოებათა სათაურები, მაგრამ საკუთრივ ფონდში, როგორც უკვე ვახსენეთ, არ ინახება კონკრეტული დოკუმენტები.

თბილისის სასულიერო სემინარიის პარალელურად გორსა და სიღნაღში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები. სიღნაღისა და გორის სასულიერო სასწავლებლების ფუნქციები არაფრით განსხვავდებოდა უკვე არსებული თელავის სასულიერო სასწავლებლის ფუნქციებისგან. სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეების უმრავლესობას სიღნაღის მახლობელი სოფლების მცხოვრები სასულიერო პირების შვილები წარმოადგენდნენ. პირველი მოსწავლეების მიღება გორის სასულიერო სასწავლებელმა 1817 წლის ოქტომბერში დაიწყო, მაგრამ სასწავლო პროცესი მხოლოდ 1818 წლის 16 მაისს დაიწყო, მისი ოფიციალურად გახსნის შემდეგ. [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 1]

როგორც ჩანს 1817 წლის მიწურულსა და 1818 წლის დასაწყისში სასულიერო სასწავლებლების სტრუქტურა ოფიციალურად ჩამოყალიბდა. მათ უკვე გააჩნდათ მკვეთრად დიფერენცირებული ფუნქციები, მაშინ როცა სიღნაღის სასწავლებლები ძირითადად სასულიერო პირების შვილების მიღებაზე იყო ორიენტირებული, თელავისა და გორის სასწავლებლები იდეოლოგიურად ამუშავებენ მოსახლეობის ყველა ფენას. გორის სასწავლებელში სასულიერო პირების შვილებთან ერთად სწავლობდნენ რუსი და ოსი ახალგაზრდებიც, ხოლო თელავის სამაზრო და საერო სკოლებში კი თავად-აზნაურების ვაჟები. თავის მხრივ ამ პირამიდის თავზე თბილისის სასულიერო სემინარია მოექცა, სადაც პირველ მოსწავლეებად რუსი მოხელეებისა და ქართველი წარჩინებულების შვილები ჩაირიცხნენ, მოგვიანებით ეტაპზე კი სასულიერო სემინარიის მოსწავლეებით მომარაგება სწორედ ზემოხსენებული სასწავლებლებიდან ხდებოდა ფრიადოსანი მოწაფეებით.

სასწავლებლების სტრუქტურა და პედაგოგები

სასულიერო სემინარია და სასწავლებლები, როგორც უკვე ვახსენეთ, ერთ სისტემაზე იყვნენ აგებული და მათი მმართველობის პრინციპი არაფრით იყო განსხვავებული სხვა რუსული სასულიერო სასწავლებლისგან. 1807 წელს რუსეთის წმინდა სინოდის მიერ მოწვეულმა კომიტეტმა, რომელსაც თავადი გოლიცინი და მიხეილ სპერანსკი ხელმძღვანელობდნენ, მიიღო „სასულიერო სასწავლებლების გაუმჯობესების გეგმა“. სპერანსკის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით სასულიერო სასწავლებლები ოთხ კატეგორიად დაიყო:

1. სასულიერო აკადემია - უმაღლესი განათლების კურსი, უმაღლესი სასულიერო პირებისა და მომავალი პედაგოგების მოსამზადებლად.
2. სასულიერო სემინარია - საშუალო განათლების კურსი, მღვდლებისა და აკადემიის მომავალი აღსაზრდელების მოსამზადებლად.
3. სამაზრო სასულიერო სასწავლებლები - სემინარიის მომავალი აღსაზრდელების მოსამზადებლად და მინიმალური განათლების გასაცემად.
4. სამრევლო სკოლები - მინიმალური განათლების გასაცემად თითოეულ სოფელში (მოგვიანებით სამრევლო სკოლები სამაზრო სასწავლებლებად გადაკეთდა).

ყველა კატეგორიის სასწავლებელი ერთ საერთო ორგანიზაციად გაერთიანდა, მორჩილების პრინციპი კი პირამიდული იყო, უდაბლესიდან უმაღლესამდე. რუსეთის ყველა ეპარქია დაიყო ოთხ სასულიერო-სასწავლო ოლქად, თითოეულ ოლქში აშენდა სასულიერო აკადემია, რომელიც „გარე აკადემიური მმართველობის“ გამოყენებით მართავდა სემინარიას, არა მხოლოდ სასწავლო, არამედ ადმინისტრაციული კუთხითაც. სემინარიის საბჭო, თავის მხრივ, მართავდა სამაზრო სასწავლებლებს. [Сухова Наталья Юрьевна - «Воспитание юношества, Церкви посвященного»: духовно-учебная реформа 1808–1814 гг. и святой Филарет. 2011.]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მმართველობის განსხვავებული სტილი მოქმედებდა. მართალია სასულიერო სასწავლებლები პირდაპირ ემორჩილებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიას, მაგრამ სასულიერო სემინარიას მართავდა არა სასულიერო-სასწავლო ოლქის აკადემიური საბჭო, არამედ ეგზარქოსი. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ სასულიერო სასწავლებლები თბილისის სემინარიას ემორჩილებოდნენ მხოლოდ სასწავლო კუთხით, ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს კი უშუალოდ ეგზარქოსი იღებდა, მისი ბრძანების გარეშე არ ხდებოდა არავის დანიშვნა და გათავისუფლება, ასევე ეგზარქოსი იღებდა გადაწყვეტილებას, თუ ვინ უნდა, ან არ უნდა ჩარიცხულიყო სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 4].

გორის, თელავისა და სიღნაღის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველები წარჩინებული მოსწავლეების სიას, რომლებიც უნდა ჩარიცხულიყვნენ სემინარიაში, უგზავნიდნენ არა სემინარიის საბჭოს, არამედ უშუალოდ ეგზარქოსს.

ადგილი მისახვედრია, თუ რით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული მართვის ასეთი განსხვავებული სტილის ჩამოყალიბება. ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ორგანული ნაწილებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დამორჩილებული, არც ფიზიკურად და არც იდეოლოგიურად, ამიტომ საჭირო იყო მეტად ცენტრალიზებული მმართველობა. იმ შემთხვევაში თუ სასწრაფო გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა საჭირო სასწავლებლებთან მიმართებაში, ჩვეული სისტემის გამოყენება საკმაოდ ბევრ პრობლემას შექმნიდა. ეგზარქოსი, აკადემიის საბჭოს წევრებისგან განსხვავებით, თბილისში ცხოვრობდა, შესაბამისად მეტად იყო ჩახედული ადგილობრივ საკითხებში და უფრო სწრაფად და გადაწყვეტილების მიღება, რადგან ინფორმაციაც უფრო სწრაფად მიუვიდოდა, ვიდრე აკადემიის საბჭოს წევრებს, რომლებიც ქალაქ ყაზანში ცხოვრობდნენ.

სცა 440 ფონდის N1 ანაწერში, 4–10 წიგნებში მოცემულია მასწავლებლების ფორმულარული სიები და მათთვის გადახდილი ჯამაგირის კვიტანციები. ფორმულარული სიებით ირკვევა, რომ არქიმანდრიტ ვიტალის შემდეგ სემინარიის რექტორად დანიშნა არქიმანდრიტი ირინეოსი, რომელიც პარალელურად რიტორიკის მასწავლებლის მოვალეობასაც ასრულებდა.

1817–1821 წლებში ზოგად ისტორიას, რუსული ენის გრამატიკასა და ვრცელ კატეხიზმოს თბილისის სასულიერო სემინარიაში 23 წლის ათანასე ვაშლიევი ასწავლიდა, რომელიც 1821 წელს დაწყებითი კლასის მასწავლებელმა, ლავრენტი ჩუბინაშვილმა ჩაანაცვლა. თავად ვაშლიევი საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

1820 წლიდან სემინარიაში გეოგრაფიის, ხოლო სამაზრო სასწავლებლებში არითმეტიკისა და ისტორიის მასწავლებლად ხარითონ გიაცინტოვი მუშაობდა, რომელიც 1819–1820 წლებში თელავის სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდა.

1817–1821 წლებში, სემინარიაში ქართული ენის, ხოლო სამაზრო სასწავლებლებში რუსული ენის გრამატიკის მასწავლებლად დიაკონი ლავრენტი ჩუბინაშვილი მუშაობდა, რომელიც 1821 წელს სემინარიის კურსდამთავრებულმა, დანიელ გოლუბევმა ჩაანაცვლა.

1817–1821 წლებში სემინარიის დაწყებით კლასებში ზოგად კურსს, ივანე იალღუბიძე, ალექსანდრე სვეტლოვი, ლავრენტი ჩუბინაშვილი და იაკინთე ალექსეევი უძღვებოდნენ. 1822 წელს ალექსანდრე სვეტლოვი და იაკინთე ალექსეევი თანამდებობიდან გაათავისუფლდნენ მათივე განცხადების საფუძველზე, მათი ადგილი კი ბესარიონ ღოღობერიძემ და დავით ფურცელაძემ დაიკავეს. ღოღობერიძემ სემინარიაში ახლად შემოღებული ქართული ენის მასწავლებლის თა-

ნამდებობა დაიკავა, მოგვიანებით კი მას დაწყებითი კლასები ჩააბარეს, ვაკანტურ ადგილას კი დავით ფურცელაძევი და-
ნიშნეს. აღსანიშნავია, რომ ფურცელაძევი და ლოლობერიძევიც სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები იყვნენ.

თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და პარალელურად პედაგოგად 1819-1820 წლებში 24 წლის ხა-
რიტონ გიაცინტოვი მუშაობდა, რომელიც 1820 წელს დააწინაურეს და სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს. 1820 წელს
ვაკანტური თანამდებობა დიმიტრი ნიკიფოროვმა დაიკავა, რომელიც 1819-1820 წლებში სამრევლო სკოლას უძღვებოდა.

თელავის სასულიერო სასწავლებელი სამრევლო და სამაზრო სკოლებს აერთიანებდა. სამაზრო სკოლას თავის მხრივ
გიორგი ბოგოლუბოვი ხელმძღვანელობდა, სამრევლოს კი 1821 წლიდან, ანუ დიმიტრი ნიკიფოროვის ზედამხედველად
დანიშნვის შემდეგ, იესე სულხანოვი, რომელიც თელავის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო. სამრევ-
ლო სკოლაში ქართული ენის კურსს ვასილი მატედელოვი უძღვებოდა, რუსული ენის კურსს კი გედეონ ბუჩხიევი.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაარსების დღიდან ვასილი ნეშუმოვი მუშაობდა, რომელიც პა-
რალელურად პედაგოგის ფუნქციასაც ასრულებდა.

1819-1821 წლებში ქართული ენის კურსს იესე გარსევანოვი უძღვებოდა, რომელიც 1921 წლიდან იოსებ ბარშოვმა ჩაან-
აცვლა.

რუსული ენის პედაგოგად ამბაკუმ ჩუბინაშვილი მუშაობდა, რომელიც პარალელურად თბილისის სასულიერო სემინა-
რიაში სწავლობდა რიტორიკის კლასში. საყურადღებოა, რომ გორის სასულიერო სემინარიაში პირველ წლებში ჩუბინაშ-
ვილს მხოლოდ 33 რუბლს უხდიდნენ, ანუ მასწავლებლის ხელფასის მეოთხედს.

სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და პარალელურად პედაგოგად დაარსების დღიდან ილარიონ
დობრომისლოვი დაინიშნა. სიღნაღის სასწავლებლის შტატში ოფიციალურად მხოლოდ ერთი პედაგოგი დავით ისაკოვი
მუშაობდა.

1822 წელს სამასწავლებლო შტატი გაიზარდა და ვაკანტური ადგილი იოსებ ფოცხვეროვმა დაიკავა.

1822 წლიდან დავით ისაკოვის ადგილას სოლომონ დოდაევი დანიშნეს, რომელიც მხოლოდ ერთი წლის განმავლო-
ბაში ასრულებდა მოვალეობას, მაგრამ 1823 წელს ეგზარქოსს წერილი მისწერა მისთვის სასულიერო წოდების მოხსნის
თხოვნით, იმისთვის, რომ მას სამოქალაქო სფეროში შესძლებოდა მოღვაწეობის გაგრძელება. ეგზარქოსმა დოდაევის
თხოვნა გაითვალისწინა.

სემინარიის რექტორის ჯამაგირი შეადგენდა 450 რუბლს. სემინარიის უფროსი კლასების მასწავლებლებს, რომლებიც
ერთდროულად რამდენიმე საგანს უძღვებოდნენ, 300 რუბლს უხდიდნენ. სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველის
ჯამაგირი 225 რუბლს შეადგენდა, ხოლო სემინარიის დაბალი კლასების და სასწავლებლების პედაგოგების ჯამაგირები კი
120 რუბლს. საყურადღებოა, რომ ყველაზე დაბალი ჯამაგირი ქართული ენის პედაგოგებს ჰქონდათ - 100 რუბლი. *[სცა,
ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 7]*

საგნები და სილაბუსი

მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების ძირითად მიზანს სასულიერო განათლების გა-
ცემა წარმოადგენდა, იქ სულიერებასთან კავშირის არმქონე საგნებიც ისწავლებოდა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის სა-
ქართველოს ეროვნული არქივის 440 ფონდის N1 ანაწერის მეოთხე-მეათე წიგნებში შემონახული კონსპექტები, ანუ მოს-
წავლეთა სემესტრული საჯარო გამოცდის გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი, თუ რა საგნებში უნდა ჩატარებო-
დათ მოსწავლეებს გამოცდა და კონკრეტულად რა თემებს მოიცავდა საგამოცდო საკითხები. საგამოცდო დღეები შემ-
დეგნაირად იყო გადანაწილებული:







პირველ დღეს მოსწავლეებს უნდა ჩაებარებინათ გამოცდა რუსულ და ქართულ ენებში, ასევე არითმეტიკაში. მეორე
საგამოცდო დღე ეთმობოდა კატეხიზმოს, ქართულიდან რუსულზე და რუსულიდან ქართულზე თარგმნას და რუსული ენ-

ის გარამატიკას. მესამე საგამოცდო დღე ეთმობოდა საღვთო ისტორიას. მეხუთე საგამოცდო დღე ეთმობოდა გეოგრაფიას, ზოგად ისტორიას, ევროპათმცოდნეობას და სიტყვიერებას.

კონსპექტებში დეტალურადაა გაწერილი, თითოეული საგნის საგამოცდო საკითხები:

ქართული და რუსული ენების გამოცდის პირველი ეტაპი შედგებოდა კითხვისგან, შემდეგ კი თარგმნისგან. ქართული და რუსული ენების გამოცდის შემდეგ იწყებოდა რუსული ენის გრამატიკის გამოცდა. რუსული ენის გრამატიკაში შემდეგი საკითხები შედიოდა: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსაცვლები და მათი ბრუნება. ზმნა და უღლება. თანდებულები, ზმნიზება და შორისდებულები.

გრამატიკის გამოცდის შემდეგ იწყებოდა არითმეტიკის გამოცდა: მიმატება-გამოკლება, გამრავლება-გაყოფა, თეორიული და პრაქტიკული ამოცანები. არითმეტიკის გამოცდის მიმდინარეობის დროს, ამოცანების შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს რუსულ ენაზე, სიტყვიერად უნდა დაეწერათ, თუ რა რიცხვების გამოყენებით და რა სახის ამოცანა ამოხსნეს.



სემინარიის მოსწავლეთა საგამოცდო კონსპექტები რუსულ და ქართულ ენებზე

კატეხიზმოს გამოცდა შემდეგ საკითხებს მოიცავდა: კატეხიზმოს განმარტება და რაობა, ღმერთის არსებობის დამტკიცება, მისი არსი, სახარება.

საღვთო ისტორიის საკითხები მოიცავდა: სამყაროს შექმნიდან წარღვნამდე, წარღვნიდან ბაბილონის ტყვეობამდე, აბრაამის გადასახლებიდან ეგვიპტიდან გამოსვლამდე, გამოსვლიდან მეფე საულამდე და საულიდან მეფე დავითამდე პერიოდების ისტორიას.

გეოგრაფიის გამოცდა ოთხ ეტაპად იყო დაყოფილი: რუსეთის გეოგრაფია, ფიზიკური გეოგრაფია და პოლიტიკური გეოგრაფია. რუსეთის გეოგრაფია მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ზღვები, ტბები, უმთავრესი მდინარეები და შენაკადები, უმთავრესი მთები და მთათა სისტემები, ადმინისტრაციული საზღვრები.

ფიზიკური გეოგრაფიის საკითხები შემდეგ საკითხებს მოიცავდა: გეოგრაფიული სარტყლები, მთათა წარმოშობა, ვულკანები და ვულკანური კუნძულები, ოკეანეები და ზღვები.

პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები მოიცავდა: საზღვრებს, მოსახლეობის რაოდენობას, ენას, სარწმუნოებასა და პოლიტიკურ წყობას.

ევროპისმცოდნეობის გამოცდა ორ ეტაპად იყო დაყოფილი, პირველი ეტაპი სრულ თანხვედრაში მოდიოდა რუსეთის გეოგრაფიის გამოცდის საკითხებთან, განსხვავებული იყო მხოლოდ აღსაწერი რეგიონი. მეორე ეტაპი მოიცავდა: ევროპულ ამროვნებას, ხელოვნებასა და ლიტერატურას, ვაჭრობას და მეწარმეობას, დანარჩენი საკითხები სრულ თანხვედრაში მოდიოდა პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხებთან.

ზოგადი ისტორიის გამოცდა იყოფოდა ორ ეტაპად, ძველ და ახალ ისტორიად. ძველი ისტორიის საკითხები მოიცავდა: სამყაროს შექმნიდან ნოემდე, ნოედან მოსემდე, მოსედან რომულუსამდე, რომულუსიდან ალექსანდრე დიდამდე, ალექსანდრე დიდიდან ქრისტეს შობამდე ისტორიას.

ახალი ისტორია მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ქრისტედან რომის დაცემამდე, რომის დაცემიდან კარლოს დიდამდე, კარლოს დიდიდან პაპ გრიგოლ მეშვიდემდე და გრიგოლ მეშვიდიდან ქრისტეფორე კოლუმბამდე ისტორიას.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი ისტორიის პარალელურად, დეტალურად ისწავლებოდა რუსეთის ისტორიაც, რიურკების გამეფებიდან ეკატერინეს იმპერატორობამდე.

რიტორიკის გამოცდა მოიცავდა: რთულ და მარტივ წინადადებებს, ეპისტოლეებს, რიტორულ სტილს, ოფიციალურ სტილს და სიტყვით გამოსვლებს.

გამოცდები იწყებოდა დილის 8 საათზე. გამოცდის დაწყებას მოსწავლეებს რექტორი აუწყებდა და ისინი ერთად კითხულობდნენ მამაო ჩვენოს რუსულ ენაზე, რის შემდეგაც მოწმდებოდა მოსწავლეების სია. შესვენება შუადღეს იწყებოდა, შესვენების შემდეგ კი ისევ ლოცვას კითხულობდნენ, სიას ამოწმებდნენ და აგრძელებდნენ გამოცდას.

სწორედ ამ კონსპექტების, ანუ საგამოცდო საგნებისა და საკითხების ჩამონათვალის წყალობით შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა სასწავლო პროცესზე, რადგან სხვა დოკუმენტებში არ არის დეტალურად ჩამოწერილი საგნები და სასწავლო პროგრამა [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 4-10].

სახელმძღვანელოები

როგორც უკვე ვახსენეთ, თბილისის სასულიერო სემინარიის გახსნისთვის საჭირო ინვენტარი ოსეთის კომისიას ჩამოეწერა. ინვენტართან ერთად თბილისის სასულიერო სემინარიამ 1817 წლის 19 სექტემბერს მიიღო რუსულენოვანი კატეხიზმოს 150 ეგზემპლარი. საქართველოს ეროვნული არქივის 440 ფონდი N1 ანაწერის N2 წიგნში დეტალურად არის მოცემული სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლებისთვის 1817-1832 წლებში გადაცემული წიგნებისა და სახელმძღვანელოების სახელწოდებები და რაოდენობა. ზემოხსენებული მასალიდან ირკვევა, რომ 1817 წლის 24 დეკემბერს საეგზარქოსომ სასულიერო სემინარიას გადასცა რუსული ენის გრამატიკის 150 ეგზემპლარი, რითიც 1817 წელს წიგნებით მომარა-

გების პროცესი შეწყდა. 1818 წლის 20 იანვრიდან ეს პროცესი განახლდა და სემინარიას ეტაპობრივად გადაეცემოდა შემდეგი წიგნები:

ვრცელი კატეხიზმო
საღმრთო ისტორია (Священная история)
არითმეტიკის სახელმძღვანელო
ბიბლიური ისტორია (Библейская история)
საეკლესიო ისტორია
ივანე რიჟსკის რიტორიკის სახელმძღვანელო (Иван Степанович Рижский, “Опыт риторики”)
გეოგრაფიული რუკები
ზოგადი ისტორია სამ ნაწილად

1818 წლის 28 თებერვალს სემინარიას საეგზარქოსომ ოფიციალურად გადასცა სასულიერო სასწავლებლების წესდება და საკომიტეტო მოხსენებების კრებული.

1819 წლის 21 თებერვალს სემინარიას გადაეცა „ეპისკოპოს მიხეილის საუბრების კრებული“ და „საუბრები რუსულ ეკლესიაზე“. სემინარიის წიგნებით მომარაგების პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა 1823 წლამდე, მაგრამ იზრდებოდა მხოლოდ რაოდენობა და არა მრავალფეროვნება.

1823 წლის 9 თებერვალს საეგზარქოსომ იწვევა სემინარიის ახალი წიგნებით მომარაგება. სემინარიას გადაეცა:

სლავური ბიბლია
სლავური ახალი აღთქმა
ბერძნული ბიბლია
ავგუსტინე მოსკოველის სიტყვა კორონაციის დღეს
მეთოდეს სიტყვა კორონაციის დღეს
არქიმანდრიტ გრიგორის სიტყვა მიტროპოლიტ მიხეილის დაკრძალვის დღეს
ეკლესიის მსახურთა ქადაგებები

ეს თარიღი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ 1823 წლის 9 თებერვალს შევიდა სასულიერო სემინარიაში ქართულენოვანი ახალი აღთქმის 4 ეგზემპლარი.

ზემოხსენებული წიგნები და სახელმძღვანელოები უშუალოდ გამოიყენებოდა სწავლის პროცესში, მაგრამ სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკაში ინახებოდა საკმაოდ მრავალფეროვანი კოლექცია. ბიბლიოთეკაში ინახებოდა არამხოლოდ რუსულენოვანი, არამედ ბერძნულ, ფრანგულ და ლათინურ ენაზე შედგენილი წიგნებიც:

ბერძნულ ენაზე:
ახალი აღთქმა ლათინური თარგმანით.
ევანგელე
გედერიკის ბერძნულ-ლათინური ლექსიკონი
კაჩენოვსკის სახელმძღვანელო
ვრცელი გრამატიკა
ფრანგულ ენაზე:
ბიბლია
ახალი აღთქმა
ტაგიშჩევის ლექსიკონი
გრამატიკა
ლათინურ ენაზე:
კარპეს ფილოსოფია
ბავშვისტერის ფილოსოფია
ბრუკერის ფილოსოფიური ისტორიის სისტემა
ლაკტანციუსის ყველა ნაშრომი
ლეფაის რიტორიკა
გესნეროვის ლექსიკონი
ლათინი მწერლების სიტყვები
კამენსკის გრამატიკა
რჩეული ისტორიები
ბურგიას რიტორიკა
რუსულ ენაზე:
ბოსუეტის ისტორია
კარაკჩიოლის სულის სიდიადე
ფილარეტის ქადაგებანი
„რომაელთა-ს“ განხილვები
გონების გასართობი თამაშები
მოწყენილობისა და სასოწარკვეთილობის მკურნალობა
ძველი რუსული ბიბლიოთეკა
დეტალური ქრონიკა რუსეთის საწყისებიდან პოლტავის ბრძოლამდე
რუსეთის სახელმწიფოს დიდებული საქმეები
მსოფლიო მოგზაურობების შვიდი ტომი

საყურადღებოა, რომ მოცემულ ჩამონათვალში ერთადერთი ენაა დაჩაგრულ პოზიციებში, კერძოდ კი ქართული. სასულიერო სემინარიაში გახსნიდან 5 წლის განმავლობაში ოფიციალურად ერთი ქართული წიგნიც კი არ ინახებოდა, რაც თავის მხრივ საკმაოდ უცნაურიც კია, რადგან ცნობილია, რომ სწავლის პროცესი სემინარიისა და სასწავლებლების დაარსების დღიდან, რუსულის პარალელურად ქართულადაც მიმდინარეობდა.

1823 წლიდან სემინარიისა და სასწავლებლების წიგნების მრავალფეროვნება მხოლოდ ერთხელ გაიზარდა, 1826 წელს პიატუნინის „ზოგადი გეოგრაფიით“ და „ბერძნული სიტყვების კრებულით“, ერთი წლის შემდეგ კი ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო საეგზარქოსომ. 1827 წელს ეგზარქოს იონას ბრძანებით სემინარიას გადაეცა:

ქართულ-რუსული სასაუბრო ლექსიკონი
ქართული გრამატიკა
ქართული ანბანი
ქართული კატეხიზმო
ქართული გეოგრაფიული ლექსიკონი

1828 წლიდან ქართული სახელმძღვანელოები ოფიციალურად გამოიყენებოდა სწავლის პროცესში.

წიგნებითა და სახელმძღვანელოებით მომარაგების პროცესი, სასწავლებლების სტრუქტურიდან გამომდინარე შემდგენიარად მიმდინარეობდა: საეგზარქოსო ეგზარქოსის პირადი ბრძანების საფუძველზე სემინარიის რექტორს უგზავნიდა გარკვეული რაოდენობის წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, რომლებიც თავდაპირველად სრულად გადადიოდა სემინარიის ბალანზე. ამის შემდეგ სემინარიის რექტორის ბრძანების საფუძველზე, საეგზარქოსოსგან მიღებული წიგნებისა და სახელმძღვანელოების გარკვეული რაოდენობა, რომელიც თავის მხრივ კონკრეტული სასწავლებლის მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით ანგარიშდებოდა, გადაეცემოდა გორის, სიღნაღისა და თელავის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებს და ისინი ოფიციალურად რჩებოდნენ ზემოხსენებული სასწავლებლების ბალანზე. საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოებისა და წიგნების რაოდენობა ყოველი მომდევნო აღწერის შემდეგ იკლებდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სასწავლებლები თავის მხრივ წიგნების გარკვეულ რაოდენობას პირად სარგებლობაში გადასცემდნენ მსურველებს. თუ წიგნის მსურველი სასწავლებლის მოსწავლე, ან პედაგოგი იყო, ის მათ უსასყიდლოდ გადაეცემოდათ, მაშინ როცა გარეშე პირებს მოცემულ წიგნებს მხოლოდ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ გადასცემდნენ. [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 4 – 10]

სასწავლებლების პოლიტიკა




440 ფონდის N1 ანაწერის პირველი ათი წიგნის შესწავლის შედეგად გაირკვა, თუ რა პრინციპით ფუნქციონირებდნენ სასულიერო სასწავლებლები, ვინ იყვნენ პედაგოგები, რა საგნებს ასწავლიდნენ მოსწავლეებს და რა მიმართულებით მიდიოდა განათლების პროცესი.

სასწავლებლების კონსპექტების შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ქართული ენა მხოლოდ და მხოლოდ ხიდის ფუნქციას ასრულებდა, მისი სწავლების ერთადერთ მიზანს მოსწავლეებისთვის რუსულ ენაზე ეტაპობრივად გადასვლის გამარტივება წარმოადგენდა. ამას ადასტურებს არა მხოლოდ კონსპექტები, არამედ ისიც, რომ სასწავლებლებში პირველი ქართულენოვანი წიგნი 1823 წელს შეიტანეს, ხოლო სახელმძღვანელოები კი სწავლის პროცესში მხოლოდ 1827 წელს ჩართეს. [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 2]

მიუხედავად რაპორტების სიმშრალისა, მათი რაოდენობისა და მთავარი თემის მიხედვით მანც შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება. გორის, სიღნაღისა და თელავის სასწავლებლებში დაარსების პირველივე დღეებიდან მწვავედ იდგა მოსწავლეთა დასწრების პრობლემა. რაპორტებით ირკვევა, რომ ამ სასწავლებლებიდან ხშირი გაცდენების გამო არაერთი მოსწავლე გაირიცხა, მაგრამ დოკუმენტებში ერთი ცნობაც არ არის სემინარიიდან გარიცხული მოსწავლეების შესახებ, რაც ლოგიკურად კია. იმისთვის რომ მოსწავლე სემინარიაში ჩარიცხულიყო, ჯერ სამაზრო სასწავლებელში უნდა მიეღო განათლება, ე.ი ყველაზე რთული ეტაპი უკვე გადალახული ჰქონდა.

დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებდა საეგზარქოსო ეთნიკური უმცირესობების მიმართ. მაშინ, როცა ქართველ სასულიერო პირს თავისი შვილის განათლება საკმაოდ ძვირი უჯდებოდა, ოსებს გორის სასულიერო სასწავლებელში უფასოდ იღებდნენ. საეგზარქოსო მთლიანად ფარავდა ოსი ახალგაზრდების არა მხოლოდ განათლების, არამედ საყოფაცხოვრებო ხარჯებსაც კი. თავის მხრივ საინტერესოა ჩრდილოეთ ოსეთში მდებარე ნარის ხეობელი ოსების, იაკობ ბალაევისა და თავი გუბაშვილის ოფიციალური წერილი საქართველოს ეგზარქოსს, რომელიც ქართულ ენაზეა შესრულებული. [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 4]

სემინარიის მმართველობის დამოკიდებულების შესახებ მოსწავლეების მიმართ მეტყველებს ერთი საინტერესო დოკუმენტიც, კერძოდ კი თელაველი აზნაურის, პაატა სულხანიშვილის წერილი სემინარიის რექტორს, რომელიც ვინმე დიაკონ დავითს დააწერინა, რადგან თვითონ არ იცოდა წერა-კითხვა. პაატა სულხანიშვილი სემინარიის რექტორს სთხოვს, სემინარიიდან გარიცხოს მისი აწყურელი ყმა თევდორე, რომელიც მისი ნებართვის გარეშე ჩარიცხა სემინარიაში და აღარ ასრულებს ყმის მოვალეობებს. რექტორის ბრძანებით პაატა სულხანიშვილის თხოვნა დაკმაყოფილდა. [სცა, ფონდი 440. ანაწერი 1. საქმე 4]



N1-2 – თელავის მაზრის აზნაურ პაატა სულხანოვის თბილისის სემინარიის მმართველობას

N3 თავი გუბაშვილისა და იაკობ ბალაევის მიმართვა ეგზარქოს თეოფილაქტეს

დასკვნა

საქართველოს ეროვნული არქივის 440 ფონდის N1 ანაწერის მასალების დამუშავებამ მრავალ კითხვას შეიძლება გასცეს პასუხი. ამ ეტაპზე მხოლოდ პირველი ათი წიგნის შესწავლა და ანალიზი განხორციელდა, რაც რა თქმა უნდა, სრული მინიმუმია იმ საქმისა, რაც უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მრავალ შეკითხვას გაეცეს პასუხი, პირველ რიგში კი იმას, თუ რატომ იქცნენ სასულიერო სემინარია და სასულიერო სასწავლებლები პროტესტის ტალღის საძირკვლად, მორალური და იდეოლოგიური დივერსიის მთავარ და წარმატებულ იარაღად ქვეყნის ნაცვლად.

უკვე დამუშავებული მასალის წყალობით მეტნაკლებად ირკვევა სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების დაარსების პირველ წლებში არსებული მდგომარეობა. ირკვევა სემინარიისა და სასწავლებლების სტრუქტურა, სასწავლო პროგრამა, ამ პროგრამის იდეოლოგიური მიმართულება, პედაგოგებისა და მოსწავლეების სახელები და გვარები. თავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლებლებსა და საეგზარქოსოს შორის მიმდინარე შიდა კორესპონდენციასაც, იმის მიუხედავად, რომ რაპორტები მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ფაქტების ერთობლიობაა, მათი საერთო ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა ყოველდღიური პრობლემების წინაშე იდგნენ სასწავლებლები, ამ სასწავლებლების მოწაფეები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ირკვევა სასწავლებლების მმართველების დამოკიდებულება მათი აღსაზრდელების მიმართ.

წყაროები:

საქართველოს ეროვნული არქივი; საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 440 (თბილისის სასულიერო სემინარია), ანაწერი 1, საქმეები 1 - 10.

გამოყენებული ლიტერატურა:

Сухова Н. Ю. «Воспитание юношества, Церкви посвященного»: духовно-учебная реформа 1808–1814 гг. и святитель Филарет // Филаретовский альманах.

BESIK JACHVLIANI

National Archives of Georgia

FROM THE HISTORY OF THE TBILISI THEOLOGICAL SEMINARY**SUMMARY**

At the beginning of the XIX century, in Georgia, namely in The Kingdom of Kartli-Kakheti social-political shifts did not missed education system. The annexation which was spread by Russian Empire influenced education system aswell, adapted on new reality. Religious schools which were located in Kartli-Kakheti have been remade by educational reform of Mikhail Speranskis. The paper discusses the beginning of XIX century's new founded or remade theological schools and seminary and its situation, the unique process of education, teachers, subjects and its syllabuses. Partly the study includes important case, it shows how Russian officials treated their Georgian and other students of ethnic minorities, it shows what problems the seminary and religious schools had since their foundation. The study is based on cases protected in the Fund N. 440 of the Central Historical Archive - National Archives of Georgia.

ქათავან ხითაკიშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქათავაძეთა შოკის წაჩა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის მთავარი მიმართულება იყო ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური ძეგლების მოძიება და შენახვა, დაფუძნდა 1879 წელს და ფუნქციონირებდა დაახლოებით 1927 წლამდე. ამ წლების განმავლობაში განუზომელია მისი წვლილი წიგნიერების გავრცელებისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. ამ ორგანიზაციამ თავიდანვე გაამახვილა ყურადღება სხვადასხვა კუთხეში განათლების დაბალ დონეზე, აღრიცხა სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა და აქტიურად დაიწყო სკოლების დაარსება არაერთ ქალაქსა თუ სოფელში (თბილისის, წინარების, თონეთის, ხელთუბნის, სენაკის და კავკავის სკოლები და სხვა). გარდა საგანმანათლებლო საქმისა, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების მიერ წიგნიერების გავრცელებას შესაბამისი ბაზისი სჭირდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ორგანიზაციის საგამომცემლო საქმიანობა, რომლის სრული სურათის აღდგენა შესაძლებელია საქართველოს ეროვნულ არქივსა და კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალის მიხედვით.

იმ პერიოდისთვის სტამბის მეპატრონეები ორიენტირებულნი იყვნენ არა ღირებულ და მნიშვნელოვან მხატვრულ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებზე, არამედ ძირითადად საბუღალრო ხასიათის უმინაარსო წიგნებზე. შესაბამისად, საჭირო იყო ამ ხარვეზის შევსება და ისეთი წიგნების გამოცემა, რომლებიც წიგნიერების დონეს აამაღლებდა, ხალხისთვის გასაგებ ენაზე იქნებოდა დაწერილი და ხელს შეუწყობდა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების გაღვივებას.

ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით შესაძლებელია ამ საზოგადოების მიერ სტამბის გამართვის მცდელობას მივაღწევოთ თვალი. ამ სტამბის მიზანი უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო საქმიანობის დახვეწა. 1886 წლის 21 ივლისს ილია ჭავჭავაძემ სოფ. საგურამოში უმასპინძლა ქართველ მოღვაწეებს: პეტრე უმიკაშვილს, ილია ოქრომჭედლიშვილს, ილია წინამძღვრიშვილს, ილია ბახტაძეს, გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ჭყონიას, გიორგი ქართველიშვილს, სოლიკო და მიხეილ მაჩაბლებს და დიმიტრი ბაქრაძეს, რომლებმაც ამ შეხვედრაზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით იმსჯელეს ქართული წიგნის გამოსაცემად საკუთარი სტამბის შექმნისა და გამართვის აუცილებლობის საკითხზე. მათი გადაწყვეტილებით, სტამბას მოგებაც უნდა მოეთანა. სტამბის ღირებულება განისაზღვრა 15 ათასი მანეთით. მის შექმნას საზოგადოებას ჰპირდებოდა ილია ოქრომჭედლიშვილი და გიორგი ქართველიშვილი (სეა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 120). სამწუხაროდ, საზოგადოებამ სტამბა ვერ დაარსა, მხოლოდ ქუთაისის განყოფილება შეძლო 1913 წელს მისი გამართვა. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტორს არ შეუფერხებია საზოგადოების საგამომცემლო საქმე, მან შეძლო არაერთი სახელმძღვანელოსა და მხატვრული ლიტერატურის გამოცემა.

1890 წლის დეკემბრის თვეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დადო ხელშეკრულება ილია ჭავჭავაძესთან მისი თხზულებების სრული კრებულის ერთგზის გამოცემის შესახებ. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ავტორსა და გამგეობას თანაბრად უნდა გაენაწილებინათ თითოეული სტამბის მოგება, ავტორისთვის კი უსასყიდლოდ უნდა მიეცათ გამოცემის 20 ეგზემპლარი [სეა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 250]. ამგვარად, დოკუმენტში კარგად ჩანს იმდროინდელი საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი და მკაფიოდაა განსაზღვრული ავტორისა და გამომცემლის ვალდებულებები.

ბუნებრივია, საგამომცემლო საქმის კარგად წარმართვისთვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ნიშნავდა ხოლმე წიგნის გამოცემის კომისიის სხდომებს, რომლებზეც ისმებოდა ამა თუ იმ წიგნის დაბეჭდვის საკითხი.

წიგნების გამოცემის კომისიის პირველ სხდომაზე განიხილეს ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების დაბეჭდვის საკითხი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან გამოსაცემად შეარჩიეს: „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „ოთარაანთ ქვრივი“. მოხმობილი საარქივო მასალიდან შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის თხზულებების საგამომცემლო ისტორიის რეკონსტრუქცია, ასევე, კარგად ჩანს, რომელი ნაწარმოები სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით მისივე სიცოცხლეში.

1907 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით მისი სახელის უკვდავსაყოფად საზოგადოებამ გამოსცა ნაწარმოებები ცალკე წიგნად — „განდევილი“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, აგრეთვე „აი ისტორია“ და კრიტიკული წერილების პატარა კრებული. ცნობილია, რომ 1924 წელს კიდევ ერთხელ გამოიცა მისი „კაცია-ადამიანი?“ [რუხაძე, 1960: 156].

1892 წელს ივანე მახაბელმა საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ გამგეობას დაებეჭდა პატარა ფორმატის წიგნები (დაახლოებით 40-50 გვერდის) როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. მოთხრობის ავტორთა წასახალისებლად გამგეობამ პრემირებული ნაწარმოებისთვის განსაზღვრა 20-დან 50 მანეთი. ამ წინადადების მიღების შემდეგ საზოგადოების გამგეობაში შემოვიდა სხვადასხვა ავტორთა ორიგინალური და თუ ნათარგმნი თხზულებები. საპრემიოდ შემოსული ნაწარმოებებისა და მათი ავტორების შესახებ გვაძლევს ინფორმაციას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმის ჩანაწერები (დუტუ მეგრელის „ფეჩია“, „თაბო მომღერალი“ (მოთხრობა ძველი დროებითგან), გ. წერეთლის „რუხი მგელი“, თურქულიდან ნათარგმნი „ძმა-მამალი“ და სხვები). 1892 წლის 21 აპრილის გამგეობის სხდომაზე გადაწყდა პრემირებულ ნაწარმოებად „რუხი მგელი“ (დაიბეჭდა 1200 ცალი, პრემიად მისცეს 50 მანეთი). შექმნილმა კომისიამ პრემიები მიანიჭა რ. ერისთავს კრებულისთვის „ივანე-არაკები“ და იუსტინე აბულაძეს შრომისთვის „ვეფხისტყაოსანი“ და კრიტიკული ტექსტის რამდენიმე ნიმუში“, რომელსაც საპრემიო კომიტეტმა ძირითადად კვლევა-ძიების მეთოდი მოუწონა.

საზოგადოების გამოცემებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თარგმნილ ლიტერატურას. 1882 წლის საზოგადოების კრების დადგენილებით დიდი ყურადღება ექცეოდა მთარგმნელობით მუშაობას. თარგნა დავალებული ჰქონდათ როგორც გამგეობის წევრებს, ასევე მოწვეულ პირებსაც. თარგმნის გაუმჯობესების საკითხებს გამგეობამ რამდენიმე სხდომაზე კი მიუძღვნა, სადაც გადაწყდა თარგმნილი ლიტერატურის ჰონორარის საკითხი. პირველი კატეგორიის თარგმანისთვის მთარგმნელს თაბახში 450 მანეთს აძლევდნენ, ხოლო მეორეს — 350 მანეთს. აღსანიშნავია, რომ მკაცრს კონტროლს უწევდნენ თარგმნილ ლიტერატურას, მოთხოვნიდნენ სრულყოფილ თარგმანებს. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს მიანდეს ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმნილი შილერის „ორლეანელი ქალის“ გადამოწმება. მან თავისი აზრი ასე გამოხატა: თარგმნილი „ორლეანელი ქალი“ მე არ მომწონს, უმორჩილესად გთხოვთ გამგეობას მართო ჩემს აზრს არ დასჯერდეთ და სხვა ვინმემ გასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისი ნაწარმოებების დასაფასებლად საკმაო არ არის მართო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“. საზოგადოების მიერა დაბეჭდილი ანასტასია თუმანიშვილის თარგმნილი „რობიზონ კრუზო“, გიორგი ანდრონიკაშვილის თარგმნილი „წითელი ფარანი“, გრ. შარაშიძის „ჰაერი და სითბო“, პუშკინის თარგმანი გრიგოლ ყიფშიძის მიერ 1899 წელს და სხვა ნაწარმოებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი პრეროგატივა რეცენზირების ინსტიტუტი იყო. სხდომაზე ხშირად ამა თუ იმ ნაწარმოებს ან ნათარგმნს გადასამოწმებლად აძლევდნენ საზოგადოების წევრებს, რომელთა რეცენზიის წყალობით წყდებოდა მათი გამოცემის საკითხი. რეცენზენტთა შორის იყვნენ: გიორგი იოსელიანი, ალექსი ჭიჭინაძე, ალექსანდრე ჭყონია, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკოლოზ მთვარელიშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვები. კვალიფიციური და კომპეტენტური რეცენზენტთა ჯგუფი გარკვეული დროის განმავლობაში სწავლობდა სხვადასხვა თხზულებასა და თარგმანს და მათი დაბეჭდვის მიზანშეწონილობას ადგენდა. ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ ნაწარმოების ენის სტილს, ძირითადი შენიშვნების სწორედ ამ საკითხს ეხებოდა, რომ თხზულება ხალხისთვის გასაგები ენით ყოფილიყო დაწერილი.

საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის საკითხსაც. ილია ოქრომჭედლოშვილის ინიციატივა „ვისრამიანის“ გამოცემის თაობაზე, საზოგადოებამ სიხარულით მიიღო. 1881 წლის 3 დეკემბრის სხდომის მიხედვით, „ვისრამიანის“ ვარიანტების შეკრება მიანდეს ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილსა და ალექსანდრე სარაჯიშვილს. „ვისრამიანზე“ მუშაობა რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. საბოლოოდ, 1884 წელს 29 ივლისს ცენზურამ გასცა „ვისრამიანის“ დაბეჭდვის ნებართვა. ტექსტს წინ უძღვოდა პეტრე უმიკაშვილისა და ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობა „ვისრამიანის“ დაბეჭდვის გამო.

1884 წელს საზოგადო მოღვაწის, მეწარმის და ქველმოქმედის გიორგი ქართველიშვილის ინიციატივით და დაფინანსებით გადაწყდა „ვეფხისტყაოსანის“ გამოცემა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ტექსტის ვარიანტების შედარებასა და დადგენაზე უნდა ემუშავა. კომისიის წევრები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ივანე მანაბელი, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, პეტრე უმიკაშვილი და იონა მეუნარგია. წიგნის გამოსაცემად გამოიწერეს ახალი შრიფტი, სათაური ასოები, ქართული ტაძრებიდან აღებული ნიმუშების მიხედვით ორნამენტები შეასრულა გრიგოლ ტატიშვილმა. ქართველიშვილმა წიგნის გასაფორმებლად მოიწვია რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვარი, ეროვნებით უნგრელი მიხაი ბიჩი. 1888 წელს გამოსცა ბიჩის ილუსტრაციებით გაფორმებული „ვეფხისტყაოსანი“ და ისტორიაში შევიდა „ქართველიშვილისეული გამოცემით“. გ. ქართველიშვილმა გამოცემის მთელი ტირაჟი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას საჩუქრად გადასცა. ამრიგად, საზოგადოების მიერ აქტიურად მიმდინარეობდა სარედაქციო სამუშაოები: ვარიანტების შეჯერება-დადგენა, ნაწარმოების ლექსიკონზე მუშაობა, სამეცნიერო აპარატის შედგენა და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, მან სკოლები დაარსა სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში. შესაბამისად, საჭირო იყო მათი მომარაგება სასკოლო სახელმძღვანელოებით. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების დროულად ბეჭდვასა და გამოცემას („დედაენა“ I და II, „ბუნების კარი“, რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ინახება საზოგადოების თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის 1900 წლის 2 მარტით დათარიღებული მიმართვა იაკობ გოგებაშვილს, რომელშიც მადლობას უხდის იმის გამო, რომ მან საზოგადოებას დაუთმო თავისი 15 წიგნის გამოცემის უფლება და უფასოდ გადასცა კლიშეები [ხეც, ი. გოგებაშვილის არქ. N 197]. საზოგადოებამ იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ I ნაწილი 1925 წლამდე 45-ჯერ გამოსცა, მეორე ნაწილი 1920 წლამდე 31-ჯერ, „ბუნების კარი“ 27-ჯერ და სხვა [ჩხიტიანი, 1980: 123].

გარდა აღნიშნული სახელმძღვანელოებისა, საზოგადოებამ გამოსცა ს. იაშვილის „ფიზიკური გეოგრაფია“, ივ. გომართელის „ასტრონომია“, ი. ავალიშვილის „არითმეტიკის სახელმძღვანელო“, დ. უზნაძის „ძველი ისტორია“ და სხვა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების პრობაგანდაში დიდ როლს ასრულებს წიგნის მაღაზიები. წიგნის მაღაზიები გამგეობას გახსნილი ჰქონდა თბილისში გოლოვინის პროსპექტზე, სადაც იყიდებოდა როგორც საზოგადოების გამოცემები, ისე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, რომელთა შემოსავალი გამგეობას გარკვეულ მოგებას აძლევდა. გარდა თბილისისა, საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა მაღაზიები ქუთაისში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, დუშეთში და სხვაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მივარდნილ კუთხეებში ქართული წიგნი ძნელად აღწევდა. ამ საქმესაც ჰყოლია ენთუზიასტები. მათ შორის გამოირჩეოდა ზაქარია ჭიჭინაძე და იასონ კერესელიძე. ამ უკანასკნელს მოუვლია 115 დაბა-ქალაქი და გაუვრცელებია სულ 3522 ც. წიგნი [ხუნდაძე, 1960: 130].

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზანი იყო ქართული წიგნის ბეჭდვა, წიგნიერების კულტურის დანერგვა და საგანმანათლებლო საქმის დახვეწა. მათ მიერ დაიბეჭდება თემატურად მრავალფეროვანი მასალა, მიმდინარეობდა ხელნაწერის სამეცნიერო კუთხით შესწავლა (ტექსტის ვარიანტების შეჯერება-დადგენა), არსებობდა რეცენზირების ინსტიტუტი და საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი, ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად დაცული იყო ყველა ის სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დღესაც მუშაობენ გამომცემლობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩხიტიანი თენგიზი. 1980. *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა*. თბილისი.
2. ხუნდაძე ტრიფონი. 1960. *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება*. თბილისი.

შენიშვნები:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 120.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 250.
3. კ. კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, იაკობ გოგებაშვილის არქივი N197.

KETEVAN KHITARISHVILI

Korneli Kekelize Georgian Centre of Manuscripts

**PUBLISHING ACTIVITIES OF THE SOCIETY FOR
THE SPREADING OF LITERACY AMONG GEORGIANS****SUMMARY**

In 19th and early 20th centuries, in Georgia, Society for the Spreading of Literacy among Georgians has played significant role in public self-determination and maturing of the civil opinion. Documents, preserved at the National Archive of Georgia and National Center of Manuscripts, provide certain description of the publishing activities being one of the major sections of the mentioned organization at that period. Society published not only school textbooks but also fiction (original and translated). One of the prerogatives of the Society for the Spreading of Literacy among Georgians was the institute of reviewing. Works or translations of one or another person were submitted to the competent members of the Society, on the basis of whose reviews the decision on their publication was made. Materials of publication commission are of interest. Based on them the history of publication of Ilia Chavchavadze's works can be reconstructed. The mechanism of copyright protection can be clearly seen as well. It clearly stated the obligations of both parties – the author and the publisher.

ინგა ელიავა

ქუთაისის ცენტრალური არქივი

საეკლესიო-სამკვიდრო და წერა-კითხვის (საანგარო) სკოლები იმერეთის ეპარქიაში XIX საუკუნის დასასრულს

საქართველოს განათლების ისტორიაში გამორჩეულია ეკლესიის როლი. მიუხედავად ეგზარქოსობის პერიოდის (1811-1917 წწ.) სიმძიმისა, ქართველი სასულიერო მოღვაწეები ახერხებდნენ ეროვნული სულის შენარჩუნებას როგორც ეკლესიის შიგნით, ასევე სასულიერო განათლების უწყებაში. ეს უწყება კი, გარდა სასულიერო განათლებისა, მოიცავდა ფართო პირველადეობით განათლებასაც, რომელიც საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებით იყო წარმოდგენილი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც განათლების საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის ნაწილს, განათლებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ქართული ენის შესანარჩუნებლად. მე-19 საუკუნის დასასრულს ამ კუთხით გამორჩეულად წარმატებული იყო იმერეთის ეპარქია, რომელშიც წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის 30-წლიანმა თავდადებად მოღვაწეობამ ეროვნული განათლების გადასარჩენად უკვალოდ არ ჩაიარა. უნდა ითქვას, რომ გაბრიელ ეპისკოპოსმა შეძლო გადაეღობა ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგობები, ასევე სკოლისთვის საჭირო კადრების მოძიების და მატერიალური ბაზის შექმნის სირთულეები.

საკითხის შესწავლა-გაანალიზებისთვის ფასდაუდებელია ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში, იმერეთის ეპარქიის კანცელარიის ფონდში, დაცული მასალები. კერძოდ, საქართველოს ეგზარქოსის, პალლადის (რაევი, 1887-1892 წწ.) კონფიდენციალური მიწერილობა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ პობედონოს-ცევის თანდართული მიმართული კავკასიაში საკვირაო და წერა-კითხვის სკოლების გამგეობის შესახებ (24.05.1892წ.). ობერპროკურორი ეგზარქოსს სწერდა: „По донесению Тайного Советника Яновского (კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი - ი.ე.) предоставление местному духовенству права исключительного заведывания школами грамотности и воскресными школами имеет в Закавказье значительные неудобства, так как оно может послужить во вред стремлению правительства к возможно прочному слиянию окраины с Империей... .. В среде молодежи грузинской, из коих вербуются учителя, циркулирует идея самостоятельной Грузии...“ (ქ.ც.ა. ფ.21, ან.1; ს.18910 ფ.2). სწორად შენიშნავდა ობერპროკურორი - სამღვდელთა განათლების სფეროში მისთვის მიჩვენებულ უფლებებს, რა თქმა უნდა, ეროვნულ საქმეს ახმარდა, მოსწავლეთა ზნეობრივ-რელიგიურ აღზრდასთან ერთად სამშობლოს გმირული წარსულისა და მისი კულტურის პოპულარიზებას ახდენდა, მოსწავლეებში ეროვნულ შეგნებას აღვივებდა და დედა ენას სამრევლო სკოლებში თავშესაფარს აძლევდა [მაღაზონია... 2008, 66].

ამავე ფონდშია დაცული იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის საპასუხო წერილი საქართველოს ეგზარქოსისადმი ზემოაღნიშნულ მიწერილობაზე. მან შეურაცხმყოფელად მიიჩნია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, კ. იანოვსკის, მიერ მოყვანილი ბრალდებები სამღვდელოების და საერთოდ, ქართველი ხალხის პოლიტიკური არასამედლობასა და სამღვდელოების მიერ დაწყებითი სწავლების შეუძლებლობაზე. მან ჩვეული სიბრძნით დაასაბუთა ქართულ ენაზე სწავლის აუცილებლობა და სხვა საკითხები, რომელთაც ამ ნაშრომში დაწვრილებით ვერ გადმოვცემთ. „სულიწმინდა იმიტომ გადმოვიდა მოციქულებზე და ასწავლა მათ სხვადასხვა ენები, რომ ყველა ხალხსა და ტომს გაეგონა ქრისტეს სწავლება თავის ენაზე. როგორი იქნებოდა მწყემსი ხალხისა, რომელსაც არ ეცოდინებოდა თავისი სამწყსოს ენა, ზნეობა და ჩვეულებანი?!“ - წერდა იგი. „კერ კიდევ სამოციან წლებში ჩემდამი რწმუნებული იმერეთის ეპარქიის სამღვდელთაგან, ჩემი შეგონებით, დაიწყო სამრევლო სკოლების გახსნა. ისინი რამდენიმე ათეული იყო და სწრაფად მრავლდებოდა. მაგრამ

უცებ ქუთაისის გუბერნიაში დაარსდა სახალხო სასწავლებელთა დირექცია. ყველა სკოლა გახსნილი სამღვდლოების მიერ თვითნებურად იქნა დახურული დირექტორის მიერ და მათ ნაცვლად დაიწყო სასოფლო-სახალხო სკოლების გახსნა“ (ქ.ც.ა. ფ. 21, ან.1, ფ.4). ამ სკოლებში მასწავლებლებად უმეტესად სამრევლო სკოლების ყოფილი მასწავლებლები, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები ინიშნებოდნენ. მათი უმრავლესობა კარგად იყო მომზადებული და რუსულ ენასაც მშვენივრად ფლობდა. გაბრიელ ეპისკოპოსმა, რა თქმა უნდა, კარგად უწყობდა იმ პერიოდში რუსული ენის სწავლის აუცილებლობა ქვეყნის პროგრესისთვის და შესაბამის ზომებსაც იღებდა.

1896 წლის თებერვალში მიიღეს „წესდებულებანი მართლ-მადიდებელი აღსარების უწყების საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ“. ამ წეს-დებულებების მნიშვნელობა კარგადაა განმარტებული ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, დეკანოზ დ. ლამბაძის, მიერ გაზეთ „მწყემსი“ დაბეჭდილ სტატიის „ორი შესანიშნავი ხანა მთელი ჩვენი იმპერიის სამღვდლოებისა - 1869 და 1896 წელნი“ [„მწყემსი“, № 7, 1-15 აპრილი 1896წ.]: „...უმაღლესმა მართებლობამ ყურადღება მიაქცია ხალხის ხმას, ხალხის სურვილს და გაისმა ხმა სასიხარულო, ხმა ძლიერი. დიდი ხანი არ არის, რაც სამღვდლოებს დაუბრუნდა თავისი უფლება. სამღვდლოებს მიენდო პირველ-დაწყებითი სკოლების დაარსება და მათში სწავლა-განათლების საქმის მართვა-გამგეობა. ამ მიმდინარე წლის თებერვლის თვეში გამოიცა შტატის წყობილება და უმაღლესად დამტკიცებული კანონები სამრევლო სკოლის შესახებ, ...ამ სახით ასრულდა წინასწარმეტყველება ჩვენი მწყემსთ-მთავრებისა და დადგა სასურველი დრო ხალხის უმეტესობისათვის. სამღვდლოებს მიენდო წერა-კითხვის და პირველ-დასაწყისი სკოლების დაარსების საქმე. მოვალეობა დიდი და მასთან სასახელო. სამღვდლოება, იმედია, გაამართლებს მართებლობის რწმუნებას და ხალხში წერა-კითხვის გავრცელებით დაუმტკიცებს მთავრობას, რომ იგი, სამღვდლოება, ღირსია ამ რწმუნებისა. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! აღვავლინოთ მხურვალე ლოცვა ღვთის წინაშე და ერთგულათ მივპყოთ ხელი ჩვენ სამწყსოთა განათლების საქმეს. 1884 და 1896 წელნი სამუდამო სახსოვრად უნდა დარჩეს ჩვენ ხსოვნაში, რადგან ამ წლებში შემოღებულ რეფორმებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენ სამწყსოსათვის. თუ კი ჩვენ, სამღვდლოება, ჯეროვნად მოვიხმართ ჩვენდამი ბოძებულ უფლებათა“. ქართველი სამღვდლოება მზადყოფნას გამოთქვამდა, საკუთარი ძალებით გასძლიოდა საეკლესიო განათლების რთულ და საპატიო საქმეს. მათ გასული 27 წლის მაგალითზე (1869-1896 წწ.) დაინახეს, რომ „სწავლა-განათლება მოკლებული სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლა-განათლებას, არა თუ სასარგებლო არ არის, არამედ დიდი მავნებელია“ [„მწყემსი“ № 7, 1-15 აპრილი 1896წ.]. ზემოაღნიშნული წეს-დებულებების მიხედვით განათლების საკითხებს ეპარქიაში წარმართავდა ეპარქიის სასწავლო საბჭო, რომლის ფუნქციები შემდეგნაირად განისაზღვრებოდა:

„გამონახვა ზომათა სკოლების გასამრავლებლად და შესანახავად, ზრუნვა აღშენებისათვის, დამატებითი სკოლებისა იმ საგნების შესახებ, რომელთაც ვადიან ერთ კლასიან და ორ კლასიან სკოლებში; ყოველდღიურ გაკვეთილების დაწყება დიდებთათვის, განსაკუთრებით სახელოსნო და ხელ საქმის გაკვეთილების შემოღება, საკვირაო სკოლების დაარსება იმ პირებთათვის, რომელთაც შეძლება არა აქვსთ ყოველ დღე ისწავლონ, სახალხო საკითხავების დაარსება მღვდლის ხელმძღვანელობით სკოლის ანუ სხვა შენობაში, დაარსება მოკლევადიანი პედაგოგიური კურსებისა და გალობის გაკვეთილისა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელ კაცთა და ქალთათვის, სკოლების წიგნთსაცავების საშუალებით გავრცელება ეპარქიის მღვდელთ-მთავრის ჩვენებით წიგნებისა და წიგნაკებისა, რომლებიც ამხილებენ სექტანტების ცრუ სწავლას; გამონახვა ადგილობით ფულებისა სკოლების შესანახავად და გასავრცელებლად; დაარსება წიგნების საწყობისა და ამ საწყობების განყოფილებათა გახსნა სამრევლო ეკლესიებთან; მიწოდება საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებისათვის უწყ. სინოდისაგან და უწმინდეს სინოდთან არსებული სამოსწავლო რჩევისაგან მოწონებული სახელმძღვანელოებისა და საკითხავი წიგნებისა; წარდგენა ეპარქიის მღვდელთ-მთავრისადმი, ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევის საშუალებით ფულით და საპატიო საჩუქრებით წახალისება გამოცდილ და ერთგულ სამღვდლო სჯულის და სხვა საგნების მასწავლებელი კაცების და ქალებისა“ [„მწყემსი“ № 7, 1-15 აპრილი 1896წ.].

საარქივო დოკუმენტები საშუალებას გვაძლევს, დეტალურად განვიხილოთ იმერეთის ეპარქიაში საეკლესიო-სამრევლო და სახალხო სკოლების მდგომარეობა მე-19 საუკუნის ბოლოს, კონკრეტულად, 1896-1897 სასწავლო წლების ანგარიშის მიხედვით. ანგარიში შედგენილია იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურის, მრავალმხრივი მოღვაწისა და მეცნიერის, მელიტონ კელენჯერძის (1864-1942 წწ.) მიერ.

საანგარიშო პერიოდში იმერეთის ეპარქია 4 - ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის - მამრას მოიცავდა თითქმის ნახევარი მილიონი მოსახლეობით; ამ მამრებში 89 საეკლესიო-სამრევლო და 23 წერა-კითხვის (საანბანო) სკოლა იყო. სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად განხილულია განათლების კადრების მდგომარეობა, ასევე დაცულია ინფორმაცია პირადი შემადგენლობის, მატერიალური ბაზის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, დისციპლინური მდგომარეობის, სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ; საუბარია იმერეთის ეპარქიული ზედამხედველის მიერ შეთავაზებული სიახლეების, წინადადებებისა და პროექტების შესახებ სამწყსოს რელიგიურ-ზნეობრივი განათლების დიდმნიშვნელოვანი საქმის გასაუმჯობესებლად.

იმერეთის ეპარქიაში, რომლის ფართობი იყო 12303 კვ. ვერსი, საეპარქიო სასწავლო საბჭოს ანგარიშით ცხოვრობდა მართლმადიდებელი სარწმუნოების 454 656 სული, ამათგან 239 742 მამრობითი და 214 914 მდედრობითი სქესის. სასკოლო ასაკის (7-14წ.) მართლმადიდებელი ბავშვების რაოდენობა შეადგენდა 71 030-ს. იმერეთის ეპარქიაში არსებულ 457 სამრევლოში, როგორც აღვნიშნეთ, 89 საეკლესიო-სამრევლო და 23 წერა-კითხვის სკოლა იყო; მათ შორის ქუთაისის მამრაში (ქუთაისის ჩათვლით) 47 საეკლესიო-სამრევლო და 7 წერა-კითხვის სკოლა; შორაპნის მამრაში - 30 და 12; რაჭის მამრაში - 4 და 3; ლეჩხუმის მამრაში - 8 და 1. საეკლესიო-სამრევლო სკოლა არ იყო 345 სამრევლოში. ამის მიზეზი იყო როგორც მრევლის, ისე მღვდლის არასაკმარისი განათლება, თან მრევლის უკიდურესი სიღარიბე, მცირერიცხოვნობა და, რაც მთავარია, მრევლში სამინისტრო სკოლების არსებობა, რომლის შესანახადაც ადგილობრივი მოსახლეობა შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავდა, აღარ იძლეოდა სამრევლო სკოლის შენახვის საშუალებას და სხვ. მთელ ეპარქიაში საანგარიშო წლისთვის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლობდა 2640 ვაჟი და 301 გოგონა, საანბანოში - 569 ვაჟი და 75 გოგონა; სულ 3585 სული.

საანგარიშო წლისთვის იმერეთის ეპარქიულ სასწავლო საბჭოს თავისი განყოფილებები ჰქონდა ოთხივე მამრაში. წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ ყველა განყოფილება მეტი ენერგიითაა და გულმოდგინებით შეუდგა საქმეს საბჭოსა და საეპარქიო ზედამხედველის ხელმძღვანელობით, მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა სახალხო განათლების კუთხით, საბჭო ხშირად იკრიბებოდა, სწორად აწარმოებდნენ ჟურნალს, ამოწმებდნენ სკოლებს და ადგილზე ეცნობოდნენ მათ მდგომარეობას, ამასთანავე, ზომებს იღებდნენ სკოლების მატერიალური, რელიგიურ-ზნეობრივი და სასწავლო თვალსაზრისით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, იხსნებოდა ახალი სკოლები და ა. შ. სკოლებზე მუდმივ და უშუალო ზედამხედველობას ახდენდა ახლად დაარსებული საეკლესიო-სასკოლო ინსპექცია (ეპარქიული და სამამრო). საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლა-განათლებას ემსახურებოდა 116 მასწავლებელი, რომელთაგან საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო 27; საანბანო სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა - 27, მათგან საღვთო სჯულის მასწავლებელი - 5.

საეკლესიო-სამრევლო სკოლებში იყენებდნენ უწმინდესი სინოდის სასწავლო საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოებს:

საღვთო სჯულში: პეტრე სმირნოვის „**Наставление в законе божьем**“;

პარალელურად - იგივე წიგნი, თარგმნილი დ. ღამბაძიშის მიერ;

კედლის თვალსაჩინოებები - საუფლო ლოცვა და რწმენის სიმბოლოები, სლავური ბეჭდვის;

«**Обучение отроков**» - უწმინდეს სინოდთან არსებული საბჭოს გამოცემა,

საღვთო სჯულის სასწავლო სახელმძღვანელო, ქართულ ენაზე, მთავარხუცეს ნ. ყუბანიევისა (ნეტორ ყუბანიევიშვილის - ი. ე.); ასევე სურათები ძველი და ახალი აღთქმის წმინდა ისტორიიდან.

რუსულ ენაში: საეკლესიო-სლავურით - ბუნაკოვისა და პავლენკოვის ანბანი; საეკლესიო-სლავური ანბანი ილმენსკისა; ი. გოგებაშვილის «**Русское слово**», 1-2 ნაწილი, «**Часослов**»;

ქართულ ენაში: ი. გოგებაშვილის „დედა ენა“; „ბუნების კარი“, „კონა“ და სლავური „**Часослов**“, თარგმნილი მის მიერ ქართულად. (სწორად გავიგე?)

ართმეტიკაში: ვეტუშევსკის, გოლდენბერგისა და ნატროევის ამოცანათა კრებული ქართულ ენაზე და არითმეტიკული ანგარიშები.

სუფთა წერაში (რუსულ) - გედბაჩის სახელმძღვანელო;

ქართულში - გოგებაშვილისა და დათეშიძისა;

საეკლესიო-სლავურ გალობაში - სასწავლო საგალობლები;

საეკლესიო-ქართულ გალობაში - წიგნი ან სახელმძღვანელო არ იყო.

ეპარქიაში 44 სკოლას ჰქონდა საკუთარი შენობა, 6-ს - საეკლესიო, დაქირავებულ შენობაში იყო 13, კერძო უფასო შენობაში კი - 49. საკუთარი შენობები ქუთაისის მაზრაში ჰქონდათ შემდეგ - ზეგანის, ბანოჯის, დაფნარის, ტყიბულის, დვალიშვილების, ინაშაურის, უხუთის, გადიდის, ძველი ოფეთის, საპაიჭაოს, ჭყვიშის, კურსების, მათხოჯის, ქუტირის, ჩხენიშის, ბზვანის, ტყაჩირის და როხის - სკოლებს. შორაპნის მაზრაში - კვალითის, ცხრაწყაროს, წევას, აჭარის, ვაშლევის, ღორეშის, ბოსლევის, ტაბაკინის, ჩხარის, სკანდეს, ხრეთის, ვაჭევის, ჯოყოეთის, ჯვარიეწერის, ყვირილის სკოლებს, საჩხერისა და ალისუბნის ორკლასიანი სკოლებს. რაჭის მაზრაში: თლულის, სარეკის, ჭიბრევის, ლეჩხუმის მაზრაში - მახაშის, საირმის, ტვიშის, დერჩის და დღნორისის სკოლებს. 1896-1897წწ. აიგო 8 ახალი სასკოლო შენობა: ძეძილეთის, დვალიშვილების, საირმის, ჭიბრევის, კურსების, ტყაჩირის, ალისუბნისა და აჭარის.

საეკლესიო სკოლები ფინანსდებოდა უწმინდესი სინოდის სასწავლო საბჭოს დახმარებით, ასევე ეკლესიებიდან და მოსწავლეების მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან. სწორედ ეს უკანასკნელი იყო არსებობის ძირითადი წყარო. თუმცა ეპარქიაში იყო სკოლები, რომლებშიც მოსწავლეები არაფერს იხდიდნენ. ასეთები იყო: ქვედა ილმის საანბანო, ხორითის, ვაშლევის, ვახანის, საბაჟოს, კაცხის, ჯვარი-ეწერის, გამოღმა ბოსლევის, ზოვრეთის, ჭალატყის, ლუხვანოს, წიფერჩის, აღვის, მახაშის, საირმის, ტვიშის, დღნორისის, ხონჭიორის, თლუხის და სხვა სკოლები, სულ 33. სკოლებში სწავლის გადასახადი მერყეობდა 2-დან 6 მანეთამდე წელიწადში, სულ ეპარქიაში 4302 მან. იკრიბებოდა. აქედან ქუთაისის მაზრაში შეგროვდა 2226 მან., შორაპნის მაზრაში - 2012 მან., რაჭის მაზრაში - 4 მან., ლეჩხუმის მაზრაში - 60 მან. თუ გავითვალისწინებთ სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობას, მივიღებთ 1-2 კაპიკ შემოსავალს მოსწავლეზე, რაც ცხადყოფს, რომ სწავლის გადასახადი ძალიან მცირე იყო სკოლების შესანახად.

სწავლებისა და აღზრდის საქმე ეპარქიის ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლებში დამაკმაყოფილებელი იყო. მეცადინეობები მიმდინარეობდა წინასწარ შედგენილი განრიგისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების პროგრამის მიხედვით. გაკვეთილები იწყებოდა დილის 8 საათზე და მთავრდებოდა შუადღის 2 საათზე. ტარდებოდა 5 გაკვეთილი დღეში. პირველი გაკვეთილი იყო საღვთო სჯული. ყოველი გაკვეთილის შინაარსს წერდნენ საკლასო ჟურნალში, მოსწავლეებს ქულებით აფასებდნენ ყველა საგანში, მიმდინარეობდა მოსწავლეთა აღრიცხვა, გამოუცხადებლობის შემთხვევაში მიზეზს უთითებდნენ. დისციპლინური ნორმები სავსებით შეესაბამებოდა იმდროინდელ პედაგოგიურ მოთხოვნებს. მოსწავლეთა ცელქობის, ცუდი ყოფაქცევის, ვაპრობების, თვითნებობის და მსგავსი ქცევების აღკვეთა ხდებოდა შესაბამისი ზომებით - კლასიდან გაშვება გაკვეთილის ბოლომდე, მოსწავლის ფეხზე დაყენება, საყვედური, მოსწავლის ყოფაქცევის მშობლებისთვის შეტყობინება, დაბალი შეფასება ყოფაქცევაში და ა.შ. ზარმაცი მოსწავლეებს უფრო ხშირად გამოკითხავდნენ, უყურადღებო მოსწავლეებს მასწავლებლები ავალებდნენ გაემეორებინათ ნასწავლი მასალა და ა. შ.

საანგარიშო წელს ერთკლასიანი საეკლესიო სკოლების კურსი დაამთავრა 231-მა მოსწავლემ, აქედან 80-მა ქუთაისის მაზრაში, 111-მა - შორაპნის, 30-მა - რაჭის და 20-მა ლეჩხუმის მაზრაში. კურსდამთავრებულთა ასეთი მცირე რაოდენობა აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ მოსწავლეთა უმეტესობა მშობლების უკიდურესი სიღარიბის გამო ვერ ახერხებდა კურსის დასრულებას და ტოვებდა სკოლას, როგორც კი წერა-კითხვას ისწავლიდა.

მოსწავლეები ღვთისმსახურებას რეგულარულად ესწრებოდნენ და თავადაც მონაწილეობდნენ გალობასა და საკურთხეველში მსახურებაში. ზოგიერთი მათგანი, წარჩინებული, კითხულობდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებს, ექვსფსალმუნებას და სხვა საკითხავებს. მსახურების დასასრულს ისინი მიეახლებოდნენ ჯვარს. დიდმარხვაში მარხულობდნენ და ორჯერ ეზიარებოდნენ - პირველსა და ვნების შვიდეულში. სასწავლო-აღმზრდელითი კუთხით წარმატებული იყო შემდეგი სკოლები: ქუთაისის მაზრაში - ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესია, სასაფლაოს ეკლესია, ასევე ცუცხვათის, ტყიბულის, დედალოურის, გადიდის, ჯიხაიშის, ნოდის, ეწერის, როხის, ინაშაურის, სიმონეთის, ხონის, ქუტირის სკოლები. შორაპნის მაზრაში - ალისუბნის ერთკლასიანი, ყვირილას, დაბლა საქარის, არგვეთის, კვალითის, კლდეეთის, წევის, ხორითის, ჯოყოეთის, მღვიმისა და ჭილოვანის სკოლები. რაჭის მაზრაში - სორის, ხონჭიორის, სადმელის და ბოსტანას სკოლები. ლეჩხუმის მაზრაში - დერჩისა და ზედა წიფერჩის სკოლები.

ეპარქიაში არ იყო სწორად ორგანიზებული მრევლისა და სკოლების მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელი სასკოლო ბიბლიოთეკები. სკოლებშიც სახელმძღვანელოებითა და კლასგარეშე საკითხავი წიგნებით ღარიბი და ჯერ კიდევ მოუწესრიგებული ბიბლიოთეკები იყო, გარდა ნოდისა და უხუთის სასკოლო ბიბლიოთეკებისა. სკოლებში ჯერ კიდევ არ იყო

სწორად ორგანიზებული სახალხო და საკვირაო სამკითხველოები პროგრამებითა და შესაბამისი გარემოთი, მაგრამ (რომელ?) საანგარიშო წელს ჩაეყარა საფუძველი ზოგიერთ სკოლაში, რომელთა გამგეები და მასწავლებლები ირჩევენ რელიგიურ-ზნეობრივი და სასოფლო-სამეურნეო შინაარსის წიგნებს და თავისუფალ საათებში, მსახურების შემდეგ, ეკლესიის გალავანში ან სკოლის შენობებში უკითხავდნენ მრევლს.

საანგარიშო(?) წელს იმერეთის ეპარქიაში ირიცხებოდა 23 საანბანო სკოლა. ამათგან ახალგაზსნილი იყო 5 - სადემეტრაოს, დვალის მღვდლის, აჭარის, გამოღმა-ბოსლევის და ციპას - სკოლა. საანბანო სკოლების უახლოესი(?) ზედამხედველები იყვნენ მრევლის მღვდლები. მთავარი და უშუალო ხელმძღვანელები - ეპარქიული და სამაზრო ზედამხედველები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათ მომარაგებას საჭირო ბრძანებულებებით, მითითებებით, პირადად ახდენდნენ სკოლების რევიზიებს, ამოწმებდნენ მასწავლებელთა საქმიანობას და მოსწავლეთა ცოდნის დონეს; ზრუნავდნენ სკოლების მატერიალურ მდგომარეობაზე, თვალყურს ადევნებდნენ საანბანო სკოლებში, როგორც დაწყებით სასწავლო დაწესებულებებში, საქმე წარმართულიყო მართლმადიდებლური რწმენისა და ქრისტიანული ზნეობრიობის შესაბამისად. შედეგად, ზოგიერთი საანბანო სკოლა სამრევლო სკოლას აღემატებოდა წარმატებით, მაგალითად, ცხრაწყაროს, ჯვარიეწერის, სალომინაოს, ბოსტანას, ჯვარისის სკოლები. ამ სკოლების მოსწავლეები აბარებდნენ გამოცდებს სამრევლო სკოლების მოსწავლეების თანაბრად. საანბანო სკოლებში გამოიყენებოდა იგივე სახელმძღვანელოები, რაც ერთკლასიანი სამრევლო სკოლებში. მეცადინეობა მიმდინარეობდა სახელმწიფო და მშობლიურ ენებზე. განსხვავება იყო მხოლოდ სასწავლო მასალის მოცულობაში, ისიც არა ყველგან. ზოგიერთ საანბანო სკოლაში სრულად სწავლობდნენ ერთწლიანი სამრევლო სკოლების სახელმძღვანელოებს, უფროს განყოფილებებში ბავშვები საუბრობდნენ რუსულად, კითხულობდნენ და გალობდნენ ეკლესიებში. განსაკუთრებით წარმატებული იყო ჯვარიეწერის, უწერის, სარგვეის, საბაჟოს, თლულის, ბოსტანას, ცხრაწყაროს და ილიის სკოლები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, მიუხედავად მნიშვნელოვანი გამოცოცხლებისა (რაც განპირობებული იყო სამაზრო განყოფილებების რეორგანიზაციითა და ახალი საეკლესიო-სასკოლო ინსპექციის დაარსებით) და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელისშემშლელი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა, სკოლების ცხოვრებაში ბევრი არასასურველი მოვლენა იყო, რომელთა გამოსწორება გაძლიერებულ შრომას, დაუღალავ მოღვაწეობას და დაძაბულ ყურადღებას მოითხოვდა საეკლესიო სკოლების ადგილობრივი წარმომადგენლების და თვით ცენტრალური სამმართველოს მხრიდან. ამის გამო ეპარქიის საეკლესიო-სასკოლო ინსპექცია მიზანშეწონილად მიიჩნევდა: ერთი მხრივ, ეპარქიულ სასწავლო საბჭოს, მის სამაზრო განყოფილებას და მეორე მხრივ, ეპარქიულ და სამაზრო საეკლესიო-სასწავლო ინსპექციას შორის უფლებათა დეტალურ გამიჯვნას და ურთიერთობების გარკვევას მთავარხუცესთა და საბჭოს სამაზრო განყოფილებებს შორის, ასევე სამაზრო ზედამხედველთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამავე დროს, სხვადასხვა უწყებას - საეკლესიო, სახალხო განათლების სამინისტროსა და ადგილობრივ ადმინისტრაციას - შორის ურთიერთობების გარკვევას, ურთიერთშეთანხმებას ადგილობრივ სასულიერო ხელმძღვანელობასა და სახალხო სასწავლებელთა დირექციასთან სხვადასხვა უწყების სკოლათა გახსნის დროს. გარდა ამისა, ეს ინსპექცია (ალბათ ხომ?) შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვდა, ცირკულარულად მიემართა ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის, ერთნაირად ებრუნა სამინისტრო და საეკლესიო სკოლებზე, რომ მაზრის უფროსები, უბნის პრისტავები(ბოქაულები) და სოფლების მთავრობები კანონის ფარგლებში დახმარებოდნენ საეკლესიო სკოლების ინსპექტორებს ცხენებისა და გამყოლების მიწოდებით, მოეწვიათ მოსახლეობა განჩინებათა შესადგენად, დახმარებოდნენ სკოლების გახსნაში, მრევლის ჩართვაში სკოლების მშენებლობაში, სკოლებამდე გზების გაყვანაში და ა.შ.; საჭირო იყო საეკლესიო სკოლებისთვის მიწების გადაცემა სასოფლო-სამეურნეო მეცადინეობების ჩასატარებლად, და ბოლოს, სასურველი იყო აქტიურობით ეპარქიის სამღვდელთა განათლების დონე, რაც მათ რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის პროცესში ჩართვას ხელს შეუწყობდა.

მიუხედავად ყველა სირთულისა, საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც სახალხო განათლების სისტემაში, ასევე ქართული რელიგიურ-ზნეობრივი ტრადიციების შენარჩუნების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქც ა, ფონდი № 21, საქმე №№ 19 865, 18 915, 18 910.
2. მალაზონია დავით, ფხვალაძე თამარ. ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში. ჟურნალი „მოამბე“. 2008
3. „მწყემსი“ №7, 1-15 აპრილი 1896 წ. დ. ღამბაშიძე.
4. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (ნაწილი IV) თბ., 2003.

INGA ELIAVA

Kutaisi Central Archives

CHURCH-PERISH AND LITERACY SCHOOLS IN IMERETI EPARCHY BY THE END OF THE 19TH CENTURY**SUMMARY**

At the end of the nineteenth century, religious education Parish reading and writing schools were presented and included a wide primary education. These schools had a great religious and moral education of children, the quality of education in the Georgian language in the saving difficult period (Period of the exarch). This was not successful in terms of situation in the Diocese of Imereti, which was presided by 30 years of dedicated work of Bishop ST. Gabriel for saving national education. The paper deals with the study of the study of the archival documents, in particular figure and versatile scholar, compiled by M. Kenjeridze Imereti Diocese Parish and Public schools 1896-1897 training the basis of the report.

მეჩაბ კეხეკეძე

ქუთაისის ცენტრალური არქივი

სოხასტრის მაცხოვრის შაინსცვალის დედათა მონასტრის ისტორიკონ

სოხასტრის მაცხოვრის ფერისცვალების დედათა მონასტერი ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათში, საყოველთაოდ ცნობილი გელათის ღმრთისმშობლის შობის მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამასი მეტრის დაშორებით მდებარეობს. საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ სოხასტრის საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დანიშნულება ჰქონია. თავდაპირველად იქ ყოფილა ქსენონი, შემდეგ სოხასტერი - „სადაყუდებულო“ (მამათა მონასტერი), რომელიც XVI საუკუნიდან სასაფლაოდ ჰქონდათ ბოძებული იმერეთის სახელმწიფო მოხელეებს, ოკრიბაში მცხოვრებ თავად მხედრებს. მამათა მონასტრის არსებობა დასტურდება ასევე XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრებით, რომლებშიც ძირითადად მონასტრის შეწირულობებზეა საუბარი. სწორედ მათში მოიხსენიება მონასტერი „სოხასტრის“ სახელით. უფრო ადრინდელ დოკუმენტებში კი აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „კულად არს გელათის პირისპირ, აღმოსავლეთად მონასტერი გუმბათიანი, დიდნაშენი სოხასტრად ხმობილი“ [ქართლის ... 1973: 754], ხოლო გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, რომელიც 1772 წელს ეწვია გელათს, წერს: „გელათის მონასტრის ახლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთით, კირიანი კლდის ყველაზე მაღალ მწვერვალზე დგას განმარტოებული ეკლესია, რომელსაც ჰქვია სოხასტერი და რომელიც ზოგ რუკაზეა აღნიშნული. ბერები აქ მხოლოდ გარკვეულ დღესასწაულებზე მოდიან ღვთისმსახურების ჩასატარებლად“ [გიულდენშტედტი ... 1962: 147]. მართალია, ორივე ამ ამონარიდში შეცდომაა - სოხასტრის ტაძარი არც გუმბათოვანი ნაგებობაა (არც ყოფილა) და არც მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, მაგრამ დასტურდება, რომ XVIII საუკუნის შუა წლებში იგი მოქმედი მონასტერია და ჰყავს თავისი წინამძღვარი. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მკვლევრების, მ. გოგსაძისა და ვ. ცინცაძის, აზრს იმის შესახებ, რომ სოხასტერი ამ ადგილს გვიან ეწოდა, ქსენონის გაუქმების შემდეგ და თავდაპირველად სოხასტერი გელათის მონასტრის აღმოსავლეთით, მთაში მდებარე კომპლექსს უნდა რქმეოდა. 1821-1866 წლებში სოხასტერში დედათა მონასტერი იყო მოთავსებული.

სოხასტრის ისტორია დღემდე კომპლექსურად შეუსწავლელია, მკვლევრები (ვ. ცინცაძე, მ. გოგსაძე, რ. მეფისაშვილი, ბ. ლომინაძე, დ. ხომტარია და სხვ.), რომლებიც ეხებიან მის წარსულს, ხაზს უსვამენ მის ქსენონობას დავით აღმაშენებლის დროს ან უფრო გვიანდელი პერიოდის მამათა მონასტრის არსებობისას, მის მამულებსა და ნივთ-სამკაულებზე მსჯელობენ. სოხასტრის, როგორც არქიტექტურული ძეგლის, შესწავლა უკავშირდება პროფესორ ვ. ცინცაძის სახელს, რომელმაც 1968 — 1972 წლებში მოახდინა ტერიტორიის გაწმენდა და მცირე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება რის საფუძველზეც მოხდა ძეგლის კონსერვაცია-რესტავრაცია, კერძოდ, ნაწილობრივ აღდგენილ იქნა ეკლესიისა და კოშკის საფასადო წყობა და გადაიხურა ეკლესია.

ვ. ცინცაძის ვარაუდით, სოხასტრად წოდებული კომპლექსი თავდაპირველად იყო ქსენონი - საავადმყოფო (ამასვე ვარაუდობდა უფრო ადრე მ. გოგსაძე), რომელიც დავით აღმაშენებელმა დააარსა გელათის მონასტრის ახლოს, მოგვიანებით გახდა დაყუდებულ ბერთა სადგომი - სოხასტერი. გამოკვლევაში მთავარი ყურადღება ეთმობა მონასტრის ე. წ. საცხოვრებელი კოშკის შესწავლას; ამასთანავე შესწავლილია მონასტრის ეზო, რომელსაც მკვლევარი სამ ნაწილად ჰყოფდა, და ეკლესია. მართალია, კონკრეტულად მონასტრის არც ერთი ნაგებობა არაა დათარიღებული, მაგრამ ჩანს, რომ მკვლევარი მათ უმეტესობას გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის თანადროულ ნაგებობებად თვლის [ქართული ... 1979: 43-50]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის საეჭვოა ავტორის მოსაზრება მონასტრის ტერიტორიაზე დაფიქსირებული კოშკების ფუნქციური დანიშნულებაზე. ვფიქრობთ, ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა ამ საკითხს უფრო ნათელს გახდის.

სოხასტრის მონასტრის ნაგებობათა ქრონოლოგია უფრო კონკრეტულადაა განხილული ხელოვნებათმცოდნე დ. ხოშტარის მიერ: „სოხასტერს აქვს გალავნით მოფარებული ორი, დიდი და მცირე ეზო. დიდი ეზოს დასავლეთით მსხვილი ბლოკებით ამოყვანილ შემადღებულ ბაქანზე დგას თლილი ქვით მოპირკეთებული პატარა დარბაზული ეკლესია, რომელიც XII საუკუნით თარიღდება. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ეკლესიას მთელ სიგრძეზე ეგვტერები ეკვრის. XVI საუკუნეში მათ დასავლეთიდან მიშენდა ნართექსი და თაღებით გასხნილი ექსონართექსი. მოხატულობისაგან შემორჩენილ დაზიანებულ ფრაგმენტებში XVI საუკუნის ე.წ. ხალხური ნაკადის საქტიტორო პორტრეტის კვალი და XVII საუკუნის ფიგურის ნაშთი ამოიკნობა.

ეკლესიის ჩრდილოეთით მონასტრის სასაფლაოა. აღმოსავლეთით ხუთიოდე მ-ზე დგას ჩანგრეული სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი. დიდი ეზოს სამხრეთ მონაკვეთს ორი მხრიდან ეკვროდა სენაკები, რომელთაგან მცირე ნაშთები შემორჩენილია“ [გელათი ... 2007: 297].

სოხასტერი 1821 წელს დედათა მონასტრის ადგილსამყოფელი გახდა. იმერეთში ისე მოხდა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში დედათა არც ერთი მონასტერი არ ფუნქციონირებდა. როგორც გელათის მონასტრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის და დეკანოზ ნიკოლოზ გაბაევის (გაბაშვილი) 1821 წლის პირველი იანვრის საქართველოს ეგზარხოს თეოფილაქტესადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს: „დედამონასტერი არა არს იმერეთსა შინა, გარნა მონაზონნი საკმაოდ არიან, რომელნიცა ცხოვრობენ სხვადასხვა ადგილთა შინა, მათთვის შესაძლებელი იქნებოდა დანიშვნა სოხასტრის მონასტრისა“ [ს.ც.ა.¹ ფ. 488, ან. 1, ს. 357, ფ. 109]. მონასტერი ამავე წელს დაარსდა.

დაარსებისას მონასტრის კრებული 5 მონაზონით განისაზღვრა, მაგრამ რეალურად სხვადასხვა წელს განსხვავებული მდგომარეობა იყო. მაგალითად, 1834 წელს ფაქტობრივად 8 მონაზონი იმყოფებოდა [ქ.ც.ა.² ფ.21 ან.1 ს.965 ფ.25-26], 1838 წელს - 5 მონაზონი და 1 მორჩილი (მონაზვნებთან ერთად ჩვეულებრივ რამდენიმე მორჩილიც ცხოვრობდა მონასტერში) [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.1514 ფ.137-139]. 1859 წელს - 5 მონაზონი და 4 მორჩილი [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.7231/111 ფ.7], 1863 წელს - 7 მონაზონი და 16 მორჩილი [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.5041 ფ.10-17], ხოლო სოხასტრის მონასტრის უკანასკნელი (1866 წ.) კრებული შედგებოდა 27 წევრისგან: წინამძღვარი, 6 მონაზონი და 20 მორჩილი. მონაზვნებთან ერთად მონასტერს ემსახურებოდა მღვდელი, ზოგჯერ ორიც. სხვადასხვა წელს სოხასტრის მონასტრის მღვდლები იყვნენ: ნიკოლოზ დოლონაძე, ნიკოლოზ ბუხაიძე [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.308 ფ.2], სიმონ ჭირაქაძე, იოანე გაბადაძე [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.6970 ფ.3]. მონაზვნები ხელფასის სახით საშუალოდ 50 მანეთს იღებდნენ წელიწადში, რაც ძალიან მცირე იყო. კრებულს მძიმე მატერიალურ პირობებში უწევდა ცხოვრება. ეს მდგომარეობა ცუდად მოქმედებდა მონასტრის ავტორიტეტზე, რაც ნათლად ჩანს მონასტრის ილუმენის მარინას 1853 წლის 7 აპრილით დათარიღებულ საქართველოს ეგზარქოსს, მთავარეპისკოპოს ისიდორესადმი გაგზავნილ წერილში: „დედათ მონასტერი იმერეთში ერთი მხოლოდ არის და იქაცა ხუთი მონაზონი მყოფნი ღრმა მოხუცებულობასა შინა, ხოლო მსურველი შესვლად მონაზონებასა შინა ძვირად, ალბათ დაუდებლობის გამო მათ მსურველთათვის საზრდელისა“ [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.5428 ფ.2]. მონაზონთა შეჭირვებული ყოფა კიდევ უფრო კარგად ჩანს მონაზონ მარინეს ანდერძში, რომელიც 1857 წლის 5 იანვარსაა შედგენილი და გარდაცვალების შემდეგ მისი დარჩენილი ქონების აღწერილობაში. მოგვაქვს ორივე დოკუმენტი უცვლელად:

„ჩვენ წელს იანვრის ეხ დღესა

ვსდებ და ვაწერინებ ამა ანდერძსა მე გლახაკი მონაზონი მარინე მოხუცებულობისა გამო მივიწიე რა სიკვდილათ განვალ სოფლის ამისგან უწყალოთ და არა რაი მიმიძღვის კეთილსასარგებლოთ სულისა ჩემისა და არცა მყავს განსვლისა შიდა ჩემისა შიდა გულითადი და ნათესავი რათამცა იღვწოს გლახაკისა სულისა ჩემისათვის. ამისთვის გვედრები ყოველთა ღვთისმოყვარეთა სამღვდელთა მღვდელთმთავართა არხიმანდრიტთა და წინამძღვართა მღვდელმონაზონთა და დიაკონთა ღვთის გულისათვის ყველამ შემობრალეთ და ჩემთვის თითო შენდობა მიბრძანეთ მადლისათვის, რადგან ქუჭყანაზედ ჩემი მოწყალე არავინ მყავს ნათესავი და თვისი მე ღარიბათ ვცხოვრებდი მონასტერში ორმოცდა ორი წელი. არა მრჩება რა ფულისაგან და არცა სასარგებლო ნივთისაგან. ჩემს შვილივით გაზრდილს ბესარიონზედ მაქვს მინდობილება ავეჯისაგან სპილენძი ერთი ტაშტი, დიდი დიდი ჩაინიკი ელენეს ქონდეს, ერთი პატარა ქვაბი, ერთი ქვაბქოთან, ერთი პატარა საყავე ეკატერინე ჩხეიძის ქალს ქონდეს, ერთი ნაბადი ქეჩა, ერთი ბალიში, ერთი მურთაქა ეკატერინას ქონდეს, საბანი და ლები ჯუფას ქონდეს ხულაში თუ რამე დამრჩეს საჭმელი და ანუ სასმელი წაღებას ნურავინ იკადრებს და ჩემს განსვენებაზედ აჭამეთ და რაც გარდარჩეს, ჩემს საწყალ მონაზვნებს ნურავინ წაართმევს. ხულა ჩემი ნაყილია და მოტანილი არის, ცხრა მანეთი მივეცი და ის ხულა და ახალი კოდი ერთი შიდა დგას და ისეცა ჩემი ნაყილი არის. ხულა და ის კოდი რომელში-

¹ ს.ც.ა. - საისტორიო ცენტრალური არქივი.

² ქ.ც.ა. - ქუთაისის ცენტრალური არქივი.

დაც ჩავა ოცი ბათმანი მეთოდე დოღონაძეს საცოდავი ობოლი მივეცი და მისთვის მიმიცემია კოდი და ხულა თუ ვინმემ აქ-ანე მონაზონისთვის საჭირო იქმნეს ხულა დაასხნევენოს მეთოდიმ და რუსუდანმან, მაგრამ ხუთს მანეთს დასჯერდეს ჩემს ხულს ნურავის აგინებინებს. მეთოდი ორი სკივრი არის ხულაშიდ ნამუშევრის შესანახავი ერთი ელენეს ქონდეს და მეორე ეკატირინეს ქონდეს სხუა კიდევ კოდები და ყუბარიც ამ საწყლებს მონაზვნებს ქონდეს ზანდუკში არა მაქვს რა ერთი მანეთი საღირალი მონაზვნებს არაფერი შესწამოთ ამათი ცოდვით არ წამწყმიდოთ ცოტა აბრეშუმი არის ზანდუკში ორი შეხ...ვე-ლი თირისტარი არის აბრეშუმის და სხვა შალეები არის და ბატონმა კნენამ ჩემზედ დიდი ღვაწლი დასდვა ღმერთმან გარ-დუხადოს და ის აბრეშუმი დართული და დაურთავი ბატონს კნენას მიართვით ლოცვანი პეტრე ხეიძეს გაუგზავნეთ. და-ვითნი ჟავნი კარაბადინი ელენეს და ეკატირინეს მიეცით პეტარა ყუთი მარინე გეწადის ქალს მიეცით სათვალე და ერთი ახ-ალი (და ერთი ახალი) შეღებული ლაჩაქი თუ იკადროს, დარია მონაზონს მიართვით ჩემი დიდი ზანდუკი მლუდელმონაზონს ბესარიონს (ფ.3) ქონდეს საფოხლო ქვაბი რადგან ეკკლესიის საქათალიკობო იყო მე ამოვიტანე სპილენძი და გავაკეთე და ახლა ვალში არ შემეყვანოთ ეკკლესიის არის და ბესარიონმა ჩაიტანოს იგი და დადვას იქავ ჩემი არა არის. ტანისამოსი არა მაქვს ერთი ძველი ანაფორა მაქვს შალის და იმაჩი განმხვიეთ ვისაც ღმერთი გიყვარს და ძველ ჭილობში და ისე ჩამავადეთ მიწაში. ვინაც მიწაში ჩამავადოს ერთი მანეთი შიდ აგდია იმჩემს საფლაგში და ვინცა ქუა ასწიოს და ჩამავადოს ის მანეთი და-ხედოს და მას ქონდეს შვილო ბესარიონ ესე ადასრულე ესე საქმე და ვინცა ესე საქმე მომიშალოს მოვალე ის იქნება ჩემი სახლები რავაც არხიმანდრიტმა ინებოს და ჩემი საქმე არ არის“ [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.6678 ფ.2].

სია

დანაშთა გარდაცვალების დედათ მონასტრის მონაზვნის მარინესი,

ავსწერე იერო დიაკონმან დანიელმან თან დასწრებითა მღვდელთ მონაზონთ სერაპიონ და ბესარიონისათა და მღვდლის სვიმონ ჭირაქაძისათა.

წიგნთავან,

1. ერთი ჟამნი
2. რუსული კარაბადინი,
- სპილენძისავან**
3. ერთი კარდალა ოყა ღომის
4. ერთი ტაშტი
5. ერთი ჩაინიკი
6. ერთი პატარა ქვაბქოთანა
7. ერთი პატარა საყავე
8. ერთი პატარა ფოდნოსი
9. ერთი სტაქანი
10. ერთი ჩაშკა
11. ორი საინი ...

ქვეშ საგებისავან

12. ერთი ძველი ნოსი
13. ორი ქვეშ საგები ნაბადი
14. ერთი ლები
15. ერთი ბალიში და მუთაქა
16. ერთი საბანი

ჭურჭლისავან

17. ერთი ძველი კოდი
18. ერთი პატარა კოდი
19. ერთი ხის ფოხალი
20. ორი პატარა ყუბრები
21. ორი დოქები
22. ერთი გობი
23. ერთი თეფში
24. ერთი ცხრილი
25. ერთი მერდიმი
26. ორი პატროვანი სუფრები
27. ერთი პატარა სტოლის მზგავსი სუფრა
28. სამი ქოთნები
29. ერთი ნაჯახი
30. ერთი წალდი
31. ორი იმერული სკივრი ქვილის ჩასაყრელი

დამსწრე ვარ მლუდელმონაზონი სერაპიონ, დამსტრე ვარ ღვდელმონაზონი ბესარიონი, დავესწარი მღვდელი სიმონ ჭირაქაძე. გაენათის მონასტრის იერო დიაკონი დანიელი [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.6678 ფ.2].

სოხასტრის მონასტრის მართვა-გამგეობა რუსეთის იმპერიის სხვა მონასტრების მსგავსად ეგზარქოსობის დროინდელი საეკლესიო კანონმდებლობით რეგულირდებოდა. მას ჰქონდა საკუთარი ტიპიკონი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (H1215). ტიპიკონი ტიპური შინაარსისაა. მონასტრის საერთო ხელმძღვანელობა წინამძღვარს ევალებოდა. დედათა მონასტრის არსებობის მთელ მანძილზე ჩვენთვის ცნობილია შემდეგი წინამძღვრები: მარინა წერეთელი (1823-1857), დარია (1857-1859), ქრისტინე (ოქროპირიძე) (1859-1866). 1821-1823 წლებში მონასტრის წინამძღვარი არ ჩანს, მაგრამ სავარაუდოდ ეს მოვალეობა აქ არსებული გაუქმებული მამათა მონასტრის წინამძღვარს, ილუმენ პორფირს, უნდა შეესრულებინა [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.308 ფ.2; ს.4821 ფ.15-16].

როგორც აღვნიშნეთ, სოხასტრის მონასტრის ბოლო 1866 წლის კრებული შედგებოდა 27 წევრისგან. სანამ მათ ბიოგრაფიებს წარმოვადგენთ, აღვნიშნავთ, რომ სოციალურად კრებული მრავალფეროვანი იყო. სასულიერო წოდების წარმომავლობის იყო 1 პიროვნება, თავადის - 4, აზნაურის - 16 და გლეხის - 6.

მონასტრის წინამძღვარი გახლდათ მონაზონი ქრისტინა (ოქროპირიძე), ის 58 წლის იყო, ქართლიდან გახლდათ და სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. განათლება (ქართულ ენაზე საღვთო წერილის ცოდნა, მხედრული წერა და გალობა) მიღებული ჰქონდა სამთავროს დედათა მონასტერში, სადაც გამწესებული იყო მორჩილად 1825 წლიდან. მონაზვნად აღკვეცილ იქნა 1846 წელს და დაევალა მონასტრის ხაზინადრობა. 1847-1853 წლებში ასრულებდა მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას. 1853 წელს საკუთარი სურვილით გადმოიყვანეს სოხასტრის მაცხოვრის ფერიცვალების მონასტერში, სადაც 1859-1866 წლებში მონასტრის წინამძღვარი იყო. მონასტრის მღვიმეებში გადატანის შემდეგ მღვიმევის დედათა მონასტრის წინამძღვარი გახდა [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ.22-23].

მონაზონი ნისიმე, 49 წლის, ქართლიდან, თავად ციციშვილის ასული, განათლება მიღებული ჰქონდა სამთავროს წმ. ნინოს დედათა მონასტერში. იქვე შეისწავლა სხვადასხვა ხელსაქმე: ჭრა-კერვა და ოქროსირმის ქარგვა. სამთავროს მონასტერში მორჩილობას აღასრულებდა 1835 წლიდან, მონაზვნად აღკვეცეს 1846 წელს. 1859 წლიდან სოხასტრის მონასტერში მოღვაწეობდა.

მონაზონი მარინე, 86 წლის, საეკლესიო გლეხის შვილი გურიიდან, განათლება მიღებული არ ჰქონდა. 1810 წელს, დაქვრივების შემდეგ, მონაზვნად აღკვეცეს ერკეთის მთავარანგელოზის მონასტერში. 1815 წლიდან 1825 წლამდე გელათის მონასტერში იმყოფებოდა. 1825 წლიდან კი სოხასტრის მონასტერში. [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ. 22-23].

მონაზონი ელისაბედი 36 წლის, იმერელი საეკლესიო აზნაურის შვილი (ჭუმბურიძე). განათლება მიღებული ჰქონდა მამასთან, მღვდელ მიქელ (მიხილ) ჭუმბურიძესთან, ასევე იცოდა სხვადასხვა ხელსაქმე სოხასტრის მონასტრის იღუმენია მარინესგან. მორჩილება გატარებული ჰქონდა გელათის მონასტერში 1847-1858 წლებში. 1858 წელს აღკვეცა მონაზვნად და მსახურობდა სოხასტრის დედათა მონასტერში [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ.24-25].

მონაზონი ებრაქსია 46 წლის, იმერელი თავადის შვილი (მიქელაძე). განათლება მიღებული ჰქონდა და იცოდა სხვადასხვა ხელსაქმე. 1856-1858 წლებში მორჩილად იყო სოხასტრის დედათა მონასტერში, სადაც 1858 წელს აღკვეცეს მონაზვნად [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ.24-25].

მონაზონი ფებრონია 66 წლის, იმერელი საეკლესიო აზნაურის შვილი (ესაიაშვილი). განათლება მიღებული ჰქონდა და იცოდა სხვადასხვა ხელსაქმე. დაქვრივების შემდეგ, 1847 წელს, მორჩილად მიიღეს სოხასტრის დედათა მონასტერში, სადაც აღკვეცეს მონაზვნად 1849 წელს [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ.24-25].

მონაზონი ელენე 54 წლის, იმერელი სახელმწიფო აზნაურის შვილი (ინანიშვილი). განათლება მიღებული ჰქონდა და იცოდა სხვადასხვა ხელსაქმე. დაქვრივების შემდეგ, 1854 წელს, მორჩილად იყო მოწამეთის მონასტერში. 1856 წლიდან მორჩილებას განაგრძობდა სოხასტრის დედათა მონასტერში, სადაც 1861 წელს აღკვეცეს მონაზვნად [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ.24-25].

როგორც აღვნიშნეთ, მონასტერში 20 მორჩილი იყო; ესენი იყვნენ: ანა 40 წლის, იმერელი სათავადო აზნაურის შვილი, მორჩილად 1858 წლიდან; მარიამი 34 წლის, იმერელი საეკლესიო აზნაურის შვილი (კროჭი), მორჩილად 1858 წლიდან; ივლიტა 31 წლის, იმერელი საეკლესიო აზნაურის (დეკანოზის) შვილი (ქუთათელაძე), მორჩილად 1860 წლიდან; მატრონა 33 წლის, იმერელი სახელმწიფო გლეხის შვილი (ნუცუბიძე), მორჩილად დაქვრივების შემდეგ 1859 წლიდან; ანუსია 40 წლის, იმერელი საეკლესიო გლეხის შვილი, მორჩილად 1857 წლიდან; ეკატერინა 24 წლის, ქართლელი თავადის შვილი (ციციშვილი), მორჩილად 1861 წლიდან; მარინე 36 წლის, იმერელი სახელმწიფო გლეხის შვილი (გეწაძე), მორჩილად 1854 წლიდან [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ.25-26]; მარიამ 30 წლის, იმერელი საეკლესიო აზნაურის შვილი (გოგიჯანაშვილი), მორჩილად 1861 წლიდან; მახუა 26 წლის, იმერელი გლეხის შვილი (ჯანელიძე), მორჩილად 1863 წლიდან; მაგდანი 23 წლის, იმერელი თავადის შვილი (ერისთავი), მორჩილად 1861 წლიდან; ელისაბედი 31 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (ბაქრაძე), მორჩილად 1861 წლიდან; კესარია 28 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (დალაქიშვილი), მორჩილად 1863 წლიდან [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1. ს. 10247 ვ. ფ. 26-27]; მარინე 34 წლის, იმერელი აზნაურის შვილი, მორჩილად 1861 წლიდან; ელისაბედი 35 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (კვერნაძე), მორჩილად 1863 წლიდან; პელაგია 29 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (მდივანი), მორჩილად 1863 წლიდან; ელისაბედი 21 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (ლორთქიფანიძე), მორჩილად 1863 წლიდან; ათინადარი 30 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (ჯაფარიძე), მორჩილად 1864 წლიდან; ტუფა 29 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (ჯაფარიძე), მორჩილად 1865 წლიდან [ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1.

ს. 10247 ვ. ფ. 27-28]; ჯუფარი 36 წლის, იმერელი აზნაურის შვილი (ასათიანი), მორჩილადაა 1865 წლიდან; მარინე 27 წლის, იმერელი გლეხის შვილი, მორჩილადაა 1865 წლიდან [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1. ს.10247ვ, ფ.27-28].

როგორც აღვნიშნეთ, ფინანსურად სოხასტრის მონასტერი გაჭირვებას განიცდიდა, თუმცა ის საკმაოდ რაოდენობით ყმა-მამულს ფლობდა, მაგრამ შემოსავალი მონასტრის შენახვას არ ჰყოფნიდა. ტრადიციულად მონასტერს თავადი მხეიძეები ინახავდნენ, მაგრამ მათი სათავადოს გაუქმებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ მონასტერი მხოლოდ საეკლესიო ხაზინის იმედად დარჩა. მონასტერს 1825 წელს კუთვნილი 38 კომლი ყმა-გლეხისგან (239 სული) 252 მანეთი შემოუვიდა, 1838 წელს 250 მანეთი [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.254ა ფ.38, 75; ს.1514 ფ.130], ასეთი იყო ძირითადად შემოსავლები მონასტრის გაუქმებამდე. ყმა-გლეხები და მამულები სოხასტერს იმერეთში შემდეგ სოფლებში - გელათში, გოდოვანში, ჭოგნარში, სიქთარვაში, ჩხარში, საწირესა და ბუეთში [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.1514 ფ.130] - ჰქონდა.

უკვე ითქვა, რომ სოხასტრის მონასტრის ნაგებობანი სხვადასხვა დროით თარიღდება. მათი უმეტესობა დედათა მონასტრის გახსნისას უკვე საკმაოდ დაძველებული იყო. 1825 წლის აღწერით მონასტერს ჰქონდა ქვის უბრალო და დაბალი გალავნით შემოზღუდული ეზო, რომელშიც უკუმბათო თაღებიანი პატარა ეკლესია იდგა მაცხოვრის ფერისცვალების სახელზე. იგი ნივთ-სამკაულით ღარიბი იყო. გალავანში იდგა ქვის ორსართულიანი სახლი (თუ სამსართულიანი?!), რომლის ქვედა სართულში - საჯინბო და საკუჭნაო, ზევით კი საცხოვრებელი ოთახი იყო განლაგებული. იქვე იდგა ორი პატარა ქვის სახლი: ერთთახიანი ხის სახლი და ხის ღია ფარდული [История ... 1826: 57]. ცნობილი შვეიცარიელი მოგზაურისა და მეცნიერის, დიუბუა დე მონპერეს ცნობით კი, რომელიც იქ 1833 წლის აგვისტოში იყო, სოხასტრის ეკლესია „ბევრად უფრო ძველია, ვიდრე გელათის ყველა დანარჩენი ეკლესია. მღვდელი, რომელმაც ეკლესიის კარი გაგვიღო, გვარწმუნებდა, რომ იგი დაახლოებით 1000 წლით თარიღდება. ეს არის უკუმბათო, მასიური და დაბალი ეკლესია. ბევრი ვეძებე წარწერები, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე“ [ანალები ... 2000: 84].

1860 წლის 15 ნოემბერს შედგენილი აღწერით ჩანს, რომ სოხასტრის მონასტრის ეზოში იდგა შემდეგი შენობები: ორსართულიანი ძველი ქვითკირის შენობა, საშუალო ზომის, ერთი ფანჯრით და ერთი ბუხრით, დახურული ყავრით; პატარა ზომის ალიზის ქვით აგებული სენაკი, გარედან კირით გალესილი, ორი ფანჯრით, ერთი ბუხრით, აივნით, ყავრით დახურული. მასზე მიდგმული ქვითკირის ძველი „ლორული“ დიდი ზომის შენობა, გადახურული ძველი კრამიტით, პატარა ფიცრული ხულა, ყავრით გადახურული, პატარა ალიზის ქვით აგებული სენაკი, ორი ფანჯრით და ერთი ბუხრით, ყავრით გადახურული. ამ სენაკზე მიდგმული იყო ალიზის ქვის სენაკი ერთი ფანჯრითა და ერთი ბუხრით, ყავრით გადახურული. ერთი პატარა ხის სენაკი, ერთი ფანჯრით და ერთი ბუხრით, ყავრით გადახურული. ძველი ხის ხულა, ყავრით გადახურული; ძველი ხის სათორნე ქოხი, გადახურავი. ძველი ქვის სახლი, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია დარჩენილი [ქ.ც.ა. ფ. 21, ან.1, ს. 7397, ფ. 13-14].

როგორც ამ აღწერიდან ჩანს, მონასტრის შენობები ძალიან დაძველებული და მოუვლელი იყო. არანაკლებ ცუდ მდგომარეობაში იყო მონასტრის ეკლესია. ამას ადასტურებს მრავალი დოკუმენტი, რომელთაგან ერთ-ერთში მონასტრის წინამძღვარ ილუმენ მარინას პატაკში, რომელიც 1849 წლის 5 აპრილს გაუგზავნა იმერეთის ეპარქიის მმართველ მიტროპოლიტ დავითს, ვკითხულობთ: „ვინაითგან რწმუნებული ჩემდა სოხასტრის დედათა მონასტერი არის მიღწეული დაქცევისადმი გარდუხურაობითა, რომელშიდაც ყოველს ავდრიანს და წუმიანს დღეებშიდ ტბა სდგას მას ეკლესიასა შინა“ და სთხოვს, რომ რამდენადაც მონასტერში დადის სხვადასხვა საპატიო სტუმარი, რომლებიც აღშფოთებულნი არიან მისი ასეთი მდგომარეობით და, რაც მთავარია, თვით მონასტერი დაინგრევა ასეთი უყურადღებობით, დაეხმაროს ეკლესიის გადასახურავად [ქ.ც.ა. ფ. 21, ს.4517, ფ. 11-12].

1865 წელს მონასტრის ეზოში იდგა 15 შენობა: 5 ქვის და 9 ხის. ხის შენობები, ძირითადად, მონაზონთა საცხოვრებელი სენაკები იყო [ქ.ც.ა. ფ. 21, ან.1, ს. 9022, ფ.9-10].

სოხასტრის დედათა მონასტერში დაცული იყო სხვადასხვა დროინდელი საეკლესიო ნივთ-სამკაული, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დედათა მონასტრამდელი პერიოდის იყო. მოგვაქვს ამ ქონების 1867 წლის 21 სექტემბრის აღწერა, როცა ქონება მონასტრის ყოფილმა წინამძღვარმა ქრისტინემ გელათის მონასტრის მღვდელმონაზონ დანიელს გადააბარა.

№	<p style="text-align: center;">№ სია</p> <p style="text-align: center;">სოხასტრის ფერისცვალების ეკლესიის ნივთთა და ქონებათა ქუჭმორე აღწერილთა, ჩყვბა წელსა სეკდემბრის კაბა</p>	შესწავება
<ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. 11. 12. 13. 14. 15. 	<p>მაცხოვრის ხატი ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერილი ერთი ალაბი სიგრძით და განით სამი ჩარეჯი რომელსა უსხედს გვირგვინშიდ სამი თვალი წითელნი იაგუნდისა,</p> <p>ღვთის მშობლის ხატი ვეცხლით მოჭედილი და ოქროშიდ დაფერილი იმავე ზომისა, გვირგვინშიდ უჯის სამი იაგუნდი თორმეტი ფირუბი და თუთხმეტი წვრილი მარგალიტნი და სამი უბრალო თვალი,</p> <p>კდ ღვთის მშობლის ხატი ამავე ზომისა ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერილი ორი თვალი იაგუნდისა უჯის გვირგვინშიდ,</p> <p>კდ ხატი ღვთის მშობლისა სიგრძით სამი ჩარეჯი და განით ნახევარი ალაბი და ორი ვერშოკი ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერილი რლსა აქვს თერთმეტი ფირუბი და ერთი თეთრი თვალი,</p> <p>მაცხოვრის ხატი სიგრძით ხუთი ვერშოკი და განით ოთხი, ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერილი რლსა უჯის ოთხი წითელი თვალი და ორი წვრილი მარგალიტი,</p> <p>ღვთისმშობლის ხატი სიგრძით ექვსი ვერშოკი და განით ოთხ ნახევარი ვეცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერილი რლსა უსხედს თოთხმეტი სხვადასხვა თვალი,</p> <p>წინ გასაძლოლი ჯვარი ვერცხლის და ოქროშიდ დაფერილი, რლსა უჯის სამი თვალი, ბუშტი და ტარი ექვს ვერშოკამდის ვეცხლით მოჭედილი რლსა აქვს მცირე ჯაჭვი თავისი ვეცხლის ჩხირით,</p> <p>მაცხოვრის ხატი ხისა, ორი დის მშობლის ხატი უფროს უნცროსი ხისა და ერთი ნათლის მცემლისა ესენი ახალი ხელოვნებისა,</p> <p>ბარძიმ ფეშხუმი კამარა თეფში და განსამაგებელი ვეცხ,</p> <p>კოვზი ახალი ხელობისა ოქროთი დაფერილი,</p> <p>მდულარების ჭურჭელი სპილენძისა,</p> <p>ერთი ახალი ლახვარი,</p> <p>ერთი სანაწილე ტრაპეზედ ახალი ხელოვნებისა უბრალო,</p> <p>სამი შანდალი უბრალო ნაკლედნისა,</p> <p>ტრაპეზედ ორი ჯვარი ხისა ერთი ვეცხლით მოჭედილი მინაქრის ხელოვნებით რომელზედაც აჯდის თერთმეტი თვალი, (ფ.33)</p>	<p>ამას აკლია ერთი პატარა მარგალიტი</p> <p>სიძველისა გამო დამტკრეულა</p>

წიგნთაგან		სიძველისა გამო რამოდენიმე მოტეხილი აქვს კიდევებზედ ვეცხლი
16.	სახარება ძველი ტყავზედ ხელთ ნაწერი და ორივე გვერდით მოჭედილი ვეცხლით ოქროშიდ დაფერილი,	
17.	მეორე ძველი სახარება ნაბეჭდი,	
18.	ორი კონდაკი ერთი ახალი და მეორე ძველი,	
19.	ერთი დაბადება,	
20.	ერთი დიდი სადღესასწაულო,	
21.	ერთი მარხვანი,	
22.	ერთი პარაკლიტონი,	
23.	ერთი სამოციქულო,	
24.	ერთი ზადიკი,	
25.	ერთი ჟამნი,	
26.	სამი პატროვანი კანდელი თანაქისა, შესამოსელთაგან	
27.	ორი სტიხარი ორი ფილონი ოთხი ოლარი ორი გინგილა ორი რწყვილი სამკლავე ორი სარტყელი ორი რწყვილი დაფარნა და ერთი ნაკერი ენქერი,	
28.	ერთი ახალი ოდიკი, ერთი თანაქის საცეცხური ოთხი ანალოლია სამი ჩაცმული და ერთი ძველი ზანდუკი, ერთი ეკლესიის ღერბი,	
29.	ამა სიასა შა განცხადებული ყოველივე მთავაბარე მონაზონმა ქრისტიანამ მთავიბარე მღვდელმონაზონმან დანიელმან (ფ.34)	

[ქ.ც.ა. ფ.21. ან.1 ს.9022 ფ.33-34]

სოხასტერში დედათა მონასტერი 45 წელი არსებობდა. მონასტრის დაარსებიდან ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ მამათა და დედათა მონასტრების სიახლოვე გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა, ამიტომ უკვე 1837 წლის აპრილში საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ განიხილა საკითხი სოხასტრის მონასტრის გაუქმების შესახებ [ქ.ც.ა. ფ. 21, ან. 1, ს. 1465, ფ. 4]. იმერეთის ეპარქიის მმართველი არქიეპისკოპოსი სოფრონი მოითხოვდა დედათა მონასტრის ჭალატყის მონასტერში გადატანას. სინოდის კანტორამ 1837 წლის 27 აგვისტოს მღვდელმთავარს აცნობა: „თანახმად აზრისა თქვენისა გადავწყვიტეთ“ - ე. ი. ჭალატყეში გადაგვაქვსო [ქ.ც.ა. ფ. 21, ან. 1, ს. 1465, ფ. 133], მაგრამ გადატანა შეაჩერა იმავე წლის ნოემბერში სოხასტრის ორი მონაზონის „სნეულების გამო გარდაცვალებამ“ [ქ.ც.ა. ფ. 21, ან. 1, ს. 1465, ფ. 149] და ასევე მონაზვნების უარმა ჭალა-ტყეში გადასვლაზე [ქ.ც.ა. ფ. 21, ან. 1, ს. 1465, ფ. 203]. შემდეგ მონასტრის გაუქმების საკითხი იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა დააყენა. მონასტრის წინამძღვარი მონაზონი ქრისტიანა 1863 წლის 26 ოქტომბერს გაბრიელ ეპისკოპოსს აცნობებდა, რომ სოხასტრის მღვდელს, მთავარხუცეს იოანე გაბადაძეს მისთვის და მონასტრის კრებულისთვის გამოუცხადებია ეპისკოპოსის სურვილი მონასტრის სხვაგან გადატანაზე, სადღაც სოფელ ჩხარის მახლობლად. მონაზონი წერს, რომ სოფელი ჩხარი და, საერთოდ არგვეთის მხარე, ბოლო ხანს საცხოვრებლად საშიში შექმნილა: გოგნის მონასტერში მოუხრჩვიათ ერთი ბერი, ამავე სოფელში ერთ ღამეს ჩხეიძის ოჯახის 9 სული მოუკლავთ, გა-

უძარცვავთ ბერძნის წინამძღვარი და სხვა, ამიტომ სთხოვს, რომ იქ არ გადაიტანოს მონასტერი; გადასატანად უკეთესად ადგილად მიიჩნევს სოფელ ჯიმასტაროს, რომელიც ქუთაისთან ახლოსაა, თანაც იქ მხოლოდ 12 კომლი საეკლესიო გლეხი ცხოვრობს და რაც მთავარია, ადგილი გადასატანი იქნება იქ სოხასტრის მონასტრიდან მათი ქონება (მათ მიერ აგებული ხის 9 სახლი) [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.1]. გაბრიელ ეპისკოპოსმა გელათის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ონიფანტეს და მთავარხუცესს, მღვდელ იოანე გაბადაძეს დაავალა ჯიმასტაროს შემოწმება, გამოდგებოდა თუ არა სამონასტრო ადგილად. 1864 წლის 17 მაისს მათ ეპისკოპოსს მოახსენეს, რომ ეს ადგილი მონასტრისთვის ვარგისია [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.2]. 18 მაისს გაბრიელ ეპისკოპოსმა სინოდის კანტორას სთხოვა სოხასტრის დედათა მონასტრის ჯიმასტაროში გადატანის ნებართვა, ახალ ადგილზე მონასტრისთვის ქვის გალავნის გაკეთება და მონაზონ ქრისტიანს ილუმენის ხარისხში აყვანა [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.6]. ამ თხოვნის საპასუხოდ სინოდის კანტორამ ეპისკოპოსს დაავალა ცნობების შეკრება სოხასტრის დედათა მონასტერზე, მის ისტორიულ მნიშვნელობაზე მოსახლეობაში ამ გადატანის გამო მოსალოდნელ უკმაყოფილებაზე, ასევე ჯიმასტაროელთა თანხმობაზე, რომ მათი ეკლესია გახდეს მონასტერი, ჯიმასტაროს ეკლესიის ქონებაზე და სხვა [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.6]. 1864 წლის 12 დეკემბერს გაბრიელ ეპისკოპოსმა სინოდის კანტორას აცნობა, რომ, თუ როდის და ვინ დააარსა სოხასტრის მონასტერი, უცნობია; მონასტერში დაცულია 4 დიდი მოჭედილი და არაძვირფასი თვლებით შემკული ხატები, მათ წარწერებში მოიხსენებიან იმერეთის თავადები სარგებ და ფირან ხეციძეები (ხეიძეები), რომელთაც იქ საგვარეულო სასაფლაო ჰქონიათ. მათ ამ მონასტრისთვის, ისე როგორც მეფეებს, ბევრი ყმა-მამული შეუწირავთ. ჯიმასტაროს მრევლი თანახმაა მათი ეკლესია გადაკეთდეს მონასტრად, ოღონდ მათ უნდა ჰქონდეთ იქ წირვა-ლოცვის უფლება და გადატანაც არ გამოიწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.11]. 1865 წლის 31 იანვრის პასუხით სინოდის კანტორამ გაბრიელ ეპისკოპოსს ურჩია, სხვა ადგილი შეერჩია, მანამდე კი 29 იანვრის წერილით მონასტრის ახალციხის მარაში, საფარის მონასტერში, გადატანა შესთავაზა [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.14], რამაც გაბრიელ ეპისკოპოსმა დასაბუთებული (მოტივირებული უარით) უპასუხა [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.16] და მონასტრის გადასატან ადგილად მღვიმის (მღვიმევის) უდაბნო დაასახელა, რომელშიც იმ დროს წინამძღვარი, 2 მღვდელ-მონაზონი და 1 ბერ-დიაკონი იმყოფებოდა [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.17]. 1865 წლის 4 აგვისტოს სინოდის კანტორა ეპისკოპოსს გაბრიელის ამ შეთავაზებას დასთანხმდა, რაც 1866 წლის 2 აპრილს იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით დადასტურდა [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.21]. ბრძანება ითვალისწინებდა სოხასტრის დედათა მონასტრის გაუქმებას და მღვიმევის მამათა უდაბნოში გადატანას. მღვიმევის უდაბნოს წინამძღვარი ილუმენი სერაპიონი გადაჰყავდათ კაცხის მონასტრის წინამძღვრად, გარდაცვლილი წინამძღვრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის ადგილზე. კრებულის წევრები: 2 მღვდელ-მონაზონი, ბერ-დიაკონი და მწირი ბერი კი - ჯრუჭის მონასტერში. მღვიმევი მონასტრის ეზოსთვის უნდა გაეკეთებინათ ქვის გალავანი და ჭიშკარი. რამდენადაც იქ მხოლოდ 2 ხის სახლი იდგა, მონაზვნებისთვის სასწრაფოდ უნდა აეგოთ კელიების (სენაკების) მსგავსი რამდენიმე შენობა, ხოლო სოხასტერში დარჩენილი ხის კელიები გაეყიდათ, თანხა კი მღვიმევის მონასტრისთვის გამოეყენებინათ; იმერეთის საეკლესიო ხაზინიდან მონასტრის გადასატანად უნდა გამოეყიდათ 400 მანეთი ვერცხლით. მღვიმევის მონასტერში არსებული საეკლესიო ნივთ-სამკაული, სამეურნეო და სასურსათო ქონება უნდა გადასცემოდა დედათა მონასტერს, სოხასტრის ქონება კი - გელათის მონასტერს, მღვიმევის მონასტრის ყოველწლიური შემოსავალი მონასტრის კრებულის საკუთრებაში გადადიოდა [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.22]. ეს ბრძანება სულ მალე აღასრულეს. 1866 წლის 11 ოქტომბერს მღვიმევის მონასტრის ქონება ილუმენმა სერაპიონმა ჩააბარა დედათა მონასტრის წინამძღვარს, ილუმენია ქრისტიანს [ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.9022, ფ.42]. 1867 წლის 22 სექტემბერს მღვიმევის დედათა მონასტრის წინამძღვარმა ქრისტიანს სოხასტრის დედათა მონასტერი თავის ქონებით ჩააბარა გელათის მონასტრის მღვდელმონაზონ დანიელს [ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.9022, ფ.32]. ამ ქონების ნაწილი, ძირითადად ხატები და ხელნაწერები, ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

საბჭოთა ხელისუფლების გარკვეულ პერიოდში სოხასტრის მონასტერი უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ცოტა ხანი მასში ადგილობრივი კოლმეურნეობის ფერმაც კი იყო მოთავსებული, ხოლო შენობებისა და გალავნის ქვების ნაწილი მეორად სამშენებლო მასალად და გზების მოსაკირწყლად გამოიყენეს. მოგვიანებით, 1970-იან და 2010-იან წლებში, სოხასტრის მონასტრის ნაგებობებს რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა.

სოხასტრის მაცხოვრის ფერისცვალების დედათა მონასტერს, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა (1821-1866 წ.წ.), მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის სამონასტრო ცხოვრების ისტორიაში.

გამოყენებული წყაროები და ღიჯიკაჯიკა:

1. ქ.ც.ა. ფ.21, ან.1, ს.254ა, 308, 965, 1465, 1514, 4821, 5041, 5428, 6678, 6970, 7231/1111, 9022, 10247ვ.
2. ს.ც.ა., ფ.488, ა.1, ს.357.
3. ხ.ე.ც., H1215.
4. *გელათი*, 2007, თბილისი.
5. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. I, 1962, თბილისი.
6. გოგსაძე მ., *ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან*, 1949, თბილისი.
7. ზაქარაია პ., *ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII ს.*, 1990, თბილისი.
8. კეზევაძე მ., *გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს*, 2006, ქუთაისი.
9. ლომინაძე ბ., *გელათი*, 1955, თბილისი.
10. ლომინაძე ბ., *გელათი*, 1959, თბილისი.
11. მეფისაშვილი რ., *გელათი*, 1965, თბილისი.
12. მეფისაშვილი რ., ვირსალაძე თ., *გელათი*, 1982, თბილისი.
13. ნიკოლეიშვილი მ., *გელათი*, 1982, თბილისი.
14. *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, 1973, თბილისი.
15. ქართული ხელოვნება, ტ. 8, სერ. A (Цинцадзе В. *Архитектурный ансамбль „Сохастери“*), 1979, თბილისი.
16. *История грузинской иерархии*, 1826, Москва.
17. Мепишავილი Р., *Архитектурный ансамбль, Гелати*, 1966, Тбилиси.
18. Мепишავილი Р., Цинцадзе В., *Кутаиси, Гелати, Гегუти*, 1977, Тбилиси.

MERAB KEZEVADZE

Kutaisi Central Archive

**FROM THE HISTORY OF SOKHASTERI SAVIOR
TRANSFIGURATION MONASTERY OF NUNS****SUMMARY**

Sokhasteri Saviour transfiguration monastery of nuns situates in the village of Gelati of Tkibuli municipality. It's located three hundred metres away, in the north-east from the well-known Gelati monastery of Virgin Mary. According to the studies it's proved that the monastery of nuns had different purposes during the past centuries. At first it was a monastery hospital, then it became Sokhasteri (a monastery of monks with ascetic regime), from the XVI century it was given as a cemetery to Imeretian statesmen – the lords, the Mkheidze. The existence of the monastery of monks is proved by the documents of the XVIIIth century. The documents tell mainly about the donations of the monastery. We totally agree with the opinion that the name Sokhasteri was given to that place later, after the abolishment of the monastery hospital. Firstly Sokhasteri must be the name of the complex buildings of the monastery situated in the mountains, in the east of Gelati monastery. In 1821-1866 Sokhasteri was the monastery of nuns. (IT was the only monastery of nuns in Imereti region). This period is still unstudied. The documents stored in the archives of Georgia, give us the possibility that the history of Sokhasteri monastery of nuns could be thoroughly studied.

The history of Sokhasteri monastery establishment and abolishment, the merit of the abbots, monastery rural economy, its land, peasants, monastery property, income and expenses are reviewed in the article. Most of the documents mentioned in the article are published for the first time.

Since 1866 Sokhasteri monastery of nuns was abolished and moved to the village of Mgvimevi. Nowadays it still exists there. The buildings of the monastery are restored. The saved jewellery are kept in different museums.

პეიზაჟი ჯაჟაკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პეიზაჟი ნიკუჩაძე - ევროპოლოგიის სათავეებთან

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფიზიკოსი, ისტორიკოსი, გეოპოლიტიკოსი, არქეოლოგი, არქიტექტორი, მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული მკვლევარი, პირველი ქართველი ევროპოლოგი, ქართულ-ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტის პირველი დამფუძნებელი ევროპაში, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ევროპული და ევროინტეგრაციული იდეების კერის – „კონტინენტური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის“ – დამაარსებელი და ხელმძღვანელი ალექსანდრე ნიკუჩაძე დაიბადა 1901 წლის 10 ნოემბერს სამტრედიისში.

მამა (1937 წელს რეპრესირებული), პროფესორი ინჟინერი, ილია პავლეს ძე ნიკუჩაძე სამტრედიის რკინიგზის დეპოს უფროსად მუშაობდა. დედის – ელისაბედ გეგიას – მოულოდნელი გარდაცვალების გამო ილიას დარჩა გასაზრდელი ექვსი მცირეწლოვანი შვილი: სილოვანი, ივანე, პავლე, ალექსანდრე, ლიდა და ლუბა. მეუღლის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ ილია ნიკუჩაძემ მეორედ იქორწინა ნიფადორა ზურაბის ასულ გიორგაძეზე, რომელთანაც კიდევ სამი შვილი შეეძინა: შოთა, ელენე (ფლორენა) და ქეთევანი. დედინაცვალმა ცხრა და-ძმას ნამდვილი დედობა გაუწია და სასახელო შვილები აღზარდა. მათგან სამი მსოფლიოში ცნობილი პროფესორი გახდა: სილოვან ნიკუჩაძე საქვეყნოდ აღიარებული ქირურგი იყო, ივანე ნიკუჩაძე – მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსი და ფიზიკოსი ჰიდრაულიკის დარგში, ალექსანდრე ნიკუჩაძე კი – დღემდე ფიზიკა-მათემატიკის ერთ-ერთ სახელგანთქმულ მეცნიერად ითვლება.

1917 წელს ძმებმა ივანე და ალექსანდრე ნიკუჩაძეებმა ოქროს მედალზე დაამთავრეს ქუთაისის გიმნაზია. შემდგომ ალექსანდრე ნიკუჩაძემ სწავლა განაგრძო თბილისის კომერციულ სასწავლებელში, სადაც ორი წლით ადრე მისი უფროსი ძმა იონანე მიიღეს. ამ სასწავლებელში ალექსანდრესთან ერთად სწავლობდა პოლონეთის ელჩის შვილი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მასზე, რაც მოგვიანებით მის ცხოვრებაზეც აისახა: ნიკუჩაძემ ევროპული განათლება მიიღო, შეისწავლა გერმანული და ინგლისური ენები (მათ შორის ვიოლინოზე დაკვრაც, რაც იმ დროისთვის იშვიათი მოვლენა იყო). თბილისის კომერციული სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ძმებმა თბილისის რუსულენოვან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძეს სწავლა. ცოტა მოგვიანებით ალექსანდრე უფროს ძმასთან ერთად, 1918 წელს, ჩაირიცხა ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა მათ ეს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებიათ. 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ პეტრე მელიქიშვილისა და პროფესორ ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით 60 ნიჭიერი ახალგაზრდა სტუდენტი სახელმწიფოს დაფინანსებით წარგზავნეს უცხოეთში ევროპული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისაღებად. ამ ნაკადში მოხვდა მხოლოდ ივანე ნიკუჩაძე. ამ ვითარებით შეწუხებული ილია ნიკუჩაძე თბილისში საგანგებოდ ჩამოსულა და რექტორისთვის უთხოვია, მეც დაგვხმარებით ფინანსურად და გთხოვთ ძმებს ნუ დაამორებთ, ერთად გაუშვით უცხოეთში სასწავლებლად. პეტრე მელიქიშვილს გამოუჩენია დიდსულოვნება და მამის თხოვნა შეუსრულებია. ასე მოხდნენ ძმები ნიკუჩაძეები გერმანიაში.

1920-1922 წლებში ალექსანდრე ნიკუჩაძე სწავლობდა გეტინგენის უნივერსიტეტის გამოყენებითი მექანიკისა და მათემატიკის ფაკულტეტზე. გეტინგენის უნივერსიტეტში მას ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი ფიზიკოსები და მათემატიკოსები, როგორებიც იყვნენ: რ. პოლი, ჯ. ფრანკი, დ. ჰილბერტი, კ. რუნგე, რ. კურანტი და სხვები. 1922-1925 წლებში ალექსანდრე ნიკუჩაძე ერთდროულად სწავლობდა ორ უმაღლეს სასწავლებელში, მიუნხენის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და მიუნხენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც ფიზიკის კათედრაზე მოღვაწეობდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: ვილჰელმ რენტგენი, ა. ზომერფელდი, კ. კარა-თეოდორი, ფ. დიკი და სხვები (ეს უნივერსიტეტი 1911 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის პირველმა ასისტენტ-პროფესორმა ერეკლე ლუკაშვილმა იმავე ჰერაკლიუს ლუკიანოვმა). 1925 წელს ალექსანდრე ნიკუჩაძე დატოვეს ამავე სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისთვის, ხოლო 1927 წელს მან ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა. პარალელურად აქტიურად იღებდა მონაწილეობას გეტინგენის უნივერსიტეტის ფიზიკური კოლოკვიუმის შემუშავებაში.

1932 წელს იგი მიიწვიეს პრივატ-დოცენტად ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც დიალექტრიკების ფიზიკისა და ექსპერიმენტული ბირთვული ფიზიკის კურსის წაკითხვა დაევალა. ამ კურსს იმდენად საინტერესოდ უძღვებოდა, რომ იმავე წელს ბერლინის უნივერსიტეტმა პროფესორის წოდება მიანიჭა. ალექსანდრე ნიკურაძე აქტიურად იყო ჩართული სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში, იკვლევდა დიალექტრულ მასალებს, აქტიურად მუშაობდა გამოყენებითი ფიზიკის სფეროში იონთა და ელექტრონთა თეორიებზე.

ალექსანდრე ნიკურაძეს გამოქვეყნებული აქვს ფიზიკა-მათემატიკის დარგში 35-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო 1928 წლიდან ამავე დარგში აქვეყნებს გერმანიის წამყვან ჟურნალებში (ფიზიკა, ფიზიკური ქიმია, ელექტროტექნიკა) სტატიებს სანდერსის ფსევდონიმით ან ზოგჯერ რ. რუსიშვილის თანაავტორობით. ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ორი ცნობილი წიგნი ფიზიკაში – **Al. Nikuradze. Das Zweistoffsystem Gas-Metall. München. 1950** და **Al. Nikuradze. Naturwissenschaft und Technik im Leben der Völker. München. Oldenburg. 1952** – რომლებშიც მიმოიხილავს თავის და სხვა მეცნიერთა გამოკვლევების შედეგებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული მიზეზების გამო სრულად ვერ გამოიცა სამი ტომი, რომლებიც ატომის თეორიას და მისი გამოყენების საკითხებს ეხებოდა.

1921 წელს, საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ ძეგბმა სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლეს, რადგან ნიკურაძეები წინააღმდეგი იყვნენ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების. ისინი ღიად ეწოდნენ საქართველოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენარჩუნების პროპაგანდას, რამაც შემდგომში მათ მიერ გერმანიის მოქალაქეობის მიღება განაპირობა. ემიგრაციაში მყოფი ალექსანდრე ნიკურაძე მალევე მოექცა კარლ ჰაუს ჰოფერის „ფართო სივრცეების“ თეორიის გავლენის ქვეშ. მან დაიწყო მუშაობა პროტექტორატის ამბიციურ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა, ქართველებს წამყვანი როლი ეთამაშათ ერთიან კავკასიურ კონფედერაციაში. ამასთანავე იგი აქტიურად იყო ჩართული ქართული სათვისტომოს ღონისძიებებში და ახლო კავშირები ჰქონდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიასთან. გერმანულ პოლიტიკურ ელიტასთან კარგი კონტაქტების წყალობით მან უამრავი ქართველი იხსნა ნაცისტებისაგან. იგი მონაწილეობდა ქართველ ემიგრანტთა ანტისაჭოთა მოძრაობაში, ეხმარებოდა ანტი-საბჭოთა შეხედულებებით განსჯვალულ ქართველ ემიგრანტებს და მფარველობდა მათ ტყვეობაში.

1934 წელს მან ბერლინში გერმანულად გამოაქვეყნა პირველი ცნობილი მონოგრაფია ფიზიკაში „თხევადი დიალექტრიკები“ (**Al Nikurade. Das Flüssige Dialektrikum. Berlin. 1934**). მონოგრაფია ითარგმნა რუსულ ენაზე; საგანგებოდ აღინიშნა, რომ მსგავსი ნაშრომი რუსულ ენაზე არ არსებობდა. ეს იყო იშვიათი პრეცედენტი, როცა საბჭოთა კავშირში დაიბეჭდა ემიგრაციაში მყოფი ქართველი ფიზიკოსის ფუნდამენტური ნაშრომი. მთელ საბჭოთა სამყაროში ეს ნაშრომი გამოიყენებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. იგი არ კმაყოფილდება ამ წარმატებით და იმავე წლებში მიუნხენში პირველად აარსებს ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტს (**Institute für Ionen und Elektronen Forschung**), რომელშიც იკვლევს ნაწილაკებს, იონებსა და ელექტრონებს. ამ ინსტიტუტის ადგილსა და როლზე ვეროპაში მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული წლიური ანგარიშის ცნობა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რაოდენ მასშტაბური და უდიდესი სამეცნიერო დატვირთვით მუშაობდა ქართველი მეცნიერის მიერ დაარსებული ფიზიკის ინსტიტუტი გერმანიაში. რასაკვირველია, ეს ინსტიტუტი მხოლოდ შემოწირულობებით ვერ იარსებებდა. საგარეოდ, მას გერმანიის მთავრობაც აფინანსებდა და მათი ბიუჯეტი, საერთო ჯამში, 1960 წლისთვის შეადგენდა 415.347 გერმანულ მარკას. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ეს ერთი 1960 წლის ბიუჯეტის დეტალური აღწერა, თუმცა ვეროპაში ამ პირველი ექსპერიმენტული ცენტრის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლოა შემდგომ წლებში მისი წლიური ბრუნვა ერთი-ორად უნდა გაზრდილიყო. ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ ინსტიტუტის დიდ მნიშვნელობას ვეროპაში.

ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტი მდებარეობდა ობერფალცის მაზრაში, სოფელ შვარცენფელდში (**Schwarzenfeld**), რომელიც ნიკურაძემ ბერლინის დაბომბვის შემდგომ იქ გადაიტანა. ინსტიტუტი აგებული იყო სოფლის განაპირას, ერთ მაღალ კონუსის მსგავს გორაზე, რომელზეც კაპუცინელ ბერებს ორსართულიანი მონასტერი აეშენებინათ და ყველა ემიგრანტი მიუსაფარს იქ ინახავდნენ. მათ შორის მოხვდა ქართველი ემიგრანტი და შემდგომში კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ ჯობაძე, რომელიც თავის მოგონებებში იხსენებს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა და თავისდა უნებურად აღმოჩნდა გერმანიაში ... გიოტინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში სწავლის პერიოდში გაიცნო გერმანიაში ცნობილი პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე, რომელიც შემდგომ მასთან გადავიდა და მუშაობდა იმავე ინსტიტუტში 1950 წლამდე, ვიდრე ამერიკაში წავიდოდა.

ალექსანდრე ნიკურაძის პოლიტიკური და პიროვნული პორტრეტი ყველაზე უკეთ ჩანს ქართველი მეცნიერის და მისი ერთგული მეგობრის, ვახტანგ ჯობაძის, მოგონებებში. მასში აღწერილია 1943 წლის ზაფხულში ალექსანდრე ნიკურაძესთან ერთად ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები და ცნობები: „ობერფალცის მონასტერში დაბინავებისას მიმიჩინეს ერთი ოთახი, რომელიც განმეორება იყო სხვა ოთახებისა, რადგან ისინი თავდაპირველად ბერების საკნებად იყო განკუთვნილი. გამონაკლისი იყო მხოლოდ ბატონ ნიკურაძის, უფრო დიდი ზომის ბინა მეორე სართულზე, რომელიც ალბათ მონასტრის შემდგომისათვის იყო განკუთვნილი. მეორე დიდი ოთახი სასადილო, რომელიც ინსტიტუტისთვის იმავე ფუნქციას ასრულებდა, რაც მონასტრისთვის..., ბერები ამერიკელები უნდა ყოფილიყვნენ და ვგონებ, მონასტერიც ამერიკის

კუთვნილება იყო. ბერებიც პატივს არ აკლებდნენ, რაც ომის შემდეგ, როდესაც ბატონი სანდრო (ასე ეძახდნენ ხშირად) ცოტა ხნით დააბატიმრეს, აშკარად გამოჟღავნდა. მიზეზი ჩემი ბატონ სანდროსთან გამწესებისა, თუ არ ვცდები, ჩემი ჯარიდან განთავისუფლება იყო. ჩემი ჯარიდან განთავისუფლების ოფიციალური მიზეზი კი იყო სანდროს ბიბლიოთეკის მოწესრიგება და ბიბლიოთეკარობა. მართლაც, როდესაც ჩემი პიროვნება წარუდგინე სანდროს, ძალზედ გულთბილად მიმილო, მაჩვენა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც 140-მდე წიგნს შეიცავდა და მითხრა, რომ ამ წიგნებიდან, რომლებიც უფრო ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანას ეხებოდნენ, ამომეკრიბა საბუთები, რომელიც საქართველოს და ევროპის ურთიერთობებს ეხებოდა. ეს იყო ჰორნესის, მენგინის, შუხარტისა და ებერტის ექვსტომიანი (**Reallexikon der Alferfum**) ნაშრომები, სადაც საკმაო მასალა ვიპოვე ე.წ. კემ-კერამიკისა და ბანდ-კერამიკის შესახებ. გულდასმით მალევე შევავროვე ეს მასალები და წარუდგინე, მან კი ღიმილით მითხრა: „მე ვითხარი ცოტა წაგემუშავებინა და არ მითხოვია თავი დააკალი ამ მასალას“.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში მას ედგა უზარმაზარი გლობუსი, რომელზეც გრძელ ელასტიკურ სახაზავს დაადებდა ხოლმე, რომ ერთი ადგილიდან მეორემდე საჭაერო ხაზი გაეყვანა. მას ხშირად ეხმარებოდნენ ჩინებული გრაფიკოსი მხაზველ-მხატვრები, მათ შორის ერთი მშვენიერი ქალი რომმარი ბალდერმანი, რომელიც სანდროს უამრავ დიაგრამას, რუკას და სხვადასხვა შესანიშნავ ნახაზს უკეთებდა როგორც ისტორიულ, ისე არქეოლოგიურ ნამუშევრებზე.

შორეულ სამშობლოს მოწყვეტილი ემიგრანტი მეცნიერები ხშირად საუბრობდნენ საქართველოს აწმყოსა და მომავალზე. ნიკურაძე, ფიზიკის გარდა, მუშაობდა ამიერკავკასიის ეკონომიკაზე, მისი განვითარების გზებსა და სამომავლო პერსპექტივებზე. იგი მიიჩნევდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გზა ეკონომიკაზე გადიოდა. ჯერ კიდევ მაშინ ალექსანდრე ნიკურაძე და ცნობილი გერმანელი ეკონომისტები, მათ შორის აღმოსავლეთის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი მიხეილ ახმეტელი დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველო მომავალში გახდებოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ტრანზიტული გზების ეკონომიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი ხიდი, რადგან საქართველო გეოგრაფიულად და გეოსტრატეგიულად ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს.

ალექსანდრე ნიკურაძის პიროვნულ დეტალებს, ცხოვრებისეულ სტილსა და დამახასიათებელ მანერებს ვახტანგ ჯობაძე შემდეგნაირად აღგვიწერს: „ნიკურაძე იყო უდიდესი მეცნიერი, გეოპოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გამოირჩეოდა საოცარი ნიჭიერებით და მაღალი მსოფლმხედველობრივი აზროვნების უნარით. მას უყვარდა ყველა და ყველაფერი ქართული და ეროვნული. იგი ყველა ქართველს დიდი პატივს სცემდა და ეხმარებოდა კიდევ, ამიტომაც ძმები ნიკურაძეები დიდი ავტორიტეტით და საუცხოო რეპუტაციით გამოირჩეოდნენ მთელს გერმანიაში. სანდრო ივანეზე უმცროსი და მომცრო ტანის იყო, რის გამოც საუბრის დროს ფეხის წვერებზე დგებოდა ხოლმე. ცოტა არ იყოს, ღიპიანი, მოშავო კანი ჰქონდა და უკან გადავარცხნილი ოდნავ შეთეთრებული ხშირი თმა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და მეტყველებას სმენას ამჯობინებდა. როცა საუბრობდა, უაღრესად სერიოზულ გამომეტყველებას იღებდა და ყოველთვის ცდილობდა, გასაგები სიტყვები გამოენახა და ნათქვამი მკვეთრ ფოკუსში მოექცია, რომ მოსაუბრე ნათქვამში დაეჯერებინა“.

ალექსანდრე ნიკურაძე, ფიზიკის გარდა, გატაცებული იყო პოლიტიკით, ჰუმანიტარული მეცნიერების დარგებით, საქართველოს ისტორიით, ლიტერატურით, არქიტექტურით, არქეოლოგიით, იურისპრუდენციითა და მთარგმნელობითი საქმიანობით, ამიტომაც ხშირად იწვევდნენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ლექციების კურსის წასაკითხად.

ალექსანდრე ნიკურაძეს, როგორც ისტორიკოსს, არქეოლოგს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს უდიდესი წვლილი მიუძღვის თითოეული დარგის განვითარებაში. გაცილებით შთამბეჭდავია მისი პოლიტიკური საქმიანობა და გეოპოლიტიკური მსოფლმხედველობა. იგი იყო ასევე მეორე დაწესებულების, კონტინენტური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის, დამაარსებელი და დირექტორი მიუნხენში. ეს ინსტიტუტი იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ევროპული და ევროინტეგრაციული იდეების კერა. ამის გამო მიუნხენი მსოფლიოს პოლიტიკური და მოწინავე სამეცნიერო ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში იყო ყოველთვის. ალექსანდრე ნიკურაძემ ამავე ინსტიტუტის საშუალებით სანდერსის (**Al.Sanders**) ფსევდონიმით გერმანულ ენაზე გამოსცა რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევა კონტინენტური ევროპის შესახებ: „ევროპული კონტინენტალ-პოლიტიკის განვითარების“ სერიიდან – „იაზონის მემკვიდრეობის გარშემო“, „ხალხთა მიმდინარეობანი აღმოსავლეთ ევროპაში“, „ევროპულ სახელმწიფოთა აღნაგობის საფუძვლები“, ასევე ღრმად ფუნდამენტური წიგნები: **OSTEUROPA in Kontinentaleuropaeischer Schau. München.Hoheneichen-Verlag.1942, KAUKASIEN, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien Geschichtlicher Umriss. München. Hoheneichen-Verlag.1942.** მათში ფაქტები და მოვლენები განხილულია ისტორიულ-ფილოსოფიური და ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით. გარდა ამისა: **UM DAS ERBE GROßBRITANIENS zur Wandlung der Politischen Struktur der Übersee. München.Hoheneichen-Verlag. 1942, DIE STUNDEN DER ENTSCHEIDUNG Kampf um Europa. München., UM DIE GEFTALTUNG EUROPAS München,** და **VOM TRAUM ZUR TAT** (ოცნებითგან ვიდრე საქმემდე); ამ წიგნებში მოცემულია ძალიან საინტერესო დებულებანი როგორც ევროინტეგრაციის იდეისთვის, ისე საქართველოს ისტორიისთვის. წიგნები მალე მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში.

ჩვენამდე მოღწეულია ალექსანდრე ნიკურაძის პოლიტიკური ხასიათის ნაშრომი „კავკასია“, რომელიც სამჯერ გამოცემულია 1938, 1942, 1944 წლებში. მასში ხაზგასმულია საქართველოს კავკასიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ნიკურაძის აზრით, საქართველოს, როგორც ცენტრალურ და პოლიტიკურად ყველაზე უნარიან ქვეყანას კავკასიაში, იგივე როლი ენიჭებოდა, როგორც გერმანიას ევროპაში. ნიკურაძის მიზანი იყო საქართველოს ხსნა ჰიტლერის რასობრივი თეორიისგან; იგი ლინგვისტურად აანალიზებდა, რომ, მართალია, ჩვენ არიყვართ არ ვეკუთვნოდით, მაგრამ ისე ჩვენ ევროპელები ვართ. ამის დამტკიცებას ცდილობდა არქეოლოგიური მასალებით, სოციალური წყობით, სახელმწიფოებრივი სისტემით, ხუროთმოძღვრებისა და ლიტერატურის საშუალებით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მაინც პოლიტიკური და მოჩვენებითი დიპლომატიური ნაბიჯი იყო. რასაკვირველია, ასეთი ფაქტის დასაბუთება – თეთრზე შავის დაწერა – დიდ ძალისხმევას მოითხოვდა; ამას სჭირდებოდა საერთაშორისო აღიარება და ზემოხსენებული საკითხების ფოკუსირებული პროპაგანდა, ამიტომაც მას ჰყავდა ქართველ, გერმანელ, კავკასიელ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ჯგუფები, რომლებიც ეხმარებოდნენ ამ იდეოლოგიის პროპაგანდაში. მათ შორის იყვნენ: მარკოზ ტულუში, მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, თბილისელი გერმანელი **Dr. Emil Wallker** – გაქართველებული ქართველოლოგი. ჩრდილოკავკასიელებიდან სანდროსთან თანამშრომლობდნენ ჟურნალისტები ჯაბაგი (ყაბარდოელი), ჩერქეზეთიდან აიტეკ ნამიტოვი, აზერბაიჯანიდან რასულ-ზადე. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ იყო ჰიტლერის დასარწმუნებლად, მაგრამ გარკვეულწილად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ პერიოდის ქართულ-გერმანულ პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ალექსანდრე ნიკურაძე 1934 წლიდან ნაციისტური პარტიის წევრი ხდება, ამის შემდგომ იგი ჰიტლერის მრჩევლის თანამდებობას იკავებს სამეცნიერო დარგში. ალექსანდრე ნიკურაძე ძალიან გავლენიანი და ავტორიტეტული პიროვნება იყო. ეს დასტურდება იმით, რომ ნიკურაძესთან ხშირად თავს იყრიდნენ და საუბრობდნენ გერმანიის მთავრობის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, მათ შორის: სტუდენტობის დროინდელი მეგობარი და ოკუპირებული აღმოსავლეთ ტერიტორიების მინისტრი ალფრედ როზენბერგი, რომელიც იყო ბალტიური წარმოშობის გერმანელი და რასობრივი თეორიის მტკიცე მიმდევარი, ასევე **Dr. Schimdt**-ი, რომელიც ერთ-ერთი გავლენიანი ჟურნალის **Volkische Beobachter**-ის რედაქტორი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკურაძეც ხშირად იწვევდნენ რაიხსტაგში უზენაეს სახელმწიფო მოხელეებთან მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ თათბირებზე მრჩევლის ან ექსპერტ-პროფესორის სტატუსით. ასევე ნიკურაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის სელის ნაწარმის ცნობილ მაგნატთან – ვიტთან, რომელიც მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მრჩეველიც იყო.

ალექსანდრე ნიკურაძის გეოპოლიტიკური იდეებით აღფრთოვანებული თანამოაზრე ალფრედ როზენბერგი ეხმარება და უქმნის „კონტინენტური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტს“, რომელშიც მუშავდებოდა კონტინენტური ევროპის სამომავლო იდეები ჰაუსპოფერის და შპენგლერის თეორიათა ჭრილში. ნიკურაძის გავლენას განიცდის როზენბერგის პროქართული შეხედულებები, იგი ჯერ კიდევ 1927 წლიდან მიიჩნევდა, რომ კავკასია რუსეთისგან უნდა გამოიყოფოდა, ხოლო 1941 წლის აპრილში წერდა, რომ კავკასიის ხალხებს შორის ქართველები ისტორიულად და პოლიტიკურად წამყვანები იყვნენ, ამიტომ საქართველო კავკასიური სახელმწიფოების კონფედერაციის მთავარი ცენტრი უნდა გახდეს და მისი სუვერენიტეტის დაცვა გერმანიის მხარდაჭერის პეროგატივად იქცეს. რასაკვირველია, გერმანია ამ პასუხისმგებლობას არ გაეცეოდა, რადგან თვლიდა, რომ ეს სწორი პოლიტიკა იყო.

ალფრედ როზენბერგს იმდენად სჯეროდა ნიკურაძის, რომ 1944 წელს დაავალა მთელი შტაბით პარიზში გადასულიყო ფრანგ მოაზროვნე საზოგადოებაში როზენბერგის ევროპული იდეების საპროპაგანდოდ. რა თქმა უნდა, ეს ვერ განხორციელდა, რადგან როზენბერგის პროქართული შეხედულებები აშფოთებდათ სხვა ქვეყნის ემიგრანტებსაც. როზენბერგის იდეა ამგვარი იყო: კავკასიური ფედერაცია თანასწორი პარტნიორი უნდა ყოფილიყო „შავიზღვისპირეთის სახელმწიფოთა კავშირში“, ბუნებრივია, გერმანიის პროტექტორატით. კავკასია, უკრაინა, რუმინეთი და კამბაკთა ტერიტორია ევროპის „გაგრძელება“ გახდებოდა, როგორც თავის დროზე გოთების სახელმწიფო იყო. მაგრამ, რაც უნდა მომხდარიყო მომავალში, მათზე გერმანული კონტროლი უნდა გავრცელებულიყო და რაიხსკომისარიატის სტატუსი კავკასიისთვის, ისევე, როგორც უკრაინისთვის, მოსკოვისა და ბალტიის ქვეყნებისთვის დიდად სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო, რადგან აღმოსავლეთ სამინისტროს (ასე ერქვა შემოკლებით როზენბერგის სამინისტროს) იდეებით არავინ იყო მოხიბლული.

1951 წლის სექტემბერში ა. ნიკურაძემ პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, რომელშიც გამოთქმულია ორიგინალური იდეები, რითაც ევროკავშირის სამართალი დღესაც საზრდოობს. ასევე მან დიდი წვლილი შეიტანა ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის, როგორც ინტერდისციპლინური დარგის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან, ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრევიერის“ სასახლეში შედგა ევროპულ მეცნიერთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, ოსმალეთიდან და კიდევ სხვა მრავალი ქვეყნიდან. კონგრესის საგანი იყო ევროპული საჭირობოროტო საკითხების წამოწევა. კერძოდ, სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო მისი აზრი ცნება-ტერმინ „ევროპოლოგიის“ შემოღების შესახებ. „ევროპოლოგია“ იმთავითვე გულისხმობდა ევროპული სამეცნიერო დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა, ალექსანდრე ნიკურაძე აქვეყნებდა საინტერესო წერილებსა და გამოკვლევებს ემიგრანტ ნინო და კალისტარტე სალიების პარიზში გამოცემულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“. აქედან აღსანიშნავია 1956 წლის აპრილში პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული „არგონავტების მითი“, რომელიც გამოიჩინა ღრმა ისტორიული და მეცნიერული თვალსაზრისით. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ფრანგულ ჟურნალ „Revue de Kartvelologie“-თან, რომელშიც გერმანულ ენაზე აქვეყნებდა ქართველოლოგიური ტიპის ნაშრომებს, კერძოდ: „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“, „პატრი მიხეილ თარხნიშვილი (გარდაცვალების გამო)“, „სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“, „დოქტორი ოტო გუნტერ ფონ ვებენდოვი, როგორც ქართველოლოგი“, „ისტორიოგრაფიული შეხედულებანი ალბანეთის შესახებ“, „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა“, „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით“, „ა. ანამიტოვი (გარდაცვალების გამო)“, „(სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის“ (კავკასია შესაძლოა პირველი სამშობლოა სუმერთა ლითონის) და სხვა.

ძალზე საინტერესოა ა. ნიკურაძის მოღვაწეობა მიუნხენში პედაგოგიური და სამეცნიერო თვალსაზრისით. იგი თავად მართავდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებს, ამასთანავე აქტიურად მონაწილეობდა მათში. აღსანიშნავია რამდენიმე სამეცნიერო ღონისძიება, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერის სახით ე.წ. „Der Münchner Gespräche“, მიუნხენური დისკუსიები, 1956/1957 წლის იანვარი — ზამთრის სემესტრის სესიის სახელწოდებით. „მიუნხენური დისკუსიები“ იმართებოდა კონტინენტური ევროპის კვლევის ინსტიტუტში ფილოსოფოს დემპფისა და ისტორიკოს ნიკურაძის ხელმძღვანელობით; უამრავ მომხსენებელ მეცნიერთა შორის იყო ა. ნიკურაძეც შემდეგი თემით: „ავტომატიზაცია-ევროპა, მათი ამოცანები, შესაძლებლობები და საზღვრები“. მოხსენებაში საუბარი იყო ავტომატიზაციის გავრცელების არეალზე, მის დანიშნულებასა და გამოყენების შესაძლებლობებზე.

ასევე ჩვენამდე მოღწეულია 1957 წლის მაისის სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამეცნიერო სხდომა „მიუნხენური დისკუსიები“ გაიმართა კონტინენტური ევროპის კვლევის ინსტიტუტის და ამავე ინსტიტუტთან არსებული გერმანული კომიტეტის ასოციაციის ევროპული უნივერსიტეტის ეგიდით, თემზე „ავტომატიზაცია-ევროპა“. სხდომას უძღვებოდნენ პროფესორები: მიუნხენის უნივერსიტეტის ფილოსოფოსი ალიოს დემპფი (**Prof. Dr. Alios Dempf**) და ფიზიკოსი ალექსანდრე ნიკურაძე. სამეცნიერო ღონისძიების სხვადასხვა სექციაში უამრავი ადგილობრივი და ცნობილი მომხსენებელი მონაწილეობდა, ნიკურაძე კი ყოველთვის ფიზიკა-ისტორიის მიმართულებით გამოდიოდა. მაშინ მისი მოხსენების თემა იყო: „პროდუქტიულობა-ავტომატიზაციის საერთო ბაზარი ევროპაში ტექნიკური განვითარების თვალსაზრისით“, რომელშიც იგი საუბრობდა ევროპაში პროდუქტიულობის გაზრდის შესახებ, მის გამომწვევ და შემაფერხებელ მოვლენებზე, ავტომატიზაციის განვითარებასა და მის რისკ-ფაქტორებზე, ტექნიკურ და სამეცნიერო პროდუქტიულობასა და მათ შორის დამოკიდებულებებზე. იგი მიიჩნევდა, რომ სამეცნიერო და ტექნიკური კვლევები უნდა ემსახურებოდეს ადამიანის მატერიალურ და სოციალურ საჭიროებებს, რათა ავტომატიზაცია უკეთ ჩამოყალიბდეს და ადამიანმა შეძლოს მისი დროსთან მიმართებით მაქსიმალურად გამოყენება.

და ბოლოს, ჩვენს ხელთ არსებული „მიუნხენური დისკუსიების“ 1963 წლის 14 მაისის წიგნი, საუბარია ზოგადად ტექნიკის განვითარებაზე პირველი მსოფლიოს ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში. იგი ხაზგასმით ამბობდა, რომ სამეცნიერო ტექნიკის განვითარებას მოაქვს განსხვავებული წინაპირობები ეკონომიკისთვის, ტრანსპორტისა და კიდევ სხვადასხვა დარგისთვის. ამიტომ იგი გამოდიოდა ინიციატივით, რომ შექმნილიყო და ჩამოყალიბებულიყო ცალკე დარგი „Volkswirtschaft“ ეკონომიკა, რომელშიც შევიდოდა ეკონომიკური სწავლების საკითხები. რა თქმა უნდა, ა. ნიკურაძის ყველა მოხსენებას, ყველა გამოსვლას, ნებისმიერ ინიციატივას ყოველთვის დიდი გამოხმაურება მოსდევდა და არც ერთ მიუნხენურ დისკუსიას არ ჩაუვლია უხმაუროდ და უშედეგოდ.

ალექსანდრე ნიკურაძემ ოჯახი გვიან შექმნა, სავარაუდოდ 1958 წელს, მან გერმანიაში იქორწინა გერმანელ ჰილდე ჰერპინზე, მეუღლემ უმაღლესი მიიღო ქმრის გვარი — ჰილდე ჰერპინ ნიკურაძე, რაც ძალიან იშვიათი მოვლენა იყო იმ დროისთვის. ჰილდე ძალიან მშვიდი, განათლებული, სათნო და ლამაზი ქალი ყოფილა. მათ შეეძინათ ერთადერთი ქალიშვილი ელისო (ელისაბედ) ნიკურაძე. ელისაბედს ქართული ესმოდა, თუმცა იშვიათად საუბრობდა ქართულად.

ალექსანდრე ნიკურაძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად 1980 წლის 13 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალულია ქ. მიუნხენში. მის დაკრძალვას მთელი უნივერსიტეტი დაესწრო (ალექსანდრე ნიკურაძეს სიკვდილამდე ორი მთავარი სურვილი ჰქონდა: პირველი — ეს იყო ფიზიკის საკუთარი ინსტიტუტის ხელსაწყო-იარაღები და უნიკალური პირადი ბიბლიოთეკა გადასცემოდა მისი სიკვდილის შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რაც არ მოხდა. მისი ინსტიტუტი მიუნხენის უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა იჩუქა, წიგნების დიდი რაოდენობა კი გერმანიის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებმა და ბიბლიოთეკებმა დაინაწილეს. რაც შეეხება მეორე სურვილს, იგი ოცნებობდა სიცოცხლეში სამშობლოში ჩამოსულიყო, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მისი ნეშტი საქართველოს მიწისთვის მიეზარებინათ. მისი ოცნება, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შესრულდა).

ამრიგად, წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი მეცნიერის ა. ნიკურაძის როლი როგორც ქართულ, ისე გერმანულ პოლიტიკურ ცხოვრებაში უაღრესად დიდია. რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი ნაშრომები სრულად ვერ ასახავს ალექსანდრე ნიკურაძის მთელ შემოქმედებას, თუმცა მნიშვნელოვნად წარმოაჩენს მის როლს ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის შექმნა-ჩამოყალიბების საქმეში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ალექსანდრე ნიკურაძე აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ პროცესებში (ე. წ. გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ახალი ევროპის კონტინენტის შექმნა და შემდგომ მათი განლაგება), მათ შორის აღსანიშნავია კავკასიის კონფედერაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ლიდერობას კავკასიის რეგიონში გერმანიის პროტექტორატით. ვინაიდან საქართველო იყო გეოგრაფიულად ტრანზიტული და გეოსტრატეგიული ქვეყანა, ხოლო ქართველები და გერმანელები წმინდა რასას მიეკუთვნებოდნენ, ამიტომ საქართველოს ცენტრალური როლი უნდა შეესრულებინა მთელ კავკასიაში, ისევე როგორც გერმანია ასრულებდა დიდ როლს მთელ ევროპაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ნიკურაძის მიერ დამუშავებული „კავკასიის კონფედერაციის იდეა“, რომელსაც სრულად იზიარებდა ალფრედ როზენბერგიც, ცნობილი კონცეფციის – „პრომეთეს“ მოძრაობის – უშუალო გაგრძელება იყო გერმანიის პროტექტორატის გარეშე.

ალექსანდრე ნიკურაძის დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გერმანიის ყველა გავლენიან და უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებთან მეგობრობისა და იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტასთან ახლო კავშირის მიუხედავად, მას არასოდეს გამოუყენებია ეს პირადი ინტერესებისთვის, პირიქით, ყოველთვის ცდილობდა მოეპოვებინა მათი კეთილგანწყობა კავკასიელებთან (საქართველოსთან) ურთიერთობაში, რაც უნდა ასახულიყო პოლიტიკურ სიტუაციაზე. მართალია, ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმდროინდელ ქართულ-გერმანულ ურთიერთობაში, ასევე გერმანიაში მყოფი ქართველი ემიგრანტების ცხოვრებაშიც. ალექსანდრე ნიკურაძეს სხვა დამსახურებებთან ერთად უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ქართველოლოგიის განვითარება-პოპულარიზაციაში გერმანიასა და ზოგადად მთელ ევროპაში, იგი ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. ალექსანდრე ნიკურაძე ქართულ შედეგებს ხშირად თარგმნიდა და აქვეყნებდა გერმანულ ენაზე ევროპის წამყვან ჟურნალ-გაზეთებში, რითაც ცდილობდა გაეთქვა საქართველოს სახელი.

ვფიქრობთ, ალექსანდრე ნიკურაძის შემოქმედება კიდევ არაერთხელ გახდება სამეცნიერო კვლევის საგანი, ვინაიდან სრულიად შეუსწავლელია მისი შემოქმედების მრავალწახნაგა მხარეები, მათ შორის, როგორც ფიზიკოსის, ისტორიკოსის, არქეოლოგის და ქართველი ემიგრანტი-ინტელექტუალის ცხოვრება. ჩვენ აქ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ა. ნიკურაძის მხოლოდ პოლიტიკური პორტრეტი და მის როლი ევროინტეგრაციასთან მიმართებაში. მიგვაჩნია, რომ ეს მომავალში უცილობლად გახდება საფუძველი მომავალ მკვლევართა მუშაობისთვის, ვინაიდან ა. ნიკურაძის ფენომენი, დროის მიუხედავად, არასოდეს დაკარგავს კვლევის მნიშვნელობას.

ლიტერატურა:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ნიკურაძის არქივი დამუშავების პროცესშია. დროებითი №48. 1960 წ.
2. ჯობაძე გ., ჩემი თავგადასავალი, თბ. 2009.
3. ჟურნალი „ქართლოსი“, №1, 1937.
4. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, თბ., 1991.
5. ნიკურაძის არქივი, დროებითი №54, 1957.
6. ნიკურაძის არქივი, დროებითი №33, 1957.
7. ნიკურაძის არქივი დროებითი №32, 1963.
8. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მესამე, თბილისი, „მერანი“, 1993.
9. შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, 8.
10. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, № 16, 1954 წ. იანვარი, პარიზი.
11. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, № 17, 1954 წ. მაისი, პარიზი.
12. გაზეთი, „საქართველოს რესპუბლიკა“, № 236, 2010.
13. Sanders Alexsander, OSTEUROPA in Kontinentaleuropaeischer Schau. München.Hoheneichen-Verlag.1942.
14. Sanders Alexsander, KAUKASIEN, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien Geschichtlicher Umriss. München. Hoheneichen-Verlag, 1942.
15. Sanders Alexsander, UM DAS ERBE GROßBRITANIENS zur Wandlung der Politischen Struktur der Übersee. München.Hoheneichen-Verlag. 1942.

EDISHER JAPHARIDZE

Georgian Technical University

ALEXANDER NIKURADZE – AT THE BEGINNING OF EUROPOLOGY**SUMMARY**

A. Nikuradze was one of the most competent researchers of Georgian-European relations and the director of the research Institute of continental Europe in Munich. In September 1951 he read a report in the Paris association of fellow countrymen of Georgia. „General pictures of Georgian European background”, in which original ideas are stated. Ideas which nourish European Constitution to this day. He is also widely credited with European Integration and Europology as forming and developing the field of the inter-discipline. In September 1952, near city companies in France with A. Nikuradze's initiative was a conference of European scientists in LaBrévine. The subject of the conference was putting forward European troubling issues to discuss. In particular, among other propositions the congress accepted his opinion, a concept of adopting the term Europology. Basically „Europology” meant gathering European scientific fields and forming them as one unity of study. A. Nikuradze was play very important role for the developing of kartvelology in Germany.

Thus, it can be said that at the initial point of European Integration were standing the two world famous Georgian emigrant scientist A. Nikuradze, who are widely credited with forming and developing the European Union.

მაკიაჲ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

გავერდი ცნობიერება გიორგი კეკელიძის წიგნებში

ყველა დროსა და ეპოქაში არქივებსა თუ მუზეუმებში დაცული ბევრი ტაბუდადებული წერილობითი მასალა მუდამ უცდიდა შესაფერის დროსა და გარემოებას, რათა მომხდარიყო მათი შესწავლა-საჯაროობა.

ამ უნიკალურ და ტაბუდადებულ დოკუმენტთა რიგს მიეკუთვნება XX საუკუნის ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოღვაწეობაზე ისტორიული ხასიათის წყაროები და პირადი წერილები.

საბჭოთა დიქტატურის პერიოდში საქართველოში აკრძალული იყო ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა ხსენებაც კი, მაშინ, როცა დღეს დიდია მეცნიერ-მკვლევართა და საზოგადოების დანიტერესება ემიგრანტთა ცხოვრება-მოღვაწეობისა და მათ შემოქმედებით საქმიანობის ამსახველ მასალებსა თუ ხელნაწერებზე.

ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედებითი ნაწილის ის დოკუმენტური წყაროები, რომლებიც დღეს დაცულია, არამარტო საქართველოს არქივებსა თუ მუზეუმებში, არამედ მათ ახლობელთა პირად არქივებში - წერილების სახით.

საერთოდ, ეპისტოლარული მემკვიდრეობა შემოქმედებითი პროცესის განსაკუთრებული სფეროა. ეს იმდენად პირადული, ინტიმური სამყაროა, რომ მათი სამზეობე გამოტანა, გამოქვეყნება, შესაძლოა, მართებულად არც მიიჩნეოდეს, მაგრამ მას ერთი დადებითი მხარე აქვს. „პირადი წერილები, უფრო თვალსაჩინოთ წარმოადგენს ავტორის ბუნებრივ, შეუფერავ სახეს, რადგან მასში ფიქსირებულია წამიერი განწყობილებანი, უეცრად დაბადებული აზრები. პირადი წერილების „ინტიმური დიალოგები“ გვაცნობს ეპოქას, გვიმხელს და აზუსტებს პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების უცნობ დეტალებს“.

ამ განასერში წარმოვადგენთ ცნობილი პოლიტიკური ემიგრანტის გიორგი კერესელიძის დღემდე უცნობ პირად წერილებს, რომელსაც ავტორი თბილისში თავის დას ელენე გლუჯიძეს უგზავნიდა: „შენი ბოლო წერილი ბერლინში, დაახლოებით, ამ 20-22 წლის უკან მივიღე. დღეს 8 ამ თვის ბარათით უაღრესი ბედნიერება მივიღე. შენ და მეღა დავრჩით ჩვენი დედ-მამიშვილებიდან. ლეომ, იასონმა და ვახტანგმა დაგვაობლეს.“

მომწერე ხოლმე ყველა ამბები. აკოცე ყველას ჩვენებს და სთხოვე ხან და ხან მაინც ორიოდ სიტყვით გამომებაასონ. ჩვენი იასონის შვილები რომ დიდად ლამაზნი იყვნენ, ამას ხშირად მიაბობდა ხოლმე ლიბა ჩერქეზიშვილი. ერთი პირობა იასონის ბავშვების ბერლინში ჩამოყვანას ვაპირებდი, ხოლო ბევრმა ჩემგან დამოუკიდებელმა გარემოებამ ხელი შემიშალა. ეხლა არა ვნანობ. საქართველოს თავისი შვილები თვითონ სჭირიან და მათი გაფანტვა დედამიწის ზურგის სხვადასხვა კუთხეებში დიდი ეროვნული დანაკლისია **[კერესელიძე 1956]**.

ცრემლნაპკურებ პირველ წერილში სიტყვები ძლივსღა იკითხება. ამდენი ხნის მონატრებულ ძმას სურდა ყველაფერი გაეგო მისი ახლობლების ირგვლივ: „შენი 3 თებერვლის წერილი დიდი ხანია მივიღე და უღრმესი ბედნიერებით წავიკითხე.“

მართალია, ბევრი სამწუხარო ცნობებია შიგ (ვახტანგ ქართველიშვილის, საშა ნათიშვილის, ვანო უთნელიშვილის, ტიტო გურამიშვილის, ნესტორ მაღალაშვილისა და კობტას შესახებ), მაგრამ შენი სიტყვები, კვლავ მიბრუნებენ ბავშვობისას განცდილ გრძნობებსა და სურათებს. რამდენი ტკბილი და რამდენი მწარე მოგონებანი აღსდგებიან ხოლმე ჩემ თვალთა წინაშე და ჩემი გულის სიდრემში. ხო, ჩემო ელენე, 13 აპრილს შესრულდება 51 წელი, რაც მე უცხოეთში დავეხეტები ქვეყნიდან ქვეყანაში. მაგრამ განა უკეთესთა უკეთესი ქვეყანა სამშობლოს ადგილს დაიჭერს?!...

მწერ - თბილისს ველარ იცნობო. და, განა, საერთოდ საქართველოს კიდევ ვიცნობ, ღმერთმა რომ მისი ნახვა მაღირსოს?! ფიზიკურად შეიძლება ესა თუ ის კუნჭული კიდევ მეცნობოს, მაგრამ მორალურად? ე.ი ნათესავ-მეგობრები და საერთოდ მთელი ერი და მე, 51 წლის დაშორების შემდგომ კიდევ ვიცნობთ ერთი-მეორეს?!

შენი ერთგული და მოსიყვარულე ძმა გიორგი კერესელიძე“ **[კერესელიძე 1957]**.

ცნობილი დუშეთის საქმის გამო 1906 წელს ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, მათი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი მოსალოდნელი დაჭერის შიშით შვეიცარიაში გაიხიზნენ.

რუსეთის მთავრობამ მათ კვალს მალე მიაგნო და შვეიცარიის მთავრობისაგან მოითხოვა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გადმოცემა. შვეიცარიის მთავრობამ ისინი დააპატიმრა. მათ საქმეს სასამართლოზე მოწვეულმა საერთაშორისო სამართლის ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ნისსმა შემდეგი მსჯავრი დასდო: „რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდეგობი საერთაშორისო სამართლისა, ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისაგან, პოლიტიკური აქტია. დუშეთის საქმეზე - კერესელიძეებისა და მაღალაშვილის გადაცემა რუსეთისათვის, ამიტომაცაა უკანონო საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგანაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან, არამედ პატრიოტულ - რევოლუციონური აქტის ჩამდენნი“ **[წერეთელი 1962:11-13]**.

საერთაშორისო სამართლის ძალით განთავისუფლებული ძმები კერესელიძეები ჟენევაში დამკვიდრდნენ. უფროსმა ძმამ ლეო კერესელიძემ ჟენევის უნივერსიტეტი დაამთავრა და მეცნიერ-იურისტი გახდა, ხოლო გიორგი ქიმიის ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი უკვე ცოლ-შვილიანი იყო და მის მეუღლეს თამარ ციციშვილს პირველი ვაჟი მათე საქართველოში, ხოლო მეორე ვაჟი ლეო (ლულუ) ჟენევაში შეეძინა.

ძმებმა კერესელიძეებმა ჟენევაში პეტრე სურგულაძესთან ერთად „სეპარატისტთა ჯგუფი“ დაარსეს, რომლის ჟურნალი იყო „თავისუფალი საქართველო“. ჟურნალის რედაქტორი იყო პეტრე სურგულაძე, ხოლო თანამშრომლებად და ავტორებად კი ლეო და გიორგი კერესელიძეები, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და ნესტორ მაღალაშვილი. პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი ყოველთვიური ჟურნალი 24 გვერდიანი იყო. სულ 1913-14 წლებში ჟურნალის 4 ნომერი გამოვიდა **[ჯანელიძე 2002:149-159]**.

ამ ჯგუფმა და მისმა ჟურნალმა მოამზადა ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად. „სეპარატისტთა ჯგუფი“, 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტად“ გადააკეთეს.

კომიტეტის წევრებთან ერთად გიორგი კერესელიძე ხან სტამბოლში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში მუშაობდა, 1916 წელს ბერლინში „საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ „ქართული გაზეთი“ დაარსა, რომელსაც 1917 წლის დეკემბრიდან მის დახურვამდე (1918 წლამდე) რედაქტორობდა.

1918-19 წლებში გიორგი კერესელიძე მუშაობდა ბერლინში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოში. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წლებში იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აქტიურ პარტიულ საქმიანობას ჩამოშორებული გიორგი კერესელიძე, გერმანიიდან საბოლოოდ საფრანგეთში დამკვიდრდა და ფართო ლიტერატურულ მოღვაწეობაში ჩაება.

და, როგორც ყველა ემიგრანტს მასაც დაუგროვდა ბიოგრაფიული და ინფორმაციული ვაპიტალი. გიორგი კერესელიძე კალამს პროზაში ცდიდა. მას გამოუქვეყნებელი დარჩა ბიოგრაფიულ-მემორიალური ხასიათის მოგონებები, რომელიც მისმა შვილიშვილმა ნინო კერესელიძემ ქართველ მკვლევარს გიორგი მამულიას გადასცა.

გიორგი კერესელიძე ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მაინც ღრმა ფესვებით იყო დაკავშირებული სამშობლოსთან. ბუნებრივია, რომ მის ყოფასაც თან სდევდა სევდა, ტკივილი და მონატრება: „მომავონდება ხოლმე გორი, სადაც შენ, ლეო, ვახტანგი და მე დავიბადენით. მახსოვს ის სახლი, გორში, იქ სადაც ფშანი ლიახვსა და ლიახვი მტკვარს ერთიან. მაგონდება ხშირად ჩვენი აღმზრდელი აკვანი, გადახილი, ღარიბი, ჭუჭყიანი ახრისი და ვერ აღვიწერ რამდენ პოეზიასა ვპოულობ თუნდაც შემდეგ სურათში: წყლის „ბოჭკა“, საღორესთან ახლოს, „ბოჭკის“ კრანთან „გობი“, სადაც წინწკალ-წინწკალ წყალი გროვდებოდა, გადმოდიოდა და ქმნიდა პატარა წუმპეს, იხვისა და ბატის ჭუკების საბედნიეროთ.

მახსოვს დედა, ახალგაზრდა, ლამაზი, ტანადი, კობტა, ეშხით, მიმზიდველობით, საოცარი კეთილის ღიმილით დიდად დაჯილდოვებული. მისი ლიტერატურული და პოლიტიკური „სალონი“.

სტუმრობა, სახლი მთაწმინდაზე - იმედები მომავლისა - მამა, ილიასა და აკაკის რომ აღფრთოვანებით გვიკითხავდა და გვაყვარებდა. ყოველივე ეს და სხვა ბევრი რამ ღრმად და დიდის სილამაზით აღბეჭდილი არიან ჩემს გრძნობებში“ **[კერესელიძე 1957]**.

გიორგი კერესელიძის წერილებში სამშობლოსა და ახლობლების მონატრებასთან ერთად საინტერესო ლიტერატურული პასაჟებიცაა გაჟღერებული, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მის განსწავლულობასა და კრიტიკულ, ესთეტიურ შეხედულებებზე: „ჩემო ელენე, ვამაყობდი და ვამაყობ შენით, და როდესაც წარმომიდგები ხოლმე, როდესაც შენ მომეჩვენები, – ჩვენი ღვთაებრივი ნიჭის გრიგოლ ორბელიანის ლექსი, რუსეთიდგან თავის დას ეფემიას რომ სწერდა გაიღვებს ჩემს გულში:

„...დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ...
მისთვის ვლოც ცასა, შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი
არ შეწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ,
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულთ თვალნი
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ...“

გრიგოლ ორბელიანი, ჩემო ელენე, მე მიმანია მსოფლიო პოეზიის ერთ ულამაზეს ნიჭთაგან: ქართული სიტყვის სრულმპყრობელი, – დიდი ბატონი პოეზიისა, მუსიკალობისა, მხატვრობისა. მახსოვს, როდესაც მისი პოეზიისა და მამულიშვილობის დაფასებას ვწერდი – გარკვეულად მესმოდა ძახილი ჩემი სამშობლოსა. თითქოს მიკვირდა მისი ნიადაგი მორწყული მამა-პაპათა სისხლით, გაპოხიერებული მათი ძვლებით: „შენი გვამები მე მეკუთვნის, ისევე როგორც შენი აბრნი, შენი სული, შენი სიცოცხლე. მრავალ ტანჯულ გრიგოლს (სულიერად) – შვილთა იმედიც აღარა ჰქონდა, – სასტიკად შეუტია თერგდალეულებს. თაობამაც ველარ იცნო უცხო სამოსელში გამოწყობილი პატრიოტი; შეშინდა უებარი ვაჟკაცი: „ვაჰ თუ რაც წახდეს – ველარა აღსდგეს, – სასოწარკვეთილი მგოსანი ღრმად ამოიხრებს:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

და განუტევა სული თვისი.

„ემიგრანტული ლიტერატურათმცოდნეობა საგანგებოდ აღნიშნავს გაორებას რომანტიკოსი პოეტების ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გიორგი კერესელიძის მიერ წაკითხული მოხსენება „გრიგოლ ორბელიანი“ (ჟურ. „კრებული“, ნიუ-იორკი, 1957 წ.) [კერესელიძე 1957].

მე გრიგოლზე ბედნიერი ვარ, რადგან ღრმად მწამს რომ ჩვენნი შვილისშვილნი „ლამაზი და ვაჟკაცი ახალგაზრდობა“ მოუვლის ჩვენს ქვეყანას და მომავალს შექმნის წარსულის ღირსად. აბა, სხვა ვინა ჰყავს პატრონად „ჩვენს მშვენიერ ქვეყანას!“ [კერესელიძე 1957].

განსაკუთრებულია ემიგრანტთა დამოკიდებულება ილიას შემოქმედებისა და ქართული ნაციონალური იდეების ილიასეულ პარადიგმებთან.

ყურადღებას იქცევს ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედების მიმართ გიორგი კერესელიძის დამოკიდებულებაც: „ჟურნალ „ცისკარის“ რამდენიმე წერილმა („ცისკარი“ N5, 1957) ილიას შესახებ დიდათ დამაინტერესა. ილია ჩემთვის ღვთაებრივი მოვლენაა. მან გადაგვიჩინა სიკვდილის პირზე მისული საქართველო. სამწუხაროდ, კიდევ მთელი სიღრმით ვერ ჩავწვდით მისი შემოქმედების უსაზღვრო განძს. ზოგიერთთა ნაწერი, როგორც აქაური, ისე მანდაური ქართველებისა მცდარია, ღარიბი. თუნდ მისი „განდევილი“ ავიღოთ მაგალითად. აქამომდე არ შემხედვარია არც ერთი ისეთი განხილვა, რომელსაც ესმოდეს თუ რა რელიგიურ – ფილოსოფიური აზრი სდევს ამ გენიოსურ ნაწარმოებში.

ესეთი ორიგინალური, წმინდა ილიასებრი განხილვა კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლისა ვგონებ არავისა აქვს. არც „Flaubert“-ს, არც „Zola“-ს; არც ტოლსტოის, არც ლერმონტოვს, არც „anatol France“-ს და არც სხვას“ [კერესელიძე 1958].

„წინასწარ კოცნით გიხდი მადლობას ილიას საიუბილეო წიგნისათვის. ილიას ხსოვნა აქაც ვიდღესასწაულეთ. და განა შეიძლება ქართველმა, ვინც ამ სახელის ღირსია, ილია დაივიწყოს?“ [კერესელიძე 1958].

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი კერესელიძემ საფრანგეთში დამკვიდრებისას ფართო ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა გააჩაღა. მისი კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე ევროპაში გამოშვებულ ჟურნალ-გაზეთების გარდა ამერიკაში დაარსებულ ჟურნალ „კრებულშიც“ იბეჭდებოდა: „როცა ჩვენ გორიდან თბილისში გადავიდოდით მამაჩემის პატივსაცემად გორის პატრიოტულმა წრემ მის გარშემო გადააღებინა სურათი. მამა ზის შუაში – გარშემო: ზის მამას მარჯვნივ ნიკო ლომოური; მარცხნივ პავლე ბურჯანაძე; უკან დგანან (მარცხნიდან-მარჯვნივ) კონსტანტინე ცხვედაძე, სიმონ გოგლიჩიძე, ა. თოხაძე, ა. დავითაშვილი, სურათის წინ წამოწოლილია ს. მაგალობლიშვილი. ეს სურათი მოთავსებულია

ჩრდილო ამერიკაში დაბეჭდილ „კრებულში“ გრიგოლ (გიგო) დიასამიძის მოგონებებთან ჩართული. დიდი სიმპატიებით იხსენებს გიგო დიასამიძე მამას, ჩვენს ოჯახს, ისევე როგორც ლეოს და მე.

გიგო დიასამიძე და მისი ასული ლოლა ჩრდილო ამერიკაში არიან. ნიუ-იორკში ერთი ქართული ჟურნალი გამოდის. ამ ჟურნალმა წერილი მთხოვა. მივაწოდე ვრცელი განხილვა გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა და მისი პატრიოტიზმისა. ამასწინად მივიღე ხუთი ცალი. ჩემი წერილი ცოტა დამახინჯებულია. ამავე ნომერში მოთავსებულია გიგო დიასამიძის მოგონება გორის ეპოქისა.

ამავე ნომერში მოთავსებულია გიგოს და ლოლას სურათი. გიგო 87 წლისაა, მაგრამ კარგად გამოიყურება“ **[კერესელიძე 1958].**

დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ - აღნიშნავს იმავე წერილში გიორგი კერესელიძე სამი თუ ოთხი უკეთესი თარგმანი რუსულად მაქვს წაკითხული, ამდენივე და მეტიც გერმანულად, ესევე ფრანგულად. ხოლო, დანტეს პოემის სიღრმეს და მშვენიერებას რომ ჩავწვდენოდი, იტალიური ენა საგანგებოდ ვისწავლე. ყველა ჩემს მიერ წაკითხულ თარგმანებს არ ძალუძდათ ჩემთვის დანტე ეგოცენტრიზმის ნათესაობა. და მთარგმნელებმა 30, 40 და 50 წელი მონადომეს ამ ძნელ საქმეს. ესევეა გოეტე, ვირგილიუსი, მილტონის „დაკარგული სამოთხე“ და სხვა გენიოსური ქმნილებანი. ფრანგთა დიდმა მწერალმა შატობრიანმა თარგმნა „დაკარგული სამოთხე“ და ამბობს: ნახევარი ჩემი სიცოცხლისა ამ თარგმანს მოვანდომეო. თარგმნილია პროზით“ **[კერესელიძე 1958].**

შემდგომ წერილში გიორგი კერესელიძე დის შეკითხვაზე პასუხობს: „მეკითხები თუ აქ დასდგეს „ეგვნი ონგინი“ და თუ ვნახე. დიდად აქებენ. არ ვიცი თუ დასდგეს. ორიოდ რუსული ფილმი ვნახე მე აქ. უნდა გითხრა, რომ ჩემზე დასტოვეს უხეირო შთაბეჭდილება. ნამდვილი ჩამორჩენილი პროვინციაა. ქართული ფილმებიც (ორიოდე) ვნახე და გული გამისკდა. რაღაც ნაცარ გადაყრილად მომეჩვენა - მტვრიანი, უნიჭო, უხეირო. ერთად ერთი ფილმი, რომელმაც ალტაცებაში მომიყვანა, არის ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობიდან აღებული „ვირის ამბავი“. გამაოცა განსაკუთრებით ბავშვების ნიჭიერმა თამაშმა. სხვა მსახიობებიც ნიჭიერი არიან. კარგი ფილმი იმიტომაც რომ უბრალოა, უპრეტენზიო, გულწრფელი“.

ამ ეპისტოლეში იგულისხმება თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის რეჟისორობით გადაღებული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, რომელმაც 1965 წელს კანის საერთაშორისო ფესტივალზე პრიზი მოიპოვა.

გიორგი კერესელიძე აქვე რუსეთის ხელოვნებასა და მწერლობასაც აფასებს: „რუსული არც ფილმები მომწონს და არც საერთოდ ხელოვნება. რუსები სულ უნიჭო არ არის ხელოვნების ორიოდე დარგში: სიტყვაკაზმული მწერლობა, ცეკვა, ნაწილობრივ - მუსიკა. არარაობაა მათი ქანდაკება, ხუროთმოძღვრება და მეტად ღარიბია მათი მხატვრობა. მუსიკაში ჰყავდათ ორიოდე, შედარებით დიდი მუსიკოსი: ბოროდინი (მამით ქართველი - გედევანიშვილი); მუსორგსკი... (ჩაიკოვსკი, რომსკი კორსაკოვი და ორიოდე სხვა დიდებთ ვერ ჩაითვლებიან). ხოლო არც მუსორგსკი და არც ბოროდინი ვერ ჩაირიცხებიან მოცარტის, მონტე-ვერდის, ბეთჰოვენის, ჩიმაროზას, ბახის, ბრამსის და სხვა გიგანტთა კლასში.

რაც შეეხება სიტყვაკაზმულ მწერლობასა და პოეზიას ყავდათ მათ რამდენიმე დიდი მწერალი: ტოლსტოი, დოსტოევსკი, გოგოლი და შედარებით დიდი ნიჭის პატრონი ლესკოვი და გორკი. სხვები მეორე და მესამე ხარისხის არიან და ისინიც ცოტა.

ბელინსკი ამბობდა: „პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი კიდევ არ არის ლიტერატურა.“ და მართლაც: როდესაც მიიღებ მხელველობაში თუნდაც ფრანგთა მწერლობას შედარება აღარ შეიძლება. ეს არის ამოუწურავი სალარო. რუსებმა ვერ მისცეს კაცობრიობას ვერც შოთა, ვერც დანტე, ვერც შექსპირი, მოლიერი, გოეთე, თუგინდ რასინი, მილტონი და უამრავი სხვა. უდიდესი მწერლები რუსებისა რომ აიღო ერთ „დონ-კიხოტად“ არა ღირან. ყველაზე ნიჭიერი უეჭველად გოგოლი იყო.

და, აი, იმანაც თავი მოიკლა. იმედ გაწყვეტილმა, რადგან მთელ თავის ქმნილებაში ერთი პოზიტიური ფიგურა ვერ იპოვნა. გოგოლი იყო მორწმუნე ქრისტიანი და ის პესიმისტი, რომელიც გამოსჭვივის მთელს მის ქმნილებაში აუტანელი იყო მისთვის.

რუსები ვერც მოგვეცემდნენ საკაცობრიო მოტივებს, რადგან მათი ისტორია აღიზარდა ფეოდალიზმის გარეშე. რუსეთში ვერ წარმოიშვა რაინდთა ინსტიტუტი. ქრისტიანული კულტურა მათთვის მიუწვდომელი დარჩა. 24 თუ 25 წლისა ვიქნებოდი, როდესაც რუსული ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო ნაწარმოები თითქმის ზეპირად ვიცოდი. პოეზია თუ პროზა. და, აი 50 წელიწადია რაც ვკითხულობ, ვკითხულობ და არა თუ ვერ ამოვწურე ფრანგების ლიტერატურა არამედ

მისი ნაწილიც კი. ესევე შეიძლება ვთქვა ინგლისის, გერმანიის, იტალიის ლიტერატურის შესახებ“ [კერესელიძე 1959].

ძმები კერესელიძეების მამა მათე კერესელიძე 1873 წელს დასახლდა გორში ილიასა და ანტონ ფურცელაძის თხოვნით. მალე აზნაურის ქალი მარიამ ყანჩელი შეირთო. სოფელი ახრისი, სადაც კერესელიძეები სახლობდნენ, მეჯვრისხევთან ახლოს მდებარეობს.

„ჩვენ გვქონდა ჩვენი დედ-მამის სურათი პოეტ იოსებ დავითაშვილის მიერ ამოჭრილი ჩუქურთმიან ჩარჩოში. უკან ეწერა პოეტის სახელით – ჩვენი მშობლებისადმი მიძღვნილი მისი ლექსი. იქნება კიდევ არსებობს. ნუ დაჰკარგავ თუ შენს ხელთ არის. დედა-ენის ძველ გამოცემაში იყო მოთავსებული ი. დავითაშვილის „იზარდე, მწვანე ჯეჯილო“ – რომელსაც წაძღვნილი ჰქონდა: „უძღვნი ლეო კერესელიძეს“, ხომ არა გაქვს ეს გამოცემა“ (სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ იაკობ გოგებაშვილის დედაენის 27-ე გამოცემაში, რომელიც 1976 წელს გამოიცა დავითაშვილის ლექსს „ჯეჯილს“ ეს წამძღვარება აღარ აქვს).

ჩვენ გვქონდა აგრეთვე ანტონ ფურცელაძის პოემა: „თამარ-ღამნელი“, რომელიც მამაჩვენს უძღვნა...

გვქონდა აგრეთვე დედას მოთხრობა: „ნენე“ – მისი ლამაზი ხელით დაწერილი. ნეტავ ვისა აქვს ეხლა – თუ კიდევ არსებობს?“ – წერდა თავის დას გიორგი კერესელიძე.

მათე და მარიამ კერესელიძეები ნ შვილს უზრდიდნენ სამშობლოს (მხოლოდ ერთი ადრიანად გარდაეცვალათ) და ბავშვობიდანვე უნერგავდნენ რწმენას, რომ რუსი საქართველოდან უნდა წავიდეს. მათ ოჯახში შეკრებილი საქართველოს მოწინავე საზოგადოება, რომლებიც საქართველოს ჭირ-ვარამზე მსჯელობდნენ, ახალგაზრდებს კიდევ უფრო უმტკიცებდნენ აზრს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. ოჯახთან ნათელ-მირონობა აკავშირებდა მწერალ ანტონ ფურცელაძეს, რომელიც ლეო კერესელიძის ნათლია გახლდათ. მისი ორი წლით უმცროსი გიორგის ნათლია იყო ქაიხოსრო ფურცელაძე, ხოლო ერთადერთი ასულის ელენე კერესელიძის კი – აკაკი წერეთელი.

ფშანის ნაპირებზე ძმები კერესელიძეები ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სოფრონ მგალობლიშვილისა და ნიკო ლომოურის შვილებთან ერთად თამაშობდნენ და მეგობრობდნენ.

ლეო კერესელიძე და ლეო მგალობლიშვილი ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეო გამბეტას საპატივცემულოდ მის სახელს ატარებდნენ.

ცხადია, ოჯახი და გარემო პირობები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ძმები კერესელიძეების თავისუფლების იდეალების ჩამოყალიბებასა და პატრიოტული სულიკვებით აღზრდაზე.

„მე ქართველად დავიბადე და ქართველად წავალ საიქიოს“, – წერდა იგი დას... „მოვისმინე ხალხური სიმღერები. სამწუხაროდ უცხო რუსული გავლენა ეტყობა ჩვენს გუნდებს. ჩვენი ლამაზი **Legato, staccato** ან-თი შეუცვლიათ, მაგრამ ჩემს გრძნობებს მაინც ეალერსებიან. მდიდარი მუსიკა გვაქვს და დიდი ქმნილებების შექმნა შეიძლება ნიჭიერი კომპოზიტორის მიერ. ამ 12-13 წლის წინათ, აქაურ ოპერის მომღერლებმა შეასრულეს ორიოდე გალობა ფალიაშვილის ოპერებიდან ქართულ საღამოზე. მშვენიერი იყო. ბერლინში რომ ვცხოვრობდით, ჩემთან მოვიდნენ გერმანელები და მოხოვეს: „ფალიაშვილის ოპერის **patitura**“ –ის გადმოწერე და ოპერაში დავდგამთ.“ მივწერე ცხონებულ ფალიაშვილს. მიპასუხა: მე თვითონ ვაპირებ ჩამოსვლას და მაშინ ვნახოთო. ის აქ აღარ ჩამოვიდა და მისი ოპერებიც უცნობები დარჩნენ“.

„ჩვენი მოცეკვავეები ვნახე, დიდი ხანია ესეთი ეროვნული გრძნობით დაკმაყოფილება არ განმიცდია. საუცხოოდ ცეკვავენ. და, რაც ჩემთვის „უმთავრესია“, ჩვენი ეროვნული ცეკვის ძველი, რაინდული ტრადიციები, სავსებით დაცული აქვთ. არც ერთ ერს არა აქვს მსგავსი ფოლკლორის ცეკვა. ნინომ 4-ჯერ თუ 5-ჯერ ნახა. მისი მეგობრები აღტაცებულნი იყვნენ. ერთმა ნინოს მეგობარმა ქალიშვილმა „ფართო განათლებისა და არტისტულ გემოვნებით მდიდარმა, მითხრა: ქართველები სულ სხვა ხალხი ხართ. თქვენი მანერა, მოძრაობა, ზრდილობა – ყოველი თქვენი რასის არისტოკრატობის მალაღებელია. ქალი მოცეკვავეების მოძრაობა პლასტიური, მასთან თავდაჭერილი, მამაკაცების ცეკვა მათდამი პატივისცემას და რაინდულ ტრფობას გამოხატავენ და სხვა ქება-დიდება.“

ყველა ჩვენმა ნაცნობმა ფრანგმა დიდი ხოტბა შეასხეს, როგორც ჩვენს მოცეკვავეებს ისე თვით ჩვენს ცეკვას. „**Succes**“ დიდი ჰქონდათ, სამწუხაროდ, თეატრი, სადაც ცეკვავენ, პირველ ხარისხოვანი არ არის. უკეთესი თეატრი რომ ემოვნათ უფრო დიდი დაფასება ექნებოდათ, თუმც ასეც მშვენიერი „კრიტიკა“ ჰქონდათ პრესაში. თეატრი, სადაც ცეკვავენ, შედარებით მოზრდილია. ვგონებ სამი ათასი ადგილი აქვს. თითქმის ყოველთვის სავსე იყო. პროვინციაშიც დიდი გამოცხილი ჰპოვეს, განსაკუთრებით კი ნიცაში.

ჩემო ელენე, რომ იცოდე რა რიგ მწყურთან თქვენი ნახვა, ნახვა ჩვენი ქვეყნისა. უკვე დიდი ხანია, რაც ფიზიკური ტკივილითა ვგრძნობ სურვილს ჩემი სამშობლოს ნახვისა. თითქოს მთელი ჩემი სხეული მეუბნებოდეს: შენი ძვლები შენს ქვეყანას ეკუთვნის - „იქა ხარ დაბადებული და იქვე უნდა ჩახვიდე საფლავსა“ **[კერესელიძე 1958]**.

გიორგი კერესელიძე სიკვდილამდე ატარებდა დიდ ეროვნულ მუხტს. მისი ოჯახის ყველა წევრი ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, მაგრამ მათთვის უმთავრესი იყო მშობლიური ენა და საქართველოს თავისუფლება. იგი უცხოეთის ცის ქვეშ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა: „ამ დღეს (31.01.60) აქაური ქართველობა და ეკლესია, დღესასწაულობენ თბილისის დაარსების 1500 წელს. მე მაიძულეს ამ ზემის თავმჯდომარე ვიყო, ძალიან დაღლილ-დაქანცული და დასუსტებული ვარ, მაგრამ ვერა გზით ვერ გადავარწმუნე. „ერთხმად დავადგინეთ და ერთხმად გთხოვთ“ ...

„განმეორებით გმადლობ, ჩემო ელენე, წიგნების გამოგზავნისათვის. ყველაფერი რაც ქართულია, ჩემთვის ბედნიერებაა. აქაური მოგზაურები, თითქმის ყველა, ძალიან აქებენ საქართველოს, თბილისს, ქართველ ხალხს...

ეჰ, რა საშინელი სურვილი მაქვს ჩემი ქვეყნის ნახვისა!“

სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უცხოეთში გადახვეწილი გიორგი კერესელიძე 50 წლის გადასახედიდან აფასებდა ემიგრაციაში გატარებულ დროის რაობას და მისი აზრი ექვთიმე თაყაიშვილის შეხედულების თანხვედრი იყო, იმით, როცა ეს უკანასკნელი აცხადებდა: „ჩვენ ვერ გამოვდექით ღირსეულ შვილებათ, ვერ მოვუარეთ ბედივით მოგორებულს თავისუფლებას, ვერ შევხვდით მომზადებული დიდ ისტორიულ მომენტს, რომლის მსგავსი შეიძლება საუკუნეების შემდეგ განმეორდეს. არც სამშობლოში ვვარგოდით და ემიგრაციაში ხომ სულ დავიქსაქსეთ, ჯგუფები ერთმანეთს ჩასდგომიან კრიჭაში, მტრებს კი არ ებრძვიან, ერთმანეთის მოსპობა დაუსახავთ თავის მიზნად.

ყველა ქართველი რომ ერთსულოვნათ ვიყვეთ, მაშინაც ძნელია დიდი შედეგების მიღწევა, თორემ ასეთ დაქსაქსულობაში რაღა სახეიროს უნდა მოველოდეთ?!“ **[შარაძე 1992:94]**.

გიორგი კერესელიძე იმთავითვე კარგად ხედავდა „ეთერი გიორგის“ ორგანიზაციის ავსა და კარგსაც. იგი, როგორც მიხაკო წერეთელი აცხადებდა: „იყო ამხანაგთა და მეგობართა გამტანი, ერთგული. განუსაზღვრელად გულკეთილი, მუდამ დამხმარე ხელმოკლე ქართველთა. სიუხვით და სტუმართმოყვარეობით ცნობილი. და, რაც მართლა იშვიათი თვისებაა ადამიანისა, მასაც ჰქონდა: ეს იყო აროდეს დამახსოვრება ვისგანმე წყენისა, აროდეს შურისძიება, აროდეს ცუდისათვის სამაგიეროს გადახდა. მას არ სწამდა „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ასეთი იყო ცხოვრება და ბუნება ამ კეთილშობილი ქართველისა“ **[წერეთელი 1962:11-13]**.

გიორგი კერესელიძე შეუღრეკელი, მაგარი ბუნების კაცი იყო. იგი სიკვდილის ბოლო წუთამდე უმაღავდა ახლობლებს მის ავადმყოფობას. სასიკვდილო სენით შეპყრობილი მაინც იუმორით სავსე წერილს წერდა დას: „მე არასოდეს, ჩემი ნებით, ჩემი ჯანმრთელობისათვის - ექიმისათვის არ მიმიმართავს. ესე ვამჯობინებდი: ისტორია არ იცნობს არც ერთ ექიმს, რომელიც ან ავადმყოფობით, ანდა მოხუცებულობით არ გამოთხოვებოდა ამ წუთისოფელს და თუ ქაჩალი თავს ვერ მოუვლის, სხვას ქოჩორს როგორ შეასხავს. მოლიერი დიდად ჭკვიანი ადამიანი იყო. ერთხელ ავად გახდა. მოსამსახურემ მოახსენა: ექიმი გეახლათ და თქვენი ნახვა ჰსურსო. მოლიერმა უპასუხა: წადი ბოდიში მომიხადე ექიმის წინაშე, უთხარი, ეხლა ავად ვარ და ვერ მივიღებ, როდესაც სრულად განვიკურნები, მობრძანდეს და დიდი პატივისცემით მივიღებო.

მიამბეს, რომ როდესაც პროფესორი შალვა ნუცუბიძე ავად გახდა, უთხრეს: პროფესორი - ექიმი მოვიდა შენ გასასინჯველადო. შალვამ მოიმარჯვა რევოლვერი და დაიძახა: არ შემოუშვათ აქ, თორემ არ დავინდობ, ვესვრიო. მაგრამ ლულუ და მათა სხვა აზრისანი არიან და ჩემს დაუკითხავად მოიწვიეს ექიმი, რომელმაც, ვფიქრობ მიშველა, რადგან ბევრად უკეთესად ვგრძნობ ჩემს თავს. თუმცა ვინ იცის: ტოლსტოი ამბობს „ომი და მშვიდობა“-ში. ნატაშა გადაურჩა ავადმყოფობას, მიუხედავად ექიმების ჩარევისაო. ამრიგად, მე მოვრჩი, მიუხედავად ექიმების წამლებისა, თუ ექიმმა მომარჩინა. თუმც სავსებით განკურნებული არა ვარ, მაგრამ კიდევ ვკაცობ.“

საერთოდ, პოლიტიკურ ასპარეზზე ხელმოცარული ძმები კერესელიძეები ნათლად გრძნობდნენ, ერთმანეთის ლანძღვა-გინებასა და კრიტიკაში უქმად განვლილი მოღვაწეობის არარაობას. ქაოსში ჩავარდნილი გამოსავალს ახალი თაობის ჭეშმარიტ გზაზე დაყენებაში ხედავდნენ. ერისა და ქვეყნის ბედის ხელმძღვანელობა კი მათი აზრით, მხოლოდ საქართველოსათვის თავდადებულსა და ბრძოლის ქურაში გამობრძმედილ მამულიშვილს ხელეწიფებოდა.

საერთო მიზნის მისაღწევად და რუსეთის სივრციდან საქართველოს გამოსახსნელად წარმოებულ ბრძოლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ძმებმა იმთავითვე აქტიურად ჩართეს თავიანთი შვილებიც. ლეო კერესელიძემ ბავშვობიდან თავის თანამებრძოლად გაიხადა ერთადერთი ასული მარიამ კერესელიძე, რომელიც მამის მრავალ დავალებათა პირნათლად შემსრულებელი იყო.

ასევე იყო გიორგი კერესელიძის უფროსი ვაჟი მათე კერესელიძე, რომელიც 1942 წლის ზაფხულში კავკასიის ფრონტზე „დივერსანტ-პარაშუტისტთა“ ჯგუფთან ერთად საქართველოში იქნა გადასროლილი: „ერთ უკენეთ ღამეში ყველანი პლანერებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“, - იგონებდა მათე კერესელიძე.

საქართველოში გადასროლილ „დივერსანტ-პარაშუტისტებს“ საქართველოს შინსახკომი სასტიკად გაუსწორდა.

მათ შორის დახვრეტას მხოლოდ მათე კერესელიძე გადაურჩა. მან 15 წელი გაატარა რუსეთის საპყრობილეში და ტყვეობის შემდეგ დაუბრუნდა ოჯახს.

მერე მსოფლიო ომის დაწყებიდანვე - 1944 წლამდე გერმანიის სამოკავშირეო შტაბში მსახურობდა გიორგი კერესელიძის უმცროსი ვაჟიც ლულუ კერესელიძე.

ტყვეობიდან მათეს დაბრუნების შემდეგ, სულ მალე, მრავალტანჯული მამულიშვილი გიორგი კერესელიძე „სოფლისა ქმნისა წესითა“ გამოეთხოვა სიცოცხლეს. დღეს იგი ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მსგავსად უცხო მიწაზე განისვენებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, ეპისტოლეები საეკლესიო მწერლობის ჟანრი გახლდათ, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დიდი ევოლუცია განიცადა.

ცნობილია, მოციქულთა და განსაკუთრებით პავლეს ეპისტოლეები, რომელსაც მიმართვითი ხასიათის ფორმა გააჩნდა. შემდგომ ეპისტოლეები მხატვრულ ნაწარმოებებშიც გვხვდება ჩართული, როგორცაა: ვისის წერილი რამინისადმი - „ვისრამიანში“, ნესტანის წერილი ტარიელისადმი - „ვეფხისტყაოსანში“.

მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია დიდი რომაელი პოეტისა და მოაზროვნის „ჰორაციუსის წერილი“.

ეპისტოლეების ჟანრის არა ერთი და ორი ნიმუშის დასახელება შეიძლება, ასევე XVIII — XIX საუკუნეების, როგორც ევროპულ ასევე ქართულ და რუსული ლიტერატურიდან. მაგალითად: გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, ქართულ ლიტერატურაში დიდ ყურადღებას იპყრობს: ნიკოლოზ ბარათაშვილის „წერილი მაიკო ორბელიანისადმი“, ილია ჭავჭავაძის „წერილი აკაკი წერეთელს“, გიორგი წერეთლის „ღია წერილი ილია ჭავჭავაძისადმი“ და სხვ.

რუსული ლიტერატურიდან საყოველთაოდ ცნობილია ბელინსკის „წერილი გოგოლს“, მაიაკოვსკის „წერილი მაქსიმ გორკის“.

ჩამოთვლილ ნაწარმოებებში, როგორც ვხედავთ, ეპისტოლეები ზოგჯერ მიმართვის და ზოგჯერ წერილის ფორმითაა გამოყენებული.

საგანგებოთ ეპისტოლეებს, როგორც ლიტერატურულ ჟანრს იმდენად შევეხეთ, რომ წარმოგვეჩინა მათგან განსხვავებული ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა პირადი წერილები, რომლებშიც ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი ტრავმულ ცნობიერებაში ფოკუსირებული ემიგრანტთა სევდა და ნოსტალგია.

და, ბოლოს ემიგრანტ გიორგი კერესელიძის პირად წერილებში მართალია, განსაკუთრებით გამოიკვეთება სუბიექტურობა, მაგრამ ასეა თუ ისე, ეპისტოლარული სფერო ემიგრანტული მეშვეობის კვლევისას მაინც უნიკალური დოკუმენტური მასალაა და მეტად ფასეულ ფენომენს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კერესელიძე გიორგი, 1956; 1957; 1958; 1959, პირადი წერილები, ვებინე.
2. კერესელიძე გიორგი, 1959, პირადი წერილი, პარიზი.
3. შარაძე გურამი, 1992, ამერიკელი ქართველები, თბილისი.
4. წერეთელი მიხაკო (1962), ნეკროლოგი, ჟურ: „ბედი ქართლისა“, N39-40, სალია კალისტრატე, (11-13). პარიზი.
5. ჯანელიძე ოთარი, 2002, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბილისი.

MARIAM MARJANISHVILI

Kutaisi State Historical Museum

THE EMIGRANT'S PORTRAIT IN EPISTLES**SUMMARY**

In the early XX century, Giorgi Machabeli, Mikhako Tsereteli, brothers Leo and Giorgi Kereselidze played a certain role in presenting Georgia, which was occupied by Russia, to Europeans.

Brothers Kereselidze established a "Group of separatists" and "Liberation committee of Georgia", later they established "White Giorgi"; these were active party organizations, which did their best to liberate Georgia from Russia.

After the Second World War, Leo Kereselidze was killed during bombing of Berlin, which made Giorgi Kereselidze abandon political activity and he fully dedicated himself to literature.

Since 1956, in his letters addressed to his sister, Elelne Glurjidze, who lived in Tbilisi, Giorgi Kereselidze expressed his ideas and opinions about culture, art and writing, which contributes to the Georgian emigrational literature.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ქრონიკა შაღვაქიძის შემოქმედებასა და ეკისოლოზ მემკვიდრეობაში

მხატვარ შალვა ქიქოძის შემოქმედებით მოღვაწეობის და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდი ერთნაირად ხანმოკლე აღმოჩნდა, თუმცა ორივე მათგანმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში.

წარმოგიდგენთ მოკლედ მხატვრის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი შალვა ქიქოძე დაიბადა 1895 წელს ოზურგეთის რანის სოფ. ბახვში. მისი მამა გერასიმე ქიქოძე მასწავლებელი იყო. მალე ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, სადაც შალვა სწავლას იწყებს თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ბავშვობიდან გამოვლენილმა ხატვის ნიჭმა, მიუხედავად ფიზიკური ნაკლისა (მას მარჯვენა ხელი ატროფირებული ჰქონდა და მარცხენა ხელით ხატავდა), სასწავლებლის კედლებშივე იჩინა თავი და ნორჩი მხატვარი მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე 1908 წლიდან აქვეყნებს კარიკატურებს იმდროინდელ იუმორისტულ ჟურნალ-გაზეთებში. სასწავლებლის დასრულების შემდეგ მხატვარი გაემგზავრა მოსკოვში, სადაც ჩააბარა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო პარალელურად პროფესიულად ემზადებოდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. სწავლასთან ერთად შალვა ქიქოძე აქტიურად იყო ჩაბმული მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებაში, კერძოდ, ჟურნალ „Рампа и Жизнь“-ის ერთ-ერთი ილუსტრატორი და ნიკიტა ბალიევის თეატრ-კაბარეს („დამურა“) ფარდის მხატვრული გაფორმების ავტორი იყო.

თბილისში დაბრუნებული შალვა ქიქოძე აგრძელებს თანამშრომლობას თეატრთან და ქართულ პერიოდულ გამოცემებთან. იგი გიორგი ჯაბადარის თეატრ-სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში აფორმებს სპექტაკლებს. ამავე დროს, მხატვარი „Chalico“-ს ფსევდონიმით მეგობრულ შარჟებსა და კარიკატურებს აქვეყნებს იმდროინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემებში. მხატვრის შემოქმედების ადრეულ პერიოდს განეკუთვნება მისი ილუსტრაციები შესრულებული წიგნებისთვის (ხალხური თქმულება „ამირანი“, ლ. ქიაჩელის საბავშვო მოთხრობები: „მეგობრები“ და „ნატვრის-თვალი“).

შალვა ქიქოძე პროფესიული სრულყოფისთვის დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ფინანსური შემწეობითა და „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ ძალისხმევით გაემგზავრა საფრანგეთს მხატვარ-სტიპენდიატთა პირველ ნაკადში დავით კაკაბაძესთან და ლადო გუდიაშვილთან ერთად. პარიზში იგი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებს. ფაქტობრივად პარიზში შეიქმნა მხატვრის გამორჩეული ქმნილებები ფერწერასა და გრაფიკაში, რომლებიც გამოიფინა ლადო გუდიაშვილის და დავით კაკაბაძის ნამუშევრებთან ერთად „ლა ლიკორნის“ გალერეასა და „დამოუკიდებელთა სალონი“ . ქართველ მხატვართა ეს გამოფენები ფრანგული პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. სამწუხაროდ, ამ ნიჭიერ ხელოვანს სამშობლოში დაბრუნება არ დასცალდა. გერმანიაში მოგზაურობის დროს იგი შეუძლოდ გახდა, თავი იჩინა მიყურებულმა, იმ დროს გავრცელებულმა უკურნებელმა სენმა - ჭლექმა (ტუბერკულოზმა). გერმანიაში მყოფმა ქართველობამ იგი მოათავსა საავადმყოფოში, სადაც გერმანელი ექიმების დიდი ყურადღების მიუხედავად, შალვა ქიქოძე გარდაიცვალა. იგი ფრაიბურგში დაკრძალეს. ასე შეწყდა 27 წლის ნიჭიერი ქართველი მხატვრის სისხლსავსე შემოქმედებითი ძიება. მხატვრის მეგობრების - დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ასევე ახლო ნათესავის,

ბიძინა რამიშვილის და მამის - გერასიმე ქიქოძის - ძალისხმევით პარიზიდან მხატვრის მემკვიდრეობა სამშობლოში ჩამოიტანეს.

შალვა ქიქოძის კულტურული მემკვიდრეობიდან ამჟღად გვსურს გამოვყოთ მხატვრის შემოქმედების ის სფერო, რომელიც ყველაზე მეტად უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას.

შალვა ქიქოძის ხელოვნების ერთ-ერთი ძლიერი მხარე, როგორც ითქვა, სატირული მხატვრობაა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი პოლიტიკური ჩანახატები: 1917 წელს მოსკოვიდან თბილისში დროებით ჩამოსულმა მხატვარმა დოკუმენტურად ასახა სოციალ-დემოკრატიის ყრილობა და მისი დელეგატები. ეს ჩანახატები დღეს ისტორიული მნიშვნელობისა და მათზე მოცემულია დამფუძნებელი კრების ცნობილი ლიდერები: კარლო ჩხეიძე, ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი და სხვები. ჩანახატებში გრაფიკული ოსტატობის თვალსაზრისით ადრეული პერიოდის ნაწარმოებებთან შედარებით ამკარად ჩანს დიდი წინსვლა. თბილისის პერიოდს ეკუთვნის საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) არჩევნებთან დაკავშირებით შალვა ქიქოძის მიერ გაკეთებული გრაფიკული ჩანახატები, რომლებშიც საქართველოს რაიონებში საარჩევნო ხმების მოპოვების ციებ-ცხელებაში ჩართული მხატვრის ბიძაშვილი გერონტი ქიქოძე, შალვა ამირეჯიბი და თვით მხატვარი არიან გაშარებული. აღსანიშნავია აგრეთვე იუმორის არაჩვეულებრივი გრძობით გაჯერებული პარიზული პერიოდის კარიკატურები და მეგობრული შარჟები. ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთიდან საქართველოში, კერძოდ თბილისში, გამოგზავნილი იუმორისტულ-სატირული ჟურნალ „ემშაკის მათრახისთვის“ რედაქტორ ნესტორ კალანდაძის დაკვეთით შესრულებული პოლიტიკური კარიკატურები საერთაშორისო თემებზე. ეს კარიკატურები გამოქვეყნდა ჟურნალის ფურცლებზე რუბრიკით „საგარეო საქმეები“. ასევე საყურადღებოა გაზეთ „საქართველოსთვის“ გამოგზავნილი კარიკატურებიც ხელმოწერილი მხატვრის ფსევდონიმით „Chalico“. ეს არის პოლიტიკური ხასიათის გრაფიკული ნახატები საერთო სახელწოდებით: „დიპლომატიურ სახეთა გამომეტყველება დელეგატებისა საქართველოს უფლებრივი ცნობის შემდეგ“. ქალაქებზე ფანქრითა და კალმით მხატვარი პორტრეტული მსგავსებით წარმოგვიდგენს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის - დე იურედ - ცნობის საქართველოს ისტორიისთვის ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეთა სახეებს, ესენია: დევიდ ლოიდ-ჯორჯი თუ არისტიდ ბრიანი, ალექსანდრ მილერანი თუ რაიმონდ პუანკარე, გრაფი კარლო სფორცა თუ თავად მხატვარი-დამკვირვებელი. ავტორმა სათაურიც კარგად მოუძებნა ამ კომპოზიციას „ბატონი - მე, Chalico“.

ისტორიული ღირებულებისაა საქართველოს მნიშვნელოვანი მოვლენის - საფრანგეთის მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის - გრაფიკული დაფიქსირება თვითმხილველი შალვა ქიქოძის მიერ, კერძოდ, საქართველოს ელჩ აკაკი ჩხენკელის ბ-ნ ფუკიესთან ერთად საფრანგეთის პრეზიდენტთან აუდიენცია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურად გასაფორმებლად.

მხატვრის დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიმართ აისახა მხატვრის არა მხოლოდ შემოქმედებაში, არამედ მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. 1920 წლის 16 იანვარს პარიზიდან სამშობლოში ახლობლები-სადმი გაგზავნილ წერილში მხატვარი თითქოს წინასწარმეტყველურად გრძობდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების სიხარული დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რადგან იგი ბოლშევიკების რევანშის სამშრობებზე მიუთითებდა. აი, მცირედი ამონარიდი ამ წერილიდან: „... ჩამოვედით თუ არა პარიზში, პირველად დელეგაციაში მოვედით და პირველი ცნობა გამარჯვებასთან ერთად იყო ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა, ეს ამბავი თქვენ უკვე გეცოდინებათ. ძალიან ვნანობ, რომ ეხლა მაქ არა ვარ. ვინახულეთ კარლოც (საუბარია კარლო ჩხეიძეზე - სოციალ-დემოკრატიისა და მენშევიკთა ლიდერზე, 1921 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დესპანზე ევროპაში - ი.ა.) და კაკიც (კაკი ჩხენკელი - ქართველ მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი, სოციალ-დემოკრატი - ი.ა.). კარლო ძალიან გამოცვლილა, ნამდვილ პრეზიდენტს ჰგავს; კაკიც ძალიან კარგად გამოიყურება, დელეგაციას მშვენიერი სადგომი აქვს პარიზის საუკეთესო ნაწილში. სჩანს ბევრი უმუშავიათ; აქ მუშაობას უფრო გარეგნული ხასიათი აქვს ალბათ და, რასაკვირველია, ჩვენს დამოუკიდებლობის აღიარებას უფრო სხვა, ღრმა სარჩული უდევს, ვიდრე მართოდ სიმპატია ჩვენ რესპუბლიკისადმი: რუსეთის ფრონტის მოხაზულობამ ჩაადენინა ეს ანტანტას. ეს ცხადია, ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ღრმა არის და ჩვენ ალბათ გამოვიყენებთ ამას, თუ ბოლშევიკებს გადაურჩით...“ (წერილი დაცულია სემ - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საარქივო-მემორიალურ ფონდში).

ამ ეპისტოლურ მემკვიდრეობიდან უაღრესად შთამბეჭდავია შალვა ქიქოძის იმ ემოციების გაცნობაც, რომლებიც მართლაც მოვლენათა ეპიცენტრიდან - პარიზიდან - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის „დე იურედ“ ცნობისას

დაეუფლა მხატვარს. გთავაზობთ ვრცელ ამონარიდს ამ მნიშვნელოვანი მოვლენის უშუალოდ თვითმხილველის – შალვა ქიქოძის – მამისთვის (გერასიმე ქიქოძე) 1921 წლის 3 თებერვალს მიწერილი წერილიდან: „ძვირფასო მამა!

... წარმოდგენილი მაქვს, რა ალტაცებით შეხვდა ჩვენში ხალხი ჩვენს „დე იურედ“ ცნობას. აქაც დიდი სიხარულის ალიაქოთი გამოიწვია. იმ საღამოს, როდესაც ცნობას მოველოდით, რამდენიმე ქართველი დელეგაციაში შევიკრიბეთ. ცნობა თითქმის მიღებული იყო, მხოლოდ ფორმალური მხარე აკლდა მას. მიუხედავად ამისა, ყველას ძალიან ნერვიულობა და აუსხნელი შიში ეტყობოდა: ვაითუ ასე... ვაითუ ისე... იხახოდენ. ბ. დადეშკელიანი (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი 1920-1921 წწ. - ი.ა.) 16 საათზე დაელაპარაკა ტელეფონით უმაღლეს საბჭოს მდივანს. უკანასკნელმა სთხოვა პასუხისათვის 7 საათზე დაერეკა. ეხლა ერთი საათის სიმწრის ლოდინი. ყველა გაფითრებულები დავდიოდით... ესეც 7 საათი და თხუთმეტი წუთი. დადეშკელიანი რეკავს და ამბობს: Mr. Dadechkeliani de la part du minister des affaires etrangeres de Georgie (ბატონი დადეშკელიანი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი). უპასუხებენ და დადეშკელიანი ჰკიდებს ტელეფონის ტრუბკას და პასუხს იმეორებს ალელვებით: „La decision est prise. Votre Etat est reconnu de jure“ (გადაწყვეტილება დადებულია – „თქვენი დამოუკიდებლობა იურიდიულად სცნეს“). მახსოვს, რომ კიბებედ საჩქაროდ ასავლელად ერთმა სკამმა შემიშალა ხელი და თვალის დახამხამებაში ელვასავით გადავხტი ბედ და წუთში ზევით ვიყავი. წინათ ბევრჯერ ვცდილვარ სკამზედ გადახტომას, მაგრამ ყოველთვის ამ ცდის შედეგად ის იყო, რომ ან სკამი იყო დამტვრეული, ან მე ვკოჭლობდი ერთ კვირეს. უცებ გააჩინეს საიდანდაც მამპანიურები და დელეგაციის მოსამსახურეებმა სამი სტიპენდიატის თანდასწრებით ყველაზე ადრე აღვნიშნეთ საქართველოს საისტორიო დღე. გატარებული საღამო და წარმოთქმული სიტყვები და სიმღერები ფონოგრაფზედ გადავბეჭდეთ. იანვრის 27, 1921 წლისა წარუშლელი დარჩება ჩემს მახსოვრობაში.

...იანვრის 31 დელეგაციამ გამართა ჩაი, რომელზედაც პარიზში მყოფი ყველა ქართველები მოიწვია. ძალიან ლამაზად და მხიარულად გავატარეთ დროება. ეხლა თავი მაღლა გვაქვს აწეული და აღარავის გავუბობთ, არც საქართველოზედ საუბრის გვეშინია. წინათ, მაგალითად, რუსებს გავუბობდი, რადგან ყოველი მათი შეხვედრა საკებნად და საჩხუბრად მაშინადებდა. ეხლა კი, პირიქით, დავეძებ მათ, რომ მათთან ლაპარაკის დროს სიმშვიდე გამოვიჩინო.

...იცვალენ ჭეშმარიტად დროები და ამ ცვლას უმეტესად დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება. ჩვენი მოსპობა ეხლა მე მგონია თითქმის შეუძლებელია მისთვის, რომ ხალხი ბრძოლით მოპოვებულ უფლებას უბრძოლველად არასდროს ჰკარგავს. ჩვენი უფლება კი ნამდვილი, შეუდარებელი წმინდა ბრძოლით არის მოპოვებული. ეს უფლება საქართველოს შვილია, ნამდვილი სიმწრით გადარჩენილი შვილი, და, აბა, რომელი დედა დასთმობს თავის პირმშო შვილს? ის ურჩევნია ადრევე თვითონვე აღიგავოს დედამიწის ზურგიდან...“ (წერილი დაცულია სემ – შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საარქივო მემორიალურ ფონდში).

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს განეკუთვნება კერძო კოლექციაში სულ ახლახან მიკვლეული მეტად საინტერესო ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია შალვა ქიქოძის მიერ შესრულებული ესკიზი ვიტრაჟისათვის. მასზე ასახული ქართველ ქალთა ცეკვა, ის სიხარულია გადმოცემული, რომელიც ალბათ სწორედ იმ წარუშლელ დღეს დაეუფლა მხატვარს და ეს უდიდესი სიხარული სუბლიმირებული სახით წარმოჩნდა მხატვრის ამ ერთ-ერთ საინტერესო ქმნილებაში, რომლის ორიგინალის ბედი ჩვენთვის უცნობია.

თუ ვიტრაჟული ხელოვნება ქართული არტსივრცისთვის შედარებით უცხოა, არ ვგულისხმობთ ძველ თბილისურ აივნებიან სახლებში ზოგჯერ გამოყენებულ ფერად შუშაბანდებს, საფრანგეთში, სადაც შალვა ქიქოძე სტიპენდიატად იყო წარგზავნილი, ვიტრაჟი არა მხოლოდ შუა საუკუნეების გოთური ტაძრების ტრადიციული შემკულობა გახლდათ, არამედ ევროპული მოდერნის ოსტატების – ჯონ ლა ფარჟის და ლუის ტიფანის – მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის პირმშო სტილის – „არტ ნუვოს“ – თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებულ მინის პანოებში გაცხადდა. უკვე მეოცე საუკუნის 10-იანი წლებიდან, იმ პერიოდიდან, როდესაც შალვა ქიქოძე რუსულ მიწა-წყალზე მოღვაწეობდა, პეტერბურგსა და მოსკოვში ვიტრაჟული ხელოვნება წარმატებით გამოიყენებოდა მდიდარ არისტოკრატთა სახლებში. შესაძლოა, მხატვარი უკვე რუსეთშივე დაინტერესდა ვიტრაჟული ხელოვნებით, თუმცა ეს ესკიზი სავარაუდოა პარიზში მდიდარი მეცენატის, მაგ. აკაკი ხოშტარისა, დაკვეთით შეესრულებინა, მაგრამ ხანმოკლე ცხოვრების გამო მხატვარის ამ

ესკიზმა რეალიზება ვერ ჰპოვა. ძნელია საუბარი ძველ შავ-თეთრ ფოტოზე შემორჩენილი ესკიზის მხატვრულ მხარეზე, თუმცა თვალი იმთავითვე ამჩნევს განივი ფორმატის სასურათე სიბრტყეზე, კომპოზიციური გადაწყვეტის ტრიპტიქისეულ იმიტაციას; ასევე, სავარაუდოდ, ტიპურად მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური რეპერტუარიდან ნათელი და მუქი ფერების სიბრტყეების კომბინაციით ქალთა ცეკვის წარმოჩენას. მხატვარი ნათიფ ხაზთა ხვეულებით ქმნის ქალთა სხეულების წრიული მოძრაობის შთაბეჭდილებას. საოცრად ეფექტურია შავი ტიხრების ვერტიკალების რიტმული მონაცვლეობა, რაც მოცეკვავეთა სხეულების ფრაგმენტულ მოჩარჩოებას ქმნის. ექსპრესიულად იკვეთება ცეკვის წრებრუნვაში ჩართული ქალების სხეულები. ამ ერთიანად მაჟორულ განწყობას ალბათ ერთ-ორად გააძლიერებდა მხატვრის მიერ შერჩეული ჩვენთვის უცნობი ფერადოვანი გამა.

საინტერესოა, რამ განაპირობა შალვა ქიქოძის დაინტერესება ვიტრაჟული ხელოვნებით. ამაზე პასუხი შესაძლოა კერძო კოლექციაში დაცულ მის პირად არქივში ჩვენ მიერ მიკვლეულმა ერთმა ფრანგულმა სახელოვნებო ჟურნალმა გაგვცეს. მასში ლუის ტიფანის მიერ სწორედ მოდერნის სტილით შესრულებული ვიტრაჟული ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი, ასევე საუბარია ვიტრაჟულ ტექნოლოგიაზე, რომელსაც იყენებდა ლა ფარჟი. შეიძლება ეს ნიმუშებიც გამხდარიყო მხატვრისთვის საკუთარი ვიტრაჟის ესკიზის შექმნის ინსპირაციის წყარო.

გარდა ამისა, ზოგადად ვიტრაჟი უნიკალურია თავისი გამოსახვის საშუალებებითაც და ესთეტიკური ზემოქმედებითაც. სწორედ ამიტომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ხელოვანთა ინტერესი განსაკუთრებით მიმართული იყო შუა საუკუნეების ვიტრაჟული ტექნოლოგიის აღორძინებისკენ. მაგ. რუსეთში იმ დროს, როდესაც მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა შალვა ქიქოძე, ვიტრაჟების დამამზადებელი დაახლოებით 20-მდე საწარმო იყო. ცნობილი იყო მაგ. ა. ანოხოვიჩის, ძმები ფრანკების, ევროპიდან ემიგრირებული ძმები ოფენბახერების საწარმოები, რომლებიც ვიტრაჟებს არა მარტო შენობათა ექსტერიერებისთვის, არამედ მდიდართა სახლების ინტერიერებისთვისაც ამზადებდნენ. ახალმა დრომ ახალი ტექნოლოგიები მოიტანა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ვიტრაჟის დამამზადების მრავალრიცხოვანი ტექნოლოგიიდან ერთ-ერთი ე.წ. ტრანსპარანტის ტექნოლოგია, ვფიქრობ, უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო ქართველი მხატვრისთვის. იგი ტექნიკური შესრულების თვალსაზრისითაც უფრო იოლია, ვინაიდან მას სპეციალურ ღუმელში გამოწვა არ სჭირდება. ეს ტექნოლოგია იმიტაციურ ხერხს ემყარება. ასეთ დროს მხატვარი ქმნის ვიტრაჟული პანოს ფორმის კომპოზიციას, რომელიც სრულდება მინაზე ზეთის ან ტემპერის საღებავებით. ამ შემთხვევაში მთავარ ეფექტს აღწევენ გამჭვირვალე თხელ მინაზე სხვადასხვა ფერის საღებავით დაფერილი ნახატის შიგნიდან ამონათებით. რაც შეეხება ტყვიის ტიხრებს, რომლებიც აუცილებელია ვიტრაჟულ ტექნოლოგიაში, მხატვარი მათ იმიტაციას გვთავაზობს მუქი მსხვილი კონტურული ხაზების საშუალებით. ეს კი დამატებით ფაქტურულ ეფექტს ქმნის. გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე მინის ზედაპირებზე ამგვარად შესრულებულ ქალთა ცეკვის დინამიკური ასახვით შალვა ქიქოძეს, როგორც უკვე აღვნიშნე, შესაძლოა საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურედ“ ცნობის აღსანიშნავი საყოველთაო ზემოქმედება გამოხატვა სურდა. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოსთვისაც და შალვა ქიქოძისთვისაც ეს სიხარული დღენაკლული აღმოჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის თავზე აფრიალებული წითელი დროშის ქვეშ ანექსირებულმა საქართველომ გარკვეული დროით შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა, ხოლო 1921 წლის 7 ნოემბერს კი, როგორც აღვნიშნე, გერმანიის მიწაზე მიტოვებული საფლავით, შეწყდა 27 წლის ნიჭიერი ქართველი მხატვრის - შალვა ქიქოძის - სიცოცხლეც...

IRINE ABESADZE

Shota Rustaveli State University of Theatre and Films

**THE CHRONICLES OF FIGHTING FOR INDEPENDENCE IN
THE ART AND EPISTOLARY HERITAGE OF SHALVA KIKODZE****SUMMARY**

This time we would like to concentrate on that part of Shalva Kikodze's art that is the most linked with the fight for independent Georgia. One of the strongest sides of the painter's work is a satiric art, namely his political drawings. In 1917, when Kikodze was temporarily back in Tbilisi from Moscow, he made the documentary paintings of a meeting of Social-Democrats. On the drawings there are depicted the famous leaders of the founding council – Karlo Chkheidze, Noe Jordania, Irakli Tsereteli, Akaki Chkhenkeli and others. Nowadays, these paintings are of historical importance.

The several drawings of the Tbilisi period, which the painter made about the elections of the founding council of Georgia (parliament), represent the caricatures of his cousin Geronti Kikodze, Shalva Amirejibi and the painter himself involved in the pre-election processes.

Special attention should be paid also to his caricatures of Paris period, which are painted with an incredible humor. It is remarkable the political caricatures on international affairs which Kikodze painted for the humoristic-satiric magazine "Devil's Whip" and sent from Paris to Tbilisi. These drawings were printed in the magazine with the title "The foreign Affairs". Interesting are also the caricatures sent for the news paper "Sakartvelo", which the painter signed by his pseudonym "Chalico".

To the period of the fight for independent Georgia belongs as well a photo of a stained glass sketch, depicting dancing Georgian women, painted by Shalva Kikodze. The photo was recently found in a private collection, however the fate of the original painting is unknown. It can be assumed that with this painting the author wanted to express the glory of Georgian people after announcing the independence of Georgia de jure.

ქეთევან პაჭკაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისჯობის მხაჯვარი გააზრება

(ერლმ ახვლედიანის სააკივო ჟონეში დახუდი დაუსკდებელი სტენარი ქქთიქე თაყაიშვილი)

„მშრალი ქადაგება კარგი აბრებისა და იდეებისა ისე არ მოქმედებს ხალხზე და ახალგაბრდობაზე, როგორც საუცხოვო პოემის საშუალებით გამოთქმული იგივე აბრები“.

ექვთიქე თაყაიშვილი [თაყაიშვილი, 2018]

1983 წელს კინორეჟისორი გუგული მგელაძე დაუკავშირდა მწერალ და კინოსცენარისტ ერლმ ახვლედიანს და მომავალი ფილმის სცენარის შესაქმნელად თანამშრომლობა შესთავაზა. მთავარი თემა იყო ექვთიქე თაყაიშვილის მიერ ქართული განძის გადარჩენის ამბავი (ისტორია). კონსულტანტად მიიწვიეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ლევან ალექსიძე. ერლმ ახვლედიანმა თანაშემწედ და თანაავტორად თავისი სტუდენტი, ამ მოხსენების ავტორი, ქეთი პატარია აიყვანა.

პირველ ყოვლისა, მასალის გაცნობის მიზნით ისტორიკოსმა გივი ჟორდანიამ (რომელიც კარგად იცნობდა საკითხს) შემოქმედებითი ჯგუფისთვის უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსში საგანგებოდ წაიკითხა ექვსი ლექცია და მათ თავისი ნაშრომის „დაბრუნებული საუნჯე: ქართული სამუბუემო და სამონასტრო განძეულობა“ სასიგნალო ეგზემპლარი აჩუქა.

სცენარის შესაქმნელად ერლმ ახვლედიანის სახლში რეგულარული შეხვედრები დაიწყო. ჯგუფის წევრებს მოჰქონდათ ჩანაწერები, რომლებზედაც ყველა ერთად მსჯელობდა. მუშაობა იოლი არ იყო, რადგან ფილმის მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო ექვთიქე თაყაიშვილი - შესანიშნავი მეცნიერი, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართულ სიძველეთა მოძიებას, კვლევას და დაცვას შეაღია და ეს სამეცნიერო საქმიანობა მას ემიგრაციაში ყოფნის წლებშიც არ შეუწყვეტია. დიდია მისი დამსახურება ქართული წყაროთმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ფორმირებასა და განვითარებაში. მან აღწერა, წაიკითხა და სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა უამრავი ძველი ქართული წარწერა; გამოავლინა, შეისწავლა და გამოსცა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები; მას ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართული მწერლობის - მხატვრული პროზისა და პოემის ძეგლების - შეგროვებისა და შესწავლის საქმეში; მან აღმოაჩინა და შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი, მისი პირველი ნაბეჭდი ტექსტი, აგრეთვე ქართული ლიტერატურის ორიგინალური და ნათარგმნი მრავალი ძველი პირველმა აღწერა მეცნიერულად. ექვთიქე თაყაიშვილი პირველი პროფესიონალი-არქეოლოგია. მან იმოგზაურა საქართველოში და აღწერა ათეულობით არქიტექტურული ძეგლი კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭაში, ლეჩხუმ-სვანეთში... და ბოლოს, ეს არის ადამიანი, რომელიც ნებით გაჰყვა მცველად 1921 წელს საქართველოდან ვეროპაში მენშევიკების გატანილ საქართველოს საგანძურს; უცხოობაში 25 უმძიმესი წელი გაატარა, გამოიარა შიმშილი, სიცივე, ომი, გაჭირვება, მაგრამ არაფერს შეუშინდა და 1945 წელს, უკვე დაუძღვრებულმა მოხუცმა, კუთვნილი განძი საქართველოს უკლებლივ დაუბრუნა.

როგორც ვახტანგ ბერიძე იგონებს: „სამშობლოში ექვთიმემ მ წელიწადს იცოცხლა და კიდევ ბევრი რამ მოასწრო... მისი პოპულარობა უსაზღვრო იყო.

- მაგრამ, როგორც ცნობილია, მაშინდელმა ხელისუფლებამ მაინც შეძლო, ბოლო წლები მოეშაბა მისთვის. ეს ადამიანი, რომლისთვისაც ძველი სიცოცხლეშივე უნდა დაგვედგა, მტრად იყო გამოცხადებული და, არსებითად, შინაურ პატიმრობაში იმყოფებოდა“ [ბერიძე, 2018].

გარკვეული ხნის შემდეგ სცენარის კონტურები გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა სავარაუდო სათაურები: 1) დაბრუნებული საუნჯე (გივი ჟორდანიას წიგნის სათაურის მსგავსად) და 2) განძის ოდისეა.

პარალელურად გუგული მგელაძე ფილმის პროექტზე მუშაობდა და მოლაპარაკებას მართავდა მაშინდელ კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“. სამწუხაროდ, გადაღებაზე უარი უთხრეს. მიზეზად მომავალი ფილმის სოლიდური ბიუჯეტი დასახელდა, თუმცა გაჩნდა ეჭვი, რომ უარის რეალური მიზეზი საფრანგეთში დაგეგმილი გადაღებები და საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლების გარკვეულწილად დადებით კონტექსტში წარმოჩენა გახდა.

ამ ამბიდან დაახლოებით 30 წელი გავიდა. ერლომ ახვლედიანი ახალი გარდაცვლილი იყო, როდესაც ყოფილმა სტუდენტებმა მის თითქმის დანგრეულ ყოფილ სახლში შევაგროვეთ ნახევრად დაობებული ფურცლები, რვეულები, ბლოკნოტები, ფოტოსურათები... ერთხანს ყველაფერი ერთ-ერთი ჩვენგანის ბინაში ინახებოდა, შემდეგ კი მივხვდით, რომ მთელი მასალა, უპირველეს ყოვლისა, სპეციალურ გაწმენდასა და დამუშავებას საჭიროებდა, შემდეგ კი მისი დალაგება, აღნუსხვა და ორგანიზება იყო აუცილებელი. საერთო გადაწყვეტილებით, არქივი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში მივიტანეთ.

დღეს მთელი არქივი გაწმენდილი, დახარისხებული, მოწესრიგებული და ელექტრონულ ბაზაშია შეტანილი. მეც, როგორც რიგითი მკვლევარი, შევდივარ ფონდში და სხვადასხვა თემასთან დაკავშირებულ მასალას ვიწერ.

ამჯერად ასეთი თემა „განძის ოდისეა“. ერლომ ახვლედიანის პირად საარქივო ფონდში წარმოდგენილია ოთხი საქაღალდე, ნომრებით: 159, 160, 161, 162. პირველ და მეორე საქაღალდე აწერია, რომ ეს არის სცენარი „ექვთიმე თაყაიშვილი“, მესამეს - რომანი „ექვთიმე თაყაიშვილი“, მეოთხეს - რომანი „განძის ოდისეა“ („დაბრუნებული საუნჯე“). ყველგან მითითებულია „სამუშაო ვარიანტი, არასრული“. მაგრამ შეცდომა მხოლოდ დასათაურებაში არაა. ყოველ მათგანს აწერია, რომ არის ავტოგრაფი - ერლომ ახვლედიანის ხელნაწერი, თუმცა დათვალეირებისას ამოვიცანი გუგული მგელაძის, პირადად ჩემი - ქეთი პატარაისა და ჩემთვის უცნობი ხელნაწერები. ყოველივე ამის შესახებ ინფორმაციას ვაწვდი მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებიც მთხოვენ, შენიშვნები შესაბამის საქაღალდეებს მივაწერო, რათა შემდგომ გადაამოწმონ და გაასწორონ.

ერლომ ახვლედიანის არქივზე მუშაობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ არქივში დაცული ნებისმიერი მასალა საჭიროებს მკვლევრის მიერ შესწავლას, დაზუსტებას, ერთმანეთთან შედარებას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დასკვნის გაკეთება. ამაში კი დახმარება შეუძლიათ არქივის პატრონის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა თუ მოწაფეებს.

მასალის თვალეირებისას მახსენდება, თუ როგორ ფიქრობდა ბატონი ერლომი, რომ მისი ნამუშევრები არ იყო შენახვის ღირსი. რამდენიმე სტუდენტთან ერთად მეც დავხმარებივარ მისი ნაწერების გაყვითლებული ფურცლებისგან ებოში კოცონის მოწყობაში. როცა ერლომ ახვლედიანი თავისი ძველი ნახევრად დანგრეული სახლიდან ახალში გადავიდა, უამრავი მასალიდან მხოლოდ მცირე ნაწილი აარჩია და გვითხრა, რომ დანარჩენი უვარგისი იყო. დღეს ეს „უვარგისი“ ტექსტები მისი არქივის ფასდაუდებელი ნაწილია. მეორე მხრივ, არსებობს სულ სხვა დამოკიდებულება საკუთარი არქივის მიმართ. მაგალითად, ერთმა ჩვენთვის უსაყვარლესმა რეჟისორმა ხელოვნების სასახლეში არათუ თავისი ყველა ჩანაწერი და ფოტო, არამედ მეუღლის ბავშვობის დროინდელი ბებიასთან მიწერილი წერილიც მიიტანა.

ნებისმიერ შემთხვევაში სპეციალისტი, რომელიც არქივს ამუშავებს, მუდმივ კონტაქტში უნდა იყოს არქივის შემომტან პირებთან (ავტორთან ან მის ახლობლებთან). ცხადია, ზოგი საკითხის დაზუსტება თავიდანვე უფრო მარტივია და შესაძლებელი, ვიდრე დროის გასვლის შემდეგ.

ერთმანეთის მიყოლებით ვხსნი საქალაქებს. დიდ სქელ ბლოკნოტებში უამრავი ჩანაწერია. ასეთი იყო ერთლამ ახვლედიანის მუშაობის სტილი: შესაბამის თემაზე აგროვებდა ინფორმაციას, ინიშნავდა სხვათა და თავის მოსაზრებებს, ადგენდა საეპიზოდო გეგმას, აკეთებდა ჩანახატებს...

საქალაქებში ჩანაწერებია: „ბ-ნ ექვთიმეს სამეცნიერო მოღვაწეობა, ვიწროდ შემოზღუდული არ ყოფილა და მარტო ერთი დარგით არ დაკმაყოფილებულა, არამედ თავისი ნაყოფიერი წვლილი რამდენსამე დარგში აქვს შეტანილი“, - ივანე ჯავახიშვილი.

„ექვთიმე სპეციალობით არც არქეოლოგი იყო, არც ხელოვნებათა მეცნიერი, არც ისტორიკოსი, არც ქართული ფილოლოგიის სწავლული. მაგრამ იგი იმავე დროს ერთიც იყო, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. სიდიადე მისი სულისა სწორედ აქ არის, - მან თავისი ერის სამსახურისთვის ეს მეცნიერებანი თვით შეისწავლა. იგი იყო „მოხალისე“, „მოყვარული“, მაგრამ ნამდვილი ბატონი საქართველოს წარსულის კვლევის ფართო ნიადაგზედ“ ... - მიხაკო წერეთელი.

„საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანტიკურმა მისწრაფებამ, რომ რაც შეიძლებოდა ბევრი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან მაინცადამაინც აღარავინ მისდევდა ამ საქმეს ან ჯეროვნად ვერ აკეთებდა მას“, - ექვთიმე თაყაიშვილი.

„მთელი ცხოვრება უანგაროდ ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს. არც დაღლა იცოდა, არც დასვენება... მისნაირ ადამიანებს ხომ ძველად წმინდანებად ხატავდნენ ტაძრის კედლებზე“, - ლადო გუდიაშვილი.

მსგავსი ჩანაწერები (რომელთა შეგროვებასაც ბატონი ერთლამი მე მავალედა) ეხმარებოდნენ მთავარი გმირის ცხოვრების, ხასიათისა თუ მასთან დაკავშირებული მოვლენების გაცნობასა და დაზუსტებაში. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც საქმე ეხებოდა რეალურ, გამორჩეულ პიროვნებას. მხოლოდ მისი კარგად გაცნობის შემდეგ იწყებოდა გააზრება, თუ რა იყო ამ ადამიანის დანიშნულება, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნამდვილი შედეგი (ამგვარადვე მუშაობდა ერთლამ ახვლედიანი სცენარზე „ფიროსმანი“, რომელიც გიორგი შენგელაიამ გადაიღო).

ჩანაწერებში არის ნაწყვეტი სულხან-საბა ორბელიანის არაკიდან „ლოდის დამცოვრებელი“: „-ძმაო, - ეტყვის მერმე ლეონი, - ერთი მითხარ, რად აგაქვს ეგ ლოდი და რად იჭირვი, ანდა რად აგორებ და რად იცინი?

მე ამ ერთი ქვით ჭირსაც ვნახავ და ლხინსაც. ერთი ქვა მაქვს და ჭირი და ლხინი ორივე დიდი“.

მახსენდება, როგორ ამბობდა ბატონი ერთლამი: „ექვთიმესათვის საქართველო იყო ეს ლოდი - მისი ჭირი და მისი ლხინი“.

მასალაში არის მომავალი სცენარისთვის საჭირო პასაჟები: „რომელი ხატი, რომელი ჯვარი, რომელი ლოცვა მფარველობდა ჩვენს განძს? - ფიქრობდა ექვთიმე, - რომელმა მადლმა გადაარჩინა ეს განძი?..“, „ე.ი. არ არის საქართველო განწირული“. იქვე: „რომელი ანგელოზი მფარველობდა მას?“ და მინაწერი: „ღმერთივ დაცული ერი შენი“.

ასეთი ჩანაწერები სცენარის კამერტონია. მაგალითად: „რატომ ეშინია ადამიანს სიკვდილის, ანუ როდის არ ეშინია მისი?“; „სიკვდილის ეშინია, მაგრამ სანამ გადაარჩენს განძს, ემალება სიკვდილს (აბრაამი, ისააკი ეგვიპტეში). „ეს ის შემთხვევაა, როცა სიცოცხლე სიცოცხლეზე ძვირია“; ან: „იცოცხლა იმიტომ, რომ დაენახა გადაარჩენა განძისა“. და აქვე: „როცა ადამიანი შეასრულებს მისიას, მისთვის(ასეა?) შინაგანი სიხარულის, სულიერი კმაყოფილების გამო არად მიაჩნია გარეგანი შეზღუდვები“; „ყოველივე ამის შემდეგ მას (ექვთიმეს) ლხენად მიაჩნდა „სახლის პატირობა“. თვით სიკვდილიც ლხენაა ახლა. „შემიყვარდა სიკვდილი, რადგანაც მან მაცადა“, - ამბობს ექვთიმე“.

გვხვდება გამზადებული სცენებიც: „ექვთიმე მარტოა თავის ოთახში. „მოდი, სიკვდილო, უკვე შეიძლება ჩემთან მოსვლა, სიკვდილო. მადლობელი ვარ, რომ მადროვე... მე ვერაფერი ვერ გავაკეთე შენთვის, საქართველო. მხოლოდ შენი განძის დარაჯი ვიყავი. შემეძლო რაღაც გამეკეთებინა და მხოლოდ ეს შევძელი, რომ არ მოვკვდი. უძღები შვილივით გადახვეწილი ვიყავი და ვნატრობდი შენს წიაღში სიკვდილს, ჩემო სამშობლოვ, ჩემო მიწავ. „დედაშვილობას, მეტს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“.

და კიდევ ერთი: „ექვთიმეს გასვენება. წვიმიანი დღე. პროცესიას სულ რამდენიმე კაცი მიჰყვება. მომეტებულად ტროტუარზე მისდევენ, თითქოს კავშირიც არა აქვთ პროცესიასთან“...

ყოველი ერის ისტორიაში არსებობენ ადამიანები, რომელთა ღვაწლიც ფასდაუდებელია სამშობლოს წინაშე. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა გამუდმებული ინტერესის საგანია და საზოგადოებაც თავს მოვალედ მიიჩნევს, ყოველ თაობას ამის შესახებ უამბოს. ეს, უპირველესად, ისტორიკოსთა და შემდგომ იმ დარგის მეცნიერთა საქმეა, რომლებიც იკვლევენ ამ ადამიანებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ამბავს (საკითხს). მაგრამ ხელოვნების ერთ საუბარი შესაძლოა უფრო შთამბეჭდავი იყოს მაყურებელზე, მსმენელსა თუ მკითხველზე.

35 წლის წინანდელი ჩანაწერები ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და უდიდეს საზოგადო მოღვაწესა და ადამიანზე, ექვთიმე თაყაიშვილზე, რომელიც საქართველოს ეკლესიამ 2002 წელს წმინდანად შერაცხა, საზოგადოებისთვის, ვფიქრობ, დღესაც საინტერესო იქნება. ეს არის ისტორიის ერთგვარი მხატვრული გააზრება, რომელიც იმ მოვლენების უკეთ აღქმაში დაგვეხმარება. სწორედ ამიტომ ამ მასალამ მკითხველამდე უნდა მიალწიოს.

ჩემს პირად არქივში ინახება კედლის დიდი კალენდარი, რომელიც 2003 წელს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავთან დაკავშირებით „დილის გაზეთმა“ დაბეჭდა. იდეის ავტორია გაზეთის მთავარი რედაქტორი მანანა კარტოზია, კალენდრის რედაქტორი – პაატა ნაცვლიშვილი. კალენდარში დაბეჭდილია როგორც ამონარიდები დიდი ექვთიმეს წერილებიდან და ნაშრომებიდან, ასევე მოვლენები მის შესახებ; ასევე ჩანაწერები, რომელთა ავტორებიც არიან: ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ბერძენიშვილი, შალვა ამირანაშვილი, აკაკი შანიძე, მურმან ლებანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, თამილა მგალობლიშვილი და სხვები.

ამ მასალასთან ერთად არის ერთი წერილიც, სათაურით: „ღვთიური ჩანაფიქრი“, რომელსაც ხელს აწერენ ქეთევან პატარაია და ერლომ ახვლედიანი. ეს ექვთიმეს ცხოვრებისა და განძის ოდისეის მხატვრული გააზრებაა, სიტყვით გადმოცემული ძირითადი სათქმელი, რომელიც ფილმს სახეებში უნდა გამოეხატა.

ბატონი ერლომის მოთხოვნით, მას წერილის სახე მივეცი. ასეთი უნდა ყოფილიყო ფილმი ექვთიმე თაყაიშვილზე. ქალბატონმა მანანა კარტოზიამ, რომელიც ერლომ ახვლედიანთან მეგობრობდა და თანამშრომლობდა, როგორც გაზეთის რედაქტორი და კარგად უწყობდა ექვთიმეზე ფილმის პროექტის შესახებ, საჭიროდ მიიჩნია ამ მასალის გამოქვეყნება.

აი, ეს წერილიც:

„საქართველოს განძის მოგზაურობას თითქმის 25-წლიანი ისტორია აქვს, 1921 წლის თებერვლიდან 1944 წლის აპრილამდე. ჩვენი განძი მრავალჯერ იდგა დაკარგვის საფრთხის წინაშე, ის შეიძლება დაჩირქულიყო ზღვაში, ხელში ჩაეგდოთ გერმანელებს, გაფანტულიყო სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებში, სამუდამოდ დარჩენილიყო საფრანგეთში.

ყველა ეს საფრთხე სავესებით რეალური იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ განძი არამცტუ გადარჩა, არამედ კიდევ უფრო გამდიდრებული დაუბრუნდა სამშობლოს.

ეს ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაა.

იგი 2002 წლის 17 ოქტომბრიდან საქართველოს წმინდა სინოდის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვა-კურთხევითა და ქართველი ერის ერთსულოვანი ნებით წმინდანად არის შერაცხული.

ექვთიმე თაყაიშვილმა ღვთის მეოხებითა და თავის თავდადებით საქართველოს შეუნარჩუნა უდიდესი სიწმინდეები, მაგრამ აქვე განძის ეს ოდისეა ინახავს კიდევ უფრო ღრმა საიდუმლოს, რაც ბადებს ვარაუდს, რომ საქართველო არ არის მიტოვებული ღვთისაგან და რომ განძის ეს უჩვეულო მოგზაურობა არ იყო შემთხვევითი.

მეორე მსოფლიო ომში ყველა ქვეყანამ მეტ-ნაკლებად მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, ქართველებმაც დიდი მსხვერპლი გაიღეს.

მაგრამ საოცარია, რატომ აღმოჩნდა ჩვენი სიწმინდეები მოვლენების შუაგულში, ევროპაში, სადაც ომის ბედი წყდებოდა. ოკუპირებული პარიზის ერთ-ერთი მუზეუმის სარდაფში ნაგავწყაროლ ყუთებში ინახებოდა დავით აღმაშენებლის

დიდგორის ბრძოლაგამოვლილი ვერცხლის ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, დავით კურაპალატის საწინამძღვრო ჯვარი, წყაროსთავის სახარება, ბიჭვინთის ღვთისშობლის ოქროს ხატი და კიდევ მრავალი სხვა სიწმინდე.

ამ სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მათი მადლიც მოქმედებდა და შემთხვევითი არ არის, რომ 25 წლის შემდეგ, შეასრულა რა თავისი ღვთიური დანიშნულება, 7 დღეში თავის ერთგულ მცველთან ერთად დაუბრუნდა სამშობლოს.

და კიდევ ერთი, განძის დაბრუნების საკითხი გადაწყდა 23 ნოემბერს, გიორგობას.

ჭეშმარიტად შეუცნობელია შენი გზები, უფალო!“ [ნაცვლიშვილი, 2003].

P.S. გუგული მგელაძეს, რომელმაც „განძის ოდისეა“ ვერ გადაიღო, 1987 წელს ფილმ „ფესვების“ გადაღების უფლება მისცეს, რომელშიც საფრანგეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტის ისტორიაა ნაჩვენები.

გამოყენებული მასალა:

- ბერიძე ვახტანგ. „მოგონებები ექვთიმე თაყაიშვილზე“. <https://eqvtimegvtskaci.wordpress.com/2013/01/18/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%98/> . 2.09.2018.
- ექვთიმე თაყაიშვილი. *მოხსენება*. www.for.ge/view.php?for_id=54164&cat=14. 2.09.2018.
- ნაცვლიშვილი პაატა. 2003. კალენდარი „ექვთიმე თაყაიშვილი 140“. თბილისი: სეზანი.
- პირადი არქივი
- ჟორდანია გივი. 1983. *დაბრუნებული საუნჯე: ქართული სამუზეუმო და სამონასტრო განძეულობა*. თბილისი: მეცნიერება.
- საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საფონდო მასალა. ერლომ ახვლედიანის არქივი.



1983 წელი.

თბილისი/საბჭოთა კავშირი. მთელი საქართველო/საბჭოთა კავშირი. მთელი საქართველო/საბჭოთა კავშირი. მთელი საქართველო/საბჭოთა კავშირი.

1953 წელი. თბილისი კვლევა.

თბილისი კვლევის მიზანშეწონილი საქართველო/საბჭოთა კავშირი 30 წელი. მთელი საქართველო/საბჭოთა კავშირი 30 წელი. მთელი საქართველო/საბჭოთა კავშირი 30 წელი.

საბჭოთა კავშირი/საბჭოთა კავშირი. მთელი საქართველო/საბჭოთა კავშირი. მთელი საქართველო/საბჭოთა კავშირი.

**ზოგომასაღა:**

1. ერლომ ახვლედიანი;
2. ხელოვნების სასახლეში დაცული ერლომ ახვლედიანის ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ სცენარის მონახაზიდან;
3. ექვთიმე თაყაიშვილი

KETEVAN PATARAIA

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ARTISTIC UNDERSTANDING OF HISTORY

(ERLOM AKHVLEDIANI'S UNFINISHED SCRIPT FROM THE NATIONAL ARCHIVAL FUND DEDICATED TO EKVTIME TAKAISHVILI)

SUMMARY

In 1983 filmmaker Guguli Mgeladze contacted author and scriptwriter Erlom Akhvlediani with an offer to cooperate in making of the scenario for the new movie on the preservation of the Georgian national treasure by Ekvtime Takaishvili.

Keti Pataraiia, author of this summary, was picked by Erlom Akhvlediani as an assistant and co-author. The contours of the scenario were outlined some time later, with “the Odyssey of the Treasure” considered as a possible title for the movie.

Unfortunately, the filmmaker’s initiative was met with a refusal, allegedly due to the large budget.

Approximately 30 years have passed since. Shortly after the demise of Erlom Akhvlediani, his former students collected a bunch of moldy papers, notebooks, notepads and photographs in his house... and decided to take the archival documents they had found to the Georgian State Museum of Theater, Music, Cinema and Choreography. These materials have been processed, sorted, arranged, and added to the electronic database.

We believe that 35 year-old records on a number of very important events of our history and a highly prominent social activist, Ekvtime Takaishvili, canonized by the Georgian Orthodox Church in 2002, will be of great interest for the society.

This is an attempt to look at the history from an artistic viewpoint, which may give us a better understanding of those past events.

GINTARAS DRUCKUS

Kaunas State Regional Archive, Lithuania
Tbilisi, September 20-22, 2018

THE END OF THE WORLD WAR I: DECISIVE TURN TOWARDS MODERN EUROPE

The aim of the report – to introduce the project – international archival documents exhibition „The End of the World War I: Decisive Turn Towards Modern Europe“. Exhibition is devoted to the end of the WWI as basic precondition for the (re-)establishment of independent states in the postwar Europe.

The organizer of the Exhibition is considered to be Chief Archivist of Lithuania Ramojus Kraujelis and the Office of the Chief Archivist of Lithuania. Responsible executor of the Project – Kaunas State Regional Archive. The Project is funded by Lithuanian Council of Culture, Office of the Chief Archivist of Lithuania and Kaunas State Regional Archive.

Partners and participants of the Project – eight countries' memory institutions:

- **Belarus:**

Department of Archives and Documents Management under the Ministry of Justice of the Republic of Belarus;

National Archives of the Republic of Belarus;

National Historical Archives of Belarus in Minsk;

State Archive-Museum of Literature and Art of Belarus;

National History Museum of the Republic of Belarus;

- **Estonia:**

National Archives of Estonia;

- **Sakartvelo (Georgia):**

National Archives of Sakartvelo (Georgia);

- **Finland:**

National Archives of Finland;

- **Latvia:**

National Archives of Latvia;

- **Lithuania:**

Chief Archivist of Lithuania;

Office of the Chief Archivist of Lithuania;

State Vytautas The Great War History Museum;

Lithuanian Central State Archives;
Lithuanian State History Archives;
Kaunas State Regional Archive;

● **Poland:**

The Head Office of the State Archives of Poland;
Central Archives of Historical Records in Warsaw;
Central Archives of Modern Records in Warsaw;

● **Ukraine:**

State Archival Service of Ukraine;
Central State Archives of Supreme Bodies of Power and Government of Ukraine;
Central State Cinephotophono Archives of Ukraine named after H. Pshenychnyi;
Central State Archives of Foreign Archival Ukrainica;
State Archives in the City of Kiyv;
State Archives of Zaporizhzhya Oblast.

Taking advantage of the occasion I should like to express my sincere words of gratitude to all the professionals from these institutions who greatly contributed to this Project selecting and providing materials for the Exhibition, for kindly sharing their knowledge and ideas. The implementation of this Project is excellent example of international inter-institutional cooperation of memory institutions from various countries.

At 11:15 a. m. on June 28, 1914, the Bosnian capital Sarajevo was kicked by the shots, released by Gavrilo Princip. These historic shots resulted with the death of the Austrian Archduke Franz Ferdinand and his wife Sophie, duchess of Hohenberg and became the fatal cause of a military conflict fire, which flames instantly covered almost the entire world.

To tell the truth, the outbreak of war at its very beginning in August 1914 was generally greeted with confidence and jubilation by the peoples of Europe, among whom it inspired a wave of patriotic feeling and celebration. At that time perhaps only few people imagined how long and how disastrous a war between the great powers of Europe could be. Most of them believed that namely their country's side would be victorious within a matter of months. Generally taken, the war was welcomed either patriotically, as a defensive one imposed by national necessity, or idealistically, as one to uphold right against might, to stand for the sanctity of treaties and international morality.

Unfortunately, the World War I brought enormous disasters and human losses to millions and millions of people from many countries. It was virtually unprecedented in the slaughter, carnage and destruction. The total number of military and civilian casualties in the World War I was about 40 million: estimates range from 15 to 19 million deaths and about 23 million wounded military personnel, ranking it among the deadliest conflicts in human history. The total number of military personnel deaths includes from 9 to 11 million. The civilian death toll was about 8 million, including about 6 million due to war-related famine and disease. The Triple Entente (also known as the Allies) lost about 6 million military personnel while the Central Powers lost about 4 million. At least 2 million died from diseases and 6 million went missing, presumed dead. Destruction and sufferings that people faced during the war years still followed them for the decades after the War.

Nevertheless, in spite of all these enormous losses, disasters and atrocities World War I gave a powerful impetus to the changes in the political map of Europe. The War destroyed all leading empires of those times

Europe (except Great Britain) – Austrian-Hungarian, German, Russian and Ottoman and created the necessary preconditions for the emerging of new and modern Europe. The end of the World War I can be considered to be the triumph of democracy in Europe. A number of democratic governments were established in different countries of Europe as direct consequence of the WWI.¹

Taking all this into consideration, we prepared eight posters in dimensions 228 x 151 cm – one poster per each country and one large general poster with dimensions (228 x 348) cm. The idea of this large general poster – to give the picture of the WWI emphasizing first of all human stories of the eight countries' territories' inhabitants within the context of the WWI. Inside this general poster there are placed pictures depicting moments of battles, military actions as well as daily life of the soldiers and civil people. The main idea of this general poster – to present a solid picture of the human side of the War – disasters and atrocities, human losses and destroyed human destinies, etc.

However, the main concept of this Project – to emphasize the end of the WWI as the basic and decisive catalyst for the destruction of the Vienna Congress' political system in Europe, fall of those times' leading European empires and formation of a certain number of independent democratic states. Some of the until then oppressed nations created their statehood, some of them – restored. So, in this way a solid foundation has been laid for the emergence of a modern, democratic Europe. This concept should be achieved via archival documents preserved in eight countries' state archives. Actually, it was not easy to make selection of archival documents in order to present birth or rebirth of a certain nation statehood in one poster within comparatively modest dimensions.

It is worth mentioning that the process of preparing the Exhibition was rather special. On one hand, the historical frames of the Exhibition are rather short – less than ten years. A number of aspects, processes were rather similar in all represented countries. For example – because of prolonged war, sharply increased economic and social tensions and all this, respectively, had contributed significantly to the rise of political tensions amongst the people. Also, all these countries shared a common feature - they all were seeking for their statehood restoration or creation. They all were to prove their right to be Independent by military means, etc.

However, at the same time every country's case was rather special. Each country had features, which were specific to the certain country only. Let it be volunteers phenomena and influence in Finland; civil war in between Whites and Reds in Finland; Red Guards phenomena and influence on the processes in Latvia; sharp internal contradictions amongst the members of the Lithuanian State Council on the eve of the declaration of the Independence Act of Lithuania; position of Lithuanian State Council concerning necessity to establish own army for the defense of Lithuanian Independence (as we know, for nearly half a year after declaration of Independence of Lithuania Lithuanian authorities kept holding an opinion that Lithuania was not going to fight with anyone, that it did not cause any threat to anybody and therefore it does not need any own military forces. It was only autumn 1918, after Bolshevik Russia troops invaded

¹ Sources: World War I. - https://www.history.com/topics/world-war-i/world-war-i-history#section_15. Accessed 2018-09-14.; John Graham Royde-Smith, Dennis E. Showalter. World War I. - Encyklopeadia Britannica. - <https://www.britannica.com/event/World-War-I>. Accessed 2018-09-14.; World War I casualties. – Wikipedia. - https://en.wikipedia.org/wiki/World_War_I_casualties. Accessed 2018-09-14; Mayank Sharma. What were the results of the World War I? - <http://www.preservearticles.com/2012010119458/what-were-the-results-of-the-world-war-i.html>. Accessed 2018-09-14;

Lithuanian territory, when Lithuanian Government started organizing Lithuanian army); certain tension amongst the highest authorities in Poland, which ended with Juzef Pilsudski takeover of the leadership to the military forces of Poland from the Regent's Council and few days later, on November 14, 1918 Regent's Council suspended its activities and transferred also all the political power to J. Pilsudski who called himself the Head of the State and started to form the First Government of Poland; tensions amongst the highest authorities in Ukraine which led to the highest power transfer from the Ukrainian Central Council to the Government led by Pavlo Skoropadsky and at last – to the Directory; “German factor” significance and influence on those times processes that took place in all these countries except, perhaps, Georgia; or at last the fact that Poland was the only one country, whose Independence was confirmed by the victorious powers through the Treaty of Versailles signed in June 1919. The rest seven countries were to put many various combined efforts to gain international recognition of their statehoods. And so on, and so on – such a list could be continued and continued.

These short remarks should be enough to prove the point of view that such an idea was a real challenge. Nevertheless, in spite of everything – it was worth trying. In any case, I am deeply convinced that such projects are worth doing even in spite of their final result as they serve as an excellent instrument for development and enhancing inter-institutional as well as personal cooperation and relationships between memory institutions and their employees who are dedicated to their profession and the vocation of preserving historical memory for the sake of the future. Because those, who do not teach the lessons of the past, are condemned to repeat them.

CONCLUSIONS:

1. World War I was terrible with its consequences. Nevertheless, it resulted not only in disasters and sufferings of millions and millions of people, but in demolishing the political system of Europe laid by the decisions of Viena Congress in 1815. The end of the WWI created the necessary and favorable preconditions for the restoration of the statehood of those states that have lost it and for the creation of those who have not had their statehood until then.
2. The aim of the Project – to provide short, concentrated, though illustrative and convincing story about the birth of new, modern, democratic Europe as the direct consequence of the end of the World War I.
3. For the first time unique eight countries' archival documents, witnessing the rebirth or creation of their statehood will be presented in one place within the frames of Exhibition.

სოფიკო ჭაბავაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს კავშირები და განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ენობრივი უნივერსიტეტი 1921 წელს (საქართველოს მთავრობის მიხედვით)

საქართველოს სსრ-ში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვასა და წარმართვაში, რევკომის გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა განათლების სახელმწიფო კომისარიატი (განსახკომი). 1921-1922 წლების საარქივო მასალებში დაცულ დოკუმენტებში ასახულია სხვადასხვა სფეროს ენობრივი რეგულაციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად იკვეთება ახალი საბჭოთა რეჟიმის სწრაფვა და მცდელობა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში სასურველი ენისა თუ ენების დამკვიდრების შესახებ. განსახკომის მიერ გამოცემულ დეკრეტებში, დებულებებსა და დადგენილებებში განსაზღვრულია ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობების, თეატრებისა და სასამართლო სისტემის მმართველობის ახალი წესები, მათი ფუნქციონირების ენობრივი ასპექტები. ამ მასალებში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განათლების სისტემის კურატორი სახელისუფლებო სტრუქტურა შეჭრილი იყო კულტურისა და იუსტიციის სისტემათა სახელისუფლებო სტრუქტურების სამოქმედო ფარგლებში და უწესებდა მათ ენათა გამოყენების ნორმებს. ჩანს, ეს არ ყოფილა მხოლოდ ქართული ინიციატივა და სათანადო მითითება მოსკოვიდან მოდიოდა, მოსკოვს კი ენის საკითხის ერთი სტრუქტურის მიერ კონტროლი და ერთიანი ენობრივი პოლიტიკის განხორციელება ერჩინა.

საბჭოთა რეჟიმი თავისი პოლიტიკური მიზნების განსამტკიცებლად და განსავითარებლად მთელი ძალით მიმართავდა აქტიურ და აგრესიულ პროპაგანდას. მოსახლეობაზე ეფექტური ზეგავლენის მოსახდენად და თავიანთი იდეოლოგიის გასავრცელებლად იყენებდნენ იმ დროისთვის ყველაზე ქმედით საშუალებებს, მათგან უმთავრესი იყო სკოლა, რომელსაც უნდა აღეზარდა ახალი იდეოლოგიით დამუშავებული ახალი თაობები. სკოლის გარდა, მძლავრ საშუალებებად მიიჩნეოდა ბეჭდვითი სიტყვა და კულტურა. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველსავე თვეებში მიიღო ზომები ამ უმნიშვნელოვანესი სფეროების სახელმწიფო კონტროლქვეშ მოსაქცევად.

საქართველოს რევკომმა ხელში ჩაიგდო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები, ქვეყნის ოკუპაციის დასაწყისშივე გადადგა პირველი ნაბიჯი და მიიღო საგანგებო ნორმატიული გადაწყვეტილებები, რომლებიც გულისხმობდა საგამომცემლო საქმის, წიგნით ვაჭრობის, წიგნსაცავების, კულტურული კერების მაკონტროლებელ ორგანოდ განსახკომის გადაქცევას, მატერიალური რესურსების სრულად აღნუსხვასა და „ნაციონალიზაციას“, ანუ კანონიერი მემპატრონეებისთვის წაგლეჯას. ამას ადასტურებს შემდეგი ორი დოკუმენტის ტექსტი:

„ოქმი №17, 1921 წლის 24 მარტის სხდომის

თავმჯდომარე: ფ. მახარაძე. წევრები: ოკუპავა, ნაზარეციანი [ნაზარეთიანი - ს.ჭ], თოდრია, დუმბაძე. დაესწრნენ: ორჯონიკიძე, დენტაუ, ცინცაძე, სვანიძე და ს. პ. კ. საბჭოს წარმომადგენელი ყურულაშვილი.

ცენტრალური ბეჭდვითი საქმე და სახელმწიფო გამომცემლობა დაექვემდებაროს განათლების სახელმწიფო კომისარიატს“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ოქმი 4, საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი].

„საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი.

1921 წლის აპრილის 19.

დადგენილება: 1. წინადადება მიეცეს განათლების კომისარიატს აღრიცხოს სასწრაფოდ წიგნისა, საწერ ქალაქისა და ნოტების მალაზიები. 2. აღნიშნულ მალაზიებიდან საგნების მიცემა სწარმოებდეს მხოლოდ განსახვომის ორდერებით. 3. მოხდენილ იქნეს ნაციონალიზაცია ყველა საზოგადოებრივ და კერძო წიგნთსაცავებისა და სამკითხველოებისა. შენიშვნა: კერძო წიგნთსაცავებიდან მხოლოდ დიდი წიგნთსაცავის ნაციონალიზაცია მოხდეს. 4. მოხდენილ იქნეს ნაციონალიზაცია თეატრებისა, კინომატოგრაფებისა, ცირკებისა და სხვა გასართობების, ელექტროსადგურების, სტამბებისა და აბანოების ნაციონალიზაცია.

შუამდგომლობა მოქალაქე ს. დედარიანის ორი ჟურნალის ქართულსა და რუსულ ენებზე გამოცემის ნება-დართვის შესახებ - უარყოფილ იქნეს“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ოქმი 4, საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი]. ეს ტექსტები ცხადყოფს, რომ რევიმს აფრთხობდა განათლების, კულტურისა და ხელოვნების თავისუფლება და ნაბეჭდი პროდუქციის, განსაკუთრებით კი ეროვნული მუხტის შემცველი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების, უკონტროლო მიმოქცევა მოსახლეობაში. ამიტომ ამ განკარგულებების საფუძველზე განათლების სახალხო კომისარიატის მეშვეობით დაიგეგმა და დაწესდა საგამომცემლო საქმიანობის, წიგნთსაცავების, თეატრების, კინოსა და სხვა დაწესებულებების ნაციონალიზაციის მოტივით ტოტალური მმართველობა. ამ კონტროლის მიღმა არ დაუტოვებიათ ქალაქით ვაჭრობაც კი.

ბოლშევიკებს ესმოდათ, რომ პრესა ხალხზე გემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალება იყო, ამიტომ რევიმის მიერ გადადგმული მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ახლად დაარსებული უკიდურესად იდეოლოგიზებული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და მასობრივად გავრცელება ხალხში, განსაკუთრებით მუშებს შორის. ისინი რეალურ მიზნებს იმით ფარავდნენ, რომ აცხადებდნენ, ვითომდა მოსახლეობის კულტურულ განვითარებაზე ზრუნავდნენ. მოვიხმოთ რევკომის პრეზიდიუმის „სასწრაფო“ დადგენილებების რამდენიმე პუნქტს:

„წინადადება მიეცეს ბეჭდვით ცენტრს მიიღოს სასწრაფო ზომები მუშათა რაიონებისთვის გაზეთების მისაწოდებლად და გააძლიეროს მუშათა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

პროექტი დეკრეტისა ეკლესიისაგან სახელმწიფოს გამოყოფის შესახებ /იუსტიციის სახალხო კომისარი/ დამტკიცებულ იქნეს.

სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფის შუამდგომლობა ქართულ ენაზე ჟურნალ „პროლეტარის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. აგრეთვე ბაბტისტების - ჟურნალ „ძმური კავშირის“ რუსულ ენაზე გამოცემისა.

რევკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებულ იქნეს შემდეგი ზოგადი გადაწყვეტილება გაზეთების გამოცემის შესახებ. საბჭოთა საქართველოში გაზეთების გამოცემისთვის არავითარი ნებართვა საჭირო არ არის, საბჭოთა არა(?) საწინააღმდეგო მიმართულების გაზეთები თავისუფლად გამოდის და მათ წინააღმდეგ დევნა არ სწარმოებს.

ხელს აწერს: მ. ორახელაშვილი“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ოქმი 4, საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი].

ციტირებულ ტექსტში ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: ჯერ ერთი, ბეჭდვით ცენტრს დაევალა დაუყოვნებლივ დაეწყო მოქმედება, რათა პრესის მეშვეობით მუშებს შორის ინტენსიურად გავრცელებულიყო ოფიციალური ინფორმაცია და კომუნისტური იდეოლოგია. იმავე ბეჭდვით ცენტრს დააკისრეს აგრეთვე პროლეტარ მოსახლეობაში „კულტურულ-განმანათლებელი“, ანუ სააგიტაციო-იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება, რაც ამ ცენტრის რეალურ ფუნქციებს სცილდებოდა;

მეორე, კომუნისტები განსაკუთრებით დაუნდობლად ებრძოდნენ რელიგიას, სასულიერო პირებსა და მორწმუნე მოსახლეობას, რაც 1917-1920 წლებში საკუთრივ რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, შუა აზიაში (ანუ საქართველოს ანექსია-ოკუპაციამდე) ეკლესიების, სინაგოგებისა და ჯამე-მჩეთების მასობრივი ნგრევა-ძარცვით თუ სიწმინდეთა შეურაცხყოფით, სასულიერო პირთა და მორწმუნეთა ხოცვით, დევნითა და დამცირებით გამოიხატებოდა. კომუნისტებმა რუსეთში დაწყებული ბრძოლის ოკუპირებულ საქართველოში გადმოტანის მიზნით დაამტკიცეს სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის დეკრეტი. იმ დროისთვის ქართულ სამოციქულო ეკლესიას უკვე 4 წლის აღდგენილი ჰქონდა ავტოკეფალია (ეს მოხდა 1917 წლის 12 (25) მარტს), მაგრამ მისი უფლებები და ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, ვინაიდან 1918 წლის 26 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა და მიიღო სპეციალური კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ და ამ კანონით ეკლესიას ჩამოართვა ქონების უდიდესი ნაწილი, დაიხურა სასულიერო სასწავლებლების უმრავლესობა, აიკრძალა სკოლებში საღვთო რჯულის

სწავლება, ხოლო სახალხო განათლების სამინისტროს გადაეცა სასულიერო სასწავლებლების შენობები და სხვა ქონება [საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 1990, გვ. 110; ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. http://library.church.ge/index.php?option=com_content.]

ზემოთ ციტირებულ ტექსტში სოციოლინგვისტურად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკები, ერთი მხრივ, ებრძოდნენ რელიგიას, მეორე მხრივ კი მიუღიათ გადაწყვეტილება რუსულ ენაზე ბაპტისტური ჟურნალის „ძმური კავშირის“ (Братский союз) დაარსების საკითხზე. რით უნდა აიხსნას ბოლშევიკებისთვის უჩვეულო ამგვარი ნაბიჯი? ვფიქრობთ, ამ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ქართული სამოციქულო ეკლესიის მრევლისა და სამღვდელოების მრავალრიცხოვნობით, ხოლო, მეორე მხრივ, ბაპტისტთა თემის მცირერიცხოვნობითა და ამ თემის წევრთა უმრავლესობის არაქართველობით. კომუნისტები, როგორც ითქვა, დაუნდობლად ებრძოდნენ ეკლესიას, პარალელურად კი ყოველნაირად ცდილობდნენ ერთმანეთზე გადაემტერებინათ ქვეყნის სატიტულო(?) ერი და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე უმრავლესობისგან განსხვავებული ენისა და რწმენის მქონე დიასპორები. ბაპტისტები იმდროინდელ საქართველოში ბევრნი არ იყვნენ, რის გამოც კომუნისტებს იმისი შიში არ ჰქონდათ, რომ მათი ხელშეწყობა სერიოზულ პრობლემას შეუქმნიდა უკიდურესად ათეისტურ ხელისუფლებას, რადგან საჭიროების შემთხვევაში უხეში ძალის გამოყენებაზე რეჟიმი უარს არ იტყოდა. სამაგიეროდ, ბაპტისტებს იოლად შეეძლოთ მადლიერება რელიგიურ უმრავლესობასთან პროვოკაციული დაპირისპირებით გამოეხატათ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, რელიგიური უმცირესობა კომუნისტებს სჭირდებოდათ მხოლოდ იარაღად ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მესამე, თუ დავაკვირდებით ამ ტექსტს, შეუძლებელია თვალში არ გვეცეს ფრაზა: „...საბჭოთა არა საწინააღმდეგო მიმართულების გაზეთები თავისუფლად გამოდის და მათ წინააღმდეგ დევნა არ სწარმოებს“, რომელიც ცხადად გვეუბნება, რომ რეჟიმი არსებობას უკრძალავდა და რეალურად დევნიდა არასაბჭოური, ე.ი. ეროვნული პოზიციის მქონე გაზეთებს. ჩვენი დასკვნის სისწორეს ადასტურებს არა მარტო თვით ეს ტექსტი და 1921-1922 წლების დოკუმენტური მასალა, არამედ მომდევნო პერიოდის სხვადასხვა საარქივო საბუთი: არაკომუნისტური პარტიების, კერძო პირებისა თუ ორგანიზაციების მიერ რევკომისთვის წარდგენილი შუამდგომლობები გაზეთების გამოცემის ნებართვის მისაღებად. ეს მასალა მოწმობს, რომ ბოლშევიკური რეჟიმის თანხმობის გარეშე არავის ჰქონდა ბეჭდვითი საქმიანობის წამოწყებისა და განხორციელების უფლება.

მართალია, ზემოთ ციტირებული განკარგულებით თითქოს ნებართვა არ სჭირდებოდათ ადამიანებს გაზეთების მოსაცემად, მაგრამ საქართველოს რევკომის სხდომათა ოქმებში ჩანს, რომ ხშირად განიხილებოდა ეს საკითხი და იქვე მოცემული იყო რეჟიმის საბოლოო გადაწყვეტილებები გამოცემების ბედის შესახებ. მაგალითად:

„ოქმი 23 - საქართველოს რევკომის პლენუმის სხდომისა 1921წ.

თავმჯდომარე ფ. მახარაძე. წევრები: ელიავა, ნაზარეტიანი, კვირკველია, დუმბაძე, ცინცაძე, ტოროშელიძე, ელისაბედაშვილი. დაესწრნენ: თუმანოვი, თევდ. კალანდაძე, მოდებაძე, კიკალიშვილი, ქავთარაძე, ყურულაშვილი.

სოციალ-რევოლუციონერთა კომიტეტის შუამდგომლობა გაზეთ „შრომის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნება. ნება დაერთოს გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი. ხარჯი ამ გაზეთისთვის გასტუმრებულ იქნეს სახელმწიფო თანხიდან.

დაშნაკვთუნის პარტიის შუამდგომლობა გაზეთ „ამხაცავორის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. შუამდგომლობა უარყოფილ იქნეს.

სოციალ-ფედერალისტთა რუსულ გაზეთსა და გაზეთ „მაშვრალთა ხმის“ შესახებ წინადადება მიეცეს საქართველოს ბეჭდვით ცენტრს - ქალაქისა და ტეხნიკური საშვალეობათა უქონლობის გამო - აღნიშნული გაზეთები დაიხუროს“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ოქმი 23, საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი, 1921 წელი].

მაშასადამე, ამ სხდომაზე რევკომის პლენუმმა განიხილა სამი სხვადასხვა პარტიის შუამდგომლობა თითო ქართული, რუსული და სომხური გაზეთის გამოცემის შესახებ. ნებართვა გაიცა მხოლოდ სოციალ-რევოლუციური (ესერთა) პარტიის გაზეთის გამოსაცემად, მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხაც გამოეყვს. როგორც ჩანს, იმ კონკრეტულ ეტაპზე ამ პარტიას არ ჰქონდა დიდი იდეოლოგიური სხვაობა ბოლშევიკების პარტიისგან, რასაც უნდა განეპირობებინა მისი გაზეთისთვის ბეჭდვის ნებართვის მიცემა და ხაზინიდან თანხის გამოყოფაც, თუმცა ამ პარტიაში რადიკალურად განწყობილი ანტიბოლშევიკებიც იყვნენ, რომლებსაც შეურიგებელი პოზიცია ჰქონდათ ქვეყნის ოკუპაცია-ანექსიისა და „პროლეტარიატის დიქტატურის“ მიმართ [შ. გოგოლიშვილი, ანტისაბჭოთა პარტიების ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წი-

ნააღმდეგ აჭარაში (1921 წელი). „სპეკალი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/2>].

საქართველოს რევკომის მიერ სომხური ნაციონალისტური პარტიის დაშნაკცუთიუნის გაზეთის „ამხაცავორის“ გამოცემაზე ყოველგვარი განმარტების გარეშე უარის თქმა, ჩვენი ვარაუდით, განპირობებული იქნებოდა ამ ორგანიზაციის იდეოლოგიის დიდი სხვაობით ბოლშევიკურ იდეოლოგიასთან. საგულისხმებელია, რომ დაშნაკცუთიუნს თავისი ტერორისტული წარსულისა და პრაქტიკულად ყველა მებრძოლი ხალხისადმი აგრესიული პრეტენზიების ტრადიციული სიუხვის გამო იმ დროს არ ენდობოდნენ ბოლშევიკები; გარდა ამისა, ყველამ იცოდა, რომ ამ პრეტენზიებს დაშნაკები სწორედ სომხურენოვანი პრესის მეშვეობით ავრცელებდნენ. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულიდან ამ დაჯგუფებამ სხვადასხვა ენაზე შექმნა გაზეთები, რომლებიც „გათვალისწინებული იყო პრაქტიკულად ყველა მკითხველისათვის: ეროვნული ნიშნით – სომხებისათვის, ქართველებისათვის, რუსებისათვის; სოციალური ნიშნით – მუშებისათვის, გლეხებისათვის, ინტელიგენტებისათვის, კაპიტალისტთათვის; პოლიტიკური მსოფლმხედველობით – ლიბერალისათვის, კონსერვატორისათვის, სოციალ-დემოკრატთათვის, ნაციონალისტთათვის, ინტერნაციონალისტთათვის და ასე შემდეგ. ყველა მკითხველს პროსომხური იდეები და მასალები შესაბამისი „შეფუთვით“ მიეწოდებოდა“ [გ. მარხულია, „დაშნაკცუთიუნი“ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/marx-ulia-dashnakcutuni/>].

საქართველოს რევკომის მიერ იმავე სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო (რევოლუციური) პარტიის რუსული გაზეთის (ოქმში მისი სახელწოდება, სამწუხაროდ, მითითებული არ არის) და ქართულენოვან გაზეთ „მამვრალთა ხმის“ დახურვის გადაწყვეტილებას ბოლშევიკებმა ასეთი მოტივი დაუძებნეს: „ქალაქისა და ტენიკური სამაგლებათა უქონლობის გამო – აღნიშნული გაზეთები დაიხუროს“. იმ მკითხველს, ვინც იცის, რომ ბოლშევიკები ძალიან ხშირად პირდაპირ არ ასახელებდნენ საკუთარი ქმედებების ნამდვილ მიზეზებსა და მიზნებს, ცხადია, მათ სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის გაზეთი სრულიად სხვა მიზეზის გამო დახურეს – ეს პარტია დაარსების დღიდან არსებობის შეწყვეტამდე (1901-1923 წწ.) იდგა ეროვნულ პოზიციაზე: 1901 წლიდან 1918 წლის 26 მაისამდე და 1921-1923 წლებში უმთავრეს მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები „...საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მტრულად შეხვდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას, მემარცხენეებმა გამოაცხადეს ლოიალური დამოკიდებულება. ისინი კომპრომისზე მიდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან, თუკი ეს უკანასკნელი საქართველოს დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულ პრინციპებს აღიარებდა და არ დაუშვებდა პროლეტარიატის დიქტატურას, მემამულეებისა და კაპიტალისტების მიმართ რეპრესიებს, არ გააჩაღებდა კლასობრივ ბრძოლას. მემარცხენეები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ნებისმიერი ფორმით გაერთიანებისა, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიებისა“ [შ. გოგოლიშვილი, ანტისაბჭოთა პარტიების ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაში (1921 წელი); „სპეკალი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/2>]. ბუნებრივია, როცა პარტიის უფრო ლოიალური ფრთაც კი მკაცრად უპირისპირდებოდა ბოლშევიკებს იმ საკითხებში, რომლებიც რეჟიმს პრინციპულ საკითხებად მიაჩნდა, პარტიის ანტიბოლშევიკური იდეოლოგიის გამოხატველი რუსული გაზეთის დახურვა გასაოცარი სულაც არ არის. აღსანიშნავია, რომ იმავე 1921 წელს ბოლშევიკებმა ამ პარტიის ყოველდღიური ქართული გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტიც“ დახურეს [<http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/002780/>], ხოლო 1923 წელს პარტიაც აკრძალეს. ამრიგად, ფედერალისტთა რუსული გაზეთის დახურვის რეალური მიზეზი ქალაქისა და ტენიკური საშუალებათა უქონლობა კი არა, საბჭოთა რეჟიმთან იდეოლოგიური შეუსაბამობა იყო.

როგორც ჩანს, იმავე მიზეზით დახურეს გაზეთი „მამვრალთა ხმაც“, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს რევოლუციონურ სინდიკალისტ-მამვრალთა კავშირის ორგანოს. იგი გამოდიოდა 1921 წელს, დაიბეჭდა მხოლოდ 19 ნომერი. ვვარაუდობთ, რომ ეს პოლიტიკური ორგანიზაციაც ებრძოდა ბოლშევიკებს, რაც რეჟიმისთვის მიუღებელს გახდიდა მისი იდეოლოგიის გავრცელებას ფართო მასებში.

საყურადღებოა, რომ 20-იან წლებში ყოფილა საგანგებო დაწესებულება ცენტროსიტყვა (ცენტრალური ბეჭდვითი სიტყვა), რომელსაც სახელწოდებიდან გამომდინარე ევალეობოდა ენასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტის ტექსტიდან უდავოდ ჩანს, რომ ცენტროსიტყვა პრაქტიკულად ვერ წყვეტდა ჟურნალ-გაზეთების ყოფნა-არყოფნისა და დაფინანსების საკითხებს, სინამდვილეში ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი გამოცემის ბედ-იღბალს განაგებდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). რაც შეეხება ცენტრო-სიტყვის რეალურ ფუნქციებს, მათ შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 1921 წლის 28 დეკემბრის დოკუმენტი, რომელიც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთ მხარეს გვიშუქებს:

„ბრძანება ცენტრო-სიტყვის გამვისა, 28 დეკემბერი 1921.

სახალხო განათლების კომისიის №3064 ცირკულარულ განკარგულების თანახმად, მიმოწერა ცენტრო-სიტყვის განყოფილებაში უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, როცა ეს მოუხერხებელი იქნება, სათანადო მომსახურენი ვალდებული არიან მიმართონ პირადად ცენტრო-სიტყვის გამგეს, რომლისაგან მიიღებენ შესაფერ განმარტებას. ცენტრალური ექსპედიციის გამგე, აგრეთვე გამგე ვინტალურ ექსპედიციისთვის, ქალაქის ექსპედიციის, გაკვრის, არქივის და წიგნის განყოფილების ვალდებული არიან ამ განკარგულების თანახმად, დაუკვეთონ ახალი ბლანკები, ან თუ შესაძლებელი იქნება ამ მიზნისთვის გამოიყენონ არსებული ბლანკები. ცენტრო-სიტყვის გამგე“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, საქმე №90].

ამრიგად, ცენტროსიტყვის რეალურ ფუნქციებში შედიოდა ნაბეჭდი პროდუქციის (პრესისა და წიგნების) ექსპედიცია, ანუ, ახლანდელი ტერმინოლოგიით, ოფიციალურ-ნორმატიული დოკუმენტების (დეკრეტების, განკარგულებების...) დისტრიბუცია-გავრცელება და აფიშების გაკვრა თვალსაჩინო ადგილებში, ასევე ნაბეჭდი პროდუქციის შენახვა-დაარქივება.

განსახილველი ბრძანების ტექსტი ადგენს ნორმას სხვა დაწესებულებების მიერ ცენტროსიტყვასთან და ამ დაწესებულების მუშაკთა შიდაურთიერთობისთვის ოფიციალური საქმისწარმოების ენის შესახებ: ასეთ ენად სახელმწიფო ენა ცხადდება, რომელშიც, ჩვენი აზრით, ქართული ენა უნდა იგულისხმებოდეს. ცხადია, ქართულ ენაზე საქმისწარმოებისა და შესაბამისი ახალი ბლანკების შედგენის ვალდებულება დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ამ პერიოდის საარქივო მასალის მიხედვით უმეტესად გამოიყენებოდა რუსული ენა - ჩვენ მიერ კვლევის პერიოდში ნანახ საარქივო მასალებში ხელით შედგენილი თუ ნაბეჭდი ოფიციალური დოკუმენტებისა და ბლანკების დიდი ნაწილი რუსულ ენაზეა შედგენილი. ეს იყო ცარიზმის დროის მემკვიდრეობა, რომელიც ხელს ბოლშევიკებსაც აძლევდა.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ ფაქტობრივად თითქმის ყველა წყაროში ქართული გაზეთების გვერდით აუცილებლად არის მითითებული რუსული გაზეთების ტირაჟის, გამოცემისა თუ სხვა ტიპის საკითხები. მაგალითად:

„საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი, 1921 წლის აპრილის 23.

დადგენილება: 1. ქალაქის ეკონომიისთვის წინადადება მიეცეს საქართველოს ბეჭდვით ცენტრს მოსპოს კედლის გაზეთების გამოცემა და გაკვრა და გახსნას სააგიტაციო სამკითხველოები მუშათა რაიონებში.

2. რუსული გაზეთები გამოიცეს 800 ცალად, უკიდურეს შემთხვევაში ცალ-ფურცლად, ხოლო ქართული გაზეთი - 1500 ცალამდე იქნეს გამრავლებული.

3. გაზეთები იყიდებოდეს“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ჟურნალი №5].

ამ დადგენილების საფუძველზე კედლის გაზეთების აკრძალვა, ჩვენი აზრით, არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული მხოლოდ ქალაქის დეფიციტით. როგორც ცნობილია, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. რა თქმა უნდა, ბოლშევიკებს აფრთხობდა ის გარემოება, რომ მათ გაუძნელდებოდათ ყველა დაწესებულების კედლის გაზეთის გაკონტროლება. მათ არ ჰქონდათ გარანტია, რომ ეს გაზეთები არ გადაიქცეოდა ანტიბოლშევიკური იდეების გამავრცელებლად, სწორედ ამიტომ მასობრივად აიკრძალა მათი გამოშვება და გაკვრა.

კედელზე გასაკრავი ხელნაწერი გაზეთებისგან განსხვავებით ბევრად უფრო იოლი იყო ნაბეჭდი პროდუქციის შინაარსის კონტროლი - სტამბები ცოტა იყო და ცენზურა მათ ადვილად მისწვდებოდა. ამით იხსნება ის გარემოება, რომ რეჟიმი დიდ ყურადღებას უთმობდა მუშათა რაიონებში სააგიტაციო სამკითხველოების გახსნას, აგრეთვე ამ სამკითხველოებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მომარაგებას ნაბეჭდი პროდუქციით, მათ შორის ყოველდღიური გაზეთებით. ამის დამადასტურებელია შემდეგი დოკუმენტი: „გრუცენტროპეჩატის აღმრიცხველ-გამანაწილებელ განყოფილებას: თანახმად თქვენი განცხადებისა, ამით გაცნობებთ, რომ განათლების კომისარიატისთვის და ყველა მის განკარგულებაში

მყოფ დაწესებულებებისთვის და სასწავლებელთათვის საჭიროა ყოველდღიური რუსულ-ქართული გაზეთების სამოცი ცალი. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რომ აღნიშნული რიცხვი გაზეთებისა გვეგზავნებოდეს სრულად“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, №12, 1921 წლის 7 ივნისი].

მსგავსი შინაარსის მოთხოვნა გაგზავნილა განსახკომის მიერ სხვადასხვა რედაქციაში: „გაზეთ „სოციალ-ფედერალიზმის“ და გაზეთ „კრასნი ვოინის“ რედაქციას: ვინაიდან წარსული 1921 წლის დეკემბრის 16 კანონი /კანონთა კრებული №22, კან. 235/ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების კომისარიატში წარმოდგენის შესახებ საქართველოს რევკომის მიერ გაუქმებული არ არის, გთხოვთ ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით წარმოადგინოთ ყოველივე ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები, როგორც დღემდე გამოცემული, აგრეთვე რომელიც შემდეგში დაიბეჭდება - 14 ცალის ყოველის გამოცემისა, რა ენაზედაც არ უნდა იყოს იგი დაბეჭდილი. ეს გამოცემანი საჭიროა, რათა დაკმაყოფილებულ იქმნეს საჭიროება უნივერსიტეტისა, საქართველოს მუზეუმისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, №1910, 11 მარტი 1921]. როგორც ვხედავთ, ბეჭდური პროდუქციის ნიმუშების გაგზავნის მოთხოვნა მიუთითებდა, რომ განსახკომი მკაცრად აკონტროლებდა მედიისა და გამომცემლების საქმიანობას. გარდა ამისა, საინტერესოა, ნამდვილად კითხულობდნენ თუ არა ამ რაოდენობის რუსულ გაზეთებს იმ პერიოდის საქართველოში, როცა ჯერ კიდევ ზოგადად დაბალი იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. თუ არაქართულ-არარუსულენოვანი მოსახლეობისთვის ბეჭდავდნენ ამდენ რუსულ გაზეთს, არც ესაა ლოგიკური, ვინაიდან საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფში კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა გაზეთებით დაინტერესება რუსული ენის უცოდინრობის მასობრივი ხასიათის გამო. შესაძლებელია, რუსული ვერსიებით ბოლშევიკური რუსეთის წარმომადგენლები აკონტროლებდნენ, რას წერდნენ და კითხულობდნენ საბჭოთა საქართველოში. გარდა ამისა, რუსულ ენაზე ყოველდღიური თუ ყოველკვირეული გაზეთების გამოცემის ვალდებულება კიდევ ერთი ინსტრუმენტი იყო რუსული ენის გასავრცელებლად და მისი სტატუსის განსამტკიცებლად.

განსახკომს ექვემდებარებოდა საოპერო და დრამატული თეატრებიც. ორი დოკუმენტიდან ჩანს, რომ საანალიზო პერიოდში ქართულთან ერთად არსებობას განაგრძობდა რუსული და სომხური დასებიც:

„დეკრეტი სახელმწიფო თეატრების გამგეობის შესახებ: სახელმწიფო თეატრის სათავეში დგას თეატრის გამგე, მას ჰყავს თანაშემწე. როგორც გამგეს, ისე მის თანაშემწეს ნიშნავს განათლების სახალხო კომისარიატი; თეატრთან არსებობს სათეატრო სათათბირო, სათათბიროში შედიან: თეატრის გამგე /თავმჯდომარე/, მხატვარი, რეჟისორი /აგრეთვე რეჟისორი რუსული დასის და რეჟისორი სომხური დასის/, ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელი, მხატვარი /ოპერაში დირიჟორიც/, ეროვნულ უმცირესობათა სექციების წარმომადგენელი /სექციებზე ერთი/. სახელმწიფო თეატრები /დრამა და ოპერა/ გასახელმწიფოებულია და ბილეთები უფასო. განათლების კომისრის მაგიერ“.

„დებულება №492 საბავშვო თეატრებისა. საბავშვო თეატრებში წარმოდგენები დაიდგმება - საოპერო და დრამატული - ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრებში“ [საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, საქმე №69, 15.12. 1922].

მაშასადამე, თეატრების მმართველ ორგანოში ქართველ, რუს და სომეხ რეჟისორებთან ერთად შედიოდა ეროვნული უმცირესობის რომელიმე წარმომადგენელი. საბავშვო თეატრებშიც სპექტაკლები იდგმებოდა ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. როგორც ვხედავთ, აქაც ქართულთან ერთად გათვალისწინებული იყო რუსული და სხვაენოვანი ეთნიკური ჯგუფების ენობრივი და კულტურული ინტერესები.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალების ანალიზით დასტურდება, რომ საბჭოთა რეჟიმი საქართველოს რევკომისა და განსახკომის მეშვეობით ტოტალურ კონტროლს ახორციელებდა, იდეოლოგიური ზეგავლენის საშუალებებად კი იყენებდა ბეჭდვით სიტყვასა და საგამომცემლო საქმიანობას, საოპერო და დრამატულ თეატრებს. იმდროინდელ საქართველოში არსებულ დაწესებულებებს სინამდვილეში მართავდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის თვალი, ყური და ხელი - საქართველოს რევკომი, რომელიც ხშირად გასცემდა მხოლოდ ბოლშევიკების პარტიული მიზნებისთვის სასარგებლო გადაუდებლად და განუხრელად შესასრულებელ ნორმატიულ დოკუმენტებს. რეჟიმი თავისი რეგულაციებით, ერთი მხრივ, თითქოს უპირატეს როლს უსაზღვრავდა ქართულ სახელმწიფო ენას, მაგრამ იმავე დადგენილებებით გასცემდა მითითებებს რუსული და სხვა ენების ფართოდ და თავისუფლად გამოსაყენებლად. ეს იყო მათ მიერ განხორციელებული პროვოკაციული ხასიათის ენობრივი პოლიტიკის დადასტურება - პირდაპირ თუ ირიბად შეექმნათ არეალი რუსულის და-

სამკვიდრებლად, ხოლო საამისოდ სხვა ენებისთვის მცირედი უფლებების მინიჭება მხოლოდ ფონის შესაქმნელად იყო საჭირო. ამის თვალსაჩინო მაგალითებია თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოცემული ქართულ-რუსული გაზეთები, ქართული, რუსული და სომხური თეატრალური დასები, ასევე სამართალწარმოებასა და სასამართლოში პრაქტიკულად ყველა ენის თავისუფლად გამოყენება და სხვ.

გამოყენებული წყაროები

1. გ. მარხულია. „დაშნაკუთნი“ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/marxulia-dashnakcutuni/>;
2. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ოქმი 4. საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი;
3. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ოქმი 23. საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი. 1921 წელი;
4. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, საქმე №90;
5. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, ჟურნალი №5;
6. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, №12 1921 წლის 7 ივნისი;
7. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, №1910, 11 მარტი 1921;
8. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 300, ანაწერი 1, საქმე №69, 15.12. 1922;
9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. თბილისი, 1990, გვ. 110; ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921წლებში, http://library.church.ge/index.php?option=com_content;
10. შ. გოგოლიშვილი. ანტისაბჭოთა პარტიების ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაში (1921 წელი). სპეკალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/2>;
11. <http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/002780/>.

SOFIKO TCHAAVA

Sokhumi State University

**GEORGIAN REVOLUTIONARY COMMITTEE AND LANGUAGE REGULATIONS
OF THE PEOPLE'S COMMISSARIAT FOR EDUCATION IN 1921
(ACCORDING TO ARCHIVAL MATERIALS)****ABSTRACT**

The Fund of People's Commissariat for Education of the National Archive of Georgia preserves documentary materials from 1921-1922, where the language regulations of various fields are reflected, which more or less highlights the Soviet government's aspiration and attempts to establish the desired language or languages. The decrees, provisions and decisions, issued by People's Commissariat for Education, determines the new rules of printed speech, publishers, theater and judicial system governing and the linguistic aspects of their functioning. The noteworthy facts in these materials is that educational system curator state structure was intruded within the framework of the structures of culture and justice systems and established its language usage norms. Apparently, this was not only the Georgian initiative and the proper reference came from Moscow, and Moscow, of course, preferred to control a single language structure and implement a common language policy.

Georgia's Revolutionary Committee (ie, the Revcom), which took control of the functions of the legislative and executive power, took the first step towards the beginning of the country's occupation and adopted extraordinary normative decisions, which meant the transformation of the publishing work, book trade, books, cultural control, full listing of the existing material resources and "nationalization" or tearing off from lawful owners.

The documentary evidence obtained by us in the National Archive shows that the government, on the one hand, presumed the predominant role to Georgian state language with its regulations, but with the same resolutions issued instructions for widely and freely use of Russian and other languages. This was proving the provocative nature of their linguistic policies - directly or indirectly creating the area for the establishment of Russian language, and for this purpose, granting other languages with minor rights have been used just to create a background.

ქართული თეატრი და ეროვნული მოძრაობა

თეატრი ქართველი კაცის ეროვნული თვალსაწიერის ფორმირებაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ძველთაგანვე არაერთი ხალხური სანახაობა არსებობდა. მათ შორის დღემდე ბერიკაობა შემორჩა. მასში ძირითადად თამაშდებოდა უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული სიუჟეტები: სალაშქრო, ეკლესიის მსახურთა მამხილებელი, ბატონყმობისა და საერთოდ უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული სიუჟეტები. იგი წარმოადგენდა ნიღბების იმპროვიზებულ თეატრს. თავიდანვე არსებულმა საკულტო-რელიგიური დანიშნულების სანახაობამ დროთა განმავლობაში სახე იცვალა და მემამულეთა და ეკლესიის წინააღმდეგ ხალხის დამოკიდებულებას გამოხატავდა.

მეორე სახალხო ზეიმი ყვენობა კი გამოხატავდა ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლასა და გამარჯვებას დამპყრობელთან. მისი პირველი აღწერილობანი XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. თბილისში ეს სანახაობა ძირითადად ნარიყალას ტერიტორიაზე იმართებოდა. ქალაქი სადღესასწაულო სახეს იღებდა. მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფოდა. თამაშდებოდა თბილისის დაპყრობა-განთავისუფლება. დამარცხებულ ყვენს ვირზე უკულმა სვამდნენ და მტკვარში აგდებდნენ. სანახაობა დიდი ლხინით მთავრდებოდა. XIX საუკუნიდან ყვენობამ სახე იცვალა და ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სულისკვეთების გამოხატველად იქცა. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი მასში პატრიოტული იდეების პროპაგანდის საშუალებას ხედავდნენ და ამიტომაც მის ორგანიზაცია-ჩატარებაში მწერლებიცა და მსახიობებიც მონაწილეობდნენ.

ქართული პროფესიული თეატრი XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს, რომელიც ერეკლე II-ის კარზე ჩამოყალიბეს გიორგი ავალიშვილმა და გაბრიელ მაიორმა. ამ ევროპული ყაიდის თეატრს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის. შეიქმნა ორიგინალური დრამატურგია, აგრეთვე ითარგმნა რუს და ევროპელ ავტორთა ნაწარმოებები. 1795 წელს, გაბრიელ მაიორი და მთელი დასი გმირულად დაიღუპა ალა-მაჰმად ხანის შემოსევისას კრწანისის ბრძოლაში. ეს ფაქტი უნიკალურია მსოფლიო თეატრის ისტორიაში.

XIX ს. პირველ ნახევარში ქართული თეატრი არ აღმდგარა და სპექტაკლები საოჯახო სალონებში იმართებოდა. საზოგადოებაში მძლავრობდა პროგრესული იდეები, რაც ქართველ მოღვაწეებს რუსეთის კოლონიური უღლის წინააღმდეგ განაწყობდა. ამიტომაც 1832 წლის შეთქმულთა შორის იყვნენ თეატრის მოღვაწენიც დიმიტრი ყიფიანი და გიორგი ერისთავი.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა გ. ერისთავმა, 1850 წლის 2 (14) იანვარს, თავისსავე პიესა „გაყრის“ დადგმით პროფესიული თეატრი აღადგინა. იგი კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან აფასებდა იმდროინდელ საზოგადოებას და თავისი სატირით ანტისამთავრობო განწყობას აღრმავებდა. ამის გამო თეატრი 1856 წელს დაიხურა, თუმცა სხვა მიზეზიც არსებობდა.

XIX ს. 60-იანი წლებიდან თერგდალეულთა მოძრაობამ კულტურის ახალ ესთეტიკურ საფუძველზე ჩამოყალიბება განაპირობა. უკვე დემოკრატიული იდეალების პოზიციებიდან განიხილებოდა ეროვნულ ინტერესებთან არსებული წყობის შეუთავსებლობა. ამ მიზნისთვის, მძლავრი პროპაგანდის საშუალებას იღია ჭავჭავაძე თეატრში ხედავდა: „ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენი ენის მოწყალებით გავიტა-

რებით თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისი ჭკუისა და გულის მონაგარი...“ [gurabaniZe, 1955:57] და კიდევ: „თეატრი დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისთვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, როცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გადადოს...“ [gurabaniZe, 1955:133] ცხადია, თეატრი ამ დანიშნულებას დრამატურგიის გარეშე ვერ შეასრულებდა. ამიტომ გაზეთი „დროება“ მწერლებს მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისკენ მოუწოდებდა და საუკეთესო ეროვნულ დრამაზე კონკურსიც გამოაცხადდა. პიესები „ივერიაშიც“ იბეჭდებოდა. ამ ფონზე 1879 წლის მაისში, ილიასა და აკაკის თაოსნობით დაარსდა `დრამატული კომიტეტი“ (შემდგომში „დრამატული საზოგადოება“), რომელმაც თეატრის გახსნის ორგანიზაცია და 1 სექტემბერს აღადგინა პროფესიული თეატრი. მსახიობები არა მარტო ხვეწდნენ ოსტატობას, არამედ ქმნიდნენ თეორიული ხასიათის შრომებსაც. ასეთი წერილები ეკუთვნით ვალერიან გუნიას და ალ. ყაზბეგს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვასო აბაშიძის მიერ 1894 წელს დაწერილი სტატია დრამატულ ხელოვნებაზე, რომელიც დასრულებული თეორიული ნაშრომია და წინ უსწრებს სტანისლავსკის თეორიას [აბაშიძე, 1951:41] ამასთანავე, ვ. აბაშიძემ დააარსა გაზეთი „თეატრი“.

XIX ს. 80-იან წლებში თეატრის არსებობამ ისტორიულ-პატრიოტული ნაწარმოებების შემდგომი ზრდა განაპირობა. დაიდგა: აკ. წერეთლის „პატარა კახი“, ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“, ან. ფურცელაძის „დიდი მოურავი“. ვ. მესხის „რუსთაველი“ და „თამარ ბატონიშვილი“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად დავით ერისთავის „სამშობლოს“ (გადმოქართულებული სარდუს „ფლანდრიიდან“) — სცენიდან პირველად გაისმა სამშობლოსთვის თავგანწირვის მოწოდება! მაყურებელმა დაინახა გმირი და რწმენა ესახებოდა სვიმონ ლიონიძის ამ სიტყვებზე: „ქართველები ეგრე მალე არ ამოიწყვიტებიან!.. ქართველები აგრე ადვილად როდი დასთმობენ თავის სამშობლოს!.. ბევრი ამისთანა შავი დღე უნახავს საქართველოს, მაგრამ ისევ და ისევ ფეხზე დამდგარა, ისევ გამობრუნებულა, ისევ ისე ამაღლებულა!..“ [ერისთავი, 1947:5-6] ამიტომაც, შეთქმულთა მიერ ბრძოლის წინ აღსრულებული ლოცვის ხილვისას საზოგადოება ფეხზე წამოდგა და ისე მოისმინა ეს ლოცვა. საზოგადოება გამოაფხიზლა სპექტაკლმა, რომელიც ამყარებდა სარწმუნოებრივ-პატრიოტულ სულისკვეთებას და ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ამ გარემოებას რუსი ჩინოვნიკები საშიშად მიიჩნევდნენ, ვინაიდან სცენაზე ეროვნული დროშის აფრიალება მათში აღშფოთებას იწვევდა და აკრძალეს კიდევაც. სპექტაკლმა დიდი იდეოლოგიური ბრძოლა გამოიწვია. „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ მიხეილ კატკოვმა თქვა, რომ ეროვნული დროშები ქართველებმა ცირკს უნდა მიჰყიდონო. ეს ფრაზა საზოგადოებამ დიდ შეურაცხყოფად მიიღო და საკადრისი პასუხი გასცეს ილია ჭავჭავაძემ „კატკოვის პასუხად“ [გაზ. დროება, ჭავჭავაძე, 1882] და აკაკი წერეთლის „ვერ ხედავთ?“ [დროება, წერეთელი, 1882] კამათმა ეროვნული ღირსების დაცვის პრინციპული ბრძოლის სახე მიიღო და დიდი გამომხაურება ჰპოვა საზოგადოებაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მხილებით.

XX ს. დასაწყისში ქართულ სცენაზე დაიდგა ალ. სუმბათაშვილი-იუჯინის „ლალატი“, რომელმაც „სამშობლოს“ მსგავსი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეების ქადაგებაში.

ამავე პერიოდში ლადო მესხიშვილმა ქუთაისის თეატრი ამ მოძრაობის ტრიბუნად გადააქცია. ლ. ალექსი-მესხიშვილმა ცენზურის სიმკაცრის მიუხედავად მაინც შექმნა თავად-აზნაურობისა და მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო რეპერტუარი. მან 1905 წლის აპრილში ქუთაისში გამართულ გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე განაცხადა: „მესხიშვილი თქვენი ცხოვრების სარკეა და ამ სარკეში ნათლად ხედავთ თქვენი ზნეობის დაცემას, თქვენს უვიცობას და გამათრახებას. ამას იმიტომ სჩადის მესხიშვილი, რომ ეს მისი მოვალეობაა და ამ მოვალეობას შეასრულებს უთუოდ!“ [საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ს. გერსამიას არქივი:29] 1905 წლის 9 იანვარს წარმოდგენილ იქნა ვ. მონტის „კაი გრაჰი“. იგი ასახავდა დაბალი ფენის წარმომადგენელთა ბრძოლას რომის პარტიციპების წინააღმდეგ. საზოგადოება იმდენად გაიტაცა პიესის შინაარსმა, რომ აღტაცებული ტაშის ცემით ეგებებოდა თანადროული ჟღერადობის ეპიზოდებს. წარმოდგენის შემდეგ თეატრთან შეგუფებული ხალხი გაიძახოდა: „ძირს თვით-მპყრობელობა!“, „ძირს პოლიცია“, „ძირს ომი“. [კასრაძე, 1984:153] ამით იყო გამოწვეული ის, რომ ეს სპექტაკლი გაზ. „ივერიას“ ცნობით, 27 თებერვალს სპექტაკლს წარმოდგენის ნება არ მისცეს. [ივერია, 1905, N4] 1906 წელს კი ქუთაისში ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის გამოჩენისას ლ. მესხიშვილი ბარიკადებიდან მოუწოდებდა: „ჩვენ თუ დავიხიცი-

ბით – ქვეყანა წარმოშობს ისეთ გმირებს, რომელნიც უეჭველ გამარჯვებას მიანიჭებს ხალხს.” [კასრაძე, 1984:163]

ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების შემდეგ, თეატრის ბრძოლა დემოკრატიულობისთვის არ შეწყვეტილა. მკაცრი ცენზურის მიუხედავად დაიდგა შ. დადიანის „როს ნადიმობდნენ“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“ და „უნიადაგონი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და „გამცემი“. შემდგომ პერიოდში, ქართული თეატრის შენობის დაწვამ (1914 წ.) და მწვავე პოლიტიკურმა მოვლენებმა (პირველმა მსოფლიო ომმა) თეატრის განვითარება შეაფერხა. ახალი ეტაპი კი 20-იანი წლებიდან იწყება, რომელშიც განსაკუთრებული როლი კ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელს ეკუთვნით.

სანდრო ახმეტელი, ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, 10-იანი წლებიდან აქვეყნებდა თეატრალურ და პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც ეროვნულ პრობლემებს ეხებოდა. შემდგომში იგი გახდა დემოკრატიული საქართველოს პარლამენტის წევრი და აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა რესპუბლიკის ფორმირებაში. ამის ერთერთი მაგალითია 1918 წელს ეროვნული საბჭოს ხელოვნების კომისიის თავმჯდომარის ს. ახმეტელის მიმართვა ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმისადმი: „ამით გაცნობებთ, რომ ხელოვნების კომისიამ თავის სხდომაზე დაადგინა მიეცეს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს მის მიერ წარმოდგენილ და საბჭოსგან მიღებულ საქართველოს დროშის პროექტის შემუშავებისათვის სამი ათასი მანეთი გასამრჯელო.“ [მეგრელიძე, 1992:47] ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არალეგალურ მუშაობას განაგრძობდა. მისი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ 1922 წელს მოსალოდნელი გამოსვლებისთვის, ხოლო 1923 წელს კი „სამხედრო ცენტრთან“ კავშირისთვის დააპატიმრეს. [მეგრელიძე, 1992:48-52] განთავისუფლების შემდეგ კი შემოქმედებითი ცხოვრება განაგრძო და განახორციელა ს. შანშიაშვილის პატრიოტული სულისკვეთების პიესები: „როდაში“, „ლატავრა“, „ჭერეთის გმირები“.

დამოუკიდებელი საქართველოს ჯარის რიგებში გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით, ბათუმის დასაცავად თურქების წინააღმდეგ, 1921 წლის იანვრიდან იბრძოდა შემდგომში ქართველი სცენის კორიფე აკაკი ვასაძე, რომელიც თავის მოგონებებში ბრძოლის ეპიზოდებს აღწერს და ამბობს: „ბათუმი გადავურჩინეთ სამშობლოს!“ [ვასაძე, 1977:109] ამ მოგონებაში ყურადღება მისაქცევია ერთი გარემოება, როდესაც აკ. ვასაძე წერს: „სად იყო, სად არა, ტყავის პალტოებში სამხედრო ყაიდაზე გამოწყობილი შაქრო ბერიშვილი და სანდრო ახმეტელი წამოგვადგინეს თავს.“ [ვასაძე, 1977:101] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩემ მიერ მიკვლეული დოკუმენტი, რომელიც პირველად ქვეყნდება: „სანახაობის განყოფილების უფროს, რეჟისორების ალ. ახმეტელისა და შალვა ბერიშვილის განცხადება. სახელმწიფო დრამის კომისრის თანახმად გამოცემული დეკრეტისა შესახებ იმისა, რომ ვინც 15 აპრილამდე არ დაბრუნდება თავის ალაგზე ჩვენც სახელმწიფო დრამის გამორიცხულნი ყოფილან სამსახურიდან, ჩვენც სახელმწიფო დრამის დასიდან ამოუშლივართ, რადგან 15 აპრილამდე არ გამოვცხადდით. ჩვენ ორივენი ვმსახურობდით საქართველოს წითელ ჯარში. მთავრსარდლის განკარგულებით ჩვენს რაზმს მინდობილი ჰქონდა გადმოეტანა თბილისში არტილერიის ცხენები და მრავალი სხვა სამხედრო მასალა. გზაში 20 დღე დავკარგეთ და თბილისში მხოლოდ 20 აპრილს მოვედით. ვინაიდან გამოცემული დეკრეტი არ ეხება წითელ ჯარში მყოფ პირებს, ამიტომ მოახდინეთ განკარგულება, რათა ჩვენ ისევე აღდგენილნი ვიყვნეთ ჩვენს უფლებებში.“ [საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, რუსთაველის თეატრის ფონდი] თუ აკ. ვასაძის მოგონებას დავეყრდნობით, მაშინ გამოდის, რომ ს. ახმეტელი და შ. ბერიშვილი წითელ ჯარში კი არა, დამოუკიდებელი საქართველოს ჯარში იბრძოდნენ. ხოლო ოსმალთა დამარცხებისა და ეროვნული ჯარის დაშლის შემდეგ, თბილისში დაბრუნებისას ბოლშევიკთა ჯარს შეუერთდნენ. ამდენად, ოსმალოებისგან ბათუმის განმანათავისუფლებელ ბრძოლაში თეატრალური მოღვაწენიც მონაწილეობდნენ.

საინტერესოა, რომ ს. ახმეტელის სპექტაკლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ პრემიერა 1921 წლის 10 თებერვალს შედგა. 16 თებერვალს კი დასი დაიშალა, რადგან მსახიობთა გარკვეული ნაწილი ეროვნული არმიის რიგებში შევიდა. ამის შემდეგ, ს. ახმეტელი კიდევ ორი წელი ებრძოდა ბოლშევიკებს.

დამოუკიდებელ საქართველოს იცავდა მსახიობი აკაკი ხორავაც. არსებობს შალვა ჯიქიას საინტერესო მოგონება: `1921 წელს, როდესაც სენაკს მე-11 ნაწილები მიუახლოვდა, ქალაქში პანიკა ატყდა. მეფის არმიის ყოფილი ოფიცრის, ხაროტონ ლაშხიას ხელმძღვანელობით შეიქმნა შეიარაღებული ფორმირება, რომლის კომისრად აკ. ხორავა დაინიშნა.

არმიის შემოსვლის მოლოდინში მიტინგი გაიმართა, სადაც აკ. ხორავამ თქვა: „ვის სხეულშიც ქართული სისხლი ჩქეფს, ყველა აღსდევით საძულველი ბოლშევიკების წინააღმდეგ. საშუალება არ უნდა მივცეთ, რომ ჩვენი სამშობლო დაიპყრონ. ძირს აგრესორი ბოლშევიკები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს... ახლა ჩემს სიტყვებს ბანი მისცეს არტილერიამ. იქუხეს ზარბაზნებმა.“ [მეგრელიძე, 2009:5] ეს ფაქტი მტკიცდება პოლიტსამმართველოს მიერ შექმნილი დოკუმენტიდანაც: „აკაკი ხორავა მენშევიკური გვარდიის შტაბის ყოფილი უფროსი. გასაბჭოების შემდეგ ეწეოდა არალეგალურ ანტისაბჭოთა მუშაობას, რისთვისაც 1923 წელს დაპატიმრებულ იქნა...საბჭოთა ხელისუფლების მიმართ განწყობილია უკიდურესად მტრულად...“ [მეგრელიძე, 2009:5] ამავე გარემოებას ადასტურებს მსახიობ თამარ წულუკიძის 1937 წლის დაკითხვა: „...იყო შემთხვევა, როდესაც ნასვამმა ხორავამ სადღეგრძელო წარმოთქვა 1921 წელს ბრძოლის ველზე დაღუპულთა მოსაგონებლად...მე ვიცნობდი წარსულში ხორავას, რომელიც მენშევიკების დროს ეროვნულ გვარდიას მიეკუთვნებოდა. ამის შესახებ თვითონ მიყვებოდა“ [მეგრელიძე, 2009:5].

კოტე მარჯანიშვილმა 1922 წლის 25 ნოემბერს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ დადგმით, საფუძველი ჩაუყარა სინთეზურ თეატრს, რომელიც ქართული თეატრის განახლების იმპულსად იქცა. მსახიობ თამარ ჭავჭავაძის განსახიერებელი ლაურენსია კი ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ასევე, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, კ. მარჯანიშვილი საპასუხოდ დგამს შექსპირის „ჰამლეტს“, სადაც წინ წამოსწია ზნეობრივი გმირისა და ინტელიგენციის პრობლემა. უშანგი ჩხეიძე წერდა, რომ ჰამლეტის სახე გააზრებული იყო, როგორც სპეტაკი ადამიანისა, რომელსაც სძულდა ორპირობა და ძალდატანება. ცხადია, კომუნისტური ტერორის დროს, ჰუმანური იდეების ქადაგება იოლი არ იყო, ვინაიდან პოლიტსამმართველო ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებებს განსაკუთრებულად ეკიდებოდა. ამიტომაც ყურადღება გამახვილდა რუსთაველის თეატრში ს. ახმეტელის ინიციატივით შექმნილ კორპორაცია „დურუჯზე“. იგი ახალი შემოქმედებითი ძიებების, ინტელიგენციის, განსაკუთრებით მწერლების, შემოკრების გამო ნაციონალ-შოვინისტურ ორგანიზაციად იქნა მიჩნეული. მსახიობებზე შეიქმნა პირადი საქმეები, რომლებშიც ისინი ანტისაბჭოთა ელემენტებად იყვნენ დახასიათებულნი.

შეაჯამა რა „დურუჯის“ შემოქმედებით-პოლიტიკური საქმიანობა, საქართველოს პოლიტსამმართველოს უფროსმა ლავრენტი ბერიამ, საიდუმლო განცხადებით მიმართა საქ. ცკ-ის პირველ მდივანს შალვა ელიავას და კორპორაციის დაშლა მოითხოვა. ამ დასკვნის საფუძველზე „დურუჯი“ დაშალეს [მეგრელიძე, 1992:54] და დაიწყეს ადმინისტრაციული მუშაკებით დაკომპლექტებული კომკავშირულ-პარტიული ზეგავლენის გაძლევება. სწორედ ისინი გამოიყენა ლ. ბერიამ 1930 წელს თეატრის საზღვარგარეთ გასტროლების ჩასაშლელად. ამ მიზნით სასწრაფოდ მოეწყო მათი დაკითხვა, რომლებიც ს. ახმეტელს პარტიულ-პროფკავშირულ ორგანიზაციათა დევნაში, ზემდგომ ორგანოთა იგნორირებასა და სემბონის გახსნის განზრახ დაგვიანებაში დებდნენ ბრალს. ამის საფუძველზე ლ. ბერიამ საქ. ცკ-ის პირველ მდივანს ლევან ლოლბერიძეს ანგარიში წარუდგინა, სადაც აღნიშნული იყო საზღვარგარეთ დარჩენის მოსურნე მსახიობთა ნაციონალისტური მოტივები. მოსალოდნელ შედეგებზე პოლიტსამმართველო პასუხისმგებლობას იხსნიდა. იგივე განმეორდა 1933 წელსაც – ჩაიშალა ტურნე ევროპის ქვეყნებში. პოლიტსამმართველოს საქმეებში დაცულია თეატრის ყოველსემბონური შემოქმედებითი და საბუღალტრო ანგარიშები, ჭორების, ინტრიგებისა და ანტისამთავრობო გამონათქვამების ჩათვლით. ამას დაერთო ახმეტელის მხრიდან, 1934 წელს, თეატრის 10 წლისთავის იუბილეს დროს ბერიას საჯარო კრიტიკა. ეს დაპირისპირება იმით დამთავრდა, რომ ახმეტელმა არ შეასრულა ამიერკავკასიის ცკ-ის ბიუროს 1935 წლის 3 აგვისტოს დადგენილება, რისთვისაც იგი 1935 წლის 13 სექტემბერს გაათავისუფლეს.

მოსკოვში სამუშაოდ წასვლის შემდეგ, მას პოლიტსამმართველო ადევნებდა თვალს, ვინაიდან იგი პოზიციებს არ თმობდა და სტალინთან შეხვედრას ცდილობდა. ეს კი ბერიას წინააღმდეგ ბრძოლად აღიქმებოდა და იგი ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს. შეიქმნა ე. წ. „ახმეტელის საქმე“, რომლის გამოც დახვრიტეს: ს. ახმეტელი, ელგუჯა ლორთქიფანიძე, ია ქანთარია, ივანე ლალიძე, პლატონ კორიშელი. გადაასახლეს ქალები: თამარ წულუკიძე, ბუჟუა შავიშვილი (ეტაპირებისას გარდაიცვალა), ნინა ღვინიაშვილი. რეპრესიები შეეხოთ სხვა ქართველ თეატრალურ მოღვაწეებსაც: ევგენი მიქელაძეს, ვახტანგ გარიკს, ხათუნა ჭიჭინაძეს, ალ. დუდუჩავას, ს. ამალობელს, პეტრე ოცხელს, ვახტანგ აბაშიძეს, გიორგი ჟორდანიას, ალ. თარხნიშვილს. მოგვიანებით დააპატიმრეს კუკური პატარაძე და გრიგოლ

კოსტავა, ამ 20 კაციდან გადარჩა მხოლოდ ოთხი — თამარ წულუკიძე, ნინა ღვინიაშვილი, კუკური პატარიძე და გრიგოლ კოსტავა.

ამ საშინელი ტრაგედიის მიუხედავად, ქართული თეატრი მუშაობას წარმატებით განაგრძობდა. რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლექციის თავმჯდომარედ დანიშნულმა აკაკი ვასაძემ 20 წლის მანძილზე ღირსეულად გააგრძელა ს. ახმეტელის ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის ტრადიციები.

საერთოდ, 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლებში ახალი ამრის კი არა, საინტერესო პიესის დადგმაც თითქმის შეუძლებელი იყო, ვინაიდან „უკონფლიქტობის თეორიისა“ და სხვა ამგვარი ხელოვნური იდეოლოგიური დაბრკოლებები თეატრის მოღვაწეებს შემოქმედებითად ბოჭავდა. ასეთი სირთულეებისა დიმიტრი ალექსიძემ 50-იანი წლების ბოლოს განახორციელა დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონის“ (ვაჟა-ფშაველას მიხედვით) დადგმა. სპექტაკლი თავისი არსით ეროვნულ-განმანათავისუფლებელ იდეას გამოხატავდა, სადაც ხალხი სამშობლოსა და ღირსებას იცავდა. ეს თემა იმავე ავტორის პიესა „ამირანში“ გაგრძელდა, რომელმაც ამჯერად შემოქმედებითი მარცხი განიცადა, ვინაიდან იგი თანადროულ თეატრალურ ესთეტიკას ჩამორჩა. საქმე იმაშია, რომ თუ „ბახტრიონი“ ახმეტელისეულ საგმირო რომანტიკას ეფუძნებოდა, „ამირანში“ უკვე თეატრს ტრადიციულ სტილზე უარი ჰქონდა ნათქვამი და გეზი რეალისტურ-ფსიქოლოგიური სტილისკენ ჰქონდა აღებული.

ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან ბრძოლის, მისი ანტიდემოკრატიულობის წარმოჩენის იდეა დაედო საფუძვლად რობერტ სტურუას რეჟისურას, რომელმაც ეს თემა ახალი სტილისტიკით დაამკვიდრა სცენაზე. ეს პრობლემა მრავალფეროვანი რეჟისორული მიგნებებით გამოიხატა სპექტაკლებში: „სელიემის პროცესი“, „ყვარყვარე“, „ღალატი“, „დრაკონი“, ხოლო დამაგვირგვინებელი „რიჩარდ III“ აღმოჩნდა. რ. სტურუამ მაყურებელს სრულიად ახლებურად დაანახა შექსპირის პიესა და მას თანადროული ჟღერადობა მიანიჭა. ასევე საინტერესო აღმოჩნდა თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული შ. დადიანის „გუშინდელნი“, რომელიც ეროვნული ღირსების საკითხს აყენებდა. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რეჟისორ დავით ანდლულაძის მიერ გრ. რობაქიძის „გრაალის მცველნის“ დადგმა, რომლის პრემიერაც 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გაიმართა და მასში იმდროინდელმა ეროვნულ-განმანათავისუფლებელმა სულისკვეთებამ თავისებური ასახვა პოვა. მსახიობებმა ო. მეღვინეთუხუცესმა, გ. ბურჯანაძემ და რ. ჩხიკვიშვილმა ბრწყინვალე სახეები შექმნეს.

ასეთი მდიდარი ტრადიციების ქართულმა თეატრმა, სამწუხაროდ XX ს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენები სათანადოდ ვერ ასახა და ვერ გახდა ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი.

შენიშვნები

1. აბაშიძე ვ. (1951). *მოკლე ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ*. ვასო აბაშიძე (41-44).
2. ავალიშვილი ნ. 2014. თავგადასავალი და განცდანი. თბილისი.
3. ბურთიკაშვილი ალ. 1962. ლადო მესხიშვილი. თბილისი.
4. ბუხნიკაშვილი გ. 1976. ქართული თეატრი ახალი ეპოქის მიჯნაზე. თბილისი.
5. გაჩეჩილაძე ა. 1957. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურიკისა და თეატრის ისტორიიდან. თბილისი.
6. გერსამია ს. 1950. გიორგი ერისთავის თეატრი. თბილისი.
7. გურაბანიძე ნ. 1955. ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ. თბილისი.
8. ერისთავი დავით. (1947). *სამშობლო*. თბილისი.
9. ვასაძე აკაკი. 1977. მოგონებები, ფიქრები. თბილისი.
10. კასრაძე ო. 1984. კვალი ნათელი კაცისა. თბილისი.
11. კიკნაძე ვ. 1977. სანდრო ახმეტელი. თბილისი.
12. საყვარელიძე რ. 1956. ქართული თეატრის ისტორიიდან (ერეკლე მეორეს თეატრიდან გიორგი ერისთავის თეატრამდე). თბილისი.
13. შვანგირაძე ნ. 1980. თამარ ჭავჭავაძე. თბილისი.
14. ჯანელიძე დიმიტრი. 1948. ქართული თეატრის ხალხური საწყისები. თბილისი.
15. ჭავჭავაძე ილია, *კატკოვის პასუხად*. გაზეთი „დროება“, 1882, 24 თებერვალი, №40. გვ. 1-2. (**შენიშვნა:** ზოგ ლიტერატურაში მითითებულია 13 და 23 თებერვალი, რაც სწორი არ არის. აღსანიშნავია, რომ წერილი დათარიღებულია და რდაქციაში გაგზავნილია 23 თებერვალს, რიტაც არის გამოწვეული უზუსტობა).
16. წერეთელი აკაკი, „ვერ ხედავთ?“ გაზ. „დროება“. 1882. 4 მარტი. №45, გვ. 1-2.
17. გაზ. „ივერია“. 1905. №4.
18. მეგრელიძე გუბაზ. (1992). *სანდრო ახმეტელი და ეროვნული მოძრაობა*. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №6.
19. მეგრელიძე გუბაზ. რაინდების სადღეგრძელოს მხოლოდ რაინდები სვამენ. ჟურნ. „რაინდი“. 2009. №2.
20. ს. გერსამიას პირადი საარქივო ფონდი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. ფ. 1. ხელნაწერი №9800. რვეული IV.
21. რუსთაველის თეატრის ფონდის აღწერილობა. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. ფ. 4. ხელნაწერი №735.

GUBAZ MEGRELIDZE**GEORGIAN THEATER AND NATIONAL MOVEMENT**

The theater has always played an important role in the formations of the Georgian national thinking. Since ancient times, there were several folk visions. Including “Berikaoba has always been against dishonesty, and the national triumph of “Kaenoba ”expressed a heroic battle and victory over the invader. In the 90s of the 18th year, the circle of the professional theater, installed in the Erekle Palace of the 2nd, in 1795 heroically died during the attack of Agamakhmad Khani in the battle of Krtsanisi. This fact is unique in the history of world theater. In the first half of the 19th year, progressive ideas in society intensified, which put Georgian figures against the Russian colony. Therefore, among the rebels of 1832 there were figures of the traitor Dimitri Kipiani and Giorgi Eristavi.

In the 80s of the 19th year, there was a theater that began to develop historical-patriotic works. The “Motherland” of Dimitri Eristavi (translated into Georgian from Sardu “Flanders”) was particularly successful. From the stage for the first time heard a statement of self-sacrifice for the motherland! In this period, L. Meskhishvili, the Kutaisi Theater, altered the movement’s tribune and created a repertoire opposite to the king’s state.

In 1917-18, Akhmeteli became a member of parliament of democratic Georgia and actively participated in the formations of the young republic. After sovietizations of Georgia, he illegally continued the battle, because of what they arrested in 1922 and 1923. In 1921, in the ranks of the armies of an independent Georgia, Ak fought for the protection of Batumi from Turkey. Vasadze, who was found according to documents, participated in the battles against Turkey with Sandro Akhmeteli and Shalva Berishvili. In Senaki, the director of the National Guard headquarters, Akaki Khorava.

A new stage begins in the 1920s, where K. Mardjanishvili and S. Akhmeteli played a special role. On November 25, 1922, Lope de Vegas’s production *The Source of Taurus* was dedicated to the fight against tyranny. Also, after the national uprising of 1924, K. Mardjanishvili responded with Shakespeare’s *Hamlet*’s play, where he posed the problem of a spiritual hero who lost intellectuals and power problems. At this time, for the creation of Duruji corporations, the Restaveli Theater came under the influence of strict censorship and the repressions of famous figures of 1937 were carried out. Despite these difficulties, D. Aleksidze staged Bachtrioni’s play (after Vazha-Pshavela) in the late 50s. The performance, in its thought, expressed the idea of national liberation. The idea of a battle with a totalitarian state, anti-democratic display, was the basis of the director R. Sturua. This problem was expressed in the performances: “Salem Process” “Quarkware” “Richard III”. The performance of T. Chkheidze “Yesterday’s” raised the question of national value. The play “Graalis Mtsvnelshi” by D. Angulad became important. Gr. Robakidze, who was staged after the April 9 tragedies, and expressed the idea of national liberation against the USSR.

თამარ საბაკალი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული
ერთეული – ვახტანგ ჭაბუკიანის – მემორიალური ბინა-მუზეუმი

აკაპეიბაღური კომუნიკაცია ინფორმაციული კომუნიკაციის კომტესში (ქართული ხალხური თეატრის მაგალითზე)

როგორც ცნობილია, გლობალიზაციის არსი გულისხმობს ეთნოსების, საზოგადოებების, სახელმწიფოებისა და სხვადასხვა განსხვავებული ცივილიზაციის დაახლოებასა და ურთიერთგამდობობას, მათ შორის თანაცხოვრებას ერთიან სამყაროში. პრობლემა ისაა, რომ გლობალიზაციის იდეალური თეორიული მოდელი ჯერჯერობით საკმაოდ განსხვავდება (მიმდინარე პროცესის) რეალობაში არსებული ვარიანტისგან. რეალობა გვაჩვენებს, რომ სხვადასხვა კულტურების მრავალფეროვნებით ურთიერთგამდობობის ნაცვლად ვითარდება და მკვიდრდება ტოტალური უნიფიკაცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ეროვნული კულტურული ფასეულობების ნიველირება და განადგურება. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის იდეაში სხვადასხვა კულტურის დიალოგი იგულისხმება, რეალობაში მივიღეთ მხოლოდ მონოლოგი. ეს, პირველ ყოვლისა, გამოიხატება დღეისათვის დასავლური ცივილიზაციის სოციალური კონცეფციებისა და კულტურული ფასეულობების გავრცელება-დამკვიდრებაში. ამავე დროს, თანამედროვე სამყაროს ჯერ კიდევ აქვს ყველა შანსი, რომ შეინარჩუნოს ცივილიზაციათა და კულტურათა მრავალფეროვნება, რაშიც განსაკუთრებული მისია აკისრია სხვადასხვა ერის ტრადიციულ კულტურებს. და აქ სწორედ თეატრალურ ხელოვნებას შეუძლია მკვეთრად განსაზღვრული როლი ითამაშოს. ჩვენს ქვეყანას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ქართველები ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული კულტურის მქონე ერი ვართ. რადგან არასდროს გამოვირჩიოდით მრავალრიცხოვნობით, ხშირად გვიპყრობდნენ მებობელი იმპერიები, ამის მიუხედავად შევძელით შეგვენარჩუნებინა ჩვენი იდენტობა, თვითმყოფალობა, რელიგია და კულტურა. როგორც ცნობილია, სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ისევე, როგორც სხვები, ვდგავართ მეტად რთულ ამოცანათა წინაშე: როგორ და რაწარად მოვახერხოთ იდენტიფიცირება დღევანდელ დროში? როგორ გავხდეთ თანამედროვე ცვალებადი სამყაროს ორგანული და თვითკმარი ნაწილი ისე, რომ ამასთანავე შევძლოთ ჩვენი ტრადიციული კულტურისა და ფასეულობების შენარჩუნება? სხვადასხვა ხასიათის პრობლემები გვაიძულებს, ახლებურად გავიზიაროთ და განვსაზღვროთ აქამდე თითქოსდა უკვე გარკვეული ცნებები, როგორებიცაა, მაგალითად: ეთნიკური და ნაციონალური იდენტობა, დაფუძნებული ეროვნული ფასეულობებიდან გამომდინარე ქვეყნის ნორმებსა და ერების მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ტრადიციებზე, რომელთა გარკვეული ნაწილი აღმოცენებულია რიტუალზე. სხვადასხვა ადგილის, დროის და ტრადიციის მიუხედავად, სხვადასხვა შემსრულებლებს გააჩნიათ საერთო პრინციპი. ეს პრინციპი ერთი საერთო წერტილი – რიტუალია, რომელიც ყველა ერის ისტორიის საფუძველშივე ძევს. რიტუალური ფორმები ხომ უძველესი ხელოვნების წინარე სახეა, რომელიც, როგორც ცნობილია, პირდაპირ უკავშირდება თეატრს, სათეატრო ხელოვნებას“ (Eugenio Barba 2008:36). რიტუალის შექმნის მექანიზმი ხომ „მიმების“, „მიბაძვა“, რაც, ამავე დროს, თეატრალური წარმოდგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. არისტოტელე იზიარებ-

და სამართლიან შეხედულებას, რომ თამაში და მისწრაფება წაბადვისკენ სულის ყველაზე უფრო ადრინდელ და ელემენტარულ აღგზნებას მიეკუთვნება. ვიყენებ ტერმინს ტრადიციული თეატრალური ფორმები და ამ ტრადიციულ თეატრალურ ფორმებში ჩვენ ვიპოვებთ და ვგულისხმობთ ისეთ ტრადიციულ სათეატრო ფორმებს, როგორცაა პეკინის ოპერა ჩინეთში, კაბუკი, ნო, კოგენი - იაპონიაში, ინდონეზიური თეატრი ცამი, სარიტუალო თეატრი ტიბეტში, ფლამენკო ესპანეთში და ასე შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ კვლევებში დაფიქსირდეს ქართული ცეკვა, როგორც ქართული, ტრადიციული სათეატრო ფორმა, რადგანაც ეროვნული ცეკვა არის ჩვენი თვითგამოხატვის საშუალება სხეულით, ვიზუალით და ჩვენ უნდა შევეცადოთ, ქართული ცეკვის შესწავლა განვახორციელოთ იმ კვლევის კუთხით, რასაც შეისწავლის ეუჯენიო ბარბა მსოფლიო სათეატრო ანთროპოლოგიით, რადგანაც, როგორც ცნობილია, ქართული ცეკვა ჩვენი იდენტობის აღმწერელია და მისი კვლევა, ცეკვების ცალკეული ელემენტების პლასტიკური მონახაზების წარმოჩინება, საშუალებას მოგვცემს ჩვენი ტრადიციები ანთროპოლოგიურ ჭრილში განვიხილოთ, რითაც ის საკუთარ ადგილს დაიკავებს „სათეატრო ანთროპოლოგიის ლექსიკონში“.

თუ თვალს გავადევნებთ ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას, მის კავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან, განსაკუთრებით თეატრალურ ხელოვნებასთან, დავნახავთ, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა ქორეოგრაფიული გამომსახველობითი საშუალებები. ისტორიულ-ყოფითი ცეკვების წარმოშობა ხალხური ესთეტიკური ფორმის განვითარებაში განაპირობა. აქ მკვეთრად ჩანს ადგილმდებარეობის(?) კლასიფიკაცია — მოძრაობის, კოსტიუმის, მუსიკის სპეციფიკა, რომლებიც დამოკიდებულია ადამიანის ყოფაზე.

ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური და უძველესი ლიტერატურული ძეგლებით დასტურდება, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიული წინამორბედი ყოფილა სამონადირეო ცეკვა, ნაყოფიერების ღმერთის - მთვარის („შუშა“) - პატივსაცემად შესრულებული რიტუალური ფერხული. უძველესი რიტუალური ფერხულის თვალსაჩინო მაგალითია თრიალეთის გათხრების დროს აღმოჩენილი ვერცხლის ფიალის გამოსახულება (ძვ. წ-ის II ათასწლეული) — ნიღბებიან მონადირეთა ფერხული, რომელიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სვანური ნადირობის ღვთაება დალის ეძღვნება. სვანეთში დღემდე შემორჩენილი: „სამონადირეო ფერხული“, „ლემჩილი“, „ბეთქილის ფერხული“ და სხვა. კოლხურ მონეტებსა და ქართლში ნაპოვნ სპილენძის მონეტებზე გამოსახული მოცეკვავე (ხარის ნიღბით) იმდროინდელ ქართველ ტომებში სანახაობათა კულტურის არსებობას მეტყველებს. ჩვენში სანახაობითი კულტურის უძველეს ტრადიციას არქეოლოგიურ მონაპოვრებთან ერთად (და უპირატესადაც) ენობრივი მონაცემებიც ადასტურებს. ისტორიულ-შეღარებითი მეთოდის საშუალებით საერთო ქართველურ დონეზე აღდგება სანახაობითი კულტურის (სიმღერა-ცეკვის, საკრავების და ა. შ) ტერმინები, მაგალითად: ბირ - ქართულად: ბირ-ბირ-ებ-ა „სიმღერა“, მეგრულ დიალექტზე: ბირ-ვ-ი-ბირ-ქ „ვმღერი“; ბირ-ა „სიმღერა“.... ლაზურად: ბირ-ვ-ი-ბირ „ვმღერი“; ბირ-აფ-ა/ო-ბირ-უ „თამაში, სიმღერა“. სვანურად: ბრი-ლი/ბრ-ალ-ი „სიმღერა“; ლა-ბრ-ალ „სამღერი“, „სიმღერა“. ცეკვა - ქართულად: ცეკ/ცეკ-ვ-ა, მეგრულად: ჩაკ-ჩაკ-ალ-ი. სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ასე ხსნის ცეკვას: „ცეკვა ფეხის თითებით როკვა“, „ფეხის ბაკუნით, ხმაურით, რხევით სიარული“. მი-ჩაკ-ალ „ხმაურით, რხევით მიდის“ [ფენრიხი, სარჯველაძე გ., 2000 :626.].

ცნობილია, რომ უძველეს თეატრალურ სანახაობებს მიეკუთვნება წალენჯიხის ფრესკაზე გამოსახული მოცეკვავე ქალი, სვეტიცხოვლის ტაძარში სამხრეთ კედელზე შესრულებული ფრესკა: მოცეკვავე ქალთა ფერხული, მოცეკვავე სოლისტი და მუსიკოსთა ორი გუნდი. ფერხულების ზოგადი ელემენტები მოიცავს მოძრაობების სპირალურ კომპლექსურობას, გამეორებით რევერსიებს (ერთ მხარეს ბრუნვას, შეჩერებას და შემდეგ საპირისპირო მხარეს ტრიალს), თითქოსდა განმეორებული წინააღმდეგობების გამო შეჩერებების შემდეგ ხელახალ ფორმად ქმნას, ისინი სიმბოლურად შეიძლება დახვეული ბილიკები იყოს. მისადგომები საკრალურ ცენტრში რთული იყო და გმირს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში მონადირეს) უნდა დაეძლია ლაბირინთული სიძნელეები. სწორედ საფერხულო სიმღერების ქორეოგრაფია ავლენს ლაბირინთული კონსტრუქციების სიმბოლიზმს. ამგვარად, აღნიშნული ფერხულის ტექსტი ქალღვთაების მიმართ მოწოდებაა; ხოლო რაც შეეხება საფერხულო ცეკვის ქორეოგრაფიას, ის ძნელი გზის სირთულეთა მაგიური დაძლევის საშუალებაა, რომელიც დაეხმარებოდა მონადირეს გზის გავლაში. „რას შეიძლება უკავშირდებოდეს სამონადირეო ციკლში ჩართული ფერხული და რისი სიმბოლო შეიძლება იყოს იგი? ამაზე შეიძლება ტექსტმა გვიპასუხოს, რომელიც რეალურად ქალღვთაების ინვოკაციაა და შესრულების წესმა, რომელსაც მოცეკვავეები ასრულებენ. ორივე, როგორც ვერბალური, ასევე

არავერბალური ქმედებები ერთმანეთს ავსებენ და ეხმარებიან და ორივე ერთად – მონადირეს. საფერხულო მოძრაობებით „დახატული“ ფორმა, ჩვენი აზრით, შესაძლოა იდენტიფიცირებულ იქნას ლაბირინთან, ხოლო ცეკვა – ლაბირინთულ ცეკვასთან. აღნიშნულ კონკრეტულ სიტუაციაში ცეკვის მიზანია გაამხნევოს მონადირე და გაუძღვეს მას უხილავ ბილიკზე, რომელიც წარმავალიდან წარუვალ სფეროში მიემართება (შდრ. შამანების ცეკვას, რომელიც ეხმარება შამანს გავიდეს სულიერ სამყაროში ან შივას ცეკვას ცეცხლოვან წრეში, რომელიც შესაქმეს უკავშირდება). მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინვოკაციის შეძენის ფერხული? თუ გავითვალისწინებთ საკრალური ცეკვების სხვადასხვა ფუნქციას და ასევე თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გეომეტრიულ ნახაზს, რომელიც ამ ცეკვებით იქმნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული საფერხულო საკრალური ცეკვის მიზანი იყო იმ ბილიკის, იმ გზის დახატვა, რომელიც უნდა გაეღო მონადირეს და რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ლაბირინთული ცეკვა (ცეკვა-ლაბირინთი) ან სულიერ სამყაროში გასასვლელი სიმბოლური გზა. საკრალური ცეკვის მიზანი იყო გაემხნეებინა მონადირე და გაეცილებინა იგი უხილავ ბილიკზე, რომელსაც ის უნდა გაეყვანა წარმავალიდან წარუვალ სამყაროში“ [აბაკელია, <https://semioticsjournal.wordpress.com/tag/სიმბოლო/>].

ქალთა ცეკვის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა წარმართობის დროის ცეკვა „სამაია“, რომელსაც სამი მოცეკვავე ასრულებს („სამთა გვამთა“ – ვახტანგ ბატონიშვილი) და რომელიც ეძღვნება ნაყოფიერების ღმერთს – მთვარეს. ტერმინი „სამაია“, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, აღნიშნავს „როკვას, შუშპარს“. დროთა განმავლობაში „სამაია“ დაკარგა რიტუალურ-საკულტო მნიშვნელობა. სიმბოლოთა კვლევისა და რელიგიის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანია კარლ გუსტავ იუნგის ნაშრომი „ფსიქოლოგია და რელიგია“, რომელშიც ავტორი თავის მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე პოულობს ე.წ. სურათ-ხატებს (არქეტეპებს), არაცნობიერის მნიშვნელოვან ფაქტორებს, ადამიანის ეგზისტენციას რომ განსაზღვრავს. ეს სურათ-ხატები დაკავშირებულია ცივილიზაციის ადრეულ ეტაპზე გაჩენილ რწმენა-წარმოდგენებთან, რიტუალებთან და მითებთან. იუნგი ამ ნაშრომში ეხება სამების, როგორც სამის ცნებას, რომელსაც დოგმატურ პრინციპად განიხილავს: „ადამიანის არსის პოტენციალში ჩადებულია – გონების, გრძნობისა და სხეულის პრინციპი... ყოველი ერთი კონკრეტული ადამიანი, მსგავსად აბსოლუტისა, ატარებს ამ აბსოლუტურ შინაარს(?) სამებისა, ხოლო ეპოქალური თვალსაზრისით, იყო დრო, როცა ადამიანთა კოლექტიური განვითარების დონე ფიზიოლოგიურ, ინსტინქტურ არსებობას ვერ ცდებოდა და სოციუმის წყობის მოდელი გახლდათ მხოლოდ მკაცრ კანონზე დაფუძნებული, რომელსაც ქრისტიანულ რელიგიაში ძველი აღთქმის პერიოდს უწოდებენ, როდესაც ადამიანთა თანაარსებობას ძლიერი მარეგულირებელი სისტემა სჭირდებოდა, რათა კოლექტიური განვითარების ინსტინქტის ეტაპი სწორად გაეგლო რასას... დააკვირდით – ჩვენ აქ ხაზს კოლექტიურ განვითარებას ვუსვამთ და არა ინდივიდუალურს, რადგანაც ყოველ ეპოქაში იყვნენ ინდივიდები, რომლებიც გადიოდნენ განვითარების სამ ძირითად ეტაპს და ისინი ისტორიას ე. წ. ავატარებად შემორჩნენ, რომლებმაც ეპოქალური იდეოლოგიები შექმნეს და მაგალითები მისცეს ხალხს~ [Jung, 1942.:190.]. იური ლოტმანი წერდა, რომ რიტუალი მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ხდება ინდივიდის თანაზიარება ჯგუფურ ხსოვნასთან. რიტუალში მთავარ როლს თამაშობს ხსოვნის ორგანიზება. ამიტომ ის ქმნის მუდმივ ორგანიზებად სისტემას, რომელიც მკვეთრად ზღუდავს ან საერთოდ არ ტოვებს სივრცეს ევოლუციისათვის. რიტუალი ართმევს ცალკეულ ინდივიდს ინდივიდუალური მოქმედების უნარს და აბსოლუტურად წინასწარ განსაზღვრულს ხდის ამ უკანასკნელს. რიტუალი შეიძლება იყოს საკრალური ქმედება, რომელიც საგნებს ანიჭებს განსაკუთრებულ სიმბოლურ თვისებებს.

ამჟამად ჩვენში გავრცელებული „სამაია“ სამეულის პრინციპზეა აგებული და თეატრალიზებული ფორმით სრულდება ქალთა ჯგუფების მიერ (ტრადიციული ფორმით გვხვდება ა. ბალანჩინაძის საბალეტო სპექტაკლში „მთების გული“). მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ადათ-წესები, რომლებიც აისახა მაგიური ხასიათის რიტუალურ ცეკვებში: „მელია-ტელეფია“, „ფერხულ-ოსხეპუე“, „ორსართულიანი ფერხული“, („მემყრელო“, აბარბარე“, „მირმიქელა“ და სხვ.). აგრარული შინაარსის მასკარადი „ბერიკაობა“, „მფერხაობის დღე“ და სხვ. ბუნების (მწარმოებელი) ძალებსა და მათთან დაკავშირებულ შრომით პროცესებს ეძღვნება.

მასობრივ ცეკვებთან ერთად ძველთაგანვე არსებობდა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული წყვილთა ცეკვები. წყვილთა ცეკვის ფორმის განვითარებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა სინთეზური თეატრალური სანახაობა „სახი-

ობა“, რომელიც წარმართობის დროის დიდი დღესასწაულების თანმხლები ელემენტი იყო. სახიობის მხატვრული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა რომანტიკული შინაარსის განსაკუთრებული დიალოგური ფორმა, რომელიც სრულდება სალექსო იმპროვიზაციით, ე. წ. ქალვაჟიანით.

წმინდა საცეკვაო ელემენტების შერწყმამ ადათ-წესებისა და თამაშობების რიტუალებთან ერთად განაპირობა ისეთი ცეკვების შექმნა, როგორებიცაა: „ქართული“, „განდაგანა“, „ხორუმი“, „ფერხულ-ორსართულა“, „სამაია“, „ხანჯლური“, „მთიულური“, „მთიულური დავლური“, „ბაღდადური“ და სხვა. ეს ცეკვები მართლაც თავისებური აღმოჩენა იყო ქართულ ქორეოგრაფიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაკელია ნინო. „ორნამენტიზებული“ დრო და სივრცე საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ ბრინჯაოს არტეფაქტებზე. <https://semioticsjournal.wordpress.com/tag/სიმბოლო/>
2. სულხან-საბა ორბელიანი. 1949. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. თბილისი.
3. ფენრიხი ჰ. სარჯველაძე ზ. 2000. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
4. დიმიტრი ჯანელიძე. 2018. ქართული თეატრის ისტორია; ხალხური საწყისები. თბილისი. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი.“
5. Eugenio Barba and Nicola Savarese. A Dictionary of Theatre Anthropology: The Secret Art of the Performer. 2nd Edition. 2008.
6. Panos Mourdoukoutas. The Good, The Bad, And The Ugly Side Of Globalization. <https://www.forbes.com/sites/panosmourdoukoutas/2011/09/10/the-good-the-bad-and-the-ugly-side-of-globalization/#7e167f63483f>.
7. Jung, C.G. (Carl Gustav 1875-1961.), Psychologie und religion. Die Terry lectures, 1937, gehalten an der Yale university, Zurich und Leipzig, Rascher verlag, 1942.
8. Лотман Юрий. Культура начинается с запретов. М., 1989

TAMAR TSAGARELI

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
Curator of Vakhtang Chabukiani Memorial
House-Museum of the Union of Tbilisi Museums

**NONVERBAL COMMUNICATION IN THE INTERCULTURAL COMMUNICATION PROCESS
(ON THE EXAMPLE OF GEORGIAN FOLK DANCE)****SUMMARY**

Communication is a dynamic and wide process with its ever changing roles of sending and receiving information, ideas, emotions and the working of mind. Communication is not only a word but a term in itself with multiple interpretations. Out of a number of forms, there are two very important kinds of communication, verbal and non-verbal and the relation between them is inseparable. Non-verbal communication keeps the major portion of the periphery occupied and in absence of it communication can never happen. In the era of caveman, just using nonverbal communication could help to understand the other person, but in the complex society of today both verbal and non-verbal forms of communication are needed to fully understand each other. There is a very common perception among people that for understanding any oral message we have to concentrate and subsequently be able to understand the nonverbal elements, but in reality nonverbal communication is not as easy to understand as it seems to be. Often it is misinterpreted and because of that wrong message is understood by the receiver. Another widely accepted fact states that by focusing upon the body language of a person we can predict how he/she feels about any situation. But all that varies from context to context, from culture to culture. Studies in the field of nonverbal communication have well illustrated the fact. Since nonverbal behavior arises from our cultural common sense, we use different systems of understanding gestures, postures, and silence, emotional expressions, touch, physical appearance, and other nonverbal cues including personality. This paper focuses mostly upon the basic understanding required to be taken into consideration while understanding non verbal elements along with verbal elements in different cultural settings on the example of Georgian folk dance.

იკინა გომონია

კორნელი კეკელიძის სახელობის

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

აკაჟოკმაღური განათლების პროგრამები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში: მიზნობრივი ჯგუფები და ჩაქვირება (მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლაზე მნიშვნელოვანი მიდგომით)

საქართველოს, როგორც ევროკავშირთან ასოცირებულ წევრ ქვეყანას, აქვს ვალდებულება, ხელი შეუწყოს ქვეყანაში უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა გულისხმობს, რომ ფორმალურ განათლებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა არაფორმალურ განათლებას ენიჭება.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ისევე როგორც ავთენტური კოლექციების მქონე სხვა დაწესებულებები — მუზეუმები თუ სამეცნიერო კვლევითი ცენტრები, დგას იმ გამოწვევის წინაშე, რომ მოემსახუროს საზოგადოების ფართო ფენებს, სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფებს, შექმნას მათთვის „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“, უწყვეტი განათლების პირობები.

ჩვენი სამუშაოს მიზანს შეადგენს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არაფორმალური განათლების შესაძლებლობების განვითარება მრავალფეროვანი პროგრამების - საზოგადოებრივი (სემინარები) და საკვირაო სკოლები, ახალგაზრდული ბანაკი, ტრენინგ მოდული, სასწავლო და კვალიფიკაციის ამაღლების სასერტიფიკატო კურსები, და სხვ. შემუშავებით, „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლაზე“ ორიენტირებული მიდგომით.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული დოკუმენტების უმდიდრეს საცავს საქართველოში და ავტორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, საზოგადოებაში ასრულებს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო-კულტურულ როლს. საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ცენტრი ხელს უწყობს, ერთი მხრივ, აქ დასული კოლექციების პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელნაწერ კულტურულ მემკვიდრეობასთან ინტერაქციით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების და ინდივიდების შესაძლებლობების განვითარებას.

მოცემულ სტატიაში განხილულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შექმნილი და აპრობირებული საგანმანათლებლო პროგრამები ზრდასრულებისთვის, რომელთა შემუშავებისას ვეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ის ძირითადი განსხვავებები, რაც არსებობს მოზარდთა და ზრდასრულთა განათლებას შორის, ასევე, არაფორმალური განათლების თეორიული საფუძვლების კვლევის შედეგები.

არაფორმალური განათლების მკვლევარები ამხვილებენ ყურადღებას არაფორმალური განათლების პროგრამების მიზნების, ვადების, მეთოდების და კონტროლის მექანიზმებზე, კონსტრუირების საფუძველზე [1,2]. არაფორმალური განათლების თეორიული საფუძველების კვლევის საგანს წარმოადგენს მოსწავლე-მასწავლებლის (ლექტორ-სტუდენტის) ურთიერთობის სპეციფიკა, ჯგუფური მუშაობისა და მოქმედების მნიშვნელობა.

არაფორმალური განათლებისთვის დამახასიათებელია სტუდენტის, როგორც მასწავლებელთან გათანაბრებული საგანმანათლებლო სუბიექტის აღქმა. აღიარებულია მისი პიროვნული თანასწორობა, გამორიცხულია იერარქია, რაც ასახვას ტერმინოლოგიაშიც პოულობს: ხდება ტრადიციული ტერმინების - მოსწავლე, მასწავლებელი, აღმზრდელი,

აღსაზრდელი - ტრანსფორმაცია; მათ ნაცვლად გამოიყენება ტერმინები - წამყვანი და მონაწილე, რაც უფრო ზუსტად ასახავს მათ როლს მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესში. მნიშვნელოვნად იცვლება მასწავლებლის როლის აღქმა. ის წარმოადგენს წამყვანს, სასწავლო პროცესის მოდერატორს და არა ინფორმაციის წყაროს. დაზუსტებულია მოდერატორის ფუნქციები. მისი ამოცანაა სასწავლო პროცესის, მათ შორის, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება, სასწავლო მასალით მონაწილეების უზრუნველყოფა.

ჯგუფის არსებობა არაფორმალური განათლების ერთ-ერთი წამყვანი პრინციპია, ჯგუფის შიგნით კი ყველა მონაწილის პიროვნული თანასწორობა და სუბიექტურობა - საგანმანათლებლო ურთიერთმოქმედების პროცესის საფუძველს წარმოადგენს. ჯგუფი მონაწილეების მოტივაციას აძლიერებს პირადი, ასევე, ჯგუფური მოტივების ხარჯზე, რომელიც მოიცავს საერთო მიზნის ერთობლივ მიღწევას, საერთო იდეების რეალიზებას. მოტივაცია უბიძგებს მონაწილეს საჭირო მოქმედებისთვის და საჭირო შინაარსისთვის. არაფორმალური განათლების მიდგომა ასაბუთებს, რომ ცოდნა არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული. ის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ცალკეული ადამიანის პიროვნულ კონტექსტში და იყოს დამოკიდებული მის გამოცდილებაზე, მიზანსა და ცხოვრებისეულ წესებზე.

ზრდასრულთა განათლების სპეციფიკას მობარდთა განათლებასთან შედარებით შემდეგი ფაქტორები განაპირობებს: ზრდასრულებს უკვე დაგროვილი აქვთ ცოდნის გარკვეული მარაგი და აქვთ გამოცდილება; ზრდასრულები ყოველთვის ელიან, რომ ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები მათ გამოადგებათ უკვე დასახული მიზნების მიღწევაში, განათლების არსი მათთვის არა იმდენად ფაქტებისა და მზა ინფორმაციის დამახსოვრებაში მდგომარეობს, რამდენადაც ახალი იდეებისა და გამოცდილების ათვისებაში [3].

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უნივერსალური და მრავალფეროვანი კოლექციების ბაზაზე ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამების მიზანმიმართული მომზადებისა და შეთავაზებისათვის განხორციელდა პოტენციური აუდიტორიის დახარისხება და კატეგორიების მიხედვით საჭიროებების იდენტიფიცირება. შედეგად გამოიყო საქმიანობის 4 ძირითადი მიმართულება და განისაზღვრა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პერსპექტივა:

მიმართულება 1. სასწავლო-სამეცნიერო პროგრამები. იქიდან გამომდინარე, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ოფიციალური სტატუსით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციას წარმოადგენს, ზრდასრულთა განათლების მიმართულებით აქცენტი გაკეთდა სასწავლო-სამეცნიერო პროგრამებზე, რომელთაც შეიძლება სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმა ჰქონდეთ: საზაფხულო /სემინური სკოლა, სასწავლო პრაქტიკა, სტაჟირება, ტრენინგი, და სხვ., მაგრამ შინაარსი შეესაბამებოდეს ცენტრის ძირითად სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს (კლასიკური და ძველი ქართული ფილოლოგია, წყაროთმცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, წიგნის ხელოვნება, რესტავრაცია-კონსერვაცია, დიგიტალიზაცია და ა.შ.). მიზნობრივი ჯგუფი: სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტები, ასევე, ახალგაზრდა დოქტორები (უნივერსიტეტების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი მკვლევრები);

მიმართულება 2. სასწავლო-პროფესიული პროგრამები. მიზნობრივი ჯგუფები: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები (ცენტრისთვის რელევანტური საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების მიხედვით), რესტავრატორები (ქალაქი, ეტრათი), ბიბლიოთეკისა და მუზეუმის გარკვეული სპეციალისტების თანამშრომლები, გიდები, სხვ.

მიმართულება 3. საგანმანათლებლო პროგრამები ფართო საზოგადოებისთვის (ლიბერალური საგანმანათლებლო პროგრამები), რომლებიც არამხოლოდ ცენტრის კოლექციების პოპულარიზაციას უწყობს ხელს, არამედ წარმოადგენს ცენტრში შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის ეფექტურ საშუალებას. ეს პროგრამები ერთგვარი სამეცნიერო-პოპულარული შოუს ხასიათს ატარებენ და „სწავლა კეთებით“ პრინციპის საფუძველზე არის შემუშავებული.

მიმართულება 4. E-სასწავლო პროგრამები - სასწავლო-საგანმანათლებლო ელექტრონული პროგრამები დისტანციური სწავლების კონცეფციის ფარგლებში (ჩამოყალიბების პროცესში).

ყოველი ტიპის პროგრამა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, ითვალისწინებს შინაარსისა და სტრუქტურის შემუშავებას, სასწავლო მეთოდების შერჩევას, შეფასების სისტემის განსაზღვრას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსებისა და მონაწილეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზების საშუალებების (სასწავლო ბარათები და სამუშაო ფურცლები) შემუშავებას.

ცხრილი 1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების რეპერტუარი ზრდასრულ-თათვის (არსებული მდგომარეობა, 2018 წელი)

№	პროგრამის ტიპი	პროგრამის დასახელება	ფორმა	მიზნობრივი ჯგუფი
1	სასწავლო-სამეცნიერო პროგრამები	საზაფხულო (სემონური) სკოლა „ქართული ხელნაწერი“ ¹	სკოლა: საერთაშორისო, ლოკალური	ახალგაზრდა მეცნიერები, დოქტორანტები, მაგისტრები, მაგისტრანტები
2	სასწავლო პროფესიული პროგრამები	ტრენინგ-მოდული „სამუშეუშო მასალების გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ეფექტიანობისათვის“ ²	ტრენინგი, ლოკალური	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (საჯარო და კერძო სკოლები) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები
3	ლიბერალური საგანმანათლებლო პროგრამები	-ვორქშოფი „როგორ ვიცავთ ხელნაწერ მემკვიდრეობას ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“; -ვორქშოფი „როგორ იქმნებოდა ხელნაწერი წიგნი შუა საუკუნეების საქართველოში?“; -ვორქშოფი „რას გვიყვება პირადი არქივი ადამიანსა და ეპოქაზე“	ვორქშოფი	ფართო საზოგადოება (აპრობირებულია მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, 2016 - 2018წწ.)

ზრდასრულთა განათლების სექტორის ათვისების წარმატებულ მცდელობას წარმოადგენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამა - ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“, რომლის პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის განხილვას მიეძღვნა საგანგებო სტატია^[4].

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ ტრენინგ-მოდულის „სამუშეუშო მასალების გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ეფექტიანობისათვის“, რომელიც მომზადდა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ჩვენ მიერ შემუშავებულ რამდენიმე აქტივობას. სატრენინგო პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სკოლის მასწავლებლებს გაიზარონ სამუშეუშო კოლექციების, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსის, მნიშვნელობა³.

¹ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ჩატარდა 5 საერთაშორისო საზაფხულო და ერთი ლოკალური ზამთრის სკოლა, 2011 – 2016წწ., 2019 წლის 10-20 ივლისს ფონდის დაფინანსებით განხორციელდება საერთაშორისო საზაფხულო სკოლა და კონფერენცია „ქართული ხელნაწერი“

² შემუშავებულია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრთან თანამშრომლობით, მემორანდუმის ფარგლებში

³ 2018 წელს აღნიშნული ტრენინგ-მოდულის მიხედვით სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ განხორციელდა ტრენინგები საქართველოს მასშტაბით. ტრენინგ-მოდულის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით: 12 საკონტაქტო და 3 არასაკონტაქტო საათი. ტრენინგის გავლის შედეგად მასწავლებლებს 1.0 კრედიტი მიენიჭათ.

ტრენინგ-მოდულის შინაარსი მოიცავს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებისა და მათ საფუძველზე შემუშავებული საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტს, ასევე, ჩვენ მიერ შემუშავებული ინტერაქტიული აქტივობების პაკეტს.

საილუსტრაციოდ, წარმოგიდგინთ აქტივობის „არტეფაქტების სამყარო“ აღწერას, რომელიც შემუშავებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის საფუძველზე. აქტივობის უნივერსალური მეთოდური ჩარჩო მრავალფეროვანი კონტენტის გამოყენების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში გამოყენებულია არტეფაქტის ასლი სპარსული დოკუმენტების კოლექციიდან (Pd – 41).

ცხრილი 2. აქტივობა „არტეფაქტების სამყარო“: ინსტრუქცია

აქტივობის მიზანი	აქტივობის აღწერა	გამოყოფილი დრო
<p>მონაწილეები გაიაზრებენ არტეფაქტების მნიშვნელობას მოსწავლეთა შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარებისათვის</p>	<p>მწვრთნელი მონაწილეებს უჩვენებს სლაიდს, რომელზეც არის გამოსახულება და დამალული ტექსტი. მწვრთნელი სთხოვს მონაწილეებს, გამოთქვან მოსაზრებები, რას შეიძლება წარმოადგენდეს მოცემული დოკუმენტი. მონაწილეები აკვირდებიან გამოსახულებას, გამოთქვამენ ვარაუდებს (დამწერლობის, რაობის, დანიშნულების და ა.შ. შესახებ).</p> <p>ტრენერი წერს ვარიანტებს დაფაზე. ეკრანზე იხსნება დაფარული ტექსტი - დოკუმენტის ანოტაცია.</p> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; margin: 10px 0;"> <p>შაჰ-სულთან ჰუსეინის ბრძანებულება კახეთში მოთარგმე დალესტენელების დასჯის შესახებ 1705. აღმოსავლური თეთრი ქაღალდი, ზომები: 56,2 X 25 სმ ტექსტი დაწერილია შავი მელნით, ცენტრში - შაჰის პატარა ოთხკუთხა ბეჭედი</p> </div> <p>მწვრთნელი მონაწილეებს აწვდის სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, წყარო: მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან (დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით). - თბილისი, 2011. — 149-224</p> <p>სპარსული საბუთების ტექსტის ძირითადი ნაწილი დაწერილია ინდური შავი მელნით (ტუშით); ზოგიერთი აქცენტირებული ნაწილის გამოსაყოფად იხმარება წითელი მელანი და ოქროს ვარაყი. სპარსული საბუთები, ჩვეულებრივ, მცირე ზომისაა, ნაწერია ერთ ფურცელზე. მისი ზომა საშუალოდ არის 36/50 X 20/30 სმ; ტექსტის დასასრულს, როგორც წესი, მითითებულია საბუთის დაწერის თარიღი. ფირმანების ძირითადი მასალაა სირიული და ჩინური წარმოშობის ღია ფერის თხელი გაპრიალებული ქაღალდი.</p> <p>დოკუმენტის ტექსტი და მისი შემომსაზღვრელი ორნამენტული არშია ხშირად ჩასმულია უფრო სქელი ქაღალდის ფერად ჩარჩოში, რომელიც იცავს საბუთს დაზიანებისაგან [5].</p> <p>ამ მცირე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მწვრთნელი მონაწილეებს მიმართავს შეკითხვით:</p>	<p>30წთ.</p>

	<p>ამ დოკუმენტის მიხედვით რა შეიძლება ვთქვათ:</p> <ul style="list-style-type: none"> ● პერიოდზე/ეპოქაზე? ● ქართულ/სპარსულ კულტურაზე? ● კიდევ რა ინფორმაციას გვაწვდის? <p>მწვრთნელი აჯამებს აქტივობას. მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა გაიაზრონ, რომ მუზეუმში/სიძველეთსაცავში არტეფაქტის დაცვა საცავში შენახვასთან ერთად მის შესწავლას გულისხმობს.</p> <p>არტეფაქტებს სწავლობენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, რათა განისაზღვროს მათი რაობა, სახეობა, მხატვრული იერი და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისას მასწავლებელმა სასურველია, გამოიყენოს თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მხატვრული ნაწარმოებები, გაიაროს კონსულტაციები, მოიწვიოს დარგის სპეციალისტები, და სხვ.</p>	
--	--	--

სურ. 1. აქტივობა „არტეფაქტების სამყარო“ – სასწავლო რესურსი (სლაიდი)



რა შეიძლება იყოს მოცემული დოკუმენტი?

შაჰ-სოლთან ჰუსეინის ბრძანებულება ვახეთში მოთარეშე დაღესტნელების დასჯის შესახებ 1705.
აღმოსავლური თეთრი ქაღალდი, ზომები: 56,2 X 25 სმ
ტექსტი დაწერილია შავი მელნით, ცენტრში - შაჰის პატარა ოთხკუთხა ბეჭედი.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ტრენინგ-მოდულის შინაარსში გამოყენებულია კიდევ ერთი აქტივობა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების საფუძველზე – სიმულაციური დიდაქტიკური თამაში „არქივისტი“ [6].

მნიშვნელოვანია, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ბრძანებულება განათლებამე ორიენტირებული პროგრამები ხელს უწყობენ ცენტრის თანამშრომლების, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში სწავლობენ ხელნაწერ მემკვიდრეობას და დარგის წამყვან სპეციალისტებს წარმოადგენენ, სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის რეალიზებას და მათ ინტეგრირებას ლოკალურ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი შინაარსობრივი და მეთოდური კომპონენტის შემუშავებასთან ერთად ითვალისწინებს პროგრამის ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას. ორგანიზაციული ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განხორციელდეს საზოგადოების სათანადო ინფორმირება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბრძანებულთა არაფორმალური განათლების პროგრამების შესახებ, „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციისთვის ინსტიტუციის მიერ გაწეული და დაგეგმილი საქმიანობის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით.

ბიბლიოგრაფია:

1. Simkins, T., Non-Formal Education and Development. Some critical issues, Manchester: Department of Adult and Higher Education, University of Manchester. 1977
2. Jeffs, T. and Smith, M. K. (eds.) Using Informal Education. An alternative to casework, teaching and control?, Milton Keynes: Open University Press, 1999
3. John Daines - Adult Learning — Adult Teaching; Welsh Academic Press, 2006
4. ირინა გოგონაია, ვლადიმერ კეკელია. ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა: ხელნაწერი მემკვიდრეობის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ეფექტური საშუალება. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „High Education — New Technologies and Innovation, HENTI-2017“ მასალები. — 8 გვ. წვდომის რეჟიმი: <https://atsu.edu.ge/EJournal/HENTI/eJournal/Papers/GogonaiaIrina.pdf>
5. მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან (დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით). - თბილისი, 2011.
6. ირინა გოგონაია. სიმულაციური თამაშის გამოყენება საარქივო მასალის საფუძველზე შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებში (სიმულაციური თამაში „არქივისტი“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში). საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა - ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“ მასალები. - თბილისი, 2017. — გვ. 78-82

IRINA GOGONAIA

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

**NON-FORMAL EDUCATIONAL PROGRAMMES
IN THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS:
TARGET GROUPS AND REPERTOIRE
(WITHIN THE LIFE-LONG LEARNING ORIENTED APPROACH)**

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, as well as other institutions with authentic collections – museums or scientific research centres, are facing the challenge to reach the wider society, different social and age groups and create the condition of “life-long education” for them.

The aim of our work is to develop nonformal education opportunities in the National Centre of Manuscripts through developing various programs for adults – Summer (seasonal) Schools, training modules, learning courses, etc. within the lifelong education-oriented approach.

On the basis of diverse and unique collections preserved at the National Center of Manuscripts, for the purpose of preparing and offering educational products, we performed segmentation of the target audience. Furthermore, needs of each target group were identified and the long-term work plan for each target group was prepared, based on the main principles of the non-formal education, such as: subjectivity of all participants, group work, concept of teacher-mentor, context approach and emphasis of personal interest and personal action.

The report analyzes the repertoire of the non-formal educational programs developed for the different target groups of adults: training module for teachers “Use of museum material for the effectiveness of teaching Georgian language and literature” (alongside with the National Center for Teacher Professional Development); International seasonal (summer) school of Kartvelology “Georgian Manuscript” for the doctoral students and young scientists, taking into consideration the objectives, terms, methods of these programs. Programs are discussed in the terms of expanding nonformal educational opportunities at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

ბიოგრაფიული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი

ქართული სუზის ავთენტურობა ისტორიულ წყაროებში

უკვე 20 წელია, რაც, ქართული კულტურის კვლევაში ქართველ ფილოსოფოსთა და უცხოელ ანთროპოლოგთა ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, საქართველოსა და კავკასიაში სუფრაზე სადღეგრძელოს ტრადიცია რუსული ლიტერატურიდანაა გადმოღებული მე-19 საუკუნეში, რადგან ამ დრომდე ისტორიულ წყაროებში სადღეგრძელოს შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ამ მიდგომას ლევან ბრეგაძემ ჩაუყარა საფუძველი, მიუთითებდა რა სადღეგრძელოს შესახებ ცნობების არარსებობას არჩილ მეფის პოემაში „საქართველოს ზნეობანი“, ასევე ლამბერტისა და შარდენის ჩანაწერებში [ბრეგაძე, 2000:10, 2010:42]. ბრეგაძის აზრით, რიტუალური სმა სიტყვის წარმოთქმის გარეშე ხორციელდებოდა მე-19 საუკუნემდე და სუფრა საქართველოში დიდ მნიშვნელობას მხოლოდ მე-19 საუკუნიდან იქნის, როდესაც დაკარგული დამოუკიდებლობის კომპენსაციის ფუნქციას შესრულებას იწყებს.

ლევან ბრეგაძე ასევე იმოწმებს აკაკი წერეთლის სიტყვებს სათვითო და სამიზემო სადღეგრძელოების არარსებობაზე [ბრეგაძე, 2000, 12]. ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოების ტრადიციის რუსული ლიტერატურიდან დასესხების კონცეფცია ასევე გაიზიარა ზაზა შათირიშვილმა, რადგან ფიქრობს, რომ სადღეგრძელო, როგორც ახალი ჟანრი, რომანტიზმთან ერთად შემოდის [შათირიშვილი, 2000:18]. ვია ნოდია კი მიიჩნევს, რომ სუფრის საკრალიზაცია მოდერნიზაციის შოკის შედეგია და სუფრა ილუმბორული ავთენტურობის თაზის ქმნის [ნოდია 2000, 5]. ასეთმა მიდგომამ ქართველი ეთნოგრაფების მხრიდან მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა [გოცირიძე, 2007:304, ფრუიძე, 2007:5, Гоциридзе Г.,2011:], რადგან, მათი აზრით, ტრადიციული სუფრა თავისი ფესვებით, შინაარსითა და მისიით დაფუძნებულია ლიტურგიის რიტუალისა და არქაული დროიდან მომავალი ტრადიციების სინკრეტულ ერთობაზე [გოცირიძე,2007:104].

სადღეგრძელოს ტრადიციის რუსული ლიტერატურიდან დასესხების კონცეფცია უცხოელმა ანთროპოლოგებმაც აიტაცეს. ფლორიან მიულფრიდის მონოგრაფია მთლიანად ქართულ სუფრას დაეთმო [Muehlfried, 2006], მიულფრიდი ეყრდნობა ბრეგაძის მიერ მითითებულ წყაროებს, თავის მხრივ კი უმატებს კონტარინისა [Muehlfried, 2006:119] და ბუსბეკის ნაშრომებს [Muehlfried, 2006:121] და მათი მიმოხილვის შემდეგ ასკვნის, რომ საქართველოში რიტუალიზებულ სმას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ სადღეგრძელოების გარეშე, ამდენად, მისი აზრით, მე-19 საუკუნემდე მოგზაურთა ჩანაწერებში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაში [Muehlfried, 2006:183] თემატურ სადღეგრძელოთა სისტემა და თამადის ინსტიტუტი არ დასტურდება და სადღეგრძელოს მსგავსი კულტურული პრაქტიკა კავკასიაში მხოლოდ მე-19 საუკუნიდან აღინიშნება. ამის გამო, ავტორის აზრით, ქართული სუფრა „გამოგონილი ტრადიციაა“, რომელიც ეროვნული იდენტობის შემქმნელი და განმამტკიცებელია [Muehlfried, 2007, 286–287].

კვინ ტუიტი რუსებისგან სუფრის გადმოღების საკითხზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფს „სუფროლოგებს“ უწოდებს. ტუიტცი იმავე ისტორიული წყაროებით კმაცოფილდება და თვლის, რომ მე-19 საუკუნემდე ქართულ სუფრაზე მხოლოდ სამი სადღეგრძელოს შესმა იყო მიღებული, ხოლო მცირესიტყვიანი სადღეგრძელოები უფრო ერთმანეთს ეძღვნებოდა, ვიდრე წინაპრებს. ტუიტის აზრით, თემატური აბსტრაქტულ თემებზე სადღეგრძელოები საქართველოში მე-19 საუკუნის პროდუქტია [2010:11].

ქართული სუფრის, როგორც მე-19 საუკუნეში შექმნილ თემატურ სადღეგრძელოთა სისტემის, ფართო პროპაგანდას ვხვდებით არა მარტო მასმედიაში, სამეცნიერო-პოპულარულ მიმოხილვებსა თუ ინტერნეტში, არამედ ზოგიერთი ქართველი ეთნოგრაფის სტატიამაც, რომლებიც ეჭვით უყურებენ ქართული სუფრის ტრადიციის სიძველესა და ავთენტურობას.

2014 წელს ქართული სუფრის ფესვებზე დისკუსიას 6 სტატია დაეთმო რუსულ და ინგლისურენოვან ჟურნალში „Ab Imperio“ [2014, №4]. ჟურნალის რედკოლეგიამ დისკუსიისთვის მხოლოდ ის მკვლევრები მოიწვია, ვინც მიიჩნევდა, რომ ქართულ სუფრაზე თემატური სადღეგრძელოების ტრადიციის საფუძველი მე-19 საუკუნეში ქართველი რომანტიკოსი პოეტების მიერ რუსების მიბაძვაა. რედკოლეგიის აზრით, სუფრის ტრადიცია, ქართველი მკვლევრების მიერ როგორც კულტურული იდენტობის ერთ-ერთ უძველეს შემადგენლად წარმოჩენილი, სინამდვილეში ავთენტური ჰომოგენურობისა და ეროვნული სიწმინდის ოქროს ხანაზე მითის იდეალური რეპრეზენტაციაა [Осмысление, 2014: 11]. დისკუსიის მონაწილეები ეთანხმებიან ამავე ნომერში გამოქვეყნებულ ჰარშა რამის სტატიას, რომლის მიხედვითაც ქართული სუფრა თბილისის მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ქართველი პოეტების რუსული ლიტერატურიდან ნასესხობის ჰიბრიდულ პროდუქტს წარმოადგენს და როგორც კულტურული ფენომენი, მხოლოდ მე-19 საუკუნეში დასტურდება [Mühlfried, 2014:65; Nodia, 2014:70; Manning, 2014:54]. დისკუსიის მონაწილეთაგან არც ერთი არ ახსენებს ქართველ ეთნოგრაფთა იმ შრომებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჰარშა რამის სტატიის საფუძველად მდებარე ლევან ბრეგაძის კონცეფციას.

ზოგიერთი ამ ავტორთაგანი უფრო შორსაც მიდის ქართული კულტურის შესახებ ზოგადი დასკვნების თვალსაზრისით, მაგალითად, პოლ მანინგი სტატიაში „ველური სუფრის მომინაურება“ („ველურ სუფრაში“ იგულისხმება ქართული სუფრა) მიუთითებს, რომ ექსკლუზიურად მატერიალისტური და ექსკლუზიურად მასკულინური ქართული სუფრა [Manning, 2014:61], ისევე როგორც საფავიდურ სპარსეთში, მთვრალ ორგანს(?) – ღრეობას – წარმოადგენდა და სულიერება ქართულ სუფრაზე მხოლოდ მე-19 საუკუნიდან შემოდის რუსული ლიტერატურიდან სადღეგრძელოების გადმოღებით [Manning, 2014:54]. მანინგი ასეთ დასკვნის გაკეთებისას მიუთითებს რომ ეყრდნობა მე-19 საუკუნის პრესის პუბლიკაციებს, რომლებშიც ლოთობა და ჩხუბი ქართული სუფრის ყველაზე ხშირი და ტიპური გამოვლინება იყო, თუმცა მის წიგნსა და სტატიაში ვერ ნახავთ ამ დასკვნის დამადასტურებელ კონკრეტულ მასალებს [Manning, 2012:173, 2014:58]. მანინგის აზრით, სუფრა „კულტურული“ და სულიერებაზე მიმართული ხდება მხოლოდ მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიული კარის გავლენით სადღეგრძელოების მიბაძვის შედეგად [Manning, 2012:172].

ჰარშა რამიც ეთანხმება პოლ მანინგს, რომ რუსულმა სადღეგრძელომ მოახდინა მატერიალურ ქართულ სუფრაზე ცივილიზებული გავლენა [Ram, 2014:87]. ვი ნოდია ასევე ეთანხმება ჰარშა რამს, რომ ქართული სუფრის, როგორც კულტურული ფენომენის, ჩამოყალიბებაში რუსულ იმპერიულ კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა [Nodia, 2014:70].

ქართველ ისტორიკოსთა მეცნიერული კვლევები ქართული სუფრის ტრადიციის სიძველისა და ლიტურგიკული ფესვების შესახებ, მიუხედავად არაერთი პუბლიკაციისა [გოცირიძე, 2007, ფრუიძე, 2007, Гоциридзе Г., 2011] და დისკუსიისა, ისევ უარყოფილია „სუფროლოგთა“ ბოლოდროინდელ შრომებშიც. მანინგის აზრით, ქართული სუფრის „კულტურულ“ (და სულიერზე) მიმართულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სტალინის კულტურულ პოლიტიკას ჰქონდა [Manning, 2017:431]. ჰარშა რამი აქვეყნებს სტატიას, რომელშიც საუბარია რუსული ნადიმის გაქართულებაზე [Pam, 2018:171]. მისი აზრით, სადღეგრძელოს ფორმალიზებული რიტორიკა, რთული თემატური დანაწევრება და სადღეგრძელოთა თანმიმდევრობა მე-19 საუკუნეშია ჩამოყალიბებული. როგორც ვხედავთ, კონცეფცია, რომელიც ეფუძნება მტკიცებას – თითქოს მე-19 საუკუნემდე ცნობები საქართველოში სუფრაზე სადღეგრძელოების მსგავსი კულტურული პრაქტიკის შესახებ არ არსებობს – საკმაოდ ფართო მხარდაჭერას იძენს და ფაქტობრივად ქართული სუფრის, როგორც მხოლოდ მატერიალურ მოხმარებაზე ორიენტაციის მტკიცებაში გადადის. ამის შედეგად საზოგადოებრივ ცნობიერებაში ინერგება აზრი, თითქოს ქართული სუფრის ტრადიცია არ არის ავთენტური, გადმოღებულია სხვა კულტურებისგან, დაკარგა ფუნქცია და საბოლოოდ ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის უგულვებელყოფა ხდება.

ამ სტატიაში მიმოვიხილავთ მე-19 საუკუნემდე ისეთ ისტორიულ წყაროებს, რომლებიც ადვილი მისაწვდომია თუნდაც ინტერნეტში, მაგრამ იგნორირებულია ზემოთ ნახსენები ავტორების მიერ, ხოლო ქართველ ეთნოგრაფთა შრომებში ნაკლებად არის განხილული სუფრის ეტიკეტის თვალსაზრისით. ეს წყაროები აღწერს სუფრის დროს სადღეგრძელოების

შესმის იმ თავისებურებებს, რომლებიც ადასტურებს ქართული სუფრის ავთენტურობას იმდროინდელი მეზობელი ქვეყნების აღწერილობებთან შედარებით. ეს ისტორიული წყაროები კარგად არის ცნობილი, მაგრამ მათი განხილვა არ მომხდარა სუფრის ტრადიციების გაანალიზების კუთხით.

სუფრის ტრადიციის უცხოელ მკვლევართა აზრით, სულიერება ქართული ნადიმის დროს არაარსებითი იყო მე-19 საუკუნემდე, იმ დროს ისტორიულ წყაროში პოეტთა მიერ ორბრძოლიანი ლექსების - ზმათა - ციტირების ყველაზე ადრეული ხსენება აღწერილია 2 ადგილას თამარ მეფის უცნობი ჟამთააღმწერლის ჩანაწერებში თამარ მეფისა და დავით სოსლანის საქორწინო ნადიმის დროს, 1191 წელს: „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითა სახეობათა“ [ქართლის., 1906:432], „ზმა მგოსანთა და მუშაითა იყო“ [ქართლის ... 1906:450].

კავკასიაში თემატურ სადღეგრძელოთა სისტემის პირველ აღწერილობად უნდა ჩავთვალოთ ჯორჯო ინტერიანოს 1502 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელსაც არც ერთი ზემოთ მითითებული „სუფროლოგი“ ავტორი არ ასხენებს; ჯორჯო ინტერიანო [Интериано, 1974: 49] ახასიათებს მართლმადიდებელი ჩერქეზების სუფრას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ცერემონიას - ჩერქეზები ფეხზე წამოდგარი თავსაბურავის(თუ ქუდის?) მოხდით სვამენ დიდი თასებიდან უღრმესი პატივისცემის გამოხატვით, ისე თითქოს ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალს, ღმერთისა და წმინდანების სადიდებელს, გმირების, წინაპრებისა და ახლობლების სადღეგრძელოებს. კავკასიაში მოზინდარე ხალხებს შორის ინტენსიური ურთიერთობა იყო, კერძოდ, ჩერქეზული ტომები მე-13 საუკუნის ბოლოდან მართლმადიდებლური საქართველოს მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ [Minahan, 2000:175]. ამდენად კავკასიაში თემატურ სადღეგრძელოთა სისტემა და სუფრა, როგორც უმნიშვნელოვანესი ცერემონია, უკვე მე-15 საუკუნიდან არსებობს და ბუნებრივია, ის გავრცელებულია მეზობელ ხალხებშიც.

ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი (მოგზაურობა საქართველოში 1631-1643 წლებში) მიუთითებდა სუფრის ცერემონიის დიდ მნიშვნელობაზე გურიაში და აღწერს ნადიმს, რომელზეც ეპისკოპოსი მრავალ სადღეგრძელოს წარმოთქვამს, სუფრასთან სამი თასის შესმის გარდა [ჯუდიჩე, 1964:36], ჯუდიჩე ასევე აღწერს თასებით სმის დროს მორიგეობით სიმღერას და მხიარული სიტყვების წარმოთქმას სამეგრელოში [ჯუდიჩე 1964:88]. უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელი ჯუდიჩესთვის უცხო აღმოჩნდა სადღეგრძელოს შესმის რიტუალური ცერემონიაც სამ-სამი ადამიანით შემდგარი ჯგუფების მიერ მუხლმოდრეკით და ერთმანეთის გადაკოცნით [ჯუდიჩე, 1964:88]. მუხლმოდრეკა ქრისტიანობაში ღრმა პატივისცემისა და ლოცვის ანალოგიაა, გადაკოცნა ქრისტიანობაში დამკვიდრებულ მშვიდობის კოცნას წარმოადგენდა [Le Goff, 1980:239]. სადღეგრძელოს შესმის მსგავსი რიტუალი კი არ იყო მიღებული მუსლიმანურ სამყაროში [Friedman, 2011:248]. ამდენად ასეთი ცერემონიული სადღეგრძელოები ვერ იქნებოდა სპარსეთიდან გადმოღებული. მუხლმოდრეკით იმდროინდელ ევროპაში ქალბატონს ან პატრონს ადღეგრძელებდნენ [French, 1881:65], მაგრამ საქართველოში მუხლმოდრეკით ერთმანეთის დღეგრძელობა იყო სუფრაზე წესი, რომელშიც სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ეს კი საქართველოში სადღეგრძელოს რიტუალის კულტურულ თავისებურებას ადასტურებს.

1637-1640 წლებში რუსეთის ელჩი საქართველოში თევდორე ვოლკონსკი მიუთითებს 7-ზე მეტ სადღეგრძელოს სამეფო სუფრაზე, რომლებსაც შემდეგი თანმიმდევრობით სვამდნენ: წმინდანის სადიდებელი, რუსეთის მეფის, რუსი უფლისწულების, რუსეთის პატრიარქის, კახეთის მეფე თეიმურაზის და ელჩების სადღეგრძელო მუხლმოდრეკით [Материалы..., 1937:270, 283]. გარდა ამ სადღეგრძელოებისა, კახეთის მეფე კიდევ 2-ჯერ შესვამს სადღეგრძელოს მუხლმოდრეკით ვეზირთან ერთად [Материалы, 1937:391]. როგორც წესი, რუსი ელჩები ადრე ტოვებდნენ სუფრას, რადგან საქართველოში სუფრა დიდხანს გრძელდებოდა, ამიტომ ნადიმის შემდგომი განვითარება არ არის აღწერილი. უცხოელი მოგზაურებისთვის ქართულ სუფრაზე განსხვავებულ და უცხო რიტუალს წარმოადგენს ერთმანეთის მუხლმოდრეკით დღეგრძელობა, რომელშიც მეფეც მონაწილეობს და შემდეგ გადაკოცნის თავის ვეზირს.

ჯოვანი და ლუკა [1648-1650 წლები] მიუთითებს, რომ ქართველებმა იციან სადღეგრძელოს დალევა გალობით და გალობა ქართულ სუფრაზე სიტყვის გაგრძელებაა. სამეგრელოს მთავარმა დადიანმა ჰკითხა და ლუკას, თუ როგორ მოსწონდა მათი ეს ჩვეულება [ქართველები., 2018:143]. ეს შეკითხვა გვიჩვენებს, რომ ქართველებს გაცნობიერებული აქვთ სადღეგრძელოს ჩვეულების თავისთავადობა და ამაცობენ კიდევ ამით. ზემომოყვანილი ჩანაწერები ადასტურებს, რომ სადღეგრძელო ჩამოყალიბებულ წესი იყო მე-17 საუკუნეში და სადღეგრძელოს რიტუალის ატრიბუტებს რელიგიური დატვირთვის მქონე ელემენტები ანიჭებს - მუხლმოდრეკა, გალობა და გადაკოცნა, რაც ადასტურებს სადღეგრძელოს, რო-

გორც ტრადიციული სუფრის მთავარი რიტუალური ელემენტის და ზოგადად სუფრის, როგორც რელიგიური დატვირთვის მქონე ცერემონიის, მაღალ მნიშვნელობას ქართულ ყოფაში.

იმავე პერიოდის თავის ჩანაწერებში ქრისტეფორო კასტელი [1640-1657 წლები] სუფრის ჩანახატებს დაურთავს კომენტარებს, რომლებშიც ხშირად არის აღწერილი სუფრაზე ღრმა პატივისცემის გამოხატვით მრავალი სადღეგრძელოს შესმა მუხლმოდრეკით, სადღეგრძელოები ხშირად პერსონალურია. კასტელი მიუთითებს რამდენიმე ადგილას, რომ საქართველოში მიღებულია ქალების დღეგრძელობა თავიანთი და სხვა ქალების წინაშე ზოგჯერ მუხლმოყრილი, ზოგჯერ ფეხზე წამოდგარი [კასტელი, 1976:117,146] და ეპისკოპოსიც კი მონაწილეობს ამ ცერემონიაში [კასტელი, 1976:145], ქალის სადღეგრძელო მისი ფეხსაცმლითაც კი შესმება. კასტელი ეპისკოპოსის მიერ ქალის სადღეგრძელოს მუხლმოდრეკით შესმა ველურ ცერემონიად მიიჩნევს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქალის სადღეგრძელოს შესმა მუხლმოდრეკით ევროპაშიც იყო მიღებული [French,1881:65,78].

კასტელი ასევე აღნიშნავს, რომ ქორწილს სტუმრების გასართობად სპეციალურად მოწვეული პირი წარმართავს და ქართულ სუფრაზე დათრობა სირცხვილად ითვლება და ქალები კი საერთოდ არ სვამენ. აქვე დავძენდით, რომ ევროპაში ქალები იმ დროს არ ერიდებოდნენ დათრობას [French,1881:72], რუსეთშიც ასე ხდებოდა [Травев П. В. 2013:128].

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ასევე უცხოელთა გაკვირვებას იწვევს, ქალის მიმართ სადღეგრძელოებია, ხშირად მუხლმოდრეკით და ქალის ფეხსაცმლიდან ღვინის შესმით და ასე ეპისკოპოსებიც იქცეოდნენ. ეს რიტუალიც მეტყველებს განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე სუფრის წევრი ქალების მიმართ. მსგავსი პრაქტიკა - მუხლმოდრეკით სადღეგრძელოების შესმა - არ დასტურდება იმ პერიოდის სუფრის აღწერილობებში არც რუსეთსა [Петров, 2017:25] და არც ირანში მოგზაურთა აღწერილობებში [Олеарий, 1906:201.]. რუსეთსა და ირანში ქალები საერთოდ არ ესწრებოდნენ მამაკაცების სუფრას, მე-17 საუკუნეში რუსეთის ელჩებს ისიც კი უკვირდათ, რომ საქართველოში დედოფალი ესწრებოდა ნადიმებს [ქუჟუნაშვილი, 1996 :23]

თემატურ სადღეგრძელოთა სისტემის არსებობა დასტურდება თეიმურაზ II-ის 1736 წლით დათარიღებულ პოემაში „გაბაასება დღისა და ღამისა“ [არჩილი... 1976:62]. ავტორი აღნიშნავს, რომ თემატურ სადღეგრძელოთა აღწერილი სისტემა ერთიან სქემას და თანმიმდევრობას ექვემდებარება ქორწილშიც და ძეობაშიც, მაგრამ კუთხის ტრადიციების შესაბამისად შეიძლება განსხვავებული იყოს. პოემა მოიცავს ქორწილის სუფრის აღწერას ნეფესა და დედოფლის ოჯახებში, თავის შესმა (11- დან 20-მდე თავს) ნადიმის თემატური ეტაპების მიხედვით ხდება და თან ახლავს რელიგიური საზრისის ტექსტები და გალობა. თავის შესმა იწყება ღვთის დიდებით, გამოიყოფა ზმების, შაირების, ჭრელების გალობის, დასდებლებისა და მზითვის წიგნის კითხვის თემატური ეტაპები, გარდა ამისა, წესის შესაბამისად ორჯერ სვამენ თავს მუხლმოდრეკით და წარმოთქვამენ სადღეგრძელოს გადაკოცნით - საყენი. თეიმურაზ II-ის პოემაში „გაბაასება დღისა და ღამისა“ მოყვანილია ზმისა და შაირის რამდენიმე ტაეპი, რომლებიც ფაქტობრივად სადღეგრძელო და დალოცვაა [არჩილი, 1976:47]:

„ორთავ მოგეცესთ დღის სიგრძე,
გაცოცხლოს მრავლის წლითაო,
აწ შეგაბეროსთ ერთმანეთს,
თვით ღმერთმან წყალობითაო“.

ადრეული მოდერნის პერიოდის მოგზაურები ასევე მიუთითებენ, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან სიმღერა გამორჩევიდა საქართველოს სუფრას [რაინეგისი, 2002:112, Материалы, 1937:235].

ჟაკ ფრანსუა გამბას (1821-1831 წლები) ცნობები ქართული, კერძოდ კი იმერული, სუფრის შესახებ ეწინააღმდეგება აკაკი წერეთლის უფრო გვიანდელ მითითებას, რომლის საფუძველზე ივარაუდება, რომ სუფრაზე ბევრ სადღეგრძელოს არ სვამდნენ. გამბა აღნიშნავს, რომ სუფრა საქართველოში რუსებთან შედარებით დიდხანს გრძელდება და მიუთითებს, რომ აგიაშვილებთან საწირეში (იმერეთი) დაილია უამრავი სადღეგრძელო [გამბა, 1987:185], ხოლო ხრეთში (იმერეთი) სათითაოდ 27 სტუმრის პერსონალური სადღეგრძელო თამადამ ისე შესვა, რომ სიმთვრალე არც დასტყობია [გამბა, 1987:200]

ამგვარად, ქართული სუფრის ზემომოყვანილ აღწერილობათა შედარება იმდროინდელ რუსულ და ირანულ სუფრასთან აჩვენებს პრინციპულ განსხვავებას, რუსეთში სუფრაზე სმის მიზანი დათრობაა, სპარსეთში ღვინის მიღების უფლება

ქვეყნის მხოლოდ უმაღლეს მმართველებს თუ აქვთ, თან მათთვის თავშეკავება სავალდებულო არ იყო, ამიტომ სპარსეთის მმართველებს შორის ხშირი იყო ალკოჰოლზე დამოკიდებულების ჩამოყალიბება [Matthee 2005:53].

მე-17 საუკუნის ირანში ქალები არ ესწრებოდნენ სუფრას [Jahandideh, 2011:138], რუსეთში კი ქალები თუ ესწრებიან სუფრას, მხოლოდ მცირე ხნით და დიასახლისის დღეგრძელობა შეურაცხყოფად აღიქმება [Витсен 1996: 142], ქალების სადღეგრძელოები პერსონალურად არ შეისმება.

მე-17 საუკუნეში რუსეთში სუფრაზე მამაკაცებისთვის დათრობა ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნეოდა [Рейтенфельс, 1906 :145, Корб, 1997:331, Мейерберг, 1997: 167]] და სამეფო კარზე უცხოელი ელჩების დათრობასაც ცდილობდნენ [Петрей , 1867: 364.]

საყურადღებოა, რომ მუხლმოდრეკით სადიდებლისა და სადღეგრძელოს შესმის ტრადიცია შენარჩუნებული იყო საქართველოში მე-20 საუკუნეშიც. ყამარაული [1932:97] აღწერს ხევსურეთში, გზაში, უცნობთან შეხვედრისას მუხლმოდრეკით სალოცავის სადიდებლის და სამი ყანწის შესმას [მიცვალებულთა შესანდობარი, ცოცხლების სადღეგრძელო და მტრებზე გამარჯვება], სუფრას მასპინძელი მუხლმოდრეკით ემსახურება [ყამარაული, 1932:94], საწესო რიტუალის დროს სადიდებელი ასევე მუხლმოდრეკით სრულდება.

ამრიგად, ისტორიული წყაროები მე-17 საუკუნიდან შეიცავს სადღეგრძელოთა შესმის დეტალურ დახასიათებას, რიტუალურ ურთიერთობას სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის, კერძოდ, მეფესა და ვეზირს, ეპისკოპოსსა და მრევლს შორის, რაც არ დასტურდება იმდროინდელი რუსეთის ან სპარსეთის ყოფაში. ამავე დროს, განსხვავებულია ქალის მონაწილეობა და მის მიმართ დამოკიდებულება სუფრაზე, კერძოდ კი განსაკუთრებული პატივისცემა საქართველოში რუსეთისა და ირანის იმდროინდელ ყოფით რეალობათან შედარებით.

საქართველოში ალკოჰოლის მიღების აღწერა ისტორიულ წყაროებში მეტყველებს კულტურულ ავთენტურობასა და განსხვავებულობაზე რუსეთისგან. რუსეთში ალკოჰოლის მიღების მიზანი დათრობაა, რაც “შშრალ შემაგრებულ სასმელებზე” ორიენტირებულ (მიმართულ) კულტურებშია გავრცელებული, ხოლო საქართველოში დაღვევა მიღებულია დათრობის გარეშე და საქართველო შეიძლება მიეკუთვნება “სველი ღვინის” კულტურათა რიცხვს [Room, 2000:475]. რუსეთში ალკოჰოლის მოხმარების კავკასიისაგან განსხვავებულ კულტურას სუფრის ეტიკეტის რუსი მკვლევარებიც მიუთითებენ [Байбурин, 1990:153]

კავკასიაში მოგზაურთა აღწერილობები მე-15 საუკუნიდან (ინტერიანო, ჯუდიჩე, კასტელი, ვოლკონსკი) ადასტურებს, რომ ტრადიციული სუფრა იყო არა უწესო და მხოლოდ მატერიალურ მომხმარებაზე ორიენტირებული ღრეობა, როგორც ამას თანამედროვე „სუფროლოგი“ ავტორები ამტკიცებენ, არამედ მართლმადიდებლური კულტურის კონტექსტში ჩამოყალიბებულ თემატურ და პერსონალურ სადღეგრძელოთა მოწესრიგებული ერთიანი რიტუალური სისტემა. სუფრის ურთიერთობათა სულიერება სწორედ რელიგიური ხასიათით არის განპირობებული, ხოლო პიროვნებათაშორისი ურთიერთობები სუფრაზე ქრისტიანული სიყვარულის რიტუალის კონტექსტში ვითარდებოდა.

სუფრის გამოკვეთილი რელიგიური ხასიათი, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ეს განსაკუთრებულობა ქმნიდა ქართული სუფრის ავთენტურობას, რომლის თავისთავადობა თვალსაჩინოდ დასტურდება რუსულ და სპარსულ კულტურასთან შედარებითი ანალიზის შედეგად.

ლიბრაშე

1. არჩილი, თეიმურაზ მელიქიძე, 1976, *საქართველოს მწიგნობარი, გაბასება დღისა და ღამისა*, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 159 გვ.
2. ბრეგვაძე ლევან (2000), „სადღევრდელი და მისი კომპენსატორული ბუნება“ კრებულში: *ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება*. გ. ნოდის რედაქტორობით (9-15), თბილისი: ?
3. ბრეგვაძე ლევან (2010), „თარგმანი, თარგმანი!“, *ჩვენი მწერლობა*, №7, (42-43).
4. გამბა ჟაკ ფრანსუა, 1987, *მოგზაურობა საქართველოში*, თბილისი, განათლება, 375 გვ.
5. გოცირიძე გიორგი, 2007, *კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში*, ილ. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 386 გვ.
6. გოცირიძე გიორგი, ღამბაშიძე ნინო (2008), *ქართული ტრადიციული სუფრის ლიტურგიკული ბუნება, სადიდებლები და საღვინო საგალობლები*, კრ. ტრადიციული მრავალმიანობის შესახებ საერთაშორისო სიმპოზიუმი (485-505), თბილისი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.
7. კრისტოფორო დე კასტელი, 1976, *ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ / დონ; ტექსტი გაშიფრა ბეჟან გიორგაძემ* თბილისი: მეცნიერება, 457 გვ.
8. რაინეგის იაკობ, 2002, *მოგზაურობა საქართველოში*, თბილისი: არტანუჯი, 334 გვ.
9. ნოდია გია (2000), *ქართული სუფრა დემოკრატიის პირისპირ: რედაქტორის წინათქმა. ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება*, დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში - 4 (5-8), თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამომცემა.
10. შათირიშვილი ზაზა (2000), *ნადიმი და პოლიტიკა*, კრებულში: *ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება. დისკუსიები კავკასიურ ინსტიტუტში - 4*. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამომცემა (16-21);
11. ფრუიძე ლევან (2007), *ქართული სუფრის ფენომენს ნუ გავაუბრალოებთ*, „ლიტერატურული საქართველო“, 02. 02. № 4.
12. ყამარაული ალექსანდრე, 1932, *ხევსურეთი*, თბილისი: სახელგამი, 132 გვ.
13. ჯუღიძე ჯუზეპე, 1964, *წერილები საქართველოზე: XVII საუკ.* /- თბ.: „საბჭ. საქართველო“, 135 გვ.
14. *ქართლის ცხოვრება*, 1906, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამომცემელი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 993 გვ.
15. *ქართველები უცხოელთა თვალით (XV-XVII სს) 150 ამბავი*, 2018, შეადგინა ალექსანდრე მიქაბერიძემ, თბილისი: „არტანუჯი“, 180 გვ.
16. ჟუჟუნაშვილი გიორგი, 1996, *უცხოელ ელჩთა მიღების წესები XVI-XVII საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროებში: (რუსული საარქივო მასალების მიხედვით) / [რედ.: ვ. მაჭარაძე]*, თბ.: „მერიდიანი“, 28 გვ.
17. Байбурин А., Топорков А. 1990. *У истоков этикета, Этнографические очерки. — Ленинград: Наука, — 170 с*
18. Витсен Николаас. 1996. *Путешествие в Московию*. СПб. Symposium. 1996.
19. Гоциридзе Г., Кипиани Г., 2011, *Литургическая природа традиции и поиск идентичности в современной Грузии* (на примере грузинского застолья) <https://muer.mau.se/bitstream/handle/2043/13135/CaucasusStudies4%20muer.pdf?sequence=2> (102-106)
20. Интериано Дж. (1974). *Быт и страна зихов, именуемых черкесами. Достопримечательное повествование // Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII - XIX вв.* Составление, В. К. Гарданова. Нальчик: «Эльбрус»,. С. 46 -
21. Корб Иоганн-Георг (1997). *Дневник путешествия в Московское государство Игнатия Христофора Гвариента, посла императора Леопольда I к царю и великому князю Петру Алексеевичу в 1698 г. М.: Фонд Сергея Дубова.* — 552 р. — (История России и Дома Романовых в мемуарах современников. XVII—XX вв.) <http://www.vostlit.info/Texts/rus13/Korb/pred.phtml?id=735>

22. *Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615—1640.* , 1937 — Тбилиси: Изд-во Тбилисского гос. ун-та. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов -М. 487 с.
23. Мейерберг 1997 – *Путешествие в Московию Барона Августина Мейерберга, члена Императорского придворного совета, и Горация Вильгельма Кальвуччи, кавалера и члена Правительственного совета Нижней Австрии, послов августейшего римского императора Леопольда к царю и великому князю Алексею Михайловичу в 1661 году, описанное самим бароном Мейербергом // Андрей Роде, Августин Мейерберг, Самуэль Коллинс, Яков Рейтенфельс. История России и дома Романовых в мемуарах современников XVII-XX вв. Утверждение династии.* – М.: Фонд Сергея Дубова – Рита-Принт, 1997. С. 43-184.
24. Олеарий А. 1906. *Описание путешествия в Московию и через Московию в Персию и обратно.* Спб., типография А.С. Суворина,
25. *Осмысление богатства разнообразия: праздновать или наводить порядок?* 2014. *Ab Imperio*, #4 (9-13)
26. Петров Дмитрий. (2017). «Питье» на приеме царя Алексея Михайловича в честь английского посла Чарльза Ховарда, графа Карлайла 19 февраля 1664 г. *Valla . An Interdisciplinary Journal of European Studies.* №3.(23-36)
27. Рам Харша. (2018). *К вопросу о поэтических источниках грузинского тоста. Россия–Грузия после империи: Сборник статей / Сост. МирьяЛекке, Елена Чхаидзе.* — М.: Новое литературное обозрение.(163-183).
28. Рейтенфельс Я. *Сказания светлейшему герцогу Тосканскому Козьме Третьему о Московии.* М., 1906.
29. **Петрей Петр. де Ерлезунда.** 1867. *История о великом княжестве Московском.* М.: Университетская типография. 574с
30. Травер П. В. (2013). *История и образ кабака и трактира в русской культуре. Ч. 2. О русском пьянстве: предрассудки, грустная действительность или глубокая традиция 127-135 История и современность №2*
31. French Richard Valpy. *The History of Toasting, Or Drinking of Healths in England* . London. National temperance Depot. 190p. [http://www.horntip.com/html/books_&_MSS/1880s/1881_the_history_of_toasting__richard_valpy_french_\(HC\)/index.htm](http://www.horntip.com/html/books_&_MSS/1880s/1881_the_history_of_toasting__richard_valpy_french_(HC)/index.htm)
32. Friedman Y. “*Peacemaking: Perceptions and Practices in the Medieval Latin East.*” In *The Crusades and the Near East: Cultural Histories*, edited by Conor Kostick, : The Crusades and the Near East: Cultural Histories. xvi, 271 pp. Abingdon and New York: Routledge, 2011. (229-257).
33. Le Goff Jacques. 1980 , *Time, Work, and Culture in the Middle Ages, 400p.* Chicago: University of Chicago. 400p
34. Manning P., 2012 ,*Strangers in a Strange Land: Occidental Publics and Orientalist Geographies in Nineteenth-Century Georgian Imaginaries.*, Academic Studies Press, 346 pages
35. Manning P. 2014., **Domestication of the Wild** *Supra*, *Ab Imperio* 4, pp. 53-62
36. Manning P. (2017)., *The Semiotic Ecology of Drinks and Talk in Georgia*, In *Language and Materiality: Ethnographic and Theoretical Explorations.* edited by Jillian R. Cavanaugh, **Shalini Shankar.** pp 226-248
37. Matthee Rudi. 2005, *The pursuit of pleasure : drugs and stimulants in Iranian history, 1500-1900 /* .Princeton, Princeton University press. 368p
38. Minahan James 2000., *One Europe, Many Nations: A Historical Dictionary of European National Groups.* Greenwood. 546p

39. Mühlfried, F. 2006. *Postsowjetische Feiern: Das Georgische Bankett im Wandel*. Stuttgart, 226 p.
40. Mühlfried F. (2007). *Celebrating Identities in Post-Soviet Georgia* . In *Representations on the Margins of Europe. Politics and Identities in the Baltic and South Caucasian States*. Frankfurt am Main; New York. P. (282–300.)
41. Mühlfried Florian (2014), *A Taste of Mistrust*. *Ab Imperio*, No. 4. (63-68)
42. Nodia Ghia. (2014). *The Values of the Georgian Supra: Nationalist or Nativist?* *Ab Imperio*, No. 4. pp. 69-74
43. Manning Paul .(2014).*Domestication of the Wild Supra* *Ab Imperio*, No. 4. pp. 53-62,
44. Jahandideh M., Khaefi Sh . (2011). Women’s Status during the Safavid Period. In *Recent Researches in Social Science, Digital Convergence, Manufacturing and Tourism* p.137-143 <http://www.wseas.us/e-library/conferences/2011/Lanzarote/SOSOMACTS/SOSOMACTS-22.pdf>
45. Ram H. The Literary Origins of the Georgian Feast: The Cosmopolitan Poetics of a National Ritual *Ab Imperio* 4/2014, (19-52)
46. Room R, Mäkelä K (2000).*Typologies of the cultural position of drinking* *Journal of Studies on Alcohol* 61:(475-483)
47. Tuite Kevin. (2010) *The Autocrat of the Banquet Table: The Political and Social Significance of the Georgian Supra // Caucasus Studies*. № 2:*Language, History and Cultural Identities in the Caucasus* / Ed.K. Vamling. P. (9–35).

GIORGI KIPIANI

Ivane Javakhishvili State University

AUTHENTICITY OF GEORGIAN SUPRA TRADITION IN HISTORICAL SOURCES

SUMMARY

In the recent debate on the origins of the traditional Georgian feast some researchers insist that in the historical sources there is no mention of toasting speeches before 19-th century [Bregadze, 2010], so Georgian Supra is an “invented“ tradition and result of Georgianization of Russian

Feast [Ram , 2018] . Therefore authentic Georgian feast before 19-th century is characterized as partly ritualized, but uncivilized and uncultured practice of material consumption - drunken orgy, which becomes a cultured domain only under Russian imperial and Stalinist totalitarian influence [Manning, 2017].

Paper argues with aforementioned approach and presents review of 17-19 century travelogues and diplomatic correspondence by Giuseppe Giudice, Guivanni da Lucca , Christophoro Castelli, Volkonski and Jacques Gamba, which note authenticity of Georgian feasting traditions, comprised by system of multiple toasts, elaborate ceremonial drinking and chanting as part of toasting ceremony, participation of women and frequent toasting for women. Analysis of the historical sources reveals psycho-cultural and typological differences of drinking patterns between Georgia and Russia before 19-th century. Alcohol drinking traditions in Georgia can be clearly attributed to the “wine“, “wet” drinking culture, where drinking was expected, but drunkenness prohibited. Travelogues by Augustin Maierberg, Nicolaus Witsen and Jacob Reutenfels, confirm that, Russian drinking style can be clearly attributed to “spirits“, “dry” drinking culture, where drunkenness is the aim of drinking.

ნათია კალანდიაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ჩამოყალიბების

ზემო გურიაში (დღეს ძირითადად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში) სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი უძველესი დროიდან მიწათმოქმედება იყო, რაც განაპირობებდა ამ მხარის კეთილდღეობას. სამეურნეო ნათესების უმეტესი ნაწილი ეკავა მარცვლეულ კულტურებს. მოსაზრებას ადასტურებს ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სამიწათმოქმედო შრომის იარაღები, მარცვლეული ჭირნახულის შესანახი და დასამუშავებელი ინვენტარი, სოფლების ტოპონომიკური მასალები.

ზემო გურიაში მცხოვრებნი, მიუხედავად მიწათმოქმედების არახელსაყრელი პირობებისა, მიწათმოქმედების კულტურას ოდითგანვე მისდევდნენ. მოსაზრებას ადასტურებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები, კერძოდ, ნეოლითის ხანიდან: სოფელ შუასურებიდან ხელსაფქვავის და სასრესი ქვები, რომლებითაც, სავარაუდოდ, მუშავდებოდა მარცვლეული, ცულები სოფ. იანეულიდან და ხიდისთავიდან, ასევე გახვრეტილი სამეურნეო ქვები.

მუზეუმის ფონდში დაცულია ბრინჯაოს თოხები, რომელთაც გორდა პირი აქვს, მხრებდაქნილია, მრგვალი და სქელი სატრით? . ბრინჯაოს თოხების სიუხვე მიწათმოქმედების კულტურაზე მეტყველებს [გ. ჯიბლაძე, 1980: 13].

მუზეუმის ფონდში ასევე დაცულია რკინის ხანის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, ელინისტური ხანის ქვევრსამარხები სოფლებიდან: ზემოფარცხიდან და ბუკისციხიდან.

ძველი კოლხეთის ნივთიერი კულტურის ერთ-ერთი სპეციფიკური დამახასიათებელი ელემენტია სამეურნეო დანიშნულების მოზრდილი მასიური თიხის ჭურჭელი – ქვევრი. ქვევრს ფართო სამეურნეო გამოყენება ჰქონდა. მასში ინახავდნენ მარცვლეულს, მცენარეულ ზეთს, დამარილებულ თევზს, ღვინოს [ა. კახიძე, 2010: 96].

მუზეუმის ფონდში დაცული არქეოლოგიური ძეგლებისა და ეთნოგრაფიული ნივთების ისტორიის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ ჩოხატაურის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანი ოდითგან ეწეოდა სამეურნეო, კერძოდ, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ საქმიანობას; კარგად იცოდა მიწასთან მუშაობა, მარცვლეულის მოყვანა-დამუშავება და შენახვის წესები. ის ასევე გამოცდილი, დაოსტატებული და დახელოვნებული იყო ქვის დამუშავებაში. ქვას არა მარტო შრომისა და სანადირო იარაღად იყენებდა, არამედ კლდეებში გამოქვაბულებსაც კვეთდნენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სოფელ შუა ამაღლებაში, მდინარე სუფსის ხეობაში, ზღვის დონიდან 140 მ სიმაღლეზე არის გურიის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ბერ-მონაზონთა სამონასტრო კომპლექსი. ის მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ VI საუკუნით დათარიღებულ კლდეში ნაკვეთ ორ ეკლესიასა და ბერთა ქვაბოვან სენაკებს მოიცავს. ძეგლის არსებობა მკაფიოდ მიუთითებს ქვის ოსტატთა შრომისმოყვარეობასა და მაღალკვალიფიციურობაზე.

სამიწათმოქმედო გაშლილი ვაკეები და მინდვრები ზემო გურიაში თითქმის არ არის. მიწათმოქმედების არახელსაყრელი პირობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის მძიმე ტვირთად ქცეულა. მიწის დამუშავება და მიწათმოქმედების კულტურის განვითარება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. მიწის დამუშავების დროს ტრადიციულად იყენებდნენ გუთანს, რომელშიც შეხვეული ჰყავდათ ხარები და ცხენები. საინტერესოა მარცვლეულის დამუშავების პროცესი. როგორც ყველგან, ეს აქაც მეტად შრომატევადი საქმიანობა იყო. ის მოითხოვდა ცოდნასა და დიდ გამოცდილებას.

მარცვლეულის დასამუშავებლად გურულ გლეხს აშენებული ჰქონდა სპეციალური ნაგებობა, რომელსაც საცხებელი ეწოდებოდა. მარცვლის შესანახი ნაღია კი ცალკე ჰქონდა. საცხებელს ჭერი არ ჰქონდა, მის ნაცვლად მოწყობილი იყო სპეციალური ჩელტები, რომლებზედაც აწყობდნენ ძნებად შეკრულ მცენარე ღომს, ქვევიდან ანთებდნენ ცეცხლს, ბოლი

მცენარეს ახმოვდა. გამხმარ თავთავს იოლად შორდებოდა მარცვლები. მცენარის ხმობის პერიოდში საცხვლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა, გამხმარ მცენარეს ადვილად ეკიდებოდა ცეცხლი, წყალი უსაფრთხოებისთვის მომზადებული ჰქონდათ, როგორც კი ცეცხლის ალი მოიმატებდა, წყალს ასხამდნენ და „მიანავლებდნენ“.

ლომი ერთწლიანი კულტურაა, იკეთებს საკმაოდ მსხვილ თავთავს, რომელიც შედგება მრავალი წვრილი მარცვლისგან. მცენარე ღომისგან მარცვლის მოშორება დიდ ცოდნას მოითხოვდა, საჭირო იყო მარცვლეულის დასამუშავებელი სპეციალური „ჭურჭელი“ ჩამური, რომელშიც ხელკავის(?) დარტყმით ამორებდნენ მარცვლს ბუდეს [ჩ.მ.მ, ფ. 12].

„ზემო გურიაში ძირითადი მარცვლეული კულტურა მაღალხარისხიანი სასურსათო მცენარე ღომი იყო. მკვლევართა აღიარებით, რომელიც ქართული ღომის ბოტანიკურ-ფილოგენეტიკურ გამოკვლევებს ეფუძნება, საქართველო, კერძოდ კოლხეთი, უხსოვარი დროიდან ცნობილი ღომის სახეობების ფორმათა და ჯიშთა მრავალფეროვნებით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ღომის კულტურის სახეობათა ერთ-ერთ კერად“ [მაისაია, 1987:6]. (ეს ადგილი გავმართე, თუმცა ბრჭ-შია)

როგორც აღვნიშნეთ, მცენარე მუშავდებოდა ჩამურის მეშვეობით, რომელიც იყო სხვადასხვა სახის: ფეხის, ხელის, წყლის (მოწყობილი წყაროებზე, ღელეებზე). ჩამური მზადდებოდა სპეციალური ქვისა და ცაცხვის ხისგან. გაცხვის პროცესს ორი ადამიანი სჭირდებოდა: ერთი კონებად შეკრულ მცენარეს თავს ჩააყოფინებდა ჩამურში, მეორე კი ხელკავს არტყამდა. ასე სცილდებოდა ერთმანეთს მარცვალი და მცენარე. ფეხის ჩამურის გამოყენებისას ხელკავს ფეხით ურტყამდნენ. წყლის ჩამური გამოყენებოდა წყაროებსა და ღელეებზე. წყლის პატარა ნაკადს გაუშვებდნენ ხელკავის მიმართულებით, რომელიც სპეციალურად წყლის ჩამურისთვის იყო გათლილი. ხელკავს თავი გათლილი ჰქონდა ჩაღრმავებულად, მასში ისხმებოდა წყალი და მექანიკურად მოძრაობდა. წყლით გაცხვას მხოლოდ ერთი ადამიანი სჭირდებოდა. გაცხვის პროცესს აუცილებლად ბავშვები უნდა დასწრებოდნენ. ერთი მხრივ, ისინი სწავლობდნენ პროცესს, ერეოდნენ შრომას, მეორე მხრივ, მონდომებული და ხალისიანი „მუშახელის“ როლსაც ითვსებდნენ, მხიარულობდნენ და საქმესაც უფროსების მითითებით აკეთებდნენ.

84 წლის იური კალანდაძე (სოფელი თავპანტა) გვიყვება: ქვის ჩამურს თავიდან შედარებით პატარა ამოღრმავებული ჰქონდა. ხელკავის დარტყმით სიღრმე იმატებდა. მოსახლეობას სათესი ფართობები სახლიდან მოშორებით ჰქონდა, ძირითადად მთაში. მცენარე ღომს ძალიან ცხელი ამინდები არ უყვარს და ამიტომაც მთაში სიგრილე უხდებოდა. ქვის ჩამური მთაში ძნელი ასატანი იყო, ცდილობდნენ სადმე ადგილზე ეპოვათ ჩამურის დასამზადებელი ქვა, რომელსაც „ობოლ ქვას“ ეძახდნენ. ასეთი ქვა შეიძლება გაშლილ მინდორში ეპოვათ. იწყებდნენ ქვის დამუშავებას, მისცემდნენ სასურველ ფორმას და თავს უღრმავებდნენ. ხელკავი აუცილებლად მასიური ხის უნდა ყოფილიყო. ნედლი ხისგან დამზადებული ხელკავი შეიძლება დამსკდარიყო, ამიტომ ხელკავებს ბევრს ამზადებდნენ და ახმოვდნენ. ჩამურის თხოვება ძნელი იყო, გადატანა ჭირდა, (?) ამიტომ საზიარო ჩამურები არსებობდა. მორიგეობა იყო დაწესებული და ყველა რიგის მიხედვით ცხვავდა, თან ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ასეთ მოხმარებას ხარ-ნაღი ერქვა. დღეს ერთთან იყვნენ, ხვალ – მეორესთან და ასე გრძელდებოდა. დიდი მხიარულება იყო. ცეხვის პროცესში მონაწილეობდნენ ქალებიც და ბავშვებიც. კარგი სადილები კეთდებოდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ხის ჩამური ხელკავით, რომელიც, აღწერილობის თანახმად, ეკუთვნოდა სახალხო გმირ ბულარა მამალაძეს. ბულარა, გადმოცემით, ძირითადად მთაში ცხოვრობდა, კარგად რომ ეკონტროლებინა თავდამსხმელები. დროს უქმად არ კარგავდა და ღომს სხვადასხვა ადგილას თესავდა. ხის ჩამური კი იოლად გადაჰქონდა ნათესებში.

სულხან-საბას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ „კოხი ქვა, რომელი ცეცხლში არ დასქდება“ [ორბელიანი, 1966: 385]. მაშასადამე, ქვას, რომლისგანაც კეცები მზადდება, კოხი ჰქვია. ასეთივე მტკიცე ქვა სჭირდებოდა ჩამურების დამზადებას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არის სოფელი კონხარი და იქვე მდინარე კონხარა. ადგილზე, სავარაუდოდ, ჩამურების დამზადება, ე.ი ქვის დამუშავება, საკმაოდ კარგად იყო განვითარებული და ადგილსაც კონხარი შეარქვეს.

ქვის ჩამურებისა და არა მარტო ჩამურების დასამუშავებელი კარიერები (ქანები) ზემო გურიაში ბევრგან იყო. ჩამურის დამზადება ყველა სოფელში არ შეიძლებოდა, რადგან მის დამზადებას სჭირდებოდა სპეციალური მაგარი ქვა. ჩამურის დამამზადებელ კერად ითვლება ერთ-ერთი სოფელი ვანი და მის მეზობლად მდებარე სოფლები: შუა ამაღლება და სამე-ბა. დღეს ქვის ჩამურები ბევრგანაა შემორჩენილი.

სოფელ ვანის ცენტრიდან სჭარბობს დანალექი ქანები, ჩრდილოეთი ნაწილი აგებულია მაგმური ქანებით, რომლებიც ვანის ღელის, ანაიას, ცილთას, იულაის ღელეთა ხეობებში ზედაპირზე გამოდის. სწორედ დანალექმა ქანებმა, რომლებიც საკმაოდ მტკიცეა და აქვს კარგი დეკორი, განსაზღვრა ვანის უძველეს მცხოვრებთა ერთ-ერთი სამეურნეო საქმიანობა - ქვის ხელობის გავრცელება - სოფელში. სოფლის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და სამეურნეო ნაგებობები, სამეურნეო ნივთები ადასტურებენ ვანელ ქვის ოსტატთა დიდ ტრადიციას.

ადგილობრივი ქვისგან მზადდებოდა საფლავის ქვები, სახლის, ნალიის, ხულის ბოძები (ბარჯვები), ჩამურები, ბუხრების ქვები, მრგვალი და ოთხკუთხა მაგიდები, წისქვილის კოდები, კეცები, ჭის გვირაბები, კერიის, ყურძნის საწნები და სახლის ასაშენებელი სხვადასხვა ზომის ქვები.

გათლილი ქვა საუკეთესო სამშენებლო მასალა იყო. სოფლის ცენტრიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 400 მ დაშორებით, არის ე.წ. ნაციხვარა იგი ციხის ნანგრევია. სავარაუდოა, რომ ეს ციხე აგებული იყო ტყვეთა (?) გაყიდვის პერიოდში, რადგან იგი კეტავდა მდინარე სუფსის ხეობიდან მდინარე ანაიას ხეობისკენ, ნიგოთის ქედზე, არსებულ ყველაზე მოსახერხებელ გადასასვლელს. ციხე ამჟამად დანგრეულია, მაგრამ ნანგრევები მშენებელთა დიდ ოსტატობაზე მეტყველებს.

სოფლის ოჯახებში მრავლადაა შემორჩენილი ქვის მაგიდები და ბუხრები. ცნობილი მებუხრეები იყვნენ რაჟდენ და მიხეილ გოგელიები, ვანო მახარაძე, გიორგი ჩინუა. სოფლის სასაფლაოზე, რომელიც ეკლესიის ეზო იყო, შემორჩენილია საფლავის ქვები (ეკვდერები). ბევრი მათგანი დიდი ოსტატობითა და გემოვნებითაა გაკეთებული, დამშვენებულია ნაზი ორნამენტებით.

ბუხრის, საფლავის ეკვდერის, სამშენებლო ქვის დამზადება დიდ გამოცდილებას მოითხოვდა, ამიტომ ამ საქმიანობას ძირითადად გამოცდილი ოსტატები ასრულებდნენ. შედარებით უფრო ადვილი იყო კეცის თლა. სოფლის ზედა უბნის თითქმის ყველა მამაკაცს შეეძლო კეცის გათლა. ქვის კეცი შედარებით უფრო მაგარი და ტემპერატურაგამძლე ქვისგან მზადდება. ასეთი ქვები ზოგან საკმაოდ დიდ ზოლადაა გავრცელებული, ზოგან კი ცალკეული ლოდების სახითაა და მას ობოლ ქვას უწოდებენ. კეცი ლამაზისებურად გათლილი ქვაა. დანიშნულების მიხედვით განსხვავებულია მისი დიამეტრი და სიღრმე. კეცს გადაბრუნებულად დადებენ ცეცხლზე და ახურებენ, შემდეგ გადმოდგამენ, მასზე დადებენ გამოსაცხობ ან შესაწვავ მასას. ზემოდან აფარებენ თუნუქს და დააყრიან ღადარს (ნაკვერჩხალს). კეცი რამდენიმე წელიწადს ვარგისია გამოსაყენებლად.

ადგილს, სადაც კეცებს ამზადებენ, საკეცია ჰქვია, კეცის გამოთლელს - მეკეცია. ზოგიერთი საკეცია საერთო სარგებლობის ყოფილა. ზოგიერთი კი ერთ ან რამდენიმე პიროვნებას ეკუთვნოდა. საკეციის სიღრმე რამდენიმე მეტრიდან რამდენიმე ათეულ მეტრამდე აღწევდა. სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია საკეციები, რომლებიც საკმაოდ დიდი გამოქვაბულის შთაბეჭდილებას ახდენს. ყოფილა საკეციების ჩამონგრევის და ადამიანთა მსხვერპლის შემთხვევები.

ერთ-ერთი ასეთი საკეცია ზომილეთის საზღვართან მდებარეობდა. იგი იმდენად ღრმა იყო, რომ შიგ ჭრატის შუქზე მუშაობდნენ. სიღრმის გამო არსებობდა ჩამონგრევის საშიშროება და მაშინდელმა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჭ. დუმბაძემ უსაფრთხოების მიზნით ააფეთქებინა.

კეცებს თლიდნენ საკეციაშიც და სახლშიც. მას ყიდდნენ ან ცვლიდნენ სხვადასხვა ნივთზე ახლომდებარე სოფლებსა და ქალაქებში: ოზურგეთში, ბათუმში, სენაკში, აბაშაში, სამტრედიაში, ფოთში, ზუგდიდში, გაჭქონდათ აფხაზეთში. ბაზარში გაჭქონდათ რკინიგზით, ურმით, ცხენით. რკინიგზის სადგურამდე კი - ძირითადად ზურგით. ქვიანსა და ნიგოეთში 6-7 კმ-ის მანძილზე, რადგან კეცი საკმაოდ მძიმეა (5-10 კგ.), ზოგიერთ მეკეცეს დღეში რამდენჯერმე უხდებოდა გავლა მძიმე ტვირთით ყოველგვარ ამინდში. რამდენიმე ოჯახი თავს მეკეცეობით ირჩენდა. საკოლმეურნეო წყობილების დამყარების შემდეგ კეცის თლას კრძალავდნენ, მეკეციებს აჯარიმებდნენ, ბევრავდნენ, სამუშაო იარაღებს ართმევდნენ [ჩ.მ.მ, ფ.12].

სოფელ ვანის მკვიდრი ზაურ თოხაძე, რომლის ძირითადი საქმიანობა კეცის თლაა და ეს სპეციალობა თავისი წინაპრებისგან - ბაბუა ესტატესა და მამა კომოთესგან - ისწავლა, ყვება: სოფელ ვანში, ადგილ ოხანეთში, ჩემს ბავშვობაში ამზადებდნენ ჩამურებსა და კეცებს. ჩამური დღეს აღარავის სჭირდება და ძირითადად კეცების დამუშავებაზე ვმუშაობ. მივადგებით კლდეს ფარგლით, შემოვხაზავთ სასურველი სიდიდის წრეს. სპეციალური სამუშაო იარაღების საშუალებით გამოვავქვს კლდიდან საკმაოდ მძიმე ქვები, რომლებიც სახლში მიგვაქვს და ვიწყებთ გულის ამოღებას. სოფელ ვანის ქვისგან დამუშავებული კეცი ტემპერატურის გამძლეობასთან ერთად მარილსაც იტანს, ე.ი კეცზე სასურველი კერძის გაკეთება შესაძლებელია.

ჩვენს ოჯახში ინახებოდა ჩამურის მსგავსი ჭურჭელი, რომელშიც ვამარილებდით ზამთრისთვის ღორს, თითქმის ნ ფუ-თი ღორი მარილდებოდა. ბაბუა გვიყვებოდა, რომ სოფელ ვანში ქვის კარგი სპეციალისტები იყვნენ. ჩამურების დამზადების ოსტატი სოფელ სამებაში აკაკი ირაკლის ძე გოგელია იყო.

ხელსაფქვავე ხელის წისქვილმა ჩაანაცვლა, ხელის წისქვილი წყლისა და დენის წისქვილმა შეცვალა. მცენარე ღომი კი - მარცვლეულმა სიმინდმა. სიმინდი შრომის ნაკლები დანახარჯით უხვ მოსავალს იძლევა, ხმობისა და დამუშავების პროცესიც შედარებით იოლია.

ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ერთ-ერთი საინტერესო ექსპონატია ე.წ ჯიჯავაძის ქვა. სოფელ შუა ამაღლებაში ცხოვრობდა აკაცი, ვინმე ჯიჯეო ჯიჯავაძე, რომელიც თავისი ხელით გათლილი ქვით ვარჯიშობდა. კონუსის ფორმის, საკმაოდ მძიმე ქვას ხელის მოსაკიდი მოხერხებულად აქვს დამუშავებული. გადმოცემის თანახმად, ის ცალი ხელით თმას ივარცხნიდა და ცალი ხელით კი ქვით ვარჯიშობდა.

მუზეუმის ფონდში დღესაც ინახება კარგად დამუშავებული სხვადასხვა ფორმის ორი ქვა, რომლებითაც ყურძენს წნებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კახიძე ამირან, 2010, *ფიჭვნარი, ფარცხმა*, ბათუმი.
2. მაისაი ინეზა, 1987, *რომის კუტურა*, თბილისი.
3. ორბელიანი სულხან-საბა, 1966, *ქართული ლექსიკონი*, თბილისი.
4. ჯიბლაძე გიორგი, 1980, *გურია*, თბილისი.
5. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, *სოფელ ვანის ისტორია*.
6. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, *სოფელ ნაბელღავის ისტორია*.

NATIA KALANDADZE

Chokhatauri Municipality Local Museum

„CHAMURI“ - LARGE STONE MORTAR USED FOR CRUSHING RICE AND MILLET

In Upper Guria (today, mainly Chokhatauri municipality), the leading agriculture sector has been farming since ancient times, which led to the prosperity of this region. The majority of agricultural crops consisted of grain crops. Mainly high-quality food plant millet was sown.

The plant processing was done with “chamuri”. There are several different types, such as foot, hand and water “chamuri”. It was produced from a special stone and wood of small leaved lime tree. A special and strong stone was needed to make a stone “chamuri”. This kind of stone was called “kokhi” in Guria. “Chamuri” was carried by cartload.

Natia Kalandadze, Director of Chokhatauri Municipality N. Berdzenishvili Museum for Study of Local History

მაკინე ზუკაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი
თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მაკი ხუხუნიძე-ნიკაუკი

თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,
ბრიტანეთის ფოლკლორის სამოგადოება

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

დაცული ფონოგრაფიების რეგისტრაციის საკითხები*

1932 წელს დაარსებული შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი (იხ., <http://www.folktreasury.ge>) ერთ-ერთი უმდიდრესი სიძველეთსაცავია საქართველოში. მისი დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი (1892-1938 წწ). არქივში თავმოყრილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შეკრებილი ფოლკლორული მასალა.

ფიზიკური მატარებლების მიხედვით საარქივო ფოლკლორული მასალები ხუთ ძირითად მასივად იყოფა: 1. **ხელნაწერები** (109 804 ერთეული); 2. **ფონოგრამები** (213 ფონოგრამი 1 996 ერთეული ფოლკლორული ჩანაწერით); 3. **კინოფოტოგრაფიები და პოზტივები** (35 მმ-იანი 110-მდე წთ-ის ხანგრძლივობის კინოფირი; 35 მმ-იანი 36-კადრიანი 240-მდე ერთეული ფოტოფირი; 88 ერთეული მინის ფოტონეგატივი); 4. **ფოტოები** (4 000-მდე ერთეული ფოტოანაბეჭდი) და 5. **ციფრული აუდიოვიდეოფოტომასალები**.

საარქივო მასალები წარმომავლობის ან/და არქივში შემოსვლის თარიღის მიხედვით იყოფა რამდენიმე ვრცელ მასივად. ესენია: 1. **პეტრე უმიკაშვილის კოლექცია** (5 994 ტექსტი) თარიღდება 1870-80-იანი წლებით; 2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან არსებული ფოლკლორის სექტორისა და 1930-1959 წლებში განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციების მასალები (32 986 ტექსტი), ე. წ. **ადრინდელი ფონდი**; 3. 1960 წლიდან დღემდე ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად შეკრებილი მასალები (59 087 ერთეული ტექსტი), ე. წ. **ახალი ფონდი**; 4. მე-20 საუკუნის 30-70-იან წლებში სამივლინებო მუშაობის შედეგად შეკრებილი მასალები (13 737 ტექსტი), ე. წ. **ვარლამ მაცაბერიძის სახელობის ფონდი** და 5. **ციფრული ფონდი** (ბოლო პერიოდში ჩატარებული ექსპედიციების აუდიოვიდეოფოტოჩანაწერები).

არქივში შემოსული მასალის სისტემატიზაციისა და რეგისტრაციის ერთიანი წესი შემუშავებული არ ყოფილა. ეს ნიშნავს, რომ თითოეული ზემოაღწერილი მასივის სარეგისტრაციოდ არქივში სხვადასხვა სახის **დავთარი** გამოიყენებოდა. ეს დავთრები იმდენად შორსაა სრულყოფილებისგან, რომ ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს არათუ მასალებით სარგებლობას, არამედ მათი რაოდენობის განსაზღვრასაც კი. საგულისხმოა, რომ ოფიციალურ გამოცემებში დასახელებულია

* „აღნიშნული პროექტი (AR/319/2-154/12) განხორციელდა შოთა რუსთაველის (?) ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს“.

არქივში დაცული მასალების საერთო რაოდენობის აღმნიშვნელი ორი ციფრი, რომელთა შორის სხვაობა ნახევარ მილიონს შეადგენს [ქართული ფოლკლორი, 1975].

მაღალტექნოლოგიური ელექტრონული რესურსების განვითარების კვალდაკვალ ქართულ ფოლკლორისტიკაში დიგიტალური ჰუმანიტარის მეთოდების დანერგვამ შესაძლებელი გახადა არქივში დაცული მასალების თანმიმდევრული რეტროდიგიტალიზაცია და ელექტრონული სისტემატიზაცია.

ფოლკლორული ხელნაწერი მასალის დიგიტალური არქივიზაცია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება პროფ. ელგუჯა დადუნაშვილის ხელმძღვანელობით. საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდებისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ხელშეწყობით (იხ., <http://folktreasury.ge/>) შესაძლებელი გახდა ელექტრონული საძიებელი სისტემის ჩამოყალიბება და მისი ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე ფოლკლორის არქივში ფუნქციონირებს ორი ელექტრონული საძიებელი: 1. **ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა** (იხ., <http://www.folktreasury.ge/ARPA/>) და 2. **ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა** (იხ. <http://www.folk-treasury.ge/Folklore/>).

ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში ნებისმიერი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია **36 527** ერთეული ტექსტის ძირითადი ოცდაცამეტი მახასიათებელი. ესენია: შიფრი, ჟანრი, სათაური, ლექსის დასაწყისი სტრიქონი, პერსონაჟები, საგნები და მოვლენები, გეოგრაფიული სახელები, მონაცემები მთქმელის, ჩამწერის, ჩაწერის ადგილისა და თარიღის შესახებ, ზღაპრების საერთაშორისო ინდექსი და სხვა. გარდა ამისა, ანდაზებისა და გამოცანების შემთხვევაში ველში – „ლექსის დასაწყისი სტრიქონი“ – შეტანილია შესაბამისი ჟანრის ნიმუშთა სრული ტექსტები.

2013-2015 წლებში ფოლკლორის არქივმა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი **„ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დიგიტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის გზით“**.

ფონოჩანაწერების ფონდში თავმოყრილია 200-ზე მეტი ერთეული სხვადასხვა ზომის ელექტრომაგნიტური ფირი, რომლებიც ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით იყოფა შემდეგ მასივებად: 300 მმ დიამეტრის 54 ფირი, 185 მმ დიამეტრის 5 ფირი, 155 მმ დიამეტრის 2 ფირი, 150 მმ დიამეტრის 15 ფირი, 130 მმ დიამეტრის 70 ფირი, 110 მმ დიამეტრის 48 ფირი და არასტანდარტული დიამეტრის ფრაგმენტები.

მოლოდინი გამართლდა და გაციფრული ფოლკლორული მასალები სამჯერ აღემატება სხვა ტიპის მასალებს, როგორებიცაა: საესტრადო სიმღერები, სპექტაკლების ჩანაწერები და სხვ.

რეტროდიგიტალიზებულ ფოლკლორულ მასალაში გამოიყოფა ორი მასივი: 1. ზეპირსიტყვიერი ტექსტები და 2. კონფერენციების ჩანაწერები. თავის მხრივ, ძალიან საინტერესოა კონფერენციის ჩანაწერებიც, რადგან მათში შემონახულია ფოლკლორისტიკის ავთენტური დისკუსიებიც.

ქართულ ფოლკლორისტიკაში დიგიტალური ჰუმანიტარის მეთოდების დანერგვამ ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების რეტროდიგიტალიზაციითა და ელექტრონული სისტემატიზაციით მათი ფართო ხელმისაწვდომობის საშუალება მოგვცა. გაციფრა და მეტ-ნაკლები სიზუსტით აღიწერა 2000-ზე მეტი დიდი თუ მცირე ზომის ფოლკლორული ნიმუშის აუდიოჩანაწერი.

რაც შეეხება დიგიტალური აუდიომასალის ელექტრონულ სისტემატიზაციას, იგი განხორციელდა შემდეგი პრინციპით: ა) აუდიოჩანაწერის მოსმენით; ბ) შინაარსობრივი და ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით ერთეული ჩანაწერების სეგმენტაციითა და გ) ტექსტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ბაზაში შეტანით. ამასთან, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით შეივსო და დაზუსტდა არარსებული მეტამონაცემები.

საგულისხმოა, რომ აუდიოჩანაწერები მხოლოდ ქართული სიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებით არ შემოიფარგლება; გვხვდება აფხაზურ, თურქულ და ბერძნულ ენებზე (ID 35058, 35225-35229, 35230) შესრულებული მასალებიც, აგრეთვე ავთენტური საუბრების ჩანაწერები (ID 35700-35718). გარკვეული ტექნიკური ხარვეზების მიუხედავად, მასალა ფასდაუდებელი წყაროა ფოლკლორული და დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისთვის.

რეტროდიგიტალიზაციის შემდეგ დასამუშავებლად გამოიყენეს მხოლოდ მისი ციფრული ვარიანტი, რამაც შესაძლებელი გახადა განადგურების პირას მყოფი ელექტრომაგნიტური ფირების ხანგრძლივი დროით შენახვა.

საინტერესოა ისიც, რომ ეს მასალა მოიცავს თითქმის მთელ საქართველოს, მაგ.: კახეთს, იმერეთს, სვანეთს, სამეგრელოს, რაჭას, ქართლს, ხევსურეთს, თიანეთს, აჭარასა და ა. შ. განსაკუთრებით გამოსაყოფია 1975 წლის ქსნის ხეობის

– ახალგორის – ექსპედიცია (PHN125, PHN126). ფირები უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია.

ჩანაწერები ასევე მრავალფეროვანია მთქმელთა ასაკის მიხედვით. ჩაწერილია თითქმის ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი, მათ შორის ბავშვები და ას წელს გადაცილებული მთქმელები. განსაკუთრებით საყურადღებოა PHN95b ფირი, რომელზეც ჩაწერილი მთქმელი არის წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვრის მკვიდრი, 110 წლის ალექსი ფიფია; PHN94c ფირზე კი – სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთში მცხოვრები 111 წლის ვლადიმერ ფესვიანიძე.

უნდა ითქვას, რომ დამუშავებული მასალა ჟანრობრივად მრავალფეროვანია. ვერბალური ფოლკლორული ნიმუშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქოროღლისა“ და „ანა-ბავის“ ეპოსის ვრცელი ვარიანტები. ამავე პერიოდში დაფიქსირებულია აგრეთვე „ამირანის“ ეპოსის უცნობი ვარიანტი. ასევე საინტერესოა საისტორიო გადმოცემები რაჭველებისა და ოსების, რაჭველებისა და სვანების, რაჭველებისა და იმერლების ურთიერთობების შესახებ.

როგორც ირკვევა, ფოლკლორულ მასალებში უფრო მეტი აღმოჩნდა ვერბალური ნიმუში, ვიდრე მუსიკალური, თუმცა შესრულებულმა სამუშაომ მეტ-ნაკლებად შეავსო ის სიცარიელე, რომელიც არსებობს ქართული მუსიკალური და სიტყვიერი ფოლკლორის შემკრებლობითი პრაქტიკის ისტორიაში.

საყურადღებოა ისიც, რომ ფონოჩანაწერებში გასაოცარი ძალით იჩენს თავს განსხვავება, ერთი მხრივ, შესრულების აქტის უშუალო ფიქსაციასა და, მეორე მხრივ, მონათხრობის საფუძველზე წარმოქმნილ ტექსტებს შორის.

ჩანაწერთა გაცნობა შესაძლებელია ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში შემდეგ ინტერნეტმისამართზე: www.folktreasury.ge/ARPA. ამ ეტაპზე ბაზაში განთავსებულია 2000-ზე მეტი ერთეული სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტი.

და ბოლოს, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი ბოლო ორი ათეული წელია დგას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეტროდიგიტალიზაცია-სისტემატიზაციით ფართო ხელმისაწვდომობის სამსახურში, რაც სრულად უბასუხებს თანამედროვე სამეცნიერო და კულტურულ მოთხოვნებს როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე და წარმოადგენს სულიერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულე-ბით განხორციელებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ფოლკლორი, I-II, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.
2. ქართული ფოლკლორი, IV, ლექსიკონი (ა-ლ), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974.
3. ქართული ფოლკლორი, V, ლექსიკონი (მ-პ), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.
4. ქართული ფოლკლორი, X, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.
5. ქართული ფოლკლორი (ხმოვანი საარქივო ჩანაწერები), კომპაქტდისკი ბუკლეტით. თბილისი: გამომცემლობა „იდეალ გლობალი“, 2015.

ინფორმაციისუწყობი:

1. ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა: <http://www.folktreasury.ge/ARPA/>.
2. ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა: <http://www.folktreasury.ge/Folklore/>.

MARINE TURASHVILI

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

MERI KHUKHUNAISHVILI-TSIKLARI

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature,
British Folklore Society

**„ISSUES OF RETRODIGITALIZATION OF AUDIO RECORDINGS
KEPT IN THE FOLKLORE ARCHIVE OF SHOTA RUSTAVELI
INSTITUTE OF GEORGIAN LITERATURE”****SUMMARY**

Folklore Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature (see, <http://www.fokltreasury.ge>) is one of the richest archives in Georgia founded in 1932. There are gathered materials from all parts of the country that can be divided according to the following physical indicators: 1. Manuscripts; 2.audio recordings; 3. film- photo negatives, positives; 4. Photographs; 5.digital audio-video-photo materials. In the paper are presented the problems of retrodigitalization of the audio recordings.

Implantation of the high technological method of digital Humanities in the study of Georgian folklore made it possible accessibility of more than 2000 audio recordings by means of retrodigitalization and systematization according the following principles: 1. by listening the recordings; 2.by segmentation of each recording according to its content and technical characteristics; 2. by putting the texts in the data base for identification.

The audio recordings contain also folklore materials in the Turkish and the Greek languages.

One can get acquainted with the audio recordings in the data base of the Georgian folklore: www.fokltreasury.ge/ARPA.

ქალის რეპროდუქციული უზრუნველყოფის, ნონა ქაჩიძე

ნიკო ბერძენიშვილის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი,
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაქარგობა ქართულ და უცხოურ წიგნობით წყაროებში

ნაქარგობა, რომელიც განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებითა და შესრულების ტექნიკური ოსტატობით გამოირჩევა, ორგანულად ერწყმის მსოფლიო ხელოვნებას. შესრულების მაღალი კულტურითა და მხატვრული დონით გამოირჩეული დღემდე შემორჩენილი ნაქარგი ნიმუშები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მათი თანადროული საზოგადოების გემოვნება და ინტერესი, გარდასული ეპოქის კულტურისა და ხელოვნების ხასიათი.

ქარგვის ტექნიკის დაუფლება, შესრულების მრავალფეროვანი ხერხების შესწავლა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეთვისება და შემდგომში შემოქმედებითი საქმიანობისას გამოყენება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე ძველი ქართული ნაქარგობის ტრადიციის აღდგენისა და შესრულების ტექნიკის შესწავლა-დანერგვისთვის აუცილებელია გავეცნოთ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს, საკმაოდ დიდი მოცულობის და ღრმა შინაარსის მქონე მასალას, რადგან მათში საყურადღებო ინფორმაციაა ნაქარგობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა სამოსის, ყოფითი ნივთების, საცხოვრებლის მოსაწყობი ქსოვილების ნაქარგობით შემკობის ხელოვნება.

ხელოვნების ეს დარგი თავისი ხასიათით ძალზე დემოკრატიული აღმოჩნდა. ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანაში სრულიად განსხვავებული ფენის წარმომადგენლები იყვნენ დაკავებული ამ საინტერესო და ლამაზი ხელსაქმით. ისინი ქარგავდნენ სამოსს, მოხმარების სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგანს, ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთებს, პანოებს, კედლის ხალიჩებს და სხვა; ასევე ქარგავდნენ სხვადასხვა ორნამენტს - ყვავილოვანს, ზომორთულს, მითიურ სიუჟეტებს, ბიბლიურ სცენებს, წმინდანებს, ხატებს.

ნაქარგობის აკვანი, ისევე როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების სხვა დარგებისა, აღმოსავლეთში დაირწა. აზიაში ის გაცილებით ადრე იყო ცნობილი და აღორძინებული, ვიდრე საბერძნეთსა და რომში. თუმცა მის გამოგონებას ბერძნები მინერვასა და ათინა-პალადას მიაწერენ.

უპირველესი წერილობითი წყარო, რომელშიც საუბარია ნაქარგობის შესახებ, 4000 წელზე მეტი ხნის წინანდელი ჩინური ისტორიული დოკუმენტების წიგნი „შუცზინია“. წიგნის ჩანაწერების თანახმად, ჩინეთში გამოიცა დადგენილება, რომ აუცილებელია ოფიციალური საზეიმო სამოსი მოირთოს დახატული ყვავილებითა და ნაქარგობებით.

ნაქარგობის უძველეს წყაროს განეკუთვნება აგრეთვე ბიბლია. გამოსვლათა წიგნში აღწერილია უფლის დავალებით, როგორ მოაწყობინა მოსემ ძველი აღთქმის სავანე ისრაელ ხალხს, როგორ ამოარჩია უფალმა ბეცალიელი და იპოლიბა, აღავსო ისინი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებითა და ყოველგვარი ხელოვნების უნარით, მათ შორის ქარგვის, ქსოვისა და ყველა სხვა ხელობის ცოდნით. ხელგაწაფული მარჯვე დედაკაცების დახმარებით როგორ დაამზადეს ლურჯი, ჭიაფერი ქსოვილებისა და ბისონისგან (სელი) კრეტსაბმელი ტაძრისთვის, ეზოსთვის, სავანისა და ეზოს კარიბჭისთვის, მერე კი შეამკეს ნაქარგობით:

„აუესო გული სიბრძნით (ღმერთმა), რომ ...ქარგონ ლურჯ, ძოწეულ და ჭიაფერ ქსოვილზე და ბისონზე“ [გამოსვლა-თა,35. 35];

„გააკეთა გულბძენმა კაცმა, რაც სავანისათვის ჰქონდათ გასაკეთებელი: გრეხილი სელის და ლურჯი და ჭიაფერი ქსოვილის ათი ნაჭერი, ქერუბიმებიც ამოქარგეს ზედ“ [გამოსვლათა. 36. 8].

„გააკეთა ჩამოსაფარებელი ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრეხილი ბისონისაგან; ზედ ქერუბიმები ამოქარგა“ (წყარო?).

„დაამზადა მოხატული კრეტსაბმელი ფარდა სავანის შესასვლელისათვის ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან და გრეხილი ბისონისაგან (სელის)“ [გამოსვლათა. 36].

„ეზოს კარის ჩამოსაფარებელი ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ნაქარგებიანი ქსოვილისა და გრეხილი სელის იყო“ [გამოსვლათა. 38. 18].

ბეცელიელმა და ოპოლიაბმა ფერად-ფერადი მატყლისა და ოქროს ძაფებისაგან დაამზადეს აარონ მღვდელმთავრისა და მისი შვილების სამოსი. მღვდელმთავრისა: ეფოდი, სამკერდული, სარტყელი, მოსასხამი.

„გააკეთა სამკერდული ამოქარგული, ისევე როგორც ეფოდი“ [გამოსვლათა.39. 8].

„ამოქარგა მოსასხამის კალთებზე ბროწეულები: ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი გრეხილი ძაფებით“ [გამოსვლა-თა.39.24].

„სარტყელი გრეხილი ბისონისაგან (სელისაგან) და ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილისაგან ნაქარგი...“ [გამოსვლათა.39. 29.].

„ტახტევანი გაიკეთა მეფე სოლომონმა ლიბანის ძელთაგან. სვეტები მისი ვერცხლისაგან შექმნა. სანიდაყვანი - ოქროსაგან, საყდარი - მეწამული ქსოვილისაგან, შიგნიდან სიყვარულით მოქარგეს იერუსალიმის ასულებმა“ [ქებათ-ქება სოლომონის. 3. 9-10].

„ეგვიპტური მოქარგული ზეზისა იყო შენი აფრები, რომ დროსად(?) გქონოდა; შენი გადასახურავი ელიშას კუნძულთა ლურჯი და მეწამული ქსოვილისაგან იყო“ [ეზეკიელი. 27-7].

„არამი ვაჭრობდა შენთან, რადგან ბევრი ნახელავი გაჰქონდა; იაგუნდს, ძოწეულს, ნაქარგებს, ბისონს, მარგალიტს და ბადახშს გაძლევდნენ სანაცვლოდ“ [ეზეკიელი. 27.16].

„ძვირფას შესამოსელს, ლურჯ ნაქარგ მოსასხამებს, ყუთებში ჩაწყობილ ქემხს, თივებით შეკრულს და შეფუთულს, შენი საქონლის სანაცვლოდ გიგზავნიდნენ“ [ეზეკიელი. 27. 24.].

„მოქარგული კაბით მოჰყავთ იგი მეფესთან“ [ფსალმუნი. 44. 15].

ბიბლია არის უპირველესი წერილობითი წყარო, რომელშიც საუბარია ნაქარგობაზე.

უძველესია ასევე ჩინეთის დასავლეთის ჯოუს დინასტიის (1046-770 წწ. ძვ. წ.) დროინდელი რიტუალების კლასიკური ტრაქტატი - „ჯოული“, რომელშიც არაერთგზის ნათქვამია - „ნაქარგობა და ფერწერა განუყოფელია“.

ნაქარგობა ხშირად გვხვდება ანტიკური პერიოდის სხვადასხვა ავტორთან.

ჰომეროსის (ძვ. წ. VIII ს.) „ილიადასა“ და „ოდისეაში“ არაერთგზის არის საუბარი ნაქარგობის შესახებ: „დედა შევიდა სურნელოვან სრა-სასახლეში,/ ტურფად ნაქარგი მოსასხამი შემოენახა,/ სიღონელ ქალთა ნახელავი ღვთაებრივ პარისს.../ საუკეთესო სინატიფით გამორჩეული,/ როგორც ვარსკვლავი, მოციმციმე შუქ მოელვარე“ [ჰომეროსი, „ილიადა“, ქება 6]; პარისმა ტროაში მოიყვანა ხელგაწაფული ქალები ტვიროსიდან და სიღონიდან, რომლებიც განთქმული იყვნენ ორნამენტული ქსოვილების დამზადებით; იქვე აღწერილია ელენეს ხელსაქმე - „დიდ თეთრ ქსოვილს ქარგავდა“.

ოდისეაში აღწერილია ღვთაებრივი ულისეს ძვირფასი მოსასხამი, რომლის კალთები მდიდრულადაა მოქარგული.

ალექსანდრე მაკედონელის მემატთანე **არისტობელოსი** ბაბილონელთა მეფის კისისის სამარხის აღწერისას აღნიშნავს, რომ ოქროს კუბოში ჩასვენებული მეფის სხეული იდო ოქროს ტახტზე, რომელზეც გადაფარებული იყო ნაქარგობით უხვად შემკული ბაბილონური ქსოვილი.

ძველ რომაელ პოეტ **ოვიდიუსს** (ძვ. წ. I ს.) „მეტამორფოზაში“ მოთხრობილი აქვს ლეგენდა არახნეს შესახებ. მღებავი იდმონის ქალიშვილმა ქალღმერთ მინერვასგან ისწავლა ქსოვა და ქარგვა და შეკობრის დროს კიდევაც აჯობა მასწავლებელს. განრისხებულმა მინერვამ არახნე ობობად გადააქცია.

ძველი რომაელი მწერალი **პლინიუსი** (ახ. წ. II ს.) თავის „ბუნების ისტორიის“ VIII წიგნში წერს, რომ რომაელები ქარგვის ხელოვნებას გაეცნენ ატალუს პერგამონელის მეშვეობით. პერგამონის სამეფოს მმართველმა (III ს. ძვ. წ.) ატალუსმა აზიაში აღმოაჩინა ნაქარგობის ოქროს ძაფით შესრულების მეთოდი. გადმოცემის მიხედვით, ნაქარგობის ხელოვნება რომში პერგამონიდან შევიდა და ატალინურისური(?) ეწოდა (აღმომჩენ ატალუსის პატივსაცემად).

ბერძენი ისტორიკოსი **დიონისე ჰალიკარნასელი** (ძვ. წ. I ს.) შრომაში „რომის სიძველენი“ აღნიშნავს, რომ რომში პირველად ტარკვინუს პრისკუსი (ძველი) (ძვ. წ. VII-VI ს.) გამოიჩინა ოქროთი ნაქარგი მოსასხამით.

ბერძენი ისტორიკოსის **სტრაბონის** (ძვ. წ. II ს. - ახ. წ. I ს.) ცნობით (წიგნი XV, თ. I), ბერძენი ალექსანდრე მაკედონელის სპარსეთში ლაშქრობისას გაეცნენ აზიური ქვეყნების და მათი მმართველების უსაზღვრო ფუფუნებას. ისტორიკოსს აღწერილი აქვს ალექსანდრე მაკედონელის განცვიფრება და აღფრთოვანება სპარსეთში ოქროთი მოქარგული და ძვირფასი ქვებით მოჭკვილი ტანსაცმლის, ასევე ინდოეთში მდიდრულად და ნაირფერი მულინის ძაფებით მოქარგული უნაბესი ბადისებრი ინდური ქსოვილების ნახვისას. მაკედონელმა, დარიუსის ძვირფასი კარვის ნაქარგობებით აღფრთოვანებული, გამოცდილ კვიპროსელ ოსტატებს დაუკვეთა მსგავსი ქსოვილის დამზადება უძვირფასესი მანტიისთვის.

ებრაელი ისტორიკოსი და მხედართმთავარი **იოსებ ფლავიუსი** (ახ. წ. I ს.) თხზულებაში „იუდეას ომი“ აღნიშნავს, რომ კრეტსაბმელი, რომელიც ჰეროდემ შესწირა ტაძარს, იყო ბაბილონური ლურჯად და წითლად მოქარგული ძვირფასი ქსოვილი კოსმოსისა და სხვა ორნამენტების გამოსახულებით.

ამრიგად, როგორც განხილული უცხოური წყაროები გვიჩვენებს, ნაქარგობა უძველესი დროიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდა და გავრცელებული იყო ძველი ცივილიზაციის ყველა ქვეყანაში.

საქართველოში უძველესი ქსოვილის დამზადებისა და საფეიქრო საქმის განვითარების შესახებ უხვ მასალას შეიცავს ანტიკური ხანის უცხოური წერილობითი წყაროები, საქართველოში სხვადასხვა დროს მყოფ მოგზაურთა და მკვლევართა ჩანაწერები, უძველესი ქართული საისტორიო და ჰაგიოგრაფიული ძეგლები და სხვ. ადრეული საუკუნეებიდან ხელოვნების ამ დარგის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში ხელი შეუწყვია ადგილობრივი წარმოებული ნედლეულის არსებობას — სელის, აბრეშუმის, ოქროსა და ვერცხლის სახით.

ძველ სამყაროში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა კოლხეთი არა მარტო რკინის დამუშავების ფლობით და ოქროს მოპოვებით, არამედ საფეიქრო საქმისა და ქსოვილების დამზადების ტრადიციით. ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი **ჰეროდოტე** (ძვ.წ. V ს.) თავისი „ისტორიის“ მეორე ნაწილში კოლხების შესახებ ცნობების გადმოცემისას მათ გამოაჩვენებს, როგორც სელის წარმოებაში დახელოვნებულ ტომს და კოლხების მიერ დამზადებულ სელს ხარისხითა და დამუშავების ტექნოლოგიით ეგვიპტურს უთანაბრებს: „კიდევ სხვა რამის თქმაც შემძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებდნენ სელს ერთნაირად. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს - ეგვიპტურს“.

პირველ წიგნში (რის?) „კლიო“ ძვ. ბერძენი მემორიე წერს: „ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს კავკასიის მთებში და მთელი ეს ხალხი იკვებება გარეული მცენარეებით. ამბობენ, რომ ამ ხეებს ფოთლები თავისებური მოყვანილობისა აქვთ. ამ ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატები (კი) არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილია მასში“. (სქოლიო?) ეს ცნობა გვაუწყებს, რომ კავკასიელ ტომებში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა წარმოება-ხელოსნობის დარგები: ქსოვა, რთვა, ღებვა, მოხატვა, მცენარეული საღებავების დამზადება.

კოლხური სელის ქსოვილის მაღალი ღირსების და სახელგანთქმულობის შესახებ მსგავსი ცნობები **კალიმაქსთანაც** (ძვ. წ. III ს.) არის შემონახული.

ზოგი ცნობა ქართულ ქსოვილებზე დაცულია ბერძენი მწერლების — **ქსენოფონისა და სტრაბონის** — თხზულებებში. ისინი ახსენებენ ქართველურ მოსახლეობას, რომელსაც სელის აბჯრები ჰქონდა.

ქსენოფონის (ძვ.წ. IV ს.) „ანაბასისში“ ნათქვამია: „ხალხები ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ ელინებთან. მათ ჰქონდათ სელის აბჯრები, რომლებითაც მუცლის ქვედა ნაწილებამდე იყვნენ დაცული, ხოლო აბჯრის კალთების ნაცვლად მჭიდროდ დაგრეხილი თოკები. ისინი ატარებდნენ აგრეთვე საბარკულებსა და მუზარადებს“. მოსინიკების შესახებ იგივე ავტორი წერს: „ყოველ მემარს ხელში ეკავა სუროს ფოთლის მსგავსი ფარი, ხარის თეთრბეწვიანი ტყავით დაფარული. მათ ეცვათ ტილოს სიმკვრივის მოკლე ქიტონები, რომელნიც მუხლებს ვერ სწვდებოდა. თავზე ეხურათ პაფლაგონურის მსგავსი ტყავის მუზარადები“. ქსენოფონის ცნობა ქართველი ტომების ჩაცმულობაზე გვაფიქრებინებს, რომ მის

მიერ აღწერილი სამოსი ამ მოსახლეობის ფართო ფენების ჩაცმულობა იყო და აი რატომ: „ანაბანის“ ავტორს მოუხდა კოლხეთ-იბერიის სამხრეთ ნაწილებში გავლა; ჯართან ერთად დღეში საშუალოდ 30 კმ-ს თუ გაივლიდა, ასე ადგილობრივთა დასახლებულ პუნქტებში საკმაო დროს დაჰყოფდა, რაც საშუალებას მისცემდა მშვიდობიანი მოსახლეობის ჩაცმულობასაც დაჰკვირვებოდა. რადგან ამ მომენტზე მას ყურადღება არ გაუმახვილებია, უნდა ვიფიქროთ, რომ რაიმე განსაკუთრებულობით მათი ჩაცმულობა მეომარ მამაკაცთა ჩაცმულობისგან (მუხლებამდე სიგრძის ნაქსოვი კვარტები და პერანგები, ფეხზე პაიჭები) არ გამოირჩეოდა. ქსენოფონტე ელინთა და ტაოხების ბრძოლის აღწერისას საგანგებოდ აღწერს ერთ-ერთი ტაოხელი მამაკაცის ჩაცმულობას: „ელინები მოწმენი გახდნენ საზარელი სანახაობისა: ქალები ისროდნენ ბავშვებს უფსკრულში და თვითონაც თან მიჰყვებოდნენ. ამ დროს ლოხავისმა ენოს სტიმფალიოსელმა დაინახა, ლამამ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი უფსკრულში გადასავარდნად რომ მიისწრაფოდა, ეცა მას შესაჩერებლად, მაგრამ მან თან წარიტაცა იგი და ერთიცა და მეორეც გადაეშენენ კლდიდან და დაიღუპნენ“.

სტრაბონის (ახ.წ. I ს.) ცნობით, „ალბანელებს აქვთ ტყავის აბჯრები იბერების მსგავსად“ (XI, 4,5). პომპეუსის ქართლში ლაშქრობისა და იბერებთან ბრძოლაზე თხრობისას აღნიშნავდა, რომ „იბერები ტყავის მუზარადებს ხმარობენ“ (XI, 4,5).

კოლხებს, როგორც სელის კულტურის მომყვან და მწარმოებელ ტომს, იცნობს ძვ. წ. V ს-ის ბერძენი მწერალი **პინდარე**. მის თხულებაში აღნიშნულია: „მეორენი ამტკიცებენ, რომ სკვითები (ავტორი კოლხეთის მიწაზე მცხოვრებ ტომებს სკვითებად მოიხსენიებს) ეგვიპტელთა კოლონისტები(ა) არიან, რის გამოც, ამბობენ, ისინი შავკანიანები არიან, ეგვიპტიდან გადმოსახლებულნი ჩანან. აქვთ სელი („კალამე“) და ქსოვენ ტილოს, როგორც ეგვიპტელები“. (წყ?)

უძველესი ქართულ **ოქროქსოვილზე** პირველ ცნობებს უცხოური წერილობითი წყარო გვაწვდის. რომელი ისტორიკოსი **ელიუს სპარტიანი** რომის იმპერატორის — ადრიანეს — ცხოვრების აღწერაში მოგვითხრობს, რომ 128 წ. ქართლის მეფე ფარსმან II ქველმა იმპერატორ ადრიანეს საჩუქრად ძვირფასი ოქროქსოვილის 300 მოსახსამი (ქლამიდა) გაუგზავნა.

შუა საუკუნეების საქართველოში ბიზანტიური საფეიქრო ნაწარმი სამეფო კარის, სახელმწიფო მოხელეთა და წარჩინებულთა სამოსისთვის ძირითადი მასალა იყო. როდესაც იმპერატორები მათ მოკავშირე ქვეყნების მეფეებსა და მთავრებს მდიდრულ საჩუქრებს უგზავნიდნენ, ამ საჩუქრების ერთ-ერთ ელემენტს საიმპერატორო სახელისნობებში დამზადებული ძვირფასი ქსოვილები შეადგენდა.

ბიზანტიურ წყაროებში დაცულია VI ს-ის ქართველ მეფეთა ჩაცმულობის აღწერილობა. ბიზანტიელი ქრონისტი **იოანე მალალა** წერს, რომ გაქრისტიანებულ ქართლის მეფე წათეს იუსტინე კეისარმა უბოძა ძვირფასი საჩუქრები, რომელთა შორის იყო მდიდრული სამოსი „...თეთრი სტიქარი პარაგავდი, ოქრომკედით ნაქსოვი“.

წათეს ჩაცმულობის შესახებ ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის ბიზანტიელი ისტორიკოსი და პოეტი **აგათია სქოლასტიკოსი** (VI ს.). ის წერს, რომ წათემ მეფისგან სხვა საჩუქრებთან ერთად მიიღო „... ოქროს გვირგვინი, თვალმარგალიტით შემკული კოჭებამდე გრძელი ქიტონი, ოქრომკედით მოქარგული“.

პირველი წერილობითი წყარო ეკლესიისთვის შემოწირულ ნივთებზე არის **ბაგრატ კურაპალატის** 1040 წლის გუჯრის ნაწყვეტი, რომელშიც მოიხსენიება „ოქროვანი შესამოსელი“, ე.ი. ოქროს ძაფებით ნაქარგი შესამოსელი.

X საუკუნის არაბი მოგზაურის **იბნ ჰაუკალის** მიხედვით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი განთქმული იყვნენ სელის ქსოვილით, რომელსაც ადგილობრივ ენაზე ეწოდებოდა ტალ.

XI საუკუნეში **მელქისედეკ კათალიკოსის** სიგელში ნათქვამია, რომ სხვა ნივთებთან ერთად ბაგრატ კურაპალატმა და ბიზანტიის მმართველმა რომანოზმა მელქისედეკ კათალიკოსს გაუგზავნეს ძღვენი, რომელშიც იყო „...შესამოსელი სამღვდელთმოდგროი ოქსინო, უღლითა ანაფორითა, ხატოვანითა, ოქროვანითა და ყოველივე სრული“.

თამარის მეფედ კურთხევის აღწერის დროს მემეტინე მოგვითხრობს: „და დაისვა მარჯვენით მისსა მეფე და დედოფალი შემკული და შემოსილი ფერად-ფერადითა ფესვებითა, ოქროანითა ბისონითა“. მემეტინეს ცნობით, წმ. მეფე თამარი მოწყალებას მხოლოდ საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაქარგის გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან გასცემდა. „ხელთ-საქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა ახელსაქმარის და მისცის არა სამეფო შემოსავალთაგან“.

ადრინდელ ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინს — „ოქრომკედით ნაკერი“ (ე. ი. ნაქარგი) — „ოქრონემსული“ შეესატყვისება.

გიორგი მთაწმინდელი (XI ს.) იოანე-თორნიკეს (მხედართმთავარი თორნიკე ერისთავი) მიერ მონასტრისთვის შეწირული ქონების ჩამოთვლისას ასახელებს ოქრომკედით ნაქარგ ნივთს: „საკურთხეველისა შესამოსელი ოქრონემსული“.

იოანე შავთელი „აბდულმესიანში“ მეფის სამოსელის შესახებ ამბობს: „შესამოსელნი, შესამკობელნი/ გამოსიან ტანსა ოქრონემსულნი“. იგივე ტერმინი „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაშიც“ გვხვდება.

ბიზანტიელი მწერალი **ნიკიტა ხონიატე** (XII ს.) გვაწვდის ცნობას, რომ ანდრონიკე კომნენოსი (1183-1185 წწ. ეკავა კეისრის ტახტი) ყოველდღიურად ატარებდა იისფერი ქართული ქსოვილისგან შეკერილ ზედა სამოსელს. დელეგაციას, რომელმაც ბიზანტიის იმპერატორ მანუელ კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ ანდრონიკეს იმპერატორობა სთხოვა, იბერიული ქსოვილისგან შეკერილი იისფერი მოსახამით წარუდგა.

ქსოვილის მნიშვნელობით წერილობით ძეგლებში არაერთგან გვხვდება „ლარი“¹, რომელიც ზოგჯერ ქსოვილის ზოგად სახელადაა გამოყენებული, ზოგ შემთხვევაში კი ძვირფასი ფარჩის ქსოვილის აღმნიშვნელია.

თამარის მემკვიდრის (ე. წ. პირველი ისტორიკოსის) თხზულებაში „ისტორიანი და ამბანი შარავანდედთანი“ მოთხრობილია: „იქმნა ქორწილი სახე-დაუდებელი და იგავ-მიუწვდომელი, სიმრავლენი სახეობათაგანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი“.

ქსოვილთა ზოგად მნიშვნელობას აღნიშნავს ტერმინი ლარი „ამირანდარეჯანიანში“ (XI ს.), „ვისრამიანსა“ (XII ს.) და „ვეფხისტყაოსანში“ (XII ს.)

„ამირანდარეჯანიანი“: „მოვედით კართა მათთა და და ლარისა სიმრავლისა რიცხვი არა იყო“, „და უფროსი გამომვეთხოვნეს და ლართა გავუშენით“, „ქარავანი დავიონავრენით და ავიღეთ ლარი რომლისა არა იყო რიცხვი“.

„ვისრამიანი“: „დავლა და ბედი, ლარი და საჭურჭლე მათი მთისაგან უმძიმესი იყო“, „რა შაჰინშა ამის წიგნისაგან მოიცალა, საჭურჭლე ლარისა და ოქროსგან დაცალა“, „ოქრო და ლარი უბოძა, ააგსნა საბოძუთა“ და სხვა მრავალი.

„ვეფხისტყაოსანი“: ეგვიპტელი მოქარავენე ამბობს — „ზღვასა შევედით ტვირთულნი ლართა მრავალფერითა“; ზღვათა მეფის მიერ ნესტან-დარეჯანისთვის გადახდილ ქორწილში „... იღვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა“, ასევე — „დილასა ლარი ყოველი უჩვენა, გაახსენებინა, ტურფანი სეფედ გარდასხნა, ფასიცა დაათვლევინა“. მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ ლარი ქსოვილთა აღმნიშვნელი საერთო ტერმინია და ზოგჯერ კონკრეტული ქსოვილის აღმნიშვნელადც გამოიყენება, მაგალითად, როგორც „ტურფა ლარი“, ე. ი. ძვირფასი ქსოვილი.

ზოგადი მნიშვნელობით იყენებს ამ ტერმინს **ჩახრუხადეც** „თამარიანში“ (XII ს.): „აღივსენ ტყვითა, ლარ-პირუტყვითა“.

ძვირფასი ქსოვილის მნიშვნელობით არის ლარი მოხსენებული საერო სამართლის ძეგლში „ხელმწიფის კარის გარეგებაში“ (XIV ს.): „ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსაღვინო, ყოველი საჭურჭლესა ძევს და დგას“. ამავე დოკუმენტმა შემოგვინახა საინტერესო ცნობები მეფის სამგზავრო საწოლის შესახებ. მისი აღწერილობა ასეთია: „დიდ მაფრაში, რომელსა შიგან იდვას: ერთი მომცრო უკეთესი ორხვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუმი და ერთი სასთაული. ეს ერთი თხელს ლარის ბუდესა შიგან და ეგეთი მაფრაშასა შიგან იდვას და ერთი ტყავისა და ერთი ზედ გარდააფარონ. მით სახურავითა ნაკერითა დახურონ და წითლის ბანბის ქარშიკით დააკრან“.

ლარის შესახებ საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილიც სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა სამოსის აღწერის დროს: „...შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთ-რიგად: ... ტანს კაბა ლარისა“, ქალის ჩაცმულობაზე ავტორი წერს: „ახალუხი ლარისა, კაბა ძვირფასი ლარისა, გრძელი ფერხთამდე. სარტყელი დიბისა ანუ შალისა, წვერებჩაშვებული“.

სამოსისა და ქსოვილების მოსართავად ოქროს თმისა და ოქრომკედის გამოყენების სხვადასხვაგვარ ხერხზე მიუთითებს ის მრავალფეროვანი ტერმინები, რომლებიც ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებსა და ზეპირსიტყვიერების ძეგლებში გვხვდება, ესენია: ოქრონემსული, ოქროკემსული, ოქროშეთხზული, ოქროშექსული, ოქროთნაკერი, ოქრონაქსოვი, ოქროვანი, ოქროქსოვილი, ოქროვანაზიდარი, ბარქაში განაზიდარი, პიროქრო, ოქსინო, სირმა, ზემი. დასახელებული ტერმინებიდან ოქრომკედით ნაქარგობის აღმნიშვნელია სახელწოდებები: ოქრონემსული, ოქროკემსული,

¹ ლარი საბას მიხედვით „კუმაში ფარჩა“.

ოქროთნაკერი, ოქროვანი; ოქროს თმითა და ოქრომკედით დამზადებული ქსოვილის აღმნიშვნელია ტერმინები: ოქრო-შეთხზული, ოქროშექსული, ოქრონაქსოვი, ოქროქსოვილი, ოქროვანაზიდარი, ბარქაში განაზიდარი, პიროქრო, ოქსინო, ხოლო ძაფის აღმნიშვნელია — სირმა და ზეზი.

ქართველი ქალის ნაქარგს აღტაცებაში მოჰყავს როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსები. მოგზაური **მარკო პოლო** მე-13 საუკუნეში წერდა: „საქართველოში დიდძალი აბრეშუმია, აბრეშუმის ძაფისგან ამზადებენ აბრეშუმისა და ოქრონარევე ქსოვილებს, რომელზეც უფრო ლამაზს ვერსად იპოვნი“.

სპარსელი გეოგრაფი **ზაქარია ალ-ყაზვინი** (XIII ს.) არაბულ ენაზე დაწერილ შრომაში გადმოცემს, რომ საქართველოში სავაჭრო საქონელს შორის ქსოვილებს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. თბილისის აღწერისას იგი სავაჭრო ურთიერთობებსაც ეხება და წერს: „მრავალნაირი ნაბდები, ტანსაცმელი, ფაქიზი ნოხები, ქვეშაგები, თხელი შალი, აბრეშუმი და მისთანანი გააქვთ“.

ვენეციელი დესპანის **ამბროზიო კონტარინის** (XV ს.) აღწერილობის თანახმად, სამეგრელოს მთავარს საბედიანოს შავი ზღვის პირას, ბათუმის მახლობლად, ჰქონია პატარა ქალაქი, რომელიც ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი ყოფილა. იქ თურმე აბრეშუმს, მომსხო ტილოსა და თაფლს ყიდდნენ.

XV ს-ის უცხოელი მოგზაურის, **იოსეფა ბარბაროს**, ჩანაწერებით სამეგრელოში ტილოს კანაფისა და ჭინჭრის ბოჭკოსგან ქსოვდნენ და იგი საკმაოდ დაბალი ხარისხის იყო.

ფეოდალის კარზე ქარგვაში სპეციალურად დახელოვებული ოსტატი ან ოსტატთა მთელი გუნდი მონაწილეობდა. ეს ოსტატობა თაობიდან თაობაზე გადაიოდა, თუნდაც ერთსა და იმავე გვარში. ფეოდალის ოჯახისთვის საჭირო სამოსის, ავეჯის საფარის, ბალიშებისა და სხვა ნივთთა მოქარგვა, ცხადია, საკმარისი იქნებოდა ამ ოსტატთა სამუშაო დღის შესავსებად. ამ ფაქტს ადასტურებს ისტორიული დოკუმენტები. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ შემწირველნი, გარდა საეკლესიო შესამოსელისა, მონასტრებს სწირავდნენ სახელოსნოებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქმიანობა, რომელსაც საერო ცხოვრებაში ეწეოდნენ ამ სფეროს ხელოსნები, სამონასტრო ცხოვრებაშიც ასახვას პოულობდა: „მგზებთან ბატონიშვილი და დავით მეფისა და ასული გიორგი უფლისწულისა, აახლებს შემოწირულობას და ხელმეორედ სწირავს მღვიმევის მონასტერს ქარხანასა და სამღებროს და ნიშნავს ქარხნის გამგებლად მონასტრის წინამძღვარს - იოანეს“.

კათოლიკე მისიონერი **არქანჯელო ლამბერტი** (XVII ს.) დიდძალ და საინტერესო მასალას გვაწვდის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფის შესახებ. ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ საგანგებოდ ეხება ადგილობრივთა ჩაცმულობას და საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობას. ავტორის გადმოცემით, „რადგან სამეგრელოში ცხვრის მოშენებას არ მისდევენ, უძნელდებათ მცირედენი ტანისამოსის შექმნაც, რომ შიშველი ტანი დაიფარონ. ამიტომაც თურქთა გემები როცა კი მოადგებიან სამეგრელოს ნაპირებს, მეგრელები დაიძვრებიან ხოლმე თავიანთი სახლებიდან და მოაწყდებიან ამ გემებს შალის საყიდლად; მაგრამ რადგან ფული არა აქვთ, გამოიტანენ კანაფს, თაფლს, ცვილს, სელს ან სელის თესლს და ამაებს უცვლიან თურქებს შალზე“. ეს ცნობა საინტერესოა, რადგან მოსახლეობის ფართო ფენების მდგომარეობას ეხება და გვაუწყებს, რომ მე-17 ს-ის სამეგრელოში ჯერ კიდევ მოჰყავდათ სელი და კანაფი ქსოვილების დასამზადებლად, აგრეთვე ნედლეულის სახით გასაყიდად. დაბალი ფენების სამოსისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა თავად-აზნაურთა ტანსაცმელი. **ლამბერტის** გადმოცემით, ისინი „პერანგს იკვრავენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმისაგან. პერანგის ყელსა და ქობას ჰქარგავენ სირმით, ძვირფასის ქვებით და მარგალიტებით... პერანგზედ აცვიათ ახალუხი, რომელიც მუხლებამდინ უწვდებათ. ეს ახალუხი შალის ან აბრეშუმის არის და მოქარგული პერანგი რომ არ დაფაროს, უფრო მოკლეა პერანგზე... ახალუხის ზევით, სიცივეში აცვიათ მეორე ტანისამოსი, კიდევ უფრო მოკლე, კაზაკინის მსგავსი. ეს მეორე ტანისამოსი არის ან უფრო წმინდა შალისა, ან ფარჩისა, ანდა ხავერდისაგან და სარჩულად აქვს სიასამურის ტყავი“. მაშასადამე, თავად-აზნაურთა სამოსი გამოირჩეოდა ხარისხითაც და მდიდრული მორთულობითაც. ლამბერტი ყურადღებას აქცევს თავსაბურავის სტილსაც. „მდაბიო ხალხის ქუდი, მისი აღწერით, ნაბდისგან არის გაკეთებული და უფრო ჰგავს კოთხოს, რადგან კალთები სულ არა აქვს და თავს ძლივს ფარავს“. თავად-აზნაურები ამ ქუდს იკვრავენ ან წმინდა შალისაგან, ანდა აბრეშუმისაგან. ზოგიერთები აქარგვინებენ მას ან ამკობენ თათრულად სიასამურის ტყავით, ან ირანულად აკვრინებენ წაწვეტილებს“. ლამბერტის ცნობით, აქ ქსოვილებს ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა: „თურქთა ხომალდების მოსვლის დროს მეგრელები უფრო ეტანებიან უცხო საქონლის შექმნას ადგილობრივი საქონლის გაცვლით; თურქებს მო-

აქვე კონსტანტინოპოლიდან ოდიში შემდეგი საქონელი: მშენიერი ნაირ-ნაირი ხალები², საბნები, თურქული ტყავები... შალეები, მაუდები ყველანაირი ფასისა... მატყლი, შეღებილი და სახეებიანი ტილოები...“. სამეგრელოს მოსახლეობა იმპორტულ საქონელზე ადგილობრივი ნაშადით იხდიდა: „მაგიერად ოდიშიდან იღებენ თაფლს, ცვილს, ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წავის ტყავს, სელის თესლს...“. წყაროს მონაცემებით, XVII ს-ში სამეგრელოში საფეიქრო ბოჭკოდ გამოიყენებოდა კანაფი, სელი, აბრეშუმი, ასევე აბრეშუმის აქ ცალკე მოხსენიება უნდა ნიშნავდეს, რომ იგი პარკის სახითაც გაჰქონდათ საზღვარგარეთ.

ქუთაისის აღწერისას ლამბერტი აქაურ ალებ-მიცემობაზეც ამხვილებს ყურადღებას. ქალაქი, მისი ცნობით, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო, „სადაც მთებიდან ჩამოდინ სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმი, ნაბდები და მსხვილი შალეები და ჩამორეკავენ ხოლმე თხებს და ცხვრებს. ქართლიდან მოდიან ქართველები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ძვირფასი ირანული შალეები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები...“.

საინტერესო მონაცემებს შეიცავს რუსი ელჩების - **ა. იველივისა და ნ. ტოლოჩანოვის** -, იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა“. მასში მოცემულია როგორც სამეფო კარის პირთა, ისე მოსახლეობის ჩაცმულობაზე ცნობები. იმერეთის მეფე ალექსანდრესთან აუდიენციის შესახებ თხრობისას **ნ. ტოლოჩანოვი** აღწერს მეფის მისაღებს, რომელიც ძვირფასი ქსოვილებით ყოფილა მორთული: „როცა მეფის წინაშე წარვდექით, იგი ხალიჩაზე ფეხმორთხმული იჯდა, მას ხალიჩაზე დაფენილი ჰქონდა ფეხქვეშ გასაშლელი, ხოლო უკან, ზურგის მხარეს ხავერდზე მოქარგული ბალიში იყო. ბალიშის ზემოთ თეთრ ფონზე მოქარგული საჩრდილობელი... მეფეს ტანთ სიასამურის ქათიბი ეცვა... ქათიბის გარშემო ოქროს ბალთა ჰქონდა შემოვლებული“. ელჩი გვაწვდის ცნობებს სამეფო კარის მომსახურე პერსონალისა და აზნაურთა ჩაცმულობის შესახებაც: „საჭმელებს მეფეს, სასულიერო პირებს, ელჩებსა და აზნაურებს სუფრაზე მოართმევდნენ. ეს უკანასკნელნი თურქულ ოქროსა და ვერცხლის ფერად მოსირმულ ჩოხებში, ხავერდისა და ატლასის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. აზნაურებიც ასეთსავე ტანსაცმელში გამოწყობილნი იხდნენ“. ბევრი ძვირფასი ქსოვილი ყოფილა იმ დროს დაცული გელათის მონასტერში. „აღსავლის კარის პირდაპირ თეიმურაზ მეფის შვილიშვილია დასაფლავებული, დავით ბატონიშვილის უმცროსი შვილი გიორგი. საფლავი ოქრომკედით მოქსოვილი ხალიჩით არის დაფარული... იქვე ინახება სხვა მრავალი ძვირფასეულობა ოქრო-ვერცხლისა თუ ქსოვილის სახით“, — წერს ნ. ტოლოჩანოვი.

რუსი ელჩების ანგარიშში მოცემულია თეიმურაზ I-თან დარბაზობის აღწერაც, სადაც ასევე ბევრი სახეობის ძვირფასი ქსოვილებია ჩამოთვლილი: „დარბაზის ორივე მხარეს ხალიჩები ეფინა, ხოლო შუაში მეფის ფერხთა ქვეშ დიდი აბრეშუმის ხალიჩა იყო დაგებული. ზედ გაშლილი იყო ნარმის საფენი, მასზედ კიდევ ლაჟვარდისფერ ატლასზე მდებლს ფერით ნაქარგი ფლასი³ ეფინა, ფლასზე კი ოქრომკედით ნაქარგივე ალუბლისფერი ატლასის დიდი ბალიში იდვა. თეიმურაზ მეფის ზურგს უკან, კედელთან, კიდევ მეორე ბალიში იდო, ისიც ხალიჩის ატლასისა, ოქრომკედით ნაქარგივე“. როგორც აღვნიშნეთ, ნ. ტოლოჩანოვი, წარჩინებულთა ფენის გარდა, იმერეთის სამეფოს მოსახლეობის ჩაცმულობასაც აღწერს: „იმერეთში ასეთ ტანსაცმელს ატარებენ: თურქულ ხიფთანს, გევიდან ყიზილბაშურ პერანგს იცვამენ. ზოგიერთები თავის იმერულ ხიფთანს ატარებენ, რომელიც ქამრიდან ნაოჭებით ეშვება, მთლიანია და დალიანდაგებული. ქუდებს დიდ ჩანაჭრებიანს ატარებენ. ზოგიერთები ყიზილბაშურ ქუდს ატარებენ. ზაფხულში ყველა მოთელილი შალის მრავალ ადგილას ამოჭრილ ქუდს ატარებს... პერანგსა და პერანგის ამხანაგს კაცები თეთრს არ ატარებენ, მაგრამ ან აბრეშუმის ქსოვილისას ან სხვა ფერადი ქსოვილისას. პერანგს გრძელს იკვრავენ, თითქმის ქუსლებამდე აღწევს, ისე, რომ ხიფთანის ქვევით მოსჩანს და მუხლებს არ იფარავს“.

რუსი ელჩის გადმოცემით, იმერეთში ყველგან მისდევდნენ აბრეშუმისა და ბამბის მოყვანას: „აბრეშუმი ყოველ სახლში მოჰყავთ, ბამბა ასევე“. მაშასადამე, მე-17 ს-ის იმერეთში სამეფო კარსა და მოსახლეობის ფართო ფენებში მოხმარებაში ყოფილა აბრეშუმის, შალის, ბამბის, ხავერდის, ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგი ქსოვილები. ამათგან ძვირფასი ქსოვილები ირანიდან და ოსმალეთიდან შემოჰქონდათ უმეტესად, მოსახლეობა კი ძირითადად ადგილობრივ დამზადებული ქსოვილების სამოსს ატარებდა.

² ხალიჩა-ფარდავის აღმნიშვნელია.

³ დასაგებელი.

ჩვენთვის საინტერესო დარგის შესახებ ცნობას ვხვდებით XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის, **ჟან-ბატისტ შარდენის**, ჩანაწერებშიც. თბილისის დახასიათებისას იგი წერს: „საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის... აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, არბრეშუმი და სხვა გარე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ყიდვიან“. სავარაუდოდ, რადგან იმ დროს აბრეშუმის ქსოვილები და მზა ტანსაცმელი საქართველოში ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოდის, შარდენის ინფორმაცია ისე უნდა გავიგოთ, რომ ჩვენი ქვეყნიდან საექსპორტოდ აბრეშუმი უმეტესად ნედლეულის სახით გაჰქონდათ. მოგზაურს აღწერილი აქვს სამეფო კარის სადღესასწაულოდ მორთული დარბაზის მოწყობილობა: „ტერასა დაფარული იყო დიდი ჩარდახით, რომელიც დამყარებული იყო ხუთ სვეტზე, სიმაღლით თითო ოცდაორი ფუტი, ჩარდახის ჭერი ოქროქსოვილით, ფარჩით, ოქსინოთი, ხავერდით და ჭრელი ტილოთი იყო გადაკრული; ისე საკვირველად და მშვენივრად იყო შეწყობილი, რომ მაშხალების და ლამპრების შუქზედ ყვავილებითა და ნახატებით შემკობილი გეგონებოდათ. დარბაზის შუა დიდი აუზი იდგა წყლით სავსე. იატაკი დაფენილი იყო შვენიერი ხალიჩებით“.

XVIII ს-ის საქართველოში საფეიქრო დარგის მდგომარეობაზე ზოგიერთი ცნობა დაცულია გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის, აკად. **ი. გიულდენშტედტის**, ჩანაწერებში. აფხაზეთის, კახეთის, ქართლისა და რაჭის აღწერისას მას მოჰყავს ცნობები ქსოვილის ბოჭკოს მოყვანის, ტანსაცმლისა და სხვადასხვა ქსოვილის დამზადებისა და ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ი. გიულდენშტედტს აღნიშნული აქვს, რომ მაშინ რაჭაში ძაფის დასამზადებლად მცირე რაოდენობით კანაფის ბოჭკოს იყენებდნენ, თუმცა რა დანიშნულება ჰქონდა კანაფის ძაფს, ამას არ აზუსტებს.

საქართველოში **ტურენფორის** მოგზაურობის დროს (1700-1702 წწ.), მიუხედავად იმისა, რომ სოფლები ისევ სელის პლანტაციებით იყო დაფარული, მისი ბოჭკოსგან ქსოვილებს აღარ ამზადებდნენ, სელი მხოლოდ ზეთის მისაღებად მოჰყავდათ. ვახუშტი ბაგრატიონისთვისაც, ზეთის გარდა, სელის სხვა პროდუქტი ცნობილი არ იყო.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში გერმანელი ავტორის ფონ ზასის დაკვირვებით, აღმოსავლეთ საქართველოს „ვაჭრობა უპირატესად სპარსეთთან იყო გაჩაღებული. იქიდან შემოჰქონდათ აბრეშუმის ქსოვილი, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, ბამბა, შაქარი, ყავა და ყველანაირი სახის სხვა წვრილმანი“.

ოქრომკედლით ნაქარგი სამოსია აღწერილი XVII ს. იტალიელი მისიონერის, **ქრისტეფორე დე კასტელის** ჩანაწერებში. ის სამეგრელოს დედოფლის სამოსის აღწერისას ამბობს: „გემოთ და ქვემოთ უმშვენიერესად ოქროკემსულია“.

ოქრომკედლა და სირმას ასახელებს **ალ. დიუმა** თხზულებაში „კავკასია“, ხოლო აღმოსავლური ბაზრის აღწერისას ამბობს: „... ბაზრისაკენ გავწიეთ. იქ უკვე სხვაგვარაა ცთუნება იჩინა თავი: სპარსული აბრეშუმი, თურქული ხავერდი, ყარაბაღული ხალიჩები, ლენქორანის ბალიშები, ქართული ნაქარგობა, სომხური ტოლომები, თბილისური სირმა და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ! ყველაფერი გიზიდავს, ყველაფერი გხიბლავს, თვალს გტაცებს“. ქართველების ნაქარგი სამოსისა და ნივთების აღწერისას ავტორი ამბობს: ქართველ მამაკაცებს აცვიათ „...ოქრომკედლით ნაქარგი ატლასის ახალუხი, რომლის ნაოჭიანი სახელოები ჩოხის ღია სახელოებიდან მოჩანს და განიერი აბრეშუმის შარვალი ჩაკეცილი ჭვინტიან წაღებში, რომელთაც ტანისამოსის შეფარდებით ხავერდისა და სირმის მორთულობა ამშვენებს, ან კიდევ: „ყველაფერი ბრწყინავდა ქართველი მანდილოსნების მიერ ნაქარგი ბალიშებითა და სუზანებით. ეს კველუცი უსაქმურები ხომ მხოლოდ იმისთვის იღებენ ხელში ნემსს, რომ ოქრომკედლის ვარსკვლავებით შეამკონ თავიანთი ქმრების უნაგირები და დამბაჩის ბუდეები“, იქვე აგრძელებს — „თავადებსა და საერთოდ მდიდარ მემამულეებს თეთრი, წითელი ან ცისფერი ოქრომკედლით ნაქარგი ... ქუდეებიც ახურავთ“; ასევე — „ერთი ახალგაზრდა გურული თავადიშვილი შეგვხვდა. მას თან ახლდა ორი მსახური, რომელთაც კეფაზე ფრონდის ფორმის წითელი პატარა ოქროსსირმა შემოვლებული ქუდეები ედო“.

ძვირფასი ოქრომკედლით ნაქარგი შესამოსელის შესახებ ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი **ნიკოლოზ დურნოვი**. ავტორმა წერილებში გაბედულად აშხილა რუსი ეგზარქოსების ურწმუნოება და მძარცველური პოლიტიკა — „საქართველოში გამწესებული რუსი ეგზარქოსები ამ ქვეყანას ისე უყურებენ, როგორც მათთვის განკუთვნილ გასაძარცვავ მხარეს... გელათის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა მილიონებად ღირებული განძეულობა; მათ შორის იყო ოქრომკედლით მოქარგული და მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათალიკოს-პატრიარქების შესამოსელი... ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინეპოლის დაცემამდე იყო დამზადებული. მისგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებული იქნა გულქანდების დასამზადებლად...“

ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში ტერმინი „პიროქროს“ განმარტებისას წერს: „პიროქროს პირველ რომე ოქრომკვედი ჰქონდეს ფარჩას იმას ჰქვიან ან რიდესა“.

ვახუშტი თავის თხზულებაში ეგრისის აღწერის დროს მოგვითხრობს: „აბრეშუმს აკეთებენ და ქსოვენ ლარს არა დიდ-ფასსა, უოქრო-მკედოსა და ხმარობენ სხვებრცა“.

დავით ფანასკერტელი-ციციშვილი ნაშრომში „შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა“ ქალისა და მამაკაცის საქორწილო სამოსზე მოგვითხრობს: „ქალებს თავზე ებურათ ლეჩაქი ზედმოვლებულის ფოჩითა, რომელთამე ოქრომკედისა, რომელთამე ჭიჭნაურისა... პერანგი ზოგთა წითელი, ზოგთა ყვითელი, გრძელნი ფერხთამდე, გულთან ზედა მოვლებულის გრძილითა, რომელი იყო მრავალგვარი: მარგალიტისა, მძივისა, ხავერდისა, ნაქსოვ ოქრომკედის ანუ ჭიჭნაურის და შეკრული ძვირფასის ერთის ღილითა“.

XVIII ს. დასაწყისში შედგენილ **ვ. ორბელიანის** ქონების ნუსხაში დასახელებულია „სირმის ნაკერი ორთუკი ერთი, კიდევ ორთუკი ორი, ერთი ალაბისა და ერთი ნაკერი“. ამავე პერიოდის საეკლესიო სამკაულთა ნუსხაში აღნიშნულია: „მახობის ფერს ატლასზე სირმით ნაკერი დაფარნა“, ასევე „ეშვით სირმით ნაკერი დაფარნა ბარძიმისა“; „ღვინისფერ ატლასზე სირმით ნაკერი გარდამოსნა“; „გარდამოსნა სირმით ხალასად ნაკერი ლურჯს ქამხაზედ“. „ყირმიზის ხავერდის სარმის თითო-თითო ჯვარი აქვს, გარსცა პაწაწუნა სირმის არშია ავლია“.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონასა“ და ქართველი ლექსიკოგრაფისა და მთარგმნელის **ნიკოლოზ ჩუბინაშვილის** ლექსიკონში ოქრომკვედი და სირმა მოხსენიებულია სხვადასხვა სიტყვის განმარტებისას: „ბოკლვა - მობოკლვა ოქროს თმით შემოხვევა მკედთა ზედა, ანუ სხუათა მეტალის აშკთა, გინა ქადათა ზედა ცომისა და ეგვეთართა; დაჯჯული — ოქრომკვედი დახრწნილი; დიბა — ფარჩა მძიმედ ნაკერი, ანუ ნაქსოვი ოქრომკვედითა; ზარქაში — სირმა, სხეპლა ოქროსი ან ვეცხლისა განზიდული; ზეზი — მკედი და სირმა ერთად შესთული ორფერად; ზონარი — მრგულად ნაქსოვი მკედი, ანუ ოქრომკვედი; ოქროქსოვილი — ოქრომკვედით ნაქსოვი; სირიფი — ვიწრო და წურილი ჩაფარში ოქრომკედისა; სირმა — ოქროს თმა, ოქრომკვედი, ურიოშო, ვითარ სირმა ოქრო, ვერცხლი და მისთანანი; სკარამანი — ოქრომკვედით და ჩიგინით ნაკერი რამე; სტავრა — სირმა ოქროს ნაქსოვი; ტარფი — ბოჩხა მოთხვით ნაკერი ოქრომკვედით; ურიოშო — უბადო, შეუმღურველი, სირმა; ფითლა — ოქრომკვედით დასახვევი ფირფიტა; ქარგა ოქრომკედის საკერავთ გასაბმელი და გასაჭიმი ჯალდა; ქეჯიმი — ცხენთსამკაული გვერდების მოსაფარი, შეჭედილი, ანუ ნაკერი ოქრომკვედითა, მოსახდომად და ომში სახმარადცა; ხალასად ნაკერი ოქრომკვედით ნაკერი“.

აქვე უნდა დავასახელოთ ქართული წეს-ჩვეულებებისა და ჩაცმულობისადმი მიძღვნილი წერილების სერია **ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილისა**, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1904 წელს. ავტორი აღწერს როგორც შუა საუკუნეების, ასევე XIX ს-ის ქართულ სამოსელს, რა დროსაც იყენებს წერილობით ძეგლებს: ვახუშტის ისტორიას, „ქართლის ცხოვრებას“, ასევე არჩილ მეფის, თეიმურაზ I-ისა და პლატონ იოსელიანის ნაშრომებს, დოკუმენტებიდან მზითვის წიგნებს, მონუმენტური ფერწერის ნიმუშებსა და ზეპირგადმოცემებს. ამით ის მთლიანობაში საკმაოდ მდიდარ მასალას უყრის თავს და დაწვრილებით აღწერს მამაკაცისა და ქალის სამოსის ელემენტებს. ძირითადად ავტორის მონაცემები არისტოკრატიული საზოგადოების სამოსსა და სამკაულს ემყარება, ამიტომაც არის, რომ იგი ქართულ ჩაცმულობას უმეტესად „მძიმე ხასის მარგალიტით და ოქროს სირმით ნაკერ ხასა-სამურზე გადაკრულად“ გვიხატავს, ან როგორც „პატიოსან თვალ-მარგალიტ-ოქროთი მოჭედილ, ოქროს სირმით ნაკერს“.

ამ და სხვა წყაროების გაცნობის შემდეგ აშკარაა, რომ ქართული მხატვრული ქარგულობის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული საფეიქრო საქმის უძველეს და უმდიდრეს კულტურასთან. როგორც **ივ. ჯავახიშვილი** აღნიშნავდა — „ქსოვა-მქარგველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა გავრცელებული. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ. რთვა-ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა, ქართულ ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. პატარძალს თავისი ნაქსოვი ხურჯინ-ჯეჯიმები და წინდები ქმრის ოჯახისთვის მიჰქონდა“. წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგროვილია საკმაოდ დიდი მოცულობისა და ღრმა შინაარსის მასალა, ამიტომაც გაგვიჩნდა სურვილი შეგვედგინა სისტემატიზებული და ადვილად აღსაქმელი ნაქარგობის შესახებ ცნობარი, რომელსაც გამოიყენებს ხელოვნების ამ დარგის ისტორიით დაინტერესებული ყველა პირი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადიშის თხზილანი 897 წლისა ზურაბ სარჯველაძის რედაქციით. თბილისი: 2003.
2. ბასილი დიდი. ბიბლიის განმარტებანი - ჰომილიები ექვსი დღისათვის.
3. <http://library.church.ge/index.php?option>.
4. ბიბლია ძველი აღთქმა - წიგნი გამოსვლათა. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 1990.
5. ბიბლიის მუხლები <http://bibliismuxlebi.com/anbani/>.
6. გარიგება ჯელმწიფის კარისა.
7. გრიგოლ ნოსელის ეპისტოლე სქოლასტიკოს ადელფოსადმი.
8. კანდელაკი, დ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები გერმანულ წყაროებში (XVIII ს-ის II ნახევარი - XIX ს-ის I ნახევარი), თბილისი: 2002.
9. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=18&t=3903>.
10. მელიქიშვილი. ნ., ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები. თბილისი: მეცნიერება და რელიგია, 2009.
11. ნიკეის წმიდა VII მსოფლიო კრების კანონი.
12. კესარიელი ბასილი, სწავლათა ე. ათონისეული თარგმანი, ტექსტი გამოსცა თ. ქურციკიძემ. თბილისი : **ბ.ჩ.**, 1983 გვ. 120.
13. ჟორდანიას, თ. ქრონიკები, ტ.2, გვ. 181, ტფილისი: 1897.
14. რუს-ურბნისის საეკლესიო კრების ძველისწერა (1105 წ.), 1105.
15. ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 6. თბილისი: მეცნიერება, 66, 122.
16. ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრება ლეონტი მროველი - ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ტ.1. თბილისი: სახგამი, 1955.
17. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (გ — ი). nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.
18. „ფსალმუნთა მფისა დავითისა“, კანონი 6 <http://www.sainttamar.org>.
19. ქართლის ცხოვრება, „მატიანე ქართლისა“, ტ. 2.
20. ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1. თბილისი: 1928.
21. შანიძე აკ., ლექსიკონი <http://www.bu.org.ge/x1255?lang=geo>.
22. შავთელი იოანე, აბდულმესიანი www.georgianweb.com.
23. წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ელ. მეტრეველის საერთო რედაქციით, ნაკვ.1. თბილისი: მეცნიერება და რელიგია, 1989.
24. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.4., თბილისი: მეცნიერება, 1968.
25. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი: მეცნიერება, 1945.
26. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბილისი: 1907.
27. ჰეროდოტე, ისტორია, თბილისი, 1975.
28. ხონიატე ნიკიტა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. VI. ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966.
29. ზარდალიშვილი გ., გამოჩენილი მოგზაურები და საქართველო; მარკო პოლო, თბილისი, 1965.
30. შამილაძე ვ., ზაქარია ალ-ყაზვინი ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე, თბილისი, 2001. გვ. 72.
31. იტალიელი მოგზაურები საქართველოში - იოსაფა ბარბარო და ამბროზიო კონტარინი, ჟ. მოამბე, 1894. №11, გვ. 51.
32. ლამბერტი არქანჯელო, „სამეგრელოს აღწერა“, თბილისი, 1991.
33. „ტოლოჩანოვი იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა“, თბილისი, 1970, გვ. 80, 152.
34. შარდენი ჟ., ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975.

35. გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962.
36. ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრება, ლეონტი მროველი - ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ტ.1. თბილისი, სახგამი, 1955, გვ. 91.
37. გაბიძაშვილი ე., რუს-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“, თბილისი, 1978, გვ. 43.
38. ქართლის ცხოვრება, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ტ. 2, განათლება, თბილისი, 1959.
39. რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1966.
40. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქცტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. 1973. გვ. 796.
41. ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 109-133;
42. ხონელი მოსე, „ამირანდარეჯანიანი“, თბილისი. „საბა“, 2012.
43. გორგანი ასად. „ვისრამიანი“, თბილისი, 2012.
44. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, საქ. სსრ გამომცემლობა, თბილისი, 1949;
45. ნესტან ბლუაშვილი, „უცხოელი მოგზაურები საქართველოსა და ქართველების შესახებ“, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი <http://www.ambioni.ge/უცხოელი-მოგზაურები-საქართველოსა-და-ქართველების-შესახებ> 10.02.2012.
46. ჟან შარდენის მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1935;
47. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1970.
48. დიუმა ალ. „კავკასია“, ლიტერასი, თბილისი, 1979;
49. დურნოვი ნიკოლოზ, „ბედი საქართველოს ეკლესიისა“, მოსკოვი, 1907;
50. გიორგი მცირე “ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაა” <http://www.nplg.gov.ge/gsd/>.
51. გიორგი მთაწმინდელი, ათონის ივერთა მონასტრის შემოწერულობათა აღწერილობა.
52. ვახტანგ VI-ის ლექსიკონი - შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1966.
53. Кондратиева С.П. Элий спартиан под редакцией Доворуха. А.И. ВДИ. 1957 г., №1 с. 257-269.
54. Китайская вышивка <http://russian.cri.cn/941/2012/09/28/1s443435.htm>.
55. Дионисий Галикарнасский, Римские древности. / Пер. Н. Г. Майоровой и др. Серия «Историческая библиотека. Античная история». М.: Издательский дом «Рубежи XXI», 2005.
56. Гомер. Илиада. Перевод Н. И. Гнедича. Л., «Наука», 1990.
57. Lefebure Ernest, Embroidery and lace: their manufacture and history LONDON:1888, 22.
58. Pliny, Natural History, Book VIII. 2005.
59. Lefebure Ernest, Embroidery and lace: their manufacture and history LONDON:1888, 39.

CHUBINIDZE ELISO, UGREKHELIDZE IRINA, KARTSIDZE NONA

Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum

Akaki Tsereteli State University

EMBROIDERY ART ACCORDING TO GEORGIAN AND FOREIGN SOURCES**SUMMARY**

Embroidery, which is one of the distinctive field of art by its artistic value and the special techniques of execution, is the organic part of the world's art. Surviving patterns of embroidery, exceptional by their high value and culture, allows us to reconstruct the taste and interests of contemporary society, the character of the art and culture of the previous epoch.

This branch of art appeared quite democratic. In all epochs and countries, different social layers of the society were occupied by this interesting and splendid work.

The cradle of the embroidery art, as of many other branches of art and science, was East. It was known much earlier in Asia, than in Greece and Rome.

This article collects the ancient Georgian and Foreign written sources, which provide us with the important information about the origin and developing of the Embroidery art.

იკინა უგაჩხედიქა, ნონა ქაჩიქა, ელისო ჩუბინიქა

ნიკო ბერძენიშვილის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი,
ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი

ქართული ზრდიციული სამოსი უცხოურ წყაროებში

ერის საზოგადოებრივი ისტორიის და ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად კოსტიუმის ისტორია მიჩნეული. ის თვალნათლივ გვიჩვენებს ცალკეული ეპოქებისა და სხვადასხვა სოციალური ფენებისათვის დამახასიათებელ ნიშნებსა და თავისებურებებს. ტრადიციულ სამოსში, როგორც სარკეში ნათლად არეკლილი ქვეყნის ეროვნული განსაკუთრებულობები, მისი კულტურული ტრადიციები, ერის მაღალი ესთეტიკური ღირსება და მხატვრული გემოვნება. ამავდროულად, ის პიროვნების ერთგვარ პასპორტსაც წარმოადგენს — ეთნიკურობის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, ასაკის, ხასიათის, მოღვაწეობის სფეროს და გემოვნების გამოხატულებით.

ქართველი ხალხის ყოფაში ეროვნული კოსტიუმი სულიერი და მხატვრული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. ის, დღეისათვის დამკვიდრებული, ტრადიციული სახით ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის შედეგად, XVIII ს-ის შუა ხანებში ჩამოყალიბდა. ევოლუციის პროცესი განპირობებული იყო, როგორც შიგა ცვლილების დინამიკით, ისე გარე — ახლო და შორეულ მეზობლებთან ეთნოკულტურული კონტაქტებით. შიგა ცვლილებებს გეოგრაფიულ-კლიმატური და სამეურნეო ყოფის ნაირსახეობები განაპირობებდა და კუთხურ თავისებურებებში ვლინდებოდა. გარე ფაქტორებს ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და მეზობელი დიდი იმპერიების (სპარსეთისა და ბიზანტიის) გარდაუვალი ზეგავლენა წარმოადგენდა. ევოლუციური პროცესი ამ ფაქტორების ორგანული ადაპტაციის გზით მიმდინარეობდა.

ეროვნული კოსტიუმის ევოლუციური პროცესის სრულყოფილად გააზრებისათვის და მისი განვითარების დინამიკის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სამოსის ფორმების შესწავლა ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე.

ადრეული პერიოდის (ანტიკური ხანა, ქრისტიანობამდელი და ადრექრისტიანული პერიოდი, შუასაუკუნეები) ქართული სამოსის კვლევისა და ისტორიის გაცნობისათვის მასალები ძალზე მწირია. ეთნოგრაფიული მასალა და სამუზეუმო ექსპონატები XVII-XVIII საუკუნამდე პრაქტიკულად არ მოგვეპოვება.

ადრეშუასაუკუნეების ისტორიული სამოსის გარეგნული სახის შესახებ ინფორმაციას ძირითადად არქიტექტურული ძეგლების ქვის რელიეფებიდან, მონუმენტური და მინიატურული ფერწერიდან ვღებულობთ, სადაც დიდგვაროვანთა და სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა გამოსახულებებია მოცემული, თუმცა მინიატურებით ილუსტრირებულ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში (მცირედი გამონაკლისის გარდა, რომლებშიც წარმოდგენილია ქართველ წმინდანთა გამოსახულებები), სამწუხაროდ, იშვიათია ჩანახატი, ან ესკიზი, რაც წარმოდგენას შეგვიქმნიდა სამოსის ვიზუალური სახის შესახებ, ამ მხრივ უფრო მრავლისმთქმელი უცხოური წყაროებია.

პირველი ილუსტრირებული უცხოური წერილობითი წყარო ქართველი მეფის გამოსახულებით და საქართველოს შესახებ ინფორმაციით ვენეციელი მოგზაურის **მარკო პოლოს** (XIII ს.) წიგნი — „მსოფლიოს აღწერილობა“. უძველესი ხელნაწერი დათარიღებულია დაახლოებით 1410 წ. და ინახება საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკაში (Fr2810, ფოლიო 8r). მარკო პოლო ერთ-ერთი პირველი ევროპელთაგანი, რომელმაც აბრეშუმის გზის გავლით ჩინეთს მიაღწია, იმყოფებოდა საქართველოში. ხელნაწერში ჩართულია მინიატურა „მეფე დავითი (დავით VII ულუ) ნადირობისას“. მოგზაური საქართველოს მთავორიანი ბუნების და მისი დედაქალაქის აღწერის გარდა ახასიათებს ქართველთა სიმამაცეს, უდრეკ ხასიათს და მათ ჩაცმულობას. გაავლო პარელელი დიდგვაროვანთა ჩაცმულობასა და სასულიერო სამოსს შორის. მარკო პოლო განსაკუთრებით აღნიშნავს იმ პერიოდის საქართველოში ტანსაცმლისათვის ძვირფასი ქსოვილების გამოყენების შესახებ. ქსოვილთა ხარისხით ის განსაკუთრებით მოხიბლულა: „ქართველები აბრეშუმის ქსოვილის დასამზადებლად

აბრეშუმის ძაფში ხმარობენ ოქროს ძაფებს და ღებულობენ აბრეშუმის ისეთ ლამაზ ქსოვილებს, რომლის სადარსაც ვერსად ნახავ¹.

ქართული ისტორიული კოსტიუმის ვიზუალური სახის შესახებ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციას მომცემია იტალიელი მისიონერის **ქრისტეფორე დე კასტელის** ალბომი. მისიონერმა მე-17 საუკუნეში საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი დრო დაჰყო (1628-1654 წწ.). მას შესრულებული აქვს ქართველი დიდგვაროვნების და უბრალო ხალხის მრავალი საინტერესო პორტრეტი და ჩანახატი. კასტელის ალბომი, ცალკე შესწავლის საკითხია და მხოლოდ ზოგადად შევხებით. პორტრეტებს უმეტესად განმარტებითი წარწერებიც ახლავს და საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა XVII ს-ის ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ისტორიისათვის და ამდენად, ფასდაუდებელ მასალებს წარმოადგენს ქართული ისტორიული კოსტიუმის შესწავლისათვის. ერთ-ერთ ასეთ მინაწერში კასტელს აღწერილი აქვს იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის ჩაცმულობა, სადაც ქართველთა გარეგნობით აღფრთოვანებასაც არ მალავს: „საქართველოს მეფეები მოდგმით თავლტანადნი არიან, შესამჩნევად მალღები... ოქროს ქუდი, აღმასებითა და მარგალიტებით მორთული; ყელის ირგვლივ ოქრო და ძვირფასი ქვები ბეწვმოვლებული ზედა ტანსაცმელიც ოქროს ყვავილებითაა მორთული. ოქროსფუსკულებიანი წითელი კაბა მსხვილი ოქროს ღილებით. ხმალი და კვერთხი ოქროსი, ესპანურად დაყენებული ქერა უღვაშებით, ტანსაცმელის ქვეშ ლურჯი პერანგი ოქროს ძაფებით. მთლად შიგნით წითელი შიდიში, მწვანე ფეხსაცმელი... საქართველოს მეფეები ტანად თითქმის დევკაცები (გიგანტები) არიან“.

ამავე პერიოდის წყაროა XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟან-ბატისტ **შარდენის** საინტერესოდ დასურათებული თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. საქართველოში 1672-1673 წწ. დაჰყო. ავტორს დაწვრილებით და გასაოცარი თბიქტურობით აქვს აღწერილი სამეგრელოს, იმერეთისა და ქართლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, ჩაცმულობა, ხასიათი და ფიზიკური აღნაგობაც კი. მან სპეციალურად იახლა თანამგზავრად მხატვარი **გრელო**, რათა მისი მონათხრობი ამასთანავე რეალური სურათების შემცველი ყოფილიყო. გრელოს მიერ შესრულებული ნახატებით (კოსტიუმები, პეიზაჟები, ისტორიული ძეგლები) გამოიცა მისი თხზულება — «**Journal du voyage du chevalier Chardin en Perse et aux Indes orientales par la mer Noire et par la Colchide**» ამსტერდამში 1711 წელს. წიგნის სატიტულო ფურცელზე გამოსახულია ავტორის პორტრეტი მოზრდილ მედალიონში, რომელიც იმდროინდელი ტანსაცმლით შემოსილ ქართველ დიდგვაროვნებს უპყრიათ ხელში. ნახატში სრულყოფილად ჩანს სამოსისა და თავსაბურავის ფორმები, სილუეტი, ფენები, მასალის ფაქტურა და დეკორი და შემკულობა. მოგზაურს აღწერილი აქვს ლხინი მეფის სასახლეში, სადაც დაწვრილებითაა გადმოცემული სამეფო კარის სადღესასწაულოდ გაწყობილი დარბაზის მოწყობილობა. თხზულების 1711 წ. გამოცემაში ლხინის აღწერილობა დასურათებულია შარდენის თანამგზავრ მხატვარ გრელოს მიერ. ნახატში, მართალია შორი ხედვით, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხადად მოჩანს სუფრასთან მომსახურე პერსონალის — სუფრაჯების ტანსაცმლის ფორმები, სილუეტი და სიგრძე. ამდენად, შარდენის აღწერილობა ძალზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს იმ პერიოდის სამოსის შესწავლისათვის.

ერთ-ერთი საინტერესო წყაროა ფრანგი კარტოგრაფისა და ინჟინრის **ალენ მანესონ მალეს** 1683 წ. გამოცემული ნაშრომი **Description de L'Univers** („მსოფლიოს აღწერა“) ხუთ ტომად, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების აღწერა, რუკები და მოსახლეობის ტიპები წარმოდგენილი. აქ ქართველთა ტიპები სავარაუდოდ წარმოდგენილია შესრულებული, რადგან ნაკლებად შეესაბამება ჰაბიტუსსა და ჩაცმულობას. არსებობს სურათების გრაფიკული, გრავირებული და გაფერადებული ვარიანტები, რომელთაც ავტორი ძირითადად თავად ასრულებდა. ნაშრომი მე-17-18 საუკუნეებში რამდენჯერმე იქნა გამოცემული.

აღნიშნული წყარო გამოყენებულია **ჯორჯ გალეს** ავტორობით 1700 წ. ამსტერდამში გამოცემულ „**Nouvelle Geographie on Description exacte de l'univers**“ („ახალი გეოგრაფია სამყაროს ზუსტი აღწერით“) ნაშრომში. აქ წარმოდგენილია რამდენადმე სახეცვლილი იგივე ნამუშევრები.

ქართველის ჰაბიტუსი, დამახასიათებელი ჩაცმულობით, წარმოდგენილია ინგლისელი კარტოგრაფის **ტომას ჯეფერისის** „**A Collection of the Dresses of Different Nations, Antient and Modern**“ London: Thomas Jefferys, 1757-72 („სხვადასხვა ხალხის ტანსაცმლის კოლექცია, უძველესი და თანამედროვე“ — ლონდონი 1757-1772) ატლასში. ნახატი შესრულებულია 1768 წ. ცნობილი ფრანგი მხატვრისა და გრავიორის **ჟან-ბატისტ ლეპრენსის** მიერ, რომელიც 1758-1763 წწ. მოღვაწეობდა რუსეთში (მის მიერ მოხატულია ერმიტაჟის პლაფონები), ქართველი თავადის ესკიზი პეტერბურგში, იმპერატორის კარზე მუშაობის დროს არის შესრულებული.

¹ ზარდალიშვილი, გ. გამოჩენილი მოგზაურები და საქართველო; მარკო პოლო თბილისი, 1965

მე-18 საუკუნის ბოლოდან და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დამდეგს, როდესაც ევროპის ეთნოგრაფიული საზოგადოებების მხრიდან საკმაოდ გაცხოველდა ინტერესი სხვადასხვა ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ, საქართველოს სპეციალური მისიით მრავალი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი და გეოგრაფი ესტუმრა. მათ მიერ სამეცნიერო საზოგადოებისათვის წარდგენილ ანგარიშებში აღწერილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წეს-ჩვეულებანი, ჩაცმულობა და შესრულებულია ესკიზები ხალხის ტიპაჟისა და სამოსის ჩვენებით. ასეთი ფერადი ილუსტრაციების საფუძველზე ევროპასა და რუსეთში მუშავდებოდა ალბომები, ატლასები და სხვა სამეცნიერო გამოცემები. ეს წყაროები ნივთიერი მასალების არარსებობის პირობებში ძალზე ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ პერიოდის სამოსის შესახებ. მე-19 საუკუნის შუახანებიდან ევროპისა და რუსეთის სამეცნიერო-ეთნოგრაფიული საზოგადოების მიერ ინტენსიურად ხორციელდებოდა აზიისა და კავკასიის ქვეყნების შესწავლა, მოსახლეობის წეს-ჩვეულებების, ტიპებისა და სამოსის კვლევა — სპეციალურად სამეცნიერო გამოცემებისა და ატლასებისათვის. სამეცნიერო ნაშრომებს თან დართული ჰქონდა გრავიურები, ესკიზები და ჩანახატები, მოგვიანებით გრავირებული ფოტოილუსტრაციები. აღნიშნული მასალები დღეისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა.

XIX ს-ის დასაწყისის ქართული ტრადიციული სამოსის ილუსტრაციები ფერადი ლითოგრაფიების სახით წარმოდგენილია ალბომში „Народы России“, რომლებიც შექმნილია რუსი მოგზაურისა და მხატვრის **ე. მ. კორნევის** ნახატების მიხედვით 1802-1803 წლებში. ილუსტრაციებზე კარგადაა ასახული ქართველთა ტიპაჟი და სამოსი.

შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი **ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე** 1831-1834 წლებში ეცნობოდა საქართველოს სიძველეებს. დიუბუა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ისტორიის საკითხებს, ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. მის მიერ შესრულებულია დიდალი რაოდენობის ნახაზები, ჩანახატები და ესკიზები ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან. მას დახატული აქვს ფრესკის ასლები ძეგლებიდან, რომლებზეც ქტიტორებია გამოსახული. მისი ნაშრომები მნიშვნელოვანია, რადგან მათში მოცემულია შემდგომში დაღუპული, ან სახეშეცვლილი ძეგლების აღწერილობები და ჩანახატები. ჩანახატების გარდა გვხვდება პეიზაჟები ადამიანების გამოსახულებით, თავისი თანადროული სამოსით, რაც ძალზედ საინტერესო მასალაა საკვლევი თემატიკისათვის.

ფერადი გრავიურებითაა ილუსტრირებული 1838 წ. ფრანგულენოვანი გამოცემა „L’Univers. Histoire et description de tous les peuples. Crimée, Circassie et Géorgie“. ალბომში წარმოდგენილ სურათებზე კარგად ჩანს ტრადიციული სამოსის ელემენტები. ნახატები შესრულებულია ფრანგი მხატვრების ფელიქს დანვინის და ავგუსტ-ფრანსუა ლემერტის მიერ XIX ს-ის 30-იან წლებში. 1840 წ. ციურიხში გამოცემულ პროფესორ **ჰ. შინცის** ნაშრომში „Naturgeschichte und Abbildungen der Menschen und Säugethiere“ წარმოდგენილია გრავიურები „საქართველოს მცხოვრებნი ეროვნულ სამოსში“.

ქართველები ტრადიციულ სამოსში წარმოდგენილია მოგზაურების ბრიტანელი **ედმუნ სპენსერისა** და ფრანგი **ავგუსტ ვალენის** მოგზაურობათა აღწერაში (1840-იანი წლები).

ქართული სამოსის შესახებ ინფორმაციულია, ასევე 1845 წ. გამოცემა „Les mystères de la Russie“ გრავირებული **ჟოფრუა შარლ მიშელის** მიერ.

ძალზე საინტერესოდ და დაწვრილებით აქვს ქართველთა სამოსი აღწერილი ფრანგ მწერალს **ალ. დიუმას** (მამა). მწერალმა საქართველოში იმოგზაურა 1858 წ. და მიღებული შთაბეჭდილებები დეტალურად აღწერა თხზულებაში „კავკასია“. მწერალი ხშირად გამოხატავს აღტაცებას ქართველებითა და ქართული სამოსით: „ქართველი — ეს არის თავით ფეხებამდე აბრეშუმისა თუ ხავერდის ტანისამოსში გახვეული მეჩვიდმეტე საუკუნის ცივილიზაცია, ეს არის ვენეცია, სიცილია, საბერძნეთი“. საქარველოში მოგზაურობასას ალ. დიუმას თან ახლდა ფრანგი მხატვარი ჟან-პიერ მუანე. მას შესრულებული აქვს პეიზაჟები და ჩანახატები, რომლებშიც იმდროინდელ ქართველთა ჩაცმულობასაც გადმოგვცემს. ქართული სამოსით მოხიბლულმა დიუმამ თბილისში ტანსაცმლის სრული კომპლექტი შეიძინა და პარიზის სალონებში თავს იწონებდა. საქარველოში მოგზაურობასას ალ. დიუმას თან ახლდა ფრანგი მხატვარი **ჟან-პიერ მუანე**. მას შესრულებული და ცალკე ალბომად გამოცემული აქვს ნამუშევრები — პეიზაჟები და ჩანახატები, რომლებშიც იმდროინდელ ქართველთა ჩაცმულობასაც გადმოგვცემს.

ეთნოგრაფიული მასალების, მათ შორის ტრადიციული სამოსის შეკრებასა და აღწერაში დიდი წვლილი მიუძღვის წარწომობით გერმანელ ბუნებისმეტყველს, გეოგრაფსა და ეთნოგრაფს **გუსტავ რადეს**. ის 1863 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, სადაც მისი დიდი ძალისხმევითა და უშუალო მონაწილეობით 1867 წელს ხელმეორედ შეიქმნა კავკასიის მუზეუმი. აღსანიშნავია, რომ რადეს შესრულებული აქვს ქართველთა სახასიათო პორტრეტები სამოსის დაწვრილებითი ჩვენებით.

XIX ს-ის 60-იან წლებში **გუსტავ-თეოდორ პაულის** მიერ გამოცემულ იქნა რუსეთის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი ენციკლოპედიური ნაშრომი „ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОПИСАНИЕ НАРОДОВ РОССИИ“, რომელშიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვა ხალხების გვერდით დახასიათებულია ქართველი ხალხი და წარმოდგენილია მათი პორტრეტები ეროვნულ სამოსში. წიგნი XIX საუკუნეშივე რამდენჯერმე გამოიცა.

ინგლისელმა მწერალმა და ალბინისტმა **ფლორენს გროუკმა** (გროვე) 1874 წელს, თანმხლებ პირებთან ერთად, მოიარა ამიერკავკასია, ავიდა იალბუზზე. ფეხით იმოგზაურა ქუთაისიდან რაჭის გავლით, სოხუმამდე. მან კავკასიური ექსპედიცია და იალბუზის დაპყრობა აღწერა წიგნში „The Frosty Caucasus“ (სუსხიანი კავკასია), რომელიც თვითონვე დაასურათა. თხზულებაში ავტორს დახასიათებული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება. მწერალს დახატული ჰყავს ლეხელი (ზემო რაჭა) მოვაჭრეების ჯგუფი და სვანი მამაკაცის პორტრეტი. ავტორი სურათებში ზუსტად გადმოგვცემს სამოსისა და თავსაბურავის დეტალებს.

მე-19 საუკუნის ბოლოს, 1886 წელს საქართველოში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ფრანგი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და არქეოლოგი **ჟან მურიე**. შემდგომში ის დაინტერესდა ქართული კოსტუმით. „ქართული სამოსელის ისტორია— ეს თვითონ ამ ქვეყნის ისტორია არის“ — წერდა მურიე. მას შესრულებული აქვს ეთნოგრაფიული ჩანახატები, რაც, თავის მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის საკვლევი თემატიკის თვალსაზრისითაც.

მე-19 საუკუნის ქართული სამოსის ფორმებისა და ფერის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელი მხატვრების გრ. გაგარინის, მ. ტილკეს, ტ. ჰორშელტის, მ. ზიჩის, ჰ. ჰრინგესკის და სხვათა ფერად სურათებს, გრაფიკულ ჩანახატებსა თუ გრაფიურებს

როგორც ვხედავთ, აღნიშნული უცხოური წყაროები საკმაოდ ინფორმაციულია ქართული ისტორიული სამოსის გარეგნული იერის — მისი ფორმის, ფერის, კომპლექტურობის გასაანალიზებლად, დროის იმ პერიოდისათვის, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა დაგეოტოპია და ფოტოგრაფია. აღნიშნული მასალის ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ ქართულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში ფაქტიურად არ მოგვეპოვება ანალოგიური ვიზუალური ინფორმაცია.

UGREKHELIDZE IRINA, KARTSIDZE NONA, CHUBINIDZE ELISO

N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum
Akaki Tsereteli State University

TRADITIONAL GEORGIAN CLOTHING FROM FOREIGN SOURCES

SUMMARY

National Costume tends to be one of the most significant monuments of material and spiritual culture of Georgian nation outstanding for its astonishing beauty and attractiveness, elegance, exquisite refinement mirroring the distinctive features of the national identity and artistic tastes as well as significant and valuable source of information on a person's field of activity, social status, origin, etc. Hence, fundamental study gains its topicality from the joint of historical, ethnographic, artistic perspective.

One of the problematic issues when studying the traditional attire in the modern lies in the fact that the existence of textiles, especially attire, which dates back to the first half of the nineteenth century, with rare exception is the proof of scarcity. Written sources allow us to fill these gaps. In this respect, foreign literature seems to be far too precious encompassing exhaustive information about the visual side of clothing design. Thus, the majority of the recently obtained materials will be included in scientific circulation for the first time.

The article presents illustrations based on fifteen and nineteen-century foreign manuscripts (traveler records, naturalists' observations, missionaries' and ambassadors' reports,) highlighting Georgian habitus and clothing.

ღევიან ბეზუკიშვილი

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გადაკვირვება ზაბიძის ერთი ღევიანის კომენტარებისათვის [„შემოდგომის უკანაგზი“]

გალაკტიონ ტაბიძის „არტიკულ ყვავილებში“ XVI ლექსადაა წარმოდგენილი „შემოდგომის ფრაგმენტი“ .
ნაწარმოები შემოდგომის ნაღვლიანი სურათის აღწერით იწყება:

ოჰ! ეს ფოთლები, ცვენილი ქარით,
ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?

(ტაბიძე 2016ბ: 74)

ამ სევდისმომგვრელი პეიზაჟის ფონზე იშლება ლექსის ლირიკული სიუჟეტიც, ჩნდება ლირიკული პერსონაჟები — ბილიკზე „დაბინდულ წყვილად“, მოწყენით მიმავალი ქალი და ვაჟი.

მესამე-მეოთხე სტროფებში ამ პერსონაჟთა სულიერი ბიოგრაფიაა გადმოცემული. პოეტი შეკუმშულად, ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე მიგვანიშნებს მათ კონტრასტულ პიროვნულ ბუნებაზე. ერთ მათგანს ღვთაებრივი სხივი უკრთოდა სულში, სურდა ამაღლებული სიყვარულით ეცხოვრა, მაგრამ ამქვეყნად ვერ ჰპოვა თავისი იდეალი:

ცხოვრობდა ვინმე... გულში ფარული
უთრთოდა ციურ შუქთა კამარა:
ამ ქვეყნად სურდა მას სიყვარული,
მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა!

(ტაბიძე 2016ბ: 74)

მეორემ კი საკუთარი გული ვნებათა საბრძანისად აქცია და მათ დაკმაყოფილებას მიუძღვნა სიცოცხლე:

იყო მეორე: დასწევს, დადაგეს
ვნებებმა მისი მხურვალე გული,
როდესაც ვარდთა სისხლიან ბაგეს
ეწაფებოდა თვალდახუჭული.

(ტაბიძე 2016ბ: 74)

შემდეგ სტროფში პოეტი მიგვანიშნებს რაღაც იდუმალ მიზეზზე, რამაც ახალგაზრდობის ნაადრევი ჭკნობა, სულიერ ძალთა დაფერფვლა გამოიწვია (საგულისხმოა, რომ ლექსში ნახსენებია „ჩუმი განდობა“, ანუ — საიდუმლოს გამხელა, რასაც მოსდევს თვალთა სიფლავარის ქრობა). ტრაგიკული ინტონაცია მსჭვალავს რიტორიკულ შეკითხვას: „...ასე მჭკნარი ახალგაზრდობა ნუთუ არავის არ ენანება?“

ბუნებაც თითქოს ოხვრით თანაუგრძნობს „შემოდგომის გვებზე“ მიმავალ, რაღაც უთქმელი ნაღველით დამძიმებულ წყვილს. უკანასკნელ ტაქტში პოეტი, სავარაუდოდ, ამ ლირიკულ პერსონაჟთა სახელებს გვიმხელს: „და შემოდგომის გვებზე დაღლილი მიდიან გრეი და ზეინაბი“ .

საერთოდ, შემოდგომა გალაკტიონის პოეზიაში მრავალმხრივი შინაარსის მქონე კონცეპტია და, როგორც წესი, დავაშირებულია მწუხარებასთან, ჭკნობასთან, ვნებების დაცხრობასთან, სულიერ შეჭირვებასთან (იხ. მაგ., ლექსები: „დგე-ბა შემოდგომა“, „შენ და შემოდგომა“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ და სხვ.).

ნაწარმოების გაცნობის შემდეგ არაერთი კითხვა ჩნდება: ვინ შეიძლება იყვნენ გრეი და ზეინაბი? — რეალური პიროვნებანი, კონკრეტული ლიტერატურული ბიოგრაფიის მქონე პერსონაჟები, თუ პოეტის წარმოსახვით შექმნილი სიმბოლოები? რამ გამოიწვია მათი ახალგაზრდობის ნაადრევი ჭკნობა? რა სევდასა და საფიქრალს მოუცავს მათი არსება? რატომ მიდიან ისინი „დალილინი“ შემოდგომის გზებზე?

ლექსში ჩაქსოვილი საიდუმლოს ამოხსნა, ცხადია, დიდწილად ლირიკულ პერსონაჟთა სწორ იდენტიფიკაციაზეა დამოკიდებული. გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის კომენტარებში მითითებულია, რომ ლექსში ნახსენები გრეი უნდა იყოს დორიან გრეი, ოსკარ უაილდის (1854-1900) რომანის — „დორიან გრეის პორტრეტი“ — მთავარი პერსონაჟი, ხოლო ზეინაბი, სავარაუდოდ, — ცნობილი ქართველი დრამატურგის ალექსანდრე სუმბათაშვილის¹ (1857-1927) პიესა „ღალატის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი (ტაბიძე 2016ბ: 219).

„დორიან გრეის პორტრეტი“ მოდერნისტული ეპოქის ერთ-ერთი საკულტო რომანი იყო, ამდენად, ამ ნაწარმოების მთავარი გმირის გამოჩენა გალაკტიონის სიმბოლისტური პერიოდის ლირიკაში, ცხადია, არაა გასაკვირი.

შედარებით უჩვეულო ჩანს ლექსში ალ. სუმბათაშვილის ისტორიულ-პატრიოტული დრამის — „ღალატის“ — მთავარი მოქმედი პირის — დედოფალ ზეინაბის ხსენება, მით უმეტეს, მისი დაწყვილება დორიან გრეისთან. ბუნებრივია, იბადება კითხვა: იქნებ ზეინაბი სულაც არაა სუმბათაშვილის დრამიდან მომდინარე სახე? რომელიმე სხვა ლიტერატურული წყაროთი ხომ არ სარგებლობს გალაკტიონი?

ზეინაბი პოეტის სხვა ლექსებშიცაა ნახსენები. მაგალითად, „არტისტული ყვავილების“ ერთ-ერთი ლექსის („მე მოვალ“) ავტოგრაფულ ვარიანტში ერთ ტაეპს მიწერილი აქვს: „**ზეინაბ, თამარი**“. ალ. სუმბათაშვილის ნაწარმოების მიხედვით, დედოფალ ზეინაბის ნამდვილი სახელია თამარი, ზეინაბად იგი იწოდება გამაჰმადიანების შემდეგ. აქედან სავარაუდოა, რომ გალაკტიონის პოეზიაში ზეინაბი ხსენებული ისტორიული დრამიდან მომდინარე სახე უნდა იყოს.

ეს პერსონაჟი ნახსენებია აგრეთვე პოეტის 20-იანი წლების ლექსში „მშვიდობიანი სიმღერა დების“:

იფინებოდა ზღვების საბური
ტალღათა შორის ნავთა მმოსავეთ,
გამოქროლება ზეინაბური
და სილაჟვარდე უდაბნოსავით.

(ტაბიძე 2016გ: 140)

ლექსის წარმოდგენილი მონაკვეთი საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა ერთი რამის თქმა კი შეიძლება კონტექსტის მიხედვით: ზეინაბი პოეტისათვის ასოცირდება აქტიურ, ბობოქარ, მიწიერ სტიქიასთან. სტროფში აშკარაა ოპოზიცია ორი საწყისისა — ზეინაბური ქროლვის და ზეციური მყუდროების — უდაბნოსებური სილაჟვარდისა.

ალ. სუმბათაშვილის დრამის მთავარი გმირი, მიზნობა გამო, მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში მეტად პოპულარულ პერსონაჟად იქცა და, როგორც ჩანს, არც გალაკტიონი დაუტოვებია გულგრილი.

ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ გასარკვევია მთავარი საკითხი: როგორია დორიან გრეისა და ზეინაბის მხატვრულ სახეთა გალაკტიონისეული აღქმა? რა კონცეპტუალური საფუძველი შეიძლება ჰქონდეს „შემოდგომის ფრაგმენტში“ გენეტიკურად და ტიპოლოგიურად ერთმანეთისაგან ასე დაშორებული პერსონაჟების უცნაურ დაწყვილებას?

¹ ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი (1857-1927) — რუსულენოვანი ქართველი დრამატურგი და მსახიობი. 1882 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა მოსკოვის მცირე თეატრში. სხვადასხვა დროს იყო თეატრის დასის მმართველი, სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, დირექტორი, საპატიო დირექტორი. 1922 წელს მიენიჭა რუსეთის სახალხო არტისტის წოდება. ალ. სუმბათაშვილი ავტორია ოცამდე პიესისა. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა დრამა-ლეგენდამ „ღალატი“ (1903), რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულითაა შთაგონებული. პიესამ ქართველი და რუსი მაცურებლის ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია. 1903-1906 წლებში შესრულდა დრამის ოთხი დამოუკიდებელი ქართული თარგმანი (მთარგმნელები: კოტე მესხი, გრიგოლ ყიფშიძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლოზ ავალიშვილი). „ღალატი“ სისტემატურად იდგმებოდა ქართულ სცენაზე და დიდი წარმატებითაც სარგებლობდა (ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიისა და მისი საზოგადოებრივი რეზონანსის შესახებ იხ.: ჩხიკვიშვილი 1984: 286-332).

საერთოდ, ცნობილი ლიტერატურული გმირების გალაკტიონისეული რეცეფცია მეტად თავისებურია და რიგ შემთხვევაში განსხვავდება ამა თუ იმ ლიტერატურული ტიპის ტრადიციული, კანონიზებული აღქმისაგან. საზოგადოდ, სიმბოლისტებმა თავიანთი მსოფლხედვის, ახალი ცნობიერების შუქზე სცადეს კლასიკური მწერლობის გადააზრება და ტრადიციულ ლიტერატურულ სახეებში ახალი შინაარსის შეტანა, ზოგ შემთხვევაში კი იმ არადომინანტური, მეორეული თვისებების აქცენტირება, რაც პოტენციურად დევს ამა თუ იმ მხატვრულ ხასიათში. გალაკტიონის შემოქმედებაშიც, ცხადია, ვხვდებით კლასიკური ლიტერატურული პერსონაჟების სუბიექტური ინტერპრეტაციის შემთხვევებს. ამის ერთი მაგალითია თუნდაც ისტორიული რუსუდანისა და აკაკი წერეთლის თამარ ცბიერის სახეთა გალაკტიონისეული ინტერპრეტაცია მის ადრეულ ბალადაში „თასი“ (აღნიშნული საკითხის თაობაზე იხ.: დოიაშვილი 2013).

გრეისა და ზენაბის სახეთა პოეტისეული აღქმის გასააზრებლად, პირველ ყოვლისა, გასარკვევია, რომელ პერსონაჟს რომელი დახასიათება მიემართება „შემოდგომის ფრაგმენტში“. ლექსის მიხედვით, ერთი მათგანის სულიერი პორტრეტი ასეთია:

ცხოვრობდა ვინმე... გულში ფარული
 უთრთოდა ციურ შუქთა კამარა:
 ამ ქვეყნად სურდა მას სიყვარული,
 მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა!

აქ, ვფიქრობთ, ვაჟის — დორიან გრეის შესახებაა საუბარი. თავის რომანში ოსკარ უაილდი არაერთგზის მიუთითებს დორიან გრეის პირველყოფილ სულიერ სიწმინდესა და უბიწოებაზე. მოვიტანოთ შესაბამისი ამონაწერი ნაწარმოებიდან: „მის [დორიანის] გამომეტყველებაში ერთი შეხედვითვე ამოიკითხავდით ისეთ რამეს, რაც მისდამი უჩვეულო რწმენას გინერგავდათ. მასში მგზნებარე უბიწოებასთან ერთად ახალგაზრდული სიწმინდე და გულწრფელობა იგრძნობოდა. თითქოს ამქვეყნიური ლაქა ჯერ მის სულს არ გაჰკარებიათ“ (უაილდი 1982: 28). პოეტის სიტყვები — „ამქვეყნად სურდა მას სიყვარული, მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა“, — ასევე ეხმიანება რომანის ერთ პასაჟს. სიცოცხლის მიწურულს, იმედგაცრუებული დორიან გრეი ძლიერ განიცდის, რომ ვერ შეძლო ამქვეყნად ამაღლებული სიყვარულის მოპოვება „— ოჰ, ნეტავ შემიძლოს ვინმეს შეყვარება, — წარმოთქვა დორიან გრემ და საოცარი პათოსი გაისმა მის ხმაში, — მაგრამ, როგორც ჩანს, ამის უნარი უკვე დიდი ხანია დაკარგა“ (უაილდი 1982: 291).

ერთი სიტყვით, „შემოდგომის ფრაგმენტში“ დორიან გრეი გალაკტიონის რეცეფციაში შემოდის, როგორც სულიერად ფაქიზი, ამაღლებულ სიყვარულზე მეოცნებე ჭაბუკი, ანუ — იმ სახით, როგორადაც დორიანი გვევლინება თავისი ცხოვრების პირველ ეტაპზე.

ლექსის მეორე პერსონაჟი ამგვარადაა დახასიათებული:

იყო მეორე: დასწევს, დადაგეს
 ვნებებმა მისი მხურვალე გული,
 როდესაც ვარდთა სისხლიან ბაგეს
 ეწაფებოდა თვალდახუჭული.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს დახასიათება ნაკლებად შეესაბამება ალ. სუმბათაშვილის დრამის მთავარ მოქმედ პირს. ვინაიდან დღესდღეობით პიესა „ლალატი“ ფართო საზოგადოებისათვის მაინცდამაინც ცნობილი არ არის, მკითხველს მოკლედ შევახსენებთ ნაწარმოების ფაბულას.

ალ. სუმბათაშვილის დრამას მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს ისტორიული. მასში არ არის ასახული კონკრეტული ისტორიული ვითარება, გამოგონილი არიან ნაწარმოების პერსონაჟებიც. როგორც პიესის წინასიტყვაობაში თავად ავტორიც აღნიშნავს, მისი, როგორც დრამატურგის, მიზანი იყო არა ჩვენი ქვეყნის ისტორიის რომელიმე კონკრეტული მონაკვეთის აღწერა, არამედ სჯულისა და ეროვნების შენარჩუნებისათვის ქართველთა თავდადებული ბრძოლის ზოგადი სურათის ჩვენება და ამ დიად საქმეში ქართველი ქალის განსაკუთრებული წვლილის გამოკვეთა.

დრამის მოკლე შინაარსი ასეთია: საქართველოს შემოესევა არაბი დამპყრობელი სოლეიმანი, რომელიც ააოხრებს ქვეყანას, ბრძოლაში მოკლავს ქართველთა მეფე თეიმურაზს და მის უმშვენიერეს მეუღლეს — თამარს (გამაჰმადიანების შემდეგ ზეინაბად წოდებულს) ცოლად დაისვამს. სოლეიმანს ჰგონია, რომ მეფესთან ერთად მოკლა ტახტის ჩვილი მემკვიდრეც, თუმცა, სინამდვილეში, დედოფალი მოახერხებს მის გადამალვას. საკუთარ ძეს იგი აბარებს გლეხ ანანიას, ვისთანაც ბავშვი იზრდება ისე, რომ არ იცის თავისი ვინაობა. ოცი წლის განმავლობაში, სანამ უფლისწული სრულწლოვანებას მიაღწევს, ზეინაბი ერთგულად ემსახურება სოლეიმანს, ტოლს არ უდებს მას ქვეშევრდომებისადმი გამოვლენილ სისასტიკეში და ამგვარად მის დიდ ნდობასაც მოიპოვებს. თუმცა მთელი ამ დროის მანძილზე დედოფალი დამპყრობელზე სასტიკი შურისძიებას ამზადებს. როდესაც ზეინაბი იგრძნობს ერის სულიერ ძალთა მომწიფებას ამბოხისათვის, იგი ინახულებს საკუთარ შვილს, გაანდობს მას სიმართლეს და მისცემს ბრძოლის დაწყების კურთხევას. გადაწყვეტ მომენტში ზეინაბი ღალატობს სოლეიმანს, რასაც სახალხო აჯანყება და ქართველთა გამარჯვება მოსდევს. თუმცა მძიმე საფასური ამ გამარჯვებისა. ბრძოლას ეწირება სიყვარულისაგან თავგზააბნეული ტახტის მემკვიდრის სიცოცხლე. ელდანაცემი დედა საკუთარი შვილის ცხედართან იკლავს თავს.

თავისი შინაარსით, არქიტექტონიკით, სიუჟეტური განვითარების დინამიზმითა და შინაგანი დრამატიზმით „ღალატი“ უდავოდ პირველხარისხოვან პიესათა რიგს მიეკუთვნება და ავტორის დიდ დრამატურგიულ ოსტატობაზე მეტყველებს. ალ. სუმბათაშვილის პიესამ ერთიანად მონუსხა და აღაფრთოვანა ქართველი მაცურებელი. დაიბეჭდა არაერთი გამოცემა და რეცენზია. რამდენჯერმე მოეწყო ნაწარმოების პერსონაჟთა ლიტერატურული გასამართლება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: აკაკი წერეთელმა, გრიგოლ რობაქიძემ და ჩვენი ინტელიგენციის სხვა ცნობილი წარმომადგენლებმა. შემორჩენილია ლიტერატურულ სასამართლოზე ზეინაბის დასაცავად წარმოთქმული სიტყვები აკაკი წერეთლისა და გრ. რობაქიძისა. აღტაცებული აკაკი აცხადებდა: „...ჩვენ მეტი არა გვრჩება რა, რომ თავყვანი ვსცეთ ზეინაბს! როგორც იდეალს გადასულ დედებისას. ვაშა ძველი დედების სახსოვარს და იმ მრავალ ქართველ ქალებს, რომელნიც ეცდებიან მათ მიმბაძობას!“ (წერეთელი 1961: 602). გრიგოლ რობაქიძე კი აღნიშნავდა: „დედოფალი ზეინაბ თვითონ ტანჯავა. ძვირად მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში ასეთი მაღალი ტრაგიკული გმირი, როგორც არის ზეინაბ. მისი მსხვერპლი საშინელია და განმწმენდელი“ (რობაქიძე 1910: 4).

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ზეინაბი უაღრესად პოპულარულ პერსონაჟად იქცა, ასე რომ გალაკტიონის ინტერესი მისდამი სრულიად ბუნებრივია.

მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ზეინაბის გალაკტიონისეული პორტრეტი ნაკლებად შეესაბამება სუმბათაშვილის დრამის მთავარი გმირის რეალურ სახეს? გალაკტიონის დახასიათებაში საგანგებოდაა აქცენტირებული პერსონაჟის ვნებიანობა („იყო მეორე, დასწევს, დადაგეს ვნებებმა მისი მხურვალე გული“). თუ ვნების ცნებას ფართო აზრით გავიგებთ, მაშინ კიდევ შეიძლება რაღაც გადაძახილის დანახვა, რამდენადაც „ღალატი“ დედოფალი მართლაც შეპყრობილია ვნებით, ოღონდაც ერთადერთი ვნებით. ეს ვნება — შურისძიებაა. მაგრამ გალაკტიონთან „ვნებები“ მრავლობით რიცხვშია ნახსენები, ამასთანავე, კონტექსტის მიხედვით ჩანს, რომ პოეტს მხედველობაში აქვს უპირატესად ხორციელი ვნება, — ვაჟის ბეციური „ვნებების“ საპირისპიროდ. სიტყვები — „როდესაც ვარდთა სისხლიან ბაგეს ეწაფებოდა თვალდახუჭული“, — აშკარა ევფემისტური მინიშნებაა პერსონაჟის ბოხოქარ ხორციელ ვნებებზე. სუმბათაშვილის ზეინაბის სახეში კი გავგიჭირდება ისეთი ნიუანსების დანახვა, რაც გალაკტიონისათვის ბიძგის მიძცემი შეიძლება გამხდარიყო, რომ ამ თვალთ ალექვა „ღალატის“ მთავარი გმირი. ნაწარმოების მიხედვით, ზეინაბს არ აქვს არავითარი ამგვარი გულისთქმა. იგი ერთადერთი „ვნებითაა“ შეპყრობილი — შური იძიოს სოლეიმანზე და მონობის უღლისაგან იხსნას სამშობლო.

აღსანიშნავია ისიც, რომ გრეისა და ზეინაბის მხატვრულ სახეთა შორის არ შეიმჩნევა გადაკვეთის არც ერთი ისეთი წერტილი, რაც, ლოგიკურად თუ არა, რაიმენაირად მაინც ახსნიდა და გაამართლებდა მათ დაწყვილებას „შემოდგომის ფრაგმენტში“. **ლექსში მათ დაკავშირებას თითქოს ხელოვნური ელფერი დაჰკრავს, რამდენადაც იგი არც ნაწარმოებთა საერთო პრობლემატიკიდან, არც გენეტიკური ნათესაობიდან და არც სახეთა ტიპოლოგიური მსგავსებიდან არ გამომდინარეობს.**

ამ წინააღმდეგობამ გვაიძულა, რომ სხვა სიბრტყეზე გვეძებნა „შემოდგომის ფრაგმენტში“ გრეისა და ზეინაბის დაწყვილების მიზეზი...

* * *

დავუბრუნდეთ კვლავ ნაწარმოების ტექსტს. ყურადღებით დავაკვირდეთ პერსონაჟთა პორტრეტებს და თვალი მივა-
დევნოთ ლირიკული სიუჟეტის განვითარებას. ვცადოთ ლექსში რემინისცენციათა და ინტერტექსტუალურ კავშირთა გა-
მოვლენა.

ნაწარმოების პირველი პერსონაჟის დახასიათებაში აღნიშნულია, რომ მას გულში „ციურ შუქთა კამარა“ უთრთოდა. შესიტყვება „**შუქთა კამარა**“ „არტისტული ყვავილების“ სხვა ტექსტისაკენ — „ლურჯა ცხენებისაკენ“ გვაგზავნის: „მხო-
ლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა...“. ხსენებული სინტაგმა, რომელიც მხოლოდ ორჯერ გვხვდება „არტისტულ
ყვავილებში“, ვფიქრობთ, მიგვანიშნებს კავშირზე „ლურჯა ცხენების“ ლირიკულ გმირსა და „შემოდგომის ფრაგმენტის“
პირველ პერსონაჟს შორის. მართლაც, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ამ უკანასკნელის დახასიათებას, დავრწმუნდე-
ბით, რომ იგი ძალიან ჰგავს გალაკტიონის „მეორე მეს“, ლირიკული გმირის იმ მოდელს, რომელსაც პოეტი გვთავაზობს
თავის პირველ და მეორე წიგნებში.

რა თვისებებით ხასიათდება ეს ლირიკული სუბიექტი? იგი ამალღებულა ყოფაზე, ზეცისაკენ მიისწრაფვის, ოცნებობს
იდეალურ სიყვარულზე, თუმცა სულით ობოლი და იმედგაცრუებულია, რადგან ამქვეყნად ვერ ჰპოვებს მას. გალაკტიონ-
ის პირველი პოეტური კრებულის ლირიკულ გმირს ხშირად ეზმანება თავისი იდეალი ქალწულის სახით, მაგრამ მიწიერ
სინამდვილეში მის მოძიებას ვერ ახერხებს, რაც მისი შეუწელებელი მწუხარების მიზეზი ხდება:

ოჰ, დიდხანს... დიდხანს ვძებნე იგი და ვერსად ვპოვე!

ვიცი, შორს არის, მაშ, რად მტანჯავს ეგ სიახლოვე?

„შორი სიახლოვე“

(ტაბიძე 2016ა: 113)

აღნიშნული მოტივი ნაირგვარად ვითარდება პოეტის პირველი წიგნის სხვა ლექსებშიც: „სიმღერა“, „მომაკვდავი“,
„ქალის ლანდი“, „მოჩვენება“ და სხვ. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „შემოდგომის ფრაგმენტში“, სინამდვილეში,
გრეი, შესაძლოა, გალაკტიონის ლირიკული გმირის, მისი „მეორე მეს“ ნიღაბი იყოს.

ლექსის მეორე პერსონაჟი ანტიპოდია პირველისა. მის შესახებ ვიცით, რომ სიცოცხლე ვნებებს მიუძღვნა, თვალდახუ-
ჭული ეწაფებოდა „ვარდთა სისხლიან ბაგეს“. ამ ყოველივეს მოსდევს „ჩუმი განდობა“, ანუ — აღსარება, რის შემდეგაც
ბანოვანის თვალზე იფერფლება. მხატვრული სახით — „ფერფლდება თვალთა ბანოვანება“ (რომელიც სიმბოლისტურ
პოეტიკაში კარგად ნაცნობი ხერხით, განსაზღვრების აბსტრაქტიზებითაა მიღებული), პოეტი, ვფიქრობთ, მიგვანიშნებს
წყვილს შორის უწინდელ გრძნობათა დაფერფლვაზე. ნაწარმოების ფინალში ბედისწერას შეგუებული ქალ-ვაჟი უს-
იტყვოდ, უსიხარულოდ მიუყვება შემოდგომის გზებს.

ვითვალისწინებთ რა პერსონაჟთა დახასიათებას და ლირიკული სიუჟეტის განვითარებას, უნებურად იბადება აზრი:
ხომ არ შეიძლება ლექსი ანარეკლი იყოს გალაკტიონისა და მისი სატრფოს — ოლია ოკუჯავას ურთიერთობისა? მით უმ-
ეტეს, რომ უკვე არსებობს ისეთი კვლევის პრეცედენტები, რომლებშიც დამაჯერებლადაა ნაჩვენები, თუ რა მძაფრადაა
ასახული ეს მტკივნეული საკითხი გალაკტიონის პოეზიაში.

გალაკტიონოლოგიაში პოეტისა და ოლია ოკუჯავას ურთიერთობის თაობაზე დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედუ-
ლებები არსებობს. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ „გალაკტიონმა ოლიას სახით იპოვა თავისი ოცნების ქალიშ-
ვილი“ (ნოდარ ტაბიძე), „ოლია ოკუჯავა რომ არ დაეხვრიტათ, გალაკტიონი არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა
თავს“ (ვახტანგ ჯავახიძე). მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი, გალაკტიონისა და ოლიას თანაცხოვრება თავისი არსით
უაღრესად დრამატული ურთიერთობა იყო, რომელსაც „ბევრი რამ აშორებს დანტე—ბეატრიჩესა და პეტრარკა—ლაურას
მოდელისაგან“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

თავის გამოკვლევებში — „იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება“ და „დრამა ბინაში, ანუ ფსევდოლევგენდის წინააღ-
მდეგ“ — თეიმურაზ დოიაშვილმა სათანადო დოკუმენტური და მხატვრული მასალის ანალიზის საფუძველზე ნათელყო
მთელი ტრაგიკომი ამ დაულავებელი ურთიერთობისა (იხ.: დოიაშვილი 2012, დოიაშვილი 2014).

ვითვალისწინებთ რა იმ ფაქტს, რომ „შემოდგომის ფრაგმენტის“ პირველი პერსონაჟი, — გრეი ძლიერ ჰგავს გალაკ-
ტიონის „მეორე მეს“, ვფიქრობთ, იმის გარკვეული საფუძველიც არსებობს, რომ ზეინაბის სახეში პოეტის ცხოვრების თა-
ნამგზავრი შევიცნოთ.

პირველი არსებითი ნიშანი, რითაც იგი მიემსგავსება ლექსის ზეინაბს, — მოჭარბებული ვნებიანობაა, ის თვისება, რამაც განაპირობა კიდევ სინამდვილეში წყვილის ტრაგედია. როდესაც „შემოდგომის ფრაგმენტი“ გამოქვეყნდა (1919), გალაკტიონისა და ოლიას ურთიერთობაში უკვე სერიოზული ბზარი იყო გაჩენილი. ამის მიზეზი მოსკოვში მყოფი ოლია ოკუჯავას არაორდინარული ცხოვრების წესი გახლდათ, (ამაზე ნათლად მეტყველებს მისი 1918-1919 წლების დღიურები), რაც გალაკტიონისათვის უცნობი, ცხადია, არ დარჩებოდა. პოეტის 1921 წლის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მლაღატობენ მეგობრები, მლაღატობენ ნათესავები, მლაღატობს, საზოგადოდ, ბედი: მიღალატა ოლიამაც და მთელს ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ღალატი!“ (ტაბიძე 2000: 315-316). ამ დრამატულ გარემოებათა გამოძახილია 1920 წელს დაწერილი ლექსი „1920“, (პირველი ვარიანტი ლექსისა „მზე თიბათვისა“), რომელშიც პოეტი თავის სიყვარულზე უკვე წარსულ დროში საუბრობს („...იგი ვინც **მიყვარდა** დიდი სიყვარულით“) და ღვთისმშობელს მხურვალედ შესთხოვს სატრფოს ცოდვილი სულის აღდგინებას.

„შემოდგომის ფრაგმენტი“ თითქმის არაფერია ნათქვამი პერსონაჟთა გარეგნობის შესახებ. პოეტი მათ შინაგან სამყაროს გვიხასიათებს. ერთადერთი გარეგნული შტრიხი, რაც ავტორის ყურადღებას იმსახურებს, — ქალის თვალებია, რომლებიც უჩვეულო მხატვრული სახითაა აქცენტირებული — „ფერფლდება თვალთა ბანოვანება“. მოგონებათა მიხედვით, ცნობილია, რომ **ელვარე თვალები — იყო ოლია ოკუჯავას სავიზიტო ბარათი**. როგორც თავად გალაკტიონი იგონებს, ოლიას გაცნობისას მას თან ახლდა ტიციან ტაბიძე, რომელსაც აღტაცებულს აღუნიშნავს: „მას გენიალური თვალები აქვს“ (ტაბიძე 2008ა: 71).

პოეტის არქივში დაცული ერთსტროფიანი ლექსი „გენიალური თვალები“ სწორედ ტიციანის სიტყვებით უნდა იყოს შთაგონებული:

ჰოი, ლალები, ლალები,
შევარდენს გიგავს თვალები,
არ მაგიწყდება მე შენი
გენიალური თვალები.
(ტაბიძე 1972: 133)

მხატვრულ სახეს — თვალების ჩაქრობა — ვხვდებით გალაკტიონის ცნობილ ლექსშიც „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები...“. ნაწარმოები თემატურად სწორედ იმ თხზულებათა რკალში თავსდება, რომელშიც თვალსაჩინოა პოეტისა და მისი სატრფოს ურთიერთობის გამოძახილი:

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა,
უცხო სამოთხეები!
**კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?..**

(ტაბიძე 2016გ: 170).

„შემოდგომის ფრაგმენტი“ მოტივური და სახეობრივი თვალსაზრისით, ვფიქრობთ, გარკვეულ კავშირს ამყარებს აგრეთვე ლექსთან „დრამა ბინაში“, რომელიც გალაკტიონისა და ოლიას დრამატული ურთიერთობის აშკარა ანარეკლია (აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ.: დოიაშვილი 2014). ლექსებს ერთმანეთთან აახლოებს **შემოდგომისა და უდროოდ მჭკნარი ახალგაზრდობის მოტივი**, ლირიკულ პერსონაჟთა სევდიანი განწყობილება და სიჩუმე — კონტაქტის შეუძლებლობის გამოხატულება. ლექსში „დრამა ბინაში“ პერსონაჟები ზღაპრული, აბსტრაქტული სივრციდან უკვე ყოფით სფეროში ინაცვლებენ და თუ „შემოდგომის ფრაგმენტი“ მათი სევდა ერთგვარად ესთეტიზებულია, 20-იანი წლების ლექსში იგი უკვე რეალურ, მტანჯველ მწუხარებადაა გადაქცეული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ „შემოდგომის ფრაგმენტი“ გრეი და ზეინაბი გვევლინებიან არა კულტურულ-ლიტერატურულ, არამედ — ინდივიდუალურ სიმბოლოებად.

* * *

თუ შემოთავაზებულ ჰიპოთეზას გავყვებით და დავუშვებთ, რომ „შემოდგომის ფრაგმენტი“ მართლაც ავტობიოგრაფიული მოტივებითაა შთაგონებული, გრეისა და ზეინაბის სიმბოლოთა მიღმა კი თავად პოეტი და მისი ცხოვრების თანამგზავრი არიან საგულვეტლენი, მაშინ მაინც გარკვეულ ახსნას საჭიროებს ის ფაქტი, რატომ შეარჩია გალაკტიონმა სწორედ ეს მხატვრული სახეები თავისი ცხოვრებისეული დრამის დასაქარაგმებლად?

რა თვალსაზრისით შეიძლება ყოფილიყო პოეტისათვის შინაგანად მახლობელი უაილდის რომანის მთავარი გმირი?

გარდა ლექსში მითითებული ზოგადი ნიშნებისა (ფაქიზი და მგრძობიარე სულიერი სამყარო, ოცნება ამაღლებულ სიყვარულზე და იმედგაცრუება), დორიან გრეისთან გალაკტიონის სულიერი სიახლოვის საფუძველი საძიებელია დენდომის პრინციპებისადმი ერთგულებაში. **დორიან გრეი ის ლიტერატურული პერსონაჟია, რომელმაც საკუთარი ცხოვრება აქცია ხელოვნებად.** როგორც უაილდი წერს, „დორიანისათვის ცხოვრება იქცა პირველ უდიდეს ხელოვნებად და ყველა ხელოვნება კი მის მოსამზადებელ და ამოსავალ წყაროდ“ (უაილდი 1982: 188). ცხოვრების ქცევა ხელოვნებად, — ეს ის მოთხოვნაა, რომელიც სიმბოლისტური ესთეტიკის ძირითადი პრინციპი გახლდათ და გალაკტიონისათვის მუდამ სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობთ, ესეც არის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი, რის გამოც პოეტმა თავის ლირიკულ „მეს“ დორიან გრეის ნიღაბი მოარგო.

ზეინაბის სიმბოლოს რაღა ახსნა შეიძლება მოეძებნოს გალაკტიონის თანამეცხედრესთან მიმართებით?

პოეტის დღიურის ზემოთციტირებული მონაკვეთიდან ნათელი ხდება, რომ მას მოსვენებას უკარგავს **ღალატის** საკითხი („მღალატობენ მეგობრები, მღალატობენ ნათესავები, მღალატობს, საზოგადოდ, ბედი: მიღალატა ოლიამაც და მთელს ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ღალატი!). „ღალატი“ — არის სახელწოდება ალ. სუმბათაშვილის ისტორიული დრამისა, რომლის მთავარი პერსონაჟის — ზეინაბის — სახელიც იმთავითვე ღალატთან არის ასოცირებული. მართალია, სუმბათაშვილის ნაწარმოების მიხედვით, დედოფლის პიროვნული ღალატი გამართლებულია, თუ მას ეროვნულ-პატრიოტული პოზიციიდან შევხედავთ, მაგრამ გალაკტიონისათვის, ამ პერსონაჟის ინტერპრეტირებისას, როგორც ჩანს, ღალატის ცნებაა ამოსავალი. „შემოდგომის ფრაგმენტის“ ზეინაბი არსებითად უკვე სხვა პერსონაჟია, ძლიერ დაშორებული თავის გენეტიკურ სათავესთან, რომელშიც პირველსახიდან პოეტი მხოლოდ ღალატის პარადიგმას ტოვებს და მასში ახალი შინაარსი შეაქვს.

ერთი სიტყვით, თავისი ლექსის მეორე პერსონაჟის ზეინაბად სახელდებით გალაკტიონი მეტონიმურად მიგვანიშნებს ღალატის ცნებაზე, — ღალატზე, როგორც ლირიკულ პერსონაჟთა ნაადრევი ჭკნობისა და გრძობათა დაფერფვლის მიზეზზე. ასე გარდაისახება გალაკტიონის პოეტურ შედეგში დადებითი ლიტერატურული გმირი უარყოფით პერსონაჟად.

შეიძლება ითქვას, რომ ლექსში ზეინაბის ერთგვარ პაროდირებასთან გვაქვს საქმე. თუ ტრადიციული წარმოდგენით, იგი იმ ქართველი ქალის სახეა, რომელიც ისტორიულად ღალატს სჩადიოდა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ანუ მისი ღალატი უზენაეს ღირებულებებთან იყო დაკავშირებული და საზოგადოებრივი საფუძველი ჰქონდა, ახალი ეპოქის ამბოვნების მიხედვით, ახალი დროის ზეინაბის ღალატსაც ეძებნებოდა საზოგადოებრივი გამართლება. დეკადენტური ცნობიერებისა და ულტრამემარცხენე მსოფლმხედველობის სიმბიოზი, რომლის დიდ გავლენასაც განიცდიდა ოლია ოკუჯავა, ადამიანს სქესურ სფეროში სრული თავისუფლების ნებას აძლევდა და მასში საძრახის ვერაფერს ხედავდა. იქნებ ამის გამოც იყო, რომ გალაკტიონი მხურვალედ შესთხოვდა ღვთისმშობელს „უმეცარი დროის“ დამღუპველი ზეგავლენისაგან ეხსნა მისი ცხოვრების თანამგზავრი:

...სხვად ნუ შეიცვლება მისი მიმოხვრა,
 მით, რომ საუკუნე დადგა უმეცარი.

„1920“

გალაკტიონი და ოლია განსხვავებული ტემპერამენტისა და ფსიქოფიზიკური წყობის ადამიანები იყვნენ. ამ შეუთავსებლობას ორივე ნათლად აცნობიერებდა. ერთ-ერთ დღიურში ოლიას მათი თანაცხოვრებისათვის ამგვარი განსაზღვრება მიუცია: „მტკივნეულია, მაგრამ განმარტებანი საჭირო არ არის, იმიტომ, რომ ჩვენ ვერ გავუგვთ ერთმანეთს. **ეს იყო ორი საწყისის ბრძოლა.** ურთიერთგაგებას ვერ მივაღწიეთ და „დავშორდით, როგორც ხომალდები ზღვაში“ (ტაბიძე 2008ბ: 494). სწორედ ეს ფაქტორი — ორი საწყისის დაპირისპირება, ლირიკულ პერსონაჟთა შინაგანი მიდრეკილებებისა და ინტერესების კონტრასტულობა — საგანგებოდ არის აქცენტირებული „შემოდგომის ფრაგმენტში“. ნაწარმოებში

თვალსაჩინოა თბოზიციო ორი ფსიქოტიპისა — ზეციურ, იდეალურ სიყვარულზე მეოცნებე გრეის და ხორციელ გულის-თქმებსა და მიწიერ ვნებებში დანთქმული ზეინაბისა. სწორედ ეს შეუთავსებლობაა მათი მოწყენისა და უსიხარულობის მიზეზი. ამის გამოა, რომ ისინი „დალლიონი“ მიდიან „შემოდგომის გზებზე“.

„შემოდგომის ფრაგმენტში“ გრეისა და ზეინაბის სახე-სიმბოლოთა შემოტანით, ვფიქრობთ, გალაკტიონი მიზანიმართულად აბუნდოვანებს ლექსისათვის შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ პიროვნულ განცდებსა და კონკრეტულ ცხოვრებისეულ ფაქტებს. უხეში სინამდვილის მხატვრული გარდასახვის გზით პოეტი ქმნის საკუთარი ცხოვრების მითს. ფ. სოლოგუბის მსგავსად გალაკტიონსაც ჰქონდა უფლება, განეცხადებინა: „**Беру кусок жизни, грубой и бедной, и творю из него сладостную легенду, ибо я – поэт**“ („ვიღებ ცხოვრების ნაგლეჯს, უხეშს და უბადრუკს და მისგან ვქმნი საამურ ლეგენდას, რადგანაც მე პოეტი ვარ“).

* * *

„შემოდგომის ფრაგმენტში“ თავისი უჩვეულობითა და მხატვრული ძალით უდავოდ გამორჩეული პოეტური ხატია — „ფერფლდება თვალთა ბანოვანება“. როგორც აღინიშნა, მას, ერთი მხრივ, უნდა ჰქონდეს რეალური პლანი და მიგვითითებდეს ქალის თვალთა ჩაქრობაზე, გრძნობათა დაფერფვლაზე, თუმცა, მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ სხვა მიზანდასახულობაც გააჩნდეს.

გალაკტიონის პოეზიაში თითოეულ ლექსიკურ ერთეულს მეტად ღრმა, ხშირ შემთხვევაში, კონცეპტუალური დატვირთვა ენიჭება. პოეტის სიმბოლისტური პერიოდის ლირიკაში ხშირად ცალკეული სიტყვები გვევლინებიან ერთგვარ სიგნალებად, რომლებიც სხვა ტექსტებისაკენ გვაგზავნიან. ხსენებული მხატვრული სახე სიტყვა „ბანოვანის“ აბსტრაქციების გზითაა მიღებული. ამ ლექსემას გალაკტიონი, საზოგადოდ, ძალზე იშვიათად იყენებს. პოეტის 1908-1927 წლების ლირიკაში მას მხოლოდ ერთხელ, „შემოდგომის ფრაგმენტში“ ვხვდებით. გავითვალისწინებთ რა აღნიშნულ გარემოებას, საფიქრებელია, რომ ამ სიტყვის გამოჩენა ტექსტში შემთხვევითი არ უნდა იყოს და მას შესაძლოა, გარკვეული მინიშნების ფუნქციაც ჰქონდეს.

„ბანოვანი“ — ქართველ რომანტიკოსთა პოეტური ლექსიკის მეტად კოლორიტული სიტყვაა, რომლის ხსენებამაც, უპირველეს ყოვლისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო...“ გვახსენდება, ლექსი, რომელიც, სხვათა შორის, გალაკტიონის საგანგებო ინტერესის სფეროში იყო მოქცეული. ვფიქრობთ, „შემოდგომის ფრაგმენტსა“ და ბარათაშვილის ლექსს შორის საერთო მხოლოდ ეს ერთი სიტყვა არ არის და მათ შორის უფრო ღრმა, კონცეპტუალურ კავშირზე საუბარიცაა შესაძლებელი.

ბარათაშვილის ნაწარმოებში სიყვარულის რომანტიკული კონცეფციაა გაცხადებული. პოეტის აზრით, სიყვარულის უკვდავების საფუძველი სულიერ სფეროში, მშვენიერ სულთა კავშირში მდგომარეობს და არა ხორციელ ლტოლვაში, რადგანაც ფიზიკური მშვენიერება „ვით ყვავილი, თავის დროზე, მსწრაფლად დაჭკნების“. მამაკაცის პირუმტკიცობის, შეუმდგარი ურთიერთობის მიზეზი კი, ბარათაშვილის თქმით, ხშირად ისაა, რომ ქალი მის ტრფობას სულიერი გრძნობით არ პასუხობს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსენებული ლექსის შესახებ გალაკტიონის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „წაიკითხეთ ლექსი „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას“, რომელშიდაც ბარათაშვილის სული ოცნებობს ქალის მშვენიერ სულზე... ქალის მშვენიერი სული ელანდება ბარათაშვილს მეორე ლექსშიაც — „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო, შვათვალეზიანო“. ამ ლექსებში, ამ შავ ლაბირინტში, შორს დაუსრულებელ სილაჟვარდეში მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდამ მიუღწეველი იდეალი, ციური ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უსხეულო ლანდი შორეულ ქალის, შექმნილი სინათლისა, ალის და სურნელებისაგან, ღრუბელი, ოცნება ანგელოსთა ქვეყნის ანარკლი...“ (ტაბიძე 1975: 63).

ამგარაა, რომ რომანტიკოსი პოეტის ლექსი გალაკტიონის მიერ ახალი ცნობიერების შუქზე, სიმბოლისტური თვალთახედვითაა გაშინაარსებული. სიმბოლისტი ხელოვანის თვალთ დანახული ბარათაშვილის ლირიკული გმირი კი, რომელიც ოცნებობს მუდმივად სასურველ და მუდამ მიუღწეველ იდეალზე, შორეულ ქალზე, ძალიან ჰგავს თავად გალაკტიონის პოეზიის ლირიკულ სუბიექტს და, შესაბამისად, — „შემოდგომის ფრაგმენტის“ პირველ პერსონაჟსაც.

ახლა ვნახოთ, როგორ წარმოუდგება პოეტს სახე იმ ქალებისა, რომლებიც, მისი აზრით, ბარათაშვილის ლექსის მიმართვის ობიექტებად გვევლინებიან: „ზოგიერთები ამ ქალთაგანი იყვნენ უსირცხვილო, თითქმის პირუტყვიანი პროსტიტუციის გამომსახველნი, თავიანთი ნიღაბებით, ფერუმარილით, თვალებით, მათი ბაგეები გასისხლიანებულ ჭრილობას ჰგავდა (შდრ.: ფრაზა „შემოდგომის ფრაგმენტიდან“: „როდესაც ვარდთა სისხლიან ბაგეს...“ ლ. ბ.), მათ თავიანთი სხეულების ბიწიერება გადაჰქონდათ აგრეთვე სულზედაც... მათი დატკობა გამოიხატებოდა მხოლოდ ვნებიანობის დამაყოფილებლაში. ისინი დაუმცხრალნი არიან, როგორც უნაყოფობა... და როგორც დემონი, მოკლებულნი არიან სიყვარულის ნიჭს... მაგრამ მე ძალიან შორს მივდივარ, არავითარი ლექსი არ საჭიროებს გრძელ ახსნა-განმარტებას“ (ტაბიძე 1975: 64).

გალაკტიონის ლექსის მეორე პერსონაჟი თავისი სულიერი წყობით ძლიერ ჰგავს მის მიერ წარმოსახულ ბარათაშვილის ეპოქის ქალებს. იგი ერთდროულად გვევლინება როგორც კონკრეტულ, ასევე — ზოგად სახედ. „შემოდგომის ფრაგმენტით“, ვფიქრობთ, გალაკტიონი გარკვეულწილად ეხმიანება რომანტიკოსი პოეტის კონცეფციას. თუ თავის ლექსში ბარათაშვილი პოეტური მსჯელობის ფორმით ავითარებს აზრს, რომ სიყვარულის მარადიულობის საწინდარი მშვენიერ სულთა კავშირში მდგომარეობს, „შემოდგომის ფრაგმენტში“ ამავე თვალსაზრისზე კონკრეტული მხატვრული სახეების მეშვეობითა და ლირიკული სიუჟეტის განვითარებითაა მინიშნებული. გალაკტიონის ლირიკული შედეგის ფინალში გვერდიგვერდ უსიტყვოდ მიდიან გრეი და ზეინაბი, ღვთაებრივი გრძნობა და ვნება, მაგრამ მათი შენივთება ვერ ხერხდება. თუმცა ეს აღარ იწვევს ახალი დროის პოეტის შინაგან ამბოხს. იგი შეგუებულია იმ აზრს, რომ ზეციური იდეალი მიწაზე ვერ განხორციელდება და ყოველივე ამას აღიქვამს, როგორც ბედისწერას, ადამიანური ყოფის კანონზომიერებას.

დამონებანი:

1. დოიაშვილი 2012: დოიაშვილი. თ. „იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება“. გალაკტიონოლოგია. VI. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012;
2. დოიაშვილი 2013: დოიაშვილი თ. მოტივალ-მოცინარი. თბილისი: გამომცემლობა „სიტყვა“, 2013.
3. დოიაშვილი 2014: დოიაშვილი. თ. დრამა ბინაში, ანუ ფსევდოლეგენდის შესახებ. ჟ. „ჩვენი მწერლობა“, 19, 2014;
4. რობაქიძე 1910: რობაქიძე გრ. ზეინაბ (სიტყვა წარმოთქმული 9 აპრილს ქართულ თეატრში ზეინაბისა და ოთარ-ბეგის გასამართლებაზე). გ. „დროება“. 1910, 15 აპრილი.
5. სუმბათაშვილი 1904: სუმბათაშვილი ალ. ლალატი (დრამა-ლეგენდა ხუთ მოქმედებად). თარგმანი გ. ყიფშიძისა. ტფილისი: 1904.
6. ტაბიძე 1972: ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1972.
7. ტაბიძე 1975: ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1975.
8. ტაბიძე 2008ა: ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, წ. 23. თბილისი: „ლიტერატურის მატეანე“, 2008;
9. ტაბიძე 2008ბ: ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, წ. 24. თბილისი: „ლიტერატურის მატეანე“, 2008;
10. ტაბიძე 2016ა: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. I. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.
11. ტაბიძე 2016ბ: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. II. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.
12. ტაბიძე 2016გ: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. III. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016.

13. ტაბიძე 2017: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. IV. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2017.
14. ტაბიძე 2000: ტაბიძე ნ. გალაკტიონი. თბილისი: 2000;
15. უაილდი 1982: უაილდი ო. დორიან გრეის პორტრეტი. თარგმანი ინგლისურიდან თამარ მაღრაძისა. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1982.
16. ჩხიკვიშვილი 1988: ჩხიკვიშვილი დ. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1988;
17. წერეთელი 1961: წერეთელი ა. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. XIV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

LEVAN BEBURISHVILI

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

FOR COMMENTING ONE OF GALAKTION TABIDZE'S POEMS (“THE FRAGMENT OF AUTUMN”)

SUMMARY

In the paper is discussed one of the poems from Galaktion Tabidze's second poetic collection - “Artistic Flowers”. In this book “The Fragment of Autumn” is presented as a 16th poem. From a point of view of the paper's author, this poem is inspired by the autobiographical facts of Galaktion and the dramatic love story of poet is described in it.

მაია ჯანშიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გუკამ ჩეუღიშვილის ავტობიოგრაფია და სიმონიძის რევიზია ბეჭდური წყაროების შედარებითი ანალიზი

მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებისა და მისი შემოქმედების ფუნდამენტური კვლევისას მეცნიერთა ძირითადი დასაყრდენი ავტენტური წყაროებია: ავტობიოგრაფიები და სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები. ბუნებრივია, ამათგან ავტობიოგრაფი უფრო სანდოა, რადგან მასში გამოხატულია რედაქტორისა და ცენზორის ჩარევა, მაგრამ გარკვეული ასპექტით არანაკლებ საინტერესოა სიცოცხლისდროინდელი გამოცემების კვლევა. ისინი მოწმობს, სწორად აცნობდა თუ არა ეს პუბლიკაციები ავტორის თანამედროვე მკითხველს მის ნაფიქრალ-ნააზრებს. მწერალი, განსაკუთრებით პროზაიკოსი წერს იმიტომ, რომ მკითხველამდე მიიტანოს თავისი სათქმელი და თუ ის თავისი თხზულებების გამოქვეყნებას ვერ ახერხებს ან რედაქტორისა და ცენზორის ჩარევებს ვერ უზრუნველყოფს, ეს უარყოფით გავლენას ახდენს მის შემდგომ ნაწერებზე. მხედველობაში გვაქვს თვითცენზურის ამოქმედება, რამაც შესაძლოა ავტორს ცალკეული თემების არჩევანზე ააღებინოს ხელი, შეაცვლევინოს სტილი, ქვეტექსტებში გადაატანინოს სათქმელი და სხვ. წინამდებარე კვლევის მიზანია იმის ანალიზი, თუ რამდენად ახერხებდა გურამ რჩეულიშვილი თავისი თხზულებების გამოქვეყნებას და ის ტექსტები, რომლებიც იბეჭდებოდა, რამდენად განიცდიდა გარეშე პირთა ჩარევას.

გურამ რჩეულიშვილს მოღვაწეობა მოუხდა საბჭოთა კავშირის პერიოდში, როდესაც პარტიული ცენზურა მკაცრად აკონტროლებდა ყველა პერიოდულ ბეჭდვით ორგანოს, წიგნის გამოცემა კი დამწყები მწერლისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში გამოდიოდა ორი ლიტერატურული ჟურნალი: „დროშა“ და „მნათობი“, რომლებშიც ძირითადად გამოცდილ და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ასე თუ ისე აღიარებულ მწერალთა თხზულებები იბეჭდებოდა. ახალგაზრდების ნაწარმოებების ბეჭდვას ფრთხილად ეკიდებოდნენ, რადგან არ იცოდნენ, მოიწონებდა თუ არა მათ პარტიული ცენზურა. ამის დასტურად იმის გახსენებაც კმარა, როგორი რეაქცია მოჰყვა 1946 წელს „მნათობის“ მეოთხე ნომერში ახალგაზრდა პოეტის - ანა კალანდაძის ლექსების გამოქვეყნებას (მეტრეველი 2018, 65-68). კრიტიკოსები წერდნენ, რომ ამ ახალგაზრდა პოეტს „აშკარად დაეტყო დეკადენტური, აპოლიტიკური მოტივებით გატაცება...“ (ჭილაია, 1946) და მიწასთან ასწორებდნენ მის ესთეტიკას. იმას, თუ როგორი ზეწოლის ქვეშ მოექცა ამ ლექსების დაბეჭდვის გამო თავად ჟურნალი, შემოხსენებული სტატიის სათაურიც მოწმობს: „ჟურნალი „მნათობი“ სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს“.

სხვადასხვა ჩანაწერებიდან და მოგონებებიდან ირკვევა, რომ გურამ რჩეულიშვილს თავისი მოთხოვნების გამოქვეყნება იმავე წელს უცდია, როდესაც წერა დაიწყო ანუ 1956-ში. მისი მეგობარი - ედიშერ ყიფიანი ჟურნალ „დროშის“ რედაქტორის, გრიგოლ აბაშიძის მეგობარი და თანამშრომელი იყო. იგი ამ ჟურნალში ხშირად ბეჭდავდა თავის ნაწერებს და რჩეულიშვილისთვისაც შეუთავაზებია. ჩვენთვის უცნობია, რომელი ნოველები გაატანა მწერალმა მეგობარს „ცისკრის“ რედაქციაში. მხოლოდ ზოგადი გადმოცემებით და კვლევით დავადგინეთ, რომ რედაქტორს - გრიგოლ აბაშიძეს ისინი „უმწიფრად“ მიუჩნევია და დაბეჭდვაზე უარი უთქვამს.

პარტიის ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1957 წლისთვის აღდგენილიყო დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გამოშვებული ლიტერატურული ჟურნალი „ჩვენი თაობა“. მისი გაძღოლა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგის“ ყოფილ რედაქტორს, ვახტანგ ჭელიძეს დაავალეს, რომელმაც ჟურნალს სახელი შეუცვალა და „ცისკარი“ დაარქვა. ჭელიძემ ახ-

ალ ჟურნალში თან წაიყვანა ახალგაზრდები, რომლებიც „ნიანგში“ მასთან ერთად მუშაობდნენ, მათ შორის: ნოდარ დუმბაძე და ედიშერ ყიფიანიც.

1957 წლის თებერვალში „ცისკრის“ პირველი ნომრისთვის რედაქცია ეძებდა ახალგაზრდა მწერალთა მოთხრობებს „ჭაშნიკის“ განყოფილებაში დასაბეჭდად. როგორც გურამ რჩეულიშვილის და - ქალბატონი მარინე რჩეულიშვილი იხსენებს, ისევ ედიშერ ყიფიანის რჩევით, ვახტანგ ჭელიძემ სხვა ახალგაზრდა შემოქმედებთან ერთად ჟურნალში თანამშრომლობისათვის გურამ რჩეულიშვილიც მიიწვია. მისი რედაქციაში მიყვანა ნოდარ დუმბაძეს დაევალა. მაგრამ პირველი მარცხის შემდეგ მწერალს იმედი არ ჰქონდა, რომ ამჯერად მაინც გამოუქვეყნებდნენ რამეს და უარი უთქვამს. ნოდარ დუმბაძემ იმაზედაც ძლივს დაითანხმა, რომ მოთხრობები შეერჩია და მისთვის გაეტანებინა. ამჯერად ბეჭდვის საკითხი დადებითად გადაწყდა და გურამ რჩეულიშვილი მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გაგების შემდეგ მივიდა „ცისკრის“ რედაქციაში. ეს ასე თუ ისე, ბედნიერი დღე გამოდგა, რადგან მწერლის სიცოცხლეში „ცისკარი“ ერთადერთი ტირაჟირებული ბეჭდვითი ორგანო იყო, რომლითაც ქართველი მკითხველი ეცნობოდა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებას.

„ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიას მოეწონა ახალგაზრდა მწერლის თხზულებები და 1957 წლის პირველ ნომერში მისი ხუთი მოთხრობა გამოაქვეყნა: „სიყვარული მარტის თვეში“, „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, „ნელი ტანგო“, „სათაგური“ და „თვირთვილა“. რჩეულიშვილის პირველი რედაქტორი ჟურნალის პროზის განყოფილების გამგე გიორგი შატბერაშვილი იყო. ტარიელ ჭანტურია იხსენებს, რომ გურამ რჩეულიშვილი თავმდაბლად იღებდა შენიშვნებს როგორც მისგან, ისე რედაქციის სხვა თანამშრომლებისგან, თქვენ ფილოლოგები ხართ, მე - ისტორიკოსი და შემისწორეთო.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად ჩაერია ჟურნალი ახალგაზრდა ავტორის გამოსაქვეყნებელ ტექსტებში, გადაწყვიტეთ ეს პუბლიკაციები შეგვედარებინა ავტოგრაფულ წყაროებთან. სამ მოთხრობასთან მიმართებით ასეც მოვიქცით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მწერლის არქივში მოთხრობების: „ნელი ტანგო“ და „სიყვარული მარტის თვეში“ თეთრი ავტოგრაფები არ არსებობს. ამიტომ ამ ორი მოთხრობის „ცისკრისეულ“ პუბლიკაციებს საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი და თავად ავტორის მიერ ფანქრით ნასწორები ტექსტები შევადარეთ, როგორც მწერლის ბოლო ნების გამომხატველი. გურამ რჩეულიშვილის ამ პერიოდის ავტოგრაფებში იშვიათად გვხვდება კითხვისა და ძახილის ნიშნები, რაც რედაქტორს არ გამოჰპარვია და ჩაუსწორებია. უხვად არის სხვა წვრილმანი სწორებებიც, მაგრამ შედარებისას გამოიკვეთა, რომ რედაქციამ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებთან ერთად ზოგან ავტორის ლექსიკა და სტილიც ასწორა.

„სათაგურის“ ტექსტში ავტოგრაფისეული ქვესათაური, „შეწყობილი ოჯახი“ შეცვლილია „ოჯახური იდილიით“; მოთხრობის შესავლიდან ამოღებულია წინადადება: „მთელი დღე ვკითხულობდი მერეჟკოვსკის „ანტიქრისტეს“. „ნელი ტანგოს“ პუბლიკაციაში აღარ გვხვდება ავტოგრაფის თავფურცელზე ეპიგრაფად წამძღვარებული ტექსტი: „ცურაობის დროს თითქმის არასდროს არ ფიქრობენ, განსაკუთრებით როცა მკლაურით მიდიან. ალბათ, ამიტომ მიყვარს ცურვა და ყველაზე მეტად მკლაური“. ასევე მოთხრობის ფინალში ვეღარ ვიპოვით პერსონაჟის ფიქრების ამსახველ მნიშვნელოვან ეპიზოდს. „ნეტავი რაზე ველაპარაკო, მომწყინდა სულ ერთი და იგივე: საიდან ჩამოხვედით? როდის, მერე ჩვენი ბუნების ქება და ბოლოს კომპლიმენტი-თქვენ მშვენივრად გაშავდით“. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში იოლი ამოსაცნობია, რას უწუნებდნენ ამ ფრაზებს. ისინი არ ჯდებოდა კომუნისტების მამულებელი საზოგადოების კლიშეებში.

მოთხრობიდან „შემოდგომა ბაბუა კოტესი“ ამოღებულია დღიური, რომელიც მოთხრობის შესავალს წარმოადგენს, ხოლო მოთხრობაში „სიყვარული მარტის თვეში“ - ეპიგრაფები: გალაკტიონ ტაბიძის ლექსის სტროფი „ასეთია ალბათ ბედი, ბედი თეთრი ფერის, სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის“ და სერგეი ესენინის ლექსი: „**Кто любил, тот любить не сможет, кто не любил, тот прогорел...**“ ცენზურის კვალი ატყვია მოთხრობა „თვირთვილას“ შესავალს, რომლის ორი გვერდი როგორც ირონია საბჭოურ სასამართლოზე, ასევე ამოღებულია პუბლიკაციიდან. სწორად აქვს შენიშნული ქ-ნ მარინე რჩეულიშვილს ამ მოთხრობის კომენტარებში (რჩეულიშვილი, 2002, 391), რომ რედაქტორი ჯერ შეეცადა ამ ეპიზოდისთვის მინაწერის „ძველად სასამართლოში“ გაკეთებით გაეპარებინა იგი დასაბეჭდად, მაგრამ, როგორც ჩანს, არ გამოუვიდა და იძულებული გახდა, რომ მთლიანად ამოეღო.

„ცისკრის“ რედაქტორმა ვახტანგ ჭელიძემ სხვა ახალგაზრდა მწერლებთან ერთად გურამ რჩეულიშვილსაც შესთავაზა საქართველოს ისტორიიდან ლიტერატურულ-ისტორიული ნარკვევის დაწერა. ეს შეთავაზება დაემთხვა მწერლის სურვილს, რადგან მას ისტორიული ნოველების დიდი ციკლის შექმნა ჰქონდა ჩაფიქრებული. გურამ რჩეულიშვილის არ-

ქივში ინახება 1957 წლის ივნისით დათარიღებული სამიველინებო ბარათი, რომელიც უფლისციხეში მის წასვლას უნდა უკავშირდებოდეს. 1957 წელს „ცისკრის“ მესამე ნომერში რუბრიკით „წარსულის ფერფლის ქვეშ“ დაიბეჭდა მოთხრობა „უსახელო უფლისციხელი“.

„უსახელო უფლისციხელის“ პუბლიკაციისა და ავტოგრაფული წყაროს შედარებით ირკვევა, რომ რედაქციამ ტექსტიდან ამოიღო უფლისციხის კედლებზე ვიზიტორთა მიერ მიწერილი გვარების ეპიზოდი „თვალეხი დაღლილი მატყვს და ძლივს ვარჩევ ჩუქურთმებს შორის ღრმად ამოჭრილ წარწერას **Волков**. მერე კედელზე გადამაქვს მზერა აქ უფრო ღრმად ამოჭრილი **Тормасов...** მე ჯიბიდან დანას ვიღებ და ვჭრი ჩემს გვარს. კლდე იფშვნება, მაგრამ მაინც შეიძლება გარჩევა, რომ მე აქ ვიყავი 1957 წლის ივლისში. რაღაც სასიამოვნო იმაში, რომ აქ შენი ყოფნა აღნიშნო. ალბათ, ასევე ჰგვრიდა ეს სიამოვნებას ტორმასოვსა და ვოლკოვს. მეც მსიამოვნებს“. სინამდვილეს თუ არ გააშიშვლებ, კათარსისსაც ვერ განიცდი. გურამ რჩეულიშვილის ნაწერებში ბევრი დეტალი ავტობიოგრაფიული. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მან რეალურადაც მიაწერა უფლისციხის კედელზე თავისი გვარი, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამის გამკეთებელს ამავე დროს შესძლებოდა მოვლენის ასე კრიტიკულად დანახვა. თავისი ალტერ ეგოსთვის, ავტორის სუროგატისთვის მსგავსი ქმედების მიწერით რჩეულიშვილი განსაკუთრებით ამბაფრებს სათქმელს: ისტორიას ეკარგება იმის სახელი, ვინც თავისი თავგანწირვით აოხრებისაგან იხსნა მთელი ქვეყანა და რჩება იმათი სახელები, ვინც ამ გადარჩენილი ქვეყნით ტკბება და ყოველგვარი დამსახურების გარეშე აქვს ამბიცი, რომ თავისი სახელი დატოვოს. ამ პასაჟში იკითხება ისიც, რომ ქართულ კულტურულ საგანძურზე კვალს ტოვებენ ვოლკოვები და ტორმასოვები და ისიც, რომ ქართველიც უაზროდ უწყობს მათ ფეხს.

1958 წლის თებერვლის ბოლოს „ცისკრის“ მესამე ნომერში გამოქვეყნდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „სიკვდილი მთებში“. 1958 წლის 20 მაისს კი მწერალთა კავშირში, მოეწყო ჟურნალის ამ ნომრის განხილვა. გრიგოლ აბაშიძემ და ალიო მირცხულავამ დადებითად შეაფასეს ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერლის მოთხრობა, სიმონ ჩიქოვანმა თხზულებას ფილოსოფიური უწოდა და გაცემას ვერ მაღაფდა, როცა გაიგო, რომ ავტორი 23 წლისა იყო. მან „ცისკრის“ რედაქციას მადლობა გადაუხადა ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედის წარმოჩენისთვის. თვით ბესარიონ ჟღენტმაც, რომელიც დიდად არ სწყალობდა გურამ რჩეულიშვილის ნაწერებს, ამჯერად ქება არ დაიშურა მისთვის და თავისი ძველი პოზიცია ასე გაამართლა: „კრიტიკა და დავა ისეთ ვაცთან არის საჭირო, რომელშიც ძალას ხედავ, თორემ უძალო ვაცს რა ბრძოლა ჭირდებაო“ (რჩეულიშვილი, 2007, 415).

იმის გამო, რომ მოთხრობის თეთრი ავტოგრაფი ნაკლული იყო, ჟურნალის პუბლიკაციასთან შესადაარებლად აქაც საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი და ავტორის მიერ ნასწორები ტექსტი გამოვიყენეთ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შედარებითი კვლევისას გამოვლინდა, რომ გამოქვეყნებულ ტექსტში ზოგან სწორი ლიტერატურული ფორმები და მართლწერა შეცვლილია არასწორით. მაგ: „საწვიმარის“ ნაცვლად წერია „პლაში“. ასევე არასწორად არის ხოლმე დაწერილი სახელი ელზიდე - ელპიტე.

1959 წლის აგვისტოში მწერალმა ოჯახის წევრებს მოულოდნელად განუცხადა, რომ გადაწყვიტა მოთხრობების კრებულის გამოცემა და შეადგინა სია ორ კატეგორიად დაჯგუფებული სათაურებით: „გადაბეჭდილები“ და „ხელნაწერები“. შემდეგ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა. ამის შესახებ არც მის წერილებსა და დღიურებში და არც ახლობელთა მოგონებებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი ცენზურა თუ არა, თვითცენზურა მაინც იქნებოდა. მან უკვე კარგად იცოდა, რა რთული იყო გამომცემლობებთან ურთიერთობა.

თავისი თხზულებების დაუმახინჯებლად გამოქვეყნებაზე ზრუნვა მწერალს სიცოცხლის ბოლომდე მოუხდა. სულ ბოლოს „ცისკრის“ 1960 წლის ივლისის ნომრისთვის მიიტანა მოთხრობების ციკლი საერთო სათაურით „ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები“. მასში შედიოდა „ირინა და მე“, „ალავერდობა“ და „დღიური“. ციკლს წინ წარუძღვარა ვრცელი „თეორიული განმარტება“ და ფიქრობდა, რომ საკუთარ იდეოლოგიასა და სტილზე გულწრფელი საუბრით ამ ტექსტების დაბეჭდვაზე დაითანხმებდა რედაქციას.

საბჭოთა ლიტერატურაზე საუბრისას ავტორი რბილად ახსენებს „მადლიდან ზრუნვას“ და თუმცა წერს, რომ ეს არ არის „უხეში, არასაჭირო ჩარევა“ და იგი „დღი ჰარმონიითა დაკავშირებული შინაგან სურვილებთან“, ამის თქმაც კი ერ-

თპარტიული ტოტალიტარული სისტემისთვის სრულიად მიუღებელი იყო. გურამ რჩეულიშვილის ეს ტექსტი ფრთხილ ან-ალიზს საჭიროებს, რადგან დასავლური ხელოვნების კრიტიკულ შეფასებაში უცებ იპარება მისდამი აშკარა სიმპატი („ყოველი კუნჭულიდან პირდაპირ აცხუნებს ტაქტი, გემოვნება, არაზედმეტობა“), საბჭოთა ხელოვნების ქებაში კი შიგადაშიგ ერევა მწარე სიმართლე: „მმართველობამ უფლება აიღო ხელოვნებაზე, რომელმაც აშკარა ბრძოლის დამთავრების შემდეგ თავისი გზით დააპირა წასვლა... ზევიდან კარნახმა, რასაკვირველია, გამოიწვია ჩავარდნა ხელოვნებაში... რას აკეთებდა ამ პერიოდში ჩვენი საბჭოთა ხელოვნება? ის იქცა ოდების, ხოტბის შემსხმელად თითოეული სახელმწიფო დირექტივისა“ (რჩეულიშვილი 2004). მწერალი ცდილობდა, რომ ამ გულწრფელი მიმოხილვის შემდეგ მოკრძალებულად გაეტანა მკითხველის სამსჯავროზე თავისი თხზულებები, რათა აზრთა გაზიარებით ერთად ეძებნათ ქართული ლიტერატურის განვითარების გზები, მაგრამ რედაქციას ყველაზე მეტად მისი ეს „განმარტება“ არ მოეწონა.

1959 წლის 23 იანვარს რედაქტორის - ვახტანგ ჭელიძისთვის გაგზავნილ წერილში რჩეულიშვილი ცდილობს ამ ტექსტის დაცვას. იგი წერს, რომ ამ „აზრებმა გარკვეული როლი უნდა ითამაშონ როგორც მათ ახლა დაბეჭდვაში“, ისე მისი თუ სხვისი ახალი ტექსტების გამოქვეყნებაშიც. წერს, რომ ეს ტექსტი დაეხმარება მკითხველს მისი მოთხრობები „ადიქვან ისე, როგორც ავტორი ფიქრობს“, „არ დაამახინჯონ“ და „შარი არ მოსდონ...“ (რჩეულიშვილი 2007, 403).

სამწუხაროდ, ასეთი ძალისხმევის მიუხედავად, თეორიული განმარტება, რომელიც ავტორს უკიდურესად მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ისევე, როგორც ციკლის ბოლო მოთხრობა „დღიური“ „ცისკარში“ არ დაიბეჭდა, გამოქვეყნდა მხოლოდ ორი ტექსტი და ისიც არეული თანმიმდევრობით. „ირინა და მე“-ს შეცვლილი აქვს სათაური („ირინა“), ჩამოჭრილი აქვს ფინალი და დაკარგულია მთავარი სათქმელი. „ალავერდობის“ „ცისკარისეულ“ პუბლიკაციაში ჩართულია დიდაქტიკურ-პათეტიკური უგემოვნებო პასაჟები. მაგ.: „ნუთუ უთავბოლო აურზაურისა და ღრეობის საყურებლად მოვიდა აქ? სად არის ქართული ცეკვის ლაზათი, ვაჟკაცური შერკინება მოჭიდავეებისა, გაფრენილი ცხენების ჯირითი. დაფიქრებული დგას“. ერთ-ერთ ეპიზოდში ცენზურისათვის მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა კოლპერატივის ნაწარმის უხარისხობის ხაზგასმა და ფრაზა: „კოლპერატივის საეჭვო აღნაგობის საქონელი“. რედაქციისათვის ასევე არ აღმოჩნდა მისაღები მთავარი გმირის ხასიათთან დაკავშირებით გამოყენებული სიტყვა „ექსცენტრიულიც“. როგორც ჩანს, ამ რადიკალური, კონცეპტუალური ცვლილებების შესახებ ავტორმა გამოქვეყნებამდე გაიგო, რადგან როგორც მწერლის მეგობარი ედიშერ გიორგაძე იხსენებს, მას „ცისკარის“ რედაქციაში ხმამაღალი პროტესტი გამოუთქვამს.

თითქმის საუკუნით ადრე, 1860 წლის 25 აპრილს დედასთან გაგზავნილ ბარათში აკაკი წერეთელი ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორზე წერდა: „მე და კერესელიძე ვერ მოვეწყვეთ, ლექსები წამიხდინა, თავისებურათ გადააკეთა და შარშან სექტემბრის აქეთ აღარაფერს აღარ უგზავნი და აღარც გაუგზავნი“. თითქმის საუკუნის შემდეგ, გურამ რჩეულიშვილიც იმავე პრობლემის წინაშე დადგა. რუსეთის იმპერია წითელმა საბჭოთა იმპერიამ შეცვალა, მაგრამ საცენზურო პოლიტიკა იგივე დარჩა. მწერლის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ჭელიძეს მობოდიშებით უთქვამს გურამ რჩეულიშვილის ოჯახისთვის, გურამი ვერ წარმოიდგენდა, „რა ხდებოდა კულისებში“ და როგორი დრო იყო.

მწერლის დამ, ქალბატონმა მარინე რჩეულიშვილმა 2002-2007 წლებში ავტოგრაფების მიხედვით აღადგინა და გამოსცა მწერლის თითოეული ტექსტი, 2018 წელს კი „ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციამ“ გაციფრულა გურამ რჩეულიშვილის მთელი არქივი. დღესდღეობით ნებისმიერ მკითხველს შეუძლია გაეცნოს არა საბჭოთა ცენზურის მიერ შერყვნილ ტექსტებს, არამედ ზუსტად იმ ვერსიებს, რომელთა გამოქვეყნებასაც თავის დროზე ვერაფრით ახერხებდა ავტორი.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N DP2016_18 პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“).

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი, საბა (2018), ანა კალანდაძე და პოლიტიკური პოსტმოდერნიზმი, თბილისი, „მწიგნობარი“.
2. რჩელიშვილი, გ. (2002), თხზულებათა სრული კრებული ნ ტომად, შემდგენელ-რედაქტორი - მარინე რჩელიშვილი, თბილისი, „საარი“, ტ. 1.
3. რჩელიშვილი, გ. (2004), თხზულებათა სრული კრებული ნ ტომად, შემდგენელ-რედაქტორი - მარინე რჩელიშვილი, თბილისი, „საარი“, ტ.3.
4. რჩელიშვილი, გ. (2007), თხზულებათა სრული კრებული ნ ტომად, შემდგენელ-რედაქტორი - მარინე რჩელიშვილი, თბილისი, „საარი“, ტ.5.
5. ჭილაია, სერგი (1946), ჟურნალი „მნათობი“ სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს, გამ. „კომუნისტი“, N178, 5 სექტემბერი, თბილისი.

MAIA JANGIDZE**COMPARATIVE TEXTUAL ANALYZES OF GURAM RCHEULISHVILI'S AUTOGRAPHS AND LIFETIME PRINTED SOURCES**

Comparison of Guram Rcheulishvili's lifetime editions with his autographs reveals whether these publications properly informed the contemporary readers of the author's opinions and thoughts. The writer, especially the prose writer writes in order to convey the message to the reader and if he fails to publish his works or fails to cope with the editor or censor, it has a negative impact on his subsequent writings.

In the middle of the 20th century, it was unimaginable to publish a book of own stories for a young, politically non-contracted writer in the Soviet regime. The only magazine that Guram Rcheulishvili managed to publish his novels in was “Tsiskari” but even there his texts were published with terrible cuts and sometimes with insertions of editorial office. The work presents the nature of those changes and it is suggested that some of them fundamentally changed the essence and purpose of the work.

ქეთევან მანია

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

ჩეჩენური ისტორიული მემკვიდრეობა აფხაზეთში ბეჭდური მედიის ჩვენს დროში („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცლის“)

რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა XIX ს-ის მეორე ნახევარში ქართული იდენტობა რელიგიური თვალსაზრისით. ქრისტიანული სარწმუნოება საუკუნეების განმავლობაში ქართველთა თვითობის განმსაზღვრელი მახასიათებელი იყო.

ქართველებში ძალიან მძლავრი იყო ისტორიული გამოცდილების ხსოვნა, იმის გაცნობიერება, რომ ქართულმა ერთობამ თავი დიდწილად ქრისტიანობით შეინახა და ქართველობა და ქრისტიანობა ერთმანეთს შეედგა ერთობის წევრთა ცნობიერებაში. საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურის მანიფესტაციის ერთადერთი სივრცე იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული სივრცე. ქრისტიანობაზე, როგორც საჯარო იდეოლოგიაზე, უარის თქმა, ყველა კულტურულ საყრდენს გამოაცლიდა ქართულ იდენტობას [ჩხარტიშვილი მანია, 2011: 330]. ამგვარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა XIX ს-ის მეორე ნახევარში მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიცია. აფხაზეთის ოსმალთაგან დაკავებამ გამოიწვია ამ მხარის გამაჰმადიანება, მაგრამ რუსეთთან შეერთების შემდეგ აქტიური მუშაობა გაჩაღდა ხალხის კვლავ ქრისტიანობაზე მოსაქცევად. მართალია, მართლმადიდებელ რუსეთთან ქრისტიანულ იდეოლოგიას საფრთხე არ ემუქრებოდა, თუმცა იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აცლიდა ქართულ იდენტობას, რაც გამოვლინდა რელიგიური ისტორიული მემკვიდრეობის ადგილებისა და ისტორიული მემკვიდრეობის კვალის წაშლის ინტენსიურ მცდელობა-განხორციელებაში. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „ნაციის (ერის) დამახასიათებელი მემკვიდრეობის ღირებულებათა, სიმბოლოთა, მახსოვრობათა, მითთა, ტრადიციათა სახეების კვლავწარმოებასა და რეინტერპრეტაციას და ამ სახეებთან და მემკვიდრეობასთან (მისი კულტურული ელემენტებითურთ) საკუთარი თავის იდენტიფიკაციას“ [სმითი, 2004: 42].

აფხაზეთში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესწავლას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია ჯ. გამახარია [გამახარია, 2005], ი. გელენავას [გელენავა, 2011: 35-61], ნ. პაპუაშვილის [პაპუაშვილი, 2005], თ. ბიბილურის [ბიბილური, 2007:146-169], ს. ვარდოსანიძის, ი. ბასილაძე, თ. მაჭავარიანის [ბასილაძე, მაჭავარიანი, 2012: 56-61], ნ. ნაჭყებია [ნაჭყებია, 2006] და ნ. გულუას [გულუა, 2012] ნაშრომები. კვლევებში წარმოდგენილია, თუ როგორ უწყვეტდნენ წინააღმდეგობას რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას „მწყემსნი კეთილნი“. ცალკეული სასულიერო პირების მოღვაწეობას აფხაზეთში მიეძღვნა ჯ. გამახარია [გამახარია, 2006^ა; გამახარია, 2006^ბ; გამახარია, 2006^გ; გამახარია, 2007] და ს. ვარდოსანიძის [ვარდოსანიძე, 2009] გამოკვლევები. მე შევეცდები განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომით გავაანალიზო ბეჭდური მედიის („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცლის“) პუბლიკაციები. მასალებზე დაყრდნობით დავაკვირდები რელიგიური ისტორიული მემკვიდრეობის მდგომარეობას აფხაზეთში. გამოკვლევაში ძირითადად ყურადღებას გამამახვილებ საზოგადოებრივ აღქმებზე, მახსოვრობაზე, სიმბოლოებზე.

რელიგიური ისტორიული მესხიერების რეპრეზენტაციის თვალსაზრისით საინტერესოა „ცნობის ფურცლის“ სტატია „აფხაზეთში. სოხუმიდან გაგრამდე“ (მგზავრის შენიშვნები). წერილების სერიაში საუბარია ფსირცხაზე, სადაც პირველ საუკუნეში უქადაგია ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულს და სიმონ კანანელს. საყურადღებოა ისიც, რომ ფსირცხა დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენიებულია სამეფოს დასავლეთ საზღვრად. ამ ისტორიულ ტაძარს უკანასკნელ ხანს რუსი ბერები დაეპატრონენ და ფსირცხას ახალი ათონი დაარქვეს [„ცნობის ფურცელი“, 1903, №2343]. ამავე დროს, წერილის ავტორი საუბრობს ლიხნის სასახლის კედლებზე, როგორც განსაკუთრებულ ისტორიულ ძეგლებზე, რომელიც არის აფხაზეთის დამოუკიდებლობის და აფხაზთა ძლიერების მოწმე. აქვე მთავრის ნასახლარის გვერდზე XI ს-ის ლიხნის ტაძარს აღწერს და ტაძრის სიძველის დამადასტურებელ წარწერებზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი. ტაძარი მხატვრობით და საეკლესიო ნივთებით მდიდარი არ ყოფილა. ჟამთა ვითარების გამო განადგურებულა კედლის უძვირფასესი მხატვრობა და დაკარგულა საეკლესიო ნივთები. შემორჩენილი საეკლესიო ნივთების სიძველე საუკუნე, საუკუნე-ნახევარს არ სცილდებოდა. ამ ნივთების შემონახვას აქაური მღვდლის, ივანე გეგიას, დამსახურებად მიიჩნევს და ხაზგასმით აღნიშნავს მის ღვაწლს ქრისტიანობის გავრცელების თვალსაზრისით [„ცნობის ფურცელი“, 1903, № 2309; №2356]. კორესპონდენციიდან საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორი ახდენდა მკითხველებში რელიგიური მესხიერებისა და ისტორიული მესხიერების ადგილების გააქტიურებას, რითაც ხელს უწყობდა რელიგიური იდენტობის შენარჩუნებას.

რუსული მმართველობის დამყარებით, მართალია, შემცირდა ქრისტიანობის, როგორც საჯარო იდეოლოგიის მიმართ, საფრთხე უცხო რელიგიური იდენტობის მხრიდან, მაგრამ მართლმადიდებელი რუსეთის მიერ ქართული რელიგიური იდენტობისთვის კულტურული საყრდენის გამოცლის არაერთ მაგალითს ვხვდებით ბეჭდურ მედიაში; მათ შორის აღსანიშნავია იმ გამოგზავნილი მისიონერი ბერების საქმიანობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა - განემტკიცებინათ ქრისტიანული მრწამსი ხალხში [„დროება“, 1883, №212]. „დროება“ იუწყება, რომ მისიონერი ბერების გამოგზავნას აპირებდა ხელისუფლება ფიჭვის მთის (პიცუნდა) მონასტერშიც მონასტრის განსახლებლად.

„ფიჭვის მთის მონასტერი ეკუთვნის იმ გუნდსა ძველის მონასტრებისას საქართველოში, რომელთა შემწეობით განათლებული მხილველი აღადგენს ხოლმე წარსულ ცხოვრებას ხალხისას, ნაშინი ძველის მხატვრობისა კედლებზედ (ფრესკები) და არქიტექტურა განაცხოველებენ საუკუნეებში ჩამარხულს კულტურას ქვეყნისას, ამ საშუალებით დაწინაურებულ ქვეყნებში ხალხურ ზღაპრებიდამ გამოიკვლევენ ხოლმე სიმართლეს, ლეგენდას ხდიან ისტორიად და ხალხს გააცნობენ მის წარსულს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველს მონასტრებში ამ ნაირს ხელობას ვერ გამოიჩინენ რუსის ბერები და „განახლება“ მონასტრისა ის იქნება მხოლოდ, რომ ნანგრევს ალაგს აგურს დაუმატებენ და კედლებს კირით შელესვენ. დიად, თეთრი და სუფთა გამოვა, მაგრამ იმ კირის ქვეშ დაიფლება უკანასკნელი ნაშთი ძველის ხელოვნობისა და კულტურისა და ამ სახით, შეიძლება, წინამორბედი მისიონერი ქრისტიანობისა გამოდგენ ცივილიზაციის შემბლაღველად, როგორც მოხდა ეს მცხეთის ტაძარში“ [„დროება“, 1883, №215].

როგორც ამონარიდიდან ჩანს, რუსული მმართველობა განადგურებით ემუქრება ქართველთა წმინდა ნაშთებს (ძველ მხატვრობას და არქიტექტურას) რელიგიური მესხიერების ადგილებისას, იმ ადგილებისა, რომლებსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეწყვეტილი რელიგიური მესხიერების აღდგენაში, ვინაიდან მათში დაცულია უძვირფასესი ინფორმაციები უწყვეტობის ხაზის გასავლებად. ასეთი ნაშთებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულებითა და მისიონერი მამების აღმამფოთებელი საქმიანობის კორესპონდენციით მივიქცევ მკითხველის ყურადღებას. საგანგებოდ გამოგზავნილ მისიონერ მამებს გადაუთეთრებიათ ისტორიული წარსულის ცოცხალი მეტყველი ფრესკები და არქიტექტურა ათონისა და ბიჭვინთის მონასტერში.

როგორც ვხედავთ, კორესპონდენციით ავტორი მკითხველებში ცდილობს გააღვივოს ეროვნული სენტიმენტები იდენტობის შესანარჩუნებლად, ვინაიდან ისტორიული მესხიერების ადგილების გაქრობით ისპობა ამ კულტურის შემქმნელი ერის არსებობა. ამიტომაც ისტორიული მესხიერების მნიშვნელოვნობაზე საუბრით თავის მკითხველებს მოუწოდებს კულტურული ძეგლების დაცვისაკენ.

თ. ჟორდანიას წერილი „მოქვის (აფხაზეთი) ეკლესიის ომოფორი ისტორიული წარწერებით“ კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, თუ როგორ საგანგებოდ „ზრუნავდა“ რუსეთის მთავრობა ქართული კვალის გაქრობაზე აფხაზეთში. მოქვის დიდებული ტაძარი, რომელიც აუშენებია აფხაზეთ-საქართველოს მეფე ლევანს 957 წლის ახლო დროებში, 1865 წ., უკანასკნელ აფხაზთა მთავრის დროს, განუახლებიათ.

„ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გააფუჭეს ეს ტაძარი; ფერად-ფერადი მარმარილოსაგან გაკეთებული მისი იატაკი სრულიად შეიმუსრა; ძვირფასი მარმარილოს სვეტები დაამსხვრიეს, ხოლო ფასდაუდებელი მოზაიკით (სოფიოს კენჭით) მხატვრობა მისი საუკუნოდ გააჭრა... უჩინო იქმნენ აგრეთვე ქართულნი წარწერანი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ქართულის მოძულე მეცნიერთა (უკეთ რომ ვსთქვათ, უმეცართა) წრეს საბაბი მისცა ბუკი ნაღარით გამოეცხადებინათ, ვითომ მოქვის ტაძარი ქართული ხელოვნება არ იყოს, ვითომ აფხაზეთში ქართული კულტურის გავლენა არ ყოფილიყო. ამისთანა გვამნი ქართულ წარწერას თუ სადმე მოახელებდნენ, ჰშლიდნენ, რყვინდნენ და კედლებზე ჯაბნიდნენ ბერძნულ წარწერათა...“ [„ივერია“, 1902, №92].

ავტორი გვაწვდის ინფორმაციას სამეგრელოში მიმოფანტული მოქვის ტაძრის სიწმინდეების შესახებ იმის დასტურად, რომ მოქვში და მთელ აფხაზეთში ქართული კულტურა ყოფილა გავრცელებული და ქართული ენა გამეფებული. 1890 წელს ავტორს გულდაგულ დათვალიერებისას აღმოუჩინია სამრეკლოდან ჩამოვარდნილი ქვის ნატეხი XV ს-ის დასასრულის ასომთავრული წარწერით, რომლის მიხედვით სამრეკლო მოქველ მთავარებისკობოს გრიგოლ მაგძინიძეს აუშენებია. სამეგრელოს ტაძრებში თვითონ ავტორს უნახავს მოქვის ტაძრის კუთვნილი ხატები და ჯვრები ქართული წარწერებით. მარტვილში აღმოჩნდა მოქვის კუთვნილი 1300 წელს დაწერილ-დახატული ქართული სახარება, აგრეთვე სხვა წიგნები: დავითნი, გულანი და სხვა. ეს ყველაფერი იმის დასტურია, რომ მოქვში და მთლიანად აფხაზეთში ქართული კულტურა ყოფილა გავრცელებული და ქართული ენა გამეფებული. აქვე აქვეყნებს ილორის ტაძრის კუთვნილი სიწმიდის - მოფორის - შესახებ ინფორმაციას და მასზე მოცემულ ასომთავრულ წარწერებს [„ივერია“, 1902, 92].

ამგვარი პუბლიკაციების გამოქვეყნება აუცილებლობით იყო განპირობებული. თ. ჟორდანიას ქართული კულტურის მონაპოვრების რეპრეზენტაციით კულტურული კავშირის უწყვეტობას ადასტურებს აფხაზეთში. ამით ამსხვრევს უცხო იდენტობის მიზნებს და ხელს უწყობს მოსახლეობის გაერთიანებას ქართული კულტურის გარშემო, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს გარედან ემუქრება საფრთხე.

რელიგიურ-ისტორიული მესხიერების თვალსაზრისით საინტერესოა დაბა გუდაუთის ს. აჭანდარას შესახებ ცნობები. ამ სოფელში 250 კომლიდან მხოლოდ 15 ყოფილა ქრისტიანი, დანარჩენი მაჰმადიანი იყო. აღსანიშნავია, რომ მათაც მიუღიათ ქრისტიანობა, მაგრამ შემდეგ მაინც გამაჰმადიანებულან და ქრისტიანობას სიძულვილის თვალთ უყურებდნენ. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმინდად შეუნახავთ დიუდურუბის ძეგლის ხსოვნა. დიუდურუბის ძეგლი რამდენიმე ასეული წლის წინ მდებარეობდა ამავე სახელწოდების მთაზე, რომლის ძირში განფენილი ყოფილა ს. აჭანდარა. „მას შემდეგ, რაც ის დაინგრა, მისი ნანგრევები ძეგლად დარჩენილა, რომელსაც აფხაზები ეხლაც თაყვანს სცემენ. თვით ის ადგილი, სადაც არის ნანგრევი ძეგლის ეკლესიისა, აფხაზებს წმიდა ადგილად მიაჩნიათ და არც ერთი აფხაზი იქ ასვლას არ გაბედავს“. რადგან აფხაზები ვერ ბედავდნენ წმინდა ნანგრევის მოლოცვას, დაბლა მოუწყვიათ მსხვერპლშეწირვის ადგილი, სადაც დიდი მუხა და ქვა იყო. ქვაზე გამოსახული ყოფილა ღვთისმშობელი, რომელმაც იღებდნენ ფიცს აფხაზები. იმ ადგილს, სადაც ძეგლის ეკლესიის ნანგრევები იყო, აფხაზურად ეძახდნენ „ანიბს ნახო დიუდურუბ“, რაც ქართულად ნიშნავს „აფხაზეთის ძლიერი ხატი დიუდურუბში“. ძეგლის მეთვალყურეობა ძველი დროიდან ჩიჩებების გვარს ჰქონია. მთელი წლის განმავლობაში აფხაზები როგორც მაჰმადიანები, ისე ქრისტიანები დღესასწაულობენ მხოლოდ ახალ წელს და აღდგომას. აღდგომას წითელი კვერცხით და პასქით ეგებებიან. ეს ქრისტიანობის ნაშთი შერჩენიათ აფხაზებს [„ივერია“, 1902, №68].

აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პოლიტიკურ ვითარებას არ ძალუძს წაშალოს იდენტობის რელიგიური ისტორიული მესხიერებისა და მესხიერების ადგილების ხსოვნა.

იმპერიული მმართველობა თუ, ერთი მხრივ, ქართული იდენტობისთვის კულტურული საყდენის გამოცლას ისტორიული მესხიერების ადგილების წაშლით ცდილობდა, მეორე მხრივ, ენობრივი იდენტობის მოშლით ანადგურებდა რელიგიურ იდენტობას. განსაკუთრებულ წნეხს განიცდიდა ენა, როგორც იდენტობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, ვინაიდან იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მტკიცე ეროვნული ერთობის შექმნაში.

შიდაჯგუფურ კოჰეზიას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ენის კომუნიკაციური ფუნქცია. ენა, როგორც ასეთი, იძლევა არა მარტო კულტურის მონაპოვრების, არამედ სოლიდარობის სენტიმენტებისა და იდეოლოგიების ცირკულაციის საშუალებას. ამგვარად, ენა ხელშემწყობ ვითარებას ქმნის ჯგუფის ჰომოგენურობისა და ექსკლუზიურობისთვის. ამასთან ერთად, ენას აქვს სიმბოლური მნიშვნელობაც, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრების თვითაქმას, მათ მიერ იმის განცდას და რწმენას, რომ მშობლიური ენა განსაკუთრებულია, საღვთოა, კურთხეულია და ა.შ. ორივე ეს ფუნქცია ხში-

რად თანაარსებობს, თუმცა ერთი და იგივე რომ არაა, კარგად ჩანს მაშინ, როცა ენას საკომუნიკაციოდ აღარ იყენებენ (ან იყენებენ ძალიან შეზღუდულად), მაგრამ იგი მაინც გვევლინება შიდაჯგუფური კონსოლიდაციის ფაქტორად, როგორც საერთო ფასეულობა ამ ჯგუფისთვის (ედვარდსი). ამდენად, ენა არა მარტო კომუნიკაციის, არამედ კულტურული მონაპოვრების გავრცელების საშუალებაა. ე.ი. ენა ხელს უწყობდა რელიგიური ისტორიული მესიერების გავრცელებას, შესაბამისად, ენისთვის ბრძოლა თვითობის სხვა მახასიათებლებისთვის, ამ შემთხვევაში რელიგიური მესიერების შენარჩუნებისთვის, ბრძოლის ტოლფასი იყო.

ამიტომაც დაიწყო საგანმანათლებლო სივრცის შეურიგებელი რუსიფიკაცია, რამაც უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო ქართული სასწავლებლები. გამონაკლისს არც სასულიერო სასწავლებლები წარმოადგენდა. რეჟიმმა ქართული ენის სწავლება ამოიღო სასულიერო სასწავლებლებიდან, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, ვინაიდან სასწავლებელს უნდა აღეზარდა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრები. ამის გამო საზოგადოებას უბრუნდებოდა ეროვნულ ცოდნას მოკლებული მოძღვარი, რომელიც თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. ასეთი დამლუპველი შედეგი მოგვცა ჩვენში კათალიკოსობის გაუქმებამ და ეგზარქოსობის შემოღებამ. იმ დროიდან დაარსდა ჩვენში სასულიერო სასწავლებლების ნაცვლად სქოლასტიკური (ანუ ფორმალური) ბერძნულ-ლათინური სემინარიები. ჩვენი ქვეყნის სასულიერო საქმეების წარმართველად დაინიშნა უმაღლესი სინოდი, რომელმაც რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა ჩვენი სემინარიები და სასულიერო ახალგაზრდობა დააყენა გადაბირების გზაზე.

XIX ს-ის 60-იან წლებში ეგზარქოს ევსევის შეუნიშნავს, რომ ქართველი მღვდლები არამცთუ ვერ აღავლენდნენ ქადაგებას ქართულ ენაზე, არამედ საეკლესიო წიგნებს ბორძიკით კითხულობდნენ და წინადადება წამოუყენებია თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების თაობაზე, თუმცა მთავრობისგან უარი მიუღია [„ივერია“, 1882, №2]. შემდგომში აფხაზეთის ახლად დანიშნულ ეპისკოპოს გენადის დაუსვამს ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადების საკითხი, რათა მათ თავიანთი წვლილი შეეტანათ ხალხის განათლების ამალგებაში („ივერია“, 1887, №94). თუმცა ეს საკითხიც იმპერიულ პოლიტიკას დაექვემდებარა. გადაწყდა აფხაზეთის კადრების რუსულ სასწავლებლებში მომზადება იმ განზრახვით, თითქოსდა ამით მთავრობა ეხმარებოდა აფხაზეთის ზნეობრივ და ეკონომიკურ დაწინაურებაში — ამ მხრივ სასოფლო მეურნეობის და ბაღოსობის შესწავლაში [„ივერია“, 1894, №149]. სინამდვილეში, გაძლიერებული მისიონერული საქმიანობა ჰქონიათ განზრახული რუსული ენის გასავრცელებლად.

ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივ აქტივობებს, რომელთაც უნდა გაერღვია საზოგადო საქმის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენდა ქართველებით დასახლებულ სოხუმში ნინოების დღესასწაულზე წირვა-ლოცვის მშობლიურ ენაზე აღვლენის² უფლების არქონა, მაშინ, როდესაც ყაზანის ორიოდ ქართველისთვის ქართულად შეუსრულებია წირვა-ლოცვა მღ. ბ. ხელაიას. „საზოგადოდ ჩვენ, სოხუმელებს, საერთო, არა საპირადო საქმეებისთვის არა გვცალიან, მაშინ გვძინავს, გვძინავს საღათას ძილით“ [„ივერია“, 1898, №48].

იდენტობრივი მახასიათებლების გადასარჩენად ბრძოლის ამგვარი სამაგალითო მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდების მკითხველთათვის მიწოდებით ბეჭდური მედია ცდილობდა ინდიფერენტული მოსახლეობის გამოფხიზლებას. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორის არქიმანდრიტ ამბროსი³ კავკასიის [„ივერია“, 1890, №91, №103, №114], დეკანოზ დავით მაჭავარიანის [„ივერია“, 1894, №253], ოჩამჩირის ბლალოჩინ, მამა იოანე კერესელიძის [„ივერია“, 1898, №200], ბლალოჩინ დიმიტრი მარღანიას მოღვაწეობა [„ივერია“, 1898, №218], რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით გამაჰმადიანებული აფხაზების გაქრისტიანებაში.

¹ ედვარდსის ამ ხედვას ვიმოწმებ ჩხარტიშვილი მანიას ნაშრომიდან [ჩხარტიშვილი მანია, 2010: 472-483].

² როგორც ჩანს, არაერთგზის მიმართვას შედეგი გამოუღია და წლის ბოლოს (1898 წ.) უკვე გაზეთი სასიხარულო ინფორმაციას აწვდის თავის მკითხველებს — სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა მიიღეს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენის ნებართვა [„ივერია“, 1898, №273].

³ არქიმანდრიტი ამბროსი კავკასიიქ მთავრობას 1890 წლის 1 მარტს დაუნიშნავს ქრისტიანობის აღმადგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და მისიონერად გურიის, აფხაზეთის, სამურზაყანოს, სვანეთის და ახალციხის მაზრაში [„ივერია“, 1890, №114].

რელიგიური თვალსაზრისით სამწუხარო ვითარებას ასახავს წერილი „მდგომარეობა მართლ-მადიდებლობისა საქართველოს საეგზარქოსოში“. ამ სათაურით დაბეჭდილია ჟურნალ „Церковный Вестник“-ში უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის (საუბარია კონსტანტინ პობედონოსცევი⁴ — ქ.მ.) 1894 და 1895 წლების ანგარიშებიდან საქართველოს ეპარქიებში მართლმადიდებელთა სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობები. საქართველოს ოთხ ეპარქიაში — ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიაში – „**სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ხალხოსნობის ერნი: რუსები, ქართველები, ოსები, მეგრელები, ახხაზები, ფშავლები, ხევსურები, თუშები და სხვა-და-სხვა წვრილმანნი ერნი...**“ (კურსივი ჩემია — ქ.მ.). შემდგომ მოცემულია თითოეული მათგანის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დახასიათება. ჩემი მიზნებიდან გამომდინარე წარმოვადგენ აფხაზების შესახებ მოცემულ ცნობებს:

„ახხაზები და მეგრელები. სარწმუნოებას ძალიან გულ-ცივად ეპყრობიან და არც ერთმა მათგანმა პირველ-დაწყებითი ჭეშმარიტებანიც სარწმუნოებისა არ იცის, ეკკლესიებში იშვიათად დადიან, აღსარებისა და ზიარების მოვალეობას გულ-მოდგინედ არ ასრულებენ... ამის გარდა, ახხაზებს არეული აქვთ მაჰმადის და წარმართთა სწავლა სარწმუნოებაში, თაყვანის-ცემა მუხის ხეებისა, მათ მიმართ მსხვერპლის შეწირვა... მართლ-მადიდებელნი აფხაზნი ქორწინებასაც ძალიან სუბუქად ექცევიან. ქალწულთა ქალთა ყმაწვილის კაცებისაგან გატაცებას და მასთან უკანონოდ ცხოვრებას, ხშირად ახლო ნათესავებთანაც-კი, აფხაზთა შორის შეადგენს მკვიდრს ჩვეულებასა. ველურის და უზნეო ჩვევათაგან აფხაზთა შორის უნდა ჩაითვალოს სისხლის ძიება და ცხენის ქურდობა, რომელიც დანაშაულად არ მიაჩნიათ, ეს ჩვეულება ვაჟკაცობად აქვთ მიჩნეული, სისხლის ძიება საღმთო ვალად“ [„ივერია“, 1898, №225].

ამონარიდი რელიგიური ვითარების ასახვასთან ერთად იძლევა პირდაპირ მინიშნებას, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს შემდგომში მოვლენები. ანგარიშებში აშკარად ვლინდება რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის მიზნები, რაც ჩანს ქართული რეგიონული იდენტობების — იმერლების, მეგრელების, აფხაზების, ოსების, ფშავლების, თუშების _ სხვა-დასხვა ხალხოსნობის ერებად დასახელებაში. საქართველოს რეგიონულ იდენტობებად დანაწევრებით „ახალ“ რელიგიურ ისტორიულ მეხსიერებას ქმნიდა რუსეთის ხელისუფლება, რაც ადვილად მიღწევადს ხდიდა იმპერიულ მიზნებს.

ამრიგად, ქართული ინტელიგენცია იდენტობისთვის რელიგიური მახასიათებლის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, ბეჭდური მედიის საშუალებით აქტიურ საუბრებს მართავდა მკითხველებთან რელიგიური ისტორიულ მეხსიერებაზე და მეხსიერების ადგილებზე და ქართული კულტურის ძეგლების, მათ შორის რელიგიური მეხსიერების ფაქტების აქტიური რეპრეზენტაციით ადასტურებდა საერთო ქართული კულტურის ისტორიულ არსებობას აფხაზეთში, რითაც ამსხვერვდა უცხო იდენტობის მიზნებს და ხელს უწყობდა მოსახლეობის გაერთიანებას ქართული კულტურის გარშემო. მეორე მხრივ, რელიგიური მეხსიერებისა და მეხსიერების ადგილების გადარჩენა/დაცვისთვის ბრძოლა უკავშირდებოდა სხვა იდენტობრივ მახასიათებლებს, მაგალითად, ენობრივი იდენტობის გადარჩენისთვის ბრძოლას. ვინაიდან ენა არა მარტო კომუნიკაციის, არამედ მეხსიერების გავრცელების მთავარ საშუალებაა, ამიტომაც დაიწყო შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძოლა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად.

ამგვარი აქტივობებით ბეჭდური მედია ცდილობდა ინდიფერენტული მოსახლეობის გამოფხიბლებას და საერთო დარაზმულობას რელიგიური იდენტობის დასაცავად.

⁴ კონსტანტინ პობედონოსცევის სინოდის ობერპროკურორის თანამდებობა დაუკავებია 1880 წელს [„მწყემსი“, 1889 №11: 2].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე იმერ, მაჭავარიანი თინათინ, *სასულიერო განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, N12 თბ., 2012. გვ. 56-61.
2. ბიბილური თამაზ, *აფხაზეთის პრობლემები და ქართული პრესა (1870-1900-იანი წლების გაზეთების „დროებისა“ და „ივერიის“ მიხედვით)*. კრებული: *აღმაშენებელი*, 2, თბ., 2007, გვ. 146-169.
3. ვარდოსანიძე სერგო, *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.)*, თბ., ნათლისმცემელი, 2009.
4. გამახარია ჯემალ, *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. — 1921 წ.)*, თბ., 2005.
5. გამახარია ჯემალ, *წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი*. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ, თბ., 2006^ა.
6. გამახარია ჯემალ, *წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი*. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006^ბ.
7. გამახარია ჯემალ, *წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი*. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006^გ.
8. გამახარია ჯემალ, *წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი*. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006^დ.
9. გამახარია ჯემალ, *წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ჭიქოძე) და აფხაზეთი*. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2007.
10. გელენავა ირაკლი, *აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის ისტორიისათვის*. კრებულში: *რუსიფიკატორული პოლიტიკა და ეთნოლინგვისტური ვითარება აფხაზეთში XIX — XXI სს.*, თბ., უნივერსალი, 2012.
11. ლორთქიფანიძე მარიამ, *აფხაზები და აფხაზეთი*, თბ., მერიდიანი, 2012.
12. ნაჭყებია ნათია, *აფხაზეთის პრობლემეტიკა XIX საუკუნის ქართულ პრესაში*, თბ. 2006.
13. პაპუაშვილი ნუგზარ, *ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“*. გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბ., კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, 2005.
14. როგავა გივი, *რელიგია და ეკლესია აფხაზეთში*, თბ., 2004.
15. სმითი ენტონ, *ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა, თბ., 2004.
16. ჩხარტიშვილი მარიამ, მანია ქეთევან, *ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანასა და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში*. *ენა და კულტურა, შრომები*, 1, ქუთაისი, 2010, გვ. 472-483.
17. ჩხარტიშვილი მარიამ, მანია ქეთევან, *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში; „ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო*, თბ., უნივერსალი, 2011.

KETEVAN MANIA

Tskhum-abkhazeti- Academy of Science

**RELIGIOUS HISTORICAL MEMORY IN APKHAZETI
BY PRINTING MEDIA REPRESENTATION**

(DROEBA, IVERIA, TSNOBIS PURTSELI)

SUMMARY

The research, by the printing media analyze, represents Georgian Intelligentsia's ideological struggle for saving the religious identity. On one hand, using printing media recourses, Georgian publicists conducted active talks to the readers about religious historical memory, places of memory and by active representation of monuments of the Georgian culture including religious memory facts, were proving historical existence of common Georgian culture in Apkhazeti. Hereby, they were destroying purpose of foreign identity and were supporting unifying of population around Georgian culture. On the other hand, struggle for saving/protecting religious memory and places of memory was connected to the struggle for saving other identity characteristics, like linguistic identity. As far as a language isn't only a method of communication but represents the main mean of spreading memory, that is why implacable fight against protecting national status of the Georgian language had begun.

Using these kind of activities, printing media was trying to awake indifferent population and unify them to protect religious identity.

მანია აკვილაძე

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ალექსანდრე ჭავჭავაძის ხელნაწიები ახალი რეპერტუარით აკადემიური გამოცემისთვის

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება დიდი ხანია მეცნიერთა და ლიტერატორთა კვლევის საგნად ქცეულა. თუმცა ამ დიდი რომანტიკოსი პოეტისა და მთარგმნელის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემა ჯერ არ მომზადებულა. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა საცავებში სხვათა, ა. ჭავჭავაძის თანამედროვეთა თუ შემდგომი პერიოდის გადაწერთა, მიერ შესრულებული წყაროები ბევრად მეტია, ვიდრე ავტოგრაფები, არსებული მასალა საშუალებას იძლევა, მკითხველს მიეწოდოს შემოქმედის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა. დღემდე არსებობს პოეტის შემოქმედების სამეცნიერო ტიპის გამოცემები — ი. გრიშაშვილის მიერ 1940 წელს შედგენილი „ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი“ და ი. კენჭოშვილის მიერ 1986 წელს გამოცემული „ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებები“. ეს ორი წიგნი ხასიათდება ღრმა კვლევებითა და სამეცნიერო სიახლეებით, თუმცა ისინი აკადემიური გამოცემის მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. როდესაც ა. ჭავჭავაძის შემოქმედების აკადემიურ გამოცემაზე მუშაობა დაიწყება, ზემოაღნიშნული ორი წიგნი სხვა კვლევების გვერდით ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ტექსტოლოგ-გამომცემლებს.

ა. ჭავჭავაძის ხელნაწერები, ავტოგრაფები და ასლები საქართველოს მრავალ საცავშია განთავსებული. ჩვენ ამ წიგნში ძირითადად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მასალას შევხებით.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწარმოებების სამეცნიერო გამოცემებში გამოყენებულია დაახლოებით 360 ხელნაწერი წყარო, რომელთაგან 292 ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ჩვენ მიერ ჩატარებულმა სამუშაომ ცხადყო, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ა. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა 800-ზე მეტი ხელნაწერი წყარო მოიპოვება. მართალია, მათგან ნაწილი მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის უცნობი პირების მიერ გადაწერილ ლექსთა კრებულებშია შეტანილი და მათი პირდაპირ წყაროებად მიჩნევა საეჭვოა, მაგრამ ბევრი ისეთი კრებულიც ინახება ცენტრის კოლექციებში, რომელთა უგულებელყოფა კლასიკოსის აკადემიური გამოცემის შედგენისას არ შეიძლება.

ჩვენ მიერ განსახილველი მასალებიდან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია შემდეგი კოლექციები: **A აღწერილობა** — ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექცია 5 ტომად (მოიცავს ცხრა წიგნს), **H აღწერილობა** — საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია 6 ტომად, **S აღწერილობა** — ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექცია 7 ტომად, **Q აღწერილობა** — ქართულ ხელნაწერთა კოლექცია 2 ტომად.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ზემოთ ჩამოთვლილი აღწერილობების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ არსებობს რამდენიმე კრებული, რომლებშიც შეტანილი ლექსები არც ერთ ჩვენ მიერ აღნიშნულ სამეცნიერო გამოცემაში წყაროებად არ არის მოხსენიებული. ეს კრებულები ჩვენ ორი ნიშნის მიხედვით გამოვყავით: **ა) მეტად ყურადსაღები კრებულები**, რომლებიც, როგორც წყაროები, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემისას (ესენია ძირითადად XIX საუკუნის ოთხმოციან წლებამდე დათარიღებული კრებულები) და **ბ) ნაკლებად ყურადსაღები კრებულები**, რომლებიც აკადემიურ გამოცემაში წყაროებად არ გამოდგება, მაგრამ მათი სრული იგნორირება არ

მოხდება, რადგან მათში შემავალი ესა თუ ის წყარო ტექსტის დადგენისა თუ ატრიბუციაზე მუშაობისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს (ესენია ძირითადად გაურკვეველ პირთა მიერ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გადაწერილი კრებულები):

ა) მეტად ყურადსაღები კრებულები

- 1) A-1408: XIX საუკუნის ა. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულია, რომელშიც შესულია პოეტის 49 ლექსი და 3 ნათარგმნი ლექსი;
- 2) A-1753: XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ალ. ცაგარელის ხელით შედგენილი კრებულია, რომელშიც შეტანილია ა. ჭავჭავაძის 8 ლექსი. აქედან ლექსი „ძალა სიყვარულისა“ („სიყვარულო, ვინ არს...“) (გვ. 45) დამახინჯებით არის გადმოცემული და ქვევით მიწერილი აქვს „თ. გ. ორბელიანი“;
- 3) H-101: 1858 წლის ქართული სიმღერების კრებულია „ალედადა“ (სხვადასხვა გადამწერი), რომელშიც ა. ჭავჭავაძის 26 ლექსია;
- 4) H-935: 1860 წლის კრებული „ქართული სიმღერები“, გადამწერი პეტრე უმიკაშვილი;
- 5) H-1103: 1820-1830 წლებში გიორგი ავალიშვილის მიერ შედგენილი ანთოლოგია;
- 6) H-1132-ა: 1859 წლის ლექსთა კრებული;
- 7) H-1176-ბ: 1860 წლის კრებული;
- 8) H-2056: 1843 წელს ნინო ქობულავას მიერ გადაწერილი ლექსთა კრებულია, რომელშიც ა. ჭავჭავაძის მხოლოდ ერთი უსათაურო ლექსია „ვარდო, რათ ხარ თავდახრილი“ (ეს „ვარდი და ბულბულია“ — მ. ა.) შეტანილი (გვ. 136v);
- 9) Q-27: 1868 წელს სოფიო მაყაშვილის საკუთრებაში მქონე ალბომი ა. ჭავჭავაძის 13 ლექსით;
- 10) Q-28: XIX ს-ის კრებული გიორგი ანდრონიკაშვილის ოჯახიდან ა. ჭავჭავაძის 3 ლექსით;
- 11) Q-318: XIX ს.-ის ლექსთა კრებული (შემდგენელი იოანე, მღვდელი ბარნაბიშვილი) სამი განყოფილებით, რომელთგან პირველში ა. ჭავჭავაძის 17 ლექსია მოთავსებული;
- 12) Q-620: 1829 წლის ლექსთა კრებული;
- 13) S-1512: დავით რექტორის მიერ შედგენილი ანთოლოგია (1821-1823);
- 14) S-1534: ლექსთა კრებული „სიმღერათ რაზმი ლექსად ნაკაზმი“, შედგენილია 1830-იან წწ.-ში და მასში შესულია ა. ჭავჭავაძის 32 ლექსი;
- 15) S-1576-ბ: 1860 წლის კრებული;
- 16) S-2519: ივანგულ ივანგულოვის 1877 წლის კრებული, რომელშიც ა. ჭავჭავაძის 17 ლექსი შედის;
- 17) S-2531: 1871 წლის კრებული, გადამწერი გ. კირვალიძე;
- 18) S-2533: 1829-1832 წლის კრებულია ა. ჭავჭავაძის 1 უსათაურო ლექსით „შენთან არს გული...“ (გვ. 8 r, 9r);
- 19) S-5131: XIX ს-ის I ნახევრის ანთოლოგია, გადამწერი [სვიმონ ტაბიძე] და სხვ.

ბ) ნაკლებად ყურადსაღები კრებულები:

- 1) A-1676-ა: გაურკვეველი წარმოშობის კრებული;
- 2) A-1676-ბ: გაურკვეველი წარმოშობის კრებული;
- 3) H-2898: XIX ს-ის ლექსთა კრებული;
- 4) Q-30-ა: XIX-XX სს.-ის კრებული გიორგი ანდრონიკაშვილის პირადი არქივიდან;
- 5) S-2385: XIX ს-ის II ნახევრის კრებული, გადამწერი დავით ამირიძე — მოურავი;
- 6) S-2455: XIX ს.-ის ულამაზო ხელწერით შედგენილი კრებული ალ. ჭავჭავაძის 3 ლექსით;
- 7) S-2723: XIX ს-ის კრებული;

- 8) S-4907: XIX ს-ის ა. ჭავჭავაძის ლექსების კრებული სხვადასხვა გადამწერის მიერ შედგენილი, რომელშიც შესულია პოეტის 107 ლექსი;
- 9) S-5079: XIX ს-ის კრებული ა. ჭავჭავაძის 60 ლექსით;
- 10) S-5081: XIX ს-ის კრებული;
- 11) S-5271: XIX-XX სს.-ის კრებული ა. ჭავჭავაძის 24 ლექსით და სხვ.

პირველ ყოვლისა, ჩამოვთვლით ზოგიერთი იმ ლექსის ხელნაწერს, რომლებიც ცენტრის კრებულებში ა. ჭავჭავაძის ავტორობით არის შესული, თუმცა ი. გრიშაშვილისა და ი. კენჭოშვილის მიერ შედგენილ სამეცნიერო გამოცემებში არ მოხვედრილა. ასეთებია: 1) უსათაურო ლექსი „აჰა, მოსულ არს აწ გაზაფხული...“ — № A-1408 (გვ. 2v). ამ ნომრით წარმოდგენილია XIX საუკუნის 32-ფურცლიანი რვეული, რომელშიც ა. ჭავჭავაძის 49 ლექსი და 3 თარგმანია შეტანილი; 2) № H-935 წარმოადგენს 1860 წლის ქართული სიმღერების კრებულს, რომელთა შემკრები და გადამწერი პეტრე უმიკაშვილია. აქედან: ა) ლექსი №59 უსათაუროა „შენ განვმორდნ[ა] ლხინი, შვება, სიამე, / ყველა წახდა, ნანვა-ლა მირჩენი მე...“ (გვ. 20v), რომელსაც აღწერილობაში შემდეგი ტექსტი უძღვის: „მონასტრის ბერისაგან თქმული აღ. ჭავჭავაძისაგან“ ბ) აქვეა უსათაურო ლექსი №94 „შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული, სევდამ უწყალოთ მიმართლა წყლული...“ (გვ. 32v); 3) გასათვალისწინებელია 1858 წლის სიმღერათა კრებული „ალედადა“ № H-101, რომელშიც ა. ჭავჭავაძის 26 ლექსია შეტანილი. აქედან ჩვენს ყურადღებას იქცევს ის სამი ლექსი, რომლებიც აღნიშნულ კრებულში ა. ჭავჭავაძის სახელითაა შეტანილი, ხოლო მათი ატრიბუციის საკითხი ბუნდოვანია. ესენია: ა) უსათაურო ლექსი №38 „ეს ცეცხლი რომ მეგრზნება / რად მკითხამ, როდის გაქრება?...“ (გვ. 42-43). სხვათა შორის, ეს ლექსი ა. ჭავჭავაძის ავტორობით შესულია XIX საუკუნის კრებულში № S-5081 (გვ. 39v) და XIX-XX სს. ლექსთა კრებულში № S-5271 (გვ. 8v); ბ) ვასილ ჟუკოვსკიდან ნათარგმნი ლექსი №93 „ოჰ, სოფელო! სად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?...“ (გვ. 112), გ) პუშკინიდან ნათარგმნი ლექსი №94 „ამა სოფელს დამშობიძეს მხოლოდ ესე სანატრელი...“ (გვ. 113,114); 4) №H-1103 1820-30-იან წლებში გიორგი ავალიშვილის მიერ შედგენილი ანთოლოგიაა, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ კრებული მეტად ყურადღებას ატრიბუციაზე მუშაობისას. ანთოლოგიაში ვხვდებით უსათაურო ლექსს „ბაგე-ვარდო, ნამით სუელნო, სუნნელთაგან მომჰსქუელნი...“ (გვ. 8r-v); 5) № S-1576-ბ 1860-იანი წლების კრებულია, რომელშიც ა. ჭავჭავაძის ავტორობით შესულია უსათაურო ლექსი „რომელთაგან მქონდა სიამე შვება, აწ მეცა მათ უქმენ თავშემოვლება...“ (გვ. 42-43). ეს ლექსი დავით რექტორსაც აქვს შეტანილი ანთოლოგიაში (1821-1823) (№S-1512, გვ. 312v, 313r); 6) №Q-30-ა წარმოადგენს კრებულს ანდრონიკაშვილის პირადი არქივიდან და თარიღდება XIX-XX საუკუნეებით. მასში შეტანილია უსათაურო ლექსი „გული ოხრავს და გეტრფის...“ (გვ. 350r); 7) დ. რექტორის ანთოლოგიაში (№S-1512, გვ. 122v) ასევე ა. ჭავჭავაძის ავტორობით გვხვდება ლექსი „თამარ მეფეს საფლავზედ ნათქვამი და დაწერილი“ („რა გავიზარდე, გავივსე, თავი ცათამდის გავიღე...“) და მრავალი სხვა. ზაქარია ჭიჭინაძე წერილში „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები“ (წერილი დაიბეჭდა ზ. მთაწმინდელის ხელმოწერით — მ. ა.) აღნიშნავს: „დავით რექტორს სხვადასხვა ლექსი აურევია თ. ჭავჭავაძის ლექსებში და არ მიუწერია ლექსების დასაწყისზე, თუ ვისია რა ლექსი“. წერილის ავტორი იქვე დასძენს, რომ დ. რექტორის ანთოლოგია 1823 წელსაა შედგენილი, ხოლო პოეტს ლექსების უმეტესობა 1833 წლის შემდეგ აქვს დაწერილი (გაზ. „დროება“, 1881, № 225, გვ. 2). ამ ანთოლოგიიდან ჩვენ მხოლოდ ის ლექსები წარმოვანინეთ, რომლებიც ა. ჭავჭავაძის სახელით არის შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექსები არც ერთ სამეცნიერო გამოცემაში არ მოხვედრილა, მათი ატრიბუციის საკითხზე სამომავლოდ, აკადემიური ტომეულების დაბეჭდვამდე, მაინც ღირს კიდევ ერთხელ კვლევის ჩატარება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებების დღემდე არსებულ გამოცემებში ლექსების მთელი რიგი წყაროებისა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კატალოგებიდან მითითებული არ არის. მაგ.: ლექსს „ჭრიჭინასათვის“ ცენტრის კატალოგების მიხედვით ემატება შემდეგი წყაროები: A-1408, A-1575-იც, H-130, S-5251, S-5271; უსათაურო ლექსს „შენის გონების სხივნი...“ ემატება A-1575-იე, A-1575-იც, A-1753, Q-30-ბ; უსათაურო ლექსს „ვარდო, რათ ხარ თავდახრილი...“ ემატება: H-2056, S-2526, S-2519 და ა.შ.

ყველაზე საინტერესო სიახლე, რასაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში წავაწყდით, ეს არის ა. ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ორი ტრაგედიის ნაწყვეტები ფრანგული ორიგინალიდან: 1) პიერ კორნელის „ედიპი“ (S-1364) — პროზაული თარგმანი, დაზიანებული. ტექსტი არ შესულა ი. გრიშაშვილისა და ი. კენჭოშვილის ზემოდასახელებულ გამოცემებში. ი. გრიშაშვილს ეს ხელნაწერი მხოლოდ ნახსენები აქვს რუბრიკაში „რედაქტორის შენიშვნები“ (გრიშაშვილი, 1940: 342); 2)

ფრანსუა-მარი არუე ვოლტერის „აღზირა“. ტექსტის ნაწყვეტს სათაურით „აღზირა“ ვხვდებით მხოლოდ ი. კენჭოშვილის გამოცემაში [კენჭოშვილი, 1986: 238], რომელშიც მითითებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის № S1673-ა (ავტოგრაფი) (იქვე: 312). ავტოგრაფი ი. გრიშაშვილს მოხსენიებული აქვს გამოცემის რუბრიკაში „რედაქტორის შენიშვნები“ (გრიშაშვილი, 1940: 342). ვოლტერის „აღზირას“ ა. ჭავჭავაძისეულ თარგმანს, გარდა ზემოთ აღნიშნული წყაროსი, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კიდევ რამდენიმე წყარო (ასლები) მოეპოვება. ესენია: S-1742, სათაურით „ზაირა“; S-5142 (1828 წლის რვეული), სათაურით „აღზირა“ (ტექსტი წყდება V მოქმედების X განცხადებაზე); H-567 (XIX ს.-ის რვეული) სათაურით „აღზირა ანუ ამერიკელი“. ზემოაღნიშნულ გამოცემებში მითითებულ ავტოგრაფში ტექსტის სათაურია „ტრაგედია აღზირისა და ზამორისა“. რასაკვირველია, ამ ხელნაწერების უფრო დაწვრილებითი აღწერა და პოეტის თარგმანების ტექსტები ისეთი სახით, როგორც ისინი შემონახულია დღემდე უთუოდ დაიბეჭდება რომანტიკოსის თხზულებების აკადემიურ გამოცემაში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში ჩვენი ყურადღება ასევე მიიქცია ა. ჭავჭავაძის ხელით გადაწერილმა ალექსანდრე ბესტიუჟევი-მარლინსკის რომანის „ღამე ხომალდში“ ტექსტის ხელნაწერმა, რომელსაც თავფურცელზე ა. ჭავჭავაძის დღემდე უცნობი ლექსი უძღვის მისივე ხელმოწერით [№S-5286, გვ. 2r]:

„... ხან აჩრდილნი მაცდუნებენ,
ხან ფოთოლნი შერხეულნი შრიალითა მცემენ ზრზენას,
ზოგჯერ ღამის სიწყვდიადე მამახვენებს გიშრის თმათა,
ზოგჯერ ცისა გაელვება ბროლის ფიცრის შუქთა ფენას,
თვით ნიავთა ნელი ქროლავ წარმომიდგენს სუნთქმა ტკბილსა,
რომელიცა ცეცხლ-მოდებულს ლალით გამობერდა ლხენას.

ჭავჭავაძე“

ეს წყარო თავისთავად ამ უცნობი ლექსის ავტოგრაფად ითვლება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ პუშკინის ლექსის „*Пробуждение*“ თარგმანი ი. გრიშაშვილმა პოეტის თხზულებების 1940 წლის გამოცემაში გაიტანა სათაურით „სიმბარი“ [გრიშაშვილი, 1940: 140, 319], როგორც 1881 წლის გამოცემაში იყო [უმიკაშვილი ... 1881: 108]; ხოლო ირაკლი კენჭოშვილის მიერ გამოცემულ წიგნში ლექსი შეტანილია სათაურით „განღვიძება“ [კენჭოშვილი, 1986: 143]. პირველად თარგმანის პროზაული რედაქცია დაიბეჭდა გაბ. „ტფილისის უწყებანში“ (1830, №2) სათაურით „*ლექსად თქმული პუშკინის ძილი*“. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ხელნაწერსა თუ ნაბეჭდ წყაროში ლექსი სხვადასხვა სათაურით გადიოდა. მაგ.: დავით დადიანის მიერ გადაწერილ ლექსთა კრებულში (H-1196, გვ. 321v) ის *უსათაუროდ* მოხვდა; XIX საუკუნის 60-70-იანი წლების კრებულში (შემდგენელი და გადამწერი ალ. ცაგარელი) (A-1753, გვ. 37v) ლექსს აქვს სათაური „სიმბარი“; 1852 წლის ჟურნ. „ცისკარში“ (№2, გვ. 5) ლექსი დაიბეჭდა სათაურით „*ოცნება*“, ხოლო ამავე ჟურნალში 1864 წელს (№1) ის მხოლოდ სარჩევშია ნახსენები სათაურით „სიმბარი“. ტექსტი ჟურნალში დაბეჭდილი არ არის. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩვენ მიერ დამატებით მოძიებულ წაროებში შემდეგი სურათია: 1) 1858 წლის ლექსთა კრებულსა (H-101, გვ. 109, 110) და XIX საუკუნის კრებულში (S-4589, გვ. 10r-v) ლექსი შესულია სათაურით „*ოცნება*“, ხოლო XIX-XX საუკუნეების კრებულში (Q-30-ბ, გვ. 5v) ის *უსათაუროდ* მოხვდა. კარგი იქნებოდა, ი. კენჭოშვილს კომენტარებში ემსჯელა ლექსის სათაურის შესახებ. საქმე ის არის, რომ გ. ავალიშვილის მიერ 1818 წელსა (№ H-1103, გვ. 14v) და 1820-30-იან წლებში (№ H-1196, გვ. 321v) შედგენილ კრებულებში ლექსი შეტანილია სათაურით „*განღვიძება*“. ასეთივე სათაური გვხვდება პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტ-საცავის ხელნაწერშიც (№ 14). ნაწარმოებს სათაური „*გაღვიძება*“ აქვს XIX ს.-ის ლექსთა კრებულში, შემდგენელი იოანე-მღვდელი ბარნაბიშვილი (№ Q-318, გვ. 2v). როდესაც ერთსა და იმავე თხზულებას სხვადასხვა წყაროში განსხვავებული სათაურები აქვს, აუცილებელია სამეცნიერო გამოცემის კომენტარში სათანადო კვლევის ჩვენებით დადასტურდეს ძირითად ტექსტში გამოტანილი სათაურის არჩევის მიზეზი.

ა. ჭავჭავაძის უსათაურო ლექსი „*რაა სიკვდილი, რაა მისი საშინელება...*“ ოთხსტრიქონიანია (ე. ი. ერთსტროფიანი) ი. კენჭოშვილის გამოცემაში [კენჭოშვილი, 1986: 150], ხოლო ი. გრიშაშვილის გამოცემაში [გრიშაშვილი, 1940: 123] ლექსი ორსტროფიანია, სადაც მეორე სტროფი „*გულო, უძღურო, მგაებელო...*“ ი. კენჭოშვილს ცალკე ლექსად აქვს გატანილი [კენჭოშვილი, 1986: 151]. აქ გამომცემელს კომენტარში განმარტებული არ აქვს ლექსის ამ სახით დაბეჭდვის მიზეზი. ერთი შეხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გადაწყვეტილება გამომცემელს 1886 წელს ჟურნ. „თეატრში“ (№13) გამოქ-

ვეყნებული ლექსის ერთსტროფიანმა ფორმამ მიაღებინა. ი. კენჭოშვილი ლექსის წყაროდ მხოლოდ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის №H-1103 (გვ. 7v) წყაროს ასახელებს (კენჭოშვილი, 1986: 295), ხოლო ი. გრიშაშვილი აღნიშნულ წყაროსთან ერთად იმორჩებს ცენტრის შემდეგ ნომრებს: S-1635, S-1576-ბ (უკანასკნელ კრებულში აღნიშნული ლექსი შეტანილი არ არის), ცენტრალური არქივის №355 (გვ. 32) წყაროსა და ზემოაღნიშნულ ნაბეჭდ წყაროს [გრიშაშვილი, 1940: 298]. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოცემებში ხშირად შევხვდით არასწორად მითითებულ წყაროებს, კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება სწორედ იმ წყარომ მიიქცია, რომელიც ორივე გამომცემელს აქვს დამოწმებული. საქმე ეხება გიორგი ავალიშვილის 1820-1830-იან წლებში შედგენილ ანთოლოგიას (H-1103), რომელშიც აღნიშნული ლექსი ი. გრიშაშვილის გამოცემაში შეტანილი ტექსტისგან განსხვავებით კიდევ ოთხ დამატებით სტრიქონს შეიცავს, ორს სტროფებს შორის და კიდევ ორს ლექსის ბოლოს, რაც გვაძლევს ლექსს ასეთი სახით:

„რაა სიკვდილი, რაა მისი საშინელება?
მკვდარი თუ შვებას მოაკლდება, ჭირსაც მორჩება.
მაგრამ მოყვსისა მოშორვესა, სურვილით ტანჯულს,
სიამე ოდენ მიელება, თმენა კი რჩება.
როს მას ვერ ვჰხედავ, როს არ მესმის ხმა მისი ტკბილი,
დღე იგი ჩემთა დღეთ რიცხვთაგან არს მოსპობილი.
გულო! უძლურო, მვაებელო, ოხრვით მადილო,
ემყის აღმური გლახ ჩივილით ვით დაიმშვიდო?
კიდესა ზედა მდგომარესა გამართებდა განსჯა,
აწ ზღვას შეჰსულხარ, ზვირთთა მისთა სადღა ერიდო?
თუ დიდი ღხენა ან ჭმუნვა გვამიზებებდეს სიკვდილსა,
ვითღა რჩეს სული მოყვასისა, თან მჰხლესა ანუ შორ-ქმნილსა“.

საქმე ის არის, რომ გ. ავალიშვილის ანთოლოგიის მე-7v გვერდზე პატარ-პატარა ლექსები ერთიმეორის მიყოლებით წერია და ამიტომაც ი. კენჭოშვილმა აღნიშნული ტექსტის ოთხ დამოუკიდებელ ლექსად წარმოჩენის გადაწყვეტილება მიიღო: 1) „რაა სიკვდილი...“, 2) „როს მას ვერ ვხედავ...“, 3) „გულო, უძლურო...“ და 4) „თუ დიდი ღხენა...“.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ლექსის „რაა სიკვდილი...“ ერთ-ერთ წყაროში (S-1635-ბ, გვ. 2r) სტრიქონი „მკვდარი თუ შვებას მოაკლდება, ჭირსაც მორჩება“ იკითხება შემდეგნაირად: „თუ კაცი ღხინსა მოაკლდება, ჭირსაც მორჩება“. ასეთი ვარიანტული ნაირწაკითხვები სამომავლოდ უკვე აკადემიური გამოცემის პრეროგატივაა.

გ. ავალიშვილის ანთოლოგიაში (H-1103) შეტანილ უსათაურო ლექსს „შენის გონების სხივნი...“ (15r) ი. გრიშაშვილისა და ი. კენჭოშვილის ზემოთ მოხსენიებულ გამოცემებში შეტანილ ტექსტთან განსხვავებით კიდევ ორი სტრიქონი აქვს ბოლოში: „სიბრძნე და გონიერება რაგინდ მარად ფხიზლად გვეფლობდენ, / სიჭაბუკეს და სიყვარულს რაც უნდესთ, მაშინ ჰყოფდენ“ [გრიშაშვილი, 1940: 86; კენჭოშვილი, 1986: 157]. როგორც ჩვენ მიერ განხილული წინა ლექსის შემთხვევაში, არც აქ არ იძლევიან გამომცემლები განმარტებას, თუ რატომ არ შეიტანა საერთოდ ეს ორი სტრიქონი ი. გრიშაშვილმა [გრიშაშვილი, 1940: 298] ან რატომ შეიტანა ეს სტრიქონები ცალკე დამოუკიდებელ ლექსად ი. კენჭოშვილმა [კენჭოშვილი, 1986: 298].

ა. ჭავჭავაძის 1986 წელს გამოცემულ თხზულებებში სადავო ლექსების რუბრიკაში შეტანილია უსათაურო ლექსი „მშვენიერთა ხელმწიფავ...“ [კენჭოშვილი, 1986: 182]. მიუხედავად იმისა, რომ ლექსის ატრიბუციის საკითხზე მსჯელობა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, ი. კენჭოშვილმა ამის თაობაზე შენიშვნებში საკმაოდ მშრალი კომენტარი გააკეთა. მან მოიშველია ქუთაისის №580 ნუსხა, რომლის მიხედვითაც ლექსის ავტორი მამუკა ორბელიანია; „სახალხო საზანდარის“ პირველი გამოცემა (1870), რომელშიც ლექსი ბესიკის ავტორობით დაიბეჭდა; „სახალხო საზანდარის“ მეორე გამოცემა (1875), რომელშიც ლექსი უკვე ა. ჭავჭავაძის სახელით შევიდა და აღნიშნა, რომ „სხვაგან (?! — მ. ა.) — ანონიმურია“ [კენჭოშვილი, 1986: 308]. დაეყრდნო რა იოსებ ბოცვაძის მოსაზრებას, რომ „ვიდრე სხვა სარწმუნო წყარო არ აღმოჩნდება, იგი (ლექსი — მ. ა.) სადავო ლექსებში უნდა იქნას მოცეკული“ [ბოცვაძე, 1977: 43], ი. კენჭოშვილმა ლექსი სადავოდ გამოაცხადა. დამოწმებულ კვლევაში ი. ბოცვაძე ეყრდნობა მხოლოდ ზ. ჭიჭინაძის მიერ მიკვლეულ ხელნაწერს, რომლის მიხედვითაც ლექსი თამაზ ქობულაძეს ეკუთვნის („აღლესანდრე ჭავჭავაძის ლექსები“, გაზ. „დროება“, 1881, №225, გვ. 1-2, ხელმოწერა „ზ. მთაწმინდელი“).

რაც შეეხება ი. გრიშაშვილის მიერ გამოცემულ თხზულებებს, ვრცელი გამოკვლევისა და დამაჯერებელი არგუმენტაციის მოშველიებით ზემოაღნიშნული ლექსი ა. ჭავჭავაძის კუთვნილებადაა გამოცხადებული [გრიშაშვილი, 1940: 305]. კვლევაში ი. გრიშაშვილს ნახსენები აქვს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კრებულები: H-101 (1858 წლის კრებული), S-2455 (XIX ს.-ის კრებული), S-4907 (ლექსების კრებული პოეტის 107 ლექსით), S-2385 (XIX ს.—ის II ნახ-ის კრებული, გადამწერი დავით ამირიძე), S-3723 (XIX ს.-ის კრებული) და ცენტრალური არქივის ხელნაწერი №355, რომლებშიც ლექსი ა. ჭავჭავაძის ავტორობითაა შეტანილი. გარდა ამისა, გამოცემელი იმორჩმებს „სალხინო საზანდარის“ 1895 და 1912 წლების გამოცემებს, რომლებშიც ლექსის ავტორად ა. ჭავჭავაძეა დასახელებული და იხსენებს ლიტერატურის მუზეუმში ნანახ ხელნაწერს, რომელშიც ლექსს ასეთი სათაური ჰქონია: „ოთარ ქობულაშვილისაგან თქმული, ფადიშის ხუბანის ცალად“ (იქვე). ლექსის ტექსტი კი ი. გრიშაშვილმა გამოცემაში ა. ჭავჭავაძის ლექსების 1881 წლის გამოცემის მიხედვით დაბეჭდა (იქვე: 102).

1870 წელს „სახალხო საზანდარში“ დაშვებულმა შეცდომამ ზაქარია ჭიჭინაძეს ეს ლექსი 1885 წელს გამოცემულ წიგნში „ბესიკი“ დააბეჭდინა. ამის შემდეგ ბესიკის ლექსების რამდენიმე მომდევნო გამოცემაში ლექსი სადავო ლექსების რუბრიკაში მოხვდა.

ჩვენ მიერ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიგნებულმა ბევრმა ახალმა წყარომ ისევ შეგვასხენა ი. ბოცვაძის გამონათქვამი „სარწმუნო წყაროებზე“ და ქვემოთ ჩამოვთვლილ ლექსის („მშენიერთა ხელმწიფა...“) ხელნაწერ წყაროებს, რომლებშიც ის ა. ჭავჭავაძის ავტორობით შევიდა: 1) A-1676-ა, 2) A-1676-ბ; 3) H-935 (1860 წლის კრებული „ქართული სიმღერები“, გადამწერი პეტრე უმიკაშვილი); 4) H-1132-ა (1859 წლის ლექსთა კრებული); 5) H-2898 (XIX ს.-ის ლექსთა კრებული), 6) Q-27 (1868 წლის ალბომი, სოფიო მაყაშვილის საკუთრება); 7) Q-620 (1829 წლის ლექსთა კრებული); 8) S-2519 (1877 წელი, ივანგულ ივანგულოვის კრებული); 9) S-5081 (XIX ს.-ის კრებული); 10) S-5131 (XIX ს.-ის I ნახ-ის ანთოლოგია, გადამწერი სვიმონ ტაბიძე). ჩვენ მიერ მოძიებულ ხელნაწერებში მხოლოდ ერთი № S-2531 კრებული აღმოჩნდა (1871 წლის კრებული გადამწერი გ. კირვალიძე), რომელშიც ლექსის ავტორად გრიგოლ ორბელიანია მიწერილი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი წყაროებიდან ნაწილი ზემოთ ჩვენ ნაკლებად ყურადსაღებ ნუსხათა სიაში მოვათავსეთ, ვითარება ასეთია: ალექსანდრე ჭავჭავაძე 16 ხელნაწერი და 4 ნაბეჭდი (მხოლოდ XIX საუკუნის) წყაროთი ბესიკის, ოთარ ქობულაშვილის, თამაზ ქობულაშვილის, მამუკა ორბელიანისა და გრიგოლ ორბელიანის, საერთო ჯამში, 4 ხელნაწერისა და 1 ნაბეჭდი წყაროს წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, ასეთი „მონაპოვარი“ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ა. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებისას საჭიროა კიდევ დავუბრუნდეთ ლექსის ატრიბუციის საკითხს.

აკადემიურ გამოცემაში აუცილებელია ხელთ არსებული წყაროების შედარება, მათი წარმომავლობის ისტორიის გადმოცემა და ნაირწაკითხვების წარმოჩენა. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ ა. ჭავჭავაძის უსათაურო ლექსი „ამაველს, ნოხს მწვანეს...“, რომლის ტექსტი ი. კენჭოშვილის გამოცემაში [კენჭოშვილი, 1986: 107,306] აღებულია ავტოგრაფიდან (პოეტის ქალიშვილის, სოფიოს ალბომიდან, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტ-საცავი №8). ამ წყაროს თარიღად აქვს: „16 აპრილს, 1846, ზუგდიდს“. გამომცემელს მითითებული აქვს კიდევ ერთი, გრიგოლ დადიანის ნუსხის ხელნაწერი (ლიტ. მუზ. ასლი № 16556), რომელშიც გრ. დადიანის ხელითვეა მიწერილი: „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან ზუგდიდს აღდგომის დღესასწაულზე, ფერხულზე თქმული — 1841-ს“. ი. კენჭოშვილმა ნაწარმოებს ავტოგრაფის თარიღი მიანიჭა. ეს, რასაკვირველია, კვლევის ლოგიკურ დაბოლოებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, თუ მოვიშველიებთ სოლომონ ცაიშვილის წერილს „ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი ერთი უცნობი ლექსი“ (გამ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, №29 (51), გვ. 4), ვნახავთ, რომ მართლაც 1841 წელს ალექსანდრე სტუმრად ყოფილა ზუგდიდში ქალიშვილთან, ეკატერინესთან. პოეტის პატივსაცემად სააღდგომო ზეიმი მთელი კვირა გაგრძელებულა, აქვე შეუქმნია ალექსანდრეს ზემოაღნიშნული ლექსი მეგრულ მოტივებზე (იქვე). ლექსი გრიგოლ დადიანს (მწერლობაში კოლხიდელი) ჩაუწერია და თვითონვე მიუწერია თარიღი. ხელნაწერი მოგვიანებით იონა მეუნარგიას ხელში გადასულა (იქვე). რადგანაც 1841 წლის შემდეგ ა. ჭავჭავაძის სამეგრელოში გამგზავრების შესახებ ცნობები არ მოიპოვება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოეტი ლექსს მოგვიანებით 1846 წელს ისევ მიუბრუნდა და მცირედი შესწორებების შემდეგ თარიღიც შეუცვალა.

საკვლესიო კალენდრის მიხედვით აღდგომის დღესასწაული მართლმადიდებელ სამყაროში - 1841 წელს 30 მარტს, ხოლო 1846 წელს 7 აპრილს (ორივე ძველი სტილით) აღნიშნეს (www.orthodoxy.ge). „16 აპრილი“ ნამდვილად არ ემთხვევა არც აღდგომის დღესასწაულების თარიღებს და არც ზუგდიდში აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელებული დიდი ზეიმის მონაკვეთს.

ა. ჭავჭავაძის მიერ ლექსზე ხელმეორედ მუშაობის ფაქტზე მიუთითებს ის ტექსტობრივი ცვლილებები, რაც დადიან-ისეულ ხელნაწერსა და ავტოგრაფს შორის იკვეთება; დადიანის მიერ გადაწერილი ტექსტი, ასლი, 12-სტრიქონიანი ლექსია, ხოლო ავტოგრაფი – 22-სტრიქონიანი ლექსი. ასლის ტექსტში აზრი პირველ პირშია გამოთქმული: „ვსჯვრითო“, „შევსწირთ“, ხოლო ავტოგრაფში ავტორი მეორე პირს მიმართავს: „სჯვრითე“, „შესწირეთ“. არის მთელი რიგი ნაირ-წაკითხვებიც. მაგ.: ასლში გვაქვს: „ამოს თქმით, ტკბილის ჰხმით“, ავტოგრაფში იკითხება: „ამოს ხმით, ტკბილად თქმით“; ასლში არის: „წამოსვლად“, ავტოგრაფში — „წმასვლად“: ასლში — „რგვილად“, ავტოგრაფში — „მგრგვილად“ და სხვ. გარდა ამისა, ავტოგრაფში პირველი ორი სტრიქონი „ამა ველს, ნოხს მწვანეს, შვენის რაბამად / ტურფათა ქალ-ყმა-თა როკვა ერთბამად“ ჩართულია ყოველი ორი სტრიქონის შემდეგ, სულ ხუთჯერ, რაც 12-სტრიქონიან ლექსს 22 სტრიქონამდე ზრდის. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ა. ჭავჭავაძემ 1846 წელს უდავოდ შეიტანა გარკვეული ცვლილებები ლექსში, რაც უფლებას გვაძლევს, ნაწარმოებს მივანიჭოთ ფართო თარიღი: [1841-1846].

კლასიკოსის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის ხიბლი ისაა, რომ მკითხველისა და მკვლევრისთვის თვალსაჩინო გახდეს ყველანაირი წყარო თუ ტექსტობრივი ცვლილება და ძირითადი ტექსტის, ატრიბუციისა თუ თარიღის დადგენისთვის მოტანილ იქნეს მეცნიერული არგუმენტაცია. ასეთი სამუშაოს ჩატარების შედეგად მკითხველს ბევრი ახალი ინფორმაციის მიღების საშუალება ექნება მწერლის შემოქმედებაზე, ასევე გაიხსნება უამრავი საინტერესო ფაქტი შემოქმედის პიროვნული მხარის ირგვლივ.

ლიტერატურა:

1. ბოცვაძე იოსებ, 1977, *ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი კრიტიკოსები*, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
2. გაზეთი „დროება“, 1881, №225.
3. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1937, №29 (51).
4. გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, 1830, №2.
5. გრიშაშვილი იოსებ (რედაქტორ-გამომცემელი), 1940, *ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი*, თბილისი: „ფედერაცია“.
6. კენჭოშვილი ირაკლი (რედაქტორ-შემდგენელი), 1986, *ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებები*, თბილისი: „მერანი“.
7. ჟურნალი „თეატრი“, 1886, №13.
8. ჟურნალი „ცისკარი“, 1852, №2.
9. ჟურნალი „ცისკარი“, 1864, №1.
10. „სახალხო საზანდარი“, პირველი გამოცემა, 1870.
11. „სახალხო საზანდარი“, მეორე გამოცემა, 1875.
12. უმიკაშვილი პეტრე, თუმანიშვილი გიორგი (გამომცემლები), 1881, *ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები*, ნაწილი პირველი, ტფილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.
13. www.orthodoxy.ge

MAIA ARVELADZE

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**ALEKSANDER CHAVCHAVADZE'S MANUSCRIPTS FROM
A NEW PERSPECTIVE FOR A NEW ACADEMIC EDITION****REZUME**

The academic edition of Aleksandre Chavchavadze's writings has not yet been prepared. To begin with, it is necessary to review once again the archival material that relates to this wonderful romanticist. We have examined the poet's manuscripts kept at the National Center of Manuscripts. The total of them exceeded 800. Among them, we came across the copies of such poems that have not been included in any of the existing publications so far. In view of the fact that the number of poet's autographs was very small, and there were almost no printed sources during his lifetime, we decided to divide copies of manuscripts into more important and less important ones.

The object of the academic edition is an in-depth study of manuscripts and the solution of the issues of the attribution of works. By comparison of the sources with each other and variation in readings, it becomes possible to revise the dating as well. In the academic edition of Chavchavadze's works a profound scientific argument will be presented to all the novelties that usually appear when working on manuscripts.

ქალისაგან ზაკრიაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აკაკი წერეთელი – ავტობიოგრაფიული პოეზია (აკაკი წერეთლის მიხედვით)

აკაკი წერეთლის შემოქმედების თანამედროვე კვლევებმა გამოავლინა სხვადასხვა არქივში არსებული უამრავი უცნობი მასალა, რომლებმაც პოეტი სულ სხვა წახნაგიდან დაანახა მკითხველს. მეფის ცენზურისა და საბჭოთა კონსერვატივის მიერ დღემდე აკრძალულმა თხზულებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აკაკი წერეთელმა მთელი თავისი ცხოვრება ეროვნული და ეკლესიური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შესწირა. მართალია, ეს იდეა მთელ მის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს, მაგრამ ყველაზე მკვეთრად იგი გამოჩნდა 1901 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავის ზეიმის შემდეგ დაწერილ სტატიის „სიმართლე“ [ხელნაწერთა ... №280, №283], რომელიც თავისი უმწვავესი ეროვნულ-პატრიოტული და პოლიტიკური ხასიათის გამო ყველა ეპოქის ცენზურის მსხვერპლად იქცა. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან 100-წლიანი რუსიფიკატორული პოლიტიკის მწარე სიმართლე პოეტმა მოურიდებლად და მკვახედ პირში მიახალა ყველას: ერსაც, ბერსაც და მტერსაც.

წერილის დასაწყისში მოხმობილია საუკუნეების განმავლობაში ქართველთა გამაოგნებელი ფაქტები, რომელთა წყალობით საქართველო განადგურებას გადაურჩა და საკუთარი ვინაობა მე-19 საუკუნემდე შეინარჩუნა. ქვეყანამ მრავალი საუკუნის განმავლობაში, უამრავი მტრის შემოსევის მიუხედავად, შეინარჩუნა სამეფოცა და საკუთარი ელფერიც, — შენიშნავს აკაკი, — მაგრამ „რუსების პოლიტიკამ კი ბოლო მოუღო მრავალტანჯულ საქართველოს“. შემდეგ აკაკი ანალიზებს იმ ძალადობრივ მეთოდებს, რომელთა მეშვეობით რუსეთმა საქართველოს „ნებაყოფლობით“ მიერთებას მიაღწია. ერთმორწმუნე ერის მმართველობა ხსნის გზა უნდა ყოფილიყო მაჰმადიანურ სიბნელეში ჩაძირული ქვეყნისთვის, მაგრამ პირიქით მოხდა. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო ქართველს გაუჭირდა ეროვნული მეობის შენარჩუნება. მან დაკარგა როგორც სახელმწიფოებრიობა (1801), ისე ეკლესიური დამოუკიდებლობა (1811), ამის გამო შეირყა რწმენა, დაცარიელდა ეკლესიები, გაქრა ქართული ტრადიციები, დაიწყო ეროვნული განათლების სისტემა, გაუკუღმართდა მართლმსაჯულება; ეროვნული ცხოვრების წესის მოშლას მოჰყვა ხალხის სულიერ-მნიშვნელოვანი გადაგვარება და, სამწუხაროდ, „დღეს ქართველი ისე მოჰგავს თავის წინაპარს, როგორც აჩრდილი მის გამომსახავ ცხოველ საგანს“, — ასკვნის პოეტი.

აკაკი „სიმართლეში“ ანალიზებს ეროვნული მეობის შენარჩუნების იმ სამ ძირითად ღირებულებას, რომელთა განადგურებითაც მტერმა მიზანს მიაღწია.

პოეტის აზრით, პირველი ღირებულება, რომელსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ერის სიმტკიცისთვის და რომელიც მტერს ყველაზე მეტად უშლის ხელს ერის დამორჩილებაში, არის რჯული. ჯერ კიდევ ძველთაგან ხმლით მომხდური უამრავი დამპყრობელი ებრძოდა ქართველში ქრისტიანობას და აიძულებდა დაეგმო საკუთარი რწმენა, მაგრამ მაჰმადიანთა ასეთმა დევნამ უფრო განუმტკიცა ქართველს რჯულიცა და ეროვნებაც. პირდაპირ მომხდური მტრისთვის ეს ძალიან ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა, რადგან, როგორც აკაკი წერს: „ქართველობამ სარწმუნოებას შეუკავშირა ეროვნება, ერთი მეორეს შეუსისხლხორცა, ძველად ქართველი ჰნიშნავდა ქრისტიანს და ქრისტიანი — ქართველს“.

ასეთი შეკავშირების გამო ეროვნების დასავიწყებლად ჯერ რჯული უნდა დაევიწყებინათ ხალხისთვის. ცარიზმმა სწორედ აქედან დაიწყო ეროვნულ ღირებულებებზე თავდასხმა. აკაკი „სიმართლეში“ დეტალურად განიხილავს რჯულთან დაკავშირებულ საკითხებს და მასში მიმდინარე ცვლილებების არსს.

პირველი, რაც მეფის ხელისუფლებამ გააკეთა, ეკლესიის გაღარიბება იყო. ქონება, რომლითაც იგი უქონელთ ეხმარებოდა და დამოუკიდებლობას ადვილად ინარჩუნებდა, სახელმწიფომ ჩამოართვა იმ მოტივით, რომ მე თვითონ ვუბატონებ სასულიერო წოდებასო; ასევე გადააყენა მსოფლიო კრებისგან დადგენილი კათოლიკოსი და მის ნაცვლად დააყენა რუსი ეგზარქოსი, მისცა ახალი პროგრამა და მიანიჭა ძალა. ამ პროგრამით ძველი ყველაფერი უნდა დაევიწყებინათ ხალხისთვის, მოესპოთ ქართული წირვა-ლოცვა და შემოეღოთ „სლოვიანი“, რომელიც თვით რუსებსაც არ ესმოდათ კარგად.

მათ დაიწყეს ქართული „სახარების“ ლანძღვა და ხალხისთვის ქადაგება, რომ „ქართული სახარება უწმინდურია, რადგანაც ძალის ენაზეა დაწერილი... ქართველებს წმინდანები ვინ მისცა, მათი ეკლესია რა ეკლესიააო და სხვანი“, — წერს აკაკი „სიმართლეში“.

რუსები მალე მიხვდნენ, რომ ასეთი პირდაპირი შეტევები ეკლესიასა და რჯულზე შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა, ამიტომ მათ რწმენის განადგურება სხვა წახნაგიდან დაიწყეს. პოეტი სინანულით აღნიშნავს, რომ მეფის ხელისუფლება ქართველში ყველაზე მოკრძალებულ და მგრძობიარე სიმს შეეხო — რიდს ეკლესიის მიმართ. საჭირო იყო ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც ხალხში ამ რიდსა და მოკრძალებას გააქრობდა. ეს კი აუცილებლად უნდა მომხდარიყო ეკლესიის შეურაცხყოფითა და მისი გაუფასურება-გაუბრალოებით, რომელიც თავისთავად გამოიწვევდა ერში რელიგიური გულგრილობისა და ნიჰილიზმის გაჩენას.

მტერმა მოქმედება აქედან დაიწყო.

მან იცოდა, ქართველებს ისეთი შიში და პატივისცემა ჰქონდათ ეკლესიებისა, რომ არანაირ ნივთს მის შემოგარენშიც კი ხელს არ მოჰკიდებდნენ. რუსებმა კი ეკლესია-მონასტრების ძარცვას მიჰყვეს ხელი. იქიდან გამოტანილ ნივთებს ცხადად ყიდდნენ. ამას კი ხელს უწყობდა წმინდა სინოდი. „პირველად ამან ძალიან გააოცა ხალხი, — წერს აკაკი, — იმას ჰხედავდა, რაც თათრების შემოსევის დროს იშვიათი იყო და სასწაულს ელოდა: ეკლესია მოიგერებს მის გამძარცველებსო, მაგრამ დრომ გაიარა და ხმა ვერავინ ამოიღო, ნელ-ნელა შეეჩვია. იფიქრა, რომ ალბათ არ ჰქონია საყდარს ძალა, თვარა როგორ გააგლეჯინებდა თავსო?.. ტყუილი ყოფილა ყოლიფერიო და თვითონაც მიჰყო ხელი. დღეს საყდრებს მცველები აყენია და ქურდებს ზარების რეკით აფრთხობენ. ეს მაშინვე, წინდაწინვე [დასანახავი] კი იყო, რომ ეს შედეგი უნდა მოჰყოლოდა უწმინდესი სინოდის განკარგულებას, მაგრამ ცენზურა კრიჭაში იდგა და ვის ამოაღებებდენ ხმას?“

ამ საკითხზე ცენზურის კლანჭების სიმწარე აკაკიმ საკუთარ თავზე გამოსცადა. 1875 წლის მარტის დამლევეს ცენზურამ აკრძალა პოეტის წერილი, რომელშიც იგი ალევგორიულად ამხელდა ქართული ტაძრების მძარცველებს, კერძოდ, ქუთაისის გუბერნატორ ვ. ლევამოვს. სერგეი მესხი წერს: „ლევამოვს, როგორც ამბობენ, აკაკიზე უჩივლია, რომ გელათის მონასტრის გაძარცვას მწამებსო...“ [მესხი 1950: 183]. ეს ნამდვილად არ იყო ცილისწამება. ბევრი მოპარული სიწმინდე თავის დროზე ეკლესიებში პოეტს საკუთარი თვალთ შიშითა და ნანახი. მაგალითად, აკაკის მეშვეობით გახდა ცნობილი, როგორ დაიკარგა უძვირფასესი საეკლესიო ნივთები: ოქროს თევზი ადამიანის თავით და თამარ მეფის მოზაიკური ქამარი, რომელიც ინახებოდა სვანეთში, კვირიკეს ეკლესიაში. გელათიდან გაუტაციათ ფასდაუდებელი მინანქრიანი სახარება, დაუწვავთ ძვირფასი ოქროქსოვილი, დაკარგულა თამარ მეფის ქოშები და დავით აღმაშენებლის ბეჭედი. აკაკის აუქციონზე შეუძენია მოპარული მინიატურული ხელნაწერი სახარება, რომელიც შემდეგ ეპისკოპოს კირიონს შეუტანია საეკლესიო მუზეუმში...

ცნობილია, რომ ქართული ეკლესიებიდან მიითვისეს 140 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება [კიკნაძე 2009: 57]; ხოლო გელათის სახარების ძველი ქვებით მოთჭვილი ყდა, რომელშიც 1846 წელს ინგლისელები 60 000 გირვანქა სტერლინგს იძლეოდნენ, ქუთაისის გუბერნატორ ლევამოვს გაუყიდა და ამჟამად ინახება სტროგანოვის მუზეუმში [საითიძე 2002].

ჩამოთვლილი სიწმინდეების დაკარგვით გამწარებული აკაკი 1875 წელს გაბრიელ ქიქოძესაც კი, მიუხედავად მისდამი დიდი პატივისცემისა, საყვედურით საესე წერილს უგზავნის [„მნათობი“, 1968: 177].

მაშინ ერის არც ერთ ქომავს ხმა არ ამოაღებინა ცენზურამ და 900-იან წლებში რუსული პოლიტიკის ნაყოფი რჯულის საკითხებში უკვე ნათელი გახდა.

900-იან წლებში დაწყებული ავტოკეფალიისთვის ბრძოლის პროცესი ხელისუფლებამ ჩააცხრო ერთ აზრზე მყოფ სამ- ლდელოებაში განხეთქილების შეტანით.

რწმენის განადგურებისთვის ბრძოლას ცარიზმმა დაამატა განათლების „მუნჯური მეთოდი“, ანუ ქართული ენის სწავ- ლების ამოღება, ასევე სამართლის წარმოება რუსულ, ხალხისთვის გაუგებარ ენაზე, რამაც „გაალარბა ხალხი და მიიყვა- ნა იქამდი, რომ სამართალი აღარა სწამდა და უკუღმართობის მონა გახდა“.

ქვეყანაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, ანუ ხალხის სულიერი გაჯანსაღებისა და სახელმწიფოებრიობ- ის დაბრუნების პირველ ნაბიჯად აკაკის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მიიჩნდა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პოეტი აქტიურად მონაწილეობდა იმ ავტოკეფალურ მოძრაობაში, რომელიც საქართვე- ლოში გაშლილი იყო 900-იან წლებში.

1898-99 წლებში აკაკიმ შექმნა არაჩვეულებრივი ლექსი „ხმა“, რომელიც იმდენად მწვავე და მძაფრი ეროვნულ-პო- ლიტკური ხასიათისა იყო, რომ პოეტის სიცოცხლეში უავტორო ხელნაწერის სახით საიდუმლოდ ვრცელდებოდა გარკვე- ულ საერო თუ საეკლესიო წრეებში. აკაკის შემოქმედებისათვის ამ მნიშვნელოვანი თხზულების სრულ ვერსიას ხელნა- წერთა ეროვნული ცენტრის კათოლიკოს-პატრიარქის — კირიონის ფონდში (№1459) მიაკვლია მკვლევარმა ლევან ჭრე- ლაშვილმა. „ხმა“ მნიშვნელოვანი შტრიხია აკაკის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში, — წერს მეცნიერი, — იგი არალეგ- ალური მუშაობის ფაქტს წარმოადგენს. ეს გარემოება მით უმეტეს მნიშვნელოვანი იყო იმ დროს — 1901 წელს, როცა ეკ- ლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა უშუალო ნაწილი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა“ ... [ჭრელაშვი- ლი 1992: 157].

საქართველოს ზნეობრივი დაცემის მთავარ მიზეზად აკაკი „ხმაში“, ისევე როგორც „სიმართლეში“, ქართული ეკლე- სიის ავტოკეფალიის დაკარგვას მიიჩნევს: „კათოლიკოსის გადაყენებამ, ეგზარქოსის დასმამ, ქართული წირვა-ლოცვის გაუქმებამ, „სლოვენურის“ შემოღებამ და ა.შ. ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა“ („და ეკლესიაც მის გამო დამ- ხობილია სრულად“).

ლექსში, სტატიის მსგავსად, ჩამოთვლილია ყველა ის უბედურება, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა. პოეტის აზრით, რუსები სხვადასხვა მეთოდით გააფთრებულები ებრძვიან რჯულს, განზრახ უკარგავენ ერს რწმენას, ქართველი ვერ ეღირსება მღვდლობას, როგორი წარმატებულიც უნდა იყოს, თუ არ უარყოფს ქართველობას, ეკლესიაში შემოღებული ლოცვა-გალობისა ხალხს არა ესმის რა, ამიტომ მღვდელმსახურებაც სრულად დამხობილია, რუსების მიერ გახსნილ სემინარიაში მოსწავლეებს, მათი სრული გადაგვარების მიზნით, დედაენას უკრძალავენ და ა.შ. ეს ყველაფერი ცარიზმს იმისთვის სჭირდება, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს საქართველოს ასიმილირება რუსეთთან, ქართველობამ რისი შენარჩუნებაც თათრობის დროს შეძლო, ახლა ეცლება ხელიდან, — ასკვნის პოეტი.

იდენტური აზრებია გატარებული აკაკის პოემაშიც „ასის წლის ამბავი“ [წერეთელი 2014: 403], რომელიც თავისი მწვა- ვე ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის გამო ასევე ჩვენს დრომდე გამოუქვეყნებელი დარჩა. პოემაშიც ქართული ეკლესი- ის ავტოკეფალიის აღდგენა პოეტს ქვეყნისთვის სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნია.

გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, არქივებში ახლად გამოვლენილი მასალებიდან გაირკვა, რომ აკაკი პრქატი- კულ ნაბიჯებსაც დგამდა ეკლესიის პრობლემების მოსაგვარებლად.

როგორც ცნობილია, ილიას ბინაში დროდადრო ტარდებოდა ავტოკეფალისტთა შეკრებები, რომლებშიც მონაწილე- თბდნენ აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

მკვლევარმა ლევან ჭრელაშვილმა ლექს „ხმასთან“ ერთად არქივში მოიპოვა ბევრი საინტერესო დოკუმენტი პოეტის ავტოკეფალისტებთან ურთიერთობის შესახებ. ამ მასალების სახით დღეს უკვე ხელთ გვაქვს ის მყარი და უტყუარი საბუ- თები, რომლებიც ადასტურებს, რომ აკაკი თავდაუზოგავად იბრძოდა ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საბუთების მეშვე- თობით ირკვევა, რომ პოეტს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ორ წამყვან მღვდელმთავართან — კირიონ- თან და ლეონიდთან. იგი თავგანწირული ებრძოდა კათოლიკოსების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს, მათ დევნას. კათოლიკოს კირიონის რუსეთში გადასახლების გამო პოეტი ერთ პირად წერილში მის მდივანს — სოსო ჩიჯავაძეს — სწერს: „თავს არ დავზოგავ, წავალ პეტერბურგში და თუ ჩემი არ გავიტანე, ცოცხალი აღარ დავბრუნდები და მტერს კი არ გავახარებ. მე ვიცი როგორღაც გამოტრიალება საქმის...“ [ჭრელაშვილი 1992: 157].

პოეტი ფიქრობდა, რომ ავტოკეფალიის აღდგენით, ხალხი მორალურად გაჯანსაღდებოდა, დაიბრუნებდა თავის ქართველობას („ისევ ისე გაქართველდეს“), რაშიც ბევრი რამ იგულისხმებოდა და მერე უკვე შეეძლო ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ფიქრი...

900-იან წლებში ავტოკეფალური მოძრაობის შესუსტებით შექუხებული პოეტი გამოვიდა ინიციატივით, რომ ეკლესიას დამოუკიდებლობა რომის პაპთან უნიის გაფორმებით მოეპოვებინა, თუმცა ამ აზრს სასულიერო პირთა მცირე ნაწილი მიემხრო. პრობლემის მოგვარებაში მთავარი როლის შესრულებას აკაკი კისრულობდა.

„უნიის მომხრეებს ეიმედებოდათ აკაკის ავტორიტეტის, — წერს თავის გამოკვლევაში ზ. თქროპირიძე, — ირკვევა, რომ იგი უნდა ჩასულიყო რომში ცნობილ ქართველ კათოლიკე მოღვაწე მიხეილ თამარაშვილთან, რომელიც თავის მხრივ, უბრუნველყოფდა მის შეხვედრას რომის პაპთან“ [თქროპირიძე 2016: 91].

1909 წლის 14 ივლისს აკაკი ბათუმიდან სტამბულზე გავლით გაემგზავრა პარიზში, სადაც ივლისის ბოლოს ჩავიდა. დაპირებისამებრ, იგი პარიზიდან უნდა წასულიყო რომში.

საფრანგეთში გასამგზავრებლად და რეალური მიზნის დასამალავად პოეტს ხელსაყრელი მოტივაცია ჰქონდა. აკაკის შვილს — ალექსის, რომელსაც დედა მუდამ თან ახლდა, პარიზში საგასტროლოდ წაყვანილი ჰყავდა საოპერო დასი და, ამდენად, პოეტი მიდიოდა როგორც ცოლ-შვილის სანახავად, ისე ამკურნალოდ. გამგზავრებამდე აკაკიმ სწორედ ამ შინაარსის ორი განცხადება დაწერა (29 იანვარსა და 30 ივნისს) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სახელზე, წერილებში იგი ფინანსურ დახმარებას ითხოვდა: „ჩემი ავადმყოფობის გამო საჭიროა წავიდე სამკურნალოდ საზღვარგარეთ...“ „საზღვარგარეთ მიმავალი საექიმოდ წყლებზე ვთხოვილობ, რომ პენსიიდან სამი ოთხი თვის ხვედრი ამ თავითვე მომეცეს...“ [საისტორიო ... 1953: 410-412].

ივლისის ბოლოს აკაკი პარიზში ჩადის. აგვისტოს დასაწყისშივე კონსტანტინეპოლელი ქართველი პატრი მერაბიშვილი სპეციალური წერილით მიხეილ თამარაშვილს რომში ატყობინებს აკაკის ევროპაში მოგზაურობის შესახებ და უგზავნის პოეტის პარიზის მისამართს. მიხეილ თამარაშვილი წერილით სთხოვს აკაკის რომში ჩასვლას [გურგენიძე ... 1989: 457].

პოეტი შემდეგი შინაარსის პასუხს უბრუნებს მას: „როგორც კი მივიღე თქვენი წერილი, მაშინვე მოგწერეთ წერილი და პასუხი არ მიმიღია. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა. თქვენი წერილი როგორც მომივა, მალე წამოვალ“. თუმცა ოქტომბრის ბოლოს (1909 წ.) აკაკი აცნობებს თამარაშვილს: „ამ დღეებში მოვდივარ კავკაზიაში, გარემოებამ ისე მოიტანა, და ვეღარ ჩამოვალ სამ თვეზე ადრე და მაშინ კი პირდაპირ რომში ჩამოვალ უფრო დიდის ხნით...“ [წერეთელი 1961: 274]. ამ ცნობის მიუხედავად, აკაკი საქართველოში არ დაბრუნებულა. იგი 1910 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე რჩება პარიზში, რასაც უამრავი დოკუმენტი ადასტურებს. მაგალითად, პარიზიდან საჩხერეში დასთან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც აკაკი ატყობინებს, რომ „მე პარიზში ვარ ცოლ-შვილში. ყველა კარგად ვართ და ამ ზამთრისთვის ვეპირებით საჩხერეს მოსვლას“ [წერეთელი 1961: 38].

ასევე, დეკემბრის დასაწყისში პარიზელ ქართველებთან შეხვედრა და ბანკეტი კაფე „ვოლტერში“, პარიზული გაზეთის („ახალი ამბები“) ჟურნალისტის ქალბატონი ტუკა მასილონის ინტერვიუ პოეტთან და ა.შ.

აკაკი რომში არ გამგზავრებულა. პოეტს გარკვეული მისიით რომ უნდოდა იქ ჩასვლა და არა დასათვალისწინებლად, თამარაშვილისა და გოგებაშვილისთვის მიწერილ აკაკის ბარათებს ნამდვილად ეტყობა. დაკვირვებული თვალი მათ მაშინვე შეამჩნევს საიდუმლო ელფერს. მაგალითად, აგვისტოში პოეტი მიხეილ თამარაშვილს სწერს: „თქვენმა წერილმა დიდად მასიამოვნა!.. მართლა რომ ძალიან გულით მინდა მანდ მოსვლა და თქვენი ნახვა, რადგანაც თქვენი რჩევა ჩემთვის დიდად საჭირო იქნება. ჯერ-ჯერობით, ამ თვეში ვერ მოვდივარ და როცა წამოვალ, შეგატყობინებთ. თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ ფასდადებით გამომიგზავნეთ. დიდად საჭიროა. აგრეთვე გთხოვთ, შემიტყოთ ალექსანდრე ზუბალოვის ადრესი“ [წერეთელი 1961: 273].

ასეთსავე ქვეტექსტებს შეიცავს იაკობ გოგებაშვილისადმი ბარათიც: „გუშინ მივიღე თამარაშვილის წერილი რომიდან... დიდი მედებსა მწერს და აღტაცებითაც მიბარებს რომში... ახლა მინდა რჩევა გკითხო: ვენეციაში მინდა შევუხვიო და იქ ალექსანდრე ზუბალაშვილი ვნახო, მდიდრებ ზუბალაშვილების ბიძა და დიდი შეძლებული, უცოლშვილო კაცი. მე მგონია, იმასთან მოლაპარაკება არ იქნება ურიგო. თუმცა გული არ მიწევს მათკენ, მაგრამ, თუ მირჩევ, იმ ზუბალოვებსაც ვნახავდი“ [წერეთელი 1961: 123].

წერილების გაანალიზებისას შეიძლება გავიჩინდეს კითხვა, მიხეილ თამარაშვილის რა „რჩევა“ შეიძლება იყოს „დიდად საჭირო“ აკაკისთვის, კათოლიკობის ისტორიაც დიდად საჭიროაო, — სწერს პოეტი, — „ზუბალოვის ადრესიც შემიტყვევით“. ვთქვათ, ეს რჩევები ეხებოდა რომელიმე ისტორიული თხზულებისთვის ცნობებით დაკვალიანებას, მაგრამ იაკობ გოგებაშვილისადმი წერილის ფრაზები: თამარაშვილი „დიდ იმედებსა მწერს...“ „ახლა მინდა რჩევა გკითხო...“ „თუ მირჩევ...“ „იმასთან მოლაპარაკება არ იქნება ურიგო...“ — უფრო მეტ კითხვას აჩენს, რომში გამგზავრებას რატომ უნდოდა ამდენი ფაცი-ფუცი, შეკითხვები და რჩევები“. სწორედ ეს ადასტურებს აკაკის რომში გამგზავრების დიდ მისიას და პოეტის მერყეობას უნიასთან დაკავშირებით.

აკაკის რომში ჩასვლელობა სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ახსნილი, მაგრამ, ვფიქრობთ, რეალობასთან ყველაზე ახლოსაა ზ. ოქროპირიძის მოსაზრება: „რომში პაპთან არ თუ ვერ შეხვედრის მიზეზი სადაზვერვო თვალთვალის იქნებოდა და უსახსრობაც, მაგრამ ვფიქრობთ, უფრო მთავარი პოეტში გაჩენილი ეჭვი იყო: რამდენად რეალური და, რაც მთავარია, კანონიკური იქნებოდა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ამ გზით ავტოკეფალიის მოპოვება, მით უმეტეს, ეს იდეა კატეგორიულად უარყვეს ქართველმა მღვდელმთავრებმა. მეტად საწმენოა, პოეტის შეხედულებებზე გავლენა მოეხდინა ამ უკანასკნელთა პოზიციას“ [ოქროპირიძე 2016: 99].

აკაკის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. ამის კიდევ ერთი დასტურია ეპისკოპოს ლეონიდის წერილი აკაკისადმი, რომლიდანაც ირკვევა, რომ მღვდელმთავარს „უთხოვნია მწერლისთვის ავტოკეფალიის შესახებ ლექსის შექმნა, რაზეც აკაკი შეპირებულია კიდევ“. ეპისკოპოსი ლეონიდი 1914 წლის 13 თებერვალს პოეტს სწერდა, რომ ქართველი ხალხისთვის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სასიცოცხლო ამბავია, რასაც წინასწარმეტყველივით მოვლენილი პროვინცია სჭირდებაო. „დღეს ამგვარი წინასწარმეტყველებრივი საღმრთო ცეცხლის მფრქვევი ჩვენში მართლ თქვენა ხართ, ბატონო აკაკი, — მიმართავდა მხცოვან პოეტს ეპისკოპოსი ლეონიდი, — მართლ თქვენი სიტყვა მოედება ალად დიდსა და პატარას, მართლ თქვენი სიტყვა აამოძრავებს ერთსულოვნებით ერის ტალღებს, მართლ თქვენი სუბუქფრთიანი ლექსი ჩაუძვრება სულში ქართველ ერს...თქვენი ლექსი გაუშუქებს მთელ ერს ავტოკეფალიის საკითხს, ყველას შეაყვარებს მას გულით და შეთანხმებულად აღძრავს დიდსა და პატარას ამ ხელიდან წაგლეჯილი საუნჯის დასაბრუნებლად, ე.ი. თქვენი პატარა გრძნეული ლექსი განახორციელებს მას, რასაც (მსგავსს) სავსებით ვერასოდეს ვერ მიღწევინ ვერც მღვდელმთავრის ღმობიერი მოძღვრება-დარიგებანი, ვერც პროფესორთა მეცნიერული გამოკვლევანი და ვერც პუბლიცისტების ცხარე წერილები — ლექსის საშუალებით შესულა ყოველთვის სიმრავლის შეგნებაში სასურველი ამრების მიღება-განხორციელების აუცილებლობა და ლექსისავე საშუალებით უნდა მოუპოვოთ ჩვენი ერის სული და გული ჩვენი ეკლესიის გამაცოცხლებელ ავტოკეფალიას.

ასეთი ლექსის, ასეთი ჰიმნის შექმნას მოითხოვს თქვენგან თქვენი დედა ეკლესია, დიდებულ მგოსანო და იცოდეთ, რომ ასეთი ჰიმნის გალობით ახმაურებულ საქართველოს ვეღარ გაუმაგრდებიან ჩვენი ეკლესიის მონობით შემბოჭავი ძალები“ [ჭრელაშვილი 1992: 158].

ეს წერილი აკაკის როგორც შემოქმედების, ისე მისი პიროვნებისადმი უკიდევანო დაფასებასა და ნდობაზე მიუთითებს. ეს ნდობა კი პოეტმა მღვდელმთავართა შორის ავტოკეფალიისათვის თავგანწირული ბრძოლით მოიპოვა.

არავინ იცის, აკაკის გარდაცვალებამდე თითქმის ერთი წლით ადრე მიწერილ წერილში გამოთქმული სურვილი აუსრულა თუ არა მღვდელმთავარს პოეტმა, იქნებ ვერც მოასწრო აკაკიმ რაიმის შექმნა, იქნებ მოასწრო კიდევ და, ბევრ სხვა თხზულებასავით, ისიც რომელიმე არქივის ფონდებში მკვლევარს ელოდება?!!

1915 წელს გარდაიცვალა აკაკი წერეთელი. ის ვერ მოესწრო 1917 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. არადა, რა ახლოს იყო პოეტი მთელი ცხოვრების სანუკვარი ოცნების ასრულებასთან...

გამოყენებული ღიშკაჟა:

1. გურგენიძე ნოდარ, გორგაძე ილია, 1989, აკაკი წერეთელი, ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე, თბილისი.
2. „მნათობი“, 1968, „მნათობი“, № 1, თბილისი.
3. ოქროპირიძე ზურაბ (2016), აკაკი წერეთელი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, კრ.: აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ხაშური.
4. საისტორიო ... 1953, საისტორიო მოამბე, ტ. 7, თბილისი.
5. ჭრელაშვილი ლევან, 1992, ერთი უცნობი ლექსის ავტორის დადგენისათვის, ჟურნალი „მნათობი“, №5-6, თბილისი.
6. წერეთელი აკაკი, 2014, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. IV, თბილისი.
7. ხელნაწერთა...: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკის ფონდი, ავტოგრაფები: №280, № 283.

ELISABED ZARDIASHVILI

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

AKAKI TSERETELI – AUTOCEPHALIST POET

(ACCORDING TO THE BANNED MATERIALS)

SUMMARY

Modern studies of Akaki Tsereteli's creativity have revealed many hitherto unknown materials preserved in different archives where the poet appears before the reader in a completely different plane. The works previously banned by the tsarist censorship and Soviet conjuncture have proved once more that Akaki Tsereteli devoted all his life to the fight for national and church's independence.

Akaki believed that the first step to resolve the existing problems in the country is spiritual recovery and the return of the statehood, was to be the restoration of the autocephaly of the Georgian Church. This was the reason that the poet actively participated in the movement for autocephaly, which was spread in Georgia in the 900-ies.

In addition to creative activities, it is revealed that Akaki has also taken pragmatic steps in solving the church's problems.

In the 900-ies, the poet, concerned about weakening of the movement for autocephaly, initiated gain the independence of the church by formalizing an alliance with the Pope.

Akaki did not stop fighting for the autocephaly of the Georgian church until the end of his life. Another confirmation of this is the letter of Bishop Leonid to Akaki, from which it becomes clear that the High Priest "asked the poet to write a poem about autocephaly and Akaki promised to do this.

This letter points out to the great appreciation of Akaki's creativity and trust to his personality. This trust among the bishops was obtained by the poet with a self-sacrificing struggle for autocephaly.

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მასალები სოჭომ მგალობლიშვილის ბიოგრაფიულ და საქართველოს დიპლომატიური მუშაუბის აქტივში

ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერლის და პუბლიცისტის, სოფრომ მგალობლიშვილის (1851-1925) საარქივო მემკვიდრეობა გაფანტულია სხვადასხვა მუზეუმსა თუ ხელნაწერ ფონდში (ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული ლიტერატურული და ისტორიული არქივი და სხვ.) იგი საკმაოდ ვრცელია და მისი შესწავლა საყურადღებოა როგორც ლიტერატურული, ისე მე-19 საუკუნის 70-1920-იანი(?) წლების საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ანალიზის თვალსაზრისით. 1938 წელს მკვლევარ ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით გამოცემული ს. მგალობლიშვილის „მოგონებანი“¹ რედაქტორის სვეტში ყურადღება გამახვილებულია ავტორის მემორუალური ჩანაწერების 4 ქვეგანყოფილებაზე, რომლებშიც მოცემულია როგორც მისი მასალები, ს. მგალობლიშვილის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები, ისე მოგონებანი ქართველ მწერლებზე. „რედაქტორისაგან დასასრულს ლევან ასათიანი შენიშნავს: „ს. მგალობლიშვილის მოგონებათა მოძებნა-შეგროვების საქმეში ჩვენ წავაწყდით ზოგიერთ სიძნელეებს, რაც ჩვენი წიგნთსაცავების ფონდების ნაკლოვანებით იყო გამოწვეული (ძველი ჟურნალ-გაზეთების ნომრების უქონლობა და სხვ.). ეს ნაკლი ჩვენ შევავსეთ კერძო პირთა წიგნთსაცავების გამოყენებით. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩვენ აგრეთვე საშუალება არ მოგვეცა გვესარგებლა მწერალთა მუზეუმის არქივითაც, სადაც ს. მგალობლიშვილის მემკვიდრეების მიერ თავის დროზე გადაცემული იქნა მისი ხელნაწერები და სხვა დოკუმენტები“ [მგალობლიშვილი, 1938:XI]. ბუნებრივია, აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ 1932 წლის 14 ნოემბერს მწერლის ქალიშვილმა, ქეთევან მგალობლიშვილ-მაჩაბელმა, საქართველოს მწერალთა მუზეუმის დირექტორს მიმართა წერილით (ლ. მუბ. ფ. ბ. 15743), რათა შეეძინათ ს. მგალობლიშვილის საარქივო მასალები (ნაწერები, გაზეთები, წერილები და სურათები). ამიტომ სოფრომ მგალობლიშვილის არქივის ძირითადი ნაწილი სწორედ ლიტერატურული მუზეუმის ფონდებშია, სადაც მოგვიწია მუშაობა საკანდიდატო დისერტაციასთან („ს. მგალობლიშვილის მხატვრული პროზა“) დაკავშირებით 1974-1978 წლებში.

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ სოფრომ მგალობლიშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ მასალებზე, რომლებიც დაცულია ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში. ამ არქივში დაცულია უამრავი მასალა — დაბადების მოწმობა, მისი ავტობიოგრაფია, რომელიც სპეციალურად დაწერა ავტორმა (ბ. 15676) „ჩემი თავგადასავალი (ბ. 15666) და სხვ. — ხელნაწერში რუსული და ქართული დოკუმენტების ხელნაწერი სახითაა.

¹ წიგნი ამჟამად წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ავტობიოგრაფია და თავგადასავალი, რომელთა ძირითადი ნაწილები შევიდა მის „მოგონებებში“, ასევე რომანში „წარსულიდან“, თუმცა რომანში ავტორი უფრო ცდილობს იმსჯელოს თავის ღვაწლზე მოქალაქეობრივი ცხოვრების განმავლობაში, მით უმეტეს, რომ იგი იყო არა მარტო მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე (ხალხოსანი), არამედ მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, რომელიც მრავალი წელი მუშაობდა საქართველოს სინოდურ კანტორაში. მის თვალწინ განვითარდა პერიპეტეები, რომლებიც უძლოდა ავტოკეფალიის აღდგენას საქართველოში.

1924 წელს (სრულიად) საქართველოს მწერალთა კავშირის ძალისხმევით უნდა გამართულიყო მწერლის იუბილე, რაშიც დიდ ინიციატივას იჩენდნენ მწერლები: გიორგი ლეონიძე და შალვა დადიანი. არქივში დაცულია მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ 1919 წლის 26 მარტით დათარიღებული წერილი სოფრომ მგალობლიშვილისადმი: „მწერალთა კავშირის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს, რომ ამ მოკლე ხანში თქვენდა პატივსაცემად მოაწყოს ლიტერატურული საღამო. ამასთან გთხოვთ, რაც შეიძლება დააჩქაროთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ცნობები: როდის დაიბადეთ, როდის დაიწყეთ წერა, სად არის თქვენი ნაწარმოებნი დასტამბული, ცალკე გამოცემულია თუ არა და სხვ. ასევე ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული მასალა. მისამართი: სასახლის ქუჩა 5, ქართული ქარვასლა, მსახიობთა კავშირის კანტორაში შალვა დადიანს“ (ბ. 15671).

მაგრამ 1924 წელს უკვე მძიმედ ავადმყოფი ს. მგალობლიშვილი მიმართავს მწერალთა კავშირს (ბ. 15673), რათა ეს ღონისძიება გადაიდოს ენკენისთვის ბოლოს. განცხადებაში აღნიშნულია მიზეზებიც, რომ „მაისიდან რუსთაველის თეატრის არტისტები საგასტროლოდ გავა თფილისიდან, ქალაქი დაცარიელდება და იუბილეზე ძალიან მცირე ნაწილი ქართული საზოგადოების დაესწრება“ (ბ. 15678). განცხადება დათარიღებულია 1924 წლის 18/IV-ით.

ს. მგალობლიშვილს დაუწერია სიტყვაც, რომელიც საიუბილეო საღამომზე უნდა წარმოეთქვა. დედანი (ბ. 15675) ამავე არქივშია დაცული. მასში ჩანს ს. მგალობლიშვილის, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატის, პათეტიკა: „ძლიერს სიხარულის მოქმედება ძლიერს მწუხარებას ჰგავს და ცრემლს ადენს, მაგრამ ეს ცრემლი ხომ მწარე არ არის?!

სიამოვნების ნამეტანობა, ადამიანის გულში შეგუბებული, ბაგეს ამეტყველებული. დღეს იმოდენა სიამოვნება იგრძნო ჩემმა გულმა, რომ მეც, არამჭერმეტყველს, ენა გამეხსნა, ბაგე ამიტყველდა. ეს თქვენი გულწრფელი დახვედრა, ეს და პატივსაცემად გამართული დღესასწაული ნიშანია ჩემი მოღვაწეობის დაფასებისა. პირადად მე ჩემს თავს არ ვაკუთვნებ ამ მადლობასა. ეს ეკუთვნის ჩემს ტურფა სამშობლოს. სამშობლოს ბუნებამ დაბადებისას დამაყოლა მცირე რამ ნიჭი, მასესხა მან, დამბადებელმა, რამდენიმე ქანქარი. ეს ქანქარი ორმოცდაცამეტი წლის მანძილზე ჩემს(?) ვატარე და აი დღეს მადლობით ვუბრუნებ ჩემს დამბადებელს, ჩემს აღმზრდელს სამშობლოსა...

ვხარობ რა სამშობლოს ნათელმოსილობით, ვიფონებ რა სამშობლოს უკვდავებას, სამშობლოს წინაშე მცირედ თუ ბევრად ვალმობილი იმედიანად ჩავალ საფლავად და შევლაღადებ მართალი სვიმონივით: აწ განმკითხე, ტურფა სამშობლოვ, მონა შენი, რამეთუ თუ იხილა თვალმან ჩემმან აღდგომა შენი!..“ (ბ. 15675).

ფონდში დაცულია საქართველოს სსრ-ის სახალხო განათლების კომისარიატის მოწმობა (დათარიღებული 1924 წლის 12/XI-ით), რომ იგი იღებდა დახმარებას - პენსიას - როგორც საზოგადო მოღვაწე.

ხელნაწერი 15667 რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტია, რომელიც გაცა 189(?) - 1895 წლის 7 ივლისს საქართველო-იმერეთის სინოდ(ალ)ური კანტორის მიერ, რომ ს. ნარის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მღვდელს, ზაქარია სიმონის ძე მგალობლოვსა და მის მეუღლეს, მარიას (იგივე თალალას), დირბის თეოდორე შებინაძე ტირონის(?) სახელობის ტაძრის საეკლესიო წიგნის მიხედვით 1851 წლის 20 ივლისს სოფრონის ნათლია იყო თავად სიმონ ამირჯიბის მეუღლე - ალექსანდრა სიმონის ასული. მონათლა მღვდელმა პეტრე სამადალოვმა (სამადალაშვილმა). ბ. 15667-ის მიხედვით, სოფრომის მშობლები შესული ყოფილან მეფე ერეკლეს მიერ შედგენილ აზნაურთა I წიგნის სიაში ნომრით 1110.

ავტობიოგრაფია (ბ. 15675) საკმაოდ ვრცელია, ბოლოში მითითებულია, როგორ დახმარებას უწევდა ს. მგალობლიშვილს სხვადასხვა დროს ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე.

მოგვიანებით მას ეს ხელნაწერი შეუმოკლებია და უკვე მეორე რვეულში მოკლედ გადმოუცია (ბ. 15665) სათაურით „ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია“.

ბ. 15676-ში მოცემულია ს. მგალობლიშვილის ნაწერების სია, რომელიც მოიცავს 240 დასახელებას. მასში შედის კორესპონდენციები, თუ რა სად დაიბეჭდა. ერთ-ერთი დასახელების - მოთხრობა „ტატეს“ - ქვეშ მინაწერია (დაიბეჭდა გ. „დროებაში“, №213: „ეს მოთხრობა ნაწყვეტი იყო მოთხრობისა „მეველე“), ვრცლად დაიბეჭდა შემდეგ „ივერიაში“ სათაურით „მეველე“. „პირველი მოთხრობა იყო „ტატე“ ხალხის ცხოვრებიდამ, რომელიც პირველად დაიბეჭდა. დაწერილი მქონდა ყველაზე უწინ „დედა მათა“, გავგზავნე კიდევ „დროებაში“, მაგრამ სადღაც გადაუვარდათ - ასე მოთხრეს, მაშინ რედაქციაში, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ბ. რედაქტორს მოთხრობა არ წაეკითხნა და მაშინ „ივერიაში“ მივეცი და ეს „დედა მათა“ დაიბეჭდა 1881 წ. თებერვლის ნომერში“.

ამჟამად, ავტორი საკმაოდ სკრუპულოზობას იჩენდა თავისი ნაწერების სიის შედგენისას, რადგან მინიმუმებული აქვს რა სად და როდის დაიბეჭდა. ამ სიიდან ყველა მასალა შესწავლილია როგორც ხელნაწერში, ისე პუბლიკაციაში, რაშიც დიდი დახმარება სწორედ ავტორისეულმა ხელნაწერმა გაგვიწია.

გარდა ამისა, ზ. 15719-15720-ში მოცემულია ავტორის ჩანაწერები, შენიშვნები, ხოლო ცალკე რვეულში - ბ. 13468 - წარმოდგენილია დირბელი გლეხების (გიგუცა დოლიაშვილის, სანდრო გობეჯიშვილის, სოლო ქოთუაშვილის, იასონ მაჭარაძის) მიერ 1939 წელს ვასილ ნამშურიძის ჩაწერილი მოგონებები.

ეს ხელნაწერები მხოლოდ ნაწილია იმ ვრცელი მემკვიდრეობისა, რომელიც დაცულია სხვადასხვა ფონდში და ქმნის დასრულებულ სურათს მწერლის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდიდან“, ბ.15667, 15665, 15567, 15730, 15676.
2. ს. მგალობლიშვილი, 1938, *მოგონებანი*, ფედერაცია, ტფილისი;

TAMAR GOGOLADZE

Gori State Teaching University

MATERIALS FROM THE BIOGRAPHY OF SOPROM MGALOBlishVILI IN THE ARCHIVE OF Giorgi Leonidze State Museum of Literature of Georgia**RESUME**

Archaeological heritage of famous Georgian writer and publicist (1851-1925) is scattered in various museums or manuscripts (Literature Museum, National Center of Manuscripts, Georgian National (Literary and Historical Archives, etc.) It is quite extensive and its study is noteworthy as from the point of literature study as from the point of political or cultural life of 70s of the XIX century and 1920s.

In the presented article, our attention is paid to the materials kept in the funds of the literary museum that are important for the biography. Some of them were published in the XIX century and later in the 1910s on the pages of the magazine "Eri" ("Nation") (No. 21, 22, 23,24,26), and in 1938 Levan Asatiani published in the form of a completed-written form. Now it is bibliographic rarity "Memories". As L. Asatiani himself notes in the introduction of the book ("from the editor"), he has come across difficulties in terms of availability of publications and manuscripts in various repositories and archives. Therefore, we consider it necessary to determine their full bibliography that has not been included in the present edition due to the above reasons.

In the collections of the literary museum many manuscripts or photographs have been preserved, the main part of which was donated to the museum by the writer's daughter, repressed EsatteMachabeli's wife KetevanMgaloblishvili and later gradually filled up with archive materials or donations from different persons.

This time our attention drawn to the materials that have never been published for almost 80 years and fills empty space in the study of the writer's biography or creative works. These are f. 15 667, 15 665, 16 567, 15 672, 15 730, 15 676.

From the mentioned literary fund, 5 of these stock materials are necessary documents for the biography of SopromMgaloblishvili. These documents are certificates, letters to the writers' union, "My Autobiography", featuring amazing description of the writer's native village Dirbi, Gori theological school and years spent in Tbilisi Seminary. These materials further were expanded in individual publications and the story of "From the Past", or represents truly artistic material of memoir book. As for 15 676, this is the "List of My Writings" prepared by the author, in the list the name is pointed as well as the year of their publication and the press office, totally- 240 names. Here are letters, reviews, fiction.

This material is only a part of the extensive archival heritage, which is protected in various funds and provides the details and facts collected by the writer S. Mgaloblishvili.

Keywords: Sofrom Mgaloblishvili, the Biography, Museum of Literature of Georgia

თქა თჳაღაჳაჳი

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

გრიგოლ ორბელიანის ნაჩიღების კუდგუჳუღ-ისგოკიუღი ასჳაჳჳაჳი

პირადი და ოფიციალური წერილები დოკუმენტური ხასიათის ტექსტებია, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის როგორც ავტორის, ისე მისი გარემოცვისა და იმდროინდელი ისტორიულ-კულტურული მოვლენების შესახებ. ამიტომ მათი კვლევით ყოველთვის ინტერესდებოდნენ არა მხოლოდ ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების შემსწავლელი მეცნიერები, არამედ ზოგადად წყაროთმცოდნეები და ისტორიკოსებიც. წერილების მნიშვნელობა მრავალგზის იზრდება, როცა მათი ტექსტები მეცნიერულად დაზუსტებული და დათარიღებულია, მოხსენიებულ პირთა ვინაობა გარკვეულია და ტექსტის ყველა რთულად გასაგები პასაჟი კომენტირებული. ამგვარი კვლევები ფუნდამენტური ხასიათისაა და, მათი თანდათანობითი ღირებულების გარდა, ისტორიულ-კულტურული ხასიათის კვლევების საფუძველი ხდება.

გრიგოლ ორბელიანი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა პირადი თუ ოფიციალური ბარათების წერას. მან უმდიდრესი, საინტერესო და ენობრივ-სტილური თვალსაზრისით დახვეწილი ეპისტოლური მემკვიდრეობა დატოვა. ეს წერილები სავსეა განცდებით, ემოციებით, საინტერესო აზრებითა და იმ პერიოდის აქტუალურ საკითხებზე ღრმა განზოგადებული მსჯელობებით. ხშირად მკაფიო და შესამჩნევი ხდება, როგორ სცდება ნარატივი პირადი მიმოწერის საზღვრებს და პუბლიცისტურ სტილში გადადის.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოცემასა და მეცნიერულ შესწავლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აკაკი გაწერელიას. მან 1936-1937 წლებში გამოსცა წერილების ორი ტომი, რომლებშიც შევიდა 1832-1859 წლებში დაწერილი 383 ბარათი. მათი აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეს გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო. მკვლევარს გრიგოლ ორბელიანის წერილების გამოქვეყნება სამ ტომად ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მხოლოდ ორი ტომის გამოქვეყნება მოასწრო. მესამე ტომში ნავარაუდები იყო 1860-1883 წლების სამოქალაქო პერიოდის წერილებისა და დაუთარიღებელი ბარათების გამოქვეყნება. ქართული წერილების გამოცემის შემდეგ იგეგმებოდა რუსულ ენაზე არსებული ოფიციალური და კერძო წერილების დაბეჭდვა, მათ მეოთხე-მეხუთე ტომები დაეთმოდა.

პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ აკაკი გაწერელია აღნიშნავდა: „წერილები უმთავრესად საინტერესოა იმით, რომ ააშკარავენ უაღრესად საინტერესო ეპიზოდებით მდიდარ ცხოვრებას. გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიაში ბევრია ისეთი შტრიხი, რომელსაც პირველად გადმოგვცემს წერილები და რომელსაც შეუძლია გაამდიდროს პოეტის მომავალი ბიოგრაფის ან კავკასიური ომის ისტორიის მასალაზე მომუშავე მწერლის ნაშრომები“ [ორბელიანი, 1936:24-25].

2010 წელს დაიწყო პროექტის „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“ განხორციელება. I ტომი დაეთმო ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებს, II ტომიდან კი დაიწყო გრიგოლ ორბელიანის წერილების ბეჭდვა. დღეისათვის გამოცემული 7 ტომი მწერლის 727 წერილს აერთიანებს. წერილები გაბნეულია სხვადასხვა არქივსა თუ მუზეუმში. ამჟამად დიდი ძალისხმევით შედგება მიკვლეული მათი უმრავლესობა. მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივსა და კორნელი კეკელიძის სახე-

ლობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მცირე ნაწილი კი - ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში; რამდენიმე წერილის ავტოგრაფი და ლენინგრადის არქივში დაცული წერილების ფოტოკოპიები - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ერთი წერილი კი - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში. ამ შვიდტომეულში წერილების უმეტესობა პირველად გამოიცა და მოიცავს 1832-1864 წლებს. ჯერ კიდევ გამოსაქვეყნებელია 1870-1883 წლებში დაწერილი ბარათები, რომელთა უმეტესობა საზოგადოებისთვის უცნობია.

გრიგოლ ორბელიანის როგორც ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის, ისე ერთ-ერთი საუკეთესო მწერლისა და ქართული კულტურის მოამაგის შემოქმედება და მოღვაწეობა მრავალმხრივია და მჭიდრო კავშირშია XIX საუკუნის ქართულ ყოფასთან. მისი ეპისტოლური ნააზრევის თავმოყრით იქმნება ეპოქის არაჩვეულებრივად რეალური სურათი, ცოცხალი სახეებითა და ახლოდან დანახული მოვლენებით.

დალესტანში სამხედრო მოღვაწეობის დასრულების შემდეგ გრიგოლ ორბელიანი სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის მართვაში. აკაკი გაწერელიას ცნობით, 1859 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებული გრიგოლ ორბელიანი ორი თვით ასრულებდა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას, 1860-1862 წლებში - მეორედ, ხოლო 1864 წელს - მესამედ [ორბელიანი, 1959:68]. რძლის ბარბარე გრუზინსკაია-ორბელიანისადმი მიწერილი ბარათიდან კი ჩანს, რომ 1865 წლის აპრილში, მიუხედავად მწერლის უარისა, ის კვლავ დაინიშნა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლად [ორბელიანი, 2018:26]. იმ პერიოდში მწერალი ხშირად უგზავნიდა წერილებს კავკასიის მეფისნაცვლებს - ალექსანდრე ბარიატინსკისა და მიხეილ რომანოვს. ეს ვრცელი მოხსენებები თუ მოკლე წერილები მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებზე მწერლის დამოკიდებულების შესახებ.

ალექსანდრე ბარიატინსკისთვის 1861-1862 წლებში გაგზავნილ წერილებში მწერალი დაწვრილებით აღწერს 1861 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის სტუმრობას სოხუმში, ფოთსა და ქუთაისში, სამხრეთ და დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებს, დამორჩილებული ჩეჩენ-ინგუშების მშვიდობიან ცხოვრებას, მთიელთა შორის მიწების განაწილების საკითხს. განსაკუთრებულად აღნიშნავს აფხაზეთის ოფიცერთა კომისიის შექმნის მნიშვნელობას: „მიზეზთა გამო, რომლებიც განმარტებულია ჩემს წინა წიგნში, ვერ შედგა აფხაზთა მხრიდან კნიაზ შერვაშიძის მეთაურობით მოქმედებებისათვის განზრახული მოძრაობა ოტრიადისა. ხოლო ოტრიადის ნაცვლად ჩუენ შევქმენით კომისია რაოდენიმე აფიცრისაგან, რომლებიც უყოყმანოდ მიიღო შარვაშიძემ თავის განსაკუთრებულ მფარველობის ქუემ. ამ აფიცრებს მეთაურობს ღენერალური შტაბის კაპიტანი ბარახოვიჩი და მათთან ერთად მონაწილეობს თქუენი ცნობილი ჰასან-მარგანი. ამ კამისიას, სხუათა შორის, დაეკისრა ძალზედ სახიფათო დავალება: სუხუმიდან მთებზე გადასვლა და შეძლებისდაგუარი მიმოსვლის გახსნა კავკასიის ჩრდილოეთთან. მესმის მთელი საშიშროება, რომელიც ემუქრებათ ამ აფიცრებს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კნიაზ შარვაშიძის გავლენა იქაურ ტომებზედ და ჰასან-მარგანის პიროვნება დაიცავენ მათ მთიელთა მტრული თავდასხმებისაგან გზაზე“... [ორბელიანი, 2017:142-143].

საგლეხო საკითხთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანი მეფისნაცვალს აცნობებს, რომ მან აუცილებლობად მიიჩნია თბილისში გუბერნიის ყრილობის ჩატარება, რასაც ბევრი ყაყანი, კამათი, უგნური პროექტების წარდგენა და მამრის კომიტეტების შექმნის მიმართ საშინელი უნდობლობა მოჰყვა. ბოლოს თავადანაშურობა ორად გაიყო, მაგრამ იმედოვნებს, რომ ეს რთული საკითხი მშვიდობიანად დასრულდება. სხვა ადრესატებისადმი წერილებშიც ჩანს გრიგოლ ორბელიანის წუხილი და ზრუნვა საგლეხო საქმის მიმდინარეობასა და თავად-ანაშურთა მდგომარეობაზე. საინტერესო მსჯელობაა ბატონყმობაზე იოანე ანდრონიკაშვილისთვის 1862 წელს გაგზავნილ წერილში: „ჩუენმა ბატონყმობის საქმემ, როგორცა მოველოდი, ისე მიიძინა მშვიდობიანად... ახლა რა უნდა მოვახსენოთ ველიკის კნიაზსა? ამ ორის წელიწადში აბა რა გქენით? - რადგანაც ჩუენ ვერ შევძელით ამის აღსრულება, მეშინიან, რომ მმართველობამ არ შეადგინოს კომისია და არ დაგვიწერონ პოლოჟენიე კაცთა, რომელთაცა არ იციან ზედმიწევნით ჩუენი და ჩუენის გლეხების მდგომარეობა და ერთმანეთის დამოკიდებულება. კახელებსა გქენდათ დიახ კარგი ჰაზრი და გყუნდათ აღმორჩეულნიცა პირნი, გამოჩენილნი გონებითა და კეთილშობილურის ხასიათითა და ქვევითა, რომელთაცა შეეძლოთ დაბოლოება ამა ძნელისა საქმისა, რაღათ შეჰსცუალეთ ესრეთ დაწყობილება?... ახლა ხომ კიდევ უნდა შევიყარნეთ, კიდევ უნდა უსარგებლოდ ვიყაყნოთ, ვისიც ხმა უმეტესად ღრიალებს, იმისი უნდა ისმოდეს!“ [ორბელიანი, 2017:163].

მეტად საყურადღებოა მთავარმართებელ მიხეილ რომანოვთან 1865 წელს პეტერბურგში გაგზავნილი წერილები, რომლებიც მრავალ საკითხს აბუსტებს და ნათელს ჰფენს. გრიგოლ ორბელიანი დიდ მთავარს აცნობებს, რომ მმართველობის საქმე ისე მიდის, როგორც მან უბრძანა: გუბერნიებში სიმშვიდეა, იმერეთში გლეხობის საკითხიც აღარ აღელვებს; მთელი ყურადღება მიპყრობილია სარკინიგზო სამუშაოებზე; მოხელეები თბილისის გუბერნიის მამრებში გაემგზავრნენ სასოფლო სამმართველოების გასასხნელად; დაიწყო ჩეჩნების გადასახლება და ვარაუდობს, რომ მღელვარების გარეშე დასრულდება; მიმდინარეობს ყარაიაზის მიწის სამუშაოები; დილიჯანსი გაემართა ერევნისკენ მიმავალი ხაზის დასადგენად; დაიწყო არსენალის მშენებლობა.

1865 წლის რამდენიმე წერილში გრიგოლ ორბელიანი თანმიმდევრობით აღწერს გადასახადებისგან შევიწროებული თბილისელი ამქრების აჯანყებას, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა მკაცრად ჩაახშო. წერს, რომ მუდამ მშვიდობიანი თბილისის გადასახადების შესახებ ხმებმა ააფორიაქა; ის ვიცე-გუბერნატორ ნიკო ჭავჭავაძესა და პოლიცემისტერთან ერთად ამშვიდებდა ხალხს, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ქალაქისთავის სახლი გაძარცვეს, მოკლეს გადასახადების შემკრები ბაშბეუქ-მელიქოვი, რის გამოც გრიგოლ ორბელიანმა იარაღს მიმართა და სისხლი დაიღვარა. აქებს გენერლებსა და პოლკოვნიკებს, რომლებიც დაეხმარნენ შფოთის სწრაფად ჩაქრობაში; მეფისნაცვალს არწმუნებს, რომ ამ სამწუხარო ამბავში პოლიტიკური მიზანი არ ყოფილა. მაგალითებად მოჰყავს იმავე საკითხზე ვორონცოვისა და პასკევიჩის მოქმედებები; სთხოვს, სანამ მოსაკრებლის საქმე ქალაქის სასარგებლოდ გადაწყდება, მოსახლეობას ნება დართოს, ბეგარა ძველი წესით შეიტანოს, რადგან ხალხს არ ძალუძს ერთბაშად გადაიხადოს ყველა გამოსაღები.

ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი უფრო გულწრფელად ჩანს ახლობლებისადმი პირად წერილებში, რომლებიც გარკვეული შეზღუდვებისგან თავისუფალია. ამ ტიპის ბარათებით ცხადი ხდება, მწერალი როგორ აღიქვამს სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენას. თბილისის არეულობის ამბავს გრიგოლ ორბელიანი მიმოიხილავს ბიძაშვილთან - ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანთან - პეტერბურგში გაგზავნილ წერილშიც. ატყობინებს, რომ მოსკოვისა და სხვა გაბეთების ცნობები, რომ საქართველო იქცა შფოთისთავ ავბააკთა ბუნგად, ხოლო პოლიტიკური პარტიები ცდილობენ სომხური, ქართული და თათრული სამეფოების დამოუკიდებლობას, ამასთან საფრანგეთის გავლენას განიცდიან, სიმართლეს არ შეესაბამება. ფიქრობს, რომ მიხეილ კატკოვს, რომელსაც არ შეუსწავლია კავკასიის არმიის სახელოვანი საქმეები, ხელს აძლევს ქართველები მოღალატეებად შერაცხოს. „რას ნიშნავს მთელი ეს ალიაქოთი ჩუენს გაბეთებში, მთელი ეს ლანძღვა ხალხებისა, რუსეთში რომ ჰცხოვრობენ? ლანძღვენ ნემცებს, - პოლიაკებზე ხომ არცა ღირს ლაპარაკი, ლანძღვენ მუსლიმებს, რომელთაც ოდენ მეტელობა თუ ძალუძთ, და კიდევ მათვე ემუქრებიან მართლმადიდებლებად გაქცევით. ეს სალანძღავი მუქარები შეესატყვისება კი საღს პოლიტიკას და არ ვარდება აქაური უზენაესი ხელმძღვანელობა უხერხულს მდგომარეობაში მუსულმანებთან დაკავშირებით, რომელნიც ჰცხოვრობენ სივრცეებზე თვით ტფილისის აბანოებიდან ვიდრე წყნარი ოკეანის ნაპირებამდინ? და ძალუძს კი დიდს კნიაზს ტახტის ერთგულება ითხოვოს ხალხისგან, რომლის რელიგიაც თვით უნდა გაანადგუროს? ახლა სომეხთა და ქართველთა გინება დაიწყეს. რომელი ერთი დაშთა რუსეთში შეუღანძღავი?.. ლანძღვით ვერ მოიპოვებ დიდებას, ვერ შეიძენ სიყუარულსა და ნდობას. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამგუარი მიმართულება ჩუენის გაბეთებისა ან მთავრობის მტერთა დანაშაულებრივი მისწრაფებიდან მოედინება სხუადასხუა ტომებში სიძულვილის გრძობის გასაღვივებლად რუსეთის მიმართ, ან კი ეს არის ნიშანი უხეშის სიბრყვისა, რომლისთვისაც ლანძღვა წარმოადგენს სიტყვის თავისუფლებას, აბა როგორ არ აგინოს კატკოვმაც ვინმე: პრესის თავისუფლება ხომ ამისთვისაა“ [ორბელიანი, 2018:65-66].

გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთ წერილში ვრცლად არის განხილული საქართველოს სასწავლებლებიდან და ეკლესიიდან ქართული ენის განდევნის პრობლემა. მწერალი აღშფოთებულია, რომ საქართველოში აღარ იქნება საჭირო ქართული ენის ცოდნა, ქართველებმა არ უნდა ილოცონ ქართულად, სემინარიამი აღარ უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ენა, რადგან, მავანთა აზრით, ქართველებს არ აქვთ მდიდარი ლიტერატურა. განსაკუთრებით მიუღებელია მღვდელი ხელაძის თავგამოდებული და მჭევრმეტყველოური მტკიცება, რომ საქართველო ბედნიერი და წარმატებული იქნება, როდესაც ქართული ენის სახსენებელი გაქრება. საქართველოში ებრაელები, თათრები, სომეხები და ფრანგებიც კი თავიანთ ენებზე გალობენ, მხოლოდ ქართველები ამოურჩევიათ დასაჩაგრავად და ქართულ ენაზე ლოცვა-გალობას უკრძალავენ. იმედოვნებს, რომ დიდი მთავარი, მიხეილ რომანოვი, რომელიც არ ეთანხმება სინოდის გადაწყვეტილებას, სამღვდლოების გეგმას ჩაშლის.

მწერლის დამოკიდებულება ქართული ენისა და ზოგადად კულტურისადმი ნათლად ჩანს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისთვის 1869 წლის 1 ივლისს გაგზავნილ წერილში. პოეტი გაკვირვებულია და გახარებული, რომ ანჩისხატში წირვაზე ქართულად გალობდნენ და ადრესატს ევედრება, თავის მხარეში არ გააქროს ქართული გალობა, რომელსაც ერი ათასი წლის განმავლობაში ისმენდა. აცნობებს, რომ ქართული ენის მოყვარულებს დიდი გეგმები აქვთ, ძველ ქართულ წიგნებს აბეჭდვინებენ და იმედოვნებს, ამ კეთილ საქმეში ეკატერინე და მისი შვილებიც შეეწევიან; იქვე დასძენს: „ქართული წერილი იყო სამასის წლის უწინარეს ქრისტეს დაბადებისა, და თუკი არ განჰქრა და მამა-პაპათა ჩუენთა დაიცუეს იგი დროსა საშინელის გაოხრებისა, დატყუებისა, აკლებისა მაჰმადიანთაგან ჩუენის მამულისა, ესლა ჩუენს მშვიდობიანობის ჟამსა, დიდის მოწყალეს ხელმწიფის მფარველობის ქუემ დაცული, რად უნდა დაეცეს წერილი ჩუენი? ვის რა დაუშავდება, რომ სხუათა ენათა შორის იყოს ჩუენიცა ცოცხალ?...“ [ორბელიანი, 2018:238].

სამხედრო განათლების მიღების შემდეგ, სხვადასხვა დროს, გრიგოლ ორბელიანი მსახურობდა რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ირანში. პირად წერილებში ფართოდ არის წარმონიშნული მისი დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურის, განსაკუთრებით კი კულტურის არამატერიალური ასპექტების მიმართ, როგორებიცაა: ცხოვრების წეს-ჩვეულებები, ღირებულებები, იდეები და სხვა.

გრიგოლ ორბელიანი ხშირად წერს ევროპის ხალხების კულტურაზე და პარალელს აგლებს ქართულ კულტურასთან. იგი აღფრთოვანებულია გერმანელების განათლებით, მომჭირნობით, წესრიგითა და გასაოცარი სიფაქიბით. მანანა ორბელიანისადმი წერილში აღნიშნავს, რომ ისინი „ფილოსოფიურ სულთა მპყრობელნი სათამაშოდ აღიქვამენ ყოველივე იმას, რაიც სხვებს ახალისებს და ხიბლავს. ისინი ცხოვრობენ გონებითა და არა გულითა; სწორედ ამიტომაც მათს მხიარულებას, ყველაზე ხმაურიანს, უდის სურნელი რაღაცნაირის მედიდურობისა“ [ორბელიანი, 2012:49]. ახალდაქორწინებულ ძმას ურჩევს, რომ ოჯახი გერმანული ანგარიშით მართოს და ხარჯი არ გადაამეტოს შემოსავალს, რადგან ამ კანონის დარღვევა იწვევს მრავალ უბედურებას. გერმანელი ქალების შესახებ წერს, რომ თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან ქართველ ქალებს, მაგრამ ზრდილობით, სწავლითა და განათლებით ძალზე შორს არიანო. მწერალი აკვირდება ევროპელების დასვენებას და ნატრობს, რომ ქართველებმაც ასე ადამიანურად იცხოვრონ. ფიქრობს, რომ ამის მატერიალური შესაძლებლობა საქართველოშიც ბევრს აქვს, მაგრამ განათლება არ ყოფნის - „ჯერ უშკოლონი და უბიბლიოტეკონი ვართ“.

გრიგოლ ორბელიანი განათლებაზე ხშირად მსჯელობს სხვადასხვა ადრესატისთვის გაგზავნილ წერილებში. განსაკუთრებით ზრუნავს მემკვიდრე ძმისწულის - გიორგი ორბელიანის - მომავალზე. რძალ ბარბარე გრუზინსკაია-ორბელიანს სწერს, რომ გერმანიის, შვეიცარიისა და ინგლისის სასწავლებლები საუკეთესო განათლებას აძლევს ახალგაზრდებს და მათ ზნეობრივ და სულიერ განვითარებასაც დიდი ყურადღებით ეკიდებაო, ამიტომ ურჩევს, რომ მისმა ვაჟმა მოსკოვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ აუცილებლად სწავლა გააგრძელოს ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში. „მე მსურს, რომ გიორგის ნორჩი გული განიმსჭვალოს რელიგიურის მრწამსით, ურომლისოდაც ვერ ჰპოვებს კაცი ბედნიერებას სიცოცხლეში. მე მინდა, რომ ჩემი ძმისშვილი იყოს საუკეთესო ქართველი, ევროპიული მეცნიერებით განათლებული და შეურყვნელი უახლესი ფრანციკული ფილოსოფიის იდეებითა...“ [ორბელიანი, 2018:84].

წერილებიდან ჩანს, რომ მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნის დროს გრიგოლ ორბელიანი რეგულარულად დადიოდა საოპერო წარმოდგენებზე და ტკებებოდა ევროპული მუსიკით. სამხედრო სამსახურის მიუხედავად, მწერალი ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა თბილისის კულტურულ ცხოვრებას და თუ მონაწილეობას ვერ იღებდა, საქმის კურსში მაინც ყოფილიყო, რა ხდებოდა ამ მხრივ სამშობლოში. 1850 წელს თავად მიხეილ ვორონცოვს გაუგზავნია მისთვის თბილისში გამართული თეატრალური წარმოდგენის აფიშა და გრიგოლი წერილით შეეცადა, ილია ორბელიანისგან ამ მოვლენის შესახებ მეტი შეეტყოს. ძმას სთხოვდა, წასაკითხად გაეგზავნა პირველი ქართული კომედია „გაყრა“, რომელიც სცენაზე ვერ ნახა.

მწერალი ბარათებში ხშირად გადმოსცემს თბილისში მიმდინარე კულტურული მოვლენებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს. ჟენევაში მყოფ რძალს აცნობებს, რომ თბილისი მთელი ძალით მხიარულობს, მუშთეიდში რუსული თეატრია, მონპლემბირში სეირნობები, სანსუსში აგრეთვე რუსული თეატრი და ამას ქალაქისთვის საოცარ პროგრესად მიიჩნევს. 1867 წელს კი ნიკო ჭავჭავაძეს დადესტანში სწერს: „...ქალაქის ამბებში გართული კაცი ვერ მოიცილის, მეტადრე ქართულის ხასიათით დღეს, ხვალ და ამასთან ოპერა, კასტელლი, რუსის თეატრი, ცირკი, ვეჩერები, და უფრო და უფრო კლუბი, ახალი კლუბი, რომლისა მზგავსი არა შედგენილა რა თბილისში: მშვენივრად მორთული სახლი, დარბაისლების საზოგა-

დობა, დიდკაცური სადილები, უცხო და უცხო ღვინოები სხუა და სხუა ქვეყნებიდან გამოწერილები - ახალი ქართული გახლავს - სადილს უკან ბოსტონ-იარაღაშები, ბემიკ-ბილიარტები და სხუანი და სხუანი...“ [ორბელიანი. 2018:134].

ეკატერინა კარცოვასადმი წერილში აღწერს ივანე აივაზოვსკის ნამუშევრებს, ალტაცებული კავკასიის ხედებით, რომლებიც ერმიტაჟში უნდა გამოიფინოს. სასურველად მიაჩნია, ერმიტაჟში კავკასიის ხედების განყოფილება შეიქმნას და ყველა ნახატი ერთად განთავსდეს. აცნობებს, რომ აივაზოვსკის სურს არარატის, კახეთისა და ყირიმის მონახულება, გრიგოლი კი ურჩევს, ნახოს კახეთი, რადგან დასანანი იქნება, თუ მხატვარი ალაზნის ველის სანახავად დროს ვერ გამო-ნახავს.

გრიგოლ ორბელიანი ხშირად წერს ევროპული კულტურის შესახებ, მაგრამ ასევე ხიბლავს აღმოსავლური ხელოვნება; ხშირად სტუმრობს იტალიურ ოპერას, მაგრამ ესწრება ირანელი მომღერლის - აღასათარას - ბენეფისსაც; აღფრთოვანებულია ირანელი პოეტის - საადის - პოემით და თავის ძმას უგზავნის მისი ლექსის რუსულ თარგმანს, თან აღნიშნავს, რომ კიდევ უფრო მშვენიერი იქნებოდა სპარსული ორიგინალი.

1866 წელს სპარსეთის შაჰ ნასერ ალ-დინ შახ კაჯარის მიწვევით გრიგოლ ორბელიანი ერთი თვით იმყოფებოდა ირანში. იგი წერს, რომ ირანის გამგებელი ბევრად განათლებულია თავის თანამემამულეებზე, სწავლობს ფრანგულს და აპირებს ევროპაში მოგზაურობას. ქართველ მწერალს უკვირს ის პატივი, რომლითაც მიიღეს და შაჰის თანდასწრებით ჯდომის უფლებაც კი მისცეს. შვიდი წლის შემდეგ ნასერ ალ-დინ შახ კაჯარმა მართლაც იმოგზაურა ევროპაში. როდესაც ორბელიანმა შეიტყო, რომ ბრიტანეთიდან სამშობლოში მიმავალი შაჰი თბილისში გაივლიდა და სამი დღით დარჩებოდა, შეაწუხა იმაზე ფიქრმა, როგორ უნდა მოეხერხებინათ მისი გართობა მას შემდეგ, „რაც ევროპამ უჩვენა ყოველი, რაიცა კი აქუს მართლად გასაკვირველი საჩუენებლად. რაიცა კი შეუქმნია ანუ სწავლასა და ხელოვნებასა, ანუ ძლიერებასა და სიმდიდრესა, ანუ გემოვნებასა და მორთულობასა“.

ამგვარად, გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა ფორმითა და შინაარსით მრავალმხრივია, ამასთან გულწრფელი ხასიათის. ამ წერილებით ზუსტდება მწერლის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის დეტალები, ირკვევა მე-19 საუკუნის საქართველოში მიმდინარე ისეთი ისტორიული, ლიტერატურულ-კულტურული და ყოფითი ფაქტები, რომლებიც სხვა დოკუმენტებში არ დასტურდება ან სხვაგვარად არის ცნობილი ოფიციალურ საბუთებსა თუ თანამედროვეთა მოგონებებში. ეს წერილები უტყუარი მთხრობელია ავტორის დროინდელი ამბების და შესაბამისად, იმ პერიოდის პოლიტიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი გარემოს შესასწავლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი NDP2016_18 პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ორბელიანი გრიგოლ, 1936, წერილები ორ ტომად, ტომი I, რედაქტორი: გაწერელია აკაკი, თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
2. ორბელიანი გრიგოლ, 1959, თხზულებათა სრული კრებული, რედაქტორები: გაწერელია აკაკი, ჭუმბურიძე ჯუმბერ. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“.
3. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2012, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), რედაქტორები: გიგაშვილი ქეთევან, ნინიძე მათა. თბილისი.
4. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2017, ტომი VII, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VI), რედაქტორები: გიგაშვილი ქეთევან, ნინიძე მათა. თბილისი: ჯეოპრინტი.
5. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, 2018, ტომი VIII, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VII), რედაქტორები: გიგაშვილი ქეთევან, ნინიძე მათა. თბილისი: უნივერსალი.

TEA TVALAVADZE

Iakob Gogebashvili Telavi State University,
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

CULTURUL-HISTORICAL ASPECTS OF GRIGOL ORBELIANI'S LETTERS**SUMMARY**

Grigol Orbeliani left the greatest epistolary heritage, which, according to the writings and works of the writer, is really versatile and closely related to the Georgian life of the XIX century. In the framework of the project "Epistolary Heritage of Georgian Writers of XIX-XX Centuries", 7 volumes of Grigol Orbeliani's letters have been published and another 3 volumes of materials still remain. The letters are protected in the National Archives of Georgia, Korneli Kekelidze National Center of Manuscripts and Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature. The majority of remaining cards are still unpublished and reflect the period of the poet's work in Georgia.

These personal or official letters include documentary texts that provide important information about the author, surroundings and historic-cultural or social-political events. Their research is interesting not only to study the creativity and work of the author but also from the general, theoretical and historical perspective. In addition, the issue of dating, as well as identification of persons mentioned in the letters and commenting on passages that are difficult to comprehend is fundamental and besides their peculiar values, subsequent studies will be based on further historical-cultural features.

As a well-known military and state figure, as well as one of the best writers and patrons of Georgian culture, Giorgi Orbeliani's letters clarify the details of the writer's biographical and multilateral activities, they reveal such historical, literary and cultural and current facts of the XIX century in Georgia that are not confirmed in other documents, or are otherwise known in the official documents or memories of contemporaries. Grigol Orbeliani's epistolary heritage is an authentic narrator of the events occurred in the time of author, and, therefore, represents one of the most significant sources to study the cultural and social and political environment of that period.

ბონდო კუკაშაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო სისხვამის განვითარება და კოლმედიკური პარტიები საქართველოში (1917-1920 წწ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესწავლისას საკვანძო მნიშვნელობისაა 1917-1920 წლებში მიმდინარე საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციის პროცესის გააზრება, რაც ცენტრალური და ადგილობრივი პოლიტიკური ხელისუფლების არჩევითი ორგანოების (ეროვნული საბჭო-დამფუძნებელი კრება, საქალაქო და სამამრო ერობები) ფორმირების და ხელისუფლების დანაწილების, სოციალ-პოლიტიკური რეფორმების საფუძვლად იქცა.

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რასაც მოჰყვა იმპერიის ნგრევა, ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიაში მცხოვრები „ნებაყოფლობით“ შეერთებული თუ დაპყრობილი ერების თვითგანსაზღვრისათვის. არსებობა დაასრულა კავკასიის სამეფისნაცვლომაც. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ: რუსეთის დროებითა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა ჩააბარა სამხარეო ხელისუფლების ორგანოს - ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომი), რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით დაკომპლექტდა. ოზაკომის თავმჯდომარედ დაინიშნა კადეტი ვ. ხარლამოვი. ოზაკომის ქართველი წევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, რომელიც იმხანად უკვე ავადმყოფობდა და მალე გარდაიცვალა. კიტა აბაშიძის ნაცვლად ოზაკომის წევრი გახდა სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. ოზაკომი თბილისში პრაქტიკულად მოღვაწეობას 1917 წლის 18 მარტს შეუდგა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მთელი ყოფილი რუსეთის იმპერიის, მათ შორის ამიერკავკასიის მასშტაბით მოიტანა საარჩევნო სისტემის სრულყოფა, მისი დემოკრატიულ რელსებზე გადასვლა. გაუქმდა არჩევნების მრავალსაფეხურიანობა და თვეობით გაგრძელებადობა, საარჩევნო ცენზები (ქონებრივი, სოციალური, გენდერული), საარჩევნო კურიები.

1917-1920 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა 4 არჩევნები. მათ შორის 2 არჩევნებს კურიებდა რუსეთის დროებითი მთავრობა და მისი წარმომადგენლობა კავკასიაში „ოზაკომი“, ხოლო მომდევნო 2 არჩევნები გაიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების ეგიდით და ქართული საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე. ეს არჩევნებია: 1. რუსეთის 1917 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები (1917 წ. 12-19 ნოემბერი); 2. 1917 წლის აგვისტო-სექტემბრის საქალაქო არჩევნები; 3. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები (1919 წლის 14-16 თებერვალი; 1919 წლის სექტემბერი; 1920 წლის მაისი). 4. საქალაქო და საერობო თვითმმართველობის არჩევნები 1919 წელს. ამჯერად სტატიაში შევხებით ცენტრალური მმართველობის არჩევითი ორგანოების ფორმირების და არჩევნების ისტორიას.

1917 წლის 20 ივლისს რუსეთის დროებითა მთავრობამ გამოსცა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით პროპორციული საარჩევნო წესით არჩევნების ჩატარებას. საარჩევნო დებულების თანახმად ყველა მოქალაქეს 20 წლის ასაკიდან მიეცა საარჩევნო უფლება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნდათ სულით ავადმყოფებს, მეურვეობის ქვეშ მყოფ ყრუ-მუნჯებს, მსჯავრდებულებს. [Учредительное собрание, 1991: 13-15]

მასშტაბური არჩევნების ასეთ მოკლე დროში ორგანიზება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საარჩევნო კომისიას უწევდა მრავალი სპეციფიკური ნიუანსის გათვალისწინება. მაგალითად, მუსლიმი ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საგანგებოდ პირობები და ცალკე დღე წესდებოდა.

რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული იყო დათანხმებოდა თითოეულ საარჩევნო ოლქისთვის ცალკე პარტიული სიების შექმნას, ვინაიდან ერთიანი რუსული პარტიების გარდა (ესერები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და ბოლშევიკები, კადეტები...) განაპირა არარუსულ რეგიონებში მრავალი პოლიტიკური პარტია თუ არჩევნების წინ საგანგებოდ შექმნილი უპარტიო საარჩევნო ჯგუფები ფუნქციონირებდნენ (ჯამში 100-ზე მეტი მთლიანად ყოფილი რუსეთის იმპერიის მასშტაბით), რომლებიც ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მთლიანობაში ასეთმა პარტიებმა და ჯგუფებმა 11 მლნ. ხმა მიიღეს, მთელი საარჩევნო ხმების მეოთხედი [Протасов, 1997: 254-255].

რუსეთის დამფუძნებელი კრებაში 767 დეპუტატი აირჩიეს. მათ შორის: 347 ესერი, 81 უკრაინელი ესერი, 16 მენშევიკი, 11 უკრაინელი სოციალ-დემოკრატი, 180 ბოლშევიკი, 15 კადეტი, 4 სახალხო სოციალისტი, 18 ნაციონალი სოციალისტი, 16 კაზაკი, 62 მუსლიმი, 16 ეროვნული პოლიტიკური ჯგუფებიდან [Протасов, 1997: 299].

რუსეთის დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიაში ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ელექტორატის მისამართით გამოკვეთილი პოლიტიკური მესიჯები ჰქონდათ. 1917 წლის არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატების მთავარი დაპირება იყო: ზავი, მიწა და თავისუფლება. „გაუმარჯოს ძმურ სოლიდარობას და ამიერკავკასიის ერთა მშვიდობიან ცხოვრებას“. ნაციონალურ საკითხში სდბ-ის პოლიტიკური პლატფორმა „ერთა თავისუფალი განვითარების და ეროვნულ უმცირესობათა დაცვით“ შემოიფარგლებოდა. [„ერთობა“, № 191. 1917. 8 ნოემბერი]

საარჩევნო კამპანიის წარმოებისას სდბ ამომრჩეველს ასევე მოუწოდებდა ს-რ პ მხარდაჭერისკენ. თუმცა უშუალოდ არჩევნების წინ მათ ბრალი დასდეს ესერებს დაშნაკვუთუნთან კავშირში და თავის ამომრჩეველს მოუწოდეს უარი ეთქვათ ესერთა მხარდაჭერაზე [„ერთობა“. 1917. №188]. საინტერესოა, რომ ესერთა საარჩევნო სააგიტაციო პლაკატები სოციალ-ფედერალისტთა პარტიულ პრესაშიც იბეჭდებოდა. ესერთა პარტიის მთავარი საარჩევნო სლოგანები იყო: 8-სათიანი სამუშაო დღე, საქართველოს ავტონომია და ანტიბურჟუაზიული იდეოლოგია [გაზ. „ამხანაგი“, 1917, 11 ნოემბერი]

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საარჩევნო პროგრამა ეფუძნებოდა 1917 წლის 7-12 მაისს ჩატარებული პარტიული კონფერენციის ძირითად დადგენილებებს. მთავარ პოლიტიკურ ამოცანად პარტია თვლიდა რუსეთის დემოკრატიულ და ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და ერთა უფლებების უზრუნველყოფას, რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევას საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. ამიერკავკასიის ერებთან თანხმობის საფუძველზე ეროვნული კრების მოწვევა და საქართველოს ავტონომიის მიღწევა.

სფპ-ის წინასაარჩევნო სლოგანი ხაზს უსვამდა ეროვნული სოციალიზმის მნიშვნელობას - „ქართველი მშრომელი ხალხი მხოლოდ მაშინ დაამსხვრევს თავისი კლასობრივი მონობის ბორკილებს, როდესაც თავისუფალი იქნება ქართველი ერი“ [„სახალხო საქმე“, 1917 № 102].

ყველაზე შორს პოლიტიკური მოთხოვნის თვალსაზრისით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წავიდა. მათი საარჩევნო სლოგანი: „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში“ თავად პარტიის მიერ განიმარტებოდა შემდეგნაირად - საქართველოს პოლიტიკური მოწყობა რუსეთთან უნდა დაეფუძნოს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. ედბ ცალსახად აღიარებდა კერძო საკუთრების პრიორიტეტს და მოქალაქეთა თანასწორობას - „თავისუფალი საქართველო კერძო მესაკუთრის თავისუფალ შრომაზე უნდა იყოს აშენებული“. პარტია ეროვნული ერთიანობის მისაღწევად ცალსახად მიიჩნევდა სოციალურ ფენათა შორის შეთანხმებას და თანამშრომლობას. ედბ თავს საქართველოში ერთადერთ არასოციალისტურ პარტიად მიიჩნევდა. ედბ საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევასაც აუცილებლად მიიჩნევდა [„საქართველო“, 1917, № 248].

კავკასიის პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობა რეგიონის მომავალს უკავშირებდა რუსეთში დემოკრატიული ცვლილებების პერსპექტივას. 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების მიუხედავად ამ პერსპექტივის იმედით ამიერკავკასიაში 16 პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო 1917 წლის 12-19 ნოემბრის რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა. რუსეთის დამფუძნებელი კრებაში ამიერკავკასიის (32 ადგილი), დაღესტნის (10 ადგილი) და კავკასიის ფრონტის (6 ადგილი) საარჩევნო ოლქებიდან 48 დეპუტატი მოხვდა. მანდატები მოიპოვეს შემდეგმა პარტიებმა: მენშევიკები (N 1) - 14

დეპუტატი¹, „მუსავატი“ და მუსლიმთა ეროვნული კომიტეტი (N 10) - 10 დეპუტატი, „დაშნაკცუთიუნი“ (N 4) - 10 დეპუტატი, ესერები (N 3) — 7 დეპუტატი, მუსლიმთა სოციალისტური ბლოკი (N 12) - 3 დეპუტატი. 1-1 დეპუტატი გაიყვანეს „ჰუმეტი“ (N 11), რუსეთის მუსლიმთა პარტიამ (N 14), ბოლშევიკებმა (N 5).

განსაკუთრებით მაღალი იყო ნაციონალური პარტიების მიერ მიღებული ხმების ხვედრითი წილი ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში - 63 %. ამასთან ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებს გამოკვეთილი ფავორიტი პარტიები ჰყავდათ. ქუთაისის გუბერნიაში 380 000 - დან 340 000 ამომრჩეველმა სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს დაუჭირა მხარი. ერევნის გუბერნიაში 293 000-დან 260 000 ხმა მიიღო „დაშნაკცუთიუნი“, ბაქოს გუბერნიაში „მუსავატი“ მიიღო 57 %.

ვინაიდან გუბერნიების საარჩევნო უბნებში მიღებული ხმები ჯამდებოდა ამიერკავკასიის ოლქის მასშტაბით, სხვა ქართულმა პარტიებმა (სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, რადიკალ-დემოკრატები) ვერ შეძლეს სადეპუტატო მანდატის მისაღებად საჭირო ხმების მოგროვება. მთლიანობაში არჩევნებმა აჩვენა ორი მთავარი ტენდენცია, რაც შემდგომი პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი გახდა: 1. ამიერკავკასიის ყველა მხარეში დიდი უმრავლესობა ჰქონდათ მემარცხენე პარტიებს; 2. ნაციონალურ გუბერნიებში თითოეული „სატიტულო ერი“ მხარდაჭერას უცხადებდა „თავის“ მემარცხენე ნაციონალურ-პოლიტიკურ ძალას, რაც აჩვენებდა, რომ კულტურული და ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი ამომრჩეველში საკმაოდ იყო მომწიფებული.

1918 წლის 6 იანვარს რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ გამოაცხადა რუსეთის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რასაც მოჰყვა ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვა. ამის შემდგომ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ძალები საკუთარი თავის იმედად დარჩნენ. საჭირო გახდა ბოლშევიკური რუსეთისგან დისტანცირება. ამიერკავკასიის კომისარიატმა წამოაყენა ამიერკავკასიის სეიმის (პარლამენტის) მოწვევის იდეა, რომ ამიერკავკასიის რეგიონის ერებს კოორდინირებულად ემოქმედათ. 1918 წლის 12 იანვარს თბილისში შეიკრიბნენ: ამიერკავკასიის კომისარიატის წევრები, არჩეული დეპუტატები, სოციალ-დემოკრატები, მუსავატის, დაშნაკცუთიუნის და ესერთა პარტიის წარმომადგენლები. ამიერკავკასიის სეიმის დაკომპლექტებისას გადაწყდა საარჩევნო მეტრის სამჯერ შემცირება². თუკი რუსეთის დამფუძნებელი კრების თავდაპირველი მეტრი იყო 62 044, სეიმისთვის გახდა 20 681 ხმა, შედეგად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეულ დეპუტატებს პროპორციულად დაემატნენ მიღებული ხმების მიხედვით პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. სულ 10 პარტიის წარმომადგენლები შევიდნენ სეიმში³ [Закавказский Сеймъ. 1918: с. 5-7].

ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულმა პარტიებმა მიიღეს ამომრჩევლის შემდეგი მხარდაჭერა და შესაბამისი სადეპუტატო მანდატი სეიმში: 1. სოციალ-დემოკრატი მენშევიკები (661 934 ხმა) - 32 დეპუტატი; 2. კადეტები (25 673 ხმა) — 1 დეპუტატი; 3. ესერები (117 522 ხმა) — 5 დეპუტატი; 4. დაშნაკცუთიუნი (558 400 ხმა) — 27 დეპუტატი; 5. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები (93 581 ხმა) — 4 დეპუტატი; 6. ქართველი ფედერალისტები (22 754 ხმა) — 1 დეპუტატი; 7. სომეხთა სახალხო პარტია (15 180 ხმა); 8. ქართველი ეროვნულ-დემოკრატები (25 733 ხმა) — 1 დეპუტატი; 9. სახალხო სოციალისტები (570 ხმა); 10. მუსლიმთა ფედერალისტური პარტია „მუსავატი“ (615 816 ხმა) — 30 დეპუტატი; 11. მუსლიმთა სოციალ-დემოკრატიული პარტია „ჰუმეტი“ (84 748 ხმა) — 4 დეპუტატი; 12. მუსლიმთა სოციალისტური ბლოკი (159 770 ხმა) — 7 დეპუტატი; 13. დასავლეთ კავკასიის მუსლიმთა პარტია (71 ხმა); 14. რუსეთის მუსლიმთა პარტია (66 504 ხმა) — 3 დეპუტატი; 15. სიონისტები (7 018 ხმა); 16. ქართველი რადიკალ-დემოკრატები.

¹ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში მენშევიკთა პარტიიდან აბსოლუტური უმრავლესობა (16-დან 14) ამიერკავკასიელები იყვნენ. მათ შორის 10 ქართველი.

² საარჩევნო მეტრი - პროპორციულ საარჩევნო სისტემაში საკანონმდებლო ორგანოში 1 დეპუტატის გასაცვანად საჭირო ამომრჩეველთა ხმების რაოდენობა. რუსეთის დამფუძნებელ კრებაში საარჩევნო მეტრის რაოდენობა განისაზღვრებოდა ცალკეული საარჩევნო ოლქის მიხედვით, რაც უზრუნველყოფდა პარტიათა ფართო სპექტრს და რეგიონალურ წარმომადგენლობას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მთელი რესპუბლიკა იყო ერთი საარჩევნო ოლქი. შესაბამისად არჩევნების შემდგომ საარჩევნო მეტრი განისაზღვრა - 3759. შემდგომ ჩატარებული 2 დამატებითი არჩევნების შედეგად მეტრის ოდენობა გაიზარდა ჯერ 4429-მდე, შემდეგ კი 4643-მდე.

³ სეიმის ფრაქციები: სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, მუსავატი, დაშნაკცუთიუნი, ესერები, მუსლიმთა სოციალისტური ბლოკი, „ჰუმეტი“, სოციალისტ-ფედერალისტები, სახალხო თავისუფლების, ეროვნულ-დემოკრატები, რუსეთის მუსლიმთა ფრაქცია.

ამიერკავკასიის სეიმში მენშევიკებს 32 დეპუტატი (მათ შორის 2 ქალი) ჰყავდათ.⁴ ესერთა ფრაქციაში შედიოდა 2 ქართველი (ივანე ლორთქიფანიძე, იოს. გობეჩია), სოციალისტ-ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს კი 1-1 დეპუტატი (გიორგი ლასხიშვილი და გიორგი გვაზავა) ჰყავდათ. სოციალ-დემოკრატ მენშევიკებსა და მათ ქართველ ოპონენტებს შორის 1917 წლის არჩევნებში მიღებულ ამომრჩეველთა ხმებში ასეთი მკვეთრი სხვაობა, რაც შემდგომ არჩევნებში (მათ შორის საქართველოს დამფუძნებელი კრების) აღარ დაფიქსირებულა, რამდენიმე მიზეზით უნდა ავსხნათ: 1. 1912-1917 წლებში ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის მიმდინარეობდა იდეოლოგიური დაახლოების პროცესი, რასაც ჩვენ „მემარჯვენეთა გამემარცხენება და მემარცხენეთა გამემარჯვენება“ ვუწოდებთ [კუპატაძე, 2005: 156-161]. ამან განაპირობა ცენტრისტული და ნაციონალისტური პარტიების მიერ წამოჭრილი ფუნდამენტური საკითხების (მათ შორის: კულტურული ავტონომიის, საოლქო-ტერიტორიული ავტონომიის) გათავისება და აღიარება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ. ამდენად 1917 წლის რუსეთის დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო აგიტაციის დროს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ამ თემებით აპელირება აღარ იყო რელევანტური. სოციალ-ეკონომიკურ საკითხებში კი ოპონენტები სოციალ-დემოკრატებს კონკურენციას ვერ უწევდნენ; 2. რევოლუციური და „გარდამავალი პერიოდის“ ატმოსფეროს პირობებში ჩატარებულ არჩევნებში ქართველი ელექტორატის უმრავლესობა პროპორციულ სიაში სოციალ-დემოკრატებს განიხილავდა და რუსული და სხვა არაქართული პარტიების მთავარ კონკურენტად; 3. ეს ვითარება შემდგომში (ადგილობრივი თვითმმართველობების და განსაკუთრებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისას) შეიცვალა, ვინაიდან განელ-და რევოლუციური და რადიკალური განწყობა მოსახლეობაში, აქტუალური გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის კონცეფცია და ამასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის შეთავაზება ამომრჩევლისთვის. ამასთან ქართული სოციალ-დემოკრატია, როგორც სახელისუფლებო პარტია, ოპოზიციასთან შედარებით უფრო რთულ სასტარტო პირობებში იმყოფებოდა, როგორც საერთოდ ყველა ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების დროს.⁵

უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებულ პირველ წარმომადგენლობით ორგანოდ უნდა მივიჩნიოთ თბილისში 1917 წლის აპრილში ჩამოყალიბებული „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). ეს იყო თავისებური ეროვნული „ჩრდილოვანი ხელისუფლება“, რომელიც ემზადებოდა ამ მისიისთვის და ამზადებდა რეფორმატულ საკანონმდებლო პაკეტებს. ამ ტიპის მუშაობა თავად საბჭოს წევრებს დიდ პოლიტიკურ გამოცდილებას სძენდა, ხოლო საბჭოს არსებობა მოსახლეობის წარმოდგენაში ქმნიდა მომავალი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის წინა პირობას, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეა ქართველმა ნაციონალისტმა პოლიტიკოსებმა 1917 წლის მაისიდან გამოაცხადეს.

ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს წინაშე 2 მთავარი ამოცანა იდგა: 1. რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში პოლიტიკური ძალების კოორდინაცია და შესაბამისი პროგრამის მომზადება; 2. საქართველოს ეროვნული საყოველთაო ყრილობის მოწვევა და ქართველი ერის ლეგიტიმაციით აღჭურვილი ორგანოს შექმნის აუცილებლობა [ვადაჭკორია, 2018: 146].

25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავლის ალტერნატიული საშუალება იყო 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა. ეროვნული ყრილობა ქართული საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის საფუძველზე შეიკრიბა. ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადაამწყვეტი და 19 დელეგატი სათათბირო ხმით. მათ შორის: პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელი იყო 67 დელეგატი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი-15, ქალაქების თვითმმართველობების-33, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების-89, ქართული ჯარის-20, კოოპერატივების-8, მასწავლებელთა კავშირის-9, ქართული პრესის-9, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების-35, ვაჭარ-მრეწველთა და ბანკების-26, თავადაზნაურობის-20,

⁴ სეიმის მენშევიკური ფრაქციის წევრები: ნოე ჟორდანიანი, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, არშაკ ზურაბოვი, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, მათე სკობელევი, ვლადიმერ ჯიბლაძე, გრიგოლ გიორგაძე, მიხეილ სმირნოვი, იოსებ ბეკზაძიანი, ალექსანდრე ლომთათიძე, გაზარ ტერ-გაზარიანი, გერასიმე მახარაძე, რაჟდენ არსენიძე, ერიკ ბერშტეინი, არტურ როლკე, ბიქტორ თევზია, აბრამ მაღხაზოვი, პეტრე მოისეენკო, კონსტანტინე გვარჯალაძე, გრიგოლ აიოლო, გიორგი ანჯაფარიძე, ინა კორენევა, ნიკოლოზ პაპანდოპულლო, გიორგი გაგლოვი, ალექსანდრე ფარნიევი, მინალორა ტოროშელიძე, ანტონ ჩუმაკოვი, ბუდდან ფირუმოვი.

⁵ 1918 წლის მაისი - 1919 წლის მარტის კოალიციური მთავრობის პერიოდის მიუხედავად ქართველი ელექტორატი სდპ-ს აღიქვამდა მმართველ პარტიად და მას სთხოვდა პასუხს ყველაფერზე.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული საზოგადოებების-6, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსი-1, სხვადასხვა დაწესებულებათა-8, ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ კათოლიკეთა-7, საქართველოში მცხოვრები ებრაელების-3, აფხაზებისა-2. ყრილობას დაესწრო საქართველოს კათალიკოსი კირიონ II, უცხო სახელმწიფოთა და მეზობელი ერების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით, რუსეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალი პრუვეალსკი და სხვები. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 66 წევრი და 61 კანდიდატი. 6 კაცი ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სათათბირო ხმით.

ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატები-26, სოციალისტ-ფედერალისტები-10, ეროვნულ-დემოკრატები-9, სოციალისტ-რევოლუციონერები-7, ალიონელები-4, რადიკალ-დემოკრატები-1, უპარტიონი-2. გარდა ამისა, ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნენ: სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარის) წარმომადგენლები-3, სოხუმის ოლქიდან-2, ზაქათალის ოლქის (საინგილოს) წარმომადგენელი-1 და ოსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი-1. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორდანიას [საქართველოს ისტორია XX საუკუნე, 2003:].

ეროვნული საბჭო, რომელიც მართალია ლეგიტიმაციის არმქონე, მაგრამ წარმომადგენლობითი ორგანო იყო და რუსული რევოლუციისთვის დამახასიათებელი „გარდამავალი“ პირობებისთვის ეროვნული საბჭოს ფუნქციონირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური პროცესებისა და სახელმწიფო მშენებლობის საქმეში.

1917 წლის 26 ნოემბერს გაიმართა ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა. აირჩა 15-კაციანი აღმასკომი პარტიული წარმომადგენლობის პრინციპით: ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, ალექსანდრე ფარნაშვილი, პავლე საყვარელიძე (სდბ), ვლადიმერ გობერია, კოტე მესხი (ს-რპ), გრიგოლ რცხილაძე, ალექსანდრე გედევანიშვილი (სფპ), გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი (ედპ), მედ-ბეგ აბაშიძე (სამუსლიმანო საქართველო).

შემდგომში ეროვნული საბჭოს შემადგენლობა გაიზარდა, ჯერ 88 წევრამდე (თებერვალი, 1918), საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ კი 121 წევრამდე. გაუქმდა აღმასკომი და აირჩა 5-კაციანი პრეზიდიუმი. [შველიძე, 2018: 149]

ეროვნულ საბჭოში არსებობდა შემდეგი ფრაქციები: სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (68 წევრი), სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია (16 წევრი), ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია (16 წევრი), სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია (12 წევრი), ალიონის ჯგუფი (5 წევრი), რადიკალ-დემოკრატიული ფრაქცია (2 წევრი), უპარტიოთა ჯგუფი (2 წევრი). 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით საქართველოში მცხოვრებმა სხვადასხვა ერების ეროვნულმა საბჭოებმა ან წარმომადგენლებმა უფლება მიიღეს საქართველოს ეროვნულ საბჭოში აერჩიათ 26 წევრი. ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა 26 წევრი შეირჩა მოსახლეობის პროპორციის მიხედვით: 10 სომეხი, 4 აზერბაიჯანელი, 3 აფხაზი, 2 რუსი, 2 ოსი, 2 ქართველი ებრაელი, 1 ებრაელი, 1 ბერძენი, 1 გერმანელი. [საქართველოს... 1990: 62]. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოთქვამდნენ სახელმწიფო ენაზე – ქართულ ენაზე. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს, რომელმაც ქართული არ იცოდა, უფლება ეძლეოდა პარლამენტში სიტყვა წარმოთქვა მშობლიურ ენაზე, ან რომელიმე ეროვნული უმცირესობის ენაზე, თუ ეს ენა იცოდა პარლამენტის პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც.

ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 8 ოქტომბერს ეწოდა საქართველოს პარლამენტი. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მე-7 მუხლი ითვალისწინებდა არჩევითი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარტიული სიების მიხედვით. 1919 წლის 31 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების დღიდან პარლამენტი ჩაითვლებოდა დათხოვნილად.

საქართველოს ისტორიაში პირველი საპარლამენტო არჩევნები საყოველთაო, მრავალპარტიულ, დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარდა 1919 წლის 14-16 თებერვალს. აირჩა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო, რომლის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლი-

კის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის, საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს აღიარებისა და ქვეყნის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობისათვის. ამ ფაქტორის მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავდა ცესკო-ს წინაშე მოხსენებისას შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და მოითხოვდა, რომ არჩევნები აუცილებლად 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარებულიყო, რომ პარიზის კონფერენციაზე წარგზავნილ საქართველოს დელეგაციას ლეგიტიმაციის ხარისხი მაღალი ყოფილიყო [ცინაძე, 2011: 313]

არჩევნების ჩატარება ევალუბოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისდამი დაქვემდებარებულ საქალაქო, სამამბრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს. საარჩევნო კომისიაში შედიოდნენ იმ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში. 1919 წლის 15 იანვარს დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებლად ბიუჯეტიდან გამოიყო 4 მილიონი მანეთი, რომელიც სახელმწიფო ბანკში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩაირიცხა. თანხის ხარჯვაზე კონტროლი დაევალა ხაზინადარ გიორგი გვაზავას [დამოუკიდებლობის... 2013: 102].

ხელისუფლება და მთლიანად საქართველოს პოლიტიკური სპექტრი ძლიერ იყო დაინტერესებული არჩევნების წარმატებულად ჩატარებაში. მითუმეტეს, რომ არსებობდა აბსენტიზმის საფრთხე. განსაკუთრებით 25 იანვარს ბოლშევიკების მიერ ოფიციალურად გამოცხადებული ბოიკოტის შემდგომ, არსებობდა გარეშე აქტივობებით არჩევნების ჩაშლის საფრთხეც. ამომრჩევლისათვის მაქსიმალური ხელის შეწყობის მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება არჩევნებზე მოძრავი ყუთების დაშვების შესახებ. მოძრავი ყუთების გამოყენება დაშვებული იყო მთიან და მიუვალ ადგილებში. ადგილობრივი თვითმმართველობები მკაცრად გააფრთხილეს, რომ არ ჩარეულიყვნენ საარჩევნო პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იქნებოდნენ დასჯილი კანონის მთელი სიმკაცრით [დამოუკიდებლობის... 2013: 119].


დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებული იყო 15 პოლიტიკური პარტია:

- N 1 - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია;
- N 2 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
- N 3 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია;
- N 4 - სომეხთა სარევოლუციო პარტია დაშნაკუთიუნი;
- N 5 - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია;
- N 6 - მუსულმანთა ეროვნული საბჭო;
- N 7 - საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია;
- N 8 - საქართველოს ეროვნული პარტია;
- N 9 - საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია;
- N 10 - შოთა რუსთაველის ჯგუფი;
- N 11 - დამოუკიდებელთა უპარტიოთა კავშირი);
- N 12 - ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთა სია;
- N 13 - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია;
- N 14 - პატრიოტთა ესტეტიური ლიგა;
- N 15 - საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.

ამ პარტიათა შორის ზოგიერთი უშუალოდ არჩევნების წინ იყო შექმნილი. ამასთან პრობლემას წარმოადგენდა ის პარტიები, რომლებიც სრულიად სარუსეთო ან კავკასიის მასშტაბის პარტიებს წარმოადგენდნენ და საერთაშორისო სამართლის ნორმებით არ ჰქონდათ უცხო სახელმწიფოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არადა ზოგიერთმა ამგვარმა პარტიამ გამოთქვა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი (რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიები, სომხეთის სახალხო პარტია, „დაშნაკუთიუნი“, აზერბაიჯანის „მუსავატი“...). ამ პარტიათაგან 2 მოხვდა არჩევნებში, რასაც საზოგადოება პროტესტით შეხვდა, განსაკუთრებით „დაშნაკუთიუნის“ მონაწილეობას, ახლად დამთავრებული საქართველო-სომხეთის ომის ფონზე. ამგვარი პარტიების არჩევნებში დაშვების გადაწყვეტილება მიუთითებს საარჩევნო სისტემის მაქსიმალურ დემოკრატიულობაზე. საარჩევნო ადმინისტრაციის აზრით ეს პარტიები გამოხატავდნენ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს და მათთვის მონაწილე-

ობის შეზღუდვა არ იქნებოდა მართებული. არჩევნებს მიღმა დარჩენილი პარტიების წევრები ინდივიდუალურად ეწეოდნენ სხვა მონაწილე პარტიათა სიებში და ამ ფორმით მონაწილეობდნენ არჩევნებში.

არჩევნებში მონაწილე პარტიებმა საკუთარი გავლენის, პოპულარობის და მრავალრიცხოვნობის შესაბამისად ცესკოში წარადგინეს პარტიული სიები. პარტიულ სიებში შეტანილ დეპუტატობის კანდიდატთა რაოდენობის და გენდერული შეფარდების ქვემოთ მოტანილი დიაგრამა კარგად აჩვენებს პარტიათა რეალურ ძალას და სოციალურ ორიენტაციას.



მართალია დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თვითონ დაბეჭდავდა საარჩევნო ბიულეტენებს, მაგრამ თუ რომელიმე პარტია გადაწყვეტდა საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვას მას ამის უფლება ეძლეოდა [დამოუკიდებლობის... 2013: 102]. ამ უფლებით თითქმის ყველა პარტიამ ისარგებლა და შესაბამისად განსხვავებული რაოდენობის ბიულეტენები მომზადდა. პარტიათა გავლენა, ფინანსური შესაძლებლობები და ამორჩეველზე ორიენტირი კარგად იკითხება მათ მიერ დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობასა და განაწილებაში:

1. სდპ - 2 612 000 ცალი (1 692 000-ქართულად, 335 000-რუსულად, 367 000-სომხურად, 220 000-აზერბაიჯანულად);
2. ედპ - 1 655 000 ცალი (1 550 000-ქართულად, 40 000-რუსულად, 65 000-აზერბაიჯანულად);
3. სრპ - 1 922 000 ცალი (1 000 000-ქართულად, 335 000-რუსულად, 367 000-სომხურად, 220 000-აზერბაიჯანულად);
4. დაშნაკცუთიუნი - 1 274 000 ცალი (290 000-ქართულად, 219 000-რუსულად, 825 000-სომხურად);
5. სფპ - 1 200 000 ცალი (მხოლოდ ქართულად);
6. მუსლიმთა ერ. საბჭო - 50 000;
7. რდპ - 550 000 ცალი (მხოლოდ ქართულად);
10. შოთა რუსთაველის პარტია - 5 000;
11. უპარტიოთა კავშირი - 740 000 ცალი (666 000-ქართულად, 74 000-რუსულად);

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ყველა პარტია თავისებურ ხრიკებს მიმართავდა. მაგალითად, სახელისუფლებო პარტიის (სოციალ-დემოკრატების პარტია) ოპონენტებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდა აქტივისტებს ჩამოუვლიათ ამომრჩეველთა სახლები და გამოუკითხიათ თუ ვის აძლევთ ხმასო. ყველას, ვინც N 1 უსახელებდათ ართმევდნენ პირადობის ბარათებს (რის მეშვეობითაც ხდებოდა ხმის მიცემა არჩევნებში) – ეს აღარ არის საჭირო და სანაცვლოდ თავისი პარტიის ბიულეტენებს უტოვებდნენ.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები ხშირად იყენებდნენ ხმების ხელოვნურად გაზრდის მეთოდს, რაც აშკარა იყო. იმ უბნებში, სადაც პირველ დღეებში არ შეინიშნებოდა ამომრჩეველთა დიდი აქტიურობა და რაც მთავარია, სახელისუფლებო პარტიას არცთუ შთამბეჭდავი მონაცემები ჰქონდა, ბოლო დღეს უცბად აწყდებოდა ხალხი და სოციალ-დემოკრატების სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა.

არჩევნებზე ამომრჩევლის აქტივობა მთელი საქართველოს მასშტაბით 60 % აღემატებოდა. ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა (4/5) სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს. დამფუძნებელ კრებაში 1 დეპუტატის გასაყვანად საჭირო იყო საარჩევნო მეტრი უდრიდა 3756 ამომრჩევლის ხმას. შესაბამისად, დამფუძნებელი კრების 130 მანდატიდან 109 მოიპოვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, 8-8 მანდატი სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა. 5 მანდატი ერგო სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიას. არჩევნების პერიოდში გარდაიცვალა სდპ-ის საკანდიდატო სიის 85-ე ნომერი (ნიკოლოზ კაციაშვილი) და მისი ადგილი დაიკავა N 110-ანა სოლოლაშვილმა [კუპატაძე, 2018: 113].

სხვადასხვა მიზეზების გამო არჩევნები გადაიდო: სოხუმის ოლქში – სახალხო საბჭოებისა და ერობების არჩევნების მიმდინარეობის გამო; ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრაში – საომარი მოქმედებების გამო; სვანეთსა და თიანეთის მაზრაში – უამინდობისა და დიდთოვლობის გამო. თუმცა არჩევნების გადადების მიზეზად ცესკო ასევე ასახელებდა ამომრჩეველთა სიების დაუმუსტებლობას. [ცინაძე, 2011: 313].

1919 წლის აგვისტოს ბოლოს ჩატარდა დამფუძნებელი კრების პირველი დამატებითი არჩევნები, რომელმაც გამოტოვებული მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. არჩევნების შედეგად დამფუძნებელ კრებაში უკვე წარმოდგენილ 4 პოლიტიკურ სუბიექტს დაემატა სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთუნი“ და საქართველოს ეროვნული პარტია. დამფუძნებელ კრებაში მანდატები გადანაწილდა შემდეგნაირად: N1 — საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — 105; N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — 7; N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია — 5; N4 სომეხთა სარევოლუციო პარტია „დაშნაკცუთუნი“ — 3; N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია — 9; N8 საქართველოს ეროვნული პარტია — 1. [ირემაძე... 2017: 93].

პირველი დამატებითი არჩევნების ჩატარების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტროლირებად ტერიტორიაზე კვლავ არსებობდა უბნები, სადაც არჩევნები არ გამართული. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და მისმა საარჩევნო კომისიამ მეორე დამატებითი არჩევნების გამართვის გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დამატებითი არჩევნებში N 2. ეროვნულ-დემოკრატები, N 7. ნაციონალისტები და N 11. დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი ერთიანი ბლოკის სახით მონაწილეობდნენ, მათ მიენიჭათ საარჩევნო N16.

მეორე დამატებითი არჩევნების შედეგად დამფუძნებელ კრებაში მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა. სოციალ-დემოკრატიული პარტია — 102 მანდატი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია — 9 მანდატი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — 8 მანდატი, სოციალ-რევოლუციონერთა პარტია- 6 მანდატი, დაშნაკცუთუნი — 3 მანდატი, საქართველოს ეროვნული პარტია (გამოეყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას) — 2 მანდატი [ირემაძე... 2018: 116].

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების სტატისტიკა

ძირითადი არჩევნების შედეგები (1919 წლის 9 მარტი)

ა) მაზრებში

საარჩევნო უბანი	არჩევ. მონაწ.	ამომრ. რაოდენ.	№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	№8	№9	№10	№11	№12	№13	№14	№15	სულ
თბილისის	26 695	37 053	23029	207	1306	433	390	2	1	19	152	-	61	77	286	4	3	25 970
სიღნაღის	30 332	55 927	21576	454	205	109	5531	1	1890	11	111	-	31	-	76	-	-	29 995
თელავის	21 701	35 113	19801	559	25	8	670	-	640	32	2	-	13	-	4	2	-	21 756
თიანეთის	6 897	12 886	4729	384	4	-	1728	-	19	14	4	-	8	-	-	-	-	6 890
გორის	76 590	94 153	73822	272	65	8	2126	-	21	78	162	-	13	-	12	5	-	76 584
დუშეთის	15 070	27 259	11529	139	629	6	2619	-	127	3	5	-	1	-	-	2	-	15 060
ქუთაისის	58 269	99 541	48052	5662	1598	-	2383	3	1	318	167	-	15	-	5	-	-	58 204
ახალსენაკი	42 839	62 145	34085	1126	6355	-	1163	-	30	17	21	-	15	-	-	-	-	42 812
ლესხუმის	13 295	24 086	10788	1010	33	1	1383	-	-	8	44	-	7	-	7	-	-	13 281
რაჭის	16 114	28 975	13603	756	208	2	1468	-	-	6	23	-	12	-	-	1	-	16 079
შორაპნის	51 118	89 670	39086	6086	1302	-	4052	-	59	371	124	-	3	-	4	2	-	51 089
ზუგდიდის	28 028	60 289	15149	2414	8070	-	2315	-	-	7	57	-	1	-	-	-	-	28 013
ოზურგეთი	38 547	47 803	36529	634	922	2	401	-	-	7	16	-	6	-	6	-	-	38 523
სულ მაზრებში	425 495	675 500	351 788	19703	20722	569	26229	6	2788	891	888	-	186	77	400	16	3	424 256

ბ) ქალაქებში

საარჩევნო უბანი	არჩევ. მონაწ.	ამომრ. რაოდენ.	№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	№8	№9	№10	№11	№12	№13	№14	№15	სულ
თბილისი	36 566	71 164	26646	3610	134	786	3621	-	144	368	362	51	418	-	339	16	11	36 566
სიღნაღი	2 913	5 967	2314	126	1	227	92	-	134	-	-	-	1	-	18	-	-	2 913
თელავი	2 805	4 744	1505	355	3	543	344	-	3	12	6	-	9	-	10	-	-	2 790
გორი	3 199	5 647	2073	388	11	108	519	-	1	54	29	-	7	-	-	-	-	3 190
ხაშური	2 466	4 262	2363	6	3	1	88	-	-	1	1	-	1	-	-	-	-	2 464
სურამი	1 157	2 560	994	106	5	18	17	-	-	-	-	-	13	-	1	3	-	1 157
ქუთაისი	12 333	24 047	7493	2972	151	73	1219	-	4	137	229	-	24	-	5	11	-	12 318
ახალსენაკი	1 518	3 038	968	402	28	4	100	-	12	2	-	-	-	-	-	-	-	1 516
ყვრილა	1 660	2 523	1069	364	32	4	109	-	10	53	1	-	10	-	-	5	-	1 657
ჭიათურა	675	2 384	439	120	44	-	50	-	-	-	12	-	10	-	-	-	-	675
ხონი	2 936	5 460	2067	305	15	-	528	-	-	-	8	-	4	-	1	-	-	2 928
სამტრედიო	3846	6 007	3215	329	119	11	115	-	3	6	15	-	7	-	5	-	-	3 825
ოზურგეთი	1 971	3 704	1509	316	54	-	23	-	-	-	62	-	1	-	-	-	-	1 965
ზუგდიდი	1236	2 859	493	433	57	-	250	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	1 234
ფოთი	3800	8 018	2911	498	73	9	240	-	8	7	3	-	41	-	-	2	-	3 792
ლანჩხუთი	2239	3 440	1929	121	1	-	177	-	-	1	-	-	2	-	-	-	-	2 231
დუშეთი																		
სულ ქალაქებში	81 320	155 824	57988	10451	731	1784	7492	-	319	641	728	51	509	-	379	37	11	81 221
სულ რესპუბლიკა	506 815	831 324	409766	30154	21453	2353	33721	6	3107	1532	1616	51	795	77	779	53	14	505 477

პირველი დამატებითი არჩევნების საბოლოო შედეგები (1919 წლის 18 სექტემბერი)

საარჩევნო უბანი	არჩევ. მონაწ.	ამომრ. რაოდენ.	№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	№8	№9	№10	№11	№12	№13	№14	№15	შულ
ბორჩალოს მაზრა	22 572	41 375	12 800	153	799	1855	5511	6	5	860	1	1	2	4	37	-	522	22 572
ახალციხის მაზრა	23 383	26 931	19 000	53	58	1 439	454	49	88	2 055	10	-	71	42	-	13	-	23 366
ახალქალაქის მაზრა	21 315	26 764	12 121	21	476	7 758	219	1	19	657	36	-	-	7	-	-	-	21 315
ქ. ახალციხე	3 043	5 201	345	23	4	2 221	69	-	-	350	-	-	-	-	-	-	-	3 012
ქ. ახალქალაქი	512	1 044	132	3	11	307	7	-	4	46	2	-	-	-	-	-	-	512
ფოცხოვის რაიონი	5 626	5 866	5 129	26	8	3	33	40	13	256	2	-	5	94	-	-	-	5 609
დუშეთის მაზრა (მთიულეთი)	4 265	7 815	4 070	59	5	-	117	-	-	1	2	-	1	-	-	-	-	4 265
ხევსურეთი	3 733	4 225	671	1	-	-	49	-	-	3 072	-	-	-	-	-	-	-	3 793
სვანეთი	2 995	6 230	1 102	1 056	7	-	823	-	-	7	-	-	-	-	-	-	-	2 995
სულ:	87 444	125 451	55 370	1 395	1 368	13 583	7 282	96	129	7 304	53	1	79	147	37	13	522	87 379

მეორე დამატებითი არჩევნების საბოლოო შედეგები (1920 წლის 21 მაისი)

საარჩევნო უბანი	ამომრ. რაოდ.	არჩ. მონაწ.	№1	№2	№3	№4	№5	№6	№7	№8	№9	№10	№11	№12	№13	№14	№15	№16 ⁶
ქ. სოხუმი	5 147	1 195	636	315	87	-	127	-	-	24	-	-	-	-	-	-	-	1
ქ. გუდაუთა	749	348	250	54	30	-	1	-	-	8	-	1	-	-	-	-	1	3
ქ. ოჩამჩირე	1 171	716	403	176	59	-	70	-	1	1	-	-	-	-	-	-	1	2
ქ. გაგრა	1 300	366	291	7	17	8	5	-	-	7	-	4	-	-	1	-	-	26
კოდორის მაზრა	12 715	4 135	1 256	-	1 792	45	65	2	-	122	1	-	-	-	11	-	-	841
გუდაუთის მაზრა	11 500	1 202	878	7	228	3	23	-	3	3	-	2	4	-	9	-	2	40
გუმისთის მაზრა	9 128	6 107	1 464	30	3 437	2	786	-	-	57	2	11	-	-	2	-	11	66
სამურზაყანოს მაზრა	23 178	8 165	2 881	296	3 175	-	1 313	-	1	-	-	-	1	-	-	-	-	498
სულ: სოხუმის ოლქი ⁷	64 888	22 234 (22 354)	8 059 (7 987)	885	8 825 (8 271)	58	2 390 (2 174)	2	5	222 (169)	3	18	5	-	23	-	15	1 477 (1 404)
ტფილისი (50-ე უბანი)		238	195	12	1	1	28	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქ. დუშეთი ⁸		647	167	28	-	7	444	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-
კომბორი		453	123	-	-	-	-	1	-	330	-	-	-	-	-	-	-	-
დაგეთ-ხაჩენი		504	24	-	10	436	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	2	-
ბოლნის-ხაჩენი		461	6	1	1	453	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მეორე დამატებითი:		24 657	8 502	926	8 283	955	2 646	3	5	500	3	18	9	-	23	-	17	1404
ძირითადი და პირველი დამატებითი:		594 259	465 136	31 549	22 821	15 936	41 003	102	3 236	8 836	1 669	52	874	224	816	66	536	-
სულ: სამივე არჩევნებში		618 916	473 638	32 575	31 104	16 981	43 649	106	3241	9 336	1 672	70	883	224	839	66	553	1 404

[სცსა, ფ. 1834. აღ. 2, ს. 17]

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე. პირველსავე სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. 1921 წლის კონსტიტუციით ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა პარლამენტი, რომელიც უნდა არჩეულიყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული საარჩევნო კანონით. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მთავრობას. მთავრობის თავმჯდომარე ამავე დროს იყო ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი.

⁶ მეორე დამატებითი არჩევნების წინ სამმა საარჩევნო სუბიექტმა ჩამოაყალიბა მემარჯვენე მიმართულების საარჩევნო ბლოკი (№ 2. ეროვნულ-დემოკრატიული; № 7. რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა კავშირი; № 11. უპარტიოთა კავშირი), რომელმაც მიიღო საარჩევნო № 16. თუმცა ბიუროკრატიული დაუდევრობის თუ სხვა მიზეზის გამო სოხუმის ოლქის არჩევნებზე ძველი ბიულეტენებიც დარჩიდა, რამაც განაპირობა მემარჯვენე ამომრჩევლის ხმები გაყოფა. ფაქტიურად ბლოკის შექმნით მემარჯვენეებმა მიიღეს უკუშედეგი-ხმების აკუმულირების ნაცვლად, მემარჯვენე ელექტორატის ხმები დაიფანტა. საბოლოოდ ცესკომ № 16-ის მიღებული ხმები მიუერთა №2-ს, რამაც ეროვნულ-დემოკრატიებისთვის 1 სადებუტატო ადგილის დამატება განაპირობა.

⁷ სოხუმის ოლქის გრაფაში მოგვყავს სოხუმის ოლქის საარჩევნო კომისიის მონაცემები, ხოლო იქ სადაც განსხვავებაა, ფრჩხილებში მოცემულია ცესკოს შემაჯამებელი ოქმის საბოლოოდ დადგენილი რიცხვი [სცსა, ფ. 1834, აღ. 2, ს. 17. ფ. 57].

⁸ ქ. დუშეთში არჩევნები ჩატარდა 1919 წლის თებერვალში, მაგრამ მას ახლდა ინციდენტი, რის გამოც მისი დამტკიცების პროცესი გაჭიანურდა. საგაზეთო კორესპონდენციის თანახმად, საარჩევნო ყუთის გახსნის შემდგომ აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატიების-167, ხოლო ფედერალისტების-444 ხმა, რაც არ შეეფერებოდა ამომრჩევლის განწყობას. მეორე დღეს იგეგმებოდა დემონსტრაციაც ქალაქის თავის ფედერალისტი ინაშვილის წინააღმდეგ. საარჩევნო კომისიამ თვითმმართველობის შენობაში, სადაც იდგა საარჩევნო ყუთი, აღმოაჩინა ბოროტმოქმედება: ოთახის ჭერი გაჭრილი აღმოჩნდა, ახალი „ზამასკით“ და კირით შეკეთებული, ბანზე ახალი მიწა დაყრილი. ყუთის ფიცარი ძირიდან ნაწვალედი. საარჩევნო კომისიამ შეადგინა ოქმი, გადასცა მამრის კომისარს და არჩევნები გაბათილებულად გამოაცხადა. საბოლოოდ ცესკომ ცნო ქ. დუშეთის არჩევნების შედეგები და დამატებითი არჩევნების შემაჯამებელ ოქმში უცვლელად შეიტანა ქ. დუშეთში ძირითადი არჩევნების შედეგები.

1919 წლის აგვისტოს და 1920 წლის მაისის დამატებითი არჩევნების შედეგებმა, აგრეთვე დამფუძნებელ კრებაში მიმდინარე საკანონმდებლო და პოლიტიკურმა საქმიანობამ, შიდაპარტიულმა დისკუსიამ ქართული პოლიტიკური სპექტრის გამრავალფეროვნებას შეუწყო ხელი. რიგ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობამ განაპირობა ახალი საპარლამენტო ფრაქციების წარმოშობა, რომლებიც თავისუფალი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში შესაძლებელია ახალ პოლიტიკურ ძალებადაც ჩამოყალიბებულიყვნენ. ფრაქციათა რაოდენობა თავდაპირველად არსებული 4 ფრაქციიდან შემდგომში 8-მდე გაიზარდა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (105, შემდეგ 102, ბოლოს 91 წევრი. ფრაქციის თავმჯდომარე: რ. არსენიძე, შემდგომ-აკაკი ჩხევიძე, მდივანი: გ. ურატაძე), ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია (8 წევრი. ფრაქციის ლიდერი: სპირიდონ კეღია, შემდგომ-გიორგი გვაზავა), სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია (9 წევრი, ფრაქციის ლიდერი: გიორგი ლასხიშვილი), სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია (5/6 წევრი. ფრაქციის ლიდერი: ლეო შენგელაია), ეროვნული ფრაქცია (2 წევრი. ფრაქციის ლიდერი: გრიგოლ ვეშაპელი. წევრი: შ. ქარუმიძე), ფრაქცია „დაშნაკცუთიუნი“ (3 წევრი. ფრაქციის ლიდერი; დავით დავითხანიანი, შემდეგ ზორბორიანცი). 1921 წლის 11 თებერვალს სოციალ-დემოკრატებს გამოეყო ფრაქცია „სხივი“ (ფრაქციის ლიდერი: გრიგოლ გიორგაძე). ფრაქციის სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან გამოყოფის მთავარ მიზეზად სახელდებოდა პარტიის ლიდერების ერთპიროვნული მმართველობისკენ სწრაფვას, შიდა პარტიული დემოკრატიის შესუსტებას, წარუმატებელი პოლიტიკური კურსი. 1921 წლის 11 თებერვალს დამფუძნებელი კრების მემარჯვენე დეპუტატების გაერთიანებით ჩამოყალიბდა დემოკრატიული ფრაქცია (10 წევრი). ფრაქციის გარეშე დამოუკიდებელი დეპუტატი 1919 წლის მაისიდან იყო გერონტი ქიქოძე. [კუპატაძე, 2018, 124].

დამფუძნებელი კრებამ თავისი მოღვაწეობის ორწლიან პერიოდში მრავალი კანონი მიიღო. კრების საკანონმდებლო საქმიანობის დაგვირგვინება იყო 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც შედგებოდა 145 მუხლისაგან. საქართველოს დამფუძნებელი კრება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე (1921 წლის მარტი), თუმცა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დამფუძნებელ კრებას არც დევნილობაში მოუხსნია. საფრანგეთის მთავრობა 1933 წლამდე აღიარებდა დამფუძნებელი კრების ლეგიტიმურობას.

საქართველოს დამფუძნებელი კრებამ, როგორც 100 წლის წინ არჩეულმა პირველმა პარლამენტმა, განსაკუთრებული კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. ის, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის სახელმწიფოს სისტემის მთავარი ორგანო, სათავეში ედგა სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ რეფორმებს ქვეყანაში. საქართველოში ვიზიტით მყოფი ევროპელი პოლიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს სახელმწიფო სისტემა ევროპისთვის მისაბაძი სამომავლო მოდელი იყო.

პარლამენტის მიერ მიღებული 2 უმთავრესი დოკუმენტი: 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია იყო ის იურიდიული საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მომდევნო ათწლეულებში.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. გაზ. „ამხანაგი“, 1917, 11 ნომერი
2. დამოუკიდებლობის 1028 დღე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატინე. თბ. 2013.
3. გაზ. „ერთობა“, 1917, № 191.
4. ვადაჭკორია შოთა, (2018). *ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს შექმნა*. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა (146).
5. ირემაძე ირაკლი, (2018), *დამფუძნებელი კრების არჩევნები*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა (116).
6. კუპატაძე ბონდო, (2005), *საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო*. თბ. „არტანუჯი“. (155-161).
7. კუპატაძე ბონდო, (2018), *დამფუძნებელი კრება*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა (113).
8. კუპატაძე ბონდო, (2018), *დამფუძნებელი კრების ფრაქციები*. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა (124).
9. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები საქართველოში, (2017), (ავტორ-შემდგენლები: ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე). თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. (93-95)
10. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. ვ. შარაშენიძის რედაქციით. თბ. 1990. (62)
11. გაზ. „საქართველო“, 1917, № 248.
12. საქართველოს ისტორია XX საუკუნე, (2003), (ვ. გურულის რედ.). თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, № 102.
14. სცსა. ფონდი 1836. ანაწერი 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი 1917-1919. საქმე 84. დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება.
15. სცსა. ფონდი 1836. ანაწერი 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი 1917-1919. საქმე 317. დამფუძნებელი კრების ხარჯთაღრიცხვა და საარჩევნო დებულება.
16. სცსა. ფონდი 1836. ანაწერი 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი 1917-1919. საქმე 401. დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება და დებულებაში შესწორების შეტანის შესახებ.
17. სცსა. ფონდი 1834. ანაწერი 2. საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია. საქმე 2. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მაზრების, ქალაქების და სოფლების საარჩევნო კომისიების ოქმები.
18. სცსა. ფონდი 1834. ანაწერი 2. საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია. საქმე 17. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოქმები.
19. შველიძე დიმიტრი, (2018), *ეროვნული საბჭო (პარლამენტი)*. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა (149).
20. ცინაძე ზაზა (2011). საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები (ოფიციალური მონაცემების მიხედვით). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. 4. თბ. (311-322).
21. Закавказский Сеймъ. Стенографический отчетъ. Сессія первая. Засъдание седьмое. 1918. (5-7).
22. Протасов Л. Г. Всероссийское Учредительное собрание. История рождения и гибели. М. 1997. (254-255, 299)
23. Учредительное собрание. Россия. 1918. Стенограмма и другие документы. (1991). М, (13 – 23).

BONDO KUPATADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**DEVELOPMENT OF ELECTORAL SYSTEM AND
POLITICAL PARTIES IN GEORGIA (1917-1920)**

SUMMARY

A significant outcome of the Russian 1917 February-March revolution was the democratization of the electoral system throughout the former Russian Empire, including the South Caucasus. The multi-tier electoral system and electoral curias were abolished, universal suffrage was introduced for those who were 20 and higher which was still unattainable for many leading country in the epoch.

In 1917-1920, four elections were held in the territory of Georgia. Of them, the Russian Provisional Government and their representative in the Caucasus OZAKOM (Special Transcaucasian Committee) were in charge of 2 elections, while the following 2 elections were held under the aegis of state bodies of the Democratic Republic of Georgia and based on the Georgian legislation. The elections were: 1. Municipal Elections (August, 1917); 2. Russian Constituent Assembly Election (November 12, 1917); 3. Municipal and Local Self-government Elections (1919); 4. Georgian Constituent Assembly Election (February 14-16, 1919, August, 1919, May, 1920).

მიხეილ ბახვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოკი დოკუმენტი საქართველოს აკადემიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919 წლები)

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ფონდში (1969), ინახება 1919 წლის 3 თებერვალს კონსტანტინოპოლში რუსულ ენაზე დაწერილი ორი ხელნაწერი დოკუმენტი (ანაწერი 4, საქმე №7 და №8). ორივეს ავტორი არის გენერალი ილია ოდიშელიძე. ეს მცირე მოცულობის დოკუმენტები ილია ოდიშელიძემ ალბათ იმ დროს დაწერა, როდესაც პარიზში მიმავალი ამ ქალაქში შეჩერდა. გენერალი ოდიშელიძე პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი ქართული დელეგაციის სამხედრო მრჩეველი იყო და ეს ორი დოკუმენტიც, სავარაუდოდ, სწორედ ამ კონფერენციაზე წარსადგენად შეიქმნა.

პირველი მათგანი პირადად გენერლის ხელით არის დაწერილი და მისივე ხელმოწერა აქვს. დოკუმენტის სათაურია „ქართული არმია (მემორანდუმისთვის)“. ვფიქრობთ, იგულისხმება მემორანდუმი, რომელიც პარიზში მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციას წარუდგინა საქართველოს დელეგაციამ 1919 წლის 14 მარტს [ჭუმბურიძე, 2014:225].

დოკუმენტი სულ ოთხი გვერდია და მასში საუბარია ქართული შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე 1919 წლის თებერვლისთვის. აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულ გენერალთა და ოფიცერთა რაოდენობა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დაკომპლექტებულიყო როგორც სამხედრო სამინისტროს, ისე გენერალური შტაბის ყველა სტრუქტურული ერთეული. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩამდგარ ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს „ჰქონდათ ხანგრძლივი მშვიდობიანი გამოცდილება და გაიარეს კარგი საბრძოლო სკოლა“; ასევე ის, რომ „გულწრფელად მიიღეს ხალხის მხარე და საქართველოში რევოლუციით შექმნილი ახალი წესრიგი. ამან საშუალება მისცა, რევოლუციით შექმნილ სახალხო ხელისუფლებას, ესარგებლა თავისი გენერლებით და ოფიცრებით და მათი მხრიდან კონტრრევოლუციის შიშის გარეშე ჩაეყენებინა ისინი სახალხო ჯარის სათავეში“. ჩვენი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. ქართველი გენერლები და ოფიცრები მსახურობდნენ საიმპერატორო არმიაში. მათი უმეტესობა (თუ თითქმის ყველა არა) ალბათ ნაკლებად იცნობდა სოციალისტურ იდეებს და თანაუგრძნობდა სოციალ-დემოკრატებს. ამას შეეძლო გარკვეულ პრობლემები შეექმნა სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ სამხედროებსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას შორის ურთიერთობაში. შესაძლოა, ასე ეფიქრათ უცხოელ სახელმწიფო მოღვაწეებსა თუ დიპლომატებს. სავარაუდოდ სწორედ მათზე იყო გათვლილი გენერალ ოდიშელიძის ზემოთხსენებული შეფასება. რეალურად კი სხვა ვითარება იყო. რამდენიმე გენერალს ჰქონდა სხვადასხვა სახის უთანხმოება მთავრობასთან, თუმცა სერიოზული დაპირისპირება არ ყოფილა; რა თქმა უნდა, არც — არანაირი მცდელობა „კონტრრევოლუციისა“, მსგავსი აზრი გენერალთაგან არავის გასჩენია.

დოკუმენტში მოკლედ არის აღწერილი საქართველოს შეიარაღებული ძალების — არმიისა და სახალხო გვარდიის — სტრუქტურა. ნათქვამია, რომ რეგულარული არმია შედგება ქვეითთა ორი დივიზიის, ერთი საკავალერიო ბრიგადის, სა-

არტილერიო შენაერთისა და საინჟინრო ნაწილისგან. ჯარს აქვს აერობლანებიც და „სხვა ტექნიკური ძალები და საშუალებები“. ცალკე არსებობს სასაზღვრო დაცვის დივიზია.

გენერალი ოდიშელიძე წერდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უნდა „მოხდეს უმაღლესი სამხედრო სკოლის ორგანიზება“. ეს ძალიან საინტერესო ინფორმაციაა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვნახე ამის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. უნივერსიტეტთან სამხედრო სასწავლებელი კი არ გაიხსნა, არამედ შეიქმნა ცალკე სამხედრო სკოლა, რომელიც ამზადებდა ოფიცრებსა და უნტეროფიცრებს.

დოკუმენტის ბოლოს ილია ოდიშელიძე დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ „ამ უკვე სავსებით ორგანიზებული და კარგად შედუღებული არმიით საქართველოს იმედი აქვს შეძლებს საკუთარი ნეიტრალიტეტის დაცვას და წარმატებით დაიცვას სახელმწიფოში უკვე სავსებით ჩამოყალიბებული წესრიგი. ასევე, უეჭველია, ეს არმია მოიგერიებს ბოლშევიკურ ბანდებს ჩრდილოეთიდან, როგორც ამას აკეთებდა მაშინ, როდესაც რევოლუციური არმია ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო“.

ჩანს, რომ დოკუმენტის ავტორი სრულიად გასაგები მიზეზების გამო ალამაზებს რეალურად არსებულ ვითარებას, როდესაც წერს, რომ ქართული შეიარაღებული ძალები თითქმის ყველაფრით უზრუნველყოფილია.

გაცილებით უფრო საინტერესოა მეორე დოკუმენტი, რომლის სათაურიცაა: „როგორ დაარსდა ქართული ჯარი“. ეს არის 15-გვერდიანი ხელნაწერი, რომელიც დაწერილია ორი განსხვავებული ხელით და ამათგან ერთი ილია ოდიშელიძისაა. გენერლის ხელითაა დაწერილი პირველი ცხრა გვერდი. შემდეგი სამი გვერდი დაწერილია განსხვავებული ხელით და ბოლო სამი გვერდი ისევ ილია ოდიშელიძის მიერ არის დაწერილი. ცხადია, ვერ გავარკვევთ, თუ რატომ არის დოკუმენტის რამდენიმე გვერდი დაწერილი სხვა პიროვნების მიერ, თუმცა აშკარაა, რომ ამ გვერდებზე გენერალ ოდიშელიძის მოსაზრებაა დაფიქსირებული. ეს გვერდები, ჩვენი აზრით, დაწერილია იმ პიროვნების მიერ, რომელიც დოკუმენტის ბოლოს ადასტურებს ტექსტისა და ხელმოწერის სისწორეს რუსულად — „Верно“ და შემდეგ ხელს აწერს ქართულად: ივანე ზურ[აბიშვილი].

დოკუმენტში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია განხილული.

პირველი — ილია ოდიშელიძე წერს, რომ პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის არმიაში იბრძოდა 180-200 ათასი კაცი, ანუ მამაკაცი მოსახლეობის 20% და ამ რიცხვში არ შედიან ქართველი გენერლები და ოფიცრები. ეს ძალიან საინტერესო ინფორმაციაა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე საკამათო საკითხია, თუ რამდენი ათასი კაცი იყო გაწვეული რუსეთის არმიაში 1914-1918 წლებში. დასახელებულია რაოდენობა 300 ათასი კაცი, რაც მოსახლეობის 13%-ს შეადგენდა [გოცირიძე, 2009:115]. პირადად ჩვენ 300 ათასი ძალიან გაზვიადებულად მიგვაჩნია. პირველ მსოფლიო ომში გაწვეული ქართველების რაოდენობის ზუსტი დადგენა ალბათ შეუძლებელია, რადგან რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ცალკე ქართველებს არ აღნუსხავდა და ქართველები მართლმადიდებლების (православные) კატეგორიაში იგულისხმებოდნენ რუსებთან და სხვა მართლმადიდებლებთან ერთად. ამის გამო შესაძლოა მხოლოდ მიახლოებითი რაოდენობის დადგენა. რის საფუძველზე აცხადებდა გენერალი ოდიშელიძე, რომ მსოფლიო ომში 180-200 ათასი კაცი მონაწილეობდა, უცნობია. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ილია ოდიშელიძე ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული პირი უნდა ყოფილიყო, ვფიქრობთ, მისი ინფორმაცია საკმაოდ სანდო და რეალობასთან ახლოს უნდა იყოს.

მეორე — მოკლედ, მაგრამ საკმაოდ მკაფიოდ არის აღნიშნული, თუ რა ხდებოდა კავკასიის ფრონტზე 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისში: სამხედრო ნაწილების მიერ მეთაურთა დაუმორჩილებლობა, პოზიციების თვითნებური მიტოვება, ქონების ძარცვა ან მტრისთვის დატოვება. ძალიან ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რა საფრთხე დამუქრათ სამხრეთ კავკასიის მკვიდრთ და, უპირველეს ყოვლისა, ქართველებსა და სომხებს არა მხოლოდ ოკუპაცია ოსმალეთის იმპერიის მიერ, არამედ შესაძლოა ფიზიკური განადგურებაც კი.

მესამე — ილია ოდიშელიძე წერს, თუ როგორ, რატომ და რა ვითარებაში დაიწყო ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნა. გენერალი აღნიშნავს, რომ მიუხედავად რუსეთის დროებითი მთავრობის ნებართვისა შექმნილიყო ეროვნული სამხედრო ფორმირებები, კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური ხელისუფლება კატეგორიული წინააღმდეგი იყო. განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ეროვნული ნაწილების შექმნას ფრონტის კომისარი დონსკოი. ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ „უმაღლესი კავკასიის ჩაახრჩობის სისხლში, ვიდრე დაუშვებს ეროვნული ნაწილების ფორმირებას“. მხოლოდ ვითარების შეცვლამ — ბოლშევიკების მოსვლამ რუსეთის ხელისუფლებაში, კავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილების დემორალიზაციამ და დაშლამ, საბრძოლო პოზიციების მიტოვებამ და ოსმალთა შეტევის დაწყების საშიშროებამ — შეაყ-

ვლევინა დონსკოისა და მის თანამოაზრეებს პოზიცია. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. 1918 წლის იანვრის ბოლოს დაიწყო ოსმალთა მე-3 არმიის შეტევა და იმ დროს ბრძოლისუნარიანი ეროვნული ნაწილების ფორმირება ვერ მოესწრო.

მეოთხე – აღნიშნულია, თუ რატომ ვერ დაიცვეს ქართულმა და სომხურმა ეროვნულმა შენაერთებმა ბათუმი, ერზრუმი, ყარსი, ალექსანდროპოლი და სხვ. ამის მიზეზი იყო ამ შენაერთების მცირერიცხოვნობა და გაუწვრთვებლობა. აქ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ყარსის საკითხზე. ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ ყარსის დაცემა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარის, აკაკი ჩხენკელის, ბრალთაა; რომ აკაკი ჩხენკელმა ის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დაუთმო ოსმალებს [Hovannisian, 1967:162-166; Hovannisian, 1971:27]. ყარსი ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო და მისმა დაცემამ 1918 წლის 12 აპრილს მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო სომხები, მაგრამ იყო კი იმ დროს ყარსის დაცვა შესაძლებელი?

11 აპრილს ამიერკავკასიის მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას კავკასიის ფრონტის სარდალის შტაბის გენერალ-კვარტირმაისტერმა, გენერალმა ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ ყარსი განწირულია, მისი დაცემა მხოლოდ დროის ამბავია და იქ მყოფმა ძალებმა მაქსიმუმ ერთი კვირა გაძლონ [Документы, 1919:243-244]. 1922 წელს კონსტანტინოპოლში მყოფი ილია ოდიშელიძე იხსენებდა, რომ „დამიბარა ჩხენკელმა და მთავარსარდლისა¹ და მინისტრების ხატისთვისა და კაჩაბუნის თანდასწრებით მკითხა, შეუძლიათ თუ არა სომხურ ჯარებს დაიცვან ყარსი და ქართულს — ბათუმი. მე გავიცინე და ვუპასუხე, რომ სომხები ყარსს ორი საათითაც, ხოლო ქართველები ბათუმს ორი დღითაც კი ვერ დაიცავენ. შემდეგ ნაზარბეკოვმა დაადასტურა ჩემი მოსაზრება და ფაქტებმაც დაარწმუნა მთავრობის წევრები, რომ სწორი ვიყავი საკუთარ წინასწარმეტყველებაში“ [ბახტაძე, 2017:69].

ყარსის და ზოგადად სომხური დასახლებული პუნქტების დაცემაზე საუბრობს ილია ოდიშელიძე ამ დოკუმენტშიც. აი რას წერდა გენერალი: „გარეგნულად და ფურცელზე სრულიად ფორმირებული სომხური კორპუსი სინამდვილეში იყო მცირერიცხოვანი, გაუწვრთველი და სავსებით არასაიმედო სომეხი ერის ცხოვრების ყველაზე საჭირო მომენტში — ერზერუმის დაცვისას 1918 წლის თებერვალში და ასევე ყარსის დაცვისას“.

როდესაც ოსმალები უკვე ყარსის მისადგომებთან იყვნენ, მხარეებს შორის გარკვეული მოლაპარაკება დაიწყო. ამიერკავკასიის მთავრობა მზად იყო დაეცალა ყარსი, თუმცა სანაცვლოდ ითხოვდა შემდეგს: ყარსის ოლქის დაცლის პარალელურად თურქებს უნდა დაეცალათ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების ტერიტორია; ყარსის დაცლას დაჭირდება შვიდი დღე; ფორტების დასაცვლელად საჭიროა ორი, უკეთესია სამი დღე და არა ერთი, როგორც მოწინააღმდეგე ითხოვს; ყარსში არსებული ქონების გასატანად საჭიროა ერთი თვე; ამიერკავკასიის ხელისუფლებას უნდა მიეცეს რეალური შესაძლებლობა გაიტანოს იარაღი, საჭურველი და ქონება; ევაკუაციისას რკინიგზის ხაზი ყარსი-ალექსანდროპოლი უნდა იყოს ამიერკავკასიის მთავრობის კონტროლქვეშ; თურქებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ქურთებმა არ დაამიანონ ეს რკინიგზა [Документы, 1919:247]. თავისი მოთხოვნა ჰქონდა მოწინააღმდეგესაც. სომხურ ფორმირებებს უნდა დაეხიათ ყარსისკენ, შეჩერებულიყვნენ 2 ვერსის მანძილზე და არ უნდა შეეშალათ ხელი ყარსში ოსმალური ნაწილების შესვლისთვის [Документы, 1919:242]. ორი ვერსის საკითხმა გაუგებრობა გამოიწვია. ყარსში მყოფი სომხური შენაერთების ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო, ყარსიდან ორ ვერსზე შეჩერდებოდნენ ოსმალები თუ სომხურ ფორმირებებს უნდა დაეხიათ ყარსიდან უკან კიდევ ორ ვერსზე. ამას დაემატა ისიც, რომ ყარსის კომენდანტმა ქალაქისა და ციხის ჩაბარების ბრძანება მხოლოდ 11 აპრილს, საღამოს 19 საათზე, მიიღო, ამიტომ მანამდე გაუსხნა ცეცხლი ყარსთან მოახლოებულ მტერს. ამას, ცხადია, საპასუხო სროლა მოჰყვა მოწინააღმდეგის მხრიდან [გაზეთი „საქართველო“, 1918:№87 10A]. ვითარება ფაქტობრივად უკონტროლო იყო. როგორც შემდგომში გენერალი ნაზარბეკოვი იტყობინებოდა, უკვე 11 აპრილს სომხური შენაერთების ერთმა ნაწილმა დაიწყო ყარსთან არსებული თავდაცვითი პოზიციების თვითნებური დატოვება. ამას დაემატა ოსმალთა იერიში და იქ მყოფი შენაერთის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მორელი, იძულებული გახდა უშუალოდ ქალაქ ყარსისკენ დაეხია. დასავლეთის და სამხრეთის ფორტებიდან გახსნილმა ცეცხლმა ოსმალები დროებით შეაჩერა. 11-12 აპრილის ღამეს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. დასავლეთის ფორტები უნდა გადასცემოდათ ოსმალებს 12 აპრილის შუადღისთვის, ხოლო აღმოსავლეთის — 13 აპრილის 17 საათისთვის. 12 აპრილს, ბრძანების თანახმად, დაიწყო დასავლეთის ფორტების დაცლა და ამ დროს აღმოსავლეთის ფორტებიც თვითნებურად დაიცალა, სომხურმა სამ-

¹ იგულისხმება გენერალი ლებედინსკი.

ხედრო ნაწილებმაც ალექსანდროპოლისკენ დაიხიეს [Документы, 1919:254-255]. 12 აპრილს ყარსი უკვე ოსმალთა ხელში იყო. ორი დღის შემდეგ აკაკი ჩხენკელისა და გენერალ ოდიშელიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ვეჰბ-ფაშა წერდა, რომ ყარსიდან ორ ვერსზე მისი ჯარები აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ. გარდა ამისა, მათ გაიგონეს ყარსში აფეთქებების ხმა და დაინახეს ცეცხლი. ეს კი ნიშნავდა, რომ სომხები, მოლაპარაკების პირობების მიუხედავად, ანადგურებდნენ იარაღს, საჭურველს, ქალაქის ინფრასტრუქტურას. ყოველივეს დამატა ინფორმაცია, რომ ყარსში ხოცავენ ტყვე ოსმალებს. ამიტომ ოსმალთა საჯარო ფორმირებები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაძრულიყვნენ ყარსისკენ. ყარსის ფაქტობრივად ძალით დაკავებამ გამოიწვია ამიერკავკასიის მთავრობის პირობების არათუ მიღება, არამედ განხილვაც კი [Документы, 1919:252]. ამდენად ყარსის დაცემაში აკაკი ჩხენკელის დადანიშნულება უსაფუძვლოა და უსამართლო.

მეხუთე, საინტერესო ცნობებია დაცული სომხური ეროვნული შენაერთების ფორმირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულია და ეს სხვა დოკუმენტებთან დასტურდება, რომ სომხური ეროვნული შენაერთების ფორმირება ქართულზე რამდენიმე თვით ადრე იწყება. ილია ოდიშელიძე ამის მიზეზად სომხების მიმართ კავკასიის მეფისნაცვლის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის (იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბიძის), კეთილგანწყობას ასახელებს. გენერალი ოდიშელიძე წერს, რომ ჩამოყალიბდა რამდენიმე ცალკეული სომხური ბატალიონი, რომლებსაც ჰქონდათ დრო, რათა გაწვრთნილიყვნენ და გაძლიერებულიყვნენ. ეს ბატალიონები იქცა სომხური კორპუსის ხერხემლად და მნიშვნელოვნად განაპირობა ამ კორპუსის სწრაფი ფორმირება. სომხური ეროვნული შენაერთების სხვა სისუსტეებთან ერთად აღნიშნულია სომეხ ოფიცერთა კორპუსის სიმცირე, რაც თავის მხრივ სომხურ ნაწილებში რუსი ოფიცრების დიდი რაოდენობით არსებობას განაპირობებდა. გენერალი იმასაც პირდაპირ აღნიშნავს, რომ სომეხ ოფიცრებს ფრონტზე ყოფნას და შენაერთების ხელმძღვანელობას ერთნაირი ტფილისში მსხდარიყვნენ: „აუცილებელი იყო, რათა სომხური ინტელიგენცია და სომეხი ოფიცრები მჯდარიყვნენ არა ტფილისში, არამედ რუსეთის არმიის ფრონტიდან წასვლის პირველივე დღეებიდან ჩასულიყვნენ ერზრუმში, ყარსში, ვანში და იქ დაეწყათ არა მხოლოდ ფორმირება საკუთარი შენაერთების, არამედ მათი მორალური დამუშავებაც. ამის ნაცვლად ისინი ისხდნენ ტფილისში და იქიდან განაგებდნენ სომეხი ახალგაზრდობის გამოგზავნას. რომელიც არ ენდობოდა რუს ოფიცრებს და არ ესმოდა მათი ენა, რჩებოდა ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე და საკუთარი ინტელიგენციისა და ოფიცრობის თანადგომის გარეშე“. იმავეს იმეორებდა ილია ოდიშელიძე 1922 წელს კონსტანტინოპოლში წაკითხული მოხსენებისას: „სომეხი გენერლები და ოფიცრები ტფილისში ისხდნენ და მშობლიურ არმიაში არაფრის მეთაურობა არ უნდოდათ. მას რუსი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ“ [ბახტაძე, 2017:68]. ამავე დოკუმენტში ილია ოდიშელიძე ეხება სომხურ ფორმირებებთან დაკავშირებულ ერთ მტკივნეულ საკითხს: როდესაც 1918 წლის იანვრის ბოლოს ოსმალებმა დაარღვიეს ერზრუმის შეთანხმება და შეტევა დაიწყეს, ოსმალთა სარდალი ვეჰბ-ფაშა ამის ერთ-ერთ მიზეზად სომხური ეროვნული შენაერთების მიერ მუსლიმთა რბევა-შევიწროვებას და მათი დაცვის აუცილებლობას ასახელებდა (1918 იანვარში ვეჰბ-ფაშამ რამდენჯერმე წერილობით მიმართა კავკასიის ფრონტის სარდალ გენერალ პრევევალსკის და კავკასიის არმიის სარდალ გენერალ ოდიშელიძეს და მოსთხოვა სომეხთა მხრიდან მუსლიმთა დევნა-შევიწროვებისა და აწიოკების შეწყვეტა). ცხადია, ეს მხოლოდ საბაბი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი ფაქტები მაინც იყო. 1918 წელს საბასუხო წერილებში ილია ოდიშელიძე აღნიშნავდა, რომ ცნობები სომეხთა თავდასხმების შესახებ ძალიან გაზვიადებულია. თუმცა იქვე აღიარებდა, რომ მსგავსი ფაქტები ხდება და დამნიშნულების დასჯის პირობას იძლეოდა [Документы, 1919:46-47]. ჩვენ მიერ განხილულ დოკუმენტში ილია ოდიშელიძე წერს, „სომხური ეროვნული შენაერთები, მხარდაჭერილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ სომხურ ქალაქებში მყოფი შოვინისტურად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილის მიერ, დაკავებული იყვნენ ძარცვით და უიარაღო თურქ მოსახლეობაზე ძალადობით. გამართლებას კი პოულობდნენ იმ ძალადობაში, რომელსაც ადრე თურქები ახორციელებდნენ სომეხებზე“.

მეექვსე, დოკუმენტის ბოლოს საუბარია ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე. განსაკუთრებით იმაზე, რომ „ქართულ კორპუსს არ ჰქონდა არც ის უპირატესობა დროში, რაც ჰქონდა სომხურ კორპუსს. მისი ფორმირება მაშინ დაიწყო, როდესაც სომხური კორპუსი უკვე ჩამოყალიბებული იყო. ამის გამო ბათუმს იცავდა არა საკუთრივ ქართული კორპუსი, რომელიც ამ დროისთვის მხოლოდ ფურცელზე არსებობდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ სასწრაფოდ იმპროვიზირებულად შეკრებილი ბევრი ცალკეული პატარა ბანდა“. შემდეგ აღნიშნულია, რომ, მიუხედავად სირთულეებისა, სახალხო გვარდიამ და ჯარმა მოახერხა თავიანთი მოვალეობის შესრულება და არ შემოუშვა სახელმწიფოში ბოლშევიკები. აქ გენერალი სავარაუდოდ გულისხმობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პროვინცი-

აში, აფხაზეთში, მიმდინარე საომარ მოქმედებებს 1918 წლის ზაფხულში. ილია ოდიშელიძე მოკლედ ეხება სომხეთთან ომის საკითხს და ხაზს უსვამს, რომ ამ ომის დროს „მოხდა ეროვნული გრძობისა და ჯარისა და სახალხო გვარდიის საბრძოლო სულისკვეთების ისეთი აღმავლობა, როგორც საქართველოში დიდი ხანი არ ყოფილა მისი სამიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში. ამ პოპულარულ ომში სულისკვეთების ასეთმა ამალღებამ სავსებით შეადუღაბა (спаял) ჯარის ნაწილები, განამტკიცა მათი მორალური ძალები, გააძლიერა და საბოლოოდ გაამყარა ჯარისკაცების ნდობა ოფიცერთა კორპუსისადმი, მეგობრული ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა დაამყარა ჯარსა და სახალხო გვარდიას შორის“. შემდეგ საუბარია ქართულ შეიარაღებულ ძალებში არსებულ ვითარებაზე და თითქმის გამეორებულია პირველი დოკუმენტის შინაარსი (მათ შორის ცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამხედრო სკოლის გახსნის შესახებ).

ჩვენი აზრით, გენერალმა ოდიშელიძემ პირველად დაწერა უფრო ვრცელი ვარიანტი (მეორე დოკუმენტი, ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე №8), რომელშიც, ქართული შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გარდა, განხილული იყო ბევრი სხვა საკითხიც. ეს ვარიანტი, ცხადია, არ გამოდგებოდა პარიზის კონფერენციაზე წარსადგენი მემორანდუმისთვის, რომელშიც სამხედრო პრობლემები მხოლოდ ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო სხვა საკითხთა შორის. ალბათ ამიტომ ილია ოდიშელიძემ შეამცირა თავდაპირველი ვარიანტი და შექმნა მოკლე ტექსტი, რომელიც ჩვენ პირველ დოკუმენტად განვიხილეთ (ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე №7).

ვფიქრობთ, ორივე დოკუმენტი ქართული შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს (და არა მარტო) და საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისა თუ საზოგადოებისთვის.

ქვემოთ მოგვაქვს ორივე დოკუმენტის თარგმანი.

დოკუმენტი №1 **ქართული არმია** **(მემორანდუმისთვის)**

საქართველოს ჰყავს პატარა, მაგრამ სავსებით დამაკმაყოფილებლად ორგანიზებული, საკმაოდ დისციპლინირებული და ტექნიკური საშუალებებით ნორმალურად აღჭურვილი არმია.

ამჟამად საქართველოს ჰყავს ქვეითთა ორი დივიზია და ერთი საკავალერიო ბრიგადა არტილერიის შესაბამისი რაოდენობით, საინჟინრო ნაწილებით, აერობლანებით და სხვა ტექნიკური ძალებითა და საშუალებებით.

გარდა ამისა, საქართველომ ჩამოაყალიბა სასაზღვრო დაცვის დივიზია, რომელსაც განსაკუთრებული ორგანიზაცია აქვს და სახალხო გვარდია.

ყველა ეს ძალები სავსებით უზრუნველყოფილია ოფიცერთა და უმაღლესი სამეთაურო შემადგენლობით. რუსეთის არმიაში იყო ძალიან ბევრი ქართველი გენერალი და ოფიცერი, რომლებმაც უარი განაცხადეს ემსახურათ ბოლშევიკებთან, დატოვეს რუსეთის ჯარი და თავად რუსეთიც, ჩამოვიდნენ სამშობლოში და სავსებით გულწრფელად მიიღეს ხალხის მხარე და საქართველოში რევოლუციით შექმნილი ახალი წესრიგი. ამან საშუალება მისცა რევოლუციით შექმნილ სახალხო ხელისუფლებას, ესარგებლა თავისი გენერლებითა და ოფიცრებით და მათი მხრიდან კონტრრევოლუციის შიშის გარეშე ჩაეყენებინა ისინი სახალხო ჯარის სათავეში.

ჯარები ექვემდებარება პირადად სამხედრო მინისტრს, რომლის მმართველობის ორგანო მოწყობილია პატარა ქვეყნების მსგავსად.

ამ საკითხში, ისევე როგორც სახელმწიფოს მართვის სხვა საკითხებში, ქართველი ხალხის მიდრეკილებამ სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფო სამსახურისადმი უშველა მას. რაოდენობა გენერალური შტაბის ოფიცრებისა და საერთოდ ოფიცრებისა უმაღლესი სამხედრო განათლებით, რომლებიც მსახურობდნენ რუსეთის არმიაში და ჰქონდათ ხანგრძლივი მშვიდობიანი გამოცდილება და გაიარეს კარგი საბრძოლო სკოლა, სამწყობრო ოფიცერთა ჩაუთვლელად, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, რათა დაკომპლექტებულიყო ყველა განყოფილება სამინისტროსი, გენერალური შტაბისა და ყველა შენაერთების შტაბებისა.

თბილისში უკვე ორგანიზებულ სამხედრო სასწავლებელში აღმოჩნდნენ ისეთი ოფიცრებიც, რომლებსაც აქვთ სამხედრო-სასწავლო საქმიანობის გამოცდილება. არის იმედი, რომ არსებულ ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტთან

მოხდება უმაღლესი სამხედრო სკოლის ორგანიზება, ისეთისა, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს საქართველოს არმიის საჭიროებას უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე ოფიცრებში.

ამ უკვე სავსებით ორგანიზებული და კარგად შედუღებული არმიით საქართველოს იმედი აქვს, რომ შეძლებს საკუთარი ნეიტრალიტეტისა დაცვას და ასევე წარმატებით დაიცავს სახელმწიფოში უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ წესრიგს.

ასევე, უეჭველია, ეს არმია მოიგერიებს ბოლშევიკურ ბანდებს ჩრდილოეთიდან, როგორც ამას აკეთებდა მაშინ, როდესაც რევოლუციური არმია ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო.

დოკუმენტი №2

როგორ დაარსდა ქართული ჯარი

მსოფლიო ომის დროს ცენტრალური სახელმწიფოების² წინააღმდეგ საქართველომ რუსეთის არმიაში გაგზავნა 180 000-200 000 კაცი. მათ შორის უნდა ჩავთვალოთ მოხალისეები, მაგრამ არ უნდა ჩავთვალოთ ქართველი ოფიცრები და გენერლები, რომლებიც ბევრნი იყვნენ რუსეთის არმიაში. ეს რიცხვი შეადგენს საქართველოს მამაკაცი მოსახლეობის 20%-ს. აქ განგარიშობ მხოლოდ ქრისტიან ქართველებს (დაახლოებით 2 მილიონი ორივე სქესის), რადგან ქართველი მუსლიმები განთავისუფლებული იყვნენ სამხედრო ვალდებულებისგან. ამრიგად, მთელი საქართველოს გასაწვევი ასაკის მამაკაცი მოსახლეობა სამი წლის განმავლობაში ზიდავდა დიდი ომის მთელ სიმძიმეს მოკავშირეთა³ რიგებში და ზიდავდა იმ ვიათი ვაჟკაცობით. ეს განსაკუთრებით გამოარჩევდა ოფიცერთა შემადგენლობას, როგორც ამას არაერთხელ ადასტურებენ რუსი სამხედრო ხელმძღვანელები.

როდესაც რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობისას, 1917 წლის მერე ნახევრის დასაწყისში, უფრო ნათლად გამოიკვეთა ბოლშევიკური მიმდინარეობა, ეს აისახა რუსულ არმიაზე. მასში ასეთივე ნათლად გამოიკვეთა ომის სწრაფი დასრულების სურვილი და არმიამ დაიწყო დაშლა. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა და მასთან ერთად არმიაში გაიმარჯვა გახრწნის ელემენტებმა. შეუკავებელი ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენით დივიზიები და კორპუსები უარს აცხადებდნენ დამორჩილებობას საკუთარ მეთაურებს. ძარცვავდნენ საკუთარ(?) ქონებას და მის უდიდეს ნაწილს მოწინააღმდეგეს უტოვებდნენ. უწესრიგოდ დაიწყეს ფრონტის მიტოვება. როგორც ყველასთვის კარგად არის ცნობილი, ამას ტრაგიკული შედეგები მოჰყვა რუსეთისთვის, მაგრამ ეს შედეგები განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ამიერკავკასიაში და ძირითადად ქართველებისა და სომხებისთვის. ქართველებიცა და სომხებიც, რუსეთის ჯარების მიერ ბედის ანაბარა მიტოვებულნი, შესაძლოა ყოფილიყვნენ არა მხოლოდ დაპყრობილი თურქეთის⁴ მიერ, არამედ განადგურებულიც. განჭვრიტეს რა ეს დიდი საშიშროება, ქართველებმაც და სომხებმაც ბოლშევიკების საბოლოო ტრიუმფამდე რამდენიმე თვით ადრე ტფილისში დააყენეს საკითხი ქართული და სომხური ეროვნული ნაწილების ფორმირების შესახებ.

სომხებმა ამავე ადრე შეძლეს რუსეთის არმიის შემადგენლობაში შექმნათ რამდენიმე ეროვნული ბატალიონი. ქართველებსაც ჰქონდათ საკავალერიო პოლკი, მაგრამ უფრო დიდი ეროვნული კორპუსის შექმნის იდეა გაბატონებული სოციალისტ-რევოლუციონერების⁵ პარტიის მხრიდან მაშინ ყრუ წინააღმდეგობას წააწყდა. ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კერენსკის მთავრობა იძულებით დასთანხმდა ეროვნული ნაწილების ფორმირებას, მაგრამ ადგილობრივი კავკასიის რევოლუციური სამხედრო ხელისუფლება ფრონტის კომისრის დონსკოის სახით თავიდან ამ იდეას ღია წინააღმდეგობას უწევდა. კერძო წრეებში ის აცხადებდა, რომ უმაღლესი კავკასიის ჩაახრჩობის სისხლში, ვიდრე დაუშვებს ეროვნული

¹ იგულისხმება გენერალი ლეხენინსკი.

² იგულისხმება ე.წ. ცენტრალური ბლოკის სახელმწიფოები: გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთის იმპერია.

³ იგულისხმება „ანტანტის“ ქვეყნები.

⁴ ამ დროს თურქეთი ოფიციალურად იწოდებოდა ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიად, მაგრამ რადგან ილია ოდიშელიძე იყენებს სახელწოდებას თურქეთს, ჩვენც ასე დავტოვეთ.

⁵ სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პარტია ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იყო მთელი რუსეთის მასშტაბით. თუმცა სამხრეთ კავკასიაში სხვა ვითარება იყო: აქ ყველაზე გავლენიანი იყვნენ ქართველებში სოციალ-დემოკრატები, სომხებში — დაშნაკები და აზერბაიჯანელებში — მუსავატები. მაგრამ ესერები ძალიან გავლენიანი იყვნენ არმიაში და სავარაუდოდ ამას გულისხმობს ილია ოდიშელიძე, როდესაც ესერების გაბატონებულ მდგომარეობაზე საუბრობს.

ნაწილების ფორმირებას. ბოლშევიკების წარმატებებისა და რუსეთის არმიის დაშლის პარალელურად ის სულ უფრო და უფრო არბილებდა პოზიციას და სიტყვებით ქართველ ნაციონალისტებს დაპირებებსაც აძლევდა. თუმცა ოქტომბრის პირველ ნახევარში ის ჯერ კიდევ მტერი იყო კავკასიაში ეროვნული ნაწილების ჩამოყალიბების და პარტიულ წრეებში ამბობდა, რომ ქართველებისა და სხვა ეროვნებებისგან იღებს თხოვნებსა და წერილებს, მაგრამ მათ მაუდის ქვეშ დებს და ვერაფერს ვერასდროს კავკასიაში ვერ იხილავს ეროვნულ ნაწილებს.

მოვლენები დონსკოის ნებისა და შეგნების საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა და ამან აუცილებელი გახადა ეროვნული ნაწილების სასწრაფო ფორმირება. ნებართვა ამაზე იმდენად გვიან გაცა, რომ ეროვნულ ნაწილებს არ შეეძლოთ შეეცვალათ კავკასიის ფრონტიდან მიმავალი რუსული კორპუსები.

ოქტომბრის ბოლოს დონსკოი კავკასიის არმიის ახალ სარდალ გენერალ ოდიშელიძესთან ერთად გაემართა ფრონტზე და აღმოაჩინა [ამკასიაში] ერთი დივიზია და სარიყამიში მთელი კორპუსი, თვითნებურად რომ მიდიოდნენ სახლში, ჩრდილოეთ კავკასიაში. სხვა კორპუსებიც ემზადებოდნენ ფრონტის დასატოვებლად და მის გასაშისვლებლად. დონსკოიმ სცადა დაეთანხმებინა ჯარი, არ წასულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და არ დაეთმოთ კავკასია თურქებისთვის. ჯარები მას ძალიან მტრულად შეხვდნენ, განსაკუთრებით ერზერუმში, საიდანაც დონსკოის საიდუმლოდ მოუწია წამოსვლა, რომ ფიზიკურად არ გასწორებოდნენ. ასევე მტრულად იყვნენ ჯარები განწყობილი არმიის კომისრის პერილოვის თხოვნისადმიც. ის დააპატიმრეს კიდევ. ამ ფაქტებმა და პარტიული ამხანაგების მოხსენებებმა, რომლებიც ფრონტზე იყვნენ და შეისწავლეს საკითხი, აიძულა ფრონტის კომისარი საკუთარი მოსაზრების საწინააღმდეგოდ ოფიციალურად დასთანხმებოდა ეროვნული ნაწილების შექმნას. გვიან იყო, ძალიან გვიან. მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს დართეს რეალურად ნება დაეწყოთ ეროვნული ნაწილების ფორმირება. ხოლო 1918 წლის იანვრის ბოლოს მივიღე თურქთა მთავარსარდალის დეპეშა, რომ ის არღვევს ზავს და იწყებს შეტევას. თავისთავად ცხადია, რომ ფრონტიდან მიმავალ არმიაში ბოლშევიკური განწყობილებების აღზევებისას, რომელმაც დროებით მოიცვა ქართველი და სომეხი ჯარისკაცები და საყოველთაო სახალხო აღზნებისას, შეუძლებელია ორ-სამ თვეში ჩამოაყალიბო სამხედრო ნაწილები ამ სიტყვის რეალური მნიშვნელობით და თუნდაც მცირედ გაწვრთვნა ისინი.

ქართველებსაც და სომეხებსაც, თურქთა შეტევის დაწყების წინ, ჰყავდათ მხოლოდ საგუშაგო (**постовые**) სამხედრო ნაწილები. თითოეული რამდენიმე ასეული და ზოგჯერ რამდენიმე ათეული ადამიანის რაოდენობით (ნაცვლად თითოეულში 3 ათასისა). კორპუსები შედგებოდა 200-300-კაციანი პოლკებისგან, რომლებისთვისაც შეიძლება გვეწოდებინა უფრო არასამწყობრო ბანდები (**нестроевимы Бандами**), მაგრამ არა პოლკები. აი ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ ვერ გაუძლო თურქების შეტევას ვერც ერზერუმმა, ვერც ყარსმა, ვერც ალექსანდროპოლმა, ვერც ბათუმმა და რატომ გაიქცნენ მათი გარნიზონები, დაუტოვეს რა სიმაგრეები მოწინააღმდეგეს.

ამ დიდმა უბედურებამ ძლიერ იმოქმედა ორივე ხალხის საზოგადოებრივ აზრზე და საბოლოოდ დაარწმუნა ყველა, რომ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში აუცილებელია კარგად მოწყობილი მუდმივი ჯარი. ტრაპიზონისა და ბათუმის მოლაპარაკებებისას წარმოჩენილმა ინტერესთა სხვაობამ ამიერკავკასიის სამ მთავარ ეროვნებას (**народностей**) შორის და ორივე ქრისტიანი ხალხისთვის პანთურქიზმის მხრიდან მომდინარე ამკარა საფრთხემ აიძულა კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ საკუთარი არმიების შექმნისა და მათ ტექნიკური ქონებით მომარაგება-აღჭურვისთვის.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სომხეთმა და აზერბაიჯანმაც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და თითოეულმა ერმა დამოუკიდებლად დაიწყო საკუთარი სამხედრო ძალის ორგანიზება. სომეხს საკუთარი ჯარის მოწყობის საქმეში ყოველთვის ჰქონდათ გარკვეული უპირატესობა ქართველებთან შედარებით. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, იყვნენდნენ რა კავკასიის მეფისნაცვლის კეთილგანწყობას მათდამი, ჩამოაყალიბეს რამდენიმე ბატალიონი, რომლებსაც ჰქონდათ საკმარისი დრო, რათა შეკოწიწებულიყვნენ (**сколотиться**), გაძლიერებულიყვნენ, გაწვრთვნილიყვნენ და მიეღოთ საბრძოლო გამოცდილებაც კი. ეს ნაწილები გახდა ხერხემალი და განაპირობა სომხური კორპუსის სწრაფი ჩამოყალიბება ქართულ კორპუსთან შედარებით.

1917 წლის⁶ იანვარ-თებერვალში ერზერუმთან სომხურ კორპუსს უკვე შეიძლება ჰქონოდა სერიოზული მნიშვნელობა, თუკი სომხეთმა მას იქნებოდა პოლიტიკურად უფრო შეგნებული და უფრო მედგარი, ხოლო სომხური ხელმძღვანელი ინ-

⁶ აქ ავტორს მექანიკური შეცდომა მოსდის: 1917 წლის ნაცვლად უნდა დაეწერა 1918 წელი.

ტელიგენცია და მცირერიცხოვანი სომეხი ოფიცრობა უფრო [პასუხისმგებლობით მოკიდებოდა] თავის მდგომარეობას. აუცილებელი იყო, სომხური ინტელიგენცია და სომეხი ოფიცრები მჯდარიყვნენ(?) არა ტფილისში, არამედ რუსეთის არმიის ფრონტიდან წასვლის პირველივე დღეებიდან ჩასულიყვნენ ერზრუმში, ყარსში, ვანში და იქ დაეწყათ არა მხოლოდ ფორმირება საკუთარი შენაერთების, არამედ მათი მორალური დამუშავებაც.

ამის ნაცვლად ისინი ისხდნენ ტფილისში და იქიდან განაგებდნენ სომეხი ახალგაზრდობის გამომგზავნას, რომელიც არ ენდობოდა რუს ოფიცრებს და არ ესმოდა მათი ენა, რჩებოდა ყოველგვარი ხელმძღვანელობისა და საკუთარი ინტელიგენციისა და ოფიცრობის თანადგომის გარეშე. ამიტომ, მხარდაჭერილი თურქეთის სომხეთის ქალაქებში მყოფი შოვინისტურად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილის მიერ, ის დაკავებული იყო ძარცვითა და უიარაღო თურქ მოსახლეობაზე ძალადობით. პოულობდა რა გამართლებას იმ ძალადობაში, რომელსაც ადრე მათზე თურქები ახორციელებდნენ.

ეს კიდევ უფრო ხრწნიდა, სამხედრო თვალსაზრისით, სომხური მასის არამდგრად სულიერ მდგომარეობას და ქმნიდა არმიიდან გაქცეულთა უზარმაზარ პროცენტს. აი მიზეზი იმისა, რომ გარეგნულად და ფურცელზე სრულიად ფორმირებული სომხური კორპუსი სინამდვილეში იყო მცირერიცხოვანი, გაუწვრთვნილი და სავსებით არასამხედრო სომეხი ერის ცხოვრების ყველაზე საჭირო მომენტში - ერზრუმის დაცვისას - 1918 წლის თებერვალში, ასევე ყარსის დაცვისას.

ქართულ კორპუსს არ ჰქონდა არც ის უპირატესობა დროში, რაც ჰქონდა სომხურ კორპუსს. მისი ფორმირება მაშინ დაიწყო, როდესაც სომხური კორპუსი უკვე ჩამოყალიბებული იყო. ამის გამო ბათუმს იცავდა არა საკუთრივ ქართული კორპუსი, რომელიც ამ დროისთვის მხოლოდ ფურცელზე არსებობდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ სასწრაფოდ იმპროვიზირებულად შეკრებილი ბევრი ცალკეული პატარა ბანდა, რომელთაგან ზოგიერთმა გამოავლინა სწრაფწარმავალი ვაჟაკობა და სიმამაცე, რომელიც მოგვაგონებდა წინაპრების ამავე თვისებებს, მაგრამ არ გამოავლინეს ამ უკანასკნელთა სიმტკიცე, რომელიც ათასწლეულების მანძილზე იცავდა ჩვენს სამშობლოს და შემოგვინახა(?) ის კომპაქტურად და ეთნოგრაფიულად ერთიანი. ბათუმი დაეცა და ამასჰ ქონდა მხოლოდ ერთი დადებითი შედეგი - ყველასთვის ცხადი გახდა, რომ არმიას უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება და რესურსი. არმიის შექმნის, გაძლიერების და გაწვრთვნის სამუშაო უფრო ინტენსიური გახდა. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ქართველმა ოფიცრმა და გენერალმა, რომელიც მსახურობდა გახრწნილ რუსულ არმიაში, უარი განაცხადა ჩამდგარიყო რუსული ბოლშევიზმის სამსახურში. მათ დატოვეს რუსეთი, ჩამოვიდნენ სამშობლოში და გულწრფელად დადგნენ იმ სახელმწიფო წესრიგის მხარეს, რომელიც სრულიად შეგნებულად აირჩია თავისთვის ქართველმა ხალხმა. ამან საშუალება მისცა საქართველოს მთავრობას შიშის გარეშე გამოეყენებინა ყველა ოფიცერი და გენერალი, თითოეული მისი სპეციალობით და შესაძლებლობით და გაეძლიერებინა მუშაობა არმიასთან დაკავშირებით. არსებული საგარეო ვითარება არ იყო ხელსაყრელი. შიგნით კი, საქართველოს ხან ერთ და ხან მეორე კუთხეში, თავს წევდა გარედან წაქეზებული ანარქია. ქართველი ჯარისკაცები ეხლახან გაწვევულები სამხედრო სამსახურში, ეხლახან ფორმაცემულები, ჯერ რომ არ იცოდნენ თოფიდან სროლა, უნდა წასულიყვნენ მძიმე ექსპედიციებში სახალხო გვარდიასთან ერთად, რომელიც ხალხმა შექმნა საგარეო და საშინაო ვითარების ზეგავლენით, ის შედგება შეგნებული მუშების, ძველი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისგან და რომელიც ჯერ კიდევ მოუძლიერებელ არმიასთან ერთად ღირსეულად და პატიოსნად ყველგან იცავდა საკუთარი სამშობლოს ინტერესებს.

შიდა სიძნელეები საგარეოზე უფრო მძიმე იყო⁷. ბოლშევიკები არაერთხელ ემუქრებოდნენ საქართველოს ნოვოროსიისკის მხრიდან, ვლადიკავკაზის მხრიდან და ბაქოს მხრიდან. ახალგაზრდა ქართული ჯარი ჯერ კიდევ არ შედგომოდა წვრთვნას და ყაზარმების მოწყობასაც კი, რომლებიც საშინელ მდგომარეობაში დარჩნენ რუსეთის არმიის შემდეგ; ჩვენს სახელოვან სახალხო გვარდიასთან ერთად ზოგჯერ იძულებული იყვნენ ერთდროულად ემოქმედათ შიგნითაც, ანარქიის ადგილობრივი აფეთქებების წინააღმდეგ და საზღვარზეც ბოლშევიკების წინააღმდეგ. აქ ჩვენი ხალხის პოლიტიკურმა სიმწიფემ უშველა მას. წვრთნის არქონის მიუხედავად, წარმატებით იმოქმედეს, ბოლშევიზმი ხომ მოგერიებულ იქნა. ჩვენმა რეგულარულმა არმიამ და ჩვენმა სახალხო გვარდიამ ის არსაიდან არ შემოუშვეს. თავს წევდნენ სხვა სახის პრობლემებიც: საქართველოს ემუქრებოდა რუსეთის მოხალისეთა არმია⁸ ჩრდილოეთიდან და ამასთან ერთად ერთდროულ-

⁷ ასე წერია ტექსტში. თუმცა შემდეგ საუბარია საგარეო საფრთხეებზე. შესაძლოა, ავტორს მექანიკური შეცდომა მოუვიდა და უნდოდა დაეწერა — საგარეო სიძნელეები საშინაოზე მძიმე იყო.

⁸ იგულისხმება გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმია.

ად სომხები მოულოდნელად თავს დაგვესხნენ სამხრეთიდან. ამ უკანასკნელმა უბედურებამ მოგვიტანა მოულოდნელი ბედნიერება. რამდენიმე დღის შემდეგ სომხები, რომლებსაც დასაწყისში წარმატება ჰქონდათ ჩვენს ერთ მუჭა ჯარზე, რომელიც თავდასხმას არ ელოდა, არა მხოლოდ სასტიკად დამარცხდნენ და ვერ შეძლეს საკუთარი მიზნების მიღწევა, არამედ მოხდა ეროვნული გრძობისა და ჯარის და სახალხო გვარდიის საბრძოლო სულისკვეთების ისეთი აღმავლობა, როგორც საქართველოში დიდი ხანი არ ყოფილა მისი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. ამ პოპულარულ ომში სულისკვეთების ასეთმა ამალვებამ სავსებით შეადუღაბა (спаял) ჯარის ნაწილები, განამტკიცა მათი მორალური ძალები, გააძლიერა და საბოლოოდ გაამყარა ჯარისკაცების ნდობა ოფიცერთა კორპუსისადმი, მეგობრული ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა დაამყარა ჯარსა და სახალხო გვარდიას შორის. ეხლა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჰყავს პატარა, მაგრამ სავსებით დამაკმაყოფილებლად ორგანიზებული, საკმაოდ დისციპლინირებული და ტექნიკური საშუალებებით ნორმალურად აღჭურვილი არმია. ეხლა საქართველოს ჰყავს ქვეითთა ორი დივიზია და ერთი საკავალერიო ბრიგადა, სათანადო რაოდენობით არტილერიისა და საინჟინრო ჯარისა და სხვა ტექნიკური ნაწილებისა. გარდა ამისა, საქართველომ ჩამოაყალიბა სასაზღვრო დაცვა, რომელსაც განსაკუთრებული ორგანიზაცია გააჩნია და სახალხო გვარდია.

ყველა ეს ძალები ემორჩილება პირადად სამხედრო მინისტრს, რომლის მმართველობის ორგანო მოწყობილია ქვეყნის შესაძლებლობის მიხედვით, პატარა სახელმწიფოების მაგალითზე. ქართველი ერის მიდრეკილებამ სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფო სამსახურისადმი ამ საკითხში უშველა მას. გენერალური შტაბის ოფიცრებისა და საერთოდ უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე ოფიცერთა რაოდენობა, რომლებსაც ჰქონდა მშვიდობიანობის პერიოდის დიდი გამოცდილება და გაიარეს კარგი საბრძოლო სკოლა, აღმოჩნდა საჭიროზე მეტი, რათა დაკომპლექტებულიყო ყველა განყოფილება: სამხედრო სამინისტროსი, გენერალური შტაბის და ყველა სამხედრო შენაერთის შტაბებისა. აღმოჩნდნენ სამხედრო-პედაგოგიურ საქმეში გამოცდილებიც, ტფილისში უკვე ორგანიზებული სამხედრო სასწავლებლის ოფიცერთა კორპუსი და არის იმედი, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნება უმაღლესი სამხედრო სკოლა, ისეთი რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს საქართველოს არმიის მოთხოვნას უმაღლესი განათლების მქონე ოფიცრებში.

ამ უკვე სავსებით ორგანიზებული და კარგად შეკრული არმიით საქართველოს მოუწევს დაიცვას საკუთარი ნეიტრალიტეტი, წარმატებით დაიცვას არსებული შიდა წესრიგი და ასეთივე წარმატებით მოიგერიოს ბოლშევიკური საფრთხე ჩრდილოეთიდან, როგორც ამას აკეთებდა მაშინ, როდესაც რევოლუციური არმია ჯერ კიდევ ჩანასახში იყო.

ორიგინალს ხელი მოაწერა ი. ოდიშელიძე

3 თებერვალი 1919 წელი კონსტანტინოპოლი. სწორია. ივანე ზურ[აბიშვილი]

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ბახტაძე მიხეილ. 2017. გენერალი ილია ოდიშელიძე. თბილისი.
2. გოცირიძე გიორგი. 2009. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო. თბილისი.
3. ჭუმბურიძე დოდო. 2014. აკაკი ჩხენკელი. თბილისი.
4. Документы и материалы по внешней политике закавказия и Грузии. 1919. Тифлис.
5. Hovannisian Richard G. 1967. Armenia on the Road to Independence. Los Angeles
6. Hovannisian Richard G. 1971. The Republic of Armenia. Volume 1. Los Angeles

MIKHEIL BAKHTADZE

Ivane Javakishvili Tbilisi State University

**TWO DOCUMENTS ABOUT THE FORMATION OF
THE GEORGIAN ARMY AND THE SITUATION (1918-1919)****SUMMARY**

The two manuscripts written by General Ilia Odishelidze in Constantinople on February 3 in 1919 are repositied in The Military Department Fond of Democratic Republic of Georgia, located in the Central Historical Archive of Georgia.

The title of the first manuscript is “Georgian Army”(for memorandum). This document consists of four pages which contain information about condition of Georgian Military Force in February 1919. It was emphasized that, after The Russian Empire had collapsed, the number of generals and officers, returned to Georgia, was enough to form The Ministry of Defense and all structural units of The General Staff. In two words, the structure of Georgian Military Force, Army, and National Troops is described in this document. Although the author stretched the then situation, writing that Georgian Military Force had been well provided, the facts are rather interesting to read.

The title of the second manuscript is “How Georgian Army was founded”. This document describes the situation on Caucasus Front at the end of 1917 during World War I. Particularly: Russian Army Units leaving their positions, Front and Army Commissars’ categorical opposition in matter of forming National units, change of these commissars position because of the catastrophic military and political situation, different problems in formation of National units, the difference in forming Armenian and Georgian National units (for example: Armenians started formation of National units much earlier) and reasons for that. This document also contains interesting information relating to the other matters. For example, it is mentioned that 180-200 men, including volunteers, from Georgia took part in War World I. Georgian generals and officers were excluded from this number. This manuscript comprises the reasons why cities like: Erzurum, Kars, Batumi and Alexandropol, where seized by the Turks after they had started their attack. In General Odishelidze’s view, the reason for this failure was a small number of National Military Units and lack of combat efficiency.

თამარ ლუჩაიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის „ოხანკის“ ყოფილი აკენჯაბი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „სამსახურში“

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ფონდებში დაცულია მასალები რომლებშიც ასახულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში ჩამდგარი „ძველი რეჟიმის“ საიდუმლო(პოლიტიკური) პოლიციის აგენტების საქმიანობა. მათ შორის იყვნენ თბილისის „ოხანკის“ განყოფილების საიდუმლო აგენტები: „სლუჩაინი“ – დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში და ივანე პოლიექტივოსის ძე კარბელაშვილი – „დვარიანინი“. ივანე კარბელაშვილი 1909-1910 წლებში თბილისის, ხოლო 1911-1913 წლებში ოდესის „ოხანკის“ განყოფილების ერთ-ერთი მთავარი აგენტი იყო სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში, ამ საკითხზე ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ჩემი სტატია „თბილისის „ოხანკის“ განყოფილება და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა“ [საერთაშორისო კონფერენცია; 2017; გვ.341].

პოლიექტოს კარბელაშვილის პირად ფონდში აღმოჩნდა ივანე კარბელაშვილის სახელზე გაცემული რამდენიმე საბუთი. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ივანე კარბელაშვილის ნამსახურობის სია, საიდანაც ვიგებთ თუ რა საქმიანობას ეწეოდა 1915-1918 წლებში ივანე კარბელაშვილი. ამ პერიოდის ამსახველი წერილები ან მასალები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

დოკუმენტში მითითებულია, რომ 1915 წლის 30 მაისამდე ივანე კარბელაშვილი თბილისის სასამართლო პალატაში ნაფიცი მსაჯულის თანამშემედ მუშაობდა. 1916 წლის 15 თებერვლამდე კი რევიზიას აწარმოებდა კავკასიის ფრონტის საინჟინრო-აღმშენებლობით საქმიანობაზე. 1916 წლის 16 ივნისამდე ბათუმის ციხე-სიმაგრეში კომენდანტთან გამომძიებლად მუშაობდა, ამის შემდეგ 1916 წლის დეკემბრამდე ბათუმ-ტრაპიზონის სამხედრო რკინიგზაზე მომხდარ დანაშაულებს იძიებდა. ამ დროისთვის იგი უფროსის თანამდებობაზე დაუწინაურებიათ. აქვე მითითებულია, რომ მოგვიანებით, სასამართლო განყოფილების რეორგანიზაციის კვალდაკვალ მან სამსახური დატოვა. მალევე ივანე კარბელაშვილი 1918 წლის მაისამდე ზაქათალის პოლკის („ლეგინსკის საცხენოსნო პოლკი“) კვარტირმეისტერის თანამდებობას იკავებს. აღნიშნული სამსახურის შრომითი ანაზღაურება, დოკუმენტის მიხედვით, 875 რუბლს შეადგენდა.

ნამსახურობის სიის წიგნაკში მითითებულია, რომ 1918 წლის 26 ოქტომბერს, სოფელ არზამანიკის ალებისთვის, ივანე კარბელაშვილი ე.წ. „თურქული გმირობის ორდენით“ დაუჯილდოვებიათ.

ივანე კარბელაშვილის შესახებ ინფორმაციას ავსებს 1917 წელს მისი პირადი მიმოწერა ოჯახის წევრებთან. ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომ 1917 წლის 6 აპრილს კარბელაშვილი დაუპატიმრებიათ. საქმე იმაშია, რომ 1917 წლის 23 მარტს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროს პოლკოვნიკ პასტრულინის დაკითხვისას მან თბილისის „ოხანკის“ განყოფილების თანამშრომლად ივანე კარბელაშვილიც დაასახელა. ოზაკომის საგამომძიებო კომისიამ ოპერატიულად მოახდინა ივანეს დაპატიმრება. აი, რას წერს ივანე მამას, პოლიექტოს კარბელაშვილს: „მამა! გეცოდინება, რომ 6 აპრილიდან პატიმრობაში ვარ. წამომიყენეს რამდენიმე ბრალდება, რომლიდანაც არცერთი არ დამტკიცდა. რადგან სისულელეებს სჩმახავდნენ. ამ ორ კვირაში საქმე გაირკვევა. როგორც უნდა გათავდეს საქმე, გადაწყვეტილია საქართველოს სამუდამოდ მოვშორდე. ძველი მთავრობა მდევნიდა, ახალიც ძველის გზაზე დადის, მოწყინდა ეს კომედია, რომლის მსხვერპლიც მე გახვდი.“ [სცია;ფონ:1461;აღ:1;საქ:309;გვ36]

1917 წლის ექვს აპრილს დაპატიმრებული ივანე 1917 წლის 20 ოქტომბერს გაუთავისუფლებიათ: „მამაჩემო! მოკითხვა სიყვარულით! უკვე გამოირკვა, რომ პარასკევს 20 ღვინობისთვის გვიშვებენ. ქალაქი მოვიდა. აი რასა გთხოვ: 1. 8 ოქტომბრამდის ჩამომიტანეთ 200 მ. რაიც ძალიან მჭირდება და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. 2. 20 ოქტომბერს ჩამოდით აქ და იქნებ მეორე-მესამე დღეს ერთად წავიდეთ გურჯაანში.“ [სცია;ფონ:1461;აღ:1;საქ:309;გვ37]

შემდეგი რამდენიმე წერილიდან ირკვევა, რომ ამ დროისთვის ივანე კარბელაშვილი მეუღლესთან ერთად ზაქათალაში იმყოფებოდა და სხვადასხვა სამსახურს ვაჭრობასაც უთავსებდა.

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო და მინდა წარმოვიდგინოთ ივანეს წერილებიდან ამონარიდები, რომლებშიც ზაქათალაში განსახლებულ ლეკებში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები ასახული: „ჩვენი ცხოვრება ჯერ-ჯერობით კმაყოფილად მიმდინარეობს, რასაც გაზეთებში სწერენ-სულ გაზვიადებულია - სომხები განგებ სტეხენ აურზაურს.“

საზოგადოებრივ ლეკები ძალიან კარგი ხალხია, პირდაპირი, გულკეთილი, რაინდი, სიტყვის არ გამტეხი. ძალიან კარგათ გვექცევიან.

ყველანი პირადებით მონარქისტები არიან და სძულთ სოციალისტები. ბევრს პირველი ადგილი უჭირავთ ყველაფერში და მოლებს. ჰაერი საუცხოვოა, ქვეყანა მდიდარი. მღვდელი ბესარიონ ფურცელაძე აქ არის, ძალიან გვეხმარება ყველაფერში, ერთმანეთში ხშირად დავდივართ სხვა ქართველები ძალიან ცოტაა. კაი ნაცნობობა გვაქვს. უმთავრესად ჩვენ არავის საქმეში არ ვერევი.“ [სცია;ფონ:1461;აღ:1;საქ:309;გვ39ბ,40]

1918 წლის 19 სექტემბერს ივანე ძმისგან(დათასგან) დახმარებას ითხოვდა: „ - ამ დღეებში გავიგე, რომ სიღნაღის სამართო კომისიის თანაშემწეს აბოლონ ბაღაშვილს აქაურ გუბერნატორისთვის ცნობა მიუწვდია - ჩემი წარსულის შესახებ. გუბერნატორს ეს ცნობა მთავრობისთვის მიუწვდია ბაქოში და ეხლა დაინტერესებული არიან ჩემი წარსულით.“ [სცია.ფონ.1461,აღ.1,დოკ.381,გვ.13] როგორც ირკვევა იგი ამ დროს ზაქათალაში გამომძიებლად მუშაობდა. ივანე საკუთარი ძმისგან ამ საქმეში ახლობლების ჩარევას ითხოვს და სწერს: „ნოე რამიშვილიდან აქ რომ ცუდი ცნობა მოვიდეს - მორჩა საქმე. ნუ თუ ვერ დაივიწყებენ წარსულს?“ - თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ნოე რამიშვილი იყო ერთ-ერთი წევრი ოზაკომის ზემოდასახელებული საგამომძიებო კომისიისა, რომელმაც 1917 წელს პოლკოვნიკი პასტრულინი დაკითხა, გასაგები ხდება რატომაც ითხოვს ივანე სწორედ ნოე რამიშვილთან შუამდგომლობას.

შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტი 1920 წლის 23 აპრილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერაა გაცემული, ხელს აწერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აზერბაიჯანის - ნიკოლოზ იოთამის ქარცივაძე : „ამის წარმომდგენი საქმისმწარმოებელი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლისა აზერბაიჯანში ივანე პავლეს ძე კარბელაშვილი განსაკუთრებით დავალებით იგზავნება ლაგოდეხის რაიონსა და ზაქათალაში აზერბაიჯანთან საზღვრების საკითხის შესასწავლად.“

მოუწოდებთ ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ არ დააბრკოლონ ზემოაღნიშნული პირი თავისუფლად მგზავრობაში და კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ.

რის დასასაბუთებლათ მიეცა ეს მოწმობა სათანადო ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

ნივთები საბაჟო დახედვიდან თავისუფალია.“ [სცია;ფონ:1461;აღ:1;საქ:486;გვ:5] ამ დავალების შესახებ ივანე ოჯახსაც აცნობინებს 1920 წლის 26 მარტს: მე ზაქათალაში მივდივარ საგანგებო დავალებით გეგეჭკორისგანო. როგორც ვხედავთ ზემოთ მოყვანილი მასალები საკმაოდ დიდ ინფორმაციას შეიცავს ივანეს საქმიანობის შესახებ, თუმცა დასკვნების გამოსატანად კიდევ ბევრი რამაა საკვლევი. უცნაურია ხელისუფლება ჯერ აპატიმრებს მეფის რუსეთის „ოხრანკის“ განყოფილების აგენტს, შემდეგ კი საგანგებო და მეტად საპასუხისმგებლო მისიით აგზავნის სახელმწიფოს საზღვრებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოზაკომის საგამომძიებო კომისიას არც დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის აგენტურულ საქმიანობაზე მოუხდენია სათანადო რეაგირება და მეტიც, მოგვიანებით იგი სურსათის სამმართველოს მომმარაგებლის თანამდებობასაც იკავებდა. თ. სიმამილი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ შესაძლოა ამის მიზეზი იყო ჯაშის აგენტურული საქმიანობა და მის მიერ მიწოდებული ცნობები სოციალ-ფედერალისტური და სოციალ-დემოკრატიული, კერძოდ ბოლშევიკურ-

რი პარტიის წევრების შესახებ. ფაქტობრივად უშუალოდ მენშევიკური პარტიის წევრებისთვის ეს ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაული იყო. იგივე შეიძლება ითქვას ივანე კარბელაშვილის მიერ „ობრანკისთვის“ მიწოდებულ ინფორმაციებზე. ამასთანავე ახალ ხელისუფლებას აუცილებლად დასჭირდებოდა გამოცდილი კადრები მსგავსი საქმიანობისთვის.

რაც შეეხება ივანე კარბელაშვილის მკვლევლობას, არსებობდა მხოლოდ ზოგიერთი ინფორმაცია, რომ იგი 1920 წელს ზაქათალაში მოკლეს. პოლიევქტოს კარბელაშვილის ფონდში ჩემს მიერ აღმოჩენილმა წერილმა აღნიშნულ საკითხს ნათელი მოჰფინა. უცვლელად და სრულად გთავაზობთ პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ ევგენი გეგეჭკორისადმი გაგზავნილი მოხსენების ტექსტს:

„საქართველოს რესპუბლიკის
საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონს გეგეჭკორს
ს.გურჯაანში მცხოვრებლის დეკანოზის
პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ
მოხსენება

მთავრობის ბრძანებით ჩემი შვილი ივანე კარბელაშვილი წარგზავნილ - იქმნა ზაქათალის ოლქში განსაკუთრებულის სახელმწიფო რომელიმე საქმის მოსაგვარებლათ 8 მარტს. იქიდან ბაქოსკენ გამობრუნდა 15 მარტს. ერთი კვირის შემდეგ ისევ გაემართა ზაქათალაში 26 მარტს, მაგრამ ლაგოდეხში დარჩა ორ კვირას და ზაქათალაში მხოლოდ 12 აპრილს ჩავიდა ორის დღით და 14 აპრილს თბილისისკენ გამობრუნდა და 16 აპრილს სალამოზედ მოვიდა წნორის წყალზედ. აქ ვინმე ოფიცერი სპანდიაროვი დახვდა და მან მიიწვია ახალ თევზზედ - „პური ვსჭამოთ“. პურის ჭამის დროს ადგილობრივმა გვარდიელმა გიგლა ბერიაშვილმა მაუზერის რევოლვერით მოჰკლა ჩემი შვილი ვანო. იმ დამით მკვლელი გიგლა ბერიაშვილი იქვე ქეიფობდა, მაგრამ არავინ აღმოჩნდა მისი დამჭერი, არცარავინ ამ საქმის გამომძიებელი. მას აქეთ თავისუფლათ დაიარებოდა და სამშაბათს, 27 აპრილს თბილისში ჩამოვიდა და დღეს დავთლულის გვარდიის შტაბში სცხოვრობს.

მე შშობელი მამა გახლავართ, ბატონო მინისტრო, და მწყურთან ვავიგო - ასე უსამართლოდ რისთვის მომიკლეს, რას მემართლებოდნენ? მე ტრფიალებით მოველოდი მხიარულ შვილსა საადდგომით და 18 აპრილს საკაცეთი მომაცენეს გურჯაანში, ტყვიით განგმერილი, სახლკარი თავზე დამანგრის.

ცრემლით ვითხოვ ესე მოულოდნელი მკვლევლობა გამოიძიოთ, რაშია საქმე? და მაცნობოთ.

დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი.

1920 წელს, აპრილის 30. [სცია;ფონ:1461;არ:1;საქ:476;გვ:1]

ბუნებრივია აღნიშნული საკითხი ბევრ კითხვას ბადებს, მათ შორის იმას, იყო თუ არა ეს საგანგებო დავალება 1920 წლის 16 აპრილს ივანეს მკვლევლობასთან რაიმე კავშირში, პასუხები კი შემდეგმა კვლევებმა უნდა გასცეს.

TAMAR GHURTSKAIA

Iakob Gogebashvili Telavi State University

**FORMER AGENTS OF TBILISI OKHRANI BRANCH
OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA**

Based on the archival materials, the secret police (police) agents of the “old regime” were found in the service of the Democratic Republic of Georgia. Among them were agents of Tbilisi “Okhrank”: “Sluchachin” - Dimitri Sopromi Jashi and Ivan Polabevsky Karbelashvili - “Dvarinin”. Considering that Ivane Karbelashvili was one of the main agents of the Odessa “Okhrank” branch in 1909-1910 in Tbilisi and in 1911-1913 in the Socialist-Federalist Party, it is more interesting to study and assess his activities during the First Republic of Georgia. Archaeological evidence confirms that the Menshevik authorities had information about Ivane Karbelashvili’s aggressive activities and he was detained for several months. In March 1920, however, the Ministry of Foreign Affairs of the First Republic of Georgia sent him to complete a special order to on behalf of determining the border of Azerbaijan On April 16, 2009. The same year a local Guardian killed him in an officer’s house in Tsnori village. At Polyev’s Karbelashvili Foundation there was found his son’s, Ivan’s documents showing the activities of this period and also personal letters that fill the information loss. Their conclusions and analyzes can be very important conclusions.

კახაბერ ქაბუღაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იგორ კეკელია

ერთი საკითხი გრიგოლ გველესიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნააზრევინი

თვალსაზრისით პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი** (1870-1926 წწ.) მთელი სიცოცხლის მანძილზე მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. თავისი მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილებით, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობით, იგი მაშინდელი ცხოვრების პირუთვნელ მემკვიდრედ წარმოგვიდგება.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის მიერ ახალი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) – შექმნას გრ. გველესიანი გაზეთ „ხალხის მეგობარში“ ვრცელი წერილით „**ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა**“ გამოეხმაურა [იხ. გამ. „ხალხის მეგობარი“, N153, N154, N156, 1918].

გრ. გველესიანი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის ნორჩი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მტრად სოციალ-დემოკრატიას ვერ მივიჩნევდით, მაგრამ თვით პარტიის პოლიტიკურ ტაქტიკას ქვეყანა დალუპვის კარამდე მიჰყავდა. ასეთი ტაქტიკის მატარებელი ქართული სოციალ-დემოკრატია ვერ გახდებოდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დაცვის გარანტი, რადგან იგი რუსეთის ცენტრალურ წეს-წყობილებას მიიჩნევდა ყველაზე საუკეთესო და ერთადერთ გზად დემოკრატიის გაერთიანების, მისი ინტერესების დაცვისათვის. პუბლიცისტის თქმით, მარქსისტების ერთი ჯგუფის შეხედულებით, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება „აუცილებლობის იძულებამ“ განაპირობა და ფიქრობდა, რომ იძულების ზეგავლენით მოპოვებული დამოუკიდებლობა „არც ისე დიდ უბედურებას“ წარმოადგენდა.

გრ. გველესიანი აკრიტიკებდა ყველა იმ ადამიანს, ვისაც რუსეთის გარეშე პოლიტიკური არსებობა შეუძლებლად მიანდა. მისი აზრით, ასეთ ხალხს მონობის შხამი ისე გასჯდომია ძვალ-რბილში, რომ მათთვის ყოველივე ახალი უცხო და მიუღებელი იყო. ავტორის თქმით, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კვლავ დღის წესრიგში რომ დამდგარიყო, ქართველი სოციალ-დემოკრატები, პირს კვლავ რუსეთისკენ იბრუნებდნენ, რადგან პუბლიცისტის განმარტებით, ქართველი სოციალ-დემოკრატები დღიდან თავისი გაჩენისა ებრძოდნენ დამოუკიდებლობას, ამიტომ მათ ვერ დავისახავდით ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მტკიცე და ერთგულ დამცველად. გრ. გველესიანის შეხედულებით, ქვეყნის დამოუკიდებლობა არც იძულებითი პროცესია და, მით უფრო, არც უბედურება. მისთვის მიუღებელია სოციალ-დემოკრატთა პოზიცია, რომ თუ აუცილებლობა არა, დამოუკიდებლობა ჩვენ გვაწყენდა. დამოუკიდებლობას თავისთავად დიდი ღირებულება აქვს, ვინაიდან ეს იგივე თავისუფლებაა; თავისუფლება კი დემოკრატიის, მთელი ერის განვითარების საუკეთესო პირობა და საწინდარია. დამოუკიდებლობა შეუძლებელია ფედერაციის შემადგერხებელი იყოს. მართალია, დღეს ცალკე ვართ, მაგრამ ეს ხელის შემშლელი სულაც არ იყო, რომ ხვალ რუსეთს და მთელ მსოფლიოს შევეკრათ თავისუფალი კავშირით. ეს დროისა და გარემოების საქმეა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა რუსეთის დიდი რევოლუციის შედეგია. ამ გზით მოპოვებულ თავისუფლებას, როგორც ნორჩ მცენარეს, მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეს საქმე კი, შენიშნავს გრ. გველესიანი, ისეთ საიმედო ხელში უნდა იყოს, „რომელშიც მერყეობის ფსიხიკას არ დაუსადგურებია ამ საკითხის მიმართ,

რომელსაც უნარი შესწევს მედგრად შეებრძოლოს ყოველ შინაურს თუ გარეშე მტერს ამ დამოუკიდებლობისას. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მედგარი მებრძოლი ის ვერ იქნება, ვისაც რუსეთის ორიენტაცია თავის ურყევ მრწამსათ გარდუქცევია, ვინაიდან ყოველი სხვა ორიენტაცია, გარდა საკუთარი თავის ორიენტაციისა, დამოუკიდებლობის მომპობია“ [იხ. გაბ. „ხალხის მეგობარი“, N153, 1918:1-2].

ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უდიდეს მტრად პუბლიცისტი რუსულ ნაციონალიზმს მიიჩნევდა, რომელიც ვერ ეგუებოდა სხვა ერების მიერ დაწყებულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. არსებითად ველიკორუსული ნაციონალიზმი ვერ ურიგდებოდა დაჩაგრულ ერთა ეროვნულ მეობას და მათ ტერიტორიას თავისი „საკულტურო მისიის“ სათარეშოდ თვლიდა [გაბ. „ხალხის მეგობარი“, N156, 1918:1-2].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბევრია ისეთი, ვინც რუსეთზე ლოცულობს და რუსეთის გარეშე ხსნას ვერსად პოულ-ობს. ისეთ კონსერვატორს, რომელსაც შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ლხინს, რომ ჰკითხოთ, თუ რატომ არ მოსწონს დამოუკიდებელი სახელმწიფო ცხოვრება, მისთვის გიპასუხებთ _ ჩვენ მათრახის გარეშე, უმფარველოდ ცხოვრება არ შეგვიძლია, რადგან რუსეთმა მოგვცა მყუდრო ცხოვრებაო. დიახ, რუსეთმა მისცა მას მყუდრო ცხოვრება, მაგრამ მანვე მოჰკლა მასში ადამიანი და ამას ვეღარ გრძნობს მონურ ცხოვრებაში ხანგრძლივად მყოფი მონა. თავისუფლების ინსტინქტი, გრ. გველესიანის შეხედულებით, ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ თუკი ამ ინსტინქტს ვარჯიში აკლია, ის თანდათან სუსტდება და ჩლუნგდება. ქართველ ერსაც ასე დაემართა. რუსეთის დესპოტური რეჟიმი მასში სისტემატურად კლავდა თავისუფლების ინსტინქტს.

გრიგოლ გველესიანი სამართლიან გულისწყრომას გამოხატავს თანამედროვე ქართველის მიმართ და წერდა: „ჩვენ, ცოტა არ იყოს, უცნაურობის წინაშე ვდგევართ: ქართველი კაცი, რომელიც ომის შორეულ ასპარეზზე დიდს სიმამაცეს იჩენდა, დღეს იგი - სულით დაძაბუნებული, თითქოს გარეშე პასიური მაცურებელია სამშობლოს უბედურებისა“ [გაბ. „ხალხის მეგობარი“, N154, 1918:2-3].

მისი აზრით, საკუთარი ერის მიმართ ასეთი განწყობით ყოფილა გამსჭვალული ქართველ სოციალ-დემოკრატთა სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრება, რომლებიც სამშობლოს აღმაცერად უცქერენ. მათ ანტიქართული პროპაგანდით შეძლეს, რომ დღეს ქართველებს მამულიშვილური ინსტინქტები მოუღუნეს. პუბლიცისტის განმარტებით, ქვეყნის სიყვარული იმდენად განელეხულა, რომ წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობად აღარავინ მიიჩნევდა, ერის დაცვას იმ ცეცხლისგან, რომელიც თითქოს ლამობდა მის ერთიანად განადგურებას.

გრ. გველესიანი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიაში უარყო რუსული ორიენტაცია, ცეცხლით და მახვილით გაბატონებული იქაური ბოლშევიკური მთავრობა და თვითგამორკვევის გზას დაადგა. ეს საკმარისი იყო ბოლშევიკებისა თუ მობოლშევიკო ჯგუფისთვის, რომ განგაში აეტეხათ. სახალხო კომისართა საბჭომ პროტესტით მიმართა ამიერკავკასიის სეიმს — როგორ გაბედეთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უკუგდება, დამოუკიდებლობის გამოცხადება და საზავო მოლაპარაკების ცალკე დაწყება¹. ბოლშევიკები იმუქრებიან და მუქარა სისრულეში მოჰყავთ კიდევ, ორ განაპირა ქალაქს — ბა-

¹ ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის საზავო ხელშეკრულებაში აისახა რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მიმართ I მსოფლიო ომისა (1914-1918) და ომის შემდგომ პერიოდში. I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (1914) სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დიდი პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია. ამ დროისთვის რუსეთი ანტანტის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის, ხოლო ოსმალეთი სამთა კავშირის წევრი იყო. სამხრეთი კავკასია და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ფრონტისპირა რეგიონს წარმოადგენდა. ოსმალეთის არმია შეეცადა თბილისისა და ბათუმის დაკავებას, მაგრამ რუსეთის არმიის წინააღმდეგობის გამო აღნიშნული ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. შესაძლებელი გახდა საკუთრივ ოსმალეთის ტერიტორიის ნაწილის, კერძოდ, აღმოსავლეთ ანატოლიის დაკავება (მსჯელობისთვის იხ. საქართველოს ისტორია, 2003:43). რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანას დროებითი მთავრობა მართავდა, რომელმაც მარტ-ოქტომბერში შექმნილი სამხრეთ კავკასიაში თავისი იურისდიქციის შენარჩუნება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა დროებითი მთავრობა დაამხეს (1917 წლის 24-25 ოქტომბერი), ხელისუფლების სათავეში მოსული საბჭოთა რუსეთის მთავრობა უუნარო აღმოჩნდა და ვეღარ შეძლო ამიერკავკასიაში იურისდიქციის შენარჩუნება. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს. ასე შეიქმნა 1917 წლის 15 ნოემბერს სამხარეო ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომლის თავმჯდომარეც ევგენი გეგეჭკორი იყო (იხ. *Документы и материалы...*, 1919: 7-8; ვ. გურული, 2013: 6-7). საბჭოთა რუსეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი და ბულგარეთი) სეპარატული ზავის დადებას განაპირობებდა ის, რომ საბჭოთა რუსეთი, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იყო, ომის გაგრძელება აღარ შეეძლო და ვ. ლენინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა.

ქოს და სოხუმს უკვე მოადგნენ და ცდილობენ მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას და ბოლშევიკური მთავრობის ხელი-სუფლებამო მოყვანას. „ამას ეძახიან ისინი თვითგამორკვევას — ჯერ, გინდა-არ გინდა, მე მიცანით და შემდეგ გეძლევათ ნება თვითგამორკვევისაო...“ [იხ. გაზ. „ხალხის მეგობარი“, N156, 1918:2].

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა, მართალია, შეძლეს საბჭოთა რუსეთისგან ჩამოცილება, თუმცა ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შექმნილა და საერთაშორისო ასპარეზზე ამიერკავკასია (სამხრეთ კავკასია) კვლავ რუსეთის ტერიტორიად განიხილებოდა [გურული, 2013:7].

პუბლიცისტი გულისტკვილს გამოხატავს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის შემოსევას დიდი სიხარულით ეგებებიან დამოუკიდებლობის მტრები. ავტორს არც სომხეთში გამოცხადებული დამოუკიდებლობა ავიწყდება და დასძენს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებით სომხობაშიც დიდი მერყეობას ქონდა ადგილი. მას, როგორც ოსმალეთის საუკუნოვან მტერს, არა სწამს ამ უკანასკნელის მიერ ნაკარნახევი დამოუკიდებლობისა, თუმცა აქვე შენიშნავს — დამოუკიდებლობის გამოცხადება უოსმალეთოდაც მოხდებოდა, თუკი სომეხი საზოგადო მოღვაწენი სომხეთის საკითხის გადაწყვეტას საერთაშორისო მფარველობას ანდობდნენ. უკანასკნელ პერიოდში რუსეთისა და ოსმალეთის სომხებმა რუსეთისკენ დაიწყეს ცქერა, რადგან ხსნას მისგან მოელოდნენ. ავტორის აზრით, რუსეთის მიმართ ასეთი განწყობა ტრადიციულად დღესაც გრძელდება, იმის მიუხედავად, რომ დიდი რუსეთი, როგორც საფრთხე ოსმალეთისა, უკვე აღარსად არის. „მათ ავიწყდებათ, რომ პოლიტიკურად და ეკონომიურად ერთიანად დამხობილ-დაჩეწილი რუსეთი თვით საჭიროებს შველას და არავისათვის საშიშროებას ვეღარ წარმოადგენს. მათ ავიწყდებათ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, განმტკიცებული და გამაგრებული სხვადასხვა გარანტიებით, თავისთავად დიდი ღირებულებაა და უკეთესი პირობაა ერის კეთილდღეობისა“ [გაზ. „ხალხის მეგობარი“, N156, 1918:2]. გარეშე მფარველს ყოველთვის სჯობს შინაური ზავი და სოლიდარობა მეზობლებთან. გრ. გველესიანი შეუწყნარებლად მიიჩნევს ოსმალებსა და სომხებს შორის ჩამოვარდნილ სიძულვილს და საკითხისადმი ასეთ დამოკიდებულებას შემდეგნაირად ხსნის: „ერთი საქმეა ბრძოლა დესპოტიურ მთავრობასთან და მეორე საქმეა ხალხი, რომელმაც არ შეიძლება ესთქვათ — ეს ცუდია, ის კი კარგია“ [იქვე].

რაც შეეხება ამიერკავკასიის მუსლიმებს, იგი დღესდღეობით დამოუკიდებლობას იცავს იმდენად, რამდენადაც ეს მის ერთმორწმუნე ოსმალეთს მოუხდება და რომლისადმი ერთგულებაც მან უკვე საკმაოდ დაამტკიცა. დამოუკიდებლობის უპირატესობას მას უკარნახებს მისი პირდაპირი ეკონომიკური ინტერესები, რომელნიც განვითარების შესაფერ პირობებს მოკლებულნი იქნებოდნენ ოსმალეთში, როგორც კულტურულად და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში. ავტორის თქმით, ძველი რეჟიმის დროს, რუსეთი მუსლიმებისათვის დედინაცვალი იყო და თითქმის ასეთად დარჩა დღემდე, ვინაიდან შესამჩნევი ცვლილებები მათ ცხოვრებაში ამ უკანასკნელმა ვერ შეიტანა. რუსულმა ბოლშევიკურმა ტალღამ კავკასიის მუსლიმები ისეთ დღეში ჩააგდო, რომ კიდევ დიდი ხანია საჭირო, რათა რუსეთზე გული ოდნავ მაინც მოუბრუნდეს.

გრ. გველესიანი ყურადღებას ამახვილებდა და საფუძვლიანად მსჯელობდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიებზე და ასეთად მიიჩნევდა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, ანუ კოლექტიურ გარანტიას სახელმწიფოთა მუდმივი ხელშეუხებლობის შესახებ და სახელმწიფოთა რომელიმე კავშირში შესვლას. პუბლიცისტი ერთსაც და მეორესაც შესაძლებლად მიიჩნევს. ყოველი ზომა უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ ბათუმის საზავო კონფერენციაზე ან მომავალ კონგრესზე გაფორმდეს ნეიტრალიზაცია ამიერკავკასიისა და თუკი ეს არ მოხერხდა, მაშინ ჩვენი შესვლა რომელიმე კოალიციაში აუცილებელია. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით გრ. გველესიანს აუცილებლობად მიიჩნევდა მთელი ენერგია და ფიქრი მუდმივი ჯარის შექმნისკენ მიემართა [გაზ. „ხალხის მეგობარი“, N158, 1918: 2-3; გურული, 2013:10]².

² 1918 წლის 4 ივლისს ბათუმში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ ნოე რამიშვილი, გიორგი გვაზავა, ილია ოდიშელიძე და გრიგოლ რცხილაძე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომამდე არსებული საზღვრის, ანუ იმ საზღვრის აღდგენას, რომელიც დადგინდა ადრიანოპოლის 1829 წლის ზავით და დადასტურდა პარიზის 1856 წლის ზავით. სან-სტეფანოს 1878 წლის საზავო ხელშეკრულებით და ბერლინის 1878 წლის ტრაქტატით დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით გადმოწევის შემდეგ ოსმალეთს დარჩა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი.

ავტორი ამიერკავკასიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებასა და შენარჩუნებაში ხედავდა ფედერაციის გზით პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას. მისი განმარტებით, სრული დამოუკიდებლობა და ავტონომია ერთნაირი ღირებულება იყო. იგი აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიულ ცენტრალისტებს, რომლებიც აცხადებდნენ: უკიდურესობამ გვავიძულა, თორემ დამოუკიდებლობას როგორ გამოვაცხადებდით, თითქოს დამოუკიდებლობა ისეთი მავნე და საშინელი რამ ყოფილიყო, რომელსაც ყოველი ჭკუათმყოფელი უნდა ერიდებოდეს. გრ. გველესიანის აზრით, ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვება იმიტომ უხარია, რომ ამ გზით და ასეთ პირობებში ადვილია საკუთარი პოლიტიკური იდეალების განხორციელება. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის სიმტკიცეს, ავტორის შეხედულებით, იქ მოხინაძრე ერთა კრიტიკულ სიტუაციაში საჭირო ერთსულოვნება, სოლიდარობა, შეგნებულად ერთად მოქმედება და ერთად ყოფნა განაპირობებდა. საჭიროა „სასტიკი ბრძოლა ყოველივე ისეთ მოვლენასთან, რაიც შეთანხმებით მოქმედებას შეუძლებელ ჰყოფს. ესეც ერთი საწინდარია ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს სიმკვიდრისა!“ [გაზ. „ხალხის მეგობარი“, N158, 1918: 2-3].

გრიგოლ გველესიანს სამწუხაროდ მიჩნდა ის ფაქტი, ამიერკავკასიის მოსახლეობა მოკლებული იყო, ერთსულოვნებას, აზრისა და მოქმედების მთლიანობას, რაც ხელს უშლიდა ახალი პოლიტიკური რეჟიმის განმტკიცებას. ერთა შორის შუღლისა და განხეთქილების გაღვივებას, განსაკუთრებით თვითმპყრობელობითი რეჟიმის ქვეყნებში, ბევრი რამ უწყობდა და ხელს. ავტორის თქმით, დემოკრატიული წეს-წყობილების პირობებში ხელისუფლების მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო ისეთი პოლიტიკის გატარება, რაც გამოიწვევდა ერთა შორის გამთიშველ ძალთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლას მათ სრულ დამარცხებამდე.

ასეთია გრიგოლ გველესიანის ვრცელი წერილის ძირითადი არსი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სადარაჯოზე მყოფი პუბლიცისტი მამულიშვილური პოზიციებიდან აფასებდა საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხებს და ცდილობდა, რომ სამშობლოს აღორძინების საქმეში თავისი წვლილი შეეტანა [გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N64, 1991:3-4].

სამწუხაროდ, ამ ღრმად მოაზროვნე პუბლიცისტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მცირე ზომის გამოკვლევას და საგანგებო სტატიას [იხ. გაზ. „ქუთაისი“, N74, 1962:3; N217, 1970:3-4; ზარნაძე, 1998:46-54]. ცალკე კრებულად უნდა გამოიცეს გრიგოლ გველესიანის საგანგებო სტატიები და ხელნაწერები. ქართველი მკითხველი ელის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ობიექტურად შემფასებელ მკვლევარს.

დამონახული ღიშაკაჯუკა:

1. გველესიანი გრიგოლი, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, გაზ. „ხალხის მეგობარი“, №153, 3 მაისი; №154; 5 მაისი, №156, 10 მაისი, 1918.
2. გურეშიძე გივი, ხალხის გულშემატკივარი მოღვაწე, გაზ. „ქუთაისი“, N217, 3 ნოემბერი, 1970.
3. გურული ვახტანგი, 2013, საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921), თბილისი.
4. ზარნაძე მზია, 1998, გრიგოლ გველესიანი – პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრ. IX-X, ქუთაისი.
5. მებუჯე გიორგი, 1962, რევოლუციამდელი ქუთაისის საზოგადო მოღვაწეები, გაზ. „ქუთაისი“, N74, 14 აპრილი.
6. საქართველოს ისტორია, 2003, XX საუკუნე, პროფ. ვ. გურულის რედაქციით, თბილისი.
7. ძირკველაშვილი ლია, 1991, ჩუმთა გუშაგთა უჩინარი ღვაწლი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N64, 2 აპრილი.
8. *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, 1919, Тифлис.*

KAKHABER KEBULADZE

Akaki Tsereteli State University

IGOR KEKELIA**ONE QUESTION FROM THE HISTORY OF TRANSCAUCASIAN
FEDERATION IN GRIGOL GVELESIANI'S POLITICAL THINKING****RESUME**

Among the most renowned Georgians of the first decades of the 20th century, Grigol Gvelesiani's (1870-1926) role as a publicist is remarkable. He was an individual who always cared for the Georgian literature. He was in the center of Georgian intellectual and political circles.

Dedication to the society was the main motive of the activities of a distinguished public figure and publicist Grigol Gvelesiani. Among his multitude of articles he published exactly a century ago (1918) in the newspaper the "Khalkhis Megobari (People's Friend)" attracts our attention in terms of his views about the issues of Transcaucasian Federation. The work presents the analysis of Grigol Gvelesiani's political thinking based on the article.

Grigol Gvelesiani spent most of his life in the city of Kutaisi, from where he closely followed Georgian intellectual life. He dedicated numerous outstanding works to various actual problems that the society faced. He was particularly passionate about national problems. This question along with the issues of the Georgian political life is discussed in this following work.

Gvelesiani as one of the leaders of the Socialist-Federalist Party, actively supported national-territorial autonomy of Georgia and specifically, establishment of Transcaucasia Federation. Later on, he was one of the supporters of the 1918 Georgian Declaration of Independence. Grigol Gvelesiani's letter titled "Independence of Transcaucasian Federation," which was published exactly 100 years ago on local newspaper "People's Friend" is the most vivid manifestation of Gvelesiani's national spirit.

ღელა საკალიძე

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ანგორის მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ელჩის – სვიმონ მდივნის – მოღვაწეობის ისტორიიდან

სვიმონ მდივანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი სომხეთსა და ოსმალეთში (ანგორის მთავრობასთან). იგი 1876 წლის 20 ოქტომბერს ხონში მოსამსახურის ოჯახში დაიბადა [ფ. 2118, აღწ.1, საქმე1:2]. პირველდაწყებითი განათლების შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. უმაღლესი განათლების მისაღებად ს. მდივანი ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა. მან პოლიტიკური მოღვაწეობა ჯერ კიდევ გიმნაზიაში დაიწყო და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სტუდენტთა არალეგალური ჯგუფის წევრი გახდა. ოდესიდან სამშობლოში დაბრუნებული ს. მდივანი 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება და თავისი პარტიის პოლიტიკურ წინამძღოლთა რიგებში ჩადგა. იგი მონაწილეობდა ისეთ სახიფათო საქმეში, როგორც იყო უცხოეთიდან ფარულად იარაღის შემოტანა და მებრძოლთა რაზმების შექმნა. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ს. მდივანი დასახლდა ბათუმში, სადაც აირჩიეს „ნდობის საზოგადოების“ ქართული ბანკის დირექტორად. იგი რედაქტორობდა ადგილობრივ ყოველდღიურ გაზეთს, იყო ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის დეპუტატი, მონაწილეობდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის ლეგალურ და არალეგალურ მუშაობაში, როგორც პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და ბათუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე [შარაძე, 1993:32]. 1917 წლის რევოლუციამ კვლავ შეცვალა ს. მდივნის ცხოვრება. მან ბათუმში სამსახურს თავი დაანება და თბილისში დაბრუნდა. 1917 წლის ნოემბერში ს. მდივანი „ეროვნული საბჭოს“ წევრად აირჩიეს [დაუშვილი... 2012:137]. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სოციალ-ფედერალისტური პარტიის სხვა გავლენიან წარმომადგენლებთან ერთად იგი მხარში ამოუდგა ახლად შექმნილ კოალიციურ ეროვნულ მთავრობას. 1918 წელს ს. მდივანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრად აირჩიეს. 1919 წლის 12 მარტს პირველად შეიკრიბა ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი ორგანო – დამფუძნებელი კრება (პარლამენტი) და იგი სოციალისტ-ფედერალისტების კვოტით დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის – ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის – მოადგილედ (ვიცე-სპიკერად) აირჩიეს.

1918 წლის 3 ივნისს, ოსმალეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული ცნობის შემდეგ, საქართველოში მყოფი ანგორის¹ მთავრობის წარმომადგენლობის ოსმალეთის საელჩოდ გადაკეთების საკითხი დაისვა. ს. მდივანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური თანამშრომელი იყო. თავდაპირველად მთავრობამ იგი დაშნაკური სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან პირველ ელ-

¹ ანგორა - თურქეთის დედაქალაქ ანკარის ისტორიული სახელწოდება. 1920 წლის 23 აპრილს ანგორაში დიდი ნაციონალური კრება შედგა, სადაც მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით ეროვნული მთავრობა შეიქმნა. 1923 წლის 13 ოქტომბერს, ანკარა ოფიციალურად თურქეთის დედაქალაქი გახდა.

ჩად დაინიშნა. იმ დროისთვის ს. მდივანი უკვე ცნობილი პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო. სვიმონ მდივანი ანგორაში საბჭოთა რუსეთის ელჩის – ბუდუ მდივანის² – ძმა იყო. ბედის ირონიით, ოსმალეთში ერთდროულად ორი ძმა: ერთი სოციალისტ-ფედერალისტი სვიმონ მდივანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სრულუფლებიან ელჩად იყო წარგზავნილი, ხოლო მეორე ძმა – ბოლშევიკური პარტიის წევრი – ბუდუ მდივანი იმავე მთავრობის წინაშე რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენდა.

1919 წლის 7 აგვისტოს ერზერუმის ყრილობაზე თურქი ნაციონალისტების ინიციატივით აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს. რეალურად ოსმალეთის მეორე მთავრობა შეიქმნა სულთნის მთავრობის წინააღმდეგ. 1919 წლის 12 სექტემბერს ანტანტის წარმომადგენელთა მოთხოვნით, ანატოლიასა და კონსტანტინოპოლს შორის ურთიერთობა შეწყდა, ხოლო ინგლისის ხელისუფლებამ სულთნის მთავრობას საიდუმლო ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი, რომლის ძალით ოსმალეთს ინგლისის მანდატი უნდა მიეღო. 1920 წლის 16 მარტს ანტანტის ჯარმა კონსტანტინოპოლის ოკუპაცია მოახდინა, რის გამოც ქემალ ფაშამ პროტესტი განაცხადა და 1920 წლის 19 მარტს ანგორაში ეროვნული ყრილობა მოიწვია [Kinross, 1992:56]. 1920 წლის 23 აპრილს „ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა“ ადასტურებს კონსტანტინოპოლის პარლამენტის მიერ გამოცხადებულ „ეროვნულ პაქტს“, აუქმებს ოსმალეთის სულთნის³ აქტებს და მას მხოლოდ ხალიფად ცნობს. 1920 წლის 30 აპრილს ანგორაში ოსმალეთის ახალი სახელმწიფო გამოაცხადეს, ხოლო იმავე წლის 5 მაისს შედგა მთავრობა ქემალ ფაშას მეთაურობით [ნოზაძე, 1989:78].

1920 წლის 13 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ანგორის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქიამი ბეი, რომელიც შემდეგში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსმალეთის ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდა [სვანიძე, 2005:33].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კარგად იცნობდა ბოლშევიკური რუსეთის გეგმებს საქართველოს მიმართ და შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ოსმალეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1921 წლის დამდეგს საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ გადაწყვიტა ოსმალეთში ტახტიდან ჩამოგდებული სულთნის ნაცვლად ხელისუფლების სათავეში მოსულ მუსტაფა ქემალ ფაშას მიერ შექმნილ ანგორის მთავრობასთან ელჩად სვიმონ მდივანი გაეგზავნა. მას ისტორიული დავალება მისცეს: მუსტაფა ქემალის მთავრობისთვის საქართველოსგან ცნობის ფირმანი უნდა მიეტანა. იგი პირველი ელჩი იყო, რომელმაც საქარიის ველებზე ახალ ოსმალეთს თავისუფლება მიულოცა და საქართველოს ხელისუფლებისგან მისი ცნობა აუწყა, რითაც შემდეგში იგი სამართლიანად ამყარდა. ოსმალეთში საქართველოს მაშინდელი მისიის საგანგებო დავალებათა ოფიცერ დიმიტრი შალიკაშვილის ცნობით, ირკვევა, რომ ანგორაში (ანკარა) საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის შემადგენლობაში ყოფილან: ს. მდივანი – ელჩი, გენერალი ალექსანდრე ერისთავი – სამხედრო მრჩეველი, არისტო ჭუმბაძე – საქმეთა მწარმოებელი, მელიტონ (ოსმან-ბეი) ქარცივაძე – ატაშე, ზია-ბეგ აბაშიძე – ატაშე, ამათ გარდა, ორი ოფიცერი დავალებების-

² ბუდუ (პოლიკარე) მდივანი (1877–1937 წწ.) – ქართველი ბოლშევიკი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. სვიმონ მდივანის ძმა. 1920–1921 წლებში ბ. მდივანი საქართველოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე და რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს წევრია. 1921 წლის 19 თებერვლიდან მაისამდე, რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მუსტაფა ქემალის მთავრობაში. სვიმონ მდივანი ოკუპირებული სამშობლოს ინტერესებს იცავდა გენუის 1922 წლის კონფერენციაზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციაში მის გარდა იყვნენ: აკაკი ჩხენკელი (თავმჯდომარე), ირაკლი წერეთელი, გრიგოლ ვეშაპელი და ზურაბ ავალიშვილი, ხოლო მისი ძმა — ბოლშევიკი ბუდუ მდივანი, საბჭოთა რუსეთს წარმოადგენდა. 1921 წლის ივლისიდან 1922 წლის თებერვლამდე, იგი საქართველოს რევკომის თავმჯდომარე და ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარეა, ხოლო 1922 წლის მარტიდან აპრილამდე, საქართველოს სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. მხარს უჭერდა სსრკ-ში საქართველოს სრ-ს პირდაპირ გაწევრიანებას და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. ამ პოზიციის გამო ნაციონალ-უკლონისტი უწოდეს. 1924 წლიდან, საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად დაინიშნა. თბილისში მოღვაწეობის გამო, 1928 წელს უკან გამოიწვიეს, გაათავისუფლეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან, გარიცხეს პარტიიდან და ციმბირში 3 წლით გადაასახლეს. 1931 წელს განაცხადა ოპოზიციური მუშაობის შეწყვეტის შესახებ და მოინანია შეცდომები. 1936 წლამდე საქართველოს სსრ-ს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. 1936 წელს, „ტროცკისტულ-ჯამუშური ცენტრის“ მუშაობაში მონაწილეობის ბრალდებით, ისევ დააპატიმრეს. 1937 წლის 9 ივლისს, საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა. იგი 1937 წლის 10 ივლისს დახვრიტეს.

³ იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის 36-ე ბოლო სულთანი (1918–1922წწ.) მეჰმედ VI (Vahideddin, Mehmet Vahdettin) (1861 – 1926 წწ.). სიცოცხლის ბოლო წლები მან გაატარა ემიგრაციაში იტალიაში, სადაც გარდაიცვალა 1926 წლის 16 მაისს, დაკრძალულია სირიის დედაქალაქ დამასკოში.

თვის, ემუხვარი და ლეიტენანტი დიმიტრი შალიკაშვილი, ასევე ორი ჯარისკაცი შიკრიკად, მათ შორის ერთი გვარად მახიაშვილი.

1921 წლის 27 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია თბილისიდან გაემგზავრა და 31 იანვარს ანგორაში (ანკარა) ჩავიდა. საქართველოს მისიას ანგორაში ჩასვლამდე მთელი მოგზაურობის დროს ახლდა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ სამი ბეი⁴ [შალიკაშვილი, 1972/1973:127-178].

1921 წლის 8 თებერვალს, 15 საათზე, მუსტაფა ქემალთან დაინიშნა ოფიციალური აუდიენცია, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სრული შემადგენლობით დაესწრო. აუდიენცია საათ-ნახევარი გაგრძელდა. სვიმონ მდივანმა მუსტაფა ქემალს რწმუნების სიგელი გადასცა. თავის მხრივ მუსტაფა ქემალმა ქართველ ელჩს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება⁵ მიულოცა და აღნიშნა: „...ჩვენ გვერთიანებს საქართველოსთან არამც თუ სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობა - ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით გვჭირდება ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერი, ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი“ [სვანიძე, 2005:39].

ამრიგად, 1921 წლის 8 თებერვალს ანგორის მთავრობამ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა - დე იურე - და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

სვიმონ მდივნის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისთვის გაგზავნილი ანგარიშები საქართველოს უახლესი ისტორიის კვლევისთვის საინტერესო დოკუმენტებია. საარქივო მასალებიდან ნათლად ჩანს ს. მდივნის პოლიტიკურ-დიპლომატიური გამჭრიახობა და მოქნილობა ქემალისტური ხელისუფლების მესვეურებთან ურთიერთობისას. ოსმალეთის ახალ მეთაურ მუსტაფა ქემალ ფაშასთან მოლაპარაკებების დროს იგი საქართველოს ინტერესებს აქტიურად იცავდა.

ოფიციალური ბლანკიდან ვიგებთ, რომ სვიმონ მდივანი ანგორაში ოსმალეთის ნაციონალური დიდი კრების მთავრობის წინაშე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო. საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ ანგარიშში იგი წერს: „8 თებერვალს (1921 წ.) მოხდა ჩემი ქემალ ფაშასთან პირველი შეხვედრა, როდესაც ჩავაბარე ჩემი მანდატი. ოფიციალური სიტყვების შემდეგ გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დროსაც საქართველოსა და ოსმალეთის სასურველი ურთიერთობის გარდა, შევხვებთ იმ საერთო საკითხებს, რომლებიც თანაბრად უნდა აინტერესებდეს ორივე მხარეს, მაგ. კავკასიის საკითხი. ამ საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ქემალი სათანადო გულისყურით ეპყრობოდა როგორც ჩვენი ურთიერთობის საკითხს, ისე კავკასიისას და ჩვენ მიერ დასახულ მიზნისაგან მისი შეხედულება დიდად არ განსხვავდებოდა“ [არქივი, ფ. 2118, აღწ.1, საქმე ნ:8].

ანგორის მთავრობა საქართველოსთან ურთიერთობის საკითხს უშუალოდ საბჭოთა რუსეთის მესვეურებთან ათანხმებდა, რაც კარგად ჩანს ახმედ მუხთარ ბეის რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ გიორგი ჩიჩერინისთვის 1921

⁴ **ბექირ სამი ბეი** - იგივე ბექირ სამი კუნდუხი (Bekir Sami Kunduh) (1864-1932 წწ.), ოსური წარმოშობის თურქი პოლიტიკური და სამოგალო მოღვაწე, ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების წევრი და მუსტაფა ქემალის მთავრობაში საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი 1920 წლის 3 მაისიდან 1921 წლის 8 მაისამდე. დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთში მეფის ოფიცრის, ეროვნებით ოსი გენერალ-მაიორ მუსა კუნდუხოვის ოჯახში. რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როგორც მუჰაჯირი, ის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. ბექირ სამი ბეიმ - გალათასარაის ლიცეუმში, ხოლო შემდეგ პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა დაამთავრა. ოსმალთა იმპერიის პერიოდში იგი სირიის გუბერნატორი იყო. თავიდანვე მიემხრო ქემალისტურ მოძრაობას. იყო სივამის კონგრესის (ქემალ ფაშამ 1919 წლის 21 ივნისს მოიწვია) მონაწილე, ემხრობოდა ამერიკის მანდატის მიღებას. 1920 წელს ანგორის (ანკარა) მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ხელმძღვანელობდა ქემალისტთა მიერ მოსკოვში გაგზავნილ პირველ დელეგაციას. ოსმალეთ-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულების საფუძველზე მუსტაფა ქემალის ანგორის მთავრობას ლენინის მთავრობამ მნიშვნელოვანი ფინანსური, სამხედრო და ტექნიკური დახმარება გუწია. 1921 წელს იგი ხელმძღვანელობდა ანგორის სამთავრობო დელეგაციას ლონდონში, საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ლოიდ ჯორჯთან სევრის ხელშეკრულების (1920 წლის 10 აგვისტოს დაიდო ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტის ქვეყნებს შორის პირველი მსოფლიო ომის შედეგების გასაფორმებლად) პირობების შესამსუბუქებლად. 1921 წლის 9 და 11 მარტს მან ხელი მოაწერა საფრანგეთსა და იტალიასთან დადებულ ხელშეკრულებებს. 1922 წლიდან იგი მუსტაფა ქემალის ოპოზიციაშია. 1924-1925 წლებში ოპოზიციური „პროგრესულ-რესპუბლიკური პარტიის“ წევრი იყო. მუსტაფა ქემალის მხრიდან ოპოზიციის წინააღმდეგ გატარებული რეპრესიების შემდეგ პოლიტიკურ მოღვაწეობას თავს ანებებს. ბექირ სამი ბეი 1932 წელს გარდაიცვალა.

⁵ **1921 წლის 26 იანვარს** მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობა ცნო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე იურედ წამყვანმა სახელმწიფოებმა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, იაპონია) აღიარეს.

წლის 15 დეკემბერს გაგზავნილ წერილში: „ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა, როგორც მოგესხენებათ, თავის თავს სთვლის საბჭოთა რუსეთის ბუნებრივ მოკავშირედ, იმდენად რამდენადაც ერთად ვებრძვით საერთო მტერს და ვიცავთ ხალხთა განთავისუფლების პრინციპებს დასავლეთ იმპერიალისტების ოპოზიციისაგან. ამ მიზნით ჩამოავდო რა კავშირი რუსეთთან, ოსმალეთმა დანიშნა თავისი რწმუნებულები რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობისა და საზოგადოდ, აღმოსავლეთის შესახებ საკითხების მოსაწესრიგებლად. ამ მოლაპარაკების დაწყებისას, ჩვენ მივიღეთ საქართველოს ნოტა, რომელიც წინადადებას გვაძლევდა დაგვეწყო სამშვიდობო მოლაპარაკება. ამ საკითხის შესახებ ჩვენ შევეკითხეთ საბჭოთა რუსეთის მთავრობას, რათა მისი აზრით გვცოდნოდა საქართველოსთან მოლაპარაკების გამართვის დროს. 1920 წლის 22 ნოემბრიდან, იმ დღიდან, როცა ჩვენ გადავეცით ნოტა ამხანაგ მდივანს⁶, დღევანდლამდე მოსკოვიდან არავითარი პასუხი არ მიგვიღია და თბილისის მთავრობაც უცდის ჩვენს პასუხს თავის წინადადებაზე. ამის გარდა, ყარაბაქის მეთხვეთი ჩვენ ვაცნობეთ ამხანაგ მდივანს ჩვენი დამოკიდებულება კონსტანტინოპოლის იმ სამშვიდობო წინადადებათა შესახებ, რომელიც გვეძლეოდა ჩვენ ინგლისელების ნებართვით. ყველა ეს ფაქტი ნათლად მოწმობს იმ გულწრფელობას, რომლითაც ჩვენს მთავრობას სურს დაუახლოვდეს რუსეთს, რათა ჩვენი მჭიდრო ურთიერთობით დაემსოს მსოფლიო იმპერიალიზმი, რაც მოსპობს თანამედროვე კაპიტალისტურ რეჟიმს... ჩვენ მეგობრულად შევეკითხეთ რუსეთს საქართველოს შესახებ და აქამდე პასუხი არ მიგვიღია. მეორეს მხრივ, ჩვენ გვესმის, რომ შესაძლებელია ომი მოხდეს წითლებსა და ქართველებს შორის, თუ ეს ხმები მართალია, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რა განზრახვა აქვს თქვენს მთავრობას. კონსტანტინოპოლის მთავრობის შემწეობით ინგლისი გვეთამაშება, გვაძლევს ათასგვარ წინადადებას და დიდ თანხებს გვპირდება. ჩვენ არავითარ პასუხს არ ვაძლევთ, ვასრულებთ რა ჩვენს სიტყვას თქვენდამი და გვინდა რა დავიცვათ მტკიცედ ჩვენი თქვენდამი ურთიერთობა იმ დროს, როდესაც მთელი დასავლეთი ევროპის პრესა და ჩვენი იქაური აგენტები ხმამაღლა ღაღადებენ იმ შეთანხმებაზე რუსეთსა და ინგლისს შორის⁷, რომლის შესახებაც თქვითა პალატაში კამათიც კი იყო. გვსურს რა დამშვიდება ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც შეშფოთებულია ამ ხმებით, ჩვენ დიდი მადლობელი ვიქნებოდით, თუ კი გავაცნობთ და შეგვატყობინებთ ამ შეთანხმების შინაარსსა და მნიშვნელობას..“ [მუხტარი, 1921:1].

დოკუმენტური წყაროებიდან ირკვევა, რომ აშშ-მ მუშტარ ფაშას და სვიმონ მდივანს შორის შედგა წინასწარი საუბრები ანგორის და საქართველოს მთავრობებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, რომელთა პირობებიც აშშ-მ მუშტარ ფაშამ თავდაპირველად ზეპირი ნოტის სახით წამოაყენა. ქართველმა ელჩმა, მიუხედავად მიცემული ვადისა, პასუხი დააგვიანა. როგორც ჩანს, ქვეყნის მთავრობისგან ელოდებოდა რაიმე სახის მითითებებს. პასუხის დაგვიანების გამო ს. მდივანს იგივე პირობები, მიღებული დიდი ეროვნული კრების 1921 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, უკვე ოფიციალური ნოტის სახით გადაეცა. ნოტის დასკვნით ნაწილში აშშ-მ მუშტარ ფაშა ქართულ მხარეს სთავაზობს გაგებით მოეციდოს თურქული მხარის წინადადებას და 23 თებერვლის საღამოს საათებამდე გასცეს დადებითი პასუხი, რადგან ქართული მხარის უარის შემთხვევაში ანკარის მთავრობა იძულებული იქნება მიიღოს სამხედრო ზომები და ამგვარად დაიცვას დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილება. თავდაპირველად ს. მდივანმა უარყო ანკარის მთავრობის მოთხოვნები წერილობით და გარკვეულწილად დაასაბუთა კიდევ. 1921 წლის 23 თებერვლის ნოტით, აშშ-მ მუშტარ ფაშა ს. მდივანს აცნობებდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტის ჯარების სარდალს უკვე მიეცა სათანადო ბრძანება ართვინისა და არტაანის მხარეებში სამხედრო შენაერთების შეყვანის შესახებ. ცხადია, ანგორაში საქართველოს წარმომადგენლობა ამ ნოტათა საპასუხოდ სათანადო რეაგირებას ახდენდა. ს. მდივანმა დეპეშით აცნობა ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტ-

⁶ იგულისხმება სიმონ მდივანი, ანგორის მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი.

⁷ იგულისხმება საბჭოთა-ბრიტანული სავაჭრო შეთანხმება, ლონდონში 1921 წლის 16 მარტს დიდი ბრიტანეთისა და რსფსრ-ის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. საბჭოთა რუსეთის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ლ. ბ. კრასინმა, ხოლო ბრიტანეთის მხრიდან ვაჭრობის მინისტრმა რობერტ ს. ჰორნმა (Horn). დოკუმენტი საბჭოთა რუსეთსა და დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის დადებული პირველი შეთანხმებაა, რომელმაც ბოლშევიკური მთავრობის ეკონომიკური ბლოკადის გარღვევა მოახდინა. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ ბრიტანეთის მთავრობა განსაკუთრებულ ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინაშე იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდნენ და ამჟამად დამოუკიდებელი გახდნენ. ამით დიდი ბრიტანეთის მთავრობა საქართველოზე რუსეთის გავლენას ოფიციალურად ადასტურებდა.

ტროს, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა დაცალოს ართვინ-არტაანის მხარეები და ერთგვარ გაკვირვებასაც გამოხატავს ანგორის მთავრობის ულტიმატუმების გამო.

ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის დროს ს. მდივანმა შემდეგი საკითხები წამოაყენა: 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალურად ცნობა ოსმალეთის მიერ; 2. საზღვრის გამორკვევა; 3. ის მთავარი საკითხები, რომელიც შემდეგში საფუძვლად უნდა დასდებოდა ოსმალეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას. საზღვრების საკითხზე ოსმალეთის წარმომადგენელმა ოსმალეთის „ეროვნული პაქტი“ მოიშველია, რომლის თანახმად, მათი აზრით, საზღვრების საკითხი გადაჭრილად ითვლებოდა. 1920 წლის აპრილში ოსმალეთის პარლამენტის მიერ კონსტანტინოპოლში მიღებული „ეროვნული პაქტის“ ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია: „თუ საჭირო გახდა, ოსმალეთი მზადაა დასთანხმდეს ხელმეორე პლებისციტს ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქებში, რომელთა მოსახლეობამ ოსმალეთთან შეერთების სურვილი ერთხელ უკვე გამოთქვა. ს. მდივანი დაასკვნის: „...ანგორას სურდა ისეთი მდგომარეობა შეექმნა კავკასიაში, რომ, ერთის მხრივ, საქმის აწეწვით ბოლშევიკების გავლენა გაენელებინა, ხოლო მეორეს მხრით კი, ლონდონის⁸ კონფერენციის გახსნისას საგრძობი რამე კოზირი ჰქონოდა ხელთ. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი განგებ ყურს იყრუებს და შესაძლებლობას აძლევს დაშინებულებს გადატრიალების მოსახდენად. ამავე დროს კი სარგებლობს რა ჩვენი მძიმე მდგომარეობით, აშკარად იცვლის კურსს ჩვენთან დამოკიდებულებაში და გადაჭრით მოითხოვს არდაგანის და ართვინის ოლქს, თითქოს იმ მოსაზრებით, რომ ვინცობაა საქართველო ამ ომში დამარცხდეს, ბოლშევიკებს არ ჩუვარდეთ ეს კუთხეები ხელში. მე გადაჭრით უარყოფდი ამ წინადადებას. მაქსიმუმი ჩემი დათმობისა იყო არდაგანის ოლქი, რომლის საზღვარსაც ხანიორის ქედზე უნდა გაველო. ანგორა მანაც დაჟინებით მოითხოვდა არდაგანისა და ართვინის ოლქებს, ხოლო ბათუმისათვის კი - პლებისციტს. რაკი შევატყვე, რომ ოსმალეთი ცდილობდა ჩვენი გაჭირვებით სარგებლობას და ამიტომ გვიჩქარებდა საქმის გათავებას, ვსცადე დროის მოგება და მივმართე წინადადებით, რამდენიმე ხნის განმავლობაში დარჩენილიყო ისევ „სტატუს ქვო“. აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ მოლაპარაკება ხდებოდა სწორედ იმ დროს, როცა აზერბაიჯან-სომხეთ-რუს ბოლშევიკთა ჯარი კოჯრამდე მივიდა და ჩვენი მთავრობაც ყოველთვის დებეშას ასე ამთავრებდა: დაუყოვნებლივ გაათავე საქმე, რადგან დრო აღარ ითმენსო. ჩემს წინადადებაზე ანგორის მთავრობისაგან 22 თებერვალს დამით მივიღე ულტიმატიური წინადადება, რომელიც 24 საათის ვადას გვაძლევდა არდაგან-ართვინის ოლქის დასაცლელად, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერისი ღონისძიებით გვემუქრებოდა. ეხლა უკვე აშკარა იყო ოსმალეთის აგრესიობა საქართველოს წინააღმდეგ. ანგორის ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების მიღებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, ტფილისის პანიკურ მდგომარეობას და აგრეთვე ქიაზიმ⁹ ბეის ინფორმაციას, რომელიც არწმუნებდა თავის მთავრობას: საქართველო მეტად მძიმე ყოფაშია და დროა ამით ვისარგებლოთო. არც ის იყო გამორკვეული, თუ რუსეთი როგორ პოზიციას ადგა ამ შეტაკებაში. იმ დროს, როცა სომხეთ-აზერბაიჯანის ჯართან ერთად ბოლშევიკების ჯარიც გვიტევდა, არა თუ ამიერკავკასიაში, არამედ მეჰადირსა და დარიალთან, ჩიჩერინი 19 თებერვლის ნოტით არწმუნებდა ჩვენს მთავრობას, რომ რუსეთი მზადაა შუამავლის როლი გასწიოს საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორისო. ასეთი იყო მდგომარეობა, როცა ანგორის ულტიმატუმი გადავეცი ჩვენს მთავრობას, მე კი, სანამ ტფილისიდან პასუხს მივიღებდი, საპროტესტო ნოტა გავუგზავნე მუხტარ ბეის არდაგან-ართვინის ძალით დაჭერის წინა-

⁸ ლონდონის კონფერენცია - 1921 წლის 21 თებერვალი-1922 წლის მარტი.

⁹ მუსა ქიაზიმ ყარაბეკირი (Musa Kâzım Karabekir) (1882 -1948 წწ.) — თურქი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ბალკანეთის, პირველი მსოფლიო ომისა და ოსმალეთის დამოუკიდებლობის ომის მონაწილე. 1919 წლის გაზაფხულიდან გენერალ მუსატა ქემალთან ერთად სათავეში ჩაუდგა ანატოლიაში აგორებულ ანტისაოკუპაციო მოძრაობას. იყო დამოუკიდებლობის ომის აქტიური მონაწილე, მუსტაფა ქემალის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი. 1919 წლიდან იყო არზრუმის ვილაიეთში დისლოცირებული მე-15 საარმიო კორპუსის სარდალი და რეგიონის ფაქტობრივი მმართველი. 1920 წელს სომხეთ-თურქეთის ომისას მე-15 კორპუსმა მისი სარდლობით დასავლეთ სომხეთის ნაწილი (სარიყამიში, ყარსი, ალექსანდროპოლი) დაიკავა. 1921 წლის თებერვალსა და მარტში მისმა სამხედრო კორპუსმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არტაანისა და ბათუმის ოლქები დაიკავა. 1921 წლის ოქტომბერში იგი იყო ყარსის ხელშეკრულების სულისჩამდგმელი და ქემალისტური თურქეთის სრული ნდობით აღჭურვილი პირი. სწორედ მან მოაწერა ხელი ოსმალეთის მხრიდან ამ ხელშეკრულებას. 1922 წლიდან დიდი ეროვნული კრების წევრი იყო. 1924 წლიდან თბილისში ჩაუდგა მუსტაფა ქემალ ფაშას, თანამოაზრებთან ერთად დააარსა „პროგრესული რესპუბლიკური პარტია“ და მისი თავმჯდომარე გახდა. 1925 წელს დააპატიმრეს მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. მუსტაფა ქემალის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წელს, რეაბილიტირდა. 1946 წელს თურქეთის პარლამენტის სპიკერად აირჩიეს. გარდაიცვალა 1948 წელს.

აღმდეგ, იმ ვარაუდით, რომ მთავრობა უარყოფდა ანგორის წინადადებას, მაგრამ 23 თებერვლის დამით ტფილისიდან მივიღე პასუხი, რომლითაც ჩვენი მთავრობა აკმაყოფილებდა ოსმალეთის მოთხოვნას ამ ოლქთა ევაკუაციის შესახებ. ჩვენმა ჯარმა, 19 თებერვალს, სოღანლულის სიმაღლესთან სასტიკად დაამარცხა მტერი, ტყვედ წამოიყვანა 3000-მდე კაცი და უკუავადო იგი. 21 თებერვალს მოახდინა მტრის ერთ-ერთი ფრთის სრული ლიკვიდაცია და მრავალი იარაღი იგდო ხელთ. დაშნაკელთა ჯარიც განაგრძობს ბოლშევიკებთან ბრძოლას, რომლის დროსაც ტყვედ წაიყვანეს წითელთა ერთი პოლკი. ამრიგად, თუმცა სომხეთის ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ გაქარწყლდა, მაგრამ სამაგიეროდ რუსები განაგრძობენ ჩრდილოეთიდან შემოტევას და უკვე დაიკავეს ვაგრა. ამავე დროს, ოსმალებიც არა სცხრებიან და ცდილობენ აგვიჯანყონ ქართველი მუსულმანობა. ასე მაგ., ხოფას ოსმალური კომიტეტი პროკლამაციით უცხადებს აჭარლებს, რომ ოსმალეთის ჯარი მალე ბათომშიც შემოვაო. მიუხედავად ამ მძიმე მდგომარეობისა, ქართველი ხალხი, როგორც ტფილისიდან მატყობინებენ, ერთსულოვანია და მხნედ ებრძვის მტერს, რადგან დარწმუნებულია საბოლოო გამარჯვებაში“ [არქივი, ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 487: 86-87].

საარქივო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ანგორის და საქართველოს მთავრობების ერთობლივი ძალისხმევით უნდა შექმნილიყო კავკასიის კონფედერაცია და ამასთან დაკავშირებით, სათანადო ზომები მიეღოთ. ეს მხარეებს შორის დაუყოვნებლივ შეთანხმებას მოითხოვდა.

1921 წლის 16 მარტს საბჭოთა მთავრობასა და მუსტაფა ქემალის „ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობას“ შორის ე. წ. „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება დაიდო [ჩაჩხიანი, 2015:209]. 16 მარტის შეთანხმების ხელმოწერამდე საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ ოსმალეთს შორის ამ თემაზე მოლაპარაკება რამდენიმე თვე მიმდინარეობდა. ანუ საბჭოთა რუსეთის მთავრობა წინასწარ, საქართველოს ოკუპაციამდე, გაურიგდა ოსმალეთის ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიის გადანაწილებაზე. ამ ანტიქართული ხელშეკრულებით, ბოლშევიკური რუსეთისა და ოსმალეთის ახალმა მთავრობებმა ხელახლა გადაინაწილეს კავკასია, საქართველო კი შუაზე გაიყვეს: საქართველოს ჩრდილო ნახევარი თბილისითურთ ბოლშევიკურმა იმპერიამ დაიტოვა, სამხრეთი ნაწილი - ოსმალეთის ახალგაზრდა რესპუბლიკამ, ბათუმის შემცირებული ოლქი - ნეიტრალურ ზონად, ბათუმი კი პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის - ზურგს უკან დადებული არასამართლებრივი დოკუმენტისთვის კანონიერების მინიჭება სცადა საქართველოს მარიონეტულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ, რომელმაც, როგორც მოსკოვის სატელიტმა, იმავე წელს ყარსის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 1921 წლის 13 ოქტომბერს ქალაქ ყარსში რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მარიონეტებმა - სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უკანონო მთავრობებმა - ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მიერ შექმნილ მთავრობასთან ხელშეკრულება გააფორმეს. ყარსის ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ სუბიექტთაგან არც ერთი არ იყო თავისი ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება, შესაბამისად, მათ არანაირ საერთაშორისო დოკუმენტზე ხელმოწერის უფლება არ ჰქონდათ. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების სახელით რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის წარმომადგენლები მანიპულირებდნენ. ოსმალეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ოსმალეთის სასულთნოს შიგნით არსებულმა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, რომელმაც 1920 წლის 23 აპრილის შემდეგ თავი სასულთნოს ერთადერთ წარმომადგენლად გამოაცხადა. 1921 წლის 16 მარტსაც და 13 ოქტომბერსაც იურიდიულად ოსმალეთის სასულთნო არსებობდა (1922 წლის 1 ნოემბრამდე), ხოლო 1924 წლის მარტამდე კი - ოსმალეთის ხალიფატი¹⁰. ყარსის ხელშეკრულება გაფორმდა ხუთ ეგზემპლარად: თურქულ, რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა ერევანში 1922 წლის 11 სექტემბერს.

1992 წელს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო ცდილობდა მეზობელ თურქეთთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მოგვარებას, ყარსის ხელშეკრულების გაუქმების საკითხი კვლავ გააქტიურდა იმ არგუმენტით, რომ ეს

¹⁰ ოსმალეთის იმპერიის 29-ე და უკანასკნელი ხალიფა იყო **აბდულმეჯიდ II** (თურქ. **Abdülmejid II**). დაიბადა 1868 წლის 30 მაისს სტამბოლში, გარდაიცვალა 1944 წლის 23 აგვისტოს პარიზში. ტიტულს ატარებდა 1922-1924 წლებში, ოსმალეთში მონარქიის გაუქმების შემდეგ. 1924 წლის 3 მარტს, მას შემდეგ, რაც თურქეთის რესპუბლიკა დაარსდა, მისმა პირველმა პრეზიდენტმა, მუსტაფა ქემალმა ოსმანების დინასტიის ყველა წევრი „პერსონა ნონ გრატა“-ს სიაში შეიყვანა და ქვეყნიდან განდევნა, მათ შორის აბდულმეჯიდ II-ც.

ხელშეკრულება რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებას ქართველი ხალხის თანხმობის გარეშე ჰქონდა გაფორმებული; ასევე ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში დაისვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმების საკითხი. ზ. გამსახურდიას აზრით, ავტონომიის თემა, თავისი სენსიტიურობიდან გამომდინარე, აჭარის მოსახლეობაში რეფერენდუმის ჩატარებას საჭიროებდა, რასაც ავტონომიის შენარჩუნების მოთხოვნით აჭარაში მოჰყვა მოსახლეობის გამოსვლები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მიერ იყო ორგანიზებული.

1992 წლის 30 ივნისს საქართველო-თურქეთს შორის გაფორმდა ორმხრივი ჩარჩო ხელშეკრულება – „საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“. ამ ჩარჩო ხელშეკრულებაში ნახსენებია ყარსის ხელშეკრულებაც მხოლოდ ორი ქვეყნის საზღვრის აღიარების კონტექსტში, მასში „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით“ და „მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის“.

ქვემოთხსენიებული ოსმალეთთან ლენინის მთავრობის გარიგებამ საქართველოს დამოუკიდებლობა დააკარგვინა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ვერაგული თავდასხმის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია-ოკუპაცია განხორციელდა. სვიმონ მდივანი იძულებული გახდა ანგორიდან ჯერ – კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და დამფუძნებელი კრების პრეზიდენტის წევრებთან ერთად საფრანგეთში, ემიგრაციაში წასულიყო. იგი ემიგრაციაშიც აქტიურ დიპლომატიურ მუშაობას ეწეოდა.

საბჭოთა რუსეთისგან თავისუფლებაწარმთქმული საქართველოს ინტერესებს სვიმონ მდივანი გენუის 1922 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე აქტიურად იცავდა. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არაოფიციალური დელეგაციის წევრი იყო. დელეგაციაში შედიოდნენ: აკაკი ჩხენკელი (თავმჯდომარე), ირაკლი (კაკი) წერეთელი, სვიმონ მდივანი, გრიგოლ ვეშაპელი და ზურაბ ავალიშვილი. ძმები – სვიმონ და ბუდუ მდივანები – გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე ორი განსხვავებული იდეოლოგიის საქართველოს წარმომადგენდნენ.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უცხოეთიდან აქტიურად იბრძოდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად, თურქეთთან ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. პარიზში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი სიმონ მდივანს სწერდა: „...მე მინდა კვლავ ანგორას დავუბრუნდე. ჩვენ, რომ ადგილიდან დაძვრა გვჭირია, ეს ჩვენთვის ამკარაა... მე მინდა ვიცოდე შენი აზრი ერთ რამეზე: გაიმეორებს თუ არა ანგორა ძველ თავის სისულელეს ჩვენ მიმართ ჩვენი თავის წამოწევის დროს? მართალი უნდა გითხრა, დღესაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ამ მხრივ არ გვექნება სიურპრიზები. ამაში მე მაეჭვებს მათი ჯიუტობა ჩვენს მიმართ. შეუძლებელია ეს აიხსნას მართლ მათი სიფრთხილით. განა სიფრთხილე უშლის მათ ხელს, როცა ჩვენ არ ვიცით, რომ მიუხედავად სიფრთხილისა, ანგორის აგენტები მრავლად არიან აზერბაიჯანში, მთებში ან სამუსულმანო საქართველოში? ჩვენ ვიცით, რომ ეს ახირებული „მოკავშირენი“ კავშირის დროსაც აწარმოებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ ინტრიგებს და დღეს კი დემონსტრაციებსაც არ ერიდებიან... ანგორამ უსათუოდ იცის, რომ ჩვენში იბრძვის ორი ძალა: რუსოფილური, ანუ უკეთ, ნამდვილი რუსული და ანტირუსული. იცის ისიც, რომ დრო მეორის წინააღმდეგ მუშაობს; რომ მტრებს შეაქვს გახრწნა ნაციონალურ ფრონტში და ამ დროს იგი სრულეებით განზე დგას... დღეს ჩვენი ხალხი რუსეთს ებრძვის. მე მწამს, რომ იგი ახლა იბრძოლებს უფრო მედგრად და უფრო შეგნებულად, ვიდრე იბრძოდა მტრის შემოსვლის დროს, მაგრამ თუ დაინახა, რომ მას კვლავინდებურად ზურგში ესხმიან... ეს ასი წლის წინანდელ ისტორიას განახლებს და კითხვაც ისე გადაიჭრება, როგორც იარაღის დროს. ჩვენი მთავარი შეცდომა ის არის, ჩემო სოსიკო, რომ ჩვენ ხშირად ჩვენს სურვილებს რეალობად ვასალებთ. ასე იყო ჩვენი დაცემის დროსაც. ახლაც ჩვენ გამოვდივართ იქედან, რომ ანგორა ნეიტრალიტეტს დაიცავს, მაგრამ დაიცავს იგი ამას? შენ გეკითხები ამას იმიტომ, რომ შენ გქონდა საკმარისი დრო და საშუალება, ეს გამოგერკვია უფრო ნამდვილად, ვიდრე მე“ [არქივი, ფ. 2118, აღწერა 1, საქმე 98:2].

თავის მხრივ თურქეთთან ურთიერთობის შესახებ კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი კონსტანტინე გვარჯალაძე 1922 წლის 22 დეკემბერს პარიზში გაგზავნილ ანგარიშში აკაკი ჩხენკელს

სწერდა: „...თუ არ გვაქვს იმის იმედი (და მე პირადად კი ამის იმედი არა მაქვს ახლა), რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი ან სხვა ვინმეს ძალით ვაიძულებთ ანგორას დათმობაზე წამოვიდეს, მაშინ ისე უნდა ველაპარაკოთ ამათ, რომ ჩვენსკენ პირი იბრუნონ, დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკები არ არიან მათთვის უფრო ხელსაყრელი და ჩვენთან ლაპარაკი დაიწყონ, თორემ მართო რუსეთით დაშინებით ისინი ჩვენს ტერიტორიებს უკან არ დაგვიბრუნებენ. მე იმ აზრისა ვარ, რომ სომხების საკითხს ჩვენ ვერ ჩავვებლაუჭებით - ეს წარმოუდგენლად აღიზიანებს თურქებს. სომხებს ჩვენ მუდამ ვებლაუჭებოდით, ისინი კი მუდამ ინტრიგნობდნენ და გვალატობდნენ. ტერიტორიალურ საკითხში ჩვენ ამ დროებით უნდა დავკმაყოფილდეთ „სტატუს ქვოთი“ და ართვინ-არდაგანის დაბრუნებაზე ახლანდელ ჩვენ პირობებში ლაპარაკი თუ არა მავნებელი, უშედეგო იქნება, ჩემის აზრით თუ ოსმალები იბრუნებენ ჩვენსკენ პირს, მათ ისიც კი უნდა ვამცნოთ, რომ მათ შეუძლიათ გაცილებით უფრო ადვილად მოგვირიგდნენ ჩვენ ეკონომიკურ საკითხებშიდაც და ამ მხრივ ყარსის ხელშეკრულებაც არ იქნება ჩვენთვის რამე დამაფრთხობელი. საჭიროა ოღონდ, რომ ოსმალებმა შეიგნონ თავისი ინტერესები და ჩვენ დაგვიწყონ ლაპარაკი“ [არქივი, ფონდი, 2114, აღწ. 1, საქმე 72:5].

კონსტანტინოპოლში არსებობდა „პრომეთეს“ გაერთიანება, რომელშიც ქართველი, ამერბაიჯანელი, მთიელი, ყირიმელი, თურქესტანელი და უკრაინელი ემიგრანტები მოღვაწეობდნენ [არქივი, ფ. 1864, აღწ. 2, საქმე 909:10]. სვიმონ მდივანს უშუალოდ დავალებული ჰქონდა გაერთიანებული ემიგრაციის სახელით თურქეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. 1928 წლის 19 თებერვალს მან კონსტანტინოპოლიდან ოფიციალურად მიმართა ანგორაში თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს - ისმეთ ფაშას¹¹. მიმართვა ფრანგულ ენაზეა, მასში საუბარია ამიერკავკასიის რესპუბლიკების, უკრაინისა და თურქესტანის ხალხთა კონსოლიდაციაზე, ასევე თურქეთთან მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაზე. თავის მიმართვაში ს. მდივანი საუბრობს საქართველოში არსებულ ბოლშევიკურ რეჟიმზე, რომელიც ქართველ ხალხს ძალით მოახვიეს თავს და არწმუნებს ისმეთ ფაშას, რომ ქართველი ხალხი დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად აღადგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო მართო არ არის, ის გამოდის უკრაინასთან, თურქესტანთან და ერთიან კავკასიასთან ერთად. ს. მდივანი წერდა: „ძალიან კარგად გვესმის რა თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა, მე არანაირ მხარდაჭერას არ ვითხოვ ამ დროისთვის; თუმცა თურქეთის ხელისუფლებას შეუძლია ხელი არ შეგვიშალოს ჩვენი სამართლიანი ბრძოლის წარმოებაში და თავი შეიკავოს ჩვენს მტერთან ჩვენი საწინააღმდეგო არგუმენტების გამოყენებაში. ფაქტია, რომ თურქეთში მყოფი ქართველი და სხვა ეროვნების ლტოლვილები, რომლებიც რუსული ელემენტებისგან გამიჯნულია და დამოუკიდებელი სახელმწიფოების დევნილებად განიხილებიან, კონსტანტინოპოლის ჯგუფში იყვნენ გაერთიანებული, რაც გასული წლის ბოლოს გაუქმდა, ახლა ისინი „თეთრი რუსების“ კატეგორიაში შეჰყავთ. აქ ადგილი აქვს ისტორიულ და სამართლებრივ შეცდომას, ვინაიდან რუსეთის მხრიდან ადგილი აქვს ამ ხალხთა ქვეყნების ოკუპაციას... მე მსურს თქვენი ყურადღება შევაჩერო იმაზე, რომ ქართველები განიხილებიან, როგორც „თეთრი რუსები“, სინამდვილეში ქართველები არასოდეს ყოფილან და არც მომავალში იქნებიან არც თეთრი და არც წითელი რუსები. 1921 წლის თებერვალში მე მქონდა ბედნიერება მომესმინა თქვენი წარმომადგენლის (ესკი შეპირის) განცხადება: საქართველო არის უკანასკნელი ციხესიმაგრე რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა, ამის შემდეგ ეს ციხესიმაგრე მალე დაეცა. ჩემი სურვილია შეგახსენოთ, რომ ეს ციხესიმაგრე მისი დაცემის შემდეგაც ფლობს ჯარისკაცებს, რომლებიც ბრძოლას აგრძელებენ და ეს ბრძოლა აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დასრულდება“ [ფ. 2118, აღწ. 1, საქმე 16:2-3].

¹¹ მუსტაფა ისმეთ ინიონი (Mustafa İsmet İnönü) (1884-1973) — თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნებით ქურთი ოსმალო პოლკოვნიკი, ქემალისტური ოსმალეთის არმიის გენერალი, ქემალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, შეიარაღებული ძალების გენშტაბის პირველი უფროსი. თურქეთის რესპუბლიკის რიგით პირველი პრემიერ-მინისტრი 1923-1924, 1925-1937, 1961-1965 წლებში. 1922-1924 წლებში თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი გახდა. 1938 წლიდან რიგით მეორე პრეზიდენტია მუსტაფა ქემალ ათათურქის გარდაცვალების შემდეგ. 1950 წელს დატოვა პრეზიდენტის პოსტი და პოლიტიკურ ცხოვრებას დროებით თავი დაანება. 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ იგი კვლავ პოლიტიკაში დაბრუნდა. 1961-1965 წლებში თურქეთის პრემიერ-მინისტრია, პოლიტიკიდან საბოლოოდ 1972 წელს წავიდა. 1973 წელს გარდაიცვალა.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ თვით თურქებს შორისაც არ იყო ერთიანობა. 1923 წლის 21 თებერვალს გაგზავნილ მოხსენებაში კონსტანტინოპოლში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ვ. გვარჯალაძე წერს: „ანგორის პარლამენტში ორი უმთავრესი ჯგუფია. პირველი ჯგუფი, რომელსაც თვითონ ქემალი ხელმძღვანელობს და რომელშიდაც დაახლოებით 140 კაცამდე შედის, უფრო შეურიგებელ პოლიტიკას აწარმოებს. ეს ჯგუფიც არ არის მთლიანი და ერთაზროვანი, მაგალითად, თვითონ შეფი ქემალი სხვებზე ზომიერი და ფრთხილია. პირველ ჯგუფს ემხრობა გამორჩენილი მხედრობაც. რუსეთთან კარგი დამოკიდებულების მომხრეც ეს ჯგუფია. მეორე ჯგუფი არის ჯგუფი ოპოზიციისა, დაახლოებით 70 კაცამდე. ეს ჯგუფი რუსეთთან დამოკიდებულებას დიდი სიფრთხილით ეპყრობა და დასავლეთით უფრო იცქირება. უმთავრეს ტვინად ამ ჯგუფისა ითვლება ბეჩირი, რომელიც დღეს (მიუხედავად იმისა, რომ ის დეპუტატია) აქტიურ მუშაობას არ აწარმოებს. ბოლშევიკები დიდი ენერგიით პირველ ჯგუფში მუშაობენ. ხარჯავენ აუარებელ ფულს. ბოლშევიკების სუბსიდიით თურქულ ენაზე გამოდის გაზეთი „Yeni Gün“¹¹ („ახალი დღე“). ამ მოსყიდული გაზეთის რედაქტორ-გამომცემელია იუნუს ნადი¹², რომელიც დღეს პარლამენტის საგარეო კომისიის თავმჯდომარეა...“ [არქივი, ფონდი, 2114, აღწ. 1, საქმე 72: 19].

ემიგრაციის წლებში სვიმონ მდივანი, როგორც დიპლომატი, თურქეთისა და საფრანგეთის გარდა, მოღვაწეობდა პოლონეთშიც, რასაც ადასტურებს ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის - ნოე ჟორდანიას საიდუმლო წერილები, რომლებსაც ვარშავაში მყოფ ს. მდივანს უგზავნიდა და ესაუბრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ბრძოლის გზებზე. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იგი საქართველოს ეროვნული ინტერესების ერთგული და შეუპოვარი დამცველი იყო. მან მონაწილეობა მიიღო „კავკასიის კონფედერაციის პაქტის“ შედგენაში და ეწეოდა მის პოპულარიზაციას. იგი იდგა „პრომეთეისტული“ მოძრაობის სათავეებთან, იყო კავკასიის ერთიანობის აპოლოგეტი და იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა ანტიბოლშევიკური გაერთიანების წევრი (გარშავის „პრომეთეს კლუბი“, „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“, „ხუთთა მეგობრობის კომიტეტი“).

დიპლომატიურ სარბიელზე ასეთი დატვირთვის მიუხედავად, სვიმონ მდივანი არ ივიწყებდა თავის საყვარელ პარტიას და სამსონ ფირცხალავასთან ერთად უცხოეთში სოციალ-ფედერალისტთა ლიდერად ითვლებოდა.

სიცოცხლის ბოლო დღეებში სვიმონ მდივანი ახალგაზრდული ენერგიით ემზადებოდა სორბონის უნივერსიტეტში რუსთაველისადმი მიძღვნილი დღეების გასამართავად, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო. სვიმონ მდივანი 1937 წლის 13 დეკემბერს 61 წლის ასაკში საფრანგეთში, ქალაქ სოზოში, გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. ნეკროლოგები გამოქვეყნდა ქართულ ემიგრანტულ პრესასა და პოლონურ გაზეთებში. ს. მდივანს დარჩა შესანიშნავი მეუღლე - ნელი (ელენე) ნაკაშიძე და შვილები: ირინე, ელისაბედი, ელენე და ნინო.

¹¹ „Yeni Gün“ („ახალი დღე“) — ყოველდღიური თურქულენოვანი გაზეთი. გამოიცემოდა 1918 წლის 2 სექტემბრიდან 1924 წლის 11 მაისამდე.

¹² იუნუს ნადი (Yunus Nadi Abalıoğlu) (1879 -1945) - თურქი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, მუსტაფა ქემალის პოლიტიკის მხარდამჭერი, გაზეთ „Cumhuriyet“-ის („რესპუბლიკა“) დამაარსებელი.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ახმედ მუხტარი**, 1921, საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი საქართველოს შესახებ, გაზეთი „საქართველო“, №3, 5 იანვარი, თბილისი.
2. **დაუშვილი რუსუდან**, კალანდაძე გრიგოლ, კობახიძე რუსუდან, ჯაფარიძე გოჩა, ტარტარაშვილი თემურ, 2012. ქართველები უცხოეთში, წ.1, გვ.136-137, თბილისი.
3. **საქართველოს** ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე №487, ფურც 86-87.
4. **საქართველოს ეროვნული** საისტორიო არქივი, ფონდი 2118, საქმე 1, ფურც. 2.
5. **საქართველოს ეროვნული** საისტორიო არქივი, ფ. 1864, აღწ. 2., საქმე 909, ფურც. 10.
6. **საქართველოს ეროვნული** საისტორიო არქივი, ფონდი, 2114, აღწ. 1, საქმე 72, ფურც. 5.
7. **საქართველოს ეროვნული** არქივი, ფ. 2118, აღწ. 1, საქმე 16, ფურც. 2-3.
8. **სვანიძე მიხეილ**, 2005, თურქეთის ისტორია 1923-2000 წწ., III, თბილისი.
9. **შარაძე გურამ**, 1993, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. III, გვ. 31-38, თბილისი.
10. **შალკაშვილი დ.**, „დღიურები“, ვ. ნოზაძის თარგმანი, ჟურნალი „კავკასიონი“, XVI-XVII, პარიზი, 1972/1973, გვ. 127-178;
11. **ჩაჩხიანი არჩილ**, 2015, რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტტიპადისტური ენიგმა (1920-1922), დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბილისი.
12. **Kinross, Patrick Balfour, Lord Kinross.** 1992. Ataturk: A Biography of Mustafa Kemal, Father of Modern Turkey, Publisher: Quill, U.S.A.

LELA SARALIDZE

TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

**FROM THE HISTORY OF ACTIVITY OF SVIMON MDIVANI -
AMBASSADOR OF THE GOVERNMENT OF THE DEMOCRATIC REPUBLIC
OF GEORGIA WITH THE GOVERNMENT OF ANGORA (THE OTTOMAN EMPIRE)****SUMMARY**

რეზიუმე - On the basis of an archival and a press materials, the activity of Svimon Mdivani - Ambassador of the Government of the Democratic Republic of Georgia with the Government of Angora (The Ottoman Empire) is discussed in this article. On 3 June 1918, after the legal recognition of the Democratic Republic of Georgia by the Ottoman authorities, it was decided to change the representation of the Government of Angora in Georgia, as the Ottoman Embassy. Svimon Mdivani was the ambassador of independent Georgia in Armenia and Ottoman Empire, directly, with the Government of Angora. After the failure in the World War I, the Ottoman Empire started to break. In many of its dominions was established the control by Allied States, winner in the World War I. The famous Treaty of Sèvres, on August 10, 1920, made Ottoman's State independence as a fictitious. The Ottoman Sultan retained the throne, but the great National Council of Governments substantially formed in Angora (Ankara), headed by Mustafa Kemal, took control over the Ottoman Empire. At the beginning of 1921, the Georgian National Government decided to send as an ambassador Svimon Mdivani with the Government Mustafa Kemal Pasha, who came the power in the Ottoman Empire, instead of Ottoman Sultan governance. On February 8, 1921, Mustafa Kemal Pasha met with Svimon Mdivani, Ambassador of Georgia to Angora. They talked about the importance of Georgia's independence in the region, also, about the Ottoman role in the East. The aggressive policy of Soviet Russia prevented Georgia's independence, moreover the territorial integrity of Georgia was sacrificed by Lenin and Mustafa Kemal's agreement. Svimon Mdivani has played a big role in the diplomatic negotiations during the Russian- Ottoman aggression of 1921. After annexation and occupation of the Democratic Republic of Georgia by the Soviet Red Army, Svimon Mdivani was forced to go in abroad, with the Georgian Government. He died on December 13, 1937, at the age of 61, in the town of Socho, France. He was buried in the Georgian cemetery of Leuville-sur-Orge.

შოკანა მუხსინიძე

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

პიკვედი ჩესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ემიგრაციაში (1921-1933)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის დღეებში, 1921 წლის 17 მარტს ბათუმში დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომა ჩატარდა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა ემიგრაციაში გაეგრძელებინათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრებმა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, სამხედროებმა, ბოლშევიკურ მსოფლმხედველობასთან შეურიგებელი ქართველების ნაწილმა ქვეყანა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. 1921 წ. ნოემბერში აშშ-ის გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნალის“ ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას განმარტავდა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დატოვა თავისი ქვეყანა, რადგან მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩვენი დარჩენა შექმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენ კანონიერად ვცანით ახალი წესები, რომელიც ოკუპანტებმა დაამყარეს, მთელი ხალხის სურვილი იყო, რომ უცხოეთში მანაც შეგვენახა ცენტრი, რომელიც განმახორციელებელია საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის იდეის“ [თავისუფალი... №13, 1921:5].

საქართველოს დეოკუპაცია და დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო მიზანი, რისთვისაც სახელმწიფოებრიობაწარმეული, ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და ორგანიზაციებად გათიშულ-დაქსაქსული ქართველი ემიგრანტები იბრძოდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოების შემდეგ დაკარგული სუვერენიტეტის აღსადგენად დაწყებულ ბრძოლას წარმართავდნენ ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, ქართული პოლიტიკური პარტიები (სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები) და სხვადასხვა დროს ევროპაში შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციები. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.

საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის მოთხოვნას მყარი სამართლებრივი საფუძვლები ჰქონდა. დამოუკიდებლობა დე იურე აღიარა მსოფლიოს 21-მა ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც. ქვეყანას ჰყავდა საყოველთაო არჩევნების შედეგად არჩეული საკანონმდებლო ორგანო და კანონიერი მთავრობა, ჰქონდა კონსტიტუცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისას მთავრობას, ბოლშევიკების მცდელობის მიუხედავად, ხელი არ მოუწერია კაპიტულაციაზე.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრების საფრანგეთში ჩასვლის პირველივე წუთებიდან აშკარად გამოჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ევროპული სახელმწიფოების მხრიდან არანაირი რეაგირება და რეაქცია არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ემიგრაციაში წასულ ქართველ პოლიტიკოსებს ევროპის დახმარების იმედი მანაც ჰქონდათ. საბჭოთა რუსეთში დაწყებული შიმშილობა და უკიდურესი გაჭირვება, მათ

აფიქრებინებდა, რომ ბოლშევიკები დათმობაზე წავიდოდნენ ევროპის წინაშე, რათა მისგან მატერიალური დახმარება მიეღოთ [თავისუფალი... №6, 1921:1-2]. აქედან გამომდინარე, საქართველოს ოკუპაციის პირველ წლებში, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ბოლშევიზმს, რომელსაც სახელმწიფო ძალაუფლება ძალადობით ჰქონდა მოპოვებული, ისტორიამ უკვე გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი და მისი აღსასრული შორს არ იყო. საქართველოს ელჩი აკაკი ჩხენკელი 1921 წლის სექტემბრის საგაზეთო ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ „იშვიათად დადგომია საქართველოს ისეთი მოხდენილი დრო თავისი ეროვნული მიზნის მისაღწევად, როგორც ეს უდგას მას... საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხია და ის ვერ გახდება რუსეთის შინაურ საკითხად“ [თავისუფალი... №8, 1921:1]. მისი აზრით, მოსალოდნელია რუსეთი კიდევ ერთხელ გაეხვიოს „ანარქიის ქაოსში... და მაშინ განაპირა ქვეყნები პირველ რიგში „საქართველო, შეძლებენ ანაზღაურებად გადაიგდონ რუსეთის უღელი. საქართველოს უფლება აქვს მოითხოვოს აქტიური მხარდაჭერა იმათგან, ვინც ის იურიდიულად იცნო“ [თავისუფალი... №8, 1921:1].

რეალურად კი პირველი რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური მუშაობისათვის საერთაშორისო პირობები არახელსაყრელი იყო. „საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპი-ინტერესთა და ძალთა ჭიდილია და არა რომელიმე დემოკრატიული, მით უფრო მორალური პოსტულატი“ [თავისუფალი... №5, 1921:14]. პირველი მსოფლიო ომის შედეგები ევროპის ეკონომიკისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებამ საბჭოთა რუსეთის საკითხი წამოჭრა, რომლის გადაჭრითაც შესაძლებელი ხდებოდა ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. სულ უფრო მეტი ევროპელი პოლიტიკოსი იზიარებდა იმ აზრს, რომ ევროპის ეკონომიკური აღდგენისათვის, აუცილებელი იყო რუსეთის ნედლი მასალა და გასაღების ბაზარი. ისიც აშკარა გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება ახლო მომავალში შეუძლებელი იყო. ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომში გაიმარჯვეს, მეზობელი სახელმწიფოები გაასაბჭოვეს და თანდათან ძალებს იკრებდნენ.

შექმნილი მდგომარეობა ინგლისს საბჭოთა რუსეთთან კეთილგანწყობილი ურთიერთობისაკენ უბიძგებდა. ამგვარი ორიენტაციის გამტარებელი იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ლიონ ჯორჯი. მან ჯერ კიდევ 1920 წ. მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებასთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად მოლაპარაკებები დაიწყო, რომელიც 1921 წ. 16 მარტს ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. შეთანხმების ერთ-ერთი მუხლის თანახმად ინგლისი კავკასიის რეგიონს რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარებდა. მალე ინგლისში გააუქმეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოსა და კავკასიის განყოფილება. საბჭოთა რუსეთ-ბრიტანეთის 16 მარტის შეთანხმების გაფორმებიდან, მეორე დღეს 17 მარტს ეროვნული მთავრობის ელჩი აკაკი ჩხენკელი რამდენიმე კვირიანი ლოდინის შემდეგ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ლიონ ჯორჯს შეხვდა. შეხვედრისას ინგლისელმა მინისტრამ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო სიტყვიერი თანაგრძნობა გამოხატა, თუმცა აშკარად მიანიშნა ქართველ ელჩს, რომ დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ წრეებში საქართველოს საკითხს აქტიური მხარდაჭერა არ ექნებოდა [კირთაძე, 1997:227].

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და დიპლომატების მიერ საქართველოს საკითხის დასმას ხშირად უგულვებლყოფდა არა მარტო დიდი ბრიტანეთის მთავრობა არამედ აშშ, იტალია და გერმანია.

ევროპის სახელმწიფოებისგან გარიყულმა გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში მარცხის შემდეგ რადიკალურად შეცვალა საგარეო პოლიტიკური კურსი, საბჭოთა რუსეთთან დაახლოება მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გახდა. გერმანიამ, რომლის წარმომადგენლებმა ამიერკავკასიაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებასში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს და რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, აღიარება გააუქმა.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც პირველხანებში ქართული საკითხით ინტერესდებოდა და მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნას საფრანგეთი იყო. მისი მთავრობა განსაკუთრებულ კეთილგანწყობას ავლენდა დევნილი მთავრობის წარმომადგენლობისადმი. 1921-1922 წწ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ არისტიდ ბრიანის განკარგულებით შეიქმნა განსაკუთრებული შერეული კომისია, მისი მოვალეობა იყო შეესწავლა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობა, კომისიას ასევე ევალებოდა შეეშუშავებინა გეგმა მათი დახმარებისათვის [საქართველოს სრულყოფილებიანი... 1997:60].

1921 წ. 25 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ დღეს, ბოლშევიკებისადმი მტრულად განწყობილმა საფრანგეთის მთავრობამ, უკვე ფაქტობრივად არ არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს საელჩოს აკრედიტაცია მოახდინა, რომელსაც ეძლეოდა ყველა დაწესებული უფლება და უპირატესობა [ასათიანი... 1968:109]. მხოლოდ საფრანგეთში მოხდა საქართველოს საელჩოს აკრედიტაციისთვის აუცილებელი წესის შესრულება და ქართული საელჩოს დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად ჩარიცხვა [საქართველოს სრულუფლებიანი... 1997:53-54]. თუმცა საფრანგეთის დამოუკიდებულება ქართული საკითხისადმი იცვლებოდა იმის მიხედვით თუ რას კარნახობდა მას საერთაშორისო მდგომარეობა და სახელმწიფო ინტერესები. 1922 წლის ბოლოს საფრანგეთმა რურის ოლქი დაიკავა, რასაც მოკავშირეების ინგლისისა და აშშ-ს მთავრობების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა [ცხოვრებაძე... 1997:49]. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა გატულდა, ის დიპლომატიურ იზოლაციაში მოექცა, ამის შემდეგ საფრანგეთის მთავრობა საქართველოს საკითხის დასმას და მხარდაჭერას ერიდებოდა. ამავე დროს საფრანგეთში დაიწყო მოსკოვთან დაახლოების კამპანია, პრემიერ-მინისტრ ერიოს ხელმძღვანელობით, რასაც მოჰყვა 1924 წ. საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და მისი დე იურედ აღიარება [ეროვნული არქივი... ფ.1864. საქმე 762:1-3]. თუმცა, საფრანგეთის მთავრობა აცხადებდა, რომ არ უარყოფდა უკვე ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს დე იურედ ცნობას და კვლავ განაგრძობდა დიპლომატიურ ურთიერთობას ქართულ საელჩოსთან [ზურაბიშვილი... 1936: 44-45].

ამგვარ არახელსაყრელ საერთაშორისო მდგომარეობაში უწევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს დეოკუპაციის საკითხის დასმა და სუვერენიტეტის აღდგენისათვის დიპლომატიური ბრძოლა.

საქართველოს მთავრობის საქმიანობა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა. ეს იყო: 1. საქართველოსა და საქართველოს საკითხის გაცნობა საერთაშორისო საზოგადოებისთვის; 2. საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ოკუპაციის და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ცრუ ინფორმაციის გაბათილება; 3. საერთაშორისო მაშტაბით, ევროპაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციებზე და ერთა ლიგაში საქართველოს საკითხის დაყენება; 4. ევროპის სიციალისტურ პარტიებთან თანამშრომლობა.

მთავრობის მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საქართველოს გაცნობა და მისი არსებობის შესახებ ცნობების გავრცელება ევროპაში, ამ მიზანს ემსახურებოდა საგანგებო სტატიები, ბროშურები საქართველოს ისტორიის, კულტურის, სუვერენიტეტის შესახებ (ეროვნული არქივი... ფ.1864, საქ.566), სიტყვით გამოსვლები პარტიების ყრილობებზე და საპარლამენტო სხდომებზე.

საქართველოს ოკუპაციის შესახებ ევროპაში მყოფმა საბჭოთა რუსეთის დიპლომატებმა გიორგი ჩიჩერინის ხელმძღვანელობით გაავრცელეს ინფორმაცია თითქოს საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა მუშათა და გლეხთა აჯანყებით, ხოლო წითელი არმია დაეხმარა „მშრომელ ხალხს“. მთავრობის წევრები და ელჩი აკაკი ჩხენკელი ყველანაირად ცდილობდნენ გაებათილებინათ საბჭოთა მთავრობის ვერსია თითქოს ქართველმა ერმა თვითონ მოისურვა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოყვანა და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება [გვარჯალაძე... 1936:42]. ამ მხრივ მთავრობის საქმიანობა ნაყოფიერი იყო. ევროპის საზოგადოებრივი აზრი დადებითად იყო განწყობილი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მოთხოვნათა მიმართ. ევროპულ პრესაში იბეჭდებოდა სტატიები, სადაც საქართველოსში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ბოლშევიკური რუსეთის მიერ სუვერენული ქვეყნის დაპყრობად იყო შეფასებული და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპაში მებრძოლი ქართული ძალებისადმი მხარდაჭერა იყო დაფიქსირებული [ეროვნული არქივი... ფ.1864. საქ.683]. ევროპის ქვეყნების ოფიციალური წრეები და ერთა ლიგაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებას ოკუპაციად აფასებდა და არა შიდა გადატრიალებად.

1922 წელს დაიწყო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური იზოლაციიდან გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე, ეს პროცესი საფრანგეთის ქალაქ კანში მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციაზე (მიმდინარეობდა 1922 წ. 6-13 იანვარს) დაიწყო, სადაც უნდა განეხილათ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული მომავალი გენიუს კონფერენციის მოწვევის პირობები. აქ პირველად საერთაშორისო მაშტაბით დაისვა საქართველოს საკითხი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, რომელმაც უცხო ძალის ოკუპაცია განიცადა. 1922 წლის 6 იანვარს კონფერენციის ეკონომიკურ კომისიას

აკაკი ჩხენკელმა წარუდგინა ნოტა. მასში საუბარი იყო ევროპის ეკონომიკური აღდგენის საქმეში თავისუფალი კავკასიის მნიშვნელობაზე. ელჩი მიიჩნევდა, რომ საქართველოს საკითხი უნდა განხილულიყო რუსეთის საკითხისაგან განცალკევებით. ნოტა მთავრდებოდა მოთხოვნით, ევროპის სახელმწიფოებს რუსეთისათვის წინაპირობად წამყენებინათ ჯარების გაყვანა კავკასიიდან და მომავალ კონფერენციაზე დაეშვათ ამ რეგიონის სახელმწიფოთა კანონიერი მთავრობების დელეგატები. აკაკი ჩხენკელის გარდა მსგავსი შინაარსის შემცველი ნოტები გაავრცელეს კონფერენციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა [თავისუფალი... №15, 1922:8-9]. კანში საქართველოს საკითხი დააყენა საფრანგეთის წარმომადგენელმა არისტიდ ბრიანმა, მას მხარი დაუჭირეს იტალიისა და ბელგიის პრემიერებმა, წინააღმდეგობა გაუწია ინგლისის წარმომადგენელმა ლოიდ კერზონმა [ცხოვრებაზე...1997:65-66]. კანის კონფერენციაზე ქართულმა დიპლომატიამ მარცხი განიცადა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უარი უთხრეს გენუის კონფერენციაში მონაწილეობაზე, იმ მიზეზით, რომ საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით აზიას მიეკუთვნებოდა, მომავალი გენუის კონფერენცია კი ევროპის ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა.

1922 წლის 6 იანვრის ნოტის შინაარსს იმეორებდა აკაკი ჩხენკელის 22 იანვრის ნოტა, გადაცემული რუმინეთის, პოლონეთის, ფინეთის, ლიტვისა და ლატვიის სახელმწიფოებისათვის, სადაც ის კვლავ საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას და მომავალ გენუის კონფერენციაზე დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლების დაშვებას მოითხოვდა, თუმცა კვლავ უშედეგოდ [თავისუფალი... №18, 1922:16-17].

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მცდელობის მიუხედავად დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლობა გენუაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე (მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 18 მაისის ჩათვლით) ოფიციალურად არ მიუწვევიათ, თუმცა ქართული დელეგაცია გენუაში მანც ჩავიდა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი, წევრები ირაკლი წერეთალი, სიმონ მდივანი, გრიგოლ ვეშაპელი, ზურაბ ავალიშვილი. ისინი ცდილობდნენ კონფერენციის მონაწილეთათვის ეცნობებინათ რეალური ფაქტები, საქართველოში მიმდინარე მოვლენების (სვანეთის აჯანყება, რეპრესიები) შესახებ, რითაც აბათილებდნენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა განცხადებებს, თითქოს ქართველი ხალხი კმაყოფილი იყო ახალი მმართველობის დამყარებით [თავისუფალი... №22, 1922:2-3]. საბჭოთა რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ჩიჩერინმა მოითხოვა კონფერენციაზე საბჭოთა საქართველოს დელეგატად დაეშვათ ბუდუ მდივანი, ამას აკაკი ჩხენკელის არაერთი საპროტესტო მიმართვა მოჰყვა [თავისუფალი... №22, 1922:4], ქართველებს მხარი კვლავ საფრანგეთმა დაუჭირა, რის შედეგადაც ჩიჩერინის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა [თავისუფალი... №22, 1922:7]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობა გენუის კონფერენციაზე არ მიიწვიეს, თუმცა ქართული დიპლომატიის მცდელობის შედეგად კონფერენციაზე არც საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი დაუშვეს.

გენუაში განცდილი მარცხის მიუხედავად საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ და ელჩმა საქართველოს დეოკუპაციის საკითხის დაყენებისთვის 1924 წლის 16 ივლისიდან 16 აგვისტომდე ევროპაში მიმდინარეობდა ლონდონის კონფერენციას მიმართა. კონფერენციაზე წაიკითხეს დამკომის მემორანდუმი საქართველოში მიმდინარე რეპრესიების შესახებ და სთხოვდნენ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირისათვის მოეთხოვათ საქართველოდან ჯარების გაყვანა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა.

პირველი რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს დეოკუპაციის საკითხს ერთა ლიგის წინაშეც აყენებდა. საქართველო ერთა ლიგის წევრი არ ყოფილა თუმცა ჰყავდა თავის წარმომადგენელი ხარიტონ შავიშვილი, რომელიც ამ ორგანიზაციაში საქართველოს უფლებებს იცავდა. დეოკუპაციისა და დახმარების თხოვნით ერთა ლიგას დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ პირველად 1922 წელს მიმართა, ერთა ლიგის გენერალურ ანსამბლეს გადასცეს მემორანდუმი, სადაც საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდნენ. 1922 წლის სექტემბერში ჟენევაში გამართულ ერთა ლიგის ყრილობაზე იმსჯელეს საქართველოს საკითხზე და მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღეს. ერთა ლიგამ საქართველოს დეოკუპაციის მოთხოვნის რამდენიმე რეზოლუცია მიიღო, მისი წევრები საჯარო გამოსვლებშიც თანაგრძნობას გამოხატავდნენ საქართველოს მიმართ.

საერთაშორისო კონფერენციებსა და ერთა ლიგაში საქართველოს საკითხის დაყენების გარდა ემიგრაციაში წასული მთავრობა ცდილობდა ევროპელი სოციალისტების დამხმარებას მიეღოთ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისგან შედგებოდა, აქტიურად მუშაობდა ევროპელ სოციალისტებთან. ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის და კარლო ჩხეიძის ოფიციალური მიმართვების შემდეგ საქართველოს სუვერენიტეტის მხარდამჭერი და საბჭოთა რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგო რეზოლუციები მიიღეს ინგლისის პროფესიულმა კავშირმა, ინგლისის მუშათა პარტიამ, ბელგიის, პოლონეთის, გერმანიის, ჰოლანდიის და საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიებმა, მეორე ინტერნაციონალმა [კირთაძე... 1997:213]. ევროპელი სოციალისტების მხრიდან საქართველოს საკითხს სრული მხარდაჭერა ჰქონდა. თუმცა, სამწუხაროდ, სოციალისტური სოლიდარობა მხოლოდ მორალურად თუ გაამხნევედათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, სხვა მხრივ მათ სიტყვიერ მხარდაჭერას და საპროტესტო რეზოლუციებს რეალური შედეგის მოტანა არ შეეძლო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საქართველოს მთავრობის მიერ წარმოებული დიპლომატიური ბრძოლა 1933 წელს დასრულდა. ამის მიზეზი იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ ქართული საელჩოს აკრედიტაციის გაუქმება. 1933 წ. საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა თავდაუსხმელობის პაქტი, რომლის მე-5 მუხლი არაპირდაპირ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მისი საელჩოს საქმიანობას შეეხებოდა. კერძოდ ხელმომწერი მხარეები ვალდებული იყვნენ პატივი ეცათ მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტისათვის, არ დახმარებოდნენ და თავის ტერიტორიაზე არ შეეფარებინათ ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც მიზნად ექნებოდა მეორე მხარის წინააღმდეგ ბრძოლა. საფრანგეთის პარლამენტში ამ პაქტის რატიფიკაციასთან დაკავშირებით საქართველოს საკითხიც დაისვა. პარლამენტმა არ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირისადმი ქართული საელჩოს პრეტენზიებს და იგი ჩათვალა „ნაკლები მნიშვნელობის“ საკითხად, რომელსაც არ შეეძლო დაებრკოლებინა ორი დიდი სახელმწიფოს შეთანხმება. ფრანგი დეპუტატის — რენოლდის განცხადებით: „ზოგჯერ დიდი სზოგადო აქტების წინაშე კაცი იძულებულია თავის პოლიტიკაში დათმოს მისი ნაკლები მნიშვნელობის ნაწილი“ [ზურაბიშვილი... 1936: 64]. საქართველოს წარმომადგენლობამ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 მუხლის შესახებ თავისი მოსაზრება წარუდგინა, მაგრამ უშედეგოდ. 1933 წ. მეორე ნახევრიდან საქართველოს პირველი რესპუბლიკის საელჩო პარიზში გაუქმდა, ის უკვე ოფიციალურად ამოშალეს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა სიიდან.

1939 წ. პარიზში ანჩინის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წიგნში „სახელმწიფო და ერი“ ელჩი აკაკი ჩხენკელი წერს: „მძიმე და სახიფათო გამხდარა პატარა სახელმწიფოთა მდგომარეობა, მათი თავისუფლება და დამოუკიდებლობა თითქმის ქვიშაზე დაწერილი გამოდგა. როგორც საშუალო საუკუნეებში ისინი „ვასალებად“ ქცეულან... „დიდები“ სწყვეტენ, „პატარები“ ემორჩილებიან“ [შარაძე... 1991:82].

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მუშაობამ ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის შედეგი ვერ გამოიღო. ამის მიზეზი საერთაშორისო მდგომარეობა იყო, რომელიც უგუნებელყოფდა ქართულ საკითხს — ევროპის სახელმწიფოები შეგნებულად უვლიდნენ მას გვერდს. მიუხედავად მარცხისა დემოკრატიული საქართველოს მთავრობა აკეთებდა იმ დროისათვის შესაძლებლობის მაქსიმუმს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. აკაკი ჩხენკელის დეპეშა, ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. №22, პარიზი. 1922
2. ასათიანი სოსიპატრე. მცირე მოგონებანი, ჟურნალი „კავკასიონი“. №13. პარიზი. 1968
3. აშშ-ი და საქართველო (საუბარი ნ. ჟორდანიასთან). ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. №13. 1921
4. გვარჯალაძე კონსტანტინე. 1936. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში. პარიზი
5. ევროპა და საქართველოს საკითხი, ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. №6. 1921
6. ზემო-სილეზიაში, ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. №5. 1921
7. ზურაბიშვილი ივანე, 1936, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი
8. კირთაძე ნესტან. 1997. ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო. თბილისი
9. მემორანდუმი 11 აპრილს გადაცემული გენუის კონფერენციისათვის. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. №22, 1922
10. ნოტა, გაზეთი „თავისუფალი საქართველო“. №18. 1922
11. საუბარი აკაკი ჩხენკელთან, ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ დამატება. №8. 1921
12. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864. ანაწერი 2. საქმე 566
13. საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864. ანაწერი 2. საქმე 683
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქ. 762
15. საქართველოს საკითხი გენუაში, ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, №22, 1922
16. საქართველოს საკითხი კანის კონფერენციაზე. ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. №15. 1922
17. საქართველოს სრულყოფილებიანი ელჩის მემუარი დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წწ. წიგნში ნ. კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობანი. თბილისი. 1997
18. შარაძე გურამ. 1991. უცხოეთის ცის ქვეშ. ტ.1. თბილისი
19. ცხოვრებაზე გოგი. 1997. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წწ. თბილისი

SHORENA MURUSIDZE

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscript

**ACTIVITIES OF THE GOVERNMENT OF THE FIRST
DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA FOR THE RESTORATION
OF INDEPENDENCE IN EMIGRATION (1921-1933)****SUMMARY**

This article describes actions of the government of the Democratic Republic of Georgia in Europe for regaining independence of Georgia. Claim for the restoration of sovereignty of Georgia had a sound legal basis. Its independence was de jure recognized by 21 countries of the world, including Soviet Russia. The country had the legislative authority elected through universal elections and legitimate government. It had the constitution. The government, irrespective of the attempts from the side of Bolsheviks has not signed the act of capitulation.

Activities of the government of Georgia for regaining of independence included a number of areas. These included: 1. Familiarization of the international community with Georgia and Georgian issues; 2. Rebutting false information about the occupation of Georgia by the Soviet Union and ongoing events in the country; 3. Attempts of putting the issue of Georgia on agenda at international level, at the international conferences in Europe and the League of Nations; 4. Collaboration with the European socialist parties to aim their support.

The international situation was quite unfavorable for diplomatic work of the government of the first republic. Outcomes of World War I turned out to be devastating for the European economy. More and more European politicians shared the opinion that for the economic revival of Europe was required Russian's raw materials and market. It was also apparent that the defeat of the Soviet rule in the nearest future was impossible.

Efforts of the democratic government of Georgia were unsuccessful. Cause of this was the international situation the world neglected the issue of Georgia – European states intentionally avoided it. Irrespective of failure, the government of democratic Georgia have done as much as they were able at that time.

ნაგო სონულაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართული კოლიჯიკური ემიგრაციის მოღვაწეობა

(XX საუკუნის 20-იანი წლები)

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობის შესწავლას გარკვეული ადგილი უკავია და ამ პრობლემას არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მოვლენებზე, როდესაც საქართველოდან წასული პოლიტიკური ემიგრაცია აქტიურად ცდილობდა ქვეყნის სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანას და დასავლეთის დარწმუნებას საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობაში.

ვიდრე უშუალოდ სტატიის ძირითად ნაწილზე გადავიდოდე, საინტერესოა განისაზღვროს, რა გარემოებებმა იქონია გავლენა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაზე?

ა) როგორც ცნობილია, ჯერ მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა რუსეთის დროს ხელისუფალთა მთავარი ამოსავალი მიზანი იყო კავკასიის და მათ შორის კონკრეტულად საქართველოს სრული დამორჩილება. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მეფის რუსეთი მიზანმიმართულად ცდილობდა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას საქართველოში და ამისთვის არ ერიდებოდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას. 117 წლის განმავლობაში რუსეთმა მოახერხა და საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია ქართული სახელმწიფო, რომელიც დაიმორჩილა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რელიგიურ-კულტურული კუთხითაც. ავტოკეფალიაგაუქმებული ქართველი სამღვდელთა ხელფეხშეკრული აღმოჩნდა და მიუხედავად წინააღმდეგობისა, რუსეთის ხელისუფლებამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუს ეგზარქოსებს ჩააბარა. ერთი სიტყვით, რუსეთის ხელისუფლებამ ყველა ღონეს მიმართა, რათა ქართველი საზოგადოება ეროვნული ცნობიერების შესუსტებით და სახელმწიფოებრიობის გაუქმებით საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია.

ვერც საქართველოს სამწლიანმა დამოუკიდებლობამ გამოიღო შედეგი და მცდელობისდა მიუხედავად, 1921 წლიდან უკვე საბჭოთა რუსეთის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის 117 წლის მმართველობიდან გამომდინარე საფუძველი უკვე არსებობდა და საქართველო კვლავ ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ბ) აქვე აღბათ განხილვა კითხვა: როგორი იყო საერთაშორისო ვითარება და რას აკეთებდნენ დასავლეთის სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად? საერთაშორისო საზოგადოების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1920 წელს საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგის წევრად. შესაძლოა, ერთა ლიგაში მიღებას რაიმე ქმედითი ნაბიჯები არც მოჰყოლოდა საქართველოსთან მიმართებაში, თუმცა დასავლეთის სახელმწიფოების უმრავლესობა გულგრილობას რომ იჩენდა ჩვენი ქვეყნის მიმართ, ამ მაგალითიდანაც ნათლად გამოჩნდა.

აქედან გამომდინარე, რუსეთს გზა ხსნილი ჰქონდა და ისიც შეჩერებას არ აპირებდა. „ევროპის ჟანდარმი“ უკვე კავკასიაში ახალი იდეოლოგიით, ახალი ძალებით პოზიციების განმტკიცებას იწყებდა.

როგორც აღვნიშნე, ქართველი ემიგრანტების ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად გაგრძელდა ემიგრაციაში წასვლის შემდეგაც. დასავლური სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არაერთგვაროვანი იყო. ილუზია იქნებოდა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს ევროპის მხრიდან აბსოლუტურ დახმარებაზე ეფიქრა, თუმ-

ცა იმედი თავიდან მაინც მეტი იყო. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს ცდა არ დაუკლიათ ყურადღების მისაპყრობად და დახმარების მოსაპოვებლად. ბუნებრივია, ქართული პოლიტიკური ელიტის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო, თუმცა ნელ-ნელა ისიც კარგად გააცნობიერეს, რა დახმარების სურვილი თუ შესაძლებლობა ჰქონდა ევროპას. რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი დასავლეთის მიმართ გადაჭარბებული მოლოდინი ჰქონოდა ქართულ ემიგრაციას, მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა მეტისმეტად დაძაბული იყო და თითოეული სახელმწიფო საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდა. საქართველოს სასარგებლოდ რადიკალური ნაბიჯის გადადგმას ის ფაქტიც აბრკოლებდა, რომ დასავლური საზოგადოება ნაკლებად იყო ინფორმირებული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შესახებ. ეს ვითარება განპირობებული იყო ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის არასათანადო მცდელობით (შესაძლებლობის ნაკლებობა) საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანა საქართველოს სახელი, ამას ემატებოდა საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებული აქტიურობა მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველო თავის შემადგენელ ნაწილად წარმოედგინა და დაერწმუნებინა ყველა საკუთარი მოქმედებების ლეგიტიმურობაში. ამას ნათლად ადასტურებს 1922 წლის 27 აპრილს საელჩოს მდივან სოსიპეტრე ასათიანის პარიზიდან გენუაში აკაკი ჩხენკელისთვის გაგზავნილი წერილი: „გრენარს ველაპარაკე გუშინ ტელეფონით საგარეო სამინისტროში (თქვენ იცით, რომ ის განაგებს რუსეთის შესახებ ინფორმაციის საქმეს და თუ გახსოვთ პერრეტი, მუდამ იმასთან ვგაგზავნიდა), რომ გამეგო თუ რამე ცნობები ჰქონდა ამ უკანასკნელი ამბების შესახებ ჩვენში – გამოირკვა, რომ მათ არავითარი, არც ოფიციალური და არც კერძო, გარდა იმისა, რასაც გაზეთში არ კითხულობენ, არ ქონიათ. დანარჩენ საკითხებზე მათთან ლაპარაკი, განსაკუთრებით ეხლა, სრულიად მეტია, მათ არაფერი არ ახსოვთ, გარდა გერმანიისა და რეპარაციისა – საერთოდ ყველა თავის ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს და ჩვენი ტრაგედია მათთვის უბრალო სიმპატიის გამომწვევი საგანია და მეტი არაფერი. ჩვენი გადარჩენა ისევ შიგნიდან და რაიმე შემთხვევითი საერთაშორისო კომბინაციიდან თუ შეიძლება, დანარჩენი ყველაფერი ფუჭია. ჯერჯერობით ჩვენთვის ხელსაყრელია კონფერენციის არევდარევა, თორემ თუ შერიგდნენ, მაშინ ჩვენი საქმე ცუდად იქნება, რადგანაც პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ექილიბრმა სიმპატიები არ იცის და ღმერთმა იცის ამ ექილიბრის აღსადგენად სად მიგვაკარავენ და ვის გადააყლაპვიებენ ჩვენს თავს. ამ ექილიბრის წყალობით იყო, რომ ჩვენზე ხუთმეტჯერ მეტი პოლონეთი სამჯერ გაიყვეს...“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №62: 4-5).

სოსი-პეტრე ასათიანი ამავე წლის 2 მაისს უგზავნის წერილს აკაკი ჩხენკელს, სადაც აღნიშნავს: „პირველ მაისს გარეშე საქმეთა მინისტრთან ერთად ვინახულეთ ბ. პერრეტი-დე-ლა-როკა – ჩვენი ამბების შესახებ, როგორც წინად გწერდით, მათ არავითარი ცნობები არ აქვთ, არც კერძო და არც ოფიციალური – ჩვენ გავაცანით უკანასკნელი ტელეგრამის შინაარსი და განუმარტეთ, რომ მოთმინებიდან გამოსული ხალხი მოუწოდებლად ადგა და იარაღით ებრძვის დამპყრობლებს, რამოდენიმე პროვინციები უკვე თავისუფალია. ... ჩვენს შეკითხვაზე – შეიძლება თუ არა ჩვენს ხალხს რაიმე დახმარება ექნეს თქო – მან ვერაფერი ვერ გვითხრა გარდა იმისა, რომ ჩვენი სიმპატია დიდი აქვთ და სრული ინსტრუქციები და მემუარი, როგორც ის შეგპირდათ თქვენ, გაუგზავნია დელეგაციისათვის. ... გარეშე საქმეთა მინისტრმა საკმაოდ განუმარტა, თუ რამდენად განსაცდელშია დღეს ჩვენი საკითხი და რომ თანახმად კანის რეზოლუციისა მომენტურად არის ჩვენს საკითხსაც შეეხონო, მან აღგვითქვა, რომ ყველა ნალაპარაკვეს გადასცემდა მთავრობის თავმჯდომარეს“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №62:6-7).

შედარებით დამაიმედებელი იყო ევგენი გეგეჭკორის შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტ პუანკარესთან. ეს ფაქტი კარგად არის აღწერილი ევგენი გეგეჭკორის წერილში აკაკი ჩხენკელისადმი, წერილი გაგზავნილია 1922 წლის 11 მაისს: „პუანკარემ გულდასმით მომისმინა და თვითონაც ბევრი გველაპარაკა. სულ აუდიენციამ 35 წუთი გასტანა. ზედმეტად მიმანია იმის გადმოცემა დაწვრილებით თუ მე რა უთხარი მას, რადგანაც შენ თვით იცი, თუ რას ვეტყვოდით. საინტერესოა მისი ნათქვამი. თავდაპირველად მან გვამცნო, რომ გენუიდან 8 მარტს დეპეშით მიიღო ცნობა, თითქოს ინგლისის დელეგაციას მიუცია წინადადება ფრანგებისათვის დაეშვათ კონფერენციაზე საქართველოს საბჭოთა დელეგაცია; რომ მან პუანკარემ, კატეგორიული უარი შეუთვალა ამაზე და ამ პოზიციაზე აპირებს იგი დარჩენას. Pact non aggression-ში ჩვენი შეტანის შესახებ იგი ჩვენს აზრს არ იზიარებს: მას გონია, რომ ეს ჩვენთვის მავნებელი და სარისკოა, – ვინაიდან თუ ერთხელ დავმორდით ამა თუ იმ სახით კანის გადაწყვეტილებას, შემდეგ ობიექტურად ძნელი იქნება შეჩერება და თუ შეიძლება შევეტოპოთ ისეთ მორევში, საიდანაც ამოძრომა შეუძლებელი გახდებაო. ჩვენ განმარტებაზე, რომ ან რუსეთის

საზღვრების აღნიშვნის დროს, ან სხვა მომენტში, შეუძლებელი იქნება სრულიად არ შეეხონ ამერიკაგეგმისას, საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს, ანუ რუსეთის საზღვრების არ აღნიშვნა და ისე კი მისი მოხსენიება, სწორედ ეს არის საშიშარი და მიუღებელი ჩვენთვის. ... მე ისე განუმარტე როგორც დამახასიათებელი მომენტი, რომ თვით ბოლშევიკები ვერ გრძნობენ თავიანთ თავს უზრუნველყოფილად ჩვენში, თუ ენერგიულად მოუჭირეთ ხელი, შესაძლოა საქართველოდან ჯარები გააყვანიო-თქვა. მითხრა, დელეგაციას შეუთვლი მოსინჯონ ამ მხრივ ნიადაგი, გამოარკვიონ რამდენად სერიოზულია ეს გარემოება. კარგად მოეწყო, რომ ეს ცნობა მისი ნახვის დღეს მოგვივიდა. ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა ეს მისთვის არ გვეცნობებინა. თქვენც კარგი გადაწყვეტილება მიგილიათ, ფრანგებს ეს არ დაუმალოთ. შესაძლოა პუანკარემ დაპირება არ შეასრულოს, აქედან არ აცნობოს ეს დელეგაციას, ამიტომ თქვენ იქ უნდა უთხრათ მაგათ. ჩემი მისი ნახვის მთავარი საგანი იყო, გამომერკვია, თუ დადგა ისეთი მომენტი, როცა საფრანგეთი ამკარად ხედავს საით არის ახლა რუსეთი, თუ ის, საფრანგეთი, ახდენს თავისი ძალების მობილიზაციას. ამიტომაც მე სწორად იმით დაეწყო, რომ გადავეცი მოკლე ანგარიში იმისა, თუ რა გაკეთდა საქართველოში ამ ხნის განმავლობაში. ერთი კია, რომ მან გულდასმით გასინჯა სქემა ჩვენი ფარული სამხედრო ორგანიზაციებისა, შემეკითხა დეტალებზე, ეტყობოდა ამით ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ოსმალეთის ხელისშემშლელ მოღვაწეობაზე თითქმის დაპირებაც მოგვცა, რომ ის ამას მხედველობაში მიიღებს, როცა საშუალება ექნება ამაზე იქონიებს მოლაპარაკებას. ისე კი მთავარ საკითხზე გადაჭრილი პასუხი არ მოუცია, ეს არც იყო მოსალოდნელი. ჩვენი საერთო მდგომარეობა ეხლა ასეთია. ჩვენ ომი არ გვინდა. ვხედავთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები ეშაბადებიან. თუ ბეკემა (ბოლშევიკები – ნ.ს.) აიღეს ამკარა აგრესიული ხაზი, ჩვენ, რასაკვირველია, მხარს დაუჭერთ იმათ, ვიზედაც ისინი იერიშს მიიტანენო. ამ შემთხვევისათვის, რასაკვირველია, საქართველო ანგარიშში გვყავს და მისმა მთავრობამ მუშაობა უნდა განაგრძოს. ამკარა იარაღით, თუ სხვა რითაც საჭირო იქნება დახმარებას მიიღებსო. აქნობამდის იქონიეთ ჩემდამი ნდობა, რომ არ დაუშვებ არავითარ კომპრომეტაციას თქვენი საერთაშორისო უფლები-საო“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №63:3).

1921 წლის 17 აპრილს ანდრია გუგუშვილი ლონდონიდან უგზავნის შემდეგი ხასიათის ინფორმაციას აკაკი ჩხენკელს: „აქაური მთავრობა რამდენადაც მე ვამჩნევ, ჩვენს საკითხს დიდის თანაგრძნობით უყურებს, ჩვენი დამოკიდებულება საქართველოსთან და მის ახლა საზღვარგარეთ მყოფ მთავრობასთან, როგორც უწინაც, ისე ახლაც მეგობრულიაო. ძალიან ახლო მომავალში ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებლად მიაჩნიათ. ჯერჯერობით აჯანყების იმედი როგორც საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში არ აქვთ. ბოლშევიკები ამ ჟამად ძლიერნი არიან და აჯანყებას მალე ჩააქრობენო. ამათ გონიათ, რომ ბოლშევიკები რუსეთში კიდევ კარგა ხანს გაძლებენ, მაგათი გადავარდნის იმედი, თუ კი თვით რუსეთში საერთო აჯანყება არ მოხდა, არ აქვთ. შესაძლებელია კავკასიის მეგობელთა შორის ასეთი განწყობილება დაარსდეს, რომ საქართველომ შეძლოს მით ისარგებლოსო. ამში ესენი გულისხმობენ ოსმალეთ-რუსეთის დამოკიდებულებას. ამის შესახებ მოლაპარაკება რამდენჯერმე მქონდა ლორდ კერზონისა და ლოიდ ჯორჯის მდივნებთან. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან მე ეხლა უკეთეს დამოკიდებულებაში ვარ, უფრო მეტი პირები გავიცანი და ყველა კარგად მეპყრობა, ცნობებს, როცა აქვთ, სიამოვნებით მაძლევენ. თვითონ მატყობინებენ ცნობებს. ყველა მეკითხება თუ რა გეგმები აქვს ჩვენს მთავრობას და რა იმედი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამათ არ აინტერესებთ ჩვენი საზღვარგარეთ პროპაგანდის გეგმები. ამათ აინტერესებთ ადგილობრივ საქართველოში მუშაობის გეგმები. დატოვეთ თუ არა იქ რაიმე ორგანიზაციაო. როგორია თქვენი პარტიის პოზიცია ახლაო“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №407:14).

1921 წლის 22 ივლისს ნოე ჟორდანიას წერილს უგზავნის საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს: „მთავრობამ დაადგინა საზღვარგარეთ წამსვლელთა რიცხვი მთავრობის ხარჯზე არ უნდა აღემატებოდეს 100-125 კაცს და ეს ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც საქართველოში დახვრეტა მოეღოს. მრავალი დარჩა, მაგრამ მრავალი წამოვიდა სტამბოლში, ასე რომ აქ თავი მოიყარა 800-მდე კაცმა, დიდი უმრავლესობა ისეთი, რომელსაც არასოდეს საქმე არ ექნია არც პოლიტიკასთან, არც ომთან, შემდეგ შეუდექით ამათ ისევ უკან დაბრუნებას, ჩვენ აქ არ გვესაჭიროება უსაქმო ქართველი.“

ახლა იკითხავთ, უეჭველია, რას ვაკეთებთ ჩვენ აქ. ჩვენ აქ დაგვხვდა მოსკოვის მთავრობის მიერ გავრცელებული ამბავი საქართველოში რუსის ჯარი არ არის, არავითარი ომი არ ყოფილა, აჯანყებულმა ხალხმა განდევნა მენშევიკური მთავრობა და აირჩია ბოლშევიკებისო. ამას ისე უტიფრად და დაჟინებით სწერდნენ, რომ ბევრს სჯეროდა. აქ მყოფი ჩვენი ამხანაგები ამ გასაშტერებელ ჭორს ებრძოდნენ, რასაკვირველია, უნდა გითხრათ, რომ ასეთ უტიფრობას და სილაჩ-

რეს ბოლშევიკებისგან არ მოველოდი. აქაურ კომუნისტურ პრესაში ჯერ სწერდნენ, წითელი ჯარი მიუახლოვდა თბილისს, აიღო თფილისი და სხვა. მაგრამ როცა ეს იმპერიალისტური თავდასხმა არ მოეწონათ, უცებ შეაბრუნეს ფეხი და სულ წინააღმდეგი ამტკიცეს. გაიმართა პოლემიკა თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალისტურ და ბოლშევიკურ გაზეთებს შორის ჩვენი საკითხის გარშემო – ე. ი. მართალია რუსის ჯარები მოქმედობს საქართველოში თუ ქართველი ხალხის აჯანყებაა? მოსკოვის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რევონსტრუქტორების კონფერენციაზე ვენაში საესებით უარყო თავდასხმა საქართველოზე, რის შედეგი იყო ამ კითხვის კომისიაში გადაცემა სიმართლის გამოსაძიებლად.

ჩვენ ჩამოსვლისთანავე მივიღეთ ზომები სიმართლის დასადგენად და მოსკოვის მთავრობის სიცრუის გამოსააშკარავებლად. უნდა ვთქვა, რომ ამ მიზანს ჩვენ დიდებულად მივალწიეთ“ (სსცსა, ფ. 2113, აღწ. 1, საქ. №31:41).

ემიგრაციაში წასვლის პერიოდიდან მოყოლებული ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობდნენ დასავლეთის დაინტერესებას საქართველოში, მის გაცნობას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, მისი საჭიროების გამოკვეთას და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევას. ეს საჭიროება მეტად დიდი იყო, რადგან დასავლური სახელმწიფოების წარმოდგენა საქართველოს შესახებ, პირველ ყოვლისა, საბჭოთა რუსეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარეობდა, ეს უკანასკნელი კი, ბუნებრივია, ყველა ღონეს ხმარობდა საკუთარი ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად. ქართველი ემიგრაციის წარმომადგენლებს შორის მიმოწერიდან ნათლად ირკვევა მათი აქტიურობა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გასაცნობად საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ნამდვილად აუცილებელი იყო, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, საბჭოთა რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი (უფლებების) სამართლიანობის დამტკიცებას და ხშირ შემთხვევაში არასწორი ინფორმაციის მიწოდებასაც არ თაკილობდა დასავლური სახელმწიფოებისთვის. ეს უპირველესად უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო საზოგადოება დაერწმუნებინა თავისი ქმედებების საჭიროებაში კავკასიასთან და კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში. რა მეთოდებს მიმართავდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ამ მდგომარეობის შესაცვლელად?

როგორც საარქივო მასალები, ემიგრანტული პრესა, მოწმობს ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები აქტიურად ცდილობდნენ საკუთარი უფლებების ლეგიტიმაციას, საქართველოს სახელის საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, დასავლელი პოლიტიკოსების და არა მარტო მათ დარწმუნებას საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაში. ეს პროცესი განსაკუთრებით გამოირჩეოდა XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციებზე, თუმცა ეს ძალისხმევა არც შემდგომ წლებში შენელებულა.

მართალია, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს შორის არსებობდა გარკვეული განსხვავება პოლიტიკურ მსოფლმხედველობას შორის, მაგრამ მიზანი ერთი იყო: დასავლური საზოგადოების დარწმუნება საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამ ქმედების საჭიროებას ადასტურებს გიორგი მაჩაბლის მიერ გაგზავნილი წერილი პარიზში 1922 წლის 3 იანვარს: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ჩვენი მთავრობის და ეხლანდელ გაბატონებულ შორის არის დიდი განსხვავება და ნამეტნავად ძირითად საკითხში ჩვენი მთავრობა, გარდა იმისა, რომ იგი არის მრჩეველი(თუ არჩეული?) მთელი ერის მიერ და ამიტომ გამომხატველი მათი სურვილისა, იგი არის მეტრძოლი სრული დამოუკიდებლობისა ამ ქვეყნისა იმ დროს, როდესაც ეხლანდელი ვაჟ-ბატონები არიან უბრალო აგენტები მოსკოვისა, დათარეშობენ მხოლოდ რუსის ჯარის დახმარებით და რუსეთთან შეერთების მომხრე არიან. ნათლად უნდა დაინახონ ევროპის სახელმწიფოებმა, ნამეტნავად ინგლისმა ეს განსხვავება. თორემ აქ თურმე ამბობენ: ჩვენთვის განა სულ ერთი არ არის, საქართველოში მენშევიკები იქნებიან, თუ ბოლშევიკებიო, მათ შორის დიდი განსხვავება არ არის. ამათი წარმომადგენელი ჩვენში ამგვარ მოხსენებებს აწვდიდა (თუ ეხლაც აწვდის?) თავიანთ მთავრობას და ჩვენ წარსულს წარმომადგენელს აქ ბევრი არ უბრუნია ეს ამბი გაექარწყლებია. აქ დიდი განსხვავება არის საჭირო. ამ მხრივ ჩვენი (მანდაური) ინფორმაციული ბიურო არაფერს თითქმის არ აკეთებს. არ გვაქვს ინგლისურ ენაზე (გარდა ლამბაშიძის წიგნაკისა) არც ერთი ბროშურა, საიდანაც შეეძლო ინგლისელებს წარმოდგენა ჰქონოდა ჩვენს ქვეყანაზე. არ არის რუქები, საიდანაც შეიძლებოდა ადვილად დაგვეჩვენებინა თუ რა დიდებული გეოგრაფიული ალავი უჭირავს ჩვენს ქვეყანას. ამისთანა რუქები გვექონდა თავის დროზე ბერლინში, ახსნით და აღწერილობით. იხვჭდება სქელ-სქელი წიგნები ორიოდე პირთათვის და უსაჭიროესისათვის კი არაფერი ყურადღება არ არის მიქცეული. მინდოდა ეხლა ზოგიერთ მნიშვნელოვან პირთათვის დამერიგებინა რაიმე ლიტერატურა და ჩვენს ლეგაციაში ვერაფერი ვერა ვნახე გამოსაყენებელი. მარტო ორიოდე ფრანგუ-

ლი სრულიად უმნიშვნელო ბროშურები. საჭიროა ამ საკითხს მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება. უნდა დაიბეჭდოს პატარა წიგნაკი ინგლისურ ენაზე, სადაც მოკლედ უნდა იყოს მოყვანილი საქართველოს აღწერილობა და უმთავრესი ნაწილი კი დათმობილი საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. რამდენიმე რუკა უნდა განმარტავდეს ამ აზრს. ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა, ვიდრე რუსეთის და ჩვენი საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდეს. კაუკასის ბროშურით პროპაგანდას ვერ გავწევთ“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №418 :13-14).

ამავე წლის 13 თებერვალს აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში გიორგი მაჩაბელი აღნიშნავდა: „ამ რამდენიმე დღის წინათ 5 საათი ველაპარაკე ჩვენს საკითხზედ ბოჯიანო-პიკოს, რომელიც იყო მოსკოვში გაგზავნილი იტალიის მთავრობის წარმომადგენლად და რომელიც დაბრუნდა იქიდან ერთ თვეზედ მეტია. იგი იქნება აგრეთვე გენუაში იტალიის დელეგაციის წევრად. მის წასვლის წინათ მე მას დიდხანს ველაპარაკე (ჩემი კარგი მეგობარია), რასაც თავის დროზე თქვენც გატყობინებდით. მოსკოვის კომუნისტების სათვალეებით ჩამოსულა. მთლად მათ უჭერს მხარს. ვერაფერი არ გუმენტები ვერ მოქმედობენ. თქვენთვისაც (ქართველისთვის) საუკეთესო გამოსავალია რუსეთის ფედერაციაში დარჩეთ. ან სულელია, თუმცა რა შეიძლება ითქვას მასზედ, ან ბოლშევიკებმა მასაც გამოატანეს პლატინის ქვაბი საჩუქრად. ხუთი საათის ბაასის შემდეგ, რომ ვერაფერს ვახდის, ვუთხარი: კარგად რომ არ გიცნობდეთ მეტეი, მეგონებოდა ბოლშევიკებმა მოგისყიდათ მეტეი. გუმინ ხელმეორედ შემხვდა და გაკვირით მითხრა: ბოლშევიკებს ჯარის გაყვანას საქართველოდან ნუ მოსთხოვთ, მათ სჭირიათ იქ ჯარები და არც გაიყვანენო. მოსთხოვეთ თქვენი დამოუკიდებლობის რუსეთთან დამოკიდებულების ჩამოყალიბება საერთაშორისო კონფერენციაზედო“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №418:18).

ჯერ კიდევ 1922 წლის 26 აპრილს აკაკი ჩხენკელი საქართველოს მთავრობას საერთაშორისო განწყობასთან დაკავშირებით საქართველოზე სწერდა: „იტალიის ოფიციალურ და უფრო კი არაოფიციალურ წრეებს შეფიქრიანება ეტყობათ რუსეთის მიმართ და ახლა უფრო ყურადღებით ეპყრობიან ჩვენს საკითხს. დღეს, მაგალითად, იტალიის პრესის წარმომადგენელმა კითხვა დაუსვა სამინისტროს წარმომადგენელს (ყოველ დღე თითოეული დელეგაცია აწვდის ინფორმაციას თავის პრესას), როგორ უყურებთ საქართველოს კითხვას _ პასუხი: ეს კითხვა პირდაპირ არ უდგას კონფერენციას, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სტატუსი, როგორც ჩვენს მიერ ცნობილი, ხელუხლებელი უნდა დარჩესო. მეორეს მხრით, სენატორი კონტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კავკასიის საკითხში, მას მინდობილი აქვს მისი დამუშავება და ის კი გვარწმუნებს, რომ სრულიად ჩვენს მხარეზეა. ასევე დაინტერესებული არიან ზოგიერთი დეპუტატი და თითქმის მთელი პრესა ჩვენდა სასარგებლოდ. შანცერს ყოველდღე ელაპარაკება ვინმე ჩვენს შესახებ, რა თქმა უნდა, მთავრობა არაა ჯერ კიდევ მთლად სანდო, მაგრამ საზოგადო აზრი ჩვენს მხარეზეა“ (სსცსა, 3. 1831, აღწ. 2, საქ. №61:9). საფრანგეთთან დაკავშირებით აკაკი ჩხენკელი აღნიშნავს: „რამდენი კარგი შემთხვევა გაუშვეს ფრანგებმა ხმა ამოვლოთ ჩვენს შესახებ, პირობებიც ხელს უწყობდა, რადგან თითქმის ყველა დელეგაციები ჩიჩერინი (აკლია რამე?) ბესარაბიაზე თავის პრეტენზიებს აცხადებდა, ბარტუს შექმლო საქართველო ეხსენებია. პრესის ხალხი გასაქანს არ აღწევს რაკოვსკის, წამდაუწუმ საქართველოს მაგალითს აჩრის. რუსებისათვის მემუარი _ ულტიმატუმი რომ მზადდება, ძალიან კარგად შექმლოთ ფრანგებს ეხსენებიათ საქართველო პირველი მუხლის განხილვის დროს. აქ რუმინის წინადადებით, ჩართულია უზრუნველყოფა სტატუს ქოუ ტერიტორიალ, საქართველო რომ დაკავებულია, ეს არ ახსენა არავინ და არ მოითხოვა ამ უსამართლობის გასწორება“ (სსცსა, 3. 1831, აღწ. 2, საქ. №61:12).

საინტერესო ინფორმაციის შემცველია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის, კონსტანტინე გვარჯალაძის, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რეფეტ ფაშასთან შეხვედრა. „კ. გვარჯალაძე: თქვენო აღმატებავ! მე წარმოვადგენ აქ საქართველოს იმ აზრს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა და თავგამოდებით იცავს მას. თქვენ ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ეხლა დიდ ცდაში არიან საქართველოს დამოუკიდებლობას სრულიად მოუღონ ბოლო და ის რუსეთის უბრალო პროვინციად გადააქციონ, როგორც ეს უკანასკნელი ამ ასი წლის განმავლობაში იყო. ჩვენ გვგონია და ღრმად გვწამს, რომ ოსმალეთი დაინტერესებულია _ მისი მებობელი ქვეყნები, როგორც საქართველო და ამერბაიჯანი, იყვნენ დამოუკიდებელი ქვეყნები. ქართველი ერი შეეცდება და ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავი არავის დაამონებოს და დარჩეს თავისუფალი. მე მაქვს ინსტრუქციები ჩემი მთავრობისაგან, ვიცით აგრეთვე აზრი ნაციონალურ კომიტეტისა, რომელიც აერთებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა პარტიებს და რომელიც იმყოფება თვით საქართველოში. მე მაქვს დავალებული ვიქონიო მჭიდრო კონტაქტი ოს-

მალეთის მთავრობასთან და ოსმალეთის საზოგადოებრივ აზრთან, ყველგან აქ ნიადაგი მოვამზადო და მით საქართველოს დამოუკიდებლობას მტკიცე ნიადაგი ჩაეყაროს.

რეფეტ ფაშა: მე გულწრფელად და ენერგიულად უნდა გაგიცხადოთ თქვენ შემდეგი: ჩვენ ვიცანით საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთიც. თუ ვინმეს შეაქვს რაიმე კორექტივი ამ ქვეყნების დამოუკიდებლობაში, ეს ჩვენ არ გვეხება, მათი წარმომადგენელიც (მაგალითად აბილოვი) არის ჩვენში და ამ ქვეყნებს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ, როგორც დამოუკიდებელი“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №110:1-2).

რუსეთთან მიმართებაში რეფეტ ფაშამ აღნიშნა შემდეგი: „რუსეთი დღეს კიდევ გვჭირია. მან ჩვენ ბევრი დაგვეხმარა. ინტერნაციონალური ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა კიდევ გამოურკვეველია და ამ პირობებში რუსეთს სიფრთხილით უნდა მოპყრობა. ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი რუსეთი ძველი რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას განაგრძობს. ამ მხრივ მას კავკასიაშიც უნდა შემოიტანოს ცვლილება. მაგრამ მე კიდევ ერთხელ გარწმუნებთ თქვენ, რომ ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველო, აზერბაიჯანი და თუ გინდაც სომხეთი“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №110:3).

1922 წლის 29 ნოემბერს კონსტანტინე გვარჯალაძე საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში აგრეთვე აღნიშნავდა: „ამ სამი თვის წინათ ჩვენ გავიცანით აქ ერთი ქართველი (ბათუმელი) ხოჯა, რომელსაც მასწავლებლის ადგილი უჭირავს სტამბულის ერთ უდიდეს ჯამეში. მან ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა: ქართული კარგად იცის, თავი ქართველად მიიჩნია და ჩვენი საქმისადმი დიდ ინტერესს იჩენს. მას ყავს მეგობარი, ოსმალეთის ჯარის პოლკოვნიკი, ტომით აფხაზი, აფხაზეთის და საქართველოს დიდი პატრიოტი... ხოჯამ და პოლკოვნიკმა წინადადება მოგვცეს თურქების გენერალურ შტაბის უფროსთან ფევიზ-ფაშასთან გავაბამთ კავშირს ჩვენი საქმის გამო. ფევიზ ფაშა თურმე აფხაზ-პოლკოვნიკის სკოლის ამხანაგი ყოფილა...“

შეხვედრისას ფევიზ ფაშამ აღნიშნა: „... ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი საქართველო, დამოუკიდებელი კავკასია. მაგრამ ეხლა ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლო მომენტია. ჯერ კიდევ „სისხლში ვცურავთ“. რუსეთი ძლიერ გვჭირია სანამ ზავს მივალწევთ. დღეს არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია თქვენთვის, ვერ ჩავიდნით ვერაფერს, რაც მათთან განწყობილებაში ხელს შეგვიშლის. ვერც ერთ საბუთს, ვერც ერთ დოკუმენტს ვერ მივცემთ ხელში. მათთან ხელშეკრულება გვაქვს, რომლის ძალითაც უნდა მივცეთ მათ ისინი, ვისაც მიუთითებენ ჩვენს ტერიტორიაზე, როგორც მათ წინააღმდეგ მომუშავეებს. ამას ნუ გვაქნებიან, გადაიმალოთ. ჩვენ არაფერი ვიცით, ვერაფერში დაგეხმარებით, როგორც კი ზავი ჩამოვარდება, ხელები გაგვეხსნება“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №110:7-8).

1927 წლის 6 მაისს ვლადიმერ ახმეტელისთვის აკაკი ჩხენკელის მიერ გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ შემდეგ ინფორმაციას: „ჰოფმანის მისიის შესახებ ლონდონში, ორი ქართველითურთ, ჩვენ უფრო დაბეჯითებით ვიცით, რომ ამას მართალა ჰქონდა ადგილი. საბლინიც ხომ საქართველოს სახელს ფარად იყენებდა. ესეც ცხადია ჩვენთვის. და ეს ხდებოდა ამ რიგათ: ვინაიდან საბლინი გარკვეული იყო იმაში, რამდენად რეალურად თვლიდნენ ლონდონში საქართველოს შეურიგებლობას მოსკოვის „კავშირში“ ყოფნასთან, ის გამოდიოდა ტაქტიკური მოსაზრებით, ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრედ და ამას კიდევაც სწერდა რუსეთის ყოფილ ელჩებს პარიზში, მათი უხუცესის გირსის საშუალებით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ინგლისი ხარჯსაც კი გაიღებს, და ყოველ ამას უკავშირებდა მონარქისტების მისწრაფებას ჩაითრიონ დიდი სახელმწიფოები ბოლშევიზმის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში (საბლინის მიწერ-მოწერა გასცა მათმა რწმუნებულმა ერთ-ერთმა სტუდენტმა). თქვენ ალბათ მიმხვდარი ხართ, რომ ინგლისში არ თანაუგრძობენ მარქსისტების მისწრაფებას და ეს იმ უბრალო მიზეზით, რომ ამაში ისინი ხედავენ ძველი მთლიანი რუსეთის აღდგენას. აი, რატომ უჭივრებათ მონარქისტებს, რომ ისინი არ შეებრძოლებიან საქართველოს აღდგენას, არც სომხეთისას, ხოლო კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებზე, ისე როგორც თურქისტანზე, უკრაინაზე, ბელორუსიაზე, ისინი უარყოფით პოზიციაზე დგანან“ (სსცსა, ფ. 1831, საქ. №388:14).

ისტორიის შეფასების პროცესში, ბუნებრივია, აუცილებელია ობიექტურობა და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე მოვლენათა შესწავლა. როდესაც საბჭოთა პერიოდის საქართველოს შესახებ ვწერთ, რა თქმა უნდა, რთულია გვერდი აუარო იმ ტრაგიკულ ეპიზოდებს, რომლებიც ხდებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მთელი 70 წლის განმავლობაში. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმმა თავისი დალი დაამჩნია საქართველოს და ქართველ საზოგადოებას. მაინც რა იყო საბჭოთა სისტემის მთავარი ამოსავალი პრინციპი?

ცხადია, საბჭოთა რუსეთის მოღვაწეობა და საერთაშორისო ასპარეზზე დასამკვიდრებლად ბრძოლა მხოლოდ 1921 წლიდან არ დაწყებულა და ამ ყოველივეს ჩანასახი უფრო ადრე ჰქონდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე გამოაჩინა თავისი აგრესიული სახე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებამდე. ის სტატუსი, რაც ჯერ კიდევ მეფის რუსეთმა მოიპოვა როგორც საშინაო, ასევე საგარეო სფეროში, მას საშუალებას აძლევდა თავისი ნებასურვილისამებრ ემოქმედა და ზოგ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოებისთვისაც მიეთითებინა, როგორ ეარსება, მოქცეულიყო ან განვითარებულიყო.

რატომ დაუშვა აშშ-მა თუ ევროპამ საბჭოთა რუსეთის აგრესიის როლში დამკვიდრება? რთულია ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემა ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე, თუმცა ფაქტი ერთია, 1921 წლიდან მოყოლებული 1991 წლამდე საბჭოთა ხელისუფლება დიდ როლს თამაშობდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების დაშლასა თუ დარეგულირებაში.

როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ, როდესაც საბჭოთა რუსეთი გამოდის ასპარეზზე, აშშ განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა, ის ჯერ კიდევ სრულიად არ იყო გამოსული ჯიშს მონროს მიერ მიღებული დოქტრინის დაცვისგან; მართალია, აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი აქტიურად ცდილობდა მიმდინარე მოვლენების მოგვარებაში (რეგულირებაში) გარკვეული როლი ეთამაშა, მისი პასიურობა მაინც აშკარა იყო, ვინაიდან პირველი მსოფლიო ომში მხოლოდ დასკვნით ეტაპზე ჩაერთო. აღბათ ისიც სავარაუდოა, რომ აშშ ფეხს ნელ-ნელა და მტკიცედ იკიდებდა. XX საუკუნის 20-იანი წლები კრიზისული იყო როგორც ევროპისთვის, რომელსაც პირველი მსოფლიო ომი ახალი გადატანილი ჰქონდა მთელი სიმწვავეთ, აგრეთვე აშშ-თვის, სადაც ეკონომიკური კრიზისი მძლავრობდა. X X საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და მსოფლიოსთვის კომუნიზმზე უფრო საშიში მტერი ფაშისტური გერმანია აღმოჩნდა. ამ ყოველივემ კი საბჭოთა სისტემის კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას შეუწყო ხელი.

საბჭოთა სისტემამ საქართველოს ოკუპაციიდან მოყოლებული განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით საბჭოთა ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა დასახული მიზნის მისაღწევად და ავტოკეფალიური ქართული ეკლესიის დასუსტებას. 1923 წლის 25 მაისს საქართველოს სოციალისტური პარტიების(?) დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვიდან ერთა ლიგისადმი საქართველოში მიმდინარე რეპრესიების შეწყვეტაში დახმარების შესახებ კარგად ჩანს ის სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ. გარდა ფიზიკური განადგურებისა, რუსეთი სპობს ერის კულტურას: ენას, მწერლობას, მხატვრობას და ყოველივე თავისუფალ შემოქმედებას; `ისპობა და ნიადაგება საუკუნეობით შექმნილი კულტურული ნაშთები. საქართველოში არ გაისმის არათუ თავი-სუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც არ შეუძლია: ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია და გაანადგურა ეკლესია-მონასტრები და მორწმუნე ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. განუკითხავად იდევნებოდნენ სარწმუნოების საუკეთესო წარმომადგენელნი. ხალხის სიმდიდრეს იტაცებენ და ითვისებენ შემოსული უცხო ელემენტები. ყველა წრის და პროფესიის ადამიანებს ავაზაკურად ძარცვავენ. ხალხის ნაოფლარით ოკუპანტები განცხრომაში ცხოვრობენ. არც ერთ მშრომელს, არც ერთ მწარმოებელს აღარ ეკუთვნის არც სიცოცხლე და არც თავისი ოფლით შექმნილი ღირებულება, ყველაფერს ოკუპანტების ხიშტებით იტაცებენ. ქალაქის მცხოვრებლები იმდენად დაბეგრული არიან, რომ უკანასკნელ საოჯახო ნივთებს ყიდნიან, რათა გადასახადები დაფარონ. ასეთივე მდგომარეობაშია გლეხობა, მთელი მისი ავლადიდება ოკუპანტების განკარგულებაშია და ის სულს ღაფავს გაჭირვებისგან. გლეხს, რომელიც არ ემხრობა ბოლშევიკებს, ყველაფერს ართმევენ: სახლსაც და სამუშაო ინვენტარსაც. წართმეულს ურიგებს თავიანთ მომხრეებს, ასეთივე მძიმე მდგომარეობაში არიან ქართველი მუშები, ციხეები (??) ერეკებიან ასობით სამშობლოდან. აძევებენ ყველას, ვინც თავის ქვეყნის მოღალატე არ არის და მოძალადეთა მომხრე არ არის. ოკუპანტები საშინლად აწამებენ მუშებსა და გლეხებს, რათა მათგან რეჟიმის მოწონება და მხარდაჭერა მიიღონ. ზოგნი ვერ უძლებენ მეოცე საუკუნის ინკვიზიციას. ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის თავდამსხმელს და იცავს თავის კულტურასა და დამოუკიდებლობას. ერთა ლიგისადმი მომართვა ქართველი ერისთვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი. განათლებული კაცობრიობის წარმომადგენლობა იხმინეთ ხმა კულტურულ პატარა ერისა. ეს ერი იჟლიტება ფიზიკურათ. ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი ეროვნული კერა“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №114:7). (აქ თავში სად იხსნება ბრჭყალი, ვერ ვნახე, ავტორის სიტყვებად ჩავთვალე და ვასწორე... ბოლოში კი არის ბრჭყ.)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოპულარიზაციას ემსახურებოდა საქართველოს უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრი, რომში მთავრობის წარმომადგენელი რაფიელ ივანიცკი-ინგილო. მისი საქმიანობა კარგად არის აღ-

წერილი მის მიერ აკაკი ჩხენკელისთვის გაგზავნილ წერილებში 1927-1928 წლებში. ერთ-ერთ მიმართვაში აღნიშნულია: „... მე მაინც ვსარგებლობ იმ გარემოებით, რომ გერმანული სამღვდლოების გავლენა დიდია ვატიკანში და მასში კი მე-გულეზიან კეთილისმსურველნი და მეგობარნი. ამ მხრივ ცდას არ აკლებს ვისბადენელი გავლენიანი ბენედიქტელი აბბატი გრაფ გალენი (ბენედიქტელები, როგორც ლიტურგისტები, ცნობილი არიან თავისი სიმპატიური განწყობილებით ორიენტალური ეკლესიისადმი. მათსავე ორდენს აწინდელი პაპის მიერ სპეციალი მინდობილობა აქვს მიცემული მუშაობის ეკლესიათა დაახლოებისათვის). გერმანელები მოქმედებენ სტატუს-სეკრეტარი კარდინალი გასპარის საშუალებით (სხვათა შორის ამათ გავლენას მიაწერენ პაპის განკარგულებას `აკსიონ ფრანსესის~ წინააღმდეგ) – უპირველესი იდეა, რაც ასულდგმულებს ჩემს საეკლესიო მუშაობას საზღვარგარეთ, არის საქართველოს ეკლესიის პოპულარიზაცია და შემოქმდილია თამამად ვთქვა, რომ როგორც უწინ გერმანიისა და ავსტრიაში, ეხლაც აქ – იტალიაში – ზოგი რამ ჩვენი ეკლესიის სასარგებლოდ გაკეთდა, ყოველ შემთხვევაში მის თანამგრძობთა რიცხვი იზრდება, ხოლო ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპერსპექტივოდ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჯოჯოხეთურ პირობებში ჩაყენებულნი ჩვენი ეკლესიის მმართველნი პრაქტიკულად მოკლებულნი არიან საშუალებას თვითონაც გააბან კავშირი აქაურ დაწესებულებებთან“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №309:4-5).

1928 წლის 20 თებერვალს რაფიელ ივანიცვი-ინგილომ რომის პაპს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღწერილია საქართველოს მძიმე მდგომარეობა საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ: „... რომ წარმოსადგენი გახდეს მთელი საშინელება საქართველოს ეკლესიის მდგომარეობისა, საკმარისია თუნდაც მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ საქართველოს დაპყრობის შემდეგ კომუნისტებმა ორი პირველი წლის მანძილზე გააუქმეს 500-ზე მეტი საყდარი, რომელთა უმეტესობა მათ მიერ შეგინებულ იქნა, ხელისუფლების სპეციალი დეკრეტით ეკლესიას წართმეული აქვს უძრავ ქონებაზე მფლობელობის უფლება. ამას გარდა, კომუნისტებმა ეკლესიის მოძრავი შენობის ექსპროპრიაციაც მოახდინეს „საეკლესიო განძეულობათა ჩამორთმევის“ სახით. ქართულ ეკლესიას აყრილი აქვს უფლება საკუთარი სასწავლებლების გახსნისა კულტის მსახურთა მოსამზადებლად, კომუნისტურ სკოლებში კი, როგორც ცნობილია, სწავლების სისტემა დამყარებული არის მატერიალისტურ-ათეისტურ პრინციპზე და მოზარდ თაობას სარწმუნოებისადმი მტრობა და სიძულვილი ენერგება. კომუნისტური ძალაუფლების ეს უკანონო მოქმედებანი და საზოგადოთ მათ მიერ გამოწვეული ცხოვრების უწყესობანი ჩამოთვლილია სპეციალ მემორანდუმში, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა 1922 წლის ჯენოვის (იგულისხმება გენუა – ნ. ს.) საერთაშორისო კონფერენციას რომ წარუდგინა.

გარნა ყოველივე ეს არ იქმნა კმასაყოფელად მიჩნეული: კომუნისტური ღვთისმგმობელი ხელი შეეხო განსაკუთრებულად პატივცემულ ცნობილ სარწმუნოებრივ ცენტრებსაც, რომლებიც უძველეს ჟამთაგან წარმოსადგენდნენ მთელი ქართველი ხალხის უღრმეს სასოებისა და თაყვანისცემის საგანს. მათ აიკლეს და გააუქმეს სხვათაშორის ორი უმეტესად გამოჩენილი მონასტერი: ბოდბისა (აღმოსავლეთ საქართველოში), სადაც ასვენია ცხედარი საქართველოს მოციქულის წმინდა ნინოსი (338) და მოწამეთისა (დასავლეთ საქართველოში); უკანასკნელში მთავრობის მიერ წაქეზებულმა ბრბომ შებიღწა განსასვენებელი მე-VIII საუკუნეში არაბთა მიერ წამებულთა არგვეთელთა მთავართა ძმათა დავით და კონსტანტინე“ (სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №309: 11).

1920-იანი წლები უფრო აქტუალურია შეიარაღებული(?) მოძრაობის თვალსაზრისით (მნიშვნელობით). ამასთან ეროვნულად მოაზროვნე ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების განმტკიცების პარალელურად საერთაშორისო საზოგადოების დახმარების მოპოვებას ესწრაფვის. ქართველთა ეს ნაწილი ნათლად აცნობიერებდა იმ სირთულეებს, რომელთა წინაშე იდგა საქართველო, ამიტომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მარტო ბრძოლა უმედეგო იქნებოდა. ეს ფაქტი მათ ნათლად ჰქონდათ გააზრებული. ქართული ემიგრაცია მაქსიმალურად ცდილობდა ევროპასთან კავშირის დამყარებას და ამ მიზნით ხშირი იყო ვიზიტები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მათი მთავარი მიზანი იყო საერთაშორისო საზოგადოება დაერწმუნებინათ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის უსამართლობაში.

მართალია, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სწრაფვა – დასავლეთთან ურთიერთობა დაემყარებინა – სასიკეთოდ დაგვირგვინდა 1918-1921 წლებში, მაგრამ ამას 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა მოჰყვა, შედეგად კი ეროვნული ხელისუფლება ემიგრაციაში წავიდა, მაინც მთელი 70-წლიანი პერიოდი ამ ორმხრივი კავშირის (დადასტურების) ნათელი მაგალითია. დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერები თუ მათი წარმომადგენლები ღიად და

ხაზგასმით აღნიშნავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობას, გამოხატავდნენ მხარდაჭერას ქართველი ემიგრანტების მიმართ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული საქართველოს განთავისუფლების გზაზე, უმთავრესად გამოხატული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობით, ეს იქნებოდა შეიარაღებული ფორმით თუ იდეოლოგიურად, ძირითადად საქართველოში თუ საზღვარგარეთ მყოფი ქართველების ერთიანობით გამოიხატებოდა.

როგორც აღვნიშნე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის 70-წლიანი პერიოდი განსხვავებული გამოწვევებით გამოირჩეოდა. საწყის ეტაპზე ქართველთა მიზანსა და ბრძოლაზე გარკვეული გავლენა იქონია ურთიერთობამ ერთა ლიგასთან, ასევე ჰააგის, გენუისა და ლოზანის კონფერენციებმა. XX საუკუნის 20-იანი წლები განსაკუთრებული აქტიურობით (გამომხატველობით) გამოირჩეოდა როგორც საქართველოში, სადაც ეროვნული მოძრაობის აღმავლობა შეინიშნებოდა, ასევე საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტებს შორის, რომლებიც I მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისა და ზემოაღნიშნული კონფერენციების საერთაშორისო კავშირების გამოყენებას ცდილობდნენ საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად. 30-იანი წლები შედარებით პასიურია საქართველოში, მთლიანად საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში მიმდინარე მასობრივი რეპრესიების ფონზე. ამის მიუხედავად, არ წყდება აქტიურობა ქართველ ემიგრანტებში საერთაშორისო არენაზე კონტაქტების გასაძლიერებლად და კავშირების განსამტკიცებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა II მსოფლიო ომის მიმდინარე და შემდგომი პერიოდი როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

დამოწმებული წყაროები:

1. საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სსცსა), ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №62
2. სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №63
3. სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №407
4. სსცსა, ფ. 2113, აღწ. 1, საქ. №31
5. სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №418
6. სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №61
7. სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №110
8. სსცსა, ფ. 1831, საქ. № 388
9. სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №114
10. სსცსა, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №309

NATO SONGULASHVILI

Georgian Technical University

GEORGIAN POLITICAL EMIGRATION**(20TH OF THE XX CENTURY)**

There are many scientific works dedicated to the Soviet system in the Georgian and foreign historiography, and accordingly there occur various positions and attitudes. Hence, it is difficult and at the same time necessary to view the issues related to this period from a different angle and carry out new, objective research, find comprehensive answers to various questions, which still necessitate investigation.

It is important to analyze Georgian political emigration. Georgian political elite try to improve the situation of Georgia.

The events, which had place in the period of 1921-1991, have often become the objects of scientific research and there is immense specialist literature in this regard. However, the time transforms the attitudes towards the facts, evaluation trends also change, and in a concrete period, it becomes necessary to reconsider and reveal the tabooed facts of history. The ideological survivals of the Soviet system still affect the mentality of the part of the post-Soviet society. This situation is favored by unilateral coverage of the information and the ignorance of definite historical sources by the wide circles of the society. The monographs of the Soviet times are mainly subjective and correspond to the standards of the ideology of the epoch.

STANISŁAW KOLLER

Institute of National Remembrance, Poland

ARCHIVE OF CIVIL SECURITY ORGANS OF THE POLISH PEOPLE'S REPUBLIC (OPERATIONAL RECORDS/ BUREAU "C" ARCHIVE OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS) IN THE YEARS 1944-1990: STRUCTURE AND FUNCTIONALITY

In the years 1944-1990, national civil and military security organs operated in the Polish People's Republic. Materials created by civil security organs were placed in a special archive, which was named (successively): Operational Records Archive – Operational Records Bureau – MSW Bureau 'C'. This archive had the status of a dedicated archive. It was subject solely to the successive ministers of civil security authorities, which were named in turn: the Department of Public Security (RBP) (1944), the Ministry of Public Security (MBP) (1945-1954), the Committee for Public Security (KdsBP)(1954-1956), and the Ministry of Internal Affairs (MSW)(1954-1990). From 1965, the files of the Citizens' Militia (MO) were also filed in these archives. The most important files included operational cases, initially filed in the Operational Registry Section of the Counter-intelligence Department. In the process of formation and development, this section in the Counter-intelligence Department grew to be an autonomous archive, that is, a Bureau with twelve divisions within the Ministry of Internal Affairs¹.

The Operational Records Archives (Bureau) – MSW Bureau "C" combined the functions of citizen registry with an archive. The operational archive constituted a detailed database of persons and matters that were of

¹ Regarding the functioning of security agency archives in PRL, see: A. Paczkowski, *Archiwa aparatu bezpieczeństwa PRL jako źródło: co już zrobiono, co można zbadać*, „Pamięć i Sprawiedliwość”, 2003, no. 1(3), pp. 9-21; P. Piotrowski, *Struktury Służby Bezpieczeństwa MSW 1975-1990*, „Pamięć i Sprawiedliwość”, 2003, no. 1(3), pp. 85-89; E. Zajac, *Wstęp do badań nad archiwami SB* [in:] H. Głębocki, *Policja tajna przy robocie. Z dziejów państwa policyjnego w PRL*, Kraków 2005, pp. 24-70; P. Milczanowski, *Specyfika struktury organizacyjnej Archiwum MSW* [in:] F. Musiał (Ed.), *Wokół teczek bezpieki – zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, Kraków 2006, pp. 221-229 [orig: „Zeszyty Historyczne WiN-u”, 2004, no. 22]; M. Komaniecka, *Dzienniki korespondencyjne, rejestracyjne, archiwalne i koordynacyjne aparatu bezpieczeństwa Polski Ludowej jako źródło historyczne* [in:] F. Musiał (Ed.), *Wokół teczek bezpieki – zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, Kraków 2006, pp. 263-280 [orig: „Aparat represji w Polsce Ludowej 1944-1989”, 2006, no. 2(4)]; M. Komaniecka, *Organizacja i funkcjonowanie kartotek ogólnoinformacyjnej i zagadnieniowej aparatu bezpieczeństwa* [in:] F. Musiał (Ed.), *Wokół teczek bezpieki – zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, Kraków 2006, pp. 231-262 [orig: „Zeszyty Historyczne WiN-u”, 2005, no. 23]; F. Musiał, *Zamiast wprowadzenia: archiwalia komunistycznego aparatu represji* [in:] F. Musiał (Ed.), *Wokół teczek bezpieki – zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, Kraków 2006, pp. 7-62; Z. Krupska, *Zarządzanie dokumentacją aktową w naczelnym organach bezpieczeństwa państwa i porządku publicznego w latach 1944-1990*, [in:] J. Bednarek, P. Perzyna (Ed.), *W kregu „teczek”. Z badań nad zasobem i funkcjami archiwum Instytutu Pamięci Narodowej*, Łódź-Toruń 2006, pp. 115-128; P. Perzyna, *Problematyka rozpoznania struktury zasobu i zespołowości akt cywilnych organów bezpieczeństwa oraz ich informatycznego opisu*, „Przegląd Archiwalny IPN” 2009, no. 2, pp. 13-52; K. Tylski, *Zasady funkcjonowania ewidencji operacyjnej Służby Bezpieczeństwa*, „Przegląd Archiwalny IPN”, 2013, no. 6, pp. 77-99.

interest to the Citizen's Militia and Security Service. The information gathered there became a valuable source of societal knowledge, which made it possible to totally control said society. The archive had its own specific structure. Access to data was reserved only for authorized persons and operational units. The database of people and events was gathered over decades, thanks to which it became a unique collection of files documenting both the activity of totalitarian power and the life of citizens in PRL in a specific manner.

The operational archive possessed its own Operational Records Division in the voivodeship headquarters of the Citizen's Militia. From 1945-1975 there were 17 voivodeship divisions; after the national administrative reforms and the creation of new voivodeships, 49 such divisions functioned from 1975-1990. The archive of central importance - Archive (Bureau) of the Operational Register / MSW Bureau 'C' – was located in Warsaw.

1. OPERATIONAL RECORDS IN THE DEPARTMENT OF PUBLIC SECURITY

The beginnings of operational records can be found in the Public Security Service of the Polish Committee of National Liberation (PKWN), headed by Gen. Stanisław Radkiewicz. The origins of the Operational Records Bureau (BEO) are seen in the counterintelligence unit in Section 8 (which started operating on 1 August 1944); at that time it gathered the personal data of informers cooperating with Nazi occupiers. Shortly after, they began to receive information about criminals, enemies of the new system and other persons. In August 1944, Warrant Officer Jan Deska² became the head of Section 8, in charge of special assignments.

ILLUSTRATION NO. 1

Capt. Jan Deska – head of RBP Counterintelligence Operational Records Section and subsequently head of Department I (operational records) in MBP Department II from 1944-1949.

Source: AIPN, 2545/143, Personal file of Prison Service officer: Deska, Jan.



On 9 September 1944, Deska sent out registration card exemplars to the existing Public Security Offices. In the cover letter sent with the cards was an order to individually register all persons who appeared in any operational materials acquired, signed by Capt. Roman Romkowski, head of the RBP Counterintelligence Committee. Carefully completed

² **Deska Jan** (1907–1980), security agency functionary, sub-lieutenant (1944), lieutenant (1945), captain (1946); from 1946 in PPR; from 1948 in PZPR; from 1932-1939 in the police; 1939-1943 in ZSRS as Stanisław Kleisen; from V 1943 in DP I (First Infantry), then in DP II (Second Infantry) in Berling's army; from V 1944 in NKWD training school in Kujbyszew; from 22 VIII, 1944 in RBP, acting director of MBP Department II, Division I; from 10 V 1946, head of MBP Department II, Division I, from 15 VII 1949, director of the Sentencing Registry Section of the Department of Corrections General Division; 1 VI 1950 discharged from MBP; from 1952 Division Inspector, Social-Administrative Department of the Presidium of the Warsaw National Council; from I 1954, director of the Supervisory and Training Board in the Penal Administration Department; from 1 I 1956, deputy director of the Penal-Tax Case Law Division, from 1 III 1960, director of the Military Division; from 1 IV 1961 director of the Social-Administration Department; 30 VI 1972 sent into retirement. AIPN, 2545/143, Akta personalne funkcjonariusza Służby Więziennej: Deska Jan; AIPN, 2174/1768, Teczka akt personalnych żołnierza: kapitan Deska Jan; AIPN, 0990/1, vol. 1, Rozkazy personalne MBP 1944, p. 16 [pdf]; AIPN, 0990/2, vol. 1, Rozkazy personalne MBP 1945, p. 246 [pdf]; AIPN, 2545/1077, Kopia wykazu ewidencji akt osobowych pracowników Centralnego Zarządu Więziennictwa, p. 4 [pdf].

cards were to be sent to RBP, where they would be used to create the so-called ‘Central Investigation Bureau’. This was the beginning of the creation of the ‘Background Information’ index file. A few days later, on 22 September 1944, Capt. Roman Romkowski issued Instruction No. 13, which defined how the cards had to be filled in for individuals who were detained, under observation, or on the list for other reasons. It was stipulated that the cards be treated as top-secret. The recommendation to bypass the official route of sending cards in ten-day intervals was a way to indicate their special significance. For the first time the instructions ordered the recording of a given person’s operational relationship to the security authorities. These registrations however, were not yet specially separated out and remained in a mass of other cards. Captain Romkowski issued ‘Supplementary Instructions’ in the form of an order on December 5, 1944. He defined precisely how a detained person should be dealt with, as well as repeating and refining instructions for completing the cards and the deadlines for sending them - this time through official channels - to Section 8 of the RBP. Index card files were created at all organizational levels - central, voivodeship, urban and UBP county³.

On 18 November 1944, Stanisław Radkiewicz, RBP head, issued a directive ordering the creation of a Records Repository in all Voivodeship and County Public Security Offices in accordance with the attached instructions.




ILLUSTRATION NO. 2.

Directive of RBP head Stanisław Radkiewicz from 18 XI 1944 regarding the creation of a file repository.

Source: AIPN, 01225/9, Public Security Authority Regulation from 1944, card 9.

The instructions stipulated that the files, after being used by regional units, were to be entered in the Records Repository and after ten years, they were to be sent to the RBP archive.⁴

³ See copy of the order of the RBP PKWN head from 5 XII 1944 regarding the sending of registration cards for anti-state offenders to RBP, B. Kopka (Ed.), *Księga bezprawia. Akty normatywne kierownictwa Resortu Bezpieczeństwa Publicznego (1944–1956)*, Warszawa 2011, pp. 61–62; AIPN, 02079/1, *Ewidencja Operacyjna Służby Bezpieczeństwa i Milicji Obywatelskiej 1944–1984*, Warszawa, wrzesień 1984, pp. 4–8.

⁴ AIPN, 01225/9, *Zarządzenie z dnia 18 XI 1944 r. kierownika RBP Stanisława Radkiewicza w sprawie utworzenia Składowic Akt we wszystkich Wojewódzkich i Powiatowych Urzędach Bezpieczeństwa Publicznego. Instrukcja z dnia 18 XI 1944 r. o prowadzeniu Składowic Akt w Wojewódzkich i Powiatowych Urzędach Bezpieczeństwa Publicznego*, p. 22.

2. OPERATIONAL RECORDS IN THE MINISTRY OF PUBLIC SECURITY

On 1 Jan 1945, the Ministry of Public Security (MBP), led by Gen Stanisław Radkiewicz, was established. The operational records cell was found in Division I (2nd Lt. Jan Deska remained as head) of Department II led by Col. Jan Snigir⁵: it was responsible for technical operational intelligence, mail interception, and records. In the organizational process, thirty-seven posts had been created in the Department by 22 June 1945 - three officer positions for management, five civilian positions for the secretariat, and twenty-nine positions for functionaries in three sections.

Section One's tasks included keeping records and files on the criminal element and compiling material for the Confidential Information Review (fifteen full-time positions).

Section Two was an archival cell for operational cases; it maintained a repository for case evidence and the personal belongings of detainees (seven full-time positions.)

Section Three dealt with the registration of investigative cases (seven full-time positions.)

In the Voivodeship Public Security Offices, the background information card files were placed in Section I of Division II, and in the County Public Security Offices - in Dept. II.

On 8 March 1946 Division I was increased by twelve full-time positions and the Fingerprint Technology Section was opened within it⁶.

From 1 April 1947, Col. Leon (Leiba) Rubinsztein began to fulfil the directorial responsibilities of Department II. On 1 April 1948, Division I increased in size from 49 to 98 full-time positions and a reorganization process started:

Section 1 – filing (without changes), other than increasing the number of posts to 49;

Section 2 – Fingerprint Technology, 24 full-time positions

Section 3 – the newly created directory and information network department, 8 full-time positions (due to the need to centralize the agent's registration);

Section 4 – records of arrested persons and operational archive, 17 positions⁷.

The directives and instructions of the Public Security (BP) minister regulated the work of the Ministry of Public Security operating units in MBP Department II and WUBP II divisions from 1945-1954.

The first of these, a temporary directive issued on 13 February 1945, concerned the acquisition of an agent-information network, work structure and records⁸.

On 31 August 1945 the Ministry of Public Affairs minister published directive No. 25, establishing the procedure for the use of background information card files by the operating and human resources system⁹.

⁵ Division I actually functioned from 1 January but was formally inaugurated 1 IV 1945 – up to that time it functioned as part of the RBP structure. The Directors of Department II were the following: Col. Jan Snigir – acting dir. 1 IV 1945–31III 1947 (Soviet officer, 30 IV 1947 returned to USSR); Col. Leon (Leiba) Rubinstein – acting dir. 1 IV 1947–9 XII 1949 dir. 10 XII 1949–13 I 1951; Col. Michał (Moses) Taboryski – acting dir. 11 I 1951–28 II 1955 r. *Aparat bezpieczeństwa w Polsce. Kadra kierownicza, vol. 1: 1944–1956...*, p. 79.

⁶ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 9–11.

⁷ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., p. 15.

⁸ Instrukcja (tymczasowa) [o] pozyskaniu, pracy i ewidencji agenturalno-informacyjnej sieci [in:] T. Ruzikowski, Instrukcje pracy operacyjnej aparatu bezpieczeństwa (1945–1989), Warszawa 2004, pp. 23–28. See also: A. Zieliński, *Instrukcja (tymczasowa) o pozyskaniu, pracy i ewidencji agenturalno-informacyjnej sieci z 13 lutego 1945 r. Analiza krytyczna dokumentu*, „Przegląd Archiwalny IPN” 2012, no. 5, pp. 129–190. Directive Nr 47 of the BP minister brought in certain changes, from 9 X 1948, regarding record keeping of the agent and information network. This mandated the registration of the agent and information network in the BP Voivodeship offices. There was no central directory of this network, however - it was only created in 1960.

⁹ Zarządzenie MBP nr 25 z 31 VIII 1945 r. w sprawie korzystania z Centralnej Ogólnoinformacyjnej Kartoteki i kartotek Wojewódzkich Urzędów Bezpieczeństwa Publicznego, B. Kopka (Ed.), *Księga bezprawia...*, pp. 119–120.

The instructions of the BP minister, “Regarding the Records of Investigation Files” appeared on 25 January 1946; these introduced, among other things, the obligation to fill out a personal questionnaire for detainees and those giving depositions, as well as transferring the forms to the appropriate record-keeping unit¹⁰.

By order No. 100 of the BP minister from 8 October 1946, Department I was commissioned to register facts disclosed regarding the illegal possession of a weapon¹¹.

BP deputy minister Gen. Mieczysław Mietkowski issued Directive No. 47, on 9 October 1948, to implement two instructions on 1 December: Instruction of 16 IX 1948 regarding the registration of the agent and information network of the Public Security Service operational units, and Instruction No. 47 of 16 IX 1948 regarding the management of agent-information network records for the Public Security Service operational units by WUBP Department II and Division II¹².

On 21 January 1949 MBP Department II director, Col. Leon Rubinsztein issued: Instruction no. 1 regarding the registration and verification of criminals and suspect elements in the PUBP and WUBP General Files, and in the MBP Central Register; as well as Instruction No. 2 for operational units regarding registration and verification in PUBP and WUBP General Files and in the MBP Central Register. In accordance with these, permission to manage Security Service (SB) and Citizens’ Militia general information files was held only by: UBP County and Urban Department II offices, WUBP and MBP Department II. The direct result of the directive was: 1) The centralization of operating records held only in specific SB units; 2) The transfer of files kept by MO to the SB (which meant the SB had simplified - without MO disclosure - access to criminal milieu); 3) The acceleration of card resource expansion¹³.

⁵ Division I actually functioned from 1 January but was formally inaugurated 1 IV 1945 – up to that time it functioned as part of the RBP structure. The Directors of Department II were the following: Col. Jan Snigir – acting dir. 1 IV 1945–31 III 1947 (Soviet officer, 30 IV 1947 returned to USSR); Col. Leon (Leiba) Rubinstein – acting dir. 1 IV 1947–9 XII 1949 dir. 10 XII 1949–13 I 1951; Col. Michał (Moses) Taboryski – acting dir. 11 I 1951–28 II 1955 r. *Aparat bezpieczeństwa w Polsce. Kadra kierownicza, vol. 1: 1944–1956...*, p. 79.

⁶ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 9–11.

⁷ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., p. 15.

⁸ Instrukcja (tymczasowa) [o] pozyskaniu, pracy i ewidencji agenturalno-informacyjnej sieci [in:] T. Ruzikowski, *Instrukcje pracy operacyjnej aparatu bezpieczeństwa (1945–1989)*, Warszawa 2004, pp. 23–28. See also: A. Zieliński, *Instrukcja (tymczasowa) o pozyskaniu, pracy i ewidencji agenturalno-informacyjnej sieci z 13 lutego 1945 r. Analiza krytyczna dokumentu*, „Przegląd Archiwalny IPN” 2012, no. 5, pp. 129–190. Directive Nr 47 of the BP minister brought in certain changes, from 9 X 1948, regarding record keeping of the agent and information network. This mandated the registration of the agent and information network in the BP Voivodeship offices. There was no central directory of this network, however - it was only created in 1960.

⁹ Zarządzenie MBP nr 25 z 31 VIII 1945 r. w sprawie korzystania z Centralnej Ogólno-Informacyjnej Kartoteki i kartotek Wojewódzkich Urzędów Bezpieczeństwa Publicznego, B. Kopka (Ed.), *Księga bezprawia...*, pp. 119–120.

¹⁰ AIPN, 01225/46, Instrukcja MBP z 25 I 1946 r. o ewidencji akt dochodzenia, p. 201–204 [pdf].

¹¹ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., p. 14.

¹² AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 11–17; Instrukcja MBP z 16 IX 1948 r. o ewidencji sieci agenturalno-informacyjnej jednostek operacyjnych Służby Bezpieczeństwa Publicznego, B. Kopka (Ed.), *Księga bezprawia...*, pp. 283–287; AIPN, 01225/68, Instrukcja MBP z 16 IX 1948 r. o prowadzeniu ewidencji sieci agenturalno-informacyjnej jednostek operacyjnych Służby Bezpieczeństwa Publicznego przez Departament II i Wydziały II WUBP, pp. 69–89 [pdf].

¹³ AIPN, 01225/72, Instrukcja MBP Nr 1 z 21 I 1949 r. o rejestracji i sprawdzaniu elementu przestępczego i podejrzanego w Kartotekach Ogólnych PUBP, WUBP, oraz w Kartotece Centralnej MBP, pp. 4–19 [pdf]; AIPN, 01225/72, Instrukcja MBP nr 2 z 21 I 1949 r. dla jednostek operacyjnych o rejestracji i sprawdzaniu w Kartotekach Ogólnych PUBP, WUBP, oraz w Kartotece Centralnej MBP, pp. 36–45 [pdf]; AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna...1984, pp. 18–20.

From 15 VI 1949¹⁴, Capt. Antonina Knebel-Taube¹⁵ became the director of Division I (dealing with operational records), taking the place of Capt. Jan Deska. Lt. Col. Michał (Moses) Taboryski took over the responsibilities as director of MBP Department II from 11 January 1951.



ILLUSTRATION NO. 3.

Capt. Antonina Knebel-Taube
– director of Division I (operational records) in MBP Department II from 1949–1955.

Source: AIPN, 0194/1083, Personal file SB functionary: Knebel-Taube Antonina.

On 15 August 1953, BP deputy minister Gen. Roman Romkowski signed Order No. 025/53 of BP minister Gen. S. Radkiewicz, entitled “Concerning the work of the public security apparatus with the agency network”, which implemented Directive No. 012/53 under the same title. Set out in seven chapters, the instructions defined: division of the agency network; organization and deployment of the agency network; principles of network recruitment (selection of candidates as agents, informers and residents; its development in terms of recruitment and the recruitment process itself); management style, training and proper use of the agent network; principles for organization of residencies; principles for the organization of safe houses; management and control of the operational system in agency work. The manuals include samples of ten different types of reports¹⁶.

¹⁴ That is what is given in the personal files. In the departmental study entitled ‘Operational Security Service and Citizens’ Militia Records 1944-1984’, the date 1 VI 1950 was given. See: AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., s. 14 [pdf].

¹⁵ **Knebel-Taube Antonina** (1910–?), security agency functionary, Captain. Clerk in Section 2, Division II of the MBP Head/Main Office of Censorship from 15 X 1946; from 1 XII 1946, clerk of Section 1, MBP Division I, Bureau ‘B’; from 1 IX 1947 Section director and acting head of WUBP Division ‘B’ in Wrocław; from 20 I 1948, assistant head and acting head of WUBP Division II in Wrocław; from 15 VI 1940 head of Division I, MBP Department II, from 1 IV 1955 head of Division II, Department X (KdsBP). <http://katalog.bip.ipn.gov.pl/informacje/70995> [access: 16 XI 2017].

¹⁶ Rozkaz MBP nr 025/53 z 15 VIII 1953 r. o pracy aparatu bezpieczeństwa publicznego z siecią agenturalną wraz z Instrukcją MBP nr 012/53 z 15 VIII 1953 r. o pracy aparatu bezpieczeństwa z siecią agenturalną. T. Ruzikowski, *Instrukcje pracy operacyjnej...*, pp. 29–46.

3. OPERATIONAL RECORDS IN THE PUBLIC SECURITY COMMITTEE

On the strength of the Decree of 7 December 1954, the Committee for Public Security Affairs (KdsBP), led by Władysław Dworakowski and the Ministry of Interior (MSW) with Minister Władysław Wicha, was appointed on December 9, 1954 in the place of the disbanded Ministry of Public Security. As a result of these changes, Department II found itself within the Committee for Public Security Affairs, where it remained under its existing name until March 1955. Changes in the ministry were to serve, among others, the improvement of work with the agent and information network, as evidenced by Directive No. 04/54 of KdsBP chairman Władysław Dworakowski from 28 December 1954¹⁷.

On the basis of the KdsBP Resolution of 11 March 1955 (Organizational Directive No. 019 /Org.), Department II was transformed into Department X of the KdsBP. In the process of reorganization, the legislature shaped the basic cells of the archive serving the records and archival work. Col. Jan Zabawski became the director from 1 June 1955 (in lieu of Michał Taboryski), and 128 positions were planned for the department.¹⁸



ILLUSTRATION NO. 4.

Colonel Jan Zabawski
Director, KdsBP Department X/Operational
Records Bureau/MSW Bureau “C” from 1955-
1979.

*Source: AIPN, 1010/466045, Passport file,
Catalogue Ref. EAWA: Zabawski Jan.*

¹⁷ Zarządzenie KdsBP nr 04/54 z 28 XII 1954 r. w związku osłabieniem pracy z siecią agenturalno-informacyjną, B. Kopka (Ed.), *Księga bezprawia...*, pp. 821–824.

¹⁸ **Jan Zabawski**, before 1939 Jan Garin, Mieczysław Wierzbicki (1910–1988), communist activist, security service functionary, Colonel. From 1928–1932 was at J. Marchlewski Communist University for National Minorities of the West in Moscow. From 1 VI 1946 assistant head of the MBP Independent Division for Functionaries; from III 1948 WUBP chief in Wrocław; from 1 IX 1951 Senior Inspector of BP Minister’s Inspectorate; from 1 XI 1951 director of MBP Department VIII, from 1 I 1955 director of KdsBP Department V; from 1 VI 1955 director of KdsBP Department V; from 28 XI 1956 director of MSW Operational Records Bureau; from 2 I 1960 – 17 XII 1979 director of MSW Bureau ‘C’. In the period from 10 IV – 7 V 1972 he was posted to agency work in France and Italy. Discharged from service 9 II 1988, died the same day. B. Kopka (Ed.), *Księga bezprawia...*, p. 803; <https://katalog.bip.ipn.gov.pl/informacje/61905?katalog=5> [access: 28 V 2018].

Department X was divided into:

Division I – record maintenance of active personal sources of information and active operational inquiries – 22 positions (enlarged soon after by 13 new posts);

Division II – the operational materials archive (in MBP this was Department I) – 34 positions (enlarged soon after by 11 posts), its head remained Captain Antonina Taube-Knebel;

Statistical and Reporting Department – 7 positions;

Card File Registry Department – 41 positions;

Military Section – 6 positions;

General Secretariat;

Printing house and shipping department – 9 positions¹⁹.

In the KdsBP's short period of operation, basically in the period of 11 months, one resolution was adopted and three directives and six instructions were issued regarding the following: principles of work with branch offices, conducting agency inquiries and operational records (registration of operational records, record keeping technology, branch office registration, work principles and the updating of general information files, the use of agent network files). This impressive legislative effort was to serve the development and improvement of security organ work in the sphere of current agent and operational activities.

4. OPERATIONAL RECORDS IN THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS

From 28 November 1956 the Committee for Public Safety was closed down and the Ministry of Internal Affairs, lead by Władysław Wicha since 1954, took over its functions from that time. On the strength of Directive No. 00238/5 of 27 November 1956, Department X received the name Operational Records Bureau (BEO). The current director of Department X, Col. Jan Zabawski became the new Bureau Director. After restructuring the Bureau had five divisions:

Division I – maintenance of personal and address files of the agent-information network, LK [safe contact locations], MK [safe houses] and drop boxes, as well as file maintenance and the registration of Department II and III operational matters (22 positions);

Division II – operational materials archive and the development of these materials for the needs of operational units, maintenance of a file archive of eliminated agent-information network, completed or abandoned operational matters, control and investigative files and material evidence, (44 positions);

Division III – maintaining general-information card files on the criminal element (42 positions)

General Division – organization of administrative and economic matters, supply of necessary materials, printing house (35 positions);

Division IV (from 1 November 1957) – assessments of people requesting to travel abroad (26 positions);

(Transitionally) the Special Reports Division (formerly – Statistical and Reporting Dept.) from 28 November 1956 to 31 December 1956 – merged with Division I from 1 January 1957.

At the voivodship level there were provincial Operational Records Departments (EO).

¹⁹ Uchwała KdsBP z dnia 11 III 1955 r. o zasadach pracy z agenturą, prowadzeniu rozpracowani agenturalnych i ewidencji operacyjnej, B. Kopka (Ed.), *Księga bezprawia...*, pp. 839–852; AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 21–22.




ILLUSTRATION NO. 5.

The Operational Records Archive Headquarters/ Bureau ‘C’ – Ministry of Interior Affairs on Rakowiecka St. in Warsaw (1970s) – entrance to section B from the east side (from Sandomierz street)

Source: AIPN PF, 2361/339 (‘With All the Austerity of the Law’ – training film, 1981)

In the Instruction regarding the work of the BEO MSW Archive (KWMO Operational Records Division), attached to Directive No. 00123/57 of 1 July 1957 from Antoni Alster, deputy minister of Internal Affairs, were the first formulated principles for operational archive cells regarding the handling of documentation eligible for permanent or temporary storage in the Archives of the Operational Records Office in the MSW Security Services operational units²⁰.

The scope of operational archive activities included: receiving documentation and operational files; keeping records in logbook and file formats of persons figuring in the accepted documentation; loaning files or making them available for inspection to authorized persons and units; providing information about persons on the basis of files contained in the archives; photocopying documents, transcripts, statements, summaries, etc.; the selective culling and destruction of documentation in the archives whose time limit for storage had passed; maintaining indexes by topic; conserving materials in the archives; and managing, inspecting and assisting in the work of archivists of the KWMO Operational Records Departments²¹.

In the early years of Bureau activity, card file collections were reorganized and topical card indexes were established; these functioned to 1983 in Division III (this function was then transferred to Division I)²².

On the strength of Directive No. 04/60, from 2 January 1960, issued by the minister of Internal Affairs, the Operational Records Bureau received the name Bureau ‘C’ and the KWMO operational records divisions were appropriately called ‘C’ Divisions.

The operational records work in MSW was shaped by further legislative acts. In order to better secure underground agency operations, on 29 June 1960, the Minister of Internal Affairs, Władysław Wicha, issued Directive No. 0117/60 regarding the establishment of the Central Registry of covert collaborators [TW], as well as safe houses and contact sites with the attached Instruction No. 04/60 in MSW Bureau ‘C’ TW

²⁰ AIPN, 0333/53, vol. 1, Instrukcja o pracy Archiwum BEO MSW (Wydziału Ewidencji Operacyjnej KWMO) stanowiąca załącznik do zarządzenia nr 00123/57 z 1 VII 1957 r. w sprawie postępowania z dokumentacją znajdującą się w jednostkach operacyjnych Służby Bezpieczeństwa MSW kwalifikującą się do trwałego lub czasowego przechowywania w Archiwum Biura Ewidencji Operacyjnej, prg. 1, p. 2, p. 44.

²¹ *Ibidem*, prg. 2, p. 44v.

²² AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 28–32.

registration method, owners of contact sites and safe houses as well as principles for the Central Registry for verifying and providing information²³.

A few days later, on 2 July 1960, Minister of Internal Affairs Władysław Wicha issued Directive No. 0121/60 in the matter of new regulations for essential measures and forms of Security Service operational work as well as Instruction No. 03/60 concerning the same matters²⁴.



ILLUSTRATION NO. 6.

One of the emergency exits in the Operational Records Archive (1986).

Source: AIPN, 02161/2 (*'Beatrice' – training film, 1986*)

Apart from the agency and the records of its work, the ministry did not overlook issues related to the registration of persons dangerous to the communist state. On 13 December 1961, the minister for internal affairs issued Directive No. 0206/61 regarding the category of persons subject to registration in the background information card files of MSW Bureau 'C' and KWMO 'C' Departments, to which document a detailed list of these persons was attached²⁵.

²³ AIPN, 01225/363, Zarządzenie nr 0117/60 ministra spraw wewnętrznych z 29 VI 1960 r. w sprawie utworzenia w Biurze „C” MSW Centralnej Kartoteki tajnych współpracowników oraz mieszkań konspiracyjnych i lokali kontaktowych, pp. 198–199 [pdf]; *ibidem*, Instrukcja nr 04/60 ministra spraw wewnętrznych z 29 VI 1960 r. o trybie rejestracji tajnych współpracowników, właścicieli lokali kontaktowych i mieszkań konspiracyjnych oraz zasadach sprawdzania i udzielania informacji przez Centralną Kartotekę, pp. 199–201 [pdf]. Instrukcja nr 04/60 została uzupełniona przez instrukcję dyr. Biura „C” MSW no. 05/60 z 22 IX 1960 r. o trybie rejestracji tajnych współpracowników, lokali kontaktowych, mieszkań konspiracyjnych, skrzynek kontaktowych, spraw operacyjnych i osób rozpracowywanych, sprawdzanych i obserwowanych oraz sprawdzaniu i udzielaniu informacji przez komórki ewidencji operacyjnej oraz Wytyczne Biura „C” MSW z 14 X 1960 r. w sprawie rejestracji i prowadzenia ewidencji osób będących w zainteresowaniu jednostek operacyjnych Służby Bezpieczeństwa oraz trybie udzielania informacji oraz Zarządzenie ministra spraw wewnętrznych nr 0206/61 z 13 XII 1961 r. w sprawie kategorii osób podlegających rejestracji w Kartotece Ogólno-informacyjnej Biura „C” MSW i Wydziałów „C” KWMO. See: *Charakterystyka zespołu (zbioru) archiwalnego: Ministerstwo Spraw Wewnętrznych w Warszawie [1944] 1954-1990*, http://inwentarz.ipn.gov.pl/archivalCollection?id_a=2033 [access: 18 V 2017].

²⁴ Zarządzenie nr 0121/60 ministra spraw wewnętrznych z 2 VII 1960 r. w sprawie nowych przepisów o podstawowych środkach i formach pracy operacyjnej Służby Bezpieczeństwa, T. Ruzikowski, *Instrukcje pracy...*, p. 93; Instrukcja nr 03/60 ministra spraw wewnętrznych z 2 VII 1960 r. o podstawowych środkach i formach pracy operacyjnej Służby Bezpieczeństwa, T. Ruzikowski, *Instrukcje pracy...*, pp. 94–120.

²⁵ AIPN, 01225/390, Zarządzenie nr 0206/61 ministra spraw wewnętrznych w sprawie kategorii osób podlegających rejestracji w Kartotece Ogólnoinformacyjnej Biura „C” MSW i Wydziałów „C” KWMO wraz Wykazem, pp. 288–292 [pdf].

The development and elaboration of earlier instructions regarding the acquisition of the agency and their work records was covered by Directive No. 0110/62 of MSW Minister Władysław Wicha of 18 June 1962, regarding the rules and procedure for registering cases and persons of current interest to the Security Service's operational units²⁶.

On 9 June 1962, a special Department IV was established, whose task was to fight the hostile 'anti-state' activity of churches and religious associations. In connection with this, Internal Affairs Minister Władysław Wicha, issued Directive No. 00114/63 on 6 July 1963, regarding the maintenance of records and documentation of activities of the Catholic clergy, together with Instruction No. 002/63 on the principles and procedures for carrying out the directive²⁷.

ILLUSTRATION NO. 7.

Inside the archive.

Source: AIPN, 02161/2 ('Beatrice' – training film, 1986.)



²⁶ AIPN, 01225/413, Zarządzenie nr 0110/62 z 18 VI 1962 r. w sprawie zasad i trybu rejestracji spraw i osób będących w aktualnym zainteresowaniu jednostek operacyjnych Służby Bezpieczeństwa wraz z Instrukcją w sprawie zasad i trybu rejestracji spraw i osób będących w operacyjnym zainteresowaniu jednostek Służby Bezpieczeństwa oraz sprawdzania i udzielania informacji, p. 169–179 [pdf]. The above-mentioned directive was supplemented simultaneously by the MSW Bureau 'C' Office Guidelines of 14 VI 1962, regarding the registration and upkeep of records of persons and matters of current interest to SB operational units as well as the mode of providing information. See: *Charakterystyka zespołu (zbioru) archiwalnego: Ministerstwo Spraw Wewnętrznych w Warszawie [1944] 1954-1990*, http://inwentarz.ipn.gov.pl/archivalCollection?id_a=2033 [access: 18 V 2017].

²⁷ Zarządzenie nr 00114/63 ministra spraw wewnętrznych z 6 VII 1963 r. w sprawie prowadzenia ewidencji i dokumentowania działalności kleru katolickiego [in:] A. Dziurok (Ed.), *Metody pracy operacyjnej aparatu bezpieczeństwa wobec kościołów i związków wyznaniowych 1945–1989*, Warszawa 2004, pp. 336–337; Instrukcja nr 002/63 dyr. Departamentu IV i dyr. Biura „C” z 6 VII 1963 r. o zasadach i trybie prowadzenia ewidencji i dokumentowania działalności kleru katolickiego [in:] *ibidem*, s. 338–345. The provisions of these regulations were supplemented simultaneously by: the Minister of Internal Affairs' Directive No. 050/63 of 12 III 1963 regarding the logging of stakeouts and undercover observation points, and Directive No. 0115/63 of 6 VII 1963 regarding the maintenance of records of acts of hostile activity. See: *Charakterystyka zespołu (zbioru) archiwalnego: Ministerstwo Spraw Wewnętrznych w Warszawie [1944] 1954-1990*, http://inwentarz.ipn.gov.pl/archivalCollection?id_a=2033 [access: 18 V 2017].

On 1 October 1965, the MSW Central Archive²⁸, having existed to that point as an independent organizational unit, was joined to Bureau 'C' by Directive No. 098/Org of the Minister of Internal Affairs. In the 1950s and early 1960s, these archives had a legitimate jurisdictional dispute. The MSW directive (No. 065/52 of 30 October 1952 regarding the MSW Central Archives and the objectives contained in 'Tasks and Structure of the MSW Central Archives' of 27 December 1956) specified that the main task of MSW CA was to manage the whole of the archival work in this ministry. These provisions were violated because at that time in MSW there were two independent archives - BEO and MSW CA. BEO/Bureau 'C' eventually won this dispute, which fact became a sign of the subordination of all archival structures in the Ministry to the principles that guided the functioning of the totalitarian state. Outside the ministry, for the uninitiated, that is, society in general, the name Ministry of Internal Affairs Central Archive was still in force. However, since 1981, MSW Bureau 'C' has used as many as three names: in matters of archival resources it used the MSW CA name, in matters related to address information - the MSW Central Address Bureau, in matters related to computer science - the MSW Information Technology Bureau. In practice, materials produced in the Ministry and eligible for submission to the archives were gathered in Bureau 'C', that is, in the operational archive²⁹.

In connection with the inclusion of MSW CA into Bureau 'C', Directive No. 00124/65 of 30 November 1965, set down by Internal Affairs minister Gen. Mieczysław Moczar regarding the organizational regulations of MSW Bureau 'C', amended the Bureau's responsibilities:

1) Management – conducting preparatory work for the use of electronic devices in records work, MOB matters [security clearance for military-defence issues], managing work in the field, and organizing vocational training;

2) Division I – registration and records in regard to those of active interest to the SB as well as coordinating operational interests between units;

3) Division II – Operational documentation archive of MSW SB and KGMO;

4) Division III – Central background card registry and central topical index

5) Division IV – MSW administrative documentation archive;

6) Division V – Archive of documentation from 1918-1945

7) General Division – Chancellery of the Bureau, printing house for classified documents, supplies and archival technology³⁰.

The same directive defined the scope of activities for Bureau 'C', which included the management of the following:

1) Central alphabetical background information registry of persons under surveillance, being verified or observed, cooperating undercover agents (TWs) both active and eliminated, protected and safeguarded individuals as well as stakeouts, and criminals and suspects;

2) Central index of topics organized according to the type of crime or activity, synchronized with the central alphabetical file;

3) Registration of persons, matters and facts falling within the interest of the Security Service and the central parish and clergy registration of the Roman Catholic church;

²⁸ The Genesis, development, tasks and structure of the Central Archive of the Ministry of Security have been omitted.

²⁹ S. Koller, *Normatywne zasady brakowania i niszczenia materiałów Służby Bezpieczeństwa w Ministerstwie Spraw Wewnętrznych (1956–1990)*, „Pamięć i Sprawiedliwość”, 2012, no. 2(20), pp. 332–333.

³⁰ S. Koller, *Brakowanie i niszczenie dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w Ministerstwie Spraw Wewnętrznych (1956–1990)*, „Przegląd Archiwalny IPN” 2011, no. 4, pp. 181–182.

4) Coordination of work between interested units of MSW SB on the basis of retained document collections and requests and for the transmission of decisions to units doing verifications in the question of persons applying for trips to capitalist countries;

5) Statistical analyses and reports covering data in Bureau ‘C’ regarding the activities of SB units;

6) Coordination of records and operational statistics in all MSW operational units;

7) Work consisting of collection, storage and compilations for the operational, topical and archival requirements of files from the former Ministry of Public Security, the Committee on Public Security, completed cases and documentation of MSW organizational units and Main Command of Citizens’ Militia (KGMO), as well as certain files from 1918-1945 regarding the activities of the former Interior Ministry, the Metropolitan Police Headquarters (KGPP) and the Nazi apparatus of oppression that operated in Polish territories;

8) Work related to the formulation of selected issues, based on MSW archive resources, originating from administrative orders and requests from interested MSW units;

9) Work related to making the collected archival resources available to authorized persons and units for operational, scientific and research and historical purposes, in accordance with applicable regulations;

10) Microfilm processing lab, microfilming of archival materials, filing and storage of microfilms, protection of archival materials against mechanical and biological damage as well as chemical and microbiological conservation;

11) Work related to the preparation of draft normative acts on matters falling within the scope of Bureau ‘C’ activity and giving opinions on such acts received from outside;

12) Oversight audit and providing assistance to local field units in the scope of Bureau ‘C’ operations³¹.

In the field, Division ‘C’ was usually made up of three sections, which managed the documentation of current and eliminated interests, performed card file inspections, prepared analyses and case studies, assessed people, issued information and managed the archive.

ILLUSTRATION NO. 8

Room with equipment for copying films and microfilms.

Source: AIPN, 02161/2 (‘Beatrice’ – training film, 1986)

In 1967, as a result of the merger with MSW CA, two new divisions that had formerly been under KGMO came into being in Bureau ‘C’ – Divisions VI and VII. The tasks of Division VI were based on Organizational Directive No.



³¹ S. Koller, *Brakowanie i niszczenie dokumentacji operacyjnej...*, pp. 182–183.

080/Org. from 20 June 1967, defined as following: the registration and national publication of a list for wanted criminals and suspects list as well as for missing persons; the maintenance and national publication of a stolen goods register of items, as well as a list of stolen cars and other four-wheeled vehicles; running an undercover office and a dispatch link for document files; the running of an undercover office and a dispatch link for the MSW Central Address Bureau; evaluation, segregation and alphabetical-phonetic indexing system for file documents. From 1 July 1977, Division VI took over the question of records and registrations of individual MO [Citizen's Militia] information sources from Division I of Bureau 'C'. In January 1983, Division VI took over dispatches and the filing system for documents from Division III Bureau 'C'. Due to the lengthy procedures for manual card file operations as well as the need to encrypt information transmitted via telegraph, a decision was made to computerise Division VI³².

Division VII, opened in November 1967, took over the issues falling within the scope of the work of the Central Address Bureau (CBA) and the KGMO Central Criminal Registry. The division was made up of five sections of files. From February 1968 Division VII gathered information concerning individuals who were in prison or had been released from penal institutions. From 1974 they began to record information regarding persons who were being detained and remanded into custody, as well as those sentenced to penal institutions. In 1975 they began to include information in the CBA collections about individuals endeavouring to go abroad permanently and subsequently, material about their actual departure. Due to the wealth of information (at the end of 1983, there were about 52 million documents in the department), the computerization of CBA files was started in December 1979³³.

The inclusion of the MSW Central Archives into Bureau 'C' resulted in the extension of its tasks and scope of activities, which were formulated by Internal Affairs minister Col. Kazimierz Światała via archival Directive No. 0107/68 of 24 October 1968. The number of file types accepted to Bureau 'C' was increased and with that, its archival resources as well³⁴.

With the goal of harmonizing the principles and form of work of SB operational work to the actual tasks, MSW minister Col. K. Światała issued Directive No. 006/70 on 1 February 1970, regarding the issue of SB operational work in the Internal Affairs ministry. To the directive were attached instructions concerning SB operational work there³⁵.

Pursuant to Directive No. 079/72 of 2 August 1972 regarding the registration of persons and cases by the Security Service units as well as the verification and provision of information, Minister of Internal Affairs, Col. Wiesław Ociepka introduced the Instruction on the scope and procedure of registration by Security Service units of persons and cases as well as the verification and provision of information³⁶.

³² AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 62–65.

³³ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 66–69.

³⁴ See also: AIPN, 0549/2, copy 1, Instrukcja o postępowaniu z aktami archiwalnymi Służby Bezpieczeństwa i Służby Milicji stanowiąca załącznik do Zarządzenia nr 0107/68 wicemin. spraw wewnętrznych z 24 X 1968 r. w sprawie postępowania z aktami archiwalnymi Służby Bezpieczeństwa i Służby Milicji, prg. 8–9, pp. 3v–4.

³⁵ Zarządzenie nr 006/70 ministra spraw wewnętrznych z 1 II 1970 r. w sprawie pracy operacyjnej Służby Bezpieczeństwa resortu spraw wewnętrznych [in:] T. Ruzikowski, *Instrukcje pracy...*, pp. 121–122; Instrukcja o pracy operacyjnej Służby Bezpieczeństwa resortu spraw wewnętrznych [in:] T. Ruzikowski, *Instrukcje pracy...*, pp. 123–139.

³⁶ AIPN, 01225/634, Zarządzenie nr 079/72 z 2 sierpnia 1972 r. w sprawie rejestracji przez jednostki Służby Bezpieczeństwa osób i spraw oraz sprawdzania i udzielania informacji, pp. 102–104 [pdf]; *ibidem*, Instrukcja w sprawie zakresu i trybu rejestracji przez jednostki Służby Bezpieczeństwa osób i spraw oraz sprawdzania i udzielania informacji, pp. 105–116 [pdf]. The regulation supplemented the guidelines of 18 XI 1972 from the MSW Bureau 'C' director regarding the conduct of registrations, records and analytical studies, as well as the auditing and provision of information. See: *Charakterystyka zespołu (zbioru) archiwalnego: Ministerstwo Spraw Wewnętrznych w Warszawie [1944] 1954-1990*, http://inwentarz.ipn.gov.pl/archivalCollection?id_a=2033 [access: 18 V 2017].




ILLUSTRATION NO. 9 Plan of archive premises from 1982 (evacuation plan).

Source: AIPN, 0359/4, MSW Division II Bureau 'C' work plan for 1983-85 (no page number)

MSW Directive No. 034/74 of Gen. Stanisław Kowalczyk from 10 May 1974 in the matter of archival file procedure in the Internal Affairs ministry took the place of Directive No. 0107/68. The scope of Bureau 'C' and ministry archives was extended to include the responsibility for conducting problematic analytical work based on acquired archival resources and the microfilming of files. In the presentation of archival resources, the itemization of archived types of files was omitted. The archival resource was described by the reference of the formulator and the period in which the file was created³⁷.

On 15 June 1977, in agreement with Organizational Directive No. 027/Org., a new Division V arose, whose area of interest had not appeared in the tasks of Bureau 'C' to that point. It consisted of four thematic groupings: the gathering, recording and systematizing of information about people, institutions and organizations conducting hostile activities against the states of the socialist community; analysis of materials in this area and the exchange of that with the security services of socialist countries; verifying information and transferring it to interested MSW SB units; and developing propositions regarding cooperation between security services of socialist countries³⁸.

³⁷ See also: AIPN, 0549/10, copy 1, Instrukcja w sprawie zasad i sposobu postępowania z aktami archiwalnymi w resorcie spraw wewnętrznych stanowiąca załącznik do Zarządzenia nr 034/74 ministra spraw wewnętrznych z 10 V 1974 r. w sprawie postępowania z aktami archiwalnymi w resorcie spraw wewnętrznych, prg. 4-10, pp. 7-9.

³⁸ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., p. 79.

In connection with the new PRL division of administrative regions, which established new voivodeships in 1975, Directive No. 034/74 was replaced by Directive No. 030/79 of 2 July 1979 issued by the same MSW minister; this amended the Directive regarding the rules and procedures for dealing with archival files in the Ministry of Internal Affairs. No new systems were introduced regarding the organization and scope of Bureau 'C' activity and the ministry archives as well as the archival resources³⁹.

On 17 December 1979, Col. Jan Zabawski handed over the position of director of MSW Bureau 'C' to Col. Kazimierz Piotrowski⁴⁰, who filled that function to 31 July 1990, that is, up to the time that UOP took over the archival resources.

ILLUSTRATION NO. 10.

Col. Kazimierz Piotrowski –
Director MSW Bureau 'C' from 1979-1990.

*Source: 01386/508852, Passport file with reference EAPP:
Piotrowski Kazimierz.*



The necessity of computerizing the Bureau 'C' resources resulted in Organizational Directive No. 016/Org. on 1 April 1980, joining the MSW Information Technology Bureau to Bureau 'C', which caused the creation of three new divisions with 135 positions. These divisions dealt with the development of IT system projects, carried out computer data transfer training, equipment operation and servicing, and from the mid-1980s, the administration of MSW computer equipment⁴¹.

The last division of Bureau 'C' was Division XII, opened 1 May 1983 in accordance with Organizational Directive No. 0120/Org. It carried out the tasks of reviews and on-going consultations and cooperated in im-

³⁹ AIPN, 01179/322, Instrukcja w sprawie zasad i sposobu postępowaniu z aktami archiwalnymi w resorcie spraw wewnętrznych stanowiąca załącznik do Zarządzenia nr 030/79 ministra spraw wewnętrznych z 2 VII 1979 r. zmieniające zarządzenie w sprawie zasad i sposobu postępowania z aktami archiwalnymi w resorcie spraw wewnętrznych, prg. 4–10, pp. 10–12.

⁴⁰ **Piotrowski Kazimierz** (b. 1929), security agency functionary, colonel. From 20 I 1948, KG MO Operational Battalion functionary, from 20 I 1950 junior clerk of Section 1, Division I of MBP Department II; from 1 X 1952 inspector of Division I of MBP Department II; from 1 IX 1955 senior section clerk of the Department of Statistics and Reporting in KdsBP Department X; from 1 XI 1955 head of the Department of Statistics and Reporting in KdsBP Department X; from 1 IV 1956, reporting officer of the Department of Statistics and Reporting in KdsBP Department X; from 28 XI 1956, head of the Special Records Department of KdsBP Operational Records Bureau; from 1 I 1957, head of Division I of the KBP Operational Records; from 2 I 1960, head of Department I of MSW Bureau 'C'; from 12 I 1970 to 27 III 1970 on a leadership development training course within MSW Security Service; from 1 VIII 1972 deputy director MSW Bureau 'C'; from 17 XII 1979 director MSW Bureau 'C'; from 13 IX 1980 to 20 IX 1980 posted to agency work in England; 31 VII 1990 discharged from service. P. Byszewski (Ed.), *Działania Służby Bezpieczeństwa wobec organizacji „Ruch”*, Warszawa 2008, p. 170; <https://katalog.bip.ipn.gov.pl/informacje/23874?katalog=5>, [access: 29 V 2018].

⁴¹ AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 73–78.

plementing the provisions of the Act of 14 December 1982 regarding the protection of secrets, both of the state and the service⁴².

Ultimately, after numerous reorganizations at the central level, by the beginning of 1984, Bureau ‘C’ - the operational records archive - consisted of 12 divisions that survived until its liquidation in 1990:

Division I – statistical information, reports, operational and personal records;

Division II – storage of files produced in MSW centrals, dossiers of collaborators eliminated from agent networks, completed operational matters, subject surveillance dossiers;

Division III – maintenance of central case files concerning individuals, active files, TEOK registrations [operational records concerning priests];

Division IV – MSW and KGMO administration files as well as personal files of SB & MO functionaries;

Division V – from 1977, operations contra nations of the socialist community;

Division VI – wanted criminals, public and clandestine chancelleries;

Division VII – from 1967, Central Address Bureau – information concerning adult citizens as well as the Central Criminal Files;

Division VIII – general, printing house;

Division IX – developing information system projects and conducting training;

Division X – computer data entry, equipment servicing;

Division XI – computer device servicing, and from the mid-80’s, management of MSW computer hardware;

Division XII – implementation of the Act of 14 December 1982, assessment of individuals given access to state and official secrets⁴.

In agreement with Directive No. 035/81 of MSW minister Gen. Czesław Kiszczak, Bureau ‘C’ received a new range of operations and organization from 12 August 1981. Bureau ‘C’ was now responsible for: 1) development, implementation and operation of MSW informational systems, including personal information sources, operational matters, interviews with individuals and other interests, as well as the preparation of assessments; 2) the collection, processing, storing and sharing of MSW archival materials; 3) the implementation and development of computer science and microfilm technology.

The final scope of Bureau ‘C’ activities (in short) was as follows: 1) keeping TW [secret collaborators] records, operational matters, individuals who had been examined, detained, arrested, verified, monitored, etc.; 2) maintaining the central card indexes – KOI indexes [background information files] of persons of interest to security agencies; indexes of persons hostile to PRL; criminal files; files of wanted persons, indexes of license plate numbers of cars from capitalist countries infiltrating special targets; indexes of telephone numbers and addresses of persons and institutions used by special services of foreign nations; files of stolen goods; address card files; files of discharged functionaries; 3) gathering and compiling archival collections in the ministry; 4) imparting information from record collections; 5) coordinating operational interests; 6) making archival material available; 7) implementation of an integrated IT system; 8) supporting the ministry’s informational gathering activities; 9) protecting and improving information security in the ministry; 10) coordinating work related to technical progress in the field of computer science; 11) developing material and financial plans for the equipment and modernization of Bureau ‘C’; 12) finalizing agreements regarding scientific and research work; 13) running a printing house for the operational needs of the ministry; 14) preparing draft prescriptive acts regarding Bureau operations; 15) organizing training courses for Bureau employees; 16) performing defence work within the scope of the Office; 17) providing assistance to KWMO ‘C’ departments; 18)

⁴² AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna..., pp. 80–81.

⁴³ S. Koller, *Brakowanie i niszczenie dokumentacji operacyjnej...*, pp. 181–182.

overseeing supervision in the scope determined by the relevant provisions. Although the range of duties was enumerated in great detail in the directive, it is beyond any doubt that this served one fundamental purpose: to perfect the collection, storage and use of all types of records concerning persons opposed to the totalitarian state⁴⁴.

The last prescriptive act regulating procedures with MSW archives was on 8 July 1985; Internal Affairs minister Gen. Czesław Kiszczak handed down Directive No. 049/85 concerning organizational matters and procedural principles for archival materials in the ministry. This superseded the provisions of the 1968, 1974 and 1979 directives. It expanded and supplemented both the organization and scope of departmental archival activity, as well as the description of the archival resources⁴⁵.

With the transformation of MSW after the Act of 6 April 1990, the Department of State Protection archive ceased its operations (the Act actually came into force on May 10, 1990), and the process of taking over MSW archives by the Records Office and the Department of State Protection Archive began; this lasted for several months. Since 2010, files produced by PRL security agencies have become part of the archival assets of the Institute of National Remembrance.

⁴⁴ AIPN, 01225/717, pt. 2, Zarządzenie nr 035/815 ministra spraw wewnętrznych z 12 VIII 1981 r. w sprawie zakresu działania i organizacji Biura „C”MSW, pp. 490–497 [pdf].

⁴⁵ See also: AIPN, 01290/4, Zarządzenie nr 049/85 ministra spraw wewnętrznych z 8 VII 1985 r. w sprawie organizacji i zasad postępowania z materiałami archiwalnymi w resorcie spraw wewnętrznych, prg. 4–11, pp. 5–10.

საღმრთო კანონი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შალვა ამირეჯიბი ქართულ კლასიკურ მწერლობაზე

შალვა ამირეჯიბი ქართული პოლიტიკური და ინტელექტუალური აზროვნების გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მურმან ლებანიძისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ჭაბუა ამირეჯიბი აღნიშნავს: „რაც შეეხება ბიძაჩემს, შალვა ამირეჯიბს, იმას სიცოცხლეშივე ქრისტეს ეძახდნენ- ძალიან პატიოსანი კაცი იყო, უმშვენიერესი პოეტი და პუბლიცისტი, ჯენტლმენი და დახვეწილი იუმორის პატრონი“- [4.320]. ეს სტატუსი შალვა ამირეჯიბმა ემიგრაციაში ყოფნის დროსაც ღირსეულად შეინარჩუნა. აქედან გამომდინარე, მისი ეროვნული იდეალი და სახელმწიფოებრივი სჯანი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას არამხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იმ საფრთხეებიდან გამომდინარე, რომლისგანაც საქართველო ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა და რომელიც, არამხოლოდ გარე ფაქტორებითაა ინსპირირებული. შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტიკაზე საუბრისას ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „შალვა ამირეჯიბის შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად მის პუბლიცისტიკაში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟანრობრივად მრავალფეროვანი მწერალი იყო, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში კუთვნილი ადგილი მან უწინარეს ყოვლისა თავისი პუბლიცისტური წერილებით დაიმკვიდრა“ [5.318]. დავეთანხმებით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სწორედ პუბლიცისტურ წერილებში გამოავლინა შალვა ამირეჯიბმა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები და ფასდაუდებელი ეპოქისეული მასალა დაგვიტოვა გასააზრებლად. მისი პუბლიცისტიკა თემატურად მრავალფეროვანი, უაღრესად მასშტაბურია ქვეყნის ისტორიის ამ მონაკვეთისათვის. მათ შორის უაღრესად საინტერესოდ მოჩანს მისი წერილები ქართულ მწერლობაზე, რადგან ააშკარავენ დამოკიდებულებას იმდროინდელი საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბების მეტად მძიმე პროცესის მიმართ. თავად შესანიშნავი პოეტი, ყოველთვის კარგად აცნობიერებდა ეროვნული მწერლობის როლს ამ „ღელვარე-ტორტმანში“ (ნიკო ლორთქიფანიძე). ის გრძნობდა მის მნიშვნელობას როგორც მწერლობის ინტელექტუალი და მრავალპროფილური ერუდიტი. ემიგრაციაში წასვლამდე და მის შემდგომაც შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტურ შრომებში სოლიდური ადგილი ეკავა ქართული კლასიკური მწერლობის მნიშვნელობის გააზრებას. ეპოქების გავლენა და თავისთავადობის შენარჩუნების ძლიერი ინსტიქტი, თავისუფლების იდეალი, „ქართული ნაციონალიზმი“- ეს მაგისტრალური ხაზია, რომელსაც იგი უაღტერნატივოდ ერთგულებს თავის პუბლიცისტურ წერილებში ქართულ კლასიკურ მწერლობაზე. შალვა ამირეჯიბს არც ნაციონალური მწერლობის მხატვრული ღირსებებზე უჭირს საუბარი, თუმცა „ეროვნული სულის გამომთქვამისათვის და ეროვნული შეგნების გამარჯვებისათვის“ მისთვის სწორედ ეს საკითხებია პრიორიტეტული.

შალვა ამირეჯიბის წერილებში შოთა რუსთაველზე, ვაჟა ფშაველაზე, აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეზე, მათ მიმართ რწმენა ეროვნულ შეგნებასთან არის გაიგივებული. ამასთან, გამოაშკარავებულია იმ პიროვნებათა ნამდვილი განზრახვა, ვინც იმხანად ილია ჭავჭავაძის დისკრედიტაციის კამპანიაში იყო ჩართული. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, დარგობრივი კომპეტენციის მიუხედავად, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული კლასიკური მწერლობის მიმართ. გურამ შარაძის თქმით: „სულიერი ცხოვრების რა სფეროში არ გამოვლინდა უცხოეთის ცის ქვეშ მოხვედრილი ქართველი კაცის ნიჭის ბრწყინვალეობა, მისი ინტელექტუალური დახვეწილობა, ძირძველი ჯიშის კეთილშობილება და რაინდობა- იქნებოდა ეს პოლიტიკა, მწერლობა, მეცნიერება თუ ხელოვნება“ [7. 4] მიუხედავად ამისა, ნიჭიერებით განებივრებული ჩვენი ისტორიისათვის, მაინც განსაკვიფრებელ ფაქტად რჩება პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტის დაინტერესება ქართული კლასიკური მწერლობით. ნოე ჟორდანიამ 1930 წელს პარიზ-

ში გამოსცა წიგნი „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც თავისი მოსაზრებები გამოთქვა მის პოლიტიკურ, სოციალურ ურთიერთობებსა და რელიგიურ დოქტრინაზე, იმსჯელა ჟანრობრივ რაობაზეც. ხოლო ვიქტორ ნოზაძის კვლევები „ვეფხისტყაოსანზე“ და მწერლობასთან ნაზიარები სხვა ემიგრანტების რეფლექსიები კლასიკური მწერლობის მნიშვნელობაზე ჩვენთვის მაინც რჩება ბუნებრივ ფაქტად, საყურადღებოდ არამარტო ლიტერატურული, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც.

შალვა ამირეჯიბის წერილები ქართულ კლასიკურ მწერლობაზე სწორედ ამ მნიშვნელობით არის დატვირთული. პირველი რესპუბლიკის დროინდელ და მის შემდგომ გამომავალ ემიგრანტულ პრესაში გაბნეული მისი წერილები 1997 წელს, ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ ორტომეულშია თავმოყრილი, რომელმაც თვალნათლივ წარმოგვიდგინა მისი, როგორც მოაზროვნის, პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და ქვეყნისათვის დამაშვრალი ადამიანის პროფილი. ეს წერილები მათიანია, რომელიც ნათელს ჰფენს იმ ეპოქის ბევრ საინტერესო ფაქტს, საზოგადოებრივ განწყობას, ხოლო წერილები ქართულ მწერლობაზე საკვანძოა მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. „ილია ჭავჭავაძე დღეს ჩვენი ეროვნული შეგნების მეტრია. მითხარით, რამდენად გწამთ ილია ჭავჭავაძე და მე გეტყვით თქვენ, რა შეგნების ქართველი ხართ“ [2. 29] - წერს შალვა ამირეჯიბი წერილში „ქართული პოლიტიკური იდეალი ქართულ მწერლობაში და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“, სადაც ეს ნორმატიული მოსაზრება არგუმენტებადაა ჩაშლილი ილიას რეპუტაციისათვის არცთუ სახარბიელო პერიოდში, როდესაც კლასიკური მწერლობის მიღება-არმიღების საკითხს ბოლშევიკები განსაკუთრებული სიმწვავეთ განიხილავდნენ. შალვა ამირეჯიბისეული ეს მაქსიმა ზედმიწევნით კარგად ადასტურებს მისი პოლიტიკური და ნაციონალური მოსაზრებების სანდობას. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა განსაკუთრებულად მიზანმიმართული იყო ილიას წინააღმდეგ და მისი საფუძველი მესამედასელთა შეუთავსებლობა გახლდათ ილიას ეროვნულ დოქტრინასთან. ერთ-ერთ მკაფიო არგუმენტად ფილიპე მახარაძის მიერ 1904 წელს გამოცემული ბროშურა „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, 1905 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ დაბეჭდილი მისივე წერილი „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, „თავის გამართლებაც ასეთი უნდა (პასუხად თავად ილია ჭავჭავაძეს) იკმარებდა, რომლის თავხედური დავვირგვინება იყო 1928 წელს გამოცემულ ილიას თხზულებათა მე-9 ტომში ამ წერილის შეტანა. როცა ფილიპე მახარაძე ასაბუთებდა, მეცხრამეტე საუკუნის მწერლობას რამდენადმე უკვე ეტყობა გადემოკრატება, მაგრამ ხალხის ინტერესება სინამდვილეში იმათ არ სწამდათ და თვით მწერლობას ხალხში ნიადაგი არ ჰქონდაო, შალვა ამირეჯიბი თავის წერილში პასუხობდა: „ილია ჭავჭავაძე ქართული ეროვნული შეგნების ხერხემალი და შუა წელია. ამითი აიხსნება ისიც, რომ ვისაც კი ჩვენი ეროვნული შეგნების შერყევა სურს, სწორედ ამ ილია ჭავჭავაძეზე მიაქვს იერიში. მარქსისტები, ნილილისტები, წარამარა იდეების ხალხი, ყველას ურიგდებიან ჩვენში, მათთვის „ბურგიელი ძეც“ კი სიმბოლო და ლიტერატურაა, მხოლოდ ვერ ურიგდებიან ილია ჭავჭავაძეს, არა სწამთ მხოლოდ ილია ჭავჭავაძე, რადგან ერთგულნი ეროვნული ნიჰილიზმის, ჩვენს ეროვნულ შეგნებას და ამ შეგნების ღირებულების ძალას, სწორედ ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში ხედავენ, იერიშიც ამიტომ მიაქვთ იმაზე“ [2. 30]

ილია ჭავჭავაძის მონოლითურმა პიროვნებამ შექმნა ეპოქა „ხანა“, როგორც შალვა ამირეჯიბი უწოდებს, თუმცა ბოლშევიკების, კერძოდ, მამია ტოროშელიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ილიამ აკაკისთან ერთად დაარსა ქართული ნაციონალიზმის იდეა არ ეთანხმება, რადგან პუბლიცისტი ქართული კლასიკური მწერლობის ეროვნულ ნიადაგს სამართლიანად ჭვრეტს უფრო ღრმა წარსულში. ილიას უახლოეს წინამორბედებად ქართული ნაციონალიზმის იდეისა იგი გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს მოიზრებს, რამეთუ სწორედ აქ ხედავს ღრმა რეფლექსიას დამოუკიდებლობადაკარგულ სამშობლოს ბედზე. შალვა ამირეჯიბი ასახელებს იმ ნაწარმოებებს, სადაც ყველაზე უკეთ წარმოჩნდა ეს პრობლემა: „გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ეროვნულ კილოს გამგრძობი ქართულ მწერლობაში ილია ჭავჭავაძის „აჩრდილია“ [2. 30]- იგი თანამიმდევრულად წარმოაჩენს ამ პოემის შექმნის ისტორიულ რეალიტებსა და მისი შექმნის კეთილშობილურ მიზანს- ქვეყანაში შექმნილიყო ერთიანი საზოგადოებრივი აზრი და ეროვნული იდეალი. ამ თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძე მას ბისმარკს მოაგონებს, რომელსაც ლომის წვლილი მიუძღვოდა გერმანიის გაერთიანებაში, თუმცა ილიას ღვაწლს ავტორი უფრო მაღალ შეფასებას აძლევს, რადგან ბისმარკმა თავისუფალი გერმანელი ერი გააერთიანა, ხოლო ილიამ დამონებული ერის გაერთიანება შეძლო. „ქართული ნაციონალიზმის საღაროში“ შეტანილი ილიას წვლილი შალვა ამირეჯიბისათვის შეუფასებელია, პუბლიცისტის ობიექტურობა და სწორი აქცენტები, რომელიც ამ წერილში მოჩანს, ბევრად წინ უსწრებს ილიას ღვაწლის შეფასების შემდგომ ეტაპს. „ილია ჭავჭავაძე ქართული თავისუფალი აზრის ლაბორატორიაა“ - წერს შალვა ამ-

ირეჯიბი და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი არ მიეკუთვნებოდა არც ერთ პარტიას, რომ იგი გახლდათ აზროვნებით ლიბერალი, რომელიც მხოლოდ ქართულ ნიადაგს ეყრდნობოდა, განსხვავებით დღევანდელი ლიბერალიზმის გაგებისა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, შალვა ამირეჯიბის შეფასების კრიტერიუმები სწორედ ეს ნაციონალური საფუძველია, ის აღტაცებულია, რომ ამ იდეოლოგიაში „არაფერია უცხო, ნასესხები და გადამთიელი. აქ არა არის არც მარქსის თეორია და არც ეროვნულის პროგრამა, არც რუსული პლენხანოვისებური მენშევიზმი. ილია თავით-ფეხამდე ქართული სისხლის, ქართული გენიის, ქართული ისტორიის და ქართული იდეალის ქადაგებაა“ [2. 34]. შალვა ამირეჯიბის მოსაზრება, რომ „ქართული ცხოვრება უნდა წავიდეს“ ილიას იდეოლოგიით სწორედ იმ პერიოდში ჟღერს, როცა საბჭოთა საქართველოში ინტერნაციონალიზმი თავგამოდებით ებრძვის ეროვნულ იდეოლოგიას, უფრო სწორედ, საბჭოეთის დიდი სივრცეში ხდება გარდასახვა ჭეშმარიტი ნაციონალური იდეებისა და სოციალური თემატიკა გაცილებით აქტუალურია ილიას შემოქმედებაში, ვიდრე „ენა, მამული, სარწმუნოების“ დოქტრინა. ემიგრანტი მწერლის ეს მოსაზრებები ქართული სახელმწიფოს მარადიულ სიმყარებას ვათვლილი. იგი კარგად აცნობიერებს, რომ ეროვნული იდეალის გარეშე ქვეყნის არსებობა წარმოდგენილია, ამ იდეალის სასიცოცხლო მოდელს შალვა ამირეჯიბი სწორედ ილიას „ქართული სულის ფილოსოფიაში“ მოაზრებდა.

შალვა ამირეჯიბის წერილში „ქართული პოლიტიკური იდეალი ქართულ მწერლობაში და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“ ის ორიენტირებაა მონიშნული, რომელიც ჩვენს ქვეყნისთვის მწერლობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის არამარტო კულტურული, არამედ ეროვნული თვალსაზრისით. ის მოსაზრება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში მას განსაკუთრებულად ხიბლავს „ქართული ნაციონალიზმი“ და თავის წერილში პირველხარისხიანად სწორედ ეს მოტივი აქვს დასახელებული, სრულიად ბუნებრივად აღიქმება. მით უფრო, რომ ეს წერილი სწორედ ემიგრაციაში, საქართველოს ისტორიის იმ კრიზისულ პერიოდშია დაწერილი, როცა საბჭოთა ქვეყნის ქუდქვეშ შეყრილი ერების ცნობურაგამოვლილ მწერლობას ეს ღირებულებები ამ ლაბირინთებში ეკარგებოდა. აღსანიშნავია, რომ შალვა ამირეჯიბი არაერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ამ თვალსაზრისით ქართული მწერლობა ყოველთვის ტრადიციული იყო და რადგან აღნიშნული წერილი ეპოქალურად მეცხრამეტე საუკუნის მოიცავს, ილიას წინამორბედად გრიგოლ ორბელიანს ასახელებს. მიუხედავად „თაობათა ბრძოლისა“, რომლის ყველაზე აქტიურ ფიგურებად სწორედ ეს მწერლები მოიზარებოდნენ, მისთვის გრიგოლ ორბელიანისა და ილიას იდეური კავშირი ფუნდამენტურია და იგი სწორედ „ქართული ნაციონალიზმის“ იდეებს ეყრდნობა. „გრიგოლ ორბელიანი ამ ეპოქის თვალსაჩინო და ხატოვანი პირია. იგივე არის ქართული ნაციონალიზმის პირველ შემქმელთაგანი მეცხრამეტე საუკუნეში და მისი სახელოვანი პოემა „სადღევრძელო“ პირველი ლიტერატურული ძეგლია ამნაირი მწერლობის.“ (2. 22)- წერს იგი. წერილში ავტორი მსჯელობს პოემის დათარიღების საკითხებზე და გრიგოლ ორბელიანის „ქართული ნაციონალიზმის“ არსზე. შალვა ამირეჯიბს ეკუთვნის ტერმინი „ინტეგრალური ნაციონალიზმი“, რომლის საფარქვეშ ავტორი მოაქცევს საქართველოს ისტორიას, მამულიშვილობის გრძნობას და საქართველოს ბუნებას. „გრიგოლ ორბელიანის ნაციონალიზმი ბუდობს საქართველოს წარსულში, საქართველოს ბუნებაში და ქართველი კაცის გულში“ [2.22] - აღნიშნავს იგი.

რომანტიკოსებზე საუბრისას შალვა ამირეჯიბი ვრცლად ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფენომენს ქართულ მწერლობაში. „ბარათაშვილი ქართული მწერლობის ეროვნული პულსია. ვისაც უნდა გაიგოს, როგორ ფეთქდა საქართველო სამეფოს გაუქმების შემდგომ, მან ამ პულსს უნდა დაადოს ხელი“ [2.25]. საქართველოს ისტორიისათვის 1801 წელი საბედისწერო იყო არამარტო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, არამედ მორალური თვალსაზრისითაც, რადგან რას მოიმოქმედებდა ქართული პოლიტიკური ელიტა იმ პერიოდში, მნიშვნელოვანი იყო და ერთგვარი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი ეტაპისა, რომელიც სამოციანელებმა გადაიბარეს. 1832 წლის შეთქმულება იყო ლუსტრაცია, ერთგვარი ტესტი, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ ხანად ქართული პოლიტიკური ელიტის ეროვნული თვითშეგნება და პასუხისმგებლობა ქვეყნის მიმართ. მიუხედავად შედეგისა, ამ შეთქმულებამ დაწერა სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მატთანე, ისევე როგორც 1924 წლის აჯანყებამ, რომელიც ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახრჩვეს. თუმცა იმ პერიოდში მარცხმა ბუნებრივად დატოვა სევდიანი განცდები, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში შედევრებად დაილექა. „ერის ტრადედია ორ დიალოგში“-ასე უწოდებს შალვა ამირეჯიბი სოლომონ ლიონიძისა და მეფე ერეკლეს სჯანს საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაზე და მისი სიმპათიები აშკარად მსაჯულის მხარესაა. რუსეთი მისთვის „უცხო და მძლავრი ერია“ და „რჯულის ერთობა“ მეტად მყიფე არგუმენტი ამ საბე-

დისწერო კავშირის გასამართლებლად. „სიცოცხლე არაფერია. საქმე ის არის, როგორ იცხოვრო! როგორ იცხოვროს ერმა. რასამ, სისხლმა- აი საკითხი, რომელიც ბარათაშვილმა თავის თავს დაუყენა და რომელიც არის უდიდესი საკითხი ერისათვის, რასისათვის და სისხლისათვის“ [2. 26]. აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს შალვა ამირეჯიბის მიერ „ინტეგრალური ნაციონალიზმის“ ფორმულირების მცდელობა, რომელიც პოემის ცნობილ დიალოგშია თავმოყრილი. „ეს არის თვისების „სხვადასხვაობა“ - მთავარი ნიშანი ნაციონალიზმისა, ეს „უცხოობა“, რომელიც აქ რუსეთს გულისხმობს, ბარათაშვილის მოგონილი არ არის“ [2. 28] - ასკვნის ავტორი. ასევე გაიაზრებდა ამ მეტად მძიმე მენტალური ბრძოლის პროცესს ილია ჭავჭავაძეც და მას ასე ახასიათებდა: „ჩვენობისა“ და „უცხოობის“ ძნელი თანაარსებობა, ორი ძირეულად განსხვავებული ფენომენის- რუსეთის ერთგულებისა და ქართული ვინაობის ერთმანეთში შეთანხმება“ შალვა ამირეჯიბი აქაც ილიას ნაციონალური თვითშეგნების ერთგული და მისი იდეების გამგრძელებლად რჩება.

შალვა ამირეჯიბის წერილები ვაჟა ფშაველაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ეს წერილები გაბნეულია გაბნეულ „სამშობლოს“ 1915 წლის ნომრებში და შემდგომ, ემიგრაციაში მოხსენების სახით წაკითხულ წერილში „ქართული პოლიტიკური იდეალი ქართულ მწერლობაში და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“. ვაჟა ფშაველა, რომელმაც საკუთარი ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ცვლილებები შეიტანა ქართულ მწერლობაში და რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის მიმართ ერთობ კრიტიკულად განწყობილი „ცისფერყანწელებიც“ კი გულწრფელად აღიარებდნენ „მთისა და მწერლობის ბუმბერაზად“, არ შეიძლებოდა დარჩენილიყო შალვა ამირეჯიბის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ოპუსების მიღმა. 1915 წელს ვაჟას გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, „ფარსმან ფარუხის“ ფსევდონიმით, გაბნეულ სამშობლოში გამოქვეყნებულ წერილში იგი მკითხველს მოუწოდებს: „გადაშალეთ, ბატონებო, მისი წიგნი“. ეს სწორედ ის დროა, როცა ვაჟას „კანონიზაცია“, როგორც მოგვიანებით სიმბოლისტები იტყვიან ქართულ მწერლობაში იგვიანებს. ამ პატარა წერილში შალვა ამირეჯიბი ქართულ კრიტიკას საყვედურობს: „ჩვენ რომ კრიტიკა გვექნოდა- ვაჟა ფშაველა უსაზღვროდ ეყვარებოდა ხალხს. იგი ეყვარებოდა, როგორც შეიძლება უყვარდეს კაცს ანკარა წყარო. მწვანე მდელო, ჭრელი პეპელა და დილის ცვარი“ [2. 187]. ავტორი შენიშნავს, რომ ვაჟას სტიქია სისხლხორცეულად არის ჩაწნული ქართულ წიაღს, რომ მისი სიდიადე სიმარტივეშია და რაც მთავარია, „მისი გმირები ჯერ ცხენიდან არ ჩამოხტარან“. ეს ჰეროიზმი საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე პუბლიცისტისთვის უმნიშვნელოვანესი გახლდათ. ცოტა მოგვიანებით, ვაჟას სიკვდილით შეძრული შალვა ამირეჯიბი გაბნეულ სამშობლოს ივლისის ნომერში კვლავ აღნიშნავს, „ამ საკვირველი, მთების მუდმივი ჭაბუკის“ განსაკუთრებულ ადგილს ქართულ მწერლობაში: „იგი მღეროდა ისე, როგორც არავინ საქართველოს უკანასკნელ პოეტებში“, „იგი ტანჯვაში და უბედურებაში მყოფ ერს ახალისებდა მომავლისათვის ბრძოლაში“. შალვა ამირეჯიბი გრძნობს მის ინდივიდუალურობას, საუცხოო ესთეტიზმს თანამედროვე მწერალთა შორის. ვაჟას სიკვდილით გამოწვეული ემოცია მას კარგა ხანს არ უნელდება და ერთ თვეში გაბნეულ სამშობლოს „ავგისტოს ნომერში კვლავ უბრუნდება ვაჟას ფენომენის გააზრებას წერილით „ეროვნული მქადაგებელი“, სადაც წინასწარმეტყველურად შენიშნავს, რომ მომავალში ვაჟა ფშაველა არაერთხელ ჩააფიქრებდა ლიტერატურის მკვლევარებს. შალვა ამირეჯიბი აქაც არ უშვებს ილიას ღვაწლის წარმოჩენის შესაძლებლობას, რომელიც ამ შემთხვევაში ვაჟასთან მიმართებაში გამოიხატა: „ვაჟა ფშაველაც, ადვილი შესაძლებელია, შეუმჩნევლად დარჩენილიყო. მაგრამ „მოუხუჭავი თვალი“ ილია ჭავჭავაძის იმიტომ იყო მოუხუჭავი, რომ არ გამოჰპარვოდა არაფერი საყურადღებო, საინტერესო ჩვენის ცხოვრებისა, მან შეამჩნია ვაჟა ფშაველა და პირველი ქვა იმ ძეგლისა, რომელსაც დღეს მას ერი უგებს, მან მიიტანა [1.228]. უნდა ითქვას, რომ ამ საკრალური შეხვედრის ბიბლიურ მოტივებზე გააზრებაც იმდენად ბუნებრივად ჯდება ამ წერილში, რომ იმთავითვე გაგრძნობინებს ამ საბედისწერო შეხვედრის მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული და სულიერი ყოფიერებისათვის. „ვაჟა ფშაველას არ ჰყავს თავისი კრიტიკოსი, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ კრიტიკოსი არა ჰყავს არც ერთ ქართველ მწერალს, ვაჟა ფშაველა მათში ყველაზე ბედნიერია, მით რომ იგი სიცოცხლითვე ეღირსა უმაღლეს ჯილდოს და მის ნიჭიერების აღიარებას საფუძვლად დაედო მძლავრი სიტყვა ილია ჭავჭავაძისა. მან პირველმა შეამჩნია იგი. ამიტომ ვაჟა ფშაველა დავითა ქართული ლიტერატურისა, რომელმაც კურთხევა ჭაღარა საულისგან მიიღო“ [1. 228].

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის უკვე არსებობს გრიგოლ რობაქიძის წერილი „ვაჟა ფშაველა“. პირველი მცდელობა, ამასთან წარმატებული, სწორედ გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის. ჩვენთვის უცნობია, ჰქონდა თუ არა წაკითხული შალვა ამირეჯიბის ეს ნაშრომი, რადგან იმდროინდელი კრიტიკის მიმართ გულისწყრომას იგი აქაც არ მალავს, მაგრამ თავდაჯერებულად აღნიშნავს ვაჟა ფშაველას ფენომენის მიმართ მზარდ ინტერესებს, რადგან, მისივე სიტყვებით

რომ ვთქვათ, „ვაჟას საუცხოვო ნიჭი“ ილიას მზის ქვეშ გაიშალა. რა თქმა უნდა, შალვა ამირეჯობის მახვილ თვალს არ გამოპარვია ვაჟას მხატვრულ-ესთეტიკური თვითმყოფადობის მახასიათებლები, რომ მისი მორალურ-მწიგნობრივი პოსტულატები განსაკუთრებით ჭირდებოდა იმდროინდელ ეროვნულ-პოლიტიკურ ლანდშაფტს, რომელმაც „ჩაქანით დაიწყო სიარული“. პუბლიცისტი აცნობიერებს, თუ სად არის ჩატვიფრული და საიდან მოედინება ვაჟას სიბრძნე: „იგი დიდი მცოდნე იყო ქართულ ეტნიურ სულისა და როცა საჯაროთ გამოდიოდა, მას, როგორც მეთილისმეს, თან დაჰქონდა მთელი ხაბაკი ქართული ცხოვრებისა“ [1. 230]. შალვა ამირეჯობი ფაქტობრივად გრძნობს ვაჟას ამ კავშირს „ეტნიურ სულთან“ და დარწმუნებულია, რომ სწორედ ამან განსაზღვრა მისი ადგილი „ილიას მზის“ ქვეშ. სრულიად ბუნებრივად მოჩანს წერილში ვაჟას გარეგნობის მისტიფიკაცია, მისი სიმბოლური მსგავსების ამგვარი გააზრება საქართველოს ბედთან: „გარეგანის მორთულობით მისი სალი და მდიდარი სული, ისევე ღარიბი იყო როგორც გარეგანი ფორმა მთელი ქართული კულტურისა; ღარიბი ჩოხა, ჩვეულებრივი სახე სადა ქართველისა და ავადმყოფი, მუდამ აცრემლებული თვალი- განა ეს სურათი არ არის მთელი საქართველოსი?“ [1. 226]. უნდა აღინიშნოს, რომ წერილები ვაჟა ფშაველაძე ერთ-ერთი საუკეთესოა შალვა ამირეჯობის იმ პუბლიცისტურ მონაგარში, რომელიც ქართულ კლასიკურ მწერლობას ეძღვნება.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი თავის წიგნში „ქართული ემიგრანტული მწერლობა“ მართებულად აღნიშნავს, რომ შალვა ამირეჯობი ნაკლებად ინტერესდებოდა თანამედროვე ქართული მწერლობით. ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისი აღიარებული ფეტიშების უხეში მოპყრობით გამოირჩეოდა, რომელმაც აგრესიულად განაწყო უმრავლესობა. ახალგაზრდების ჯგუფ „ცისფერი ყანწების“ უაპელაციო, თამამმა განაცხადმა იმის თაობაზე, რომ ლიტერატურულ სამყაროს კარგა ხანია მობეზრდა ტრადიციული სქემების ვარიანტი და ახალი ღმერთის ძიება პოეზიაში გარდაუვალია, სიმშვიდე დაარღვია ლიტერატურულ პარნასზე, თუმცა უნდობლობასთან ერთად ქართული პოეზიის განახლების ინტუიციაც გამოაცოცხლა. ლიტერატურული სკოლები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ეს პროცესი შედეგადად იყო კულტურული ცხოვრებისათვის. შესაძლოა, შალვა ამირეჯობის სიფრთხილე ამ პროცესებით იყო გამოწვეული, რადგან სიმბოლისტებმა იმჟამინდელ პარნასზე მობეზრებულ ავტორიტეტებს ბრალდებად წაუყენეს ყოველდღიურის, ტრივიალურის წარმოსახვა და საგანგაშოდ გამოაცხადეს მათი „ესთეტიკური უკულტურობა“. პირველ სამიზნედ, როგორც ცნობილია, სწორედ მე-19 საუკუნის უდიდესი ავტორიტეტები—ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იქცნენ. აქედან გამომდინარე, მისი დუმილი უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს. ცხადია, არც ამ პროცესებში გარკვევა იქნებოდა ადვილი ადამიანისთვის, რომელიც მხოლოდ ლიტერატურით არ იყო დაკავებული და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა. თანამედროვე მწერლობას შალვა ამირეჯობი არც ემიგრაციაში წყალობდა, თუმცა ამ მოსაზრების რევიზიის საფუძველს მაინც გვაძლევს ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „ორნატში“ 1926 წელს დაბეჭდილი მისი წერილი „ჯაცოს ხიზნები“, რომელიც 1991 წელს გურამ შარაძის თაოსნობით კვლავ დაიბეჭდა გაზეთ „ლაშარის“ პირველ ნომერში. მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი ნაწარმოები, რომელშიც იგრძნობა 1924 წლის აჯანყების მარცხისგან გამოწვეული სასოწარკვეთა და ერთგვარი თვითგვემა მიხეილ ჯავახიშვილისა იმის გამო, რომ ქართველმა ხალხმა ვერ შეძლო ჯაცოსთვის- ბოლშევიკებისათვის ხელიდან გამოეგლიჯა მარგო- საქართველო, პირველად დაიბეჭდა 1924 წელს, ჟურნალ „მნათობში“. რომანმა მწერალს ბევრი მკითხველიც და როგორც თავად წერს, „აუარება დამაწყევარიც“ გაუჩინა. მიხეილ ჯავახიშვილს ულტიმატუმიც კი წარუყენეს, თუ გინდა, რომ ძველებურად მივიდეთ და გულთბილად მოგეპყრათ, შენი შემოქმედებიდან ჯაცო ამოშალეო. შალვა ამირეჯობი იმათ შორის აღმოჩნდა, ვისთვისაც რომანის სიუჟეტური ქარგა და იდეურ მხატვრული ჩანაფიქრი კატეგორიულად მიუღებელი გამოდგა. როგორც ცნობილია, ემიგრაციაში შალვა ამირეჯობი, მიუხედავად მისი ფატალური შედეგისა, თავგამოდებით იცავდა აჯანყების იდეას. ამდენად, მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ მწერალმა, რომელიც, მისივე თქმით, ერთ დროს მათ რიგებში ებრძოდა თავის ქვეყნის მტრებს, ასეთი დრამატული დასასრული შეთავაზა მკითხველს და ჯაცოს გაამარჯვებინა. მიუხედავად იმისა, რომ მას მოსწონს მწერლისგან ბოლშევიზმის აღწერის სითამამე, არ პატიობს იმ ჰეროიზმის იგნორირებას, რომელიც ქართველთა ღირსეულმა ნაწილმა ემიგრაციაში გაიყოლა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის იმედით. რომანის ასეთი ფინალი მისთვის ამ საკრალური მიზნის დისკრედიტაციაა, ასუსტებს ეროვნულ ცნობიერებას და მხოლოდ ბოლშევიკების წისქვილზე ასხამს წყალს. „ბოლშევიზმი თამამად არის აღწერილი, მაგრამ რომანში სრულად არ სჩანს ბოლშევიზმის მეტოქე ცხოვრება, რომელიც ასე მედგრად ებრძვის მას და ეს ნაკლი რომანს სიმართლეს უკარგავს. რად მოხდა ეს? ნუთუ ჯაცო ისეთი გამარჯვებულია, რომ დასთრგუნა ცხოვრების სხვა დასაწყისი?“ [3. 39] წერილის ვრცელი ნაწილი შინაარსს ეთმობა, რასაც მხატვრული სახეებისა და ცალ-

კული პასაჟების მკაცრი შეფასება მოყვება. პუბლიცისტის ტონი იმდენად უაპელაციოა, რომ იგი არამართო ეჭვებში აყენებს მის მხატვრულ ღირსებას, არამედ „უღვთოს“, „სიმპატიას მოკლებულ“ ნაწარმოებს უწოდებს „ჯაცოს ხიზნებს“, ბრალს დებს მის ავტორს ქართული კულტურის შეურაცხყოფაში. რაც მთავარია, ავტორი განიცდის პერსონაჟთა შემგუებლურ ბუნებას, რომლის გამო არც მარგო და არც თეიმურაზ ხევისთავი მკითხველში სიბრაღულს არ იწვევს. შალვა ამირეჯიბის გულისწყრომის მიზეზი შეიძლება ასე ფორმულირდეს- მაშინ, როცა ქართული ემიგრაცია მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება ბოლშევიზმთან ბრძოლის იდეას, მიხეილ ჯავახიშვილი მორჩილი, დეგრადირებული ნაკაცარების მხატვრული სახეების შექმნით ბრძოლის ჟინს უქრობს ბოლშევიკების ტყვეობაში მყოფ ქართველებს. „არ არის საჭიროება, რომ ჯაცოსნაირი მართალი ტიპი მწერლობაში იქნეს შეყვანილი, ხელოვნება სიმბოლოს საჭიროებს და არა ასლს“.[3. 40] ჩნდება კითხვა, შალვა ამირეჯიბი, რომელიც ილიას დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ და რომელიც ხედავს მიხეილ ჯავახიშვილის რომანის პერსონაჟების ანალოგიას „კაცია- ადამიანის“ პერსონაჟებთან ამ შემთხვევაში სუბიექტური ხომ არ არის, რადგან როსტომ ჩხეიძისა არ იყოს, „ორივე ქართულ თხზულებას თავიდან ბოლომდე ერთი ხედვა გასდევს და მთავარი გმირებისადმი ავტორთა დამოკიდებულება უცვლელია: სატირულ-კრიტიკული, არსად თანაგრძობა (ყოველ შემთხვევაში ხელშესახებად გამოხატული), არსად პატივისცემის გამომჟღავნება“.[6] ცნობილია, რომ თავის დროზე „კაცია-ადამიანის?“ ” გამო არც ილიას დაკლებია წყრომა და საყვედური. ცნობილია ისიც, რომ არსებობს მოსაზრება „ჯაცოს ხიზნების“ დაუსრულებლობის შესახებ. მტკიცებულებად 1925 წელს შალვა დადიანის მიერ „ჯაცოს ხიზნების“ პიესად გადაკეთების მცდელობას ასახელებენ, რაზედაც მიხეილ ჯავახიშვილმა უპასუხა, რომ ნაწარმოების გაგრძელებას აპირებდა და პიესაზე დროის დაკარგვა არ ღირდა, ვიდრე რომანს არ დაასრულებდა. გულწრფელად უნდა ითქვას, სუბიექტურობას შალვა ამირეჯიბის ეს წერილი მოკლებული არ არის, თუმცა მისი მოტივი იმდენად წმინდა ოცნებიდან- საქართველოს გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეიდან არის ამოზრდილი, რომ ეს სისუსტე შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტურ ნიჭს და პიროვნულ პროფილს ჩრდილს არ აყენებს. „ვინ არის თეიმურაზი? ის მოკლებულია იმასაც, რასაც ილია ჭავჭავაძე „ცით მონაბერ სულს“ ეძახდა და თან იმდენად კეთილი იყო, რომ არ დაიშურა ის არც ლუარსაბისთვის, არც დარეჯანისთვის. მიხეილ ჯავახიშვილი ბოროტებაა, მან იცის მხოლოდ ნაკლი ადამიანის და არც ერთი ღირსება“-[3. 39] შალვა ამირეჯიბისგან ასეთი ვერდიქტიც შესაწყნარებელია. დემნა შენგელაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმხანად საქართველოდან სიყვარულის გამო გარბოდნენ, აქ სიყვარულისა და ცხოვრების ერთად შერიგება ძალას აღემატებოდა. შალვა ამირეჯიბის ეს შეფასებაც ამ სულიერი ჭიდილის ნაყოფია. 1924 წლის აჯანყების შეფასებისას იგი არასოდეს კარგავდა იმედს, მისთვის დაუშვებელი იყო პესიმიზმის გამოვლინება, რადგან მთელი ცხოვრება სწამდა: „ავვისტოს აჯანყებამ, მართალია, ახალი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შვა, მაგრამ მან შვა ახალი სულიერი საქართველო“ [2.149.] ცხადია, „ჯაცოს ხიზნების“ დამარცხებული პერსონაჟები „ამ ახალი საქართველოსთვის“ მეტად საგანგაშო და მიუღებელი აღმოჩნდა იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელსაც შალვა ამირეჯიბი მწერლობას ანიჭებდა.

შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტური მემკვიდრეობის იმ ნაწილის შეფასებისას, რომელიც ქართულ კლასიკურ მწერლობას ეძღვნება, ჩვენ ვერ დავეყრდნობით კლასიკური სალიტერატურო კრიტიკისათვის დადგენილ კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო მხატვრულ მიგნებებთანაც გვაქვს საქმე, მათი მნიშვნელობის გააზრებისას მაინც წინა პლანზე წამოიწევს მიმართება ეპოქალურ პოლიტიკურ რეალობასთან, რომლის მაგისტრალური ხაზი შალვა ამირეჯიბისათვის ეროვნულ დამოუკიდებლობასა და მისი ღირსებისათვის ბრძოლაზე გადიოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი შალვა, წიგნი პირველი (1997), გამომცემლობა დიოგენე, თბილისი
2. ამირეჯიბი შალვა, წიგნი მეორე (1997), გამომცემლობა დიოგენე, თბილისი
3. ამირეჯიბი შალვა, ჯაცოს ხიზნები, ჟურნალი ლაშარი (1991), №1, თბილისი
4. ამირეჯიბი ჭაბუა, *თბზულებანი*, ტ.7 (2001), თბილისი
5. ნიკოლეიშვილი ავთანდილ, *ქართული ემიგრანტული მწერლობა* (2006), ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი
6. ჩხეიძე როსტომ, *აპოლოგია ლუარსაბ თათქარიძისა* (2009), burusi.wordpress.com/2009/11/06/rostop-chkheidze/
7. შარაძე გურამ, *უცხოეთის ცის ქვეშ*, წიგნი პირველი (1996), მერანი, თბილისი

SALOME KAPANADZE

Grigol Robakidze University

GEORGIAN CLASSICAL LITERATURE IN THE PUBLICATION OF SHALVA AMIREJIBI

Shalva Amirejibi was a distinguished figure of Georgian political thinking. He maintained this status in dignity during emigration. The national ideal of the Shalva Amirejibi and the state of law still retains its not only historical viewpoint but also because of the threats from which Georgia has not yet been released and which is not only spurred by external factors. Shalva Amirejibi, a great poet himself, always knew the role of national literature in this process. It feels its importance as moral intellectual and the liver of this country. Before embarking into emigration, and after Shalva Amirejibi's publicist works, a significant place is the understanding of the importance of Georgian classical writing. The influence of epochs and the strongest instinct of self-preservation, the ideal of liberty, "Georgian nationalism" - is the main line in which the publication of his publication is written on Georgian classical literature. Shalva Amirezibi does not have any artistic qualities, but it is the priority for him to "win the national soul and win the national consciousness". The work deals with Shalva Amirejibi's letters on Shota Rustaveli, Vazha Pshavela, Akaki Tsereteli and Ilia Chavchavadze, whose phenomenal conviction with the national consciousness and reveals the true intention of those who were engaged in the discretion of Ilia Chavchavadze during that period.

თეატრ მჭედლიშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთი კაპანაძე - პიჩვილი კონცეპტუალისტი ქალი საბჭოთა სივრცეში

ქართველი ხელოვანი ქეთი კაპანაძე, როგორც კონცეპტუალისტი მხატვარი, საგამოფენო სივრცეში პირველად 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა, თუმცა ცნობილ შავ-თეთრ გრაფიკებზე მუშაობა მან ჯერ კიდევ 1983 წელს დაიწყო. 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ქანდაკების ფაკულტეტი დაასრულა, სამხატვრო აკადემიაში ჩაბარების მიზნით გია ეძგვერაძის კერძო გაკვეთილებზე დაიწყო სიარული. ეს გადაწყვეტილება ქეთი კაპანაძის შემოქმედებისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. მისი მასწავლებელი ახალგაზრდა აბსტრაქციონისტი მხატვარი გია ეძგვერაძე 70-იანი წლებიდან საზოგადოებისთვის საჯარო და ეპატაჟური სახელოვნებო აქციების აქტივისტად იყო ცნობილი. ქართველ ახალგაზრდა აბსტრაქციონისტებთან ერთად იგი საბჭოთა ცენზურას ჯერ ფარულად, ხოლო შემდეგ ღიად დაუპირისპირდა. როდესაც მათი ე. წ. სახელოვნებო აქტივობები სამიში გამოსვლების სიას გადაეცა, საქმეში სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტი ჩაერია და ახალგაზრდები იძულებულნი გახდნენ უკვე დაგეგმილი აქციები ან გაეუქმებინათ, ან კიდევ დახურულ წრეში გადაეტანათ, რაც ასევე დიდად სარისკო იყო. აკრძალვებისა და კონტროლზე აყვანის შემდეგ მათი ანტისაბჭოთა პროტესტი ქუჩიდან საბინაო გარემოში გაგრძელდა. თავისუფლებისაკენ სწრაფვა და საბჭოთა სისტემის კრიტიკა გია ეძგვერაძის კერძო გაკვეთილებზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. იგი აკადემიური მხატვრობის სწავლების პარალელურად მოსწავლეებში არაფორმალური, აკრძალული ხელოვნების პროპაგანდას ეწეოდა. სწორედ ამ სივრცეში მოხდა ქეთი კაპანაძის, როგორც თანამედროვე ხელოვნის ჩამოყალიბებაც. როგორც მხატვარს, მას საშუალება მიეცა საკუთარი თავი ახლებურად დაენახა და გაეცნობიერებინა, რომ აკადემიური მხატვრობა მას ბოლომდე გამოხატვის საშუალებას არასოდეს მისცემდა. შემდგომ წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ქეთი კაპანაძე უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა, მას გია ეძგვერაძის კერძო გაკვეთილები არ მიუტოვებია. ეს იყო მისთვის საკომუნიკაციო სივრცე, რომელშიც თავს თავისუფალ შემოქმედად გრძნობდა, თანამობრეებთან ერთად ხატავდა, ევროპულ ხელოვნებაზე საუბრობდა და საბჭოთა სისტემას აკრიტიკებდა. გია ეძგვერაძეზე დაქორწინების შემდეგ ქეთის აბსტრაქციონისტი ქართველი მხატვრების წრეში ყოფნა უფრო ხშირად უწევდა, მათთან ერთად სხვადასხვა აქციაშიც იღებდა მონაწილეობას, მათ აზრებს იზიარებდა, შთაბეჭდილებების ქვეშ იყო, მაგრამ, როგორც ხელოვანი, მუშაობას ყოველთვის განმარტოებით არჩევდა. იგი დამოუკიდებელი მხატვრის სტატუსს ბოლომდე ინარჩუნებდა და, მიუხედავად სხვადასხვა ჯგუფთან მეგობრობისა, მათი წევრი არასოდეს გამხდარა. ნონკონფორმისტ მხატვართა გაერთიანებები 80-იანი წლების დასაწყისში თბილისში არცთუ ისე ბევრი იყო. სწორედ ამიტომ ჯგუფებს შორის შეხვედრები და ერთობლივი გამოფენებიც ხშირად იმართებოდა. მათ მთავარი საერთო ამოძრავებდათ: შემოქმედება იყო მათი იარაღი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში რამდენიმე თაობა ერთად იყო ჩართული. ერთ-ერთი სამაგალითო იყო ძველი თაობის წარმომადგენელი, ხელოვანი ალექსანდრე ბანძელაძე, რომელიც რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად 70-იანი წლებიდან აბსტრაქციონისტთა ჯგუფს კურირებდა. გერმანული ექსპრესიონიზმით და რუდოლფ შტაინერის თეორიებით იყვნენ გატაცებულნი ჯგუფი „არქივარიუსები“, ხოლო შემდეგში „მეათე სართულის მხატვრებად“ წოდებული მხატვრები, რომელთა სულიერ მამად მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე, ახალი თაობის წარმომადგენელი, კარლო კაჭარავა მიჩნეოდა. იმავე ჯგუფის წევრები მუშაობდნენ მარჯანიშვილის სახელოვნოშიც. „მეათე სართულის მხატვრებთან“ ხშირი კონტაქტი ჰქონდათ მათზე უფროს თაობას: ლევან ჭოლოშვილს, ირაკლი ფარჯიანსა და გია ბულაძესაც. იყვნენ ინდივიდუალურად მომუშავე ხელოვანნიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის სახელოვნებო წრეებში, ერთი მხრივ, აბსტრაქცი-

ონიზმის, ხოლო, მეორე მხრივ, ექსპრესიონიზმისა და ნეოექსპრესიონიზმის გავლენა დიდი იყო, ორივე ჯგუფში 80-იანი წლების ბოლოს მხატვართა ნაწილი კონცეპტუალური და მინიმალისტური ხელოვნების მიმართულებით იწყებს მუშაობას. იმ პერიოდში ტილოზე ხატვისას თუ ხელოვნების ობიექტებზე მუშაობის დროს სიტყვას დიდი ძალა ენიჭებოდა. მნიშვნელოვანი ხდება თავად შექმნის პროცესიც, თუმცა 80-იანი წლების ბოლომდე მხატვრები ჯერ კიდევ დახურულ სახელოსნოებში იკრიბებოდნენ და საბინაო არაფორმალურ გამოფენებს მართავდნენ. იმავე ხანებში შავ-თეთრი ნახევრად ავტომატური გრაფიკების შექმნის დროს საკუთარ სახლში მუშაობდა მხატვარი ქეთი კაპანაძეც. იგი სამხატვრო აკადემიაში სწავლის პროცესში, დიდ შესვენებაზე, სახლში გადადიოდა, რათა აკადემიური მხატვრობისგან დამოუკიდებლად ემუშავა. ერთ-ერთ ასეთ შესვენებაზე სპონტანურად დაიბადა ქეთის ცნობილი გრაფიკები. როდესაც სამხატვრო აკადემიის ლექციების შუალედში, ერთსაათიანი შესვენების დროს, ერთხელ სახლში მისულმა ხელში აკვარელის ფურცელი აიღო და მთლიანი კომპოზიცია შავი გუაშით დაფარა, ზედაპირზე კი ნახევრად ავტომატური ხელის მოძრაობით ფიგურა გამოსახა. მუშაობის დროს იგი დაუგეგმავად (სპონტანურად) მოქმედებდა. იყო მომენტები, როდესაც თავდაპირველად სახელწოდების იდეა მუშავდებოდა და შემდეგ გადადიოდა ქმედებაზე; მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნახატის ხატვის დროს კომპოზიციისა და სახელწოდების იდეა თავისთავად მოდიოდა. მის გრაფიკებში ხშირია განზრახ დაშვებული შეცდომები. ხანდახან ტექსტი თავის ფუნქციას კარგავს და გრაფიკული გამოსახულების ნაწილი ხდება. ვხვდებით ისეთი წინადადებების (?) წყობასაც, რომლებიც კომპოზიციის კონცეფციად გვევლინება და მისი დატვირთვა დიდია. ასეთია 1983 წელს შესრულებული ნამუშევარი სახელწოდებით: „მსხვერპლშეწირვა“, რომელიც მინიმალისტური გრაფიკული გამოსახულებით მსხვერპლშეწირვის აბსტრაქტულ სცენას გვიხატავს. ნამუშევრის მარცხენა კიდზე სამფოთლიანი ვერტიკალური ეკლებიანი ღერძის მქონე მცენარეა გამოსახული. მცენარე მარჯვენა ფოთლის სათავიდან სითხეს გამოყოფს და ზემოდან ქვემოთ ძაბრისებრ ჭურჭელში იღვრება. წყვეტილი ხაზების ნაკადი, რომელიც ფოთლის სათავიდან მოედინება, საბოლოოდ მამაკაცის გენდერის სიმბოლოს უერთდება. ნამუშევარში წარმოდგენილი ინგლისურენოვანი ტექსტი ფაქტობრივად ნამუშევრის კონცეფციაა, რომლის დახმარებითაც ვიგებთ, რომ მსხვერპლშეწირვის სცენა ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო ურთიერთობის ვიზუალიზაციას წარმოადგენს. ქეთი კაპანაძის შავ-თეთრი გრაფიკები რამდენადაც მარტივი, იმდენად რთულად აღსაქმელი კომპოზიციებისგან შედგება. ნამუშევარში გამოყენებული ურთიერთგამომრიცხავი ტექსტები და უცნაური გამოსახულებები დამთვალეირებელში ხშირად დაბნეულობას იწვევს. არის მომენტები, როცა კომპოზიციის გრაფიკასა და ნამუშევრის სახელწოდებას ერთმანეთს ვერც კი დაუკავშირებ, მაგრამ, ამის მიუხედავად, კომპოზიცია საშუალებას იძლევა, საკუთარი ფანტაზიის დახმარებით საკუთარი ვერსია წარმოიდგინო. ზემოთ აღწერილი გრაფიკა სწორედ თითოეული დამთვალეირებლის წარმოსახვას საჭიროებს. ფაქტია, სამფოთლიანი ეკლებიანი მცენარე ქალის სიმბოლოს შთაბეჭდილებას ახდენს, ამიტომ ავტობორტრეტის ან ავტობიოგრაფიული ტიპის ნახატსაც კი შეიძლება მივაკუთვნოთ. უფრო მარტივად გასაგებია ქეთი კაპანაძის 1985 წელს შესრულებული გრაფიკა სახელწოდებით „გამარჯვებული“, რომელზეც ჩაქუჩის გამოსახულება, როგორც ადამიანის განვითარების სიმბოლო ისეა წარმოდგენილი. ამ კომპოზიციაში ადამიანის ქვის ხანიდან დღემდე განვლილი განვითარების ისტორია სინათლის სიჩქარით არის აღწერილი. მხატვარი მცირე ზომის ფურცელზე ერთი ხელის მოსმით ხატავს ადამიანის განვითარების ეტაპებსა და გზებს. ჩაქუჩის გამოსახულებას, როგორც გამარჯვებისა და სიძლიერის სიმბოლოს, ქეთი კაპანაძე შემდგომ ნამუშევრებშიც ხშირად იყენებს. შავ-თეთრი გრაფიკებისა და მათი დიდ ტილოზე გადატანის სურვილი მხატვარმა 80-იანი წლების ბოლოს ამოწურა. მიუხედავად იმისა, რომ ქეთი კაპანაძის ნამუშევრები იმ პერიოდში ჯერ კიდევ არც ერთ გალერეაში არ გამოფენილა, მისი შავ-თეთრი ქმნილებები ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანებისთვის უკვე კარგად იყო ცნობილი. ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული დამთვალეირებელი მასთან პირადად სახლში მიდიოდა, მათ შორის უცხოელი კოლექციონერებიც იყვნენ, რომელთაც თანამედროვე ხელოვნებაში მოღვაწე ქართველი ქალი მხატვრის გაცნობის სურვილი ჰქონდათ. ამის გამო იმ პერიოდის ნამუშევრებიდან რამდენიმე ნახატი უცხოურ კოლექციებშია დაცული. მისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების კოლექცია ინახება კოლოძის ფონდში, რომელსაც ტატიანა კოლოძე კურირებდა; მან საბჭოთა ავანგარდული ხელოვნების შეგროვება 60-იანი წლებისთვის დაიწყო. საპატიო ადგილი უკავია ქეთისა და გია ეძვერაძის ნამუშევრებს დოჯის კოლექციაშიც, ისინი დიდ ინტერესს იწვევდა, როგორც საბჭოთა სივრცეში შექმნილი თანამედროვე ხელოვნება. ქეთის კაპანაძის ნახატები ქართველი მხატვრების კოლექციაშიც ინახება, თუმცა მხატვარი თავის ქვეყანაში არასოდეს ყიდდა ნამუშევრებს. მისი ნამუშევრები მხოლოდ გაჩუქების შედეგად ხვდებოდა მხატვრობის მოყვარულთა ხელში. მათ შორის იყო არჩილ დარჩიაც, რომლის კოლექციაში

დღემდე ინახება ქეთი კაპანაძის ნამუშევარი. 80-იანი წლების ბოლოს ქეთი მარჯანიშვილის სახელოსნოს მხატვრებს დაუმეგობრდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი მუშაობას მარტო განაგრძობდა, იმ პერიოდისთვის სოლოგამოფენის გაკეთება ძალიან რთული იყო, ამიტომ თავდაპირველად ჯგუფური გამოფენების მონაწილე გახდა. ექსპოზიციაზე რამდენჯერმე „მარჯანიშვილის მხატვრებთან“ ერთად წარდგა, ხოლო შემდეგ გია რიგვაასა და ნიკო ლომაშვილთან თანამშრომლობით 1989 წელს თეთრ გალერეაში გამოფენა ნამუშევრები. ამ გამოფენას კარგი გამოხმაურება ჰქონდა, მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში ლეონიდ ბაზანოვის რეცენზიაც გამოქვეყნდა. იმავე წელს მოეწყო გამოფენა მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების ნაციონალურ გალერეაშიც, იქ ქეთიც მონაწილეობდა. 1989 წლის 20 სექტემბერს საქართველოს სახალხო მეურნეობის მოღვაწეთა გამოფენის პირველ პავილიონში გაიხსნა ქართული ავანგარდი რეტროსპექტული გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას ქეთი კაპანაძე სიამოვნებით დასთანხმდა. ეს გამოფენა მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ იმ დროს თბილისში თანამედროვე ხელოვნების კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია AICA-ს კონგრესი იმყოფებოდა, კონგრესის მონაწილეებმა, რა თქმა უნდა, საგამოფენო სივრცე მონახულეს. იმხანად ცვლილებები მოხდა ქეთი კაპანაძის შემოქმედებაშიც. მან გრაფიკისა და ფერწერის შემდეგ არტობიექტებსა და ფოტოგრაფიაზე დაიწყო მუშაობა. მისი პირველი კონცეპტუალური ნამუშევარი 1990 წლით თარიღდება. იმ პერიოდის არტობიექტების სერიას დაარქვა „ციფრების ეროტიკა“, რომელიც ნიკელის გამოჭრილი მათემატიკური ციფრების სარკვეზე განლაგებით შექმნა. მათემატიკური ციფრებით გათამაშებულ, ბევრისთვის თამამ და მიუღებელ ფორმებს, ასევე ციფრების კომბინაციას შემდგომში აკვიტებული და საზოგადოებაში გაცვეთილი სიტყვები დამატა. სიტყვების მნიშვნელობა, ისევე როგორც არტობიექტების გამოსახულება, ეროტიკულ თემებზე იყო აგებული. მსგავსი გადაწყვეტილება იმ დროს ქალი ხელოვანისთვის თამამი ნაბიჯი იყო. თუმცა ამ თემზე მუშაობა ქეთი კაპანაძისთვის არც პირველი და არც უკანასკნელი იყო. მას სურვილი გაუჩნდა სიტყვებისა და ციფრებისთვის სხეული მიენიჭებინა, რამაც მხატვარი სასურათე სიბრტყიდან არტობიექტებამდე მიიყვანა. ნამუშევრისთვის თითოეულ არჩეულ სიტყვას შინაარსის პარალელურად ხშირ შემთხვევაში ლითონის, ბაწრის სხეული ჰქონდა. ქეთი კაპანაძემ ინსტალაციის პარალელურად ფოტოგრაფიაშიც მოსინჯა თავი. ფოტოსერიების ციკლი, რომლებიც სპონტანურად შეჩერებული კადრებითა და ცხოვრებისეული სცენებით ხასიათდებოდა, წარწერებთან სინთეზში საინტერესო სიუჟეტს ქმნიდა. ფოტოს გადაღების დროს, ქეთი კაპანაძისთვის სასურველი კადრი უმეტესობას უცნაურად ერგებოდა. მათთვის წარმოდგენილი იყო ასეთი ტიპის, ფოტოზე შეჩერებული ერთი წამის, ხელოვნების ნაწილად ქცევა. მაგრამ ქეთისთვის მნიშვნელობა მხოლოდ მისი საქმის სიყვარულს ჰქონდა. იგი ენდო საკუთარ ინტუციას და ისეთ გარემოში, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, გაბედა და ინოვაციური კუთხით მიუდგა ფოტოგრაფიას. ასეთივე გაბედული აღმოჩნდა იგი 1985 წელს, როდესაც მხატვრის სახლში, გია ეძვერაძის სკანდალურ სოლოგამოფენაზე, გიას ნამუშევრებთან კოლაბორაციაში მცირე ზომის შავი გრაფიკული ე.წ. ნამუშევრის ანოტაციები წარადგინა. თითოეული კომპოზიცია აბსურდული ტექსტისგან შედგებოდა, რაც ქეთის ნამუშევრებს ზოგადად ახასიათებს. ეს გამოფენის ექსპოზიციისთვის ე.წ. კრედიტის ტიპის საინფორმაციო ტექსტები კი არა, არამედ მისგან დამოუკიდებლად არსებული შავი გრაფიკული კომპოზიციები იყო. ამ გამოფენაზე ქეთი კაპანაძემ ფოტოგრაფობაც შეითავსა და დოკუმენტაცია შექმნა. ზოგადად ფოტოგრაფიას მის შემოქმედებაში დღემდე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. რაღაც პერიოდში, თუკი სასურათე სიბრტყიდან გამოდის და არტობიექტებამდე მიდის, შეიძლება ითქვას, ფოტოგრაფიით ფერწერის ჩანაცვლებასაც ახდენს. იგი არა მხოლოდ პოულობს კარგ კადრს და ასახავს მას, არამედ ფოტოკადრების საშუალებით ახალ კომპოზიციასაც ქმნის. 1997 წელს, როგორც ტურისტი, ევროპაში მიდის და იწყებს ახალი ნამუშევრების შექმნას. იგი შოტლანდიაში ჩადის და განსხვავებულ სამყაროს ხვდება. ხელოვანი გაკვირვებულია, რომ ევროპა, მიუხედავად თავისუფლებისკენ სწრაფვისა, მაინც ზღუდავს ადამიანს, როგორც ინდივიდს. ქეთი ეძებს მსგავსებას ამ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ სამყაროში. იგი ფიქრობს, რომ ევროპის ქუჩებში უზარმაზარი სარეკლამო ბანერები, წარწერები და კიდევ მრავალი მითითება ადამიანს მექანიკური ქმედებისკენ მოუწოდებს და, საბოლოო ჯამში, ადამიანი მაინც კარგავს თავისუფალ ნებას. ფოტოკოლაჟებში მხატვარი ორი სხვადასხვა სივრციდან ერთ ილუზიურ სივრცეს ქმნის. იყენებს ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ სარეკლამო აბრებს, რომელთაც სხვა ქუჩის გარემოს უხამებს და პოპულარული სარეკლამო ტექსტების დართვით საბოლოო სახეს ანიჭებს კოლაჟს. ნამუშევრებში ხშირად გვხვდება გამოყენებული ტექსტები: „იყავი ფხიზლად“, „ისინი გაკონტროლებენ“, „ჩემზე მოქმედებს“. ქეთი კაპანაძე თავის კოლაჟებში პოსტსაბჭოთა მოქალაქის თვალთ დახახულ თავისუფალი ევროპის ვიზუალიზაციას ცდილობს. 1993-94 წლებში იგი ცდილობს კიდევ ახალ მედიაში მოსინჯოს შესაძლებლობები და ნიკო ლომაშვილთან და კოკა რამიშვილთან კოლაბორაციაში თანამედროვე ხელოვნების გალერეას ხსნის. ეს არ იყო

ჩვეულებრივი გალერეა, რომელშიც ხელოვანი გამოფენდნენ თავიანთ ნამუშევრებს; ეს იყო ოფისის ტიპის სივრცე, სადაც შეხვედრებისა და საუბრების პარალელურად ჟურნალ „სიგნალის“ შექმნაზე იმუშავებდნენ. ჟურნალი გათვლილი იყო ხელოვნებით დაინტერესებულ ადამიანებზე. სარედაქციო ჯგუფის სურვილი იყო ჟურნალ „სიგნალის“ გამოცემებში სხვადასხვა მხატვრის ტექსტები და სახელოვნებო სივრცეში მომხდარი ახალი ამბები დაეხეჭდათ. გასათვალისწინებელია, რომ იმ პერიოდისთვის საქართველო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, მაგრამ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად რთული პერიოდი იდგა. არც საზღვრების გადაკვეთა და ინფორმაციის მარტივად მიღების საშუალება არ იყო. ინტერნეტქსელთან, რომელიც ჯერ კიდევ ქვეყანაში ახალი შემოსული იყო, წვდომა ყველას არ ჰქონდა, ამიტომ გადაწყვეტილება - შეექმნათ ჟურნალი, რათა ქართველ საზოგადოებას მსოფლიოში ხელოვნების ახალი ტენდენციების შესახებ ინფორმაცია მარტივად მიეღო - საინტერესო წამოწყებას ჰგავდა. სამწუხაროდ, ჟურნალ „სიგნალის“ მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა, რადგან დაფინანსება ვეღარ მოიპოვეს და პროექტი დაიხურა.

ქეთი კაპანაძე 2000 წელს სტიპენდიით ჯერ სამი წლით გაემგზავრა გერმანიაში, ხოლო შემდეგ ემიგრაციაში დარჩა საცხოვრებლად და დღემდე გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში მოღვაწეობს.

TAMAR MCHEDLISHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

KETI KAPANADZE, THE FIRST CONCEPTUALIST WOMAN IN SOVIET SPACE

SUMMARY

Keti Kapanadze as conceptual artists appeared on art scene in the beginning of 90-ies. She was born in Tbilisi in 1962 . She was the first conceptual artist in Georgia in Soviet times. While still a student at the Art Academy in Tbilisi, she produced her first conceptual graphical and photo works in 1983. Since 1978 she attended art school of Niko Nikoladze on faculty of sculpture after what she was admitted in Academy of Art For her entrance examination she took private classes arranged by artist Gia Edzveradze. This artistic space appeared a decisive moment for her in order to become a conceptual artist. Keti Kapanadze already experimenting and searching practical and meaningful mediums even at her student hood.

One day at break in academy of art Keti Kapanadze left classes and went home, where she began painting on aquarelle paper by black gouache with self-automatic technic. As a result she made her black and white graphic series. This halfly conscious and halfly unconscious drawing process seems to be an exact moment of appearing a conceptual art in her creativity. Since 90-ies she creates installation, works in photography and makes collage. Her graphical series with texts mostly are spontaneous or voluntarily written with mistakes, in order to empathize form rather than content. She tries to incorporate text by using different material: nickel, rope and paper.

სოფიო ჩიჭოკელიძე

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

კეკელიძე მხატვარი როგორც ცუხიშვილის შემოქმედებაში

რომულად ცუხიშვილი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანია. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გარდა, იგი წარმატებით მუშაობს ფერწერასა და გრაფიკაშიც. შემოქმედის მოღვაწეობის ძირითადი სფერო კი მხატვრული კერამიკაა. მხატვრის კერამიკული ნაკეთობები არცთუ მრავალრიცხოვანია, თუმცა ნიმუშთა განსხვავებული მასალა, შესრულების ტექნიკური ხერხების, ფორმებისა და შინაარსის მრავალფეროვნება ხელოვნის ფართო ინტერესებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების მაჩვენებელია. თანამედროვე ხედვით გააზრებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, ეროვნული თემები, ნიმუშთა ფორმების „მონუმენტურობა“, ნაკეთობათა დეკორის „ფერწერულობა“, მისი დეკორატიულობა კერამიკოსის ნამუშევრების გამორჩეულ მხატვრულ სახეს განაპირობებს. მხატვარს შექმნილი აქვს როგორც მონუმენტური, ისე მცირე ზომის დეკორატიული და ყოფითი დანიშნულების ნიმუშები. მუშაობს ფაიფურის, წითელი თიხისა და შამოთის მასალებით.

მხატვარ-კერამიკოსი რომულად ცუხიშვილი 1936 წელს დაიბადა ქალაქ კიევიში. მხატვრის მამა აპოლონ ცუხიშვილი პროფესიით საზღვაო სამხედრო იყო და სამსახურებრივი მოვალეობის გამო ოჯახთან ერთად სხვადასხვა ქალაქში უხდებოდა ცხოვრება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მომავალი ხელოვანი დედასა და და-ძმასთან ერთად ბათუმში დასახლდა და იქვე მიიღო საშუალო განათლება. მხატვრობის ინტერესი ბავშვობიდანვე გამოავლინა. ხელოვანი თავად იხსენებს: „სულ პატარა ვიყავი, როდესაც ხატვა დავიწყე. დედამ მიიქცია ამას ყურადღება და მეხმარებოდა. რატომღაც სტალინის ვხატავდი ხშირად, ტანკებს, თვითმფრინავებს, ომს. სკოლაში სწავლის პერიოდში ხატვას რუსი პედაგოგი ოლეგ გრიმოვი გვასწავლიდა, რომელმაც ყველას შეგვაყვარა ხატვა. თავად მხოლოდ სამხატვრო ტექნიკური ჰქონდა დამთავრებული და ძალიან უყვარდა ხელოვნება. შემდგომ ხატვის წრეზე დავიწყე სიარული. როდესაც ვავიზარდე, სახლში ვმუშაობდი უფრო სერიოზულად, ნატურიდან ვხატავდი და ასე, ამ ცოდნით შევედი სამხატვრო აკადემიაში“¹.

რომულად ცუხიშვილი 1957 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტზე², რომელიც 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა. მომდევნო სამი წლის განმავლობაში (1963-1966) მუშაობდა მხატვარ-კონსტრუქტორად სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროში და სერიული წარმოებისთვის რამდენიმე ეტალონიც შექმნა. 1966-1967 წლებში იყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმის რესტავრატორი. 1967-1970 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურაში სწავლობდა³. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა აქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფა-

¹ იხ. *ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს რომულად ცუხიშვილთან*, ელ. ჟურნალი „Georgianart.ge“, სერია B, 2017. <http://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/211.html?ed=18> (26.02.2018).

² პედაგოგები: გიორგი ქართველიშვილი, დავით ციციშვილი, სერგო ქობულაძე, ზაქრო მაისურაძე, ვასილ შუხაევი, რეზო იაშვილი.

³ ხელმძღვანელი ს. ქობულაძე.

კულტეტზე დაიწყო, როგორც პედაგოგმა და მრავალი წლის განმავლობაში ზრდიდა ახალგაზრდა პროფესიონალ მხატვართა თაობებს. იგი ასევე ასწავლიდა მოზამბიკის სამხატვრო სკოლაში, სადაც კერამიკის განყოფილება დააარსა. მხატვარს გამოქვეყნებული აქვს თეორიული ნაშრომები ხელოვნების დარგში. 1960-იანი წლებიდან მონაწილეობდა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებში. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა (1985 წ.).

მხატვრის შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლის წლები სრულად გამორჩეულია ქართულ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში, რაც XX საუკუნის დასაწყისიდან დარგის განვითარებისთვის განხორციელებულმა არაერთმა მნიშვნელოვანმა რეფორმამ და 1960-იანელ კერამიკოსთა თაობის ნიჭიერებამ და თვითმყოფლობამ განაპირობა. მათ შემოქმედებაში ახალი მხატვრული სახით წარმოიჩინა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქართული კერამიკული ხელოვნება. ამავდროულად საფუძველი ჩაეყარა ჩვენი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისთვის მანამდე უცნობ მხატვრულ მიმართულებებსაც.

თავად მხატვარი ამ პერიოდზე შემდეგს მოგვითხრობს: „1960-იანი წლებიდან ქართული კერამიკული ხელოვნების აღორძინება დაიწყო. ამას აკადემიის ექსპერიმენტული ლაბორატორიის დაარსებამ შეუწყო ხელი. ლაბორატორია დავით ციციშვილის წინადადებით ჩამოყალიბდა. აკადემიის კერამიკულ სახელოსნოში მუშაობდა ბევრი ნიჭიერი მხატვარი: ალდე ვაკაბაძე, რეზო იაშვილი, ნანა კვიციანი, ქეთევან კარგარეთელი, გულნარა გოგიჩაიშვილი, რეზო მეტრეველი, რაისა ეკალაძე, ირინა გაჩეჩილაძე, შოთა ნარიმანიშვილი და სხვები. აქ

ნამუშევრები აკადემიისთვისაც მზადდებოდა და შემოქმედებითადაც მუშაობდნენ მხატვრები. 1960-იან წლებში თურამე პრემიები, მედლები და დიპლომები იყო, მაშინ მიიღეს ჩვენმა კერამიკოსებმა. ეს იყო ქართული კერამიკის უცვარი აფეთქება, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე კეთდებოდა და ფონდებში არის დაცული მრავალი შესანიშნავი ნამუშევარი, შესრულებული ანგობითა და ჭიქურებით, სხვადასხვა შერეული ტექნიკით, მაგრამ შავკრიალა კერამიკამ უდიდესი წარმატება მოუტანა ქართულ დეკორატიულ ხელოვნებას. 1960-1970-იან წლებში ამის პარალელურად განვითარდა მონუმენტური კერამიკა. ასე დაიწყო აღორძინება და წინა თაობის მხატვრებმა გოგი ქართველიშვილმა, ზაქრო მასურაძემ, ნიკოლოზ გომელაურმა, ეკატერინე ბაბლიძემ, სულხან სულხანიშვილმა და სხვებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში. ქართული კერამიკის განვითარებისათვის საძირკველში უდიდესი აგური ჩადეს“⁴.

როგორც აღვნიშნეთ, რომულდ ცუხიშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემია 1963 წელს დაამთავრა. სადიპლომო ნაშრომი - პანო „ქვევრების რეცხვა“ (ილ. 1) - კერამიკოსმა თბილისის №1 ღვინის ქარხნის ეზოსთვის შეასრულა⁵, რომელიც ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნამუ-



ილუსტრაცია №1.
პანო „ქვევრების რეცხვა“. შამოთი,
მაილიკის ჭიქურები, 220X80 სმ., 1963წ.

⁴ იხ. ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს რომულდ ცუხიშვილთან, ელ. ჟურნალი „Georgianart.ge“, სერია B, 2017. <http://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/211.html?ed=18> (26.02.2018)

⁵ ხელმძღვანელი გიორგი (გოგი) ქართველიშვილი.

შევარია როგორც ხელოვნის შემოქმედებაში, ისე ქართული მონუმენტური ხელოვნების ისტორიაში. მხატვარი რომუალდ ცუხიშვილი იხსენებს: „დიპლომი დავიცავი 1963 წელს მონუმენტურ კერამიკაში. მინდა აღვნიშნო, რომ მონუმენტური კერამიკა მანამდეც კეთდებოდა საგამოფენოდ ან მხოლოდ დიპლომის დასაცავად და შემდეგ აკადემიის ფონდებში ინახებოდა. ჩვენ სამმა დიპლომანტმა – მე, როდამ მელიქიძემ და თენგიზ გობეჯიშვილმა – ნიმუშები არქიტექტურულ ობიექტებზე გავაკეთეთ. მე შევასრულე ორფიგურიანი პანო „ქვევრების რეცხვა“, რომელიც ვაკეში, პირველი ღვინის ქარხანის ეზოში, მარანის კედელზე განთავსდა. მხატვარმა როდამ მელიქიძემ თბილისის კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ბაღისთვის, რომელიც ამ ინსტიტუტის სახურავზე იყო გაშენებული, წყარო და ორი კერამიკული კედელი შექმნა. მხატვარმა თენგიზ გობეჯიშვილმა კრწანისის წინდების ფაბრიკის წინ მდებარე ბაღის წყარო გააფორმა. საგამოცდო კომისია ობიექტზე მიდიოდა და პირდაპირ იქ ვიცავდით დიპლომებს. ასე დაიწყო სამოციან წლებში მონუმენტური კერამიკის განვითარება. სამწუხაროდ, ჩემი პანო აღარ არსებობს, 1990-იან წლებში ვიღაცამ შეიძინა შენობა, გაფართოება მოინდომა, რის გამოც მარანი აიღეს და ყველაფერი დაანგრიეს. მე მხოლოდ ნამუშევრის შავ-თეთრი ფოტო დამრჩა“⁷.

მხატვრის სადიპლომო ნამუშევარზე მსჯელობაც მხოლოდ აღნიშნული ფოტოებითაა შესაძლებელი, რაც, რა თქმა უნდა, არ იძლევა სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას. კერამიკული პანო „ქვევრების რეცხვა“ მართკუთხა, ვერტიკალური ფორმის სიბრტყეზე აგებული ორფიგურიანი კომპოზიციაა, რომელზეც ეთნოგრაფიულ სამოსში გამოწყობილი ქვევრების მრეცხავი მამაკაცები ყოფით საგნებთან ერთად არიან წარმოდგენილი. ფიგურების განლაგებითა და მუშაობის პროცესის ამსახველი პლასტიკური მოძრაობების გადმოცემით კომპოზიცია დინამიკურ ხასიათს ატარებდა. ნამუშევარს მხატვრულ ღირებულებას მატებდა არქიტექტურასთან მისი გააზრებული სინთეზი. მარნის ეზოში, ღია ცის ქვეშ, განლაგებული ქვევრების წინ, რიყის ქვებით აშენებული კედლის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული კერამიკული პანო ბუნებრივად ეწერებოდა გარემოში. ქვის რეგულარული წყობით აგებული კედელი ერთგვარად აჩარჩოებდა, კრავდა და გამოკვეთდა ფერადი მაიოლიკის ჭიქურებით შექმნილ გამოსახულებას⁸.

მომდევნო 1970-იან წლებში კერამიკოსმა თანაავტორ მხატვრებთან ერთად კიდევ რამდენიმე მონუმენტური კერამიკის ნიმუში შექმნა. მათ შორის გააფორმა წყარო ბორჯომის პარკისთვის და ლიკანის სანატორიუმის კლუბ-სასადილო⁹, სადაც ინტერიერის შესამკობ ნიმუშებთან ერთად¹⁰ მხატვრებმა სასადილოს კედელზე კერამიკული მასალით შესრულებული „ლურჯი სუფრის“ პანო განათავსეს.

⁶ მათ შორის შეიძლება დავასახელოთ კერამიკოს ირინა გაჩეჩილაძის 1950-იან წლებში შექმნილი ორი ფერწერული პანო: „უხვი მოსავალი“ და „სიმღერა თბილისზე“, მხატვარ მადლენა ბაიდაშვილის კერამიკულ-ფერწერული პანო „შემოდგომა“. კიკნაძე ნ., *XX საუკუნის ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება* (ნაბეჭდი 82 გვ.), კერამიკოს ნ. კიკნაძის პირადი არქივიდან ხელნაწერის უფლებით, გვ. 16.

კერამიკოსებმა ელენე მეგრელიშვილმა და ქეთევან ვაშაკიძემ არქიტექტორ ლონგინოზ სუმბაძის პროექტის მიხედვით თელავის წყაროსთვის გააკეთეს კერამიკული ფილები. მხატვარი კერამიკოსები ე. მეგრელიშვილი, ქ. ვაშაკიძე, ე. ბაბლიძე, ს. სულხანიშვილი და სხვები მუშაობდნენ კაფელის ღუმელისა და ბუხრის მოსაპირკეთებელი მასალის შესაქმნელად და ა.შ. იხ. შ. კვასხაძე, *„კერამიკული ხელოვნება აღმავლობის გზაზე“*, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №1-2, 1954, გვ. 48.

⁷ იხ. ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს რომუალდ ცუხიშვილთან, ელ. ჟურნალი „Georgianart.ge“, სერია B, 2017. <http://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/211.html?ed=18> (26.02.2018)

⁸ პანო დამზადებული იყო ცეცხლგამძლე თიხით, ხოლო მოხატული – მაიოლიკის ჭიქურებით.

⁹ თანაავტორები - ი. გაბაშვილი, ვ. გელაშვილი, რ. მელიქიძე. არქიტექტორი გ. ჯაბუა.

¹⁰ დეკორატიული თეფშები, დეკორატიული ლარნაკები, სკულპტურები და სხვა.



ილუსტრაცია №2. პანო ქ. მცხეთის კინოთეატრის ფასადისთვის (თანაავტორები ვ. გელაშვილი, რ. მელიქიძე, ი. გაბაშვილი). შამთი, მათეოლოგიის ჭიქურები, სმალტა, 1971წ.


მხატვრის შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანია მცხეთის კინოთეატრ-მუზეუმისთვის შექმნილი ორი პანო — „საქართველო“ (ილ. 2) და „ბერიკაობა“¹¹. შენობის ქვედა სართული განკუთვნილი იყო ქ. მცხეთაში მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების შესანახად. მეორე სართულზე განთავსებული იყო ამფითეატრი მაყურებელთა დარბაზით¹². ძველი ხალხური დღესასწაულის ამსახველი მრავალფეროვანი პანო „ბერიკაობა“ (3,8X17მ.) მხატვრებმა კინო-თეატრის ინტერიერისთვის შექმნეს. პანო „საქართველო“ (17,5X17მ.) კი ქალაქის ცენტრალური მოედნისკენ, მაყურებელთა დარბაზის კედლის თავზე, განთავსეს. მართკუთხა ფორმის „სასურათე სიბრტყის“ ცენტრალურ არეზე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და ორ ტოტად გაშლილი სიციცხლის ხეა წარმოდგენილი. ხის ორივე მხარეს რამდენიმე დამოუკიდებელი სიუჟეტური სცენა და ცალკეული გამოსახულებებია, რომლებიც სიბრტყიდან ამოზრდილი ტალღოვანი ხაზების წყებითაა შემოსაზღვრული. მათი შემოსაზღვრული კონტურები განსხვავებული ტონალობის მოლურჯო საღებავითაა დაფერილი. პანოს ნეიტრალურ ნათელ მომწვანო-მოყავისფრო ფონზე მკაფიოდ იკითხება მკვეთრი ლოკალური ფერებით¹³ შექმნილი ფორმები. „მომჩარჩოებელი“ ხაზების რიტმულ მოძრაობებს თვალი სიუჟეტიდან სიუჟეტზე გადაჰყავს. სტილიზებულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი, ქართული იერის განზოგადებული ხასიათის ტიპაჟები კრებით-სიმბოლური მნიშვნელობის ატრიბუტებთან ერთადაა გამოსახული და თითოეული სიუჟეტი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტზე, ქართულ ადათსა და წეს-ჩვეულებებზე მოგვითხრობს. ტალღოვანი ხაზებს შორის მოთავსებული გამოსახულებები სტატიკურია, მარადისობის განცდით „სავსე“. მსგავსი კონტრასტული ხერხის გამოყენებით კომპოზიცია დაბალანსებულ-გაწონასწორებულია. გარდა ამისა, ნამუშევარს „მოწესრიგებულებას“ ანიჭებს ვერტიკალური ღერძის ორ მხარეს ფორმების თანაბარზომიერი გადანაწილება და ფერადოვანი ლაქების „გააზრებული“ განლაგებაც.

მხატვრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტერიერის გასაფორმებელ მცირე ზომის კერამიკულ პანოებსაც. ვერტიკალურად წაგრძელებულ მართკუთხა მოყვანილობის პანოზე — „ძველი თბილისი“

¹¹ თანაავტორები - ვ. გელაშვილი, ი. გაბაშვილი, რ. მელიქიძე; არქიტექტორი გ. ჯაბუა; პანოებისთვის განკუთვნილი კერამიკული ფილები დამზადდა რუსეთში, კონაკოვას ქარხანაში.

¹² ამჟამად მიმდინარეობს შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

¹³ გამოყენებულია - იისფერი, ფირუზისფერი, მწვანე, მოყავისფრო-მოშინდისფრო და სხვ. ტონალობები.



ილუსტრაცია №3. პანო „ძველი თბილისი“. შამოთი, მარილები, ფერადი ჭიქურები, 8. 59X29 სმ., 1991წ.



ილუსტრაცია №4. პანო „ძველი თბილისი“. შამოთი, მარილები, ფერადი ჭიქურები, 8. 59X29 სმ., 1991წ.

(1991 წ.) (ილ. 3) - ქალაქის ერთ-ერთი კუთხეა გამოსახული. ქვაფენილის ვიწრო გზა კომპოზიციის სიღრმეში, გუმბათოვანი ეკლესიისკენ, მიემართება. გზის ორ მხარეს „თბილისურაინიანი“ სახლები ერთმანეთის მიჯრით, თანმიმდევრულადაა ჩამწკრივებული. ძველი ქალაქის ქუჩა გაცოცხლებულია თანადროული „პერსონაჟებითა“ და ყოფითი საგნებით: სახლებს შორის მემარჯვენე, მეგზოვე და მამაკაცია ზურგზე მოკიდებული ძველი საღვინე ჭურჭლით (ტიკი), აივანიდან თავადი და მისი მეუღლე იმზირებიან, მოშორებით გადმოფენილი ფარდაგი მოჩანს. შენობებისა და ფიგურების რიტმული განლაგებით აგებული კომპოზიცია „შეკრულია“ მოყავისფრო და მოლურჯო საღებავების მონაცვლეობითი გადანაწილებით. ნამუშევრის მონოქრომულ ფერადოვან გამაში მსუბუქ აქცენტებად ჩართულია მოყავისფრო-მონარინჯისფრო, მოთეთრო და მოყვითალო ოქრატონალობები.

მხატვრის საინტერესო ნამუშევარია პანო „თუშეთი“ (ილ. 4). სიუჟეტი თუშეთის ტრადიციული დარგის - მეცხვარეობის - შესახებ მოგვითხრობს. მცირე ზომის კვადრატულ სიბრტყეზე, არქიტექტურის ფონზე, მინდორში მუხლებზე მდგომი ვოგონაა წარმოდგენილი საქსოვით ხელში. მის წინ ორი ცხვრის ფიგურაა. გამოსახულებები პირობითია, ერთგვარად „გამარტივებული“. კამერული ხასიათის ნამუშევარი თავისი შინაარსითა და განწყობით, აკვარელის საღებავებისთვის დამახასიათებელი გამჭვირვალე ფერადოვნებითა და სიფაქიზით თეთრ ფურცელზე შესრულებულ ქართული ზღაპრის ილუსტრაციას მოგვაგონებს. განხილული ნამუშევრების გარდა, ხელოვანმა შექმნა პანოები აბტრაქტული კომპოზიციებით, ასევე აფრიკული ყოფის ამსახველი ერთ-ერთი სცენა გამოსახა ნამუშევარზე „მომამბიკური ცეკვა“ და სხვა.

მხატვარ-კერამიკოსის პანოებისთვის ნიშანდობლივია სიუჟეტური თხრობა, ასევე - მის მიერ შექმნილი დეკორატიული თეფშებისთვის. ნიმუშებზე ძუნწი მხატვრული ხერხებითა და სიმბოლურ-განზოგადებული გამოსახულებებით შექმნილია დამაჯერებელი სახვითობა და გახსნილია ნახატის შინაარსი, რითაც კერამიკოსის ნამუშევრები ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა. დეკორატიული თეფშები მხატვრის შემოქმედებაში ადრეული პერიოდიდანვე გვხვდება. განსხვავებულია მათზე წარმოდგენილი სიუჟეტები და მხატვრული მოტივები. ნიმუშე-



ილუსტრაცია №5.
დეკორატიული თეფში „იმერეთი“.
ფაიანსი, მაიოლიკის ჭიქურები,
დიამეტრი 35სმ., 1963 წ.



ილუსტრაცია №6.
დეკორატიული თეფში „კალო“.
თიხა, ჭიქურქვედა საღებავები,
მაიოლიკის საღებავები, გამჭვირვალე ჭიქური,
დიამეტრი 40სმ., 1996წ.

ბიდან აღსანიშნავია „იმერეთი“ (1963წ.) (ილ. 5), „ნატურმორტი“ (1967წ.), „მწყემსი“ (1968წ.), „კალოზე“ (1996 წ.) (ილ. 6) და სხვ. მხატვარს აქვს საყვარელი თემებიც, რომლებსაც წლების განმავლობაში მრავალჯერ მიუბრუნდა და განსხვავებული ინტერპრეტაციებით წარმოადგინა. რამდენიმე დეკორატიული თეფში მიუძღვნა „ძველ თბილისს“. „ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დეკორატიული თეფში „ძველი თბილისი“ გავაკეთე. ძალიან მინდოდა რაღაც განსაკუთრებული შემექმნა. იქ წარმოდგენილია ძველი სახლები, რომლის სახურავები კეცბე(?) დაძვრწილი კობებითა და მასზე ჩაჭდევის მეთოდით მიღებული ფაქტურით გავაკეთე, ზემოდან კი წითელი ანგობით დავფერე. დანარჩენი ფორმები სხვადასხვა ფერის ანგობის საღებავებით მოვხატე და გამჭვირვალე ჭიქური გადავაფლე. თეფში ძალიან კარგი გამოვიდა, ყველა პედაგოგს მოეწონა“¹⁴.

აღსანიშნავია სემ, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცული იმავე სახელწოდების ნიმუში. ნაკეთობა მოხატულია მაიოლიკის ჭიქურებით. კომპოზიცია „აწყობილია“ განსხვავებული მოყვანილობის სწორკუთხა გეომეტრიული ფორმებით. აბსტრაქტიზებული გამოსახულებებს შორის აქა-იქ შენობების კონკრეტული სილუეტური გამოსახულება იკვეთება. „უხემ“ ხაზებს შორის მოქცეულია ღია და მუქი ლოკალური ხასიათის ფერადოვანი სიბრტყეები. მათი ურთიერთგანლაგებით გარკვეული მოცულობითობაა შექმნილი. მოთეთრო-მონაცრისფრო გამაში აქცენტებადაა ჩართული კრამიტის სახურავების მოწითალო-მოყავისფრო ფერები. კომპოზიცია „შეკრულია“ შავი კონტურით, რომელიც ნაკეთობის კიდეს შემოუყვება.

მარტივი ორნამენტით შექმნილი დეკორატიულობა“ გმომარჩევს 1970-იან წლებში შექმნილ ლარნაკებს. მაგალითად გამოდგება სემ, დ. შევარდნაძის სახელობის გალერეის კერა-

¹⁴ იხ. ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს რომუალდ ცუხიშვილთან, ელ. ჟურნალი „Georgianart.ge“, სერია B, 2017. <http://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/211.html?ed=18> (26.02.2018)



ილუსტრაცია №7.
დეკორატიული ლარნაკი.
თიხა, ფერადი და აღდგენითი ჭიქურები,
ზ. 51 X 38სმ.სემ, დიმიტრი შევარდნაძის
სახელობის ეროვნული გალერეა.

ილუსტრაცია №8. დეკორატიული ლარნაკები.
შამოთი, აღდგენითი ჭიქური, მარილები,
ზ. 45 X 26 X11სმ.; 37 X27 X12 სმ., 2001 წ.

მიკის ფონდში დაცული ორი მსგავსი ფორმის ლარნაკი, (ილ. 7) რომლებიც განსხვავებული დეკორატიული მოტივითა შემკული.

კერამიკული ხელოვნების საინტერესო ნიმუშია 2001 წელს შესრულებული კომპოზიცია „სამი დეკორატიული ლარნაკი“ (ილ. 8): ერთმანეთისგან ზომით განსხვავებული, თითქმის იდენტური ფორმის მსგავსი ორნამენტებითაა მოხატული ლარნაკები. ნიმუშების ბრტყელი წაგრძელებული „სწორხაზოვანი“ ვიზუალი შერბილებული ნაკეთობების მომრგვალებული, ნაწილობრივ დეფორმირებული კიდეებით. მასზე ორგანულადაა მორგებული გეომეტრიული ფორმებით შექმნილი აბსტრაქტული დეკორი.

XX საუკუნის ქართული პროფესიული კერამიკა მრავალი მიმართულებით განვითარდა, მათ შორის ბევრი კერამიკოსის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი დაიკავა დეკორატიული დანიშნულების ქანდაკებამ. 1960-იან წლებში მხატვარმა რომუალდ ცუხიშვილმაც სცადა მუშობა ამ მიმართულებით და რამდენიმე მცირე ზომის ცხოველის სკულპტურული გამოსახულება შექმნა.

1963 წელსაა შესრულებული „ხარის“ ქანდაკება. ნიმუში გაკეთებულია შამოთის მასალით, რომლის „უხეში“ ფაქტურა და შებოღვის ტექნიკით მიღებული შავი ზედაპირი ხელოვანმა ოსტატურად გამოიყენა ცხოველის ბეწვის სახასიათო ფაქტურის მისაღებად. შავ ფერთან ერთად „დაუნაწევრებელი“, „დეტალიზაციის მოკლებული“ ფიგურა მნახველში მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ქმნის. „დაჭიმული“ სხეულითა და მოცულობითი ფორმით კარგადაა გადმოცემული ცხოველისთვის დამახასიათებელი სიძლიერე.

1970-იან წლებში მხატვარმა არაერთი განზოგადებული ტიპაჟი შექმნა. აღსანიშნავია ძველი თბილისის მკვიდრთა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა სკულპტურული სახეები - „მეფოვე“ (1976 წ.), „მეარღნე“ (1976 წ.), „თავადი და მისი მეუღლე“ (1980 წ.), „ძველი თბილისი“ (1978 წ.), „კახელი“ (1975 წ.) და სხვა. სახასიათო სამოსითა და ატრიბუტებით წარმოდგენილი „წარსული დროის“ ადამიანები ერთგვარ ისტორიულ პერსონაჟებად გვევლინებიან. მათი ნაღვლიანი სახეები მნახველში სევდიან განწყობას იწვევს.



ილუსტრაცია №9. დეკორატიული მოტივი „ვარძია“ (ორი დეტალი). შამოთი, მარილები, სიმაღლე 35სმ.; 23სმ. 1980 წ.



ილუსტრაცია №10. თასი. თიხა, შებოლვა, ფერადი და აღდგენითი ჭიქურები, 8. 8X28სმ., 1970 წ. სემ, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა.

სკულპტურულ ტიპაჟებთან ერთად მხატვარმა შექმნა რამდენიმე მოცულობითი-პლასტიკური კომპოზიცია: 1967 წელს - დეკორატიული ფორმა „ორშიმო“; 1980 წელს კი - სამნაწილიანი კომპოზიცია „ვარძია“. (ილ. 9) შამოთის მასალითა და მარილების გამოყენებით შესრულებული ნაკეთობა სამი დამოუკიდებელი, განსხვავებული ზომის დეკორატიული ფორმისგან შედგება. ცალკეული მოცულობა მთას განასახიერებს. კერამიკოსი ნანა კიკნაძე ნამუშევრის შესახებ წერდა: „ნიმუში უაღრესად „კერამიკულია“, მაგრამ, ამავე დროს, არ აკლია სახვითობა. მეტად ძუნწი მხატვრული საშუალებებით ამ ძეგლის სრული ასოციაცია შექმნილი. შთამბეჭდავი თვით მონუმენტური ფორმები, რომლის ზედაპირზე ოდნავი ჩაჭდევით მღვიმეებია „მიშენებული“. „თავშეკავებულ“ კომპოზიციას უფრო მეტყველს ხდის თბილი ოქროსფერი ტონი“. (წყარო?)

შეკითხვაზე, რომელია მისთვის გამორჩეული ნამუშევარი, ავტორი უპასუხებს: „ჩემთვის გამორჩეულია „ვარძია“. იგი თან თანამედროვეა და თან ქართულია. არაქართველი ამას ვერ გააკეთებს. იმასაც გეტყვით, როგორ დაიბადა ეს იდეა. ერთხელ ჟურნალს ვათვალიერებდი და ერთ უცხოელს ვაკეთებელი ჰქონდა სფერო, რომელზეც ორ მხარეს დატანილი იყო ოთხი ნახვრეტი, მეტი არაფერი. მაშინ ვარძიაში რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი და უცებ მომივიდა აზრი, გამეკეთებინა მსგავსი დეკორატიული ფორმა. ამომეჭრა ისე, როგორც იქ იყო. ეს ხომ თანამედროვეც იქნებოდა და ქართულიც“¹⁵. ვარძია შინაარსითა და მხატვრული გადაწყვეტით ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევარია XX საუკუნის დეკორატიულ ხელოვნებაში. ნიმუშმა 1980 წელს ბინალზე დიპლომი დაიმსახურა.

მხატვარს შექმნილი აქვს მაღალმხატვრული ღირებულების ყოფითი ხასიათის ჭურჭელიც. ნაკეთობები „ფერადოვნებითა“ და დეკორად დატანილი ნახატის „ფერწერულობით“ გამოირჩევა (მაშინაც კი, როდესაც მხატვარი შებოლვის ტექნიკას მიმართავს).

1970 წელს შესრულებული თასი (ილ. 10) მომცრო ზომის, მრგვალი ფორმის ჭურჭელია, ოდნავ შიგნით გადახრილი სწორხაზოვანი პირის პროფილით. შავად შებოლილი ნაკეთობის პირი შემკულია დაახლოებით ერთი სანტიმეტრის სიმაღლის „ხაოიანი“ ფაქტურის დეკორით, რომელიც ზემოდან დაფერილია ღვინისფერი ჭიქურით. თასის შებოლილი გარეთა ზედაპირი ჩაკვეთითა და რელიეფური კოპებით შექმნილი ფრაგმენტული,

¹⁵ იხ. ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს რომუალდ ცუხიშვილთან, ელ. ჟურნალი „Georgianart.ge“, სერია B, 2017. <http://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/211.html?ed=18> (26.02.2018)

გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. შიდა მხარე მონაცრისფრო-თეთრ ფონზე ალდგენითი ჭიქურის საღებავებით შესრულებული მცენარისა და ჩიტის გამოსახულებებითაა დამშვენებული.

კერამიკოსის შემოქმედებაში გამოყენებითი დანიშნულების ნაკეთობებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვაზის კულტურასთან დაკავშირებულ ჭურჭელს: დოქებს, ფიალებს, სასმისებს და სხვა. გამოჩენილია მხატვრულ-დეკორატიული ხედვით შექმნილი დოქები, რომელთა მართივ ფორმას გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული ორნამენტის უთიერთშეხამებული გამოსახულებები ამკობს. (ილ. 11)

მეცნიერი ნიკიტა ვორონოვი ერთ-ერთ თავის სტატიაში კერამიკულ მასალას შემდგენაირად ახასიათებს: „კერამიკა ერთ-ერთი ყველაზე სინთეზური მასალაა ხელოვნებაში, რომელიც მხატვრისგან მრავალფეროვან ნიჭს მოითხოვს. კერამიკა – ესაა ფერი და მოცულობა, რელიეფი და სიბრტყე, ფერწერა და გრაფიკა, სკულპტურა და მონუმენტური მოზაიკა, ჭურჭელი და კედლის პანო, სათამაშო და არქიტექტურის დეტალი“ [Воронов, 1983:109]. ამ სიტყვების საილუსტრაციოდ უდავოდ გამოდგება რომულდ ცუხიშვილის მრავალმხრივი შემოქმედება. ინდივიდუალური სახასიათო ხელწერით შექმნილ ნამუშევრებს მხატვარ-კერამიკოსის პროფესიული ხედვა და შესრულება გამოარჩევს¹⁶. მის შემოქმედებას თვითმყოფადი, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში.



ილუსტრაცია №11.
დოქი. თიხა, ალდგენითი ჭიქური,
ზ. 42X21 სმ., 1975 წ.,
სემ, დიმიტრი შევარდნაძის
სახელობის ეროვნული გალერეა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Н. Воронов, Р. Цухишвили – керамист, художник, педагог. Ж., *Советское декоративное искусство*, М., 1983, გვ. 109.

¹⁶ კერამიკული მასალის მხატვრული დამუშავების რთული ტექნოლოგიური სქემა სათანადო ტექნიკურ ბაზას საჭიროებს. პირობების არარსებობის გამო მხატვარი რომულდ ცუხიშვილი ამჟამად ვეღარ მუშაობს კერამიკული მასალით, თუმცა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა დაზგური ფერწერის მიმართულებით.

SOPIO CHITORELIDZE

Georg Chubinashvili National Research Centre
for Georgian Art History and Heritage Preservation

CERAMICS IN THE ACTIVITY OF THE ARTIST ROMUALD TSUKHISHVILI**SUMMARY**

Romuald Tsukhishvili is the artist gifted by diverse talents. Alongside with sphere of decorative-applied arts he successfully works in painting and graphic, but the main sphere of his creative activity is studio pottery, ceramic. He uses porcelain, red clay and chamotte materials.

Romuald Tsukhishvili graduated from Tbilisi Academy of Arts in 1963. Diploma work –panel “Washing of Wine Vessels” was implemented by the ceramist for a yard of Tbilisi 11 Winery, which is one of the first significant works both in the creative activity of the artists and in the history of Georgian monumental art, as such. In 1970s the ceramist, jointly with other co-author artists, created some specimens of monumental ceramics. Among those works are two panels “Georgia” and “Berikaoba” (“Halloween”) for a film-museum of Mtskheta.

Small size ceramic panels for decoration of interior belong to the ceramist. Among those works are: “Old Tbilisi”, “Tusheti”, “Mozambiquean Dance” and others. Panels implemented by the artist are characterized by pictorial narrative; it is characteristic for his decorative plates too. Plots and artistic motifs offered on those dishes differ: “Imereti” ,”Shepherd”, “On the Barn-floor”, “Old Tbilisi” and others.

Specimens of small plastic occupy remarkable place in the activity of the ceramist. Alongside with sculptural exemplars the artist created some volumetric-plastic compositions: “Orshimo”, “Vardzia” and others.

Dishes of everyday use created by the ceramist are distinguished by their high artistic worth. Among the objects of applied designation there are many objects associated with vine culture: jugs, phials, goblets and others. Works created by individual style are distinguished by professional view and performance. Creative activity of Romuald Tsukhishvili occupies original, distinctive place in the history of modern Georgian decorative-applied art.

ELECTRONIC DOCUMENTS AND THEIR LIFE CYCLE

The development of information technology has forced the archives to reconsider the established procedures for records management. In the Republic of Lithuania, the Law on Electronic Signature in 2000 was the first legal act that established legal conditions for the creation of electronic documents. This law regulated the creation of an electronic signature, verification, validity, rights and responsibility of users, etc. A legal proof of the electronic signature created the legal conditions for it to sign the documents on an equal right with paper documents. These conditions triggered the need to revise the legal acts regulating the management of documents.

One of the first legal acts that created the opportunity to manage official electronic documents¹ in 2006 is the Rules for the Management of Electronic Documents². These rules have been established for state and municipal bodies, institutions and enterprises, as well as other persons authorized to exercise public administration functions, state authorized persons, the possibility for creation of official electronic documents, their ordering, accounting, storage and destruction, as well as functional requirements for electronic document management systems. The requirements for management of electronic documents were revised in 2011³.

In Lithuania, an entire life-cycle of the electronic document has been passed from creation till transfer for a permanent storage in the state archive. The first steps for creating the electronic documents were the establishment of technical requirements for the format of an electronic document⁴. In 2009 “Specification of the electronic signature for signed electronic document, ADOC-V1.0”⁵ was adopted, approving the requirements for the creation of electronic documents similar to written documents. Requirements were established for electronic documents created in institutions, as well as for official electronic documents coming from non-governmental organizations, natural and legal persons.

¹ An electronic document, created by an authorised person of state or municipal institution, office or enterprise using means of the information technologies, following the order established by the Chief Archivist of Lithuania, approved or received, signed by an electronic signature and included into the accountancy.

² The rules for the management of electronic documents approved on 11 January 2006 by the order of the Director General of the Archives Department of Lithuania No. V-12

³ The rules for the management of electronic documents approved on January 29th, 2011 by the order of the Chief Archivist of Lithuania No. V-158

⁴ Specifications for electronic signature of signed electronic documents, a list of requirements approved on October 9, 2008 by the order of the Chief Archivist of Lithuania. V-119

⁵ Specification of the electronic signature of the signed electronic document, ADOC-V1.0, approved on September 7, 2009 by the order of the Chief Archivist of Lithuania No. V-158

Specification ADOC-V1.0 was prepared according by standards, as well as recommendations of open formats and electronic signature. The consistency of the electronic document creates conditions for the transfer of electronic document created in one system to any other system, there to verify the authenticity of the electronic document, and the possibility for a long time storage. In this case, software must meet the requirements in the Specification for creating and verifying electronic documents.

The specification details the requirements for the logical and physical structure of the electronic document package, structure of the content of the electronic document and the file formats⁶. Formats of the electronic signature(s), requirements for creating, verifying and establishing the authenticity of certificates of the electronic signature(s) have been established⁷. The same is regulated by the metadata and their characteristics associated with the procedures for creating, registering, ordering, accessing, storing and deleting electronic documents and the requirement for checking an electronic document.

The contents of an electronic document may consist of such parts: the main document, the annex of the document and the attached separate electronic documents (the latter are not mandatory). The main document is part of the content of the electronic document, which provides basic information on the content of the electronic document or a cover letter, which records information about the electronic documents sent.

Metadata within an electronic document relevant to the specifications are divided into signed and non-signed metadata. The signed metadata and after signing, can not be changed (their integrity is guaranteed by the technology of a qualified electronic signature). Signed metadata: the name of the document, the creator of the document, the date of registration (creation and receipt, if the document is received), restriction of the use of the document and metadata of electronic signatures. Unsigned metadata do not need to be signed and whose content may change over time. Non-signed metadata: technical, storage, encryption and others.

The adoption of the “Rules for the management of electronic documents” and the Specification ADOC-V1.0 contributed to the fact that a considerable number of institutions began to create, manage and store not only short-term electronic documents but also long-term or permanently stored electronic documents. The created electronic documents, in accordance with this specification, are to be stored in the Electronic Archive Information System.

In 2012, amendments were made to the Law of the Republic of Lithuania on Documents and Archives, where it was established that not only permanent storage documents are accepted in state archives, but also electronic documents of long term storage are transferred to them. In the same year, the Chief Archivist of Lithuania approved the “Rules for the Transfer of Electronic Documents of the Activities of State and Municipal Bodies, Institutions and Enterprises to State Archives”, which set specific conditions and procedures for the transfer of electronic documents of long and permanent storage. One of the main differences from paper documents is that electronic documents are transferred to state archives within 5 years from the completion of electronic files. Thus, a legal basis has been created for the transfer of electronic documents to state archives.

⁶ The package must be a ZIP archive. It is composed of one or more files grouped into one directory covering files and / or other directories. The size of the electronic document can not exceed 4 GB. Language of description for common data structures and their content should be XML, recommended by the World Wide Web Consortium (W3C).

⁷ Formats of the electronic signature (s) XAdES-EPES, XAdES-T, XAdES-C, XAdES-X, XAdES-X-L or XAdES-A. The requirement for electronic signature(s) to create, verify and establish the reliability of certificates.

The Electronic Archive Information System at the State Archives ensures the authenticity of electronic documents during their entire storage. The transmitted electronic documents are stored unchanged for inactive storage and can be used in some cases when an original document is required in court, etc. In this case, efforts are being made to ensure the durability of life of the electronic document, along with the development of technology and the changing conditions; it is obviously not easy to guarantee the visualization and authenticity of electronic documents. Original electronic documents are converted to PDF/A for a long period of storage. In PDF/A format the content of the electronic document is transformed. Legalization of a reliable copy of an electronic document is made in case the original format of the document becomes obsolete with technical development. In this case, it will be possible to make new copies of the electronic document from the transformed copies. For convenient use of electronic documents on the Internet, a copy is created in the format of the optimized display size .png. Each received electronic document in the information system is automatically described, having generated to it an inventory. The Electronic Archive Information System implements monitoring of the change in formats and the ability to transform the format of documents into the format used at that time. Today's solution is to save the information of electronic documents to migrate them to other formats.

The process of accepting electronic documents is automated and carried out in many cases without human intervention, but all actions of acceptance of the electronic documents and the stages of acceptance can be traced in detail in the control journal. Still, the decision to accept electronic documents and to store them in the system's storage is taken by an employee responsible for accepting the documents. The audit logs records detailed information about the verification process and other operations in the system.

Speaking about the conditions for accessing documents in the Electronic Archive Information System, it should be noted that it provides two levels of services for identified and unidentified users. Without being identified, you can openly create electronic documents (corresponding to the ADOC specification), sign them with an electronic signature and verify them. The basic information on the documents that make up the National Documents Fond is also publicly available. This is done through the search of inventories, which describe fonds stored in the state archives, their inventories and information about cases, and in case of the electronic documents, some additional information about the documents. A simple search form is designed for most portal users who need to have enough basic fields to search for documents and who do not have sufficient knowledge. The advanced search form has more fields and to use, the portal user needs to have more than minimal knowledge about documents and peculiarities of their search. The right to review the contents of a document is not provided. Viewing the content of a document is only possible for identified users. This is the main difference between the identified and unidentified users.

Keeping documents for long term and permanently, it is important to ensure the security and availability of all types of the electronic documents. Stored electronic documents must be protected from damage, loss, disclosure or modification. In addition, the stored documents should be accessible to users for the purpose of acquaintance (organizations and individuals) in order to obtain official copies of documents and other relevant information.

September 2018

თინათინ მშვიდლობაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

ჩაკომენდაციები ციფრული არქივების და ელექტრონული კაზალმობის შესაქმნელად ისტორიოგრაფიისათვის

სტატიაში მოცემულია ამერიკის ისტორიკოსთა ასოციაციის (AHA) შეხვედრაზე, 2014 წელს, ისტორიკოსების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ციფრული არქივებისა და ისტორიოგრაფიის ფორმულირების მნიშვნელობის შესახებ.

წარმოდგენილია რეკომენდაციები ელექტრონული კაზალმობის შესაქმნელად. ნაჩვენებია ელექტრონული კაზალმობის სტრუქტურა და საარქივო დოკუმენტის ციფრული ასლის წარმოდგენის უნარი.

აღწერილია მონაცემთა ბაზა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები.

განვიხილავთ პრაქტიკულ მაგალითს როგორ შეგვიძლია ვმართოთ ადგილობრივი არქივის მონაცემთა ბაზის ინტერნეტ კაზალმობი, სამუშაო წვდომის რეჟიმში 365/24.

ნაჩვენებია მონაცემთა ბაზების კონვერტაცია MS Access -და MySQL ფორმატში.

აღწერილია მართვის ელემენტების შერჩევა მონაცემთა ბაზების კონტროლისათვის და მონაცემთა ბაზაში ონლაინ ხელმისაწვდომობის ორგანიზების პრინციპი.

ამერიკის ისტორიკოსთა ასოციაციის (AHA) შეხვედრაზე, 2014 წელს, ისტორიკოსების მიერ არაერთი მოსაზრება გამოთქვა ციფრული არქივებისა და ისტორიოგრაფიის ფორმულირების მნიშვნელობის შესახებ, ისტორიკოსების მიერ შექმნილი და გამოყენებული სხვადასხვა ტიპის ციფრული ინფორმაციის წყაროებს შორის განსხვავების შესახებ [Sternfeld, 2011: 544-575].

ტრადიციული არქივებისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად, საცავებში გაერთიანებული ქალაქდღე დაფუძნებული უნიკალური მასალებია, ციფრული არქივები ელექტრონულ ფორმატში აერთიანებს ისტორიული მასალების კოლექციას და მრავალ ლოკალურ საცავს.

ეს კოლექციები შეიძლება შეიქმნას არქივის თანამშრომლების, ბიბლიოთეკარების, ისტორიკოსების, მოყვარულების, ორგანიზაციების და კომპანიების მიერ. იმის გამო, რომ ციფრული ისტორიული გამოსახულებები იქმნება ფართო წყაროების გამოყენებით, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ამ კოლექციების კონტექსტი, მათ შორის, მათი შემგროვებლების ვინაობა, მიზანი და გამოყენებული კრიტერიუმები.

მკვლევარ ქ. თეიმერის აზრით, ეს კოლექციები ანუ “ციფრული არქივები”, ტრადიციულ არქივებთან შედარებით, ისტორიოგრაფიაში მრავალ კითხვას ბადებს, არის მათ შორის ზოგიერთი მსგავსებაც და განსხვავებაც [Theimer, 2012:37].

ამ შეხვედრაზე მომხსენებლებმა განიხილეს, თუ როგორ შეცვალა ტექნოლოგიებმა ისტორიკოსების მუშაობა, და ეს, რა თქმა უნდა, აისახა არქივის საქმიანობაზეც - გაიზარდა არქივის თანამშრომლების მიერ შექმნილი ციფრული ასლების რაოდენობა, ციფრული მასალების შეგროვების გზების მოძიება და, ციფრული იარაღებისა და სოციალური ქსელების მუდმივი გაფართოება საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის.

ციფრულმა ტექნოლოგიამ ასევე გაზარდა საარქივო რესურსების მომხმარებელთა ბაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიკოსთა ასოციაციის წევრებისა და არქივისტების კავშირი გაცილებით უფრო გაიზარდა ვიდრე წარსულში. მომხმარებელთა პრიორიტეტების განსაზღვრისას არქივი ცდილობს მათი ფართო სპექტრის საჭიროებების დაკმაყოფილებას [Blouin, 2012:38].

რეკომენდაციები საარქივო დოკუმენტების ინტერნეტ კატალოგების შესაქმნელად

ელექტრონული კატალოგი - საინფორმაციო სისტემაა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საარქივო დოკუმენტების შესახებ, იგი შეიცავს ძეგლის ინსტრუმენტებს, დოკუმენტის ტექსტურ აღწერით ინფორმაციას, სურათებს, და სხვა. ელექტრონული კატალოგი, რომელიც არქივის საცნობარო ფაილური სისტემის განუყოფელი ნაწილია, უზრუნველყოფს ინტერნეტში ინფორმაციის ფართო სპექტრის ეფექტურ მოპოვებას მომხმარებლებისათვის. ელექტრონული კატალოგის სახეებია:

- თემატური ცნობარი ან ინდექსი;
- კატალოგი ან ინდექსი საარქივო დოკუმენტების ტიპის მიხედვით;
- მედია რესურსი - ელექტრონული კატალოგი გამოსახულებით, მაგალითად: ფოტო და ვიდეო დოკუმენტების თემატური კატალოგი.

ინტერნეტ კატალოგი - ერთგვარი ვებ აპლიკაცია

ინტერნეტმა ხელი შეუწყო პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებასა და გამოყენებას. ინტერნეტში სპეციალურად შემუშავებულია ახალი კატეგორიის პროგრამები და ვებ სერვერების თავისებურებები, ე.წ. ვებ აპლიკაცია. ვებ აპლიკაციები გამოიყენება მომხმარებლის მიერ ინტერნეტ ბრაუზერების მეშვეობით, როგორცაა Internet Explorer, Opera, Mozilla, Chrome და ა.შ. ამავე დროს, ვებ-აპლიკაციების ხელმისაწვდომობა იგივეა, როგორც სტატიკური HTML გვერდების - URL- ის მიერ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვებ აპლიკაციები არა მხოლოდ ინტერნეტში მუშაობენ, არამედ ორგანიზაციების ადგილობრივ ქსელებშიც. მომხმარებლის კომპიუტერში ბრაუზერის გამოყენება, როგორც მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის ძირითადი საშუალების, მნიშვნელოვნად ამცირებს მსხვილი ადგილობრივი ქსელების შენარჩუნების ხარჯებს. ეს არა მარტო ამარტივებს პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას ადგილობრივი ქსელის სამუშაო სადგურებზე, არამედ ხელს უწყობს ორგანიზაციის მონაცემთა ბაზებისა და სხვა ელექტრონული სისტემების შენარჩუნებას.

საარქივო ინტერნეტ კატალოგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ვებ-აპლიკაციების ერთ-ერთი სახეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა ვებ-აპლიკაციებისთვის გამოყენებული ტექნიკური და პროგრამული ინსტრუმენტები სრულყოფილია [Грабер 2010:228].

ასე რომ, ნებისმიერი ინტერნეტ კატალოგის დერძი, არქივის ჩათვლით არის მონაცემთა ბაზა და მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალებები. ვებ აპლიკაცია ჩვეულებრივ გამოიყენება ნებისმიერი პოპულარული ბრაუზერის მეშვეობით მომხმარებლებთან ინტერაქციაში.

მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები

მონაცემთა ბაზა არის ლოგიკურად დაკავშირებული მონაცემების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია ორგანიზაციის საინფორმაციო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს არის ერთიანი, დიდი მონაცემთა საწყობი, რომელსაც ერთდროულად იყენებს ბევრი მომხმარებელი - სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლები.

პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეუძლიათ განსაზღვრონ, შექმნან და შეინარჩუნონ მონაცემთა ბაზა და ასევე ჰქონდეთ მასზე კონტროლი, ეწოდება მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა (DBMS). მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის მთავარი მიზანია მომხმარებელთა უზრუნველყოფა მონაცემთა ბაზის მუშაობის შესაძლებლობებით. მონაცემთა ბაზის ონლაინ ხელმისაწვდომობის კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი უპირატესობაა, გააფართოვოს პოტენციური მომხმარებლების მონაცემთა ბაზა გეოგრაფიული და დროითი შეზღუდვების გარეშე [Молиново, 2009: 672].

MySQL არის რელაციური მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა (RDBMS). ტექნიკური თვალსაზრისით, MySQL - არის პროგრამა, რომელიც მართავს ფაილებს რომლებიც შედიან მონაცემთა ბაზაში. ფაილების შენახვასა და ორგანიზაციაზე პასუხისმგებელია მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა. პროგრამული ინსტრუმენტები MySQL-ის მუშაობისათვის გვხვდება ბევრ პროგრამირების ენებში, მაგალითად, PHP, Perl და Java. სწორედეს არის ეს ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ვებ პროგრამებისა და ვებ გვერდების ხელმისაწვდომობას.

განვიხილოთ პრაქტიკულ მაგალითს როგორ შეგვიძლია ვმართოთ ადგილობრივი არქივის მონაცემთა ბაზის ინტერნეტ კატალოგი, სამუშაო წვდომის რეჟიმში 365/24. რაც შეიძლება გადაიჭრას ორი გზით:

- არსებული ადგილობრივი საარქივო მონაცემთა ბაზის ტრანსფორმაცია (მაგ., MS Access- ში ან MS Excel- ში) MySQL ფორმატში;
- ახალი საარქივო მონაცემთა ბაზის ფორმირება "ნულიდან", პირდაპირ ინტერნეტში ამ მიზნით შექმნილი ვებ-ინტერფეისის გამოყენებით.


ამ რეკომენდაციების ფარგლებში, განვიხილოთ პირველ მეთოდს, ანუ ადგილობრივი მონაცემთა ბაზის ინტერნეტ კატალოგის ტრანსფორმაციას [Ульман, 2004:352].

მონაცემთა ბაზების კონვერტაცია MS Access –და MySQL ფორმატში

განვიხილავთ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის გამოყენებას MS Access 2007 და მონაცემთა ბაზის და შემთხვევაში, რომელიც შედგება 1 ცხრილისაგან.


ნაბიჯი 1: MS Access მონაცემთა ბაზის ცხრილის შექმნა.

ნაბიჯი 2: შექმნილი ცხრილის MS Excel 2007 ფორმატში (test.xlsx) გადატანა, რომელიც შეიცავს სპეციალურ მარკირებას. ამისათვის გამოიყენება უფასო პროგრამა Exportizer Pro(სურ.1) (ინსტალაცია საიტიდან <http://www.vlsoftware.net/exportizer-pro/download.html>).



სურ.1 Exportizer Pro დიალოგური ველი.


ნაბიჯი 3: ცხრილის მონაცემების ტექსტურ ფორმატში გადაყვანა- «Export > Export to File or Database», სამომავლო ტექსტური ფაილის სახელით (მაგ, test1812.txt) და «Next» : გამოჩნდება დიალოგური ველი სათაურით . «Step 2 of 2. Specify field mappings» , შემდეგ კი ფანჯარა შეყოვნებით «10550 records have been exported to file C:\test1812.txt». რაც ნიშნავს, რომ კონვერტაცია წარმატებული იყო.



სურ.2. დიალოგური ველი სათაურით «Step 2 of 2».

ნაბიჯი 4: სერვერზე მონაცემთა ბაზის შექმნა, გრაფიკული სერვერული რედაქტორის, მაგალითად, phpMyAdmin საშუალებით.

ნაბიჯი 5: ექსპორტირება მონაცემების მიღებული ტექსტური ფაილიდან MySQL ცხრილის შექმნილი სერვერზე. ეს შეიძლება გაკეთდეს SSH კავშირით. (SSH -Secure SHELL პროგრამა ბრძანებების შესრულებისა დისტანციურ კომპიუტერებში). სერვერთან დაკავშირება შესაძლებელია ნებისმიერი SSH კლიენტის SSH პროტოკოლის საშუალებით. მაგალითად, უფასო PuTTY პროგრამა (სურ.3.). (<http://the.earth.li/~sgtatham/putty/latest/x86/putty.exe>).



სურ.3. PuTTY კონფიგურაციის ფანჯარა

ნაბიჯი 6: ტექსტური ფაილის კოპირება, PuTTY ბრძანების დირექტორიაში, «Next»: `mysqlimport —local -u <имя пользователя БД> -p —fields-terminated-by="|" —lines-terminated-by="↵" <имя БД (а не таблицы!)> <имя текстового файла.txt>`

ნაბიჯი 7. phpMyAdmin - ის საშუალებით გამოჩნდება ყველა ინფორმაცია ორიგინალი MS Access ცხრილის [Коннолли, 2003: 1440].

ინტერნეტის საშუალებით მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის მოხერხებული განთავსება განსაკუთრებით საყურადღებოა მრავალრიცხოვანი მომხმარებლის წვდომისას.

MySQL- სთან მუშაობისას, გამოიყენება სხვადასხვა ენები, მათ შორის Perl, Java, C, C++ და Python, მაგრამ ხშირად PHP ენა. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის PHP- ის კოდის ღიაობა და მისი მჭიდრო ინტეგრაცია MySQL- თან [Хернандес, 2003:69].

ამგვარად, ციფრულმა ტექნოლოგიამ გაზარდა საარქივო რესურსების მომხმარებელთა ბაზა, შეცვალა ისტორიკოსების მუშაობა, გაზარდა არქივის თანამშრომლების მიერ შექმნილი ციფრული ასლების რაოდენობა, და, საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის ციფრული იარაღებისა და სოციალური ქსელების მუდმივი გაფართოება.

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. Sternfeld J., “Archival Theory and Digital Historiography: Selection, Search, and Metadata as Archival Processes for Assessing Historical Contextualization.” *American Archivist* Fall/Winter 2011, 544-575
2. See, for example, Kate Theimer. “Archives in Context and as Context.” *Journal of Digital Humanities* Vol. 1, No. 2 Spring 2012, <http://journalofdigitalhumanities.org/1-2/archives-in-context-and-as-context-by-kate-theimer/>
3. The need for greater communication between historians and archivists was discussed in the concluding chapter of Francis Blouin and William Rosenberg, *Processing the Past* Oxford University Press, 2012.
4. Грабер М. Введение в SQL. – М.: Лори, 2010 – 228 с.
5. Молино Э. SQL. Сборник рецептов. – Пер. с англ. – СПб: Символ-Плюс, 2009. – 672 с., ил.
6. Ларри Ульман. MySQL: Пер. с англ. – М.: ДМК Пресс, 2004 – 352 с.: ил. (Quick Start) MySQL.
7. Коннолли Т., Каролин Б., Базы данных. Проектирование, реализация и сопровождение. Теория и практика. 3-е издание.: Пер. с англ. – М.: Издательский дом «Вильямс», 2003 – 1440 с.: ил. – Парал. тит. англ.
8. Хернандес М., Вьескас Д., SQL-запросы для простых смертных. Практическое руководство по манипулированию данными в SQL. – М.: Лори, 2003 - 37 с.

TINATIN MSHVIDOBADZE**RECOMMENDATIONS FOR CREATING DIGITAL ARCHIVES
AND ONLINE CATALOGS FOR HISTORIOGRAPHY**

An article is provided at the American Historians Association (AHA) meeting, with historians' views on the importance of digital archives and the formulation of historiography in 2014.

There are presented recommendations for creating electronic catalogs. It is shown structure of the electronic catalog and the ability to produce a digital copy of the archival document..

There are described database and database management systems.

Here's a practical example how to manage an online catalog of a local archive database in working access mode 365/24.

Is Shown conversion of databases in MS Access to MySQL format.

An article describes the selection of control elements for database control and The principle of organizing online access to the database.

თამარ ღვალაძე, ასპათ გვაზაძე, სოფიო ტაყაიანი

კორნელი კეკელიძის სახელობის

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერი და ბეჭდური მონაცემების კონსერვაცია და რესტავრაცია მეთოდური სახელმძღვანელო

უხსოვარი დროიდან ადამიანი ქმნიდა გამოსახულებებს, ნივთებს, თავისი არსებობისა და განვითარების დამადასტურებელ მატერიალურ ძეგლებს. განსხვავებულ დროსა და სივრცეში, ერთმანეთის მსგავსს თუ განსხვავებული კულტურისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანის ხელით შექმნილი მატერიალური მემკვიდრეობა დროის სვლასთან ერთად იძენდა არტეფაქტებისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების სტატუსს. ამ ნივთების შექმნასთან ერთად გაჩნდა აუცილებლობა მათი მოვლისა, ხშირ შემთხვევაში გაცვეთილი და მოძველებული ნივთები საჭიროებდა აღდგენას და თუ გარკვეულ ეტაპამდე ეს სამუშაოები სუფთა მომხმარებლური, უტილიტარული ხასიათისა იყო, დროთა განმავლობაში მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებასთან ერთად საზოგადოება მიხვდა, რომ ადამიანის ხელით ქმნილი ეს უკვე ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენდა და შენახვის საჭიროებდა და სწორედ ამ ეტაპზე ჩნდება დამზარებელი ნივთის მოვლისა და აღდგენის სურვილი და ჩაისახა რესტავრაციის, როგორც დარგის შექმნის აუცილებლობა. მართალია ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელმა დაიწყო ძველი არქიტექტურის ნიმუშებზე ზრუნვა, შუა საუკუნეებში ხდებოდა სხვადასხვა ნაგებობების აღდგენა, რელიგიური საჭიროების ნივთების განახლება, კოდექსების ფურცლების და ყდების აღდგენა ან ახლით შეცვლა. თუმცა ამ დროს, რა თქმა უნდა ეს არ იყო ჩამოყალიბებული დისციპლინა მკაცრად განსაზღვრული წესებით, მრავალფეროვანი მასალითა და მეთოდებით. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო რესტავრაციამ დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება, იქმნებოდა სკოლები, მიმდინარეობდა კვლევები, გროვებოდა მასალა და ცოდნა. ხოლო დღეს, ეს დარგი უკვე მრავალმხრივ დისციპლინად ჩამოყალიბდა. გაიყო სხვადასხვა მიმართულებებად (იქნება ეს დაზგური თუ მონუმენტური ფერწერის რესტავრაცია, ხის, ქვის, ლითონის, ტექსტილისა და წიგნის რესტავრაცია), მჭიდროდ დაიწყო გარკვეულ საბუნებისმეტყველო დარგებთან თანამშრომლობა, ხოლო 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურმა განვითარებამ საშუალება მისცა სპეცილისტებს, უფრო დახვეწილიყო რესტავრაციის დარგის როგორც ტექნოლოგია, ასევე მეთოდებიც.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერი მემკვიდრეობის კონსერვაცია და რესტავრაცია ამ დიდი დისციპლინის ერთ-ერთი სპეციფიური მიმართულებაა. საქართველოში ხელნაწერი მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაცია ვითარდებოდა და წლიდან წლამდე სულ უფრო ვითარდებოდა. თუკი მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ბოლომდე, ამ დარგის სპეციალისტები საბჭოთა სკოლის მეთოდოლოგიას იყენებდნენ, დღეს უკვე ძველ ცოდნასთან ერთად, ის ყოველწლიურად სულ უფრო მეტად ითვისებს ევროპელი და ამერიკელი კოლეგების გამოცდილებას, იხვეწება და ვითარდება. თუმცა სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ქართულ ენაზე, ერთ წიგნად შეკრული ინფორმაცია რესტავრაცია-კონსერვაციის ამ მნიშვნელოვანი განსტობების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ დიდი მეცნიერები, როგორებიც არიან ივ. ჯავახიშვილი, რამაზ პატარაძე, ზურაბ სარჯველაძე და სხვანი, არა ერთ წყაროზე დაყრდნობით გვაწვდიან ვრცელ ინფორმაციას ტყავის დამუშავების წეს-ჩვეულებებზე, ქალაქის შექმნაზე, ყდის შეკეთება განახლებაზე, ტექსტის გაცხოველებაზე, მელანის, საღებავისა და საწერი იარაღების შექმნაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს არ არის წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციის დარგისთვის საკმარისი, ვიწრო ჭრილში განხილული საკითხები, და თავდაპირველად სწორედ აქედან გამომდინარე გაჩნდა საჭიროება, შექმნილიყო მეთოდური სახელმძღვანელო, რომელიც შეკრებდა ძველ ცოდნას, ჩვენ ხელთ არსებულ წყაროებს- დაწყებული შუა საუკუნეებიდან დღემდე, რასაც დაემატებოდა ჩვენი მოკრძალებული გამოცდილებაც. მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა კიდევ ერთი მიზეზითაა განპირობებული, სამწუხაროდ საქართველოში წიგნის კონსერვაცია-რესტავრაცია, როგორც დარგი უმადლეს სასწავლებლებში არ ისწავლება და თაობიდან თაობას ცოდნა ჯერ კიდევ ბეპირსტიყვიერად, ხელნაწერის საპასპორტე მონაცემებზე დაყრდნობითა და უკეთეს შემთხვევაში სტაჟირების პროგრამის საშუალებით გადაცემათ. ეს უკანასკნელი წლებია წარმატებით განაგრძობს არსებობას, როგორც კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე მომიჯნავე დაწესებულებებში. სტაჟირების პროგრამის მონაწილეებთან მუშაობის პროცესში ხშირად გვექონია ისეთი შემთხვევა, როდესაც პრაქტიკული ცოდნის გაცემასთან ერთად აუცილებელი გამხდარა თეორიული ცოდნის გადაცემაც, რათა სტუდენტებთან მუშაობის პროცესი ზედაპირული ცოდნის მიღების დონით არ შემოფარგლულიყო. სწორედ ამიტომ, მიზნად დავისახეთ ერთ წიგნში გაგვეერთიანებინა ის ფუნდამენტური და აუცილებელი საკითხები, რაც დამწყები რესტავრატორებისთვის, დარგის სტუდენტებისთვის და წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციით დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციულ ერთობლიობას შექმნიდა ტყავის, ეტრატის, ქაღალდის და მინიატურული ფერწერის რესტავრაცია-კონსერვაციის შესახებ, მათი დაზიანების ტიპებზე, გამომწვევ მიზეზებზე, აღმოფხვრის გზებზე და სხვა ასპექტებზე. გარდა ამისა, ჩვენი მიზანი იყო მეტნაკლებად დეტალურად წარმოგვედგინა, ერთ-ერთი რთული და პრობლემური საკითხი, რაც წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციის დროს საჭირო სარესტავრაციო მასალებს, ხელსაწყო-დანადგარებსა და რესტავრაციის მეთოდოლოგიას შეეხება.

სამუშაოები ორ ძირითად ეტაპს მოიცავდა, სხვადასხვა წყაროებში მოძიებული ინფორმაციის, აგრეთვე სამეცნიერო მასალის ანალიზს, დამუშავებას და პრაქტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხების შესწავლას, რაც წარმოდგენილი იყო ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე შემდეგი მოხსენებების სახით:

- „ეტრატის რესტავრაციის თანამედროვე მეთოდები (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების მაგალითზე)“
- „სარესტავრაციო მასალით გამოწვეული დაზიანების პრობლემატიკა წიგნის კონსერვაცია-რესტავრაციის დარგში“.
- „ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების უცხოენოვან ხელნაწერებში“ (შედარებითი ანალიზი)“
- „სარესტავრაციო მასალის თავისებურება წიგნის რესტავრაციის სწორად წარმართვის პროცესში“
- „კონსერვაციის, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ძირითადი განსხვავება (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები)“
- „კონსერვაციისა და რესტავრაციის თანამედროვე მასალების შესახებ“
- „წერილობითი მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიეროკვლევების შედეგები“
- „ქაღალდსა და ეტრატზე შესრულებული ხელნაწერების მინიატურული მახტვრობა“
- „მინიატურული ფერწერის კონსერვაციისა და რესტავრაციის სპეციფიკა“
- „ხელნაწერების კონსერვაციის და რესტავრაციის მეთოდიკა (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციის მაგალითზე)“
- „მოხატული ისტორიული დოკუმენტების კონსერვაცია-რესტავრაცია“
- „წიგნის ყდის კონსერვაცია-რესტავრაციისას წარმოქმნილი სირთულეები
- „ხელნაწერის ავთენტურობის შენარჩუნების მნიშვნელობა ტყავის ყდის რესტავრაციის პროცესში“
- „აღმოსავლური ხელნაწერების კონსერვაცია-რესტავრაცია Tur L 77-ის მაგალითზე“
- „ძველი სარესტავრაციო მასალის მოხსნის თავისებურებები ხელნაწერი მემკვიდრეობის რესტავრაციის პროცესში“
- ხელნაწერი წიგნის რესტავრაციის სპეციფიკა სომხური (Arm 204) ხელნაწერის მაგალითზე
- „წინასარესტავრაციოდ შერჩეული მეთოდები და გამონაკლის შემთხვევაში მათი ცვლილების აუცილებლობა“

სახელმძღვანელოში შესული ინფორმაცია სტრუქტურულად შემდეგი სახით იქნება წარმოდგენილი:

სარჩევი:

თავი 1. საწერი მასალა

- 1.1 საწერი მასალის შექმნის ისტორია
- 1.2 ეტრეტი
- 1.3 ქალაქი
- 1.4 სახვითი მასალები — მელანი, საღებავი

თავი 2. ხელნაწერი ობიექტები

- 2.1 პაპირუსი
- 2.2 გრაფილი
- 2.3 კოდექსი
- 2.4 პალიმსესტი
- 2.5 წიგნის გაფორმების საშუალებები

თავი 3. ხელნაწერი ობიექტების დაცვის პრევენციული საშუალებები

- 3.1 საცავები და მათი კეთილმოწყობა
- 3.2 ოპტიმალური კლიმატური პირობები
- 3.3 პრევენციული კონსერვაციის მეთოდები

თავი 4. ხელნაწერი ობიექტების კონსერვაცია და რესტავრაცია

- 4.1 კონსერვაციის და რესტავრაციის რაობა
- 4.2 სარესტავრაციო ოთახის მოწყობა
- 4.3 სარესტავრაციო ხელსაწყოები, ჭურჭელი და სხვა ნივთები
- 4.4 სარესტავრაციო მასალები
- 4.5 ადგენივები

თავი 5. დაზიანების სახეობები და გამომწვევი მიზეზები

- 5.1 ბიოლოგიური დაზიანება
- 5.2 ენტიმოლოგიური დაზიანება
- 5.3 ქიმიური დაზიანება
- 5.4 მექანიკური დაზიანება

თავი 6. პირველადი სამუშაოები

- 6.1 ობიექტის მდგომარეობის შესწავლა
- 6.2 ობიექტის დეზინფექცია
- 6.3 სარესტავრაციო პასპორტის მომზადება
- 6.4 ფოტოფიქსაცია
- 6.5 ობიექტის პირველადი გაწმენდის მეთოდები
- 6.6 ობიექტის ქიმიური დაუშავება

თავი 7. ობიექტის კონსერვაცია-რესტავრაცია

- 7.1 ობიექტის გაწმენდა
- 7.2 ძველი რესტავრაციის დემონტაჟის მეთოდები
- 7.3 ქაღალდის კონსერვაცია-რესტავრაცია
- 7.4 ეტრატის კონსერვაცია-რესტავრაცია
- 7.5 მელნის გამაგრება
- 7.6 მინიატურებს კონსერვაცია-რესტავრაცია
- 7.7 ყდების კონსერვაცია-რესტავრაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს თითოეულ თავში შესული თემატიკა დაეხმარება დაინტერესებულ პირებს მიიღონ თეორიული ცოდნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დახმარებას გაუწევთ სწორად დაგეგმონ და წარმართონ სარესტავრაციო პროცესი, გაეცნონ რეცეპტებს, მასალას და ძველ თუ თანამედროვე მეთოდებს, სარესტავრაციო მასალის შექმნის ან დამუშავების შესახებ. ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაშრომი ჰპოვებს დაინტერესებას, როგორც პროფესიონალ რესტავრატორებს, ისე სტუდენტებს შორის, რადგან ამ მიმართულების დარგისთვის ლიტერატურის ნაკლებობა ყოველთვის დიდი პრობლემას წარმოადგენდა, მით უფრო, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგროვებული, ქართულად თარგმნილი, გადამუშავებული და ერთ წიგნში თავმოყრილი ინფორმაცია. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული სადემონსტრაციო მასალით, ფოტოების, ნახაზებისა და ცხრილების სახით, რაც გაადვილებს ინფორმაციის აღქმას და უფრო თვალსაჩინოს ხდის წარმოდგენილ მაგალითებს.

TAMAR DVALISHVILI, ASMAT GVAZAVA, SOPIO TSERTSVADZE

Korneli Kekelidze National Center of Manuscript

CONSERVATION AND RESTORATION OF MANUSCRIPT AND PRINTED OBJECTS ON PRACTICAL AND METHODOLOGICAL MANUAL

Our main goal was to create a manual, with which novice restorers, apprentices and those that are interested will receive information about parchment and paper restoration-conservation process, types of damages, what causes them and their sources, treating methods and other aspects. Also, the manual will have detailed information on damaged manuscripts and required restoration materials, supplies, equipment and methods for conservation and restoration processes of the said manuscripts and printed objects.

We think that given project will arouse interest among professional restorers and students alike, because the lack of literature in this sphere was always a big problem, especially the information gathered based on practical experience, translated to Georgian and collected in a single book.

ია ბახვაძე

ხელოვანი, წიგნის მკინძავი

წიგნის კინძვის ხეხეხი კისგავკახაში გამოყენების პოვნისადაც

ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების რესტავრაციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია (ელემენტია) აკინძვა. არცთუ იშვიათად რესტავრატორს უწევს დაზიანებული წიგნის დაშლა და ცალკეულ ფურცლებსა და ყდაზე საკონსერვაციო და/ან სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ მისი ხელახლა აკინძვა. სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში დანერგილი ხელით კინძვის ხეხეხი არ გამოიჩევა მრავალფეროვნებით, რამაც შესაძლოა რესტავრაციის კინძვის ხარისხზე არასასურველი გავლენა მოახდინოს.

ახლა წიგნის მანუალური (ხელით) კინძვის სხვადასხვა ტექნიკა არის გავრცელებული, მათ შორის ზოგიერთს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და დღესაც აქტიურად გამოიყენება. ჩემს მოხსენებაში ძაფის გამოყენებით კინძვის რამდენიმე ტექნიკაზე გავამახვილებ ყურადღებას. ძალიან მოკლედ შევეხები მათ ისტორიას და შედარებით უფრო დეტალურად თავად კინძვის ტექნიკას იმ სახით, როგორც ჩვენამდე მოაღწია.

წიგნის კინძვისთვის აუცილებელი მასალებია: (ძვლის) საკეცი (bonefolder), სადგისი (awl), საკერავი ნემსი (sewing needle) და საკერავი ძაფი (sewing thread). კერვისთვის ძირითადად გამოიყენება ნატურალური ძაფი, ყველაზე ხშირად გაცვილული და / ან გაუცვილავი სელის ძაფი (waxed or / and unwaxed linen threads).

ბროშურული კინძვა (Pamphlet Binding)

ბროშურული კინძვა, იგივე პამფლეტური კინძვა, პოპულარული გახდა წიგნის ბეჭდვის დანერგვასთან ერთად. თავდაპირველად მცირე ზომის დაბეჭდილ მასალას არ კინძვდნენ, უბრალოდ მარტივად კერავდნენ ყუის (spine) გასწვრივ. ტერმინი პამფლეტი (pamphlet) წარმოდგება მე-12 საუკუნის სასიყვარულო პოემის „Pamphilus seu de Amore“ ((პამფილუსი ან სიყვარულთან დაკავშირებით) Pamphilus, or Concerning Love) მთავარი პერსონაჟის სახელიდან.

ბროშურული კინძვა ერთ-ერთი უმარტივესი ტექნიკაა, რის გამოც ძალიან ხშირად იყენებენ. ამ ტექნიკით კინძვა განსაკუთრებით ეფექტურია მცირე მოცულობის წიგნების კინძვისას, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი საამკინძაო რეველისგან (signature) შედგება. საკერავი ძაფი გასდევს ყუას (spine) და, როგორც წესი, წიგნის ბლოკზე (Book block) გადაშლისას ჩანს როგორც გარედან, ისე შიგნიდან. კინძვისთვის საამკინძაო რეველის გადაკეცვის ადგილას აკეთებენ საჭირო რაოდენობის ნახვრეტს (sewing stations), როგორც წესი, სამს ან მეტს, კინძვა კი ხდება გარედან შიგნიდან. კინძვის დროს ყოველი ბიჯის(?) გაკეთების შემდეგ ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საკერავი ძაფი იყოს მაქსიმალურად გამართული.

იაპონური კინძვა (Japanese Stab Binding)

ამჟამად იაპონური კინძვის სახელით ცნობილი ტექნიკა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში მოყვარულ მკინძავებს შორის და არა მხოლოდ მათში. მას რამდენიმე უპირატესობა აქვს. პირველ ყოვლისა, სიმარტივე. მას ბავშვებიც კი მარტივად ითვისებენ. ამ ტექნიკით აგრეთვე შესაძლებელია ყუის მდიდარი დეკორირება საკერავი ძაფით. ის ძალიან გამძლეა. კერვისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება 4 ან 6 ნახვრეტი (sewing stations). ამ ტექნიკით კინძვა ისტორიულად გავრცელებული იყო აზიის ქვეყნებში, ძირითადად იაპონიასა და ჩინეთში. იაპონური წიგნების შემ-

თხვევაში ბეჭდვისას უპირატესობა ენიჭება თხელ ქაღალდს, რომელიც ორად იკეცება, რათა ერთი ფურცლის ორი გვერდი მივიღოთ, შემდეგ კი იკერება. იმის გამო, რომ კერვა ხდება არა უშუალოდ ყუაზე, არამედ ყუის ახლოს, ფურცელი ბოლომდე არ იშლება თავისუფლად, რაც გასათვალისწინებელია ასაკინძი მასალისთვის ამ ტექნიკის შერჩევისას. საკერავად ისტორიულად გამოიყენება აბრეშუმის ძაფი, თუმცა თანამედროვე კინძვისას საკმაოდ ხშირია სელის ძაფიც.

კობტური კინძვა (Coptic Binding)

კობტურ კინძვას, ანუ ჯაჭვისებრ გვირისტი კინძვას, სახელი ეწოდა (კობტური) ეგვიპტეში მცხოვრები ქრისტიანი კობტებისგან. სწორედ მათ მიერ არის ამ ტექნიკით აკინძული წიგნები, რომელთაგანაც ყველაზე ძველები ახალი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნით თარიღდება. ამ ტექნიკას რამდენიმე მახასიათებელი აქვს, რის გამოც ის დღემდე ფასობს და ძალიან პოპულარულია. ასე აკინძული წიგნი სრულად გაშლის საშუალებას იძლევა და ამასთან, კინძვისას არ გამოიყენება წებო, რაც დამატებით იცავს ქაღალდს თუ სხვა მასალას, რომელიც გამოიყენება წიგნის გვერდების შესაქმნელად. უძველესი კობტური კინძვით შესრულებულ წიგნებში წიგნის ბლოკი ცალკე იკინძებოდა და შემდგომში ემატებოდა ყდა. თუმცა გვიანდელი, ისევე როგორც, თანამედროვე კობტური კინძვისთვის დამახასიათებელია წიგნის ბლოკისა და ყდის ერთიანად გაკერვა, ხოლო თითოეული ნახვრეტის გასწვრივ ყუას ჩაუყვება ყულფებისგან შემდგარი ჯაჭვი. კერვისას, როცა ყოველი ახალი საამკინძო რვეული ემატება, ყოველ ნახვრეტთან ყულფის საშუალებით მჭიდროდ ებმება ერთმანეთს ქვედა და ზედა საამკინძო რვეულები, რაც ბლოკს სიმტკიცეს მატებს.

ეთიოპური კინძვა (Ethiopian Binding)

მე-16 საუკუნედან ჯაჭვისებრი გვირისტი კინძვა განვითარდა ეთიოპიაშიც. ამ წიგნებს, როგორც წესი, ჰქონდა დაწყვილებული ნახვრეტები საკინძი ძაფისთვის (paired sewing stations) და გვერდები იკინძებოდა თითოეული ნახვრეტის წყვილისთვის ორი ნემსის გამოყენებით. ამ წიგნების უმრავლესობა შემორჩენილია ყდისა და კაპტალების (endband) გარეშე.

გადაკიდებული გვირისტი კინძვა (Kettle Stitch Binding)

მის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს უწოდებენ ფრანგულ შეკავშირებულ კინძვას (French Link Stitch). გადაკიდებული გვირისტი კინძვა საკმაოდ მყარად კინძავს წიგნის ბლოკს და ძალიან გამძლეა. ჯვარედინი და ჯაჭვისებური გვირისტის მეშვეობით ერთმანეთს უკავშირდება ორი საამკინძო რვეული. მეტი სიმტკიცისთვის ასევე შესაძლებელია დამატებით ნაჭრის ზოლების ჩართვა კინძვისას. ყუის მეტი სილამაზისთვის უმჯობესია წინასწარ განვსაზღვროთ, როგორი გამოსახულება გვინდა მივიღოთ კინძვის შედეგად ყუაზე, მაგალითად, რამდენი იქსისებური ნახაზი და რამდენი ჯაჭვისებური ზოლი გვინდა.

გრძელი გვირისტი კინძვა (Long Stitch Binding)

გრძელი გვირისტი კინძვა ასევე ძალიან გავრცელებულია. ამ ტექნიკით კინძვის დროსაც არ არის აუცილებელი წებოს გამოყენება, თუმცა მას ხანდახან მაინც იყენებენ. კინძვის შედეგად ყუაზე ძაფით მიიღება ჭადრაკისებური გამოსახულება. ამგვარი ტექნიკის გამოყენება დადასტურებულია ევროპაში მე-18 საუკუნიდან, თუმცა შესაძლოა, ამგვარ კინძვას უფრო ადრეც ეარსება; აგრეთვე ცნობილია გრძელი გვირისტის კინძვის ვარიანტი, მას იყენებენ ჯაჭვისებრ გვირისტთან კომბინაციაში. კერძოდ, უკვე მე-14 საუკუნეში გერმანიაში გვაქვს იმგვარად ნაკინძი წიგნები, რომელთა ყუის კიდევზე ვხვდებით ჯაჭვისებურ გვირისტს, ხოლო ყუის შუა ნაწილი გრძელი გვირისტიტაა აკინძული. გრძელი გვირისტი კინძვისას მეტი მრავალფეროვნებისთვის ყველაზე ხშირად მიმართავენ გვირისტის სიგრძის ცვლას და ამგვარად რაიმე გამოსახულების თუ დიზაინის შექმნას ყუაზე ან/და სხვადასხვა ფერის ძაფის გამოყენებას კინძვისთვის.

კინძვა ორი ნემსის გამოყენებით (Double Needle Stitch Binding)

აგრეთვე შესაძლებელია კინძვა ორი ნემსის გამოყენებით, რა დროსაც წიგნის ბლოკის ორივე მხარე იკერება სხვადასხვა ნემსით, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ.

ბეზმეცემეპელო ღიფიკაფიკა:

1. Hanmer, Karen. 2016. Contemporary Paper Bindings. Glenview, IL. Karen Hanmer Book Arts
2. <http://www.quietfiredesign.com/Galleries/Techniques/3HolePamphlet.htm>
3. <https://bookbindersmuseum.org/japanese-bookbinding/>
4. <http://www.clothpaperscissors.com/wp-content/uploads/Coptic-Stitch-PDF.pdf>
5. <https://cpclbookgirl.wordpress.com/book-binding/long-stitch-binding/>
6. <http://web.ceu.hu/medstud/manual/MMM/bookbinding.html>
7. https://en.wikipedia.org/wiki/Long-stitch_bookbinding
8. https://en.wikipedia.org/wiki/Coptic_binding
9. <https://en.wikipedia.org/wiki/Bookbinding>
10. https://en.wikipedia.org/wiki/Traditional_Chinese_bookbinding
11. https://en.wikipedia.org/wiki/Ethiopian_binding
12. <https://bookbinding.com/short-essay-on-bookbinding/>
13. <https://www.bl.uk/catalogues/bookbindings/default.aspx>

IA BAKHTADZE

Artist, freelance bookbinder

BOOKBINDING TECHNIQUES WITH POTENTIAL OF USING IN THE RESTORATION WORKS

SUMMARY


Bookbinding is a major element in restoration of the manuscripts and printed books. Frequently restorer has to work with separate damaged pages and after performing the relevant restoration / conservation procedures bind it back into the book. Unfortunately nowadays in Georgia methods of manual binding do not vary that much. This fact might have a rather undesired influence on the quality of the bookbinding stage of the restoration. The goal of this lecture is to familiarize the audience with various bookbinding techniques (Pamphlet Binding, Japanese Stab Binding, Coptic Binding, Ethiopian Binding, Kettle Stitch Binding, French Link Stitch, Long Stitch Binding and Double Needle Stitch Binding) popular today throughout the world, get a glimpse of their rich history as well as familiarize with work process of each of them. Knowledge of these techniques will allow restorer to choose the bookbinding technique to be used more precisely and achieve the best possible results.





კინძვისთვის საჭირო მასალა და ხელსაწყოები




ბროშურული კინძვა / Pamphlet Binding




იაპონური კინძვა / Japanese Binding



კობტური კინძვა / Coptic Binding



გადაკიდებული გვირისტული კინძვა / Kettle Stitch Binding



კინძვა ორი ნემსის გამოყენებით / Double Needle Stitch Binding

ALEKSEI KASHCHEEV

Russian State Library, Moscow

PREVENTIVE MEASURES FOR BIODAMAGES ARCHIVAL DOCUMENTS

Human coexists with other live organisms and is forced to protect constantly himself and the objects of cultural heritage created by him from bioexpansion of live matter. Objects of the organic nature, including the materials that are stored in archive depositories are especially vulnerable to the destroying action of a biofactor.

Biological wreckers — microscopic mushrooms, insects (rodents, bacteria are more rare) — bear constant danger fast, sometimes mass destruction of objects of archival storage. Biodestructions always happen where measures of bioprotection are weakened and where there are favorable conditions for bioexpansion, activation and the subsequent development of biowreckers.

It should be noted that now biodefeat is result of activity of insects and mold less often — rodents and bacteria. The major operating factor — the high humidity of air ($>10 \text{ g/m}^3$) promoting germination spores and growth of a mycelium. For practice of bioprotection extremely important: activity of mold directly depends on climatic conditions. With increase in humidity (from 65 to 100%) time necessary for growth of mold defeat is reduced from 120 — 150 days to 5 — 30 days. At emergencies on damp (wet) documents the mold growth in 3 — 5 days. The mold grows at heating shutdowns when in the building temperature synchronously falls (up to 0 — 5 °C) and the humidity grows (up to 100%).

At decrease in humidity below the critical level (60 — 65%) the mold doesn't grow, the mycelium perishes. It is the major fact that is the cornerstone of measures of bioprevention and fight against molding: compulsory decrease in humidity indoors, expeditious drying of documents at simultaneous ventilation of air — an effective remedy of the termination of molding. At normal humidity (it is lower than 60 - 65%) the mold doesn't grow.

Feature of biodefeat by insects — in specifics of these of the live, mobile migrating organisms. Insects are capable to function in the wide range of temperatures — from 5 - 10 to 40 °C - and in various conditions of humidity — from 10 - 20 to 90 — 100%. At the same time in different climatic conditions different types dominate.

This unpretentiousness, a variety, fast migration are the reasons that biodamage by insects can be initiated in any place of a chain: “documents — storage — the building — the territory around the building”. At such specifics it isn't always possible to reveal the center of defeat and the prime cause of appearance of insects at once.

Bioprotection — a complex of the actions that are carried out systematically in practice for identification and extermination of biodamages. In the system of measures of bioprotection the main element — preventive

conservation and biocontrol – the package of measures providing systematic inspection of documents, storages, buildings, the nearby territory.

Biocontrol – the complex, multidimensional, specialized work demanding knowledge and experience. It has to be carried out by the specialist's biologists knowing specifics of biodamages.

It is necessary to understand that the purpose of antimicrobial processing – rescue and preservation of archival heritage taking into account all possible consequences for the document, health of the person and the environment, but not achievement of 100% of sterility that in these conditions is not expedient. Use of biocides is emergency without which it is possible to do. The indispensable condition is measures of preventive conservation that archivists are well known. If on archival materials colonies of microscopic mushrooms, then rather dry mechanical cleaning of traces of development of micromycetes from a document surface have grown. If the document damp and colonies of microscopic mushrooms have grown by his surfaces, then first of all the document needs to be dried up, and then to carry out careful dry mechanical cleaning. For a dry mechanical cleaning it is possible to use napkins from microfiber (well adsorb dry particles on the surface) or the vacuum cleaner. It is in practice often used.

Bioprotection – only one of elements of system of ensuring safety of documents.

ღეილა გოსტიჩიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

„შაჰნამე“ – ჩაგაჩავაძის სამუშაოების შესახებ

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი სიძველეთსაცავია მსოფლიოში. ცენტრის საცავებში ათასობით მნიშვნელოვან ქართულ და უცხოურ ხელნაწერებს შორის უდიდესი ადგილი უჭირავს აღმოსავლურ ფონდს, რომელიც აერთიანებს სპარსულ, თურქულ, არაბულ, აზერბაიჯანულ, თურქმენულ და უზბეკურ ენაზე შესრულებულ ისტორიულ დოკუმენტებს თუ ხელნაწერ წიგნად შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებს. აღმოსავლურ, ანუ მუსლიმურ ფონდში გაერთიანებული უნიკალური კოლექციები შემოსულია აზერბაიჯანიდან, დაღესტნიდან, საქართველოს მომიჯნავე თურქეთის რესპუბლიკის პროვინციებიდან. ფურცლებზე დასმული ბეჭდებისა და მინაწერების მიხედვით ჩანს, რომ ეს მასალა გროვდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიათმცოდნეობის, შემდეგ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში, და ბოლოს, საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, რომლის ბაზაზეც 1958 წელს დაარსდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

აღმოსავლური ხელნაწერები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო ფონდია საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესისთვის. იგი გამოირჩევა აღმოსავლური ქალაქის სპეციფიკური დამუშავებით, საწერი მასალის მრავალფეროვნებით, ოქრომელნითა და სხვადასხვა ფერის საღებავით ნატიფად მოხატული მინიატურებით, მდიდრულად დეკორირებული ტყავის ყდებით. სწორედ ამიტომ ხელნაწერის დიაგნოსტიკა და შემდეგ საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესი ერთგვარი თავგადასავალია უამრავი სირთულითა და გამოწვევით.

წინამდებარე სტატიაში ვისაუბრებთ „შაჰნამეს“ შესახებ.

„შაჰნამე“ მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც ფირდოუსმა შექმნა XI-XI საუკუნეებში, სპარსული ლიტერატურის კლასიკურ პერიოდში. ავტორის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები არსებობს. იგი დაბადებულა 934/5 თუ 935/6 წელს ტუსის ოლქში, ქალაქ თაბერანის მახლობლად მდებარე სოფელ ბაჟში. გარდაცვლილა 1020-1027 წლებში, დასაფლავებულია ქალაქ ტუსში. „შაჰნამე“, როგორც მას უწოდებენ „მეფეთა წიგნს“, ანუ „წიგნს მეფეთა შესახებ“, ოცდაათ წელზე მეტხანს იწერებოდა და აღწერს ირანის შაჰების დინასტიის - სასანიდების - ისტორიულ ქრონიკებს. ფირდოუსს ჰყავდა წინამორბედი, დაყიყი, სახოტბო ოდებით განთქმული პოეტი, რომელსაც ირანული საგმირო თქმულებების კრებულის გალექსვა დაუწვია, მაგრამ უდროოდ დაღუპულა. ახალგაზრდა პოეტს ამ კრებულის მხოლოდ მცირე ნაწილი გაუღლესავს. გვირგვინი კი შაჰნამესთვის“ (მთელი თავისი შემკულობით) ფირდოუსს დაუდგამს თავზე. ის შექმნილია სპარსულ ენაზე და შეიცავს სამოცი ათასს ბეითს. გამოირჩევა მდიდრული სახეებით, ლაკონიურობით, პლასტიკურობით, ფრაზების ბუნებრივი დიალოგებითა და ლექსიკური არქაიზმებით.

ხელნაწერი შიფრით P620 გადაწერილია XVI საუკუნეში, 1589-1590 წლებში. გამოირჩევა მაღალმხატვრული ღირებულებით, მინიატურების სიმრავლით, კამარების გაფორმებით, საოცარი ფერებითა და დეკორით. ამჟერად კი ხელნაწერის რთულ და საინტერესო „თავგადასავალზე“ გიამბობთ, რასაც ერთეულის კონსერვაცია-რესტავრაცია ჰქვია. ესაა გზა საცავიდან საცავამდე.

საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესის დაწყებისას განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელნაწერის სწორ დიაგნოსტიკას, რომელიც გულისხმობს დაზიანებათა ზუსტ შეფასებას. პროცესის დროს ყურადღება ექცევა ერთეულის დამუშავებას მექანიკური, ფიზიკური თუ ქიმიური საშუალებებით. ასეთ დამუშავებას ყველა ტექსტი ვერ

უძლებს მექანიკური (ქალაქში მისი სუსტი მოჭიდების), ფიზიკური (წყალში და ორგანულ გამხსნელებში ხსნადობა) და ქიმიური (ქიმიური ხსნადებით გაუფერულება) არამდგრადობის გამო. ხელნაწერზე სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების დაწყებას წინ უძღოდა ტექსტის თვისებების დადგენა-შეფასება.

აღმოსავლური ხელნაწერების ძირითადი დამახასიათებელია სისუსტე, საწერი მასალა (როგორი?) და საღებავები, რომლებითაც იქმნებოდა ტექსტი და მინიატურები. უმეტეს შემთხვევაში საწერად იყენებდნენ ტუშს ან მურს. ტუში უძველესი საწერი მასალაა, რომელიც ჩ.წ.-მდე 220 წლიდან გამოიყენება. იგი მზადდებოდა ფისოვანი მცენარეებისა და ზეთის დაწვით. მიღებულ მურს (მჭვარტლი) წყალში ხსნიდნენ და წებოს უმატებდნენ. მწებავი ნივთიერება თევზის ან ხარის ტყავის წებო, ასევე ბრინჯის ან ქერის ნახარში იყო. კონსერვაციისა და არომატიზაციისთვის მუსკუსს უმატებდნენ, ფერის გასაუმჯობესებლად კი სხვადასხვა მცენარეულ და ცხოველურ დანამატს. მურის მელნები და ტუში დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა საწერად. მათ მაღალი სინათლემდეგობა ახასიათებს, ისინი არც იხსნება და არც უფერულდება სინათლის ზემოქმედებით. მისი უარყოფითი თვისება ისაა, რომ ახასიათებს ქალაქში ძნელად შელწევადობა და მასზე მოჭიდების სისუსტე; ამავდროულად სწრაფად შრება, რაც იწვევს აქერცვლას და სუსტ წყალგამძლეობას. ეს უკანასკნელი კი ყველაზე საფრთხილო და ყურადღებამისაქცევია მუშაობის პროცესში.

(აქედან) „შაჰნამე“ საკმაოდ დიდი მოცულობისაა. შეიცავს 564 ფურცელს, რომელთა სიგრძე ოცდაჩვიდმეტ სანტიმეტრს აღემატება, სიგანე - ოცდასამ სანტიმეტრს, ხოლო ბლოკის სიმაღლე - 6,5 სანტიმეტრს. ხელნაწერი ერთ გვირგვინზე მსუბუქად იყო აკინძული. ეს ერთგვარად გამართლებული ხერხია დიდი ზომის ხელნაწერების ასაკინძად, რადგან მოხმარებისას მჭიდროდ აკინძული ხელნაწერი ფურცლები დეფორმაციას და დაზიანებას განიცდის. უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ექსპონატის ბლოკი მოირყა და შუა ადგილას გაიხლიჩა, იძულებული გავხდით ხელნაწერი ყდიდან ამოგვეღო, რათა სრულფასოვნად ჩაგვეტარებინა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაო. ერთეულის დაშლის შემდეგ ყუაში დიდი ოდენობით აღმოჩნდა ცხოველური წებო, რომლის სქელმა ფენამ თითქმის ყველა ფურცელი დააზიანა. როგორც ჩანს, ფურცლები ადრე იყო რესტავრირებული, რაზეც მიუთითებს ძველი რესტავრაციის კვალი, რომელიც რამდენიმე ათეულ ფურცელზე შეინიშნება.

აღმოსავლური ხელნაწერები გამოირჩევა ყდის მდიდარული დეკორით. „შაჰნამეს“ ყდა ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია. მას აქვს მწვანე ფერის ტყავის ყდა, რომელიც შემკულია ტვიფრებით. ყდის ზედაპირი საკმაოდაა დაზიანებული, ბევრ ადგილას კი - გაცრეცილი და ფერგადასული. ყდის კიდები მთლიანად შემოცვეთილია, ხოლო მუყაო - რამდენიმე ფენად დაშლილი. ტვიფრებზე ოქროსფერი მელნით შესრულებულია კონტური, რომელიც რამდენიმე ადგილას წაშლილი ან გაუფერულებულია. განსაკუთრებული მორთულობით გამოირჩევა ხელნაწერის ყდის შიდა მხარე, რომელიც დაფარულია შინდისფერი ტყავით. ზედაპირზე აქვს სიმეტრიულად განლაგებული სხვადასხვა ზომის და ერთნაირი ფორმის ორნამენტები (მგონი მრ.რ-ში უნდა იყოს), რომლებიც წითლად, მწვანედ, ლურჯად და ოქროსფერად არის შეფერილი. ყდას აქვს ნაკლები დეტალი: ფურცლებთან ერთად ყდაც ოდესღაც რესტავრირებულია, რადგან ქვედა ფრთის მარცხენა კუთხეში შეინიშნება განსხვავებული ტონალობის(?) ტყავის ფრაგმენტი, რომელიც ნაკლებად ადგილის შესავსებად იყო გამოყენებული. წებოსა და ჭუჭყის ფენის მოხსნამ დაგვანახა, რომ ხელნაწერის ყდად გამოყენებული იყო ეტრატის უხეშად დამუშავებული ფურცელი, რომელიც მწვანედ არის შეფერილი. იგი საკმაოდ მყიფე და მსხვრევადია. ამასთან, გამოყენებული მწვანე საღებავი გამომშრალია, ფხვიერი და თითქმის მოცილებული ეტრატის ზედაპირს.

ხელნაწერის ფურცლების საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესი საკმაოდ რთულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. მელნებისა და საღებავების არამდგრადობის გამო საკმაოდ ფრთხილი დამუშავება სჭირდებოდა ტექსტთან ახლო არეებს, ასევე მათ კონსერვაციას. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი მდიდარია მინიატურებით, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა ფერის საღებავით. ტექსტი შესრულებულია შავი მელნითა და სინგურით. ტექსტი ჩასმულია წითელ ჩარჩოში. მინიატურების ჩარჩო კი მოხატულია მწვანე, ლურჯი და წითელი ფერის საღებავებით. ვინაიდან მინიატურები ფართოდ იყო გამოყენებული აღმოსავლურ ხელნაწერებში (და არა მხოლოდ), საღებავების დასამზადებლად საწერი პიგმენტებიც გამოიყენებოდა. ხელნაწერში გამოყენებული საღებავებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მწვანე საღებავი ვერდიგრი (VERDIGRIS), რომელიც ძმარმუჯავა, სპილენძის ძირითადი ნეიტრალური მასალაა. მწვანე საღებავად ასევე გამოიყენებოდა მალაქიტი და ატაკამინი. არსებულ მწვანე პიგმენტებს შორის ძმარმუჯავა სპილენძი ყველაზე არამდგრადი და რეაქციისუნარიანი პიგმენტია, რომელიც დროთა განმავლობაში ყავისფერ შეფერილობას იღებს. ფურცლის მეორე მხარეს ჩნდება მუქი კონტური. იმ არეში ქალაქი ხდება მსხვრევადი, იწყება ფურცლისა და ტექსტის ფრაგმენტებად

დაშლა. მინიატურების დაზიანების გამო საღებავები გაჟონილი იყო ფურცლის მეორე მხარეს, რითაც აზიანებდა ტექსტს. ამ პროცესს ერთვოდა ქაღალდის სტრუქტურაში მომატებული მჟავიანობა, რომელიც ხელნაწერის ფურცლებზე მერყეობდა 4-6 შორის.

ხელნაწერის ძირითადი დაზიანება იკვეთებოდა კიდეებსა და ყუის არეში. ფურცლებს აღენიშნებოდა მცირე ზომის მექანიკური ჩახვები. დიდ სირთულეს ქმნიდა ძველი რესტავრაცია და მისი მოხსნა. ვინაიდან სარესტავრაციოდ გამოყენებული ქაღალდი საკმაოდ სქელი იყო, დროთა განმავლობაში გამოწვია ფურცლის დეფორმაცია და ჩატეხვა. ძველი რესტავრაციის მოსახსნელად მელანში მომატებული მჟავიანობის გამო გამოვიყენეთ კელკოგელი¹ და მეთილცელულოზა², მრავალ ადგილას ჩაცვენილი იყო ტექსტი. ფურცლების ზედაპირზე მრავლად აღინიშნებოდა ფოქსინგები. გათხაპნილი ან სრულიად დაკარგული იყო ტექსტი.

ღიაგნოსტიკებისა და სარესტავრაციოდ მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ შეირჩა საკონსერვაციო-სარესტავრაციო მასალა, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის პროცესში. გამოყენებული იყო სხვადასხვა სისქისა და ფერის იაპონური სარესტავრაციო თუ საკონსერვაციო ქაღალდი. ჩაცვენილი ტექსტის არეების ამოსავსებად კი - ქაღალდის ზედაპირიდან აღებული ბოჭკო, ხოლო რიგ შემთხვევებში ცელულოზა³. რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში მასალა მაქსიმალურად ორიგინალის შესაბამისი (თავსებადი) უნდა იყოს ზომის, სისქის, ფერისა და ფურცლის სტრუქტურის მიხედვით, მორგებული დაზიანების ფორმასა და ხარისხზე. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი 564 ფურცლისგან შედგებოდა. აქვე დავძენ, რომ დაზიანებული იყო თითოეული ფურცლის ყუის არე, ამიტომაც საჭირო გახდა ამ ნაწილის მთლიანად აღდგენა. მომატებული მჟავიანობის გასაანეიტრალებლად გამოვიყენეთ სანეიტრალიზაციო ხსნარი - მაგნეზიუმის ოქსიდი⁴. წნეხიდან ამოღების შემდეგ ფურცლები ზუსტად იმავე ქარგით აიკინძა, როგორც ხელნაწერს ჰქონდა დაშლამდე. ფურცლებზე ჩატარებული სამუშაოების შემდეგ დაიწყო მეორე ეტაპი - ყდის კონსერვაცია-რესტავრაცია.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერს ჰქონდა მწვანედ შეღებილი ტყავის ყდა, რომლის შიდა ნაწილებზე გადაკრული იყო ორნამენტებით მორთული შინდისფერი ტყავი. საჭირო გახდა ყდის ორივე ფრთის დაშლა. თავდაპირველად მოიხსნა ყდის შიდა ნაწილი ორნამენტებთან ერთად, შემდეგ კი - გარე ნაწილი. მუყაოებზე, რომლებიც საკმაოდ დაზიანებული იყო, გამოჩნდა რამდენიმე ფრავმენტი ტექსტით. საჭირო გახდა მუყაოების ფენებად გახსნა, რათა გვენახა შიგნით არსებული მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ორივე ფრთის მუყაოში სამ შრედ და ბევრ ფენად ჩატანებული იყო რამდენიმე ათეული ხელნაწერი. ეს ფენებიც გაიხსნა და ხელნაწერები ამოვიღეთ. პროცესი საკმაოდ რთული და შრომატევადი აღმოჩნდა. ფენებს შორის დიდი ოდენობით იყო ცხოველური წებო, რომელიც ერთიორად ართულებდა ფურცლების ამოღებას. დატენიანებით, რაც გულისხმობს მუყაოების მოთავსებას ნესტიან ვაკუუმში, შედარებით გაიოლდა პროცესი და ადვილი გახდა დატენიანებული ფურცლების ერთმანეთისგან განცალკევება. თუმცა მაინც საჭირო გახდა კელკოგელისა და რიგ შემთხვევაში მეთილცელულოზას გამოყენება. ფურცლებს შორის წებოს ფენასთან ერთად ასევე დიდი რაოდენობით იყო მტვრის ფენა. ფურცლების ამოღების შემდეგ ხელნაწერები მოთავსდა სადებინფექციო კამერაში და შემდეგ დამუშავდა ფორმალინის ხსნარით, რადგან ფურცლების ზედაპირზე დიდი ოდენობით აღმოჩნდა სოკოს პიკმენტები.

ყდიდან ამოღებული ხელნაწერების ტექსტი შესრულებული იყო როგორც შავი მელნით, ასევე სინგურით. ტესტირებამ აჩვენა, რომ მელანი საკმაოდ მდგრადი იყო სითხის მიმართ, ამიტომ ფურცლების ზედაპირი გასუფთავდა სპირტისა და დისტილატის ხსნარის საშუალებით. ხელნაწერის ფურცლები სხვადასხვა ზომისა და ფორმის აღმოჩნდა, ტექსტი კი - სხვადასხვანაირი კალიგრაფიით შესრულებული. ზოგიერთი ხელნაწერის სტრუქტურა საკმაოდ სქელი და მყარი იყო. ზო-

¹ კელკოგელი - მიკრობული ფერმენტაციით წარმოქმნილი პოლისაქარიდი. მაგელირებელი აგენტი, რომელიც გამოიყენება წყლის მიმართ მგრძობიარე ქაღალდსაფუძვლიან მასალაზე. იგი ეფექტურად აცილებს ზედაპირზე არსებულ ჭუჭყსა და წებოს.

² მეთილცელულოზა - ცელულოზისგან მიღებული ქიმიური ნაერთი. ჰიდროფილური თეთრი ფხვნილი სუფთა ფორმით, იგი იხსნება წყალში, ქმნის რა გამჭვირვალე ბლანტ ხსნარს ან გელს.

³ ცელულოზა - ორგანული ნაერთის ფორმულა, კედლის მწვანე მცენარეთა მნიშვნელოვანი სტრუქტურული კომპონენტი. ნივთიერება, რომელიც მიიღება ზოგი მცენარის ქიმიურად დამუშავებული მერქნისა და ღეროებისგან. იყენებენ ქაღალდის დასამზადებლად.

⁴ მაგნეზიუმის ოქსიდი - წყლისგან თავისუფალი ტუტოვანი ბუფერული ხსნარი. გამოიყენება ქაღალდში მომატებული მჟავიანობის გასაანეიტრალებლად. ახასიათებს ნესტისა და ობის მიმართ მდგრადობა.

გიერთი იმდენად თხელი, რომ აუცილებელი გახდა მათი გამაგრება გაჟღენთვის მეთოდით. ფურცლებს ჩაუტარდა კონსერვაცია-რესტავრაცია. ქალაქის საფუძველი გამაგრდა იაპონური საკონსერვაციო ქალაქით. ნაკლული ადგილები და ფურცლების ფორმატი ზომების მიხედვით აღდგა იაპონური სარესტავრაციო ქალაქით. მომატებული მჟავიანობის გამო დამუშავდა მაგნეზიუმის ოქსიდით და მოთავსდა წნეხში.

ხელნაწერის ყდის დაშლისა და გასუფთავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტყავის ნაცვლად გამოყენებული გახლდათ უხეშად დამუშავებული ეტრათი, რომელიც საკმაოდ გამომშრალი და გახვევებული იყო. აუცილებელი გახდა მისი დარბილება. ამისათვის გამოყენებულ იქნა ტყავის შესაბამისი დამარბილებელი სითხე⁵. ყდის გასუფთავებული ნაწილები მოთავსდა წნეხში სტაბილიზაციისთვის. პერიოდულად ეტრათის ფურცელი მუშავდება ტყავის საცხით, რომელიც ხელს უწყობს მის გაჟღენთვას და ელასტიკურობის შენარჩუნებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტყავის რესტავრაციის პროცესი, რის შემდეგაც ხელნაწერი ხელახლა შეიმოსება იმგვარად, როგორც ეს იყო დაშლამდე.

„შაჰნამე“ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ხელნაწერი აღმოჩნდა საკონსერვაციო-სარესტავრაციო თვალსაზრისით. მუშაობის პროცესი მოითხოვდა კომპლექსურ მიდგომას და მრავალი გამოწვევის წინაშე მყოფმა, შევეცადე ობტიმალური გადაწყვეტილებები მიმეღო, რომელიც უზრუნველყოფდა მინიმალური ჩარევით მაქსიმალური შედეგის მიღწევას, ექსპონატზე ავთენტურობის შენარჩუნებას. ეს არის ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საკითხში, რომლის წინაშეც მუდმივად დგას რესტავრატორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კობიძე დავით, 1946, *ახალი სპარსული ლიტერატურა*, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. კობიძე დავით, 1959, „*შაჰნამეს*“ *ქართული ვერსიების სპარსული წყაროები*, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. კობიძე დავით, 1975, *სპარსული ლიტერატურის ისტორია*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

⁵ წყალხსნარი, ტყავის დამარბილებელი სითხე (leather softener), რომელიც ღრმად აღწევს ტყავის ფორებში და ხელს უწყობს მის გაჟღენთვას და უნარჩუნებს ელასტიურობას. კარგად მუშაობს უხეშ და სქელი ტიპის ტყავზე. მას ხდის მოქნილსა და დამყოლს.


LEILA GOTCIRIDZE

Korneli Kekelidze National Center of Manuscript

„შაჰნამე“ – ჩაფიქსირებული სამუშაოების შესახებ**SUMMARY**

Shahnameh is one of the greatest literature pieces of the global significance. Manuscript, which was rewritten in the XVI century, is standing out with the big format of paper, multitude of miniatures and richly decorated cover. Conservation-restoration works have taken a lot of time. It was severely damaged. In the report will be described in details all the difficulties and challenges that have arisen during the work process. In particular, stability of the ink, paper structure, difficulties found in spine and cover and ways of solving them.

Also all the approaches and processes performed on the papers of the manuscript as well as on the cover will be described. Preventive measures were taken in order to rescue, secure and preserve the manuscript.




„შაჰნამე“ - ხელნაწერის ყდის შიდა და გარე მხარე



ძველი რესტავრაციის კვალი და დაზიანებული ფურცლები



დაზიანებული ფურცლის კიდეები და მინიატურა



გახლებილი ყუა და დაზიანებული ტექსტი



ხელნაწერის ყდა და მასში ჩატანებული ფურცლები



სოკოს პიგმენტები და ფურცლების დეზინფექციის პროცესი



დაზიანებული და რესტავრირებული ფურცლები



ტყავის დამუშავება-დარბილების პროცესი

საღმრთო მითხარები

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩაკოვის კრავის ბიბლიოთეკაში დასრულებული ხელნაწილები

პოლონეთში, ქალაქ კრავის ეროვნული მუზეუმის დაქვემდებარებაში მყოფ ჩაკოვის კრავის ბიბლიოთეკაში 11 ხელნაწერი და 2 ძველნაბეჭდი ქართული წიგნია დაცული. ხელნაწერები XI-XVIII საუკუნეებით თარიღდება. მათ შორის სამი ეტრატზე შესრულებული, დანარჩენი კი ქალაქსაფუძვლიანია. ძველნაბეჭდი წიგნები, სავარაუდოდ ვახტანგის სტამბის დროინდელია.

კრავის ეროვნული მუზეუმის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული არქივის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა წიგნების მდგომარეობის შესწავლა, დაზიანების ხარისხის განსაზღვრა და სამომავლოდ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაგეგმვა.

ქალაქ კრავის საქართველოს ეროვნული არქივის რესტავრატორების ვიზიტის შედეგად მოხდა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების დეტალური დათვალიერება, აღწერა, დაზიანების ტიპებისა და ხარისხის განსაზღვრა. დოკუმენტაციას დაერთო დეტალური ფოტო მასალაც.

კვლევის საფუძველზე, დაზიანების სიმძიმის მიხედვით, წიგნები რამდენიმე კატეგორიად დაიყო: საშუალო სიმძიმის, ძლიერ დაზიანებული და უკიდურესად მძიმე.

პოლონეთისა და საქართველოს მხარეებს შორის მოლაპარაკებების საფუძველზე იგეგმება ეტაპობრივად განხორციელებული წიგნების მდგომარეობის გამოსწორება. პირველ ეტაპზე, მოხდება ეტრატზე შესრულებული სვინაქსარის რესტავრაცია-კონსერვაცია.

თემაში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია თითოეული წიგნის მდგომარეობის შესახებ, უფრო დაწვრილებით კი განვიხილავთ ზემოთ ხსენებული სვინაქსარის დაზიანების ხარისხსა და ტიპებს.

1919 თვენი (სურ.1-2)

მასალა : ეტრათი

ყდა: არ აქვს

ზომა: 24.5 X 20.5

ფურცლების რაოდენობა: 204

ზოგადი მდგომარეობა: უკიდურესად მძიმე

წიგნის მთლიანობა დარღვეულია, აქვს დიდი ზომის ნაკლები უბანი, რომელიც სავარაუდოდ მღრღნელების მიერ არის დაზიანებული. ხელნაწერის ფურცლების უმრავლესობა გარკვეულ უბნებზე ერთმანეთზე მიკრული და რთულდება გადაშლა. ეტრატის ფურცლების ზედაპირი გამომშრალი და მტვრევადია. ზოგიერთი ფურცელი იმდენად არის დაზიანებული და გათხელებული, რომ დაკარგულია ასოები, გართულებულია ტექსტის წაკითხვა. განსაკუთრებით ღრმა დაზიანებ-

ები აღინიშნება პირველ და ბოლო რამდენიმე ფურცელს. ზოგიერთი ფურცელი ამოვარდილია ყუიდან. დოკუმენტის თითქმის მთელ ზედაპირზე აღინიშნება მოშავო ფერის სოკოსმაგვარი საკმაოდ სქელი ნადები. შესამჩნევია მღრღნელები-სა და მწერებისაგან დაზიანებული სხვადასხვა ზომის უბნები.

1924 I თვენი (სურ.3)

მასალა : ეტრატი

ყდა: არ აქვს

ზომა: 15.8 X 12.6

ფურცლების რაოდენობა: 30

ზოგადი მდგომარეობა: ძლიერ დაზიანებული

წიგნის მთლიანობა დარღვეულია, დაკარგულია ზედა მარჯვენა კუთხის დიდი ნაწილი და მარცხენა კუთხის მცირე ნაწილი (სავარაუდოდ დაზიანებულია მღრღნელებისა და მწერებისაგან). ფურცლების ზედაპირზე ფიქსირდება მონაცრის-ფრო-მოთეთრო ფერის ობისმაგვარი ნადები და მოყავისფრო-მონაცრისფრო ლაქები, რომლებიც ტექსტზეც გადადის. ზოგიერთ ფურცელზე ასობეი გაღიავებული ან გამქრალია. შესამჩნევია მწერების მიერ დაზიანებული ადგილები. პერგამენტის წიგნთან ერთად მოთავსებულია ქაღალდზე შესრულებული ნაბეჭდი დოკუმენტი, მცირე ფრაგმენტის სახით.

1918 III მარხვანი (სურ.4)

მასალა : ქაღალდსაფუძვლიანი

ყდა: არ აქვს

ზომა: 28 X 19.5

ფურცლების რაოდენობა: 360

ზოგადი მდგომარეობა: უკიდურესად მძიმე

წიგნის მთლიანობა დარღვეულია, ქვედა მარცხენა კუთხე ძალიან დაზიანებულია და იშლება ფრაგმენტებად. დაზიანება, სავარაუდოდ, გამოწვეულია მწერებისა და მღრღნელების მიერ. შეინიშნება მონაცრისფრო და მოვარდისფრო ფერის ობისმაგვარი ნადები და ლაქები. წიგნი აკინძულია ძველი წესით, ნაკერი თანადროულია, თუმცა შემორჩენილია არასრული სახით. მეტად დაზიანებისა და ფრაგმენტების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, არ მოხდა ხელნაწერის დეტალური დათვალიერება და აღწერა.

1920 I ჟამნი (სურ.5-6)

მასალა : ქაღალდსაფუძვლიანი

ყდა: ტყავგადაკრული ხის ყდ

ზომა: 22.5 X 15.5

ფურცლების რაოდენობა: 251

ზოგადი მდგომარეობა: ძლიერ დაზიანებული

წიგნს აქვს თითქმის სრულად შემორჩენილი ხის ტყავგადაკრული ყდა, შელახულ მდგომარეობაში. ხელნაწერის ფურცლები საკმაოდ სქელია, თუმცა გაუხეშებული და მტვრევადი. უფრო მეტად დაზიანებულია ფურცლის კიდეები და ზედა მარცხენა კუთხე, სადაც ქაღალდის ბოჭკოებს შორის კავშირი განსაკუთრებით სუსტია და არსებობს ამ ნაწილების დაკარგვის საშიშროება. აღინიშნება მწერებისა და მღრღნელების მიერ დაზიანებული ადგილები, ასევე მოთეთრო-მოიასამნისფრო და მონაცრისფრო-მოშავო ობისმაგვარი ნადები. ფურცლები დალაქავებულია დიდი ზომის მოყავისფრო ლაქებით, რაც სავარაუდოდ ნესტიან გარემოში მისი დიდხანს ყოფნით არის გამოწვეული. ლაქები საკმაოდ მუქია და აქვს მკაფიო კონტურები. წიგნის აკინძვა თანადროულია, თუმცა შემორჩენილია არასრული სახით.

1922 II ჟამნი (სურ.7)

მასალა : ქალაქდასაფუძვლიანი

ყდა: ტყავგადაკრული ხის ყდა

ზომა: 20 X 14.3 სმ

ფურცლების რაოდენობა: 126

ზოგადი მდგომარეობა: უკიდურესად მძიმე

ხელნაწერს აქვს ხეზე გადაკრული ტყავის ყდა. ყდის წინა მხარე დაზიანებულია და არ არის შემორჩენილი სრული სახით. კერძოდ, ტყავი ნაკლულია, ხოლო ხის ნაწილები დაკარგული. ტყავი გაუხეშებულია.

ფურცლები ცელულოზა გამოცლილი და მტვრევადია. აღინიშნება მოვარდისფრო-იასამნისფერი და მოთეთრო ფერის ნაღები, ასევე მოყავისფრო შეფერილობის ლაქები. დაკარგულია წიგნის ქვედა მარჯვენა კუთხე. ფურცლების ქვედა ნახევარი ძლიერაა დაზიანებული მწერებისა და მღრღნელებისაგან. აქედან გამომდინარე, გართულებულია დოკუმენტის გადაშლა (მღრღნელებისა და მწერებისაგან დაზიანებული უბნები კარგავს მთლიანობას და იშლება ფრაგმენტებად). უსაფრთხოების გამო ვერ მოხერხდა დეტალური დათვალიერება.

1923 I დავითნი (სურ.8)

მასალა : ქალაქდასაფუძვლიანი

ყდა: არ აქვს

ზომა: 20.2 X 14.8 სმ

ფურცლების რაოდენობა: 95

ზოგადი მდგომარეობა: საშუალო სიმძიმის

აკინძვა თანადროულია. წიგნის ფურცლები მოყვითალო შეფერილობისაა, კიდევები გაცვეთილი და დაზიანებულია. აღინიშნება სხვადასხვა სიმუქის მოყვითალო-მოყავისფრო შეფერილობის ლაქები. ლაქები გაფანტულია ფურცლის მთელ ზედაპირზე და ზოგიერთს აღენიშნება მკვეთრი კონტურები. შეიმჩნევა მონაცრისფრო-მოშავო და მოთეთრო ფერის ობსმაგვარი ნაღები და მომწვანო შეფერილობის ლაქები.

1925 III ჟამნი (სურ.9)

მასალა : ქალაქდასაფუძვლიანი

ყდა: ტყავგადაკრული ხის ყდა

ზომა: 15.3 X 10.1

ფურცლების რაოდენობა: 207

ზოგადი მდგომარეობა: მეტ-ნაკლებად დაზიანებული

ხელნაწერს აქვს ხეზე გადაკრული ტყავის ყდა. ყდის წინა მხარე დაზიანებულია და არ არის შემორჩენილი სრული სახით. ტყავი ნაკლულია, ხოლო ხე მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ტყავი გაუხეშებულია. ყდა გაფორმებულია ორნამენტებით.

წიგნს მთლიანობა არ აქვს შეანარჩუნებული, ყუიდან ამოვარდნილია ფურცლების უმეტესი ნაწილი. ფურცლები საკმაოდ მდგრადია, ძირითადად დაზიანებულია კიდევები. მრავლად შეინიშნება მუქი მონაცრისფრო-მოშავო და თეთრი ფერის ობსმაგვარი ნაღები.

1926 II დავითნი (სურ.10)

მასალა : ქალაქდასაფუძვლიანი

ყდა: ტყავგადაკრული ხის ყდა

ზომა: 14 X 10

ფურცლების რაოდენობა: 100

ზოგადი მდგომარეობა: მეტ-ნაკლებად დაზიანებული

ხელნაწერს აქვს ხეზე გადაკრული ტყავის ყდა. ყდის უკანა მხარე დაზიანებულია და არ არის შემორჩენილი სრული სახით, კერძოდ ხის ნაწილი დაკარგულია. ტყავი დამუშავებულია, თუმცა ძნელად შეიმჩნება მასზე ამოტვიფრული ფიგურები.

ხელნაწერიდან ამოვარდნილია რამდენიმე ფურცელი, ამოხეულია და ფრაგმენტებად არის შემორჩენილი. ფურცლები მყარია და არ არის მტვრევადი. შედარებით გათხელებული და დაზიანებულია ფურცლის კიდეები. შეიმჩნევა მოყავისფრო ფერის ლაქები და მოშავო ფერის ობისმაგვარი ნაღები.

1927 III დავითნი (სურ.11)

მასალა : ქალაღდსაფუძვლიანი

ყდა: ტყავგადაკრული ხის ყდა

ზომა: 15.9 X 11 სმ

ფურცლების რაოდენობა: 324

ზოგადი მდგომარეობა: მეტ-ნაკლებად ძძიმე

ხელნაწერს აქვს ხეზე გადაკრული ტყავის ყდა, რომელიც შემორჩენილია სრული სახით, სავარაუდოდ აკლია მხოლოდ ჩამკეტი. გაფორმებულია ორნამენტებით (ნახატი იდენტურია წინა და უკანა მხარეს). ტყავი გამომშრალი და გაუხეშებულია.

ფურცლები მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, დაზიანებულია მხოლოდ კიდეები. აღინიშნება მოშავო ფერის ობისმაგვარი ნაღები და მოყავისფრო ლაქები.

1928 IV დავითნი (სურ.12)

მასალა : ქალაღდსაფუძვლიანი

ყდა: ტყავგადაკრული ხის ყდა

ზომა: 21.5 X 17.9

ფურცლების რაოდენობა: 111

ზოგადი მდგომარეობა: ძლიერ დაზიანებული

ხელნაწერს აქვს ხეზე გადაკრული ტყავის ყდა, რომელიც არ არის შემორჩენილი სრული სახით, დაკარგულია წინა მხარე მთლიანად. ტყავი გამომშრალი და გაუხეშებულია, ხის ნაწილიც დაზიანებულია.

ფურცლების დაახლოებით 1/3 შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტული სახით, დაზიანებულია მღრღნელებისა და მწერების მიერ. მწერების კვალი შეიმჩნევა წიგნის სხვა ფურცლებზეც და დაზიანებული ადგილები საკმაოდ მრავლადაა. აღინიშნება მოყავისფრო ობისმაგვარი ნაღები.

ძველნაბეჭდი წიგნები

Nspn 9683 (11) (სურ.13-14)

მასალა : ქალაღდსაფუძვლიანი

ყდა: ხეზე გადაკრული ტყავი

ზომა: 14,4 X 10

ფურცლების რაოდენობა: 204

ზოგადი მდგომარეობა: საშუალო სიმძიმის

წიგნს აქვს ხეზე გადაკრული ტყავის ყდა. შემორჩენილია ყდის მხოლოდ უკანა ნაწილი. ყდას აქვს ტყავის ჩამკეტი (შემორჩენილია მხოლოდ ერთი).

დოკუმენტი ნაბეჭდია.

ძირითადად დაზიანებულია ფურცლის კიდეები, გათხელებული და მტვრევადია. ასევე აღინიშნება ყავისფერი შეფერილობის ჭუჭყის ნადები, დაბინძურების ხარისხი იზრდება ქვედა მარჯვენა კუთხეში (სავარაუდოდ სანთლის ლაქები). ფიქსირდება მონაცრისფრო ობისმაგვარი ნადები.

11584 (14) (სურ.15-16)

მასალა : ქალაქდსაფუძვლიანი

ყდა: აქვს

ზომა: 10,5 X 17

ფურცლების რაოდენობა: 188

ზოგადი მდგომარეობა: საშუალო სიმძიმის

წიგნს აქვს ხეზე გადაკრული ტყავის ყდა, რომელიც სრულად არის შემორჩენილი. ყდას აქვს ლითონის ჩამკეტები (დაკარგულია ერთი ნაწილი).

წიგნის 188 ფურცლიდან 5 ფურცელი ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. წიგნი ძველი რესტავრირებულია, თუმცა ნაკლები ადგილები ისეა შევსებული რომ ტექსტი დაფარულია ქალაქით. შეინიშნება ობისმაგვარი ნადები და მოყავისფრო ლაქები.

1921 სვინაქსარი (სურ.17-20)

მასალა : ეტრათი (N16-17 ფურცელი ქალაქდსაფუძვლიანი)

ყდა: არ აქვს

ზომა: 21.5 X 17.9

ფურცლების რაოდენობა: 60

ზოგადი მდგომარეობა: ძლიერ დაზიანებული

პირველადი კვლევის შედეგად დოკუმენტის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ეტრათის ფურცლები სხვადასხვა სისქისაა, დეფორმირებულია, მტვრევადი და კიდეებში არაერთგვაროვანია. დეფორმაცია მექანიკურად დაზიანებულ ფურცლებზე უფრო მეტად არის შესამჩნევი. მრავლად არის მიკროორგანიზმების მიერ დაზიანებული უბნები. ფურცლების ზედაპირზე ფიქსირდება მუქი-მოყავისფრო ლაქები და მოთეთრო ფერის ობისმაგვარი ნადები. ზოგიერთ ფურცელზე მელანი გამქრქალეულია და ტექსტის წაკითხვა გართულებული. საკმაოდ მრავლად არის მექანიკურად დაზიანებული და ნაკლები ფურცლები. აკინძვა თანადროულია, თუმცა შემორჩენილია არასრული სახით.

დოკუმენტის პირველ ფურცელზე შეიმჩნევა სხვადასხვა ზომის და ფორმის დაზიანება, ლაქები, ობის და წებოსმაგვარი ნადების საკმაოდ სქელი ფენა.


ხელნაწერის N2-7, N41, 48, 49, 50, 51 ფურცლები დაახლოებით ერთნაირად არის დაზიანებული. კერძოდ, ფურცლების შუა ნაწილი დალაქავებულია, გათხელებული და ძალიან მტვრევადია, მელანი გამქრქალეულია და გართულებულია ტექსტის წაკითხვა. ზოგიერთი ფურცელი დაზიანებულ ადგილას გახეულია.

N 8-15 ფურცლების მთლიანობა დარღვეულია. შუა ნაწილში, ყუის მხრიდან გარეთა კიდეზე მთლიანად გაჭრილია და დამაგრებულია მხოლოდ ნაწილობრივ, კანაფის ძაფით.


N16-17 ქალაქდსაფუძვლიანი ფურცლები გამომშრალი, ცელულოზა გამოცლილი და მტვრევადია. ფურცლების მთლიანობა დარღვეულია.

დოკუმენტის N19-38 და N 39-60 ფურცლები შედარებით სქელია, თუმცა გაუხეშებული და მტვრევადი.

პირველადი კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტების უმრავლესობა ძლიერ დაზიანებულია, საჭიროებს სასწრაფო კვლევასა და რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესის მოკლე დროში დაწყებას, რათა თავიდან ავიცილოთ მდგომარეობის გაუარესება.



სურ.1



სურ.2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



Նյճ. 6



Նյճ. 7



Նյճ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ. 17



სურ. 18



სურ. 19



სურ. 20

SALOME MIKABERIDZE

National Archives of Georgia

GEORGIAN MANUSCRIPTS STORED AT THE CHARTORYSK LIBRARY**SUMMARY**

There are 11 Georgian manuscripts and 2 old-printed books in Poland, in Chartorysk library of the Cracow National Museum. Manuscripts are dated by XI-XVII centuries. Three of those manuscripts are executed on parchment, others – on paper. Old-printed books apparently belong to the period of Vakhtang's printing house.

On the base of agreement of the Cracow National Museum, Agency of Cultural Heritage of Georgia and National Archives of Georgia it was resolved to study the state of those books, to determine rate of their damage and further to plan conservation-restoration works.

As a result of a visit of restorers of the National Archives of Georgia to Cracow the manuscripts and books stored there were subjected to detailed inspection, description, determination of types and quality of injuries. Documentation was annexed with photo materials.

On the base of the research, the books were divided into some categories, according to the gravity of injuries: of average gravity, very injured and extremely grave.

Based on the negotiations between the Polish and Georgian parties it was planned to improve stage-wise the condition of books. At the first stage restoration-conservation of the synaxarion implemented on the parchment will be carried out.

The theme will offer information about the state of each book, while the quality and types of damages of the above-referred synaxarion will be considered in more detail.

ღია სიხარულიძე

საქართველოს ეროვნული არქივი

ბაქარის ბიბლია

1743 წელს მოსკოვის ქართული სტამბის მესვეურებმა სანუკვარ მიზანს მიაღწიეს – გამოიცა დაბადება, ანუ ბაქარის ბიბლია. ქართული ბიბლია დაიბეჭდა მეფე ბაქარის ბინაში, მოსკოვთან, დაბა ვსესვიატსკოეში. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო როგორც იოსებ სამებელის სტამბის, ისე სრულიად ქართული კულტურის ისტორიისთვის. გამოცემის წინასიტყვაობაში ბაქარი იხსენებს წინაპართა ღვაწლს და გვაუწყებს თავისი როლის შესახებაც ... „აწ მოვიღეთ მეფის არჩილის ნამუშავევი „დაბადება“ ხელით წერილი და შევამოწმეთ დედანსა ფრიად კეთილსა და სარწმუნოსა ...“, ... „შეწევნითა ღმრთისათა ხელეყავ და აღვასრულე წადილი მათი“. რადგან ბაქარმა თავისი ხარჯითა და ძალისხმევით მოახერხა წინაპართა სურვილის ასრულება და მათი ნამუშავევის გამოქვეყნება, „ბაქარის ბიბლიად“ მოიხსენება პირველნაბეჭდი ქართული „დაბადება“, ყველაზე სრული ბეჭდური კრებული ქართულ ბიბლიათა შორის. წიგნს ერთვის რედაქტორის – ვახუშტი ბატონიშვილის – ანდერძიც.

ცნობილია, რომ დაბადება 300 ცალიდან 100 ბაქარის ბრძანებით ყდით შეუმოსავთ და სპეციალურ ყუთებში ჩაწყობილი გაუგზავნიათ საქართველოს ეკლესიებში. ისინი რუსეთის საბაჟოზე ხანგრძლივად დააკავეს. წელიწადზე მეტხანს ბიბლია საბაჟოზე ძალიან ცუდ პირობებში იყო, თითქმის ღია ცის ქვეშ; მას წვიმისგან მოყავისფრო ლაქები ეტყობა, პირველნაბეჭდ ბიბლიაში ალაგ-ალაგ დატოვებული სუფთა ფურცლები მიგვანიშნებს, რომ მასში ილუსტრაციების ჩართვა სურდათ, მაგრამ გამომცემლებს ჩანაფიქრი ვერ განუხორციელებიათ გასაიდუმლოებული ბეჭდვის, საამისო დროისა თუ თანხის უკმარისობის გამო. ბაქარის ბიბლიის სინოდთან შეუთანხმებლად ბეჭდვის გამო იოსებ სამებელის სტამბის მუშაობა მალე შეაჩერეს. 40-იანი წლების მიწურულს იოსებ სამებელი გარდაიცვალა. ეს სტამბა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა, შემდგომ ათანასე მიტროპოლიტმა იგი მოსკოვში გადაიტანა.

1939 წლიდან საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში დაარსდა აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი. 1943 წლიდან მას სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მიენიჭა, მასში დაცულია 7000-მდე ექსპონატი – აკაკის ნივთები: პირადი ბიბლიოთეკა, რომელშიც იხსება ბაქარის ბიბლია, ავეჯი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, დოკუმენტური ფოტომასალა, ფერწერული ტილოები: ირაკლი თოიძის, ქეთევან მაღალაშვილის, თამარ აბაკელიას, უჩა ჯაფარიძის, რობერტ სტურუას, გოგი გაბაშვილის (აკაკის პორტრეტი, 1908 წელი).

რაც შეეხება ამ ბიბლიის აღწერილობას და მის რესტავრაციას

ბაქარის ბიბლია შედგება 439 ფურცლისგან (40,5X26,5სმ), რომლებისგანაც შექმნეს 71 რვეული. წიგნი 6 კგ-ს იწონის. რვეულები აკინძულია დაზგური წესით ოთხ სქელ თოკზე ჯაჭვური კერვის მეთოდით. კაპტალი მოიქსოვა ფერადი აბრეშუმის ძაფებისგან, რომლებიც მიაკერეს თითოეული რვეულის გავლით. საბედნიეროდ, ძველ დაძინილ და ნაკლულ კაპტალს შემორჩა ძველი ძაფების ნარჩენები, რომლის მიხედვითაც წიგნის აღსადგენად რესტავრაციისას დაიგრიხა ახალი კაპტალი ანალოგიური ფერების ძაფებით.

ბევრი ძველთაძველი ქართული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნი ჩვენს დრომდე სხვადასხვა დაზიანებით შემორჩა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო როლი ენიჭება რესტავრატორს. გარემო ზეგავლენას ახდენს მასალებ-

ზე, რომლებისგანაც შედგება ხელნაწერი ან ძველნაბეჭდი წიგნი. წიგნის დაშლა-დაზიანებას ზრდის შენახვის არახელსაყრელი პირობები, როგორებიცაა:

- წიგნის ინტენსიური გამოყენება;
- დაუდევარი მოპყრობა;
- ხშირი გადაადგილება;
- არასათანადო შენახვის პირობები;
- დანესტიანებული სათავსო, რომელიც იწვევს დაობებას;
- თბილი და უჰაერო სათავსო განაპირობებს ქაღალდისა და ტყავის გამოშრობას, დეფორმაციას და ძლიერ გაუხეშებას.

ყოველივე ამას ხელნაწერი ან ძველნაბეჭდი წიგნი მიჰყავს ნაწილობრივ ან მთლიან განადგურებამდე.

ძველი წიგნის აღდგენისას რესტავრატორს საშუალება ეძლევა ჩაიხედოს შიგნით, მის „ორგანიზმში“. მასზე დაკვირვებით თვალსაჩინო ხდება კერვის მეთოდი, რომლის მიხედვითაც დგინდება წიგნის შექმნის პერიოდი, ასევე ძველი შემორჩენილი ძაფებისა და თოკების მიხედვით ირკვევა, როგორ ხდებოდა ძველი ფურცლების მიერთება და ჩამაგრება მაშინდელ ყდაში.

ბაქარის ბიბლიის ძველი ხის ყდა იყო ჭინაჭამი, ამიტომ მისი გამოყენება არ დაუშვებელი იყო. აღდგენა-რესტავრაციის დროს ახალი ყდისთვის გამოიყენეს სქელი მუყაოს ოთხი ფენა, რომელთა კიდეები სათანადოდ დამუშავდა. ოთხ სქელ თოკზე აკინძული ფურცლები ჩამაგრდა (ჩამონტაჟდა) ყდაში ყუასთან. თითოეული რვეული შედგება ოთხი ფურცლისგან. რვეულები ძლიერ დახეული და ნაკლული იყო, მათ ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია, განსაკუთრებით ყუასა და კიდეებში. დაჭმუჭნილი ფურცლები კი წნეხის მეშვეობით გასწორდა. ბიბლიის რვეულები აიკინძა დაზგაზე, ყუასთან, რვეულების კიდეებზე, თავსა და ბოლოში ჩაიკერა ფერადი კაპტალი.


ძველ ყდას გადაკრული ჰქონდა ყავისფერი ტყავი, რომელიც მოტვიფრული არის ორნამენტებით. ყდის ძველი ტყავი ცხიმის გამოფიტვის გამო გამხმა, გახევდა, ბევრ ადგილას დაზიანდა, ამასთან ნაკლული იყო. იგი გაიწმინდა, ჩაუტარდა დეზინფექცია და დარბილდა სპეციალური ხსნარებით.


ბაქარის ბიბლია დაცულია საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში.
















LIA SIKHARULIDZE

National Archives of Georgia

BAQAR'S BIBLE RESTORATION

The aim of the article is to familiarize the reader with how renewal- restoration of antiquarian book “Baqar’s Bible” was held, the publishing of mentioned book was performed in 1743, at the apartment of Baqar, near Moscow, in village Vsesviatskoe.

“Baqar’s Bible” is the most complete printing collection among Georgian Bibles. From 300 printed versions of “Baqar’s Bible” under the order of King Baqar, the book was wrapped in thick brown leather cover and was put in special boxes in order to distribute it to the Churches of Georgia.

100 sent books were hold on the boarder of Russia for more than a year. The books were kept in terrible conditions - under the open air, so the books has brown spots from rain.

“Baqar’s Bible” consists of 439 papers, their size is 40,5 X 26,5 sm. The old wooden cover of the bible was worm-eaten, which had to be changed to a new cover. The papers were bound on four thick ropes, they were stick on upper and lower cover. The papers needed thorough restoration, lacking places were filled with analogous thick and quality paper, old eroded, rough and lacking leather was cleaned, was held disinfection and was softened with special solution. After softening, leather’s edges were thinned in order to be stuck on newly repaired cover.

“Baqar’s Bible”’s restoration-renewal was held in 1997-1998, restored Bible is kept in Sachkhere Rayon village Skhvitori in the museum of Akaki Tsereteli.

შოკინა თავაძე, კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დიმიტრი ყიფიანის ახლად აღმოჩენილი აქივის დიაგნოსტიკა-პაქეტი

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში თავმოყრილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მწერლების, პოეტების, მხატვრების, ემიგრანტების, სამხედრო და სასულიერო პირების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, აგრეთვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების და სინოდის კანცელარიის არქივები (სულ 188 საარქივო ფონდი).

სწორედ ამ ფონდშია დაცული გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატორის, მთარგმნელისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურის, დიმიტრი ყიფიანის, პირადი არქივის დიდი ნაწილი.

დიმიტრი ყიფიანი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო, რის გამოც ეროვნული პროტესტის გამომხატველი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ვოლოგდაში გადაასახლეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი მთავარმართებლის კანცელარიაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, რა დროსაც სწრაფად დაწინაურდა. 1864–70-იან წლებში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად იყო არჩეული.

1886 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ჩუდევცის მკვლელობის გამო საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი საჯაროდ დაწყევლა. დიმიტრი ყიფიანი თავისი საპროტესტო წერილის პასუხად თანამდებობიდან გადააყენეს და იმავე წელს გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც ღამით მძინარე მოხუცი მოკლეს. 2007 წელს საქართველოს საპატრიარქომ დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში, სადაც დიმიტრი ყიფიანმა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები გაატარა, მისი სახელობის სახლ-მუზეუმი ფუნქციონირებს. ამ მუზეუმის რეაბილიტაციის დროს, სახურავის ახდისას, სხვენზე აღმოჩნდა დღემდე უცნობი მასალა: წერილები, კონვერტები, გაზეთები. ცალკეულ ერთეულებად გამოყოფის შემდეგ მათი რაოდენობა 42 ერთეული იყო. უკიდურესად დაზიანებული არქივი სარესტავრაციოდ გადაეცა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიას.

საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელი იყო მასალის დიაგნოსტიკა, დაზიანების ხარისხისა და მიზეზების კვლევა, შემდეგ კი შესაბამისი მეთოდებისა და მასალების შერჩევა.

არახელსაყრელი პირობებისა და სხვადასხვა ფაქტორის გავლენით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი საარქივო მასალა საჭიროებდა როგორც ფიზიკური, ისე ქიმიურ-ბიოლოგიური თვალსაზრისით გადაუდებელ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს.

მრავალმხრივი კვლევისა და ვიზუალური დაკვირვებების შედეგად ცნობილია და დადგენილი ქალაქის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუარესების („დაბერების“) გარდუვალობა [1,2]. ამის ძირითად მიზეზად აღიარებულია, ერთი მხრივ, ქალაქის შემადგენლობაში არსებული მჟავური თვისებების მქონე ნაერთებისა და ატმოსფეროს მავნე მინარევების (მტვერი, ბოლი, ჭვარტლი, აგრესიული აირები) მოქმედება (9,10,14) და, მეორე მხრივ, მიკროორგანიზმების (ობის

სოკოები, ბაქტერიები, მწერები, მღრღნელები) მოქმედებით გამოწვეული დაზიანება. ამასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს დროის ფაქტორი (3). ქალაქი ბუნებრივად ძველდება [4]. ბუნებრივი დაძველება მიმდინარეობს ძალიან ნელა და უმთავრესად იმ ქალაქისა, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით მუხავური ბუნების ნაერთებს.

ატმოსფეროში არსებული მჟავა, ასევე ბუნების (კერძოდ, გოგირდის ორჟანგის) მავნე მინარევები წლების განმავლობაში ადსორბირდება ქალაქის ზედაპირზე მტვერთან ერთად და (ჰაერის) ჟანგბადთან ურთიერთქმედების შედეგად გარდაიქმნება გოგირდოვან ანჰიდრიდად, ნესტიან გარემოში კი წარმოქმნის გოგირდმჟავას. ეს უკანასკნელი უარყოფითად მოქმედებს ქალაქის სტრუქტურაზე, მიმდინარეობს ბოჭკოვანი ნივთიერებების ჯაჭვის დესტრუქცია. ამ პროცესის შესაჩერებლად მეცნიერები [5,6,7,9,10] საჭიროდ მიიჩნევენ წარმოებისას ქალაქში შესაბამისი ინჰიბიტორების დამატებას, რაც, მათი ვარაუდით, ზრდის ქალაქის გამძლეობას.

ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ კლიმატური პირობების ხანგრძლივი ზემოქმედება გავლენას ახდენს ქალაქის შემადგენლობასა და თვისებებზე. ქალაქში ნესტიანი გარემო მოქმედებს ძლიერ და იწვევს შეუქცევად პროცესებს (8,9). ქალაქის სტრუქტურის დაშლას განაპირობებს მიკროორგანიზმები: ობის სოკოები, ბაქტერიები. ბუნებაში დიდი რაოდენობით არსებობენ [10,11,12] სოკოები და ბაქტერიები, რომლებიც მაღალი ტენიანობის შემთხვევაში აზიანებენ ცელულოზის ბოჭკოს. მათი ბიოქიმიური მოქმედების შედეგად (15) ქალაქი მომჩვარული ხდება, იცვლება სტრუქტურა, მასზე აღინიშნება სხვადასხვა შეფერილობის პიგმენტაცია (რუხი, შავი, ყვითელი, ვარდისფერი, იასამნისფერი), რომლის მოცილება შეუძლებელია. პიგმენტების ფერი, დაზიანების ხარისხი დამოკიდებულია მიკროორგანიზმების ზრდის პირობებზე, ქალაქის შემადგენლობაზე, შემავსებლებზე და მასში არსებულ მინარევებზე. ქალაქს შეუქცევადად აზიანებენ აგრეთვე მღრღნელები.

ქალაქის დაზიანება ვლინდება მისი დეფორმაციით, მუავიანობის მომატებით. ცელულოზის ბოჭკოს დესტრუქციის შედეგად წარმოიქმნება მუავე ბუნების ნაერთები, რომლებიც მონაწილეობს შემდგომ ავტოკატალიზურ პროცესებში. შედეგი სავალალო იქნება, თუ არ ჩატარდა სათანადო პრევენციული სამუშაოები (3).

ქალაქის დამზადების პროცესი საუკუნეთა განმავლობაში ხელით შრომას ემყარებოდა.

„კუსტარულად“, მცენარეული ბოჭკოსა (თუთის ნორჩი ტოტების ქერქი, ბამბუკი, ბრინჯის ნამჯა და სხვა) და ჩვრებისგან(?) დამზადებული ქალაქის მასა შეიცავს სუფთა ცელულოზას, რომელიც მკვრივი და გრძელბოჭკოვანია არასასურველი მინარევების გარეშე. ამიტომაც ადრინდელი ქალაქი უფრო გამძლე, მტკიცე, მედეგი.

ქალაქის წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების მიუხედავად, მისი ხარისხი გაუარესდა, რაც გამოწვეულია წარმოების სფეროში უფრო დაბალხარისხიანი მასალის იძულებით ჩართვით, ასევე ქალაქის მასის საბოლოო დამუშავებისთვის აგრესიული ქიმიური რეაგენტების გამოყენებით.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქიმიური დამუშავების ახალი სულფატური და სულფიტური პროცესების შემოღებამ, ამასთანავე ქალაქის მასაში ლიგნინის მომეტებული რაოდენობის შემცველი ხის მერქნის დამატებამ, მჟავა გარემოში ხარშვამ, გათეთრების პროცესმა ქალაქის ხარისხისა და გამძლეობის შემცირება გამოიწვია (4,5,6).

მეცნიერთა აზრით, ამ დროს ხდება ცელულოზის მოლეკულაში პოლიმერბაციის ხარისხის დაცემა და დაბალი მოლეკულური წონის კარბოქსილური ჯგუფის შემცველი იმ პროდუქტების წარმოქმნა, რომლებიც მონაწილეობს გლუკოზიდური კავშირების ავტოკატალიზურ ჰიდროლიზში (3,6,7); შედეგად წარმოიქმნება მჟავა ხასიათის უჯერი ნაერთები, რაც საბოლოოდ ცელულოზის პოლიმერული ჯაჭვის რღვევას და ქალაქის თითქმის სრულ დაშლას, განადგურებას იწვევს. სწორედ ამიტომ ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია დაზიანებული ერთეულების სწორი დიაგნოსტიკა და პრევენციული სამუშაოების დროული ჩატარება.

ქალაქის დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფის მიმართულებით ჩატარებულ კვლევათა მიზანია ამ პროცესების შენელებისა და აღკვეთის რეალურ ღონისძიებათა შემუშავება, რათა შეიქმნას გამძლე მასალა.

დიმიტრი ყიფიანის ახლად აღმოჩენილი არქივის მასალების ვიზუალურმა შესწავლა-დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ფურცლები იყო დაობებული, დაძენილი, მომჩვარული, გაცვეთილი. ენტომოლოგიურად დაზიანებულ ფურცლებზე იყო სინესტის, სხვადასხვა შეფერილობის პიგმენტაციისა და სანთლის ლაქები. მძიმე იყო ფურცლების მდგომარეობა მექანი-

კური დაზიანებების თვალსაზრისით: ჩახეული, ნაკლული ფორმატი, კიდევები და წვეროები გაცვეთილი, ნაკლული და მოხეული, ქალაქის სტრუქტურა - დაშლილი, ფურცლები - ერთმანეთზე შეწყებულნი.

საარქივო ერთეულები სხვადასხვა ხარისხის, შეფერილობისა და სისქის ქალაქდება შესრულებული, შესაბამისად, მათი დაზიანებების ხარისხიც სხვადასხვანაირია. ტექსტი შესრულებულია სხვადასხვა მელნით.

ჩვენი მიზანი იყო გამოგვეკვლია, რა პერიოდის და რა სახის ქალაქდება იყო შესრულებული მასალა, როგორი იყო ქალაქების მჭავური მაჩვენებელი, მისი სტრუქტურის მდგომარეობა, რა სახის მელანი იყო გამოყენებული საწერად და მისი მდგომარეობა. კვლევის ჩატარების შემდეგ განგვესაზღვრა მასალები და მეთოდები.

პირველ ყოვლისა, დაზიანებულ ფურცლებს ჩაუტარდა კამერული სადებინფექციო სამუშაოები. აღიწერა თავდაპირველი მდგომარეობა და მოხდა ფოტოფიქსირება.

ფურცლები გაიწმინდა მშრალი და სველი წესით, მასალა დამუშავდა გამობდილი წყლითა და ცარცის სუსპენზიით. ამ დროს დაზიანებული ქალაქების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები იზრდება, რადგან ხსნარში გადადის ხსნადი, მჭავებუნების ცელულოზის დაშლის პროდუქტები, იცვლება ქალაქების მჭავური PH მახასიათებელი და ნელდება მისი „დაძველების“ პროცესი (15).

საარქივო მასალა დათარიღებულია ძირითადად 1849-1901 წლებით. იგი სხვადასხვა შინაარსისაა: „სუდში“ (სასამართლოს) მიწვევის უწყება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბლანკზე შესრულებული წერილი, 1896 წლით დათარიღებული პირადი წერილები შესრულებული როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. ზოგიერთ ქალაქდება აღინიშნება ვერტიკალური ზოლები (N1,N9,N24,N36,N38), რომლებიც დამახასიათებელია იმ პერიოდში წარმოებული ქალაქებისთვის. N10 ანგარიშის ფურცელია, მის მარცხენა ზედა კუთხეში ქალაქების კერძო მწარმოებელი ფაბრიკის - „სერგევის N4“ - ნიშანია (ლოგო), ერთი დეპეშა კი შესრულებულია ლურჯ ქალაქდებაზე.

ქალაქების დაცულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე იყო შემდეგი ერთეულები: N5,9,10,19,20,34,35,36,40 მდგომარეობა. ქალაქების სტრუქტურა იყო დაშლილი, რამაც გამოიწვია გარკვეულწილად ტექსტისა და ცალკეული ასოების დანაკარგები. თითქმის ყველა ერთეულს აღინიშნებოდა ფორმატის დანაკარგი. ტექსტის საწერად ძირითადად გამოყენებულია ყავისფერი (N9,10,27,28,33,34,34,35,38,40,44) და ღია ყავისფერი (N7,20,22,32) მელანი, თუმცა ზოგან გვხვდება შავი მელნითა (N15,19,30,36) და ფანქრით (N13,16,39) შესრულებული ტექსტიც. მელნის მდგომარეობა სტაბილურია, მიუხედავად მისი არასახარბიელო პირობებისა, არ შეინიშნება მელნის ჟანგვის პროცესი. ზოგ წერილზე ტექსტის მელანი ძალიან გაღიავებულია, რაც სავარაუდოდ, გამოწვეულია ტენიან გარემოში მიკროორგანიზმების მოქმედებით. ტექსტის მელანი მდგრადია სველი დამუშავების მიმართ. ქალაქების მჭავიანობის მაჩვენებელი PH საშუალოდ იყო 5,5-7 ფარგლებში. ტექსტის ადგილებში კი მონაცემებში ძალიან მცირე ცვლილება იყო.

დიაგნოსტიკის, სტრუქტურის შესწავლისა და პირველადი დამუშავების შემდეგ შერჩეულ იქნა სარესტავრაციო მასალა: მომწვარული ადგილების საკონსერვაციოდ იაპონური 3,7გრ/მ² და 1,6გრ/მ² საკონსერვაციო ქალაქდება; ნაკლული ფორმატის აღსადგენად სხვადასხვა სისქისა და ტონალობის იაპონური სარესტავრაციო ქალაქდება: 32გრ/მ², 18გრ/მ², 16გრ/მ². ჩამოთვლილი მასალებისა და ხორბლის სახამებლის წებოს გამოყენებით ჩატარდა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. უნდა აღინიშნოს, რომ მასალის მძიმე მდგომარეობის გამო საკონსერვაციო სამუშაოები ტარდებოდა ეტაპობრივად, რადგან თითოეული ერთეულისთვის საჭირო იყო ინდივიდუალური მიდგომა. კონსერვაცია-რესტავრაციის შემდეგ ჩატარდა ყველა ერთეულის ფოტოფიქსირება.

მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდეგ ერთეულები გაშლილ მდგომარეობაში განვათავსეთ შემდგომი დაზიანების პრევენციის მიზნით.

ჩატარებული სამუშაოები არქივის მასალების დაცულობის გარანტია.

ბამოყენებელი ლიზენაზია:

1. ალექსი-მესხიშვილი ლალი, ჯიქიძე იზოლდა, 1992, *ხელნაწერთა საცავებიდან გამოყოფილი სოკოების სახეობრივი შედგენილობა*, მრავალთავი, XVIII, თბილისი.
2. ჯიქიძე იზოლდა, *ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ძველნაბეჭდი წიგნების მდგომარეობა ქალაქის „დაბერების“ თვალსაზრისით და მათი რესტავრაცია-კონსერვაცია*, ჟურნალი „მრავალთავი“, N 24, თბილისი.
3. Алексеева Т.В., Беленкая Н. Г., 1965. *Функциональные группы целлюлозы и их роль при старении бумаги*, в кн., старение бумаги, изд., „наука“ М-Л, с.18-29.
4. Беленкая Н.Г., 1987. *Микроклимат и сохранность документов. АН СССР Сохранность документов*, с. 71-83.
5. Апрелова М.В. Колмакова Е.А. 1989. *Причины роста плесневых грибов в некоторых помещениях государственного русского музея. Теория и практика сохранения книг в библиотеке*. Вып. Сб. Научных трудов, Л. с.51.
6. Бланк М.Г., Гольбраих Г. Н., Нюкша Ю. П., 1963. *Старение реставрационной бумаги. Сообщения 1*, в кн. *Старение бумаги, произведений печати и рукописей*, Л. с.42-60.
7. Голбраих Э.И. Нюкша Ю.П. Соколова В.И. 1963. *Изменение свойств бумаги под воздействием сернистого газа, светового излучения и теплового искусственного старения* - В кн. *О сохранении бумаги, произведений печати и рукописей*. Л., с.42-60.
8. Добрусина С.А. 2014. *Стабилизация бумаги документов*, Москва.
9. *Микроскопические грибы в воздушной среде Санкт-Петербурга* /под редакцией М.А. Бондарцевой./ Санкт-Петербург, 2012.
10. Непенин Н.Н. 1940. *Производство целлюлозы*, М, ГЛТИ .
11. Никитин Н. И. 1960. *Химия целлюлозы и древесины*. Изд., АН СССР.
12. Привалова Т.А. 1960. *О старении бумаги в кн., Новые методы реставрации и консервации документов и книг*. Изд. АН СССР М.-Л. с.93.
13. Родовин Н.А. Шеригина Н.Н., 1953. *Химия целлюлозы и ее спутников*, М-Л. Госхимиздат.
14. Фляте Д.М., Афончиков Н.А., 1990. *Опытное изготовление бумаги различной композиции для изучения переменных факторов процесса старения бумаги*.
15. Яброва Р.Р., 1957. *Как предохранить от разрушения старие книги*. Библиотекарь.

SHORENA TAVADZE, REVAZ KLDIASHVILI, IZOLDA JIQIDZE

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

DIAGNOSTICS AND PREVENTION OF THE RECENTLY DISCOVERED ARCHIVE OF DIMITRI KIPIANI

SUMMARY



Most of the personal archive of Dimitri Kipiani is stored in the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia.

There is a House-Museum named after him in the village of Kvishkheti (Municipality of the city of Khashuri). During the rehabilitation of the museum hitherto unknown material have been discovered in the attic: letters, envelopes, and newspapers. The archival materials, which were in serious condition, were transferred to the scientific laboratory of conservation and restoration of the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia. The goals have been set to determine the period and the type of paper the material was performed, what was the indicator of the acidity of the paper, the condition of the paper's structure, what type of inks were used for writing and their condition, and also to pick up materials and methods after conducting the research.

After the diagnosis, the study of the structure and the initial processing, the material for the restoration have been selected. The conservation work was carried out in stages and each item required an individual approach.



After the stabilization of the condition, the items have been placed in the unfolded position in order to prevent further damage.



The fulfilled works are the guarantor of the protection of materials of the archive.















საკრებო

მაგდა მჭედლიძე

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

წყაროების იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ტექსტის დასადგენად

Magda Mchedlidze

TSU Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies.

Importance of Identifying Sources for Determining Texts 3-11

ლელა შათირიშვილი

საქართველოს კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გერმანიაში დაცული ქართული ხელნაწერები

Lela Shatirishvili

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

Georgian Manuscripts Preserved in Germany 12-17

ქეთევან მამასახლისი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სერაპიონ თმუისელის „მაკარი მეგვიპტელის ცხოვრება“ და ქართული აპოფთეგმური კრებული

Ketevan Mamasakhlishi

Tbilisi Spiritual Academy and Seminary

“Life of Makari Megvipteli” by Serapion Tmuiseli and Georgian Apothegmatic Collection 18-24

მარიამ გუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილორის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის ეპიგრაფიკა

Mariam Gunia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Epigraphy of Ilori Church of St. George 25-28

ია ღაღუა

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

ლიტერატურის მუზეუმში დაცული ათონური სახარება (კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი)

Ia Ghadua

Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature.

Athos Gospel preserved at the Museum of Georgian Literature (Codicological-textual analysis) 29-34

ვლადიმერ კეკელია

კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

შანშე მანდატურტუხუსესის ლაპიდარული წარწერა ართივში

Vladimer Kekelia

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Shanshe Mandaturtuhutsesi's Lapidary Inscription in Artik 35-40

თამაზ გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დღემდე უცნობი სვერელთა ფეოდალური სახლი ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით

Tamaz Gogoladze

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Sverels' Feudal House, unknown until now, according to the Epigraphic material of Kvemo Kartli 41-50

ირაკლი გელაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სამი ახლად გამოვლენილი უცნობი წარწერა რუისის ფერისცვალების ტაძრიდან

Irakli Gelashvili

St. Andrew the first-called Georgian University of Patriarchate of Georgia.

Three Newly Revealed Unknown Inscriptions from Ruisi Cathedral of Transfiguration 51-55

ნიკოლოზ ჯღენტის**კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

წერის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის ფრესკულ წარწერაში მოხსენიებული გამრეკელის იდენტიფიკაციისთვის

Nikoloz Zhghenti**Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.**

For Identification of Gamrekel, Mentioned in the Fresco Inscription of Tsero Church of St. Virgin 56-66

ნინო კობაური**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

ბაგრატიონთა რეზიდენციები დასავლეთ საქართველოში

Nino Kobauri**Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.**

Residences of the Bagrationi Dynasty in West Georgia 67-73

თორნიკე დიასამიძე**შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანული ძეგლების შესწავლის ისტორია

Tornike Diasamidze**Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University.**

History of Studying of Christian Monuments in North Caucasus 74-79

რუსუდან თაყაიშვილი**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია**

სამუსიკო განათლება XX საუკუნის 10-20-იანი წლების საქართველოში

Rusudan Takaishvili**Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire**Musical Education in Georgia in the 10-20s of the 20th Century 80-84**თამარ წულუკიძე****თბილისის მუზეუმების გაერთიანების ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი**

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ფუძემდებლების მოღვაწეობა 1918-1921 წლებში

(მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაკიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობის მაგალითზე)

Tamar Tsulukidze**Zakaria Paliashvili Museum of the Union of Tbilisi Museums**

Activity of the Founder of Modern Georgian Professional Music in 1918-1921

(on the Example of Meliton Balanchivadze, Dimitri Arakishvili, Zakaria Paliashvili) 85-91

ნოდარ თოთაძე**თსუ/აიპ კავკასიური ლიგა**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის პოლიტიკა 1918-1921 წლებში (სარქივო დოკუმენტების მიხედვით)

Nodar Totadze**TSU Caucasus League.**

Cultural Politics of the Democratic Republic of Georgia in 1918-1921 (according to Archival Documents) 92-97

ანტონ ვაჭარაძე**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)**

სახელმწიფო არქივების ღიაობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში - კვლევა

Anton Vatcharadze**Institute for Development of Freedom of Information (IDFI).**

Openness of State Archives in Former Soviet Republics - Research 98-106

ეკა ჭყვიძე**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის ბერძნები 1917-1921 წლებში

Eka Chkoidze**Ilia State University.**

Greeks of the Black Sea Coast and the Caucasus in 1917-1921 107-113

ჯულიეტა გაბოძე**თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

ემიგრანტული პრესა ქართველ კლასიკოსთა შესახებ

Julieta Gabodze

TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.

Emigrant Press about Georgian Classics 114-118

- ანტონ ვაჭარაძე,**
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
 ირანში რუსეთის საიმპერატორო მისიის საქმიანობა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საარქივო მასალების მიხედვით (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროექტი)
Anton Vatcharadze
Institute for Development of Freedom of Information (IDFI).
 Activities of the Church of the Russian Emperors Mission in Iran according to the archival materials of the Sakartvelo (Georgian) - Imereti synodal office 119-124
- ნათია ფიფია**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 კარიკატურა, როგორც საისტორიო წყარო საქართველოს შესახებ, ბრიტანული კარიკატურების მაგალითზე
Natia Pipia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
 Caricature as a Historical source about Georgia on the Example of British Caricatures 125-129
- მარია ლუისა რუსო**
ჰამბურგის უნივერსიტეტი
 ბიბლიოთეკები, არქივები, წიგნები და დოკუმენტები: წერილობითი კულტურული მემკვიდრეობა ინტეგრირებულ პერსპექტივაში
Maria Luisa,
University of Hamburg.
 Libraries, Archives, Books and Documents: Written Cultural Heritage in an Integrated Perspective 130
- ქეთევან პავლიაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 კატაკომბური ეკლესიის ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიური მახასიათებლები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საეკლესიო ისტორიოგრაფიაში
Ketevan Pavliashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
 Methodological Characteristics of Studying Catacombs Church History in Soviet and Post-Soviet Church Historiography 131-133
- ნარგიზ ახვლედიანი**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
 დავით ჩიქოვანის წერილები როგორც ისტორიული წყარო (წიგნში - „წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან“).
Nargiz Akhvlediani
Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institutr.
 Davit Chikovani's Letters as a Historical Source (in the book "Letters from Georgian Convent of Istanbul") 134-135
- მაია ნინიძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ავტოგრაფის ტექსტურ მოწმეთა ანალიზი და თხზულების შემოქმედებითი ისტორია
Maia Ninidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
 Analysis of Autograph Text Reporters and Creative History of Works 136-139
- დიმიტრი სილაქაძე**
საქართველოს ეროვნული არქივი
 მამაკაცის საშუალო სიმაღლე XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში (ქანდარმერიის ბარათების მიხედვით)
Dimitri Silakadze
National Archives of Georgia
 Average Height of Humans in the turn of the 20th Century in Georgia (according to Gendarmerie Cards) 140-153
- ბესიკ ჯაჭვლიანი**
საქართველოს ეროვნული არქივი
 თბილისის სასულიერო სემინარიის ისტორიიდან
Besik Jachvliani
National Archives of Georgia
 From the History of Tbilisi Spiritual Seminary 154-164
- ქეთევან ხითარიშვილი**
კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობა (საარქივო მასალების მიხედვით)
Ketevan Khitarishvili
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.
 Editorial Work of the Society for Spreading Literacy Among Georgians (according to Archival Materials) 165-168

ინგა ელიავა**ქუთაისის ცენტრალური არქივი.**

საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის (საანბანო) სკოლები იმერეთის ეპარქიაში XIX საუკუნის დასასრულს

Inga Eliava**Kutaisi Central Archives.**Church-perish and Literacy schools in Imereti Eparchy by the End of the 19th Century 169-174**მერაბ კეზევაძე****ქუთაისის ცენტრალური არქივი**

სოხასტრის მაცხოვრის ფერისცვალების დედათა მონასტრის ისტორიიდან

Merab Kezevadze**Kutaisi Central Archive**

From the History of Sokhastri Monastery of Transfiguration of Savior 175-184

ედიშერ ჯაფარიძე**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ალექსანდრე ნიკურაძე - ევროპოლოგიის სათავეებთან

Edisher Japharidze**Georgian Technical University.**

Aleksandre Nikuradze —At the Origins of Europology 185-191

მარიამ მარჯანიშვილი**ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი**

ტრავმული ცნობიერება გიორგი კერესელიძის წერილებში

Mariam Marjanishvili**Kutaisi State Historical Museum.**

Traumatic Consciousness in Giorgi Kereselidze's Letters 192-199

ირინე აბესაძე**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ქრონიკა შალვა კიკოძის შემოქმედებასა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში

Irine Abesadze**Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University**

Chronicle of the Fight for Independence of Georgia in Shalva Kikodze's Creation and Epistolary Heritage 200-204

ქეთევან პატარაია**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ისტორიის მხატვრული გააზრება (ერლომ ახვლედიანის საარქივო ფონდში დაცული დაუსრულებელი სცენარი ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ)

Ketevan Patariaia,**Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University.**

Artistic Understanding of History (Incomplete Scenario about Ekvtim Takaishvili, preserved in Erlom Akhvediani Archival Fonds) 205-212

გინტარას დრუკუსი**კაუნასის რეგიონული არქივი**

პირველი მსოფლიო ომის დასასრული: გადამწყვეტი შემობრუნება თანამედროვე ევროპისკენ

Gintaras Druckus**Kaunas regional state archive.**

The end of the world war I: Decisive turn towards modern Europe 213-216

სოფიკო ჭაავა**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

საქართველოს რევკომი და განათლების სახალხო კომისარიატის ენობრივი რეგულაციები 1921 წელს (საარქივო მასალების მიხედვით)

Sophiko Chaava**Sokhumi State University**

Joint Regulations of 1921 by Georgian Revolutionary Committee and People's Commissariat of Education (according to Archival Materials) 217-224

გუბაზ მეგრელიძე**საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი**

ქართული თეატრი და ეროვნული მოძრაობა

Gubaz Megrelidze**Georgian Theatre, Cinema, Music and Choreography state museum.**

Georgian Theatre and National Movement 225-231

თამარ ცაგარელი**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

არავერბალური კომუნიკაცია ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში (ქართული ხალხური ცეკვის მაგალითზე)

Tamar Tsagareli**Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University.**

Non-verbal Communication in Intercultural Communication Process (on the Example of Georgian Folk Dances) 232-236

ირინა გოგონაია**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

არაფორმალური განათლების პროგრამები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში:

მიზნობრივი ჯგუფები და რეპერტუარი (მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლაზე ორიენტირებული მიდგომით).

Irina Gogonaia**Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.**

Informal Educational Programs at the National Centre of Manuscripts:

Target Groups and Repertory (with Lifelong Learning Oriented Approach) 237-243

გიორგი ყიფიანი**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქართული სუფრის ტრადიციის ავთენტურობა ისტორიულ წყაროებში

Giorgi Kipiani**Ivane Javakhishvili Tbilisi state university**

Authenticity of Georgian Feast Tradition in Historical Sources 244-251

ნათია კალანდაძე**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი**

ჩამური

Natia Kalandadze**Chokhatauri Municipality Local Museum**

Chamuri 252-255

მარინე ტურაშვილი, მერი ხუხუნიანი-წიკლაური**თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული ფონოგრაფიკული რეკორდიტალიზაციის საკითხები

Marine Turashvili, Meri Khukhunaishvili-Tsiklauri**Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University**

Issues of Retrodigitalization of Audio Records, preserved at the Archive of Folklore 256-259

ირინა უგრეხელიძე, ნონა ქარციძე, ელისო ჩუბინიძე**ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი**

ნაქარგობა ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში

Irina Ugrehelidze, Nona Kartsidze, Eliso Chubinidze**Kutaisi State Historical Museum**

Embroidery in Georgian and Foreign Written Sources 260-271

ირინა უგრეხელიძე, ნონა ქარციძე, ელისო ჩუბინიძე**ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი**

ქართული ტრადიციული სამოსი უცხოურ წყაროებში

Irina Ugrehelidze, Nona Kartsidze, Eliso Chubinidze**Kutaisi State Historical Museum**

Traditional Georgian Cloths in Foreign Sources 272-275

ლევან ბებურიშვილი**თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის კომენტარებისთვის

Levan Beburishvili**TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.**

For the Comments of Galaktion Tabidze's Poetry 276-285

მაია ჯანგიძე**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფებისა და სიცოცხლისდროინდელი ბეჭდური წყაროების შედარებითი ტექსტოლოგიური ანალიზი

Maia Jangidze**Iakob Gogebashvili Telavi State University.**

Comparative Textual Analysis of Guram Rcheulishvili's Autographs and Lifetime Printed Sources 286-290

ქეთევან მანია**ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია**

რელიგიური იდენტობა აფხაზეთში ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“)

Ketevan Mania**Tskhum-Abkhazeti Academy of Science.**

Religious Identity in Abkhazeti with the Representation of the Print Media (“Droeba”, “Iveria”, “Tsnobis Purtseli”) 291-297

მაია არველაძე**თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

ალექსანდრე ჭავჭავაძის უცნობი ხელნაწერები

Maia Arveladze**TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.**

Aleksandre Chavchavadze's Unknown Autographs 298-305

ელისაბედ ზარდიაშვილი**თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

აკაკი წერეთელი — ავტოკეფალისტი პოეტი (აკრძალული მასალების მიხედვით)

Elisabed Zardiashvili**Shota Rustaveli Institute of Georgian Literature**

Akaki Tsereteli — Autocephalous Poet (according to Prohibited Materials) 306-311

თამარ გოგოლაძე**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

მასალები სოფრომ მგალობლიშვილის ბიოგრაფიიდან საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის არქივში

Tamar Gogoladze**Gori State Teaching University.**

Materials from Sophrom Mgaloblishvili's biography in the Archive of the Museum of Georgian Literature 312-315

თეა თვალავაძე**გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი**

გრიგოლ ორბელიანის წერილების კულტურულ-ისტორიული ასპექტები

Tea Tvalavadze**Giorgi Leonidze Georgian State Literature Museum**

Cultural-historical Aspects of Grigol Orbeliani's Letters 316-321

ბონდო კუპატაძე**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

საარჩევნო სისტემის განვითარება და პოლიტიკური პარტიები საქართველოში (1917-1920 წწ.)

Bondo Kupatadze**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

Development of Electoral System and Political Parties in Georgia 322-334

მიხეილ ბახტაძე**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ორი დოკუმენტი საქართველოს არმიის ჩამოყალიბებისა და მდგომარეობის შესახებ (1918-1919 წწ.)

Mikheil Bakhtadze**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

Two Documents on Establishment and Conditions of the Georgian Army 335-344

<p>თამარ ღურჭაია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისის „ოხრანკის“ განყოფილების ყოფილი აგენტები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „სამსახურში“ Tamar Ghurtskaia Iakob Gogebashvili Telavi State University. Former Agents of the Tbilisi “Okhranka” branch in the service of the Democratic Republic of Georgia</p>	345-348
<p>კახაბერ ქებულაძე, იგორ კეკელია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთი საკითხი გრიგოლ გველესიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნააზრევადან Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia Akaki Tsereteli Kutaisi State University One Single Issue from the Social-political Point of Grigol Gvelesiani</p>	349-353
<p>ლელა სარალიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ანგორის მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ელჩის - სიმონ მდივნის - მოღვაწეობის ისტორიიდან Lela Saralidze TSU Institute of Georgian History and Ethnology From the History of Activity of the of the Democratic Republic Government Ambassador Simon Mdivani to the Government of Angora</p>	354-364
<p>შორენა მურუსიძე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი პირველი რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა ემიგრაციაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად (1921-1933 წწ.) Shorena Murusidze Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts Activities of the Government of the First Democratic Republic of Georgia for the Restoration of Independence in Emigration (1921-1933)</p>	365-371
<p>ნატო სონღულაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა საერთაშორისო ასპარეზზე XX საუკუნის 20-იან წლებში Nato Songulashvili Georgian Technical University Activities of the Georgia Emigration in the International Arena in the 20s of the 20th Century</p>	372-381
<p>სტანისლავ კოლერი პოლონეთის ეროვნული მემსიერების ინსტიტუტი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უსაფრთხოების სამინისტროს ოპერაციული ეფექტიანობის არქივი (1944-1990) — სტრუქტურა და ფუნქციონირება Koller Stanislaw Polish Institute of National Remembrance. Archive of Operational Efficiency/”C” Office of the Ministry of Security of the People’s Republic of Poland 1944-1990. Structure and functioning ...</p>	382-399
<p>სალომე კაპანაძე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი შალვა ამირეჯიბი ქართულ კლასიკურ მწერლობაზე Salome Kapanadze Grigol Robakidze University Shalva Amirejibi about Georgian Classical Writing</p>	400-406
<p>თამარ მჭედლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქეთი კაპანაძე, პირველი კონცეპტუალისტი ქალი საბჭოთა სივრცეში Tamar Mchedlidze IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY Ivane Javakhishvili Tbilisi State University Ketii Kapanadze, the First Conceptualist Woman in Soviet Space</p>	407-410

სოფიო ჩიტორელიძე

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
კერამიკა მხატვარ რომულად ცუხიშვილის შემოქმედებაში

Sophio Chitorelidze**George Chubinashvili National Research Centre for Georgian art history and heritage preservation**

Ceramics in Artist Romuald Tsukhishvili's Works 411-420

დანუტე კონტრიმავიჩენი**ლიტვის თანამედროვე სახელმწიფო არქივი**

ელექტრონული დოკუმენტები და მათი სასიცოცხლო ციკლი

Danutė Kontrimavičienė**Lithuanian State Modern Archives**

Electronic Documents and their Life Cycle 421-423

თინათინ მშვიდობაძე**გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

რეკომენდაციები ისტორიოგრაფიისთვის ციფრული არქივებისა და ელექტრონული კატალოგების შესაქმნელად

Tinatin Mshvidobadze**Gori State University**

Recommendations for Creating Digital Archives and Electronic Catalogs for Historiography 424-428

თამარ დვალისვილი, ასმათ გვაზავა, სოფიო ცერცვაძე**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

ხელნაწერი და ბეჭდური ობიექტების კონსერვაცია-რესტავრაციის პრაქტიკული და მეთოდური სახელმძღვანელოს შესახებ

Tamar Dvalishvili, Asmat Gvazava, Sophio Tsertsvadze**Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.**

About the Practical and Methodical Guidance of Conservation and Restoration Process of Manuscripts and Printed Items 429-432

ია ბახტაძე

წიგნის აკინძვის ხერხები რესტავრაციაში გამოყენების პოტენციალით

Ia Bakhtadze

Book Binding Methods with the Potential to be Used in Restoration 433-438

ალექსეი კაშჩევი**რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა**

პრევენციული ღონისძიებები ბიოლოგიურად დაზიანებული საარქივო დოკუმენტებისათვის

Aleksei Kashcheev**Russian State Library**

Preventive Measures for Biodamages in Archival Documents 439-440

ლელა გოცირიძე**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

„შაჰნამე“ - ჩატარებული სამუშაოების შესახებ

Lela Gotsiridze**Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.**

“Shahnameh” — Works Carried Out 441-448

სალომე მიქაბერიძე**საქართველოს ეროვნული არქივი**

ჩართვისკების ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები

Salome Mikaberidze**National Archives of Georgia**

Georgian Manuscripts, preserved in Chartorisky Library 449-461

ლია სიხარულიძე

საქართველოს ეროვნული არქივი

„ბაქარის ბიბლია“ – რესტავრაცია

Lia Sikharulidze

National Archives of Georgia

“Bakar’s Bible” — Restoration 462-469

შორენა თავაძე, რეზო კლდიაშვილი, იზოლდა ჯიქიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დიმიტრი ყიფიანის ახლად აღმოჩენილი არქივის დიაგნოსტიკა-პრევენცია

Shorena Tavadze, Rezo Kldiashvili, Izolda Jikidze

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

Diagnostic and Prevention of Dimitri Kipiani’s Newly Discovered Archive 470-479